მოსავლიანობის ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიის შემცირებას. ქიმიური ჰერბიციდების გამოყენების შემცირებას. მდგრადი და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საქართველოს პირობებში, მულჩირების პოტენციალის სრულად ათვისება მოითხოვს ფერმერთა ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისი ცოდნისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდას. სახელმწიფო და სამეცნიერო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მულჩირება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებისა და გარემოს დაცვის საქმეში.

#### ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე რ. კელენჯერიძე ნ. (2015) აგროლანდშაფტების მელიორაციული ტექნოლოგიები. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ლორთქიფანიძე რ. (2012) ნაყოფიერების გაუმჯობესება და თბილისის გამწვანების ტექნოლოგიები სამეგრელოსა და იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე. ქუთაისი: შპს მბმ-პოლიგრაფი.
3. მელიქიძევილი, გ. (2020). მულჩირების გავლენა ვაზის მოსავლიანობასა და ნიადაგის აგროფიზიკურ თვისებებზე კახეთის რეგიონში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შრომები, თბილისი.
4. ურუშაძე თ. აგრონიადაგმცოდნეობა. თბილისი: თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა. 2020.
5. Kader, M. A., Senge, M., Mojid, M. A., & Nakamura, K. (2017). Mulching type-induced soil moisture and temperature regimes and water use efficiency of soybean under rain-fed conditions in central Japan. *Agricultural Water Management*, 180, 48-52.
6. Lal, R. (2004). Soil carbon sequestration impacts on global climate change and food security. *Science*, 304(5677), 1623-1627.
7. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (Various years). Publications on conservation agriculture and soil management. ([www.fao.org](http://www.fao.org))
8. Chalker-Scott, L. (2007). Impact of mulches on landscape plants and the environment — A review. *Journal of Environmental Horticulture*, 25(4), 239-249.

## Mulching as a Measure for Increasing Crop Yields and Preventing Soil Erosion

**Chikovani Aluda**

Tsereteli State University, Kutaisi

### Abstract

The paper discusses the critical role of mulching as a modern agrotechnological practice in increasing crop yields and effectively combating soil erosion. It presents an analysis of various forms of mulching, such as organic and inorganic types, examining their specific characteristics and areas of application. Special attention is given to the positive impact of mulch on the physical and chemical properties of soil, including the maintenance of optimal moisture levels—which, according to research, can reduce irrigation water needs by up to 50%—and the regulation of soil temperature regimes. The importance of mulching in weed control is also discussed, with potential reductions in weed spread ranging from 70% to 90%, thereby decreasing the need for herbicides. The paper analyzes mulch's function as a protective barrier that slows erosion processes; studies show that mulching can reduce soil wash-off by more than 90%, particularly on sloped land. Additionally, the contribution of organic mulch to improving soil fertility is emphasized, through increased organic matter content, which may rise by 0.5% to 1% annually. The study highlights the multifaceted economic benefits of mulching, including yield increases ranging from 20% to 100%, depending on the crop, as well as its ecological importance in promoting the principles of sustainable and environmentally friendly agriculture.

**Key words:** *mulching, soil erosion, yield, soil fertility, organic, inorganic.*

## ეკოტურიზმი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

### ჩხარტიშვილი მარინა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირვეწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.16>

**აბსტრაქტი.** ადამიანი ბუნების წიაღში დაიბადა და განვითარდა. იგი ბუნების შვილია და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულება და ურთიერთობის ფორმები. მრავალი საუკუნის მანძილზე ბუნებას ადამიანისთვის მხოლოდ მოხმარებითი ღირებულება ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ადამიანის ბუნებისადმი მომხმარებლურმა მიდგომამ გამოიწვია ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ბუნებაში მიმდინარე მოვლენებში ადამიანის გაუცნობიერებელმა ჩარევამ მიგვიყვანა წონასწორობის დარღვევამდე. დადგა დრო, როცა ყველა კეთილი ნების ადამიანმა იგრძნო ბუნების გაუფრთხილებლობით გამოწვეული საფრთხე, ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა შევინარჩუნოთ დედაბუნება და სამყარო ვიხსნათ ეკოლოგიური კატასტროფებისგან. დედაბუნების დაცვის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება. ეკოტურიზმი წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის ფორმას, რომელიც ეყრდნობა ბუნებრივი გარემოს, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, არის ეკოტურიზმის თვალსაჩინო მაგალითი, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ მრავალფეროვან მცენარეთა კოლექციებს, მიიღონ გარემოსდაცვითი განათლება და შეისწავლონ ბუნების დაცვის პრინციპები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოტურიზმი, მდგრადი ტურიზმი, ბიომრავალფეროვნება ბუნების დაცვა, კონსერვაცია.

### შესავალი

ეკოტურიზმის არის მდგრადი ტურიზმის ფორმა, რომელიც მოიცავს მოგზაურობას შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოში სპეციფიკური მიზნებით: ველური ფლორისა და ფაუნის შესწავლა, განცდა და მისგან სიამოვნების მიღება. ეკოტურიზმის ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ბუნებრივი გარემო; ეკოლოგიური და კულტურული მდგრადობა; განათლება; ადგილობრივი და ეროვნული შემოსავლის უზრუნველყოფა;

ეკოტურიზმისადმი ინტერესი წარმოქმნა საზოგადოების მზარდმა მისწრაფებამ – მოინახულოს და შეიცნოს ბუნებრივი გარემო და შემოიღოს მინიმალური ზემოქმედების პრაქტიკა იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ბუნებრივი და კულტურული რესურსების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების) კონსერვაციის მექანიზმი და მონახულებული გარემოს ხარისხი.

საქართველო, თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობითა და მრავალფეროვანი ტოპოგრაფიით ეკოტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა.

## ძირითადი ტექსტი



საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს ეკოტურიზმის უნიკალურ მაგალითს ქვეყანაში, სადაც ბუნების დაცვა, საგანმანათლებლო პროგრამები და მდგრადი ტურიზმი ერთმანეთს ორგანულად ერწყმის. ეკოტურიზმი არა მხოლოდ ბაღის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას უწყობს ხელს, არამედ ზრდის საზოგადოების ეკოლოგიურ ცნობიერებას და აძლიერებს ადგილობრივ ეკონომიკას.

ბაღი ქმნის პლატფორმას გარემოსდაცვითი განათლებისთვის, უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობას

სამუშაო ადგილებით და იზიდავს ტურისტებს, რომლებიც ბუნებრივი გარემოს დაცვის პრინციპებით ინტერესდებიან. ეკოტურიზმი ბოტანიკურ ბაღში უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ბაღის საუცხოო კოლექციები, ლანდშაფტი, მშვიდი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო - ეს ის მთავარი კრიტერიუმებია, რომლებიც ეკოტურისტების მიერ ბაღის მონახულების გადაწყვეტილების მიღებაში ძირითად როლს ასრულებენ. ვიზიტორებში დიდი მოწონებით სარგებლობს ისეთი სივრცეები, როგორცაა დეკორატიული მცენარეები, იაპონური ბაღი, კულტივარების ბაღი და მიმდებარე ტერიტორია, ჩანჩქერი და თეთრი ხიდი, პარტერი და ღია სადღესასწაულო სივრცე.

### დეკორატიული მცენარეები

1947 წელს თაბორის ქედის ძირში საფუძველი ჩაეყარა მხატვრულ-დეკორატიული ნაკვეთის - პარტერის მშენებლობას, რომელიც 1956 წელს დასრულდა. პარტერის ავტორი ლანდშაფტის ცნობილი არქიტექტორი გიორგი მანაგაძეა. აქ გვხვდება მერქნიან მცენარეთა (კვიპაროსი, უთხოვარი, ღვია, სოფორა, ვერცხლისფერი ნაძვი, მაღალი მთის ფიჭვი, ჰიმალაური კედარი, ბუა და სხვა) კომპოზიციები.

პარტერის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ყვავილოვანი მცენარეები, რათა მუდმივად შენარჩუნდეს მრავალფეროვანი დიზაინი. ყვავილოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია სამფერა ია - *Viola tricolor*, ზიზილა - *Bellis*, ტიტა - *Tulipa*, ეუფორბია - *Euphorbia Leuconeura*, პიონი - *Peony*, გეორგინები - *Dahlia*, ფურისულა - *Primula*, ყოჩივარდა - *Cyclamen*, პორტულაკები - *Portulaca*, დეკორატიული კომბოსტო - *dekorativni kupus*, ზამბახი - *Iris*, ნარგიზი - *Narcissus*, ვარდები - *Rosoideae*, ქრიზანთემა - *Chrysanthemum* და ზაფრანა - *Crocus*.

### იაპონური ბაღი

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში არსებული იაპონური ბაღი მსოფლიოში აღიარებული, პოპულარული და ტრადიციული იაპონური საბაღე ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში და ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი

ღირსშესანიშნაობათაგანია, რომელმაც სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ბაღის დამთვალეირებლებს შორის.

მინიატურულ ბაღში არის იაპონური ხელოვნების ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ტორისა და ნივამონის ჭიშკრები, ბედნიერებისა და იღბლის მომტანი სკულპტურა - ტასოტოს სტილის ქვის კოშკი, კასუგას ქვის ლამპარი და ტრადიციული იაპონური ალისფერი ხიდი.



იაპონური ბაღის ერთგვარი სიმბოლოა ფუძიამას მთის აღმნიშვნელი კონუსისებრი სკულპტურა და ვულკანური მთის ფერდობებიდან სპეციალურად ჩამოტანილი ლავის ქვები, რომელიც იაპონური ბაღის უცვლელ ელემენტს წარმოადგენს. იაპონურ ბაღში დაირგო სხვადასხვა სახეობის 200-მდე ხე-მცენარე, მათ შორის ნეკერჩხალი, ფიჭვი, ნაძვი, იაპონური ჭანჭყატი, როდოდენდრონი

და რა თქმა უნდა, იაპონური ალუბალი - საკურა.

იაპონური ბაღის პროექტი ეკუთვნის იაპონურ კომპანია „Kosugi Zohen Co.“-ს, რომლის წარმომადგენლები, ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებთან ერთად, უშუალოდ იყვნენ ჩართულები ბაღის მოწყობის პროცესში. ბაღის მშენებლობა, რომელიც საქართველოსა და იაპონიის მეგობრობას ეძღვნება, საქართველოში იაპონიის საელჩოს, თბილისის მერიისა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ძალისხმევით, friend EXPO'70 FUND-ისა და კომპანია JTI-ს მხარდაჭერით განხორციელდა.

### კულტივარების ბაღი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ცენტრალურ პარკში, ზღვის დონიდან 506 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს „კულტივარების ბაღი“. ამ ბაღში 2004 წელს მოეწყო დეკორატიული უბანი, სადაც წარმოდგენილია საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ ბოტანიკური ბაღისთვის საჩუქრად გადაცემული როგორც წიწვოვანი, ისე მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ხეებისა და ბუჩქების სახეობები და კულტივარები.

დეკორატიული უბანი გაფორმებულია მერქნიანი მცენარეების შემდეგი კულტივარებით: მთის ფიჭვის - *Pinus mugo* ორი კულტივარი 'Mughus' და 'Mops', დასავლეთის ტუიას - *Thuja occidentalis* კულტივარები 'Golden Globe', 'Woodwardii', 'Europe Gold' და 'Holmstrup', სამუალო ღვიის - *Juniperus x media* კულტივარები 'Pfizeriana Aurea', 'Blue and Gold' და 'Pfizeriana', ჩინური ღვიის - *Juniperus chinensis* კულტივარები 'Monarch', 'Obelisk', 'Stricta' და 'Blue Alps', კლდის ღვიის - *Juniperus scopulorum* კულტივარი 'Blue Arrow', კაზაკური ღვიის - *Juniperus sabina* კულტივარები 'Glauca' და 'Variegata', ჰიმალაური ღვიის - *Juniperus squamata* კულტივარები 'Blue Carpet' და 'Meyeri', ცალკე იარუსს ქმნის ჰორიზონტალური ღვიის - *Juniperus horizontalis* კულტივარი 'Blue Chip' .

ბაღში გვხვდება თეთრი თუთის - *Morus alba* მტირალა ფორმა 'Pendula', მტირალა არყის - *Betula pendula* კულტივარი 'Yungii', ტუნბერგის კოწახურის - *Berberis thunbergii* კულტივარები 'Red Pillar' და 'Harlequin', ლარიქსის - *Larix decidua* კულტივარი 'Repens', ფორჩუნის ჭანჭყატის - *Euonymus fortunei* კულტივარები 'Gajety' და 'Gold', შავი ფიჭვის - *Pinus nigra* კულტივარი 'Brepo', ბარდანაყოფა ხამეციპარისის - *Chamaecyparis pisifera* კულტივარები 'Plumosa Aurea', 'Boulevard' და 'Sungold' წითელი

ტყემლის - *Prunus cerasus* კულტივარი 'Pissardii', ლეკას - *Acer platanoides* კულტივარი 'Royal Red', ხისებრი კარაგანას - *Caragana arborescens* კულტივარი 'Pendula', სამუალო უთხოვარის - *Taxus x media* კულტივარები 'Hicksii' და 'Hilli', უთხოვარის - *Taxus baccata* კულტივარები 'Elegantissima' და 'Rependens'.

### მ ც ე ნ ა რ ე თ ა ო რ ა ნ ჟ ე რ ე ა

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეა. ორანჟერეა ბაღის ცენტრალურ ნაწილში, კვიპაროსების ხეივანის დასაწყისში მდებარეობს და 1000 მ<sup>2</sup> ფართობი უკავია. იგი ერთ-ერთ თვალსაჩინო სასწავლო-საგანმანათლებლო ობიექტს წარმოადგენს მასში არსებული მრავალფეროვანი მცენარეულობით.

ამჟამად ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეაში დაახლოებით 900-მდე დასახელების თითქმის 5000-მდე რაოდენობის მცენარეა.

საპარკე სივრცე სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნაწილით არის წარმოდგენილი. პირველი ნაწილი, ე.წ. ქვედა საპარკე სივრცე (#05), მდებარეობს ბაღის აღმოსავლეთ ნაწილში, ცენტრალური შემოსასვლელის სიახლოვეს, მდინარე



წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე. იგი გაშენებულია ხარფუხის მიდამოებიდან (მირზა შაფის ქუჩის შესასვლელიდან) ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეამდე, ასევე მოიცავს კვიპაროსების ხეივანს და მის გასწვრივ მდებარე მდინარისპირა ფერდობს. საპარკე სივრცის ეს ნაწილი 1925 წლიდან ბაღის შემადგენლობაშია. დღეისათვის აქ წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი საბაღე ელემენტები, როგორცაა იაპონური ბაღი, ღია სადღესასწაულო სივრცე,

დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა სკვერი, კვიპაროსების ხეივანი. ცენტრალური გზის გასწვრივ გაშენებულია ზეთისხილების ჯგუფი და მუხების კოლექცია. ქვედა საპარკე სივრცის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს კვიპაროსის ულამაზესი ხეივანი, რომელიც, სავარაუდოდ, გასული საუკუნის 20-იან წლებში გაშენდა. კვიპაროსების ხეივანით საპარკე სივრცე დაკავშირებულია ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიასთან და ცენტრალურ პარკთან. ბოტანიკური ბაღის მესამე საპარკე სივრცე მდებარეობს ბაღის დასავლეთ ნაწილში და მეტწილად გაშენებულია 1898 წელს მიწათმფლობელ გურგენბეკოვისგან შესყიდულ 22 ჰექტარ მიწის ფართობზე. საპარკე სივრცის ტერიტორია ემიჯნება სანერგე მეურნეობას, აღმოსავლეთ საქართველოს ფართოფოთლოვანი ხეებისა და ბუჩქების კოლექციასა და ნათელ ტყეს. იგი მოიცავს XX საუკუნის 50-იან წლებში გაშენებული კედრებისა და ფიჭვების ძვირფას კორომებს, მდინარისპირა ხეობას და ვრცელდება მდინარე წავკისისწყლის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც ბოტანიკური ბაღის მიერ 1903 წელსაა შეძენილი და წარმოადგენს გაბაშვილის ყოფილ მამულს.

საპარკე სივრცის ფერდობებზე ბუნებრივად იზრდება: ქართული ცხრატყავა - *Lonicera iberica*, ჩვეულებრივი გრაკლა - *Spiraea hypericifolia*, თუთუბო - *Rhus coriaria*, ჩვეულებრივი კვიდო - *Ligustrum vulgare*, შინდანწლა - *Swida australis*; წითელი ნუსხის

მცენარეები: შიშველი აკაკი - *Celtis glabrata* და კავკასიური აკაკი - *Celtis caucasica*.

ორანჟერეის განვითარება აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გამოიხატება, პირველ რიგში, კოლექციაში არსებული მცენარეების შენარჩუნებასა და გამდიდრებაში. ეს ხელს შეუწყობს აგრონომ-დეკორატორებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტებს, კერძო პირებს, მოყვარულებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია დეკორატიული მეყვავილეობით, კერძოდ, ოთახის მცენარეებით, მათი გამრავლების ხერხებით, მოვლა-პატრონობის საკითხებით, მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია.

### ს ა პ ა რ კ ე ს ი ვ რ ც ე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საპარკე სივრცეში ცენტრალური გზის მდინარისპირა ნაწილში არსებულ ბორცვზე 2016 წელს დაირგო მაღალდეკორატიული ხე-მცენარეების სახეობები და კულტივარები: წითელი ნეკერჩხალი - *Acer platanoides* 'Crimson Centris', ალბიცია - *Albizzia julibrissin*, ლეგა მტირალა ფორმის ატლასის კედარი - *Cedrus atlantica* 'Glauca Pendula', მტირალა სოფორა - *Styphnolobium japonicum* 'Pendula', ღვია - *Juniperus x media* 'Mint Julep', მარადმწვანე კვიპაროსი - *Cupressus sempervirens*, უთხოვარი - *Taxus baccata* f. *pyramidalis*, მშვენიერი იუკა - *Jucca gloriosa* და ჩხვლეტია ფშატი - *Elaeagnus pungens*. შედარებით ახალი დარგულია აზალიები - *Azalie* და ზეთისხილის ნერგები - *Olea europaea*, მარადმწვანე ძახველი - *Viburnum tinus*, ირმის რქა - *Lagerstroemia indica*, მარადმწვანე ჩხვლეტია ფშატი - *Elaeagnus pungens* 'Maculata Aurea', ჩხვლეტია ნაძვი - *Picea pungens* 'Hoopsii', არიზონის კვიპაროსი - *Cupressus arisonica*, ჰიმალაის ფიჭვი - *Pinus wallichiana*, ტუია - *Thuja occidentalis* 'Spiralis'

საპარკე სივრცეში, მდინარე წავკისისწყლის მარცხენა ნაპირზე, იზრდება სამი სახეობის ვერხვი: თეთრი ვერხვი - *Populus alba*, ხვალო - *Populus x canescens* და შავი ვერხვი - *Populus nigra*, ასევე, თეთრი ტირიფი - *Salix alba*, მტირალა ტირიფი - *Salix babylonica*, ცრუაკაცია - *Robinia pseudoacacia*. რაც შეეხება კოჯრის გზატკეცილის მომიჯნავე ფერდობს, აქ ძირითადად გავრცელებულია ქართული ცხრატყავა - *Lonicera iberica*, კავკასიური აკაკი - *Celtis caucasica*, ძეძვი - *Paliurus spina-christi*, ბუჩქისებრი ჟასმინი - *Jasminum fruticans*, ჯორისძუა - *Ephedra procera* და სხვა.

### ხ ი დ ე ბ ი დ ა ა კ ვ ე დ უ კ ე ბ ი

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე ნათლად ჩანს თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ორი



ისტორიული ხიდის არსებობა. მათგან უძველესი დატანილია ნარიყალას ციხის კედლიდან 50 მ-ის დაშორებით, რომლის სიგრძე 7 მ, სიმაღლე 2 მ, სიგანე კი 2,1 მ იყო. ხიდი მდებარეობდა განჯის კართან, სადაც გადიოდა აბრეშუმის გზა. სავარაუდოდ, განჯის ხიდი თბილისის დაარსების პერიოდს, IV-V საუკუნეებს განეკუთვნება. ხიდი 1956 წლამდე ფუნქციონირებდა.

მეორე ხიდი თამარის ხიდის

სახელწოდებითაა ცნობილი. ხიდი მდინარე წავკისისწყალზეა აგებული, ბაღის დიდი ჩანჩქერიდან 50 მეტრზე ზემოთ. ქართული აგურით აგებული საცალფეხო ხიდის სიგრძე 7 მ, სიმაღლე 6.8 მ, სიგანე 1,2 მ-ია. ხიდი ნარიყალას ციხის ზედა დასავლეთ შესასვლელს ტაბახმელა-ანატოლიის გზასთან აკავშირებდა. ხიდი, სავარაუდოდ, აგებულია XII-XIII საუკუნეებში.

### დასკვნა

ამდენად, ეკოტურიზმის განვითარება საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბუნებრივი რესურსების დაცვას, ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკურ მხარდაჭერას და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას. ეკოტურიზმი ბოტანიკურ ბაღში არის მდგრადი განვითარების ეფექტიანი საშუალება, რომელიც ბუნებისა და ტურიზმის ჰარმონიულ კავშირს ეფუძნება.

### ლიტერატურა:

1. გოგელია მ., „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ფორმირება“; სადისერტაციო ნაშრომი; ბათუმი; 2013
2. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), გამომცემლობა შპს „ფორმა“, თბილისი; 2008
3. კელენჯერიძე, ჯ. თბილისის ბოტანიკური ბაღი 365 წლისაა // თბილისი დედაენა, 2001,
4. ჩხარტიშვილი, მ. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი/ თბილისი ეროვნული ბიბლიოთეკა, 2025.
5. [http://www.parliament.ge/files/714\\_9879\\_231621\\_ekoturizmi.pdf](http://www.parliament.ge/files/714_9879_231621_ekoturizmi.pdf)
6. <https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/101/shida-turizmi>

## Ecotourism in the National Botanical Garden of Georgia

Chkhartishvili Marina

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Tbilisi

### Abstract

Human was born and developed in the bosom of nature. He is a child of nature and is its integral part. Along with the development of civilization, humans attitude towards nature and forms of relationship have changed. For many centuries, nature has had only a consumption value for human. That is why, human's consumer approach to nature has led to the depletion of natural resources, while the scientific and technological revolution and human's unconscious interference in the processes taking place in nature have led to a violation of balance. The time has come when all people of goodwill have felt the danger caused by carelessness towards the nature, therefore, we must make every effort to preserve Mother Nature and save the world from ecological disasters.

One of the most important aspects of protecting Mother Nature is the development of ecotourism. Ecotourism is a form of sustainable tourism that is based on the protection of the natural environment, biodiversity, and cultural heritage. The Georgian National Botanical Garden is a prime example of ecotourism, where visitors have the opportunity to explore diverse plant collections, receive environmental education, and learn about the principles of nature conservation.

**Keywords:** *ecotourism, sustainable tourism, biodiversity, nature conservation, conservation*

## სულფიტაციის გავლენა სუფრის თეთრი ღვინის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე

წიკლაური ლელა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.17>

**აბსტრაქტი.** ტკბილში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების და, შესაბამისად, მზა პროდუქციის ხარისხის რეგულირების ეფექტური ხერხია ოქსიდაზების ინჰიბიტორების გამოყენება. დღეისათვის მეღვინეობაში ჟანგვითი ფერმენტების ბლოკირებისათვის აქტიურად გამოიყენება ანტიოქსიდანტები - გოგირდის დიოქსიდი, ტანინების პრეპარატები, ასკორბინის მჟავა. გამოკვლეულ იქნა ტკბილის სულფიტაციის რეჟიმების გავლენა ღვინომასალებში ნახშირწყლების და მჟავების, ფენოლური და არომატწარმომქმნელი კომპლექსების კომპონენტთა რაოდენობრივ შემცველობაზე, ასევე პოტენციომეტრულ მახასიათებლებზე. დადგინდა, რომ ტკბილის სულფიტაციის ხერხი დუდილის პროცესის მართვის ინსტრუმენტია დაყვანილი ექსტრაქტის, გლიცერინის, ფენოლური ნაერთების პოლიმერული ფორმების, ალდეჰიდების, მმარმჟავას შემცველობის, აგრეთვე პოტენციომეტრული მაჩვენებლების ვარიაციების მიზნით. ტკბილში გოგირდის დიოქსიდის (75მგ/დმ<sup>3</sup>) და ასკორბინის მჟავას (60მგ/დმ<sup>3</sup>) ერთობლივი შეტანა ხელს უწყობს ისეთი ღვინომასალების მიღებას, რომლებშიც დაბალია ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი, ალდეჰიდების და მმარმჟავას მასური კონცენტრაცია. ასკორბინის მჟავას გამოყენება ტკბილის სულფიტაციისას ხელს უწყობს ღვინომასალაში გლიცერინის მასური კონცენტრაციის და დაყვანილი ექსტრაქტის მნიშვნელობის მომატებას, რაც დადებითი მომენტია სუფრის ღვინოების წარმოებისას. საცდელი ნიმუშების ფენოლური კომპლექსის ანალიზმა აჩვენა, რომ გოგირდის დიოქსიდის შესატანი კონცენტრაციის ზრდისას 50-დან 120 მგ/დმ<sup>3</sup>-მდე საერთო ფენოლური ნივთიერებების შემცველობა გაიზარდა 13%-ით. ფენოლური ნაერთების პოლიმერული ფორმების მატებამ შეადგინა 57%. ეს ფაქტი მიუთითებს გოგირდის დიოქსიდის მაცერაციის გამოშვებზე არა მხოლოდ ფენოლური ნაერთების, არამედ დამჟანგავი ფერმენტების მიმართაც.

იმ ნიმუშებში, რომლებიც მომზადებული იყო ასკორბინის მჟავას გამოყენებით, ფენოლურ ნივთიერებათა მასური კონცენტრაცია 13%-ით მეტია საკონტროლო ვარიანტის ანალოგიურ მნიშვნელობებზე. ამასთან, საცდელ ვარიანტში პოლიმერული ფორმები არ გვხვდება, ხოლო პროცანდიინების მასური კონცენტრაცია 1,3-ჯერ დაბალია საკონტროლოსთან შედარებით. მიღებული შედეგები ადასტურებს ასკორბინის მჟავას აღმდგენ თვისებებს ფენოლური ნაერთების დაჟანგული ფორმების მიმართ.

**საკვანძო სიტყვები:** ღვინომასალები, ასკორბინის მჟავა, ორგანული მჟავები, სულფიტაცია, ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი.

ყურძნის დაჭყლეტვის მომენტიდან ტკბილში აქტიურად მიმდინარეობს ფერმენტული ჟანგვითი პროცესები, განპირობებული მარცვლის ევზოგენური ფერმენტებით - მონოფენოლ-მონოოქსიგენაზით და პეროქსიდაზით [Остроухова, 2008; Остроухова, 2013; Ткаченко, 2010; Гержикина, 2017; Червяк, 2018]. მონოფენოლ-მონოოქსიგენაზას მაღალი აქტივობა შეუღლებულია ტკბილში მიმდინარე ინტენსიურ და ხანგრძლივ ჟანგვით პროცესებთან, რაც ხელს უწყობს ღვინომასალის დაჟანგული ტონების

ფორმირებას (Червяк,2018).

ტკბილში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების, და შესაბამისად, მზა პროდუქციის ხარისხის რეგულირების ეფექტური ხერხია ოქსიდაზების ინჰიბიტორების გამოყენება. დღეისათვის მეღვინეობაში ჟანგვითი ფერმენტების ბლოკირებისათვის აქტიურად გამოიყენება ანრიოქსიდანტები - გოგირდის დიოქსიდი, ტანინების პრეპარატები, ასკორბინის მჟავა( Ткаченко, 2010; Червяк,2018; Гержикова,2011 ).

კვლევის მიზანი იყო სულფიტაციის რეჟიმების გავლენის შესწავლა ღვინომასალის ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებზე.

კვლევის ობიექტი იყო რქაწითელისგან მიღებული ღვინომასალა, მომზადებული შემდეგი ტექნოლოგიური სქემით: ყურძნის დაჭყლეტვა კლერტის მოცილებით→თვითნადენი ტკბილის და პირველი ნაწნები ფრაქციის გამოცალკეება→ტკბილის სულფიტაცია→დაწმენდა 10-12°C ტემპერატურაზე→დუღილი 14-18°C ტემპერატურაზე საფუარის რასაზე 47-К.

ტკბილის სულფიტაციის რეჟიმები ვარირებდა გოგირდის დიოქსიდის და ასკორბინის მჟავას სხვადასხვა დოზების შეტანის გზით:

SO<sub>2</sub>- 0; 50მგ/დმ<sup>3</sup>;75მგ/დმ<sup>3</sup>;100მგ/დმ<sup>3</sup>;120 მგ/დმ<sup>3</sup>;

SO<sub>2</sub> - 75 მგ/დმ<sup>3</sup> და ასკორბინის მჟავა - 60 მგ/დმ<sup>3</sup>.

მიღებული ღვინომასალები ფასდებოდა ორგანოლექტიკურად, ასევე ისაზღვრებოდა ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები: ფენოლების, ნახშირწყლების მჟავებთან კომპლექსების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა, აგრეთვე პოტენციომეტრული მახასიათებლები( Гержикова,2009).

საცდელი ღვინომასალების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მნიშვნელობათა ანალიზმა აჩვენა, რომ ტკბილში შესატანი გოგირდის დიოქსიდის დოზის ზრდასთან ერთად ღვინომასალაში მცირდება ეთილის სპირტის მოცულობითი წილი (ცხრილი1).

ღვინომასალაში ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია, ასევე ორგანული მჟავების შემცველობა ტკბილის სულფიტაციის მეთოდის მიხედვით მნიშვნელოვნად არ იცვლება. გამონაკლისს შეადგენდა ნიმუშები, მომზადებული სულფიტაციის გარეშე, რომლებშიც განხორციელდა ვაშლ-რძემჟავური დუღილი, რასაც მოწმობდა ვაშლმჟავას შემცველობის შემცირება და რძემჟავას მასური კონცენტრაციის ზრდა. მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტკბილის სულფიტაცია 50მგ/დმ<sup>3</sup> რაოდენობით საკმარისია მიღებული ღვინომასალების მდგრადობისათვის რძემჟავა ბაქტერიების საწინააღმდეგოდ, რაც ემთხვევა ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს (Бурьян,2004).

ცხრილი 1

ტკბილის სულფიტაციის რეჟიმის გავლენა ღვინომასალის ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებზე

ცდის ვარიანტი (მგ/დმ <sup>3</sup> )	ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, %	მასური კონცენტრაცია (გ/დმ <sup>3</sup> )					შეფასება, ქულა
		ტიტრული მჟავები	ორგანული მჟავები				
			ღვინის	ვაშლის	რძის	ქარვის	
SO <sub>2</sub> – 0	11,9	5,8	3,7	0	2,2	1,0	7,6
SO <sub>2</sub> - 50	11,7	6,1	4,5	1,3	1,2	0,9	7,8

SO <sub>2</sub> – 75	11,7	6,1	4,7	1,3	1,4	0,8	7,9
SO <sub>2</sub> - 100	11,3	6,5	4,5	1,3	1,3	0,9	7,7
SO <sub>2</sub> - 120	11,1	6,1	4,3	1,5	1,5	0,9	7,9
SO <sub>2</sub> - 75 ასკორბ.მჟავა - 60	11,7	6,0	4,4	1,3	1,4	0,8	7,8

მიღებული ღვინომასალების ორგანოლექტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სულფიტირებული ტკბილიდან მიღებული ნიმუშები, ასევე გოგირდის დიოქსიდის და ასკორბინის მჟავას გამოყენებით მიღებული ნიმუშები შეფასდა 7,8-7,9 ბალით და ხასიათდებოდა გამოხატული ჯიშური არომატით და ნაზი ჰარმონიული გემოთი. მინიმალური სადეფუსტაციო ქულა - 7,6 ბალი, მიიღო ნიმუშებმა, რომლებიც მიღებული იყო ტკბილის სულფიტაციის გარეშე. ეს ღვინომასალები გამოირჩეოდა უხეში გემოთი და არომატში გარეშე ტონების არსებობით.

მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა კორელაცია ღვინომასალის დაყვანილ ექსტრაქტსა და გლიცერინს შორის. ამასთან, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების მასური კონცენტრაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გოგირდის დიოქსიდის შეტანილ რაოდენობაზე.

ასკორბინის მჟავას გამოყენება ტკბილის სულფიტაციისას ხელს უწყობს ღვინომასალაში გლიცერინის მასური კონცენტრაციის და დაყვანილი ექსტრაქტის მნიშვნელობის მომატებას, რაც დადებითი მომენტია სუფრის ღვინოების წარმოებისას (Бурьян,2004).

ცხრილი 2

ტკბილის სულფიტაციის რეჟიმის გავლენა ღვინომასალის ფენოლურ კომპლექსზე

ცდის ვარიანტი (მგ/დმ <sup>3</sup> )	ფენოლური ნაერთების მასური კონცენტრაცია, მგ/დმ <sup>3</sup>			
	საერთო	პოლიმერული ფორმები	პროციანიდინები	ვანილინ- მორეაგირე ნივთიერებები
SO <sub>2</sub> -0	179	6	14,5	7,0
SO <sub>2</sub> - 50	199	29	22,7	6,8
SO <sub>2</sub> - 75	207	21	22,5	8,7
SO <sub>2</sub> - 100	209	27	27,5	11,0
SO <sub>2</sub> - 120	224	46	45,1	9,3
SO <sub>2</sub> - 75 ასკორბ.მჟავა-60	233	0	17,8	10,0

საცდელი ნიმუშების ფენოლოური კომპლექსის ანალიზმა აჩვენა, რომ გოგირდის დიოქსიდის შესატანი კონცენტრაციის ზრდისას 50-დან 120 მგ/დმ<sup>3</sup>-მდე საერთო ფენოლოური ნივთიერებების შემცველობა გაიზარდა 13%-ით (ცხრილი 2). ამასთან, ფენოლოური ნაერთების პოლიმერული ფორმების მატებამ შეადგინა 57%. ეს ფაქტი მიუთითებს გოგირდის დიოქსიდის მაცერაციის გამომწვევ თვისებებზე არა მხოლოდ ფენოლოური ნაერთების, არამედ დამჟანგავი ფერმენტების მიმართაც.

იმ ნიმუშებში, რომლებიც მომზადებული იყო ასკორბინის მჟავას გამოყენებით, ფენოლოურ ნივთიერებათა მასური კონცენტრაცია 13%-ით მეტია საკონტროლო ვარიანტის ანალოგიურ მნიშვნელობებზე. ამასთან, საცდელ ვარიანტში პოლიმერული ფორმები არ გვხვდება, ხოლო პროციანიდინების მასური კონცენტრაცია 1,3-ჯერ დაბალია საკონტროლოსთან შედარებით. მიღებული შედეგები ადასტურებს ასკორბინის მჟავას აღმდგენ თვისებებს ფენოლოური ნაერთების დაჟანგული ფორმების მიმართ.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებობს მჭიდრო კორელაციური დამოკიდებულება ფენოლოური ნივთიერებების მასურ კონცენტრაციასა და ალდეჰიდების შემცველობას შორის. საცდელ ღვინომასალებში შეინიშნება ალდეჰიდების შემცველობის ზრდა სულფიტაციის დოზის მომატებისას, რაც აიხსნება გოგირდის დიოქსიდის შებოჭვით დუღილის პროცესში წარმოქმნილი აცეტალდეჰიდის მიერ და ალდეჰიდგოგირდოვანი მჟავას წარმოქმნით. დადგენილია, რომ ასკორბინის მჟავას გამოყენება ხელს უწყობს ალდეჰიდების და ძმარმჟავას მასური კონცენტრაციის (შესაბამისად 34% და 28%-ით) ნაკლებ დაგროვებას საკონტროლოსთან შედარებით.

ღვინომასალების პოტენციომეტრული მაჩვენებლების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ტკბილის სულფიტაციის დოზისაგან დამოუკიდებლად ღვინომასალებში საწყისი რედოქს-პოტენციალის მნიშვნელობა ვარიერებს ვიწრო დიაპაზონში - 290-296 მვ-ის ფარგლებში (ცხრილი 3). გოგირდის დიოქსიდის და ასკორბინის მჟავას ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის მნიშვნელობის 15%-ით შემცირებას საკონტროლოსთან შედარებით. ფენოლოური ნაერთების დაჟანგულობის მაჩვენებლის მნიშვნელობა გოგირდის დიოქსიდის და ასკორბინის მჟავას შეტანისას აღემატება სხვა ნიმუშების ანალოგიურ მაჩვენებლებს 1,1-1,3-ჯერ. ასკორბინის მჟავას გამოყენება ხელს უწყობს მეტად აღდგენილი ღვინომასალების მიღებას.

ცხრილი 3

სულფიტაციის რეჟიმის გავლენა ღვინომასალების პოტენციომეტრულ მაჩვენებელზე

ცდის ვარიანტი (მგ/დმ <sup>3</sup> )	პოტენციომეტრული მაჩვენებელი
	Eh, მვ
SO <sub>2</sub> -0	321
SO <sub>2</sub> - 50	290
SO <sub>2</sub> - 75	290
SO <sub>2</sub> - 100	296
SO <sub>2</sub> - 120	294
SO <sub>2</sub> - 75 ასკორბ.მჟავა - 60	252

**დასკვნა.** ამრიგად, ტკბილის სულფიტაციის მეთოდი არის არა მხოლოდ ტკბილის და ღვინომასალის მიკრობული სტაბილობის უზრუნველყოფის ხერხი, არამედ საშუალებას იძლევა, ვმართოთ დუღილის პროცესი დაყვანილი ექსტრაქტის, გლიცერინის, ფენოლური ნაერთების პოლიმერული ფორმების, ალდეჰიდების, ძმარმჟავას შემცველობის, ასევე პოტენციომეტრული მაჩვენებლების ვარიაციების მიზნით. ტკბილში გოგირდის დიოქსიდის ( $75\text{მგ/დმ}^3$ ) და ასკორბინის მჟავას ( $60\text{მგ/დმ}^3$ ) ერთდროული შეტანა ხელს უწყობს დაბალი ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის მქონე, ალდეჰიდების და ძმარმჟავას დაბალი შემცველობის ღვინომასალების მიღებას.

#### ლიტერატურა:

1. Бурьян Н.И. (2004) Микробиология виноделия Ялта <<Магарач>>
2. Гержикова В.Г. (2009) Методы технокимического контроля в виноделии Симферополь Таврида
3. Гержикова В.Г. (2017) Влияние компонентов углеводно-кислотного и фенольного комплексов винограда на активность монофенол-монооксигеназы <<Русский виноград>>
4. Остроухова, Е.В. (2008) Исследование биохимических и физико-химических показателей винограда Магарач, Виноградарство и виноделие
5. Остроухова, Е.В. (2013) Создание методологии управления качеством виноградных вин Ялта<<Магарач>>
6. Ткаченко О.Б. (2010) Научные основы совершенствования технологии белых столовых вин путем регулирования окислительно-восстановительных процессов их производства Ялта<<Магарач>>
7. Червяк С.Н. (2018) Изучение взаимосвязей физико-химических и биохимических показателей винограда технических сортов
8. Червяк С.Н. (2018) Влияние режимов сульфитации на ферментативную активность суслу Виноградарство и виноделие

## The Influence of Sulfitation on the Qualitative Indicators of Table White Wine

**Tsiklauri Lela**

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

### Abstract

An effective method for regulating oxidative-reductive processes in grape must—and, consequently, the quality of the final product—is the use of oxidase inhibitors. Today, antioxidants such as sulfur dioxide, tannin-based preparations and ascorbic acid are actively used in winemaking to block oxidative enzymes.

This study examined the influence of sulfitation regimes of grape must on the quantitative content of carbohydrates and acids, components of phenolic and aroma-forming complexes in wine materials, as well as on potentiometric characteristics. It was established that sulfitation of must serves as a tool for managing the fermentation process by altering the content of dry extract, glycerol, polymeric forms of phenolic compounds, aldehydes, acetic acid, and potentiometric parameters.

The combined introduction of sulfur dioxide ( $75\text{ mg/dm}^3$ ) and ascorbic acid ( $60\text{ mg/dm}^3$ ) into the must facilitates the production of wine materials with low oxidative-reductive potential and reduced mass concentrations of aldehydes and acetic acid. The use of ascorbic acid during must sulfitation contributes to increased glycerol content and higher dry extract values in wine materials, which is a positive factor for the production of table wines.

Analysis of the phenolic complex of test samples showed that increasing the concentration of added sulfur dioxide from 50 to 120 mg/dm<sup>3</sup> led to a 13% increase in total phenolic content. The increase in polymeric forms of phenolic compounds reached 57%. This indicates the macerating effect of sulfur dioxide not only on phenolic compounds but also on oxidizing enzymes.

In samples prepared with ascorbic acid, the mass concentration of phenolic substances was 13% higher than in the control variant. At the same time, no polymeric forms were detected in the experimental variant, and the mass concentration of procyanidins was 1.3 times lower compared to the control variant. These results confirm the reducing properties of ascorbic acid in relation to the oxidized forms of phenolic compounds.

**Keywords:** *wine materials, ascorbic acid, organic acids, sulfitation, oxidative-reductive potential*

აჭარაში (სამხრეთ კოლხეთში) გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*)  
ოჯახის სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვნება და ეთნომედიცინაში  
გამოყენება

ჯაყელი ეთერ  
ვარშანიძე ნათელა  
თურმანიძე ნაზი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.18>

**აბსტრაქტი:** ნაშრომში განხილულია აჭარაში (სამხრეთ კოლხეთში) გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახში გაერთიანებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება და ეთნომედიცინაში მათი გამოყენების ასპექტები, დადგენილია აჭარაში - სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა ოჯახის სისტემატიკური სტრუქტურა. შესწავლილია ეთნობოტანიკური მონაცემები, შეგროვებული იქნა რეცეპტები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება მოსახლეობაში. კვლევით მეთოდს წარმოადგენს ტრადიციული ექსპედიცია-ექსკურსიის, მცენარეთა კამერული დამუშავების, იდენტიფიკაციის და მოსახლეობასთან ეთნობოტანიკური კითხვარის მიხედვით ინტერვიუს ჩაწერის მეთოდები. აჭარის ფლორისტულ რაიონში ტუჩოსანთა ოჯახის სამკურნალო მცენარეები წარმოდგენილია 12 გვარით და 17 სახეობით. სამ-სამ სახეობას აერთიანებს გვარები: *Calamintha* და *Mentha*, ორი სახეობას მოიცავს გვარი *Clinopodium*, ხოლო გვარები: *Glechoma*, *Lamium*, *Leonurus*, *Melissa*, *Origanum*, *Scutellaria*, *Salvia*, *Satureia*, *Stachys* წარმოდგენილია თითო სახეობით. ყველა მათგანი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. ძირითადად არიან ეთეროვანი ზეთების შემცველი მცენარეები, ამიტომ ისინი მედიცინაში გამოიყენებიან ფართო სპექტრით.

აჭარაში-სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახის სამკურნალო მცენარეები გამოიყენებიან შემდეგი დაავადებების დროს: ნაღველმდენი (*Calamintha grandiflora*, *C.nepeta*, *C.officinalis*), დამამშვიდებელი, საგულე საშუალება (*Leonurus quinquelobatus*, *Melissa officinalis*, *Mentha longifolia*, *Mentha aquatica*, *Satureia spicigera*), დამამშვიდებელი, წნევის დამწევი-*(Clinopodium umbrosum*, *C. Vulgare*, *Origanum vulgare*), სასუნთქი გზების დაავადებები: (*Glechoma hederacea*, *Satureia spicigera*), სისხლდენის შემაჩერებელი (*Lamium album*), კუჭ-ნაწლავის დაავადებები (*Mentha pulegium*, *Satureia spicigera*, *Salvia glutinosa*); ქრონიკული დიარეა (*Satureia spicigera*), დამამშვიდებელი: (*Origanum vulgare*, *Scutellaria galericulata*), ანთების საწინააღმდეგო (*Stachys officinalis*, *Salvia glutinosa*).

**საკვანძო სიტყვები:** ეთნომედიცინა, ტუჩოსანთა ოჯახი, სამკურნალო მცენარე, აჭარა

### შესავალი

აჭარის (სამხრეთ კოლხეთის) ველური ფლორა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია აჭარის კლიმატით და გეოგრაფიული მდებარეობით. აჭარა გამოირჩევა თბილი, ნოტიო კლიმატით და ეკოლოგიური გარემოს მრავალფეროვნებით, რაც განაპირობებს მცენარეული საფარის სიუხვეს და მრავალფეროვნებას, რომელიც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე არ გვხვდება (ვარშანიძე 2013, 2014, ჯაყელი 2016,) აჭარაში

გავრცელებულია ველური ფლორის 1837 სახეობა, რომლებიც 159 ოჯახსა და 742 გვარში ერთიანდებიან (Дмитриева 1990, Manvelidze 2008).

ჩვენ მიერ გასულ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ აჭარა - სამხრეთი კოლხეთი გამოირჩევა სამკურნალო მცენარეთა სიუხვით და ტაქსონთა მრავალფეროვნებით. აქ გავრცელებული 194 სახეობის სამკურნალო მცენარე, რომლებიც გაერთიანებულია 68 ოჯახსა და 154 გვარში ყველაზე მეტი მრავალრიცხოვნებით წარმოდგენილია შემდეგი ოჯახები: *Asteraceae* –14 სახეობა, *Lamiaceae* – 14, *Rosaceae* –12, *Hypericaceae* – 6, *Polypodiaceae* – 6, *Scrophulariaceae* – 4, *Fabaceae* –4, *Fagaceae* –4, *Solanaceae* –4. *Polygonaceae* – 4 (Jakeli E. 2018).

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანს წარმოადგენს აჭარაში გავრცელებული ტუჩოსანთა ოჯახის სამკურნალო მცენარეთა ბიომრავალფეროვნებისა და ეთნომედიცინაში მათი გამოყენების ასპექტების შესწავლა. ამასთან დაკავშირებით დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: აჭარაში-სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა ოჯახის სისტემატიკური სტრუქტურის და ეთნობოტანიკური მონაცემების შესწავლა,

**კვლევის ობიექტი და მეთოდიკა:** კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აჭარაში გავრცელებული ტუჩოსანთა ოჯახის სამკურნალო მცენარეები. სავსე კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ტრადიციული ექსპედიცია-ექსკურსიის, მცენარეთა სახეობების რკვევა-იდენტიფიკაციის, კამერული დამუშავების, ადგილობრივი მოსახლეობის ეთნობოტანიკური გამოკითხვის და ინტერვიუს ჩაწერის მეთოდები. მცენარეთა სახეობების რკვევისათვის გამოყენებული იქნა აჭარის მცენარეების სარკვევი (Дмитриева 1990), საქართველოს მცენარეების სარკვევი (1964, 1969)), საქართველოს ფლორა (გაგნიძე.1978-2016)). ტაქსონები მითითებულია საერთაშორისო ნომენკლატურული ნუსხის [www.WFO-2024](http://www.WFO-2024). მიხედვით.

ჩვენ მიერ წარმოებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. აჭარაში გავრცელებული ტუჩოსანთა ოჯახის სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება და გამოყენების თავისებურებები

	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	ნედლეული	მედიცინაში გამოყენება	ქიმიური შედგენილობა
	მთის პიტნა- <i>Calamintha grandiflora</i> (L)	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	ნაღველმდენი	0,3-0.8% ეთერზეთები, ნახშირწყლები, ფლავონოიდები
	<i>C.nepeta</i> (L.) <i>Savi</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	ნაღველმდენი	ეთერზეთები, ნახშირწყლები, ფლავონოიდები
	<i>C.officinalis</i> <i>Moench.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	ნაღველმდენი	ეთერზეთები, ნახშირწყლები, ფლავონოიდები
	მოპიტნაო- <i>Clinopodium umbrosum</i> (Bieb.)C. Koch.	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი, წნევის დამწევი	ეთერზეთები

	<i>C. Vulgare L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი, წნევის დამწვევი-	ეთერზეთები
	ოშობა სუროსებრი - <i>Glechoma hederacea L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	სასუნთქი გზების დაავადებები, მადის აღმძვრელი	ტანიინები, მწარე ნივთიერებები, ეთეროვანი ზეთები.
	ჭინჭრის დედა- <i>Lamium album L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ყვავილი	სისხლდენის შემაჩერებელი	ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ლორწო, ვიტამინი C.
	შავბალახა- <i>Leonurus quinquelobatus Gilib.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი, საგულე საშუალება	ფლავონოიდები, ეთეროვანი ზეთები, მთრიმლავი ნივთიერებები, საპონინები ალკალოიდები, ვიტამინი C.
	ბარამბო სამკურნალო- <i>Melissa officinalis L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი, საგულე საშუალება	ეთეროვანი ზეთები, მთრიმლავი ნივთიერებები, ლორწო, ფისები, ვიტამინი C, კაროტინი.
	ტყის პიტნა- <i>Mentha longifolia (L.) Huds.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ფოთოლო	დამამშვიდებელი, საგულე საშუალება	0,3-0.8% ეთეროვანი ზეთები, ფლავონოიდები
	ტენცო- <i>Mentha aquatica L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი, საგულე საშუალება	0,4-0.8% ეთერზეთები, ნახშირწყლები, გლიკოზიდები
	ომბალო- <i>M. pulegium L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	კუჭ-ნაწლავის დაავადებები	0,2-0.4% ეთერზეთები, ვიტამინები C, B, ქრომატიდები, მარტივი

					ნახშირწყლები, მენტოლი, ლიმონენი
	თავშავა- <i>Origanum vulgare L.</i> ,	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	დამამშვიდებელი	0,5-1,2% ეთერზეთები, tissue substances, ვიტამინი C 565 მგ /%,
	მუზარადა- <i>Scutellaria galericulata L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ფესურები	დამამშვიდებელი	0,2-0.4% ეთერზეთები, ასკორბინის მჟავა, ნახშირწყლები, მიკროელემენტები
	სალბი- <i>Salvia glutinosa L.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ფოთლები	ანთების საწინააღმდეგო	0,23-0,44% ეთერზეთები, ორგანული მჟავები, კაროტინოიდები
	ონჭო- <i>Satureia spicigera Koch.</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ბალახი	სასუნთქი გზები, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, კარდიოტული, ქრონიკული დიარეა	ეთერზეთები, მთრიმლავი ნივთიერებები, ლორწო, ფისები
	დედაფუტკარა- <i>Stachys officinalis (L.) Trevis</i>	მრავალწლოვანი ბალახი	ყვავილები	ანთების საწინააღმდეგო	0,2-0.4% ეთერზეთები, ფლავონოიდები მინერალური მარილები.

ტუჩოსანთა ოჯახის სამკურნალო მცენარეები წარმოდგენილია 12 გვარით და 17 სახეობით. სამ-სამ სახეობას აერთიანებს გვარები: Calamintha და Mentha, ორ სახეობას მოიცავს გვარი Clinopodium, ხოლო გვარები: Glechoma, Lamium, Leonurus, Melissa, Origanum, Scutellaria, Salvia, Satureia, Stachys წარმოდგენილია თითო სახეობით. ყველა მათგანი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. ძირითადად არიან ეთეროვანი ზეთების შემცველი მცენარეები, ამიტომ ისინი მედიცინაში გამოიყენებიან ფართო სპექტრით (Varshanidze 2018, varshanidze 2013, Jakeli 2018).

ქვემოთ მოყვანილია ეთნომედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო მცენარის ეფექტური და მრავალმხრივი გამოყენება სხვადასხვა დაავადებების დროს:

**თავშავა - *Origanum vulgare L.***-დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. გარდა ამისა, იგი აძლიერებს ოფლის გამოყოფას, საჭმლის მომწელებელი და ბრონქებში განლაგებული ჯირკვლების სეკრეციას; აძლიერებს

ნაწლავების პერისტალტიკას. მას იყენებენ ნაწლავების ატონიის დროს შემდეგნაირად: ამზადებენ ნაყენს: 15 გ. მშრალ ბალახს ერთ ჭიქა ადუღებულ წყალზე. მიიღებენ 1-2 სუფრის კოვზს 3-4 ჯერ დღეში. როგორც დამამშვიდებელს სვამენ ჰიპერტონიის, გაძლიერებული ალგუნებადობის, თავის ტკივილის დროს 1/3 ჭიქას დღეში 2-3 ჯერ. თავშავასგან მიღებული ეთერზეთი გამოიყენება ტკივილგამაყუჩებლად. თავშავა აგრეთვე ჩრჩილთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც გამოიყენება ეთნობოტანიკაში.

**ბარამბო სამკურნალო-*Melissa officinalis L.*** ეთნომედიცინაში გამოიყენება ბარამბოს ფოთლები და შეფოთლილი ღეროს წვეროები - ბალახი. ბარამბოს ბალახს იყენებენ მადის მომგვრელად და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებისას. ეთნომედიცინაში ბარამბოს ბალახის ნაყენს მადისა და საჭმლის მომნელებელი მოქმედების სამკურნალოდ იყენებენ. ბარამბოს კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ და ტკივილის გამაყუჩებლად იყენებენ. იგი ამაღლებს სიცოცხლისუნარიანობას და განდევნის მელანქოლიას. როგორც დამამშვიდებელ საშუალებას, იყენებენ ბალახის ნაყენს ან ნახარშს (1:10), მიიღებენ 1 სუფრის კოვზი 3-4 ჯერ დღეში. გადაჭარბებული ალგუნებულობის, ისტერიის, უძილობის დროს. გულის არეში ტკივილების დროს სვამენ ბარამბოს ზეთის 10-15 წვეთს. ბარამბოს ნახარშს ან ნაყენს გამოსავლებად იყენებენ ღრძილების დაავადებისას და კბილის ტკივილის დროს.

**შავბალახა - *Leonurus quinquelobatus Gilib.*** შავბალახა გამოიყენება ნერვული ალგუნებისას. მისი მკრნალობის ეფექტი ორჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე კატაბალახას. გამოიყენება აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა ნერვოზის დროს, ჰიპერტონიის, გულის მანკის, ტვინის სისხლძარღვების სკლეროზის დროს, აუმჯობესებს ძილს და ამცირებს თავის ტკივილს. ეთნომედიცინაში ახალგაზრდა მცენარის წვეთს იყენებენ გულის სუსტი მუშაობისას, მსხვილი ნაწლავის ქრონიკული კატარის დროს, კუჭის სპაზმისას, ნერვული შერყევისას, შეშინებისას, როგორც ნერვული სისტემის დამაწყნარებელი საშუალება. შავბალახა ქონდართან და ბროწეულის ქერქთან ერთად ამოიყენება დიზენტერიის საწინააღმდეგოდ.

**სალბი - *Salvia glutinosa L.*** ეთნომედიცინაში სალბის ფოთლების ნაყენს სვამენ ჩაის სახით. მიიღებენ ნახევარ ჭიქას დღეში 3-4-ჯერ ლარინგიტის, ტრაქეიტის, ბრონქიტის, შარდის ბუშტის ანთების დროს, ღვიძლისა ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს. სალბის ნაყენს ხშირად იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს. სალბი შედის კუჭის, საგულე და ხახის გამოსავლებ ნაკრებების შედგენილობაში.

**ოშომა სუროსებრი - *Glechoma hederacea L.*** ოშომა ეთნომედიცინაში გამოიყენება და მას გაჭირვების ტალკვეს უწოდებენ. ოშომას ნაყენით და ნახარშით მკურნალობენ მოტეხილობას, ნალრძობს, სიმსივნეებს, წყლულებს და სხვ. ოშომას და ნიორს ერთად ხარშავენ და ადებენ ნალრძობ ადვილს.

**მთის პიტნა - *Calamintha grandiflora L.*** პიტნის გამომშრალი ფოთლების ნაყენს იენებენ, როგორც ნალველმდენ და სპაზმოლიტურ საშუალებას. 1 ს/კ პიტნის ბალახს ასხამენ 1 ჭიქა ადუღებულ წყალს, აჩერებ 4 საათს და სვამენ ყავის ჭიქით დღეში 3 ჯერ. ეთნომედიცინაში პიტნას იყენებენ აგრეთვე გულისრევის. პირღებინების და ფადარათის დროს კუჭნაწლავის ტრაქტის ანთებისას. კუჭის ქრონიკული დაავადების დროს რეკომენდებულია დილაობით პიტნის ნაყენის დალევა. ხშირად ამზადებენ ნაყენს: 20 გ. დაქუცმაცებულ ფოთლებს ასხამენ 0,5 ლ. მდულარე წყალს, აყოვნებენ დღე-ღამის განმავლობაში, შემდეგ წურავენ და მიღებულ ნაყენს სვამენ დღის განმავლობაში 3 მიღებაზე.

**ონჭო, გარეული ქონდარი - *Satureia spicigera* (C. Koch)** აჭარის მოსახლეობა მას იყენებს ქრონიკული კუჭის აშლილობის წინააღმდეგ. რისთვისაც მცენარეს ხარშავენ და ნახარშს შეურევენ რძეს და ასმევენ ავადმყოფს.

### დასკვნები

1. აჭარაში-სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახის სამკურნალო მცენარეები ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით;

2. აჭარაში - სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახის სამკურნალო მცენარეები წარმოდგენილია 12 გვარით და 17 სახეობით.

3. სახეობის სიმრავლით (სამ-სამი სახეობით) გამოირჩევა გვარები: *Calamintha* და *Mentha*, ორი სახეობას მოიცავს გვარი *Clinopodium*;

4. მრავალფეროვანია ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახის სამკურნალო მცენარეების ეთნომედიცინაში გამოიყენება;

5. აჭარაში-სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ტუჩოსანთა (*Lamiaceae.L*) ოჯახის სამკურნალო მცენარეები გამოიყენებიან შემდეგი დაავადებების დროს: ნალველმდენი (*Calamintha grandiflora*, *C.nepeta*, *C. officinalis*), დამამშვიდებელი, საგულე საშუალება (*Leonurus quinquelobatus*, *Melissa officinalis*, *Mentha longifolia*, *Mentha aquatica*, *Satureia spicigera*), დამამშვიდებელი, წნევის დამწვევი-*(Clinopodium umbrosum*, *C. Vulgare*, *Origanum vulgare*), სასუნთქი გზების დაავადებები: (*Glechoma hederacea*, *Satureia spicigera*), სისხლდენის შემაჩერებელი (*Lamium album*), კუჭ-ნაწლავის დაავადებები (*Mentha pulegium*, *Satureia spicigera*, *Salvia glutinosa*); ქრონიკული დიარეა (*Satureia spicigera*), დამამშვიდებელი: (*Origanum vulgare*, *Scutellaria galericulata*), ანთების საწინააღმდეგო (*Stachys officinalis*, *Salvia glutinosa*).

### ლიტერატურა:

1. გაგნიძე (1978-2016). გაგნიძე რ.(საქართველოს ფლორა. 1-16. თბილისი, მეცნიერება.
2. ვარშანიძე (2013). ვარშანიძე ნ. აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ ბათუმი;
3. ვარშანიძე ნ.(2014). ვარშანიძე ნ., ასანიძე ნ., და სხვა აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები და მათი ბიოეკოლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი;
4. საქართველოს მცენარეთა სარკვევი. ტომი I. „მეცნიერება“. თბილისი. 1964;
5. საქართველოს მცენარეების სარკვევი. ტომი II. „მეცნიერება“. თბილისი. ტ-II. 1969;
6. ჯაყელი ე. (2016). ე.ჯაყელი, ნ. ვარშანიძე, ნ. ზარნაძე. „ბიომრავალფეროვნება და საქართველო“, II სამეცნიერო კონფერენცია, მაღალმთიანი აჭარის სამკურნალო მცენარეების ბიომრავალფეროვნება, (ვარშანიძე ნ., ზარნაძე ნ.). თბილისი;
7. Дмитриева (1990). Определить растений Аджарии. „Мецниереба“. Тбилиси, т. I.;
8. Дмитриева (1990). Определить растений Аджарии. „Мецниереба“. Тбилиси, т. II.;
9. Jakeli, (2018). Jakeli, E., Varshanidze, N., Diasamidze I., Dolidze K., Zarnadze N. (2018). Biodiversity of medical plants of wild flora in Ajara-South Colchis and their usage in folk medicine. 3-rd International Science Symposium “New Horizons in Science”, Proceeding Book., At Pristina, Cosovo. 80-96;
10. Manvelidze, (2008). Manvelidze Z., Memiadze, N., Kharazishvili, D., Varshanidze N. Diversity of floral area of Adjara. (List of wild grown plants species). Annalis of Agrarian science, 6 (2), 91-93;
11. The Plant List a working list of all plant species. 2013 ([www.theplantlist.org](http://www.theplantlist.org)\*2013);
12. Varshanidze (2018). Natela Varshanidze, Nazi Turmanidze, Ketevan Dolidze, Nana Zarnadze, Inga Diasamidze, Tinatin Epitashvili, Tamar Katcharava. [Biodiversity of Medicinal Plants Containing Essential Oil and Their Spreading in Adjara](#), Universal Journal of Agricultural Research, V. 6(3), p.99-104;
13. Varshanidze (2013). Varshanidze N., Jakeli E., Turmanidze N., Wild medical plants diversity in Ajara National Parks. AÇÜ Electronic Conference System, International Caucasia Forestry Symposium, Artvin, 2013, 24-26 October..
14. [www.WFO-2024](http://www.WFO-2024).

## Diversity and Ethnomedicinal Use of Medicinal Plants of the Lamiaceae (Lamiaceae L.) Family in Adjara–South Colchis

Jakeli Eteri

Varshanidze Natela

Turmanidze Nazi

Shota Rustaveli State University, Batumi

### Abstract

The present paper discusses the species diversity of medicinal plants of the Lamiaceae (Lamiaceae L.) family found in Adjara–South Colchis, as well as the aspects of their use in ethnomedicine. The systematic structure of the Lamiaceae species distributed in this region has been determined. Ethnobotanical data were studied, and valuable traditional remedies commonly known and effectively used by the local population were collected.

The research was conducted using the traditional field expedition-excursion method, which included plant collection and identification, along with interviews with local residents based on a structured ethnobotanical questionnaire.

Medicinal plants of the Lamiaceae family in Adjara–South Colchis are represented by 12 genera and 17 species. The genera *Calamintha* and *Mentha* each comprise three species; the genus *Clinopodium* includes two species; while the genera *Glechoma*, *Lamium*, *Leonurus*, *Melissa*, *Origanum*, *Scutellaria*, *Salvia*, *Satureia*, and *Stachys* are represented by one species each. All are perennial herbaceous plants, primarily rich in essential oils, which makes them widely applicable in medicine.

The medicinal plants of the Lamiaceae family occurring in Adjara–South Colchis are traditionally used for the following conditions: Choleric agents: *Calamintha grandiflora*, *C. nepeta*, *C. officinalis*; Sedative and cardiogenic agents: *Leonurus quinquelobatus*, *Melissa officinalis*, *Mentha longifolia*, *Mentha aquatica*, *Satureia spicigera*; Sedative and antihypertensive agents: *Clinopodium umbrosum*, *C. vulgare*, *Origanum vulgare*; Respiratory ailments: *Glechoma hederacea*, *Satureia spicigera*; Hemostatic agents: *Lamium album*; Gastrointestinal disorders: *Mentha pulegium*, *Satureia spicigera*, *Salvia glutinosa*; Chronic diarrhea: *Satureia spicigera*; Sedative agents: *Origanum vulgare*, *Scutellaria galericulata*; Anti-inflammatory agents: *Stachys officinalis*, *Salvia glutinosa*.

**Keywords:** *ethnomedicine, Lamiaceae family, medicinal plant, Adjara*

ფეხბურთი როგორც პროპაგანდის იარაღი ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს

გოგენია ზაალ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.19>

**აბსტრაქტი.** სპორტი და კონკრეტულად ფეხბურთი ხშირად გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. ბასკების საფეხბურთო გუნდის შექმნა და მისი პროპაგანდისტული ტურნე ევროპაში, სსრკ-სა და ლათინურ ამერიკაში ესპანეთის სამოქალაქო ომის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. 1937 წლის მარტში ფ. ფრანკოს ძალებმა ომის სიმძიმე ჩრდილოეთში გადაიტანეს, მათი პირველი სამიზნე გახდა ბასკეთი. ესპანეთის რესპუბლიკის მესვეურები ჩრდილოეთის ფრონტს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, შესაბამისად აქ იარაღის, საბრძოლო მასალის და სურსათის კატასტროფული სიმცირე იყო. ბასკეთის მთავრობის მეთაური, ყოფილი ფეხბურთელი ხოსე ანტონიო აგირრე, სპორტის ამ სახეობას აქტიურად იყენებდა საზღვარგარეთ პროპაგანდის და ფინანსური სახსრების მოძიებისთვის.

ტურნე მეზობელი საფრანგეთიდან დაიწყო. სპორტულ სფეროში მნიშვნელოვანი ბასკების გამარჯვება პოლიტიკური თვალსაზრისით დაჩრდილა გერნიკას დაბომბვამ. საინტერესოა დელეგაციის ხელმძღვანელის მანუელ დე ლა სოტას ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ზოგიერთი მკვლევარი ბასკური ნაციონალიზმის საჯარო აღიარებას პოულობს. ნაკრების პროპაგანდისტული ამოცანა აშკარად გამოვლინდა მარსელში.

მოსკოვში ბასკების პირველი მეტოქე იყო ლოკომოტივი შემდეგ მოსკოვის დინამო, მათთან თამაში ბასკების გამარჯვებით დასრულდა. მოსკოვში ორი მოგების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა შეშფოთებას ვერ მალავდა. მას სურდა ორი მარში-რევანშის გამართვა. თუმცა დინამოსთან მეორე თამაში კატასტროფულად დასრულდა 7:4. სტალინის თავმოყვარეობა ამან დიდად შელახა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოსკოვის დინამო იყო ნკვდ გუნდი.

საქართველოში ბასკები განსაკუთრებული სითბოთი მიიღეს, ამის მიზეზი მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა არ ყოფილა. დიდი როლი ითამაშა ნიკო მარის პოპულარულმა თეორიამ ბასკების და ქართველების ნათესაობის შესახებ. ამას თვითონ ბასკებიც უსვამდნენ ხაზს თბილისში გამართული ორივე თამაში პირველად „დინამოსთან“ ხოლო მეორედ საქართველოს ნაკრებთან ბასკების გამარჯვებით დასრულდა.

პროპაგანდისტული თვალსაზრისით ბასკების ეს ტურნე მნიშვნელოვანი იყო მას ჰქონდა პირველ რიგში პოლიტიკურ-აგიტაციური და უკვე შემდეგ სპორტული დატვირთვა, ასევე საკმარისად ახლდა ნაციონალისტური შეფერილობა.

**საკვანძო სიტყვები:** პროპაგანდა, ფეხბურთი, ესპანეთის სამოქალაქო ომი, ბასკური ნაციონალიზმი, საბჭოთა კავშირი

სპორტი და კონკრეტულად ფეხბურთი ხშირად გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. ბასკების საფეხბურთო გუნდის (დე ფაქტო ნაკრები) შექმნა და მისი პროპაგანდისტული ტურნე ევროპაში, სსრკ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში სამოქალაქო ომის დროინდელი ესპანეთის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო

ფურცელია, რასაც თან ახლავს უამრავი ლეგენდა მისი ნაციონალისტური შეფერილობის გამო. მას ჰქონდა პირველ რიგში პოლიტიკურ-აგიტაციური და შემდეგ სპორტული დატვირთვა. აღნიშნული ტურნეს ფარგლებში ჩვენთვის მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ქალაქებში და განსაკუთრებით თბილისში გამართული თამაშები.

1936 წლის 18 ივლისში დაწყებული აჯანყებით ესპანეთი სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია. როგორც მთელი ესპანეთი, ბასკეთიც ორ ზონად გაიყო: ბისკაია, გიპუსკოა და ალავას ნაწილი დარჩა რესპუბლიკის ხელში, დანარჩენ ტერიტორიას აკონტროლებდნენ აჯანყებულები. 1936 წლის სექტემბერში თითქმის მთელი გიპუსკოა ფრანკოს ხელში გადავიდა. ოქტომბრის თვეში ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცა სტატუტი, რომელიც ბასკეთს ფართო ავტონომიას ანიჭებდა. ბასკეთის მთავრობის მეთაურად (ლენდეკარი) არჩეულ იქნა ხოსე ანტონიო აგირრე. აგირრე სანამ პოლიტიკოსი და ბასკური ნაციონალისტური პარტიის ლიდერი გახდებოდა იყო ბილბაოს ატლეთიკოს ფეხბურთელი, ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ მისი მთავრობა ფეხბურთს გამოიყენებდა როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს.

ომის დაწყებისთანავე ესპანეთში და კონკრეტულად ბასკეთში საფეხბურთო შეჯიბრებები შეჩერდა. ტარდებოდა მხოლოდ საქველმოქმედო, ამხანაგური მატჩები ომის საჭიროებისთვის თანხების შესაგროვებლად. ამ მხრივ საინტერესოა 1937 წლის 7 თებერვალს სან-მემესში გამართული შეხვედრა ორი წამყვანი ნაციონალისტური პარტიის გუნდებს (Partido Nacionalista Vasco - ბასკური ნაციონალისური პარტია და Acción Nacionalista Vasca- ბასკური ნაციონალისტური მოქმედება) შორის. მიღებული შემოსავლით აგირრეს მთავრობამ შეიძინა თვითმფრინავი (Zákravský, 2016, 12). ორგანიზებულ იქნა კიდევ ორი მატჩი საიდანაც მიღებული თანხით სსრკ-გან უნდა შეეძინათ გემი, ბილბაოს სანაპიროების დასაცავად, მაგრამ ამ მატჩებს წარმატება არ მოჰყოლია და მის მიმართ ყურადღებაც ნაკლები იყო (Zákravský, 2016, 13).

1937 წლის მარტის ბოლოს ფ. ფრანკოს ძალებმა ომის სიმძიმე ჩრდილოეთში გადმოიტანეს, მათი პირველი სამიზნე გახდა ბასკეთი. ზოგადად უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო ომის დროს, ცენტრს ჩრდილოეთთან სუსტი კონტაქტები ჰქონდა. ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეებისთვის ჩრდილოეთის ფრონტი ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად აქ იარაღის, საბრძოლო მასალის და სურსათის კატასტროფული სიმცირე იგრძნობოდა. ლენდეკარი აგირრე აწარმოებდა უწყვეტ პროპაგანდას საზღვარგარეთ, ფინანსური სახსრების მოძიებასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში განხილება სწორედ ბასკეთის „ნაკრების“ შექმნაც.

გუნდის შექმნის იდეა ეკუთვნოდა ჟურნალისტ მელჩორ ალევრიას, რაც აგირრემ მაშინათვე აიტაცა. ამ საქმეში ჩართული იყო ბასკეთის მთავრობის წევრი, სოციალისტი ხუან გრასია კოლასი. 1937 მარტში პრესაში გაჩნდა პირველი განცხადება გუნდის ჩამოყალიბების შესახებ. ტარდებოდა სამუშაოები, ზუსტდებოდა დეტალები სპორტის სამყაროს ცნობილ წარმომადგენლებთან და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მასზე. 1937 წლის 7 მარტს გაზეთი „La Tarde“ წერდა „ჩვენ დიდი სარგებელი უნდა მივიღოთ ამ ექსპედიციიდან როგორც ეკონომიკური კუთხით ისე სოციალური და საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, ... გავაცნოთ ყველა ქვეყანას ჩვენი თავი“ (Etxepare, 2011, 794) ძირითადი მიზანი ნათელია, გუნდი უნდა გამხდარიყო ერთგვარი „ელჩი-მოგზაური ბასკეთის ქვეყნისა“ (Zákravský, 2016, 13). კარგად ესმოდათ თავიანთი მისიის მნიშვნელობა ფეხბურთელებსაც, მოგვიანებით, ყოველი შეხვედრის წინ ისინი აცხადებდნენ: „ყოველი პეზეტი რომელსაც მატჩებში

მონაწილეობით ვაგროვებთ, ჩვენი ქვეყნისთვის ამ მძიმე წუთებში დაუყოვნებლივ ეგზავნება ჩვენს მთავრობას. ყოველი პეზეტი - ვაზნაა, პურია, ჭრილობის შესახვევი ბანდია. მთავრობის დავალების შესრულებისთანავე დავუბრუნდებით სანგრებს“ (გაგუა, 1990, 56).

გუნდს ოფიციალურად ბასკეთის ნაკრები არ დარქმევია, პრომოუტერები როგორც ჩანს შიშობდნენ, რომ ამ სახელით „ფიფა“ საზღვარგარეთ თამაშს აუკრძალავდა. გუნდის ხერხემალი იყო ბილბაოს ატლეთიკო გაძლიერებული სხვა ფეხბურთელებით (მაგ. პედრო რიგეირო, ლუის რიგეირო, ემილიო ალონსო მადრიდიდან, ისიდორო ლანგარა ოვიედოდან), თუმცა გუნდი შექმნილი იყო ნაციონალისტების მიერ და ეს სიმბოლიკაზეც აისახა. „ეუსკადის“ გუნდის ფორმა შეკერილ იქნა „იკურინიის“ ფერებში, (ბასკეთის ქვეყნის ოფიციალური დროშა). მწვანე მაისური, თეთრი შორტი გვერდზე წითელი ხაზებით, წითელი გეტრები ორი მწვანე და ერთი თეთრი ხაზით. ეს სიახლე იყო, აქამდე ბასკური გუნდები ჩვეულებრივ ფორმას ატარებდნენ, რომელიც არ იყო დაკავშირებული ბასკურ ნაციონალიზმთან. ომის პრობებში გარემოებები შეიცვალა და გუნდს უნდა მისცემოდა იდენტურობის ძლიერი გრძნობა. „იკურინიის“ ფერები ნიშნავდა, რომ ეუსკადის გუნდს სურდა ყოფილიყო იმაზე მეტი, ვიდრე საფეხბურთო გუნდი იყო.

საფრანგეთი, გარდა გეოგრაფიული სიახლოვისა, პოლიტიკური ინტერესების კუთხითაც უფრო მიმზიდველი გახლდათ და ტურნეც აქედან დაიწყო. 26 აპრილს საფრანგეთის იმ დროინდელი ჩემპიონი „რასინგ დე პარი“ დაამარცხეს (3:0). გამარჯვება სპორტულ სფეროში მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ის დაჩრდილა გერნიკას დაბომბვამ იმავე 26 აპრილს. მოთამაშეები სარგებლობდნენ ყველა შემთხვევით თავიანთი მთავარი ამოცანის შესასრულებლად. გუნდის წევრებმა მოინახულეს პარიზული გაზეთების (Paris Soir, Ce Soir) რედაქციები, უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ეწვივნენ პარიზის რადიოს. სადამოს გამართულ ბანკეტზე დელეგაციის ხელმძღვანელმა მანუელ დე ლა სოტამ განაცხადა, რომ ბასკი ფეხბურთელები იგივე ჯარისკაცები არიან რომლებმაც დატოვეს სანგრები, სადაც იბრძვიან მშვიდობისა და ძმობისთვის. „ჩვენს ახალგაზრდებს უნდათ აჩვენონ, რომ იბრძვიან თავისუფლებისთვის სპორტის მეშვეობით“. ზოგიერთი მკვლევარი ამას უყურებს როგორც ბასკური ნაციონალიზმის ერთგვარ საჯარო აღიარებას (Etxepare, 2011, 797).

ჯამში საფრანგეთში ბასკებმა ოთხი მატჩი გამართეს. ორჯერ იწვინია დამარცხება პარიზის ცნობილმა „რასინგმა“, სასტიკად დამარცხდა „ოლიმპიკ მარსელი“ (2:5). ამ მატჩს შესახებ პარიზის სპორტული გაზეთი მკითხველებს ასეთ ცნობას აწვდიდა: „ბასკებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ისეთივე სიძლიერით იცავენ თავიანთ კარს, როგორითაც მათი ხალხი იცავს თავისუფლებას ესპანეთში“ (გაგუა, 1990, 56). ბოლო მატჩი საფეხბურთო გუნდ სეტთან (Sète), იყო ბასკების გუნდის ერთადერთი მარცხი მეზობელ ქვეყანაში.

ნაკრების პროპაგანდისტული ხასიათი აშკარად გამოვლინდა მარსელში. გუნდის კაპიტანი ლუის რეგეირო და მელჩორ ალეგრია შეხვდნენ ესპანეთის კონსულს მარსელში, რომელსაც წარუდგინეს დანგრეული გერნიკას ფოტოები. მათ ასევე მიეცათ შესაძლებლობა ესაუბრათ მექსიკის კონსულთან რომელმაც აცნობა მათ, რომ მექსიკაში შეიქმნა კომიტეტი ბილბაოს დასახმარებლად. დიპლომატიური მოლაპარაკებები გრძელდებოდა. ალეგრიამ მიიღო 1000 ფრანკი კატალონიის ანტიფაშისტური კომიტეტისგან და ა.შ. როგორც მარსელის გაზეთი „Rouge-Midi“ სამართლიანად აღნიშნავდა: „ბასკეთის გუნდის წევრები თამაშობდნენ როგორც

იდეალური ფეხბურთელები და სრულად ჰქონდათ გააზრებული ის პროპაგანდისტული ამოცანა რომელიც დააკისრა მათ ბასკეთის მთავრობამ“ (Etxepare, 2011, 798).

საფრანგეთიდან გუნდი გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ჰქონდათ თამაში 30 მაისს, აქ მათი თამაში წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა წაგების მიუხედავად მაღალი შეფასება დაიმსახურეს.<sup>1</sup> ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეკარე საქვეყნოდ აღიარებული ფრანტიშეკ პლანიჩკა მატჩის შემდეგ წერდა: „ესპანელთა გუნდი უდავოდ ძლიერი, საშიში და სერიოზული მოწინააღმდეგეა ... მე ძალიან გამიჭირდა მათი თავდამსხმელი ხუთეულისთვის თვალის დევნება. იმდენად სწრაფად მოძრაობდნენ ისინი მოედანზე. მათი ტემპი პირდაპირ განსაცვიფრებელია, არასოდეს დამავიწყდება ეს შეხვედრა და ვიტყვი, რომ ასეთი ლამაზი დამაბული და რაინდული თამაში, როგორც ბასკებმა გვიჩვენეს დიდი ხანია არ მინახავს“ (გაგუა, 1990, 57).

შემდეგი ვიზიტი დაგეგმილი იყო პოლონეთში, სადაც ითამაშეს კატოვიცში 8 ივნისს, თუმცა ვარშავაში დაგეგმილი მატჩი გაუქმდა ინციდენტის გამო. პოლონელი კათოლიკეები ბასკ მებრძოლებს კომუნისტებთან აიგივებდნენ, მათთვის გაუგებარი იყო რატომ უნდა ებრძოლათ კათოლიკებს რესპუბლიკის მხარეს, ფრანკოს წინააღმდეგ. (Etxepare, 2011, 798). თამაშის აკრძალვის ნამდვილ მიზეზებს ერთგვარი ნათელი მოპვინა გაზეთმა „Ilustrowany Kurier Codzienny“. რომელიც წერდა: „მიამიტი უნდა იყო იფიქრო, რომ ბასკური გუნდის გამოსვლა შემოიფარგლება მხოლოდ მოედანზე თამაშით, ეს გუნდი „წითელი ესპანეთის“ წარმომადგენელია. როდესაც მაყურებელი მიესალმა სტუმრებს აპლოდისმენტით, მათ ზეადმართეს შეკრული მუშტი რაც არის კომუნისტური მისალმება“ («Красный спорт» 1937, №84, 2).

დანიშნულების შემდეგი პუნქტი საბჭოთა კავშირი იყო. საბჭოთა ფეხბურთი დიდი სიძლიერით არ გამოირჩეოდა, აქაური გუნდები ერთმანეთში და სხვა ქვეყნების „მშრომელთა გუნდებთან“ თუ თამაშობდნენ, ასევე მასზე ბევრად სუსტ თურქეთის გუნდთან და მასთან წაგებასაც ახერხებდა. ადვილი წარმოსადგენია რა რეზონანსი მოჰყვებოდა პროფესიონალი ფეხბურთელების ჩამოსვლას. სპორტული გაზეთი წერდა: დიდი მოუთმენლობით ველოდებით ბასკი ფეხბურთელების ჩამოსვლას, ჩვენ ვიხილავთ სტადიონზე „დიდი ფეხბურთის“ ნამდვილ ოსტატებს, მათგან ვისწავლით ბურთის ვირტუოზულად ფლობას («Красный спорт» 1937, №83, 1), გაზეთი აქვე დასძენდა, რომ საქმე მხოლოდ სპორტულ ინტერესში არ იყო, „საბჭოთა კავშირის მშრომელები ყურადღებით აკვირდებიან ესპანეთში განვითარებულ მოვლენებს გმირ ესპანელ ხალხთან ერთად, რომლებიც იცავენ თავისუფლებას, ისინი ხარობენ მათთან ერთად თუნდაც უმცირესი წარმატების გამო, და დარდობენ დროებითი წარუმატებლობის გამო“.

ბასკი ფეხბურთელები 15 ივნისს ჩამოვიდნენ მინსკში, 16-ში კი მოსკოვში. ატმოსფერო სსრკ-ში საფრანგეთისგან განსხვავებული იყო. ვაგზლებზე, განსაკუთრებით მოსკოვში გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. სტუმრები მიიღეს როგორც გმირები და სამართლიანადაც, ამ გუნდში იყვნენ რესპუბლიკის დამცველები რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ ფრანკოს ძალებს<sup>2</sup>. საუბრებში და სიტყვით

<sup>1</sup> სხვათაშორის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩეხოსლოვაკიური გაზეთი „Narodni listy“ ბასკეთის ეროვნულ გუნდს იხსენიებდა როგორც ბილბაოს ნაკრებს, ხოლო ბასკ ფეხბურთელებს როგორც ესპანელებს.

<sup>2</sup> გუნდის მეკარე გრეგორიო ბლასკოს, რომელიც იყო მძლავრი ბილბაოდან ასე ახასიათებდა გაზეთი «Красный спорт» „მის ძლიერ ხელებს ერთნაირად უჭირავს ავტომობილის საჭე, ფეხბურთის ბურთი და რესპუბლიკური შაშხანა“

გამოსვლისას ბასკი ფერხბურთელები გამოხატავდნენ მადლიერებას საბჭოთა დახმარების გამო. საინტერესოა, რომ ეს მადლიერება ასახვას ვერ პოულობდა ერთგვარ „პოლიტიკურ სიახლოვეში“. როცა მათ მოინახულეს რევოლუციის მუზეუმი სადაც გამოფენილი მასალები მოიცავდა რუსეთში გლეხთა პირველი მოძრაობიდან დაწყებული ესპანეთის სამოქალაქო ომით დამთავრებული მოვლენებს, გაცდნენ იმ ფაქტით, რომ ომმა ბასკეთის ქვეყანაში ვერსად ჰპოვა ასახვა. როგორც ჩანს საბჭოთა ქვეყანა არ იყო დიდად დაინტერესებული ბასკების ქვეყანაში ომის გაშუქებით, სადაც არარევოლუციური ატმოსფერო ეწინააღმდეგებოდა მათ პოლიტიკურ ინტერესებს.

17 ივნისს ბასკების პირველი ვარჯიში ჩატარდა „დინამოს“ მცირე სტადიონზე, რომელიც ღია იყო, მას ესწრებოდნენ ფეხბურთელები, მსაჯები, მწვრთნელები, ჟურნალისტები. იმავე საღამოს ბასკები „სპარტაკი“ - „დინამო“ ლენინგრადის თამაშს დაესწრნენ და მეტიც, მსაჯობდა ბასკების გუნდის მწვრთნელი პედრო ვალიანა.

ზოგადად ვარჯიშთან და ბასკების მომზადებასთან დაკავშირებით საინტერესოა ბასკი ფეხბურთელების მონაყოლი საგაზეთო კომენტატორებთან: „ბოლო პერიოდში ძირითადად ვვარჯიშობდით სროლაში ... მთელი ზამთრის განმავლობაში სულ 5-6 ჯერ მოვახერხეთ თამაში, მაშინ როდესაც ჩვენი ფეხბურთელები ფრონტის ხაზიდან ერთდღიან დასვენებაზე ჩამოდიოდნენ. ჩვენი მატჩებიდან შემოსული თანხები მიდიოდა თავდაცვის ფონდში, ყველა ჩვენი ფეხბურთელი ისევე როგორც სპორტსმენების უმრავლესობა რესპუბლიკურ არმიაში იბრძვის“ («Красный спорт» 1937, №83, 2).

21 ივნისს გაზეთი «Красный спорт» (წითელი სპორტი) წერდა, რომ ბასკების პირველი მეტოქე იქნებოდა „ლოკომოტივი“ (მწვრთნელი ჟიულ ლიმბევი), სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1. „მართალია რკინიგზელთაგან ბევრს ვერაფერს მოელოდნენ, მაგრამ თუ ანგარიში ასეთი გამანადგურებელი გამოდგებოდა არც ეს ეგონა არავის“ (გაგუა, 1990, 58). ვალიანა ვერ მალავდა გაცემას, რომ ამ კლასის ოსტატები თამაშობდნენ არქაული წესით „ხუთ ხაზზე“, მაშინ როცა ყველა საერთაშორისო დონის კლუბები დიდი ხანია გადავიდნენ „დუბლზე“<sup>3</sup>. „ასეთ ვითარებაში მიუხედავად მათდამი დიდი პატივისცემისა არ აქვთ შანსი წინააღმდეგობა გაუწიონ კლუბებს რომლებიც თანამედროვე ტექნიკით თამაშობენ“.

თუ ლოკომოტივს საერთაშორისო თამაშების გამოცდილება აკლდა, ამ მხრივ მოსკოვის „დინამოს“ უკეთ ჰქონდა საქმე. 27 ივნისს დანიშნული თამაში მოსკოვის „დინამოსთან“ ბასკების გამარჯვებით დასრულდა, ანგარიშით 2:1. „დინამოს“ ფეხბურთელი მიხეილ იაკუშინი აღიარებდა, რომ მატჩის ჩავარდნა მისი ბრალი იყო.

30 ივნისს ლენინგრადში გამართული თამაში დასრულდა ფრედ (2:2). აქ გამართულ მატჩთან დაკავშირებით მწვრთნელი პედრო ვალიანა ამბობდა: „ლენინგრადის გუნდი რომელთანაც ჩვენ ვითამაშეთ ფრე, უფრო სუსტია ვიდრე მოსკოვის „დინამო“ და „ლოკომოტივი“. ფრეს მე ვხსნი ექსპერიმენტით რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არ იყო რამდენიმე მთავარი მოთამაშე“ («Красный спорт» 1937, №94, 4).

მოსკოვში ორი მოგების შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობა მოუსვენრობას ვერ მალავდა. მას სურდა რევანში. „დინამოსთან“ მეორე თამაში დასრულდა ანგარიშით 7:4, ეს უკვე სტალინის თავმოყვარეობას ლახავდა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვის „დინამო“ იყო შინსახკომის გუნდი. მეორე მატჩის

<sup>3</sup> „დუბლზე“ მოედანზე ასე გამოიყურებოდა: სამი მცველი, ორი ნახევარმცველი, უკან დახეული შუამარბები და წინ წაწეული ცენტრალური თავდამსხმელი და გარემარბები.

დროს „დინამო“ გაძლიერებული გახლდათ, ლენინგრადიდან მოიწვიეს დემენტიევი და ფედოროვი, თბილისიდან დოროხოვი და შავგულიძე. ბასკთა დელეგაციის წარმომადგენელი ირესაბალი სამართლიანად აღნიშნავდა, „რომ ისინი ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ნაკრებს ეთამაშებოდნენ“ (ჯიშკარიანი, 2021, 74).

ამჯერად ბასკებს დაუპირისპირეს „სპარტაკი“ რომელიც რეჟიმს მაინცდამაინც არ მოსდიოდა თვალში (Requeijo, 2018).

სპარტაკის შემადგენლობა მაქსიმალურად გააძლიერეს და 8 ივლისს გაიმართა თამაში, რომელიც დაიწყო 8 წუთი დაგვიანებით, (საბჭოთა ფეხბურთელების საცობში მოხვედრის გამო). მსაჯი იყო ი. კოსმაჩევი, რომელიც ამ ისტორიულ ორთაბრძოლაზე უსამართლოდ იქცეოდა. ბასკები დიდხანს ითმენდნენ, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში როცა პენალტი დაინიშნა, მათი მოთმინების ფიალა აივსო და დატოვეს მოედანი. ბოლოს ვ. მოლოტოვის ჩარევის შემდეგ ისევ გავიდნენ მოედანზე თუმცა თამაში შეყოვნდა 40 წუთი (Вартанян 1936-1957, 32) ბასკი ფეხბურთელები ხვდებოდნენ რას „მოითხოვდნენ“ მათგან, ამიტომ სუსტად ითამაშეს და წააგეს 6:2. შემდგომში პრესაში გაჩნდა ინფორმაცია კოსმაჩევის დისკვალიფიკაციის შესახებ.

13 ივლისს თამაში იყო კიევში და იქიდან ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ (მატარებლით ოთხი დღე ღამე) ჩამოვიდნენ თბილისში. ეს მატჩი თბილისის „დინამოსთვის“ პირველი საერთაშორისო შეხვედრა გახლდათ.

საქართველოს პრესა მკითხველს წინასწარ ამზადებდა ბასკ ფეხბურთელებთან შესახვედრად, აწვდიდა მოცულობით ინფორმაციას მათი მიღწევების შესახებ.

უამრავი ხალხი დახვდა ბასკებს რკინიგზის სადგურზე. გაზეთები წერდნენ, რომ ყველას უნდოდა „გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის სახელოვანი წარმომადგენლების ნახვა“. საბჭოთა კავშირში ბასკი ფეხბურთელების ვიზიტი აღიქმებოდა საერთო იდეისთვის მებრძოლი იდენტური ღირებულებების მქონე ადამიანების შეხვედრად. თავის მხრივ ბასკმა ფეხბურთელებმაც პოლიტკორექტულობა გამოიჩინეს და შესაბამისად იყვნენ მომზადებული. ეს მათ გამოსვლაში კარგად იგრძნობოდა. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე დე ლა სოტამ ბევრ სხვა ლოზუნგთან ერთად თქვა: „გაუმარჯოს საქართველოს ხალხს რომელმაც შობა ესპანეთისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარი და მასწავლებელი დიდი სტალინი“ (ჯიშკარიანი, 2021, 76). სხვათაშორის საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში ყოფნის დროს ბასკები სტალინს იშვიათად ახსენებდნენ ხოლო საქართველოში პირიქით.

საქართველოში სტუმრები განსაკუთრებული სითბოთი მიიღეს, ამის მიზეზი მხოლოდ ქართული სტუმართმოყვარეობა არ ყოფილა. დიდი როლი ითამაშა ნიკო მარის პოპულარულმა თეორიამ ბასკების და ქართველების ნათესაობის შესახებ. გაზეთებში ამას ხშირად ესმოდა ხაზი და ესპანეთის დელეგაციის მეთაურმა დე ლა სოტამაც გაიმეორა ერთ-ერთ ბანკეტზე: „როდესაც ჩვენ ვტკბებით შეუდარებელი ცეკვებით, ჩვენი სულიერი აღელვებით ვგრძნობდით ნათესაობას, რომელიც არსებობს ჩვენ ხალხებს შორის, ზოგიერთი თქვენი სიმღერა ისეთი მშობლიური იყო თითქოს ჩვენ სამშობლოში იყოს შესრულებული, ჩვენი მთების და ზღვის ხმის ფონზე მოგესალმებით თქვენ და სრულიად ქართველ ერს. მე არ მინდა თქვენ მეგობრები გიწოდოთ, მე გიწოდებთ თქვენ ძმებს“ (ჯიშკარიანი, 2021, 77).

სხვათაშორის სიმღერებთან დაკავშირებით, ბორის პაიჭაძე იხსენებდა: „მაინც როგორ ჩამოჰგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს, მახსოვს ერთ საღამოს „ინტურისტში“ ვხვდებოდით ბასკ ფეხბურთელებს. ჩვენ „სულიკო“ წამოვიწყეთ, თითქმის მაშინვე აგვეყვინენ, თბილისში ყოფნის დღეებში მუდამ „სულიკოს“ მღეროდნენ. მაშინდელ

შეხვედრაზე ბასკური იმღერეს და წარმოიდგინეთ სრულებით არ გაგვძნელება ხმების შეწყობა. არა, არა, ნამდვილად ძალიან ჩამოგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს“ (მახარაძე, 1984, 93).

თბილისის დინამოს სტადიონს რომელიც ლ. ბერიას სახელს ატარებდა 32 ათასამდე მაყურებლის დატევა შეეძლო, ხოლო ბილეთზე განაცხადი ათჯერ მეტმა გააკეთა. თვითმხილველთა მოგონებებით ბილეთში არა მარტო ფულს არამედ ძვირფას ნივთებსაც იძლეოდნენ. სტადიონის გარშემო გარდა მაყურებლებისა იმდენი ცნობისმოყვარე ირეოდა წესრიგის დასაცავად მთავრობას საცხენოსნო მილიციის მობილიზებამაც მოუწია. ბასკების მოლოდინში თბილისელები უამრავ ლეგენდებს ყვებოდნენ, რომ ბასკები თავით ფეხებზე არანაკლებად თამაშობენ, რომ ლანგარას ჰქონდა სასიკვდილო დარტყმა და ა.შ.

ქართველების თამაშს რომლებიც სსრკ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ადარებდნენ ურუგვაის სტილს, მატჩი ბასკებთან მათ წააგეს ანგარიშით 2:0. პირველი გოლი გაიტანა ისიდორო ლანგარამ, ხოლო მეორე ავტოგოლით მიხეილ მინაევმა.

თბილისმა ითხოვა ცენტრალური ხელისუფლებისგან მეორე თამაშის უფლება, თანხმობა მიიღეს და თამაში დაინიშნა 30 ივლისს. უნდა ეთამაშა საქართველოს ნაკრებს, რომელიც რეალურად იგივე თბილისის „დინამო“ იყო რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებული. თამაშს უკვე საქართველოს ხელისუფლებისთვისაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მატჩში მონაწილე ფეხბურთელთა შემადგენლობა არა მთავარმა მწვრთნელმა, არამედ რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტმა დაამტკიცა, მწვრთნელი სოკოლოვი კი მხოლოდ დაეთანხმა (ჯიშკარიანი, 2021, 80).

მატჩამდე სტუმრებს აცნობდნენ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს, ორგანიზებული იყო შეხვედრები ინტელიგენციასთან, მუშებთან, პრესა იტყობინებოდა, რომ კონცერტზე ბასკებს განსაკუთრებით მოსწონებიათ ქართველი გოგონები ჩონგურით. მათ დაათვალირებენეს მცხეთა და ა.შ. ორი ტრავმირებული თავდასხმელი (ლუის რიგეირო და ხოსე ირარაგარი) გააგზავნეს რამდენიმე დღით ბორჯომში. (ჯიშკარიანი, 2021, 80).

როგორც ქართული სპორტული პრესა წერდა თბილისში ბასკი ფეხბურთელები ბევრს სეირნობდნენ ქუჩაში და ყველგან მათ ხვდებოდნენ თბილად და მეგობრულად ის ხალხიც კი რომლებიც ფეხბურთისგან შორს იყვნენ. მაგალითად საქართველოს სახალხო არტისტ გიორგი დარისპანაშვილს მრავალრიცხოვან მაყურებლებს შორის იოსებ გრიშაშვილისთვის მოუკრავს თვალი. „ვიცოდი სოსოს ფეხბურთი დიდად არ ეპიტნავენოდა და ცოტა არ იყოს გამიკვირდა კიდეც სტადიონზე მისი მოსვლა“ - იხსენებდა დარისპანაშვილი, „ჩემო გიორგი მე ფეხბურთის არაფერი გამეგება, ბასკების სანახავად ვარ მოსული, მსგავსი შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლება“ - უთქვამს პოეტს (გაგუა, 1990, 55).

მეორე თამაშიც ბასკების გამარჯვებით დასრულდა (3:1) ორი გოლი გაიტანა ლანგარამ ერთ ემილიო ალონსომ. ქართული მხრიდან გაიტანა ბორის პაიჭაძემ.

მეორე მატჩის დროს საინტერესო ინციდენტს ჰქონდა ადგილი რამაც პრესის წარმომადგენლები დიდად აღაშფოთა. გაზეთი «Красный спорт» (წითელი სპორტი) იტყობინებოდა შემდეგ „აღმაშფოთებელ თავნებობას ჰქონდა ადგილი „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაციის მხრიდან, ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების 15 კორესპონდენტი გააძევეს თავიანთი ლოჟიდან და გადასხეს ორკესტრის წინ სარბენ ბილიკზე, არანაირმა განცხადებამ არ უშველა, მხოლოდ მაყურებელთა პროტესტმა რომლებსაც ჟურნალისტები ეფარებოდნენ გამოიღო შედეგი და კორესპონდენტები

სხვა ლოჟაში გადაიყვანეს, ძველ ლოჟაში ადგილები თავისუფალი იყო, პრესის წარმომდგენლების მიმართ ამგვარ უტიფრულ დამოკიდებულებაში დამნაშავე პირები უნდა იქნეს დასჯილი“ («Красный спорт» 1937, №105, 7).

საქართველოსთან თამაშის შემდეგ მინსკში ითამაშეს, იქიდან დაბრუნდნენ მოსკოვში სადაც უნდა მომხდარიყო საბოლოო ფინანსური ანგარიშგება. 7 აგვისტოს ვალიანო მიმართავდა განცხადებით „სპორტისა და ფიზკულტურის“ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ გადაეცათ თანხა 10 ათასი ფრანკის ოდენობით, რომელიც საჭირო იყო მგზავრობის და საფრანგეთში წასვლის ხარჯებისთვის. წერილში ვალიანამ სამი შეცდომა დაუშვა: ადგილი შეუცვალა სიტყვებს - სპორტი და ფიზკულტურა, დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა გამოიყენა სიტყვა ბატონო ამხანაგის ნაცვლად და საერთოდაც ამ ორგანოს ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა ქალბატონი (ი. ხარჩენკო მოხსნეს და დროებით ე. კნოპოვა ხელმძღვანელობდა) ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ვალიანამ მიმართა არასწორ მისამართზე. სსრკში ჩატარებული მატჩებისთვის განკუთვნილი 100 000 ფრანგული ფრანკიდან ვალიანას გამოუყვეს 3 ათასი (ნათხოვი 10 ათასის ნაცვლად) დანარჩენი თანხა მოგვიანებით გაიცა და მასთან ერთად ნებართვა სსრკ-დან გაეტანათ 10 ათასი ნაღდი ფული და 87 ათასი ფრანკის ჩეკი. (Вартамян 1936-1957, 34). შემდეგ ბასკები სკანდინავიას ეწვივნენ, იქიდან კი ლათინურ ამერიკაში გაგარბელდა მოგზაურობა.

პროპაგანდისტული თვალსაზრისით ბასკების ეს ტურნე მნიშვნელოვანი იყო და მის შედეგებზე საუბრისას ისევ ბორის პაიჭაძეს დავესესხებით: „მაშინ პირველად დავრწმუნდი თუ რა დიდი ადგილი უკავია ფეხბურთს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არა მგონია ქვეყანაზე იყოს აგიტაციის სხვა რაიმე ფორმა რომელსაც ამდენი კეთილმოსურნე და მხარდამჭერი მოეპოვებინა რესპუბლიკური ესპანეთისთვის როგორც ეს ფეხბურთელთა ამ ტურნემ გააკეთა“.

#### ლიტერატურა:

1. გაგუა ო. (1990), ბორის პაიჭაძე, თბილისი.
2. მახარაძე გ. (1984), მოედანზე არიან ბასკი ვირტუოზები, თბილისი.
3. ჯიშკარიანი დ. (2021), ბუცები და ტყავის ჩექმა. თბილისის „დინამო“ ჩეკისტების კლუბიდან ეროვნულ სიმბოლომდე (1925-1953), თბილისი.
4. «Красный спорт» 1937, №83
5. «Красный спорт» 1937, №84
6. «Красный спорт» 1937, №85
7. «Красный спорт» 1937, №86
8. «Красный спорт» 1937, №87
9. «Красный спорт» 1937, №89
10. «Красный спорт» 1937, №82
11. «Красный спорт» 1937, №94
12. «Красный спорт» 1937, №105
13. Вартамян Аксель, Летопись Советского футбола 1936-57 гг.
14. Самая скандальная победа «Спартака» 80 лет назад Москву посетила знаменитая футбольная команда басков <https://moslenta.ru/istoriya/futbolibaski.htm>
15. Etxepare E. F. (2011), Equipo Euskadi: Del mito político a la realidad histórica (1937-1939). Historia Contemporanea, November: 791-816.
16. Raffaelli V. P. (2017), Otro espacio de lucha. El fútbol en España durante la II República y la Guerra Civil. XVI Jornadas Interescuelas/Departamentos de Historia. Departamento de Historia. Facultad Humanidades. Universidad Nacional de Mar del Plata, Mar del Plata, <https://cdsa.academica.org/000-019/761>
17. Requeijo Alejandro, *A Stalin nunca le gustó el fútbol y la culpa es de unos de Bilbao*,

<https://www.revistagq.com/noticias/deporte/articulos/seleccion-vasca-victoria-union-sovietica-1937-stalin/31771>

18. Zákřavský Jiří, (2016), Basque National Football Team as a Political Tool. One Hundred Years Old Project and Its Changes (1915–2014). *Sport Science Review*, vol. XXV, no. 1-2: 5-27

### **Football as a tool of propaganda during the Spanish Civil War**

**Gogenia Zaal**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

#### **Abstract**

Sport, and in particular football, often became a tool of political struggle. The creation of the Basque football team and its propaganda tour in Europe, the USSR and Latin America is one of the interesting pages of the history of Spanish Civil War. In March 1937, Franco's forces shifted the brunt of the war to the north, their first target was the Basque Country. The heads of the Spanish Republic attached less importance to the northern front, therefore there was a catastrophic shortage of weapons, ammunition and food. The head of the Basque government, former football player José Antonio Aguirre, actively used this sport abroad for propaganda and to raise funds

The tour started from neighboring France. The Basque victory was significant in sporting terms, but in political terms it was overshadowed by the bombing of Guernica. The speech given at the banquet by the head of the delegation, Manuel de la Sota, is interesting. For some researchers it was a public acknowledgment of Basque nationalism. The propaganda task of the team was clearly revealed in Marseille.

The first opponent of the Basques in Moscow was Lokomotiv, then Moscow Dinamo, the game with them ended with the victory of the Basques. After two wins in Moscow, the Soviet leadership could not hide its concern. The leadership wanted to take revenge. But, the second game against Dinamo ended 7:4. This hurt Stalin's self-respect, considering that Dinamo Moscow was a team of NKVD.

In Georgia, the Basques were received with special warmth, the reason for this was not only Georgian hospitality, Nikolai Marr's popular theory about the kinship of the Basques and Georgians played a big role. Both games held in Tbilisi, the first against "Dinamo" and the second against the Georgian national team, ended with the victory of Basques.

From a propaganda point of view, this tour of the Basques was important; it had, first of all, a political-agitational and then a sports load, and was also sufficiently accompanied by a nationalist coloration.

**Key Words:** *Propaganda, football, Spanish civil war, Basque nationalism, USSR*

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში  
1545-1560 წლებში

გუმაშვილი ზაურ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.20>

**აბსტრაქტი.** ჩრდილო კავკასიის ხალხები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ მოსკოვის სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს. ამასთან, 1548 წელს იფეთქა ახალმა ომმა ირანსა და თურქეთს შორის. ყირიმის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიგზავნა ბრძოლის წინა ხაზზე. ამან საშუალება მისცა მოსკოვს 1552 წელს ხელში ჩაეგდო ყაზანის სახანო, რის შემდეგაც გაიზარდა მოსკოვის როლი კავკასიის საკითხებში.

უკვე რამდენიმე წელიწადში რუსეთმა დაიპყრო ასტრახანის სახანო (1556 წ.), რომელსაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ყირიმის სახანოს სხვა საკითხებით დაკავებამ, კერძოდ კი ადიღეებსა და ყაზარდოელებში მღელვარების დაწყებამ.

1555 წელს მოსკოვში ჩავიდა ადიღურ-ყაზარდოული ელჩობა 150 ადამიანის შემადგენლობით. დელეგაციამ ითხოვა დახმარება თურქეთისა და მისი ვასალის - ყირიმის ხანის თავდასხმებისაგან. აშკარა იყო, რომ ჩრდილო კავკასიის მმართველთა გარკვეულმა მცირე ჯგუფმა საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით გეზი რუსეთისკენ აიღო.

**საკვანძო სიტყვები:** ჩრდილო კავკასია, მოსკოვი, ადიღე-ყაზარდოელები, ყირიმის სახანო, ელჩობა.

ჯერ კიდევ 1545 წელს დაიწყო ბრძოლა მოსკოვის სახელმწიფოსა და ყაზანის სახანოს შორის, რომელსაც მხარს უჭერდნენ ყუმიყეთის თავადები. ამ უკანასკნელს აქტიურად უჭერდა მხარს ყირიმის სახანო. თუმცა, მას შემდეგ, რაც 1548 წელს იფეთქა ირანსა და თურქეთს შორის ახალმა ომმა, ყირიმის სახანოს სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი გაგზავნილ იქნა აზიის საბრძოლო პოლიგონზე. ამან შესაძლებლობა მისცა მოსკოვს 1552 წელს ხელში ჩაეგდო ყაზანი. ეს ყველაფერი გახდა იმის საფუძველი, რომ გაიზარდა მოსკოვის როლი კავკასიის საკითხებში. შემთხვევითი არ იყო, რომ 1552 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ჩავიდა ჩრდილო კავკასიის საელჩო: „... ჩამოვიდნენ მის მაღალაღმატებულება მეფესთან, დიდი თავადები ჩერკასკიდან, თავადი მააშუკი და თავადი ივანე ეზბოზლუკოვი, თავადი ტანაშუკი, იმისათვის, რომ ისინი მეფემ შეიფაროს... ხოლო მათი მიწები ყირიმის მეფისგან დაიცვას.“<sup>1</sup> (გვ. 116, 214.) აქედან გასაგები ხდება, რომ მოსკოვში ჩამოსული თავადები ეძებენ გამოსავალს, რათა გათავისუფლდნენ ყირიმის ხანის გავლენისაგან. სხვათაშორის, დასახელებული თავადების მოსკოვში ყოფნისას ყირიმის ცხენოსანი ჯარი კიდევ ერთხელ თავს დაესხა მათ მმართველობას.

სულ მალე რუსეთმა დაიპყრო ასტრახანის სახანო (1556 წ.), რომელსაც გარკვეული დოზით ხელი შეუწყო ყირიმის სხვა საკითხებით დაკავებამ, კერძოდ,

მდეღვარებამ ადიღეებსა და ყაზარდოელებში. 1555 წელს მოსკოვში ჩადის ახალი ადიღურ-ყაზარდოული ელჩობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 150 ადამიანი. დელეგაციამ კვლავ ითხოვა დახმარება თურქეთის სულთანისა და მისი ვასალის - ყირიმის ხანის თავდასხმებისაგან. ერთი სიტყვით, დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, რომ ჩრდილო კავკასიის მმართველთა გარკვეულმა დაჯგუფებამ საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით გეზი აიღო რუსეთისაკენ, რადგანაც მასში ხედავდა სამხედრო და პოლიტიკურ უპირატესობას ვიდრე უფრო ახლობელ და მეტად საშიში მოწინააღმდეგე თურქეთი და ყირიმი იყო. ცხადია ამას ზოგიერთი ჩრდილო კავკასიელი მმართველები აკეთებდნენ გამოსავლის ძიებაში, თუმცა მათ ჯერჯერობით არ იცოდნენ, რომ კეთილი დამპყრობელი არ არსებობს, ვინც არ უნდა იყოს ის. დამპყრობელი ყოველთვის მონობას და მორჩილებას მოითხოვს. (ხაზგასმა ჩემია - ზ.გ.) წინააღმდეგ შემთხვევაში შენი ინტერესებისათვის არაფერს არ გააკეთებს. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა რუსეთის მეფის პასუხი კავკასიელი მმართველებისადმი. თავის მხრივ რუსეთმა გაავრცელა თავისი მმართველობა ნაწილ ყაზარდოელ თავადებზე, რითაც მოსკოვი (რომელსაც ჰქონდა უდიდესი პრობლემები ყაზანისა და ასტრახანის შემოერთების გამო), ცდილობდა ჩრდილო კავკასიაში შეექმნა ძალა, რომელიც მიიქცევდა ყირიმისა და თურქეთის ყურადღებას. ყირიმისა, რომელიც გამოდიოდა თათართა ვოლგისპირეთის სახანოების მოკავშირედ. შემთხვევითი არ იყო, ივანე IV მრისხანის მიერ წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც მან გააჟღერა ყაზარდოს ნაწილის მათი მფარველობის ქვეშ მიღებისას, როდესაც მათ ასეთი მოთხოვნა წარუდგინა: ისინი ვალდებულები იყვნენ ყოველწლიურად გაეგზავნათ ხარკის სახით ათასი ბედაური და გამოეყვანათ სამხედრო სამსახურში 20000 მეზრძოლი.<sup>2</sup> (გვ. 480). კოორდინირებული მოქმედება რუსული და უფრო მეტად ჩერქეზულ-ყაზარდოელი თავადებისა 1555-1557 წლებში და უმთავრესად საშინელმა გვალვებმა, რომელიც თავს დაატყდა 1558 წელს ყირიმსა და ნოღაელთა ურდოს, რომელსაც მოჰყვა საშინელი შიმშილი და ავადმყოფობა, რომელმაც წარიტანა მხოლოდ ნოღაელებიდან არა ნაკლებ 100000 ადამიანის სიცოცხლე - მისცა შესაძლებლობა რუსეთს გაემყარებინა სამხრეთ ყაზანი და ასტრახანი. რუსეთის მთავრობა, რომელიც დაინტერესებული იყო გაემყარებინა თავისი სამხრეთ საზღვრები, დიდი ინტერესით მიდიოდა ჩრდილო კავკასიის მმართველებთან დაახლოებაზე. ჩრდილო კავკასია მას აინტერესებდა იმიტომაც, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე გადიოდა რიგი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის და სავაჭრო გზები, რომლებსაც ჰქონდა ძალზე დიდი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა, მთელი კასპიისპირეთის სანაპიროს გაყოლებით მიემართებოდა სამხრეთის სახმელეთო უძველესი ვოლგის-ასტრახანის-შირვანის გზა, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთ ევროპას და პირველ რიგში რუსულ მიწებს ირანთან და ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან ახლო და შუა აღმოსავლეთისა. კასპიის ზღვის გაყოლებით გადიოდა ვოლგა-კასპიისპირეთის გზაც.

ამ გზასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული მეორე ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთთან აერთიანებდა კავკასიის კასპიის სანაპიროსა და აზოვ-შავ ზღვას. ეს იყო უშუალოდ ჩრდილო კავკასიური გზა, რომელიც გაწელილი იყო თემრიუკ-ელხოტოვო-ტარკი-დერბენტის გაყოლებით. ამ გზის ბოლო ნაწილი უერთდებოდა დაღესტან-შირვანის ვოლგა-ასტრახანის გზის მონაკვეთს.

XVI-XVII საუკუნეებში, ირან-თურქეთის საომარი ურთიერთობისას ოსმალეთისა და ყირიმის ჯარები არაერთხელ მოძრაობდნენ ამ გზაზე, ამიტომაც იმ

პერიოდის ისტორიულ წყაროებში ეს გზა არც თუ იშვიათად მოიხსენიება „ოსმალეთის გზად“.

ცენტრალური კავკასიის სექტორში ჩრდილო კავკასიის გზიდან იტოტებოდა სამი გზა, რომელიც ცენტრალურ ამიერკავკასიაში მიემართებოდა. მათგან ერთერთი თერგის ხეობით მიდიოდა ჩრდილო ოსეთის გავლით, ქართლის სამეფოში. მეორე, ინგუშეთის მიწაზე, მდ. ასას ხეობით გადიოდა ქართლსა და კახეთში, ხოლო მესამე გზა მდ. არლუნის ხეობის გავლით (ჩეჩნეთის მიწის გავლით) და თუშეთის ტერიტორიაზე გადიოდა, იქიდან კი პანკისის ხეობით კახეთს უერთდებოდა.

კავკასიის გარშემო საერთაშორისო ვითარების გამწვავების შემთხვევაში ამ გზების და მაგისტრალების მნიშვნელობა, რომლებიც ჩრდილო კავკასიაზე გადიოდა, გამუდმებით იზრდებოდა და დიდ დატვირთვას იძენდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით რუსეთის სახელმწიფო ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ცდილობს, რომ თავისი კონტროლი დააწესოს ჩრდილო კავკასიის სავაჭრო გზებზე, რასაც იგი ნაწილობრივ აღწევს მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის სამხედრო ციხე-სიმაგრეების სისტემამ აღმოსავლეთ კავკასიაში (პირველ რიგში ტერკის პატარა ქალაქი მდ. თერგის პირზე) ასევე, თერგი-გრებენის კაზაკთან აქტიურმა პოზიციამ. ცხადია ეს ყველაფერი მიმდინარეობდა ოსმალეთის იმპერიის გეგმებისა და მიზნების საწინააღმდეგოდ, რომელიც აქტიურად ჩაება კავკასიის დაუფლებისათვის შეიარაღებულ ბრძოლაში. თუ კი ჩრდილო კავკასიის ხალხებმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს თავიანთი დამოუკიდებლობა სხვადასხვა ჯურის დამცრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ჰუნების, სკვითების, სარმატების, თურქების, ხაზარების, არაბების, ყივჩაღების, მონღოლების და ა.შ.) ახლა გამოჩნდნენ იმპერიები, ირანის, თურქეთისა და რუსეთის სახით, რომლებიც ყველას და ყველაფერს შთანთქავდნენ თავიანთი იმპერიული ხასიათის გამო და განსახილველი პერიოდისათვის უკვე ისინი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, როგორც დაუძინებელი მტრები, გამმაგებული მტაცებლები, რომელთაც კავკასია, ამიერიც და იმიერიც თავისთვის უნდოდათ, როგორც მსუყე ლუკმა და ამ მსხვერპლისათვის ისინი მზად იყვნენ შებმოდნენ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ამ ბრძოლას საუკუნეები დასჭირდა იმისათვის, რომ გარკვეულიყო თუ ვისი გახდებოდა ეს ძვირფასი ნადავლი. მაშ ასე, იწყება ბრძოლა კავკასიისათვის (და არა მარტო კავკასიისათვის), რომელშიც უდიდესი იმპერიები ერთმანეთის წინააღმდეგ დადგნენ (ხაზგასმა ჩემი - ზ.გ.). ვითარება იმითაც გართულდა, რომ არანაკლებ აგრესიული შაჰის ირანი ცდილობს თავის ხელებში მოაქციოს ამიერკავკასია და დაღესტანი, გავიდეს ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალზე და დაამყაროს თავისი განუყოფელი მმართველობა კასპიის ზღვაზე, დატოვოს თურქეთის სასულთნო და ყირიმის სახანო საერთაშორისო კავშირების განხორციელების გარეშე ბუხარის სახანოსთან და სხვა შუააზიურ სახელმწიფოებთან.

განსახილველი პერიოდისათვის რუსეთისათვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ ოსმალეთის იმპერია და ყირიმის სახანო. რაც შეეხება ირანს, მისი ინტერესები მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ზემოაღნიშნული სახელმწიფოების ინტერესებს, ამიტომაც სეფიანები, გარკვეული დროის განმავლობაში, გარკვეულ ეტაპზე ობიექტურად მოკავშირეებიც კი ხდებოდნენ რუსეთის სახელმწიფოსი.

ამ უკიდურესად რთულ ვითარებაში მისი ეროვნული და დამპყრობლური ინტერესები რუსეთს იძულებულს ხდიდა აქტიური გაეხადა თავისი პოლიტიკა სამხრეთით. საჭირო იყო მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. უპირველესად კი სამხრეთი და აღმოსავლეთის საზღვრების გამაგრება, ყირიმის ხანისა და

თურქეთისგან თავის დასაცავად. კიდევ იმისთვისაც, რომ ვოლგის გზით კასპიის ზღვაზე გასვლა გარანტირებული ჰქონოდათ, განემტკიცებინათ პოლიტიკური კავშირები ჩრდილო კავკასიის ფეოდალურ მმართველებთან, რომლებიც თურქებისა და სპარსელებისაგან სხვადასხვა მოთხოვნებითა და გადასახადებით გაწამებულები იყვნენ და რუსეთის სახით „კეთილი მეგობარი“ ეგულებოდათ. ამ ამოცანების რეალიზაციისათვის რუსეთმა გაააქტიურა თავისი პოლიტიკა ვოლგის აუზსა და ჩრდილო კავკასიაში. ამასთანავე, ამ მიზნების განხორციელების საქმეში რუსეთს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რეგიონში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა და უპირველესად კი მრავალწლიანი საომარი ურთიერთობა შაჰის ირანსა და თურქეთის სულთანს შორის.

ვოლგის გაყოლებასა და კასპიის სანაპიროზე გასვლით რუსეთმა თავის კონტროლის ქვეშ დააყენა არა მარტო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, არამედ მიიღო საკმაოდ ხელსაყრელი პლაცდარმი, იმისათვის, რომ სამომავლოდ წინ წაიწიოს კავკასიის მიმართულებით. რუსეთი იმ პერიოდისათვის აღმოჩნდა უშუალოდ ჩართული რეგიონის საქმეებში, რომლებიც მის ახალ საზღვრებთან მიმდებარედ იყვნენ განლაგებულნი. ადგილობრივი მმართველები, რომლებიც გამუდმებით დაკავებული იყვნენ ურთიერთ ქიშპობითა და დაპყრობებით, მაშინვე შეეცადნენ ესარგებლათ ამით. დაწყებული 1556 წლიდან ასტრახანში ხშირად ჩადიან სხვადასხვა მმართველთა ელჩები ითხოვნი, სამხედრო დახმარების შესახებ. ასე, 1557 წელს ყაზარდოელი თავადები ითხოვენ დახმარებას ტარკის შამხალის წინააღმდეგ, ხოლო ის, თავის მხრივ, ითხოვს დაიცვან იგი ყაზარდოელი თავადებისგან. 1559 წელს ერთერთი ტიუმენის სათავადო (ტიუმენის სათავადო განლაგებული იყო თერგის ქვედა წელზე) ითხოვს ჯარს, რათა წაართვას სათავადო თავის ბიძას.<sup>3</sup> (გვ. 20).

ცხადია, უკვე მაშინ (XVI საუკუნის შუაში) რუსეთმა შეიძინა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები ჩრდილო კავკასიაში. ამ თვალსაზრისით საკმარისი არის მივანიშნოთ, რომ არა მარტო ტიუმენის სათავადო, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ბევრი მფლობელი აწარმოებდა ასტრახანთან ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობებს, რომელიც არ შეწყვეტილა ასტრახანის რუსეთის მმართველობის ქვეშ გადასვლის შემდგომაც. მაგრამ რუსეთისათვის უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა გეოპოლიტიკურ საკითხებს. ჩრდილო კავკასია თანდათანობით გადაიქცა ბრძოლის არენად დასაწყისისთვის ყირიმის სახანოსთან, შემდეგ კი თურქეთთან. რუსეთის უფრო საიმედო მოკავშირეები ხდებიან ყაზარდო-ადიღეთა თავადები, რომლებიც თავის მხრივ, გათვლას აკეთებდნენ რუსეთის დახმარებით დაეკავებინათ გაბატონებული მდგომარეობა არა მარტო ჩერქეზულ სათავადოებში, არამედ მთლიანად ჩრდილო კავკასიაში.

1557 წელს მოსკოვმა მიიღო გადაწყვეტილება ყაზარდოელი თავადების თერმიუკ იდაროვისა და ტაზრიუტის თავისი მფარველობის ქვეშ მიღების თაობაზე. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ნაბიჯი სულაც არ ნიშნავდა, რომ ყაზარდოს სხვა მმართველებიც თვლიდნენ თავს რაიმე კავშირში ამ აქტთან. თვით ის თავადები, რომელთაც რუსეთის მფარველობა მიიღეს, სულაც არ ითხოვდნენ რუსეთისაგან გამოეგზავნათ მეფის წარმომადგენელი, ან რუსეთის ადმინისტრაცია. მათ პოლიტიკურ გათვლებში შედიოდა მიეღოთ შესაძლო მაქსიმალური სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა, იმისათვის, რომ განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები ყაზარდოელ თავადთა შორის. მდგომარეობა შეიცვალა რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც გამწვავებულმა ურთიერთ ქიშპობამ და ბრძოლამ ერთმანეთს შორის, პრორუსული ორიენტაციის მქონე თავადები ურთულეს მდგომარეობაში ჩააყენა.

ისინი მიმართავენ თხოვნით რუსეთს, რათა გამოგზავნონ ჯარი, თანახმანი არიან ვოევოდის გამოგზავნაზეც და ქრისტიანობის მიღებაზეც. რუსეთის მხრიდან ამ მიმართვაზე პასუხს წარმოადგენდა პირველი რუსული სამხედრო ექსპედიციის გამოგზავნა ჩრდილო კავკასიაში, რომელიც შედგა 1560 წელს.

ვოევოდა ივანე ჩერემისინოვის წინაშე იდგა ამოცანა ტარკის შამხალისა და ტიუმენის სათავადოს სამხედრო განადგურების, ყაზარდოს შემოერთებისა და მისი შემდგომი დანაწევრებისა. იგი გზას გაუდგა თავის დაქვემდებარებაში მყოფი მეთოფეებით, კაზაკებითა და ქ. ასტრახანში მობილიზებული მოსახლეობით. ვინაიდან ვოევოდა ჩერემისინოვის რაზმმა მთავარი ამოცანა (მართალია, მან გარკვეული არეულობა შეიტანა) ვერ შესრულდა - ვერ შეიჭრა ყაზარდოში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუსეთის პირველი სამხედრო ოპერაცია ჩრდილო კავკასიაში დასრულდა სრული კრახით.

ამასობაში, ირანსა და თურქეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებამ, ხოლო 1558 წელს დაწყებულმა ლივონიის ომმა, რომელიც გაიწვია მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, გამოიწვია ჩრდილო კავკასიის რუსეთის აქტიურობის შესამჩნევი შესუსტება. შედეგად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა კარგა ხნით ექცევა თურქეთის სულთანის და ყირიმის ხანის გავლენის სფეროებში. თუმცა, რუსეთის პოზიციები ყაზარდოში რჩებოდა საკმაოდ მყარი. უდიდესი როლი რუსეთის სამხრეთ საზღვრების დაცვის საქმეში და სამეურნეო და პოლიტიკური კავშირების ჩრდილო კავკასიის ხალხებთან შენარჩუნების თვალსაზრისით ითამაშეს რუსეთიდან გამოქვეყლმა კაზაკურმა პატარა ქალაქებმა დონსა და ჩრდილო კავკასიაში.

ჩრდილო კავკასიაში თავისი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, რუსეთის ხელმძღვანელობა ყაზარდოელი მმართველების თხოვნით იწყებს მდ. თერგზე, სადაც მას უერთდება მდ. სუნჟა, ციხე-სიმაგრის მშენებლობას მუდმივი გარნიზონითა და არტილერიით, რაც ცდახყოფდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მიზნებსა და გეგმებს ჩრდილო კავკასიასთან მიმართებაში. ამ ციხე-სიმაგრის მშენებლობის ფაქტი თურქეთმა გამოიყენა როგორც საბაზი 1569 წელს რუსეთთან ომის დასაწყებად. ომის დაწყებით სულთანს საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. მან ვერ მიაღწია ასტრახანის ხელში ჩაგდებას, თუმცა ოსმალებმა მოახერხეს მდ. თერგზე აგებული ციხე-სიმაგრის ლიკვიდაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსების პოზიციების ყაზარდოში სტაბილიზაციის საქმეში. შემდგომი პერიოდისათვის ეს ციხე-სიმაგრე მდ. თერგის სანაპიროზე არაერთხელ აღადგინეს, და ყოველ ჯერზე ის მეტად მნიშვნელოვან როლს ითამაშობდა ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური წონასწორობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ჩრდილო კავკასიის სამეფოთა საშინაო საქმეებში შეიარაღებული ჩარევა თურქეთის სახელმწიფოსი და მისი ვასალი ყირიმის ხანის, ერთის მხრივ და სეფიანების შაჰისა, მეორე მხრივ, უკიდურესად ართულებდა მდგომარეობას ჩრდილო კავკასიაში. ფაქტობრივად ეს რეგიონი დიდი ხნით გახდა სამხედრო დაპირისპირების არენად და დიპლომატიური ბრძოლისა ჰეგემონობისათვის მეზობლ სახელმწიფოებს შორის.

ადილეთა რუსეთთან დაახლოებით უკმაყოფილო ყირიმის ხანმა ჯერ კიდევ 1553-1554 წლებში მოაწყო უმოწყალო თავდასხმა ადიღეზე, რომლის თაობაზე დიდი თავმომწონეობით წერდა პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ-ავგუსტს, რომ დაბრუნდა ლაშქრობიდან პიატიგორსკის ჩერქეზეთიდან „დიდი ნადავლით“.<sup>4</sup> (გვ. 71, 72).

როდესაც ცნობილი გახდა თათართა ჩერქეზების წინააღმდეგ ახალი

ლაშქრობებისათვის მზადების შესახებ 1555 წლის მარტში, მოსკოვში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ყირიმის ულუსთა“ წინააღმდეგ გაეგზავნათ 13000-იანი რუსული ჯარი ბოიარ ი. ვ. შერემეტიევის ხელმძღვანელობით.<sup>5</sup> ამ ქმედების მიზანს წარმოადგენდა, როგორც ამის შესახებ წერდა თავადი ა. მ. კურბსკი, ყირიმის ხანის ყურადღება გადაეტანა „პიატიგორსკის ჩერქეზთა მიწაზე“ ლაშქრობისაგან, სადაც ის აპირებდა ბრძოლას „მთელი თავისი ძალებით“. <sup>6</sup>(167).

ცხადია, მოსკოვში კარგად ესმოდათ ჩრდილო კავკასიის მნიშვნელობა და კერძოდ, ყაზარდოსი, თავისი სამხრეთი საზღვრების დაცვის თვალსაზრისით და ყირიმის ხანის და ოსმალეთის იმპერიის მხრიდან მისი ხელყოფის საქმეში. ამიტომაც რუსული მთავრობა მტკიცედ ასრულებდა თავის პირობას ყირიმის სახანოსაგან ჩერქეზთა „დაცვის“ შესახებ. როდესაც 1556 წელს ყირიმის ხანი კვლავ „წავიდა... ჩერქეზებზე პიატიგორსკში“ რუსეთის ჯარები რაკვესკის ხელმძღვანელობით გამოჩნდნენ მდ. დნეპრთან ისლამ-ქერმენის სიახლოვეს და აიძულეს თათრები, უკან დაბრუნებულიყვნენ ყირიმში. რუსეთის ჯარების ამ მოქმედებამ საშუალება მისცა ჩერქეზებს 1556 წელს ტამანის ნახევარკუნძულის მხრიდან ოსმალებისაგან გაეთავისუფლებინათ ციხე-სიმაგრეები თემრიუკი და ტამანი.

1560-1561 წლებში რუსეთის ჯარებმა ყაზარდოელებთან ერთად მოაწყვეს რიგი სერიოზული სამხედრო აქციები ყირიმის ხანის წინააღმდეგ, რომელმაც დიდი მღელვარება გამოიწვია არა მარტო სულთანისა, არამედ პოლონელთა მეფისაც.

თუმცა, ვითარება ჩრდილო კავკასიაში რთულდებოდა იმიტაც, რომ ამ დროისათვის დაღესტნის შამხალსა და ყაზარდოელ მმართველებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის ჩრდილო კავკასიაში. ყაზარდოელი თავადები თავიანთ მისწრაფებაში, რომ გადაეწიათ ტერიტორიული საზღვრები, გაეფართოვებინათ თავიანთი გავლენები და დაექვემდებარებინათ საკუთარი ხელისუფლებისათვის, მეზობელი ხალხები, დაღესტნის შამხალისაგან ხვდებოდნენ საწინააღმდეგო ქმედებას, რომელსაც ყაზარდოელთა მსგავსად ასეთივე გეგმები და მისწრაფებები ჰქონდა. შამხალი ყაზარდოელ თავადებს უყურებდა, როგორც თავის ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეს მისი გეგმების განხორციელების გზაზე. მათ შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო ღრმავდებოდა სამი ჩასაფრებული დამპყრობლის (თურქეთი, ყირიმის სახანო, რუსეთი) წამქეზებლური პოლიტიკის გამო, რომელთაც არანაირად არ აძლევდათ ხელს, აქ, ჩრდილო კავკასიაში ერთი რომელიმე სამფლობელოს გაძლიერება და მის ხელში დიდი ძალაუფლების კონსოლიდაცია. რადგანაც ეს იქნებოდა ამ რეგიონში ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობა, რომელიც ჩასაფრებული მტაცებელი სახელმწიფოების გეგმაში არ ჯდებოდა, ვინაიდან მისი დამარცხება ძალზე გაუჭირდებოდათ! (ხაზგასმა ჩემია - ზ. გ.)

ამ ორ დაპირისპირებულ მმართველებს შორის რუსეთის მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე აშკარად მეტყველებს ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ ყაზარდოელებისადმი მხარდაჭერას შამხალი უყურებდა, როგორც მისთვის საწინააღმდეგო გაძლიერებას მისი მოწინააღმდეგისა, რომელსაც არ შეეძლო არ გაერთულებინა ურთიერთობები შამხალსა და რუსეთს შორის. თუმცა, საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ცვლილებების გამო გაგრძელებულმა ლივონიის ომმა XVI საუკუნის 60-იან წლებში შეიტანა გარკვეული კორექტივები რუსულ-ყირიმულ ურთიერთობაში. ამასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობამ უარი განაცხადა თავისი პოლიტიკის სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებზე გააქტიურებაზე.

რუსეთის ხელისუფლების მიერ სამხრეთით აქტიური მოქმედებების შეჩერების

შემდეგ არ დააყოვნეს და გააქტიურდნენ თურქეთიც და ყირიმიც. მათ განახორციელეს რიგი გამანადგურებელი ლაშქრობები ჩერქეზეთში.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო აგრძელებდა ტრადიციულ კავშირებს ყაზარდოსთან. ყაზარდოსთან რუსულ-ყაზარდოული ურთიერთობის გამყარებას, მდ. თერგის სანაპიროზე ციხე-სიმაგრის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უპირველესად რუსეთისათვის. ზემოაღნიშნული ციხე-სიმაგრე იყო ჩრდილო კავკასიის სიღრმისაკენ წინსვლისათვის საყრდენი პლაცდარმი და როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ამას მოჰყვა კავკასიის გამაგრებული ზოლის მშენებლობები, რომელმაც რუსეთის მიერ ჩრდილო კავკასიის კოლონიზაციის საქმეში უმთავრესი როლი ითამაშა. აქედან გამომდინარე, ყირიმის ხანს, ცხადია, განსაკუთრებულად აწუხებდა ის, რომ ეს ციხე-სიმაგრე ხელს შეუშლიდა მის გამუდმებულ თავდასხმებს ჩრდილო კავკასიის ხალხებზე. მას ისიც აწუხებდა, რომ ყაზარდოელების მსგავსად რუსეთთან კავშირს მოისურვებდნენ ჩრდილო კავკასიის სხვა სამფლობელოებიც. ხოლო რუსეთი, ლიტვასთან და პოლონეთთან ომის შემდეგ, გაიმყარებდა პოზიციებს ჩრდილო კავკასიაში და შემდგომ ყირიმის სახანოს დამორჩილებისაკენ აიღებდა გეზს. ეს არ იყო რეალობას მოკლებული შიში, რადგანაც შემდგომმა ისტორიულმა პროცესებმა ამ მიმართულებით წაიყვანა საქმე. ყირიმის ხანის ამ წარმოსახვას გარკვეულწილად ადასტურებდა პოლონეთის მეფე, რომელიც ურჩევდა ხანს განემტკიცებინა კავშირები მოსკოვის წინააღმდეგ.

1561 წელს ივანე IV იქორწინა ყაზარდოელი თავადის თემრიუკ იდაროვის ქალიშვილზე. რასაკვირველია, რომ ამ ქორწინებით თემრიუკი იმედოვნებდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ყაზარდოელ თავადებს შორის. თუმცა უკვე 1562 წელს ის იძულებული გახდა გაქცეულიყო ასტრახანში და ეთხოვა ივანე IV ჯარი. მეფის მითითებით თემრიუკს გაუგზავნეს ყაზანიდან და ასტრახანიდან მსროლელები და 500 კაზაკი, რომელთაც უნდა ეცხოვრათ და მის მორჩილებაში ყოფილიყვნენ ყველაფერში. ამ რაზმს ხელმძღვანელობას გაუწევდა გრიგორი პლუმჩევი, რომელსაც მეფემ მისცა მითითება, რომ მეთოფეები და კაზაკები იცხოვრებდნენ თემრიუკთან და ყველაფერში „მოუსმინეთ მას, ყველა მისი მოწინააღმდეგისგან დაიცავით და ომშიც წავიდნენ მის ხალხთან ერთად, როცა მას თემრიუკი თავადი ჩათვლის საჭიროდ“.<sup>7</sup> (გვ. 324).

1562 წლის დეკემბერში რუსული რაზმი ჩავიდა ყაზარდოში. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ თემრიუკმა ვოევოდა პლუმჩევთან ერთად მოაწყო ლაშქრობა მიწაზე, რომელიც მდებარეობს ყაზარდოსა და საქართველოს შორის, და ამ ლაშქრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კონტროლის დაწესება იმ რაიონებისადმი, რომლებიც განლაგებული იყო საქართველოს გადასასვლელებზე. ჩვენი აზრით, თემრიუკმა გამოიყენა რუსული რაზმი, რომელიც სიძემ, ივანე IV გამოუგზავნა, რათა დაემორჩილებინა და დაექვემდებარებინა მფლობელობა, რომელიც ადრე სხვას ეკუთვნოდა - სავარაუდოდ ყაზარდოელ თავადს -შეპშუკს. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ თავისი ვოევოდის წინაშე ივანე მრისხანემ დააყენა ამოცანა, რათა მას დაეკავებინა საქართველოსკენ გადასასვლელები.

შესაძლებელია, რომ უკვე 1563 წელს, და არა 1567 წელს აშენებული იქნა პირველი რუსული ციხე-სიმაგრე ჩრდილო კავკასიაში: „ყირიმში ჩამოსული ჩერკასიდან 1563 წლის ივლისში კულჩუკ-მურზა ეუბნებოდა ხან დევლეთ-გირეის, რომ მეფე ივანე IV გაზაფხულზე ამა წლის ჩერკასში გამოგზავნა თემრიუკთან თავადთან თავისი ვოევოდა... და ვოევოდებმა, რომლებიც თემრიუკთან ჩამოვიდნენ

ქალაქი ააშენეს (დადგეს)... და თემრიუკი ქალაქში დაჯდა...“<sup>8</sup>. მომდევნო 1564 წელს ყაზარდოელი თავადების დიდმა ჯგუფმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ თემრიუკს, გაუგზავნეს მიმართვა ყირიმის ხანს, სადაც მიუთითებდნენ იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც წარმოადგენდა რუსეთის მეფის სურვილი, განზრახვა აეშენებინა ქალაქი თემრიუკის სამფლობელოში. თავადები ხაზს უსვამდნენ, რომ ციხე-სიმაგრის მშენებლობის შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე - ეს რეგიონი შეიძლება გადავიდეს რუსეთის კონტროლქვეშ.<sup>9</sup> (გვ. 144). ადგილი, სადაც მოხდა პირველი რუსული ციხე-სიმაგრის მშენებლობა ჩრდილო კავკასიაში, უცნობია. ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა მოსაზრებები საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

რუსული ჯარების თუნდაც მცირე ხნით ჩრდილო კავკასიაში გამოჩენამ მეტად ააღელვა არა მარტო ადგილობრივი ფეოდალი მმართველები, ასევე ყირიმის ხანი და თურქეთის ხელისუფლება. ჯერ კიდევ 1563 წელს თურქეთის სულთანს მოსკოვისაგან დაცვის თხოვნით მიმართეს არა მარტო ვოლგის თათრებმა, ასევე ჩერქეზთა თავადებმა, ტიუმენის სათავადოს მმართველმა და ტარკის შამხალმა. სხვათაშორის, აქამდე ერთი წლის წინ 1562 წელს შამხალი, ასტრახანის ვოევოდის მეშვეობით აცნობებდა მოსკოვს თავისი სიყვარულის თაობაზე რუსეთის მეფისადმი.<sup>10</sup> (გვ. 68-69).

1563 წლის ოქტომბერში გრიგორი პლიუმჩეევის რაზმი დაბრუნდა მოსკოვში. ხოლო უკვე ზაფხულში 1564 წელს, მოსკოვში ცნობილი გახდა, რომ მისი მოკავშირე თავადი თემრიუკ იდაროვი იმყოფებოდა ძალზე რთულ მდგომარეობაში. რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ იგივე რუსული რაზმი კვლავ ჩასულიყო ჩრდილო კავკასიაში, რომელიც მოხდა 1566 წელს. თავად პშეპაშუკის მხარეზე მონაწილეობას იღებდა ტარკის შამხალი ბუდაი, რომელმაც ჩამოიყვანა ჯარები დაღესტანში. ამ შეჯახებისას ანტირუსული მოკავშირეები დამარცხდნენ. ამასთანავე, მოკლულთა შორის აღმოჩნდა თვით შამხალიც. მიუხედავად ამისა თემრიუკის მდგომარეობა ამის გამო არ გაუმჯობესებულა. იმავე 1566 წელს დეკემბერში მისი ცოლისძმა ჩავიდა მოსკოვში თხოვნით „...რომ მდ. თერგის სანაპიროზე ქალაქის ჩადგმა, მდ. თერგზე სუიუნჩი შენაკადთან ჩაიდგას“.<sup>11</sup> (გვ. 325). ერთი სიტყვით, მოთხოვნილებას წარმოადგენდა, რომ მუდმივად ყოფილიყო რუსული ჯარი ჩრდილო კავკასიაში, რათა გარანტირებული ყოფილიყო საიმედო დაცვა ყაზარდოელი თავადების პრორუსულად ორიენტირებული დაჯგუფებისა.

#### ლიტერატურა:

1. Полное собрание Русских летописей. Т. 29. М. 1925 . С. 116, 214.
2. Сборник императорского Русского исторического общества. Т. 95. СПб... С. 480
3. Ахмадов Я. З. Очерки политической истории народов Северного Кавказа в XVI-XVII вв. Грозный. 1988. С. 20.
4. КРО. М. 1957. Т. 1. С. 71, 72
5. Белокуров С. А. Сношение России с Кавказом. М. Вып. 1 (1578-1616 гг.) С. XVIII.
6. ИГАДА. Ф. Крымские дело. Кн. 14. Л. 167
7. Полное собрание Русских летописей. Т. 29. М. 1925. С. 324
8. Юдин П. Первые русские города на Тереке. Терекские ведомости. 192. N 221
9. Садиков П. А. Поход Татар и Турок на Астрахань в 1569 г. Исторические записки N 22. М. 1947. С. 144
10. Гаджиев В. Г. Роль России в истории Дагестана. М. 1965. С. 68-69
11. Полное собрание Русских летописей. Т. 29. М. 1925. С. 325

## **Russia's aggressive policy in the North Caucasus in 1545-1560 years**

**Gumashvili Zaur**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

### **Abstract**

The peoples of the North Caucasus closely observed the developments taking place in the Muscovite state. Meanwhile, in 1548, a new war broke out between Iran and Turkey. A significant part of the Crimean military forces was dispatched to the front line, which gave Moscow the opportunity to seize the Khanate of Kazan in 1552. After this, Moscow's role in Caucasian affairs increased.

Just a few years later, in 1556, Russia conquered the Astrakhan Khanate, a development facilitated in part by the Crimean Khanate's preoccupation with other matters, namely the outbreak of unrest among the Adyghe and Kabardian peoples.

In 1555, an Adyghe-Kabardian embassy consisting of 150 members arrived in Moscow. The delegation requested assistance against the attacks of Turkey and its vassal, the Crimean Khan. It was evident that a certain small group of rulers in the North Caucasus had chosen to orient themselves toward Russia in terms of foreign policy.

**Keywords:** *North Caucasus, Moscow, Adyghe-Kabardians, Crimean Khanate, Embassy.*

**გზა თურქეთიდან ქართულ არენამდე:  
ჩოხის სემანტიკურ-კონტექსტური ტრანსფორმაცია**

**დანელია ვაჟა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.21>

**აბსტრაქტი.** წინამდებარე კვლევა ეხება ჩოხის სემანტიკურ-კონტექსტური ტრანსფორმაციის მრავალსაფეხურიან პროცესს. გვიჩვენებს საქართველოში ეროვნული ღირსებისა და იდენტობის განმასახიერებელი, სავარაუდოდ, თურქული წარმომავლობის ტერმინის ტრანსფორმაციისა და კულტურულ-სოციალური კონტექსტის დინამიკას. მასში განხილულია სიტყვა ჩოხის ინტეგრაცია ქართულ ენაში - თურქული ქსოვილის სახელიდან თუ როგორ იქცა ქართული რიტუალური ტანსაცმლის დასახელებად, კულტურული მეხსიერების მატარებლად, ეროვნული იდენტობის სიმბოლოდ და შემდგომი ევოლუციით მოჭიდავეების განუყოფელ ფორმად არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ ფუნქციური, სემიოტიკური და სიმბოლური ცვლილებების გზით.

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ეს ტრანსფორმაცია არ ყოფილა მხოლოდ მოდური ცვლილების შედეგი - იგი წარმოადგენს მრავალშრიან, სოციალურად და კულტურულად მართულ პროცესს, რომელშიც მონაწილეობდა როგორც კოლექტიური მეხსიერება, ასევე, საზოგადოებრივი პრაქტიკა. აქვე წარმოჩენილია, თუ როგორ აქცევს საზოგადოება უცხოურ ტერმინს საკუთარ ეროვნულ ნიშნად.

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ჩოხის როგორც ტანსაცმლის, ისე კულტურული სიმბოლოს სემანტიკური და კონტექსტური ტრანსფორმაცია - როგორ ვითარდებოდა მისი მნიშვნელობა თურქულ კულტურულ არეალში და როგორ გადმოვიდა ქართულ სივრცეში, სადაც ახალი დატვირთვა შეიძინა.

კვლევა ეფუძნება ენობრივ ანალიზს, ისტორიულ დოკუმენტებს, კულტურულ პრაქტიკასა და სემიოტიკას, ადგილობრივ ტრადიციებს და მიზნად ისახავს, აჩვენოს, როგორ შეიძლება ერმა უცხოური კულტურული ელემენტი საკუთარ იდენტობად აქციოს არა კოპირების, არამედ გადამმუშავების გზით.

**საკვანძო სიტყვები:** ჩოხა, ენობრივი და კულტურული ტრანსფორმაცია, სემიოტიკა, ტანსაცმლის სიმბოლიკა, ქართული ჭიდაობა, ეთნოსი და ენა, იდენტობის პოლიტიკა.

**შესავალი**

ლიტერატურის ფრანგი კრიტიკოსის, ფილოსოფოსისა და სემიოტიკოს როლან ბარტის აზრით, სამოსი სიტყვებზე მეტად ლაპარაკობს ადამიანის იდენტობაზე (Barthes, 1967), რადგან ტანსაცმელი კოდირებული ენაა. მიგვაჩნია, რომ ქართული ჩოხაც სწორედ ასეთი სემიოტიკური ერთეულია, რომელსაც არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ ღრმად კულტურული და სემანტიკური დატვირთვა აქვს.

დიდი ქართველი მეიგავისა და ლექსიკოგრაფ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჩოხა (ჩოჭა) მატყლის სქელი სამოსელია (ორბელიანი, 1993, 322). მეცნიერთა ვარაუდით, ეს ტერმინი თურქულენოვანი სივრციდან შემოვიდა ქართულში, როგორც ქსოვილის სახელწოდება. მაშინ მას არც სამოსთან და მით

უმეტეს - რაიმე რიტუალურ კონტექსტთან კონკრეტული კავშირი არ ჰქონია. ქართული სოციალური გარემო კი თურქულ „**cuha-s**“ ახალ ფუნქციას ანიჭებს - იგი თანდათანობით მამაკაცის კლასიკური ტანსაცმლის მნიშვნელობას იძენს. ეს ტრანსფორმაცია ქართველი საზოგადოების სოციალურ-კულტურულ სტრუქტურებს უკავშირდება, სადაც სამოსს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

ცნობილი ქართველი მკვლევარი როლანდ თოფჩიშვილი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ასკვნის, რომ **ჩოხა** - საერთოკავკასიური სამოსი ქართველი ერის წიაღში წარმოიქმნა და მოგვიანებით აქედან გავრცელდა სხვა ხალხებში (თოფჩიშვილი, 2019, 6),

### **ძირითადი ნაწილი**

ქართველ ტომთა ჩაცმულობაზე პირველი ცნობები 2500 წლის წინანდელია. კულტურის ისტორიის მუზეუმის ქსოვილისა და კოსტიუმის კოლექციის კატალოგის შემდგენელ-გემომცემელ გიორგი კალანდიას აზრით, ის ისტორიის მამას - ჰეროდოტეს (484-424 წწ.) უკავშირდება. ბერძენი ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ ქართველურ ტომებს ეცვათ დიდი ფერადოვნებით შემკული, ნახატებიანი ტანსაცმელი, რომელიც თავის სახეს საბოლოო გაცვეთამდე ინარჩუნებდა (კალანდია, 2020, 5).

ჰეროდოტესვე ცნობით, მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ სელს ერთნაირად. ეგვიპტელებს კი სელისაგან ქსოვილის დამზადება 4000 წლის წინათ დაუწყიათ. „მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქსოვილის მწარმოებლები ეგვიპტელებთან ერთად ქართველებიც იყვნენ“ (იქვე, 5).

VI-VII საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება მცხეთის ჯვრის ფასადზე ქტიტორების, ასევე, ქართლის სამეფოს წარმომადგენელთა რელიეფური გამოსახულებები. მათი ჩაცმულობა ქართული ქსოვილისა და კოსტიუმის ისტორიისთვის საინტერესო მასალას იძლევა: „სქელი ქსოვილის გრძელი (შუა წვივებამდე) წელში გამოყვანილი, კალთა გაფართოებული, გრძელსახელოებიანი შიდა კაბა („კვართი“) და ზემოდან წამოსხმული ასევე სქელი, არაელასტიური ქსოვილისგან შეკერილი ზედა სამოსელი“ (იქვე, 6).

ხომ არ არის სავარაუდო, რომ ეს ქსოვილი იყოს „ჩოხა“, რომელიც ქართულ ლიტერატურულ წყაროებში მეათე საუკუნიდან გვხვდება. კერძოდ, ეს ტერმინი გამოყენებულია გიორგი მერჩულის მიერ 951 წელს დაწერილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ოღონდ ის მოხსენიებულია არა როგორც ქსოვილი, არამედ - როგორც ტანსაცმლის ერთ-ერთი სახე: „და იხილა დედუფალი იგი დიდსა შინა მონაზნობასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა ხელმწიფისა რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი **ჩოხა**...“ (ხუცესი, მერჩულე, 1985, 93).

მოგვიანებით ამ ტერმინს ვხვდებით გიორგი მთაწმიდელის (1009-1068) „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ - „რამეთუ იჯმნა სრულიად ღვინისაგან და წუელისა, და ჰმოსიედ სამოსლად მისა ქუეშე - ძამაჲ ფიცხელი, ხოლო მას ზედა საფარველად - **ჩოხა** ერთი“ (მთაწმინდელი, 2011, 196).

XII-XV საუკუნეებში ეს სიტყვა უფრო ინტენსიურად გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, საფლავის ქვების წარწერებშიც.

**„ჩოხის“** ენობრივი და რიტუალური ტრანსფორმაცია ასახავს ქართული კულტურის უნიკალურ უნარს - უცხო ისე შეითვისოს, როგორც შინაური. ჩვენთან **ჩოხა** სოციალური სტატუსის გამომხატველ ელემენტად ჩამოყალიბდა, შემდგომში მან რიტუალური ფუნქცია მიიღო. ტერმინისა და მისი სიმბოლური შინაარსის კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ ენობრივი ნასესხობა არ გამორიცხავს კულტურულ

ავთენტურობას. ამდენად, **ჩოხა**, როგორც მოვლენა, ისტორია და ტრადიცია - მთლიანად ქართულ კულტურულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ეს ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ენის, არამედ ეროვნული იდენტობის მტკიცე და მოქნილ ბუნებას ავლენს.

საუკუნეების განმავლობაში **„ჩოხა“** იყო და რჩება არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელ კავკასიურ სივრცეში ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ ნიშნად. მისი კულტურული გარდაქმნა ადასტურებს, რომ **„ჩოხა“** აღარ არის მხოლოდ სამოსი - ის არის ერთგვარი „კავკასიური კოდი“, რომელიც ღირსებას, თავისუფლებას, მემკვიდრეობას და მემამბოხე სულს გამოხატავს. მართალია, წარსულიდან მომავლისკენ მიმავალ გზაზე ის იცვლის მნიშვნელობებს, მაგრამ სიმბოლურ დატვირთვას ინარჩუნებს. მისი ტრანსფორმაცია გვაჩვენებს, რომ კულტურა არ არის სტატიკური - პირიქით, იგი მუდმივი გადააზრების პროცესშია.

სწორედ ამ პროცესმა ტრადიციული ზოგადკულტურული სამოსი (**ჩოხა**) სემიოტიკური ტრანსფორმაციის შედეგად სასპორტო იდენტობის, კონკრეტულად კი ქართული ჭიდაობის შემადგენელ ნაწილად - საჭიდაო ფორმად აქცია. როდის მოხდა ეს, ამის დადგენა რთულია, თუმცა ჩვენ გვაქვს ქართველი ეთნოსის კულტურულ-თვითიდენტობითი პალიტრიდან იშვიათი და უნიკალური უძველესი ვიზუალური წყარო, რომელიც **ჩოხას და ჭიდაობას** პირდაპირ აკავშირებს. ეს წყაროა ალავერდის ტაძარი, რომლის ერთ-ერთ კედელზე XV საუკუნის ფრესკაა ჭიდაობის სცენით (აბრამიშვილი, 1967). მასზე ორი ჩოხიანი ფალავანია გამოსახული.

უნიკალური შემთხვევაა, რადგან **ქართული ჭიდაობა წმინდანების დონეზეა აღზევებული**. იგი აშკარად მიაჩნებოდა სიმბოლურ დატვირთვაზეც. ალბათ, ამიტომაც **აქ სხეულის სილამაზეზე მეტად სულის მოძრაობასა და სიმაღლეს ვხედავთ** (დანელია, 2019, 49). სპორტი და ტრადიცია სულიერ განზომილებაში გადადის. ჩოხა აღარ არის უბრალოდ სამოსი - რიტუალური ატრიბუტია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი სიწმინდის გზაზე იბრძვის. ფრესკაზე მოჭიდავეები წარმოადგენენ არა ინდივიდებს, არამედ კულტურულ პერსონაჟებს, რომლებიც როლებს თამაშობენ: ერთს სხეულებრივი ძალა მიაქვს რწმენით, მეორეს - სულიერება, გამოხატული ფიზიკურობით.

ალავერდის ფრესკა წარმოადგენს ერთგვარ სემიოტიკურ საკვანძოს, რომელშიც წარსული, რწმენა და იდენტობა ერთმანეთს უერთდება. აქ ჭიდაობა აღიქმება არა როგორც შეჯიბრება, არამედ როგორც **პერსონიფიცირებული დიალოგი ქართულ კაცობასთან**. ჩოხა კი ამ დიალოგის ლექსიკად იქცევა - იგი განსაზღვრავს მოძრაობას, ეთიკას და სხეულს საშუალებას აძლევს, აზროვნებად იქცეს. მოჭიდავე ჩოხაში ფიზიკურ აქტს კი არ ასრულებს, არამედ მონაწილეობს რიტუალში, რომელშიც სხეული, სული და ისტორია ერთიანდება. ჩოხის მორგებისას მოჭიდავე თითქოს ერთგვარ „საკრალურ სივრცეში“ შედის - წარსულს უკავშირდება. ჩოხა აქ, ასე ვთქვათ, ერთგვარი ჭურჭელია სულიერი ძალის დასატევად.

წარსულთან დაკავშირება და ფესვების გახსენება კი იმას ნიშნავს, რომ ჩოხით ჭიდაობა არა მარტო სხეულის, არამედ სულიერი გამძლეობის გამოცდაც არის. ძიუდოს ფორმა კიმონო თუ „კოდოკანის სკოლის“ სიწმინდეს უსვამს ხაზს, ხოლო თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა **შიშველ სხეულს აცოცხლებს ისტორიულად**, ჩოხას არენაზე შემოჰყავს **„კაცი ტრადიციით“**. მას ისეთივე **ფუნქცია აქვს**, როგორც **დროშას, ჰიმნს ან ენას**, ანუ **არანაკლები ეროვნული კოდია**, ვიდრე ოფიციალური სიმბოლოები. ამდენად, მისი სარბიელზე გამოჩენა ეს არის სპორტის ენით კულტურის სცენაზე დაბრუნება.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ქართულ ჭიდაობაში კატეგორიულად მიუღებელია არავაჟკაცური საქციელი. ეს არის ორთაბრძოლის ფორმა არა განადგურების, არამედ სულიერი გამარჯვებისკენ. ქართული ჭიდაობის ფილოსოფიაში აკრძალვის ფორმით შემოდის ის, რაც სულიერებას, ზნეობას, კრედოს ეწინააღმდეგება; ძალა აქ თვითმიზანი არ არის, ის გამარჯვების საშუალებაა, მაგრამ ზნეობრივი, სულიერი, ეთიკური მოთხოვნების დაცვით, ანუ ღირსების შენარჩუნებით. აქ გზა ზნეობაზე გადის, რომელიც გამარჯვებაზე მაღლა დგას (დანელია, 2019, 50), ანუ ვლინდება ოდითგანვე ცნობილი ქართული ბრძოლის ღირებულება - მტრის განადგურება ვაჟკაცობით მის დამორჩილებაზე ნაკლებად ფასობდა.

ფრესკაზე გამოსახული ფალავნების ჩაცმულობა იმაზეც მიუთითებს, რომ ჩოხა იმდროინდელ ჭიდაობაში ტრადიციული სამოსის შენარჩუნების ფორმაც იყო და მეტად საჭირო საჭიდაო ატრიბუტი სწრაფი ილეთების განხორციელებლად. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ირანული სუბეთნოსური ჭიდაობა „ჩუხე“ (Choukhe), რომელიც არა მხოლოდ შერკინების სტილია, არამედ მოჭიდავეთა ტრადიციული ტანსაცმლის სახელწოდებაც. ის კავკასიურ „ჩოხას“ მოგვაგონებს - ფალავნები მატყლისგან დამზადებულ ტრადიციულ ზედატანსაცმელს - ჩოხას იცვამენ.

ეს ჭიდაობა მეტწილად ირანის სამ პროვინციაშია გავრცელებული - ხორასანში, მაზანდარანსა და ფერეიდანში. ჭიდაობა ტარდება ღია ცის ქვეშ, რბილ მიწაზე ან ბალახზე მუსიკალური თანხლებით. თავს იყრის უამრავი მაყურებელი. ირანში ეს მოჭიდავეთა ერთადერთი ასპარეზობაა, სადაც დასწრების უფლება ქალებსაც აქვთ, ოღონდ მამაკაცები და მანდილოსნები ცალ-ცალკე სხედან.

სახელწოდების ჩოხასთან მსგავსების გარდა, **ჩუხის** ფანდები და მოჭიდავეთა ჩაცმულობა ძალიან ჰგავს ქართულისას. ვფიქრობთ, ამას თავისებური ახსნაც მოეძებნება: ცნობილია, რომ სპარსეთის შაჰმა აბას პირველმა XVII საუკუნის დასაწყისში კახეთი ააოხრა და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ათიათასობით ადამიანი ირანის სხვადასხვა პროვინციაში გადაასახლა. რადგანაც ქართულ ჭიდაობას, უმთავრესად, ქართლ-კახური საფუძველი აქვს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სუბეთნოსური ჭიდაობა **ჩუხის** სახელწოდება და ფანდების მრავალფეროვნება ქართული ჭიდაობის ზეგავლენის შედეგია.

ჭიდაობა **ჩუხა** დღესაც განაგრძობს არსებობას, თუმცა - კვლავ სამოყვარულო დონეზე, განსაკუთრებით ირანის რეგიონულ ზეიმებსა და სასპორტო შეჯიბრებებზე. ამის მიუხედავად, მან მრავალი არქაული თავისებურება შეინარჩუნა, რომლებიც კავკასიურ ტრადიციებს მჭიდროდ უკავშირდება. საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ჭიდაობაშიც ჩოხა კულტურული იდენტობის სიმბოლოდ და პაექრობისთვის ფუნქციურ სამოსადაც გვევლინება.

უწინ ირანელები წელს ზემოთ შიშვლები ჭიდაობდნენ, განსაკუთრებით - უძველეს "ზურხანაში" („ძალის სახლი“), რითაც ძალასა და გამძლეობას ააშკარავებდნენ, იარაღის დამალვას ან სხვა ხრიკის გამოყენების შესაძლებლობასაც გამოორიცხავდნენ. ყოველივე ეს კი ესთეტიკისა და სიმამაცის ნაწილი იყო. კლიმატური პირობები და კულტურული ნორმები ამგვარი ჩაცმულობის საშუალებას იძლეოდა. მსგავსი რამ ბევრი უძველესი კულტურისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად, ელინებიც სხეულისა და სულის ჰარმონიის გამოსავლენად შიშველნი ჭიდაობდნენ.

ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ ოლიმპიური თამაშების აღორძინებამდე<sup>14</sup>

წლით ადრე - 1882 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ (N217) გამოქვეყნდა მესხი მკვლევარ-ეთნოგრაფ ივანე გვარამიძის სტატია, რომელიც მესხურ თამაშებს ეხება. ის წინარეჟისტიანული შეჯიბრება უნდა იყოს, რომლის პროგრამაშიც სპორტის რამდენიმე სახეობა შედიოდა, მათ შორის - ჭიდაობა. „ჯერ ტანისამოსით და შემდგომ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოდ და წმიდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მოკიდება“, - წერს ავტორი (გვარამაძე, 1882).

მეტად საინტერესო ვერსიაა, თუმცა ქართული ჭიდაობისთვის ფრიად უჩვეულო. დროთა განმავლობაში, ეტყობა ქართულმა ჭიდაობამ ვერ იგუა შიშვლად ჭიდაობა, რადგან მთელი რიგი ეფექტური ფანდების ჩატარება შეუძლებელი იყო და ეთიკურადაც - გაუმართლებელი.

### **დასკვნა**

ტერმინი და ტანისამოსი „ჩოხა“ ნათლად ასახავს იმ კულტურულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც უცხო სიტყვა და ობიექტი იძენს ეროვნულ მნიშვნელობას. იმის მიუხედავად, რომ მისი ენობრივი ფესვები არ არის წმინდად ქართული, ჩოხა წარსულში და დღემდე წარმოადგენს ქართველთა იდენტობის სიმბოლოს. ის კოლექტიურ მეხსიერებას ეხმიანება.

ჩოხის სემანტიკურ-კონტექსტური ტრანსფორმაცია ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ხდება ქსოვილთან დაკავშირებული ტერმინისა და ობიექტის მნიშვნელობათა კომპლექსური გარდაქმნა კონკრეტულ ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტებში: თურქული წარმოშობის „ჩუხადან“ დაწყებული ევოლუცია ჩოხის, როგორც ეროვნული ტანსაცმლის, შემდგომ სასპორტო უნიფორმის დამკვიდრებით დამთავრდა. ეს პროცესი არა მხოლოდ საგნების ფუნქციურ ტრანსფორმაციას, არამედ მათს სიმბოლურ გადატვირთვასაც ასახავს. ქართული ჭიდაობის სივრცეში ჩოხის დანერგვა სწორედ ამ პროცესის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა.

### **ლიტერატურა:**

- აბრამიშვილი, შ.** (1967), ალავერდის ახლად გახსნილი კედლის მხატვრობა; „ძეგლის მეგობარი“, X-XI; **გვარამიძე, ი.** (1882), „დროების“ კორრესპონდენცია, გაზეთი „დროება“, N217, თბ., 17 ოქტომბერი, 2-3; **დანელია, ვ.** (2019), ქართული ჭიდაობის მსოფლმხედველობრივი და ეთიკურ-ესთეტიკური ასპექტები, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“, XXXIV, ISSN 2233-3606, თბილისი, გვ. 47-52; **თოფჩიშვილი, რ.** (2019), მამაკაცის საერთო კავკასიური სამოსის გენეზისის შესახებ (ქართული სამოსის ისტორიიდან: ჩოხა-ახალუხი), გელათის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, შპს „მწიგნობარი“; **კალანდია გ.** (2020). ქსოვილი როგორც ხელოვნება (საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის ქსოვილისა და კოსტიუმის კოლექციის კატალოგი), კატალოგის შედგენა, გამოსაცემად მომზადება გიორგი კალანდია. თბილისი; **მთაწმინდელი, გ.** (2011), იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, ქართული მწერლობის საუნჯე, ტ. 2, თბილისი, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“; **ორბელიანი, ს.-ს.** (1993). ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის სამიეხელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი“; გვ. 322; **ხუცესი, ი. მერჩულე, გ.** (1985), შუმანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ზურაბ სარჯველაძემ, კორნელი დანელიამ და ელგუჯა გიუნაშვილმა), თბილისი, გამომცემლობა „განათლება“; **Barthes, R.** (1967) , *Système de la Mode*;

## **The Road from Turkey to the Georgian Arena: The Semantic-Contextual Transformation of Chokhi**

**Danelia Vaja**

Georgian Technical University, Tbilisi

### **Abstract**

The history of the traditional Georgian garment and cultural symbol - chokhi - is one of the clearest examples of how material objects can undergo profound semantic transformations and become key symbols of national identity. The research revealed that the name of the fabric "chukha", which moved from the Turkic linguistic space to the Georgian context, has been recorded in Georgian literary sources since the tenth century. Specifically, since 951. Over time, it underwent both linguistic and contextual transformation.

This name for the fabric was adapted to describe a distinctive form of national clothing worn by Georgian nobles, warriors, and public figures. As a result of a semiotic transformation, the chokha garment became an integral part of Georgian wrestling - a wrestling uniform. When this happened is difficult to determine, although we have a unique ancient visual source - one of the walls of the Alaverdi Cathedral with a 15th-century fresco - a wrestling scene, which directly connects chokha and wrestling.

It is noteworthy that for centuries, the "chokha" has been and remains one of the most prominent symbols of national identity not only in Georgia, but also throughout the Caucasian space. Its cultural transformation confirms that the "chokha" is no longer just a piece of clothing - it is a kind of "Caucasian code" that expresses dignity, freedom, heritage, and a rebellious spirit.

**Keywords:** *Chokha, linguistic and cultural transformation, semiotics, clothing symbolism, Georgian wrestling, ethnos and language, identity politics.*

კავკასია დამოუკიდებლობის წლებში

კობიაშვილი ეკა

სსიპ ქალაქ თელავის N6 საჯარო სკოლა, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.22>

**აბსტრაქტი.** სამხრეთ კავკასიის ქვეყნები: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი და მთიელთა სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში - 1918 წლის პირველ რესპუბლიკათა პერიოდში (1918–1921) ერთმანეთს მეზობლად, ახლადდამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით არსებობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი საერთო წარსულს - რუსული იმპერიის შემადგენლობაში ყოფნას - იზიარებდა, მათ შორის ურთიერთობები საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო. სტატიაში წარმოდგენილია მოკლე მიმოხილვა მათი ურთიერთობების შესახებ აღნიშნულ პერიოდში.

**საკვანძო სიტყვები:** კავკასია, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, ეროვნული საბჭო, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

როგორ შეიქმნა კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამ საკითხზე ყველაზე უკეთ საარქივო წყაროები და მემუარული ცნობები გვაწვდის ინფორმაციას. 1918 წელს კავკასია კვლავ რუსეთის იმპერიის კოლონიურ ერთეულს წარმოადგენდა. 1917 წლის რევოლუციებმა და მსოფლიო ომმა ჩამოშალა რუსული იმპერიალიზმი. სწორედ ამ პერიოდში, კავკასიის რეგიონში პოლიტიკურ-სტრატეგიული ვაკუუმის ფონზე იქმნება ოთხი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული: სამი სახელმწიფო - საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახით სამხრეთ კავკასიაში და მთიელთა რესპუბლიკის სახელწოდებით ჩრდილოეთ კავკასიაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ საარქივო მასალაში არის 1918 წლის 24 – 25 მაისის საქართველოს ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ოქმები. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე ჩამოაყალიბა კომისია (გიორგი გვაზავა, იოსებ მაჭავარიანი, გრიგოლ რცხილაძე, პეტრე ქავთარაძე, ვიქტორ თევზაია, რაჟდენ არსენიძე, ირაკლი ჯაფარიძე), რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება და კომიტეტში წარმოდგენა (ჯანელიძე, 2018, გვ.9).

25 მაისს გამართული საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ სხდომის მონაწილეთა ერთი ნაწილი დამოუკიდებლობის გამოცხადებას იმავე დღისთვის ითხოვდა, აღმასრულებელი კომიტეტის ზოგირთი წევრი კი საამისოდ 26 მაისს ამჯობინებდა. კენჭისყრისას უმეტესობამ (6 ხმა 4-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა სუვერენიტეტის დაუყოვნებლივ გამოცხადებას (ჯანელიძე, 2018, გვ.9). თუმცა ეროვნული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას მოთხოვნით დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოში მეორე დღეს გადაიდო, რადგან ის თვლდა, რომ ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა უნდა გამოცხადებულიყო.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა საგარეო პოლიტიკურ სფეროში მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. რუსული კოლონიური

პოლიტიკიდან მოყოლებული კავკასიურ სახელმწიფოებზე გავლენას ახდენდა საზღვრების გაუმიჯნაობა, რომელიც გახდა საქართველოსთვის მეზობელი ქვეყნების მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიების მიზეზი.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კავკასიურ ქვეყნებს განსხვავებული ტერიტორიული პრეტენზია ჰქონდა საქართველოს მიმართ: აზერბაიჯანის ხელისუფლება ზაქათალის ოლქს, მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრების ნაწილს ითხოვდა. სომხეთის მმართველები ტერიტორიების გაყოფას ეთნიკური და რეალური მოსახლეობის პრინციპით მოითხოვდნენ, შესაბამისად ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქი მაზრებს ედავებოდნენ საქართველოს. ჩრდილო კავკასიელ მთიელებს აფხაზეთი და შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორიები აინტერესებდათ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა ზაქათალის ტერიტორია სამხედრო ძალით დაიკავა და მთელ ოლქზე საკუთარი იურისდიქცია გაავრცელა (ჯანელიძე, 2009, გვ.131)

სომხეთის მთავრობამ ლორეს მაზრაში 1918 წლის ოქტომბერში ძალის პოზიციიდან მოსინჯა. ქართული მხარის დიდ წინააღმდეგობის გამო დაშნაკებმა იმხანად უკან დაიხიეს, თუმცა დეკემბერში საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედება წამოიწიეს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას ვერ წარმოედგინა, რომ „მომე“ სომხეთი საქართველოსთან ომს გააჩაღებდა, მაგრამ როცა სომხეთის მთავრობამ მას ტერიტორიის დაცლა თბილისის ჩათვლით მოსთხოვა (ჩაჩხიანი ა., 2007, გვ. 397–398).

საქართველომ 18 დეკემბერს მობილიზაცია გამოაცხადა და სახალხო გვარდიისა და ჯარის ნაწილები ფრონტის ხაზისკენ დაძრა. საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ გენერლები გიორგი მაზნიაშვილი, სტეფანე ახმეტელაშვილი, ბალო მაყაშვილი. ბრძოლამ ქართველთა უპირატესობა გამოკვეთა. შულავერთან გადამწყვეტ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ უკან დაიხია.

კავკასიაში მყოფმა მოკავშირეთა არმიის სარდლობამ მედიატორობა იკისრა. მასი შუამავლობით, 1918 წლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყვეტილ იქნა. ომის დამთავრებამ ვერ გადაჭრა მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი.

სომხეთს რთული და დამაბული ურთიერთობა ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთანაც. მიუხედავად დაპირისპირებისა, ეკონომიკური საჭიროებანი კავკასიურ სახელმწიფოებს ურთიერთ დაახლოებისა და პარტნიორობისაკენ უბიძგებდა. ბაქოს ნავთობი საქართველოსთვის შეუცვლელი იყო, აზერბაიჯანისთვის კი საქართველო დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. საქართველოს სარკინიგზო, საზღვაო და სხვა კომუნიკაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სომხეთისა (ჯანელიძე, 2018, გვ. 47).

ერთმანეთის სუვერენიტეტი სხვებზე ადრე საქართველომ და აზერბაიჯანმა ცნეს. საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად აზერბაიჯანში ნ. ქარცივაძე დაინიშნა, ხოლო აზერბაიჯანის დიპლომატიური მისია თბილისში მ. ჯაფაროვს ჰქონდა მინდობილი. 1919 წლის 8 მარტს საქართველომ სომხეთის რესპუბლიკა დე იურედ აღიარა. იმავე წლის 24 მარტს სომხეთმაც იურიდიულად ცნო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ჩვენი ქვეყნის სრულუფლებინი წარმომადგენლის როლს სომხეთში ს. მდივანი ასრულებდა, სომხეთის დიპლომატიურ კორპუსს კი საქართველოში სათავეში ა. ჯამალიანი ედგა. მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკურ ურთიერთობაში სრულად იყო დაცული დიპლომატიური ეტიკეტი.

1919 წლის 3 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთს შორის თბილისში ორი ხელშეკრულება გაფორმდა. პირველი დოკუმენტი მხარეებს ყველა სადაო საკითხის ურთიერთშეთანხმებით ან არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტას ავალდებულებდა, ხოლო მეორე მეზობელ რესპუბლიკებს შორის სამი წლის ვადით თავისუფალ ტრანზიტს ითვალისწინებდა. ორივე ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა, როგორც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, ისე სომხეთის ხორვუდში.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 1919 და 1920 წ.წ. აპრილში ორჯერ მოწვეულ იქნა კავკასიურ რესპუბლიკათა კონფერენცია. ტერიტორიულ პრობლემათა გარდა, განიხილებოდა ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკაში შეთანხმებული მოქმედების საკითხები და სხვ. აღსანიშნავია, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარგზავნილი კავკასიურ სახელმწიფოთა ოფიციალური დელეგაციები პოულობდნენ საერთო ენას, ახერხებდნენ კონსტრუქციულ თანამშრომლობას, აქვეყნებდნენ ერთობლივ მიმართვებს, განცხადებებსა და სხვა დოკუმენტებს. (ავალიშვილი, 1925.გვ.246-247).

1919 წლის 9-17 იანვარს თბილისში გაიმართა სომხეთ-საქართველოს კონფერენცია, რომლის მუშაობაში მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მიღწეული შეთანხმებით, ბორჩალოს მაზრის სადავო ტერიტორია ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა და დადგინდა მისი საზღვრები. აქ მორიგეობით ქართული და სომხური ჯარი უნდა მდგარიყო.

საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებს შორის მეორე კონფერენცია თებერვალ-მარტში გაიმართა. მხარეთა შორის მოწესრიგდა საგარეო ვაჭრობის, მოქალაქეთა მიმოსვლის, საკომუნიკაციო კავშირების აღდგენის საკითხები. საქართველოს მთავრობის შუამდგომლობით, 1919 წლის 23 ნოემბერს თბილისში სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება სადავო საკითხების არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ, თუმცა ამ ქვეყნებს შორის მალე ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი, რომელიც სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. საზღვრების პრობლემა კი კვლავ დიად დარჩა (История Азербайджана, 1995 г. ст. 372.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მთიელთა რესპუბლიკას, რომელიც რუსეთს საქართველოს შორის ერთგვარი ბუფერის როლს ასრულებდა. საქართველო ეხმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს როგორც დენიკინის, ისე ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში. 1919 წლის აგვისტოში, მთიელთა მთავრობის ოფიციალური თხოვნის საფუძველზე, თბილისიდან ჩეჩნეთ-დაღესტანში საექსპედიციო შენაერთიც გაიგზავნა გენერალ ლეო კერესელიძის მეთაურობით, მაგრამ მთიელთა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა (ბახტაძე ბ., მამულია გ., 2005, 47-50).

1918-1919 წლებში რამდენჯერმე დაისვა საკითხი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის გაერთიანების შესახებ. საეჭვო იყო თვით სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ერთობის სიმტკიცე. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ორიენტაციები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდა. პირველი კურსს გერმანიაზე იღებდა, მეორე ანგლოფილურად იყო განწყობილი, ხოლო მესამე - თურქოფილურს. ნაკლებად თავსებადი იყო ასევე ამ რეგიონის ძირითადი პოლიტიკური ელიტების - ქართული სოციალ-დემოკრატიის კოსმოპოლიტური, სომხური დაშნაკცუტიუნის ნაციონალისტური და აზერბაიჯანული მუსავატის მუსულმანური იდეოლოგიები. გაერთიანება.

კავკასიურ რესპუბლიკათა გეოსტრატეგიული ინტერესების შეუთავსებლობის, არასტაბილური ვითარების, რეგიონში გავლენისათვის დიდ სახელმწიფოთა

ურთიერთჭიდლის გამო, 1918-1921 წლებში „კავკასიური ერთობა“ ვერ შედგა, რამდენიმე მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, რაც განპირობებული იყო როგორც შიდა პოლიტიკით, ისე გარე გეოპოლიტიკური ფაქტორებით. აი რამდენიმე ძირითადი მიზეზი: ეროვნული ინტერესების სხვაობა, ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები, გარე ძალების ჩარევა და ინტერესები, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა, საბჭოთა რუსეთის ექსპანსია.

1. საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წელს) ცდილობდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას. თუმცა ამ ქვეყნებს შორის ხშირად ინტერესთა კონფლიქტი არსებობდა – მაგალითად, ტერიტორიული დავები (მათ შორის, მაგალითად, ლორეს რეგიონზე სომხეთსა და საქართველოს შორის, ან მთიან ყარაბაღზე აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის).
2. კავკასიაში ეთნიკური მრავალფეროვნება და არაერთგვაროვანი დემოგრაფიული სურათი სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ერთიანი პოლიტიკური ერთობის შექმნის გზაზე. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, რაც ხელს უშლიდა საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებას.
3. ამ პერიოდში აქტიურად მოქმედებდნენ როგორც ოსმალეთის, ისე ბრიტანეთისა და შემდგომში საბჭოთა რუსეთის ინტერესები კავკასიაში. ყოველი მათგანი ცდილობდა გავლენის სფეროს გაფართოებას, რაც კავკასიური ქვეყნების დამოუკიდებელ და კოორდინირებულ მოქმედებებს აფერხებდა.
4. ახალშექმნილი რესპუბლიკები – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა – შიდა პოლიტიკური არასტაბილურობისა და მმართველი ელიტების შორის დაპირისპირების პირობებში არსებობდნენ, რაც კიდევ უფრო ართულებდა რაიმე სახის მჭიდრო კავშირისა და თანამშრომლობის ფორმირებას.
5. 1920-1921 წლებში საბჭოთა რუსეთმა დაიწყო კავკასიის ხელახალი დაპყრობა. ბოლშევიკურმა არმიებმა ეტაპობრივად დაიპყრეს აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, რასაც შედეგად მოჰყვა ამ რესპუბლიკების საბჭოთა ოკუპაცია. საბჭოთა ძალების გამოჩენამ საერთოდ შეწყვიტა კავკასიური ერთობის ნებისმიერი შანსი.

მიუხედავად მცდელობებისა, კავკასიური ერთობის იდეა დარჩა რეალიზაციის გარეშე. თუმცა ისტორიულად ის მაინც წარმოადგენდა ერთგვარ სიმბოლოს რეგიონული თანამშრომლობის სურვილისა, რომელიც ვერ განხორციელდა კონკრეტულ ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. ავალიშვილი ზ., (1025), საქართველოს დამოუკიდებლობის 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკა, თბილისი 1925
2. ბახტაძე მ., მამულია გ., (2005), მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005
3. ჩაჩხიანი ა., (2007), დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლის ომი, თბ. 2007.
4. ჯანელიძე ო., (2009), საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ. 2009
5. ჯანელიძე ო., (2018), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ. 2018
6. История Азербайджана, Баку, 1995 г. ст. 372

## The Caucasus in the Years of Independence

**Kobiashvili Eka**

Telavi Public School No. 6, Telavi

### Abstract

The countries of the South Caucasus: Georgia, Armenia, and Azerbaijan, and the mountainous state in the North Caucasus - existed as neighboring, newly independent states during the First Republic of 1918 (1918–1921). Although they all shared a common past - being part of the Russian Empire - the relations between them were quite complex and contradictory. The article presents a brief overview of their relations during this period.

***Key words:** Caucasus, independent political entity, national council, Georgia, Armenia, Azerbaijan*

## Soviet Repressive Policy in Rural Areas: Kakheti, 1930s

**Simashvili Tengiz**

Iakob Gogebashvili State University, Telavi  
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-3446-2831>

**Tchkadua Shalva**

Iakob Gogebashvili State University, Telavi  
ORCID: <https://orcid.org/0009-0004-0343-6763>

**Shiohvili Irma**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

**Kakhashvili Nino**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

<https://doi.org/10.52340/idw.2025.23>

**Abstract:** *This study explores the mechanisms and scope of Soviet repressive policies in 1930s Georgia, focusing on the villages of the Telavi Municipality. It is based on archival materials from the Kakheti Regional Archive, which detail the administrative, social, and economic conditions of rural communities under Soviet rule.*

*By the late 1920s, Soviet authorities sought to eliminate private property, dismantle individual farms, and establish collective farms, enforcing deep intervention in all aspects of rural life. Special attention was given to integrating the rural population into collective agriculture and suppressing “socially alien” groups, particularly middle and wealthier peasants.*

*Archival documents show that the revocation of voting rights and inclusion on “blacklists” often depended on the personal judgment of village council chairpersons, affecting merchants, peasants, clergy, and their families. These measures restricted access to education, employment, and social mobility, and forced clergy members to abandon religious duties.*

*Expulsion from collective farms and the requirement to provide “certificates of social status” further reinforced political and socio-economic control. Overall, the archival evidence demonstrates that Soviet repressions in 1920-1930s Kakheti were systematic and ideologically driven, combining political, social, and economic mechanisms, and had a profound impact on rural communities.*

**Key words:** *Soviet repressive policy, Kakheti, rural population, 1930s, collectivization, disenfranchisement, archival research*

### **Text:**

Telavi State University, through its internal funding program, undertakes a wide range of scientific and research projects dedicated to studying the history and modern development of Kakheti's villages. Over the years, we, as a team of researchers, have carried out several projects aimed ethnic, religious, and cultural diversity in Kakheti, at documenting and analyzing various aspects of the region's cultural and historical heritage. One of our recently completed projects is entitled: ‘The Villages of Telavi Municipality - Vardisubani, Ruispiri, Ikalto (History and Modernity)’. In this project, we examined the historical development and contemporary realities of these villages, providing a comprehensive insight into their social, cultural, and economic transformations.

The **archival materials** we have collected and analyzed also provide a **comprehensive insight** into the **main directions of the Soviet government's repressive policies** in the countryside during the **1930s**.

As is well known, by the **late 1920s** the **Soviet authorities** pursued a policy in the countryside aimed at the **elimination of the remnants of private property** and the **dismantling of individual farms**, with the ultimate goal of establishing **collective farms**.

This **deliberate and targeted policy** of the authorities implied a **deep intervention in all aspects of rural life**. Particular emphasis was placed on the **elimination of private property** in the countryside and the **forced involvement of the rural population** in implementing the **Soviet political and economic agenda**. The ultimate objective of these measures was not only the **centralization of economic resources** but also the **eradication of entire social strata**, particularly the **wealthier and middle peasantry**.

A **striking example** of the **repressive policies** pursued by the Soviet authorities during this period is the **confiscation of land and other property** from the rural population. For instance, according to the **minutes of the meeting** of the **Village Council of Vardisubani** in the **Telavi district**, dated **January 11, 1927**, the lands owned by Vardisubani residents **B. Chichashvili, G. Tushishvili, and M. Margalitashvili** were **confiscated** due to their engagement in **commercial activities**. (Kakheti Reg. Arch, 1469,20: 134)

During the **1920s and 1930s**, the **Soviet authorities** actively sought to **identify opponents of the regime** among the rural population, with the ultimate aim of subjecting them to **further repression**. A telling example is provided by the **minutes** of the **Village Council of Ikalto**, dated **April 12, 1933**, where the council discussed the **“revision of the collective farm membership”** and **“character references”** concerning several individuals considered **“unreliable.”** Among those labeled as “unreliable” was A. Mrelashvili, a local resident, described as *“a member of an cooperative,, married, arrested in 1930 for desertion to Armenia, and maintaining connections with anti-Soviet elements.”* Among those designated as “anti-Soviet elements” were Gigla Arsenashvili, who was noted as having *“served time in a correctional facility (prison) for political reasons,”* and Gigla Papalashvili. (Kakheti Reg. Arch, 17,4:2) It is particularly noteworthy that Gigla Arsenashvili had served for many years as a teacher at Ikalto Secondary School, while Gigla Papalashvili was a soloist and musician of the Telavi District Ensemble in 1932.

In the same document, F. Khutsurauli is also identified as an “unreliable” individual, described by local representatives of the Soviet authorities as a *“former member of the Shavsiebi group.”* It is noted that in 1930, he had refused to merge his farm into the collective farm. Additionally, Grigol Bakhsroliani is mentioned as another “unreliable” person, characterized as a *“middle peasant and former member of the Shavsiebi group.”* (Kakheti Reg. Arch, 17,4:2)

The terms “Shavsiebi” (*“blacklisted”*) and “Khma Agdgenili” (*“voice restored”*) are associated with the electoral practices of the Soviet era. The point is that the Soviet authorities organized elections at various levels; however, these elections were largely formal in nature and were frequently employed as an instrument of passive repression against the population. By the late 1920s and the early 1930s, elections conducted by the Soviet authorities increasingly served as a mechanism of passive repression. For elections to the Supreme Soviet of the USSR as well as to local governing bodies, voter lists were compiled. Excluding, omitting, or failing to include an individual in these lists meant that the person not only lost the right to participate in elections but was also deprived of other fundamental civil rights. Such individuals faced restricted access to higher education for themselves and their family members, were officially considered unreliable persons, and were often denied employment opportunities, particularly within state institutions.

The fact that **removing individuals from electoral lists** became one of the key mechanisms of **indirect repression** in the **Soviet reality** is further confirmed by the policy of **Tbilisi State University**: for the **1933-1934 academic year**, only those individuals who **possessed the right to vote** were permitted to **take the entrance examinations**. (*Komunisti* 1933, No. 152)

This type of practice is further evidenced by a series of petitions submitted by residents to the Village Council of Vardisubani, dated July 29, 1931. For instance, T. Gogoshvili, a resident of the village, filed a petition requesting:

*“Please issue a certificate confirming that my father has no outstanding tax obligations for the year 1931 and that he is not included in the list of those deprived of voting rights. I need this certificate to present to the educational institution.”*

The above statement was attested and confirmed by members of the Village Council who were also residents of the same community. (Kakheti Reg. Arch, 79,2:2)

The archives of the Executive Committee of the Telavi District contain numerous petitions from the same period, submitted by individuals classified as “khma agkvetili” or “khma chamortmeuli” - meaning those deprived of voting rights. Among these documents, several are of particular significance, as they vividly reflect the political realities and social attitudes of the time. These materials often reveal not only individual tragedies but also the systematic persecution of specific social groups, thereby illustrating the local manifestation of Soviet repressions in the Kakheti region during the 1920s and 1930s.

On February 11, 1930, a petition was sent to the Chairman of the Council of People’s Commissars of the Georgian SSR by K. Kurashvili, a resident of the village of Ikalto. In the petition, he lists his possessions — including one horse, one cow, and a two-room house - and states that his right to vote had been revoked in 1929 “by mistake” during the elections. (Kakheti Reg. Arch, 1469,20: 6) According to Kurashvili, his electoral rights were withdrawn due to the personal negative attitude of a member of the Village Council towards him.

K. Kurashvili also sent another petition addressed to the Village Council of Ikalto, in which he once again lists his possessions and declares that he is “not opposed to the Soviet government”, requesting the restoration of his voting rights. He concludes his letter with a desperate plea: *“Do not doom my children.”* The information provided in Kurashvili’s petition was verified and endorsed by 231 residents of the village of Ikalto, each providing their signature in support. (Kakheti Reg. Arch, 1469,20: 7)

Thus, K. Kurashvili’s petitions clearly reflect both the social conditions of the rural population and their attitudes toward the Soviet authorities in the 1920s and 1930s. Kurashvili sought to prove that he did not belong to a “socially alien” element and, accordingly, requested the restoration of his voting rights. His detailed enumeration of property and his demonstration of loyalty to the Soviet government reveal just how painfully the rural population perceived inclusion on the “blacklist” — that is, the revocation of electoral rights — both from a political and a social standpoint.

Moreover, the **petition signed by 231 residents** of the village further demonstrates that the process by which **local representatives of the Soviet authorities** classified individuals as “**kulaks**” often **did not align with the perceptions of the local population** and was, in many cases, **unjust**.

To further substantiate these conclusions, we present a petition dated 1930 from G. Tushishvili, a resident of the village of Vardisubani, addressed to the Chairman of the Telavi Executive Committee. In his letter, he writes that two years earlier, he had owned a small shop in Vardisubani where he sold various small goods. Because of this, his right to vote had been revoked during the elections. Tushishvili explains that for the past two years he had ceased trading and had been unemployed. He requested the restoration of his voting rights so that he could obtain a job:

*“...to be accepted as a guard in some institution, so that I can save my six family members from starvation. I hope you will give due consideration to my request and restore my voting rights.”*

At the bottom of the petition, a resolution was added:

*“Submit a petition for the restoration of his voting rights, as he has not been engaged in trade since 1925.”* (Kakheti Reg. Arch, 1469,20: 38)

Particularly noteworthy is the petition author’s expressed desire to work as a guard once his voting rights were restored. This detail reflects the harsh reality faced by individuals who had been deprived of electoral rights. The petition illustrates that the loss of voting rights not only restricted political freedoms but also created a significant barrier to economic activity. Those labeled as “deprived of voting rights” were often considered unacceptable to employers, even for low-paid positions such as that of a guard.

Thus, the **revocation of voting rights** served as one of the **forms of repression** employed by the **Soviet authorities**. Individuals **deprived of electoral rights** were effectively **excluded from public life** and left to face **poverty and unemployment**.

Individuals deprived of voting rights actively sought ways to regain their electoral “voice.” One such example is a petition dated February 11, 1930, addressed to the Chairman of the Telavi District Council, submitted by B. Jashiashvili, a resident of the village of Vardisubani. He writes:

*“Last year, due to some misunderstanding, we were placed on the blacklist. We submitted a petition requesting that our situation be reviewed and our voting rights restored, but no attention was paid. I am now resubmitting my petition and listing all my real and movable estate, as verified by the members of the Village Council, in order to have my voting rights reinstated. Movable property: none. Real estate: a two-room house, a shop, arable land: four days’ worth. Our household consists of six members, with two laborers.”* (Kakheti Reg. Arch, 1469,18: 34)

As the **analysis of the documents** reveals, during this period the **electoral lists** - as well as the **lists of individuals deprived of voting rights** (“*khma chamortmeuli*” / “*khma agkvetili*”) - were **submitted by the electoral commissions of the village councils to the district center**. Such documents were, as a rule, **signed by the chairpersons of the village councils**.

In order to clarify who was included in the lists of individuals deprived of voting rights, we present the content of the minutes from one of the meetings held by the electoral commissions: “*Minutes No. 2. On December 8, 1930, a meeting of the Electoral Commission of the Village Council of Ikalto was convened. Agenda:*

1. *Review of the list of individuals deprived of voting rights*
2. *Miscellaneous matters*

*Heard:*

*Regarding the inclusion of individuals in the list of those deprived of voting rights.*

*Resolved:*

*The following individuals are to be included in the list of those deprived of voting rights:*

1. *S. Jordanishvili, together with his family, classified as deprived of voting rights since 1927 for the use of hired labor.*
2. *M. Khakhutashvili, together with his wife and children, classified as a merchant-middleman; his voting rights revoked since 1927.*
3. *D. Dzamukashvili, daughter of David, classified as a servant of a religious cult.*
4. *S. Tatilashvili, together with his family, deprived of voting rights since 1927 as an employer and dekulakized during the complete collectivization period.*
5. *S. Papunashvili, taxed individually as an employer; he was not deprived of voting rights in the previous year.*
6. *S. Raibuli, taxed individually as the owner of a mill, where hired labour was employed.*
7. *D. Dzamukashvili, taxed individually, noted for the purchase and sale of sickles.*
8. *Igumen Ioseb Mazmanishvili, classified as a servant of a religious cult.*
9. *V. Enukidze, together with his wife and children, classified as a servant of a religious cult.*
10. *N. Lachashvili, also classified as a servant of a religious cult.*
11. *S. Bachiashvili, identified as a merchant, deprived of voting rights since 1926.*
12. *Makashvili, a former nobleman.”* (Kakheti Reg. Arch, 1469,18: 29)

As it turns out, it was not solely the electoral commission that determined who should be included in the lists of individuals deprived of voting rights. The chairpersons of the village councils, who also served as heads of the electoral commissions, often made such decisions based on their personal judgment.

For example, G. Chibalashvili, the chairman of the Ikalto Village Council and simultaneously the head of the Ikalto Electoral Commission, sent the following petition to the Telavi District Executive Committee:

*“To the Telavi District Electoral Commission: We inform you that during the review of the lists by the electoral commission, the name of E. Bachiashvili, a resident of Ikalto, who had been dekulakized, was overlooked. We request that this person, together with his family, be included in the list of individuals deprived of voting rights.*

*Family composition: wife Babe, son Vaso. Chairman of the Ikalto Electoral Commission, G. Chibalashvili. Secretary Pareshishvili. December 1930.”* (Kakheti Reg. Arch, 1469,18: 28) The

inclusion of individuals in the lists of those deprived of voting rights based on subjective judgment often led to confusion and disputes. It appears that this was precisely why G. Kurtsikashvili, the Chairman of the Telavi District Executive Committee and simultaneously the Chairman of the Telavi District Electoral Commission, requested the removal of several individuals from the Ikalto list of those deprived of voting rights:

*“To the Ikalto Electoral Commission:*

*The lists of individuals deprived of electoral rights in your villages have been approved by the District Electoral Commission. You are hereby instructed to post the lists publicly, in accordance with Form No. 4, excluding the following individuals: G. Papunashvili, K. Qurashvili, and M. Dzamukashvili, along with their family members.*

*Furthermore, you are required to submit an explanatory note clarifying the reasons why these individuals were originally included in the list of those deprived of voting rights.*

*Chairman of the Telavi District Electoral Commission - G. Kurtsikashvili Secretary - Khelashvili.”* (Kakheti Reg. Arch, 1469,18: 25)

The petition of G. Margalitashvili, a resident of the village of Vardisubani, clearly illustrates some of the other reasons why individuals were often listed among those deprived of voting rights. In his petition, Margalitashvili stated that *“about five years ago, when the shops still operated, I used to travel to Tbilisi and bring back fish, which I would give to my neighbors.”* According to his account, this activity caused his inclusion on the blacklist. Margalitashvili appealed the decision, and his voting rights were initially restored. However, he was subsequently removed from the electoral lists once again. (Kakheti Reg. Arch, 79,2: 2)

Margalitashvili’s petition clearly demonstrates that the **inclusion of individuals** in the **lists of those deprived of voting rights** was often linked **not only to their property status** but also to their **past social and economic activities**.

As seen above, the population commonly referred to the list of individuals deprived of voting rights as the “blacklist.” The minutes book of the Vardisubani Village Council contains a petition by S. Jashiashvili, who requested to be “released” from the list of those deprived of voting rights, i.e., from the “blacklist.”

During the relevant session, the Vardisubani Village Council resolved:

*“Deny removal from the blacklist, as the petitioner maintains ties with a deportee.”*

At the same session, the council also reviewed a petition by Sh. Tushishvili, who likewise requested removal from the blacklist. In this case, the resolution stated:

*“Submit a petition to the Executive Committee recommending rehabilitation, as the individual is deemed worthy of being whitened.”*

In this context, the term “whitened” referred to the removal of a person from the “blacklist”. (Kakheti Reg. Arch, 79,9: 5)

It is not explicitly stated **in what way this individual was “rehabilitated.”** However, it can be **assumed** that, like many of his fellow villagers, he **accepted the rules and regulations imposed on the peasantry by the Soviet authorities** — possibly by **severing ties with individuals considered undesirable by the regime, abandoning trade or craftsmanship, or transferring his privately-owned land to the collective farm,** and etc.

The **majority of individuals deprived of voting rights** belonged to the following **categories: merchants, middle peasants, clergy, and their family members.** Within the framework of the **Soviet anti-religious policy,** members of the clergy were classified as **“socially alien elements.”** Consequently, they were **removed from electoral lists and denied the right to participate in elections.** The **revocation of electoral rights** had a **direct negative impact** on the **social status and living conditions** of these individuals and their families. As a result, **many clergy members were forced to abandon their religious duties.**

This is **confirmed by archival documents** preserved from the period. Among them is a record from the **minutes of the Presidium of the Vardisubani Village Council,** dated **September 1932,** which contains the following information:

*“Reviewed the petition of former priest Raman Mtvarelishvili regarding the restoration of his*

voting rights. Resolved: Restore the voting rights of former priest R. Mtvarelishvili. A copy of the minutes is to be sent to the Presidium of the Telavi District Executive Committee for confirmation.”

In other words, **R. Mtvarelishvili** had **abandoned his clerical duties**, and, as a result, he was **“reinstated” into the electoral lists**. (Kakheti Reg. Arch, 79,2: 17)

**Middle peasants** were classified as **“kulaks”** and **“alien elements.”** Individuals who **owned private property** and **employed hired labour** were regarded as **exploiters**.

The above-mentioned information concerning **individuals deprived of voting rights** clearly illustrates the functioning of the **ideologically driven repressive mechanisms** of the **Soviet system**. In addition to the **inclusion of individuals** in the **lists of those deprived of voting rights** - a form of **indirect repression** - the Soviet authorities also employed **other methods of direct repression** against the rural population, such as the **expulsion of individuals from collective farms** for various reasons. For example, according to the **minutes of the Vardisubani Village Council** dated **1935**, those who **failed to pay taxes** were labeled **“obstructionists.”** Such individuals were **expelled from collective farms**, and their **cases were referred to the courts**. (Kakheti Reg. Arch, 79,9: 3)

As it appears, the **expulsion of individuals from collective farms** was **not an isolated practice**. In **July 1936**, at a **general meeting of the members** of the **Ikalto collective farm**, attended by **50 people**, the assembly reviewed the issue of **“expelling disobedient members from the collective farm.”** The resolution stated:

*“Since they simulate illness and refuse to work on the collective farm, and having been repeatedly warned by both the administration and the general assembly, they are hereby expelled from the collective farm.”*

The minutes also include a **list of about ten individuals** whose names were recorded as expelled. (Kakheti Reg. Arch, 79,11: 24)

Another common reason for the **expulsion of individuals from collective farms** was their **refusal to work in the collective fields**. For example, at a **general meeting of the members** of the **Taghlauri collective farm**, held on **June 15, 1936**, the case of collective farm member **V. Bachiashvili** was reviewed. The resolution stated:

*“V. Bachiashvili is to be expelled from the collective farm, as he had received several warnings for failing to participate in corn hoeing. After these warnings, his workdays had been reduced, yet he still refused to come to work. For this reason, he is hereby expelled from the collective farm.”* (Kakheti Reg. Arch, 79,11: 34)

It is noteworthy that in the village, **peasants working in collective farms** received their **wages in the form of agricultural products**, based on the **number of workdays** they accumulated.

The same document also notes the **expulsion of another individual** from the **collective farm** who had **left to pursue studies**:

*“Since he left to continue his education **without the permission of the collective farm**, his assigned work plans were left incomplete — for example, the hoeing of corn and other tasks. As he deceived the collective farm, he is hereby **expelled** from its membership.”*

Individuals were also **expelled from collective farms** for **working elsewhere without permission**. For example, one resolution stated:

*“S. Bachiashvili is to be expelled from the collective farm as he failed to assist with the hoeing of the collective farm’s cornfields and **left, without the farm’s consent, to work elsewhere.**”* (Kakheti Reg. Arch, 79,11: 34)

On **December 28, 1936**, at a **general meeting of the members** of the **Taghlauri collective farm**, attendees listened to a report by **Lavrenti Beria**, delivered at the **Plenum of the Central Committee of the Communist Party of Georgia**, titled *“Measures for the Further Strengthening of Georgian Collective Farms.”* The speakers at the session emphasized that:

*“Starting today, the collective farm must reorganize its work in accordance with the report and implement specific measures.”*

At the same meeting, **V. Bachiashvili** addressed the assembly, speaking about his **expulsion from the collective farm**. He stated:

*“I was expelled from the collective farm without justification. I am physically weak and unable to work, yet they demanded that I work in the cornfields. Likewise, my wife could not work due to pregnancy, and because she had not accumulated the required workdays, she (wife) too was expelled.”* (Kakheti Reg. Arch, 79,11: 50)

The **archival materials** also contain **other petitions**, some of which reveal that, in order to be **admitted to educational institutions** or to obtain **employment**, **village residents** were often required to provide **certificates verifying their “social origin.”** The **“certificate of social origin”** was also commonly referred to as a **“certificate of poverty.”** Among the **archival materials** we examined is a **petition dated 1931** from **V. Sumbadze**, a native of **Vardisubani** who was residing in **Telavi** at the time. In his petition, he requested a **“certificate of social origin”** to submit to an **educational institution**. He indicated the following information:

*“My father was a land labourer, an extremely poor peasant, who passed away early. As a result, I was dependent on the support of my uncles. Until 1925, I studied at the Vardisubani school, and in 1925, I became an apprentice to a shoemaker.”* (Kakheti Reg. Arch, 79,3: 15)

A similar **certificate - “statement of social status”** was requested in **1935** by **I. Chikvaidze**, a resident of **Vardisubani**, for submission to a **school**. In his petition, he also described his **family’s social and economic situation**:

*“Our household consists of a **one-room house**, **two buffaloes**, **one cow**, **one bull**, and **two days’ worth of arable land**. There are **four family members** in the household, with **one labourer**.”* (Kakheti Reg. Arch, 79,14: 133)

A similar **certificate regarding the family’s “social status”** was also requested by **T. Sozashvili**, a resident of **Vardisubani**, who likewise provided information about his **family’s property status** in his petition:

*“Our property consists of a **two-room house**, a **cowshed**, **five head of cattle**, and **two days’ worth of arable land**.”* (Kakheti Reg. Arch, 79,14: 54)

In a **1936 petition**, **B. Jashiashvili** also requested a **“certificate of social status”** from the **Village Council** for submission to an **educational institution**. In the petition, he likewise provided details regarding his **family’s property status**. (Kakheti Reg. Arch, 79,3: 85) A **similar petition** was submitted by **Margalitashvili**, requesting a **“certificate of social status”** to be presented for **his child’s admission to an educational institution**. (Kakheti Reg. Arch, 79,27: 5)

Thus, the **analysis of archival materials** confirms that, during the **1930s**, the **Soviet authorities** actively pursued a **repressive policy** against the **rural population**. The **confiscation of private property**, **collectivization**, and the **revocation of voting rights** for individuals deemed **“unreliable”** were among the **primary mechanisms** through which the Soviet regime **exercised control over the countryside**. The lists of individuals deprived of voting rights, the practice of expelling members from collective farms, and the requirement to present “certificates of social status” or “poverty certificates” for admission to schools and workplaces all confirm that Soviet repressions constituted a systematic and ideologically driven mechanism. This mechanism was designed to exert political as well as socio-economic control over the rural population.

#### **References:**

1. *Admission rules for the 1933–1934 academic year.* (1933, No. 152). *Komunisti*
2. Kakheti Regional Archive. *Ikalto Village Council, Fond 17, File No.4*
3. Kakheti Regional Archive. *Ikalto Village Council, Fond 17, File No.11*
4. Kakheti Regional Archive. *Vardisubani Village Council, Fond 79, File No.2*
5. Kakheti Regional Archive. *Vardisubani Village Council, Fond 79, File No.3*
6. Kakheti Regional Archive. *Vardisubani Village Council, Fond 79, File No.9*
7. Kakheti Regional Archive. *Vardisubani Village Council, Fond 79, File No.14*
8. Kakheti Regional Archive. *Vardisubani Village Council, Fond 79, File No.27*
9. Kakheti Regional Archive. *Telavi District Executive Committee, Fond 1469, Inventory 1 File No.18,*
10. Kakheti Regional Archive. (n.d.). *Telavi District Executive Committee, Fond 1469, Inventory 1, File No.20.*

## საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკა სოფლად: კახეთი 1930-იანი წლებში

**სიმამვილი თენგიზ**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**ჭკადუა შალვა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**შიომვილი ირმა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**კახაშვილი ნინო**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

### აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის მექანიზმები და მასშტაბების გამოკვლევა 1930-იან წლებში საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების მაგალითზე. კვლევა ეფუძნება კახეთის რეგიონალურ არქივში დაცულ საარქივო მასალებს, რომლებიც დეტალურად ასახავენ სოფლის ადმინისტრაციულ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას საბჭოთა მმართველობის პერიოდში.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საარქივო დოკუმენტების ანალიზს. როგორც გამოირკვა, საბჭოთა ხელისუფლება სისტემატურად იყენებდა სხვადასხვა სახის რეპრესიულ ზომებს მოსახლეობაში გავლენის განსამტკიცებლად. 1930-იან წლებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის კერძო საკუთრების ჩამორთმევა, მათი იძულება გაერთიანებულიყვნენ კოლმეურნეობებში და „არასანდო“ პირებისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვა წარმოადგენდა, იმ ძირითად მექანიზმებს, რომლის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება ახდენდა სოფლის მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კონტროლს.

**საკვანძო სიტყვები:** საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკა, კახეთი, სოფლის მოსახლეობა, 1930-იანი წლები, კოლექტივიზაცია, ხმის უფლების შეზღუდვა, საარქივო კვლევა

## აფრიკატები აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში

ასლანოვი ელვირა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.24>

**აბსტრაქტი.** აზერბაიჯანული ენის ფონეტიკური სისტემა, განსაკუთრებით მისი დიალექტური დონე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი მრავალფეროვნების და ენის განვითარების კვლევაში. სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში აფრიკატული თანხმოვნების რაოდენობა შეზღუდულია და მოიცავს ორ ტიპს — [č] (ყრუ) და [č̣] (მჟღერი), რომლებიც აქტიურად გამოიყენება მეტყველების ყველა პოზიციასა და მორფოლოგიურ ფორმებში. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში კი ფიქსირდება დამატებით ორი აფრიკატი — [c] და [c̣], რომლებიც სალიტერატურო ენაში არ გვხვდება და მხოლოდ დიალექტურ მეტყველებაში გამოიყენება. აღნიშნული აფრიკატები სხვადასხვა სიტყვების პოზიციებსა და სუფიქსებში გვხვდება, რაც მათ მნიშვნელოვან ფუნქციურ როლს უსვამს ხაზს დიალექტურ დონეზე.

მკვლევრების აზრით, მათი წარმოშობა დაკავშირებულია ისტორიულ-ენოვან ზემოქმედებებთან, კერძოდ, ხაზარების, ყივჩაღების, მონღოლებისა და კავკასიურ ენებთან ურთიერთობების გამო. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ასევე ფიქსირდება აფრიკატების ჯაჭვური ტრანსფორმაციები, სადაც შიშინა აფრიკატები [č] და [č̣] გადაიქცევიან სისინა ვარიანტებად [c] და [c̣].

ამ ცვლილებებმა წარმოშვა მრავალრიცხოვანი რეგიონული ვარიანტები და პარალელური ფონემური სისტემები, რაც აჩვენებს აზერბაიჯანული ენის ფონეტიკისა და დიალექტოლოგიის მდიდარ და მრავალსაფეხუროვან ბუნებას. [c] და [c̣] აფრიკატები არ წარმოადგენს მხოლოდ დიალექტურ ფენომენს, არამედ ეთნოლინგვისტური და ისტორიული პროცესების მნიშვნელოვანი ანარეკლია, რომელიც აფართოებს ჩვენს ცოდნას აზერბაიჯანული ენის განვითარებისა და რეგიონული მრავალფეროვნების შესახებ.

**საკვანძო სიტყვა:** აფრიკატები, თანხმოვნები, აზერბაიჯანული ენა, დიალექტი, სისინა და შიშინა თანხმოვნები, ისტორიულ-ენოვანი ზემოქმედება, თურქული ენები

აზერბაიჯანული ენის ფონეტიკური სისტემა, განსაკუთრებით დიალექტური დონე, წარმოადგენს მრავალფეროვანი ენობრივი სტრუქტურის საინტერესო ასპექტს, რომელიც აერთიანებს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ფონოლოგიურ ელემენტებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი ამ კონტექსტში არის აფრიკატული თანხმოვნების ფუნქციური ადგილი და მათი განსხვავებული რეალიზაცია სალიტერატურო ენასა და დიალექტურ თქმებში.

თანხმოვანთა სისტემის კვლევა აზერბაიჯანულ ენაში მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ფონეტიკური, ასევე დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. ცნობილია, რომ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში აფრიკატული თანხმოვნების რაოდენობა შეზღუდულია და ძირითადად მოიცავს ორ ძირითად ფონემას – [č] და [č̣], თანხმოვნებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება მეტყველების ყველა პოზიციასა. მიუხედავად ამისა, დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში, ემპირიულ მასალაზე

დაყრდნობით ვაწყდებით დამატებით ორი აფრიკატის არსებობას: [ʒ] და [c], რაც მიუთითებს ფონეტიკურ სისტემაში დიალექტურ გაფართოებასა და ენის შიდა დინამიკაზე. მათი ფორმა, წარმოშობა, ფუნქციური გამოყენება და გავრცელების არეალი ცხადყოფს ენობრივი პროცესების სირთულეს და მრავალწახნიანობას აზერბაიჯანულის დიალექტურ დონეზე. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტის ზოგ თქმაში გვხდება 4 აფრიკატი, ესენია: [ʒ], [č], [ʒ], [c]. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისათვის უცხო გვაქვს ორი აფრიკატი თანხმოვანი - [ʒ], [c]. დავახაასიათოთ ესენი ცალკ-ცალკე.

აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში აფრიკატულ თანხმოვნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ფონემურ წყვილს [č] და [ʒ], რომლებიც ერთმანეთის არტიკულაციურ ანალოგებს წარმოადგენენ - [č] არის ალვეოპალატური ყრუ, ხოლო [ʒ] — მჟღერი აფრიკატი. [č] ფონემა არტიკულაციურად შედგება შემართავი [t]-ისა და დამართავი [ʃ] ბგერებისგან, შესაბამისად: [č] = [t]+[ʃ] ან [tʃ]. ეს ფონემა ფუნქციურად აქტიურია და გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, მაგალითად: *čagğal* („ტურა“), *čala* („ორმო“), *kečid* („გასავლელი“), *keči* („თხა“), *seč* („აირჩიე“) და სხვა. [č] აქტიურად გამოიყენება აგრეთვე მორფოლოგიურ დონეზეც — სხვადასხვა აფიქსებში, როგორებიცაა: -čə, -či, -ču, -čü, -ča და სხვ. ეს მიუთითებს მის როგორც ლექსიკურ, ასევე სიტყვისწარმოებით ფუნქციურ დატვირთვაზე აზერბაიჯანულ ენაში.

[ʒ] წარმოადგენს ალვეოპალატალურ, მჟღერ აფრიკატს, რომელიც არტიკულაციურად შედგება შემართავი [d]-ისა და დამართავი [ʒ] თანხმოვნებისაგან, შესაბამისად: [ʒ] = [d]+[ʒ] ან [dʒ]. აღნიშნული ფონემა აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, რაც მიუთითებს მის სტაბილურობასა და ფუნქციურ მრავალფეროვნებაზე, მაგ.: *ʒan* („სული“), *ʒejran* („ჯეირანი“), *ʒüʒü* („მწერი“), *baləʒa* („პატარა“), *kärpʒ* („აგური“), *xarʒ* („უცხო“). გარდა ფუძეებისა, იგი აქტიურად იხმარება აგრეთვე სხვადასხვა აფიქსებში: -ʒa, -ʒə// -ʒi// -ʒu// -ʒü, -aʒag და ა. შ. რაც ხაზს უსვამს მის მორფოლოგიურ პროდუქტიულობასაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვხვდება ფონემა [c], რომელიც არტიკულაციურად წარმოადგენს წინაენისმიერ ყრუ აფრიკატს და შედგება შემართავი [t]-ისა და დამართავი [s] ბგერებისგან, შესაბამისად: [c] = [t]+[s] ან [tʃ]. „ყრუ [c] თანხმოვანი ჩვენი ენის ზოგ დიალექტში ფართოდ გვხვდება სიტყვის დასაწყისში, იშვიათად სიტყვის შუაში სალიტერატურო ენის ყრუ č თანხმოვნის ნაცვლად“ [Əzizov, 2016]. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში [c] ხშირად ჩნდება სალიტერატურო [č] ფონემის პოზიციაზე, ანუ [č] → [c], უმეტესად სიტყვის დასაწყისში, თუმცა ემპირიული მონაცემები ადასტურებს მის არსებობას სიტყვების შუა და ბოლო პოზიციაში, მათ შორის სუფიქსებშიც, მაგ.: *čaj* → *caj* („ჩაი“), *čox* → *cox* („ბევრი“), *čöräk* → *cöräx* („პური“), *čičäk* → *cicex* („ყვავილი“), *goč* → *goc* („ვერძი“), *gullug-ču* → *gullux-cu* („დამხმარე პერსონალი“).

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ სალიტერატურო თურქული ოჯახის ენაში ეს თანხმოვანი არ იხმარება, დიალექტებსა და თქმებში ფართოდ გამოიყენება ყველა პოზიციაში. როგორც წესი, [c] და [ʒ] ხშირ შემთხვევაში თანაარსებობენ და პარალელურად იხმარებიან, რაც მეტყველების რეგიონულ განსხვავებებსა და ენობრივ მრავალფეროვნებას აჩვენებს.

[ʒ] თანხმოვანი - წინანუნისმიერი, მჟღერი აფრიკატია. იგი შედგება შემართავი [d]-ისა და დამართავი - [z] ბგერებისგან, ანუ [ʒ]=[d]+[z], ან [ʒ]=[dʒ]. [ʒ] თანხმოვანი

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის გარდა, გვხვდება აზერბაიჯანული ენის სხვა დიალექტებში, კერძოდ: ნახიჭევანის, აირუმის, ორდუბადის, ისმაილის, ჯებრაილისა და ზანგიბასარის. ეს თანხმომავნი ყოველთვის იხმარება [č] ფონემის მაგივრად, ანუ [č] → [c]. გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში და სუფიქსებში, მაგ.: *čüžä* → *cüžä* („წიწილა“); *bačıl* → *baçıl* („და“); *g'ëžä* → *g'ëzä* („ღამე“); *čanavar* → *zanavar* („მგელი“); *čürä-čürä* → *zürä-zürä* („ნაირ-ნაირი“); *čüžärti* → *cüžärti* („ჯეჯილი“); *aγač* → *aγaç* („ხე“); *g'änč* → *g'änç* („ახალგაზრდა“); *čavanča* → *zavança* („ყმაწვილი“); *jaxča* → *jaxça* („კარგად“).

აღსანიშნავია, რომ [c] თანხმომავნი ასევე დამახასიათებელია ყარაჩაი-ბალყარული ენის ზემობალყარული თქმისთვის. ეს ამ ენის დამახასიათებელი თვისებაა და გვხვდება სიტყვის ყველა პოზიციაში, *čöün* → *coün* („თუჯი“); *ač* → *ac* („გაადე“); *üč* → *üc* („სამი“) (Материалы и исследования по балкарской диалектологии, лексике и фольклору, 1962). ნ.ზ. ჰაჯიევას აზრით, [c] თანხმომავნის ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს ყარაჩაი-ბალყარული ენის დიალექტების გავრცელების რეგიონი (Гаджиева, 1979).

ანალოგიური ტენდენციები ფიქსირდება თათრული ენის მიმარისა და ტიუმენის თქმებშიც, აქაც [č] → [c], მაგალითად: *čäjnek* („ჩაიდანი“), *köcek* („პატარა“), *cumatan* („ჩემოდანი“) (Əzizov, 1980).

[c] თანხმომავნი დაფიქსირებულია აგრეთვე თურქეთის რეგიონებში, კერძოდ, ტრაპიზონისა და რიზეს პროვინციებში, მაგ., *ičindä* → *icindä* („შოგნოთ“); *čičäk* → *cicäk* („ყვავილი“) (Philologiae Turcicae Fundamenta, 1959).

ჩულიმ-თათრების მეტყველებაში თანაბრად გვხვდება როგორც [c], ისევე [č] თანხმომავნი, რაც ხაზგასმით მიუთითებს მათ პარალელურ არსებობაზე ამ დიალექტში: *aγac* („ხე“), *küc* („ძალა“), *pčzak//puzak* („დანა“) (Баскаков, 1960). ს.ი. მალოვის დაკვირვებით, ჩულუმური დიალექტის სოციოლინგვისტური თავისებურება ის არის, რომ ქალთა მეტყველებაში უფრო მეტად გამოიყენება [c], მაშინ როდესაც მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ [č] ფონემას (Тенишев, 1980). აღნიშნული განსხვავება შეიძლება განვიხილოთ როგორც გენდერული ნიშნით განპირობებული ვარიაციული მახასიათებელი, რაც მეტყველების სოციოლინგვისტურ მორფოლოგიაზეც მიუთითებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, [c] თანხმომავნი ვლინდება თურქულენოვანი ოჯახის სხვა ენებშიც. კერძოდ, იგი დაფიქსირებულია ყარაიმული ენის სამხრეთული დიალექტის ლექსიკაში, აგრეთვე ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის მთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ თქმაში. ამ დიალექტებში [c] შენარჩუნებულია მხოლოდ მცირე რაოდენობის ლექსიკურ ერთეულებში (Əzizov, 2016).

აზერბაიჯანული ენის ორდუბადისა და შაჰზუხის დიალექტებში [c] თანხმომავნი არსებობას თავდაპირველად მ. შირალიევი იბერიულ-კავკასიური ენების გავლენით ხსნიდა (Şirəliyev, 1957). თუმცა, შემდგომ მან შეცვალა თავისი მოსაზრება და დაასკვნა, რომ აღნიშნული ფონემის არსებობა შესაძლოა აიხსნას ყივჩაღური ელემენტის ზეგავლენით აზერბაიჯანულზე (Ширалиев, 1965). მკვლევართა ნაწილი, თანამედროვე მონღოლური ენის მონაცემებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ თურქულ ენებში (მათ შორის აზერბაიჯანულიც) [c] თანხმომავნის არსებობა დაკავშირებულია სწორედ მონღოლური ენის გავლენასთან (Велиев, Гаджиев, 1966). აღნიშნული ჰიპოთეზა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ძველ მონღოლურში გამოიყენებული [č] თანხმომავნი დროთა განმავლობაში შეიცვალა [c] ფონემით (Гаджиева, 1979); (Серебренников, Харькова, 1983), რაც სავარაუდოდ გარკვეული ზეგავლენის შედეგად

აისახა თურქულენოვან დიალექტებზეც.

არსებობს განსხვავებული შეხედულებები [c] თანხმოვნის წარმოშობის შესახებ. ა. ჰუსეინოვას შეფასებით, ეს ფონემა არ წარმოადგენს ნასესხებს, არამედ უნდა განიხილებოდეს როგორც [č] ფონემის ვარიანტი (Hüseynov, 1958). ნ.ზ. ჰაჯიევა მიიჩნევს, რომ კავკასიის რეგიონში [c] და [z] თანხმოვნების ფართო გავრცელება შეიძლება განპირობებული იყოს გეოგრაფიული მდებარეობით, ვინაიდან აღნიშნული ფონემები ფართოდ იხმარება იბერიულ-კავკასიურ, ოსურ და სხვა რეგიონულ ენებში (Гаджиева, 1979). თავის მხრივ, თ.მ. გარიპოვი ვარაუდობს, რომ თურქულ ენებში [c] ფონემის არსებობა შესაძლოა ირანული ენების ზეგავლენის შედეგად იყოს (Гарипов, 1979).

ზემოთ განხილული სხვადასხვა თვალსაზრისიდან ჩანს, რომ [c] ფონემის წარმოშობა თურქულ ენებში, მათ შორის აზერბაიჯანულში, საკმაოდ სადავო საკითხია. რიგი მკვლევრები, მათ შორის მ. რიასენინი, ნ. პოპე, კ. მენგესი და ა.მ. შერბაკი, ამტკიცებენ, რომ [c] თანხმოვანი დროთა განმავლობაში განვითარდა პროთურქულიდან [č] ფონემის საფუძველზე. საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს შ.კ. აკბაიევი, რომლის აზრით, სწორედ რთული [c] არქეტიპი უნდა ჩაითვალოს თავდაპირველ ფორმად, რომლისგანაც მოგვიანებით წარმოიშვა შედარებით მარტივი არტიკულაციის მქონე [č] (Акрбаев, 1971).

ამ საკითხზე ჩვენ ვიზიარებთ ლ.პ. მახმუტოვას შეხედულებას, რომლის მიხედვითაც [c] და მასთან პარალელურად არსებული [z] აფრიკატები ისტორიულად თურქულენოვანი არელებისთვის იყო დამახასიათებელი, ხოლო მათი გავრცელება ცალკეულ რეგიონებში განპირობებული იყო სხვადასხვა ისტორიული ფაქტორით (Махмутова, 1978).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ [c] აფრიკატი დამახასიათებელია საბირ-ხაზარების ენისთვისაც, რომელიც ერთ-ერთ თურქულ ენას წარმოადგენდა (Гукасян, 1978). ნ.ა. ბასკაკოვი აღნიშნავს, რომ ხაზარების ენაში სხვადასხვა დიალექტში [č] თანხმოვნის პარალელურად ფუნქციონირებდა [c] თანხმოვანიც (Баскаков, 1960), რაც კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას აღნიშნული ფონემის ისტორიულად ფართო გავრცელების შესახებ.

ცნობილია, რომ ხაზარებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აზერბაიჯანის ისტორიაში. ისინი თითქმის ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში მართავდნენ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე რამდენიმე პროვინციას. V–VI საუკუნეებში, სხვა დიალექტებთან ერთად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელდა ხაზარების ენა, რომელშიც ფიქსირდება [c] თანხმოვნის არსებობა (Qukasyan, 1983). მ. ისმაილოვი ასევე აღნიშნავს, რომ დღევანდელ აზერბაიჯანში [c] აფრიკატის გავრცელება შეიძლება განვიხილოთ როგორც ხაზარულენოვანი გავლენის შედეგი (Исламов, 1979). ამ გარემოებათა ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე დიალექტებში არსებული [c] ფონემა წარმოადგენს ხაზარების ენობრივი სისტემის არქაული ფენების გადმონაშთს.

[c] და [z] თანხმოვნები, მიუხედავად იმისა, რომ არ შედიან აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ნორმებში, წარმოადგენენ დიალექტური ლექსიკური ფონდის არსებით ნაწილს და ასახავენ ენის განვითარების დინამიკასა და რეგიონულ მრავალფეროვნებას. ისტორიული წყაროებისა და თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, აღნიშნული ხმოვნების გავრცელება შესაძლებელია აიხსნას როგორც ხაზარული, ყივჩაღური ან მონღოლური ენობრივი ზემოქმედებით, ასევე ზოგადი კავკასიური ენობრივი კონტაქტებით. მათი პარალელური არსებობა და გამოყენება

მიუთითებს არა მხოლოდ ფონეტიკურ მრავალწახნაგაიანობაზე, არამედ ეთნოლინგვისტურ კავშირებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აზერბაიჯანული ენის რთულ და მრავალშრიან ბუნებას.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში საყურადღებოა ფონემური ცვლილებები, რომლებიც აფრიკატების სისტემურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. კერძოდ, შიშინა აფრიკატ [ჭ]-ს ფუნქციას ამ დიალექტში ითვისებს სისინა აფრიკატი [ჟ], ხოლო შიშინა აფრიკატი [ც] გადადის სისინა ვარიანტში [ც]. აღნიშნული ცვლილება იწვევს ბგერათმონაცვლეობას შემდეგი სახით: [ჭ] → [ჟ], [ც] → [ც]. მაგალითისთვის: *baჭ* → *baჟ* („და“), *ჭუჭა* → *ჟუჟა* („წიწილა“).

ამ ცვლილებათა პარალელურად, აღნიშნული დიალექტის ფარგლებში დაფიქსირებულია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც შუაენისმიერი სპირანტების – [k] და [გ], ფუნქციას ასრულებენ ალვეოპალატალური აფრიკატები - [ც] და [ჭ]. აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს აფრიკატიზაციის პროცესზე, რაც ენობრივად ჯაჭვისებური მოდელით შეიძლება განვაზოგადოთ:

- თუ [k] → [ც], მაშინ [ც] → [ც], მაგ., *kaყ* → *kaყ* („ქაღალდი“); *caj* → *caj* („ჩაი“);
- თუ [გ] → [ჭ], მაშინ [ჭ] → [ჟ], მაგ., *გინ* → *ჭინ* („დღე“); *ჭუჭა* → *ჟუჟა* („ჯუჯა“).

ამრიგად, ბგერათმონაცვლეობა ყაზახურ დიალექტში შეიძლება ჩაითვალოს ჯაჭვისებური აფრიკატიზაციის პროცესად, რომელიც ასახავს დიალექტური ფონოლოგიის დინამიკას და სპეციფიკას.

ფონეტიკური კვლევები და დიალექტური მონაცემები ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანულ ენაში [ც] და [ჟ] ტიპის აფრიკატული თანხმოვნების არსებობა წარმოადგენს არა შემთხვევით მოვლენას, არამედ რთული და ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი სისტემის ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხმოვნები არ ფიქსირდება სალიტერატურო ნორმაში, მათი აქტიური გამოყენება დასავლური დიალექტური არეალების მეტყველებაში მიუთითებს ენაში მიმდინარე ბუნებრივ ცვლილებებსა და შიდა დინამიკაზე.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ [ც] და [ჟ] თანხმოვნები წარმოადგენენ არა მხოლოდ დიალექტური სისტემის ნაწილს, არამედ ისტორიული ენობრივი პროცესების ანარეკლს, რაც მეტყველებს აზერბაიჯანული ენის განვითარების მრავალსაუკუნოვან და მრავალშრიან ხასიათზე. მათი ანალიზი მნიშვნელოვნად შეესაბამება თანამედროვე დიალექტოლოგიის, ფონეტიკისა და ეთნოლინგვისტიკის ძირითად მიზნებს, რადგან ააშკარავებს ენობრივი მემკვიდრეობის შრეებს და კულტურათაშორისი ურთიერთობების კვალს ენაში.

#### ლიტერატურა:

1. Акбаев, Ш.Х. (1971). Сравнительно-историческая метод в тюркологии и генезис балкарского цоканья // Сов. тюркология, №2
2. Баскаков, Н.А (1960). Тюркские языки. Москва: Изд-во восточной литературы
3. Велиев, С.А. Гаджиев, Т.И. (1966). О двух диалектных фактах // Вопросы диалектологии тюркских языков. Т.IV. Баку: Изд-во АН Азерб. ССР
4. Гаджиева, Н.З. (1979). Тюркоязычные ареалы Кавказа. Москва: «Наука»
5. Гарипов, Т.М (1979). Кыпчакские языки Урало-Поволжья. Опыт синхронической и диахронической характеристики. Москва: Наука,
6. Гукасян, В.Л. (1978). Значение Закавказских источников в изучении истории азербайджанского языка дописьменного периода // Сов. тюркология, , №2, с.19-33
7. Исламов, М.И. (1979). Роль диалектных данных в изучении истории азербайджанского языка // Совещание по общим вопросам диалектологии и истории языка. Тез. докл. и сообщ. Москва.
8. Кабардино-Балкарский научно-исследовательский институт. (1962). *Материалы и исследования по балкарской диалектологии, лексике и фольклору: Тексты. Переводы. Комментарии. Словарь* (А. Ю. Бозиев,

- Ред.). Нальчик: Кабардино-Балкарское книжное издательство.
9. Махмутова, Л.П. (1978). Опыт исследования тюркских диалектов. Мишарский диалект татарского языка. Москва: Наука
10. Серебренников, Б.А. Харькова, С.С. (1983). О некоторых эффективных методах исследования проблемы родства тюркских и монгольских языков // Сов. тюркология., №5
11. Тенишев, Э.Р. (1980). Сергей Ефимович Малов (К столетию со дня рождения) // Сов. тюркология., №6
12. Ширалиев, М.Ш. (1965). Кыпчакские элементы в азербайджанском языке // Исследования по грамматике и лексике тюркских языков. Ташкент: Наука
12. Hüseynov A. (1958). *Azərbaycan dialektologiyası*. Bakı: API nəşriyyatı
13. Əzizov, E. (2016). *Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası*. Bakı: Elm və Təhsil. s.77-78
14. Qukasyan V.L. (1983). *Azərbaycan dilinin təşəkkül tarixinə dair qeydlər*. Azərbaycan filologiyası məsələləri. Bakı: Elm
14. Deny, J., Grønbaek, K., Scheel, H., Togan, Z. V. (᠙᠑᠘᠙.). (1959). *Philologiae Turcicae Fundamenta. Tomus Primus*. Wiesbaden: Franz Steiner Verlag.

## Affricates in the Kazakh Dialect of the Western Group of the Azerbaijani Language

Aslanovi Elvira

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### Abstract

The phonetic system of the Azerbaijani language, particularly at the dialectal level, is important for studying linguistic diversity and language development. In Standard Azerbaijani, affricates are limited to two types — [č] (voiceless) and [č̣] (voiced) — which are used in all speech positions and morphological forms. However, the Qazakh dialect of the Western group of Azerbaijani has two additional affricates: [c] and [ɟ]. These affricates do not appear in Standard Azerbaijani and are exclusively used in dialectal speech. They occur in various word positions and suffixes, emphasising their functional significance at the dialectal level.

Researchers suggest that the emergence of these sounds is associated with historical-linguistic influences, particularly contact with Khazars, Kipchaks, Mongols and Caucasian languages. The Qazakh dialect also exhibits chain transformations of affricates, whereby sibilant affricates [č] and [č̣] shift to their non-sibilant counterparts [c] and [ɟ]. These changes have led to the formation of numerous regional variants and parallel phonemic systems, demonstrating the rich and multilayered nature of Azerbaijani phonetics and dialectology. Affricates such as [c] and [ɟ] are not just dialectal phenomena; they also reflect significant ethno-linguistic and historical processes, broadening our understanding of the development and regional diversity of the Azerbaijani language.

**Keywords:** *Affricates, Consonants, Azerbaijani language, Dialect, Sibilant and affricate consonants, Historical-linguistic influence, Turkic languages*

## ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები და მათი ქართული შესატყვისები

ახვლედიანი ციური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

ლომიძე მირანდა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.25>

**აბსტრაქტი.** სტატია იკვლევს ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და მათ ექვივალენტებს ქართულ ენაში, ასევე ხაზს უსვამს კულტურული განზომილების მნიშვნელობას ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაციის დასამყარებლად. სტატიაში მოყვანილია ამ ურთიერთქმედებების კონკრეტული მაგალითები. განსაკუთრებით ის, თუ როგორ შეიძლება რეგიონულმა ენებმა გავლენა მოახდინონ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ენობრივ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. სტატიაში ასევე განიხილულია ფრაზეოლოგიური გამოთქმების ზემოქმედება ორ დონეზე: მიკრო (სინტაგმის შიდა სტრუქტურა) და მაკროსტრუქტურულ (წინადადების გლობალური სტრუქტურა) დონეზე. სტატიაში მოყვანილი მაგალითები ასახავს, თუ როგორ მატებს ეს გამოთქმები სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას გამოყენებულ ენებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისკურსში.

სტატიაში ასევე განხილულია ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმანის ტიპები (სრული, სელექციური, ნაწილობრივი ექვივალენტები და კალკები), რაც ხაზს უსვამს ნიუანსური მიდგომის აუცილებლობას იდიომატური მნიშვნელობის შესანარჩუნებლად.

ტრანსვერსალური პერსპექტივა წარმოაჩენს კულტურის გადაწყვეტ როლს ფრაზეოლოგიური გამოთქმების გააზრებასა და გამოყენებაში, მათ ღრმა კულტურულ ფესვებსა და ღირებულებების, რწმენებისა და ცოდნის გადაცემის უნარს. ხაზგასმულია ინტერკულტურული გავლენებისა და ენობრივი ნასესხობების მნიშვნელობა თარგმანისა და ინტერპრეტაციის სიზუსტისთვის, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ენისა და კულტურის რაობის სიღრმისეულ გააზრებას ფრაზეოლოგიური გამოთქმების ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:** ფრანგული ენა, ფრაზეოლოგიური გამოთქმები, თარგმანი, კულტურათათმორისი ურთიერთქმედებები

ფრაზეოლოგიური გამოთქმები, იგივე ფრაზეოლოგიზმები, ასევე ცნობილი როგორც იდიომატური გამოთქმები ანუ იდიომები, არის გამოთქმები, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური მნიშვნელობა და რომელთა თარგმანა არ შეიძლება სიტყვასიტყვით, კონკრეტული კულტურული რეალიების ან ენობრივი ცნობიერების გათვალისწინების გარეშე. ისინი ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ კომუნიკაციაში და შეიძლება განსხვავდებოდეს რეგიონიდან რეგიონში ადგილობრივი ენობრივი გავლენის მიხედვით. ზოგიერთ ფრანკოფონიურ რეგიონში, ფრაზეოლოგიური გამოთქმები შეიძლება სპეციფიკური იყოს რეგიონში არსებული უმცირესობების ან რეგიონული ენისთვის. ეს გამოთქმები ხშირად გამოიყენება ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი კულტურული და სოციალური რეალობების გამოსახატავად და შეიძლება გამოყენებულ იქნას ოფიციალური ფრანგული ენისგან განსხვავებული კულტურული იდენტობის დასადასტურებლად. თუმცა,

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოფიციალურ და უმცირესობების ან რეგიონულ ენებს შორის ურთიერთობები შეიძლება იყოს რთული და ნიუანსური და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფრაზეოლოგიური გამოთქმებით. უმცირესობების ან რეგიონულ ენებს ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ოფიციალურ ენაზე, წვლილი შეიტანონ ლექსიკისა და ენობრივი კულტურის გამდიდრებაში. გარდა ამისა, ენობრივმა პოლიტიკამ და უმცირესობების ან რეგიონული ენების აღორძინების ინიციატივებმა ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ფრანკოფონიის ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთ ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ხელშეწყობაში.

საფრანგეთში შეინიშნება ურთიერთქმედებები სტანდარტულ ფრანგულ ენას, რომელიც ოფიციალური ენაა, და რეგიონულ ენებს შორის, როგორცაა ბრეტონული, ოქსიტანური ან ალზასური. მაგალითად, ბრეტანის რეგიონში შეიძლება შეხვდეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ბრეტონულ ენაზე, რეგიონულ ენაზე, რომელზეც ბრეტონელი მოსახლეობის ნაწილი საუბრობს. კვებეკში, კანადაში, სადაც კვებეკური ფრანგული გამოიყენება როგორც ფრანგული ენის რეგიონული ვარიანტი, შეიძლება შეხვდეთ ამ რეგიონული ვარიანტისთვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს გავლენა აქვთ ენის როგორც მიკროსტრუქტურულ დონეზე, ანუ სინტაგმის შიდა სტრუქტურაზე, ასევე მაკროსტრუქტურულ დონეზე, ანუ წინადადების გლობალურ სტრუქტურაზე. ეს შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: მიკროსტრუქტურულ დონეზე: გავლენა სინტაგმაზე: ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სიტყვების სტრუქტურასა და თანმიმდევრობაზე სინტაგმის შიგნით. მაგალითად, ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში "à la bonne franquette", სიტყვები "bonne" და "franquette" ჩვეულებრივ გამოიყენება ერთად და ამ კონკრეტული თანმიმდევრობით, რაც ქმნის ფიქსირებულ ერთეულს, რომელშიც სიტყვების გადალაგება შეუძლებელია. ამრიგად, ამ გამოთქმის გამოყენება გავლენას ახდენს სინტაგმის მიკროსტრუქტურაზე ფიქსირებული სტრუქტურის დაწესებით. მაკროსტრუქტურულ დონეზე: გავლენა წინადადებაზე: ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ წინადადების გლობალურ სტრუქტურაზე კონტექსტში მათი გამოყენების შეზღუდვების დაწესებით. მაგალითად, ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში "mettre les pieds dans le plat", რაც ნიშნავს "მწვავე თემის პირდაპირ წამოჭრას", ამ ფიქსირებული გამოთქმის არსებობამ შეიძლება განსაზღვროს მთელი წინადადების სტრუქტურა და ორგანიზება, გარკვეული სიტყვების გამოყენების დაწესებით ან იდეების გამოხატვის მანერის კარნახით. შეჯამებისთვის, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ როგორც მიკროსტრუქტურულ დონეზე, სინტაგმის შიდა სტრუქტურაზე ზემოქმედებით, ასევე მაკროსტრუქტურულ დონეზე, წინადადების გლობალურ სტრუქტურაზე ზემოქმედებით. ამრიგად, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ენის სიმდიდრესა და სირთულეს სიტყვებისა და გამოთქმების სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოყენების მანერაზე ზემოქმედებით.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ დისკურსის გამრავალფეროვნებაში. ისინი საშუალებას იძლევიან ხაზი გაუსვან კონკრეტულ საკითხს და/ან მეტი ექსპრესიულობა შესძინონ ნათქვამს. განვიხილოთ ფრაზეოლოგიური გამოთქმების გამოყენების რამდენიმე მაგალითი დისკურსის გასაღამაზეზღად: "Avoir le cœur sur la main": ეს გამოთქმა ნიშნავს იყო გულუხვი და მზად სხვების დასახმარებლად. იგი გამოიყენება ადამიანში დადებითი თვისების გამოსახატავად. მაგალითი: "Il a le cœur sur la main, toujours prêt à donner un coup de main à ceux dans le besoin."

"Mettre les petits plats dans les grands": ეს გამოთქმა ნიშნავს გამოავლინო ზრუნვა და ყურადღება ღონისძიების ან განსაკუთრებული შემთხვევისთვის მომზადებისას. იგი გამოიყენება დამატებითი ძალისხმევის გამოსახატავად, რათა ყველაფერი იდეალურად იყოს. მაგალითად: "Elle a mis les petits plats dans les grands pour organiser son anniversaire, avec une décoration somptueuse et un repas raffiné."

ფრაზეოლოგიური გამოთქმების სემანტიკური ასპექტები ასევე მნიშვნელოვანია გასათვალისწინებელი. მათი ფიქსირებული ხასიათისა და კონვენციური გამოყენების გამო,

ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ხშირად აქვთ სპეციფიკური მნიშვნელობა, რომელიც არ შეიძლება გამომდინარეობდეს მათი შემადგენელი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობიდან. ფრაზეოლოგიური გამოთქმების მნიშვნელობა ხშირად იდიომატურია და დამოკიდებულია მთლიან გამოთქმაზე და არა თითოეული სიტყვის ინდივიდუალური მნიშვნელობების ჯამზე. ამიტომ, აუცილებელია ფრაზეოლოგიური გამოთქმების კონტექსტური მნიშვნელობის გაგება, რათა ისინი სათანადოდ იქნას გამოყენებული დისკურსში. კონტექსტისა და დისკურსის როლი ასევე გადაწყვეტია ფრაზეოლოგიური გამოთქმების გამოყენებაში. მეტიც, ფრაზეოლოგიური გამოთქმის მნიშვნელობა და რელევანტურობა შეიძლება შეიცვალოს იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ის გამოიყენება და იმ დისკურსის მიხედვით, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს. ამიტომ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ საკომუნიკაციო კონტექსტი, ენის რეგისტრი, ტონი, მოსაუბრის განზრახვა და სამიზნე აუდიტორია ფრაზეოლოგიური გამოთქმების გონივრულად შესარჩევად. შეჯამებისთვის, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს აქვთ ორნამენტული ფუნქცია დისკურსში, რაც მათებს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას გამოყენებულ ენას. მათი სემანტიკური ასპექტები, ისევე როგორც კონტექსტისა და დისკურსის როლი და მნიშვნელობა, არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი ამ გამოთქმების კომუნიკაციაში სათანადო გამოყენებისთვის.

ენაში შეიძლება გამოვყოს ფრაზეოლოგიური გამოთქმების ეკვივალენტების სხვადასხვა ტიპები:

**სრული ეკვივალენტები:** ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებსაც აქვთ პირდაპირი და სრული შესატყვისი სხვა ენაში. გამოთქმის შემადგენელი სიტყვები ეკვივალენტურად ითარგმნება სხვა ენაში, რითაც ინარჩუნებს ორიგინალური გამოთქმის სტრუქტურასა და მნიშვნელობას. მაგალითი: „Être sur la corde raide“ (ფრანგული) ბეწვზე ჰკიდია (ქართული)

**სელექციური ეკვივალენტები:** ეს არის ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც ნაწილობრივ ითარგმნება სხვა ენაში, მაგრამ განსხვავებული სიტყვებით. თუმცა, გამოთქმის საერთო სტრუქტურა და მნიშვნელობა შენარჩუნებულია. მაგალითი: "prendre son courage à deux mains" (ფრანგული) / "pluck up one's courage" (ინგლისური)/ თავის ხელში აყვანა (ქართული).

**ნაწილობრივი ეკვივალენტები:** ეს არის ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებსაც აქვთ ნაწილობრივი შესატყვისი სხვა ენაში. გამოთქმის სტრუქტურა და მნიშვნელობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ორიგინალური გამოთქმისგან. მაგალითი: "sauter du coq à l'âne" (ფრანგული) / "jump from one thing to another" (ინგლისური) / ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა (ქართული); "avoir le coup de foudre" (ფრანგული) / "have the lightning strike" (ინგლისური)/ ერთი ნახვით შეყვარება (ქართული).

**კალკები:** ეს არის ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებიც სიტყვასიტყვით ითარგმნება სხვა ენაზე, ორიგინალური გამოთქმის სტრუქტურისა და მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. გამოთქმის შემადგენელი სიტყვები ითარგმნება ინდივიდუალურად, საწყის ენაში მათი იდიომატური კომბინაციის გათვალისწინების გარეშე. მაგალითი: "faire la sourde oreille" (ფრანგული) / "turn a deaf ear" (ინგლისური)/ წაყრუება (ქართული).

შესაძლებელია სრული ეკვივალენტები და კალკები ერთ ჭრილში განვიხილოთ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკვივალენტების ხარისხი და შესაბამისობა შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტისა და სამიზნე ენის მიხედვით. ზოგჯერ, გამოთქმის მნიშვნელობისა და სტრუქტურის შესანარჩუნებლად აუცილებელია სრული ან სელექციური ეკვივალენტების გამოყენება, ხოლო სხვა შემთხვევებში მისაღებია ნაწილობრივი ეკვივალენტები ან კალკები. ამიტომ, სხვადასხვა ენაზე ამ გამოთქმების თარგმნის ან

გამოყენებისას აუცილებელია ფრაზეოლოგიური გამოთქმების იდიომატური ბუნებისა და შესაბამისი ენების თავისებურებების გათვალისწინება. ლარუსის თანახმად, „იგივე შეგრძნებები, იგივე გრძნობები, იგივე გამოსახულებები ან ანალოგიური შეგრძნებები, გრძნობები, გამოსახულებები - აღნიშნავენ გამოთქმების ამ საერთო და ადამიანურ საფუძველს. „ერების სიბრძნე“ ხშირად იმავე რიგისაა და მსგავსი ან იდენტური გამოთქმები ამის დასტურია.“ (Larousse.2007, 9), მაშ, რატომ ამბობენ ფრანგები "filer à l'anglaise", ხოლო ინგლისელები უფრო "à la française" (to take French leave)-ს ამჯობინებენ? რამდენად ამბაფრებს ეს არსებულ ანტაგონიზმებსა და მეტოქეობებს? თარგმანის შედეგად ფრაზეოლოგიური გამოთქმების ევოლუცია შესაძლოა მართლაც განიცადოს გავლენას ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობებით, ანუ სხვადასხვა ენასა და კულტურას შორის ძალაუფლების ურთიერთობებით. თქვენ მიერ მოყვანილი მაგალითი ფრანგული გამოთქმისა "filer à l'anglaise" და ინგლისური "to take French leave" საინტერესოა, რადგან ის ხაზს უსვამს, თუ როგორ შეუძლიათ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ასახონ ანტაგონიზმები და მეტოქეობები ენებსა და კულტურებს შორის. ამ შემთხვევაში, ფრანგული გამოთქმა "filer à l'anglaise" ნიშნავს ფარულად წასვლას დამშვიდობების ან ყურადღების მიქცევის გარეშე, ხოლო ინგლისური ეკვივალენტური გამოთქმა "to take French leave" ნიშნავს უტაქტოდ, დამშვიდობების ან ნებართვის გარეშე წასვლას. ამ გამოთქმების გამოყენება ორივე ენაში შეიძლება აღქმულ იქნას როგორც საფრანგეთსა და ინგლისს შორის ისტორიული და კულტურული ურთიერთობების, სტერეოტიპებისა და ერთ-ერთ ქვეყანასთან დაკავშირებული უარყოფითი აღქმების ასახვა. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიური გამოთქმები რთულია და შეიძლება დამოუკიდებლად განვითარდეს სხვადასხვა ენაში, იმ კულტურული, სოციალური და ენობრივი კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ისინი გამოიყენება. ზოგჯერ, ერთი ენის ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში განსხვავებები შეიძლება მიეკუთვნებოდეს იდიომატურ ვარიაციებს ან სპეციფიკურ ენობრივ გავლენებს, და არა აუცილებლად ასახავდეს ანტაგონიზმებს ან მეტოქეობებს კულტურებს შორის. ამიტომ, ფრაზეოლოგიური გამოთქმების ანალიზისა და თარგმანის პროცესში მათი ევოლუციის გათვალისწინებისას აუცილებელია ენებისა და კულტურების დინამიკური ბუნების, ასევე თითოეული ენისა და გამოყენების კონტექსტის სპეციფიკის გათვალისწინება. არ უნდა მოხდეს ენებსა და კულტურებს შორის ურთიერთობების განზოგადება ან ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა მხოლოდ გარკვეული ფრაზეოლოგიური გამოთქმების საფუძველზე, არამედ ისინი უნდა ჩაითვალოს ინტერკულტურული კომუნიკაციის რთულ და ნიუანსურ ელემენტებად.

კულტურული რეალიები არსებით როლს ასრულებს ფრაზეოლოგიური გამოთქმების გაგებასა და გამოყენებაში. ფრაზეოლოგიური გამოთქმები ხშირად ღრმად არის ფესვგადგმული კონკრეტული ენის კულტურაში და მათ შეუძლიათ გადმოსცენ ამ კულტურისთვის სპეციფიკური ღირებულებები, რწმენები, ტრადიციები და ცოდნა. ამიტომ, მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთობების გაგება ტრანსვერსალურ პერსპექტივაში, ანუ სხვადასხვა კულტურისა და ენობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

**რამდენიმე მაგალითი:**

- Faire la sourde oreille წაყრუება
- Mettre la charrue avant les bœufs საქმის უკუღმა კეთება
- Donner un coup de main ხელის წაშველება
- Avoir la tête dans les nuages ღრუბლებში დაფრინავს
- Avoir la langue bien pendue ენით ზურგს იფხანს
- Avoir le moral dans les chaussettes ცხვირჩამოშვებულია
- Mettre de l'huile sur le feu ცეცხლზე ნავთს ასხამს
- Avoir les yeux plus gros que le ventre თვალი ჭამს და თვალი სვამს
- Avoir un chat dans la gorge ყელში ბურთი გაეჩხირა
- Avoir le cœur sur la main გულუხვი

Avoir le diable au corps ემბაკი შეუჩნდა

Être comme un poisson dans l'eau როგორც თევზი წყალში

Mettre les voiles აფრები აუშვა

Avoir la tête sur les épaules თავიანია, თავი მხრებზე ადგას

Avoir les pieds sur terre მიწაზე მყარად დგას

Être un vrai panier percé ძირგავარდნილი ქვევრია

Quand les poules auront des dents როცა ვირი ხეზე ავა

La semaine des quatre jeudis; remettre aux calendes grecques; un de ces quatre უშაბათო კვირაში

დავამატოთ, რომ ამ გამოთქმას, შესაბამისად, არ აქვს მკაცრი ეკვივალენტები უცხო ენებში. ინგლისელები ამბობენ "when pigs fly", ესპანელები - "cuando las ranas crier pelo", ხოლო გერმანელები - "wenn Fische fliegen lernen". ეს მაგალითები ასახავს ფრანგულენოვანი ფრაზეოლოგიური გამოთქმების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ფრანგულ ენაში და წარმოადგენს ყოველდღიური კომუნიკაციის განუყოფელ ნაწილს. ერთი ენიდან მეორეზე ფრაზეოლოგიური გამოთქმების თარგმნის ან ინტერპრეტაციისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენებს შორის კულტურული განსხვავებების გათვალისწინებას. ზოგიერთ გამოთქმას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ეკვივალენტები სხვა ენებში, ზოგს კი შეიძლება დასჭირდეს ადაპტაცია ან კულტურული ახსნა სამიზნე ენაში სწორად გასაგებად. მაგალითად, ფრანგულ გამოთქმას "être dans les petits papiers de quelqu'un" აქვს პირდაპირი ეკვივალენტი ინგლისურში - "to be in someone's good books", მაგრამ შეიძლება საჭირო გახდეს ამ გამოთქმის კულტურული მნიშვნელობის ახსნა არა ფრანგულენოვანი მოსაუბრეებისთვის, რათა მათ სრულად გაიგონ მისი მნიშვნელობა. გარდა ამისა, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს შეუძლიათ ასახონ ენობრივი საზოგადოების კულტურის სპეციფიკური ასპექტები, როგორცაა მისი ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, სამხარეულო, სოციალური ტრადიციები და ა.შ. მაგალითად, კვებეკური გამოთქმა "tomber dans les pommes", რაც ნიშნავს "გულის წასვლას", დაკავშირებულია კანადის კვებეკის რეგიონის კულტურასთან, სადაც ვაშლის მოყვანის კულტურაა გავრცელებული. ამ კულტურული ასპექტების გაგება საშუალებას იძლევა სრულად ჩავწვდეთ ფრაზეოლოგიური გამოთქმების მნიშვნელობასა და გამოყენებას მათ ორიგინალურ კონტექსტში. ტრანსვერსალურ პერსპექტივაში ასევე მნიშვნელოვანია ინტერკულტურული გავლენებისა და ენობრივი ნასესხობების აღიარება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში. კულტურები მუდმივად ვითარდება და ენები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ახალი გამოთქმების გაჩენა ან სხვა ენების ფრაზეოლოგიური გამოთქმების მიღება. მაგალითად, თანამედროვე ინგლისური ენა იყენებს მრავალ უცხოური წარმოშობის გამოთქმას, როგორცაა "c'est la vie" (ფრანგულიდან) ან "faux pas" (გერმანულიდან). ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში ამ ინტერკულტურული გავლენების გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ზუსტ და ნიუანსურ თარგმანსა და ინტერპრეტაციას.

**დასკვნა:** სხვადასხვა მაგალითების შესწავლის შედეგად დავინახეთ, თუ როგორ ასახავენ და აყალიბებენ ფრაზეოლოგიური გამოთქმები კულტურულ და ენობრივ დინამიკას, ამასთან ხაზს უსვამენ კულტურული განზომილების მნიშვნელობას ეფექტურ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში. ჩვენ ასევე გავამახვილეთ ყურადღება ფრაზეოლოგიური გამოთქმების ზემოქმედებაზე, რომელიც გაანალიზებულია მიკროსტრუქტურულ და მაკროსტრუქტურულ დონეზე. სინტაგმების შიდა სტრუქტურაზე და წინადადებების გლობალურ კონსტრუქციაზე მათი გავლენა ხელს უწყობს ენის თვით დინამიკას. ფრაზეოლოგიური გამოთქმების თარგმანი, რომელიც განხილულია სრული, სელექციური, ნაწილობრივი ეკვივალენტებისა და კალკების მეშვეობით, ხაზს უსვამს ნიუანსური მიდგომის აუცილებლობას იდიომატური მნიშვნელობის შესანარჩუნებლად, რაც ხსნის მჭიდრო კავშირს ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობებსა და თარგმანის გზით ფრაზეოლოგიური გამოთქმების

ევოლუციას შორის. მიღებულმა ტრანსვერსალურმა პერსპექტივამ საშუალება მოგვცა ხაზი გაგვესვა კულტურის გადამწყვეტი როლისთვის ფრაზეოლოგიური გამოთქმების გაგებასა და გამოყენებაში. ეს გამოთქმები, ღრმად ფესვგადგმული კულტურაში, გადმოსცემენ თითოეული ენობრივი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს, რწმენებსა და ცოდნას. ინტერკულტურული გავლენებისა და ენობრივი ნასესხობების აღიარება ხაზს უსვამს ენებსა და კულტურებს შორის მუდმივ დინამიკას, რაც ხელს უწყობს ახალი გამოთქმების ფორმირებასა და ურთიერთგამდიდრებას და საშუალებას გვაძლევს სიღრმისეული კვლევა გავაგრძელოთ ამ მიმართულებით.

#### წყაროები:

- Ackerman B. P. (1982). On comprehending idioms. *Journal of Experimental Child Psychology*, 33, 439-454.
- Glucksberg S. , Newsome M. R. , & Goldvarg Y. (2001). Inhibition of the literal: Filtering metaphor-irrelevant information during metaphor comprehension. *Metaphor and Symbol*, 16, 277-293
- Lacroix A. , Aguert M. , Dardier V. , Stojanovik V. , & Laval V. (2010). Idiom comprehension in French-speaking children and adolescents with Williams syndrome. *Research in Developmental Disabilities*, 31, 608-616.
- Qualls C. D. , Treaster B. , Blood G. W. , & Hammer C. S. (2003). Lexicalisation of idioms in urban fifth graders: a reaction time study. *Journal of Communication Disorders*, 36, 245-261.

## French Phraseological Units and Their Georgian Equivalents

**Akhvlediani Tsiuri**

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

**Lomidze Miranda**

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

### Abstract

The article explores French phraseological units and their equivalents in the Georgian language, while also emphasizing the importance of the cultural dimension in establishing effective intercultural communication. It presents specific examples of these interactions, particularly illustrating how regional languages can influence idiomatic expressions, thereby contributing to linguistic richness and diversity.

The article also examines the impact of phraseological expressions on two levels: the micro level (the internal structure of the syntagm) and the macrostructural level (the global structure of the sentence). The examples provided demonstrate how these expressions enrich the languages in which they are used and play a significant role in discourse.

Furthermore, the article discusses the types of translation for phraseological units—complete, selective, partial equivalents, and calques—highlighting the necessity for a nuanced approach to preserve idiomatic meaning.

A transversal perspective reveals the crucial role of culture in the understanding and usage of phraseological expressions, their deep cultural roots, and their capacity to convey values, beliefs, and knowledge. The importance of intercultural influences and linguistic borrowings is underscored for achieving accuracy in translation and interpretation, ultimately contributing to a deeper understanding of the essence of language and culture through the lens of phraseological expressions.

**Keywords:** *French language, phraseological expressions, translation, cross-cultural interactions*

## ლექსიკური შეხვედრები V-XVIII ს.ს. სამწერლობო ქართულსა და სამხრულ დიალექტებში

ზარამიძე მაია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.26>

**აბსტრაქტი.** გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის ინტენსიური შესწავლა. კვლევებმა აჩვენა, რომ ჭოროხის აუზში ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ხეობის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც... მათი მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ **სამხრულ დიალექტებს** ან **სამხრულ მეტყველებას**. შესაბამისად, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით **სამხრულ კილოებს** ქმნიან **აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური**.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზეა აჭარული დიალექტი, კლარჯულის (სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი) და შავშურის ნაწილი (ისტორიული შავშეთის - მაჭახლის ხეობის ქვემო წელი). სამხრული დიალექტების ძირითადი ნაწილი კი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ამიტომ ბევრგან ქართული დავიწყებულია, მაგრამ გადარჩენილ ქართულს საინტერესო ფორმები და ლექსიკური ერთეულები შემოუნახავს.

სამხრულ დიალექტებში შემორჩენილი ზოგიერთ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა ემთხვევა V-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში დადასტურებულ სიტყვათა მნიშვნელობებს. ნაშრომში განვიხილავთ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს:

**განქარვება – გაქრობა’, გაფანტვა’:** ღმერთმა **გიგიქაროს**, რაცხა დერდი გაქ.

**შეცევა – შებრუნება’:** კარში არ გულშეგბდით, არ **შუუქციოსო**.

**მოდრეკა, მოდრეკილი, მოდრეკილობა – დამდაბლება’, დახრა’, მუხლის მოყრა’; მოხრილობა’:** შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, **მოდრეკილი** შეველ.

**ცუდი – ფუჭი’, უქმი’:** **ცუდე** რამ მარები.

**ძელი/შეშა – ხე’, ფიცარი’:** **ძელის** სახლებ გავაკეთებდით; **შიშის**(<შეშის) მუხი გააკათავდენ.

**ჯინჭველი – ჭინჭველი’:** **ჯინჭველია**, ანტეროლლი ანტერი!

**მზის-თუალი – მზე’:** ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან **ზითვალია**; **ბზითუალი** ჩევდა, გო, არ შეგეწყინა?

**სული – სუნი’:** რა კად **სული** გიდისო.

**ტაროსი – ამინდი’:** **ტაროსები** აცივდება, წავალთ;

სამხრულ მეტყველებაში იძებნება არაერთი სხვა სიტყვა, რომლებიც დასტურდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, რაც სამხრული დიალექტებისა და ქართული სამწერლობო ენის მიმართების შესასწავლად მნიშვნელოვანი მასალაა.

**საკვანძო სიტყვები:** სამხრული დიალექტები, აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური, არქაული ლექსიკა, ქართული სამწერლობო ენა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ჭოროხის ხეობის მკვიდრთა და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორის, ყოფის ინტენსიური შესწავლა.

დაგროვდა ბევრი ახალი მასალა. კვლევებმა აჩვენა, რომ ჭოროხის აუზში ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი... ხეობის მოსახლეობას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც... მათი მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია, ახასიათებთ საერთო ფონეტიკური და გრამატიკული გარდაქმნები, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ამიტომაც „გამოვყოფთ მათ ქართული ენის დიალექტთა ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ **სამხრულ დიალექტებს** ან **სამხრულ მეტყველებას**“ (ცინცაძე, ფაღავა, 1998; ფაღავა, 2003; შავშური, 2022...). სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებიც არსებობს (იხ. მარტიროსოვი, 1972; ფუტკარაძე, 1987; ფუტკარაძე, 1995; ჯორბენაძე, 1989; გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961...).

ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფის სურათი შეიცვალა, შესაბამისად – ტერმინოლოგიაც, კერძოდ, შემოგვაქვს ტერმინები: **შავშური დიალექტი** კილოკავებით: **იმერხელი, მაჭახლური; კლარჯული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული** (ლივანური); **ტაოური დიალექტი; აჭარული დიალექტი** კილოკავებით: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური** (ფაღავა, 2013: 136-141).

ქართულ ენათმეცნიერებაში ცალკე დიალექტად გამოიყოფენ მუჰაჯირთა მეტყველებას (ფუტკარაძე, 1993; 1995). მუჰაჯირთა მეტყველება არაა ერთიანი, შესაბამისად, იგი ცალკე დიალექტად ვერ გამოიყოფა, მაგრამ არის ძვირფასი მასალა სამხრული დიალექტების შესასწავლად.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზეა აჭარული დიალექტი, კლარჯულის (სამი სოფელი: მირვეთი, ქვემო მარადიდი, კირნათი) და შავშურის ნაწილი (ისტორიული შავშეთის - მაჭახლის ხეობის ქვემო წელი). სამხრული დიალექტების ძირითადი ნაწილი კი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ამიტომ ბევრგან ქართული დავიწყებულია, მაგრამ გადარჩენილ ქართულს საინტერესო ფორმები და ლექსიკური ერთეულები შემოუნახავს.

დიალექტებში არქაიზმების გამოვლენა მნიშვნელოვანია ენის ისტორიის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი ყოველთვის იქცევა სპეციალისტთა ყურადღებას.

სამხრულ დიალექტებში გავრცელებული ბევრი სიტყვის მნიშვნელობა ემთხვევა V-XVIII საუკუნეების სამწერლობო ქართულში დადასტურებულ სიტყვათა მნიშვნელობებს.

● **განქარ(ვ)ება** – ხშირად გვხვდება ძველ ქართულში. ილ. აბულაძე ძველი ქართული ენის ლექსიკონში მის რამდენიმე მნიშვნელობას მიუთითებს: **დაშლა, მოშლა; დარღვევა, დახსნა; გაქრობა, გაფანტვა; შეფერხება, დაბრკოლება; „განქრევა“, „მოსპობა“** (აბულაძე, 1973:72). იმოწმებს მაგალითებს წერილობითი ძეგლებიდან: „რომელმან-იგი **განაქარვა** სიკუდილი“ II ტიმ. 1,10; „ვითარცა ნისლი **განქარდეს**“ სიბრძ. სოლ. 2,4...

გაქრობის’, გაფანტვის’ მნიშვნელობით ხშირად გვხვდება კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეულ და პეტრე გელათელისეულ ქართულ პროზაულ თარგმანებში:

დუმილმან იესუდსმან სირცხულ-ყო პილატე და ჯელმან კაცისა მდუმარისამან **განაქარვა** ცუდი დიდება (კლემაქსი, 2024:424); ხოლო რომელნი არა ჯერისაებრ აღასრულებდენ მას, ესე არს სიგლახაკისა მათისა სახე: აღორძინება გულისწყრომისა; დაუნჯება ძვრისცსენებისა; სიყუარულისა **განქარვება** (კლემაქსი, 2024: 674); ლოცვად არს მის ძლითისაებრ ვიდრემე მოქმედებისა თანამყოფობად და შეერთება კაცისა და ღმრთისა; ...გულისწყრომისა **განქარვება** (კლემაქსი, 2024:693).

გაქრობის’, გაფანტვის’ მნიშვნელობით მისი სინონიმია **განქრევა**. ილ. აბულაძეს მოჰყავს მაგალითი პარალელური რედაქციებიდან: „ვითარცა აღმურმან **განაქარვნეს** იგინი“ ps. – „ვითარცა არმურნი **განაქრინეს** იგინი“ O, სიბრძ. სოლ. 5,24.

**განქარვება**’ გაქრობას’, გაუჩინარებას’ ნიშნავს ზოსიმეს „სწავლას“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში: **განქარდა** ბოროტი იგი განზრახვად მათი. პარალელურ რედაქციაში, თეოფილე ხუცესმონაზონისეულ თარგმანში გვაქვს **ცუდ, ამაო ქმნა**’ (=უსარგებლოდ ქცევა): **ცუდ იქმნა და ამაო** განზრახვად მათი (ზარამიძე, 1999:24).

შავშურ დიალექტში გვაქვს **გაქარება** (**განქარ(ვ)ება**) არქაული გაქრობის, გაფანტვის, გაუჩინარების მნიშვნელობით: *ღმერთმა გიგიქაროს, რაცხა დერდი გაქ.*

● **შექცევა** – **ქცევას** ძველ ქართულში სხვადასხვა ზმნისწინით სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: **მიქცევა** – მიბრუნება; **მოქცევა** – მობრუნება; **შემოქცევა** – შემობრუნება; **შექცევა** – შებრუნება.

იესუ სავსე სულითა წმიდითა **მოიქცა** იორდანით (ლ.4,1); მოკითხვად ეგე შენი შენდავე **მოიქცენ**... (შუშ. II, 11); **მოიქციან** ერთობით სადგურადვე თვსად (ექუსთ. 102, 22).

კლარჯულში გვაქვს **შექცევა**, ნიშნავს **შებრუნებას**, ამბობენ ავადმყოფობაზე - არ შეაბრუნოსო:

*კარში არ გუუშვებდით, არ **შუუქციოსლ**.*

აჭარულში არა გვაქვს **მოქცევა**, **მიქცევა**, მაგრამ არის **ფეხნაქცევა** და ნიშნავს გათხოვილი ქალის ქორწილის შემდეგ პირველად მისვლას მამისეულ ოჯახში (**მიბრუნებას, მობრუნებას**), ასევე სიძის პირველ სტუმრობას სიძამრის ოჯახში (ნოლაიდელი, 1976:22).

**ფეხნაქცევა** რომ მუა, მაშინ შევჯერებ გულს, ყოლიფერს ვეტყვი; გოგო გიგითხვებია, **ფეხნაქცევა** არ ყოფილა?

შ. ფუტკარაძე „ჩვენებურების“ მეტყველებაში ადასტურებს აღნიშნულ სიტყვას და განმარტავს: „**ფეხნაქცევა** – გათხოვილი ქალის პირველად მისვლა მამისეულ ოჯახში, რომელიც ჩვეულებრივ ორმოცი დღის შემდეგ ხდება“:

*ძალი **ფეხნაქცევა** წეიყუანეს და ერთ-ორ კვირას არ იქნება* (ფუტკარაძე, 1993; შდრ. ნიჟარაძე, 1971).

● **მოდრეკა, მოდრეკილი, მოდრეკილობა** – **დამდაბლება**, **დახრა**, **მუხლის მოყრა**; **მოხრილობა**: „**მომიდრეკე** სარწყული შენი, რათა ვსუა“ O, დაბ. 24,14; „ყოველი მჭარი, **მოდრეკილი**“ O, ეზეკ. 29,18; „**მოდრეკილობა** ნიკარტისა მისისაა“ ბ. კეს. ექუს. დღ. 111,26 (აბულაძე, 1973:262).

**მოდრეკა**, **მოდრეკილი** გვხვდება კლარჯულში ძველ სალიტერატურო ქართულში გავრცელებული მნიშვნელობით – **მოხრა**, **მოხრილი**:

*შუამთაში შეველ, ეკლესია დაბალი იყო, **მოდრეკილი** შეველ.*

● **ცუდი** – განიმარტება, როგორც **ფუჭი, ცრუ, უქმი**, პარალელურ რედაქციებში ენაცვლება „**ცალიერი**“, „**ამაო**“, „**ამაოება**“, „**უსამართლო**“: „წარავლინეს იგი **ცუდი** (**ცალიერი**DE)“, მრ. 12,3; „ყოველითავე **ცუდ** არს (**ამაო** არს ო) ყოველი კაცი ჯორციელი“ ფს. 38,6; „მომიძულეს მე **ცუდად**“ ი. 15,25 – „მომიძულეს მე უსამართლოდ“ ფს. 37,20... **ცუდადი** – **ამაო, ცრუ**: „ცუნდრუკება **ცუდადი** უძვრეს არს სიკუდილისა“ O, ზირ. 26,6 (აბულაძე, 1973:520).

კლარჯულში გვაქვს **ცუდე** არქაული მნიშვნელობით: **ამაოდ**, **ტყუილად**: **ცუდე** რამ დარები.

● **ძელი** – ძველ ქართულში სინონიმებია **ძელი**, **შეშა**, **ხე**: „მოეგო კათხად ერთი **ძელისა**“ ლიმ. 26, 13; „შჯობს ცხორება გლეხისა სართულთა ქუეშე **ძელისათა**“ O, ზირ. 29,29 (აბულაძე, 1973:524).

**ხე** და **ძელი** პარალელურ რედაქციებში ენაცვლებიან ერთმანეთს: „უკუეთუ **ძელსა** ნედლსა ამას უყოფენ, ჳმელსა მას რად-მელა უყონ?“ ლ. 23, 31C – „უკუეთუ ნედლსა **ხესა** ესრეთ უყოფენ, ჳმელსა მას რად-მე ეყოს“ DE (აბულაძე, 1973:524).

„დაუტეო თავი შენი, ვითარცა **შეშა** ჳმელი“ O, ზირ. 6,3; „არარად მოიგო ყოვლად საჭმართაგან ამის სოფლისათა თვნიერ პალეკარტი ფლასისა და ერთი ჳილი და ერთი თასი **შეშისა**“ მ. ცხ. 167r (აბულაძე, 1973:494).

**შეშა/შეშა** არქაული მნიშვნელობით (**ხე**) ფართოდ არის გავრცელებული თურქეთის კლარჯულში, საერთოდ სამხრულ კილოებში, გარდა აჭარულისა. არ გვხვდება იგი კირნათ-მარადიდის მეტყველებაში (ბარამიძე, 2024:73).

აღსანიშნავია, რომ აჭარულშიც **ხე** და **ძელი** (ფიცრის მნიშვნელობითაც) ენაცვლებიან ერთმანეთს:

*სახლისთინ **ხიები** მუუტანია; **ხის** სახლი კაია ჳამთელობიზა; **ძელები** დუუწყია ჳიშკართან; ერთი **ფიცრის** სახლი ქონებია* (ცინცაძე, ფაღავა, 1998: 135).

კლარჯულ დიალექტშიც **ძელი** ისევე როგორც **შემა** გამოიყენება არქაული მნიშვნელობით – **ხე**, **ფიცარი**: *ძელის სახლებ გავაკეთებდით.*

როგორც ვხედავთ, სამხრულ კილოებს შემოუნახავთ ძველი ქართულის ვითარება.

● ძველი ქართული **მზის-თუალი** არის ამოსავალი სამხრულ დიალექტებში – კლარჯულსა და ტაოურში, სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულისა – **ზითუალი/ზითუალი/ზითვალი**.

**მზის-თუალი – მზე**: „ვერ იხილოს ნათელი **მზის-თუალისა**“ ფიზ. 1,6; „განანათლოს ყოველი ქუეყანა უფროდს **მზის-თუალისა**“ მ. სწ. 212,13 (აბულაძე, 1973:238).

სამხრულ მეტყველებაშიც **ზითუალი/ზითუალი/ზითვალი** ერთგნებანი კომპოზიტია, აღნიშნავს **მზეს**, **მზიან ამინდს**:

*ერთი-ორი დღე ცივია, იმის უკან **ზითვალია**. **ზითვალი** იქიდან აშუა, აქდა ჩვედეს; **ზითვალი** ჩეერბინა, თან გავადე და წამუელი; **ზითუალი** ჩეედა, გო, არ შეგეწყინა? **ზითვალი** ჩანს, დალამდა (კლარჯ.); „ვიცი თვარე, ზე, **ზითუალიც** ვიცი“ (ტაო).*

**მზისთუალი** ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში:

უბრწყინვალეს არიან **მზისთუალისა** (კურიაკ. 211); ... ექუსთა მათ დღეთა ვერ კელ–ეწიფის ზე ახილვად და ხილვად **მზისთუალისა** (იქვე, 211); უფროდს ბრწყინვალეებასა **მზისთუალისასა** განჰფინა ბრწყინვალეება იგი სახარებისა თვისისა ყოველთა ცის კიდეთა და ვითარცა **მზის-თუალმან**... ერთბამად შთააცვს სამკაულისა მისისა დაბადებულთა... რამეთუ **მზისთუალმან** ბრწყინვალეებად თვისი დღისი ხოლო აჩუენოს (უდაბნ. მრ. 252, 9).

ბ. გიგინეიშვილს „**მზითუალი**“ მიაჩნია მსაზღვრელ–საზღვრულის „ერთგნებანი კომპოზიტად ქვევის ძალზე საინტერესო შემთხვევად“ (გიგინეიშვილი, 1983: 88). ავტორი ასახელებს ამ სიტყვის ხმარების მრავალ მაგალითს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან, მიუთითებს მის მნიშვნელობებზე – **მზე**, **მზის ბირთვი**, **სფერო**, **მზის სხივი** და ეტიმოლოგიურად უკავშირებს ერთმანეთს „**თუალსა**“ და „**მზეს**“, ასაბუთებს ქართული **მზისთუალის** სომხურიდან მომდინარეობის მოსაზრების მცდარობას (მარი, ჰრ. აჭარიანი). სხვა ენების (ირლანდიური, ბერძნული, ლათინური) მონაცემებთან ერთად იმოწმებს იმასაც, რომ **მზისთუალი** გვხვდება არა მარტო წერილობით ძეგლებში, არამედ შემორჩენილია ავღრინობის საწინააღმდეგო ძველი რიტუალის – ქართლ-კახური „ლაზარობის“ სასიმღერო ტექსტში (მიუთითებს ივ. ჯავახიშვილს). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ **მზისთუალი** (**ზითუალი/ზითუალი**) ქართული ენის მხოლოდ სამხრულ დიალექტებშია შენახული. იგი აქ ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულია. სამხრულ დიალექტებში ამ სიტყვის არსებობა კიდევ ერთ დამატებით საბუთად შეიძლება გამოდგეს ბ. გიგინეიშვილის მტკიცებისათვის (**მზის-თუალის** წარმომავლობის შესახებ იხ. აგრეთვე მაგალობლიშვილი, 1985:21).

● დღევანდელი სალიტერატურო ქართულის **ქიანჭველას** ნაცვლად სამხრულ მეტყველებაში არის **ჯინჭველი**. **ჯინჭველი** არქაულია.

**ჯინჭველი – ჭინჭველი**: „იქმენ ვითარცა **ჯინჭველი**, მ მცონარო“ M, იგ. სოლ. 6,6 (აბულაძე, 1973:574).

რამსაებრ უკუე განეყოფვის კაცი **ჯინჭველსა**? (ამონ. ერმ. 92,34); **ჯინჭველი** შეიპყარ (სიბრძ. 7); მცონარს სოლომონ ამაგებს, **ჯინჭველი** მოსწონს ქებითა (ქილ.დამ. 3).

***ჯინჭველია**, ანტეროლი ანტერი! (კლარჯ.); **ჯინჭველმა** გიკბინა, დეგანჯან, **ჯინჭველმა**? აქ ბევრი **ჯინჭველა** არი (შავშ.).*

იგი ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელთაც ძველ ქართულში ფუძე თანხმოვანზე უთავდებოდათ, დროთა განმავლობაში კი იქცნენ ხმოვანფუძიანებად (მანჯგალაძე, 1956:171-186).

აჭარულში გავრცელებულია ხმოვანფუძიანი ვარიანტი:

*ერთ ტიალ მინდორზე იმტენი ხალხია მოყრილი, რომ **ჯინჭველა** არ ჩავარდება.*

● **სული – სულს** ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „კაცი“, „გუამი“, „თავი“; თავისთავი; ჰაერი, ქარი, სუნთქვა, „ორთქლი“; სუნი; ბოროტი სული; სული წმიდა: „შორითვე **სული** ეცის ბრძოლისა“ O, იობ. 39, 25; „ვითარცა-იგი რაჟამს იყნოსი **სული** მძორისა,

მუნთქუესვე დაიბურნი საყნოსელნი შენნი“ მ.სწ. 259, 13... (აბულაძე, 1973:404).

ჩვენთვის საყურადღებო მნიშვნელობაა **სუნი**<sup>1</sup>. ამ მნიშვნელობით **სული**<sup>2</sup> ფართოდაა გავრცელებული სამხრულ დიალექტებში:

*ლორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? **სული** უდის; რა ლამაზათ ყარს! რა ლამაზი **სული** აქს! ყრალი **სული** უდინს ანწლის ფურცელ; გასხნა კონსერი, დადგა ბეთი **სული** (შავშ.); რა ჯობია მაისის ვარდის **სულს**; რაცბა დაწვილი ჭინჭის **სული** მცემს...(აჭარ); ქვილის **სული** წუფვა; ჰამა გოგომ „ყარსო“ განა არ უთხრა მეგერ, „რა კა **სული** გიდისო“; „ფუ, რა ბეთი **სული** გიდისო“ (კლარჯ.); **სული** არ არი...; შაჲ ყურძენი არი აქ, **სულიან** ყურძენ ეტყვიან იმა; **სული** აქვა, დასუნავ - **სული** აქვა; ათი სანთიმი ტალახი'ნა დაასხა, ბოსლიდამ **სული** არ გამოადესო (ტაო).*

იხ. ასევე: **სულნელება, სურნელება** – სუნი<sup>3</sup>, სურნელოვნება<sup>4</sup>: სახლი იგი ადივსო **სულნელებითა (სურნელებითა C)** მით ნელსახებლისაფთა ი. 12,3 (აბულაძე, 1973:405).

გარდა სუნისა<sup>5</sup> **სული**<sup>6</sup> **სულსაც**<sup>7</sup> ნიშნავს: *გ ზევნარმა ამართვა **სული**...*

არნ. ჩიქობავას სუნ-სულ-ის სემასიოლოგიური დიფერენციაცია მეორეულ მოვლენად მიაჩნია, „თავდაპირველად მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ (შდრ. სულ-ნელ-ი, აქედან: სურნელება): სულ- აქ სუნ-ს ნიშნავს“ (ჩიქობავა, 1942:43, შნშ.1).

● **ტაროსი** – ჰავა<sup>8</sup>: მოელიან მომზავებელსა... **ტაროსსა** მ. ცხ. 198v (აბულაძე, 1973: 411).

**ტაროსი**<sup>9</sup> გვხვდება სამხრულში ოლონდ **ამინდის**<sup>10</sup> მნიშვნელობით: ***ტაროსები** აცივდება, წავალთ; ხედავ, **ტაროსმა** მეძაზებდა; თუ **ტაროსი** კაჲა, კარში მივართვამთ [საჭმელს]; იტყვიან: „კაი **ტაროსია**“, „**ტაროსი** მომლილია“ (კლარჯ.); თუ გონჯი დარი დარჩა, იმ წელწაც გონჯი **ტაროსები** იქნება და მოსავალიც ნაკლები მუა; ზამფხულობით, თიბილ **ტაროსეფში**, საქონელ გარეთ ვაჩერეფთ ჰაღილოში; წრევანდელი **ტაროსები** არ მომწონს (აჭარ).*

სამწერლობო ქართულისა და სამხრული დიალექტების ლექსიკური შეხვედრები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული სალიტერატურო ენისა და სამხრული დიალექტების ურთიერთმიმართების შესასწავლად, ასევე ფაქტია იმისა, რომ მნიშვნელოვანია სამხრული მეტყველების წვლილი სამწერლობო ქართულის ჩამოყალიბებაში.

#### **ლიტერატურა და წყაროები:**

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. მეცნიერება.

ბარამიძე, მ. (1999). ზოსიმეს „სწავლას“ ქართული თარგმანები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო შია ბარამიძემ. I. მონოგრაფია. ბათუმი: ბსუ გამომცემლობა.

ბარამიძე, მ. (2024). ზოგიერთი ლექსიკური არქაიზმი სამხრულ დიალექტებში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, პროგრამა და მოხსენებები: 71-74.

გიგინეიშვილი, ბ. (1983). მასალები ქართული ენის ეტიოლოგიური ლექსიკონისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2: 85-90.

გიგინეიშვილი, ბ. თოფურია, ვ. ქავთარაძე, ივ. (1961). ქართული დიალექტოლოგია. მონოგრაფია. თბ.

მანჯგალაძე, ა. (1956). -ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის აგებულებისათვის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში: 171-186.

მარტიროსოვი, ა. (1972). ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბილისი.

მგალობლიშვილი, თ. (1985). ევსევი ალექსანდრიელის სახელით ცნობილი ერთი თხზულების წყაროს საკითხი. მრავალთავი. XI: 20-25.

ნიჟარაძე, შ. (1971). აჭარული დიალექტი. ბათუმი.

ნოლაიძელი, ნ. (1979). მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონისათვის. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I: 22-26.

ფალავა, მ. (2003). სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი.

ფალავა, მ. (2013). მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკური შედგენილობის საკითხი. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: 136-141.

ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2022). ქართული ენის შავშური დიალექტი. ბათუმი.

ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2023). ქართული ენის კლარჯული დიალექტი. თბილისი.

ფალავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2024). ქართული ენის ტაოური დიალექტი. თბილისი.

ფუტკარაძე, შ. (1987). აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. აჭარული დიალექტის დარგობრივი

ლექსიკა, VI. თბილისი.

ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. ბათუმი.

ფუტკარაძე, შ. (1995). ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სად. მაცნე. თბ. ჩიქობავა, ა. (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. მონოგრაფია. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ცინცაძე, მ. (2024). იოანე სინელის „კლემაქსი“ (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი). ბათუმი: გამომცემლობა „თეგი“.

ცინცაძე, მ., ფალავა, მ. (1998). სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII ს.ს.). მონოგრაფია. ბათუმი.

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია. I. მონოგრაფია. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.

## Lexical Correspondences between 5th–18th Century Literary Georgian and Southern Dialects

Baramidze Maia

Shota Rustaveli Batumi State University, Batumi

### Abstract

Since the 1990s, comprehensive research has been undertaken into the language, folklore, and cultural practices of the indigenous population and descendants of the Muhajirs from the Chorokhi Valley. The findings indicate that several historical regions—Adjara, Shavsheti, Klarjeti, Tao, and Speri—took shape within the Chorokhi river basin. The inhabitants of these areas maintained close interaction both internally and with neighboring regions, resulting in speech forms that are linguistically adjacent. Consequently, these varieties are classified as a distinct group, commonly referred to as **Southern dialects** or **Southern Georgian speech**. From a linguistic, historical, and geographical perspective, the Southern dialects encompass Adjarian, Shavsheti, Klarjeti, and Tao subvarieties.

Today, the Adjarian dialect remains in active use within the borders of Georgia, along with fragments of the Klarjeti dialect (three villages: Mirveti, Kvemo Maradidi, and Kirmati) and the Shavsheti dialect (in the lower Machakhlistskali Gorge, a part of historical Shavsheti). However, the majority of these dialects are now located within the territory of the Republic of Turkey, where Georgian is largely forgotten. Nevertheless, the remaining Georgian speech has preserved valuable linguistic elements and archaic lexical units.

Certain words preserved in the Southern dialects display meanings that directly correspond to those found in literary Georgian texts dating from the 5th to the 18th centuries. This paper examines several such lexical items:

**gankarveba – to vanish’, to disperse’:** *ghmertma gigikaros, ratskha derdi gak* (May God make it disappear; some sorrow has vanished).

**shektseva – to turn back’, to return’:** *k’arshi ar guushvebdit, ar shuuktsioso* (They wouldn’t let him in the house, saying: ‘May he never return).

**modrek’a, modrek’ili, modrek’iloba – to humble oneself’, to bend down’, to kneel’; bending’:** *shuamtashi shevel, ek’lesia dabali iqo, modrek’ili shevel* (We entered Shuamt’a; the church was low, so we had to bend to enter).

**tsudi – worthless’, ineffective’:** *tsude ram yarebi* (A worthless wound it was).

**dzeli/shesha – timber’, plank’, log’:** *dzelis sakhleb gavak’etebdit; shishis* (<sheshis)mukhi gaak’atavden (We built houses from timber; they made a bench from oak firewood).

**jinch’veili – nettle’:** *jinch’veilia, ant’eroghli ant’eri!* (It’s nettle, That annoying ant!).

**mzis-tvali – literally eye of the sun’, sun’:** *erti-ori dghe tsivia, imis uk’an zitvalia; bzituali chevda, go, ar shegets’qina?* (It’s cold for a day or two, then the sun returns; The sun came out—did it bother you?).

**suli – scent’:** *ra k’ay suli gidiso* (What a nice scent you’re giving off).

**t’arosi – weather’:** *t’arosebi atsivdeba, ts’avalt* (The weather is getting colder, let’s go).

The Southern dialects contain numerous additional lexical items that also appear in early Georgian literary scripture. These linguistic parallels provide valuable material for exploring the relationship between these dialectal forms and the literary tradition of the Georgian language.

**Keywords:** Southern dialects, Adjarian, Shavsheti, Klarjeti, Tao, archaic lexicon, literary Georgian language.

## თავისუფალი ირიბი დისკურსი და მისი ტრანსფორმაცია ქართულ თარგმანში

(დ.ჰ. ლორენსის მცირე პროზის მიხედვით)

**ბოლაშვილი მაია**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი

**მაზმიშვილი ნანა**

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.27>

**აბსტრაქტი.** მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოდერნისტულ ეპოქაში, როდესაც პირდაპირი და არაპირდაპირი დისკურსის ტექნიკა მაშინდელ მწერალთა ნაწარმოებებში პირველად გამოჩნდა, ერთი შეხედვით თითქოსდა უცნაურმა ნარატივმა ერთნაირად მოხიბლა ლიტერატურის და ენის მკვლევრები. მისი ერთ-ერთი მეთოდი, თავისუფალი არაპირდაპირი სტილი ფართო დისკუსიის საგნად გადაიქცა, მისი აქტიური როლი მხატვრულ ნაწარმოებში ჯერ კიდევ დაზუსტებული არ არის. აღნიშნული დებატები ორმა დაპირისპირებამ ჩამოაყალიბა: არის თუ არა თავისუფალი არაპირდაპირი სტილის ტექნიკა ენობრივი წარმოშობის და რას შეიძლება მიეწეროს მასში გამოხატული პერსპექტივა. ორივე ეს კითხვა, თუმცა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. მისი ენობრივი წარმოშობის საკითხზე მკვლევართა შეხედულებებიდან გამომდინარე, ხმისა და პერსპექტივის შესახებ მათი შემდგომი ანალიზი თავისუფალი არაპირდაპირი სტილითაა გამოწვეული. როგორც ერთხმად თავისუფალი არაპირდაპირი სტილის თეორიის, ასევე ორხმოვანების თეორიათა განვითარების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში. ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს ვხვდებით. ორხმოვანების თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული სტილი ერთდროულად ორ ხმას აერთიანებს, რაც ხშირ შემთხვევაში ძნელად გასარჩევია. ესაა მთხრობელის ხმა და პერსონაჟის ხმა და ინტერპრეტაციის მდიდარ შესაძლებლობებს გვთავაზობს. ორმაგი ხმის ინტერპრეტაციას ჩვეულებისამებრ თან ახლავს რწმენა, რომ ყოველდღიურ ინტერაქციას სტილის წარმოშობა უდევს საფუძვლად. ნაშრომში წარმოდგენილია თავისუფალი ირიბი დისკურსის შესახებ სხვადასხვა მკვლევართა, ლიტერატურათმცოდნეთა, ლინგვისტთა და თარგმანის თეორეტიკოსთა მოსაზრებები. ასევე, მე-20 საუკუნის, ინგლისელი, მოდერნისტი მწერლის, დევიდ ჰერბერტ ლორენსის მცირე პროზის მაგალითზე ფართოდაა გაანალიზებული და შემუშავებული ის გზები და მეთოდები, თუ როგორ უნდა ითარგმნოს აღნიშნული კატეგორიის პასაჟები წყარო ენიდან (SL) სამიზნე (TL), ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ქართულ ენაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ორხმოვანება, ჩანაცვლებითი თხრობა, მონოლოგი, ვერბალური კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია, შინაგანი ხმა.

ირიბი დისკურსის ცნება ლინგვისტიკასა და ლიტერატურის თეორიაში გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან გაჩნდა, როცა მსოფლიო ლიტერატურაში მოდერნიზმის მიმდინარეობა ფეხს იკიდებდა და ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდნენ ისეთი დიდი მწერლები, როგორებიც იყვნენ ირლანდიელი ჯეიმს ჯოისი და ამერიკელი ვირჯინია ვულფი. ჯეიმს ჯოისის რომანი “ულისე” პირველ მოდერნისტულ რომანად

დღემდეა მიჩნეული, სადაც ავტორი პირდაპირი და ირიბი დისკურსის საშუალებით, ცნობიერების ნაკადის ტექნიკას იყენებს მოქმედ პირთა ხასიათისა თუ მათი ნააზრევის წარმოსაჩენად. თუმცა ბრიტანელი ფილოლოგის, როი პასკალის (Pascal, 1977) აზრით, პირდაპირი და ირიბი თავისუფალი დისკურსის გამოყენებას ადგილი აქვს ჯერ კიდევ ჯეფრი ჩოსერის და ვოლფგანგ გოეთეს ნაწარმოებებშიც. ის ასევე აღნიშნავს, რომ ჯეინ ოსტინი და ფრანგი რომანისტი და ნოველისტი, გუსტავ ფლობერიც იყენენ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისთვისაც ეს სტილი ცნობილი იყო.

თავისუფალი ირიბი დისკურსი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟის, პირველი პირის აზრების მესამე პირის,- მთხრობელის ხმით წარმოდგენის ლიტერატურულ ტექნიკად განიხილება. ეს არის სტილი, რომელიც მესამე პირის თხრობის იმ ასპექტებს იყენებს, რაც პირველი პირის პირდაპირი მეტყველების არსთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ ტექნიკას ასევე მოიხსენიებენ, როგორც თავისუფალ არაპირდაპირ დისკურსს ან თავისუფალ არაპირდაპირ სტილს. ესაა ავტორის ხმის საშუალებით პერსონაჟის გახმოვანება, სადაც ავტორის და პერსონაჟის ხმა ერთმანეთს ეფექტურად ერწყმის, როდესაც პერსონაჟი საუბრობს ავტორის ხმით ან პირიქით. რენდალ სტივენსონი (Stevenson, 1992) ვარაუდობს, რომ ტერმინი თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსი „შესაძლოა საუკეთესოა და იმ შემთხვევებისთვისაა განკუთვნილი, როდესაც სიტყვები რეალურად ხმამაღლაა ნათქვამი“ და მაშინაც, "როდესაც პერსონაჟის ხმა ალბათ მისი ფიქრების ჩუმი შინაგანი ხმაა".

შვედმა ფილოლოგმა, ჩარლზ ბელიმ (Bell, 1912) ერთ-ერთმა პირველმა განმარტა და საფუძვლიანად განიხილა თავისუფალი ირიბი დისკურსი, რომელშიც მთხრობელის და პერსონაჟის ხმა ერთიან ფოკუსშია მოქცეული და ერთმანეთშია გადახლართული, სადაც ირიბად ნათქვამი იმ სტილისტურ ხერხადაა მიჩნეული, რომელიც მხატვრულ ტექსტში პერსონაჟთა შინაგან სამყაროს წარმოაჩენს. პირდაპირი და თავისუფალი ირიბი დისკურსის მკვლევრები არიან როგორც გრამატიკოსები, ასევე ლინგვისტებიც; თუმცა ეს საკითხი მალე ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების ქვეშაც აღმოჩნდა, რომლებიც მას ფილოლოგიასა და სტილისტიკასთანაც აკავშირებენ. ასეთ მკვლევართა ჯგუფს მიეკუთვნებიან სპითზერი, ვოლზელი და ტჰიბაუდეტი (Cohn, 1966). თავისუფალი ირიბი დისკურსი ცნობიერების ნაკადის უბრალო ეკვივალენტად და “ზედმეტ კატეგორიად” შეცდომით იქნა მიჩნეული, თუმცა ჯოისის, ლორენსის და ვულფის მიერ ცნობიერების ნაკადის გადმოსაცემად შესანიშნავად იქნა გამოყენებული (Cohn, 1966). ინგლისელი თარგმანმცოდნე, შარლოტა ბოსო (Bosseaux, 2007) აღიარებს, რომ “მე-19 საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსი გამოგონილი სამყაროს სრულ სუბიექტივიზაციას არ ნიშნავს, თუმცა ის მე-20 საუკუნის ისეთ ავტორთა ნაშრომებში ვითარდება, როგორებიც არიან ჯოისი, ვულფი და ფოლკნერი, როდესაც “მთხრობელები თავისუფალ ირიბ დისკურსთან ერთად ჩადირულნი არიან თავიანთ პერსონაჟებსა და იმ ნარატიულ სტრუქტურებში, რომელთა საშუალებითაც მკითხველს პერსონაჟთა გამოცდილების გაზიარებას სთავაზობენ”.

თუმცა ერთხმობის თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი არაპირდაპირი სტილის მქონე წინადადებებში მთხრობელისა და პერსონაჟის ხმათა შერწყმის შესახებ ლინგვისტური მტკიცებულებები არ არსებობს. საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ერთხმიანობის ზოგიერთი მომხრე თავისუფალ არაპირდაპირ სტილს აანალიზებს ისე, თითქოს ის მხოლოდ პერსონაჟის ცნობიერებიდან მომდინარეობდეს, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ის საბოლოოდ იცავს

მთხრობელის ხმას და განზრახვას. თავისუფალი არაპირდაპირი სტილის ერთხმოვანების თეორიები ხშირად ერწყმის მისი წარმოშობის აღქმას, როგორც ექსკლუზიურად ლიტერატურულს ან თუ ამ სტილის წარმოშობა რაიმე სახით ენის გამოყენებას უკავშირდება, მაშინ მას ლინგვისტური წარმოშობის მქონედ მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, ენის ამგვარი გაგება აღიქმება როგორც არა კომუნიკაციური პრაქტიკა, არამედ როგორც ცალკეულ მოსაუბრეთა პროდუქტი.

ინგლისელი ლინგვისტი, მაიკლ ტულანი (Toolan, 2013) ამტკიცებს, რომ მე-20 საუკუნის მოდერნისტულ მცირე პროზაში თავისუფალი ირიბი დისკური შეიძლება განისაზღვროს „როგორც ჩანაცვლებითი თხრობა; როგორც კომბინირებული დისკურსი.“

ვოლოშინოვი (Voloshinov, 1973) თავისუფალ ირიბ დისკურსს განიხილავს, როგორც „მიკროკოსმიურ ვერბალურ ინტერაქციას“. მეორეს მხრივ, ბენფილდი (Benfield, 1973) ამტკიცებს, რომ თავისუფალი ირიბი დისკურსი აღიარებულია არა „როგორც რეალურად წარმოთქმული სიტყვები, არამედ როგორც მოსმენილი ან აღქმული სიტყვები, რომლებიც გარკვეულ ცნობიერებას ასახავს“; მაშასადამე, ეს არ არის „ვერბალური კომუნიკაციის ხელახალი ასახვა“, რადგან ის არასოდეს გამოხატავს „ხასიათის მეტყველების წმინდა ფონოლოგიურ დიალექტურ თვისებას“ და „არასდროს შეიძლება, რომ პირდაპირ მიმართვას შეიცავდეს“. უფრო მეტიც, ბრინტონი (Brinton, 1980) თავისუფალ ირიბ სტილს განიხილავს, როგორც „ლიტერატურულ სტილს, რომლის დროსაც ავტორი გარე სამყაროს აღწერის ნაცვლად, მის შესახებ პერსონაჟის აღქმას გამოხატავს, პირდაპირ ისე, როგორც ეს პერსონაჟის ცნობიერებაში ხორციელდება“.

თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსის შესაძლო ფუნქციები, ისევე როგორც მისი ინტერპრეტაციები, შეუზღუდავია. იგი გამოიყენება როგორც ლიტერატურული ხერხი, რომელიც წარმოგვიდგენს აზრებს, მრავალხმიანობას, ირონიას, თანაგრძნობას და ცნობიერების ნაკადს. ოლტეანის (Oltean, 1993) მიხედვით, ის შეიძლება იყოს არამეტყველი, წარმოაჩინოს „მწვავე დიალოგიზმი“, შიდა და გარე დისკურსი, გამოხატოს სპონტანური, დაუფიქრებელი ცნობიერება. ასევე შესაძლოა, რომ მოიცავდეს თანაგრძნობას და „ირონიის შენარჩუნებას ხმათა ერთმანეთთან გადაჯაჭვის შედეგად“. მთხრობელის პერსონაჟისგან დისტანცირებულად არსებობა ქმნის ირონიულ განცალკევებას, მაშინ როცა მთხრობელის მეტყველების პერსონაჟის ენით ან გამოცდილების მეთოდით შეფერილობა იწვევს მკითხველის მხრიდან ემპათიურ იდენტიფიკაციას.

როგორც ვხედავთ, მეცნიერები ერთსულოვანი არ არიან სტილის ამგვარი ინტერპრეტაციის შესახებ. მისი რთული ენობრივი ბუნება, ალბათ, არის მიზეზი იმ ურთიერთგამომრიცხავი თეორიული პრეტენზიებისა, რომლებიც წამოჭრილია მისი ენობრივი შემადგენლობისა და ეფექტების ასახსნელად.

თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსი არის მოქმედ პირთა აზროვნების წარმოდგენის შესანიშნავი მეთოდი. დ.ჰ. ლორენსი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მისი პერსონაჟების შინაგან მდგომარეობასა და შინაგან ბრძოლაზე, ამ ტექნიკის ერთ-ერთი ადრეული ოსტატია. როგორც მოდერნისტი მწერალი ის ეძებდა ისეთ ნარატიულ სტრატეგიას, რომელსაც ადამიანურ სირთულეთა გამოხატვა შეეძლოა და აღიარა, რომ არც დიალოგმა და არც ტრადიციულმა ხაზოვანმა თხრობამ მას ამის საშუალება არ მისცა (Lawrence, 1914). ლორენსისთვის მხატვრული ნაწარმოების კარგი მწერალი ის არის, ვისთვისაც ცხოვრების მრავალფეროვანი, შეუზღუდავი და გამოუცნობი ხასიათს გადმოცემა შეუძლია ისე, რომ

არათანმიმდევრულობასა და ერთმანეთთან დაუკავშირებლობას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. მისთვის ცხოვრება არ არის „სიმეტრიულად განლაგებული მანათობელი ფანრების მწკრივი“, რომელიც გამოსახული ხაზოვან სტრუქტურაში უნდა იყოს გამოსახული და მთხრობელი ა წერტილიდან ბ წერტილამდე მიდის; ლორენსის შემოქმედება მხოლოდ თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსის საშუალებით ხშირად გვაძლევს წვდომას პერსონაჟების აზრებსა და ემოციურ პროცესებზე. ეს ტექნიკა გულისხმობს ყოვლისმცოდნე მესამე პირის თხრობას, რომელიც თანახმაა, ინდივიდუალური პერსონაჟის ნაწილობრივ პერსპექტივაში უჩვეულო, გაუცხადებელი და უეცარი ჩარევები მოხდეს. ასეთ შემთხვევაში მკითხველი მრავალხმიანი ტექსტის მუდმივი გავლენის ქვეშაა, რომელშიც ნაწარმოების დროსა და ადგილიდან, აქცენტი აშკარადაა ინდივიდუალურ აღქმაზე გადატანილი.

აღნიშნული ტექნიკა შესაძლოა, ხშირად შემამფოთებელიც აღმოჩნდეს, რაც მოქმედი პირის ამოცნობასა და მისი ფიქრების კრიტიკულად განსჯას შორის, ბალანსის დაცვას გვაიძულებს. ქვემოთ განხილული მაგალითი დ.ჰ. ლორენსის პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი, მისი ერთ-ერთი ცნობილი მოთხრობის, - “ინგლისი, ჩემი ინგლისის” ბოლო გვერდებიდანაა ამოღებული, სადაც მოთხრობის მთავარი გმირი, ეგბერტი, დიდი ომის ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ დაჭრილი წევს. ქვემოთ წარმოდგენილი ნარატივი ეგბერტის, -მთავარი მოქმედის პირის შეგრძნებათა აღქმას ცდილობს, როდესაც ჯარისკაცი სასიკვდილოდ დაჭრით მიყენებული უგონო მდგომარეობიდან თანდათან გონებაზე მოდის და მის გარშემო არსებული სამყაროს გაცნობიერებას ცდილობს:

“Was there blood on his face? Was hot blood flowing? Or was it dry blood congealing down his cheek? It took him hours even to ask the question: time being no more than an agony in darkness, without measurement.

A long time after he had opened his eyes he realized he was seeing something—something, something, but the effort to recall what was too great. No, no; no recall!

Were they the stars in the dark sky? Was it possible it was stars in the dark sky? Stars? The world? Ah, no, he could not know it! Stars and the world were gone for him, he closed his eyes. No stars, no sky, no world. No, No! The thick darkness of blood alone. It should be one great lapse into the thick darkness of blood in agony. (Lawrence, 1914).

აღნიშნული ნაწყვეტის ქართული თარგმანი ასეთია:

“ჰქონდა სისხლი სახეზე? ცხელი სისხლი სდიოდა? თუ ლოყაზე შეახმა? კითხვის დასასმელად ლამის საათები დასჭირდა: დრო სხვა არაფერია, სიბნელეში განუზომელი ტკივილის გარდა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა თვალი გაახილა, მიხვდა, რომ რაღაცას ხედავდა, რაღაცას, რაღაცას, მაგრამ იმის გახსენება, თუ რას ხედავდა, საშინლად დამტანჯველი აღმოჩნდა. არა, არა, არავითარი ხსოვნა!

ბნელ ცაზე ვარსკვლავები იყო? ნუთუ შეიძლება, რომ ბნელ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდეს? ვარსკვლავები? სამყარო? ოჰ, არა, ამის ცოდნა არ შეეძლო! (ამის თავი არ ჰქონდა). ვარსკვლავები და სამყარო მისთვის აღარ არსებობდა. თვალები დახუჭა. არა ვასკვლავები, არა ცა, არა სამყარო. არა, არა! მხოლოდ ბლანტი სისხლის წყვდიადი. ყოველივეს წყვდიადი შთანთქავს, რომელშიც სისხლი ტანჯვისგან იცლება. (ლორენსი, 2023)”.

თავიდან შესაძლოა ისე ჩანდეს, რომ თითქოს პირველივე კითხვას მთხრობელი

სვამდეს, რადგან ის კითხულობს იყო თუ არა "სისხლი სახეზე" და ჰქონდა თუ არა "ლოყაზე შემხმარი სისხლი". თუმცა ამის შემდეგ მალევე გვიმტკიცებს, რომ "კითხვის დასასმელად ლამის საათები დასჭირდა". ეს კითხვები ემსგავსება იმ კითხვებს, რომლებიც ეგბერტის გონებაში თანდათან ყალიბდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მის საკუთარ ფიქრებთან მისაახლოებლად არიან ასე განლაგებულნი, რადგან მისი გონებრივი მდგომარეობა გაუგებარი ჩანს," დრო სხვა არაფერია, სიბნელეში განუზომელი ტკივილის გარდა".

მეორე პარაგრაფი პირველის საწინააღმდეგოდაა შეცვლილი, რადგან მასში თხრობა უკვე ეგბერტის დაბინდულ და დაულაგებელ ფიქრებში გადადის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვალები გაახილა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იგრძნობს, რომ რაღაცას ხედავს, მაგრამ ვიზუალური გამოცდილება მის დადლილ ცნობიერებაში ძლივს აღწევს : "რაღაცას, რაღაცას, მაგრამ იმის გახსენება, თუ რას ხედავდა, საშინლად დამტანჯველი აღმოჩნდა. არა, არა, არავითარი ხსოვნა!"

მესამე აბზაცის კითხვებს მთხრობელის ცნობიერებასა და მომაკვდავი პერსონაჟის აღქმებს შორის თითქოს ისევ აქვს ადგილი.

მოკლე კითხვები ("ვარსკვლავები? სამყარო?") ეგბერტის მწირ ცნობიერებასა და მომაკვდავი პერსონაჟის აღქმაზე მეტყველებს და მთხრობელს მხოლოდ ისეთი სიტყვებით ჩარევის ამარად სტოვებს, როგორცაა: "ოჰ, არა, ამის ცოდნა აღარ შეეძლო". მთხრობელი ამტკიცებს, რომ ეგბერტმა აღარაფერი იცის, როდესაც ის მიმართავს "არა, არა"-ს! და შესაძლოა, რომ ამით მისი მწირი ცნობიერების მდგომარეობას მხოლოდ ზედაპირულად, თვალის წამიერი გადავლებით წარმოგვიდგენდეს. ჩანს, რომ ბოლო წინადადება, -"ყოველივეს წყვილია შთანთქავს, რომელშიც სისხლი ტანჯვისგან იცლება) ავტორისეულია თუმცა შესაძლოა გაგვიჩნდეს კითხვა: ვინმე ფიქრობს, რომ ეგბერტის სიკვდილს "ყოველივეს წყვილია შთანთქავს, რომელშიც სისხლი ტანჯვისგან იცლება" უნდა მოყვებოდა? ეს ფრაზა გვიმტკიცებს, რომ ეგბერტისთვის ასე უნდა იყოს, მაგრამ არის ეს ავტორისეული განაჩენი (ეგბერტის ცხოვრების გარე განსჯა) თუ თავად პერსონაჟის განწირული ფატალიზმი, მის თავისუფალი ნება, რომ გათავისუფლდეს ყოველივე იმისგან, რაც ცოლ-შვილთან აკავშირებს და აგონიასა და სიკვდილს საკუთარი ნებით ხვდება?

თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსის ტექნიკა მთხრობელსა და პერსონაჟს, ობიექტურ განსჯას და სუბიექტურ ცნობიერებას ეჭქვემ აყენებს და ჩვენი კრიტიკული ცნობიერების შეჩერებას ან თუნდაც მის სხვა, გაცილებით პოზიტიურ პასუხებთან დაბალანსებას გვაძლავს.

ბუნებრივია, როდესაც მთარგმნელს ასეთი კატეგორიის მხატვრულ ტექსტთან აქვს საქმე, მას მრავალი სირთულის თუ გამოწვევის დაძლევა უხდება. რადგან თარგმანი ერთი კულტურის მხატვრული ტექსტის მეორესთვის გაცნობის და მასში დამკვიდრების ერთ-ერთი გზაა და ასევე თითოეულ მხატვრულ ნაწარმოებს საკუთარი "შემოქმედებითი ფორმა" გააჩნია, რომელიც მის სტილს გულისხმობს (Bennett, 2011), ამიტომაც მხოლოდ იმ ტექსტის სამიზნე ენაზე ნათარგმნი ტექსტი შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად (და არა სრულყოფილად), რომელიც მსოფლიოს აცნობს წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ტრანსფორმირებულ ნაწარმოებს და რომელსაც არა მხოლოდ ნაწარმოების შინაარსის თარგმნა შეუძლია, არამედ ორიგინალის ავტორის სტილისაც. მხოლოდ ასეთი თარგმანი ასრულებს თავის როლს, რასაც "მხატვრული ტექსტის ევოლუციას" უწოდებენ. რაც შეეხება

დ.კ.ლორენსის "ინგლისი, ჩემი ინგლისი", აქ თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსის მწერლისეული ტექნიკა ოსტატურად გვთავაზობს მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ ფორმალური "რკინიგზის ხაზის" ტიპის ნარატივის თავიდან აცილებას და "ტალღოვანი ტბის" მსგავს თხრობას ანიჭებს უპირატესობას, რაც თარგმანშიც აუცილებლად უნდა იყოს ასახული, რათა ქართულ ენაზე მკითხველი გაეცნოს მის ორიგინალურ სტილსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს. როდესაც საქმე ეხება ასეთი თვისებების მქონე ტექსტის თარგმნას, როგორც ჩანს, ორ გადაწყვეტ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პირველი ის, რომ მთარგმნელი კარგად გაეცნოს მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული ნაწარმოების სტილს, რომელიც მთარგმნელისგან მის ერთგულებას გულისხმობს და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის ჩვეულებრივ გაგებას უპირისპირდება (ფანჯიკიძე, 1988) და მის თხრობით სტრატეგიებს, რათა თავისუფალი ირიბი დისკურსის სტრატეგიები და ფუნქციები წარმოაჩინოს, რომლებსაც ის ემსახურება და მეორე, რამდენად გააჩნია სამიზნე ენას მათი წარმოდგენის საშუალება, რადგან ეს ორი,-წყარო (SL) და სამიზნე (TL) ენები მათი პოტენციალის მიხედვით შესაძლოა აღნიშნულ სტრატეგიათა წარმოსაჩენად ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებოდეს. პირდაპირი და თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსის შესახებ ჩატარებული კვლევების მიხედვით შერეული ტიპის დისკურსი, როგორცაა თავისუფალი არაპირდაპირი დისკურსი თარგმანში გაცილებით უფრო მეტ პრობლემას ქმნის, ვიდრე არაშერეული ტიპები, როგორცაა პირდაპირი დისკურსი ან არაპირდაპირი დისკურსი .ეს პრობლემა შესაძლოა სამიზნე ენის ენობრივ, ლიტერატურულ და მთარგმნელობით ნორმებიდან გამომდინარეობდეს.

ჩვენ მიერ თარგმნილი ნაწყვეტის შემთხვევაში თავისუფალ პირდაპირ დისკურსში, რომელშიც არაპირდაპირი დისკურსის მახასიათებლებიც გვხვდება, პირის ობიექტური ბრუნვის ნაცვალსახელები და კუთვნილებითი ნაცვალსახელები არ დომინირებს. მხოლოდ ერთგან გვხვდება: "Stars and the world were gone for him", "ვარსკვლავები და სამყარო მისთვის აღარ არსებობდა". გრამატიკულ დროთა თანმიმდევრობა შენარჩუნებულია: "Was there blood on his face? Was hot blood flowing? Or was it dry blood congealing down his cheek? It took him hours even to ask the question: time being no more than an agony in darkness, without measurement." ჰქონდა სისხლი სახეზე? ცხელი სისხლი სდიოდა? თუ ლოყაზე შეახმა? კითხვის დასასმელად ლამის საათები დასჭირდა: დრო სხვა არაფერია, სიბნელეში განუზომელი ტკივილის გარდა". ყველა პუნქტუაციური მარკერი: წერტილი,მძიმე, კითხვის და ძახილის ნიშნები შენარჩუნებულია. შედეგად, პირდაპირი და არაპირდაპირი დისკურსის ერთმანეთთან შერწყმით მივიღეთ თავისუფალი პირდაპირი დისკურსი, რაც მას ისეთი სხვადასხვა ფუნქციის შესრულების საშუალებას აძლევს,როგორცაა მკითხველში მოქმედი პირისადმი თანაგრძნობის გამოხატვა, სიბრალული და მის ფატალურ აღსასრულზე დაფიქრება. გარდა ამის, სამიზნე ენაზე,-ქართულზე ვფიქრობთ, რომ მთლიანად იქნა შენარჩუნებული პასაჟის როგორც შინაარსობრივი ასევე კონტექსტური მხარეც და მწერლის მიზანიც,-მისცეს მკითხველს საშუალება, რომ ამოიცნოს და მოისმინოს მინიმუმ ორი ხმა: მთხრობელის ხმა შერეულია პერსონაჟის ხმასთან.

მხატვრული ტექსტის თარგმნა რთული ხელოვნებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ავტორის ორიგინალური ტონისა და ჩანაფიქრის გადმოცემას. მთარგმნელთა წინაშე განსაკუთრებული გამოწვევა წარმოიქმნება თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველების დროს - ტექნიკა, სადაც პერსონაჟების აზრები და

მეტყველება ინტეგრირებულია მესამე პირის თხრობაში ბრჭყალების ან აშკარა ატრიბუტების გარეშე. თხრობის ეს სტილი პერსონაჟის პერსპექტივასა და მთხრობელის ხმას შორის ზღვარს აზუნდოვანებს, რამაც შესაძლოა სხვადასხვა კულტურათა ენებზე თარგმნა გაართულოს. მთარგმნელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ენობრივ ნიუანსებს, კულტურულ მითითებებს და სტილისტურ არჩევანს, რათა შეინარჩუნოს ის დახვეწილობა და მოქნილობა, რასაც თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველება იძლევა. თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველება ხშირად ეყრდნობა დახვეწილ ენობრივ მინიშნებებს, რომლებიც შეიძლება თარგმანში დაიკარგოს. მაგალითად, დამაბულობის ან განწყობის ცვლილება შეიძლება მთხრობელის ხმიდან პერსონაჟის შინაგან მონოლოგზე გადასვლას მიგვანიშნებდეს. მთარგმნელებმა სამიზნე ენაზე გულდასმით უნდა შეარჩიონ ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული სტრუქტურები, რომლებიც ამ ცვლილებებს მკითხველის დაზნევის გარეშე შეინარჩუნებენ. ამ ამოცანას ართულებს ის ფაქტი, რომ ენებს აქვთ განსხვავებული გრამატიკული წესები და კონვენციები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ამ ნიშნების პირდაპირ თარგმნას. ოქროს შუაღედის, ბალანსის პოვნა ორიგინალური ტექსტის ერთგულებასა და თარგმანში წაკითხვისუნარიანობას შორის ასევე დიდი გამოწვევაა. კულტურულმა კონტექსტმა, რომელშიც გამოიყენება თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველება, შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს მის თარგმანზე. გამონათქვამებს, იდიომებს და სტილისტიკურ ხერხებს, რომლებიც აზრს იძენს წყარო ენის კულტურაში, შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი ეკვივალენტები სამიზნე ენის კულტურაში. მთარგმნელმა ან უნდა იპოვოს მსგავსი კულტურული შეხების წერტილები, ან მკითხველზე ერთი და იგივე ეფექტის მოსახდენად შემოქმედებითად უნდა გადააფორმოს ეს ელემენტები, რაც მისგან როგორც წყარო, ისე სამიზნე კულტურების ღრმა გააზრებას მოითხოვს და ასევე იმის უნარს, რომ განჭვრიტოს, თუ სხვადასხვა წარმოშობის მკითხველი ამ კულტურული ნიუანსების ინტერპრეტაციას როგორ შეძლებს. ავტორები იყენებენ თავისუფალ არაპირდაპირ მეტყველებას ისეთი კონკრეტული სტილისტური ეფექტების მისაღწევად, როგორცაა პერსონაჟის აზრებთან სიახლოვე ან ირონიული დისტანცია. მთარგმნელი სხვა ენაზე, რომელსაც შესაძლოა იგივე სტილისტური რესურსი არ გააჩნდეს, ამ ეფექტების ხელახლა შექმნის პრობლემის წინაშე დგება. მან უნდა განიხილოს, თუ როგორი სახის ლექსიკას, წინადადების სტრუქტურასა და რიტმთან აქვს საქმე ორიგინალური ტექსტის სტილში და იპოვოს გზები ამ ელემენტების გასამეორებლად. ეს ხშირად რთული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს. მკითხველთა თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველების ინტერპრეტაცია შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მათი გამოცდილებისა და კულტურული ფონის გავლენისგან. ამ თხრობის ტექნიკის თარგმნისას, მთარგმნელებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ როგორ ჩამოაყალიბებს მათი არჩევანი მკითხველის მიერ ამბის გაგებას. თავისუფალ არაპირდაპირ მეტყველებაში თანდაყოლილი ბუნდოვანება შეიძლება განსაკუთრებით პრობლემური იყოს, რადგან სხვადასხვა თარგმანმა შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული ინტერპრეტაცია. სწორი ბალანსის დაცვა ტექსტის ღიაობის შენარჩუნებასა და მკითხველისთვის საკმარისი მითითებების მიწოდებას შორის მდგარი დელიკატური ამოცანაა. თავისუფალი არაპირდაპირი მეტყველება შეიძლება იყოს გადახლართული სხვა ისეთ მხატვრულხერხებთან და სტილისტურ გამომსახველობით საშუალებებთან, როგორცაა ალუზია, მეტაფორა ან სიმბოლოები. ეს ინტერტექსტუალური ელემენტები მხატვრულ ტექსტებს დამატებით მნიშვნელობებს სძენენ, რომელთა გადმოცემაც წყარო ენაზე შესაძლოა რთული

აღმოჩნდეს. მთარგმნელმა უნდა ამოიციოს ეს კავშირები ნათარგმნ ტექსტში მათ შესანარჩუნებლად იპოვოს გზები, რაც ხშირად მოითხოვს კრეატიულ გადაწყვეტილებებს და ზოგჯერ ახალი ელემენტების დანერგვასაც კი, რომლებიც ანაზღაურებენ თარგმანში დაკარგულს. საბოლოო ჯამში, რომანებში თავისუფალი არაპირდაპირი სიტყვის თარგმნა ხაზს უსვამს მთარგმნელის, როგორც თარჯიმნის, ასევე შემოქმედის როლს. მთარგმნელმა არა მხოლოდ უნდა გაიგოს წყარო ენის ტექსტის ენობრივი და კულტურული სირთულეები, არამედ ხელახლა შექმნას მისი ლიტერატურული თვისებები სამიზნე ენაზე. ეს ორმაგი პასუხისმგებლობა მოითხოვს კრეატიულობისა და მგრძობელობის მაღალ დონეს როგორც წყარო, ასევე სამიზნე ენების მიმართ. მთარგმნელი ხიდად იქცევა ორ მხატვრულ პეიზაჟს შორის, რაც ახალი აუდიტორიისთვის ორიგინალის ენაზე შექმნილი ტექსტის არსს და მისი უნიკალური ხასიათის პატივისცემას ურუნველყოფს.

#### ლიტერატურა:

- 1.ლორენსი, დ.ჰ. (2023). ინგლისი, ჩემი ინგლისი და სხვა მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L;
2. ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა "განათლება";
3. Bell, A. (1912). Narrative in the Free Indirect Discourse. London: Longman;
4. Benfield, A.. (1973). Narrative Style and the Grammar of Direct and Indirect Speech. Foundations of Language: Vol.10, No.1;
5. Bennett, J. (2011). Translation Studies. Oxford. University Press;
6. Brinton, L. (1980). Represented Perception: A Study of Narrative Style: Poetics. Oxford University Press;
7. Bosseaux, Ch. (2007) How Does It Feel? Point of View in Translations. The Case of Virginia Woolf into French. New York;
8. Cohn, D. (1966). Narrated Monologue: Definition of a Fictional Style. Routledge;
9. Lawrence, D.H. (1914). England, My England and Other Stories. London: Penguin Classics;
10. Oltean, S. (1993). A Survey of the Pragmatic and Referential Functions of Free Indirect Discourse, Poetics Today, No.4;
11. Pascal, R.. (1977) The Dual Voice, Free Indirect Speech and Its Functioning in the 19<sup>th</sup> European Novel. Manchester University: Press;
12. Stevenson, R.. (1992). *Modernist Fiction: An introduction*. The University Press of Kentucky;
13. Toolan, M. (2013). Narration and Its Transformation. Oxford: University Press;
14. Voloshinov, P. (1973). Language As a Tool for Indirect Discourse. Moscow: Progress Publishing House.

### Free Indirect Discourse and Its Transformation in the Georgian Language (According to D. H. Lawrence's Short Prose)

**Bolashvili Maia**

Gori State University, Gori

**Mazmishvili Nana**

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi

#### Abstract

At the beginning of the 20th century, in the modernist era, when the techniques of direct and indirect discourse first appeared in the works of writers of that time, the seemingly strange narrative fascinated researchers of literature and language alike. One of its methods, the free indirect style, has become the subject of wide discussion since its active role in the work of fiction has not yet been clarified. The above-mentioned debates were shaped by two controversies: whether the free indirect style technique is of linguistic origin and what can be attributed to the perspective expressed in it. Both questions, although different, are intertwined. Based on the views of researchers on the issue of its linguistic origin, their further analysis of voice and perspective is caused by the free indirect style. Contradictory positions in these debates

can be identified both in the opinions expressed about the development of the theory of monophonic free indirect style, as well as in the theories of double voice. Proponents of the dual-voice theory argue that this style combines two voices at once, which are often difficult to distinguish. This is the voice of the narrator and the voice of the character, and offers rich possibilities for interpretation. The dual-voice interpretation is usually accompanied by the belief that the origin of the style lies in everyday interaction. The present study also deals with the methods and ways of translating free indirect discourse passages in D.H. Lawrence's short fiction and compares them with the source language text.

**Keywords:** *substitution narrative, monologue, verbal communication, interpretation, inner voice*

## მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიები ქართულში

გელდიაშვილი ნუნუ

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.28>

**აბსტრაქტი.** მხატვრული ენა, როგორც პრაქტიკული სტილისტიკის გამოხატულება, ცალკე განხილვადი სფეროა და, უდავოდ, მკაფიოდ იმიჯნება ფუნქციონალური სტილის სხვა სახეობებისაგან. ქართულში ამ ტიპის ტექსტის შესაქმნელად ნაირგვარ ენობრივ შესაძლებლობას განიხილავენ, თუმცა მწერალი მათგან სტრატეგიულად და ოსტატურად რომლებს აირჩევს მიზნის მისაღწევად, აზრის გამოსახატავად, მის მოხერხებაზე დამოკიდებული. ეს ადვილი ნამდვილად არაა. ჩვენი აზრით, სწორედ მათი საშუალებით უნდა დაიპყროს მან მკითხველის გულები და შექმნას ისეთი საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა, თავისი სამყარო, რომლითაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდება სხვათაგან. სწორედ ამ მიმართებით ჩვენი დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედება.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა ნათელს ხდის, რომ მწერლისათვის მთავარი არა მხოლოდ მსოფლხედვა, არამედ მისი გამოხატვის ადეკვატურობაა, რასაც შესანიშნავად ახერხებს მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიებით - ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მათგან ძირითადი **მეტაფორა** - ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფი და მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალება. მათი მეშვეობით საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება უშუალოდ მწერლის ინდივიდუალობით განისაზღვრება: „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა“; „...ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, შიმშილიც იზმორებოდა“; „ერთ მთვარიან ღამეს გაისმა ზამთრის თითების კაკუნი“...

**შედარებით,** გამოსახვის ამ სტილისტიკური ხერხით და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი გამორჩეული ფორმით, დავით თურდოსპირელი დიდებულად ახერხებს საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შეფარდებასა თუ, გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე, შეპირისპირებას. შედარებების საკმაოდ მდიდარი მასალა საანალიზო ტექსტებში შექმნილია სხვადასხვა ხერხით და დატვირთულია ემოციური ელფერით: „-საოცარია, არავითარი მებაღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... თითქოს ნამით კი არა, მსუყე რძით იყვნენ ნაკვურები და ნაზარდნი...“; „რცხილა ლაწალაუწით გადაეშვა... სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“.

**ეპითეტი** მხატვრული და არამხატვრული სტილის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის თვისებას და გამოიყენება შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით. იგი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ამასთან ერთად, ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას. განსაკუთრებული კვლევის საგნად კი ჩვენთვის მეტაფორული ეპითეტი იქცა. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა ხაზგასმულად სახასიათო სტრატეგიაა: „გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შეემძვრალიყავით და გაგვეთბო გაჭირხლული სახსრები“. „უფათერაკოდ გადავიარეთ გიჟთვალა ხეები“; „ხეების შემომწვარი ჩონჩხები გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“.

*გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. გაპიროვნებისას უსულო საგანი წარმოგვიდგება როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს: „ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“; „კიდევ ბევრს იჭარტალეზდა ასკილი, მაგრამ ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების ჟრიამულმა“; „სიამოვნებისგან ათრთოლდნენ ყაყაჩოები“; „მთელი ღამის განმავლობაში ქვითინებდა ქარი“...*

ამდენად, საკითხის ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიაა. ისინი, მართლაც, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსპრესიისა და ეფექტის მიღწევაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ნაირგვარი საშუალებები კი მკითხველს ეხმარება ტექსტის იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული ტექსტი; ძირითადი სტრატეგიები; დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედება.

### **შესავალი**

შემოქმედებითი/მხატვრული ენა, როგორც სტილური ნაირგვაროვნება და პრაქტიკული სტილისტიკის გამოხატულება, ცალკე განხილვადი სფეროა და, უდავოდ, მკაფიოდ იმიჯნება ფუნქციონალური სტილის სხვა სახეობებისაგან. ქართულში ამ ტიპის ტექსტის შესაქმნელად სხვადასხვა ენობრივ შესაძლებლობას განიხილავენ, თუმცა მწერალი მათგან სტრატეგიულად და ოსტატურად რომლებს აირჩევს მიზნის მისაღწევად, აზრის/იდეის გამოსახატავად, მის მოხერხებაზეა დამოკიდებული. ეს ადვილი ნამდვილად არაა. ჩვენი აზრით, სწორედ მათი საშუალებით უნდა დაიპყროს მან მკითხველის გულები და შექმნას ისეთი საკუთარი ინდივიდუალური ხელწერა, თავისი სამყარო, რომლითაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდება სხვათაგან.

საკითხის შესწავლა-ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე ძირითადი სტრატეგიაა, ისინი უმნიშვნელოვანეს, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ტექსტთა მხატვრული ეფექტის შექმნაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი საშუალებები მკითხველს ეხმარება იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა ერთი შეხედვითაც ნათელს ხდის, რომ საოცარი თვითმყოფადი და ორიგინალური სახითაა დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) შემოქმედებაში მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრა; მწერლისათვის ცალსახად მნიშვნელოვანი და მთავარი არა მხოლოდ მსოფლხედვა, არამედ მისი გამოხატვის ადეკვატურობაა, განსაზღვრა იმისა, რას და რატომ იყენებს, რამდენად აღწევს მიზანს და რას სძენს ამით ხატოვან აზროვნებას; ალბათ, ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ დავით თურდოსპირელის ტექსტი საოცრად მრავლისთქმელი და მრავალწახნაგოვანია, მდიდარ საილუსტრაციო მასალას იძლევა არაერთი ნიშანდობლიობის გამოსავლენად.

### **მსჯელობა**

დავით თურდოსპირელის მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგია ტროპული მეტყველების ნიმუშების სიუხვე და მრავალფეროვნებაა. მათგან ძირითადია **მეტაფორა** - ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფი და მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალება. მათი მეშვეობით საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა დაკავშირება აშკარად მწერლის ინდივიდუალობით განისაზღვრება.

აღნიშნავენ, რომ მეტაფორის შინაარსი იქმნება სინამდვილის (სულიერ თუ უსულო) საგანთა შერწყმით. ამის მიხედვით განარჩევენ მეტაფორების ოთხ ძირითად ტიპს: ა) როცა უსულო საგნის თვისება გადატანილია სულიერ საგანზე; ბ) სულიერი საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე; გ) უსულო საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე; დ) სულიერი საგნის თვისება გადატანილია მეორე სულიერ საგანზე (ჭილაია, 1984, 204).

საანალიზო ტექსტებში დასახელებული ჯგუფებიდან ნიშანდობლივი აღმოჩნდა სულიერი საგნის თვისებების გადატანა უსულო საგანზე; მეტაფორების თითქმის ნახევარი სწორედ ამ ჯგუფს განეკუთვნება:

„გადავდგით ფეხი ვეშაპი კორპუსის ზღურბლზე“ (თურდოსპირელი, 1961, 165);

„მიგვიღეს იმ საკნებში, სადაც ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, შიმშილიც იზმორებოდა“ (თურდოსპირელი, 1933, 67)

„ყოველი ხე იფაფრებოდა, მაგრამ რას გააწყობდა“ (თურდოსპირელი, 1961, 43);

„ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა“ (თურდოსპირელი, 1961, 48);

„ელოდა, ეშადებოდა ზამთარი“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„ერთ მთვარიან ღამეს გაისმა ზამთრის თითების კაკუნი“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„ფურღვანა ბალახს ქოლგა გაუშლია და კოპწიაობს“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„ქოხში ობლები ცხოვრობენ... ქარი ანჩხლობს... ღამე ჭინკების შეშლილ თვალებით იჭრება შიგა... ჰშიათ...სცივათ... ტყუილად მოუხმობენ მშობლებს“... (თურდოსპირელი, 1947, 52);

კვლევამ გვიჩვენა, რომ სულიერი საგნის ნიშან-თვისებები მეტაფორიზაციის საფუძველია. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ სიდიდით მეორე ჯგუფში სულიერი საგნის თვისებაა სულიერზე გადატანილი:

„ისედაც ფრთაჩამოშვებული მოწაფენი გაცბნენ, გაილურსნენ, მასწავლებელი კი განაგრძობდა გაკიცხვა-გაკილვას“ (თურდოსპირელი, 1961, 39);

„ბავშვებს გამოეღვიძათ, ყურები სცქვიტეს“ (თურდოსპირელი, 1961, 86).

უსულო საგნის ნიშან-თვისებები თითქმის თანაბრად ვრცელდება სულიერ და უსულო საგნებზეც:

„პეტრე აენტო. ცეცხლი წამოსცივდა თვალებიდან“ (თურდოსპირელი, 1933, 34);

„აღფრთოვანების სახნისით ვიწყე ხვნა ახალგაზრდათა სულის ახოებისა“ (თურდოსპირელი, 1933, 49);

„ეს ადგილი ჩვენი წინაპრების ტანჯვის აკვანია“ (თურდოსპირელი, 1947, 30);

„ჩვენ ისევ მდუმარების კვერთხებს დავებჯინებით და თვალი მივაპყართ მოხუცს“ (თურდოსპირელი, 1947, 34);

„მაგრამ დედის ამ ხმეში ცრემლებიც კი წკრიალებენ“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„...ახ, რა ყოფილა ხანძარი!... იგი ხარია გაუმადარი: ხარბად ძირში სძოვს ბალახ-ბულახებს, ყლორტებსა და ხეებზე ფოთლებს არა სტოვებს. თუნდა კენწეროებზე შრიალებდეს, მისწვდება, გრძელი, წითელი ენით და მიკორტნ-მოკორტნის, გააშიშვლებს“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„ის კი ზის და ოცნებობს მოახლოებულ ქარიშხლებზე“ (თურდოსპირელი, 1961, 165);

„ვერც კი მოასწრო თვისი კარვების ყველგან დადგმა, რომ განთიადმა გაშალა დროშები“ (თურდოსპირელი, 1961, 86);

„საღამო იყო, ჩამავალ მზისგან ცას ხანძარი გასჩენოდა“, ყალანქარი ნისლის დროშები წითლად გაშლილიყვნენ ცაზე“ (თურდოსპირელი, 1947, 12).

„ყოველთვის როდია მონის ქედი ამტანი... ერთხელაც არის დასწყდებიან მონობის აპეურები... აპირთავდა მოთმინების ფიალა (თურდოსპირელი, 1947, 31);

„ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს. არსად ჩანდა მშველელი... გაშალა წითელი ფრთები და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„გაისმა ბუკ-ნადარის ხმა... მან სიჯიუტით შეუტია ზამთრის ბარიკადებს და გადალახა... მილეწ-მოლეწა ... გაწბილებული მიიპარება ზამთარი“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„ეგ არ ბრძანდებოდა, რომ ყინვის ნემსებით ხან აღმა შეისეირნებდა, ხან დაღმა? დღე ერთი იყო და მისი ნამქერ-ზვაგები უანგარიშო“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„დედამ ჩვენც წავგიყვანა. უნდოდა ავლაბრის ჩვენ მოსაწყენ, რუხ ცხოვრებაში სიხარულის ცისარტყელა აეღვარებინა“ (თურდოსპირელი, 1933, 19) ...

„ფურღვანა ბალახს ქოლგა გაუშლია და კოპწიაობს“... (თურდოსპირელი, 1947, 58)

ანალიზმა ცხადყო, რომ მეტაფორა, როგორც ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე, გამორჩეულად დამახასიათებელია საანალიზო ტექსტებისათვის.

**შედარება**, გამოსახვის ამ სტილისტიკური ხერხით და მხატვრული დახასიათების ერთ-ერთი გამორჩეული ფორმით, დავით თურდოსპირელი დიდებულად ახერხებს საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შეფარდებასა თუ, გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე, შეპირისპირებას.

არსებული შედარებების საკმაოდ მდიდარი მასალა საანალიზო ტექსტებში შექმნილია სხვადასხვა ხერხით და დატვირთულია ემოციური ელფერით.

„ა) შესადარებლად გამოყენებულია ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები, ე.ი. ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფია;

ბ) შესადარებლად გამოყენებულია ბუნების საგნები და მოვლენები; მაგალითად, მნათობები, ბუნების მოვლენები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო და სხვ.“ (გვენცაძე, 1974, 53).

შედარების ობიექტებად გაცილებით ჭარბობს ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები.

ა) **ადამიანი** (მისი რომელიმე ნიშან-თვისება, მახასიათებელი, სპეციალობა და ა.შ.), როგორც შედარების ობიექტი:

„რცხილა ლაწალაწით გადაეშვა... სახელოვან **გმირსავით** დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“ (თურდოსპირელი, 1947, 6);

„ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნჩხული, **თითქოს დაკუტებულიყოს**“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ეს **ბექობებიც ისეთივე** საამაყო ძეგლებია ძველი ქართველი **გმირებისა, როგორც** ქონგურიანი **კოშკები**, ყოველ ხეობაში რომ გვხვდება, ჯერ კიდევ მკერდშეულეწავი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„**ჯალათის თვალებით** საზიზღრად გვიყურებს ეს **ციხე** და მაინც გვიყვარს“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„ჩაისუნთქა ბოლი და ისე ღრმად **ამოაბოლა, თითქოს წარსულ დროთა ვარამი** თან უნდა ამოაყოლოსო“ (თურდოსპირელი, 1947, 33);

„დასახიჩრებულ **მეომრებით** იდგნენ ნაცარსა და ნახშირს შორის და თითქოს სჩიოდნენ - რისთვის, რისთვის და რათა?!“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„მათში **ყაყაჩოები** მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ **ზღვასავით** მღელვარე, დაღანა ყვავილებში, როგორც **სახეაჟინქილებული ბავშვები**“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„**ნაკად-წყარონი მგოსნის ლექსებსავით** **წკრიალებენ... მოღურღურებენ**“ (თურდოსპირელი, 1947, 58);

ბ) შედარების ობიექტად აღებულია **საზოგადოებრივი საგანი**:

„ჩემს თანამგზავრს, როგორც ყველა სვანს, გონებაც და ენაც **სატევარსავით** უჭრიდა“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„მათში მჭრელი **სადგისივით** გაიკვესეს უცნაურმა, წვიტ-წვიტა თვალებმა“ (თურდოსპირელი, 1933, 59);

„**ძერა** შურდულით **გამოტყორცნილ ქვასავით** მოსრიალობდა ნიშანში ამოღებულ ვარიისაკენ“ (თურდოსპირელი, 1947, 19);

„... თილისმთან **ბრძანებასავით** ჩასწვდათ გულში“ (თურდოსპირელი, 1947, 31);

„ხან **ვერცხლის წყალივით** ხტიან, ხან ცბიერად თამაშობენ“ (1933: 59);

„მეეტლები მიაქროლებენ **შვილდისავით** მორკალულ გაგელებულ ცხენებს“ (თურდოსპირელი, 1933, 63);

„-საოცარია, არავითარი მეზაღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... **თითქოს ნამით** კი არა, **მსუყე რმით** იყვნენ ნაკურები და ნაზარდნი (თურდოსპირელი, 1947, 55)...

გ) შედარების ობიექტად აღებულია **რაიმე მოვლენა, ქმედება ჩადენილი ადამიანის მიერ**: „მასწავლებელო,-... მე მეგონა, რომ ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ადამიანებში სწარმოებდა. აქ კი ისეთი სურათია, **თითქოს** ამათშიაც **ბრძოლა** იყოს გაჩაღებული“

(თურდოსპირელი, 1947, 7);

„თოვლი!...თოვლი!...თოვლი!...-მერცხლებივით მიმოიფრინა ამ ძახილმა ბავშვთა ოთახებში, როდესაც თვალი მოჰკრეს ბამბის ნაბდებით წამოსხმულ ხეებს. ყველა ააფოფინა...გაახარა“. (თურდოსპირელი, 1947, 60).

**დ) ბუნების საგნები და მოვლენები შედარების ობიექტად:**

„მათთან იყო მასწავლებელიც, რომელსაც ბავშვები ყაყაჩოებსავით შემოფრქვეოდნენ?“ (თურდოსპირელი, 1947, 7);

„-არ აზიდო!..-გაისმა პირველად და იმ ხმამ ელვასავით დაურბინა ყმებს!... (თურდოსპირელი, 1947, 31);

„მათში ყაყაჩოები მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ ზღვასავით მღელვარე, დაღანა ყვავილებში, როგორც სახეაჟინჟღილებული ბავშვები“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„ცხვრები ველზე სპეტაკ ნისლებივით გაფანტულან და ალერსიანად იყმუყნებინან... ახლად შეღერილ ბალახს სწიწნიან“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„უდაბნოსავით გამაბულიყო ზამთრის ღამეები“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„მარტის დღესავით შეეცვალათ გიჟმაჟებს სახე“... (თურდოსპირელი, 1947, 61);

„...მისი გული იგრძნობს და ნიავსავით მოფრინდება ჩვენთან საშველად“ (თურდოსპირელი, 1933, 65);

„როგორც გაზაფხულს არ შემოეღევა ყვავილები და ჩიორები, ისე აღმზრდელებს არ დააკლდებათ ალერსი“... (თურდოსპირელი, 1947, 62).

ცალკე ქვეჯგუფად გამოვყავით ზოონიმიები, როგორც შესადარებელი ობიექტები. აღმოჩნდა, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებული ინტენსივობითაა და აღნიშნული ჯგუფის ნახევარზე მეტს სწორედ ზოონიმიები შეადგენენ:

„აღის გველების ქარავნები შემოესია ტყეს. არსად ჩანდა მშველელი... გაშალა წითელი ფრთები და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„უტიფარნი! სად არიან მათი ქოსმანი გოჭებივით ნასუქი შვილები?“ (თურდოსპირელი, 1947, 52);

„თოვლი!...თოვლი!...თოვლი!...-მერცხლებივით მიმოიფრინა ამ ძახილმა ბავშვთა ოთახებში, როდესაც თვალი მოჰკრეს ბამბის ნაბდებით წამოსხმულ ხეებს. ყველა ააფოფინა...გაახარა“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„ჩვენ თევზების ქარავანსავით ვსხლტით შემოსეულ კაზაკთა შორის“ (თურდოსპირელი, 1933, 62);

„ქველმომქედი მანდილოსნები გედებივით დაცურავდნენ“ (თურდოსპირელი, 1933, 19);

„თოვლის ფიფქები პეპელებივით ფარფატებდნენ და იწვევდნენ ბავშვებს საანცოდ“ (თურდოსპირელი, 1947, 61).

**ეპითეტი** მხატვრული და არამხატვრული სტილის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხაზს უსვამს მოვლენის თვისებას და გამოიყენება შთაბეჭდილების გამლიერების მიზნით. იგი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ამასთან ერთად, ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას (გვენცაძე 1991, 33).

განარჩევნ ეპითეტების სხვადასხვა სახეს: მუდმივს, მეტაფორულს და ა.შ. საანალიზო ტექსტებში დადასტურებული ეპითეტები ჩვენც რამდენიმე კატეგორიად დავყავით.

**მუდმივი** ეპითეტებიდან ყველაზე ხშირი და ნიშანდობლივი აღმოჩნდა მსაზღვრელებად: **საცოდავი, მოხუცი, მწარე, ავი, შხამიანი...**

„ულრანი ტყით შენაბდულ მთებში მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„მკაცრი რამ ყოფილა ის ამაღლებული... უჯიათი... მოსისხარი... (თურდოსპირელი, 1947, 28);

„ბევრ მწვერვალზე აუზიდნიათ საცოდავ ყმებს საშენებელი მასალა (თურდოსპირელი, 1947, 29);

„ყველას მწარე ღიმილმა გადაჰკრა“ (თურდოსპირელი, 1947, 33);

„გაჭირვებაში მიზოზინებდა ჩვენი ტიალი ცხოვრება“ (თურდოსპირელი, 1947, 49);

„**ნოტიო სარდაფში** ცხოვრებისაგან სულშეხუთული ვისწრაფოდით სასახლეებისაკენ, ავდიოდით მახლობლად მდგომ ხეებზე და იქიდან ვუმზერდით ქუდბედიანებს“ (თურდოსპირელი, 1947, 51).

განსაკუთრებული კვლევის საგნად კი ჩვენთვის **მეტაფორული ეპითეტი** იქცა. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებულია:

„ულრანი ტყით **შენაბდულ მთებში** მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„**ყალანქარი ნისლის დროშები** წითლად გაშლილიყვნენ ცაზე“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„უფათერაკოდ გადავიარეთ **გიჟთვალა ხეები**“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„ფრინველები **მწუხარე ყრამულით** ემშვიდობებოდნენ ბუდეებს და მიფრინავდნენ, მაგრამ სადა - თვითონაც არ იცოდნენ...“ (თურდოსპირელი, 1947, 42)

„ზოგი **მაღალია, დიდია, ჯანსაღია**. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი **დაბალი, მოკრუნჩხული**, თითქოს დაკუტებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუღწევია, ამოდ ცდილობს წელში გასწორებას. აქაც, როგორც ადამიანთა შორის, **სასტიკი ბრძოლა** ყოფილა გამართული სისცოცხლისათვის, მზისთვის, სივრცისათვის, საკვებისათვის. (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ხეების **შემომწვარი ჩონჩხები** გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„ეს ბექობებიც ისეთივე საამაყო ძეგლებია ძველი ქართველი გმირებისა, როგორც **ქონგურიანი კოშკები**, ყოველ ხეობაში რომ გვხვდება, ჯერ კიდევ **მკერდშუღულწავი**“ (თურდოსპირელი, 1947, 12);

„ქართველი მუდამ მღერის. თავისთავად ეძალებოდა ენას **მედიდური სიმღერა**... სიმღერა, გამარჯვების რწმენის ჩამგონებელი (თურდოსპირელი, 1947, 14);

„უნაგირებზე მიძგნაფულმა მხედრებმა დაზარნიშული ფარები მოიმარჯვეს და ლილეს მოძახილით, ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს: მათათა **დაკბილული გრეხილები, დაკუპრებული ხეობანი, შმაგი უფსკრულები**“... მიილტვოდნენ და მიაბნელებდნენ გარემოს“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„ბევრი რომ ვეღარ დაბრუნებულა, ეს **მცირე კვიმატი ბექობიც** მოწმობს,-მწუხარედ წარმოსთქვა მოხუცმა“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„ეგება ამ სიმაღლის ბრალია რომ **დიად ხელოვანს, გაზაფხულს**, აქ მოსვლა, ცოტა არ იყოს, შეჰკვიანებია“ (თურდოსპირელი, 1947, 26);

„...ახ, რა ყოფილა **ხანმარი!**... იგი **ხარია გაუმადლარი**...“ (1947, 41);

„აუჩუყა“ ამ ამბავმა **„გულნაზუქ“** ბურჟუაზიის **ბანოვანებს** გული და გადასწყვიტეს - ჩვენთვისაც ეღირსებინათ ეს დღესასწაული“ (თურდოსპირელი, 1947, 51);

„დირექტორი **მელა კაცი** იყო“ (თურდოსპირელი, 1933, 38);

„გიმნაზიის წინ **ზედაწყვეტა** იყო... საშინლად ჰყინავდა... გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შეემძვრალიყავით და გაგვეთბო **გაჭირხლული სახსრები**. შლაგა-შლუგით მივიბრძოდით... შევედით, ვათვალიერებდი დარბაზს... ბობოლები... ბობოლები... კნეინები... კნიჟნები“... (თურდოსპირელი, 1947, 51);

„ტბის კიდებზე **ზურმუხტის ბაყაყებსაც** გაუბამთ შიქასტები...წვრილიანში ბაჭიები ყურებს აწკაპუნებენ **გულსავსე სიხარულით**“ (თურდოსპირელი, 1947, 58).

ეპითეტი საგანს ან მოვლენას განსაზღვრავს რაიმე ნიშნის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორი. გამოიკვეთა, რომ მეტად ნიშანდობლივია პერსონაჟის (მთავრის თუ არამთავრის) გარეგნული ნიშნის მხატვრული განსაზღვრება:

„უნაგირებზე **მიძგნაფულმა მხედრებმა დაზარნიშული ფარები** მოიმარჯვეს და ლილეს მოძახილით, ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს... მიილტვოდნენ და მიაბნელებდნენ გარემოს“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„მაინც ვერ დამალა ცრემლებით **დალორთხილი სახე**“ (თურდოსპირელი, 1947, 15);

„**კუკუნა ბავშვები**“ (თურდოსპირელი, 1947, 62);

„**დაღვრემილებს** შუბლი გაეხსნათ... გულს მოეფონათ... ლოყები შეუბროწეულდათ. გადასწტყვიტეს კარგა მოეფიქრათ და თითოეულს ცალ-ცალკე მიეწერა პასუხი **მოსიყვარულე მეომრისათვის**“ (თურდოსპირელი, 1947, 66).

შედარებით ნაკლებად დასტურდება **ფსიქოლოგიური და პეიზაჟური ეპითეტები**.

**ფსიქოლოგიური ეპითეტის** საშუალებით ავტორი პერსონაჟის შინაგან, სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს.

„ამ დროს ველზე გამოჩნდნენ **მოკასკასე ბავშვები** და გარემო უფრო დაამშვენეს... ააჟიჟინეს... ასკილს გაუხარდა მათი მოვლენა“... (თურდოსპირელი, 1947, 54)

„კიდევ ბევრს იჭარტალებდა ასკილი, მაგრამ მას ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა **ბავშვების აღტაცებულმა ჟრიამულმა**“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„უცხად **გიჟმაჟმა სანდალამ** სარმა გამოსდო „ზამთარს“ და ისე გაშხლართა, რომ ასტამით ასაფხეკი გახდა“ (თურდოსპირელი, 1947, 58);

„**მმაფრი სიძულვილით** აღტკინებული შურს ვიძიებთ“ (თურდოსპირელი, 1947, 65).

**პეიზაჟური ეპითეტით** ბუნების სურათი აღიწერება:

„...ახ, რა ყოფილა ხანძარი!... იგი ხარია გაუმადლარი: ხარბად ძირში სძოვს ბალახ-ბულახებს, ყლორტებსა და ხეებზე ფოთლებს არა სტოვებს. თუნდა კენწეროებზე შრიალებდეს, მისწვდება, **გრძელი, წითელი ენით** და მიკორტნ-მოკორტნის, გააშიშვლებს“ (თურდოსპირელი, 1947, 41);

„ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს. არსად ჩანდა მშველელი... გაშალა **წითელი ფრთები** და წელში გამწყდარ გველსავით იწყო სივილი“ (თურდოსპირელი, 1947, 41).

„ტყე იგივე საზოგადოებაა...რიგი იმარჯვებს, რიგი მარცხდება. აქა ვხედავთ ბუნების დიადი თვისების გამომჟღავნებას, შერჩევას. იმარჯვებს **უფრო თამამი, ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლისათვის უკეთესად მომზადებული, სიცოცხლის უნარიანობის ჭარბად მქონე**“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„გაიმართა **მედგარი ბრძოლა** წვიმასა და ხანძარს შორის...წამოშენა **კოკისპირულმა წვიმამ** და ...იძლია **ხანძარი** ... დაეცა ღონეგამოლეული. ჩაქრა“ (თურდოსპირელი, 1947, 42);

„მათში ყაყაჩოები მაინც გაირჩეოდნენ. ისინი ისე გაფანტულიყვნენ ზღვასავით **მღელვარე, დაღანა ყვავილებში**, როგორც სახეაჟინჟილებული ბავშვები“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„იქვე **კელამწუტა ასკილიც** ჰყვავდა“ (თურდოსპირელი, 1947, 54);

„ლეგაჩოხა ბიჭები - მგლები - ეშხზე მოუყვანია მზის **ცხოველ სხივებს** და ომახიანად გაჰყმუიან **ულრან ტყეებს**“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„ჰქრებიან **ნაზი შემოდგომის** ნარინჯ-თურინჯისფრად დამშვენებული სურათები“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„ის ჰმოსავს **ხეებს ქარქარა, ხაოიანი თეთრი ქულაჯებით**“ (თურდოსპირელი, 1947, 64).

**გაპიროვნება** (პერსონიფიკაცია) მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, **უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება**. გაპიროვნებისას უსულო საგანი წარმოგვიდგება როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს.

გამოყოფენ გაპიროვნების ორ სახეს:

„1. ზოგიერთ განპიროვნებაში ადამიანის თვისებები გადატანილია ბუნებაზე ან კონკრეტულ საგანზე;

2. ზოგიერთ განპიროვნებაში ადამიანის თვისებები გადატანილია განყენებულ მოვლენებზე“ (გაჩეჩილამე, 1957, 300).

ჩვენი საანალიზო მასალისათვის დამახასიათებელია **ადამიანის თვისებების გადატანა ბუნებაზე ან საგანზე**:

„გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯლულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, - **დაიკვნესა თრიმლმა** და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აექციენა“ (თურდოსპირელი, 1947, 6);

„**ტყემ სიხარულისაგან შრიალი მორთო**“ (თურდოსპირელი, 1947, 9);

„მერე, მერე? - შეეკითხა ვერხვი, რომელიც ძალზე გაცრეცილიყო შიშისაგან“

(თურდოსპირელი, 1947, 41);

„ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“ (თურდოსპირელი, 1947, 5);

„ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნჩხული, თითქოს დაკუტებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუღწევია, ამაოდ ცდილობს წელში გასწორებას“ (თურდოსპირელი, 1947, 8);

„ფიქრები ნიადაგ საგიჟმაჟოდ მოუწოდებენ“ (თურდოსპირელი, 1947, 43);

„გაჭირვებაში მიზოზინებდა ჩვენი ტიალი ცხოვრება“ (თურდოსპირელი, 1947, 49);

„ქოხში ობლები ცხოვრობენ... ქარი ანჩხლობს... დამე ჭინკების შეშლილ თვალებით იჭრება შიგა... ჰშიათ... სცივათ... ტყუილად მოუხმობენ მშობლებს“... (თურდოსპირელი, 1947, 52);

„ამ დროს ველზე გამოჩნდნენ მოკასკასე ბავშვები და გარემო უფრო დაამშვენეს... ააჟიჟინეს... ასკილს გაუხარდა მათი მოვლენა“... (თურდოსპირელი, 1947, 54);

„-რა ვქნა, რადა ხარ ნიადაგ ჩვენი ძვირის მთქმელი? - მიუსაყვედურეს ყაყაჩოებმა... - ამაოდ სცდილობ, შეგვაჯავრო ბავშვები... განა შენა გგავართ, რომ შურით დავდნეთ, დავილიოთ“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„კიდევ ბევრს იკარტალებდა ასკილი, მაგრამ მას ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების აღტაცებულმა ჟრიაშულმა“ (თურდოსპირელი, 1947, 55);

„სიამოვნებისგან ათროლდნენ ყაყაჩოები... დაე, მოსწყვიტონ ბავშვებმა... მათთან სიკვდილი ურჩევნიათ ამ ინადიან ასკილთან მეზობლობას“... (თურდოსპირელი, 1947, 56);

„გაწბილებული მიიპარება ზამთარი“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„ეგ არ ბრძანდებოდა, რომ ყინვის ნემსებით ხან აღმა შეისეირნებდა, ხან დაღმა? დღე ერთი იყო და მისი ნამქერ-ზვაგები უანგარიშო“ (თურდოსპირელი, 1947, 57);

„რატომ ქარიშხალი მაინც არ ჩამოეფარხმლება?... იქნებ მოთვინიერდა?... არა... დაუძღურებულა... კვეთებიანს დამსგავსება... მოძუძგულა... სუსხის კლანჭი დასცვეთია... ძლივს მიბღოტავს... გაზაფხულდა... გაზაფხულდა!“... (თურდოსპირელი, 1947, 58);

„მთელი დამის განმავლობაში ქვითინებდა ქარი“ (თურდოსპირელი, 1947, 60);

„მე არ მინდა მათს თვალებში ობლობის სევდა იყოს ჩაწოლილი“ (თურდოსპირელი, 1947, 65);

„- სალამი, სალამი, სალამი! - შემოსძახა ყინვის ჭახჭახით ზამთარმა... ზამთარს ყველა საჩუქარი წამოუღია“ (თურდოსპირელი, 1961, 86)...

ამდენად, საკითხის ანალიზი ადასტურებს, რომ ტროპული მეტეოლოგიის ნიმუშების სიუხვე მხატვრული ტექსტის შექმნის ძირითადი სტრატეგიაა. ისინი, მართლაც, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ექსპრესიისა და ეფექტის მიღწევაში. მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ნაირგვარი საშუალებები კი მკითხველს ეხმარება ტექსტის იდეური საზრისის უკეთ აღქმა-განაწილებაში.

#### ლიტერატურა:

**ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი 2023** - ნ. გელდიაშვილი, ნ. კოჭლოშვილი, ქართული მცირე პროზის ლიტერატურული და ლინგვისტური წახნაგები, თბილისი.

**ალ. გვენცაძე 1991** - ალ. გვენცაძე 1991, ზოგადი სტილისტიკის საკითხები, თბილისი

**ზ. ცოტნიაშვილი 2002** - ზ. ცოტნიაშვილი 2002, თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი, თსუ

#### საანალიზო წყაროები:

**დ. თურდოსპირელი 1961-** დ. თურდოსპირელი, არაზინდო, გამომცემლობა, „ნაკადული“, თბილისი, 1961.

**დ. თურდოსპირელი 1947-** დ. თურდოსპირელი, საბავშვო მოთხრობები, საბლიტგამი, თბილისი, 1947.

**დ. თურდოსპირელი 1933-** დ. თურდოსპირელი, ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1933.

## Main Strategies for Creating Literary Texts in Georgian

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili State University, Telavi

<https://orcid.org/0000-0001-6846-7924>

### Abstract

**Abstract.** *Literary language, as an expression of practical stylistics, constitutes a distinct field of study and is clearly differentiated from other functional styles. In Georgian, various linguistic resources are considered for creating this type of text; however, it is ultimately the writer's skill in strategically and masterfully selecting among them to achieve specific goals and express ideas that determines success. This is by no means an easy task. In our view, it is through such careful selection that a writer can captivate readers, develop a unique individual style, and create a personal world that sets them apart from others. In this regard, the focus of our study is the works of Davit Turdospereli (Chkheidze).*

*Both quantitative and qualitative research reveal that, for a writer, the key concern is not only their worldview but also the adequacy of its expression, which is excellently achieved through the main strategies for creating literary texts—namely, the richness and diversity of tropological expressions. Among these, the primary **metaphor** stands out as a direct product of the author's creativity and as the most effective means of shaping literary form. Through these metaphors, the connection of features and qualities of objects and events is determined directly by the writer's individuality: „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა“ [tkes sikharulisagan sakhe aupetqda] (The forest's face burst with joy); „...ბნელოდა კიდევ, ნესტიც იდგა, შიმშილიც იზმორებოდა“ [... bneloda kidets, nestits idga, shimshilits izmoreboda] (...it grew dark, the dampness lingered, and hunger gnawed); „ერთ მთვარიან ღამეს გაისმა ზამთრის თითების კაკუნი“ [ert mtvarian ghames gaisma zamtris Titebis kakuni] (On a moonlit night, the tapping of winter's fingers was heard).*

*In **comparison**, through this stylistic device of representation and one of the most prominent forms of literary description, Davit Turdospereli masterfully achieves the juxtaposition of objects and events or, based on the transfer of externally similar or internally characteristic features, their contrast. The texts analyzed contain a rich array of comparisons created through various techniques, imbued with emotional nuance: „-საოცარია, არავითარი მეზაღე არა ჰზრუნავს მათზე... არავინ უვლის... ასე ტურფანი კი არიან... თითქოს ნამით კი არა, მსუყე რძით იყვნენ ნაპკურები და ნაზარდნი.“ [saotsaria, aravitari mebaghe ara hzrunavs matze... aravin uvlis... ase turphani ki arian... titqos namit ki ara, msuke rdzit ikvnen napkurebi da nazardni] (It is astonishing, no gardener tends to them... no one cares for them... yet they are so tender... as if they were not nourished by **sap**, but by **rich milk**...)* „რცხილა ლაწალუწით გადაეშვა... სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“ [rtskhila latsalutsit gadaeshva... sakhelovan gmirsavit daeca utanastsoro brdzolashi] (The chestnut fell with a flutter... it fell like a celebrated hero in an uneven battle.)

*The **epithet** is an integral component of both literary and non-literary styles, emphasizing a property of an event and used to enhance the reader's impression. It vividly expresses the speaker's ideological perspective and the nuances of subjective attitude. At the same time, it beautifies and adorns the appearance of an object or event, or, conversely, can demean and belittle it. For our study, metaphorical epithets became a particular focus of investigation. Quantitative analysis showed that this phenomenon is a prominently characteristic strategy: „გვიძლიერდებოდა სურვილი, როგორმე შევმძვრალიყავით და გაგვეთბო გაჭირხლული სახსრები“ [gvidzlierdeboda survili, rogorme shevmdzvralikavit da gagvetbo gacirkhluli sakhsrebi] (The desire grew stronger to somehow escape and warm our shivering **bodies**).* „უფათერაკოდ გადავიარეთ გიჟთვალა ხევები“ [uphaterakod gadaviaret gijTvala khevebi] (We crossed the ravines as if possessed by madness). „ხეების შემომწვარი ჩონჩხები გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“ [kheebis shemtsvari chonchkhebi gatitvlebuli ikvnen aghmartulni] (The charred skeletons of trees were raised, dried out

and withered).

**Personification** is a stylistic device in literary expression characterized by the attribution of human qualities to objects and events, effectively **humanizing both inanimate and spiritual entities**. In personification, an inanimate object is presented as a human being who feels, reasons, and acts: „ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“ [tkes zjrzolam dauara] (A shiver ran through the forest). „კიდევ ბევრს იჭარტალებდა ასკილი, მაგრამ ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების ჟრამულმა“ [kidev bevrs itcharkhleboda askili, magram borot piqrta dena sheutskvita bavshvebis jriamulma] (The ash tree still cracked in many places, but the children's joyful noise cut through the flow of evil thoughts). „სიამოვნებისგან ათრთოლდნენ ყაყაჩოები“ [siamovnebisagan atrtoldnen kakachoebi] (The poppies trembled with pleasure). „მთელი ღამის განმავლობაში ქვითინებდა ქარი“ [mteli ghamis ganmavlobashi qvitinebda qari] (The wind wailed throughout the night)...

Thus, the analysis confirms that the richness of tropological expressions is a fundamental strategy in creating literary texts. These devices indeed play a decisive role in achieving textual expression and effect. The diverse means, employed with high artistic mastery, help the reader to better perceive and analyze the ideological meaning of the text.

**Key words:** Literary Texts; Main Strategies; the works of Davit Turdospereli (Chkheidze).

## ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის ფუნქციონირება თანამედროვე ქართულ ენობრივ სივრცეში

გიგიტაშვილი თეა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.29>

**აბსტრაქტი.** ქისტური დიალექტი წარმოადგენს უნიკალურ ლინგვისტურ კომპონენტს ჩეჩნური ენის სისტემაში, რომელზეც საქართველოში — ძირითადად პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები საუბრობენ.

ისტორიულად, ქისტური მეტყველების თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესს ზეპირი გადაცემის ფორმა ჰქონდა, რაც ხასიათდებოდა ენობრივი მეტყველების უშუალო ოჯახურ სივრცეში ბუნებრივი ათვისებით. უფროსი თაობა ფუნქციურად ასრულებდა ენის ძირითადი მატარებლისა და გადაცემის როლს, ხოლო ბავშვები ენას ითვისებდნენ ყოველდღიური კომუნიკაციის გზით — ოჯახსა და თემში. ასეთ მოდელში ენა წარმოადგენდა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას, არამედ როგორც კულტურული მეხსიერებისა და ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქისტური მეტყველების თაობათაშორის გადაცემაში შეინიშნება შესუსტება, რაც გამოწვეულია როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორებით.

ქისტური მოსახლეობა პრაქტიკულად სრულად ბილინგვურია — ისინი თავისუფლად ფლობენ როგორც ქისტურ მეტყველებას, ისე ქართულს. ეს ბილინგვურობა ისტორიულად ჩამოყალიბებული ლინგვისტური რეალობაა, რაც განპირობებულია ქისტების ეთნიკურ-ლინგვისტური იდენტობისა და მათ გარშემო არსებული ქართულენოვანი გარემოს თანაარსებობით.

ბოლო ოცდაათწლეულის განმავლობაში შეიმჩნევა ქართული ენის წამყვანი პოზიციის დამკვიდრება, რაც სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორს უკავშირდება. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართულმა ენამ ქვეყანაში ოფიციალური სტატუსი მოიპოვა სახელმწიფო ინსტიტუციებისა და განათლების სისტემაში. შესაბამისად, ქისტი ახალგაზრდებისთვის ქართულ ენაზე წერა-კითხვა, განათლების მიღება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა ცხოვრების აუცილებელი კომპონენტი გახდა.

ქართული ენის გავლენა ქისტურ დიალექტზე ორმხრივი პროცესია — ერთი მხრივ, ამდიდრებს მას ახალი ელემენტებით, მეორე მხრივ კი, იწვევს ენობრივ ასიმილაციასა და თანდათანობით მისი ფუნქციონირების შესუსტებას ენის გამოყენების სხვადასხვა სფეროში.

2023 წლის ოქტომბერში ჩავატარე სოციოლინგვისტური კვლევა ჩეჩნებით (ქისტებით) კომპაქტურად დასახლებულ თემში, რომელიც მიზნად ისახავდა ქისტური ენის ფუნქციონირების არეალისა და თაობათაშორისი გადაცემის მახასიათებლების გამოკვლევას. კვლევის ფარგლებში გამოვიყენე ანკეტირება და ინტერვიუები თემის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რაც უზრუნველყოფდა ენობრივი მდგომარეობის მრავალმხრივ ანალიზს როგორც ლინგვისტური კომპეტენციის, ასევე ენის გამოყენების პრაქტიკული სივრცეების მიხედვით.

კვლევის მთავარი ამოსავალი იყო ქისტური მეტყველების ფუნქციონირების გამოვლენა კონკრეტულ სოციალურ კონტექსტებში (ოჯახი, საზოგადოებრივი ურთიერთობები, განათლება, საჯარო სივრცე) და მისი თაობათაშორისი გადაცემის მდგრადობის შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ქისტური დიალექტი, ბილინგვურობა, თაობათაშორისი გადაცემა,

ენის ფუნქციონირება, ქართული ენის გავლენა, ენობრივი ასიმილაცია.

ლინგვისტურად ჩეჩნური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის **ნახურ ჯგუფს** მიეკუთვნება ახლო მონათესავე **ინგუშურ** და **ბაცბურ** ენებთან ერთად. ინგუშურსა და ჩეჩნურს შორის შუალედური დიალექტებიც არსებობს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩეჩნური და ინგუშური ენების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი **ვაინახური**, ხოლო ჩეჩნურ, ინგუშურ და ბაცბურ ენებს **ნახური ენები** ეწოდება.

ჩეჩნები (ჩეჩ. ნოხჩი/Noxçi) — ეთნიკური ჯგუფია ჩრდილოეთ კავკასიაში. საკუთარ თავს უწოდებენ „**ნოხჩებს**“ (მხოლოდითში „**ნოხჩო**“, მრავლობითში „**ნოხჩიჲ**“). რუსები და სხვა ხალხები მათ ჩეჩნების სახელწოდებით იცნობენ. ნოღაელები „**შეშენ**“-ს უწოდებენ, ოსები — „**ცაცაინაგ**“-ს, ხუნძები — „**ბუტურალ**“-ს, დარგუელები — „**მიჩიხიჩლან**“-ს.

ჩეჩნური ენა ჩეჩნეთის (ავტ. რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში) ოფიციალური ენაა. ჩეჩნური ენა ახალი დამწერლობის მქონე ენაა. 1925 წელს ახალი ლათინური ანბანი შეადგინა ხ. ოშაევმა, რომელმაც 1938 წლამდე იარსება. ამჟამად მოქმედი ანბანი შემუშავებულია 1938 წელს ნ. იაკოვლევის ხელმძღვანელობით და პრაქტიკაშიც დაინერგა იმავე წელს. ეს ანბანი ეფუძნებოდა რუსულ ანბანს, კირილიცას. ჩეჩნური ანბანის კირილურ დამწერლობაზე გადაყვანაც რუსული ენობრივი პოლიტიკის შემაღგენელი ნაწილი იყო, მსგავსად აფხაზური ანბანის კირილიცაზე გადაყვანისა. თუ ჩეჩნები გამოიყენებდნენ ლათინურ ანბანს, ეს ჩეჩნების რუსულ კულტურასთან დაახლოებას ვერ შეუწყობდა ხელს. ამიტომ ჩეჩნების რუსიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად ანბანის „გარუსება“ მოიაზრებოდა.

ჩეჩნურად მოსაუბრე ადამიანთა უმრავლესობა ჩრდილო კავკასიაში - ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ნაწილობრივ დაღესტანში, საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში და ახლო-აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩეჩნთა დიასპორა), განსაკუთრებით კი იორდანიაში და სირიაში ცხოვრობს. კავკასიის საზღვრებს გარეთ კომპაქტურად მოსახლე ჩეჩნთა მეტყველება დღემდე არაა შესწავლილი.

ჩეჩნების დიდმა ნაწილმა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს დატოვა სამშობლო და ამჟამად ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, ნაწილმა უფრო ადრე, 1850 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ჩეჩნეთის ანექსიის პერიოდში, დანარჩენებს კი 1944 წელს სტალინის ბრძანებით იძულებით დაატოვებინეს სამშობლო და ყაზახეთში გადაასახლეს. 2002 წლიდან ათი ათასობით ჩეჩენი ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს ევროპის ქვეყნებში.<sup>4</sup>

ამჟამად ქისტები სახლობენ პანკისში. პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში შედის, ახმეტის რაიონში.

ჩეჩნების (ქისტების) მიგრაცია საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს მთიანეთში და ხდებოდა მათი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ხევში, ხევსურეთში, მთიულეთში, ფშავში და თუშეთში გვხვდება ქისტური წარმოშობის გვარები. ქისტების ქართველებთან ასიმილირებას ადასტურებს აღნიშნულ ტერიტორიებზე და ახმეტის რაიონში არსებული ტოპონიმებიც. ქისტების პანკისში დასახლების პერიოდი ხანგრძლივად და მტკივნეულად მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებამდე პანკისის ხეობაში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) ცხოვრობდა ჩეჩნური წარმოშობის ხალხი თავისი ტრადიციებისა და ადათ-წესების შესაბამისად.

<sup>4</sup> ჩეჩნები ახლო აღმოსავლეთში. დაარქივებულია ორიგინალიდან — 2011-07-22. ციტირების თარიღი: 2011-02-23.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, საყოველთაო მატერიალურმა სიდუხჭირემ განაპირობა პანკისის ქისტური მოსახლეობის მიგრაცია, რასაც შედეგად ხეობის სოფლების დაცარიელება მოჰყვა. ქისტების ეთნიკური ჯგუფიდან ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკის ადამიანებმა ჩეჩნეთს მიაშურეს. რთულია ზუსტად განისაზღვროს ამ პერიოდში ქისტების რიცხოვნება საქართველოში, რადგან ადგილი ჰქონდა ორმხრივ მიგრაციულ პროცესს — საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში და, პირიქით. XX საუკუნის ბოლო წლებში ჩრდ. კავკასიაში არსებული მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩეჩნეთ-რუსეთის ომის (1994 - 1996 წწ.) გამო ქისტების უმრავლესობა (დაახლოებით 2 000 ადამიანი) დაუბრუნდა პანკისის ხეობას. ამას მოგვიანებით დაემატა ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი, რომელმაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად 1999 წელს პანკისის ხეობაში მოიყარა თავი (ეთნოსები საქართველოში, 2010 : 160-165).

საქართველოს მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წლიდან 2002 წლამდე ქისტური მოსახლეობა 5 455 ადამიანიდან 7 110-მდე გაიზარდა. ამავე მონაცემებით, საქართველოში 7 110 ქისტი//ჩეჩენია აღრიცხული, მათგან, 6 997 სული — კახეთში, მცირე რაოდენობით — თბილისში (73 სული), ქვემო ქართლში (22 სული). საქართველოდან ჩეჩენი დევნილების თანდათანობით გასვლის შედეგად, მნიშვნელოვნად მოიკლო ქისტ/ჩეჩენთა საერთო რაოდენობამ.

2014 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 5 697 ქისტი/ჩეჩენი.<sup>5</sup>

საქართველოში დაფუძნების შემდეგ პანკისელი ქისტები ქვეყნის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ამიტომაც ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი უშუალოდ აისახებოდა მათ ყოფასა და ცხოვრებაზე (მამისიმედიშვილი, 1997 : 76).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოში დასახლებისთანავე ქისტებმა მამის სახელს ქართული დაბოლოება „შილი“ დაუმატეს და მათმა გვარებმა ქართული გაფორმება მიიღო. ამ ფორმით ჩამოყალიბდა ქისტების გვარების ქართული ვერსიები, რაც მიგვითითებს როგორც ინტეგრაციის სურვილზე, ასევე ადგილობრივი კულტურისადმი პატივისცემასა და იდენტობის ადაპტაციის პროცესზე ქართულ სოციალურ სივრცეში.

ამ ხალხის წარმომადგენლებს მოსახლეობის აღწერისას ეროვნების გრაფაში ეწერებოდათ ქისტი, მშობლიურ ენად - ქართული და აღიწერებოდნენ ქართველებად. სკოლაში ვაჟა-ფშაველას პოემების („სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“) შესწავლისას ქისტები ისე აღიქმებოდნენ ქართველ მოსწავლეთა შეგნებაში, როგორც ქართველური ტომი, ისევე როგორც სვანი, ინგილო, მეგრელი, ხევსური და სხვა... ორასწლიანმა ცხოვრებამ საქართველოში და ქართულმა კულტურამ ისეთი ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ამ ჩეჩნურ ტომზე, რომ ჩამოყალიბდა ახალი ჩეჩნურ-ქართული ეთნოსი, რომელიც ატარებდა როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ კულტურას (ხანგოშვილი, 2005 : 9-10).

სულ სხვაგვარად ყალიბდება ეროვნული თვითშეგნების პროცესები, როდესაც საქმე ეხება კომპაქტურ დასახლებას. პანკისის ხეობაში ქისტების კომპაქტურმა დასახლებამ, ხეობაში სხვა ხალხებთან შედარებით მრავალრიცხოვნებამ განაპირობა ის, რომ ამჯერად ქისტებმა განიცადეს არა ასიმილაცია, არამედ ადაპტაცია და შეინარჩუნეს თვითმყოფადობა: ენა, რელიგია, ადათ-წესები, კულტურა... ა. ოჩიაურის

<sup>5</sup> 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები: <http://pop-stat.mashke.org/georgia-ethnic-loc2014.htm>

ცნობით, ერეკლე მეფის დროს ახმეტის რაიონის სოფლებში - ქისტაურსა და ქისტნელში ცხოვრობდნენ ქისტების ეთნიკური ჯგუფები, რომლებმაც შემდგომში განიცადეს ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, ხოლო ქისტური ტოპონიმები (ქისტაური, ქისტნელი, საქისტო) დარჩა უცვლელი (ხანგოშვილი, 2005 : 322-323).

საქართველოში გავრცელებულია ჩეჩნური ენის **ქისტური დიალექტი**. ამჟამად ქისტებით კომპაქტურად დასახლებული სოფლებია: **დუმასტური, ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი, ხალაწანი (ქვემო, შუა და ზემო), წინუბანი, ძიბახევი, ყვარელწყალი**. ზემო ხალაწანში ქისტებთან ერთად ცხოვრობენ ფშავლები. დუმასტურში, ქვემო ხალაწანსა და წინუბანში ქისტების ჩასახლებამდე ოსები ცხოვრობდნენ. ამ ბოლო პერიოდში ოსების დიდმა ნაწილმა ეს სოფლები მიატოვა. ქისტები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სოფელ **ქორეთშიც**.

ქისტური მეტყველება ჩეჩნური ენის სხვადასხვა კილოს, კილოკავისა თუ თქმის ნარევია. მასში შეიმჩნევა როგორც სალიტერატურო ჩეჩნურისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და მორფოლოგიური თავისებურებები, ასევე მთიან რეგიონებში გავრცელებული ჩეჩნური ენის თქმის ფორმები. ქისტური მეტყველება გამოირჩევა გარკვეული ფონეტიკური და ლექსიკური თავისებურებებით, რომლებიც განასხვავებს მას როგორც თანამედროვე ჩეჩნეთის სხვადასხვა რეგიონში გამოყენებული კილოკავებისგან, ისე თავად სტანდარტული ჩეჩნური ენისგან. ეს გარკვეულწილად აიხსნება ქართული ენის მჭიდრო ლინგვისტურ-სოციალური კონტაქტით. ქისტურმა მეტყველებამ დიდწილად შეინარჩუნა არქაული ფორმები, რაც მას ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით ფასეულ რესურსად აქცევს. მისი ასეთი სიჭრელე გარკვეულწილად იმის მიზეზია, რომ დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არაა დაზუსტებული ქისტური მეტყველების ადგილი ჩეჩნური ენის დიალექტებს შორის. ზოგი მკვლევარი საერთოდაც უარყოფს ასეთი დიალექტის არსებობას, რადგან, მათი აზრით, ქისტურის კილოკავები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ამჟამადაც არის გავრცელებული. ამჟამად ქისტური დიალექტის მატარებლები არიან ჩეჩნეთის ორი მთიანი რეგიონის ხალხი - **იტუმ-კალინსკი** და **გალანჩოჟსკი** (ფარეულიძე, 2011 : 8).

ქისტურ დიალექტში მრავლადაა ქართული ლექსიკა. ქართულმა ენობრივმა გარემომ ნაწილობრივ იმოქმედა ქისტური დიალექტის ფონეტიკურ ცვლილებებზე, რაც ხშირად უკავშირდება ქისტი მოსაუბრეების მიერ ორივე ენის პარალელურ გამოყენებას. გარკვეული ქართული სინტაქსური გავლენა შეიმჩნევა ახალგაზრდა თაობის მეტყველებაშიც — მათ ქისტურ საუბარში ხშირია ქართული სიტყვების წყობის მოდელების გადმოტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნური ენა აგლუტინაციური ტიპისაა და ქართული — ფლექსიური, მაინც შეინიშნება გარკვეული მორფოლოგიური ნასესხობებიც, განსაკუთრებით ნაწილაკებისა და კავშირების გამოყენებისას.

ქისტური მეტყველება ამჟამად საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და მეცნიერთა მიერ ცალსახად არის კლასიფიცირებული, როგორც ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი. ჯერ კიდევ 150 წლის წინ კავკასიური ენების ცნობილი მკვლევარი **პ.უსლარი** წერდა, რომ „პანკისელი ქისტების ენის ცალკე ენად მიჩნევა შეუძლებელია და ის ჩეჩნური ენის დიალექტიაო“ (Услар, 1988 : 12-14).

ქისტურ დიალექტში ლინგვისტები კიდევ განარჩევენ ორ კილოკავს, ესენია: **მაისტური** (დუისი, ჯოყოლო) და **ხილდიხაროული** (ომალო). ოდნავ განსხვავებულია შუა ხალაწანის მეტყველება, ისინი თავს ახიელთა შთამომავლებად თვლიან (ფარეულიძე, 2011 : 9).

ქისტური მეტყველება ფუნქციონირებს ნახური ენებისაგან იზოლირებულად —

უმუშაო კონტაქტის გარეშე. შესაბამისად, იგი განვითარდა ქართული ენის ძლიერი ზეგავლენის პირობებში. განსაკუთრებული ინტენსივობით ეს გავლენა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შეინიშნება, როცა ქისტურ სოფლებში გაიხსნა ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები, გავრცელდა ქართული პერიოდული გამოცემები, ამუშავდა რადიო და ტელევიზია. ამან ხელი შეუწყო ორენოვნების ჩამოყალიბებას ქისტურ საზოგადოებაში.

ამ კონტექსტში ქისტური მეტყველების ლინგვისტური კვლევა მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს როგორც კავკასიოლოგიისთვის, ისე ზოგადად ენათმეცნიერებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქისტურთან ერთად წარმოდგენილია კიდევ ერთი ნახური დიალექტი — **წოვა-თუშური** (ბაცბური), თუმცა ქისტური განსხვავებული ენობრივი განვითარებით გამოირჩევა.

ენათმეცნიერ როსტომ ფარეულიძის აზრით, პანკისურ ქისტურში, ქართულიდან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობა სოფლების მიხედვით განსხვავებულია. გარდა ამისა, სოფელ დუისის მეტყველებაში ნასესხები სიტყვები უფრო მეტად „გაქისტურებულია“, ვიდრე ჯოყოლოურსა და ომალოურში.

პანკისელი ქისტები განათლებას ქართულად იღებენ და ქართული მათთვის მეორე მშობლიურ ენად იქცა.


ჩეჩური ენა ქისტურ დასახლებათა სკოლებში 1944 წლამდე ისწავლებოდა. დაახლოებით 70 წლის შემდეგ, 2016 წლის სექტემბრიდან, ჩეჩურის სწავლება ხუთ საჯარო სკოლაში აღდგა. 2015-2016 სასწავლო წლიდან პირველად გახდა შესაძლებელი, მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების შესწავლა სახელმწიფოს მიერ კვირაში 2-საათიანი დატვირთვით დაფინანსებულიყო. ესგ-ს მიხედვით მშობლიური ენის შესწავლა სავალდებულო საგნად არ ითვლება და არჩევითია. ჩეჩურად წერა-კითხვის სწავლა მხოლოდ მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ, რადგან სახელმძღვანელოების პრობლემაა და საგანი უფროსკლასელებისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია სწორედ წიგნების უქონლობის გამო. სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად ჩეჩურ ენაზე არ გამოიცემა ჟურნალ-გაზეთები.

2023 წლის ოქტომბერში ჩავატარე სოციოლინგვისტური კვლევა და ანკეტირება ჩეჩნებით (ქისტებით) კომპაქტურად დასახლებულ თემში. სოციოლინგვისტური გამოკვლევის სამიზნე პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელი — **ომალო, ჯოყოლო, ბირკიანი და ხალაწანი** იყო. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 150 რესპონდენტმა. ანკეტირება ანონიმური იყო.

მონაცემები შევავსოვე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებისგან (მოზარდები, მოზრდილები, ხანდაზმულები), რაც უზრუნველყოფდა ენის ფუნქციონირების რეალური სურათის ჩვენებას. განსაზღვრავდა მშობლიური და სახელმწიფო ენების ურთიერთდამოკიდებულებას და მათი გამოყენების სფეროებს.


სტატიაში წარმოვადგინე ანკეტირების მხოლოდ სამი შეკითხვის ანალიზი. ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე: **როგორ ფლობენ მშობლიურ ენას**, გამოკითხულთა 100%-მა დადებითად უპასუხა, ანუ ჩეჩური ენის ქისტურ დიალექტს თავისუფლად ფლობს გამოკითხულთა 100%.

გამოკითხულთა 100%-იანი ენობრივი კომპეტენცია ქისტურ დიალექტში მიუთითებს იმაზე, რომ ენა სიცოცხლისუნარიანია და მისი თაობათაშორისი გადაცემის მექანიზმი ფუნქციონირებს. (იხ. სურათი 1):




კითხვაზე, თუ რომელია პანკისის ქისტი მოსახლეობის **სასაუბრო ენა ოჯახში**, ასეთი სურათი გვაქვს (იხ. სურათი 2 ): ოჯახში საუბრის ენა 82%-ისთვის მხოლოდ ჩეჩნურია, 10% საუბრობს ქართულ და ჩეჩნურ ენებზე, 7% ქართულ ენას გამოიყენებს, 1% — რუსულ ენას. პანკისის ჩეჩენი მოსახლეობა ბილინგვალაა, ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულ და ჩეჩნურ ენებს. 1%, რომელიც აქტიურად გამოიყენებს რუსულ ენას, სავარაუდოდ ჩეჩნეთიდან პანკისში ახალჩამოსახლებულთა რიცხვს წარმოადგენს.

სურათი 2:



საინტერესო სურათი მოგვცა **ენის პრესტიჟულობის განსაზღვრამ**. რესპონდენტთა საკმაოდ მაღალ, 55%-ს, ინგლისური მიაჩნია პრესტიჟულ ენად. მშობლიურ ენას 10%-მა მიანიჭა უპირატესობა, 30%-მა ქართულ ენას და 5%-მა რუსულ ენას (იხ. სურათი 3).



კვლევის ზოგადი შედეგები ასეთია:

1. რესპონდენტთა უმეტესობა ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყენებს ჩეჩნურ/ქისტურ ენას, განსაკუთრებით ოჯახსა და თემში.
2. ქართული ენა ძირითადად გამოიყენება საჯარო სივრცეში — სკოლაში, სახელმწიფო უწყებებში, ბაზარსა და მედია სივრცეში.
3. თაობათა შორის ენის ფლობის მცირედ განსხვავებული სურათი გვაქვს. ახალგაზრდა თაობა (15–30 წელი) უკეთ ფლობს ქართულ ენას, ამ ასაკის რესპონდენტები ბილინგვალეები არიან.
4. ხანდაზმულების შემთხვევაში დამახასიათებელია ჩეჩნურის პრიორიტეტულობა, ქართულს კი უფრო შეზღუდულად გამოიყენებენ ყოველდღიურობაში.
5. ჩეჩნური/ქისტური ენა აღიქმება როგორც ეთნიკური იდენტობის მთავარი ელემენტი.
6. ქართული ენა მიიჩნევა აუცილებელ პირობად სოციალურ წარმატებაში — განათლების, დასაქმების და სახელმწიფო ინსტიტუციებში მონაწილეობისთვის.
7. ოჯახებში ჩეჩნური/ქისტური ენის გადაცემის ტრადიცია შენარჩუნებულია, თუმცა აღინიშნება ენის შერევის და ლექსიკური დანაკარგის ნიშნები, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია ახალგაზრდების მეტყველებისათვის.
8. კვლევამ ცხადყო, რომ პანკისის ხეობაში არსებობს სოციოლინგვისტური ბალანსი, ჩეჩნური და ქართული ენები თითქმის თანაბრად გამოიყენება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ეთნიკური უმცირესობების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, არის იდენტობის დინამიკა — მისი შენარჩუნების, ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის მექანიზმები სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში. ქისტური იდენტობის შემთხვევა საქართველოს პანკისის ხეობაში ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და კომპლექსურია.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში ხეობიდან ნაწილის მიგრაცია

ჩეჩნეთში (ან რუსეთში, ძირითადად გროზნოსა და მისი შემოგარენის მიმართულებით) გაიზარდა, ნაწილი ევროპაში მიდის სამუშაოდ, უმრავლესობა მაინც ინარჩუნებს კავშირს საქართველოსთან — როგორც სამართლებრივად, ისე ფიზიკურად: მათი უმეტესობა ფლობს საცხოვრებელ სახლებს და ოჯახის წევრები საქართველოში ჰყავთ. ქისტების ჩეჩნეთში ან ევროპაში მიგრაციას, როგორც წესი, ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს და არ ასოცირდება რაიმე კულტურულ-პოლიტიკურ მიზანთან. მათი მიგრაცია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, მაშინ როცა სიმბოლური „სახლი“ და კულტურული მემკვიდრეობა საქართველოსთან ასოცირდება.

მიუხედავად ეთნიკური ჩეჩნური წარმოშობისა, პანკისელი ქისტებისთვის სამშობლო პირველ რიგში საქართველო და კონკრეტულად — პანკისის ხეობაა. ისინი თავიანთ თავს აღიქვამენ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებად, რომელთა ყოფიერება ამ მიწაზე ათწლეულებით არის გამყარებული.

ქისტებისთვის საქართველო არ წარმოადგენს მხოლოდ საცხოვრებელ გეოგრაფიულ სივრცეს. აღსანიშნავია, რომ ქისტების საზოგადოებრივ ინტეგრაციას ხელს უწყობს მათი ორიენტაცია მშვიდობიან თანაცხოვრებაზე, განათლებასა და ენობრივ ადაპტაციაზე. ისინი, როგორც წესი, ქმნიან ორენოვან სივრცეს — ქისტურ-ქართულს. მათ მიერ ჩამოყალიბებული ბილინგვური გარემო — ქისტურ-ქართული საკომუნიკაციო სივრცე — უზრუნველყოფს როგორც ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას, ისე ეფექტურ ინტეგრაციას ქართულენოვან საზოგადოებაში.

#### ლიტერატურა:

1. ეთნოსები საქართველოში (2010): საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა.
2. მამისიმედიშვილი, ხვთ. (1997): ვაინახები და ქართველი მთიელები. თბილისი, გამომცემლობა „ლომისი“.
3. ფარულიძე რ. (2011): ჩეჩნური ენა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ჩიქობავა არნ. (2008): იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. ხანგოშვილი ხ. (2020): ქისტები. თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.
6. ხანგოშვილი ხ. (2015): ქისტების ადათ-წესები. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
7. ჯალაბაძე ნ. (2007): ჩეჩნური ფაქტორი და ეთნო-პოლიტიკური ვითარება საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბილისი.
8. Услар П. К. (1988): Этнография Кавказа. Языкознание. П. Чеченский язык, Тифлис.

## The functioning of the Kist dialect of the Chechen language within the modern Georgian linguistic Space

**Gigitashvili Tea**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### Abstract

The Kist dialect is a distinctive element of the Chechen language, spoken by the Kist people living mainly in the Pankisi Gorge in Georgia.

Historically, the Kist language was transmitted from generation to generation through oral tradition, with children naturally acquiring the linguistic heritage within their immediate family. The older generation played a key role in transmitting the language, while children acquired it through everyday communication within the family and community. In this model, language served as both a means of communication and a vital element of cultural memory and ethnic identity. However, over the past few decades, there has been a weakening in the intergenerational transmission of the Kist language due to both internal and external factors.

The Kist population is practically completely bilingual — they are fluent in both Kist and Georgian. This bilingualism is a long-standing linguistic reality, arising from the coexistence of the Kists' ethnic-linguistic identity and the surrounding Georgian-speaking environment.

Over the past thirty years, the Georgian language has gained a leading position, associated with various social, political and cultural factors. Following Georgia's independence, the language gained official status within the country's state institutions and education system. Consequently, for Kist youth, reading and writing in Georgian and receiving an education have become necessary components of life, as has the opportunity for professional development.

The influence of the Georgian language on the Kist dialect is a two-way process: on the one hand, the Georgian language enriches the Kist dialect with new elements; on the other hand, this leads to linguistic assimilation and a gradual weakening of the Kist dialect's presence in various areas of language use.

In October 2023, I conducted a sociolinguistic study in a Chechen (Kist) community to investigate the functioning and intergenerational transmission of the Kist language. As part of the study, I conducted interviews and administered questionnaires to different age groups within the community. This approach provided a multifaceted analysis of the linguistic situation in terms of both linguistic competence and the practical use of language.

The study primarily aimed to reveal how Kist speech functions in specific social contexts (e.g. family life, social relations, education and public spaces) and to assess the sustainability of its intergenerational transmission.

**Keywords:** *Kist dialect; bilingualism; intergenerational transmission; language functioning; influence of the Georgian language; linguistic assimilation.*

**მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად  
შემადგენელთა საკითხისათვის**  
(არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით)

**თუმანიშვილი ხათუნა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.30>

**აბსტრაქტი.** წინადადება წარმოადგენს მოცემული ეთნოსის ზეპირი ფოლკლორის ორგანულ ნაწილს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეტყველებასთან (მეტყველება თავის მხრივ, ბუნებრივად, გამოხატავს აზროვნებას). შესაბამისად, იგი ხარისხობრივად (როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად) წარმოადგენს იმ სამყაროს ცხოვრების და მენტალიტეტის მიკრომოდელს, სადაც შეიქმნა და ფუნქციონირებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წინადადების, როგორც მოცემულ მენტალიტეტში გარკვეული კონცეფციის მოდელირებული ფორმულის, ინტერპრეტაცია. არაბული სირიული დიალექტის მასალის (ქართულ პარალელებთან ერთად) შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, როგორ და რა ზოგადი, ამავე დროს, თითოეულისთვის სპეციფიკური საშუალებებით, იქმნება მოცემული სტერეოტიპული სიბრძნე. დასკვნები ასევე მოიცავს პრობლემის ზოგად თეორიულ ასპექტს.

მაგალითების ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ წინადადება წარმოიშობა მის შექმნაში ჩართული ყველა კომპონენტის ერთდროული მოქმედებით. თითოეული მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანია. მათში ასახული ობიექტური რეალობა ჩვეულებრივ კონსტრუირდება სპეციფიკურ სინტაგმატურ ურთიერთობებზე, ხანდახან ზედაპირულ დონეზე (მკვეთრად), ხოლო ხანდახან ღრმა დონეზე (არც თუ სიე მკვეთრად). შესაბამისად, ისინი ვერ ჩაითვლება ურთიერთდამოუკიდებელ ობიექტებად და ფენომენებად, რადგან წარმოადგენენ კანონზომიერებების მთელ სისტემას, რომელიც გარკვეულ კონცეპტუალურ კავშირშია ლოგიკური ურთიერთობების საშუალებით. აქედან გამომდინარე, წინადადების გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამ კავშირებში ღრმა წვდომით, მოცემული ეთნოსის ისტორიულ რეალობაში არსებული კანონზომიერებების გაგებით და არსებულ მენტალიტეტში დაფიქსირებული კონცეპტუალური აზროვნების შესწავლით.

ყველა არაბული მაგალითი ჩაწერილი და ნათარგმნია არაბული პირველწყაროდან — უშუალოდ სირიულ და ლიბანელ ინფორმანტებთან. შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, მკვლევრისთვის (რომელიც არ არის არაბულის მშობლიური მატარებელი) წინადადებების შესწავლის საუკეთესო გზად დადასტურდა უშუალო ურთიერთობა ინფორმანტებთან. შესაბამის კონტექსტში ხელახალი ინტერპრეტაციით, დაზუსტდა წარმოსახვითი ლოგიკური კავშირები, რომლებიც კონკრეტული ფენომენის მიმართ იქმნება მოცემულ ეთნოშეცნობიერებაში (საგნებსა და ფენომენებს შორის).

თემის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ ეს არის პირველი მცდელობა ახალი თემის ინტეგრაციისა ქართულ არაბისტიკაში.

**საკვანძო სიტყვები:** ანდაზა, ეთნოცნობიერება, სინტაგმატური, მეტაფორა, ცნებითი აზროვნება.

მცირე პარემიულ ჟანრთა შორის, ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით მარტივი და დახვეწილი ანდაზა საკმაოდ რთული სპეციფიკის პარემიას წარმოადგენს. ეს გარემოება ალბათ განპირობებულია ფაქტორთა იმ მრავალმხრივი სპექტრით, რომელიც უდაოდ მონაწილეობს მისი ფორმალური და აზრობრივი ფაზულის შექმნაში : მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება, ხელოვნება (საკუთრივ, ფოლკლორი) და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია, კვლევის ეს სფერო კი, სავსებით ობიექტურად, ყველაზე რთულად ითვლება. ანდაზაში ჩადებული ცოდნა, პრაქტიკულად, მოცემული ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ანუ, მისი სახით მოცემული ენობრივი კოლექტივი (მოცემული ეთნოცნობიერება) ხატოვნად (მყარი კლიშირებული ფორმით) აფიქსირებს ისტორიული გამოცდილების ნიადაგზე შექმნილ (ცნებითი აზროვნების დონეზე ფორმირებულ) განზოგადებულ სიბრძნეს. ამიტომ არის რთული უცხოენოვანი ანდაზების სიღრმისეული (სწორად) გაგება, სათანადო ზოგადაზრობრივი განფენილობის რელევანტური ჩარჩოების (გამოყენების სფეროს) დადგენა. ამას, როგორც ჩანს, ანდაზის აგებულების რთული სპეციფიკა, მისი სტრუქტურულად მრავალმხრიანი სემანტიკური ფაზულა განაპირობებს.

ანდაზის თეორეტიკოსთა ნაწილი სწორად ფიქრობს, რომ ისეთმა შეცდომებმა და გამარტივებამ თეორიულ კვლევებში, როგორცაა შინაარსის „სრული“ გამოყოფა მისი ფორმისაგან და, შესაბამისად, იმ სირთულების გაუაზრებლობამ, რომლებიც წარმოიშვება მისი ცალკე შინაარსის კვლევისას, თავისი ნეგატიური ასახვა პოვა ანდაზების, როგორც ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობის მქონე პარემიების კვლევაშიც [2. 147].

ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა რომ ძირეულად თემატურ-ლოგიკური კომბინაციებისაგან იქმნება, პრაქტიკულად, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს პარემიოლოგია (თუმცა მიდგომები განსხვავებულია [4; 5; 9]). არსებული კვლევების საფუძველზე ზოგადად ვლინდება ანდაზის აზრობრივი სტრუქტურის ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სფერო საფუძვლად ედება მეორეს, რითაც კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ვ. ალახვერდოვი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების აღმის პროცესის თანმხლებ ემოციურ ასპექტებს იკვლევს, ანდაზას „ორმაგი ფსკერის მქონე ტექსტად“ («текст с двойным дном») მოიხსენიებს [3. 126].

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლოა ასევე ზოგად პლანში (a priori) ჩამოყალიბდეს ამგვარი დასკვნა: ანდაზის ზოგადაზრობრივი ლოგიკურ-სტრუქტურული მოდელი ზედაპირული და სიღრმისეული დონეების ერთობლივი ოპერირებით იქმნება. სათანადო „სიტუაციურ ნიშაში“ მისი ყოველი კონტექსტუალიზებისას მუშაობას იწყებს **ანდაზური მეტაფორული „ძრავა“**, რომლის დროსაც მიმდინარე დეშიფრირება – (ცნების სახით ჩადებული) განზოგადებული სიბრძნის წვდომა, მოცემული ეთნოსის მიერ სამყაროზე გარკვეულ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნას ემყარება.<sup>6</sup>

<sup>6</sup> ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ანდაზა ადამიანის მეტაფორული აზროვნების გამოვლენის უმაღლესი გამოხატულებაა.

მეტაფორაზე მსჯელობისას, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მრავალ განმარტებათა შორის (აქ დასმული პრობლემის სწორად გასააზრებლად) მოვიხმობთ ივორ რიჩარდსის

მაგრამ, ზოგად მოცემულობაზე დაყრდნობით, კონკრეტულად დასადგენია, როგორ, რა სემანტიკური წესებით ხორციელდება ანდაზის ზოგადაზრობრივი ფაზულის კონსტრუირება, დემიფირება და გამოყენება? უშუალოდ რა ძირითადი (ღია თუ ფარული) შემადგენლები ამუშავებს ანდაზურ მეტაფორულ „ძრავას“?..

ერთი რამ უდაოა... ანდაზის (ფორმალური და აზრობრივი) ფორმირების პროცესში მონაწილე ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი აქტუალიზაციისას კომბინირებულად მუშაობს და საერთო “მენტალურ ენაზე” [1. 264] – “კოლექტიურ ქვეცნობიერზე” (კ.გ. იუნგი) გადის. ცნობილია, რომ ქვეცნობიერი პროცესები გაცილებით რთული ფენომენია და გაცილებით რთული სტრუქტურით გამოირჩევა, ვიდრე ცნობიერი. როგორც ჩანს, ანდაზის მრავალგანზომილებიანი ფენომენის თეორიულ პლანში გააზრება, ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებით, კვლევის კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

დასმული საკითხის ირგვლივ არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების გაცნობამ აჩვენა, რომ ანდაზის აზრობრივი სტრუქტურის შესწავლასთან დაკავშირებულ კვლევათა უმეტესობა, ძირითადად ორიენტირებულია გამონათქვამების სტატიკურ დონეზე ფიქსირებული ტროპების შინაარსობრივ მხარეზე. ამ ასპექტისადმი მიძღვნილ კვლევაში არ. კრიკმანთან ძირეული აქცენტი კეთდება ანდაზებში მოცემული მეტაფორული სემანტების სახეობებზე, თუმცა ავტორი აქვე მსჯელობს მათ ფუნქციაზე სემანტიკის შექმნაში [6].

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ანდაზის ფუნქციონირებისას გადამწყვეტია გადატანითი მნიშვნელობა – „ანდაზის აქტიური შინაარსი“, ხოლო პირდაპირი მნიშვნელობა – „ანდაზის ნომინალური შინაარსი“, ფაქტობრივად, ფორმალურია [10. 12].

ჩვენ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, მით უფრო, ანდაზის პირდაპირი მნიშვნელობის „ფორმალური“ ფუნქციის თაობაზე. კვლევის გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს დონე, ერთი მხრივ, მისი სემანტიკური სტრუქტურის ფორმირებაში უცილობლად მნიშვნელოვანი კომპონენტია (მეტიც, საბაზისო საყრდენია). ამავდროულად, ამგვარ კლიშეებში, როგორც წესი, სწორედ ექსპლიციტურ - ხატის დონეზე ვლინდება მოცემული ეთნოსის ინდივიდუალური ხედვა – სამყაროს შემეცნების პროცესში (კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით) მიღებული კერძო (ეთნიკური) ცოდნა. კვლავ მოვიშველიებ ზემოთ მოხსენიებულ არ. კრიკმანის ნაშრომს, სადაც მკვლევარი გამოყოფს ანტროპომორფულ, ანტროპოცენტრულ და ალეგორიულ ტროპებს. მისი მოსაზრებით, მათი გადანაწილება სხვადასხვა ენების საანდაზო ფონდებში განსხვავებული სახით გვეძლევა [6]. მაშასადამე, ანდაზის სტატიკურ დონეზე მოცემული ხატის შესწავლა, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია. ამ ჭრილში უდაოდ საინტერესოა სხვადასხვა კულტურის ანდაზური ფონდების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა, რათა დადგინდეს ამა თუ იმ ფუნქციურად საჭირო იდეის – ანდაზის შესაქმნელად სხვადასხვა ისტორიული განვითარებისა და მენტალობის ეთნოსი „საშენ მასალად“ რა შემადგენლებს ირჩევს მოცემული საყოველთაოდ მიღებული სიბრძნის გამოხატვისთვის. მათზე დაყრდნობით რა სახის ლოგიკურ მიმართებებს ხედავს მოცემულ გარემოში არსებულ მოვლენებსა და კატეგორიებს შორის.

---

ერთ ასეთ ორიგინალურ შეფასებას: მკითხველმა უნდა დააკავშიროს ორი საგანი. სწორედ ამ დაკავშირებაში იმალება მეტაფორის საიდუმლო [7].

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი, ვფიქრობთ, ზედმეტად ხელოვნურად ცდილობს დააცალკევოს ანდაზის მრავალშრიანი სემანტიკური ქსოვილი. მაგალითად, ი. ლევინი რუსული ანდაზების აზრობრივი ასპექტის კვლევისას წინა პლანზე წევს მასში მოცემული ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, მათ ცალსახა როლს ანდაზის სემანტიკის შექმნაში. ავტორის აზრით, ანდაზის მრავალშრიანი ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალშრიანი ხდება მასში გამოყენებული ყოველი ცალკეული სიტყვაც. მას მაგალითად მოჰყავს ხატოვანი ანდაზა «С паршивой овцы хоть шерсти клок» ( ქეციანი ცხვრისგან ერთი ბლუჯა მატყლიც ხეირია). იგი ამბობს, რომ სიტყვაში «овца» – (ცხვარი) შეიძლება გამოიყოს, როგორც მინიმუმ, სამი შრე, რომელიც აქტუალიზდება გამონათქვამის გამოყენებისას:

ა) პირდაპირი (სალექსიკონო მნიშვნელობა, რომლის გარეშეც ტექსტი კარგავს აზრს);

ბ) ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც შესაბამისობაშია ანდაზაში ჩადებულ ქვეტექსტურ მნიშვნელობასთან („ნებისმიერი პირი, რომელსაც ძირითადად აქვს უარყოფითი თვისებები და რომელიც, ამის მიუხედავად, შეიძლება გამოყენებულ იქნას რაღაც, თუნდაც უმნიშვნელო სარგებლის მისაღებად“);

გ) კონკრეტული პირი, რომელსაც მიემართება მოცემულ შემთხვევაში მოცემული ანდაზა (7. 100).

თუ გავიაზრებთ იმ გარემოებას, რომ ზოგადად ანდაზის სემანტიკური მექანიზმის შექმნასა და აქტუალიზაციისას მის ფუნქციურად სწორად ამუშავებაში, როგორც წესი, არსებით როლს თამაშობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მათი შიდატექსტობრივი სინტაგმატური მიმართებები, მაშინ მოცემული ანდაზის მიმართ ამგვარი (ლევინისეული) მიდგომა მხოლოდ ნაწილობრივ უნდა გამოდგეს. გავაანალიზოთ წარმოდგენილი რუსული მაგალითი. აქ მეტაფორული ექსპანსიის მიმართულებაა: ცხოველთა სამყარო → ადამიანი. შესაბამისად მოცემულ ანდაზაში არსებული ალევორიული ტროპის გახსნისას «овца» (ცხვარი) = „ადამიანს“. მაგრამ აქ საუბარია არა ზოგადად (ნებისმიერი თვისებების მქონე) ადამიანზე, არამედ „უვარგის“, უარყოფითი თვისებების მქონე სუბიექტზე (რასაც ავტორი სავსებით სწორად თავადვე აღნიშნავს მოცემული ანდაზის ძირითადი მნიშვნელობის განმარტებისას, პუნქტი – ბ:). ანუ გამონათქვამში გამოხატული ზოგადაზრობრივი მნიშვნელობის მითითებული კუთხით გამოვლენის შესაძლებლობას, არა ცალკეული ელემენტი – «овца» (ცხვარი), არამედ სინტაგმა – «паршивая овца» (ქეციანი ცხვარი) იძლევა. სწორედ ეს „ღია“ (ზედაპირულად გამჟღავნებული) სინტაგმატური კავშირი განაპირობებს მოცემულ ანდაზაში ჩაშიფრული დედააზრის განზოგადებული სახით ჩამოყალიბებას და შესაბამის კონტექსტში მისი უარყოფითი კონოტაციით გახსნას.

განხილული რუსული მაგალითის ქართული აზრობრივი პარალელია: „ყვავს ჭიანი კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო.“

არაბული: [šá‘ra mən danb əl-ḥ ənzīr máksab] شجرة من دنب الخنزير مكسب

– ღორის კუდიდან ერთი ღერი ჯაგარიც სარგებელიაო.

შდრ. ქართ.: „ყვავს ჭიანი კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო“, რუსული „ქეციანი ცხვრის“ ანალოგიურ ფუნქციას ასევე „ღია“ სინტაგმა „ჭიანი კაკალი“ ასრულებს. რაც შეეხება „ყვავს“, აქ „დაფარული“ სინტაგმატური მიმართებაა. ის მოცემულ (და არა მხოლოდ ქართულ) ცნობიერებაში უმრავლესად უარყოფითი

სემის, ანუ „ცუდი ყვავი“ მნიშვნელობის მატარებელია, რომელიც მოცემული ანდაზის კონტექსტუალიზებისას ადეკვატურად დეკოდირდება.

მდრ. არაბ.: „ღორის კუდიდან ერთი ღერი ჯაგარიც სარგებელიაო“; მასში კოდირებული უარყოფითი კონოტაციის მატარებელი დედააზრის გახსნა („ღორთან“ მიმართებით) „დაფარული“ სინტაგმატური კავშირის საფუძველზე ხორციელდება. ცნობილია, რომ ამ ცხოველს ისლამურ სამყაროში მკაცრად განსაზღვრული ნეგატიური (საკვები სახით აკრძალული) – „ცუდი / ბინძური ღორი“ – სემა აქვს.

მოხმობილი მაგალითები ცხადად ადასტურებს, გ. პერმიაკოვის მსჯელობის მართებულობას, როდესაც ის ამბობს, რომ ანდაზის ძირითადი მნიშვნელობა – „ლოგიკური ჩარჩო“ [8.61] – მისი პირველადი მნიშვნელობით – ხატიტ „შენდება“. ასევე ცალსახადაა მისაღები ავტორისეული მოსაზრება, რომ ანდაზას ქმნის არა მხოლოდ ცალკეული „რეალიები“, არამედ ის სინტაგმატური კავშირები, რომლებშიც ეს რეალიებია წარმოდგენილი მოცემული ანდაზის კონტექსტში [8.19; 9. 25-26].

მეტეც, ნ. ბარლი პრაქტიკულად აღიარებს ანდაზების ორსახოვან ბუნებას. ის მიუთითებს, რომ მათი სინტაგმატური ხასიათი ვარიანტულობისა და შემადგენელ სეგმენტთა გადაადგილების შეზღუდულობაში ვლინდება. ის „კომპიური ეფექტები“ (ავტორი მრავლად მოიხმობს მაგალითებს), რომლებსაც ამგვარი ცვლილებების მცდელობა იწვევს, ამავე დროს მათი პარადიგმატული ბუნების ილუსტრირებას ახდენს [4. 134]

მსჯელობის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ, არაბული ანდაზური (კერძოდ, სირიულდიალექტური) ფონდებიდან შერჩეული რიგი საანდაზო წინადადებებისა. აქ ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული „ვირი“ სხვადასხვა (როგორც „ღია“, ისე „დაფარული“) სინტაგმატური მიმართებით გვეძლევა. ამ ფონზე, ყოველ კონკრეტულ შინაარსში, ის (პირობითად, „კარგი“ ან „ცუდი“ ვირი), სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს რა შესაძლო თვისებებს, ყოველი მათგანი სიტუაციურად განსხვავებულ საკომუნიკაციო კონტექსტში რეალიზდება. ანუ, ყოველი კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში, განსხვავებულად მჟღავნდება თითოეულში ჩადებული პარემიული აზრი. შესაბამისად, განსხვავებულია თითოეულის ზოგადაზრობრივი განფენილობის – კონტექსტუალიზების „ნიშა“ და გამოყენების არეალი.<sup>7</sup>

لا تأخذ الرفسة القويه إلا من الحمار الضعيف

[la tâhud ær-ráfse l-'awîje 'illā mne l- çmâr æd-da'if]

§ – ყველაზე მაგარი წიხლის კვრა გამხდარმა ვირმა იცისო.

„ღია“ სინტაგმა: გამხდარი ვირი.

ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო.

ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიაო.

<sup>7</sup> არაბულენოვანი მასალა მოპოვებულია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ სირიელ/ლიბანელი ინფორმანტებისაგან. მოცემული ანდაზები ფიქსირებულ იქნა შესაძლო კონტექსტებით, ინფორმანტთა კომენტარებით და ახსნა-განმარტებებით, რაც აუცილებელი პირობა იყო მათი სიღრმისეული სემანტიკის წვდომისათვის, თითოეულის კონოტაციური სპექტრისა და გამოყენების სფეროს – სათანადო „სიტუაციური ნიშის“ დასადგენად. არაბული მაგალითების ქვეტექსტური მნიშვნელობის ამოხსნაში დაგვეხმარება შესაბამისი ქართული პარალებები.

تكرار بيعلّم حتى الحمار

[tʰkrār bji'álem çátta əl- çmâr]

– გამეორება ვირსაც კი ასწავლის.

„დაფარული“ სინტაგმა: (ჯიუტი) ვირი.

§ გამეორება ცოდნის დედააო.

الحمار ما بيوقع بالجره مرّتين

[əl-çmâr mâ bju'ʼa bilʒurra martên]

– ვირი არ ჩაეფლობა ორჯერ (ერთსა და იმავე) ტალახში.

„დაფარული“ სინტაგმა: (ჭკვიანი) ვირი

§ ვირი, სადაც ერთხელ ლაფში ჩაეფლობა, იქ აღარ გაივლისო.

ნახვანგარი მელა ადვილად აღარ გაეზმისო.

عطوا الحمار وردة أكلها

[ʼáʔū l-çmâr wárdē ʼakálhā]

– ვირს ვარდი მისცეს – შეჭამა.

„ღია“ სინტაგმა: ვარდისმჭამელი ვირი

„დაფარული“ სინტაგმა: (იონჯისმჭამელი ვირი)

§ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

ربوط الجحش محلّ ما بدو صاحبو

[rbōʔ əʒ-ʒç maçáll ma bíddō ʃâçbō]

– ვირი იქ დააბი, სადაც პატრონს სურს.

„ღია“ სინტაგმა: პატრონის ვირი

§ პატრონმა უკეთ იცის, თავის მკვდარს საით უყოს პიროო.

تعلم البيطره بحمير النور

[tʼálem əl-báɪʔara bçamîr ən-náwar]

– ვეტერინარმა ხელობა ციგნის ვირებზე ისწავლა.

„ღია“ სინტაგმა: ციგნის ვირები

§ დალაქმა ხელობა ჩვენს თავებზე ისწავლაო.

اللي بيقتل حمار العرب بيكلف بحمل القرب

[ʼəllī bje'tel çmâr əl-ʼárab bjətkállef əbçaml əl-ʼirab]

– ვინც მოკლავს არაბის ვირს, წყლის მათარაც იმან ატაროს.

„ღია“ სინტაგმა: (შურისმაძიებელი) არაბის ვირი.

§ ძალღი ვინც მოკლა, იმანვე გაათრიოსო.

كالحمار بينظلون

[kal-çmâr bíbáɲʔalûn ʼasfâra]

– ვირი შარვალში.

„ღია“ სინტაგმა: შარვალიანი ვირი.

§ ვირს ოქროს ყელსაბამიც რომ შეაბა, მაინც ვირი იქნებაო.

ვირი ორშაბათსაც ვირია და ოთხშაბათსაცო.

بعد حماری ما ینبت حشیش

[ba'd çmârī mā jánbot çasîš]

– ჩემი ვირის შემდეგ ბალახი ნურც ამოსულაო.

„ღია“ სინტაგმა: ჩემი ვირი (არა - სხვისი)

§ ჩემ შემდეგ თუნდაც ქვა თოვოსო.

კათალიკოზო, ქვეყანა დალოცეო და, მე თუ აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო.

كلّ حمار بنهيقو معجب

[koll çmâr binahî'õ mú'žab]

§ – ყველა ვირს თავისი ყროყინი მოსწონს.

„ღია“ სინტაგმა: ყველა ვირი / ნებისმიერი ვირი.

§ ყველა თავის ნაზადს აქებსო.

ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.

مثل حمار اللى بيحمل أسفاره وبيقول اتو أستاذ

[(mtl) çmâr əlī bjiçmal'asfâra u bji'ül 'innõ 'ustaz]

– (როგორც) ვირი, რომელიც წიგნებს ზიდავს და ამბობს, მასწავლებელი ვარო.

„ღია“ სინტაგმა: წიგნების მზიდველი ვირი/მასწავლებელი ვირი

كالحمار بأسفارة

[kal-çmâr bjiçmal 'asfâra]

– (როგორც) ვირი წიგნებით. (არ ნიშნავს, რომ ჭკვიანია).

„ღია“ სინტაგმა: ვირი წიგნებით / წიგნების მატარებელი ვირი.

§ თხამ მღვდლობა მოინდომა, აქაოდა თეთრი წვერი მაქვსო.

ვირს თოფრა ჩამოაცვეს და ჭიხვინი მოინდომაო.

ვირს უნაგირი ცხენად ვერ აქცევსო.

ამდენად, წარმოდგენილ კორპუსში განხილულმა მაგალითებმა, ერთი მხრივ, დაადასტურა ანდაზის რთული აზრობრივი ფაბულის აგებულების ზოგადი საყრდენი: სამყაროში დაფიქსირებული ერთი მოვლენის თვისებები (ლოგიკური მიმართებების დახმარებით) ასოცირდება, საფუძვლად ედება მეორეს და ზოგადაზრობრივ დატვირთვას იძენს. ამავედროულად, ცხადი გახადა, რომ კონკრეტული ანდაზის კონკრეტულ ვითარებაზე მორგებისას აქტივირდება და თავის მრავალმრიან აზრობრივ პოტენციალს ამჟღავნებს არა მხოლოდ ესა თუ ის ცალკეული სემანტი (ცალკეული სიტყვები და ა.შ), არამედ მოცემული ანდაზის თემატურ-ლოგიკურ მოდელში მოქცეული, სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მთლიანი შინაარსი, მასში გამოხატული კერძო ნიშნულებით და სტილისტური მახასიათებლებით. ეს პროცესი სწორედ იმ საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რაც დადგენილი და მიღებული ნორმა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

უფრო ზუსტად, ანდაზის (ერთ მთლიან ბირთვად შეკრული) სემანტიკის კონსტრუქტი, მასში მონაწილე ყველა შემადგენელი ელემენტის სინქრონული ამუშავების პრინციპს ეფუძნება. მეტიც, ზედაპირულად ფიქსირებული ხატი და მისი შემადგენელი („ღია“ თუ „დაფარული“) სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მეტაფორული ტროპები პრაქტიკულად „საძირკველია“ მასში ჩადებული ქვეტექსტის – განზოგადებული სიბრძნის „ლოგიკური ჩარჩოს“ შენებაში. ანუ, ყველა ზემოხსენებული კომპონენტი პრაქტიკულად თანაბრად მნიშვნელოვანია. (საკომუნიკაციო აქტის თანმხლები) ანდაზური მეტაფორის „ძრავის“ ამუშავება, რომელიც მასში (ცნებითი აზროვნების დონეზე) ჩამოყალიბებული ზოგადაზრობრივი კოდის გახსნას უზრუნველყოფს, ზედაპირული (ხატის) და სიღრმისეული (ცნებითი) დონეების სინთეზური ურთიერთქმედების საფუძველზე მიიღწევა. ამდენად, მისი „ფარული“ სემანტიკის სიღრმეში, არსებითში ჩაწვდომის საშუალებას მხოლოდ მოცემულ დონეებს შორის არსებული ურთიერთმიმართებების გარკვევა იძლევა.

#### ლიტერატურა:

1. **Haskell R. E. (1987):** *A Phenomonology of Metaphor: A precise study into metaphor and its cognitive movement through Semantic space.* Ibid. Norwood, 1987. pp. 257-292.
2. **Jakobson R. (1981):** *Subliminal Verbal Patterning in Poetry, Selected Writings, III,* Mouton Publishers, The Hague-Paris-New-York.
3. **Аллахвердов В. М. (2001):** *Психология искусства, Эссе о тайне эмоционального воздействия художественных произведений,* изд. ДНК, «Психология и культура», Санкт-Петербург.
4. **Барли Н. (1984):** *Структурный подход к пословице и максиме,* в: *Паремиологические исследования,* М., 127-148.
5. **Крикманн А. А. (1975):** *К проблематике исследования содержания и мирозрения пословиц (на материале эстонских пословиц)* АКД, Талин..
6. **Крикманн А. А. (1978):** *Некоторые аспекты семантической неопределённости пословицы,* Москва.
7. **Левин Ю. М. (1984):** *Провербальное пространство,* в: *Паремиологические исследования,* М., стр. 108-126.
8. **Пермяков Г. Л. (1970):** *От поговорки до сказки (заметки об общей теории клише),* Москва.
9. **Пермяков Г. Л. (1975):** *К вопросу о структуре паремиологического фонда. – Типологические исследования по фольклору,* Москва.
10. **შურღაია თ. (2003):** სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა, ავტორეფერატი, ფშკ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

### **Towards the Question of Main Components of Minor Paroemia Constructin (On the Example of Arabic Material with Georgian Parallels)**

**Tumanishvili Khatuna**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

#### **Abstract**

A proverb is an integral part of the verbal folklore of a given ethnos - “cast” in the mould of the common national consciousness, which is directly linked with speech (speech in its turn, naturally, is expressive of thinking). Accordingly, it qualitatively (both formally and semantically) is the micro-model of the life and mentality of the world where it was created and where it operates.

The present paper aims to interpret the proverb – a formula modeled as a certain concept in a given mentality . On the basis of study of Arabic Syriandialect (with Georgian parallels) material, it is identified how, by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given stereotyped wisdom is created. Conclusions also cover the general theoretical aspect of the problem.

On the basis of the analysis of the examples it becomes clear that a proverb comes into being by the simultaneous operation of all the components involved in its creation. Each of them is equally important. The objective reality reflected in them are as usual constructed on specific syntagmatic relations sometimes on the surface level (obviously) and on the deep level (non-obviously) as well. Accordingly they cannot be regarded as mutually independent objects and phenomena, as they are a whole system of regularities being in a certain conceptual connection by means of logical relations. Accordingly, it is possible to understand a proverb only by gaining deep insight into these connections, understanding the regularities found in the historical reality of the given ethnos and by studying the conceptual thinking recorded within the existing mentality.

All Arabic examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese, informants. To avoid possible inaccuracies, for a researcher (not a native speaker of Arabic) interested in studying proverbs the best way proved direct relationship with informants. By re-interpretation in appropriate context, imaginary logical relations established with respect to a particular phenomenon in given ethnoconsciousness (between things and phenomena) were specified.

The urgency of this topic is also due to the fact that it is the first attempt to introduce a new topic into Georgian Arabistics.

***Key words:*** Proverb, ethnoconsciousness, syntagmatic, metaphor, concept thinking.

## უცხოური ენის შეთვისების ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური და კულტურული წანამდღვრები

კილაძე ანა

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია, ქუთაისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.31>

**აბსტრაქტი.** უცხოური ენის შეთვისება წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელსაც განსაზღვრავს ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური და კულტურული ფაქტორები. ენა ადამიანის ნეიროლოგიური სისტემის ნაწილად მიიჩნევა და მასზე გავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალურ-კულტურული გარემო. ენის ათვისება ადრეულ ასაკში მეტად ეფექტურია, რაც განპირობებულია ადამიანის თანდაყოლილი უნარით, ენის უნივერსალური მახასიათებლების დამსახურებით.

ენის შემსწავლელთა ცნობიერებაში ახალი ენის ფორმების და სტრუქტურების შექმნა ხდება ჰიპოთეზის ტესტირების პროცესის მეშვეობით, სადაც მიმდინარეობს სწავლება და შეცდომების გასწორება. მნიშვნელოვნად რჩება „ვასილიზაციის“ პრობლემა, ანუ შეცდომების არასწორი და გამეორებითი ინტერნალიზაცია, რაც შეფერხებას იწვევს.

ენის შესწავლა კოგნიტურ მეცნიერებაში შეფასებულია, როგორც პროცედურული უნარის განვითარება, სადაც მთავარია წესების ავტომატიზაცია და შინაგანი რეპრეზენტაციების სტრუქტურირება. მრავალენოვანი გამოცდილება ხელს უწყობს უცხო ენის უკეთ შესწავლას, რადგან ენის შემსწავლელს მეტი მოქნილობა და სტრატეგიული უნარი აქვს.

კულტურული და სოციალური ფაქტორებიც დიდი მნიშვნელობისაა. ენის შემსწავლელის ინტეგრაცია და აკულტურაცია განსაზღვრავს ენის შეთვისების ხარისხს. პირადი მოტივაცია, სოციალური ურთიერთობები და ენის გარემო გავლენას ახდენენ შესწავლის პროცესზე.

სოციოკულტურული ფაქტორები, მათ შორის აკულტურაციული დისტანცია, სოციალური ინტეგრაცია და მოტივაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენის შესწავლის ხარისხში. კრიტიკული პერიოდის დასრულების შემდეგ ენის შესწავლა მოითხოვს ცნობიერ ჰიპოთეზირებას და უკუგების პროცესს, რაც გავლენას ახდენს ლინგვისტურ განვითარებაზე.

უცხოური ენის შესწავლა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლინგვისტურ, კოგნიტურ და კულტურულ ასპექტებს, რათა უზრუნველყოფდეს ენის სრულყოფილ ათვისებას.

**საკვანძო სიტყვები:** კომპლექსური, სოციოკულტურული, ინტეგრაცია, ფსიქოლინგვისტური, კოგნიტური, კომპეტენცია

“ჩემთვის ახალი ენის ათვისება ბუნების მომნუსხველი და მისტერიული ფენომენია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის წარმოუდგენლად რთული განსაკუთრებული უნარი, არამედ იმიტომაც, რომ ის არის ადამიანის გონების უდიდესი მიღწევა, ის რაც ბუნებამ ჩემზე მაღლა დააყენა.” (სკოველი . Scovel 1969,39)

ენა ბიოლოგიურად და გენეტიკურად ადამიანის ნეიროლოგიური სისტემის ნაწილია. რეალური სამყარო ქვეცნობიერად აგებულია ენობრივი ჯგუფის ენობრივ ჩვევებზე. ჩვენ აღვიქვამთ, ვხედავთ და განვიცდით ისე, როგორც ამის ინტერპრეტირებას საზოგადოების ენობრივი ჩვევები განაპირობებს.

ენა ურთულესი ფენომენია, ცოდნის არცერთი რთული სისტემის ათვისება არ არის იოლი ადრეულ ასაკში. რაც უფრო ადრე ვსწავლობთ ენას, მით უფრო კარგად ვითვისებთ მას. ენის უნივერსალური მახასიათებლების წყალობით, ადამიანმა უკვე იცის ყველა ენის სტრუქტურა თანდაყოლილი ენის ათვისების უნარის გამო.

ენის შეთვისება კოგნიტურ მეცნიერებაში ერთ-ერთი მთავარი თემაა. ენის ფლობა არსებითად და გამორჩეულად ადამიანური თვისებაა. ეს არის მამოძრავებელი, რითაც სხვისი ფიქრების წვდომაც შეგვიძლია. ენა არის ერთადერთი რამ, რისი სწავლაც ფორმალური სწავლების გარეშე შეგვიძლია. ყოველთვის, როცა რომელიმე ენაზე ვლაპარაკობთ, რაღაც ახალს ვამჟღავნებთ ან აღმოვაჩინებთ მასში.

ენის შემსწავლელი იყენებს უცხო ენას ანუ L2 (Language 2) სისტემას, რომელიც გამუდმებით იქმნება ახალი ცოდნის დამატებისას. მას შეიძლება ინტერენა ანუ შუალედური ენა ვუწოდოთ. ეს ტერმინი ლ. სელინკერს ეკუთვნის, რომელიც ხაზს უსვამს ენის შემსწავლელის ლინგვისტურ განვითარებას. იგი უნიკალურია, ემყარება ორივე ენას, მაგრამ არც ერთს არ მიეკუთვნება.

ყველა ენას აქვს პარამეტრები, რომლებიც უნდა დაფიქსირდეს, ხოლო ენის შემსწავლელის ამოცანაა, ამ სხვადასხვა პარამეტრებისაგან რომელიმეზე გააკეთოს არჩევანი.

უცხოური ენის შემსწავლელი აყალიბებენ ახალ ფორმას, რაც მათი გამოგონებაა. უცხოური ენის შემსწავლელი, იგონებს სიტყვას ან სტრუქტურას, რომელსაც იგი შესასწავლ ენაზე საუბრისას იყენებს. საზოგადოებისაგან მიღებული პასუხის შედეგად იგი ამოწმებს თავის ჰიპოთეზასა და საკუთარ ორიგინალურ იდეას, თუ როგორ მოახდინოს წარმატებული კომუნიკაცია. (Tarone 1982, 72)

უცხოური ენის შესწავლის საფეხურები ასახავს პროგრესირებას კონტინუუმზე, რომლის ორი უკიდურესი პოლუსია დედაენა და შესასწავლი ენა ანუ დედაენიდან შესასწავლი ენისაკენ. ეს კონტინუუმი აღინიშნება საფეხურების სერიებით, რომლებიც ენის შემსწავლელს ტიპური შეცდომებით აღწერს.

მ. სელინკერი საუბრობს ლატენტურ ანუ ფარულ ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე, რომელიც ამოქმედდება მეორე ენის შესწავლისას, როცა მთავრდება კრიტიკული პერიოდი მომწიფებასთან ერთად (Selinker 1972, 225). ს. კორდერის თქმით, ამ დროს მთავარია ჰიპოთეზის ტესტირება, რაც 5 საფეხურისაგან შედგება:

1. შესასწავლი ენის გარკვეული კომპონენტების მახასიათებლების იდენტიფიკაცია, ახალ ფორმასა და არსებულს შორის ურთიერთობის გარკვევა.
2. დაკვირვების შედეგად იდენტიფიკაცია.
3. ჰიპოთეზის ფორმირება და ჰიპოთეზის ტესტირება.
4. უკუგების მიღება.
5. გადაწყვეტილების მიღება/ გავაგრძელოთ თუ არა ჰიპოთეზის მიღება.

უკუგება შეიძლება იყოს კორექცია ან გაგების ხარისხი თანამოსაუბრეთა მხრიდან (Corder 1967, 111-125). გრაფიკულად ეს შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

ცხრილი 1. მეორე ენის შეთვისებისა და სოციალური ცვლადების ურთიერთმიმართება.


ენის მიწოდება	სოციალური ფონი	ენის შეთვისება
შესასწავლი ენის მასალა.	ენის შემსწავლელის კოგნიტური და ენის სწავლის სტილი.	ენა, რომელზეც შემსწავლელი ჰიპოთეზას აგებს.

ენის შესწავლა გამოიყენება ენის სტრუქტურაზე შეგნებული ხაზგასმის კონტექსტში. ენის შეთვისება უფრო ნაკლებ ცნობიერი ინტერნალიზაციით ანუ გათავისებით ხასიათდება შემოქმედებითი კონსტრუქციის პროცესის გზით. შეცდომები დაფუძნებულია L2-ის

ზოგადობაზე და ნაკლებად დედაენის ანუ L1-ის (Language 1) ტრანსფერზე.

ს. კორდერი საუბრობს გარდამავალ კომპეტენციაზე (Corder 1967, 28), ხოლო ლ.სელინკერი - მიახლოებით სისტემების არსებობაზე ენის შემსწავლელში (Selinker 1972, 215). (იხ.ნახ.2)

ნახ. 2 ს. კრაშენის მონიტორის მოდელი




არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ძლიერდება ენის შემსწავლელის კონტროლი შეთვისებულ მასალაზე, ამით მათი პერფორმანსი უკვე დედაენისას უტოლდება. ეს იქნება ავტომატური თუ გაანალიზებული (Bialystok 1988, 42).

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებული ცოდნა მიჩნეულია, როგორც ცოდნის სპეციფიკური, ანუ მარკირებული ფორმა. შეუძლებელია ექსკლუზიურად განვავითაროთ ანალიზური ცოდნა, იგი მხოლოდ გაუანალიზებელი ცოდნიდან აღმოცენდება. ხოლო ნაპრალი ამ ორ ცოდნას შორის დროებითია.

ქვემოთ მოყვანილი სქემა ნათელყოფს ურთიერთმიმართებას ცოდნის სხვადასხვა შრეს შორის (ნახ. 3).

ნახ. 3. სამიტის ტიპის ინფორმაციის როლი ენის შესწავლისას



სხვა სახის ცოდნაში იგულისხმება სხვა ენების ცოდნა, კონცეპტუალური ანუ სამყაროს ცოდნა, სპეციფიკური სიტუაციის ან თემატიკის ცოდნა ანუ კონტექსტური ცოდნა. რაც შეეხება ინდივიდუალურ განსხვავებებს, იგი ემყარება იმას, თუ რომელ სახეს განავითარებს ენის შემსწავლელი ანალიზურს თუ ავტომატურს, როგორ ახდენს წესების დედუქციასა და განვითარებას ლინგვისტური ცოდნიდან. ადამიანები მაღალ შეფასებას იმსახურებენ ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა უნარი, მოტივაცია, ინტელექტი და უფრო სწრაფად ითვისებენ ენის მარკირებულ ელემენტებს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო მოზრდილთა მიერ უცხოური ენის შესწავლის ინტენსიური კვლევა ფსიქოლინგვისტურ ჭრილში, სოციალურ, კულტურულ,

ანთროპოლოგიურ და სხვა კონტექსტებში. ეს ზოგადად შეიძლება მოვიხსენიოთ აკულტურაციის სახელით.

ი. შუმანი თვლის, რომ აკულტურაციის ხარისხი განაპირობებს ენის შეთვისების ხარისხსაც. აქ დგას დისტანციის საკითხი, როგორც სოციალურისა და კულტურულის, ისე ფსიქოლოგიურისა ანუ ინდივიდუალურის. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ენისგან მიღებული შოკი. კულტურული ინტეგრაციული და ინსტრუმენტალური მოტივაციები, ეგო (Schumann 1978, 135-137).

ყველა სახის დისტანცია არის რიგი ფაქტორების შედეგი:

1. დომინანცია/სუბორდინანცია
2. ასიმილაცია /ადაპტაცია/ პრეზერვაცია.
3. შესაბამისობა
4. განწყობა-დამოკიდებულება

ი. შუმანი მეორე ენის შესწავლას ადარებს ფიჯინიზაციის პროცესს, როცა უცხო ენაზე მოსაუბრე ამარტივებს მეტყველებას. ამ დროს ხდება სხვადასხვა სახის შეფერხება, დისტანცია ისევე ნარჩუნდება და ენის ცოდნაც რჩება იმავე დონეზე, ანუ ხდება სტაგნაცია.

ი. შუმანს მოჰყავს 33 წლის კოსტა-რიკელი ემიგრანტის ალბერტოს მაგალითი: ალბერტო პირადი ურთიერთობებით შორს იდგა იმ ჯგუფის წევრებისაგან, ვისთან ერთადაც სწავლობდა. მისი ლინგვისტური განვითარებაც შეფერხდა (ibid. 139).

ალბერტოს მეტყველების მახასიათებლები გახდა:

1. ზმნისწინური უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება;
2. არავითარი ინვერსია შეკითხვების დროს;
3. დამხმარე ზმნების ნაკლებობა;
4. კუთვნილებისას ფლექსიების არარსებობა;
5. ზმნების არამარკირებული გამოყენება.

1976 წელს გერმანიაში, ჰაიდელბერგის პროექტში მონაწილეობდა 48 იტალიელი და ესპანელი ემიგრანტი მუშა. ისინი გერმანულს ითვისებდნენ არასასწავლო პირობებში. ისეთი ცვლადი, როგორცაა თავისუფალ დროს კონტაქტები, ძალიან წაადგა ენის შესწავლას. ასევე დადებითად იმუშავა დროის ხანგრძლივობამ, რომლის ათვლაც ხდებოდა იმ დღიდან, როცა მუშები ჩავიდნენ გერმანიაში. ნაკლები გავლენა ჰქონდა დედაენას და სქესს (Krashen 1982, 93).

დ. ლარსენ-ფრიმენს მოჰყავს ერთი ესპანელი ემიგრანტის მაგალითი, რომელმაც გერმანიაში გაატარა 5 წელი და ალბერტოს მსგავსად შეზღუდული კონტაქტები ჰქონდა სხვებთან. მისი მეტყველების მახასიათებლებია:

1. გერმანული უარყოფითი ნაწილაკისა „nicht“ გადაჭარბებული ხმარება;
2. კოპულას არ გამოყენება;
3. დამხმარე ზმნებისა და ფლექსიების უგულვებლყოფა;
4. სუბიექტის აქტიურ ლექსიკონში ძირითადად არსებითი (Larsen – Freeman 1994, 169).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს დასახელებულ ფაქტორთა ვალიდურობას და მათ უცილობელ გათვალისწინებას წარმატებული სწავლისთვის.

უცხოური ენის შეთვისების მეორე და შედარებით ახალი მიმართულებაა კოგნიტური მიდგომა, რომლის მიხედვითაც უცხოური ენის შესწავლა სხვა არაფერია თუ არა ერთი კომპლექსური კოგნიტური უნარის შესწავლა, რომელშიც ჩართული იქნება ენის პერფორმანსის არაერთი ასპექტი.

იგი ითხოვს მისი კომპონენტი ქვეუნარებისა და ჩვევების ავტომატიზაციას. სწავლა კოგნიტურია, რადგან, სავარაუდოდ, იგი მოიცავს შინაგან აღდგენას ანუ რეპრეზენტაციას, რომელიც თავის მხრივ, მართავს პერფორმანსს და ეს უკანასკნელი კი უმჯობესდება შინაგანი რეპრეზენტაციის გამუდმებული განახლების, ხელახალი ორგანიზაციისა და სტრუქტურისაგან გზით. რაც შესაძლებლობას აძლევს ენის შემსწავლელს, გაამარტივოს ენის ქცევა და მოახდინოს მისი სიტუაციასთან მორგება. ეს ორი პროცესი - ავტომატიზაცია და რესტრუქტურისაგან - ურთიერთგამსაზღვრელია.

ბ. მაკლაჰლინი ამ მიმართებით, ჩაატარა ექსპერიმენტი, რომლის მსვლელობისას მან ერთმანეთს შეადარა ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი სუბიექტები. ამ უკანასკნელთ ითხოვდა წინასწარი ინსტრუქტაჟის გარეშე, დაესწავლათ მინიატურული ლინგვისტური სისტემა.

კვლევისას მიღებული იქნა შედეგები: მრავალენოვანი სუბიექტები ენას შესაბამისად იოლად სწავლობდნენ, როცა საქმე მიდგა იმპლიციტურ სწავლებაზე. ეს შედეგი მან ახსნა იმ გამოცდილებით, რაც ენის შემსწავლელთ მიღებული ჰქონდათ ასოებისა და მოდელების გამოცნობისას, ასევე იმ მოქნილობით, რაც სხვადასხვა ფრაზის ხმარებით, მოძიებითა და ევრისტიკული სტრატეგიების გამოყენებით მოდის წლების განმავლობაში (McLaughlin 1978, 65-69).

ამდენად, კოგნიტური მიდგომა უფრო პროცედურული ცოდნის ინტერნალიზაციისკენაა მიმართული. იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება სუბიექტების მიერ ცოდნის დაგროვება, წესთა ავტომატიზაცია და მათი რესტრუქტურისაცია. შესაძლებელია გავარჩიოთ შეთვისების ორი გზა:

1. ლინგვისტურად განპირობებული, რაც ბუნებრივ თანამიმდევრობას მიჰყვება;
2. გზა, რომლის დეტერმინირება შეუძლებელია, მაგრამ რომელიც მოითხოვს ავტომატიზაციას კონტროლის ქვეშ.

ჩვენი აზრით, სწავლებაში აუცილებელია ორივეს შეთვისება-შეჯერება.

მეორე ენის წარმოქმნა სამი გამოკვეთილი გზით ხდება:

1. შემსწავლელი თავის მიერ შეძენილი სისტემის გამონათქვამებს იყენებს მისი კვლავ წარმოქმნისათვის;
2. იყენებს მზამზარეულ ფრაზებს, ანუ რუტინებსა და მოდელებს, რომლებსაც, თეორიულად ბევრის მიცემა არ შეუძლია ენის შემსწავლელისათვის, მაგრამ პრაქტიკულად საკმაოდ დახმარების მოტანა ძალუძს;
3. ეყრდნობა მშობლიური ენის ზედაპირულ სტრუქტურებს და ზოგი მეცნიერის აზრით, შეგნებულად იზიარებს და ცვლილებები შეაქვს მასში (Krashen 1982, 111).

ენის შემსწავლელის ცნობიერებაში განირჩევა სულ ცოტა სამი სხვადასხვა როლი, რომელსაც ინფორმაცია ასრულებს:

1. მშობლის, კერძოდ ბავშვობაში ნასწავლი წესებით, ფასეულობებით, რაც ავტორიტეტულ პიროვნებებს უკავშირდება;
2. ბავშვის - რაც ასოცირდება ბავშვურ დამოკიდებულებებთან;
3. მოზრდილის - რაც დამოუკიდებლობასთან იგივდება.

ყოველივე უკავშირდება მასწავლებლის როლის კვალიფიცირებასა, მწვრთნელს აღმზრდელს, მოზარდს. როგორც აღმოჩნდა, შეცდომების უმრავლესობას ბავშვი უშვებს კრიტიკული მასწავლებლის შემთხვევაში (Savignon 1972, 57).

უცხოური ენის შესწავლის სხვა განმსაზღვრელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მეხსიერება, რომელიც მეორე ენის შესწავლისას უფრო შეზღუდულია, ვიდრე დედაენის შემთხვევაში, ხოლო ხანმოკლე მეხსიერება ვითარდება ასაკის მატებასთან ერთად.

მნიშვნელოვანია სქესის ფაქტორიც, როცა ექსპერიმენტები ქალთა სასარგებლოდ მეტყველებენ.

საუბრობენ დაბადების რიგზე, ანუ სუბიექტი რიგით მერამდენა თავის ოჯახში. საკითხი დედისერთა და პირველი ბავშვის სასარგებლოდ წყდება (Larsen 1994, 158-161).

ასევე გავლენას ახდენს ნებისყოფა, წინა გამოცდილება და სხვა ფაქტორებიც, რომელთა მიმოხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

უცხოური ენის შეთვისება წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალმხრივ პროცესს, რომელიც ერთიანად მოიცავს ფსიქოლინგვისტურ, კოგნიტურ და კულტურულ ფაქტორებს. ენის შესწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ გრამატიკული ფორმების შესწავლით, არამედ გულისხმობს ჰიპოთეზების გამოთქმასა და მათ შემდგომ ტესტირებას, ასევე კულტურულ ადაპტაციას და სოციალურ ინტერაქციებს.

ენის შესწავლის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული

ინდივიდუალურ, ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ შესაძლებლობებზე. ამიტომ, უცხოური ენის სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც ენათმეცნიერების, ისე ფსიქოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინტეგრირებული მიდგომების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ეფექტურობას და ენის კომპეტენციის სრულ განვითარება.

**სამეცნიერო ლიტერატურა:**

- 1.Scovel, T. Foreign accents, Language Acquisition and Cerebral Dominance.
- 2.Language Learning 25; 209-235, 1969
- 3.Selinker, L. Interlanguage. IRAL, 10: 209 -231. 1972
- 4.Tarone, E. Systematicity and Attention in Interlanguage. Language Learning, 32: 69-84, 1982
5. Corder, S.P. The Significance of Learners Errors. International Review of Applied Linguistics (IRAL), 1967
6. Schuman, I. Social Distance as a Factor in Second Language Acquisition. Language learning 26:135-143,1978
7. Krashen, S.D. Principles and Practice in the Second Language Acquisition. London: Pergmon Press, 1982.
8. <http://www.biling.su.se/~niab/Literature.htm>
- 9.[http://www.experincefestival.com/a/Second\\_language\\_acquisition\\_-\\_Summary\\_of\\_Critical\\_Period\\_Research\\_to\\_date/id/213596](http://www.experincefestival.com/a/Second_language_acquisition_-_Summary_of_Critical_Period_Research_to_date/id/213596)

## **Psycholinguistic, Cognitive, and Cultural Foundations of Foreign Language Acquisition**

**Kiladze Ana**

Gelati Theological Academy and Seminary, Kutaisi

### **Abstract**

Foreign language acquisition is a complex process influenced by psycholinguistic, cognitive, and cultural factors. Language is considered part of the human neurological system and is affected by both biological and socio-cultural environments. Early language acquisition is more effective due to the innate ability of humans and the universal features of language.

In learners' cognition, the creation of new language forms and structures occurs through a process of hypothesis testing, which involves learning and error correction. The issue of "fossilization," or the incorrect and repetitive internalization of errors, remains significant and can cause delays.

Language learning is viewed in cognitive science as the development of procedural skills, where rule automatization and the structuring of internal representations are crucial. Multilingual experience facilitates better foreign language learning by providing learners with greater flexibility and strategic abilities.

Cultural and social factors are also highly important: learner integration and acculturation determine the quality of language acquisition. Personal motivation, social relationships, and language environment influence the learning process. Sociocultural factors, including acculturation distance, social integration, and motivation, play a key role in the quality of language learning. After the critical period, language acquisition requires conscious hypothesis formulation and feedback processes, impacting linguistic development.

Thus, foreign language learning demands an integrated approach that considers psycholinguistic, cognitive, and cultural aspects to ensure comprehensive language mastery.

**Key Words:** *Complex, Sociocultural, Integration, Psycholinguistic, Cognitive, Competence.*

**ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი  
არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში**

**ლომია მაია**

**ჭუმბურიძე ნინო**

**მარგიანი ქეთევან**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.32>

**კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) FR-21-352  
საგრანტო პროექტის ფარგლებში**

**აბსტრაქტი.** არასალიტერატურო ქართველური ენები (მეგრული, ლაზური, სვანური) და ქართული სალიტერატურო ენის დიალექტები ზეპირმეტყველების საკომუნიკაციო სისტემას ქმნიან; შესაბამისად, არაერთ ენობრივ მოვლენას გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი აქვს ქართველურ ენებსა და დიალექტებში. ერთ-ერთი ასეთია ნაწილაკითა და ინტონაციით გადმოცემული ერთი ტიპის ქვეწყობილი წინადადება. მთქმელები საანალიზო კონსტრუქციას ძირითადად სიუჟეტური ამბის თხრობისას ემოციური დაძაბულობის გადმოსაცემად იყენებენ. მეგრულში მისი ფორმალური ნიშანია -ო ნაწილაკი, რომელიც ქვეწყობის საფუძველზე აკავშირებს ორ წინადადებას. ასეთ კონსტრუქციაში დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; -ო ნაწილაკი მის ბოლოკიდურ წევრს დაერთვის და აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის, რაც დაუსრულებლობაზე მიუთითებს; შესაბამისად, აზრს ასრულებს მომდევნო მთავარი წინადადება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ -ო ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების შემცველი კონსტრუქცია ზერთულია, აგებულია თანადაქვემდებარების პრინციპით, თუმცა მთავარ კომპონენტად ნაგულისხმევი თქმა-ბრძანების სემანტიკის ზმნა ძირითადად გამოტოვებულია. მაქვემდებარებელი ფუნქციით გამოყენებული -ო ნაწილაკი ქართულ ვერსიაში „რომ“ კავშირით გადმოდის; მაგალითად, კარს მიოჯინულ, მუდგარენი ქიმკოჭარუ (ხუბუა, 3, 11) სიტყვასიტყვით ასე გაიგება: „კარს შეხედაა, რაღაცა აწერია“; სრულყოფილი თარგმანი ასეთი იქნება: „კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაცა აწერია“.

მსგავსი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც. მეგრულში დადასტურებული -ო ნაწილაკის ადგილას მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში -ა ნაწილაკია მოცემული; გურულსა და აჭარულში დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური წევრის ხმოვნის დაგრძელება ფუნქციურად უტოლდება ორივე დასახელებულ შემთხვევას. -ო და -ა ნაწილაკების გენეზისიცი შეიძლება ერთგვარი იყოს: ან კითხვითობის ნაწილაკებია და ჩაკითხვას გამოხატავენ, ან ო-რენ / ა-რის „არის“ ზმნების გაცვეთის შედეგად მიღებული პროსოდიული ელემენტებია (კლიტიკებია); სვანურში ამ ტიპის ჰიპოტაქსური სტრუქტურები მრავალფეროვანია; კერძოდ, ხან გამოხატულია ოდენ ინტონაციით, ხან ინტონაციასთან ერთად ი „ც“ ან -ა ნაწილაკებით. არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ნაწილაკებითა და ინტონაციით გამოხატულია მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქცია და ხაზგასმულია ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ფაქტის განსაზღვრულობა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართველური ენები, დიალექტები, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, ინტონაცია, ნაწილაკი.

არასალიტერატურო ქართველური ენები ზეპირმეტყველების ენებია. მეგრული, ლაზური და სვანური ფოლკლორული ნიმუშები საუკუნეების განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა. ასეთ დროს ენა მრავალფეროვან საშუალებას იყენებს, რათა აზრი იყოს ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული და დასამახსოვრებლად ადვილი. ენობრივი სტრატეგიები ენობრივი დონეების გათვალისწინებით იქმნება: ფონეტიკა-ფონოლოგიის ფარგლებში ზეპირმეტყველებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია **ინტონაცია**, ხოლო ფორმალურ (მორფოლოგიურ) საშუალებებს შორის ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ხშირი გამოყენებისაა **ნაწილაკი**. წინამდებარე სტატიაში მეგრული, სვანური და ქართული ენის დიალექტური საანალიზო მასალის მიხედვით ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციური საფუძველი სწორედ ინტონაციისა და ნაწილაკების მიხედვით არის წარმოდგენილი.

ორი წინადადების ქვეწყობის საფუძველზე შესაერთებლად გამოყენებულია შემდეგი ნაწილაკები: **-ო** მეგრულში, **-ი** და **-ა** სვანურში, **-ა** ინგილოურ დიალექტში; გურულ და აჭარულ დიალექტებში სპეციალური ფორმალური მახასიათებლის მაგივრობას ეწევა წარმოთქმისას დამოკიდებული წინადადების ბოლოკიდური წევრის ხმოვნის დაგრძელება; ამავე პოზიციაში სპეციფიკური ინტონაციითა და ხმოვნის დაგრძელება- გაორმაგებით გამოხატული ქვეწყობა უცხო არ არის სვანურისთვისაც. ქვეწყობის გამოხატვის ფუნქციური ერთგვარობის მიუხედავად, მცირე ნიუანსობრივი სხვაობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ემპირიულ მასალას განვიხილავთ ენებისა და დიალექტების მიხედვით ცალ-ცალკე.

**მეგრულში** **-ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; **-ო** ნაწილაკიც ყოველთვის ბოლოკიდურ წევრს მიერთვის, რომელიც ძირითადად ზმნა-შემასმენელია, იშვიათად – წინადადების სხვა წევრი; **-ო** ნაწილაკი ქართულ თარგმანში მაქვემდებარებელი „რომ“ კავშირის ფარდია; მაგალითად,

(1) *მიოჯინულ, ქოძირე ბოშიქე, ვითოჟირხოლო დუდი კინი ქიირდულნი* „რომ გაიხედა, დაინახა ბიჭმა, რომ თორმეტივე თავი ისევ იზრდება“ (დან., ცან. 644, 9).

(2) *ქემერთ ხოლოშავლ, ქოძირუ დიდაქ, ბაღანა აშო ქიმირულედულნი* (ექსპ. მასალ.) „რომ მივიდა ახლოს, ნახა დედამ, რომ ბავშვი აქეთ მორბოდა“.

რამდენადაც „რომ“ ზოგადი მნიშვნელობისაა და ამავე დროს პოლისემანტურია, საანალიზო კონსტრუქციაში იგი შეიძლება დაზუსტდეს დროის გამომხატველი მაქვემდებარებელი კავშირით:

(1ა) *მიოჯინულ* (=მუჟანს მიოჯინულ), *ქოძირე ბოშიქე...* „შეხედა (=როცა შეხედა), დაინახა ბიჭმა...“.

მეგრულში **-ო** ნაწილაკიანი დამოკიდებული აღმავალი ინტონაციით წარმოითქმის; აზრს ასრულებს მომდევნო მთავარი წინადადება, რომელიც ძირითადად გამარტივებულია, კერძოდ, დაკარგულია მთავარ კომპონენტად ნაგულისხმევი თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმნა-შემასმენელი; მაგალითები:

(3) *გააჯინულ, მუმ ოსურქ იყუ გვილირქ* (ხუბუა, 238, 15) „რომ გახედა, [ნახა], თავისი ცოლი იქნა მოკლული“.

(4) *კარს მიოჯინულ, მუდგარენი ქიმკოჭარუ* (ხუბუა, 3, 11) „კარს რომ შეხედა, [დაინახა], რაღაცა აწერია“.

(5) *ქიმერთ ხოლოშავლ, ა, მუში დელმახორეში ოსური* (ხუბუა, 17,8) „ახლოს რომ მივიდა, [დაინახა], აგერ თავისი მეზობლის ცოლი“.

(6) *ქიმოდირთ ხოლოშავლ, მინდორი ართო ჩიჩიფეში ეფშა ქორე* (ხუბუა, 91,29) „რომ მიუახლოვდა, [ნახა], მინდორი ერთიანად სავსეა მათხოვრებით / გლახაკებით“.

საანალიზო კონსტრუქცია ზერთული და ტევადი ინფორმაციის შემცველია, თუმცა ძალზე მოქნილია, რასაც ზმნური ფორმის ელიფსისით გამოხატული ზეპირ-მეტყველებისთვის დამახასიათებელი ეკონომიურობის პრინციპი განაპირობებს.

**ინგილოურ დიალექტურ ტექსტებშიც**, რომლებიც თავის დროზე მოსე ჯანა-შვილმა ჩაწერა, ცალკე შეიძლება გამოიყოს ის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომელთა დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრი -ა ხმოვანს დაირთავს და ყოველთვის პირველ ადგილზე დგას; მაგალითად <sup>8</sup>,

(7) *კერკლებთან ჰუმ მისულანჲ, ყოვს დაუჩხავლნი.*

ინგილოურში დადასტურებულ თავისებურებაზე პირველად ქეთევან ლომთათიძემ გაამახვილა ყურადღება; ასევე, აღნიშნულ ენობრივ ფაქტთან დააკავშირა და ერთნაირ ენობრივ მოვლენად მიიჩნია **გურულ და აჭარულ** დიალექტებში იმავე პოზიციაში ბოლო ხმოვნის დაგრძელება (ლომთათიძე, 1946, 337-344; ლომთათიძე 1988).

გურული დიალექტის მაგალითები:

(8) *თქვენ რო ხელც არ მიშლიდეჲ<sup>9</sup>, ყოლიფერს მუახერხეფ.*

(9) *უმ გადიარს აქიდაჲნ, მერე მიეცემა დიდი გული.*

აჭარული დიალექტის მაგალითები:

(10) *ის ტყე რომ მოჩანს შავიდ, იმის ძირში არის (სოფელი).*

(11) *ახლა უმ აქ ქალი იყოდ, იმას აქ ჭახრაკი.*

ქ. ლომთათიძის ვარაუდით, ინგილოურში დადასტურებული ენობრივი ფაქტები უფრო ადრინდელი ვითარების გამომხატველია, ხოლო გურულსა და აჭარულში ბოლო სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის დაგრძელებას ამ „-ა“-ს დაკარგვა გამოიწვევდა (ლომთათიძე, 1946, 342).

**სვანურშიც** ამ ტიპისად შეიძლება ჩაითვალოს -ო- ან -ა ნაწილაკიანი ჰიპოტაქსური წინადადება, რომელიც სპეციფიკური ინტონაციით წარმოითქმის; მართალია, სვანური -ო- ნაწილაკი ქართული „-ც“ -ს ფარდია, თუმცა საანალიზო კონსტრუქციაში იგი ჰიპოტაქსური მნიშვნელობისაა და მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მოქმედების თანადროულობას გამოხატავს; შესაბამისად, მისი ქართული შესატყვისია: „თუ არა“, „როგორც კი“; აღსანიშნავია, რომ სვანურში -ო- ნაწილაკი თავკიდურა პოზიციაში მდგარი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის შუაშია მოქცეული, განსხვავებით მეგრული და დიალექტური მასალების მონაცემებისაგან; მაგალითად,

(12) *ზისხს ქა-ო-ხეწად, ბაჟ ქ'ოხკად (ექსპ. მასალ.) სიტყვასიტყვით: „სისხლი და-როგორც კი-ნახა, გული წაუვიდა“; შდრ.: „სისხლი როგორც კი დაინახა, გული წაუვიდა“.*

სვანურში -ო- ნაწილაკი დამოკიდებული წინადადების პარალელურად მთავარ წინადადებაშიც შეიძლება გაჩნდეს კორელატის ფუნქციით და ქართულად გადმოიცეს „კიდევაც“, „მაშინვე“ ფორმაუცვლელი სიტყვების მნიშვნელობით:

(13) *ყორისგა სვა-ო-ანსკინე, ჩუ-ო-ანშყად მეხ (ექსპ. მასალ.) „კარში შემოვარდა / შემოხტა თუ არა, ჩამოვარდა კიდევაც/მაშინვე მეხი“.*

სვანურშიც -ა ნაწილაკიანი დამოკიდებული პირველ ადგილზე დგას და აზრობრივად პირობის შემცველ დაშვებას გამოხატავს, მოსალოდნელი შედეგი კი მთავარშია

<sup>8</sup> დიალექტურ ტექსტებში დადასტურებული ჰუმ, რო, უმ ფორმები რომ კავშირის ტრანსფორმირებული ვარიანტებია.

<sup>9</sup> გემინაციის პროცესს გაორმაგებული ხმოვნებით წარმოვადგენთ, განსხვავებით ქ. ლომთათიძის სტატიაში მოცემული ჩანაწერისაგან.

მოცემული; საკუთრივ -ა ნაწილაკი „თუ“-ს მნიშვნელობისაა. მაგალითები:

(14) ამის სამსახურ ჩუხელვენივჲ, ქვეყანახენქა დემის ღვრდა „ამას სამსახური ექნებოდაჲ (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავილოდა“.

სვანურში გურულ-აჭარულის მსგავსი შემთხვევაც დასტურდება, რაც ხმოვნის დაგრძელებითა და სპეციფიკური ინტონაციით გამოიხატება; დამოკიდებულ წინადადებაში გრძელდება ბოლო სიტყვის ბოლო ხმოვანი, ან კიდევ: ბოლო დახურული მარცვლის ხმოვანი (ეს იმ შემთხვევაში, თუ ზმნა თანხმოვანზე მთავრდება):

(15) ამის სამსახურ ჩუხელვენიდვ, ქვეყანახენქა დემის ღვრდა „ამას სამსახური ექნებოდაჲ (=თუ ექნებოდა), ქვეყნიდან არ წავილოდა“.

სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დადასტურებული ნაწილაკებისთვის სინტაქსური ფუნქცია მეორეულია; ამიტომ მათი გენეზისის საკითხი დგას.

**მეგრულის** -ო ნაწილაკის წარმომავლობაზე აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში: ნია აბესაძის აზრით, აქ ქვეწყობის საფუძველზე დაკავშირებულია ორი წინადადება კითხვითი ნაწილაკის საშუალებით: „ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამგვარ კონსტრუქციებში კითხვითობის გაგება მეგრულშილა შემოგვრჩა, მაგრამ აქაც უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (აბესაძე, 1963, 19). ამ უკანასკნელი ფრაზის მიუხედავად, აშკარაა, რომ ნ. აბესაძეს ამ კონსტრუქციაში -ო კითხვითობის გამომხატველ ნაწილაკად მიაჩნია, ამოსავალ ვითარებაში მაინც. სხვა თვალსაზრისის თანახმად, ამგვარ კონსტრუქციაში -ო-ს კითხვითობის გაგება არა აქვს და არც ჰქონდა; იგი შესაძლოა მომდინარეობდეს ორე(ნ) „არის“ მემველი ზმნისგან: უჯინუ + ორე(ნ) → უჯინუ - ო „გახედა არის“ > გახედა არა!“ განზოგადებული „რომ“ კავშირის ფუნქცია მან შემდგომში შეიძინა გარკვეული ენობრივი რეინტერპრეტაციის შედეგად (ციკოლია, 1977, 87). **დიალექტურ ტექსტებში** დადასტურებული -ა ნაწილაკი შეიძლება მომდინარეობდეს ან „არის“ ზმნისგან, ან „არა“ ნაწილაკისგან: „თავად ეს „ა“ ნაშთია ან „არის“ ზმნისა, ან დადასტურებით-ჩაკითხვითი „არა“ ნაწილაკისა (ლომთათიძე, 1946, 342). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამავე თვალსაზრისს იზიარებს ბ. ჯორბენაძეც (ჯორბენაძე, 1989, 537). **სვანურში** -ა ნაწილაკი მატერიალურად კითხვითი ნაწილაკია, თუმცა საანალიზო წინადადებაში ისიც ჩაკითხვას გამოხატავს.

**შეჯამება:** არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში დადასტურებული -ო და -ა ნაწილაკების გენეზისი თანაბრად ითავსებს ორივე ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს; მეგრულსა და სვანურში -ო და -ა კითხვითობის ფორმალური საშუალებებია სინქრონიულ დონეზეც თუმცა აღნიშნული ნაწილაკების *ო-რენ / ა-რის / არი* ზმნებისგან მომდინარეობა უფრო სარწმუნოა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა. ზეპირმეტყველებაში „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმები (არის, ორე(ნ), არი) გამოიყენება მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქციით (ამ საკითხზე დაწვრ. იხ. კვანტალიანი, 1990; ლომია, 2005).

ბ. ფორმათა გამარტივება დამახასიათებელია ზოგადად ზმნებისგან მომდინარე ნაწილაკებისთვის, მაგალითად ავილოთ ქართულში თავად *არის* → -ა პროცესი; აგრეთვე შდრ.: ქართული *ვინძლო, ეგებ, უნდა* მოდალური ნაწილაკების ჩამოყალიბების გზა.

გ. საანალიზო ფორმები – *მიოჯინუ-ო / შეხედა-ა* და მისთან. კითხვაზე მეტად ჩაკითხვას გამოხატავენ და ფაქტის განსაზღვრულობას უსვამენ ხაზს (შდრ.: „აქაც [მეგრულში] უკვე გაძლიერებითი მნიშვნელობა ჭარბობს“ (ნ. აბესაძე)).

დ. სვანურში ამავე ფუნქციით გამოყენებული ქართული „ც“-ს ფარდი -ი- დადასტურებითი ნაწილაკია.

**დასკვნები:**

1. არასალიტერატურო ქართველურ ენებსა და დიალექტებში ქვეწყობის გამოხატვის საერთო ფუნქციურ საფუძველს ქმნიან ფორმალური საშუალებები (ნაწილაკები) და ინტონაცია.

2. სინტაქსურის გარდა, მათ აკისრიათ პრაგმატიკულ-სტილისტური – ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოცემული ფაქტის დადასტურება-განსაზღვრულობის ფუნქცია.

**ლიტერატურა:**

აბესაძე, ნ. (1963). „რომ“ კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კვანტალიანი, ლ. (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ლომთათიძე, ქ. (1988). ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინააღების გამოხატვის ფუნქციური საფუძველი, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).

ლომთათიძე, ქ. (1946). დამოკიდებული წინააღების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში, 337-344, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ლომია, მ. (2005). ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ციკოლია, მ. (1977). აფხაზურ-ქართული სინტაქსური პარალელები, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, ტ. VI, სოხუმი.

ჯორბენაძე, ბ. (1989), ქართული დიალექტოლოგია, ნაწილი I, გამომცემლობა „მეცნიერება“.

**წყაროები:**

ექსპედიციის მასალები მოპოვებულია FR-21-352 გრანტის ფარგლებში 2022-2023 წლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციების დროს სვანეთსა და სამეგრელოში.

ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (1991). მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ); ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ; თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხუბუა, მ. (1937). მეგრული ტექსტები. ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა და სტამბა.

დაუმოწმებელი დიალექტური მაგალითები აღებულია ქ. ლომთათიძის სტატიიდან (იხ. ლომთათიძე, ქ. (1946)).

**შემოკლებათა განმარტებანი:**

ხუბუა – იხ. ხუბუა, მ. (1937).

და., ცან., – იხ. ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II (1991).

ექსპ. მასალ. – იხ. ექსპედიციის მასალები.

## Common Functional Basis of Expression of Subordination in Non-Literary Kartvelian Languages and Dialects of the Georgian Language

Lomia Maia  
Tchumburidze Nino  
Margiani Ketevan

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Arn. Chikobava Institute of Linguistics , Tbilisi

*This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN), Grant number FR-21-352*

### Abstract

Non-literary Kartvelian languages (Megrelian, Laz and Svan) and the dialects of the Georgian language form a communicative system of oral speech. Therefore, numerous language phenomena have a common basis of expression in Kartvelian languages and Georgian dialects. An example of the above-mentioned is a certain type of complex sentence with a peculiar particle and intonation. The speakers use the construction under analysis chiefly for expressing emotional tension in narration. In Megrelian, the formal marker of the above-mentioned construction is the particle **-o**, which connects two clauses based on subordination. In such construction, the subordinate clause has the initial position. The particle **-o** is added to its final member and is pronounced with a rising tone, which points to incompleteness. Hence, the idea becomes complete in the following main clause. Mention should be made of the fact that the construction of the subordinate clause with particle **-o** is overly complicated. It is based on the principle of co-subordination, but the verb of saying/ordering semantics, implied as the main component, is mostly omitted. The particle **-o** which performs a subordinating function is translated into Georgian by means of the conjunction *rom* “that”. For instance, Megrelian *kars miožinuo, mudgareni kimk’oc’ aru* (*Khubua*, 3, 11) is literally translated into Georgian as: *kars šexedaq, rayaca ac’eria*; but a complete translation is: *kars rom šexeda, [dainaxa], rayaca ac’eria* “when he/she looked at the door, he/she saw that something was written on it”.

Similar hypotactic constructions are found in Georgian dialects. Instead of the particle **-o** found in Megrelian, we find the particle **-a** in the Ingiloy texts recorded by M. Janashvili. In the dialects of Guria and Achara, the vowel of the final member of the subordinate clause is lengthened, which is a functional equivalent of the above-mentioned Megrelian and Ingiloy cases. It is highly probable that the particles **-o** and **-a** are of the same origin: they are either interrogative particles or prosodic elements (clitics) obtained from the verbs *o-ren / a-ris* (third person singular form of the verb “to be”); In Svan, this type of hypotactic construction is expressed by means of the particle **-c** “-ts”. In non-literary Kartvelian languages and Georgian dialects, particles and intonation serve as subordinating conjunctions and emphasize the definiteness of the fact expressed by the hypotactic construction.

**Keywords:** *Kartvelian Languages, Dialects, Hypotactic construction, Intonation, Particle.*

## პირის ნაცვალსახელები ქართულ ჟესტურ ენაში

მახარობლიძე თამარ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.33>

**აბსტრაქტი.** ჩემს წიგნში „ქართული ჟესტური ენა“ მე დეტალურად მომოვიხილე ამ ენაში არსებული ნაცვალსახელები (გვ. 244-288) და სისტემურად შევუპირისპირე ეს ფორმები ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ ფორმებს. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ზოგადად ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ გვაქვს და ეს არის დეიქტიური ფორმები. მართლაც, თუ დავაკვირდებით ქართული ჟესტური ენის მონაცემებს, პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები მანუალური ან მზერითი მითითებითი ფორმებია. ეს ზოგადად არის საერთო მოცემულობა ჟესტური ენებისთვის. ენობრივი ლოგიკა აქ სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ ასევე მითითებითია სომატური ლექსიკაც არსებით სახელებში. თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ადგილი აქვს სხეულის ნაწილების მითითებას. ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მანუალური და არამანუალური ფორმებით. არამანუალური ფორმა ძირითადად მოიაზრებს შესაბამისი ჟესტის მიმიკურ ვერსიას. ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე იყოს მზერითი ჟესტი. აქედან გამომდინარე გვაქვს ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები: 1. მანუალური ფორმები, როდესაც პირის ნაცვალსახელები დეიქტიური ფორმებია; 2. მიმიკური ფორმები, როდესაც სახის მიმიკა გამოხატავს კონკრეტულ ნაცვალსახელს; 3. მზერითი ფორმები, როდესაც თვალის მიმსრთულება უჩვენებს კონკრეტულ პირს. ეს ფორმაც არის დეიქტიური თავის ბუნებით. ჩამოთვლილი სამი ვერსიიდან მათი კომბინაციებით ვიღებთ კიდევ შემდეგ ორწევრიან შესაძლებლობებს: 1. მანუალური და მიმიკურის კომბინაცია; 2. მანუალური და მზერითის კომბინაცია; 3. მზერითი და მიმიკურის კომბინაცია. ასევე შესაძლებელია სამწევრიანი კომბინაცია: მზერითი, მანუალური და მიმიკური ფორმების კომბინაცია.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ჟესტური ენა, ნაცვალსახელი, მორფოლოგია, ჟესტური ენები.

2012 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული ჟესტური ენა“ მე დეტალურად მომოვიხილე ამ ენაში არსებული ნაცვალსახელები (გვ. 244-288) და სისტემურად შევუპირისპირე ეს ფორმები ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ ფორმებს. უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ზოგადად ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ გვაქვს და ეს არის დეიქტიური ფორმები. მართლაც, თუ დავაკვირდებით ქართული ჟესტური ენის მონაცემებს, პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები მანუალური ან მზერითი მითითებითი ფორმებია. ეს ზოგადად არის საერთო მოცემულობა ჟესტური ენებისთვის. ენობრივი ლოგიკა აქ სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ ასევე მითითებითია სომატური ლექსიკაც არსებით სახელებში. თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ადგილი აქვს სხეულის ნაწილების მითითებას. ამრიგად, ამ ენებში ერთნაირად იქნება წარმოდგენილი ‘ფეხი’, ‘გული’, ‘მუხლი’, ‘თავი’, ‘თვალი’, ‘ცხვირი’, ‘პირი’ და ა.შ.



**მე** – აღნიშნავს მოლაპარაკეს

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს, ცხადია, მოსალოდნელი ფორმაა და თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ასე გამოიყურება. ამავე ტიპისაა მეორე დაა მესამე პირის ნაცვალსახელებიც. მესამე პირის ნაცვალსახელებს შეუძლიათ განასხვავონ სივრცის სამგანზომილებიანი მოდელი: ეს-ეგ-ის, როგორ ეს წარმოდგენილია ქართულ ენაში.



**ამ /ეს** – ნაცვალსახელი, მიუთითებს პირველ პირთან ახლო მყოფ საგანზე

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ეზ** – პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელი (მეორე პირთან ახლოს მყოფი) ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ის** – მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

საგულისხმოა, რომ ქართული ჟესტური ენა (მსგავსად სხვა მრავალი ჟესტური ენისა) არ განასხვავებს კლასის ან სქესის კატეგორიებს ნაცვალსახლებში. ამის ფონზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქართული ჟესტური ენა, როგორც სამგანზომილებიანი სისტემა, სივრცითი მარკირების ხაზგასმას ანიჭებს უპირატესობას.

ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მანუალური და არამანუალური ფორმებით. არამანუალური ფორმა ძირითადად მოიაზრებს შესაბამისი ჟესტის მიმიკურ ვერსიას. ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე იყოს მზერითი ჟესტი. აქედან გამომდინარე გვაქვს ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები:

1. მანუალური ფორმები, როდესაც პირის ნაცვალსახელები დეიქტიური ფორმებია;
2. მიმიკური ფორმები, როდესაც სახის მიმიკა გამოხატავს კონკრეტულ ნაცვალსახელს;
3. მზერითი ფორმები, როდესაც თვალის მიმსრთულება უჩვენებს კონკრეტულ პირს. ეს ფორმაც არის დეიქტიური თავის ბუნებით.

ამ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ვერსიიდან მათი კომბინაციებით ვიღებთ კიდევ შემდეგ ორწევრიან შესაძლებლობებს:

4. მანუალური და მიმიკურის კომბინაცია;
5. მანუალური და მზერითის კომბინაცია;
6. მზერითი და მიმიკურის კომბინაცია.

ასევე შესაძლებელია სამწევრიანი კომბინაციაც:

7. მზერითი, მანუალური და მიმიკური ფორმების კომბინაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, პრაგმატიკა თავისი კანონებით კარნახობს კონკრეტულ ვერსიებს. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ შედარებით ნაკლებია ბოლო სამწევრიანი კომბინაციის გამოყენება, ასევე ნაკლებია მანუალურის და მზერითის კომბინაციაც. ეს გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან: მზერითი აქტანტის წაროჩენა ხშირად ხდება კონკრეტული მოსაზრებებით, გარკვეული სახით აქტანტის დაფარვის მიზნით. მანუალური ფორმა კი თავისი დეიქტიური ბუნებით პირდაპირი მითითებაა კონკრეტულ აქტანტზე. ამ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომების გამო შედარებით ნაკლებად გამოიყენება ეს ორი ფორმა ერთობლივად.

საინტერესოა ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში. ეს ხშირად კომპოზიტიური ფორმებია:



**ასეთი** – როგორც ეს, ამგვარი, ამნაირი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ასე' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ხოლო მარცხენა – სხეულისკენ, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზურგით ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრეპტორიის მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზედ ადევს მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მსგავსების ნიშანი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები,

დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, განზე გაწეული ხელები ერთმანეთს უახლოვდება და ეხება საჩვენებელი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

საინტერესოდ გამოიყურება კუთვნილებითი ნაცვალსახელების სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში.



**ჩემი** – პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლოდობითი რიცხვისა, რაც მე მაქვს ან ვინც მე მყავს, რაც ან ვინც მეკუთვნის.

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩვენ** – პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი: რაც ჩვენ გვაქვს ან ვინც ჩვენ გვყავს, რაც ან ვინც ჩვენ გვეკუთვნის

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩემი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავლობითობის ნიშანი“ – წინ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო ფაზაში ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


მეორე პირში უკვე ჩნდება ე.წ. „კუთვნილების ნიშანი“:



**თქვენი** – მეორე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული ზემოთ და სხეულისკენაა მიმართული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითები ზევით მიემართება, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს კუთვნილების ნიშანი სისტემურია მესამე პირის ფორმებთან:



**იმათი** – მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ის“ / „იგი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კუთვნილება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟესტურ ენებს აქვთ გარკვეული თავისებურება ნაცვალსახელების გამოყენებისას, კერძოდ, იგულისხმება პირობითი ადგილის მინიჭება. ყრუ პირები კომუნიკაციისას მესამე პირზე საუბრის შემთხვევაში (როდესაც ეს მესამე პირი არ იმყოფება საკომუნიკაციო სივრცესთან) ამ პირს მიანიჭებენ პირობით ადგილს და შემდეგ საუბარში ამ პირის მოხსენიება ხდება მისთვის მინიჭებული სივრცით, ანუ მითითება ხდება იმ ადგილზე, სადაც პირობითად განისაზღვრა ამ პირის არსებობა. ქართული ჟესტური ენა ამ ხერხს შედარებით ნაკლებად იყენებს. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა თავისუფალი

ნარატივების ვიდეო კრებული, რომელიც მოიცავს დაახლოებით 5 საათამდე მასალას. ვიდეოები შესრულებულია ეთიკის საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. მასალაში წარმოდგენილია თბილისის ყრუთა თემის სხვადასხვა ასაკისა და სქესის ყრუთა ოჯახებში დაბადებული და გაზრდილი ადამიანების ჟესტური კომუნიკაციის ნიმუშები.

#### ლიტერატურა:

- მახარობლიძე თ. (2024) ლინგვისტური წერილები - VI. წიგნის ფაბრიკა. თბილისი. 268 გვ.
- მახარობლიძე თ. (2019) ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.\
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
- Boyes Braem, P., & Sutton-Spence, R. (Eds.). (2001). *The hands are the head of the mouth: The mouth as articulator in sign languages*. Hamburg: Signum.
- Carmel, S. J. (1992). A checklist of dictionaries of national sign languages of Deaf people. *Sign Language Studies*, 76(3), 233–252.
- Cormier Kearsy, Schembri Adam, Woll Bencie (20013) pronouns and pointing in Sign languages. *Lingua*. Vol. 137. December 2013 Pp.230-247
- Emmorey K. (2003) Sign Language Lexicography. DOI: [10.1007/978-3-642-45369-4\\_34-1](https://doi.org/10.1007/978-3-642-45369-4_34-1) In book: *International handbook of modern lexis and lexicography*. Chapter: Online at: [http://link.springer.com/10.1007/978-3-642-45369-4\\_34-1](http://link.springer.com/10.1007/978-3-642-45369-4_34-1). Publisher: Springer
- Frederiksen [Anne Therese](#) & [Mayberry](#) Rachel I. (2020) Pronoun production and comprehension in American Sign Language: the interaction of space, grammar, and semantics. Pp. 80-102
- Johnston, T. A., & Schembri, A. (1999). On defining lexeme in a signed language. *Sign Language & Linguistics*, 2(2), 115–185.
- Kristoffersen, J. H., & Troelsgård, T. (2012). The electronic lexicographical treatment of sign languages: The Danish Sign Language Dictionary. In S. Granger & M. Paquot (Eds.), *Electronic Lexicography (1st ed., pp. 293–318)*. Oxford: Oxford University Press
- Stokoe, W. C. (1960/2005). Sign language structure: an outline of the visual communication systems of the American deaf. *Reprinted in Journal of Deaf Studies and Deaf Education*, 10, 3–37.

## Personal pronouns in Georgian Sign Language

**Makharoblidze Tamar**  
Ilia State University, Tbilisi

### Abstract

In my book “Georgian Sign Language,” I reviewed in detail the pronouns in this language (pp. 244-288) and systematically contrasted these forms with those in spoken Georgian. It is important to note that there is an opinion according to which, in general, we do not have pronouns in sign languages, and these are deictic forms. Indeed, if we look at the data of Georgian Sign Language - GESL, the first, second, and third person pronouns are deictic forms and not the proper lexical signs. This is generally a common occurrence for sign languages. The linguistic logic here is quite clear. It is worth noting that somatic vocabulary in nouns is also referential or pointing. Almost all sign languages have a way of pointing body parts. Thus, in these languages, ‘foot’, ‘heart’, ‘knee’, ‘head’, ‘eye’, ‘nose’, ‘mouth’, etc. will be represented in the same way.

It is noteworthy that GESL (like many other sign languages) does not distinguish between class or gender categories in pronouns. Against this background, it is important to note that

GESL, as a three-dimensional system, prioritizes the emphasis on spatial marking. Pronouns in sign languages can be represented in manual and non-manual forms. The non-manual form usually refers to the mimic version of the corresponding sign. In the case of pronouns, this can also be a gaze. Thus, we have the following forms of pronouns:

1. Manual forms, when the personal pronouns are deictic forms;
2. Mimic forms, when facial expressions express a particular pronoun;
3. Forms with gaze, when the gaze indicates a specific person. This form is also deictic in nature.

From the three versions listed above, by their combinations, we obtain the following two-member possibilities:

5. A combination of manual and gaze;
6. A combination of gaze and mimic.

A three-membered combination is also possible:

7. A combination of gaze, manual and mimic forms.

Based on the GESL data, it should be said that the last three-member combination is used relatively less, neither the combination of manual and gaze is frequent in GESL.

**Keywords:** Georgian sign language, GESL, pronouns, morphology, sign languages.

## ფერის აღმნიშვნელი სიტყვების აღქმისა და სტრუქტურირების ასპექტები ინგლისურ და ქართულ ენებში

მოსიაშვილი ნათელა

სარაჯიშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.34>

**აბსტრაქტი.** ნაშრომის მიზანია ფერის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში, ამ ენებში ფერის ტერმინთა სისტემის ანალიზი და ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელების გამოვლენა უნივერსალურ მოდელთან მიმართების დასადგენათ.

საკვლევ ენებში სხვადასვა შინაარსის მქონე ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ჯგუფის სტრუქტურულ თავისებურებასა და ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის შინაარსის თავისებურებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის სემური ანალიზის შედეგად დადგინდა:

1. ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტებს შორის სემანტიკური მიმართების მხოლოდ ერთი ტიპის არსებობის ფაქტი;
2. ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის სინონიმური მიმართების არსებობის ფაქტი;
3. საკვლევ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სტრუქტურის იდენტურობა.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული უნივერსალიები და უნიკალიები:

1. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის შედარებითი სეგმენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით მეტია იმ სიტყვათა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ რომელიმე კონკრეტულ ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანთან შედარების გზით;
2. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის აბსტრაქტული ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სეგმენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან, დაახლოებით ერთი და იგივეა.

**საკვანძო სიტყვები:** sityva-identifikatoro; უნივერსალიები; ჯგუფები; შეპირისპირებითი; ანალიზი.

ლექსიკური მიკროანალიზი თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ კვლევის აღნიშნული მიმართულების კონტექსტში მოიაზრება. ნებისმიერი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და სტრუქტურირების თავისებურ გზას. ენაში არსებული მნიშვნელობები ქმნიან თვალსაზრისთა ერთიან სისტემას, სხვა სიტყვებით, „კოლექტიურ ფილოსოფიას“, რომელიც ცვლადია დროსა და სივრცეში.

წარმოდგენილი ნაშრომის ფორმატში ლექსიკურ ერთეულებს შორის

არსებული სემანტიკური მიმართებები უნდა გაანალიზდეს ეფექტური კომუნიკაციისათვის რელევანტური ისეთი ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც კომუნიკაციის აქტში მონაწილეთა ენობრივ-კულტურული კომპეტენცია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ფერის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში, ამ ენებში ფერის ტერმინთა სისტემის ანალიზი და ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელების გამოვლენა უნივერსალურ მოდელთან მიმართების დასადგენათ.

პირველი კითხვა რომელსაც ჩვენ უნდა გავცეთ პასუხი არის ის, თუ როგორ აისახება ფერი ენაში, როგორ აისახება ენაში ერთი ფერის გადასვლა მეორეში. მოცემულ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკური სტრუქტურის სისტემური აღწერა და მათ შორის მიმართებათა დადგენა. ჩვენი საკვლევი მასალის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას რომ „ფერის“ აღმნიშვნელი სიტყვების სტრუქტურირება ფრიად რთული საკითხია იმდენად, რამდენადაც მას აქვს სხვადასხვა სემანტიკური ბუნება. ერთის მხრივ, „ფერს“ გააჩნია საგნობრივი შინაარსი, რაც მის სპექტრთა მრავალსახეობის საგნობრივი ფიზიკური აღქმის უნარით გამოიხატება. თუ განვიხილავთ მხოლოდ და მხოლოდ ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს, როგორც საგნობრივ აღმნიშვნელად, შეიძლება ჩავთვალოთ რომ ფერი ობიექტურია იმდენად, რამდენადაც ადამიანთა უმრავლესობის მიერ ერთნაირად არის აღქმული, იმიტომ რომ ჩემთვის, როგორც ინდივიდისთვის, ანუ ენაში აღწერილი სამყაროს სურათის აღმწერისათვის საინტერესო არის არა ობიექტური ანუ რეალურ-მატერიალური, ნამდვილი და არანამდვილი, არამედ აღქმის ობიექტურობა, რაც ნიშნავს მეტ-ნაკლებ ერთიანობას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ ინგლისურ ენასა და ქართულ ენაში ფერის ტერმინთა სისტემების ანალიზი, გამოვავლინოთ ამ ენებში ფერთა კატეგორიზაციის კონკრეტული მოდელები უნივერსალურ მოდელთან და ერთმანეთთან მიმართების დასადგენად.

საკვლევ ენებში სხვადასვა შინაარსის მქონე ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ჯგუფის სტრუქტურულ თავისებურებასა და ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის შინაარსის თავისებურებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

„ფერის“ შინაარსი განეკუთვნება ობიექტური კრებადი შინაარსების კატეგორიას, თუმცა „ფერის“ ჯგუფში შემავალ ელემენტთა ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ნებისმიერი კონკრეტული ფერი ამჟღავნებს მსგავსებას როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ არაკრებად შინაარსებთან. ეს მსგავსება ინტენსიურობის, გრადაციის ფაქტორს გულისხმობს. მართალია, არ არსებობს „მეტ-ნაკლებად ფერი“, მაგრამ არსებობს „მეტ-ნაკლებად წითელი“. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს „ფერის“ ველის სტრუქტურულ თავისებურებას, სხვა სიტყვებით, განსაკუთრებულობასა და უნიკალურობას, რაშიც იგულისხმება მისი „შერეული“ - ლინეალურ-გრადუალური სტრუქტურა.

სტრუქტურის გრადუალურობას განაპირობებს ველში შემავალ კონკრეტულ ელემენტთა შორის არსებული მიმართება - გრადაცია:

„წითელი“ (ზონა)



მეწამული, შინდისფერი, ბორდოსფერი, ბროწეულისფერი, ალისფერი, მოწითალო, ვარდისფერი, მოვარდისფრო.....

„მწვანე“ (ზონა)



ბალახისფერი, ისრიმისფერი, სალათისფერი, მომწვანო...

სტრუქტურის ლინეარულობას კი განაპირობებს ველში შემავალ ყველა ელემენტსა და ველის სიტყვა-იდენტიფიკატორს შორის არსებული სემანტიკური მანძილის, სხვა სიტყვებით, სემანტიკურ მიმართებათა ერთგვაროვნების ფაქტი.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი ინგლისურ

ენაში (Colour)

(ობიექტური, „კრებადი“ შინაარსი)

(ზედსართავი სახელები)

„სუფთა ფერის ზონა“



colourless, white, snowy, black, grey, silver, blue, green, grassy, beige, fawn, yellow, lemon, orange, golden, bronze, brown, rosy, pink, red, crimson, purple, cherry, claret, ruby, scarlet, carmine, lilac, violet....

“განუსაზღვრელი ერთფეროვნების ზონა“



coloured, one-coloured, monochrome, plain...

“განუსაზღვრელი მრავალფეროვნების ზონა“



multi-coloured, parti-coloured, variegated, motley, spotty, stripy....

“ფერის” აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

ქართულ ენაში

(ობიექტური, “კრებადი” შინაარსი)

(ზედსართავი სახელები)

“სუფთა ფერის ზონა“



უფერული, თეთრი, შავი, რუხი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ცისფერი, ლურჯი, მწვანე, ჩალისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ვარდისფერი, წითელი, ალისფერი, ღალისფერი, მეწამული, შინდისფერი, იისფერი, იასამნისფერი...

“განუსაზღვრელი ერთფეროვნების ზონა“



სადა, უსახო, ფერადი..

“განუსაზღვრელი მრავალფეროვნების ზონა”



ჭრელი, ხატული, ზოლებიანი, კოპლებიანი..

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის სემური ანალიზის შედეგად დადგინდა:

4. ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტებს შორის სემანტიკური მიმართების მხოლოდ ერთი ტიპის არსებობის ფაქტი;
5. ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის სინონიმური მიმართების არსებობის ფაქტი;
6. საკვლევ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სტრუქტურის იდენტურობა.

აგებული ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ჯგუფში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ სემანტიკურ მიმართებათა ერთგვაროვნებას, რაც ჯგუფის აგებულების ლინგვალოგიაში ვლინდება, უზრუნველყოფს სიტყვა-იდენტიფიკატორის სტატიკურობა.

„ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორის სტატიკურობა მისივე შინაარსის არაგრადუალობის ენობრივ გამოხატულებას წარმოადგენს: არ არსებობს “მეტ-ნაკლებად ფერი”, ისევე როგორც არ არსებობს “მეტ-ნაკლებად ადამიანი” ან “მეტ-ნაკლებად სიკვდილი”.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ ელემენტთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ „ფერის“ შინაარსის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა მეტია ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით: ინგლისურში 194 ერთეული, ქართულში - 89.

საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის ანალიზი განხორციელდა შემდეგი თვალსაზრისების გათვალისწინებით:

1. შედარებითი - ამ ჯგუფის სიტყვები რომელიმე მოვლენას, ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანს უდარებს;
2. აბსტრაქტული ფერის სიტყვები - ეს სიტყვები არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „ფერის“ აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფის შემადგენლობის ანალიზის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული უნივერსალიები და უნიკალიები:

3. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის შედარებითი სემენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურ ენაში ქართულ ენასთან შედარებით მეტია იმ სიტყვათა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ რომელიმე კონკრეტულ ფერს, ან მის რომელიმე ნიუანსს ამავე ფერის საგანთან შედარების გზით;
4. საკვლევ ენებში „ფერის“ ჯგუფების შემადგენლობის აბსტრაქტული ფერის აღმნიშვნელი სიტყვების სემენტაციის შედეგად გამოვლინდა, რომ იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც არ ამჟღავნებენ კავშირს რომელიმე კონკრეტულ საგანთან, დაახლოებით ერთი და იგივეა.

მიუხედავად იმისა, რომ „ფერი“, როგორც თვისება უნივერსალურია, „ფერის“ აღმნიშვნელი ჯგუფების „ლექსიკური რეპერტუარი“ განსხვავდება სხვადასხვა სხვადასხვა ენაში და შინაგანად უკავშირდება კულტურას. მარტინ ჰაიდეგერის გამონათქვამი „ყოფიერების სახლი არის ენა“ ჭეშმარიტებაა. ენას ერის

კულტურისაკენ მივყევართ. ენის „სულის“ განსაზღვრა მისი სხვა ენასთან ან ენებთან შეპირისპირებითი კვლევისას ხდება. ეს პროცესი საკვლევ ენებში მსგავსი და განსხვავებული უნივერსალიებისა და უნიკალიების ძიებას გულისხმობს.

## **Aspects of Perception and Structuring of Colour Words in English and Georgian Languages**

**Mosiashvili Natela**

**Sarajishvili Nino**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### **Abstract**

This study aims at a comparative exploration of the semantic structure and perception of the words denoting basic colours in two different languages, namely Georgian and English, analyzing the systems denoting colours and revealing the models of categorization of words denoting the concept of colours in order to state its relation with universal model.

We have studied “colour” words in both Georgian and English Languages considering the following methods:

- a. comparative – the words in this group compare the colour or its hue to some object of the same colour;
- b. the words denoting abstract colours – these words do not reveal links with any definite object.

The study of the words constituting the colour field revealed the following:

1. analysis of the data showed that there are more colour words denoting definite colour by comparing them to the object of the same colour, in the English language more than in the Georgian language;
2. analysis of the data revealed that the number of the words denoting abstract colours is presumably the same in the both languages.

As a result of analysis of different types of relationships, a new way of structuring the lexical groups of colour were discovered implying the existence of two segments (lineal and gradual) in lexical groups of colour.

***Key words:*** *word-identifier; universals; groups; contrastive; analysis.*

## „ჭამის“ აღმნიშვნელ ზმნათა განსხვავებული სემანტიკური მახასიათებლები

ომიაპე სალომე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.35>

**აბსტრაქტი.** „ჭამის“ აღმნიშვნელ ქართულ ზმნათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მრავალფეროვანია ის დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა. განსახილველ ზმნათა სიმრავლე განპირობებულია სხვადასხვა, უმთავრესად ექსტრალინგვისტური, ფაქტორით. მაგალითად, თვით „ჭამს“ ზმნის კოგნიტიური მნიშვნელობა რამდენიმე თანმიმდევრულ მოქმედებას გულისხმობს – საკვების პირში მოქცევას, დაღეჭვასა და გადაყლაპვას, რომელთაგან თითოეულის სხვადასხვაგვარად გამსიტყვებელი არაერთი ლექსემა არსებობს.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ჭამის გამომხატველი ზმნებით, მოქმედებასთან ერთად, აღნიშნულია მიღებული საკვების ოდენობა (მცირე, დიდი), ფიზიკური თვისება (მყარი, თხიერი), გემოვნური მახასიათებელი (სიტკბო-სიგემრიელი), სასურველობა, საკვების მიღების დრო (ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები), ჭამის მანერა (სწრაფად, უშნოდ, ხმაურით, მალულად ჭამა), მთქმელის მოწიწებული თუ უპატივცემულო დამოკიდებულება მოქმედების სუბიექტისადმი (საკვების შეთავაზებასა და საკვების მიღებასთან დაკავშირებული ოფიციალურ კომუნიკაციაში ჩართული თავაზიანობის ზმნები და არაოფიციალურ დისკურსში გამოყენებული უპატივცემულობის გამომხატველი ზმნური ფორმები).

განსახილველ ჯგუფში რაოდენობით ყველას აღემატება ხარბად ჭამის აღმნიშვნელი ზმნები. სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდებარე გრძნობებს განეკუთვნება. საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც. ზედმეტი საკვების მიღების მავნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც ქართულ დისკურსში „ნაყროვანების“ გამომხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა და აღნიშნულ ზმნებს უარყოფითი კონოტაცია შესძინა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული დისკურსი; დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები; კოგნიტიური მნიშვნელობა; კონოტაცია.

„ჭამის“ აღმნიშვნელ ქართულ ზმნათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მრავალფეროვანია ის დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტები, რომლებიც ამ ლექსემებზე დაკვირვებამ გამოავლინა. განსახილველ ზმნათა სიმრავლე განპირობებულია სხვადასხვა, უმთავრესად ექსტრალინგვისტური, ფაქტორით. მაგალითად, თვით „ჭამს“ ზმნის კოგნიტიური მნიშვნელობა რამდენიმე თანმიმდევრულ მოქმედებას გულისხმობს – საკვების პირში მოქცევას, დაღეჭვასა და გადაყლაპვას, რომელთაგან თითოეულის სხვადასხვაგვარად გამსიტყვებელი არაერთი ლექსემა არსებობს.

სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ჭამის გამომხატველი ზმნებით, მოქმედებასთან ერთად, აღნიშნულია მიღებული საკვების ოდენობა (მცირე, დიდი), ფიზიკური თვისება (მყარი, თხიერი), გემოვნური მახასიათებელი (სიტკბო-სიგემრიელი), სასურველობა, საკვების მიღების დრო (ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები), ჭამის მანერა (სწრაფად, უშნოდ, ხმაურით, მალულად ჭამა), მოქმელის მოწიწებული თუ უპატივცემულო დამოკიდებულება მოქმედების სუბიექტისადმი (საკვების შეთავაზებასა და საკვების მიღებასთან დაკავშირებული ოფიციალურ კომუნიკაციაში ჩართული თავაზიანობის ზმნები და არაოფიციალურ დისკურსში გამოყენებული უპატივცემულობის გამომხატველი ზმნური ფორმები) და სხვ.

ჭამის აღნიშვნისას ქართულ ენაში გამოვლენილი სემიოტიკური სიმჭიდროვე უნივერსალურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგან საკვების მიღებას, როგორც ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ერთ-ერთ მთავარ ქმედებას, კომუნიკაციური თვალსაზრისით მაღალი სიხშირული ინდექსი ენიჭება.

ჭამის პროცესის გამსიტყვებელი ლექსემები შემოგვინახა ჩვენამდე მოღწეულმა პირველივე ქართულმა ლიტერატურულმა ძეგლმა. „შუმანიკის წამებაში“ დადასტურებული ჭამის ველის ერთეულები, ერთ- თუ ორწევრა ლექსემები და სინტაგმები (პური (/ სერი), უზმა, პურის-ჭამაჲ, ჟამი პურისაჲ, პურად დასხდომა, საზრდელის მიღება, საჭმლის მიღება, ჭამადის მიღება, გემოდს ხილვა, პურისა გემოდ, წუნაკი მხლისა, წუნაკი შექმნული) – ზოგი უცვლელად, ზოგი კი გარკვეული ფორმოზრივ-სემანტიკური ტრანსფორმაციით – ნაწარმოების შექმნის დროიდან იხმარებოდა და დღესაც იხმარება სალიტერატურო ქართულსა თუ მის დიალექტებში (ომიაძე, 2020:96).

აღნიშნული რიგის ყველაზე გავრცელებული ერთეულია **ჭამა**, რომელიც ნეიტრალურია თავისი პირველადი, წმინდა კოგნიტიური მნიშვნელობით. რაც შეეხება **პურის ჭამას**, ეს ორკომპონენტური ლექსემა ხშირად გვხვდება ქართველ კლასიკოსთა ტექსტებში, სალიტერატურო ენაში ბოლო დრომდე მის გავრცელებულობას მოწმობს ქეგლის ძველი რედაქცია (ქეგლი, 1950-1964), რომლიდანაც დავიმოწმებთ რამდენიმე დეფინიციას: „საუზმე – 1. დილით, უზმოზე, პირველი ჯერის **პურის ჭამა**... 2. საერთოდ, მცირედ **პურის ჭამა**, დანაყრება სადილამდე ან ვახშამდე“; „ვახშამი – 1. უკანასკნელი ჯერის **პურის ჭამა** სადამო ჟამს“; „ქელეხი – ეთნ. მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული **პურის ჭამა**...“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ, იმავე ლექსიკონის მიხედვით, **პურის ჭამასა** და **ჭამას** შორის იგივეობრივი მიმართებაა, რასაც ასევე ადასტურებს ცნობილი ანდაზის ვარიანტები: „ერთი კაცი **პურის ჭამაშიც** ბრალიაო“ // „მარტო კაცი **ჭამაშიაც** ბრალიაო“, პირველს თანამედროვე დისკურსში დიალექტური (და არა არქაული) ელფერი დაჰკრავს ისევე, როგორც **პური შიასა** და **შიას** შემთხვევაში, რაც შედარებით ახალი მოვლენაა.

ჩვენთვის საინტერესო ზმნათა ჯგუფში მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მქონე ერთეულები. თავაზიანი მეტყველება დისკურსის ის სახეობაა, რომელიც შემადგენლებად ძირითადად დადებითი ემოციური ელფერის ლექსემებს გულისხმობს. ამ უკანასკნელთა შორისაა სიტყვაფორმები: **მიირთმევს**, **შეეჭევვა**, **გეახლები**, რომლებიც, მოქმედება „ჭამის“ აღნიშვნასთან ერთად, კრძალვასა და კეთილგანწყობას გამოხატავენ. საინტერესოა მათი ქეგლისმიერი შეფასებები. პირველის განმარტებაში დასტურდება კვალიფიკაცია „პატივისც.“, მეორეს მსგავსი კვალიფიკაცია არ ახლავს, თუმცა მის განმარტებაში ჩართულია პირველი: „**შეეჭევვა** ჭამს (სვამს); **მიირთმევს**“, **გეახლები** კი „მოკრძალების

გამომხატველ გამოთქმად“ არის სახელდებული. ქეგლი ასევე „პატივისც.“ კვალიფიკაციით წარმოგვიდგენს ფშაურ დიალექტურ ფორმას **იამებს**, რომლის მნიშვნელობაა შეჭამს, მიირთმევს: „მგელავ! მოდი, აგრემც გენაცვლები, დაჯე, **პური იამე**“ – უთხრა ლელამ“ (ვაჟა). აქვე უნდა დავასახელოთ იმავე ძირის დალოცვა **„გაამოს!“**, რომლის შესახებაც ქეგლში ნათქვამია: „ეტყვიან აბანოში ნამყოფს ან ღვინის დროს – ღვინის მსმელს“ (ქეგლი, 2010:54). თანამედროვე დისკურსის გათვალისწინებით, ნათქვამი დაზუსტებას მოითხოვს – გაამოსო, დღეს არა მხოლოდ ღვინის, არამედ ნებისმიერი რამის მსმელსა თუ მჭამელს ეუბნებიან.

აკაკი შანიძე როდესაც ზმნების ერთ-ერთ თავისებურებას – შენაცვლებას – აღწერს, თავაზიანობით შეპირობებულ პირში შენაცვლების მაგალითად **ჭამა** ზმნასაც განიხილავს: „ჭამა ზმნას „მიირთმევა“ ენაცვლება სათავისო ქცევის ფორმით: 1. ვჭამე, 2. მიირთვი, 3. ჭამა (მიირთვა). მიირთვი! პირველი პირის ფორმა („მივირთვი“) რომ ვინმეს წამოსცდეს, ღიმილს გამოიწვევს მსმენელში“ (შანიძე, 1973:520).

მეცნიერი უფრო ფართოდ მსჯელობს ჭამა ზმნის შენაცვლების მეორე შემთხვევაზე: „ვჭამეს“ მნიშვნელობით მორიდებულ ლაპარაკში აგრეთვე „გიახელი(ი) იხმარება. მას მარტო პირველი სუბ. პირის ფორმა აქვს (შეიძლება მრავლობითშიც: გიახელით), სხვა პირის ფორმები არ იხმარება. ეს ფორმა სამ-პირიანია წარმოშობით, მაგრამ მეორე პირის გაგება მიღებულია და ორ-პირიანად არის ქცეული: „უკვე გიახელი სადილი“. „გიახელი (თ)“ ამას ნიშნავს: ვახლე მე (პირი) შენსას ან თქვენსას (ე. ი. შენს საჭმელს ან თქვენს საჭმელს), შემდეგ საზოგადოდ საჭმელს“ (იქვე)<sup>10</sup>.

ჭამის აღმნიშვნელ ზმნებში გამოიყოფა ისეთი ქვეჯგუფი, რომლის შემადგენელთა დადებით კონოტაციას არა საკომუნიკაციო რეგისტრი, არამედ საკვების სიტკბო-სიგემრიელე და სასურველობა განსაზღვრავს: ყელს/პირს **[ჩა-]იკოკლოზინებს**, **[ჩა-]იტკბარუნებს**, **[ჩა-]იგემრიელებს**. ასეთივე ელფერის ძველი სიტყვაა **ინუკავს** (შდრ. სანუკვარი), რომლის მნიშვნელობაა – შეჭამს იმას, რაც უნდა და რაც უყვარს. სანუკვარისა და გემრიელის შეჭმისას რაჭაში იტყვიან, **„გული გავინედლე“**: „ისე გემბრიელად გიახელი ე კურდღლი ხორცი, გული გავინედლე“ (კობახიძე, 1987:29).

იმ ზმნათა სემანტიკური სტრუქტურა, რომელთა დომინანტური მნიშვნელობა ჭამაა, ხშირად ორზე მეტ კომპონენტს შეიცავს, რაც ართულებს მათ კლასიფიკაციას. მაგალითად, გემრიელი რამის ჭამაა **სუსნავ** (შდრ. სასუსნავი და ყოფითს დისკურსში მისი ანალოგიით ახალგაჩენილი „გემრიელობები“), მაგრამ **სუსნის** ზმნა სხვა ქვეჯგუფშიც უნდა გაერთიანდეს, რომლის წევრთა დიფერენციალური სემანტიკური კომპონენტია **მორიდებულად / ცოტას ჭამა. სუსნის, ისუსნება** ფორმებით გამოხატული შინაარსი სრულად რომ აღვწეროთ, ერთი სემანტიკური ნიუანსი უნდა დავამატოთ, ეს არის **მალულად, ჩუმ-ჩუმად ჭამა**. კიდევ უფრო რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვს **დასუსნაობს** ფორმას, რომელიც ქეგლში შემდეგნაირად არის

<sup>10</sup> აკ. შანიძე აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ორ საკითხს განიხილავს – „გეახელ“ (= მოვედი) და „გიახელ“ (= ვჭამე) ფორმების აღრევასა და წყვეტილის „გიახელი“ ფორმასთან შეწყობილი ობიექტის ბრუნვის ფორმის განსაზღვრას („გიახელი სადილი“ თუ „გიახელი სადილს“). პირველს შ. აფრიდონიძეც ახსენებს, თუმცა თავაზიანობის ფორმულათა განსხვავებულ წყვილებში განუსხვავებელ ფორმებს გვთავაზობს: „მოსვლა: **მობრძანდით – გეახელით, (გეახლებით)**; ჭამა-სმა: **მიირთვით – გეახელით, (გეახლებით)** (აფრიდონიძე, 2009:12). ე და ი ხმოვნების უმართებულო მონაცვლებას (და არა ამ გზით მნიშვნელობათა დიფერენცირებას) ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონებიც გვიდასტურებს: „ეახლებ-ა (ეახლა, ხლებია) (და არა: იახლება) გრდუვ. ვნებ. აახლებს ზმნისა“ (ქეგლი) „[გეახლება; გეახლა კი არა] გეახლება; გეახლა“ (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998:189).

განმარტებული: „ცოტ-ცოტას ჭამს მალულად (ნუგზარ, გემრიელ საკვებს), – სასუსნავს დაემებს“.

მარტო, მით უფრო, მალულად ჭამა ქართული ლინგვოკულტურის წევრთათვის მიუღებელია, რისი საუკეთესო მაგალითიც ქართლურ დიალექტში დადასტურებული უარყოფითი კონოტაციის მქონე **მარტოტუჩაობა**: „მე ვიცნობ იმისთანა ქალსა, მარტოტუჩაობა რო იცოდა, გამოვიდოდა ოთახიდანა პირის ცმაცუნითა“; „მიხურავს კარეფსა და მარტოტუჩაოფს, არც ქმარი ანაღვლია და არც შვილები“ (მეგ.) (ბეროზაშვილი და სხვ., 1981:275). აქვე უნდა დავასახელოთ ძველქართული თხზული სახელი **ჭამისმმალველი** და ქართლური დიალექტური სიტყვა **ჭამაფიცილა** (ვინც ჭამს და არ ამხელს; ფიცილით ირწმუნება, არ მიჭამიაო).

განსახილველი ჯგუფის ყველაზე დიდ ქვეჯგუფს **ხარზად ჭამის** აღმნიშვნელი ზმნები ქმნიან. სიხარბე, როგორც ზოგადადამიანური მანკიერი თვისება, ქართველთათვისაც მდაბალ გრძნობებს განეკუთვნება. საკვების მიღებისას გამოვლენილი სიხარბე, გემოთმოყვარეობა, მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის არა მხოლოდ ცოდვაა, არამედ სხვა ცოდვათა სათავეც. ზედმეტი საკვების მიღების მავნეობასთან დაკავშირებულ ხალხურ ცოდნასთან ერთად, საკრალური მნიშვნელობაა ის, რამაც ქართულ დისკურსში „ნაყროვანების“ გამოხატვისას სემიოტიკური სიმჭიდროვე წარმოშვა და აღნიშნულ ზმნებს უარყოფითი კონოტაცია შესძინა (ომიაძე, 2019:21).

მოქმედების სუბიექტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა ინტენსივობით არის გამოხატული ხარზად ჭამის სახელმძღვანელო შემდეგ ზმნურ ფორმებში: (მო-)ტორავს; იტორება, (შე-)იტვლიავებს, ჩაბრაზავს, (გა-/გამო-)იძენძება // (გა-/გამო-)იზენზება, (გა-/გამო-)იტკვლიცება, (გა-/გამო-)იბესტება, ფეშავს, მოსუნთქავს (ქართლ.); ისუნთქავს (ქიზიყ.); ისიკნება (გარეკახ.); შადლანგავს, შაჩხამავს (მოხ.); (და-/შთა-/ჩა-)ნთქავს, (მუცელში) (ჩა)იდგამს, (ჩა-)ილაგებს, (ჩა-)იყრის, ჩაუძახებს ... (მუცელს /კუჭს) (ამო-)იყორავს, (ჩა-/გა-/გამო-)სკდება, (ჩა-/გა-/გამო-)ტყვრება, (ჩა-)ცეცხლავს. სიხარბე, მიღებული საკვების დიდ რაოდენობასთან ერთად, ლუკმების სიდიდესაც გულისხმობს: ღმურძლავს, ღმურძლის, იღმურძლება; იბეყება (ქართლ.); იყბორება, იყმინდება (გარეკახ.); ბლაცნის, იბლაცნება (რაჭ.); შმორავს (ფშ.). სწრაფად, უშნოდ, ხმაურით ჭამა აღნიშნული შემდეგი ერთეულებით: (შე-/გადა-)სანსლავს; (შე-/გადა-)ხანხლავს (იმერ., გურ.); ხეპავს, იზმუზნება (ქართლ.); (შე-/გადა-)თანთქლავს (გარეკახ., ქართლ., რაჭ.); სლანგავს (ქართლ.); (შე-)თქვლეფს, (ა-/ამო-/შე-)სვლეფს, (და-/შე-/ამო-)ხვრეფს; (და-/შე-/ამო-)თხვლეფს, (შე-)ქლაქნის (რაჭ.); ხვრეტს (თუშ.); დღღურძავს (გარეკახ.); ილოღნება, ღიჯნის, ათქლაფუნებს, ათქლაშუნებს (გარეკახ.); აღლაჭუნებს, აჭლაპუნებს, აჭაპუნებს (ქართლ., კახ.); ატვაპუნებს (თუშ.), აგნაზუნებს (ქართლ.) და სხვ.

გვხვდება ზმნები, რომლებიც მაგარი საკვების ჭამისას გამოცემულ ხმიანობას გამოხატავენ, თუმცა უარყოფითი ელფერი არა აქვთ. დავიმოწმებთ ზოგიერთს: (თხილს) აკნატუნებს, (მზესუმზირას) აკნაწუნებს, (ვაშლს) ახრაშუნებს, (სტაფილოს) ახრამუნებს და მისთ.

**ცოტას ჭამა** შედარებით ნაკლები აღსანიშნითაა წარმოდგენილი, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში გვხვდება შემდეგი კომპონენტები: **მორიდებულად / უმადოდ / უხალისოდ / პატარა ლუკმებით** ჭამა. **ციცქნა, წიწქნა, კიკნა, კირკნა, კუკნა, კოკნა** და მსგავს ზმნათა პირიანი თუ მიმღობური ფორმები დადასტურებულია როგორც სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, ასევე მეგრულსა და სვანურში (იხ. გერსამია და სხვ., 2016).

ცალკე უნდა გამოვყოთ ორი ნასახელარი ზმნა, რომელთა ფუძედ გამოყენებული სახელის მნიშვნელობაა სიმცირესთან დაკავშირებული:

**წაიხემსებს** – წაისაუზმებს, შენაყრდება. „[არსაკიმე] ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა“ (კ. გამს.) (ქეგლი).

დასახელებული ზმნის ფუძეში შემავალი **„ხემსი“** ქეგლში განმარტებულია როგორც „მცირე რამ საჭმელი, ორიოდ ლუკმა“, ძველ ქართულში თითქმის იმავე მნიშვნელობისაა „ხევსი“, დავიმოწმებთ ი. აბულაძის დეფინიციასა და საილუსტრაციო კონტექსტს: **„ხევს-ი** მსუბუქი საჭმელი, პიურე, ფაფა: „გვბრძანე ... რაფთა ვქმნეთ ხ ე ვ ს ი მცირედ და ვჭამოთ შენ თანა“ ლიმ. 88, 21“ (აბულაძე, 1973:561). „ხემს“-ფუძიან პირიან ფორმებში (წავიხემსებ(თ), წაიხემსებ(თ), წაიხემსებ-ს/ენ ...) სიმცირე ორმაგადაა გამოხატული – ფუძედ გამოყენებული სახელითა და **წა-** ზმნისწინით. ეს ზმნა მხოლოდ წა-ზმნისწინიანია, წა- ზმნისწინი ცოტას, სახელდახელოდ ჭამას აღნიშნავს შემდეგ ზმნებშიც: **წაიჭამს / წაჭამს, წაისაუზმებს, წაივახშმებს.**

**შენაყრდება** – ცოტაოდენს შეჭამს. „როცა სიცხე შეაწუხებდათ [მგზავრებს], მაშინ ცოტათი შეისვენებდნენ, შენაყრდებოდნენ“ (შ. არაგვ.) (ქეგლი).

**ნაყრი**, ქეგლის მიხედვით, „მცირეოდენი საჭმელია“, რაც შეეხება ძველ ქართულს, ტექსტებში იგი ცალკე აღებული არ გვხვდება, ამდენად, არ გვხვდება იგი არც ლექსიკონებში, სხვა მნიშვნელობათა წარმომქმნელად კი დასტურდება შემდეგ სიტყვებში: **ნაყრმცირეა** (ცოტას მჭამელი), **ნაყროვა** (ზედმეტის ჭამა; პირიანი ფორმა: „ჰნაყროვოდი ვითარცა დათვ“), **ნაყროვანი / ნაყროანი** (მსუყე; ღორმუცელა), **ნაყროვანებაა / ნაყროვნებაა / ნაყროვნობაა** (გაუმაძღრობა, ღორმუცელობა). სწორედ დასახელებული ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ **ნაყრი „საჭმელია“** და არა „მცირეოდენი საჭმელი“.

ნეიტრალურ ლექსემათა შორის უნდა დავასახელოთ ჯერის აღმნიშვნელი სახელებისგან ნაწარმოები ზმნები: **საუზმობს, სადილობს, სამხრობს, ვახშმობს.** დამოუკიდებელ ქვეჯგუფს ქმნის მართლმადიდებლური ცხოვრების წესთან დაკავშირებული კვებითი კულტურის გამსიტყვებელი მარტივი თუ ორწევრა ზმნური ერთეულები: **მარხულობს, მარხვას ინახავს, მარხვას გატებს, მარხვას ჭამს** (‘არ ინახავს მარხვას’, შდრ. ანდაზა: „მარხვა ვჭამე დოსთვისაო, ქურდობა ვქენ ხბოსთვისაო“), **[გა-]იხსნილებს, ხსნილს იყენებს.** განსახილველ ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ემოციურად შეფერილი ისეთი ზმნებიც, როგორიცაა **ქეიფობს, ნადიმობს, პურობს, ღრეობს** და მისთ., რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში დომინანტური კომპონენტი მოლხენაა, თუმცა, სმასთან ერთად, ჭამაც მონაწილეობს. ჭამის აღმნიშვნელი არაერთი ზმნაა, რომელთა გამორჩეული მოტივირება დამოუკიდებელ მსჯელობას მოითხოვს (მაგ., **კლერტავს** – ყურძენს მარცვლებს აცლის, კლერტამდე დაჰყავს) და სხვ. და სხვ.

რეგლამენტირებული ფორმატის ფარგლებში მიმოხილული ზმნები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი ლექსიკისა, რომელიც საკვების მიღების ენობრივი ობიექტივაციით არის შექმნილი. ონომასიოლოგიური მიდგომით გამოვლენილი სრული მასალის ორგანიზებას, მის სემანტიკურ აღწერა-ინტერპრეტაციას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქართული ლინგვოკულტურული ერთობის წევრთა მსოფლალქმის ენობრივი სტრუქტურირებისა და ქართული ენის, როგორც სახელმძღვანელო სისტემის, თავისებურებათა გამოვლენაში.

### ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- აფრიდონიძე, შ. (2009). ჩვენი ენა ქართული, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ. (1981). ქართლური დიალექტის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- გერსამია რ., კიკვიძე,ზ., ლომია მ., მამისეიშვილი ნ., საღლიანი მ. (2016). ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბილისი.
- თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. (1998). ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შეესებული გამოცემა, თბილისი: განათლება.
- კობახიძე, ა. (1987). რაჭული დიალექტის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: მეცნიერება.
- მენტეშაშვილი, ს. (1943). ქართველურ ენათა ლექსიკა, II, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ომიაძე, ს. (2019). „ნაყოფანების“ ენობრივი ობიექტივაციისათვის ქართულ დისკურსში, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 20-22, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ომიაძე, ს. (2020). „მუშანის წამებაში“ დადასტურებულ ჭამის ველის ერთეულთა ფორმოზრივ-სემანტიკური ტრანსფორმაცია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის (მიძღვნილი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი) თეზისები, 95-97 თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ქეგლი (1950-1964). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ქეგლი (2010). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. II, თბილისი: მერიდიანი.
- შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1984). მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი, ტ. I, 274-476, თბილისი: მეცნიერება.

## Different Semantic Features of Verbs Denoting „Eating“

Omiadze Salome

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### Abstract

The group of Georgian verbs denoting „eating“ is quite abundant. There is also a wide variety of differential semantic components revealed through the observation of these lexemes. The abundance of verbs under discussion is determined by various factors, primarily, extralinguistic ones. For example, the cognitive meaning of the verb „to eat“ (*ჭამს*) implies a sequence of several actions placing food into the mouth, chewing, and swallowing. Each of these can be expressed by a number of different lexemes.

In literary Georgian and dialects, verbs expressing the act of eating not only denote the action itself but also convey additional nuances: the amount of food consumed (small, large); physical properties of the food (solid, liquid); taste characteristics (sweetness, deliciousness); desirability of the food; time of consumption (verbs derived from nouns denoting specific mealtimes); manner of eating (eating quickly, messily, noisily, or secretly); the speaker's respectful or disrespectful attitude toward the subject of the action, including: polite verbs used in formal communication related to offering or receiving food, derogatory verb forms used in informal discourse.

**Within the group under discussion, verbs denoting gluttonous eating outnumber all others.** Greed, as a universally recognized vice, is also regarded by Georgians as an evil and

undesirable trait. In the context of food consumption, gluttony and gourmandizing are considered by Orthodox Christians not only as sins, but also as the root of other sins. Alongside folk knowledge about the harm of overeating, there is religious significance of overeating that has generated *semiotic density* in the Georgian discourse surrounding the expression of „gluttony“, giving these verbs a distinctly negative connotation.

**Key words:** *Georgian discourse; differential semantic components; cognitive meaning; connotation.*

**„გული მთებისკენ მიიწევს...“ - ლექსის ლინგვო-სტილისტური  
ანალიზისათვის  
(ორიგინალისა და თარგმანის მიხედვით)**

**რჩეულიშვილი ია**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.36>

**აბსტრაქტი.** შოტლანდიელი პეროდანტიკოსი პოეტი რობერტ ბერნსი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მისი პოეზია მრავალმხრივია. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა იმ პოეტური ხერხების განზოგადება, რომლებმაც მისი პოეზია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები გახადა. ანალიზისთვის მასალად შევარჩიეთ რობერტ ბერნსის ლექსი „ჩემი გული ჰაილენდსშია...“. ეს ლექსი მიძღვნილია მშობლიური შოტლანდიური მთებისადმი. ლექსმა თავისი სულით შეგვახსენა ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“. ორივე ლექსში ვხედავთ მონატრებას მაღალმთიანი მხარისადმი, სადაც მიწაც და ჰაერიც სუფთაა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ლექსი მდიდარია ლექსიკით, რაც განპირობებულია მასში გამოყენებული გამორჩეული სტილისტური ხერხებით. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ლექსის ქართული თარგმანის შესწავლა. თარგმანი ინარჩუნებს ლექსის რიტმს, ინტონაციასა და მხატვრულობას. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს თარგმანი ორიგინალთან ყველაზე მიახლოებული ნიმუშია — მოკლე, მაგრამ ამავე დროს გამომხატველობითი.

**საკვანძო სიტყვები:** ბერნსი, რომანტიზმი, მთები, თავისუფლება, პოეტიკა

შოტლანდიელ წინარე რომანტიკოს პოეტს, რობერტ ბერნსს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ღრმად მგრძნობიარე ლირიკოსი, რომანტიკული განცდებით სავსე პოეზიით, დღესაც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს მშობლიურ შოტლანდიელ ხალხში. მას ხშირად მსოფლიო პოეტად მოიხსენიებენ, რადგან ბერნსის პოეზია მეტად მრავლისმომცველია. მასში გამოხატული აზრები დღესდღეობითაც არ კარგავს აქტუალობას. როგორც კრიტიკოსი ვ. ჭელიძე წერდა, ხალხი იყო რ. ბერნსის შემოქმედების წყარო, ხალხისგან ჰქონდა მას შესისხლხორცეული არა მარტო თავისი ლექსებისა და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილაღე და უშუალობა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თავისუფლებისადმი თავდადება (სოხაძე, 2015). პოეტი ხან ბუნების მესაიდუმლეა, ხან თავისუფლებას უმღერის და მკაფიოდ გამოხატავს ძალაუფლებისადმი ზიზღს, ხან მზრუნველი მამაა, ხან მგზნებარე მიჯნური და გამნდობი მეგობარი. მთავარი გმირები არიან უბრალო ადამიანები და მათი ყოველდღიური პრობლემები, რაც ზოგადად პოეზიისთვის უჩვეულოა. როგორც ლიტერატურულ კრიტიკაშია აღნიშნული, ბერნსის ლირიკული გმირი მხიარული, სიცოცხლის ხალისით და სიყვარულით სავსე მიწის მუშაა, მშობლიურ მხარესა და სიტყვიერებაზე შეყვარებული გულგული ადამიანი. პოეტი ადამიანების გარდა ცხოველებზე და მათ განცდებზეც წერს, აცოცხლებს უსულო საგნებს. ამიტომაც რობერტ ბერნსის პოეზია ერთდროულად სატირულიცაა და სენტიმენტალურიც. სწორედ ამ მრავალფეროვანი თემატიკის გამო, ბერნსის პოეზია ჯერ მისმა მშობლიურმა ხალხმა და შემდეგ მთელმა კაცობრიობამ შეიყვარა.

პოეტის კალამს არაერთი შესანიშნავი ლექსი ეკუთვნის, მათში წამოწეული

ადამიანური პრობლემებით. 1050 წელს გამოიცა ბერნსის ლექსების პირველი კრებული სახელად: - რობერტ ბერნსი, რომელსაც წინ უძღოდა მთარგმნელის თ. ერისთავის წერილი. თ. ერისთავი წერდა, რომ ბაირონისა და შელის შემოქმედების იდეური საწყისები სწორედ ბერნსის პოეზიის წიაღშია (სოხაძე, 2015). ამდენად, საინტერესო აღმოჩნდა იმ პოეტური ხერხების განზოგადება, რომელთა საშუალებითაც ეს პოეზია იქცა ყველასთვის ახლობელი და ადვილად გასაგები.

ლიტერატურულ კრიტიკაში არსებობს მწერლისა და კრიტიკოსის, ვახტანგ ჭელიძის მოსაზრება, რომ რობერტ ბერნსს ბევრი საერთო აქვს ვაჟა-ფშაველასთან. ეს შეიძლება იყოს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის თემატიკა, ბუნების ტრფობა, ცხოველებისა და ფრინველების გაადამიანება. თუმცა კი პოეტები სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ და მათი ლიტერატურული მიმდინარეობაც განსხვავებულია. ყველაზე არსებითი ის არის, რომ ორივე პოეტის შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქნარი ერთსა და იმავე თემას ემსახურებოდა (სოხაძე, 2015).

ნაშრომის საანალიზო წყაროდ შევარჩიეთ რობერტ ბერნსის ლექსი „**My Heart's In The Highlands**“, „გული მთებისკენ მიიწევს...“, რომელიც პოეტმა მშობლიურ შოტლანდიის მთებს უძღვნა. ლექსმა მასში გამოხატული სულისკვეთებით გაგვახსენა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ყვარლის მთებს“. ორივე მათგანში იგრძნობა სწრაფვა მაღალი მთებისაკენ, არწივთა და ირემთა საუფლოსაკენ, სადაც წმინდაა მიწაც და ჰაერიც, სადაც მხოლოდ მაღალი იდეებით შთაგონებულ სულიერ არსებას შეუძლია ასვლა და შეერთება უზენაესთან. ორივე პოეტი ფიცს დებს, რომ სადაც არ უნდა მოხვდეს, სამშობლო მთების სიყვარული მათ გულებში სამარადისოდ დარჩება. ლექსის ლინგვო-სტილისტურმა ანალიზმა გვიჩვენა ის ენობრივი გამომხატველობითი საშუალებები, რომელთა წყალობითაც პოეტმა მკითხველამდე მიიტანა საკუთარი განცდები.

ლექსი „გული მთებისკენ მიიწევს...“ „My Heart's in the Highlands“ პოეტმა 1789 წელს დაწერა. ნაწარმოების მთავარი იდეა მდგომარეობს ლირიკული გმირის მაღალი მთებისადმი დაუცხრომელ სწრაფვაში. „My hearts/s in Highlands, my heart is not here...“

მაშინაც კი, როცა პოეტი არ არის მშობლიურ შოტლანდიის მთებთან ფიზიკურად ახლოს, მისი გული და ფიქრი მაინც მათ ეკუთვნის. მისი კავშირი მთებთან მარადიულია.

ნაშრომში გამოკვეთეთ მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები, კერძოდ კი ტროპის სახეები, რომლებიც ნაწარმოების მხატვრულობის გარანტია. ტროპი, როგორც გამოსახვის ენობრივი ფორმა, სიტყვებისა და ფრაზების პირდაპირი მნიშვნელობის გადატანითი აზრობრივი დატვირთვით გამოიყენება, რაც ხელს უწყობს ახალი ესთეტიკური ღირებულების ფორმაციას. ენის გამომსახველობითი საშუალებებიდან, არც ერთს არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ისევე როგორც ტროპს. ისინი გარკვეული ხერხებია, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის მთლიანობის უზრუნველყოფას.

გამეორება პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გამეორებაა. ენობრივ გამეორებას მიეკუთვნება ძირითადად ბგერის გამეორება (ალიტერაცია, ასონანსი), ძირის გამეორება და სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება. ჩვენს საანალიზო წყაროში ვხვდებით ბგერის გამეორების, ალიტერაციისა და ასონანსის მაგალითებს, რაც უზრუნველყოფს ლექსის რითმისა და რიტმის შენარჩუნებას და პოეტის სათქმელს გამომსახველობას და ექსპრესიულობას სძენს. ალიტერაცია ერთი და იმავე, მსგავსი თანხმოვანი ბგერების განმეორებაა სალექსო სტრიქონში. ასონანსი კი ერთი და იმავე ხმოვნის გამეორება, ან მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობაა სალექსო სტრიქონში.

**My heart's in the Highlands, my heart is not here,**  
**My heart's in the Highlands, a-chasing the deer;**  
Chasing the wild-deer, and following the roe,  
**My heart's in the Highlands, wherever I go.**

აღნიშნული პოეტური ხერხები ქმნის ლექსის კეთილხმოვნებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას. შევნიშნავთ, რომ ასონანსურ რითმებს ქმნის მსგავს ხმოვანთა და განსხვავებულ/მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობა (მაგ: **here – deer, roe – go**). ასონანსურ

რითმებს და სიტყვათა გამეორებას ვხვდებით შემდეგ ტაეპშიც: (**North – Worth**) (**Farewell – Farewell**);

**Farewell to the Highlands, farewell to the North,  
The birth-place of Valour, the country of Worth;**

ასონანსური რითმების მეშვეობით ლექსში შენარჩუნებულია რითმა, რიტმი და გამოხატვის ემოციური ძალა.

ხოლო სიტყვათა ჯგუფის გამეორება, როგორცაა (**My heart's in the Highlands.... My heart's in the Highlands**) ბოლომდე გასდევს ლექსს და აძლიერებს ემოციურ ფონს, ხაზს უსვამს ლირიკული გმირის დაუოკებელ სწრაფვას მთებისაკენ, თავისუფლების მოპოვებისაკენ. ლექსის მესამე სტროფში კი ყოველი ტაეპის პირველი სიტყვათა ჯგუფი (**Farewell to the..**) მეორდება:

**Farewell to the mountains, high-cover'd with snow,  
Farewell to the straths and green vallies below;  
Farewell to the forests and wild-hanging woods,  
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

პოეტი ემშვიდობება მთებს, ხევებს, ტყეებს, ჩანჩქერებს და სიტყვა „მშვიდობით“ გამეორების საშუალებით, ხაზს უსვამს საკუთარ მისწრაფებას, რომ გაექცეს იმჟამინდელ მდგომარეობას და სამყოფელს და მთიანეთს შეაფაროს თავი. მკითხველი ადვილად გრძნობს ავტორის ემოციურ განწყობილებას.

ლექსის აღნიშნულ სტროფში კვლავ შევნიშნავთ ასონანსის მაგალითებს, სადაც ხმოვნები საერთოა, ხოლო თანხმოვნები ზოგჯერ თანხვედრაშია და ზოგჯერ განსხვავებულთანხმოვანთა მონაცვლეობასაც ვხვდებით: (**snow -below, woods -floods**).

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსის პირველი და ბოლო სტროფები ერთმანეთის იდენტურია. როგორი სულისკვეთებითაც იწყებს პოეტი ლექსს, იგივე განწყობით ამთავრებს. მსგავსი ტიპის გამეორება, არა მხოლოდ ნაწარმოების ემოციურ ფონს ამყარებს, არამედ მის მუსიკალურობასა და კეთილხმოვანებასაც აძლიერებს.

ჩვენს საანალიზო წყაროში ვხვდებით მხატვრული ხერხების სხვა მაგალითებსაც. მაგალითად, ფრაზაში „**My heart's in the Highlands, a-chasing the deer**“, გული „**heart**“ სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის სურვილს, მისწრაფებას ან ლტოლვას - ამიტომაც ის ამ შემთხვევაში მეტაფორაა, რადგანაც გული პირდაპირი გაგებით არ გადაადგილდება, ეს მხოლოდ ემოციური მისწრაფებაა. რაც შეეხება „**a-chasing the deer**“ - „**დაედევნება ირემს**“, დაედევნება ადამიანური მოქმედებაა, რაც გულის „გაცოცხლებას“ ჰგავს. ამიტომ გვაქვს პერსონიფიკაციის შემთხვევა, ანუ გულის გაცოცხლება. ირემი კი პოეზიაში ხშირად სიმბოლოა თავისუფლების, ბუნების, სილამაზის, მთები უფრო სიმაღლეს, თავისუფლებას, სულიერ ძიებას შეიძლება ნიშნავდეს, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიან ფრაზას ლექსში სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც გამოიხატება სიწმინდისა და სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვაში.

ლექსის ტაეპში „**Chasing the wild-deer, and following the roe**“, აზრი გადმოცემულია ფიგურატულად, არა პირდაპირი მნიშვნელობით, ამიტომაც შეგვიძლია ველური ირმის დევნა და შვლებს მიყოლა, ალეგორიად მივიჩნიოთ, რაც უფრო ღრმა ან მიუწვდომელი მიზნისკენ სწრაფვას გულისხმობს შინაარსობრივად. ბუნებისადმი ლტოლვა და მისი იდეალიზაცია ხომ რომანტიზმის სტილისთვისაა დამახასიათებელი.

საანალიზო წყაროს მესამე სტროფში ვხვდებით ეპითეტის, მეტაფორის და პერსონიფიკაციის მაგალითებსაც.

**„Farewell to the forests and wild-hanging woods,  
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

„...**wild-hanging woods**“ „**გაუვალი, ველური ტყეები**“, - ფრაზაში ტყეს ეძლევა ლექსიკური გაფორმება, რაც მის გამომსახველობას აძლიერებს, ამიტომ მოცემული ფრაზა ლექსში ეპითეტის მაგალითია. აგრეთვე ეპითეტის მაგალითია „**loud-pouring floods**“ „**აზვირთებული მდინარე**“, რომელიც ემოციურად ხატავს მდინარეს. სიტყვა „**torrents**“

„ზვირთები, ძლიერი ნაკადები“, მძაფრი შინაარსის მატარებელია, რაც უფრო მეტად აძლიერებს ემოციურ ფონს. ავტორი ტყეს ეხმიაწება როგორც ცოცხალ და ემოციურ არსებას, რაც შეგვიძლია მეტაფორულ გადატანად მივიჩნიოთ. ამავდროულად, კონტექსტიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ის ტყეს და მდინარეს ისე ემშვიდობება, როგორც ცოცხალ არსებებს, („ Farewell to the forests..., Farewell to the torrents..) ეს კი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ პერსონიფიკაციის მაგალითად. თავად სიტყვა „Farewell“, „მშვიდობით“ მეტად სენტიმენტალურ ხასიათს ატარებს, და მისი ხშირი გამოყენება ემოციურ მუხტს აძლევს მთლიანად ლექსის სტროფს.

ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო აღმოჩნდა ლექსის ქართულ თარგმანზე დაკვირვება. თარგმანი 1939 წელსაა შესრულებული გივი გაჩეჩილაძის მიერ. შევეცადეთ გამოგვერკვია რამდენად ასახა ქართულმა თარგმანმა ლექსის ღრმა ფილოსოფიურობა, ჩაწვდა თუ არა მთარგმნელი პოეტის სათქმელს, შეძლო თუ არა თარგმანში ორიგინალის მომხიბვლელობისა და ექსპრესიულობის შენარჩუნება და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, გადმოსცა თუ არა პოეტის გამორჩეული მხატვრული გამოხატვის ფორმები. მხატვრული სახეების გადატანა ხომ მეტად რთულ საქმედ ითვლება თარგმანში. შესაბამისად, მთარგმნელს, რომელსაც მათთან შეხება უწევს, ევალება, რომ იმავე ექსპრესიულობითა და სიძლიერით გადმოიტანოს ისინი თარგმანში და მკითხველში ისეთივე ემოცია აღძრას, როგორც ამას ორიგინალი ტექსტები ახერხებენ (Proshina, 2008, 208). დალი ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება (ფანჯიკიძე, 1988, 3).

ინგლისური ენა არ გამოირჩევა ფლექსიური ფორმების სიჭარბით, ქართული ენა, კი მეტად მოქნილი და ლაკონურია. აქედან გამომდინარე, ინგლისური და ქართული ენების ლექსთწყობა განსხვავებულია. ამიტომაც თარგმნისას ხშირ შემთხვევაში იცვლება დედნის ლექსის ფორმა. სხვადასხვა ენების გამომსახველობითი საშუალებები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომაც, ყველაფერი დამოკიდებულია მთარგმნელის ხედვაზე, თუ როგორ აღიქვამს ის ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენას. თარგმანები ხომ მკითხველს საშუალებას აძლევს ნაწილობრივ აღიქვან ორიგინალის შინაარსი.

My heart's in the Highlands, my heart is not here,  
My heart's in the Highlands, a-chasing the deer;  
Chasing the wild-deer, and following the roe,  
My heart's in the Highlands, wherever I go.

გული მთებისკენ მიიწევს, სტოვებს დაბლობის პირებს,  
გული მთებისკენ მიიწევს, დაედევნება ირემს,  
დაედევნება მთის ირემს, უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,  
გული მთებისკენ მიიწევს, სადაც არ უნდა ვიყვე.

პირველი სტროფის თარგმანი ლექსის აზრს კარგად გადმოსცემს. მთარგმნელი ინარჩუნებს ლექსისათვის დამახასიათებელ გამოყენების მაგალითებს, (გული მთებისკენ მიიწევს... გული მთებისკენ მიიწევს...). ასევე შენარჩუნებულია მეტაფორის მაგალითი („My heart's in Highlands,... გული მთებისკენ მიიწევს,...) და პერსონიფიკაციის შემთხვევა („a-chasing the deer” - „დაედევნება ირემს”). მთარგმნელი ფრაზას „my heart is not here”, თარგმნის როგორც „...სტოვებს დაბლობის პირებს”, რაც ვფიქრობთ მეტად მხატვრულად შერჩეული თარგმანია, რაც ლექსის სტრიქონს სილალესა და მელოდურობას ანიჭებს.

„Farewell to the Highlands, farewell to the North,  
The birth-place of Valour, the country of Worth ;  
Wherever I wander, wherever I rove,  
The hills of the Highlands for ever I love”.

„მშვიდობა მაღალ მთიანეთს და ჩრდილოეთის კარებს,  
დიდი გმირობის სამშობლოს, სახელოვნების მხარეს.  
სადაც არ უნდა წავიდე უცხო ქვეყნების კარად,  
თან მდევს მაღალი სერების მე სიყვარული მარად”.

მეორე სტროფის თარგმანი დიდი მხატვრულობითაა შესრულებული. სიტყვა „Highlands” პირველ სტროფში მთარგმნელმა თარგმნა როგორც „მთები“, ამ შემთხვევაში კი შემოგვთავაზა სიტყვა „მთიანეთი“, რომელიც ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის ადვილად აღქმადი და უფრო მეტად გასაგებია. მთარგმნელი აგრეთვე ინარჩუნებს ასონანსურ რიტმებს (კარებს ...მხარეს, ...კარად ...მარად), რითაც ქართულ თარგმანს ანიჭებს მუსიკალურობას.

**Farewell to the mountains, high-cover'd with snow,  
Farewell to the straths and green vallies below;  
Farewell to the forests and wild-hanging woods,  
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

მშვიდობა მთებს და მყინვარებს, მთების თოვლიან წვერებს,  
მშვიდობა ხევებს, მშვიდობა მწვანით დაფენილ სერებს.  
მშვიდობა ტევრებს, კლდეებზე გადმოკიდულებს ლაღად,  
მშვიდობა მაღალ ჩანჩქერებს და აჩქარებულ ნაკადთ.

ლექსის მესამე სტროფი კარგი მაგალითია თანმიმდევრული თარგმანისა. როგორც ორიგინალშია, თითოეული ტაეპი იწყება სიტყვით „Farewell” „მშვიდობით“, რაც აძლიერებს ლექსის ლირიკული გმირის სულისკვეთებას.

მეოთხე სტროფში კი, რომელიც ორიგინალში პირველი სტროფის იდენტურია, მთარგმნელი კვლავ გვთავაზობს სიტყვა „მთიანეთს“, რომელიც პირველ სტროფში თარგმნა როგორც „მთები“. ამით ის აძლიერებს ექსპრესიას და კიდევ უფრო გამომსახველობითა და საცნაურს ხდის პოეტის საოცნებო ადგილს.

„My heart's in the Highlands, my heart is not here,  
My heart's in the Highlands, a-chasing the deer;  
Chasing the wild-deer, and following the roe,  
My heart's in the Highlands, wherever I go”.

„გული მთიანეთს მიიწევს, სტოვებს დაბლობის პირებს,  
გული მთებისკენ მიიწევს, დაედევნება ირემს,  
დაედევნება მთის ირემს, უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს.  
გული მთებისკენ მიიწევს, სადაც არ უნდა ვიყვე”.

საანალიზო მასალაზე დაკვირვების შემდეგ ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ მხოლოდ შემოქმედებითი თარგმანი იძლევა საშუალებას, ობიექტურად გადმოვცეთ დედნის აზრი. შესაძლოა მთარგმნელი სუბიექტურიც იყოს ამ შემთხვევაში, თუმცა მან უნდა შეძლოს ისეთი ფორმა მისცეს თარგმანს, რომ არც დაშორდეს ორიგინალს და თან არც მეტად თანამიმდევრული იყოს. დღესდღეობით სწორედ დედნის შემოქმედებით ასახვას მიიჩნევენ თარგმანის სწორ გზად. გივი გაჩეჩილაძისეული თარგმანი კი მიგვაჩნია მაგალითად, თუ როგორ უნდა შესრულდეს პოეზიის თარგმანი ისე, რომ არ დაიკარგოს ლექსის რიტმი, ინტონაცია, აზრობრივი სიზუსტე და რაც მთავარია მხატვრულობა. მთარგმნელი უდავოა, რომ ძალიან დიდი ყურადღებით არჩევს სიტყვებს და მათ ახალ მხატვრულ მნიშვნელობებსაც სძენს თარგმანში. შესაბამისად, მისი თარგმანი მიგვაჩნია დედანთან ახლოს მდგომ, მეტად ლაკონურ და ამავედროულად ხატოვანებით გამორჩეულ თარგმანის ნიმუშად.

ჩვენებულმა დაკვირვებამ საანალიზო წყაროზე, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ რობერტ ბერნსის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უმდიდრესი ლექსიკა, რითიც პოეტმა ინგლისური ენა გაამდიდრა შოტლანდიური დიალექტით და საბოლოოდ შოტლანდიელი ხალხის პოეზიად აქცია. რ. ბერნსმა თავისი პოეზიით, არა მხოლოდ მშრომელი ხალხი, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის პროცესიც ასაზრდოვა დიდი სულიერი კულტურით და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს კლასიკოსთა გვერდით.

**ბიბლიოგრაფია:**

1. სოხაძე, თ. (2015). რობერტ ბერნსი ქართულ სინამდვილეში. [https://www.facebook.com/permalink.php/?story\\_fbid=817789168270019&id=816786958370240&locale=sv\\_SE](https://www.facebook.com/permalink.php/?story_fbid=817789168270019&id=816786958370240&locale=sv_SE)
2. ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
3. Proshina, Z. (2008). Theory of translation (English and Russian). 3<sup>rd</sup> edition. Revised. Far Easter University Press. Vladivostok.
4. <https://www.facebook.com/sakartvelos.p.oet.ebi/posts/1648570935737318/>
5. <https://www.gguni.ge/leksi-guli-mtebiskan-miicevs/>

**„My Heart’s in the Highlands...” Linguo-stylistic analysis of the poem  
(According to the original and translation)**

**Rcheulishvili Ia**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

**Abstract**

The Scottish pre-Romantic poet Robert Berns holds an important place in the history of world literature. His poetry is multifaceted. We found it interesting to generalize the poetic techniques that made this poetry accessible and easily understandable to everyone. We chose the poem “My Hearts’s in the Highlands,..” by Robert Berns as a material for analyzing. The poem is dedicated to the native Scottish mountains. The poem with its spirit, reminded us of the poem by Ilia Chavchavadze „To Mountains of Kvareli”. Both of the poems express longing for the high mountains, where both the land and the air are pure. Observation has shown that the poem is rich in vocabulary, which is ensured by the distinctive stylistic devices used in it. We also found it interesting to study the Georgian translation of the poem. The translation preserves the rhythm, intonation and artistry of the poem. Therefore, we consider this translation to be a sample of translation that is closest to the original, very concise and at the same time graphic.

**Key words:** *Berns, Romanticism , Mountains, Freedom, Poetics;*

## სპერი კავკასიის მხარის საგზაო რუკაზე

ფალავა მამია

<https://orcid.org/0009-0004-0884-1493>

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.37>

*ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - „სპერი, - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.*

**აბსტრაქტი.** სპერი საქართველოს ისტორიული კუთხეა ჭოროხის სათავეებში, რომლის შემადგენლობაში ივარაუდება ბასიანი//ფასიანი და ბაიბურთიც. სპერის ქვეყანა 1514 წლიდან ოსმალეთის (შემდეგ თურქეთის) სახელმწიფოს შემადგენლობაშია. სპერელებმა განვლილი ხუთი საუკუნის განმავლობაში განიცადეს ასიმილაცია, დაივიწყეს წინაპართა ენა. აღვნიშნავთ, რომ ისტორიული სპერი (ტაოსთან, კლარჯეთთან, შავშეთთან ერთად) კულტურათა დიალოგის ასპარეზი იყო. აქ ერთმანეთს ხვდებოდა ქართული, ბერძნული, სომხური, მოგვიანებით ოსმალური (თურქული) კულტურები. დიალოგი იყო მკაცრი და დაუნდობელი, რისი შედეგები მიიმედ აისახა სპერელთა ყოფაზე...

საისტორიო წყაროებმა მწირი ცნობები შეინახა სპერის ქვეყნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ისტორიული წარსულის აღსადგენად უპირატესობა ენიჭება ტოპონიმებს, „მიწის ენას“. ტოპონიმები მოგვითხრობენ ამ მიწაზე მცხოვრები ხალხის/ხალხების ყოფაზე, ნაციონალურ იდენტობაზე... სპერის მკვლევრისათვის მნიშვნელოვანია ყველა წყარო, რომელსაც დაუცავს კუთხის გეოგრაფიული სახელები.

ნაშრომში საუბარია „კავკასიის მხარის საგზაო რუკაზე“ (1903 წელი) დატანილ სპერის ტოპონიმიაზე. მოცემულია გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. გამოვლენილია ზოგიერთი სტრუქტურული ცვლილება, ნებისთ თუ უნებლიეთ სახელს რომ განუცდია ჩაწერისა თუ ინფორმაციის მიწოდებისას. მკვლევარი ცდილობს, აღადგინოს ტოპონიმის თავდაპირველი სახე. გამოვლინდა, რომ ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი ქართული/ქართველურია, მცირეა არაქართული გეოგრაფიული სახელები.

სტრუქტურულად სპერის ტოპონიმია აგრძელებს ჭოროხის ხეობის ტოპონიმთა წარმოების თავისებურებებს, ერთი განსხვავებით, აქ გვხვდება მხოლოდ გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება. ფუძის საწარმოებლად სხვადასხვა სიხშირით შემდეგი სუფიქსები დასტურდება: **-ნ**, **-არ**/**-ალ**, **-ურ**/**-ულ**, **-ის**, **-ხ(ი)**, **-იკ**, **-ოთ**, **-უთ**, **-ეთ**. მათ გვერდით არაქართული ბოლოსართები: **-ჩი**/**-ჯი** (თურქული) და **ც** (სომხური). დადასტურდა **-შენ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელები, ასევე სომხური **სორ/ძორ** (შდრ.: ქართული **ხევი**) ელემენტებიანი ფუძეები. საგზაო რუკაზე დატანილ გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი დასტურია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

**საკვანძო სიტყვები:** სპერი, საგზაო რუკა, ტოპონიმია, ჭოროხის ხეობა, გეოგრაფიული სახელები

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა მწირი ინფორმაცია შეინახა საქართველოს განაპირა მხარეების, მათ შორის სპერის შესახებ. ამიტომაც ჭოროხის აუზში (ასევე მტკვრის აუზში) ქართული ქვეყნების მკვლევრისათვის ფასეულია ნებისმიერი

ინფორმაცია რომელიც დაუცავს მოგზაურთა ჩანაწერებს, ისტორიკოსთა შრომებს თუ ძველ რუკებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ისტორიული ქართული ქვეყნის მკვიდრებმა, მათ შორის სპერელებმაც, დაივიწყეს წინაპართა ენა, რასაც მოჰყვა ისტორიული მეხსიერების წყვეტა, წარსულის დავიწყება. თუ გავიხსენებთ, რომ 1514 წლიდან სპერი ოსმალეთის მმართველობაში მოექცა, ამჟამად კი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ეს არცაა მოულოდნელი. ასეთ პირობებში ძველი ტოპონიმია არის ერთ-ერთი (თუ ერთად-ერთი არა) უტყუარი წყარო ისტორიული სურათის აღსადგენად. „მიწის ენა“ მოგვითხრობს სპერის მოსახლეობაზე, მის ეთნიკურ შედგენილობაზე, გვაწვდის ინფორმაციას დავიწყებული სპერული დიალექტის ზოგიერთ მახასიათებელზე... თუმცა თავს იჩენს კიდევ ერთი წინააღმდეგობა, კერძოდ, თანამედროვე სპერელებს ნაკლებად ახსოვთ ძველი გეოგრაფიული სახელები. უმეტესად მათ იციან ადგილის რეფორმის შემდგომი (1959) სახელები. სპერის ტოპონიმია დაუცავს ძველ რუკებს, მათ შორისაა „კავკასიის მხარის საგზაო რუკა“<sup>11</sup>, რომელზეც დატანილია სპერის 130-მდე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება, რამდენიმე ათეული კიდევ - ბაიბურთისა (შევნიშნავთ, რომ სპერი ფართო მნიშვნელობით მოიცავდა საკუთრივ სპერს, ბაიბურთსა და ბასიანს). ქვეყნის ტოპონიმის შესასწავლად მკვლევრისთვის ეს ძვირფასი მასალაა.

აღვნიშნავთ, რომ „საგზაო რუკა“ 1903 წლით თარიღდება. მასზე დატანილი კარტოგრაფიული მასალა გაცილებით ადრე უნდა იყოს შეკრებილი. ჩანს, ამ დროისათვის გეოგრაფიული პუნქტების ნაწილს უკვე შეცვლილი ჰქონდა სახელები, რამდენადაც რუკაზე თურქული ტოპონიმებიცაა დატანილი. და ეს არცაა მოულოდნელი, რუკის შედგენამდე ხომ თითქმის ოთხი საუკუნეა გასული, რაც სპერი (ფართო მნიშვნელობით) ოსმალეთი გამგებლობაშია. ოსმალური მმართველობის კვალი გეოგრაფიულ სახელებსაც დაეტყო.

სტატიაში მასალა დავალაგეთ უბნებად, მკითხველისათვის უფრო ნათელი რომ იყოს გეოგრაფიული პუნქტის მდებარეობა. ათვლის წერტილად მცირე ქალაქი სპერი (ახლა - ისპირი) ავიღეთ.

\*\*\*

#### **ა. ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარცხენა სანაპირო**

ეგპერიკ'ი (?)

კაბან'ი (კაბა-ნ'ი. კაბე', კაბი საკუთარი სახელია კოლხური (იხ. ღლონტი, 1986). კაბანი<\*კაბენი ასიმილაციით). კაბანი ადგილია, სადაც კაბას<\*კაბეს ჩამომავლები სახლობენ.

კარა-ბარმიჩ'ი (?)

ლაკუბარ'ი (ტაოში ლაკობარი გვხვდება). იქნებ -არ სუფიქსი გამოიყოს ტოპონიმში (ლაკუბ-არ), მაშინ ლაკუბარი წარმომავლობის სსახელი იქნება (შდრ.: ოლთისარი, უჩხითარი...), რომელიც ტოპონიმად გამოუყენებიათ.

მახურგურ'ი (გვხვდება მუხურგულიც. რეგრესული დისიმილაციით მიღებული ფორმაა მახურგური. ალბათ ჩაწერის ლაფსუსია, თორემ მოსალოდნელი იყო მახურგული: რ - რ>რ - ლ პროგრესული დისიმილაციით. ტოპონიმი ქართული ჩანს - ურ/-ულ სუფიქსით ნაწარმოები).

პეტეჟრეკ'ი (?)

ტაპცორ'ი (<\*ტაბძორ'ი, -ძორ (ხევი, წყალი) ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია).

<sup>11</sup> *Дорожная Карта Кавказского Края*, Составлена и Литографирована в Военно-топографическом Отдела Кавказского Округа 1903 г. Тифлисъ.

**ტაპცორი**<**ტაბცორი**//**ტაბძორი** საგან, პირველი ნაწილი ქართული **ტაბ**//**ტობ** უნდა იყოს (შდრ.: **ტბის ხევი**).

**ხუნუთ**’ი (**ხუნ-უთ**’ ტოპონიმი ქართული ჩანს, წარმოებით მაინც, -**უთ** სუფიქსითაა ნაწარმოები. ვიტყვით, რომ -**უთ** სუფიქსიანი წარმოება სპერში უფრო მომრავლებულია, ვიდრე ჭოროხის სხვა ქვეყნებში). **ხუნ**’ ფუძე ჩანს ტოპონიმში **ხუნ-ევ**’ი (სოფელი სურამის ქედის გადმოდმა, ასახელებს ა. შანიძე. იხ. შანიძე, 1981:440) ყურადღებას მივაქცევ კიდევ ერთ ფაქტს, ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარცხენა სანაპირო შედარებით ნაკლებადაა დასახლებული, ეს საგზაო რუკაზე დატანილი გეოგრაფიული სახელებიდანაც ჩანს.

## **ბ. ისპირს ქვემოთ ჭოროხის მარჯვენა სანაპირო**

**აგეკ**’ი (?)

**არაბ-კენდი**, შდრ.: არაბის ქალაქი. **არაბა**//**არაბ**’ი საკუთარი სახელი დაუცავს გვარებს: არაბიძე, არაბული... (მაისურაძე, 1090:22).

**აღაჩ-ქილისა** შდრ.: ხის ეკლესია. **აღაჩ-ქილისა** ქართული **ხის ეკლესიის** თარგმანი ჩანს.

**ახორჯიკი** (ახორჯიქი?), - გამოიყოფა **ჯიკ**//**ჯიქ** ელემენტი (მაწარმოებელი), აღნიშნავს მცირეს, პატარას. შდრ.: ქართული **იკ**, **უკ** სუფიქსი. ახორჯიკი იგივეა, რაც პატარა ახორი.

**ბახტიგანს**’ი<**ბახტიგანის**’ი(?). ვფიქრობთ, უნდა აღდგეს ფორმა **ვახტანგისი**’, წარმოთქმისა თუ ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე.

**ბახჩა** - არაერთგზის ვისაუბრეთ ამ სახელზე, ნასესხებია სპარსულიდან, უფრო ადრე, ვიდრე თურქეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა ჩვენს მეზობლად... სახელი ხუთჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ (სიმფონია, 1956).

**ბახჩა-ვანქ**’ი - უნდა **ბახჩა ვანი**, გეოგრაფიულ სახელზე ზეწოლის შედეგია.

**ბუზ-დუგანც**’ი(?)

**გოი** (?)

**გუზგუნ**’ი (?)

**ეგნეს**’ი - (<\*ეგნე-ის’ი>ეგნესი), -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩანს. აღვნიშნავთ, რომ ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში -**ის** სუფიქსიანი წარმოება ძველ ფენად ითვლება და შედარებით მცირეა. სპერის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირია -ის სუფიქსიანი წარმოება. **ეგნე** (<\*ეგნა) ანთროპონიმი დასტურდება ქართულ კულტურაში (იხ. ლლონტი, 1986). ეგნესი<\*ეგნესი ქართული გეოგრაფიული სახელია.

**ეკეკი** (ექექი?).

**ენი-კეი** (<\*ენი-ქეი<\*ენი ქოი? შდრ.: ახალი სოფელი).

**ვარჩინი** (\*ვარჩინი<\*ვარშენი. **ვარი** მეტსახელი გვხვდება მეგრულში (ლლონტი, 1986).

**ზინაგორ**’ი (წინაგორი?) - კომპოზიტია: **წინა-გორი**. გეოგრაფიული სახელი ქართულია. ჩაწერის პრობლემაა.

**ინჯე-სუ**, შდრ.: ინჯის წყალი.

**კავაქ-თეფე** - შდრ.: ალვის ქედი.

**კაზან-დაღ**’ი შდრ.: თ. Kazan ქვაბი. **ქვაბის** (გამოქვაბულის) **მთის** პირდაპირი თარგმანი ჩანს.

**კაზინს**’ი <\*კაზინის’ი. **კაზინა**’ კოლხურ სინამდვილეში საკუთარი სახელია (ლლონტი, 1986).

**კამპორ**’ი <\*კამპარი (რეგრესული დისიმილაციით). კამპარი მცენარეა, იგივეა, რაც

ჯონჯოლი (იხ. მაყაშვილი, 1991).

**კანატორ**'ი -**ცორ**//**-ძორ** (მდრ.: ქართული ხევი) სომხურია, საძიებელია კანატ' სახელური ფუძის მნიშვნელობა. **კანათ** (თ. Kanat) თურქულია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა მიწიქვეშა არხი, წყალსადენი (იხ. ლექსიკონი, 2001).

**კარგონს**'ი (<\***კარგო-ნ-ის**'ი), **-ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩანს. კარგო' მამაკაცის საკუთარი სახელია ქართულ კულტურაში (ღლონტი, 1986).

**კარგონი** კარგო'ს ჩამომავლობაა, **კარგონისი** კიდევ მათი კუთვნილი.

**კარმერიკ**'ი (იქნებ **კარმელიკი**, ჩაწერის პრობლემა ჩანს. თუ ასეა **კარმელი** წარმომავლობის სახელია, **-ელ** სუფიქსით ნაწარმოები, **-იკ** კიდევ ქართული კნინობითობის სუფიქსი). ტოპონიმი ქართული უნდა იყოს.

**კეგიკი** (?).

**კოუნც**'ი (?), ვფიქრობთ, ჩაწერის ლაფსუსია, უნდა **კონცი**<**კონსი** <**კონ**[ა]სი <**კონა**[ი]ს'ი. **კოუნცი** გეოგრაფიულ სახელზე ზეწილის ფაქტია. **კონა** საკუთარი სახელია, დასტურდება „ტბეთის სულთა მატთანეში (იხ. მატანე, 1977:227); **კონა**'ს კნინობითი ფორმა უნდა იყოს **კონია**, კოლხეთშია გავრცელებული, დაუცავს გვარს **კონიაშვილი** (ღლონტი, 1986). **კოუნცი** ქართული სახელია სხვადა ქცეული.

**კრანს**'ი (<\***კრან-ის**'ი (<**კარან**[ა]-ის'ი), **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **კარანა** იქნებ მეტსახელია, დაუცავს გვარს **კარანაძე**.

**კუგვანს**'ი (<\***კუგვან-ის**'ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. დასაშვებია **-ნ** სუფიქსის გამოყოფა **კუგვან**' სახელურ ფუძეში (**კუგვა-ნ**). **კუგვა**'ს ჩამომავლების (კუგვანი) კუთვნილია **კუგვანისი**).

**მაკისორ**'ი იქნებ, **მაკი**[ს]ხევი. **მაკი** იცის მეგრულმა, **მანკს** ნიშნავს, ავადმყოფობას (ქობალია, 2010).

**მოხურშენ**'ი - გეოგრაფიულ სახელში გამოვეყოფთ **შენ**' ელემენტს. **მოხურ**<\***მუხურ**'ი საკუთარი სახელი ჩანს. ქართულ კულტურაში გვხვდება **მუხულა**, **მუხურია** საკუთარი სახელები, იქნებ, მეტსახელები. საყურადღებოა, რომ ორივე სახელი კოლხეთში დასტურდება (იხ. ღლონტი, 1986).

**მუმანს**'ი (<\***მუმან-ის**'ი, **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **მუმა** საკუთარი სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს, **-ნ** კიდევს მრავლობითობის სუფიქსი. **მუმანი** - **მუმას** ჩამომავლები).

**ნარშინ**'ი <\***ნარშენი**? თუ ასეა, ტოპონიმი **-შენ** ფუძიანია, **ნარ**' კიდევ საკუთარი სახელი უნდა იყოს. კოლხურში დასტურდება საკუთარი სახელი **ნარი** (იხ. ღლონტი, 1986).

**ნორშინ**'ი<\***ნორშენ**'ი, **-შენ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელია. **ნორ**<\***ნორე** შ'ს ჩავარდნით. საბოლოოდ აღდგება ტოპონიმი **ნორეშენი**, რომლის ფონეტიკური გარდაქმნით (<**ნორეშენი**>**ნორეშენი**>**ნორშენი**) მივიღეთ **ნორშინი**.

**ნარშინი** (\*<ნარშენი) და **ნორშინი** (<\*ნორშენი) ქართული გეოგრაფიული სახელებია.

**ოშნაგ**'ი (ოშნაკ?) იქნებ, **ოშკზე** ზეწოლის ცდაა?

**პოჩინც**'ი (?).

**ტანზუთ**'ი - აღნიშნული ფუძის შესახებ სხვაგანაც ვსაუბრობთ. ტოპონიმში გამოვეყოფთ **-უთ** სუფიქსს და **ტანზ**<\***ტანძ**' სახელურ ფუძეს. გეოგრაფიული სახელი ქართულია.

**ტენხა** - სახელურ ფუძეში გამოვეყოფთ **-ხა** სუფიქსს, იმავეს, **კოლხა**'სა და **ტაოხ**'ში რომ გვხვდება.

**ჩან-ტაკერ**'ი (<\***ჭანტაკერ**'ი<\***ჭანთაკერ**'ი) ცუდად ჩაწერილი **ჭანთაკერი** უნდა იყოს. ტოპონიმი კომპოზიტია, - **ჭანთა** - **კერ**'ი.სახელის პირველი ნაწილი (ჭანთა) გასაგებია, რაც შეეხება მეორეს, **კერ**'ი: **კერი** ლაზურში იხმარება **გარეული ღორის**

მნიშვნელობით (თანდილავა, 2013), ხოლო მეგრულში - **კერატი, ტახი** (ქობალია, 2010). აღვნიშნავთ, რომ მეგრულში **ჭანი** სხვა მნიშვნელობითაც იხმარება: სქესობრივად სუსტი, უმემკვიდრეო... (ქობალია, 2010)...

ვეფქრობთ, გეოგრაფიული სახელი ქართულია.

**ჩატაკ** (ჩათაქი//ჩათახი) - ამოსავალი უნდა იყოს **ჩათახი**, რომელშიც გამოვეყოფთ - **ხ(ი)** სუფიქსს. **ჩათახ** ი **ჩათა**ს შვილს (მკვიდრს) უნდა ნიშნავდეს.

**ჩიფთლიკ** (?) - თურქული უნდა იყოს (შდრ.: სპ. çift ჩიფთი - წყვილი).

**ჩუვანგერ** ( <\***ჩუვანგორი**//**ჭუვანგორ**’ი//**ჯუვანგორ**’ი? თუ ასეა, ტოპონიმი ქართული ჩანს).

**ხაჯინსი** (<\***ხაჯი-ნ-ის**’ი. **ხაჯ**’ ფუძე გამოიყოფა კოლხურ ანთროპონიმში **ხაჯი**, **ხაჯიხანი**. იხ. ლლონტი, 1986).

**ხიშნი** დაიყოფა: **ხიშ-ნ**’ი (<\***ხიშა-ნ**’ი). **ხიშ**/**ხიშა** იქნებ მეტსახელია კაცისა.

**ხოსპერიკ** ( <\***ხოსპერიკი**?- უნდა გამოიყოს კნინობითობის -**იკ** სუფიქსი: **ხოსპერიკ**’ი).

**გ. ისპირს ზემოთ ჭოროხის მარცხენა ნაპირი**

**აბრანცი** (<\***აბრანსი**<\***აბრან**[ი]ს’ი) ტოპონიმი დაიყოფა: **აბრა-ნ**-[ი]ს’ი. **აბრა** ანთროპონიმია, გვხვდება კოლხეთში (ლლონტი, 1986). **აბრანი** **აბრა**ს ჩამომავლობაა, **აბრანისი** - კიდევ მათი საკუთრება. **აბრანცი** ტოპონიმზე ზეწოლის ნიმუშია. **აბრანცი** ქართული/ქართველური გეოგრაფიული სახელია.

**ავდოსი** (<\***ავდო**-[ი]ს’ი? -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია).

**ალეგანც**’ი <\***ალეგანს**’ი<**ალეგან**[ი]სი დაიშლება: **ალეგა-ნ**-[ი]ს’ი. **ალეგანი** **ალეგა**’ს სახლელია, **ალეგანისი** - მათი კუთვნილი. **ალეგა** ანთროპონიმი ჩანს.

**ალეგანცი**<**ალეგანისი** ქართული გეოგრაფიული სახელია, სხვად ქცეული.

**ანგერტი** (<\***ანკერტი**<\***ანაკერტი**. ტოპონიმში გამოიყოფა **კერტ**’ ფუძე)

**ანგეჯიკი** (<\***ანგეჯიკი**), კომპოზიტია: **ანგე+ჯიკ**’ი. **ჯიკ**’ თურქულია, აღნიშნავს მცირე, პატარა.

**ბალახორი** კომპოზიტია: **ბალ-ახორი**. **ახორი** სპარსულია, ქართულ ენაში ადრე შემოსული. ძველ ქართულში გვხვდება **ახორი**: „შევალს **ახორსა** მათსა და აღჰქნის კარაულსა მათსა“ (მ.ცხ. 107v. ვუთითებთ: აბულაძე, 1973)„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ამილახორი (<\***ამირახორი**): „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (სიმფონია, 1956). საძიებელია **ბალ**’ ფუძის მნიშვნელობა. **ბალა**’ საკუთარი სახელია, დასტურდება ჭოროხის ხეობაში, სხვაგანაც. **ბალახორი** უნდა მომდინარეობდეს **ბალასახორი**’საგან. ტოპონიმი ქართულია.

**ბელქეა** (?), იქნებ **ბელქეა** არის, ცუდად ჩაწერილი?

**გეილეკი** (<\***გეილეკი**?).

**გელ-მაილა** (<\***[მ]გელ-მაილა**. სამხრულ კილოებში სიტყვის თავკუდურა **მ**’ს დაკარგვა გავრცელებული მოვლენაა: მთა>თა... ჩანს, იმავე პოზიციაში **მ**’ იკარგებოდა სპერულ დიალექტშიც. გელ-მაილა იგივე **მგელ-მაილაა**. კომპოზიტის პირველი ნახევარი ქართულია.

**გონდოლოთი** - დაიშლება: **გონდოლ-ოთ**’ი. გეოგრაფიულ სახელში გამოვეყოფთ -**ოთ** სუფიქსს, რომელიც ნ. მარს ქართული -**ეთ**’ის დიალექტურ ვარიანტად მიაჩნია. ს. ჯანაშიას სუფიქსის „დიალექტურ ვარიანტად ჩათვლა უმართებულოდ მიაჩნია, მისი აზრით, ყველა „შემთხვევაში ერთ სუფიქსთან გვაქვს საქმე“ (გულისხმობს თ, -ეთ, -ათ, -ით, -უთ, -ოთ ბოლოსართებს - ავტ.) (იხ. ზურაბიშვილი, 1961:144). ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ცნობილი არაა **გონდოლ**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა. იქნებ,

მეტსახელი იყოს კაცისა.

**გორგორი** - ფუძის გაორკეცებით მიღებული სახელია: გორ+გორ. ტოპონიმი ქართული ჩანს.

**ერკენისი** დაიყოფა: **ერკენ-ის**’ი. **-ის** სუფიქსით ნაწარმოები სახელია.

**ერკენ**<**\*ერკინ**’ისაგან. საბას განმარტებული აქვს ერკინა: „რკენა უყო“ (ორბელიანი, 1949). **ერკენისი** სარკინებელი ადგილია. შეიძლება სხვაგვარი მსჯელობაც:

**ერკენ**<**\*ერკელ**’ისაგან. აჭარულში დასტურდება **ერკელია** „ცვალებადი ამინდი - ამ წუთას წვიმს და მოულოდნელად გამოანათებს, გადაიღებს“ (ნიჭარაძე, 1971), იგივეა, რაც აჭარული **ტურაქორწილა** და თუშური **დარღურბელაფი** (ხუბუტია, 1969).

**ერკენისი**<**\*ერკელისი** ადგილია, სადაც ცვალებადი ამინდები იცის.

**ვანქ**’ი(?) - ვანსა და ვანქს შორის ერთი ბგერაა სხვაობა და ორი ენა.

**ვინშენი** - გამოვყოფთ **შენ**’ ელემენტს, რაც მიგვანიშნებს, რომ გეოგრაფიული სახელი ქართულია. საინტერესოა **ვინ**’ ფუძის მნიშვნელობა, კერძოდ, აქვს კი მას გარდა ცნობილი მნიშვნელობისა (კითხვითი ნაცვალსახელი) სხვა დატვირთვა? ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება სახელები: ვინაგი, ვინგელი, ვინელი, ვინორი (ღლონტი, 1986). ხომ არაა ვინშენში შემავალი **ვინ**’ რომელიმე მათგანის შემოკლებული ვარიანტი?

**თარგედი**(?)

**კადმირ**’ი(?)

**კადრაკი** - ტოპონიმში გამოვყოფთ -აკ კნინობითობის სუფიქსს, **კადრ**[ა] სახელური ფუძეა. წარმოებით გეოგრაფიული სახელი ქართულია.

**კარა-კავურ**’ი - სახელი რუკაზე დატანილია დეფისით (-), ვფიქრობთ, ერთად უნდა დაიწეროს (კარაკავური); ტოპონიმში გამოვყოფთ **-ურ**(//**-ულ**) სუფიქსს, რომელიც წარმომავლობის სახელებს აწარმოებს. **კარაკავ**’ი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს, საიდანაც მოსულის კუთვნილია **კარაკავური**. წარმომავლობის სახელი ქვეულა ტოპონიმად.

**კაუნცი**(?)

**კენდის**’ი (<**\*ქენდისი**) **-ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია, **კენდ**’ ფუძეა, რომლის მნიშვნელობა საძიებელია.

**კიან**’ი (<**\*ქიანი**<**\*ქვიან**’ი? ფუძეში **ვ**’ს დაკარგვითა და **კ**:**ქ** მონაცვლეობით მიღებული).

**კირდასორ**’ი - **სორ**’ ხევის აღმნიშვნელი სომხური ფუძეა. **კირდა**<**კირთა**’საგან. ძველ ქართულში **კირთ**’ის ერთი მნიშვნელობაა **მონა**, **ყმა**, **მსახური** (აბულაძე, 1973).

**კირდასორი** ქართული **კირთისხევის** გასომხურების ცდა გვგონია.

**კირზი** (<**\*კირზა**? მცენარეა, იგივეა, რაც: **კენკეშა**, **მუკუდო**, **პოწია**, **მუყუდო**, **დონდოლო**, მგრ. **ჭურია**, სვ. **ტკიც**, **კიც**. *Campanula laktiflora* (მაყაშვილი, 1991).

**კირზი**<**\*კირზა** ადგილია, სადაც დასახელებული მცენარე ხარობს. აღვნიშნავთ, რომ მცენარეული ფუძე მხოლოდითის ფორმით იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში, იხმარება მრ. ფორმა: წიფლები, ალვები... წაბლანა, ვაშლოვანი... ბარემ აღვნიშნავთ, რომ ლაზურში გვხვდება **კირზა**, ა. თანდილავა არ განმარტავს მას, გვაგზავნის **კორზა**’სთან. ეს უკანასკნელი ორი მნიშვნელობით იხმარება: ა. სიმინდის ტარო; ბ. ლაფერა (თანდილავა, 2013).

**კირზა**’ მცენარე იქნება თუ ლაფერა, იგი ქართული//ქართველური სახელია.

**კოურცი**(?)

**კოჯუხპორ**’ი - ტოპონიმი კომპოზიტი გვგონია: **კოჯუხ-პორ**’ი, იქნებ **კოჯუხ-ფორი**.

**ფორი** ცნობილი ფუძეა ქართულში, **მოედანს** ნიშნავს (ორბელიანი, 1949). **კოჯუხი** სახელური ფუძეა, რომელშიც გამოვყოფთ **უხ**’ სუფიქსს. **კოჯა** ანთროპონიმია

ქართული (დლონტი, 1986).

**კოჯუხპორი**<**კოჯუხფორი** ქართული გეოგრაფიული სახელია.

**მაზრია** სხვაგანაც შეგვხვედრია ამ დასახელების გეოგრაფიული სახელი, კერძოდ, ტაოში. **მაზრია**ში უნდა გამოიყოს -ა' სუფიქსი (**აკვანა**'სა და მსგავს ფუძეებში რომ გამოიყოფა). საძიებელია **მაზრ'** ფუძის მნიშვნელობა. აგებულებით ტოპონიმი ქართულია.

**ნახინდერე** - კომპოზიტია: **ნახინ-დერე**. **დერე** იგივეა, რაც ქართული ხევი, მშრალი ხევი, ხეობა, ხრამი, ღრანტე... (იხ. ლექსიკონი, 2001). **ნახინდერე** თურქული სახელი ჩანს.

**ნიფი** (?).

**ორცორ'** (<\***ორწვერ'**, ქართული გეოგრაფიული სახელია).

**პანიკი**(?).

**პეტრუნი** (<\***პეტრენი**). გეოგრაფიული სახელი დაიყოფა: **პეტრენ-ნ'**. **პეტრენი** პეტრეს ჩამომავლობაა, ტოპონიმი კიდევ მათ კუთვნილს აღნიშნავს.

**სარფ-კადა** (შდრ.: Sarp-kaya - სარფის კლდე).

**სალანლი** დაიყოფა: **სალან-ლი**. -**ლი** თურქული მრავლობითობის სუფიქსია.

**სემკერი** (?)

**ტულუ-ოღლი** (აილა) - მეტსახელი გვარია ადგილის სახელად ქცეული. გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

**ქეშიშ-კაა** (<ქეშიშ-ქაა) შდრ.: მღვდლის კლდე.

**ჩაპანს** (მთა), **ჩაპანს** - სოფელი: ორ გეოგრაფიულ პუნქტს ერთი სახელი ქვია. **ჩაპანს**<**ჩაპანის'**, -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია. საძიებელია **ჩაპან'** სახელური ფუძის მნიშვნელობა. **ჩაპან'** ხომ არ არის ცუდად ჩაწერილი **კაპან'**. ეს უკანასკნელი ცნობილი ფუძეა ქართულში. **კაპანისი**//**კაპნისი** ვფიქრობთ, დასაშვები ვარიანტი უნდა იყოს **ჩაპანის'**ის.

**ჩენჯული** (<\***ჩენჯური**), გეოგრაფიულ სახელში გამოიყოფა -**ურ**(>-ულ) სუფიქსი. **ჩენჯური** წარმომავლობის სახელი ჩანს ტოპონიმად ქცეული. **ჩენჯ**<\***ჩენჩ'**ისაგან დისიმილაციით. ქველ შეტანილია **ჩენჩი** და **ჩენჩო** და განმარტებულია: „მარცვლეულის ბუდე, კანი, ნაჩენჩი, ხეჭბი“.

**ხავნუსი**<**ხავნუ-ის'**, -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია. **ხავნუ'** იქნებ კაცის მეტსახელია.

**ხარდიში** დაიშლება: **ხარდ-იშ'**. ქართულ ენათმეცნიერებაში საყურადღებო დაკვირვებებია -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიულ სახელებზე. „-**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ისეთივე წარმოშობისაა, როგორც -ის სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: თბილისი, ურბნისი...“ (ქალდანი, 1963:67; ქირია, ეზუგბაია, მემიშიმი, ჩუხუა, 2015:195-196).

ლექსუმის ტოპონიმიაში -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი სახელებს ზანურ ფენად მიიჩნევენ ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1951:421) და გიორგი ჩიტაია (ჩიტაია, 1944:267). მოსაზრებას იზიარებენ მიხეილ ჩიქოვანი (ჩიქოვანი, 1949:238) და მიხეილ ალავიძე (ალავიძე, 1958:153.). მაქსიმე ქალდანის აზრით, ლექსუმში -**იშ**//**-შ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები შემოქმედი არის არა ლაზური, არამედ სვანური მოსახლეობა (ქალდანი, 1963:69).

ჩანს, -**იშ**//**-შ** სუფიქსი საერთოა კოლხური და სვანური ენებისათვის. აღნიშნული სუფიქსით ნაწარმოები სახელები გვხვდება როგორც სვანურ, ისე კოლხურ ენობრივ სივრცეში (ფალავა, თანდილავა, 2014: 123). შავიზღვისპირეთში და ჭოროხის აუზში ლაზური ფენა მოულოდნელი არაა (იხ. ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:179-180).

**ხარდია** მამაკაცის სახელია ქართულ კულტურაში (ლლონტი, 1986). **ხარდიში** იგივეა, რაც ქართული **ხარდისი**.

**ხორსორ'ო** <\***ხარსორ'**ი (შდრ. ხარის ხევი).

**ჯემილ'** (<\***ჯღმილ'**ი, სვ. ბზ. ჯიმილ, ბქ., ჯუმილ... ძმა დისტვის. თოფურია, ქალდანი, 2000). გეოგრაფიული სახელი ქართული/ქართველური ჩანს.

#### **დ. ისპირს ზემოთ, ჭოროხის მარჯვენა ნაპირი**

**ბახსი** <\***ბახისი** -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი. ქართულ ანთროპონიმიში გვხვდება : **ბახო**, **ბახა**, **ბახუ** (ლლონტი, 1986). **ბახსი** <\***ბახისი ბახას//ბახოს//ბახუს** კუთვნილია.

**ბოზანი** დაიყოფა: **ბოზა-ნ'**ი. **ბოზი** (თ. Boz - რუხი, ლეგა, ნისლა) იხმარება ლაზურში.

**ბოზანი** ადგილია, სადაც **რუხი**, **ლეგა** ფერებია...

**ემკინს'**ი <\***ემკენისი**, -ის სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი.

**იუნუს'**ი - მამაკაცის სახელია თურქულ კულტურაში.

**ყარაგენ'**ი <\***ყარაგენ'**ი <**ყარადანი**. ეს უკანასკნელი დაიყოფა: **ყარადა-ნ'**ი (ყარადას ჩამომავლობა). მათ კუთვნილსაც იგივე სახელი უწოდეს.

**ყარა-კახე** <\***ყარა-კახა** (შდრ.: შავი კახა).

**ყარსორ'**ი შდრ.: **ყარის ხევი**, **ყარის წყალი**. უფრო ეს უკანასკნელია საგულვებელი.

**კენდისი** დაიყოფა: **კენდ-ის'**ი, -ის სუფიქსით ნაწარმოები სახელია. **კენდი** <**კენტი**, რაც მეგრულში ნიშნავს **კეტი**, **კომბალი**. დასაშვებია, **კენდი** მეტსახელი იყოს კაცისა.

**კერბეჯი**(?)

**კილინს'**ი <\***კილინ-ის'**ი. **კილინ'**ში შეიძლება გამოვყოთ -**ნ** ბოლოსართი: **კილი-ნ'**ი.

**კილის** სახლელული **კილინი'**ა. ჩანს, **კილინის** საცხოვრისსაც (თუნდაც კუთვნილს)

**კილინისი** უწოდეს. **კილი**, **კილა**, **კილო** საკუთარი სახელებია კოლხეთში (ლლონტი, 1986).

**კილიტჩი** დაიყოფა: **კილიტ-ჩი**. -**ჩი**//**-ჯი** სუფიქსებია თურქულში, ხელობის სახელს აწარმოებს. **კილიტ** (თ. Kilit ბოქლომი, საკეტი, კლიტე), **კილიტჩი** (თ. Kilitçi – კლიტის გამკეთებელი ხელოსანი. იხ. ლექსიკონი, 2001). ჩანს, **კილიტჩი** გასაღების ოსტატის საკუთრებაა. გეოგრაფიული სახელი თურქულია, შესაბამისად, - ახალი.

**მეზაქერქ'**ი(?)

**მეზრე** - მაილა, სოფელზე მცირე, სოფელზე დაქვემდებარებული მცირე დასახლება,, გამოიყენება ასევე სახნავის, ყანის, მინდვრის მნიშვნელობითაც (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:497. შდრ. 2024:461; ფუტკარაძე, 1993: 502).

**მუნუთ'**ი დაიყოფა: **მუნ-უთ'**ი. ტოპონიმი -**უთ** სუფიქსითაა ნაწარმოები, შესაბამისად, ქართული ჩანს, წარმოებით მაინც. აღვნიშნავთ, რომ მეგრულში **მუნე**, **მუნი** იხმარება ბრუნის, სალტოს მნიშვნელობით (ქობალია, 2010).

**სირთ'**ი (თ. **Sirt** - ზურგი, მთა, უღელტეხილი, გორა. ფუტკარაძე, 1993; შდრ.: ლექსიკონი, 2001).

**ხაგა** იქნებ დაუკავშირდეს ლაზურ **ხარგა**'ს: **გროვა** (შეშის... თანდილავა, 2013).

**ხარგა** > **ხაგა რ'**ს დაკარგვით. **ხაგა'** ადგილია, სადაც რაღაცის გროვაა.

**ხაგა** ქართული/ქართველური გეოგრაფიული სახელია.

**ხანი** (შდრ.: სპ. Han) **საცხენე** (თანდილავა, 2013).

**ხოზაკპურ'**ი დაიყოფა: **ხოზა**[კ]-**პური**. **ხოზა** <\***ხოზო**'საგან დისიმილაციით. **ხოზო** „რბილი ხორბალი, უფხო და ყინტორა“ განმარტავს ა. მაყაშვილი (მაყაშვილი, 1991).

**ხოზაკპური** <\***ხოზოკპური** ადგილია, სადაც **ხოზა** <\***ხოზო**'ს თესავდნენ.

**ხუნტუს'**ი <\***ხუნტუ-ის'**ი, -ის სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია.

კოლხურში დასტურდება საკუთარი სახელი **ხუნტულ**’ი. **ხუნტუ** და **ხუნტულ**’ი ერთი და იგივე სახელი ჩანს. **ხუნტუსი** კოლხური გეოგრაფიული სახელია.

**ჯებალ**’ი დაიყოფა: **ჯებ-ალ**’ი. აღნიშნულია, რომ **-ალ** (მასთან ერთად **-ოლ**) იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში (იხ. ზურაბიშვილი, 1961:149). **-ალ<\*არ** აკაკი შანიძეს მეგრულ-ჭანურ სუფიქსად მიაჩნია (Шанидзе, 1981:24-31). **ჯებალი** წარმომავლობის სახელია, იგივეა რაც **ჯებელი**, ტოპონიმად ქცეული.

\*\*\*

განვიხილეთ „საგზაო რუკაზე“ დატანილი სპერის გეოგრაფიული სახელები სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. მასალა უაღრესად საინტერესოა. კვლევის პროცესში რამდენიმე შენიშვნა გაგვიჩნდა, კერძოდ:

- თვალშისაცემია, რომ რუს კარტოგრაფს უჭირს მისთვის უცხო სახელების სწორად ჩაწერა, რასაც ემატება ის სიძნელე, რასაც რუსული დამწერლობა წარმოშობს ჩაწერის პროცესში. გასათვალისწინებელია სპერელთა თურქული გამოთქმა, რომელიც ძნელად აღსაქმელია მიუზღვეველი ყურისათვის. ამიტომაც მკვლევარი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მასალას.

- სპერის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რამდენიმე ფენა შეიძლება გამოიყოს: ქართველური (ქართული და ლაზური), სომხური და თურქული. ჭარბობს ქართველური გეოგრაფიული სახელები, რაც მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. უპირველესად სპერის უძველესი მოსახლეობის ეროვნული კუთვნილების განსაზღვრისათვის.

- გამოიკვეთა საკუთარ სახელზე „ზეწოლის“ ფაქტები. ვიღაც, უფრო ინფორმატორი, ცდილობს სხვად აქციოს ტოპონიმი. ამისათვის საკმარისია, სიტყვაში ერთი ბგერის ან აფიქსის შეცვლა, ანდაც ქართული ხვევის სომხური სორ/ძორ’ით ჩანაცვლება. სახელის ფუძის ანალიზით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ფაქტის გაყალბებასთან...

განხილულ მასალაში ფუძის საწარმოებლად გვხვდება შემდეგი სუფიქსები: -ნ, -არ// -ალ, -ურ// -ულ, -ის, -ხ(ი), -იკ, -ოთ, -ეთ, -უთ.

არაქართული -ჩი/-ჯი, -ც ბოლოსართები.

დადასტურდა შენ’ ფუძიანი რამდენიმე სახელი, ასევე -სორ/-ძორ (შდრ.: ქართული ხევი) ელემენტის ტოპონიმები.

ტოპონიმთა უმეტესობა ქართველურია, რაც მნიშვნელოვანი საბუთია, რომ სპერი ქართული ქვეყანაა.

#### ლიტერატურა:

**აბულაძე, ი. (1973)** ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

**ალავიძე, მ. (1958)** ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი. ქპი შრომები, XVIII, ქუთაისი.

**ზურაბიშვილი, თ. (1961)** ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს, II: 127-158. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**თანდილავა, ა. (2013)** ლაზური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „საარი“.

**თოფურია, ვ. ქალდანი, მ. (2000)** სვანური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „ქართული ენა“.

**ლექსიკონი, (2001)** თურქულ-ქართული ლექსიკონი ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული. გამომცემლობა: „Livane Matbaacilik Ltd. Şti“.

**მაყაშვილი, ა. (1991)** ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**ნიჟარაძე, შ. (1971)** ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

**ორბელიანი, ს.ს. (1949)** სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი. „საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა“.

**სიმფონია, (1956)** ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამომცემლობა“.

**ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. (2023)** ქართული ენის კლარჯული დიალექტი, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

**ფალავა, მ. თანდილავა, ლ. (2014)** ლაზეთის ტოპონიმის საკითხები. იხ. ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თბილისი. „გამომცემლობა „უნივერსალი“.

**ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. (2024)** ქართული ენის ტაოური დიალექტი, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

**ფუტყარაძე, შ. (1993)** ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი. „აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა“.

**ქალდანი, მ. (1963)** ლეჩუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ/-შ სუფიქსის საკითხისათვის. ქესს, III, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**ქირია, ჯ. ეზუგბაია, ლ. მემიშიში, ო. ჩუხუა, მ. (2015)** ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

**ქობალა, ა. (2010)** მეგრული ლექსიკონი, თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

**ღლონტი, ა. (1984)** ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

**ღლონტი, ა. (1986)** ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი. „გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

**ჩიტაია, გ. (1944)** ლეჩუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, Xბ, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**ჩიქოვანი, მ. (1949)** ტოპონიმურ სახელთა წარმოება ლეჩუმური მასალების მიხედვით. ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

**ხუბუტია, პ. (1969)** თუშური კილო, ლექსიკა, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**ჯავახიშვილი, ი. (1951)** ქართველი ერის ისტორია, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

**Шанидзе, А. (1981)** Два Чано-мингрельских суффикса в грузинском языке. тбზ. 12 ტომად, ტ. II, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

## Speri in the Road Map of the Caucasus Region

**Paghava Mamia**

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi

### Abstract

Speri is a historical Georgian region located at the headwaters of the Chorokhi River, within whose boundaries Basiani/Fasiani and Baiburt are also presumed to be included. Since 1514, the land of Speri has been under the dominion of the Ottoman Empire (later the Turkish state). Over the past five centuries, the people of Speri have undergone assimilation, causing them to forget their ancestral language. It is worth noting that historical Speri (together with Tao, Klarjeti, and Shavsheti) served as a site for cultural dialogue, where Georgian, Greek, Armenian, and later Ottoman (Turkish) cultures intersected. This dialogue was often harsh and unyielding, with severe repercussions for the daily lives of the Speri population...

Historical sources have preserved only scant information about the land of Speri. In such cases, the reconstruction of the historical past relies primarily on toponymy, the "language of the land." Toponyms reveal the life and national identity of the people inhabiting these lands. For the researcher of Speri, every source that has preserved the region's geographical names is of great importance.

This paper examines the toponymy of Speri as documented in the "Road Map of the Caucasus Region" (published in 1903). It presents a structural and semantic analysis of the geographical names, identifying certain structural changes that may have occurred, whether intentionally or unintentionally, during the recording or transmission of information. The researcher seeks to restore the original forms of these toponyms. It has been revealed that the majority of the

toponyms are of Georgian/Kartvelian origin, with only a few non-Georgian geographical names.

Structurally, the toponymy of Speri continues the characteristic patterns of toponym formation seen in the Chorokhi River valley, with one notable distinction: here, only suffixal formation of geographical names is encountered. For root formation, suffixes with different frequencies are attested: -ნ, -არ/-ალ, -ურ/-ულ, -ის, -ხ(ო), -იკ, -ოთ, -უთ, -ეთ. Alongside them, non-Georgian suffixes are also present: -ჩი/-ჯი (Turkish) and Ը (Armenian). Geographical names formed with the -შენ root are attested, as well as bases containing the Armenian element სոր/ძორ (cf. Georgian ხევი). The analysis of the geographical names on the road map serves as further evidence that Speri is a Georgian land.

*Keywords: Speri, Road Map, Toponymy, Chorokhi Valley, Geographical Names*

## ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი

ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.38>

**აბსტრაქტი.** მწერლის დანიშნულება მისი თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი გვიხატავს გარემოს და გვაზიარებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებითა და ენობრივი მახასიათებლებით.

მწერალმა ხალხური, სასაუბრო ლექსიკით, დიდი სიტბოთო და სიყვარულით, სხარტი, მოსხლეტილი წინადადებებით შეძლო მკითხველის დაინტერესება. მის პროზას ახასიათებს ფსიქოლოგიურ-ემოციური განცდის გამომხატველი ტროპები, დიალოგური მეტყველება.

ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანდობლიობაა ზმნათა სიუხვე, რომელიც ხალხური, სასაუბრო ენის წიაღიდან მომდინარეობს და ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებს, ზოგჯერ ზმნა-შემასმენელი მეტაფორამდეა აყვანილი („მთების უბეებში კიაფობდნენ კენტ-კენტად დანთებული ცეცხლები“; „ელვის ნამსხვრევები ფხრეწდნენ ცას და ქარი ისევ ცელავდა წვიმას“).

ლადო მრელაშვილის პროზაში დიდი ოსტატობითაა შერჩეული ორიგინალური შესიტყვებები: „მაწანწალა ნიავი“, „ნამყენი კურდღელი“, „დარბაისელი ცხენი“, „დაკარწახებული ბიჭები“, „ღამის საყარი“, „იდუმალი შრიალი“ „მოჭიატე თვალები“ „ირიბად გაბმული წვიმის გამჭვირვალე ღარები“.

მწერლის ენა ტროპული მეტყველების ნიმუშებითაც გამოირჩევა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია შედარება, მწერალი სხვადასხვა მაკავშირებლით (-ვით, -ებრ, -ოდენა, თითქოს, როგორც და სხვა.) ქმნის შესანიშნავ სახეებს და ემოციურად ტვირთავს სათქმელს.

ლადო მრელაშვილის ენა ყურადღებას იპყრობს სემანტიკური თავისებურებით, სიტყვათქმნადობით, ამოუწურავი სიტყვათა მარაგით. მწერალს სიტყვათქმნადობის საფუძველზე შედგენილი აქვს სემანტიკურად და სტრუქტურულად განსხვავებული როგორც ფუძის გაორეებით, ისე სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: „ფუთფუთით“, „დოინჯშემოყრილი“, „თვალმრუდე“, „ხელმრუდე“, „საცრისოდენათვალებიანი“, „ღმერთგამწყრალი“, „ცხვირპირდალეწილი“.

მწერლის ენაში დიდი ემოციური ძალისა და ექსპრესიული დატვირთვის მქონეა ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელიც მეტად პროდუქტიულ ერთეულს წარმოადგენს მხატვრული ტექსტის შესაქმნელად, ფრაზეოლოგიზმებით იგი ქმნის მხატვრულ პორტრეტებს, სადაც იგრძნობა მწერლის მახვილგონივრული იუმორი და სიბრძნე: „კუდზე ცოცხი მოაბეს“, „ჭკუაში დაუჯდა“ „სულიერი არ ჭაჭანებს“, „ემშაკს მაინც არ სძინავს“.

ცხადია, ლადო მრელაშვილის ენა მდიდარ, ქართულ-ხალხურ ლექსიკაზეა დაფუძნებული. იგი ხალხური ენის წიაღიდან იღებს სათავეს და ნაირფეროვნებით ხასიათდება, რაც ენობრივ-სტილური მრავალფეროვნების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

**საკვანძო სიტყვები:** ლადო მრელაშვილი, ენობრივი მახასიათებელი, სტილი, ორიგინალური შესიტყვება, ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

მწერლის დანიშნულება მისი თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი გვიხატავს გარემოს და გვაზიარებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებითა და ენობრივი მახასიათებლებით.

იყალთოელი მწერალი ლადო მრელაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოდის. მისი პროზა სავსეა ყოველდღიური ყოფითი პრობლემებითა და ადამიანის შინაგანი განცდებით, რაც კარგადაა გადმოცემული ენობრივი ფორმებით. მოთხრობა „სამი ღამის თავგადასავალი“ დაწერილია ცოცხალი, სასაუბრო მარღვიანი ენით, თბილი და ხალასი იუმორით.

მწერალმა ხალხური, სასაუბრო ლექსიკით, დიდი სითბოთო და სიყვარულით, სხარტი, მოსხლეტილი წინადადებებით შეძლო მკითხველის დაინტერესება: **„გარეთ საუცხოო სიგრილეა. სიმინდები სასიამოვნოდ შმაშურობენ. აგვისტოს მოწმენდილი ცა გადმომზობია ალაზნის პირს. ხვანჭასავით მიყრილი ვარსკვლავები მხიარულად მიპაჭუნებენ თვალებს. დროდადრო რომელიმე მათგანს აიტაცებს ხუნტრუცის ჟინი, მოსხლეტით მოწყდება ალავერდის მხრიდან, ელვასავით გადასერავს ალაზანს და ალვისსკენ დაინთქმება“** (მრელაშვილი; 1987: 212) აქ ავტორმა მეტწილად გამოიყენა მარტივი წინადადებები, მიზანმიმართულად მეტაფორამდე აიყვანა ზმნა-შემასმენელი ბუნების სიმშვენიერის გადმოსაცემად.

ლადო მრელაშვილი პროზას ახასიათებს ფსიქოლოგიურ-ემოციური განცდის გამომხატველი ტროპები: **„პირს ვეცემი, მიწას ყურს ვუგდებ და ვქვავდები. გვრძნობ, რომ ყურები თანდათან მეზრდება. ისეთი სისწრაფითა და დაჟინებით მეზრდება, რომ მალე ალბათ სიმინდებს მისწვდება“.**

ლადო მრელაშვილის პროზისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა დიალოგიური მეტყველება, სადაც ნათლად იკვეთება ყოველდღიური ყოფითი პრობლემები:

„-იპოვე?

- აქაურობა სულ მოვიარე და ვერსად დავკარი თვალი.
- შინ წავიდოდა.
- არ იცის შინ წასვლა.
- სიმინდებში შევიდოდა სადმე.
- არც სიმინდებშია.
- ვიმნე ალავერდელი დაიჭერდა. შეიძლება სადმე ბოსტანში გადავიდა.
- ბოსტანში რა უნდოდა, გარეთ ამოდენა ბალახი და სიმინდია.
- ხშირად იცის გაპარვა?
- მოუკვდა გამომცემელი, ერთი ეგა აქვს ცუდი ზნე, თორემ სხვაფრივ კარგი ცხენია.
- ახლა რა უნდა ჰქნა?
- ჩემი დარჩენა მინდორში არ შეიძლება, ამაღამ უნდა შინ ავიდე.
- ფეხით?
- ფეხით რათა. შენი ცხენი მათხოვე და დილაზე ჩამოგიყვან.
- სიამოვნებით გათხოვებდი, მაგრამ გაშვებული მყავს და, ვინ იცის, ალაზნის რომელ მხარეს არის მოქცეული.
- რომ ვიპოვო, მათხოვებ?
- თუ ამაღამ შენ იმას იპოვი, გათხოვებ კი არა, თუ გინდა, გაჩუქებ.
- ვაჟკაცურად ამბობ?
- ვაჟკაცურად“(მრელაშვილი; 1987: 215-216).

ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანდობლიობაა ზმნათა სიუხვე, „ზმნა-შემასმენელი წინადადების დედამარღვია“ (კვაჭაძე, 1999, 69). რომელიც მწერალთან ხალხური, სასაუბრო ენის წიაღიდან მომდინარეობს და ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებს:

„დღედაღამ ყარყატივით ალაზანზე **დაგლაჯუნობს**“ (მრელაშვილი; 1987: 208);

„შუაზე ვჭრით ბაღს და თვალები **გვეხახება** აქეთ-იქით მიყრი-მოყრილ საზამთროებზე“ (მრელაშვილი; 1987: 209);

„ალავერდთან გუგულა **შემოგვხვდა: მოლაყუნობს** უდარდელად“ (მრელაშვილი; 1987: 209);

Emotional intensity in English is generally restrained, in line with cultural values of composure and reserve. Characters often veil strong feelings behind formal or subdued language. Conversely, the Georgian translation tends to amplify emotional expression, using stronger adjectives, repetition, and intensified phrasing. This aligns with Georgian’s high-context cultural framework, which allows for more overt displays of affect.

English relies on lexical and tonal strategies to indicate deference or respect, while Georgian employs a system of polite pronouns, morphological adjustments, and respectful imperatives. These forms are often added or enhanced in translation, demonstrating how social hierarchy and age-based respect are more explicitly encoded in Georgian.

Irony as politeness is a hallmark of Austen’s style. It allows critique and emotional management without overt confrontation. This rhetorical strategy is challenging to reproduce in Georgian, where irony is less commonly used as a politeness mechanism. Georgian translations sometimes replace irony with literal restatements or emotionally expressive alternatives, leading to a potential loss in pragmatic nuance.

Gendered variation in speech also emerges in both versions. In English, the distinction between male and female politeness styles is nuanced – men’s language may be more detached or ironic, while women’s speech tends toward elaboration and emotional engagement. The Georgian translation tends to amplify these contrasts, perhaps reflecting more traditional gender norms in language use.

Finally, praise and compliments in English are often indirect and modest, intended to maintain equality and avoid appearing insincere. In Georgian, compliments are generally more direct and emotionally explicit, frequently framed as evaluative affirmations. This contributes to a more relational and affective politeness style that prioritises warmth and sincerity.

#### **Conclusion**

In conclusion, it is worth mentioning that politeness is not just a matter of using polite words; it is a culturally shaped way of communicating that helps people interact within their society. This study compared *Pride and Prejudice* with its Georgian translation and showed that while both English and Georgian value respectful communication, they use different methods to express it.

In the English version, politeness is often shown through indirect speech, careful wording (hedging), formal language, and subtle meaning. These features match English cultural values like personal independence, clear communication, and social politeness. On the other hand, the Georgian translation uses more open emotional language, clear respect for social roles, and direct relational messages, reflecting a culture that values group connection and emotional expression.

The analysis of selected dialogues showed that certain speech acts – like refusing, apologising, giving compliments, or dealing with uncomfortable situations – change noticeably in translation. These changes are not accidental; they reflect deep cultural differences in how politeness is understood. For example, English uses humour, understatement, and implied meaning to be polite, while Georgian prefers open emotion and clear signs of respect. This proves that politeness depends on culture and context.

The theories used in this study helped explain how politeness works both as language (pragmatics) and as a social habit. It also showed that translating politeness is not about word-for-word accuracy, but about adapting meaning for a new culture.

These differences highlight the translator's important role – not just to translate the words, but to understand and adapt the meaning behind them. This also applies to language learners, who must learn how polite behaviour works in other cultures to avoid confusion or offence. Comparing translations gives useful lessons about how culture affects meaning and communication.

#### References

1. Austen, J. (2022). *Pride and Prejudice*. Global Grey;
2. Brown, P., & Levinson, S. C. (1987). *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge University Press;
3. Hofstede, G. (2001). *Culture's Consequences: Comparing Values, Behaviors, Institutions and Organizations Across Nations*. Sage;
4. House, J. (2015). *Translation Quality Assessment: Past and Present*. New York: Routledge;
5. Ramishvili, N. (2014). *სიამაყე და ცრურწმენა [Pride and Prejudice, Georgian Translation]*. გამომცემლობა პალიტრა L;
6. Spencer-Oatey, H. (2008). *Culturally Speaking: Culture, Communication and Politeness Theory*. Continuum;
7. Venuti, L. (2017). *The Translator's Invisibility: A History of Translation*. Routledge;
8. Wierzbicka, A. (2008). *Cross-Cultural Pragmatics: The Semantics of Human Interaction*. Cambridge University Press.

**თავაზიანობის სტრატეგიები ქართულსა და ინგლისურ ენებში:  
ლინგვისტური და კულტურული შედარება  
(ჯეინ ოსტინის „სიამაყე და ცრურწმენა“ და მისი ქართული თარგმანის მიხედვით)**

**მამიაშვილი ელენე  
ნახუცრიშვილი ეკატერინე**  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

#### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს თავაზიანობის სტრატეგიების გამოხატვის თავისებურებების ანალიზს ინგლისურ და ქართულ ენებში, რისთვისაც გამოყენებულია ჯეინ ოსტინის რომანი „სიამაყე და ცრურწმენა“ და მისი ქართული თარგმანი. კვლევა ეფუძნება კონტრასტული პრაგმატიკის მიდგომას და ასახავს, როგორ რეალიზდება ძირითადი ენობრივი ქმედებები – თხოვნა, უარის თქმა, ბოდიშის მოხდა, კომპლიმენტები და ემოციური გამოხატულებები – ორენოვან ტექსტებში. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ გამოხატავს თითოეული ენა თავაზიანობას სოციალური როლების, კომუნიკაციური ნორმებისა და ინტერაქციული სტრატეგიების მეშვეობით. შესწავლილი საკითხის ანალიზის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ და ქართულ კულტურებს საერთო

ღირებულებად მიაჩნიათ სოციალურ ურთიერთობებში ჰარმონიის შენარჩუნება, მათი მიღწევის გზები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ინგლისური დიალოგისთვის დამახასიათებელია ირიბი და ფრთხილი ტონი, ზომიერი ან შერბილებული ენობრივი ფორმები, თავშეკავებულობა და ემოციური დისტანცია – რაც დამოუკიდებლობისა და სოციალური ტაქტის ხაზგასმას ემსახურება. მეორეს მხრივ, ქართულ ენაში უპირატესობა ენიჭება ემოციურობას, სოციალურ კონტექსტში განზრახულ პირდაპირობას, იერარქიის გათვალისწინებასა და ღიად გამოხატულ ემოციურ ჩართულობას. ეს განსხვავებები ფართო კულტურულ ღირებულებებზე მიუთითებს და წარმოაჩენს სხვადასხვა ხედვას, თუ როგორ გამოიხატება პატივისცემა, თანაგრძნობა და ავტორიტეტი ურთიერთობაში. ნაშრომი ასევე ხაზს უსვამს მთარგმნელის, როგორც კულტურული შუამავლის როლს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია მხატვრულ ლიტერატურაზე, სადაც თავაზიანობა არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ ტონით, სტილითა და ქვეტექსტითაც გადმოიცემა. მხატვრული დიალოგის თარგმნა რთულია იმ მხრივაც, რომ მცირე ცვლილებებმაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს პერსონაჟებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. კვლევა ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურაში კომუნიკაციის თავისებურებების უკეთ გაგებას და ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენის სწავლება არამხოლოდ ლექსიკურ დონეზე, არამედ კონტექსტისა და მნიშვნელობის გათვალისწინებითაც.

*საკვანძო სიტყვები:* თავაზიანობა, შედარებითი ანალიზი, თარგმანი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, მხატვრული დისკურსი.

## მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებები გოდერძო ჩოხელის მოთხრობაში „ღმერთის შვილები“

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.41>

**აბსტრაქტი:** მოთხრობაში ასახულია მეორე მსოფლიო ომი და ბრძოლის ველზე მყოფი საპყარის ამბავი, რომელიც ფრონტის ხაზიდან წერილებით ამხნევებს სოფელში დაბრუნებულ დაჭრილ მეგობარს. მოთხრობაში მრავლად გვხვდება სხვადასხვა მხატვრული ხერხი, რომელთა საშუალებით იგი ემოციური და საინტერესოდ აღსაქმელია. გოდერძი ჩოხელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით, განსაკუთრებით სიმბოლოების გამოყენებით, ყურადღებას ამახვილებს ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ცნებებზე - ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი.

ერთია მოთხრობის შინაარსი, მეორე კი - რა საშუალებებს, რა ხერხებს მიმართავს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებისათვის. თითოეული სიტყვის ძალა დამოკიდებულია აზრის სამოსელზე, გულმოდგინედ შერჩეული სიტყვების ძალაზე. მოთხრობის შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მოთხრობის მხატვრულ გამომსახველობით ნიშნებს გამოკვეთს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სიმბოლოები; ასევე დიალექტური ლექსიკა, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში, თუმცა ავტორისეულ თხრობაშიც დასტურდება: „ბიჭო, შე კაი ადამიანო და კაი უდურზე აწყობილო“... „დედამიწაზე სამართალი სულ გამაილია, დაძინებულ დევს რო ჯიბეში ხელებს მიფათურები, ჰა?!“ აბა, შამამხედე, საით ამცდება?“, „მამინ ჯიელები ვიყავით და ჯიელის იღბალი თავისი სიჯიელეა. ყოველდღე იღბალს რო მისტიროდა, როგორც ჩანს, ჯიელსაც ისევე სჭირდება იღბალი, როგორც ბებერს“.

პერსონათა მეტყველებაში ასევე უხვად გვხვდება ანდაზები და ხალხური სასაუბრო ფრაზები: „ვისაცა სცალია და იმან ცივი წყალი დალიოს“; „უგვანო ბუზი იქ ბზუისო, სადაც ტყუილი ტყუისო“; - რასა ვშვრები და გულსა ვხარშავ დარდის ბალღამში“.

გოდერძი ჩოხელი ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ხშირად იყენებს გამეორებას: „სიკვდილისა არც მშინებია და არც მეშინია“; „ნახე, დევოო, ნახე, დევოო, როგორ შემომიბღვირა!“ „... ღმერთამ ისიც კი იცის, გულისგულში რო სიყვარული იმალება, იმ სიყვარულის გულისგულში რა სიყვარულია და იმ სიყვარულის გულისგულში რა სიყვარულია“; „როგორია, კაცი ხარ თუ დევი ხარ...“

ტროპული საშუალებებიდან მრავლად გვხვდება შედარების მაგალითები: „მაგრამ საპყარი რო შენსავით დევგარეული ვერ გაიზარდა“; „უკუნ ღამეში სანთლებივით გვინათენს ეს ხეები გზას“; „ანგელოზები ბროწეულივით წითელ თხილს კრეფდნენ და ღმერთს სთავაზობდნენ“; „იმისმა ანგელოზივით გულმა კი ისე შეწყვიტა ფეთქვა, ისევ ეძინა ლევანს“.

უხვად გამოყენებული მხატვრული საშუალებები მოთხრობაში ის სულიერი გზამკვლევა, რომელიც მკითხველს ადამიანურ ფასეულობებზე - მიტევებაზე, თანაგრძნობაზე, სიტბოსა და რწმენაზე აფიქრებს.

**საკვანძო სიტყვები:** ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი, დარდი.

გოდერძი ჩოხელის „ღმერთის შვილების“ კითხვისას თავიდან ფიქრობ, რომ იუმორისტული ჟანრის მოთხრობაა. თუმცა სიღრმეებში შესვლის შემდეგ იცვლება

დამოკიდებულება და გრძნობ, რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ცნებებზე - ანბანი, რწმენა, ეროვნული თვითმყოფადობა, სინდისი - და ერთ ჰარმონიულ მთლიანობად კრავს.

თხრობა იწყება სოფლის სახელის დარქმევის ისტორიით: ღმერთმა ერთი ღამე სოფელში გაათია და იქაურები დაარიგა, ღირსეულად ეცხოვრათ. იმ ადგილს მას შემდეგ „ღმერთის შვილები“ დაერქვა. სოფლის მოსახლეობა ცდილობდა სულიერი სისპეტაკე განემტკიცებინათ, სატანის მძლავრობის პერიოდში შთამომავლებისთვისაც, შეძლებისდაგვარად, სულიერი ძალა და სიმტკიცე შენარჩუნებინათ. ეშმაკის ხრიკებს უპირისპირდება ხალხური გულწრფელობა და ძიება იმ კაცისა, რომელიც მისაბამად მიაჩნდათ. გადმოცემის თანახმად, ახალშობილის ჭიპლარს თუ სასურველ ადამიანს ჯიბეში ჩაუდებდნენ, მას დაემსგავსებოდა. ორი ჩვილის მამა ჩივის, კეთილშობილთა მოდგმიდან არავინ დარჩა სასურველი, რომ შვილი დაემსგავსოს. „როგორღაც ხო უნდა გაზარდონ კარგი შვილები!“ „ქვეყანას დევით ბიჭები სჭირდება“, „იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს: დევი ხო კეთილია და ისედაც გაბრაზებულია“, „დევი ბიჭები თუ გვეყოლება, კეთილებიც იქნებიან და მტერსაც ადვილად მოერევიან“ - ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი გამოძებნეს დევის სახით, რადგან თვლიან, რომ დევი ჭკვიანი, კეთილი და თან ეშმაკზე გაბრაზებულია. გადაწყვიტეს და ასეც მოიქცნენ, ერთმა დევის მარჯვენა ჯიბეში ჩადო ჭიპლარი, მეორემ - მარცხენაში. მაგრამ დევს ერთი ჯიბე გახვრეტილი ჰქონდა და ერთ-ერთი ჭიპლარი გაუვარდა. ამიტომ „ბაყდარი მართლა დევით ბიჭი გაიზარდა, საპყარი კიდე ნაცარქექისავით“, თუმცა სული ორივეს დევით წმინდა ჰქონდა.

ერთია სურვილი, მეორე - ასრულება, მაგრამ წუთისოფელს რას გაუგებ, ყველაფერი ხომ იღბალზეა დამოკიდებული: „ღვთის შვილებს“ სჯერათ, რომ ყველას თავისი მისია აქვს და „საიქიოს იქით თუ კიდევ საიქიოა“ მაშინ ვერ შეძლებენ დაივიწყონ ერთმანეთი და კაცური ვალი, თანაც ჩოხელისეული ანტითეზით: „კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება, ხოლო თუ მოკვდება, აბა, მითხარ, რისილა უნდა ეშინოდეს, სიკვდილის იქით უფრო დიდი სიცოცხლეა“.

გოდერძი ჩოხელი არც ამ მოთხრობაში უვლის გვერდს ფიქრებს სიკვდილსა და ცოდვა-მადლზე, რომელზეც ბევრს ფიქრობენ ომში მყოფი მისი პერსონაჟები. ბაყდარის თქმით „მართლიც იქნება ამის მთქმელი, ცოდვა-მადლის ჩირგვებში ვზივართ, ჩემო საპყარ; ირგვლივ იმხელა ცოდვა-ბრალი ტრიალებს“ - სინონიმური წყვილებით გადმოცემული ეს სიტყვები ამბაფრებს ემოციას და კიდევ ერთხელ აფიქრებს ადამიანს მის არსზე. ბაყდარი, რომელიც იმყოფება ბრძოლის ველზე, სიკვდილთან არც თუ ისე შორს, სანგარში, საუბრობს არა შიშზე, არამედ ძალადობაზე, სიტყვაზე, მწერლის დანიშნულებაზე, რწმენაზე, წინაპრებზე, რელიგიაზე და ა.შ. თავშესაფარში, ომის სისასტიკეს შეფარებული, ცდილობს სიტყვის ძალას, ადამიანის სულის სიღრმესა და მწერლობის დანიშნულებაზე ფიქრს შეაფაროს თავი. მისთვის მწერლობა სულიერი მისიაა. ომში ყოფნის პარადოქსული რეალობა მოულოდნელად შემოქმედებისკენ უბიძგებს, რაც ქმნის გარკვეულ ანტითეზას: სანგარი და ოცნება, ტყვია და სიტყვა. გმირს არ სურს ტყვიების სროლა, მას სურს სიტყვებით იბრძოლოს, რათა ადამიანი გადაარჩინოს და არა მოკლას. როგორც არაერთი ქართველი შემოქმედი გოდერძი ჩოხელიც განიხილავს მწერლის დანიშნულებას: მწერალს გაცნობიერებული უნდა ჰქედეს რას, რატომ და ვისთვის წერს და რელიგიურ-სოციალური სიმაღლიდან აკეთებდეს ამას. ემოციური ინტონაცია, სიტყვათა გამეორება მიგვანიშნებს იდეის მომწიფებაზე გმირის გულში: „ვიფიქრე, ვიფიქრე და

იცი, რა ვიფიქრე... მწერალი ის უნდა იყოს, ვინც სიტბოსა და სიცოცხლეს შთაბერავს სხვებს“. მწერლის მისია ნათლად იკვეთება შემდეგ შედარებასა და გაპიროვნებაში: „იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ ფოთლებს რომ გაუღებო, გაყინულ ფესვებში გამლხვალ თოვლის თბილ ცრემლებს რომ ჩააწვეთებ, საიდანღაც წითელ პეპელას რომ შეისვამს და ყვავილის მხრებზე დასვამს... ყვავილებმა კი აუცილებლად უნდა უსმინონ მწერლებს...“ ერთ-ერთი მთავარი გზავნილი მწერალთან მიმართებით არის „სმენადი სიტყვა“. მწერლის სიტყვა უნდა იყოს გაგონილი, თორემ თვითომ მწერალი დაჰკნება: „ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჰკნება, თუ მათ არ უსმენენ“. მოთხრობაში მკაფიოდ არის ფორმულირებული მთავარი გზავნილი: „მე მინდა ვიყო ისეთი მწერალი, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჰკნე საქართველოში“ - მეტაფორულად ნათქვამი რეალობა: მწერალის ერთი სიტყვა შეიძლება იყოს ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.

მწერალი რეალურთან ერთად თანაბრად იყენებს ალეგორიულ ელემენტებს - ომის სასტიკი რეალობა მჭიდროდ ერწყმის მირაჟულ ხილვებსა და სიზმრებს (ღმერთთან ნათლობა, ღვთისმშობლის გამოჩენა), ერთ პლანზე ვითარდება პოეტური ალუზიები, ისტორიული ტრაგედია, პიროვნული და ქრისტიანული რწმენა.

მოთხრობა ასახავს საბჭოთა ანტირელიგიურ პოლიტიკას, ომისა და ადამიანური ტრაგედიების ეპოქას. ეპიზოდში მოხსენიებული ბებო სალომე და მისი ლევანი ნაციონალური კოლექტიური ტკივილის ალეგორიად გვევლინება. ბებო სიმბოლოა იმ დარდისა და სიდიადისა, რომელიც ომის დროს ქართველმა დედებმა იტვირთეს.

აპარეკასა და რუსი ჯარისკაცის ეპიზოდი ქმნის ძალადობის სპექტრს - ცოფიანი, უმოწყალო ძალადობა. აპარეკას სახით გოდერძი ჩოხელი აღწერს სისასტიკის, გაუმართლებელი ძალადობის სიმბოლოს. ძალადობისა, რომლის დროსაც პატრონმა არ შეიცოდა ჭირსა თუ ლხინში მუდმივი თანამგზავრი ცხენი საღარი. აპარეკამ ასევე არ დაინდო საკუთარი შვილი იმის გამო, რომ შეიცოდა ცხენი და მამას გაუწყრა, სიცოცხლეს გამოასალმა: „ფერდობზე გაიჭრა აპარეკი, რამდენიმე ნახტომით წამოეწია ბიჭს, ქოჩორში წაავლო ხელი, დაუწია თავი და მართლა ბატკანივით დაკლა საცოდავი“. რეალობა სევდიანია, ავტორს შემოაწვება ნოსტალგია და ბავშვობის გახსენებით ცდილობს დაიცვას თავი იმ სინამდვილისაგან, რომელიც სიბინძურესთან, სიცრუესთან და მორალურ დეგრადაციასთან ასოცირდება: „თუ კარგად არ იცი მისასვლელ-მოსასვლელი გზები, ისე ჩაეფლობი ჭაობში, ვეღარ ამოხვალ“; „როცა რუსეთის ჭაობები და ავადსახსენებელი მოგონებები თავს მოგაბეზრებენ, ბავშვობა გაიხსენე“ - ეს ფრაზა არა მხოლოდ ნაწარმოების ემოციური ღერძია, არამედ მკითხველისთვის ერთგვარ მორალურ თავშესაფრად იქცევა, რადგან ბავშვობის გახსენება არ არის უბრალოდ ინდივიდუალური წარსულის ნოსტალგია, ეს არის სულიერი თავშესაფარი, რომელშიც ჯერ კიდევ სუფევს ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის.

„ბავშვობაში როგორ თოვდა ხოლმე, როგორ თეთრი იყო ყველაფერი. ჩვენი მაღალი მთებიც თეთრ, კეთილ დევებს ემსგავსებოდნენ და თავს დაგვყურებდნენ. სადღაც, თოვლიან მთის სიღრმეში ღამღამობით დაიკმუვლებდა მშვიერი მგელი. ბერების მთის იქითიდან ნელ-ნელა ამოცურდებოდა მთვარე, მერე მეფურად გაცურდებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. თოვდა და თოვდა. გვიხაროდა ზამთარი“ - ბავშვური სულის ნაწილებად ქცეული ყველა ელემენტი სიმბოლოებად გადაიქცევა.

საინტერესოაა წარმოჩენილი მწერლისეული მორალი იების ეპიზოდში. იები არა უბრალოდ ყვავილები, არამედ წინაპართა სულის სიმბოლოა. მათი მოწყვეტა

ცოდვასთან, დაუფიქრებლობასთან და სიწმინდის შელახვასთან არის გაიგივებული: „ეგ იები, შვილო, თქვენი პაპა-ბებიების ძვლებია; განა მართლა ძვლებია, იმ ძვლებს რომ მიწაში ყოფნა მოსწყინდათ, იმათი სურვილია, გარეთ იებად ამოვიდა მათი სურვილი“, ამიტომ მათი მოწყვეტა თითქოს ტოტემური ტაბუ ხდება.

საზოგადოების გადარჩენის საწინდარად, ღმერთთან ერის უწყვეტ კავშირად, ავტორი ასახელებს ქართულ ანბანს: „რა კარგია, რომ ჩვენ საკუთარი ანბანი გვაქვს ქართველებს, საპყარ...“ ამით გამოხატულია არა მარტო ენობრივი უპირატესობა, არამედ სულიერი იდენტობა და კავშირი ღმერთთან - „და ქართველებსაც გვაქვს ღმერთთან მისასვლელი გზა - ანბანი ქართული!“ - წარმოთქმული ფრაზა ანბანს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ქართული დამწერლობის წმინდა ბუნებაზე მიანიშნებს, რასაც ქართულ კულტურაში არაერთგზის ვხვდებით. ქართველების „გულისნადები“, „საგალობლები“ და „ყველაფერი, რაც კი ქართველებს გაგვაჩნია“, ანბანშია გათავისებული. იგი არის ეროვნული მეხსიერების, კულტურული მემკვიდრეობისა და სულიერი ფასეულობის შენახვა-გადაცემის საგანძური, ერის კოლექტიური ცნობიერების საცავი. პარალელი ათი მცნების ისტორიასთან, სადაც ღმერთმა ცნებები სიპის ქვაზე ანბანით დაუწერა, მიგვანიშნებს, რომ ამით ღმერთმა „ანბანს მიანიჭა ღვთიური ბეჭედი, ანბანი დადო ერსა და ღმერთს შორის“. როდესაც ხალხი ღმერთს „განუდგა“, მოსემ ფიცრები დაამტვრია, „ანბანი დაამსხვრია, ანბანი დაარღვია, დამსხვრეული ანბანით ისრაელს ღმერთთან მისასვლელი გზა მიმოუფანტა თვალწინ გაბრაზებულმა“. მონაკვეთის სიმბოლური დატვირთვა მიანიშნებს, რომ ანბანის უგულვებელყოფა ან დაზიანება ღმერთთან კავშირის გაწყვეტას, სულიერ კატასტროფასა და ეროვნული იდენტობის დაკარგვას ნიშნავს. ქართული ანბანი, ამ კონტექსტში, განიხილება, როგორც ერის უწყვეტი კავშირი ღმერთთან და მისი სულიერი გადარჩენის საწინდარი.

შემდეგი მონაკვეთი ომის რეალობასა და დანგრეული ეკლესიის ხატს ეძღვნება. ეკლესია მრავალშრიან სიმბოლოდ გარდაიქმნება: ერთდროულად არის რელიგიური სივრცე, ქვეყნის რუკა და ქართველი ხალხის სულიერი მდგომარეობა. მზაყდარი იხსენებს როგორ გადაურჩა რამდენიმე ათეული კაცი სიკვდილს ეკლესიის ნანგრევებში შეფარებით. ეკლესიის, როგორც სამშობლოსა და რწმენის სიმბოლოსი. დანგრეული ეკლესიების სახეს აკავშირებს საქართველოს ყოფასთან: „ჩვენი დღევანდელი საქართველო... ზოგი კედელი ჩამონგრეული აქვს, უგუმბათოა, ჩამოშლილი კედლის ქვები კი ის ქართველებია, სატანამ რომ მიმოფანტა აქეთ-იქით.“ ეს არის მეტაფორა გაჭირვებული, დანაწევრებული და სულიერად დაზიანებული სამშობლოსი, სადაც „სატანამ“ მიმოფანტა ქართველები. მიუხედავად ამისა, იმედი შენარჩუნებულია – ის კედლები, რომლებიც ფეხზე დგას, წარმოადგენს გადარჩენილ საფუძველს, იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიცოცხლეს. ხეები, რომლებიც კედლებზეა ამოსული, სიცოცხლის ციკლის და იმედის სიმბოლოა.

სიზმარში ნანახი საქართველოს რუკის ფორმის ეკლესია - სიმბოლოა ერთიანი, განუყოფელი საქართველოსი, სადაც ეკლესია მთელ ერს აერთიანებს. ის, რომ ქართველები „გარეთ ვიყავით და ველოდებოდით“, მიანიშნებს განცალკევებაზე, მოლოდინზე და იმედზე, რომ ოდესმე კვლავ გაერთიანდებიან და შევლენ ამ აღდგენილ ტაძარში. ზარების რეკვა, სამღვდლო პირთა ხატებითა და დროშებით გამოზრძანება და ხალხის გალობა ერის სულიერ გამოღვიძებასა და აღორძინებას განასახიერებს. ეს არის გზა სიკვდილიდან სიცოცხლისკენ, დაშლიდან გაერთიანებისკენ, სასოწარკვეთიდან რწმენისკენ.

მთხრობელის ოცნება - „დანგრეული ეკლესია აღარ იქნება“ – საქართველოს სრული

აღდგენის, გამთლიანებისა და სულიერი განახლების სურვილია. ჩუქურთმები კედლებზე, რომლებიც „ფეხზე დგას“, მიანიშნებს კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებაზე, წარსულის სილამაზისა და ღირებულებების დაბრუნებაზე. „შევალთ მერე ქართველები აშენებულ ეკლესიაში, ჩვენი წინაპრების ანბანით დაწერილ საგალობელს ვიგალობებთ და ღმერთიც შეგვისმენს.“ ეს ფრაზა ქართული ანბანის, რწმენისა და ეროვნული ერთიანობის სიწმინდის საფუძველს წარმოადგენს. გალობა, როგორც ლოცვა, ღმერთთან უშუალო კავშირის საშუალებაა, რომელიც აღორძინებულ საქართველოსა და განახლებულ ქართველ ერს აკავშირებს შემოქმედთან. „შენ ხარ ვენახის“ გალობა კი ამ ერთიანობის, რწმენისა და ერის გამძლეობის სიმბოლოა. მთხრობელის მოწოდება „მთელი საქართველო აგვყვეს“, ქართველი ხალხის გაერთიანების, ღმერთის მოწყალების მოპოვების გზაა.

განსაკუთრებით ღრმა ფილოსოფიური შრე იხსნება „ნამუსის“ ცნების განხილვით. ბაყდარი ხაზს უსვამს, რომ „ფიქრის უფლება ვერ წაგვართვეს სატანის მოციქულებმა“, რაც მიანიშნებს სულიერ თავისუფლებაზე, რომელიც არ ექვემდებარება გარეშე ძალებს. „ნამუსზე ვფიქრობ“ – ეს ფრაზა ნამუსს ადამიანის შინაგანი სამყაროს, ზნეობის ცენტრში აყენებს.

„ნამუსი კაცის მარილია“ – მეტაფორა ნამუსის ფუნდამენტურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მარილის გარეშე საჭმელი უგემურია, ისევე როგორც ნამუსის გარეშე ადამიანი კარგავს თავის ღირსებას, არსებობის აზრს. ნამუსი არის ის, რაც ადამიანს აცოცხლებს, სულიერად ამდიდრებს და აკეთილშობილებს. პერსონაჟი საუბრობს წინაპრებზე, რომლებიც „თავისი ნამუსით ერის მარილად რო იქცნენ, სადღაც, ქართველი ერის ისტორიის კუთხე-კუნჭულში, სანთლებად აენთნენ.“ ეს არის ხარკი იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც საკუთარი ცხოვრება და მსხვერპლი ერს შეწირეს. მათი ნამუსი გახდა ის „ნათელი“, რომელიც თაობებს გზას უნათებს და იცავს სიბნელისგან: „დაილოცოს იმათი სახელი, იმ ჩვენი დიდი წინაპრების, ვინც საქართველოსთვის სანთლებად აენთნენ და თავიანთი ნამუსი მარილად დააყარეს ჩვენს მომავალს, ჩვენს სამარადეო ყოფნას, ჩვენს გულგონებას!“ – ნამუსი, როგორც უძვირფასესი საუნჯე, წინაპრებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს როგორც მემკვიდრეობა, რომელიც განსაზღვრავს ერის არსებობას, მის გულსა და გონებას. თუ არა „მგლების ხროვასავით დავერეოდით ერთმანეთს და დავჭამდით“ – ამ შედარებით ხაზგასმულია ნამუსის მორალურ-ეთიკური როლი საზოგადოების გადარჩენაში.

მოთხრობის ბოლო ნაწილი ეძღვნება დარდსა და, უჩვეულო, ალეგორიულ დიალოგს ბუზთან.

მთხრობელი აღნიშნავს, რომ დარდი კაცის განუყოფელი ნაწილია: „კაცს თუ რაღაც დარდი არ აწუხებს... ის კაცი კი არა და...“ დარდი აქ არის კაცის მომწიფების, სიღრმისა და ადამიანურობის ნიშანი. ის „კაცს ალაძაზებს, როგორც დილის ნისლი - მაღალ მთას,“ და „ღვთისმშობლის ხატისწინ დანთებული თაფლის სანთელივით“ ანთია სულში - ეს შედარება დარდს წმინდა, სულიერ განზომილებას ანიჭებს, თითქოს ის განწმენდისა და ლოცვის ნაწილი იყოს. მნიშვნელოვანია, რომ დარდს „გული არ უნდა შააჭმევინო“, ანუ ის უნდა იყოს ძალის მომცემი და არა გამანადგურებელი.

რაც შეეხება ბუზის ალეგორიას: საპყარის მონათხრობი უჩვეულო ბუზთან შეხვედრის შესახებ მთელ მონაკვეთს ფანტასტიკურ-ალეგორიულ ელფერს სძენს. ბუზი, რომელიც ზომით თითქმის ადამიანის ტოლია და ლაპარაკობს, არის ბოროტების, უსამართლობისა და უაზრობის განსახიერება. ის წარმოადგენს იმ ძალას,

რომელიც ცდილობს ადამიანის განადგურებას, მის „შეჭმას“, რათა ის „ადარ იქნას“. ბუზის მედიდურობა და საპყარის „შიში“, რომელიც მას „უგემურად გადააქცევს“, ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ანადგურებს შიში ადამიანის არსს.

ბუზის განცხადება, „შენ რომ ომიდან ცოცხალი არ მოსულიყავი, ბაყდარი დღესაც სახლში იქნებოდა,“ ირონიულად მიანიშნებს ბოროტების უაზრო ლოგიკაზე, რომელიც ცდილობს ადამიანურ კეთილგანწყობასა და სიცოცხლესაც კი დაუპირისპირდეს.

ბუზის თითქოსდა „ღვთიური“ წარმოშობა („ბაყდარის მამა რომ დევს ჭიპი ჩაუდო ჯიბეში, სწორედ იმ ჭიპზე ვიჯექი და იქ უცებ ისე გავიზარდე, ძლივს ამოვფრინდი“) შესაძლოა, მიანიშნებდეს იმაზე, რომ ბოროტება შეიძლება მოულოდნელად, თითქოსდა უმნიშვნელო წყაროდან წარმოიშვას და გაიზარდოს.

საპყარის პასუხი ბუზს, „უგვანო ბუზი იქ ბუზის, სადაც ტყუილი ტყუისო“, არის სიკეთის, ჭეშმარიტებისა და გამჭირაზობის გამარჯვება ბოროტებაზე. საპყარი ხვდება, რომ ბუზის ძალა ტყუილზე, უაზრობაზეა დაფუძნებული.

დიალოგის კულმინაცია, როდესაც საპყარი ბუზს უყვება ჰიტლერზე და ბაყდარის სიცოცხლის საფრთხეზე, ბუზის „გადარევა“ და ჰიტლერის „მზის დაბნელების“ სურვილი პაროდულად წარმოაჩენს ბოროტების, თუნდაც ალეგორიული ბუზის სახით წარმოდგენილის, ფოკუსირებას დიდ, სისტემურ ბოროტებაზე. ბუზი, რომელიც თავად არის „ბოროტება“, ცდილობს შეებრძოლოს კიდევ უფრო დიდ ბოროტებას – ჰიტლერს. ეს ტრაგიკომიკური სურათია, სადაც მცირე ბოროტება აღშფოთებას გამოხატავს დიდ ბოროტებაზე. თუმცა საპყარის შიში, რომ ბუზს „თავგზააბნეულს სხვა არავინ შემოეჭამოს და დავიღუპნეთ“, მიანიშნებს იმაზე, რომ ბოროტების ნებისმიერი გამოვლინება, თუნდაც „კეთილი“ განზრახვით, მაინც საფრთხის შენცველია. ბუზის ალეგორია კი მოთხრობას სიღრმესა და იუმორის ელფერს მატებს, რაც ჩოხელის პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ამდენად, განხილული მონაკვეთები წარმოადგენს ქართული იდენტობის, სულიერი ფასეულობებისა და ბრძოლის მარადიული ხასიათის პოეტურ დეკლარაციას. გოდერძი ჩოხელი, ანბანის, ეკლესიის, ნამუსისა და დარდის თემების გაშლით, სხვადასხვა მხატვრულ გამომსახველობითი საშუალების გამოყენებით, ქმნის შთამბეჭდავ სურათებს, რომლებიც მკითხველს აფიქრებს ეროვნულ თვითმყოფადობაზე, რწმენის ძალაზე, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ დაპირისპირებაზე. საბოლოო ჯამში, ეს არის იმედის გზავნილი, რომ მიუხედავად განსაცდელებისა, ქართველი ერი თავისი ანბანით, რწმენითა და ნამუსით შეძლებს აღორძინებას.

#### **ლიტერატურა:**

1. გვენცაძე, ალ. (1991), ზოგადი სტილისტიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბ.
2. ლლონტი, ალ. (1988), ქართული ენის ლექსიკოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბ.
3. წიგნაძე, შ. (2023); უარყოფითი ემოციის გამოხატველი ზოგი სტილისტიკური კატეგორია გოდერძი ჩოხელის რომანებში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. №1 (36), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.

#### **საანალიზო წყარო:**

1. ჩოხელი, გ., (2022) პროზა, პოეზია, წერილები; თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“.

**Artistic means of expression in Goderdzo Chokheli's story  
"Children of God"**

**Tsignadze Shorena**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

**Abstract**

The story portrays the events of the Second WW2 and the story of a soldier on the battlefield, who sends letters from the front line to his wounded friend, now returned to their village. The narrative employs a variety of artistic techniques that render it both emotionally resonant and intellectually engaging. Through the use of literary devices - particularly symbolism - Goderdzi Chokheli draws attention to fundamental aspects of Georgian identity, including the alphabet, faith, national consciousness, and moral integrity.

Beyond the narrative itself lies the question of how the author communicates with and influences the reader. The impact of each word depends not only on its meaning but also on the deliberate precision with which it is chosen. A close analysis of the story reveals the linguistic tools that define its artistic expression, with symbolism standing out as the most prominent. Additionally, dialectal vocabulary appears frequently in the speech of the characters and occasionally in the narrator's voice as well—for instance:

"Did justice disappear from over the earth, you are going through in my pockets as I sleep it Well, look at me, from which side is it going to pass by me?"

"We were young then, and young luck is its own young. Every day, when luck cries out, it seems that a youngsters needs luck just as much as an old man."

Proverbs and folk expressions also feature prominently in the characters' dialogue, adding cultural authenticity and thematic depth:

"Whoever has time, drinks cold water"; "A worthless fly buzzes where lies lie"; "What am I doing is boiling my heart in the gloom of sorrow?"

Chokheli frequently employs repetition to intensify emotional effect and reinforce key ideas:

"I am never feared death and I am still not afraid of it"; "Look, giant, look, giant, how it has struck me!"

"... God even knows that love is hidden in the heart of the heart, what love is in the heart of that love and what love is in the heart of that love"; "What is it like, are you a man or a giant ..."

The story also makes extensive use of similes and metaphors, enriching the text with vivid imagery:

"In the distant night, these trees light our way like candles"; "Angels were picking nuts as red as pomegranates and offering them to God"; "His angelic heart stopped beating, and Levan slept again."

Ultimately, the diverse array of literary devices in the story serves as a spiritual compass, guiding the reader to reflect on enduring human values such as forgiveness, compassion, warmth, and faith.

**Keywords:** Alphabet, belief, national complacency, conscience, worry.

**პედაგოგიური აღლო და პროგრესული ხედვები: ალექსი ჭიჭინაძის  
წვლილი მე-19 საუკუნის ქართული განათლების სისტემაში**

**ახვლედიანი მაია  
ორჯონიკიძე ნინო**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.42>

**აბსტრაქტი.** ალექსი ჭიჭინაძე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას ეწეოდა ქუთაისისა და თბილისის სასწავლებლებში, ხონის საოსტატო სემინარიაში, ხელმძღვანელობდა ერევნისა და თერგის სკოლათა საქმიანობას, იყო კარგი პედაგოგი, თავდაუზოგავი საზოგადო მოღვაწე, არაერთი სახელმძღვანელოსა და დიდაქტიკური ნაშრომის ავტორი, საუკეთესო ხელმძღვანელი. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად იგი ეწეოდა ნაყოფიერ მეთოდურ, თეორიულ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

იმისი სასწავლო სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმიანობა პროგრესულ პედაგოგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა. დიდ დროს უთმობდა ქართული ენის, ლიტერატურის, ტრადიციების სწავლება-გაანალიზებას, სასწავლო კოლექტივის შეკრებას, ქართული სასწავლო პროგრამებისა და გეგმების შემუშავებას.

მისი თხზულება „რიჟრაჟზე სათქმელი“ მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-დიდაქტიკური ნაწარმოებია, იმ დროისათვის გაბედული სიტყვაა ცარიტული საგანმანათლებლო რეჟიმის წინააღმდეგ. ნაშრომი ერთგვარი მოწოდებაა ეროვნული სკოლების მუშაობის გარდასაქმნელად, ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისობაში.

ალექსი ჭიჭინაძის ხედვები თანხვედრაშია თანამედროვე განათლების პრინციპებთან, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების მოსწავლის სუბიექტურობის პრინციპთან. მისი მიდგომა ითვალისწინებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისთვის აქტუალურია. მის მიერ წარმოდგენილი ჰოლისტური მიდგომა, რომელიც მოიცავს გონებრივი, ფიზიკური, რელიგიური და ესთეტიკური აღზრდის ურთიერთკავშირს, დღესაც მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმის კონტექსტში, როგორც მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარების პირობა.

ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიური იდეები ნათლად აჩვენებს, რომ განათლება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცოდნის აგებით. იგი ხელს უნდა უწყობდეს პიროვნების მორალური, სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას, ხელს უწყობდეს ინდივიდის მზადყოფნას საზოგადოებრივი ცხოვრების გამოწვევებისათვის. მისი ხედვები დღესაც შთამაგონებელია და თანამედროვე სასწავლო პროცესისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** სწავლება, განათლება, მეთოდები, სასწავლო გეგმები, სახელმძღვანელოები, პედაგოგიური იდეები.

ალექსი ჭიჭინაძემ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, იურიდიული განათლებას მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. იგი სტუდენტობისას ეზიარა სამოციანელთა იდეებს და გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაეხსნა დაწყებითი ქართული კერძო სკოლა. თავდაპირველად ახალგაზრდა იურისტის ინიციატივას კავკასიის

სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭო და მზრუნველი იანუარიუს ნევეროვი დაუპირისპირდნენ, მაგრამ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორის ბესარიონ ლოლობერიძის თანადგომით მან მიიღო ნებართვა და 1875 წელს გახსნა პირველი ქართული კერძო სასწავლებელი ქუთაისში მესხეთის ქუჩაზე (ამჟამინდელი ნინოშვილის ქუჩა).

1979 წელს კავკასიის სკოლათა მზრუნველის ი. ნევეროვის შემცვლელმა კ. იანოვსკიმ ვიზიტისას მოიწონა მოსწავლეთა ცოდნის დონე. როცა გაიგო, რომ სკოლის ხელმძღვანელი იურისტი იყო და მასწავლებლობა ამჯობინა, გაოცებულმა იკითხა, როგორ გაცვალა ახალგაზრდა სპეციალისტმა იურისტის შემოსავლიანი სავარძელი კერძო სკოლის პედაგოგის ადგილზე. ალექსი ჭიჭინაძემ უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ მასწავლებლობა უფრო პატიოსანი და ნაყოფიერიაო“ (გიგიბერია, 1911, 10). მართლაც, ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა იგი სკოლაში 4 წელი, როგორც პედაგოგი და როგორც ხელმძღვანელი. სკოლამ რამდენიმეჯერ შეიცვალა ბინა, ბოლოს ივანოვის (ახლანდელი თბილისის) ქუჩაზე დაბინავდა ქორქაშვილების სახლში. კერძო სასწავლებელი უზრუნველყოფილი იყო ნათელი ოთახებით, სასწავლო ინვენტარით, ავეჯით, სპორტული მოედნებით, საწვრთნელი იარაღებით და ხეებით დაჩრდილული ეზოთი.

„ვერც ერთი მთავრობის სასწავლებელი ქუთაისში ვერ დაიკვებინდა მასთან ვერც სკოლის მეხელით, ვერც გიმნასტიკური სავარჯიშოებით... გაკვეთილის შემდეგ გავარდებოდა ბურთი... ალექსის ძლიერ უყვარდა ყმაწვილებში გარევა და თამაში:... დიდი დასვენების დროს, რომელიც გრძელდებოდა ნახევარი საათი, დაიწყებოდა გიმნასტიკური ვარჯიშობა: თუ რიგში დგომა, თუ ტრაპეციაზე, ასაყოლ ბაწრებზე, ჩარდზე და პარალელურ ძელებზე თამაში“ (გიგიბერია, 1911, 16).

მიუხედავად გულმოდგინებისა, მოსწავლეთა კონტიგენტი მეტად ღარიბი იყო. მშობლები სწავლის გადასახადს ვერ უხდიდნენ შვილებს, სკოლას თანდათან შემოეღია სახსრები.

ალექსი ჭიჭინაძე 1880 წელს, ქ. ქუთაისის ახლად დაარსებულ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად ინიშნება. შვიდი წელი დაჰყო მან სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად და ორ განყოფილებიანი სკოლა ოთხ პროგიმნაზიულ კლასამდე გაზარდა. სასწავლებელი მოსახლის ბინიდან სპეციალურად აგებულ სასკოლო შენობაში გადაიყვანა. კოლექტივის წევრებად განათლებული და ენთუზიასტი სპეციალისტები დაიყენა მხარში. შემოიღო ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები. მათ შესახებ იაკობ გოგებაშვილმა 1886 წლის 21 იანვარს მოახსენა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომას: „პროგრამები აწინდელ მდგომარეობაში წარმოადგენენ განვითარებულს და სრულს შრომას, რომელიც ძლიერ დაეხმარება სწავლის რიგიანად დაყენებასა და მსვლელობას“ (ქვა ფონდი 107, 98).

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიურ ალღოს, სჯეროდა მისი. 1883 წელს სტატიაში „უკუღმართი ნაბიჯი“ ის ეროვნული სკოლის ხელმძღვანელის მამულიშვილურ მოქმედებაზე ამახვილებს, ყურადღებას.

1886 წელს ალექსი ჭიჭინაძე იაკობ გოგებაშვილის შუამდგომლობით თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად დაინიშნა. 1894-1900 წლებში - თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად მუშაობდა. 1900-1905 წლებში - ერევნის სახალხო სკოლების დირექტორად გადაიყვანეს. 1905-1914 წლებში მეტად ნაყოფიერად იმუშავა ალექსი ჭიჭინაძემ ხონის სამასწავლებლო სემინარიის ხელმძღვანელად. 1914 წელს, 63 წლის ხანდაზმულ ალექსი ჭიჭინაძე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის თანამდებობას იკავებს.

ქვეყნისთვის მძიმე ეპოქაში იმოღვაწევა ალექსი ჭიჭინაძემ. ის ყველგან კვალს ტოვებდა როგორც ღირსეული მოქალაქე, ერისკაცი და არსად არასოდეს ღალატობდა პედაგოგის ალღო, ეროვნული სწავლების მიზანდასახულობა და ადამიანური სიმტკიცე. მისი, კლასიკოს პედაგოგისათვის დამახასიათებელი პედაგოგიური იდეები დღესაც თანამედროვედ ქდერს, ბავშვზე ორიენტირებული და კონსტრუქტივისტულია.

შევეცდებით გავაანალიზოთ ალექსი ჭიჭინაძის დიდაქტიკური მოღვაწეობის ძირითადი მომენტები ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მძიმე მმართველობითი რეჟიმის პირობებში.

ალექსი ჭიჭინაძე ჯერ კიდევ კერძო დაწყებით სკოლაშივე შეუდგა პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე აგებული ქართული სახელმძღვანელოების შედგენას. მისი ავტორობით გამოვიდა სახელმძღვანელო „პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა“, რომელიც მოზარდებს აწვდიდა ცნობებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან. სახელმძღვანელოში ყოველი ახალი მასალის შემდეგ, მოცემული იყო გასამეორებელი კითხვები. „სახელმძღვანელო საქმის ცოდნითაა შედგენილი“ წერდა ილია ჭყონია გაზეთ „ივერიის“ 1878 წლის № 41-ში (**ჭყონია, 1878**). მანვე გამოსცა საკითხავი წიგნი „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა“, მეთოდური სახელმძღვანელო გეოგრაფიის სწავლებისათვის და სხვა. ასევე იგი თარგმნიდა და ქართულად აქვეყნებდა ბერძნული მითოლოგიის საუკეთესო ნიმუშებს.

სათავადაზნაურო სასწავლებლების ინსპექტორი (ქუთაისში, თბილისში) ალექსი ჭიჭინაძე მოითხოვდა პედაგოგებს შეექმნათ ქართული სასწავლო გეგმები პროგრამები, რომლებსაც ამტკიცებდა პედაგოგიურ რჩევებზე. დღევანდელი თვალსაწიერიდან ცალკეულ მათგანს ეტყობა ახლად დაწყებული, ახლადფუხადგმული საქმიანობის იერი, მაგრამ მთავარია, რომ მკვიდრდებოდა ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მეთოდები, ნიადაგი მზადდებოდა ქართული ტერმინოლოგიის მქონე სახელმძღვანელოებით სწავლების განსახორციელებლად. როგორც სწავლების საკითხების შერჩევაში კომპეტენტური პედაგოგი, ის თავად ადგენდა სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სწავლების და განათლების შინაარსს, იმუშავებდა საგნის სწავლების მეთოდებს. მაგრამ კოლონიური რეჟიმის პირობებში მის მოსაზრებას ყოველთვის არ ჰქონდა ბრძოლის გარეშე განხორციელების საშუალება.

ალექსი ჭიჭინაძე სწავლებას მოითხოვდა მშობლიურ ენაზე, უარყოფდა იმ ეპოქაში გავრცელებულ სქოლასტიზმს. 1914 წლის 1 ივლისის მიღებული იქნა კანონი, რომელიც იძლეოდა კერძო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას. ამ კანონის მიღებამ განაპირობა ალექსი ჭიჭინაძის ნაშრომის „რიჟრაჟზე სათქმელი“-ს შექმნა, იგი წერდა, რომ მოზარდები „მშობლიური ენის საშუალებით იწვრთნებიან გონებრივად და ზნეობრივად. ბუნებრივად იფურჩქნებიან შემოქმედებითი ძალები სულისა, ვითარდებიან და მზადდებიან, რომ თავის დროს განხორციელებულ იქნას ამა თუ იმ ცოდნაში, ამა თუ იმ მეცნიერებაში ან ხელოვნებაში“. როცა არამშობლიურ ენაზე სწავლებას ეხება იგი მიუთითებს, რომ ასეთი სწავლებით სულიერად კნინდება მოზარდი, იგი ალატაკებს და აჩლუნგებს შემოქმედებით ნიჭს, აზროვნებას.

მშობლიური ენის საშუალებით სწავლების განხორციელებას საპროგრამო მასალის შეგნებულად ათვისება მოჰყვება და დაცული იქნება იგი გაუაზრებელი ზეპირობისაგან.

შეგნებული სწავლების დასაყრდენ პრინციპად ალ. ჭიჭინაძე თვალსაჩინოებას თვლიდა. ის აძლევდა რჩევას მასწავლებლებს: „უჩვენეთ ყმაწვილს თითონ საგანი ან მისი სურათი, შეახედეთ მისი მდებარეობისათვის, მისი დამოკიდებულებისათვის სხვა საგანთან... ყმაწვილებიც გაიყოლიეთ ლაპარაკში და ეს ჩარჩებათ მათ გონებაში“. ალ. ჭიჭინაძეს პედაგოგის ყოველდღიური ცხოვრება კარნახობდა, რომ სწავლება თვალსაჩინოების გარეშე ცარიელ სიტყვებად დარჩებოდა.

ალექსი ჭიჭინაძე სწავლების ევრისტული (სოკრატეს) მეთოდის მომხრე იყო, ითხოვდა მოსწავლეთა აქტივობის ზრდას გაკვეთილზე. უარყოფდა ლექციური მეთოდის ხანგრძლივობას, ითხოვდა განმეორებას ახალი და განვლილი მასალისას. ის თვლიდა, რომ ამ მეთოდს შეეძლო მოსწავლეთა ინტერესისა და ყურადღების ზრდა.

მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის წარმმართველად ალექსი ჭიჭინაძე მასწავლებელს, მის ცოდნას და პირად თვისებებს თვლიდა. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას კლასის ხელმძღვანელის როლზე. ის მისი მაგალითით განამტკიცებდა რწმენას აღზრდის პროცესში პედაგოგის როლის დიდი მნიშვნელობის შესახებ. ამხელდა სუსტ მასწავლებლებს, ცდილობდა დახმარება გაეწია მათთვის, მაგრამ უშედეგობის შემთხვევაში აშორებდა სკოლის

კედლებს, კარგ პედაგოგს გზას უხსნიდა, პერსპექტივას უსახავდა. მის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მისამართით გაგზავნილი წერილებია ამის უტყუარი დადასტურება.

ალექსი ჭიჭინაძე “რიჟრაჟზე სათქმელში“ ანალიზებს რა აღზრდის პროცესში კოლექტივის წევრთა ურთიერთგაგების, მასწავლებელთა გულისხმიერების საკითხს, მოითხოვს ზნეობრივ კავშირ-ურთიერთობას პედაგოგებს შორის, სიტბოს და შეგნებულ დისციპლინას მოზარდთა შორის, გამორიცხავს ბრძანებით ტონს და ფეხმოდგმული დასჯის მეთოდებს. მისი აზრით, სასჯელები შიშს ბადებს, მაგრამ ზნეობრივ ნაკლს ვერ კურნავს, ამ უკანასკნელთა გასწორება მხოლოდ ზნეობრივ საშუალებებს, შეგნების ამაღლებას შეუძლია. შიშისა და უპატივცემლობის პირობებში სასწავლებელი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფა-მასწავლებელთა და მოსწავლეთა, ე. ი. ძლიერთა და სუსტთა ბანაკებად. პირველნი მრისხანებენ, მეორენი გაურბიან სიმკაცრეს, მტრებად ქცეულ აღმზრდელებს. მათი ბრძოლა არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს. ამიტომ მოსწავლეთა სასტიკად დასჯით მთავრდება სასწავლებლიდან გარიცხვამდეც კი.

იგი აღზრდის პრინციპებიდან გამოყოფს გონებრივი, რელიგიური, ესთეტიკური, ფიზიკური აღზრდის პრინციპებს. გვამღევეს მათი მიღწევის გზებს და მნიშვნელობას. „გონებრივი მოთხოვნილება კმაყოფილდება მაშინ, როდესაც ადამიანი იძენს ცოდნას გარემომცველის ბუნებაზე და სხვადასხვა მოვლენაზე ბუნებაში თუ ადამიანთა ცხოვრებაში“ (ჭიჭინაძე, 1915, 195). აქ ჩვენ ვხედავთ ისეთი ადამიანის გონებრივი აღზრდის პრობლემას, რომელიც ჰარმონიულად უნდა განვითარდეს.

ალექსი ჭიჭინაძეს აღზრდის მიმართულებები გონებრივი იქნება იგი, რელიგიური, ფიზიკური თუ ესთეტიკური ერთმანეთისაგან მოწყვეტით არ აქვს წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთთან არიან კავშირში და განაპირობებენ ერთმანეთს, ერთი მიმართულება ამდიდრებს მეორეს, მეორე მესამეს და ა. შ.

ალექსი ჭიჭინაძე იძლევა მოსწავლეთა რელიგიური აღზრდის რეკომენდაციას. იგი ითხოვს, სკოლის მასწავლებლებმა ბავშვებამდე მიიტანონ ქრისტეს მოძღვრება მოყვასისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის შესახებ. მისი ღრმა რწმენით, სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია, სარწმუნოებრივმა საქმემ გადაარჩინა ებრაელი ერი, ქრისტეს რჯულმა გადაატანინა ქართველებს უამრავი გაჭირვება, შეენარჩუნებინა ტერიტორია და ეროვნული გრძნობა. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ქრისტეს სჯულის მოთხოვნები ცხოვრებაშია გასატარებელი.

სადღოთ სჯულის სწავლებაში შაბლონს უარყოფდა, მოითხოვდა სწავლება სახარების მიხედვით წარმართულიყო, მოზარდებს სახარება უნდა ეკითხათ მასწავლებლის, მოძღვრის ხელმძღვანელობით და განმარტებით. იგი მასწავლებელს ავალდებულებდა მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა ქრისტიანობის ისტორია საქართველოში და ქრისტიანობისათვის წამებულითა თავგადასავლები, აყენებდა საკითხს, მოზარდებს მცირე ასაკიდანვე მიეღოთ მონაწილეობა წირვა-ლოცვაში, შეესწავლათ გალობა, რაც განამტკიცებდა რელიგიურ მსახურებას.

ესთეტიკური აღზრდის თაობაზე ალ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „მგრძნობელობითი მხარე ადამიანის სულისა მდგომარეობს სასიამოვნოსა და არასასიამოვნოს განცდაში... აღმზრდელის (მასწავლებლის, დამრიგებლის) ვალია ჰცდილობდეს ჰასაკის შესაფერისად პასუხი გასცეს მათ წინადაცე მოფიქრებულის და მოსაზრებულის ღონისძიებათა“ (ჭიჭინაძე, 1915, 539). ესთეტიკური აღზრდის ღონისძიებებს წინასწარ მოფიქრებული მომზადება ჭირდება, ყველა მათგანი უნდა ემსახურებოდეს ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდის აღზრდას.

„სიმღერა - გალობა, მუსიკა, ხატვა, გაკვეთილების მოსმენა და შეთვისება, წიგნების კითხვა, თხზულებათა წერა... უნდა შეადგენდეს განუყოფელს ნაწილს მოწაფეთა ცხოვრებისას და ავსებდეს ისე, რომ სიცარიელე არსად რჩებოდეს“ (ჭიჭინაძე, 1915, 539).

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი აზრით მოზარდები აცდნენ უმინაარსო ხეტიალს, არასასურველ პირებთან კავშირს, თუ ენერგიას დახარჯავენ მუსიკის და გალობის მეცადინეობებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, განვითარდებიან ესთეტიკურად,

აღიზრდებიან სულით მდიდარნი, რაც ერთგვარად შეუწყობს ხელს გონებრივ განვითარებას.

ავტორს აქ წინა პლანზე აქვს წამოწეული ფიზიკური განვითარების მნიშვნელობა. თუ ფიზიკური შესაძლებლობები შეეზღუდება მოზარდს, ბუნებრივია, შეიზღუდება აღზრდის სხვა მხარეები. ალექსანდრე ჭიჭინაძე მისი ხელმძღვანელობით არსებულ ყველა სკოლაში ჰქმნიდა პირობებს ფიზიკური განვითარებისათვის, აწყობდა სპორტულ მოედნებს, ექსკურსიებს, მოგზაურობებს.

„გიმნასტიკა და მუსიკა პოეზიითურთ ავითარებდნენ ორს უმთავრეს მხარეს ადამიანისას ფიზიკურს და სულიერს, ჰქმნიდნენ ერთს გარმონიულს მრთელს გაწურთვნილს სხეულისა და განათლებულის სულისაგან“ (ჭიჭინაძე, 1915, 195).

როგორც ვხედავთ, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა მხატვრული ლიტერატურის ათვისებასთან, ლიტერატურულ განვითარებასთან, წიგნთან და მისი კითხვის სისტემატურობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. სწორედ, ეს ქმნის მრავალმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის შესაძლებლობას.

ალექსი ჭიჭინაძე განიხილავს გაკვეთილის ფუნქციას, მოსწავლეთა აქტივობის მნიშვნელობას, მისი აზრით, მოზარდები თითონ უნდა ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ, მსჯელობდნენ, ჰხედავდნენ, აკეთებდნენ, რაც დასანახია და გასაკეთებელი.

იგი ევრისტიული მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის მომხრეა, მოზარდთა გადატვირთვა ლექციით არ მიაჩნია გამართლებულად, რეკომენდაციას იძლევა სწავლება წარმართოს გაკვეთილზე ადვილიდან რთულისაკენ, ის მასალის განმეორებას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას.

საინტერესო მეთოდურ მითითებებს იძლევა ალექსი ჭიჭინაძე ცალკეული საგნის სწავლებასთან დაკავშირებით.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თაობაზე ალექსი ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ ისე როგორც უმოდრაობით ვერ ისწავლის ადამიანი სიარულს და სიჩუმით მჭერმეტყველებას, ასევე ენისა და ლიტერატურის სწავლება არ შეიძლება ლაპარაკის, დიალოგის გარეშე.

„თქვენ კი არ უნდა ლაპარაკობდით ბევრს, მასწავლებლები, უმეტესად მოსწავლე უნდა ალაპარაკოთ, წერის სწავლებისათვის წერითი ვარჯიშებია საჭირო. ჯერ ალაპარაკეთ მოსწავლე, შემდეგ დააწერინეთ“ (ჭიჭინაძე, 1915) - ურჩევს მასწავლებლებს ალ. ჭიჭინაძე და მოითხოვს, რაც შეიძლება ბევრი წაკითხონ მოსწავლეებს, გაუმართლებელია ზეპირგადაცემითი სწავლება. მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული მასალა არ კმარა ლიტერატურის დასაუფლებლად. წიგნების ბიბლიოთეკაა საჭირო, მოხსენებების წაკითხვა, ლიტერატურული ტიპების დახასიათება, წერითი ვარჯიში, ნაწარმოების იდეის გაანალიზებაა საჭირო.

ალექსი ჭიჭინაძე ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას ამახვილებდა აქტიური, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებზე. მისი ხედვით, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ბუნებრივი მასალის დამოუკიდებლად მოპოვება და შესწავლა. ხელს უწყობდა, რომ მოსწავლეებს თავად შეეგროვებინათ მცენარეთა და მინერალთა ნიმუშები. ასევე, ყურადღებას ამახვილებდა მცენარეთა სტრუქტურის გაგებაზე, მათი ნაწილების დახატვაზე, გამომერწვაზე და სკოლის ეზოსა თუ ბაღში მცენარეების დარგვასა და მოვლაზე. მისი აზრით, ამ პროცესებმა უნდა უზრუნველყოს თეორიული მასალის დაკავშირება პრაქტიკულ გამოცდილებასთან, რაც მნიშვნელოვანი საფეხურია ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებისათვის.

ალექსი ჭიჭინაძე ფიზიკის სწავლებისას მოსწავლეებისგან მოითხოვდა პრაქტიკული უნარების განვითარებას. მასწავლებლებს მოუწოდებდა, მოსწავლეები ჩაერთოთ მარტივი ხელსაწყოების შექმნაში და ექსპერიმენტების ჩატარებაში ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ასევე ყურადღებას ამახვილებდა ნასწავლი მასალის გაღრმავებისთვის სავარჯიშოებისა და კლასგარეშე აქტივობების გამოყენებაზე. ეს მიდგომა არა მხოლოდ ცოდნის გაძლიერებას, არამედ გუნდის მუშაობის უნარებისა და პრაქტიკული აზროვნების განვითარებას უწყობდა ხელს.

მათემატიკის სწავლებისას ჭიჭინაძე მოსწავლეებს მოუწოდებდა გაკვეთილის მსვლელობაში აქტიური მონაწილეობისკენ. მასწავლებლებისგან ითხოვდა, რომ მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის გარდა, მოსწავლეებისთვის მიეცათ შესაძლებლობა თვითონ შეექმნათ მსგავსი ამოცანები და ტაბულები. ამასთან, მოზარდებს უნდა დაემზადებინათ სიგრძისა და წონის საზომი ხელსაწყოები, რაც მათ დაეხმარებოდა მათემატიკური ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენებაში.

საინტერესოა ალექსი ჭიჭინაძის ინოვაციური ხედვა გეომეტრიის სწავლებაში ის ითხოვდა მოსწავლეების სასწავლო მოღვაწეობის ნიმუშების შექმნასა და დამზადებაზე ფოკუსირებას. ბავშვები უნდა მონაწილეობდნენ გეომეტრიული ფიგურებისა და თეორემების ვიზუალური დამტკიცების პროცესში. ამასთან, სასწავლო პრაქტიკა უნდა მოიცავდეს სიშორისა და სიგრძის გაზომვას, აგრეთვე სხეულის მოცულობების გამოკვლევას, რაც მათ ამ საგნის ღრმა გაგებას უზრუნველყოფდა.

ალექსი ჭიჭინაძის ხედვით, ხატვის სწავლება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მასწავლებლებმა ბავშვები უნდა ავარჯიშონ თავიანთი წარმოსახვა ნანახის, წაკითხულის, მოსმენილისა და ნაოცნებარის დასურათებაში. ასევე, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გარშემო არსებული საგნების დახატვა ან გამოქანდაკება, რაც ხელს შეუწყობს მათ ესთეტიკურ განვითარებას და წარმოსახვის გაღრმავებას.

თუ აღნიშნულ მითითებებს გაითვალისწინებენ ეროვნული სკოლები, ალ. ჭიჭინაძე გამოთქვამს რწმენას, რომ „მაშინ რიჟრაჟი გარდაგვექცევა განმაცხოველებელ დილად და სრულად გავვითენდება“ (ჭიჭინაძე, 1915).

როგორც ვხედავთ, ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიური მიდგომები ეფუძნება მოსწავლეთა აქტიურობისა და შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას. მისი მიზანი იყო შრომის ჩვევების ჩამოყალიბება და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარება, რაც მოსწავლეებს მომავალი ცხოვრების გამოწვევებისთვის ამზადებდა.

იგი მიიჩნევს, რომ სწავლების პროცესმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების აქტიური ჩართულობა, შემოქმედებითი აზროვნების გაძლიერება და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. მისი ინოვაციური მიდგომები, ხედვები და განხორციელებული პრაქტიკა თანხვედრაშია ოცდამეერთე საუკუნის სწავლების პარადიგმასთან. სადაც სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის, როგორც სწავლების სუბიექტის განვითარებაზე და ცოდნის შინაარსის მაქსიმალურად ცხოვრებასთან დაკავშირებაზე.

ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიური იდეები და მეთოდები თავისი დროისთვის არა მხოლოდ პროგრესული, არამედ ინოვაციური იყო. მისი მოღვაწეობა ეყრდნობოდა იმ კონცეფციას, რომ განათლების მიზანი არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით მისი პიროვნული განვითარებაა. მან მკაფიოდ გააცნობიერებინა პედაგოგებს, რომ სწავლება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას არ გულისხმობს, არამედ ეს არის პროცესი, სადაც მოსწავლე აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საკუთარი ცოდნის აგება და ორგანიზებაში, რაც სრულად ეხმიანება კონსტრუქტივისტულ იდეებს.

ალექსი ჭიჭინაძის მიერ შემუშავებული პრაქტიკა – მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობების წახალისება, სათანადო სასწავლო გარემოს შექმნა, მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება და მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების გაღვივება – ასევე მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვე განათლების თეორიებს. მისი მიდგომები შინაარსობრივად ამართლებს სწავლის სუბიექტის პარადიგმას, რომლის თანახმადაც მოსწავლე განათლების პროცესის ცენტრში დგას და თავად ხდება საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების აქტიური შემქმნელი.

დღესაც ალექსი ჭიჭინაძის იდეები, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალურ მიდგომას, პრაქტიკული და მრავალმხრივი სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, მნიშვნელოვანია თანამედროვე სასწავლო პროცესისთვის. მისი მეთოდები ეხმიანება თანამედროვე ხედვას, როგორცაა სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიური ჩართულობა.

ალექსი ჭიჭინაძის პედაგოგიური მემკვიდრეობა, ცხადყოფს, რომ კარგად დაგეგმილი და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება არის საუკეთესო გზა, როგორც პიროვნული ზრდისთვის, მომავალი თაობების წარმატებისთვის, ისე ეროვნული განვითარებისათვის.

ჩვენ შევეცადეთ, თანამედროვე განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში გაგვეხსენებინა პედაგოგიურ სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი წინაპრის ალექსი ჭიჭინაძის ნამოღვაწარი, რომლის თეორიულმა მითითებებმა და პრაქტიკულმა საქმეებმა საუკუნეზე მეტხანს გაუძლეს ცხოვრებისეულ გამოცდას და დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას.

#### ლიტერატურა:

1. გიგიბერია, იოსებ. „განათლება“, 1911, № 1, გვ. 10, 16.
2. გოგებაშვილი, იაკობ. თხზულებანი. თბილისი, 1956.
3. საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 107, საქმე 98, ფ. 9, ქუთაისის ც.ა.
4. ჭყონია, ილია. გაზეთი „ივერია“, 1878, № 41.
5. ჭიჭინაძე, ალექსანდრე. „რიჟრაჟზე სათქმელი“. ჟურნ. „განათლება“, 1915, № 7–9, გვ. 195, 539.

### **Pedagogical Intuition and Progressive Vision: Aleksi Chichinadze's Contribution to the 19th-Century Georgian Education System**

**Akhvlediani Maia  
Orjonikidze Nino  
Akaki Tsereteli State University, Kutaisi**

#### **Abstract**

Alexi Chichinadze was engaged in educational and pedagogical work in the schools of Kutaisi and Tbilisi, as well as at the Khoni Teacher Training Seminary. He supervised the educational activities of schools in Yerevan and the Tergi region. He was a dedicated and skilled educator, a tireless public figure, the author of numerous textbooks and didactic works, and an outstanding leader. Alongside his practical work, he was actively involved in methodological, theoretical, educational, and civic activities.

His teaching and educational endeavors were grounded in progressive pedagogical principles. He devoted considerable time to the teaching and analysis of the Georgian language, literature, and traditions, to building cohesive teaching communities, and to the development of Georgian educational programs and curricula.

His work, *"Words at Dawn"*, is a significant pedagogical-didactic piece, a courageous statement for its time against the Tsarist educational regime. The publication represents a call for the transformation of national schools in alignment with the evolving demands of the era.

Alexi Chichinadze's educational philosophy aligns with contemporary principles of education, particularly the learner-centered approach to teaching and learning. His methods emphasized the practical application of theoretical knowledge and encouraged the active participation of students, making his ideas highly relevant to modern educational standards. His holistic approach—which interconnected intellectual, physical, religious, and aesthetic education—remains vital in the context of the national curriculum, supporting the harmonious development of learners.

Alexi Chichinadze's pedagogical views clearly illustrate that education should not be limited to the mere transmission of knowledge. It must also foster the moral, spiritual, and ethical development of the individual, preparing students to meet the challenges of civic life. His vision continues to be a source of inspiration and holds significant value for contemporary educational practice.

**Keywords:** *Teaching, Education, Methods, Curricula, Textbooks, Pedagogical Ideas*

**კუდიანთა დევნა ფოლკლორსა და ლიტერატურაში**

**ბაკურიძე მარიამ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.43>

**აბსტრაქტი:** ქართულ მითოლოგიაში დასტურდება გადმოცემების მთელი ციკლი დემონურ არსებებსა და მასთან დაახლოებულ პირებზე. ქართველთა მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ფოლკლორში კუდიანი არის ეშმაკ დემონებისგან გადაბირებული ეშმაკად ქცეული ან ეშმაკეული ადამიანი, რომლის მიზანია ზიანი მიაყენოს სამყაროს და გარშემომყოფს.

ხალხური ტექსტების მიხედვით, უბედურებათა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო კუდიანთა გაუფნებელყოფა. შესაბამისად, შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა სადამსჯელო ორგანო, რომელსაც ინკვიზაციას უწოდობდნენ. ქართულ ფოლკლორში არის მთელი რიგი ტექსტები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ხალხურ ტრადიციაში უნდა არსებობდეს ევროპული ინკვიზიციის მსგავსი გაერთიანება.

კუდიანთა გამოვლენისა და დასჯის არაერთი სიუჟეტი შემოგვინახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერებამ. კუდიანთა დევნის თემა აისახა ქართულ ლიტერატურაშიც, კერძოდ, დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

დ. კლდიაშვილისა და ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში არაოფიციალურად, ხალხურ ტრადიციაში უნდა ყოფილიყო ხალხური ინკვიზაცია.

**საკვანძო სიტყვები:** ფოლკლორი, კუდიანები, დასჯა, მწერლობა.

ქართულ მითოლოგიაში დასტურდება გადმოცემების მთელი ციკლი დემონურ არსებებსა და მასთან დაახლოებულ პირებზე. რწმენა კუდიანთა არსებობისა, მათი დევნა და დასჯა არ არის ახალი. ტრადიციული ადამიანის თვალთახედვით, ყოველივე უბედურების: მიწისძვრების, ხანძრების, ეპიდემიების გამომწვევი მიზეზები კუდიანები არიან.

ქართველთა მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ფოლკლორში კუდიანი არის ეშმაკ-დემონებისგან გადაბირებული ეშმაკად ქცეული ან ეშმაკეული ადამიანი, რომლის მიზანია ზიანი მიაყენოს სამყაროსა და გარშემომყოფებს. ხალხური ტექსტების მიხედვით, კუდიანი უმეტესწილად ქალია. რომელსაც კუდი აქვს, მაგრამ მისი არსებობა სხვა ადამიანებისგან დაფარულია. თუ ის გაცხადდა ან თუ კუდიანობაში დაადანაშაულებული ადამიანი გამოტყდა, მის კუდიანობას ძალა ეკარგება. კუდიანი გადაადგილდება კატაზე, ძაღლზე ან ცოცხზე ამხედრებული. მას შეუძლია უწმინდურ ცხოველად ან მწერად გადაქცევა-მაქციობა. (კიკნაძე ზ. 2016, 268).

ალ. ოჩიაურის ცნობით, ხალხი ავსულთა შკრების ღამეს შავი კატის მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, თუ ვინმეზე ეჭვი ეპარებოდათ-კუდიანიაო, კუდიან-ღამეს ყარაულობდნენ, რადგან იგი აუცილებლად შავ კატად გადაიქცეოდა და სადღაც გადაიკარგებოდა, გათენებისას კი ისევ სახლში ბრუნდებოდა, შეძვრებოდა შინ და კვლავ ადამიანის სახეს იღებდა (ოჩიაური ალ. 1991, 174).

ხალხს მიაჩნდა, რომ კუდიანები კანსაკუთრებულ ძალას ავსულთა შეკრების ღამეს იღებდნენ. დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთში ჩაწერილი გადმოცემების მიხედვით, კუდიანები წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ელიაობის ან მარიამობის წინა ღამეს, მარტვილის მახლობლად, ტაბაკონის მთაზე იკრიბებოდნენ. სამეგრელოში კუდიანების შეკრების ღამეს ჭეჭეთობასაც უწოდებენ. ჭეჭეთობის ღამეს, ხალხური რწმენით, ბოროტი სულები დაფრინავენ დედამიწაზე და ცდილობენ ადამიანებს ავნონ. ამ ღამეს არავინ არ უნდა დაიძინოს, რადგან ბოროტი სული ჩაძინებულ ადამიანს ავადმყოფობას მოუვლენს და მას ვეღარაფერი განკურნავს.

ქართველი მწერლები უყურადღებოდ არ ტოვებენ ხალხურ ტრადიციებს და შესანიშნავად უსადაგებენ იმ ნაწარმოებს, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ მის გამოყენებას.

ლეო ქიაჩელი არის ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომელიც უხვად დაესესხა ქართულ მითოლოგიას. ს.ჭილაიას საინტერესო წერილში მოტანილია მოზრდილი პასაჟი ნოველიდან - „თავადის ქალი მაია“. აქ თავადის ქალის მძიმე სულიერ განცდებს ბუნებრივად ესადაგება ჭეჭეთობის (ჭიაკოკონობის) ღამე, როდესაც ხთონური, ბოროტი ქალღვთაების (როკაპის) მეთაურობით კუდიანები, მზაკვრები, ეშმაკები ცდილობენ ადამიანების დაღუპვას და თავიანთი მზრძანებლის გულის მოგებას. (ჭილაია ს. რევოლოციური საქართველოს მხატვარი. ლიტ. საქ. 3, 1981).

კოლხური მითოლოგიური გადმოცემებით, როკაპი ავი სულების მეთაური, ბოროტი ქალღვთაებაა. ეს მარად მოხუცი და უკვდავი არსება იმყოფება ტაბაკონას მთაზე, მთის ღრმულშია დავანებული. ღრმულიდან ამოდის წლის გარკვეულ დროს და ანგარიშს იბარებს ქვეშევრდომი ავი სულებისგან.

თუშური გადმოცემების მიხედვით როკაპის ორეულს ჰქვია დორაისხეველი. მას შუბლზე აქვს ერთადერთი საცრისოდენა წითელი თვალი. თუშური წარმოდგენების მიხედვით, ავსულები ღამით იკრიბებოდნენ ეკლესიის ნანგრევებთან, მიტოვებულ წისქვილთან ან ძველ სასაფლაოზე.

ხალხური ტექსტების მიხედვით, უბედურებათა აღმოსაფხვრელად საჭირო იყო კუდიანთა გაუვნებელყოფა. შესაბამისად, შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა სადამსჯელო ორგანო, რომელსაც ინკვიზაციას უწოდებდნენ. ქართულ ფოლკლორში არის მთელი რიგი ტექსტები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ხალხურ ტრადიციაში უნდა არსებულიყო ევროპული ინკვიზაციის მსგავსი გაერთიანება, თუმცა მას, როგორც ჩანს, ოფიციალური კანონიკური სახე არასდროს მიუღია. „ინკვიზიცია“ არის კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, რომელიც მეცამეტე საუკუნეში შეიქმნა.

ქართულ სინამდვილეში ინკვიზიციაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ კუდიანების შემთხვევაში სოფელი თავად თავისი ინციატივით იძიებს საქმეს, რაც კუდიანობაში გამოტეხვით მთავრდება (კიკნაძე ზ. 2016, 302).

„ხალხური ინკვიზაცია“, თუკი მისი მსგავსი მოვლენა ქართულ ტრადიციაში არსებობდა, იყენებდა ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებულ კუდიანთა გამოსააშკარავებელ და დასასჯელ კანონთა ელემენტებს. საზოგადოება, პირველ რიგში დაკითხავდა კუდიანობაში დადანაშაულებულ ეჭვმიტანილს, თუ ვერ გამოაშკარავდებოდა მისი კუდიანობა, მაშინ „სასამართლო“ მიმართავდა სხვადასხვა მეთოდს, რომელთა დახმარებითაც ცალსახა იქნებოდა ეჭვმიტანილთა კუდიანობა. დევნის მიზეზი ხშირად ჯადოქრობაში ეჭვმიტანილი მეზობლებისგან დაზარალებულთა ბრალდებები იყო. დადგენილია ისიც, რომ კუდიანების დევნა მოსახლეობის ზეწოლით ხდებოდა. ხალხი დაჟინებით მოითხოვდა სასამართლო გასწორებოდა ეჭვმიტანილს. ინკვიზიტორები აღიარების მისაღებად უსასტიკეს

წამებას მიმართავდნენ. ეჭვიმტანილი თუ წამების პროცესში გამოტყდებოდა, იგი კოცონზე დასაწვავად გადაეცემოდა. ქართულ რეალობაშიც მომხდარა მსგავსი შემთხვევა, რომელიც დასტურდება ჩანაწერით. ქართველი თავადების გენეალოგიური ნუსხიდან. 1822 წელს ზაალ ამერიჯიბმა და მისმა ძმამ, როსებმა კოცონზე დაწვეს ჯადოქრობის ბრალდებით სოფელ აბისის მცხოვრები ქალი ელენე მეყანწიშვილი

კუდიანთა გამოაშკარავების ერთ-ერთი მეთოდია ორდალი. ხალხი ხელფეხმეკრულ ეჭვიმტანილს წყალში ჩააგდებდა. თუ ჩაიძირებოდა, ე.ი ის კუდიანი არ ყოფილა და დედაბუნებამაც მიიღო იგი თავის წიაღში, მაგრამ თუკი ეჭვიმტანილი წყალში არ ჩაიძირებოდა, ის უეჭველად კუდიანი იქნებოდა, რადგან ეს უკანასკნელი სამყარომ არ მიიღო თავის წიაღში, მისივე ჩადენილი სიბოროტის გამო. მეორე მეთოდის მიხედვით, კუდიანს კოცონში უნდა გაეარა და ასე ეტანჯა მანამ, სანამ არ აღიარებდა კუდიანობას. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დადანაშაულებული ადამიანები ცოცხლად დამწვარან კოცონში სიარულისას. სავარაუდოდ, ქართულ ხალხურ ტრადიციაში კუდიანთა დევნის სტრუქტურა შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას დაეფუძნა, რომელმაც მთელი ევროპა და მათ შორის საქართველო მოიცვა (მამისიმედიშვილი ხ. 2017, 223).

კუდიანთა გამოვლენისა და გამოტყვის არაერთი სიუჟეტი შემოგვინახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ზეპირსიტყვიერებამ. კუდიანთა დევნის თემა აისახა ქართულ ლიტერატურაშიც. კერძოდ დავით კლდიაშვილისა და ნიკოლორთქიფანიძის ნაწარმოებებში.

დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მსხვერპლი“, ინკვიზიტორის როლს ირგებს „საიქიოს მყოფი“ კაცი-ვასილი. მისი მიზანია ახლად გაკუდიანებული ქალის, მარინეს დახსნა. მოთხრობა მრავალფეროვანია სხვადასხვაგვარი პრობლემური საკითხებით. ერთი მხრივ, წარმოდგენილია რძალ-დედამთილის ურთიერთობა, ხოლო მეორე მხრივ-ცოლქმეული ურთიერთობა. რძალ-დედამთილის ურთიერთდამოკიდებულებას ანგრევს ეჭვიანობა, უნდობლობა, შური. ახალგაზრდა სოცოცხლით სავსე, ლალი და ბედნიერი მარინეს მიზანია ოჯახში თავის დამკვიდრება, ხოლო ფეფენას სურს, რომ რძალი მას ემორჩილებოდეს, მისი სურვილისამებრ იქცეოდეს.

ცალკე გამოსაყოფია საზოგადოება, სოციუმი, რომელშიც რძალ-დედამთილი ცხოვრობს. თანასოფლელებმა იციან, რომ ფეფენა კუდიანია და მისი ეშინიათ კიდევ. მათ ჰგონიათ, რომ კუდიანი ავს მოუვლენს თანასოფლელებს, ამიტომ, ისინი ცდილობენ ფეფენასთან სტაბილური ურთიერთობა შეინარჩუნონ, ხოლო ზურგს უკან აქილიკებენ და სწყევლიან მას. ფეფენასადმი შიში გამოწვეულია მისი გარეგნობითაც. შავ ტანისამოსში გახვეულ ქალს სახე ნახევრადდაფარული აქვს, სულ თავჩალუნული დადის და არავის ელაპარაკება. სოფლის მცხოვრებთა აზრით, ფეფენა ვერ იგუებს ისეთ რძალს, რომელიც არ იქნება მისი საქმის თანაზიარი.

მარინე კუდიანის მსხვერპლია, მისი აღიარებიდანაც ჩანს, რომ იძულებით გახდა კუდიანის მორჩილი. საყურადღებოა კონკრეტული ეპიზოდები-ბჟოლის ძირში მჯდომარე მარინე კუდიანმა ცაში აიტაცა და მოსთხოვა ქალს მორჩილება და გაკუდიანება, ხოლო მეორედ და უკვე საბოლოო ხილვაში მარინე დედამთილისადმი მორჩილებას იმით გამოხატავს, რომ მას ეუბნება „უშენოდ არსად არ წავალ და არც არავის გავცემ ხმასო“ (კლდიაშვილი დ. 2017, გვ 37)

მას შემდეგ რაც მარინე დედამთილს დაემორჩილა, სრულებით შეიცვალა, აღარ ყოფილა უწინდებურად ისეთი ბედნიერი და მოკისკისე. რაც რამე უბედურება მოხდებოდა, თუნდაც ავადმყოფობა ან უბარაქობა, მას ადანაშაულებდნენ

თანასოფლელები და ყოველივეს გამომწვევ მიზეზად ახლად გაკუდიანებულ ქალს ასახელებდნენ.

ხალხის რწმენით, როგორც მწერალი გადმოგვცემს, გამოტეხილ და გაწმენდილ კუდიანს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. ამოტომ მიუხედავად იმისა, რომ მარინემ ყველაფერი გამოაშკარავა და დედამთილიც ამხილა კუდიანობაში, მაინც განწირულია.

საინტერესოა მოთხრობის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელსაც აქვს შუასაუკუნეების ევროპაში გავრცელებული დასჯის ელემენტი, რომელიც გულისხმობს კუდიანის დასახიჩრებას, მის სხეულზე დადმის დასმას. მარინეს მამა, მარკოზა გაცხელებულ ნაღს დაადებს ფეფენას, იმის ნიშნად, რომ კუდიანი გამოაშკარავდა და ის უნდა დაისაჯოს, დასახიჩრდეს.

მოთხრობა ტრაგიკულად სრულდება. ნაწარმოების ფინალში მკვდარი მარინე მსხვერპლის როლშია წარმოდგენილი.

ასევე აღსანიშნავია ნიკო ლორთქიფანიძის ერთი მინიატურა „ცხოვრება სალომიკასი“, რომელიც მწერალმა მარტივად, მაგრამ შთამბეჭდავად აჩვენა, თუ როგორ ხდება უიღბლო, გაუბედურებული ადამიანის გაკუდიანება. მინიატურაში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ გამოიყურება სალომიკა. ის მომცრო ტანის, გამხდარი, გრძელცხვირა, ჟღალთმიანი დედაბერია. საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ასეთი გარეგნობის ადამიანი აუცილებლად კუდიანია. ერთი ბავშვის ხუმრობას, რომელიც სალომიკასადმი იყო მიმართული „ის კუდიანი“. მოჰყვა ქალის გაკუდიანება. ამის შემდეგ დამტკიცდა, რომ სალომიკა კუდიანი იყო. ხალხს „ეძაგებოდა“ ის, ერიდებოდნენ და დევნიდნენ მას.

ნ. ლორთქიფანიძემ „ტაბაკელაში“ აღწერა სასოწარკვეთილი ადამიანის ყოფა, შვილმკვდარი დედის წუხილი. დედა ამბობს, რომ ამ ქვეყნად გამართა ტაბაკელა ეშმაკმა, მან ადამიანთა ცხოვრება აირჩია სამეფოდ. ქალი განრისხებულია და ამბობს, რომ წმინდანების ხატების მაგივრად ბანჯგვლიან ცოცხს დაკიდებს, კელაპტრის მაგივრად კი კვამლიან ცეცხლს გააჩენს. თავის სულს ზვარაკად „ბოროტ მეფეს“ შესწირავს და სანაცვლოდ ის მას შვილს გაუცოცხლებს, უკვე ჭინკად გარდაქმნილს. ამ ლექსში კონკრეტულად არაა საუბარი თუ როგორ დევნიან კუდიანს, თუმცა რეალური გრძნობებითა და ემოციებითაა გამოხატული ადამიანის ბოროტ არსებად გარდაქმნა, მეტამორფოზა.

დ. კლდიაშვილისა და ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში არაოფიციალურად, ხალხურ ტრადიციაში უნდა ყოფილიყო ხალხური ინკვიზაცია, რომელიც იყენებდა დასავლეთევროპული ინკვიზაციის ელემენტებს. დასჯის ევროპული მეთოდები საზოგადოებამ თავის ცნობიერებას მოარგო და შექმნა, ფაქტობრივად, ცხვაგვარი, ქართულ რეალობაზე მორგებული „სადამსჯელო ორგანო“, რომელსაც „ხალხურ ინკვიზაციას“ უწოდებენ. ყოველივე ეს დასტურდება იმ ფოლკლორული თუ მითოსური გადმოცემებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, თვითმხილველთა ნაამბობს ემყარება. დ. კლდიაშვილისა და ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მათი ნარატივი აშკარად ხალხური წარმომშობისაა. შეუძლებელია ისინი მწერალთა ფანტაზიას ეკუთვნოდეს. შესაბამისად, კუდიანთა შესახებ რწმენა-წარმოდგენები, მათი დასჯის მეთოდები სხადასხვაგვარად და სიუჟეტურად აისახა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. დავით კლდიაშვილმა და ნიკო ლორთქიფანიძემ თავიანთ ნაწარმოებებში გააცოცხლეს და წარმოგვიდგინეს ის ზეპირსიტყვიერი თუ ცნობიერი წარმოდგენები კუდიანებზე, რომლებიც ოდესღაც რეალობა და ქართველი

ხალხის ისტორიის ნაწილი ყოფილა.

**ლიტერატურა:**

1. კიკნაძე, ზ.(2016). *ქართული მითოლოგია*. თსუ გამომცემლობა, თბილისი
2. კლდიაშვილი, დ. (1917). *მსხვერპლი*. გამომცემლობა ზიბლუსი, თბილისი
3. ლორთქიფანიძე, ნ. (1958). *თხზ.სრ.კრებული*. საბჭოთა საქართველო, თბილისი
4. მამისიძე დიმიტრი, ხ. (2017) *საკრალური ისტორიები*. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი
5. ოჩიაური, ალ. (1991). *ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოში* (ფშავი), გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი
6. ჭილაია, ს.(1981) *ლიტერატურული საქართველო* -N23, თბილისი

**Witch Hunt in Folklore and Literature**

**Bakuridze Mariam**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

**Abstract**

Georgian mythology contains a whole cycle of stories about demonic creatures and people close to them. In Georgian mythological representations and folklore, a *tailless* is a person who has become a devil or has been possessed by a devil, whose goal is to harm the world and those around him.

According to folk texts, in order to eliminate misfortunes, it was necessary to neutralize the *tailless*. In the Middle Ages, a punitive institution was formed in Western European countries, which was called the Inquisition. There are a number of texts in Georgian folklore that make us think that a similar union to the European Inquisition must have existed in the Georgian folk tradition.

Numerous stories about the detection and punishment of the *tailless* have been preserved by oral tradition from various parts of Georgia. The theme of the persecution of the *tailless* was also reflected in Georgian literature, in particular, in the works of Davit Kldiashvili and Niko Lortkipanidze.

Based on the works of D. Kldiashvili and N. Lortkipanidze, we can conclude that there must have been a folk inquisition in Georgia, unofficially, in the folk tradition.

**Key words:** *Folklore, tailless (Kudian), punishment, writing.*

## ვაჟა-ფშაველას პოემების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები

ბალაძე მალხაზ

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.44>

**აბსტრაქტი.** ექსისტენციალური ფილოსოფია ღრმად შეიჭრა ხელოვნების სფეროში. მე-19 საუკუნეში, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მხატვრული ლიტერატურა, რადგანაც ეგზისტენციალიზმი ადამიანის ცხოვრების არსის შემეცნებას ისახავდა მიზნად. ეგზისტენციალური მოაზროვნეები პირველხარისხოვან ყურადღებას უთმობდნენ ადამიანის არსებობის ბუნების გაგებას. ამდენად, მხატვრული ლიტერატურა ფილოსოფიურად ყველაზე ახლოს იდგა ეგზისტენციალურ კვლევასთან.

ეგზისტენციალისტები აღიარებდნენ ადამიანის მარტოობას, სამყაროში მიტოვებულობას და საზოგადოებისადმი წინააღმდეგობას. ისინი ასევე ხედავდნენ როგორც შეგნებულ, ისე არაცნობიერ სწრაფვას საკუთარი თავის შეცნობისკენ, ნამდვილი „მე“-ს აღმოჩენისა და თავისუფლების მოპოვებისკენ — რასაც ისინი ჭეშმარიტების გასაღებად მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, ისინი იკვლევდნენ იმ გზებს, რომლითაც ადამიანს შეეძლო ამ მიზნის მიღწევა.

ეს საკითხები უშუალოდ უკავშირდება ფსიქოლოგიას, რადგანაც ადამიანის ბუნების — განსაკუთრებით კი არაცნობიერის — შეცნობა უკიდურესად რთულ ამოცანას წარმოადგენს, რომელსაც ლიტერატურა ხშირად ცდილობს შეეხოს.

ასევე აღიარებულია, რომ რეალიზმმა ხელი შეუწყო ადამიანის არსებობის სიღრმისეულ კვლევას. ბევრი თანხმდება, რომ მხატვრული ლიტერატურა, თავისი მხატვრული სახეების მეშვეობით, უფრო ზუსტად და ემოციურად გამოხატავს ადამიანის სულის შინაგან პროცესებს, ვიდრე სამეცნიერო დისციპლინების მშრალი, კატეგორიული ენა.

მე-19 საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურა, ყოველდღიური სოციალური პრობლემების ასახვის გარდა, დიდ ყურადღებას უთმობდა მსგავს ეგზისტენციალურ საკითხებსაც. ამ კონტექსტში განსაკუთრებით გამოირჩევა ვაჟა-ფშაველა, როგორც მწერალი, რომელმაც ადამიანის არსებობის პრობლემა აქცია მხატვრულად გადმოცემის საგნად.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ვაჟა-ფშაველა შედარებით ნაკლებად არის გააზრებული, როგორც ეგზისტენციალისტი მწერალი. თუმცა, ეგზისტენციალური აზროვნების საწყისები უფრო ადრეულ ქართულ ლიტერატურაშიც გვხვდება. მაგალითად, რომანტიკოსთა ნაწარმოებები სავსეა ეგზისტენციალური თემებით. შეიძლება ითქვას, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი ამ პრობლემის უფრო ფართო განვითარებას მოგვიანებით ეპოქაში.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ამ საკითხის გარკვეულ ასპექტებს, რომლებიც პარალელს ავლენს ეგზისტენციალურ ფილოსოფიასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრი დასკვნა, რომელიც მოგვიანებით ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსებს კატეგორიულად აქციეს, უკვე არსებობდა მხატვრულ ფორმაში ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ესენია თემები, როგორცაა: ადამიანის მარტოობა, სამყაროსგან გაუცხოება, ღრმა სულიერი კრიზისი ან გარდაქმნა და ნამდვილი „მე“-ს აღმოჩენა. ამ საკითხების კვლევას ეძღვნება მოცემული ნაშრომი.

**საკვანძო სიტყვები:** ვაჟა ფშაველა, ეგზისტენციალიზმი, ლიტერატურა, ეგზისტენციალური ფილოსოფია, სულიერი კრიზისი, სამყაროსგან გაუცხოება, ფსიქოლოგია

ექსისტენციალიზმმა, ანუ არსებობის ფილოსოფიამ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხელოვნებაში, უპირველესად მხატვრულ ლიტერატურაში, რადგან მას ადამიანის არსებობა მიაჩნია უნიკალურად. იგი თვლის, რომ არსებობა არ შეიძლება გამოითქვას მიღებული ფილოსოფიური კატეგორიებით. ექსისტენციალიზმისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა გადალახოს, გაარღვიოს ადამიანმა საკუთარი ყოფიერების არსი. ეს პრობლემა ღრმა კავშირში იყო ფსიქოლოგიზმთან, რაც მე-19 საუკუნის ლიტერატურის მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა, რადგანაც ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანის არსებობა ირაციონალურია და ადამიანი კი „უცხოა“ საზოგადოებაში.

აქედან გამომდინარე, ძირითადი არსი ექსისტენციალიზმისა სოციალური და ინდივიდუალური ყოფის დაპირისპირებით აიხსნება. ეს წინააღმდეგობა ვლინდება პრობლემის გადაწყვეტაში, რომელსაც პარადოქსული ფორმა აქვს. რადგან მათი დებულების ძირითადი ფორმულირება არის: „არსებობა წინ უსწრებს არსს“, ადამიანმა ჭეშმარიტი არსი, ნამდვილი „მე“ რომ აღმოაჩინოს, იქცეს პიროვნებად, მას მოუწევს ძალიანმევა საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენისა და მისი მაქსიმალური განვითარებისათვის, რომელიც ტანჯვითა და ირაციონალური გზით მიიღწევა. ბუნებრივია, ეს პრობლემა მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიზმთან: „ამდენად – ეგზისტენციალიზმი არის ადამიანის შერწყმა თავის თავთან. ეს არის „სუფთა თვითშემეცნება“ (Экзистенциализм, 1966:63). ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ფსიქოლოგიზმი გვევლინება განსაკუთრებულ მეთოდად, ფორმად, რომელსაც შეუძლია რეალურად და ცოცხლად ასახოს პერსონაჟის სულიერი განცდები. ესინის სიტყვებით: „ ფსიქოლოგიზმი – ეს არის განსაზღვრული მხატვრული ფორმა, რომელთანაც დგას და რომელშიც აისახება მხატვრული აზრი, იდეურ-ემოციური შინაარსი“ (Есин. <http://www.philol.msu.ru>).

ასე რომ, სუფთა ფილოსოფიური ჩარჩოებიდან გამოსვლით, ექსისტენციალიზმი გახდა დამახასიათებელი საერთო კულტურული მოძრაობისთვის, რადგანაც ის წარმოადგენდა ადამიანის სულიერი, ემოციური, ფსიქოლოგიური ხასიათის ერთობლიობას. ექსისტენციალისტ ფილოსოფოსთა მიერ აღმოჩენილი ყველა ნიშანი (კატეგორიები) მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შესანიშნავი მხატვრული ფორმით გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ეს იქნება პიროვნების არჩევანის თავისუფლება, საზოგადოებრივ, კოლექტიურ ცნობიერებასთან დაპირისპირება, თუ ინდივიდის პრობლემა და სხვ. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პრობლემების გადაჭრისა და მიღწევის გზებიც ზუსტად ექსისტენციალისტ ფილოსოფოსთა მიერ აღმოჩენილ პრინციპებს ემთხვევა. (ბალაძე, 2021:194)

რადგან, ლიტერატურაც უფრო მეტ სიახლოვეს ფილოსოფიასთან ავლენს (რამიშვილი, 2016:111), ვინაიდან: „ მხატვრული სახეებით გამოთქმული ჭეშმარიტება შეუცვლელია, მარადიულია“ (სულაკაური, 1991:279). ამდენად, ეს ფილოსოფიურობა მოითხოვს გარკვეულ ახსნას და ამ პროცესში აქტიურად ერთვება ფსიქოლოგია, რამდენადაც „შემეცნების თეორია სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიის ფილოსოფია“ (Витгенштейн, 1994:24), და ამიტომაც რეალიზმში მკაფიოდ იკვეთება მიმართულება – „ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური“ პრობლემატიკა. „ლიტერატურული ფსიქოლოგიზმი“ რეალიზმის დამკვიდრებას უკავშირდება.

რადგან ვახსენეთ „ლიტერატურული ფსიქოლოგიზმი“ (Хализев, 2000, 173), აქვე უნდა განვმარტოთ, რას გულისხმობს ფილოსოფიური ლიტერატურა და რამდენად ევალება მწერალს, იყოს ფილოსოფოსი? ჰეგელი აღნიშნავს: „საზოგადოდ, როცა

მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიურ ხასიათზე საუბრობენ, ამ შემთხვევაში ის კი არ იგულისხმება, რომ ხელოვანმა ფილოსოფიურ აზრთა ფორმით შეიცნოს ყველა საგნის ჭეშმარიტი საწყისი“ (Лосев, 1988: 217–222) არმედ, იგი ხსნის, „თუ როგორია მოვლენა, მის ძირებს აშიშვლებს; შემფასებლური მომენტი აქ საერთოდ არ ჩანს, ან ყოველ შემთხვევაში წინ არ წამოიწევს. ამგვარ ნაწარმოებში ხელოვანი მოვლენის სიღრმეებს გადახსნის და ცნობიერების არეში ამოაქვს ის, რაც კანონზომიერია და დამახასიათებელი“ (მინაშვილი, 1995:328). მკვლევარი იუზა ევგენიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაზე მსჯელობისას ამბობს, რომ „კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებულია მხოლოდ და მხოლოდ მსჯელობა ნიკოლოზ ბარათაშვილის არა ფილოსოფიურ შეხედულებებზე, მის თვალსაზრისზე, როგორც ასეთზე, არამედ ამ ხელოვანის მიერ შექმნილი ფაქტის ფილოსოფიურ შინაარსზე, ე. ი. პოეტი თავისი ქმნილებებით რაიმეს კი არ ხსნის და განმარტავს, არამედ ჩვენ, მკითხველებს გვაძლევს შესაძლებლობას ფილოსოფიურად განვეწყოთ და განსჯის ობიექტად ვაქციოთ მისი პოეზიიდან მომდინარე კითხვები“ (ევგენიძე, 1982:205)

მოკლედ, ასეთია ლიტერატურის ფილოსოფიის მოკლე ასპექტები.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მკაფიოდ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გამოვლინდა. სწორედ ის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემატიკა ადამიანის არსებობისა, რომელიც ექსისტენციალიზმმა აღმოაჩინა და დაამკვიდრა ფილოსოფიურ კატეგორიებად, გაცილებით ადრე ვაჟა-ფშაველამ ასახა მხატვრული ფორმით და არაჩვეულებრივი სიზუსტით. ამიტომაც ამ ნაშრომში ჩვენს ნაწილობრივ შვებებით ამ საკითხს.

პოემაში „ალუდა ქეთელაური“, ის მდგომარეობა, რომელშიც ალუდა ჩავარდა მუცალთან შერკინების შემდეგ, განსჯით, ლოგიკით არ მიიღწევა, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ალუდას ვერ უგებენ და ვერც ალუდა გაიგებდა მათ ადგილზე მდგარი, რადგან, მხოლოდ პირადი განცდის, პირადი გამოცდილების შედეგად იხსნება არსებობა - როგორც ექსისტენცია. ანუ, „უნდა დაიბადოს შენს პირად გამოცდილებაში...არაფერი სრულდება ხდომილებაში ჩვენი ძალისხმევის ჩაურთველად“ (მამარდაშვილი, 1992:32), რადგანაც მიღებული გამოცდილება ეს პირადი გამოცდილებაა და იგი „ზღვრულ“ სიტუაციაში ხდება, ანუ ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ადამიანი დგება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე და ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა ალუდა.

უნდა შევეცადოთ იმის განმარტებას და გავიაზროთ, რატომ მაინცადამაინც ასეთ მდგომარეობაში ხდება ადამიანის ცნობიერების „ნახტომი“, ფერიცვალება, ახალი ადამიანის დაბადება. რატომ თვლიან ექსისტენციალისტები ზღვრულ სიტუაციას აუცილებელ პირობად ამ ცვლილებისათვის. რა იწვევს აბსოლუტურ „დაზავებას“, ძველის „წაშლას“, კაპიტულაციას“(ОИИО, 2003:83-103 ).

ამ კუთხით, პირველ რიგში, უნდა შევხებით „მზაობის“ საკითხს, რადგანაც სიტუაცია, პირობა შეიძლება შეიქმნას, მაგრამ პიროვნება არ იყოს მზად. ამის მაგალითი ისიცაა, რომ ალუდამ მუცალთან შერკინებამდეც „ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა“, მაგრამ არ მომხდარა ის, რაც მუცალის შემთხვევაში მოხდა.

„მზაობა“ ძლიერი პიროვნების ხვედრია. ვაჟამ ექსისტენციალისტების დასკვნამდე მხატვრულად გვაჩვენა ეს ჭეშმარიტება. მაგალითად, სავლე პავლედ ვერ გარდაიქმნებოდა, რომ ძლიერი არ ყოფილიყო. მართალია, მისი სიძლიერე, ანუ ენერგია, ბოროტებისკენ იყო მიმართული, მაგრამ, დადებითია თუ უარყოფითი, ენერგია ენერგიად რჩება და ისტორიაში მრავლადაა ამის მაგალითები. მუშნი ზარანდიაც ნიჭიერი და ძლიერი იყო, თუმცა ბოროტი. ტრანსფორმირდება ენერგია

და თუ იგი არ არის, რა უნდა გარდაიქმნას?

მივმართოთ მეცნიერულ ახსნას: ექსისტენცილისტები ფიქრობენ, საკუთარ თავთან დაბრუნების აუცილებელი პირობაა ზღვრულ სიტუაციაში მოხვედრა, რომელიც რამდენიმე გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს და ყველაზე სრულყოფილი არის შიში და განსაკუთრებით შიში სიკვდილისა. (Жизнестенциализм: [www.youtube.com](http://www.youtube.com)). სარტრისთვის ადამიანი-ეს თავისი შიშია. იასპერსი დაამატებს, რომ არსებობა სრულად იხსნება მხოლოდ ზღვრულ სიტუაციაში, რომელიც წარმოშობს ტანჯვას, ბრძოლას და შეიძლება სიკვდილსაც. ასეთივეა პროტაგორას აზრიც, რომ არაადამიანური აქტი უნდა მოხდეს, რომ რაიმე შეიცვალოს ცნობიერებაში. პლატონი კი მას „დიდ წუხილს“ უწოდებს. (მამარდაშვილი, 1992:67). „დიდი წუხილი“ ის ტერმინია, რომელიც ზუსტად აჩვენებს ვაჟას გმირების: ალუდას, ჯოყოლას და მინდიას შინაგან მდგომარეობას, რადგანაც, „რაც უფრო დიდია შენი წუხილი....მერყევი მდგომარეობა, შინაგანი ტანჯვა, მით უფრო მეტი შანსი გაქვს, რომ სინათლე მოვიდეს შენთან... პრუსტიც ამ შემთხვევაზე ამბობდა, რომ რაც უფრო ღრმად არტეზიული ჭა, მით უფრო მაღლა ამოხეთქავს იქიდან წყალი. სიმაღლე სიღრმის პროპორციულია (მამარდაშვილი, იქვე). იგივე აზრს ასე აფიქსირებს ნიცშე: „ხის კენწერომ რომ ზეცას წვდეს, ფესვებმა ჯოჯოხეთს უნდა უწიოს“ (ნიცშე, 1993:149)

მართალია, რომ დგინდება კრიზისული სიტუაციის არსებობის აუცილებლობა არსის გახსნისა და ფერიცვალებისთვის, მაგრამ მაინც რა არის ის ფსიქოლოგიური ასპექტები, რაც კონკრეტულად მოქმედებს ადამიანის სულზე და იძლევა ამ შედეგს. დევიდ იუმი ამბობს, რომ „ჩვენ უაღრესი გულმოდგინებითაც ვერასოდეს ვერ აღმოვაჩინებთ რაიმეს, გარდა იმისა, რომ ერთი ხდომილება მოსდევს მეორეს. ამასთან, ჩვენ არ შეგვწყვეს ძალა, ვწვდეთ რაიმე ძალას, რომლითაც მოქმედებს მიზეზი, ან კავშირს მასა და მის ნაგულიხმევ მოქმედებას შორის....ერთი მოვლენა მოსდევს მეორეს, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს ვერ ვამჩნევთ, რაიმე კავშირს მათ შორის. ისინი, თითქოს, თანაარსებულნი არიან, მაგრამ არასოდეს– შეკავშირებულნი“ (იუმი, 1992, 78). კანტიც ამბობს, რომ ის, რაც მივიღეთ (შედეგი), „რასთანაც შემეცნებას მიმართება აქვს (საკუთარი მე-ს ჩათვლით), იქცა მოვლენად, რაც ვერაფერს გვეტყვის იმავე საგნის, როგორც თავისთავადი ნივთის შესახებ“ (<https://ka.wikipedia.org/wiki/>). რადგან „საგნები ექვემდებარება ჩვენს შემეცნებას, ამ საგანში ამოვიკითხავთ მხოლოდ იმას, რაც ჩვენმა შემეცნებამ არაცნობიერად შეიტანა მასში“. (იქვე)

აქედან გამომდინარე, ჩვენ ზევით ვახსენეთ, რომ მინდიას ვერ გაუგებდნენ და ეს ლოგიკურიცაა, რადგან ვერც მინდია გაიგებდა (ასევე სხვა გმირები), რადგან იგი (მოვლენა)საკუთარი გამოცდილების ქურაში უნდა გატარდეს, რადგან ზემოთქმულის თანახმად, „თავისთავადი ნივთი მოქმედებს ჩვენზე; მისგან გამოწვეული შეგრძნებები მხოლოდ მასალაა, რაც მოწესრიგდება გრძნობადის აპრობირებულ ფორმებში (დრო და სივრცე) და შეკავშირდება განსჯის აპრობირებული წესებით. ასეა აგებული შემეცნების საგანი, ანუ მოვლენა, რაც თავისთავადი ნივთის შესახებ მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ იგი არსებობს“ (კანტი, იქვე).

ჩვენ ვახსენეთ ზღვრული სიტუაცია და რადგან იგი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგომას ნიშნავს და „რაკი ჩვენი ენა ყოველთვის საგნობრივია“ (მამარდაშვილი, 1992:67), ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, უნდა გავიგოთ სიმბოლურადაც, რადგან, არა მარტო ქცევა, არამედ ენაც ნიშანია: „ვიკვლევთ რა ადამიანს, ჩვენ ყოველ მხრივ ვეძებთ და ვპოულობთ ნიშნებს და ვეცდებით გავიგოთ მათი მნიშვნელობა“ (Бахтин, 1986, 485).

ზღვრული სიტუაცია შეიძლება კონკრეტული ფიზიკური სამოქმედო

სიტუაცია იყოს. ვაჟას გმირები-ალუდა, ჯოყოლა, მინდია, ასევე „გამზრდელში“ ბათუსა და საფარბეგის მდგომარეობა და სხვ. მაგრამ იგი შეიძლება იყოს აზროვნებითი, განცდითი აქტი, რადგან აზროვნებისა თუ სიტყვითი აქტის უკან იმალება ჩვენი უხილავი მოქმედება. „სიტყვა არის ნიშანი. ნიშნის უკან, გარდა მისი საგნობრივი მნიშვნელობისა, იმალება ჩვენი რეაქციები“ (მამარდაშვილი,1992:66). ვაჟას გმირებთან სულიერი გარდატეხა, ფერიცვალება, პირველ ეტაპზე, ფიზიკური ფორმით, ფიზიკური ტანჯვით ვლინდება, ლიტერატურაში გვაქვს სხვა მაგალითებიც. ილიას განდევილი („განდევილი“) თეორიული მსჯელობის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ უნდა დაუტევოს სოფელი და შეუდგეს ღმერთის ძიების გზას და მისი მსჯელობა მწყემს ქალთან მისი სულიერი კრიზისის მაჩვენებელია. ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ თორნიკე ერისთავის („თორნიკე ერისთავი“) არჩევანსა და სულიერ „კრიზისზე“, რომელიც „შინაგანი დიალოგით“ მიმდინარე მასში ცხადდება სამეფო კარის „სამსჯავროზე“ წარსდგომის დროს. აქვე შეიძლება ვახსენოთ სტეპან კასატსკი (ტოლსტოის „მამა სერგი), გრაფი ნეხლიუდოვი („აღდგომა“), გრაფი ლევინი („ანა კარენინა“); დოსტოევსკის გმირები და სხვ. ასე რომ, „მნიშვნელობა არა აქვს, რეაქცია წმინდად ფსიქოლოგიურია, თუ მოქმედებითაც გამოიხატება: შინაგანი რეაქციაც თავისთავად მოქმედებაა“ (მამარდაშვილი, იქვე).

მაგრამ, თუ დავაკვირდებით, არის განსხვავება. ზღვრული სიტუაცია შექმნილია „შინაგანი კრიზისის“, „შინაგანი დიალოგის“ მეშვეობით, თუ ფიზიკური მოქმედების აუცილებლობით, ანუ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგომით. მეორე შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ უცაბედ, წამიერ აფეთქებას, აბსოლუტურ, უკომპრომისო ცვალებადობას, იმ სიმაღლის მიღწევას, რომელსაც ფილოსოფოსები „უკან დაუბრუნებლობის წერტილს“ ეძახიან. ვაჟას გმირებიც ვეღარ ბრუნდებიან უკან და აღარც ბრუნდებიან. მათ მიაღწიეს იმ სიმაღლეს, რომელიც აღემატება ყოველივე იმას, რაც იყვნენ და სადაც იყვნენ. ამ საკითხს კარგად განიხილავს თამაზ ჩხენკელი (ჩხენკელი,1971:190-198).

საინტერესოა, რა იწვევს ტრანსფორმირების ასეთ მაღალ ხარისხს. რაც მოხდა, მას ახსნაც უნდა ჰქონდეს... და როგორია მეცნიერული დასაბუთება ამ პროცესისა?

ჩვენ ვიცით, რომ შემეცნების ძირითადი სამი ფორმა არსებობს. პირველი: ეს ცდისეული გზაა, როცა ჩვენ შეგვიძლია საკითხის გასარკვევად მივმართოთ ცდას და მიღებული შედეგი იქნება სწორი პასუხი. მეორე-თეორიული, ანუ ლოგიკური გზაა, სადაც ექსპერიმენტი შეუძლებელია და არ არის საგნობრივი, ხილვადი ფორმები, უნდა მივმართოთ მყარ ლოგიკას და გავაკეთოთ დასკვნა. (მაგალითად, სოკრატესა და დიოტიმას საუბარი დაპირისპირებულ მხარეთა, მოვლენათა შესახებ); მესამეს კი შეიძლება ვუწოდოთ პირობითად „რწმენის“ გზა, სადაც არც ექსპერიმენტი და არც ლოგიკა არ გამოდგება. ის რომ ღმერთი არსებობს, მისი დამტკიცება არც ლოგიკურ და არც ექსპერიმენტულ მეთოდს არ შეუძლია. რადგანაც სასრული გონება უსასრულოს აღქმასა და გადმოცემას ვერ ახერხებს.

ადამიანის ბუნება შეცნობისაკენ არის მიმართული. მას ყოველთვის აინტერესებს, რა მოხდა ალუდას (და სხვა გმირთა) შინაგან სამყაროში, როცა რამდენიმე წამის წინ ლომივით მეომარი, ვაჟკაცი, უცებ, მყისიერად ბავშვს დაემსგავსა, ატირდა და სინანულის უდიდეს განცდაში ჩავარდა. უკვე მასში აღარ მოქმედებს „რჯული ასოთაგანი“, მან ადგილი დაუთმო „რჯულს გონებისას“ (ნიკოლოზიშვილი,1992:47), რადგან ეს მოხდა და არსებობს რეაქცია, მას ახსნაც უნდა ქონდეს, რადგან ის მოხდა და როგორც არისტოტელე ამბობს: „რადგან ყოველივე, რაც იქმნება, იქმნება რაიმესაგან, იქმნება რაიმედ, იქმნება რაიმეთი და რაიმესათვის“

(ჰუნდერი,1992:77). იგივეს ამბობს სავლე წერეთელი: „არაფრისგან არაფერი არ წარმოიშობა“ (წერეთელი,1968:52).

მისტიკური გაგება არსებული მოვლენისა ასეთია: ყოველდღიურობაში ჩართული ადამიანი მიმდინარე მოვლენებს აღიქვამს როგორც რეალურსა და ჭეშმარიტს (გასეტიც იგივეს ამბობს), აღმოსავლეთში მას „მაიას“, ანუ ილუზიას(ილუზორულ სამყაროს) უწოდებენ. გონება მაცდურია და ყოველი მოქმედების გამართლებას ეცდება სათავისოდ.. მაგრამ მას სხვა ონიც გააჩნია: ის თქვენ გაცდუნებთ, მაგრამ პასუხისმგებლობას ყოველთვის სხვას აკისრებს. მაგ. „გამზრდელში“ საფარ-ბეგი თავის დანაშაულს ეშმაკს აბრალებს: „შემაცდინა თვით ეშმაკმა...“; ბიბლიის მიხედვით, გველმა აცდუნა ადამ და ევა. არმოსავლური მიდგომა ასეთია-ეს საკუთარი გონებაა, რომელმაც დაკარგა მოსვენება მას შემდეგ, რაც ღმერთმა მათ ვაშლზე მიუთითა, რომელიც არც ახსოვდათ და შემდეგ გონების იდეაფიქსად იქცა. აკრძალვა იყო ბიბლია ცდუნებისაკენ. აქედან გაჩნდა „აკრძალული ხილის“ ცნებაც. აკრძალვას ცდუნება მოჰყვა. ასეთია გონების მოქმედება (ამ საკითზე მეცნიერული მიდგომა იდენტურია). მისტიკოსთა დასკვნა ასეთია, რომ ბედნიერება და ჭეშმარიტება გონების გარეთ ყოფნაა. აქ შეიძლება ერთი აღმოსავლური იგავი მოვიგონოთ ამასთან დაკავშირებით: მოძღვართან მივიდა ერთი კაცი და თხოვა: „გონება ძალზე დამაბული და აფორიაქებული მაქვს, გთხოვ, დამეხმარო მის დამშვიდებაში“. მოძღვარმა მიუგო: „ეს ადვილია, უბრალოდ ნუ იფიქრებ მაიმუნებზე“. წავიდა კაცი გახარებული. ერთი კვირის შემდეგ გაგიჟებული მივარდა მოძღვართან: „ეს რა მიყავი, მაიმუნები აღარ მასვენებენ არც სიფხიზლეში და არც სიზმრადო“. ბრძენმა უთხრა: „ხომ ხედავ, გონების დამშვიდება შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მშვიდი გონება, სიმშვიდე გონების ფუნქცია არ არის, მან ყოველთვის რაღაც უნდა აკეთოს. სიმშვიდე გონების გარეთ ყოფნაა“.

აქ შეიძლება ერთი რეალური ამბავი მოვიგონოთ, რომელიც ბათუმელმა ლევან დიასამიძემ, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატმა მოგვიყვა: „ჩემი ბაბუა ნანობდა ერთ ამბავს, ცხოვრებაში წმინდანი შემხვდა და ვერ ვიცანი, არ ვიყავი მაგისტვის მზადო“ საქმე ასე იყო: „სახლს ვაშენებდი, შუა ხნის ვიყავი მაშინ. ვლოცულობდი ერთხელ და ვიღაცა მომესალამა. ლოცვა დავასრულე, მივაწიე ხმა და ვუსაყვედურე, რატო შემიშალე ხელი ლოცვის დროს, ეს არ არისო წესი. მან კი მიპასუხა, მე რო მოგესალამე, შენ მაშინ სახლის ფანჯრებს აშენებდი, კი არ ლოცულობდიო“. ასეა, როგორც ბჰაგვანი ამბობს, შეიძლება წახვიდე ტყეში, გამოქვაბულში, მონასტერში და დარჩე ბაზარში, ბრბოში. შეიძლება დარჩე ბრბოში და იყო განდეგილი. ეს დაემართა ილიას განდეგილს.

გონების მოთოკვა ძნელია, ამიტომაც აღმოსავლური მისტიკური სამყარო გონებასთან „მუშაობას“ დიდი ყურადღებით და სიფრთხილით ეკიდება. ისინი თვლიან, რომ საჭიროა გონების შეჩერება. ეს რთული საკითხია, პრაქტიკული თვალსაზრისით მითუმეტეს. მაგრამ სხვაგვარად არ ხდება რაღაც „მიღმიურის“ შეცნობა. (შესაბამის საკითხზე შეიძლება გავეცნოთ ჩატერჯის, ბჰაგვანს და სხვ.)

მისტიკური ახსნები ვერ გამოდგება მეცნიერული მტკიცებულებისათვის. ამიტომ საჭიროა პიველი, ექსპერიმენტული და მეორე, ლოგიკური გზა. ჩვენს საკვლევ თემაში პირველი გზა გამორიცხებულია, ამიტომ მივმართოთ მეორეს, ფილოსოფიურ-ლოგიკურ მეთოდს.

გონების დროებითი „შეჩერება“ ექსისტენციალისტების აზრით ხდება სწორედ ზღვრულ სიტუაციაში. ეგზისტენციალისტები ამბობენ, „ზღვრულ სიტუაციაში“ ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი არსი, ამოტივტივდება ზედაპირზე დაფარული

არაცნობიერი, რომელიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ცნობიერების მიერ არის შენიღბული, ან მისთვისაც სრულად გაუგებარი. მოქმედების იმპულსი მოდის არაცნობიერიდან, მაგრამ მოქმედების მიზანი გაუგებარი რჩება თვით შემსრულებლისთვისაც. ეს ხდება ძირითადად ზღვრულ სიტუაციაში, რადგან ამ დროს გონებას არ ეძლევა საშუალება გააზრებისა. იმიტომ, რომ გააზრებისათვის დროა საჭირო. აზრი გონების პროდუქტია. გონებას დრო არ აქვს. ამიტომ იგი ეთიშება მიმდინარე პროცესს და წინ წამოიწევს გრძნობა, ინტუიცია. ანუ, ადამიანი მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად და არა სიტუაციაზე მოსარგებად. მოკლედ, გონება, მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებით ადგილს უთმობს გულს. ხდება „გონების გარეთ გასვლა“ და ზღვრული სიტუაცია არ აძლევს გონებას მოქმედების საშუალებას, ანუ დრო შემჭიდროვებულია, გონებას გააზრებისთვის დრო სჭირდება. ამიტომაც არის, რომ ძალიან ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანები არაორდინალურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ. ხშირად ისეთს, მათაც რომ უკვირთ შემდეგ.

ალუდა ქეთელაურის ბრძოლა დამაბული და ექსტრემალურია. ყოველი წამი არის სიკვდილის მოლოდინი. იქ მხოლოდ სიტუაციაზე მყისიერი რეაქციაა და არა რაიმეს გააზრება. გარე სამყარო აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ორის კავშირი და შეკუმშული დრო, რომელსაც ვერ აღიქვამენ. იქ მხოლოდ პროცესი და მასზე ავტომატური რეაქციაა. თითქოს აღარ არსებობს გარე სამყარო, აღარ არსებობს დროის მდინარება, ანუ ჩვეულებრივი ყოფის მდინარებიდან ხდება გამოთიშვა. აღარ არსებობს გონების მიერ გარედან მოწოდებული ცნებები, სოციალური ნორმები. ხდება უშუალო აღქმა რეალობისა. იხსნება რაღაც სხვა სიღრმე, სადაც „საგნებს გარედან კი არ ადარებ ერთმანეთს, არამედ ობიექტური ხდომილებებისგან შედგენილ მოძრაობებში შენი განცდაა ჩართული“ (მამარდაშვილი,1992:81). ეს ჩართულობა სწორედ გარე სამყაროსგან გონების „გათიშვა“. აქ იქმნება სწორედ ის, რასაც ფილოსოფიაში შეჩერებას (მისტკოსები გონების გარეთ ყოფნას), ანუ საკუთარი დროის წარმოშობას ეძახიან; „აი, როდესაც ვამბობთ: „საკუთარი დრო“, ჩვენ ვგულიხმობთ ისეთ რაიმეს, რაც რეაქციის დროის მიღმაა და აღემატება მას. შეგვიძლია ასე ვთქვათ: თუ რეაქციის დრო არის ჰორიზონტალზე, ჩართულია ნაკადში, საკუთარი დრო შვეულზეა. რეაქციის დრო ნაკადში აღმოცენდება და ქრება, ნიშნის მნიშვნელობა ამოიწურება ამით, რომ რეაქციას იწვევს მაშინ, როდესაც მეორე დრო, რომელიც შვეულზეა, თითქოს გაჩერებული დროა, რადგან ის რეაქციის დროზე დიდია, მის მიღმა...ნიშნის მნიშვნელობა ამოიწურება იმით, რომ მოქმედებაში მოჰყავს რეაქცია...შვეულზე მყოფი დრო კი, შეიძლება ითქვას, სულიერი დროა“ (მამარდაშვილი,1992:66).

ამდენად, მეცნიერებაც აღიარებს, რომ შეჩერებული დრო არსებობს, სადაც გონებრივ-ლოგიკურს არაფერი ესაქმება და შემეცნების საფუძველი ხდება სულიერი დრო. ამ აზრს ნიცშე შემდეგნაირად გამოხატავს: „და შენი საკუთარი გონება – შენ თვითონ უნდა დაარჩო და წააღრძო; რამეთუ იგი ამა ქვეყნის გონებაა,–ამით ისწავლი ქვეყნის უარყოფას“ (ნიცშე,1993:156). აქ ნიცშე საკუთარ „შინაგან კრიზისს“, „შინაგანი დიალოგის“ მეშვეობით მიღწევას გულისხმობს (ჩვენ შევხეთ ამ საკითხს). ექსისტენციალისტების ზღვრული სიტუაცია ობიექტურად, შენგან დამოუკიდებლად შექმნილი სიტუაციაა, რომელშიც აღმოჩნდა ალუდა (მინდია, ჯოყოლა). მაგრამ ორივე შემთხვევაში რჩება მთავარი : „დროის შეჩერება“ და „გონების დარჩომა“. და ეს ის დროა, რომელიც შენ გეკუთვნის, შენ განიცდი მას და არა სხვა. ამიტომ ალუდას (და სხვებს) ვერ გაუგებენ, ეს მხოლოდ ზღვრულ სიტუაციაში მოხვედრილის საკუთრებაა.

ეს ხდება იმიტომ, რომ, როგორც ერთხელ აღინიშნა, კანტის მიხედვით სივრცე და დრო ჩვენია. ეხება რა ამ საკითხს, მერაბ მამარდაშვილი ასე განმარტავს: „როცა კანტი ლაპარაკობს სივრცესა და დროზე, როგორც ქმნადობის ფორმებზე, იგი ყოველთვის გულისხმობს საკუთარ დროსა და სივრცეს. იგი ამბობს შემდეგს: საგანს საკუთარი დრო და სივრცე გარე სამყაროში რომ ჰქონდეს, მისი შემეცნება ჩვენ მიერ შეუძლებელი იქნებოდა. საგანი შეგვიძლია შევიცნოთ იმიტომ, რომ ეს დრო და სივრცე ჩვენია...შეცნობა შეიძლება იმისა, რაც განლაგებულია ჩემს დროსა და სივრცეში“. (მამარდაშვილი,1992:67).

ვაჟა ამას კარგად ხედავს და ამბობს, რომ ისეთი გამორჩეული პიროვნება, როგორც მინდიაა („ალუდა ქეთელაური“), რომელიც ცდილობს მოაგვაროს პრობლემა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, ვერ უგებს ალუდას და ეს შეუძლებელი იყო, რადგან ის არ მოხვედრილა ზღვრულ სიტუაციაში და არ ჰქონია „საკუთარი დრო“. ის აკეთებს რეაქციას მოვლენებზე, მაგრამ ეს არის რეაქციების დრო, მეორეც, ეს „ჩემი დრო და სივრცე განუყოფლობის, გაჩერებულობის მდგომარეობაა. ეს არის რაღაც განუყოფელი მომენტი, რომელიც არ ეკუთვნის ემპირიულ ნაკადს...მაშასადამე, რეალობას ხედავ, რეალობისკენ მიბრუნებული ხარ, როცა ჩერდები, როცა შენი საკუთარი დრო და სივრცე გაქვს“. (მამარდაშვილი,1992:69). მინდია ცდილობს გაუგოს ალუდას, მაგრამ ეს მცდელობა უსარგებლოა, რადგან „არ არის საჭირო ეცადო, გაუგო სხვას, ეს უსარგებლოა, უკეთესია ერთად გაიგოთ რაღაც მესამე“ (Агеев, 2002:36), მაგრამ ამ მესამის გაგება შეჩერებით ხდება და მინდიას არ ქონდა ეს „დრო“.

ამიტომაც არის, რომ ალუდა არ (ვეღარ) მსჯელობს. მსჯელობა ხომ ემპირიულ დინებაში ჩართული გონების ფუნქციაა. აღარ ისმის კითხვები, რომელიც იმ დროს შეიძლება გაჩენილიყო: „ მკლავი რომ არ მოვჭრა, არ შეიძლება, შევრცხვები, დაეცემა ჩემი სახელი; მტრის სიბრალული სირცხვილია..“ და ა.შ. ეს უკვე სულერთია მისთვის. სულერთია, რადგან თავისუფალი ადამიანია თავისუფალი არჩევანში, ხოლო „არჩევანი მეტად მნიშვნელოვანი რამაა, როგორც ადამიანის თავისუფალი აქტი,-არის იმავდროულად მიღწევა იმისა, რისი ნებაც ის არის და არ არის დამოკიდებული იმაზე, რა შედეგები მოჰყვება მას მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში“ (მამარდაშვილი,იქვე). იგი აღარ ეკუთვნის ყოფიერების დინებას. როგორც ექსისტენციალისტები ამბობენ,ზღვრული სიტუაციით შეიძლება ადამიანმა დატოვოს „მუნ“ ყოფიერება და იქცეს ინდივიდად, პიროვნებად, მოიპოვოს თავისუფლება.

და ეს მოხდა მინდიას პიროვნებაში.

#### ბიბლიოგრაფია:

1. რამიშვილი, ვ. (2016). XX საუკუნის ფილოსოფია, ნაწ. I, თბ.
2. მინაშვილი, ლ. (1995). ილია ჭავჭავაძე, თბ.
3. ევგენიძე, ი. (1982). ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ.
4. მამარდაშვილი, მ. (1992). საუბრები ფილოსოფიაზე, თბ.
5. ნიცშე, ფ. (1993). ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ.
6. იუმი, დ. (1992). გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ, თბ.
7. ჩხენკელი, თ. (1971). ტრაგიკული ნიღბები თბ.
8. ჰეიდეგერი, ჯ. (1992). ჟურ. „რელიგია“, თარგმანი ვ. რცხილამისა, თბ.
9. წერეთელი, ს. (1968) ანტიკური ფილოსოფია, თბ.
10. ბალაძე, მ. (2021). ახალი ქართული ლიტ. აქტუალური პრობლემები, გამომ. „მერიდიანი“, თბ.
11. ნიკოლოზიშვილი, ნ. (1992). ჟურ. „რელიგია“, თბ.
12. Экзистенциализм (1966). Современный экзистенциализм, критические очерки. М.
13. Есин, А. (2017). <http://www.philol.msu.ru>

14. ОШО, Р. (2003). Горчичное зерно. М.
15. Витгенштейн, Л. (1994). Философские работы, М.
16. Хализев, Е. (2000). Теория литературы. М.
17. Бахтин, М. (1986). Литературно-критические статьи. М
18. Агеев, В. (2002). Семиотика, М
19. Лосев, А. (1988). Введение в литературоведение, хрестоматия, М.
20. Экзистенциализм. [www.youtube.com](http://www.youtube.com) (ðñä.2021.07.10)
21. <https://ka.wikipedia.org/wiki> (ðñä.201.10.10)

## Philosophical and Psychological Aspects of Vazha-Pshavela's Poems

**Baladze Malkhaz**

Shota Rustaveli State University, Batumi

### Abstract

Existential philosophy has deeply penetrated the realm of art. In the 19th century, fiction was particularly distinguished in this regard, as existentialism sought to explore the essence of human life. Existential thinkers devoted primary attention to understanding the nature of human existence. As such, fiction was philosophically closest to existential inquiry.

Existentialists acknowledged the individual's solitude, abandonment in the world, and opposition to society. They also recognized both the conscious and unconscious human tendency to understand oneself, to discover the true self, and to attain freedom — which they regarded as the key to truth. Furthermore, they explored the methods through which an individual could achieve this goal.

These issues are directly related to psychology, as understanding human nature — especially the unconscious — represents a profoundly complex challenge, one that literature often strives to address.

It is also acknowledged that realism contributed to a deeper exploration of human existence. Many agree that fiction, through artistic imagery, conveys the inner processes of the human soul in a more precise and emotionally resonant manner than the dry, categorical language of scientific disciplines.

The new Georgian literature of the 19th century, in addition to addressing everyday social issues, also devoted considerable attention to similar existential concerns. In this context, Vazha-Pshavela stands out as a writer who transformed the problem of human existence into the subject of artistic expression.

In Georgian literary criticism, Vazha-Pshavela has received relatively little attention as an existentialist writer. Yet the early stages of existential thought can be found in earlier Georgian literature. For example, the works of Romanticists abound with existential themes. It may be said that they laid the groundwork for the more comprehensive development of this problem in later periods.

This paper examines certain aspects of this issue that establish a parallel with existential philosophy. It is also noteworthy that many conclusions later formalized as categories by existential philosophers had already appeared in artistic form in the works of Vazha-Pshavela. These include themes such as human solitude, alienation from the world, profound spiritual crisis or transformation, and the discovery of the true self. The subject of this study is dedicated to exploring these very issues.

**Keywords:** *Vazha-Pshavela, existentialism, literature, existential philosophy, spiritual crisis, alienation from the world, psychology.*

## ვაჟა-ფშაველას ეროვნული სულისკვეთება

## გაფრინდაშვილი ქეთევან

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.45>

**აბსტრაქტი.** ვაჟა-ფშაველას გენიალობა, უპირველესად გამოიხატება მის მიერ მშობელი ხალხის ინტერესების დაცვაში, მისი ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობების უძლიერესი ორიგინალობით წარმოსახვაში. ვაჟა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ლიტერატურულ შემოქმედებასთან ერთად მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა. უშუალოდაა ამ ფაქტთან დაკავშირებული მისი პატივისცემა და სიყვარული საკუთარი კლასის წარმომადგენლების მიმართ, სიძულვილი მჩაგვრელებისადმი, ეროვნული სულისკვეთება.

ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალნაირი ასპექტით იხსნება სხვადასხვა მკითხველისა და ეპოქისათვის. პირველი, რასაც ჩვენ ვგრძნობთ მის სიახლოვეს, ესაა ინტელექტუალური ენერჯის დაუშრეტელი პოტენციალი, უცნაური ძალა, თავისებური სიტამამით რომ შებრძოლებია კაცობრიობის უდიდეს კითხვებს: „რა არის ჩემს გარშემო?“, „ვინ ვარ მე?“, „რა არის ცხოვრება?“ და „როგორ არის ყველაფერი ეს შექმნილი?“. ეს კითხვები რომ დასვა და შენივე კომპეტენციის ფარგლებში შეეცადო პასუხი გასცე მათ, მხატვარიც უნდა იყო და ფილოსოფოსიც. ვაჟას მხატვრულ აზროვნებაზე იმდენი თქმულა, რომ აღარაფერს დავუმატებ, დავძენ მხოლოდ, რომ მისი შემოქმედება გაცილებით მეტს გვთავაზობს, ვიდრე ბევრი მოაზროვნის დასრულებული ფილოსოფიური სისტემა.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მკვლევრები არ მალავენ, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი იღებენ მგოსნის მხატვრული სამყაროდან, გმირული, ვაჟკაცური სულით გამოწვეული შთაბეჭდილებაა. „ვაჟკაცურია მისი ლირიკა, მისი პოემების გმირები, მთის პეიზაჟი... ასე დრამატულად ამდღელებელი და ასე საოცრად შერწყმული ლიტერატურულ გმირებთან“, - ამბობს გერონტი ქიქოძე ვაჟას შესახებ. და მართლაც, შეუპოვრობა და ვაჟკაცურობა ვაჟას პოეზიის ერთ-ერთი უძლიერესი მოტივია.

**საკვანძო სიტყვები:** გენიალობა, პერსონიფიცირება, კომპეტენცია, სიმბოლიკა, შტამპი, მეტაფორა, ფემინინაზაცია.

**ძირითადი ტექსტი.** ნებისმიერი ერის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც მისი უდიდესი ტკივილი და ბედნიერება, მისი უძლიერესი მისწრაფება, სურვილი და იმედი, ის, რაც იგრძნობა ჰაერში, როდესაც კაცობრიობას ეუფლება უდიადესი მოვლენების წინათგრძნობა და იწყება მიახლოება მსოფლიო ისტორიის უღელტეხილთან, ის, რაც განსაცდელის დროს მიმალულია ადამიანთა სულსა და გულში, საოცრად ლამაზად წარმოჩნდება წინაპართა მიწაზე. ამავე დროს, ამ უბედნიერეს წუთებში ერი იგრძნობს გენიოსი პოეტის დაბადებას.

ეროვნული პოეტის გენიალობა, უპირველესად გამოიხატება მის მიერ მშობელი ხალხის ინტერესების დაცვაში, მისი ეთიკური და ესთეტიკური ფასეულობების უძლიერესი ორიგინალობით წარმოსახვაში.

ვაჟა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ლიტერატურულ შემოქმედებასთან ერთად მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა. უშუალოდაა ამ ფაქტთან დაკავშირებული მისი პატივისცემა და სიყვარული საკუთარი კლასის წარმომადგენლების მიმართ, სიძულვილი მჩაგვრელებისადმი, ეროვნული სულისკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა გარკვეული ხნის

განმავლობაში პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი იყო, იგი თვითნასწავლი პიროვნებაა, რამეთუ სიღარიბის გამო არასოდეს ჰქონდა შესაძლებლობა უნივერსიტეტი ან რაიმე უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი დაემთავრებინა. იგი მთის მკვიდრი იყო, თავდავიწყებამდე უყვარდა მთის ბუნება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ფშაურ დიალექტზე მოსაუბრე პიროვნება გახლდათ. ეპოქამ მისი სახით ვერ აღიქვა საკმარისი სიცხადით საკუთარი წყვილიდან ამომავალი უდიდესი მნათობი...

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მკვლევრები არ მალავენ, რომ პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი იღებენ მგოსნის მხატვრული სამყაროდან, გმირული, ვაჟკაცური სულით გამოწვეული შთაბეჭდილებაა. „ვაჟკაცურია მისი ლირიკა, მისი პოემების გმირები, მთის პეიზაჟი... ასე დრამატულად ამაღელვებელი და ასე საოცრად შერწყმული ლიტერატურულ გმირებთან“, - ამბობს გერონტი ქიქოძე ვაჟას შესახებ. და მართლაც, შეუპოვრობა და ვაჟკაცურობა ვაჟას პოეზიის ერთ-ერთი უძლიერესი მოტივია. როგორც ყველა დიდი შემოქმედის ნააზრევი, ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობაც მრავალნაირი ასპექტით იხსნება სხვადასხვა მკითხველისა და ეპოქისათვის. პირველი, რასაც ჩვენ ვგრძნობთ მის სიახლოვეს, ესაა ინტელექტუალური ენერჯის დაუშრეტელი პოტენციალი, უცნაური ძალა, თავისებური სითამამით რომ შებრძოლება კაცობრიობის უდიდეს კითხვებს: „რა არის ჩემს გარშემო?“, „ვინ ვარ მე?“, „რა არის ცხოვრება?“ და „როგორ არის ყველაფერი ეს შექმნილი?“. ეს კითხვები რომ დასვა და შენივე კომპეტენციის ფარგლებში შეეცადო პასუხი გასცე მათ, მხატვარიც უნდა იყო და ფილოსოფოსიც. ვაჟას მხატვრულ აზროვნებაზე იმდენი თქმულა, რომ აღარაფერს დავუმატებ, დავძენ მხოლოდ, რომ მისი შემოქმედება გაცილებით მეტს გვთავაზობს, ვიდრე ბევრი მოაზროვნის დასრულებული ფილოსოფიური სისტემა. მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები და კრიტიკული წერილები სხვადასხვა ფილოსოფიური პრობლემის საუცხოო მხატვრულ განზოგადებას წარმოადგენენ. ყურადსაღებია ამ მხრივ ზოგიერთი ნაწარმოების სათაური: „სად არის პოეზია?“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „ამოდის ნათდება“ და მრავალი სხვა.

ვაჟა ფშაველას ხედვით, ეროვნულობა დროთა ვითარებაში ჩამოყალიბებული ინდივიდუალურობა, ხალხის ეროვნულ ძალასა და შემოქმედებით შრომაში გამოზრძმედილი ისტორიულ-კულტურული თვითმყოფადობაა. ეროვნული ღირებულებები, პოეტის მრწამსით, მოიცავენ ყოველი ერის ორიგინალურად არსებობის მაცოცხლებელ ძალას და საკაცობრიო ღირებულებების განვითარების საფუძველს, რომელთა თვისებებია ერების საგრძნობლად ცვალებადი სულიერ-ინტელექტუალური თანაარსებობაც და მრავალფეროვნებაც, იგი ისტორიული ცხოვრების თავისებურებებზეა დამყარებული, ცნება კაცობრიობა, განყენებულია და მასში ნაგულისხმევი ღირებულებების სხვადასხვაგვარად გადანაწილებას, დაყოფას იწვევს, რასაც მოსდევს დაპირისპირებები და ომები. დიდი შემოქმედი მიიჩნევს, რომ ერებში არსებულ მტრულსა და მეგობრულ დამოკიდებულებას, საერთო საფუძველი უნდა მოენახოს, უფლის მიერ დადგენილი წესების ბაზაზე უნდა განისაჯოს. ისტორიული კონფლიქტები თუ ძმური, ჰუმანური დამოკიდებულებები ამ წესების დაცვით უნდა შეფასდეს. ეს ვითარება მთლიანსა და დანაწილებულ სამყაროს ურთიერთმიმართებებს გავს. სამყარო ვერ იარსებებს ტომების, ხალხების, ერების გარეშე. თუ უდიდეს ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებს ერთმანეთს შევადარებთ, ეს შედარება სიბრძნის შთამაგონებელ მრავალ ანალოგიას წარმოაჩენს.

ვაჟას ნააზრევის მიხედვით, კოსმიური წრებრუნვის სიბრძნე, მთელი ბუნებისა

და კაცთა ცხოვრების მარსებელი ძალის შემცველია. ადამიანთა ცხოვრების სფეროში არსებობენ ისეთი ფენომენები, რომლებიც ადამიანს ეკუთვნის. ეს იმას გულისხმობს, რომ კაცობრიობის, როგორც მთელისა და ცალკეულ ერთა ურთიერთმიმართების არსის გარკვევა დამყარებულ უნდა იქნას ზოგადი მოვლენების საყოველთაო მოქმედების ძალაზე. თუ კოსმიური წრებრუნვის სიბრძნე და მაღლი ერთნაირად ეკუთვნის ბუნებასა და კაცთა სიცოცხლეს, ხოლო ადამიანთა სულიერებიდან გამომდინარე, სიცოცხლის წყურვილი, სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობები ყველას მოიცავს, ვაჟას დასკვნით, ერებს, ღვთის ნებით, შეუძლიათ საკაცობრიო ღირებულებათა სალაროში შესატანი ფასეულობები თანასწორი სახით წარადგინონ.

ვაჟას მრწამსით, შემოქმედი ყოველ ერს, ყოველ ინდივიდუალურ ერთეულს მხოლოდ თანაბარი ღირსების ფასეულობების შექმნის თანასწორი უნარით აჯილდოებს. მისი განმარტებით, ერიც და ბერიც ეროვნული თუ საკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების თვითმყოფად უნარებს სამშობლოსა და სიცოცხლის ძირითად ნიშნებზე, ენის, რწმენისა და კულტურის ძალაზე უნდა აფუძნებდნენ. ვაჟას აზრით, სამშობლოს დამცველი ერი მუდამ მართალია ღვთის, ბუნებისა და კაცობრიობის წინაშე. ერი, რომელიც უვლის თავის მეობას, ფაქტობრივად იცავს კაცობრიობის მრავალფეროვნებას, მეტიც, მისი სრულქმნის ღვთაებრივ საქმეს ემსახურება. მას სწამდა, რომ ქართველებს, როგორც მრავალ სხვა ერს, დასაცავი და აღსადგენი ჰქონდა ის ეროვნული ღირებულებები, რომელთა სიწმინდისთვის ბრძოლამ ხალხს დიდი ქარტეხილები გადაატანინა. ვაჟა ფშაველა სამშობლოს კოლონიურმა ბედმა აიძულა კოლოსალური ენერგია დაეხარჯა ერთა ურთიერთობის, ეროვნული ღირებულებების არსის გამოსამზეურებლად. მან ხალხთან ჯანსაღი ეროვნული და საკაცობრიო აზრის მისატანად გულმოდგინედ შეაფასა ისეთი თეორიები თუ „იზმები“, როგორიცაა: პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ნაციონალიზმი, შოვინიზმი და ა. შ.

ვაჟა ფშაველა ფილოსოფიურად აბათილებდა კოსმოპოლიტიზმის თეორიას, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი-ამბობდა იგი- ერთა პატივისცემას, სიყვარულს, მათზე ჰუმანურ ზრუნვას, საკაცობრიო პროგრესის დაფასებას გულისხმობს. ერთა თვითმყოფადობის უარყოფელი კოსმოპოლიტიზმი მას მოცლილთა არასრულფასოვანი ჰკულის ნაყოფად ესახებოდა. პოეტი წერს: კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს, გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს მათი ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაცაგროს, არამედ გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით ვიტომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს. ისე ნუ გავიგებტო კოსმოპოლიტიზმს, ვიტომ ყველამ ხელი აიღოსო, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავის პატრონი, თავის საკუთარი ძალღონით განვითარდეს. ცალ- ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ „პოეტის მსჯელობით, ერთა განვითარება უალტერნატივო საკაცობრიო ღირებულებაა, თავისუფლებასიცოცხლის არსებობისიდეალური პირობაა. თუ ინდივიდს, პიროვნებას ან ერს არ ეძლევა თავისუფალი თვითმოქმედების საშუალება, მაშინ მათთვის რეალური თავისუფლება არ არსებობს და ამგვარ გარემოში ყალბია საუბარი სამართლიანობაზე, დემოკრატიაზე, სიყვარულზე, თანასწორობასა და ერთობაზე.

ვაჟა ცხადყოფს, რომ თავისუფლება ნების, წადილის, მიზნის, იდეალის ისეთი განსახიერებაა, როცა ეს განსახიერება საერთო სიკეთეს, ერის საერთო ინტერესების დაცვასა და ჰარმონიულ შეთანხმებას გულისხმობს. ამგვარად გაგებულ და მოქმედი თავისუფლება უნდა დაედოს საძირკვლად არა მარტო სხვადასხვა ერის კავშირს, არამედ ნებისმიერ საზოგადოების წევრთა სოციალურ ურთიერთობებს. პოეტს მიაჩნია, რომ კაცობრიობა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, ერთმანეთზე მზრუნველი, თვითმყოფადი კულტურის მქონე ერებისგან უნდა შედგებოდეს, ხოლო გარკვეული ქვეყნების შიგნით ერთი რომელიმე წოდება კი არ უნდა იყოს მხოლოდ თავისუფალი, არამედ მთელი ერი. პოეტი გვარწმუნებს, რომ ერებმა უნდა დაძლიონ ნაციონალ-შოვინისტური გადახრები, აღიარონ ჰუმანიზმზე დაფუძნებული პატრიოტიზმი ანუ „ჯანსაღი ნაციონალიზმი და გახდნენ ბედნიერნი. ვაჟა ფშაველას მრწამსი, სრულიად თავისუფალი იყო როგორც უსახური და საყოველთაოდ უვარგისი კოსმოპოლიტიზმისგან, ასევე ნაციონალისტური ცდომილებებისგან. მისი შეხედულებით, ყოველი ერი დამზადებისგანაა უფლებამოსილი დაიცვას საკუთარი თვითმყოფადი სახე და სასიცოცხლო ღირებულებები.

ვაჟას სამყაროში მხოლოდ შიშზე გამარჯვებით მოიპოვებს ადამიანი ადამიანურ სახეს. მის გმირებს არ ჩვევიათ ძრწოლა სიცოცხლის დაკარგვის წინაშე. ამ მხრივ, მასთან „შიშსა“ და „საშიშროებას“ შორის დიდი ზღვარია. „მთათ ძილში“ პოეტი ცდილობს, დაგვიხატოს ბუნების კონკრეტული ვითარების კომმარული სურათი, ედგარ პოს ჰალუცინაციებს რომ გვაგონებს ზოგიერთი შტრიხით, და ეს სურათი მას სჭირდება, რათა დაუპირისპიროს შექმნილ ვითარებას თავისი შემოქმედების უდიდესი სიმბოლო - მთა, სიმბოლო ადამიანის ძლიერებისა, მისი რწმენისა მომავალში. ამბობდა კიდევ მგოსანი, რომ კალამს ხელს არ მიაკარებდა, სამშობლოს მომავალი ბრწყინვალედ რომ არ ესახებოდეს. „მთათ ძილში“ ბედისწერას, კონკრეტულ სიძნელეებს ვაჟა ადამიანის ნებისყოფასა და იმედს უპირისპირებს. ამიტომაც არის, რომ ლექსს ასე ამთავრებს:

„მთათ სძინავთ, არ იღვიძებენ,  
შიში არა აქვსთ მტრებისა!..“

ეს სტრიქონები არ ნიშნავს იმას, რომ მათ არც მტრები ჰყავთ და არც საშიშროება ემუქრებათ. ერთიგაა და მეორეც.

ლექსში მოცემულია ლირიკული გმირის ეფემერული სიძნელეებით აღსავსე მომენტები, აღმფოთება შექმნილი ვითარებით და არა უიმედობა და პესიმიზმი. ვაჟას უბადლო ოსტატობითაა რეალიზებული საშინელი ბუნებისა და მის საიდუმლოთა დინჯი, უშიშარი განმჭვრეტელის დაპირისპირება, პარალელიზმი. ლირიკული გმირისა და სიმბოლური მთების შესაბამისად, ბუნების სხვა ატრიბუტებიც ვაჟაკური სულით არიან გაჟღერებული.

**დასკვნა.** ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყარო თვითმყოფადი, გენიალური ხელოვნების სიმალეებიდან მოჩანს. მისი შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებს მისადმი მიძღვნილი ფილოსოფიური, ენათმეცნიერული და ლიტერატურული გამოკვლევები.

უდავოდ, ვაჟა-ფშაველა ქართველი ერის საამაყო შვილია. მის ნაწარმოებებში, ლექსებში, პოემებში, ზუსტად იმდენი გრძნობა და ემოციაა, რამდენიც მათ შექმნელს გააჩნია, იდეურ-ემოციონალური და იდეურ-ესთეტიკურობის ნაზავი დიდ ღირებულებას სძენს მის შემოქმედებას. ბევრის მთქმელია მგოსნის ღვაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის აღზევებაში, მისასალმებელი იქნება ის ფაქტი, თუ ქართული ლიტერატურის საერთაშორისო სარბიელზე გასვლის საუკეთესო და

უტყუარი გზა უცხო ენათა მედიუმით წარიმართება.

ქართველმა ხალხმა მაღალი ღირსებით, სულის არაჩვეულებრივი სიმტკიცით უპატრონა, შეიყვარა და საუკუნეთა ძნელბედობის ქარცეცხლში გამოაწრთო მამულის, ერის სიცოცხლის, ენის, რწმენისა და დიდებული კულტურის სიყვარული.

#### ლიტერატურა:

1. ვაჟა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX. 1964 წ.
2. ს. ჟორდანიას. ეროვნული პოეტის საერთაშორისო აღიარება. გამომც. საუნჯე თბილისი, 1981 წ. (6)
3. გ. ქიქოძე. ვაჟა ფშაველას ლირიკა. ჟურნ. ლიტერატურული საქართველო. თბილისი 1975წ.

### Национальный дух Важа-Пшавела

Гаприндашвили Кетеван

Грузинский технический университет, Тбилиси

#### Аннотация

Гениальность Важи-Пшавелы прежде всего выражается в его защите интересов родного народа, в его мощной самобытности в представлении его этических и эстетических ценностей. В течение всей своей жизни Важа, наряду с литературным творчеством, занимался тяжелым физическим трудом. Этот факт напрямую связан с его уважением и любовью к представителям своего класса, ненавистью к угнетателям и национальным духом. Литературное наследие Важи раскрывается во многих аспектах для разных читателей и эпох. Первое, что мы чувствуем, находясь рядом с ним, — это неисчерпаемый потенциал интеллектуальной энергии, странная сила, которая с особой смелостью боролась с величайшими вопросами человечества: «Что вокруг меня?», «Кто я?», «Что такое жизнь?» и «Как все это создано?». Чтобы задавать эти вопросы и пытаться ответить на них в пределах собственной компетенции, нужно быть и художником, и философом. О художественном мышлении Важи сказано так много, что я ничего не добавлю, добавлю лишь, что его творчество предлагает нам гораздо больше, чем законченные философские системы многих мыслителей.

Исследователи поэзии Важи-Пшавелы не скрывают, что первое впечатление от художественного мира Мгосни у них вызывает героический, мужественный дух. «Его лирика мужественна, герои его стихов, горный пейзаж... так драматически трогательны и так чудесно сочетаются с литературными героями», — говорит о Важе Геронтий Кикодзе. И действительно, упорство и мужество — один из самых сильных мотивов поэзии Важи.

**Ключевые слова:** гений, олицетворение, компетентность, символизм, марка, метафора, феминизация.

### Vazha Pshavela's National Spirit

Gaprindashvili Ketevan

Georgian Technical University, Tbilisi

#### Abstract

Vazha Pshavela's genius is primarily manifested in his defense of the interests of his native people, in his powerful original representation of their ethical and aesthetic values.

Throughout his life, Mgosani, along with his literary work, was engaged in hard physical labor. His respect and love for representatives of his own class, hatred for oppressors, and the carving of the national spirit associated with this fact are obvious. Vazha's literary heritage opens

up in many aspects for different readers and eras. The first thing we feel when we are near him is the inexhaustible potential of intellectual energy, a strange force that has fought with a peculiar boldness against the greatest questions of humanity: "What is around me? Who am I? What is life? How is all this created?" To ask these questions and try to answer them within the limits of your own competence, you must be both an artist and a philosopher. So much has been said about Vazha's artistic thinking that we have nothing more to add, let me only add that his work offers us much more than the finished philosophical systems of many thinking societies.

Researchers of Vazha-Pshavela's poetry do not hide that the first impression they get from Mgosni's artistic world is one caused by a heroic, courageous spirit. "His lyrics are courageous, the heroes of his poems, the mountain landscape... so dramatically moving and so wonderfully combined with literary heroes," says Geronti Kikodze about Vazha. And indeed, perseverance and courage are one of the strongest motifs of Vazha's poetry.

***Keywords:*** *Genius, personification, competence, symbolism, stamp, metaphor, feminization.*

## მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილები

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.46>

**აბსტრაქტი.** მიხეილ ჯავახიშვილი ქართულ ლიტერატურაში თავის დამსახურებულ ადგილს, უპირველეს ყოვლისა, პროზაიკოსის სახელით იმკვიდრებს. სამწუხაროდ, ნაკლებადაა შესწავლილი მისი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა. კერძოდ, იშვიათად ხდება მისი წერილებისა და რეცენზიების იმ ნაწილის სამეცნიერო განხილვა, სადაც თეორიული და პრაქტიკული კუთხით არის გაანალიზებული სცენისა და თეატრის საკითხები.

ჯავახიშვილის თეატრალური ნაშრომები, რომელთა ფარგლებშიც ახდენს იმდროინდელი თეატრალური მოვლენების სისტემურ განხილვას და დრამატურგიის განვითარების კრიტიკულ ანალიზს, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს, როგორც ეროვნული თეატრალური აზროვნების ფორმირების პროცესის შესასწავლად, ისე ქართული კულტურული წარსულის კომპლექსური გააზრებისთვის.

მიხეილ ჯავახიშვილის წერილები წარმოადგენენ ღრმა კრიტიკული ანალიზის ნიმუშებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მსახიობის პროფესიონალიზმს, ასევე მსახიობური ოსტატობისა და სცენური გარდასახვის მრავალწახნაგოვან ასპექტებს. ავტორი გულდასმით განიხილავს როლის ინტერპრეტაციის თავისებურებებსა და რეჟისორული ხედვის ინტეგრაციას სპექტაკლში. ამასთანავე, მისი კრიტიკული წერილები ხშირად ამხელენ ქართული დრამატურგიის სისუსტეებს-ხელოვნურად აგებულ დიალოგებს, ზედაპირულ და შაბლონურ სიუჟეტურ ხაზებს.

მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ინტერესი სცილდება თეატრის, როგორც სანახაობის უბრალო შეფასებას და მიმართულია თეატრის, როგორც ეროვნული და კულტურული ფენომენის არსებითი მნიშვნელობისკენ. ჯავახიშვილის წერილები და მოკლე რეცენზიები აყალიბებს თეატრალური კრიტიკის ისეთ ტრადიციას, რომელიც ერთიანობაში მოიცავს როგორც ეროვნული ცნობიერების, ისე ევროპული თეატრალური მემკვიდრეობის გააზრებას.

**საკვანძო სიტყვები:** მიხეილ ჯავახიშვილის სათეატრო წერილები, „ქართული წარმოდგენა“, „ქართული ენა ქართულ თეატრში“

ქართული პუბლიციტიკისა და თეატრალური კრიტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის წვლილი. მწერლის მხატვრულ მემკვიდრეობას არ აკლია არც ობიექტური შემფასებელი და არც ტენდენციურად განწყობილი კრიტიკა. თუმცა, გაცილებით ნაკლებადაა შესწავლილი თეატრალური წერილები, რომლებიც მნიშვნელოვან შტრიხებს ქმნიან მიხეილ ჯავახიშვილის ინტელექტუალური და შემოქმედებითი პორტრეტისათვის.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში მიხეილ თუმანიშვილი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საფუძველი დაუდო თეატრალური კრიტიკის ტრადიციას. მიხეილ თუმანიშვილის წერილებში თეატრი განიხილება არა მხოლოდ სანახაობრივი თვალსაზრისით, არამედ როგორც მნიშვნელოვანი ეროვნული დატვირთვის მქონე კულტურული ინსტიტუცია. ეს არ ნიშნავდა ეროვნული თეატრის

იზოლაციაში მოაზრებას, მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭსა და სივრცეში გამოკეტვას. პირიქით, ევროპული თეატრის ტრადიციების კვალდაკვალ განიხილავდა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებას. რაც ბუნებრივად აღიქმებოდა ხიდად ტრადიციასა და სიახლეს შორის.

მიხეილ თუმანიშვილის წერილებმა არა მხოლოდ იმ დროის თეატრალურ ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა, არამედ მომავალ თაობებსაც დაუტოვა პროფესიული აზროვნების სტანდარტები. მისი წერილები საფუძვლად დაედო ანალიტიკური თეატრალური კრიტიკის ტრადიციას, რომელმაც შემდგომ წლებში თანმიმდევრულად განაგრძო განვითარება როგორც თეატრალურ სივრცეში, ასევე სალიტერატურო დისკურსში.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულება თეატრისადმი, რომლის პუბლიცისტიკა გამოირჩევა აკადემიური სიღრმისეულობით. წერილები მკაფიოდ წარმოაჩენს მის ინტერესს თეატრისადმი და კონცეპტუალურ ხედვას ქართული თეატრის განვითარების შესახებ. ჯავახიშვილისთვის თეატრი არ არის მხოლოდ ესთეტიკური განზომილების მქონე სივრცე-ის არის ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურული ღირებულებებისა და ეთიკური იდეალების ტრიბუნა. მიხეილ ჯავახიშვილი სრულიად დასაბუთებულად შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ გამორჩეულ და პრინციპულ კრიტიკოსად ქართულ თეატრალურ სივრცეში.

მიხეილ ჯავახიშვილის სათეატრო წერილებიდან უპირველესად შევხებით წერილს „ჩვენ და ჩვენი თეატრი“, რომელიც 1903 წელს სამ ნაწილად გამოქვეყნდა გაზეთში „ცნობის ფურცელი.“

მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნულ წერილში გამოხატავს თავის სევდასა და ტკივილს ქართული თეატრის მდგომარეობის გამო. მისი უმთავრესი საწუხარია, რომ ქართული თეატრი თავისი არსით ვერ ასრულებს უმთავრეს როლს-ეროვნული კულტურისა და აზროვნების ამაღლების მისიას. მაყურებელთან ვერ ქმნის ემოციურ და ინტელექტუალურ კომუნიკაციას.

„დრო მიდიოდა. მე ვიზრდებოდი და თანდათან ჩემს მასწავლებელს-თეატრსაც ვემშვიდობებოდი. მე მოვითხოვე, მაგრამ ამაოდ,-თეატრმა საქართველოს სიყვარულის მეტი აღარაფერი მომცა. რამდენჯერმე ტფილისელი სომეხი ვაჭარი, ავლაბრელი კინტო, მაჭანკალი და კიდევ ქართველი დედის მსგავსი რაღაცა მაჩვენა და...მეტი არაფერი. ამით გათავდა ჩვენი სიყვარული. მე ჩემს ბელადს-თეატრს გავუსწარი და ჩვენ ერთმანეთისა აღარა გვესმის -რა. ჩვენ ერთმანეთისთვის უცხონი ვართ. ჩემთვის ქართული თეატრი თურმე ანბანის მასწავლებელი ყოფილა და მეტი არაფერი.“(ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ.7).

აღნიშნული მონაკვეთი ნათლად ასახავს ავტორის დამოკიდებულებას. თეატრი, რომელიც ახალგაზრდობის წლებში დიდ მოლოდინებს აღძრავდა, რეალობაში დარჩა მხოლოდ საწყის საფეხურად-„ანბანის მასწავლებლად“, რომელიც ვერ უქმნის საზოგადოებას სულიერი სრულყოფისათვის საჭირო სივრცეს.

„ჩვენ და ჩვენი თეატრი“ გამოირჩევა მაღალი ესთეტიკური და ზნეობრივი სტილით. ავტორის სიტყვები კონკრეტულად თეატრალური სფეროს არცერთი წარმომადგენლისკენ არ არის მიმართული. წერილი უფრო ზოგად, ეროვნული კულტურის კრიზისს ეხება. სწორედ ეს კრიტიკული, მაგრამ ღრმად ჰუმანური ტონი ანიჭებს ტექსტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას:

„ჩვენ ვამბობთ: „ხელოვნება ეროვნულ ჩარჩოში უნდა ჩაისვას“ და არა შოვინისტურ ორმოში. ეროვნული ხელოვნებიდან შოვინისტურ ხელოვნებამდე

უსაზღვრო სივრცეც არის და ერთი ნაბიჯიც. ჩვენის აზრით, ძალიან შორს არის, პატივცემულ ქართველის და ამხ. -ს აზრით კი არაფერი განსხვავებაა. მართალია, ხელოვნების პირველი, უმთავრესი და უკანასკნელი კანონი „სრული თავისუფლება“-მეთქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ ბავშვურ და ანბანურ პიესას ნება აქვს აბელას ფეხზე შედგეს, სცენაზე გამოვიდეს და ოთხი საათის განმავლობაში მაყურებელი აწვალოს“(ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ.10).

ამ ფრაგმენტში ავტორი მკაფიოდ განასხვავებს ნამდვილ ეროვნულ ხელოვნებას და ფსევდო-ეროვნულ, შოვინისტურ მიდგომებს, სადაც უფულებელყოფილია ესთეტიკურ-ზნეობრივი ღირებულებები.

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილი „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია როგორც ქართული თეატრის კრიტიკის, ასევე ეროვნული კულტურის განვითარებისთვის. ტექსტი აერთიანებს თეატრის ესთეტიკურ და ზნეობრივ შეფასებას, ეროვნული თვითშეგნების საკითხებსა და ხელოვნების როლის გააზრებას საზოგადოებაში. წერილი დღესაც აქტუალურია, რადგან გვიჩვენებს თეატრის არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ სულიერ და ზნეობრივ დანიშნულებას.

საყოველთაოდ ცნობილია მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. აღნიშნული საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი. ჯავახიშვილი მრავალმხრივად, მრავალგვარ კონტექსტში გამოთქვამს თვალსაზრისს აღნიშნულ პრობლემატიკაზე. თეატრალური წერილებიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მიხეილ ჯავახიშვილისთვის თეატრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზია სალიტერატურო ენისთვის. მისი აზრით, თეატრში ენა არ არის მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის გადმოცემის საშუალება. იგია ცოცხალი, უშეცდომო მეტყველების ნიმუში, რომელიც საზოგადოებრივ მეტყველებას აყალიბებს და ლიტერატურულ სტანდარტებს განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია წერილი „ქართული ენა ქართულ თეატრში“, სადაც ავტორი თეატრს სალიტერატურო ენის სკოლად მიიჩნევს. ჯავახიშვილი მწვავედ აკრიტიკებს სცენაზე დამკვიდრებულ არასრულფასოვან მეტყველებასა და ენობრივი ნორმებისთვის მიუღებელ გამოთქმებს:

„ქართულ თეატრში ნამდვილ ქართულ ენისა და ქართულ კილოს მაგივრათ ყოველნაირ კილოსა და გამოთქმას გაიგონებთ. ერთი ჩოხატაურულათ უქცევს, მეორე შორაპნულათ, მესამე-ქართულათ( და არა ქართულად) და მეოთხე -რუსულათ. მაგრამ კილოს ვიღა ჩივის, საანბანო გრამატიკული კანონებიც კი არ სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთს შეუსაბამობას წამოისვრიან ხოლმე, რომ ქართულ ენის მოყვარულს ორივე თითი მუდამ მზათ უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობათ“(ჯავახიშვილი, ტ. VII. გვ. 9).

მწერალს ღრმად სწამს, რომ სალიტერატურო ენა განსაზღვრავს კულტურის ხარისხს, განათლებისა და განვითარების დონეს. ამიტომაც ებრძვის სცენაზე ქართული ენის ხარვეზებს-გაუმართავ მეტყველებას, სუფთა გამოთქმის უფულებელყოფას, უცხო სიტყვების არასაჭიროებისამებრ გამოყენებას.

დასახელებული წერილი პირველად გამოქვეყნდა 1909 წელს, გაზ. „საქართველოს მოამბეში“, ფსევდონიმით „ალი.“

მიხეილ ჯავახიშვილის წერილები წარმოადგენენ ღრმა კრიტიკული ანალიზის ნიმუშებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც მსახიობის პროფესიონალიზმს, ასევე მსახიობური ოსტატობისა და სცენური გარდასახვის მრავალწახნაგოვან ასპექტებს. ავტორი გულდასმით განიხილავს როლის

ინტერპრეტაციის თავისებურებებსა და რეჟისორული ხედვის ინტეგრაციას სპექტაკლში. ამასთანავე, მისი კრიტიკული წერილები ხშირად ამხელენ ქართული დრამატურგიის სისუსტეებს-ხელოვნურად აგებულ დიალოგებს, ზედაპირულ და შაბლონურ სიუჟეტურ ხაზებს.

აღნიშნული კრიტიკული ხედვის თვალსაჩინო მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ორი წერილი: „სახაზინო თეატრი, ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარლისა“ და „სახაზინო თეატრი“.

პირველ შემთხვევაში მიხეილ ჯავახიშვილი საუბრობს როგორც სუსტ რეპერტუარზე, ასევე ნიჭიერი მსახიობის ნ. გაბუნია-ცაგარელის მიერ ცულად შესრულებულ როლებზე. ავტორი მიუთითებს, რომ საზოგადოებისგან აღიარება და პატივისცემა არ უნდა იქცეს მხოლოდ ფორმალურად მიღებულ პრივილეგიად, არამედ მას თან უნდა ახლდეს მსახიობის პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე.

„როცა რომელსამე მსახიობს საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა აქვს დამსახურებული, იგი ზნეობრივად მოვალეა ამ საზოგადოებას უქველად ისეთსავე ყურადღებითა და პატივისცემით მოეპყრას, როგორც მას ეპყრობიან. ზემო ხსენებულმა ბენეფისმა ნათლად და მშვენივრად დაამტკიცა, რომ ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს ზემოხსენებული მოვალეობა არ სჯერა და ჰგონია, რომ საზოგადოება მხოლოდ თამაშის სანახავად, ტაშის დასაკვრელად და საჩუქრების მისართმევად მივიდა. საკვირველია, რა მოსაზრებით აირჩია საბენეფისოდ ქ-ნმა გაბუნიამ ყაზბეგის დაჟანგებული, დახავსებული, უშინაარსო, საშინლად გაჭიანურებული და არქივიდან ამოთრეული პიესა?“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ. 47.).

ამავე რეცენზიაში ავტორი ნ. გაბუნიას კიდევ ერთი როლისთვის აკრიტიკებს. საბენეფისო პიესის არჩევაში იგი ადანაშაულებს როგორც ამხანაგობას, ასევე მსახიობს. იგი თვლის, რომ „ჩვენი ნაცნობები“ სცენები კი არა, ნამდვილი პორნოგრაფიული, უშინაარსო და ცინიკური ფარსია. ავტორს ერთად შეუფროვებია ბაზრული ოხუნჯობა, ფელდფებელური შენიშვნები, ყაზარმული სიმახვილე, აქა-იქ ჩაურთავს უშვერი, „უცენზურო“ სიტყვები, შეუკრავს „სცენებად“ და ეს მყრალი თაიგული ქ-ნ გაბუნია-ცაგარელისთვის ჩაუბარებია. იმანაც აიღო, საზოგადოებას მართვა და იმდენი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა მყრალი სიტყვა, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოება გააწითლა“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ.48).

ჯავახიშვილის კრიტიკა გამოირჩევა პირუთვნელობითა და პროფესიული შეფასების ხარისხით. მისი მკაცრი ტონი არა სუბიექტური მიუღებლობის, არამედ ქართული თეატრის განვითარების, პროფესიული სტანდარტების ამაღლებისა და სცენური ოსტატობის სრულყოფისკენაა მიმართული. ამაზე მეტყველებს მისი მეორე წერილი: „სახაზინო თეატრი.“ თუ წინარე რეცენზიაში არის მძაფრი კრიტიკა ბენეფისი ნ.გაბუნია-ცაგარელისა, მეორე შემთხვევაში მაღალი შეფასებაა ნ. ჩხეიძისა, საბენეფისო წარმოდგენაში „როზა ბერნდი.“

„ჩვენ არ გვეგონა, რომ ნ. ჩხეიძე ამგვარ როლს ასეთის ხელოვნებით შეასრულებდა, რადგან ნ. ჩხეიძემ თავისი სახელი უფრო „მედეასა“ და სხვა ამგვარ როლების თამაშით მოიხვეჭა. ეხლა კი ამ მსახიობს გადაჭრით ვურჩევთ, გაანებოს თავი „მედეა“-სა, „უბედურ ნაბიჯსა“ და სხვა ამისთანა ნამალადევსა და არა ხელოვნურ პიესებს და თავის რეპერტუარი განსაკუთრებით „როზა ბერნდ“-ისა, „ნორა“-სი და ამისთანა მაღლიან და ხელოვნურ პიესებით შეადგინოს“ (ჯავახიშვილი, ტ. VI. გვ. 63).

ორივე რეცენზიაში- როგორც მძაფრი კრიტიკის, ისე დადებითი შეფასების

შემთხვევაში- კარგად ჩანს ჯავახიშვილის მაღალი პროფესიონალიზმი და მიუკერძოებელი, ობიექტური ბუნება. ორივე შეფასების მიზანი ერთია-ქართული თეატრის ხარისხობრივი განვითარება და პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება.

მიხეილ ჯავახიშვილმა 1907 წელს გაზეთ „ისარში“ ერთმანეთის მიყოლებით გამოაქვეყნა წერილები „ქართული წარმოდგენა.“ ეს გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილების ციკლი, სადაც გაანალიზებულია იმდროინდელი ქართული თეატრის ნაკლოვანი და ღირებული მხარეები. ავტორი თითოეულ წერილში სიღრმისეულად განიხილავს კონკრეტულ დადგმებს, აქებს ან აკრიტიკებს მსახიობთა სცენურ შესაძლებლობებს, აანალიზებს მათ მიერ მაყურებელთან „ნამდვილი“, ცოცხალი სურათების მიტანის უნარს.

1907 წლის 14 ოქტომბერს დასტამბულ პირველ რეცენზიაში „ქართული წარმოდგენა“, განხილულია ორი დადგმა: „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახა ჭრიალაშვილი.“

ჯავახიშვილის შენიშვნები, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მისაღებია. მისი აზრით, ქართული თეატრი მხოლოდ ტექსტზეა ორიენტირებული, ვიდრე მოქმედებაზე. მხოლოდ ტექსტის გაცოცხლება ემოციისა და მოქმედების გარეშე სპექტაკლს ზედაპირულსა და უღიმღამოს რომ ხდის, ამას მიხეილ ჯავახიშვილი შემდეგი მსჯელობითაც ადასტურებს:

„სასცენოდ გადაკეთებული „ოთარაანთ ქვრივი“ სუსტი გამოდგა. ეს ძლიერი და ხელოვნური მოთხრობა განსვენებულისა სცენაზე გადაიქცა სენტიმენტალურ ფრანგულ მელოდრამად. მოთხრობის გადამკეთებელს იგი გაუჭიმავს შვიდ სურათად, სადაც თითქმის არავითარი მოქმედება არ არის, გარდა სიტყვებისა და მოთხრობიდან ამოწერილ რეპლიკებისა. მაგრამ ამას ვინა სჩივის: მოთხრობის მთავარი გმირი-მძლავრი, ტალისავით მაგარი და შეუდრეკელი ოთარაანთ ქვრივი სცენაზე გადაიქცა ყბედ და კაპას დედაკაცად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მოთხრობაში მისი ხასიათი გამოხატულია მოქმედებით, სცენაზე კი სიტყვებითა და მოკლე რეპლიკებით“(ჯავახიშვილი, ტ. VI . გვ.506).

ამავე წერილში პოზიტიურადაა შეფასებული „გლახა ჭრიალაშვილი“, რომელიც, ავტორის აზრით, განასახიერებს წარმატებულ შერწყმას კარგი ტექსტისა და მსახიობთა ცოცხალი, შთამბეჭდავი თამაშისა. აქ სცენა ხდება არა უბრალოდ ტექსტის ილუსტრაცია, არამედ მისი ორგანული გაგრძელება, რაც ჯავახიშვილისთვის თეატრის უმთავრესი ფუნქციაა. როგორც რეცენზენტი ამბობს, „ოთარაანთ ქვრივით“ დაღლილი და მოწყენილი საზოგადოება „გლახა ჭრიალაშვილს“ გამოუცოცხლებია.

1907 წლის 19 ოქტომბერს გაზ. „ისრის“ ნომერში გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „ქართული წარმოდგენა („დაუპატიჟებელი“, დრ. 1 მოქ. მეტერლინკისა და „ახალი ძალა“, პიესა 4 მოქ. ლანგმანისა“). ვფიქრობთ, აღნიშნული წერილი-რეცენზიაც თავის სათქმელს ამბობს ქართული თეატროლოგიის ისტორიაში. ავტორი ამ შემთხვევაშიც ობიექტურად მკაცრია, მაგრამ მისი პოზიცია ლოგიკურია და მისაღები.

„ქართულ სცენაზე პირველად სცადეს მისტიკური სიმბოლიზმი მეტერლინკისა და პირველადვე ცივი წყალი გადაასხეს საზოგადოებას. ჩვენ კარგად ვიცოდით ძალღონე ქართველ არტისტებისა, რომელნიც განსაკუთრებით რეალიზმის პრინციპებზე არიან აღზრდილნი, და წინდაწინვე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ისინი ვერ მოერეოდნენ მეტერლინკის პიესას. იმათ ეხერხებათ თამაში სიტყვით, მოძრაობითა და მოქმედებით, ხოლო უძლურნი არიან მაშინ, როცა საჭიროა თამაში სულით,

ნერვებითა და იმ სიჩუმით, რომელიც ხშირად სიტყვებსა და მოქმედებაზე გაცილებით უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს გალესილ ნერვებისა და ფაქიზ გრძნობის პატრონზე“ (ჯავახიშვილი, ტ. VI .გვ.507).

ჯავახიშვილი აქ მკვეთრად უსვამს ხაზს ქართველი მსახიობების არათანხვედრობას ამ ჟანრის ესთეტიკასთან. რეცენზენტი ერთდროულად გვთავაზობს როგორც პროფესიულ ანალიზს, ასევე ზუსტ დიაგნოზს-თეატრი, რომელიც მხოლოდ სიტყვაზე დაყრდნობით ცდილობს მაყურებელთან კონტაქტს ვერ მოიპოვებს აღიარებას და ვერ იქცევა ძლიერ კულტურულ ინსტიტუციად.

მიხეილ ჯავახიშვილის თეატრალური წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ინტერესი სცილდება თეატრის, როგორც სანახაობის უბრალო შეფასებას და მიმართულია თეატრის, როგორც ეროვნული და კულტურული ფენომენის არსებითი მნიშვნელობისკენ. ჯავახიშვილის წერილები და მოკლე რეცენზიები აყალიბებს თეატრალური კრიტიკის ისეთ ტრადიციას, რომელიც ერთიანობაში მოიცავს როგორც ეროვნული ცნობიერების, ისე ევროპული თეატრალური მემკვიდრეობის გააზრებას.

#### ლიტერატურა:

1. ჭყოიძე, ნ.(რედ.)მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, წერილები, ტ. VI, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“;
2. ჭყოიძე, ნ.(რედ.)მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, წერილები, ტ. VII, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

#### Mikheil Javakhishvili's Theatrical Writings

Giorgadze Nino

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Mikheil Javakhishvili occupies his deserved place in Georgian literature, first of all, as a prose writer. Unfortunately, his journalistic, literary-critical heritage has been little studied. In particular, there is rarely a scientific discussion of that part of his letters and reviews where the issues of the stage and theater are analyzed from a theoretical and practical perspective.

Javakhishvili's theatrical works, within the framework of which he conducts a systematic discussion of the theatrical events at that time and a critical analysis of the development in dramaturgy, represent the most important primary source, both for studying the process of formation in national theatrical thought, and for a complex understanding of the Georgian cultural past.

Mikheil Javakhishvili's letters are examples of deep critical analysis, where special attention is paid to the professionalism of the actor, as well as to the multifaceted aspects of acting and stage transformation. The author carefully discusses the peculiarities of role interpretation and the integration of the director's vision into the performance. At the same time, his critical letters often expose the weaknesses of Georgian dramaturgy - artificially constructed dialogues, superficial and templated plot lines.

An analysis of Mikheil Javakhishvili's theatrical letters reveals that his interest goes beyond the simple assessment of theater as a spectacle and is directed towards the essential importance of theater as a national and cultural phenomenon. Javakhishvili's letters and short reviews establish a tradition of theatrical criticism that encompasses both national consciousness and the understanding of European theatrical heritage.

**Keywords:** *Mikheil Javakhishvili's theatrical letters, "Georgian performance", "Georgian language in Georgian theater"*

## ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ლიტერატურა - აბრაამ მამისთვალოვი

გულედანი ლალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.47>

*ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევითი პროექტის ფარგლებში (გრანტის ნომერი: FR-22-51-80; „ქართველი ებრაელების ენობრივი რეპერტუარი: მიგრაციები, ენობრივი კომპეტენციები და იერარქიები“).*

**აბსტრაქტი.** ებრაელები საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ. XX საუკუნის 70-იან წლებში მათ დაიწყო მასობრივი რეპატრიაცია („ალია“) ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში. „ალიის“ პირველი წლები ქართველი ებრაელებისთვის მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით ხასიათდება. ახალ ქვეყანაში დასამკვიდრებლად საჭირო გახდა ენობრივი და ყოფითი პრობლემების მოგვარება. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ქართველმა ებრაელებმა წარმატებით განახორციელეს სამწერლობო საქმიანობა. ქართულ ენაზე იწერებოდა სხვადასხვა ჟანრისა და თემის ნაწარმოებები, რომელთა მოპოვება და შესწავლა ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობის სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელია. საინტერესოა ასევე ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი პუბლიკაციების ენობრივ-ლიტერატურული კვლევა, რითაც შეიძლება გამოვლინდეს ის მსგავსება-განსხვავებები, ენობრივი თავისებურებები და სიახლეები ლიტერატურულ გამომსახველობით ხერხებში, რაც, სავარაუდოა, განპირობებული იყოს საცხოვრებელი ადგილის და სოციალური გარემოს ცვლილებით.

ისრაელში გამოცემულ ქართულენოვან ლიტერატურაში, ბუნებრივია, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება რელიგიური ხასიათის ნაწარმოებებს. ებრაელები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, რელიგიური რწმენა და რელიგიური ვალდებულებების დაცვა წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნდათ, რამაც გადაარჩინა ეს ერი განადგურებისგან. საქართველოში ცხოვრების დროს ისინი განცალკევებულ უზნებად ცხოვრობდნენ, აგებდნენ სინაგოგებს, ლოცულობდნენ და მკაცრად იცავდნენ თორის წესებსა და ტრადიციებს. ისრაელში ქართველები აგრძელებენ ტრადიციულ რელიგიურ ცხოვრებას, თუმცა, მათი რელიგიური ცნობიერების ამაღლებას აღთქმულ ქვეყანაში, ერთმორწმუნე ისრაელელებთან ერთად, მეტი შესაძლებლობები აქვს, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა ისრაელში გამოცემული ქართულენოვანი რელიგიური ნაწარმოებებიც, ვინაიდან ქართველი ებრაელების უმეტესობა სრულყოფილად მხოლოდ ქართულ ენას ფლობდა. ისრაელში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ხასიათის რელიგიური ქმნილებები: ბიბლიის წიგნები, თორის ელემენტარული საკითხები, საწინასწარმეტყველო ნაწყვეტები, ძირითადი ლოცვები ებრაულ ენაზე, ცნობები ქართველ ებრაელთა თემში გამორჩეული რაბინებისა და თალმიდ ხახმების შესახებ, ლოცვებისა და მიცვების თარგმანები, იუდაიზმის ატრიბუტიკა და თეოლოგია, იუდაიზმი თანამედროვე პირობებში, ჰალახის წესები ქართულ ენაზე (יהדות בישראל) [გულედანი, 2024; გულედანი, 2025] და სხვა.

რელიგიური ხასიათისაა მწერალ აბრაამ მამისთვალოვის რამდენიმე წიგნი, რომლებიც წინამდებარე სტატიაში შესწავლილი და დახასიათებულია.

**საკვანძო სიტყვები:** რელიგიური ნაწარმოებები, ბიბლია, ლექსთა ლექსი, სიდური, კანონთა დამატებანი.

აბრაამ მამისთვალავი დაიბადა 1921 წელს ქ. ცხინვალში თორის დიდი მცოდნის, დავითის საგალობლებისა („თეჰილიმის“) და სხვა წმინდა წიგნების ორიგინალიდან ქართულ ენაზე მთარგმნელის, რაბი იცხაკ მამისთვალავის ოჯახში. იგი სკოლის პერიოდიდან აქვეყნებდა ლექსებსა და სტატიებს. მისი პირველი ლექსთა კრებული გამოქვეყნდა 1942 წელს, როცა იგი 21 წლის იყო. აბრაამ მამისთვალავი ლიტერატურულ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ აქტივობებსაც. 1961-1974 წლებში აქტიურად მოქმედებდა მის მიერ დაარსებული საქართველოს იატაკქვეშეთა სიონისტური ორგანიზაცია, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით დიდი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მათი რეპატრაციისა (ალიის) და ახალ ქვეყანაში წარმატებული ადაპტაციის საქმეში. აბრაამ მამისთვალავი ერთ-ერთი პირველთაგანია (გერცელ ბააზოვის შემდეგ), რომელმაც ქართულ მწერლობაში ქართველ ებრაელთა პრობლემატიკის განხილვა დაიწყო. იგი ერთადერთი ქართველი ებრაელი მწერალია, რომელიც ისრაელში ავიდა, როგორც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. რეპატრაციისას მას უკვე 7 წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული, რაც საბჭოთა საქართველოს პირობებში ებრაელისთვის იშვიათი შემთხვევა და უდიდესი წარმატებაა. მთლიანობაში მის მიერ გამოცემულია 22 კრებული და 30 -მდე ნათარგმნი წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ და ებრაულ ენებზე.

აბრაამ მამისთვალავი 1974 წლის იანვრიდან საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც განაგრძო აქტიური სამწერლობო საქმიანობა და დაიწყო საგამომცემლო აქტივობები, რედაქტორობდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში ქართველი ებრაელების პირველი ნაკადის რეპატრიანტებს ძალიან რთული სოციალური ფონით და ახალ ქვეყანაში ადაპტირების მრავალი პრობლემით უწევდათ ცხოვრება. 1983 წლიდან იგი მის მიერ დაარსებული გამომცემლობის ("შუქურა") მთავარი რედაქტორი იყო, რომლის ძირითად მიზანს ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ებრაელებისთვის წმინდა წიგნებისა და მხატვრული ნაწარმოებების გამოცემა წარმოადგენდა. აბრაამ მამისთვალავი თემატურად მრავალფეროვანი ლექსების, ბალადების, მოთხრობებისა და რომანების ავტორია [ლინკი 1; მამისთვალავი, 2005:8].

ცალკე აღნიშვნის ღირსია აბრაამ მამისთვალავის შემოქმედებაში რელიგიური ხასიათის წიგნები. მისი განსაკუთრებული დაინტერესება ბიბლიის თემატიკის მიმართ იგრძნობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამხოლოდ აბრაამ მამისთვალავი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც (მამა, და) ინტენსიურად იყვნენ ჩართულები ბიბლიის წიგნების თარგმნის პროცესში, რის შედეგად აბრაამ მამისთვალავის რედაქტორობით თავის დასთან, მწერალ თამარ მამისთვალავთან და აღმოსავლეთმცოდნე დოქტორ გერშონ ბენ-ორენტან ერთად, ივრითიდან ქართულად ითარგმნა მოსეს ხუთწიგნეული "ხამიშა-ხუმში თორა" [ხუმში, 1988-89]. „ხუთწიგნეულის“ ყოველი წიგნი ცალკეა წარმოდგენილი. პირველ წიგნს დასაწყისში დაერთვის მთარგმნელთა წინასიტყვეობა და ხახამ რეფაელ ელაშვილის წერილი „წიგნთა-წიგნი“, სადაც ვკითხულობთ:

“აგერ, უკვე სამი ათასი წელია ჩვენს ერს, ისრაელ ხალხს თან დაჰყვება და გამორჩეულობის გვირგვინს ადგამს დიდი წიგნი თანახი – თორა, ნებიიმ (წინასწარმეტყველნი), ქეთუბიმ (ნაწერები). თორა არის ჩვენი ხალხის უძვირფასესი საუნჯე, იგი მანათობელ შუქურად მიუძღოდა წინ მსოფლიოს შარაგზაზე მრავალტანჯულ ისრაელის შვილებს... და ასე, საუკუნიდან საუკუნეში

გადმოგვცემდნენ ჩვენი წინაპრები თორას, და სწორედ ამან შემოგვინახა ჩვენი ეროვნულობა 2500-წლოვანი გალუთის პირობებში. სწორედ უფლისადმი ერთგულებამ, თორამ, მასში ჩაქსოვილმა სიყვარულმა ერეც-ისრაელისადმი ამოგვიყანა ჩვენს ისტორიულ სამშობლოში...“.

იგივე წერილი ებრაულად გამოქვეყნებულია ხუთწიგნეულის II წიგნში (გვ.V-VII), ხოლო მთარგმნელთა წინასიტყვაობა და რეფაელ ელაშვილის ხსენებული წერილი ერთად ყოველ მომდევნო წიგნს ახლავს. მთარგმნელებმა კოლოსალური სამუშაო ჩაატარეს, რათა მიეღოთ მეცნიერებისა და თარგმნის თანამედროვე დონის შესაბამისი ტექსტი. ისინი ითვალისწინებდნენ ორგინალის პრიორეტულობას, იმას, რომ წმინდა წიგნები დიდი სიზუსტით და სიფრთხილით უნდა ითარგმნოს და ცდილობდნენ, თარგმანი რაც შეიძლება თანმიმდევრული, ებრაული დედნის შესატყვისი ყოფილიყო. თარგმნისას გარკვეული ხასიათის გადახვევები უკიდურესი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. თარგმანს ახლავს მხოლოდ ყველაზე აუცილებელი მცირე განმარტებანი სქოლიოში, იქ, სადაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი სიტყვა ან გამოთქმა პირველად არის გამოყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიის ძველი ქართული ხელნაწერები წინა საუკუნეებში ძირითადად ბერძნულიდან ითარგმნებოდა, „ხუთწიგნეულის“ მთლიანი ტექსტის ებრაულიდან ქართულ ენაზე შესრულებული ეს თარგმანი მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა და ითვლება ორიგინალიდან „ხუთწიგნეულის“ სრული ტექსტის პირველ ქართულ თარგმანად, რისთვისაც მან ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პრემია მიიღო.

ბიბლიის ძველი აღთქმის, თანახის, წიგნებიდან აბრაამ მამისთვალის კალამს ეკუთვნის „ქებათა-ქების“ თარგმანი „ლექსთა ლექსი“, რომელიც 1994 წელს გამოიცა ისრაელში [მამისთვალის, 1994].

ზოგადად, „ქებათა-ქება“ ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნებს შორის დაინტერესების თვალსაზრისით გამორჩეულია. ტექსტი 8 თავს მოიცავს და დიალოგებისგან და მონოლოგებისგან შედგება. შესრულებულია ურითმო, თეთრი ლექსის ფორმით და ჟანრის თვალსაზრისით, პოეტური ქმნილებაა. იგი სრულიად განსხვავდება ბიბლიის სხვა პროზაული წიგნებისგან როგორც ფორმითა და შინაარსით, ასევე სინტაქსური წყობითა, ენით და ლექსიკით. ეს სიმღერა მოგვითხრობს მწყემსი ბიჭისა და შულამელი გოგონას სასიყვარულო ამბავს. „ქებათა ქება“ გვიმხელს, რომ კაცს ზღაპრული სიმდიდრეც რომ ჰქონდეს, მაინც ვერ შეძლებს მოიგოს ყველა ქალის გული. მასში გადმოცემულია, თუ რა უშედეგოა მშვენიერი ქალწულის მოხიბვლა, რომელიც მწყემს ბიჭზეა შეყვარებული. ეს ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი თავშეკავებას, სიწმინდესა და ერთგულებას ავლენს. ღვთის შთაგონებით დაწერილ ამ სიმღერაში ნაჩვენებია, რომ სიწმინდის შენარჩუნება მაშინაც შესაძლებელია, როცა ქალ-ვაჟს ერთმანეთისკენ ძლიერი ლტოლვა აქვს.

ბიბლიური „კანონის ერთ-ერთი ავტორის, რაბი აკიბას, განცხადებით, ბიბლიის ყველა წერილი წმინდაა, მაგრამ „ქებათა ქება“ უწმინდესია მათ შორის. რაბი აკიბას შემდეგი თაობის ყველა კომენტატორი „ქებათა ქების“ ტექსტს ასევე ალეგორიულად განმარტავს... როგორც იუდეველი, ისე ქრისტიანი კომენტატორების თქმით, ქმნილების ცენტრალური იდეა არის ადამიანის ლტოლვა ღმერთისაკენ. სიმბოლიკა შემდეგია: ღმერთი მწყემსი ვაჟია – იუდეველებთან ძველი აღთქმის ღმერთი, ქრისტიანებთან – ქრისტე, რომელსაც მწყემსი ქალწული ანუ მისი სამწყსო, იუდეველებთან ისრაელი, ებრაელი ერი, ხოლო ქრისტიანებთან ეკლესია ელტვის“ [ზუცხრიკიძე, 2024].

„ლექსთა ლექსი“ წიგნის ებრაული სახელწოდების „šir hašširim“ ზუსტი თარგმანია, ხოლო ქართულში დამკვიდრებულია ტრადიციული სათაურით – „ქებათა ქება“. ლექსის სათაურთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება, თუმცა აბრაამ მამისთვალთვით ამ საკითხს განმარტავს შემდეგნაირად:

„...ქებათა-ქება არ არის წიგნის ზუსტი სათაური... ტექსტს სახოტბო ლექსის მიმართულება აქვს და არა ხოტბისა, ამიტომ მის შესატყვისად „ლექსთა ლექსი“ გამოიყენება...“. მიუხედავად იმისა, რომ „ლექსი“ ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტია ებრაული „šir“-ისა, სათაურში მაინც გვხვდება გარკვეული ტიპის ცვლილება, კერძოდ, წინადადების წევრები ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი.

წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა, თუმცა მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება ვლინდება ქართულ ენაზე თარგმნის შემთხვევაში. ბოლო დროის ქართველი მთარგმნელებიდან ეს წიგნი თარგმნა შვიდმა ძალიან ავტორტიტეტულმა შემოქმედმა - გერცელ ბააზოვმა, ნათან ელიაშვილმა, გრიგოლ ფერაძემ, ზურაბ კიკნაძემ, იცხაკ დავიძმა, შალომ დავიძმა და აბრაამ მამისთვალთვით. თითოეულის თარგმანი ავლენს ინდივიდუალობასა და გარკვეულ თავისებურებებს და კომპარატივისტული კვლევისთვის საინტერესო მასალას წაროადგენს.

აბრაამ მამისთვალთვის თარგმანი მაქსიმალურად ზუსტად მისდევს დედანს, თუმცა, ბუნებრივია, ზოგჯერ უწყევს დედნიდან მცირე გადახვევა, რაც აზრის უფრო ზუსტად გადმოცემის მიზნით ხდება და დამატებული სიტყვები ფრჩხილებშია ჩასმული. ასევე, მუხლებს წინ უძღვის მოქმედ პირთა სახელები. აბრაამ მამისთვალთვის თარგმანში შენარჩუნებულია ებრაული ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ჟღერადობა. მთარგმნელს უმეტესად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის გზით გადმოაქვს სახელები: შელომო, შულამითი, ირუშალაიმი, ციონი და ა.შ როგორც იუდაისტურ, ისე ქრისტიანულ კანონში ტექსტი მოთავსებულია „სოლომონის იგავებისა“ და „ეკლესიასტეს“ შემდეგ, რომელთა ავტორობაც ისრაელის მესამე მეფეს, სოლომონს, მიეწერებოდა, თუმცა ეს საკითხი მკვლევრებს შორის განიხილება სხვადასხვანაირად და სადაოდაა მიჩნეული [ნავროზაშვილი, 2021:73-74].

აბრაამ მამისთვალთვი არამხოლოდ თარგმნიდა და იკვლევდა ბიბლიის წიგნებს, არამედ რომანებშიც უხვად იყენებდა გამორჩეულ ციტატებს ბიბლიიდან, კერძოდ, ფსალმუნებიდან. ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ ცნობილი ფრაზა ფსალმუნიდან, რომელიც ჩართული აქვს რომან „ხლართებში“: „თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა [ლინკი,2:136;5].

აბრაამ მამისთვალთვისთვის, ისევე როგორც თითოეული ებრაელისთვის, რელიგიურ ვალდებულებებსა და წესებს, ბიბლიის მცნებებსა და კანონებს, ბიბლიის ფრთიან ფრაზებს უდიდესი დატვირთვა ჰქონდა, რის დასტურადაც ვიმოწმებთ „ხუთწიგნეულის“ შესავლიდან წიგნის ქართულად მთარგმნელების შემდეგ სიტყვებს: „საქართველოს ებრაელობა ყოველჟამს წმიდად ინახავდა გულში თორის მცნებებს. მშობლიური ენის დაკარგვის მიუხედავად, ჩვენი ერი მუდამ ერთგული რჩებოდა მოშეს თორისა. ჩვენ სასოებით ვისმენდით სალოცავში წაკითხულ სეფერ თორას და თვითონაც მოწიწებით ვკითხულობდით სიბრძნის, ისტორიის, სამართლისა და კულტურის ამ სწორუპოვარ ძეგლს. და ეს თავისებური ხარკი იყო ჟამთა სიავით დაკარგული მშობლიური ენისა და სწორედ ჟამთა სიავის ჯინაზე დაუკარგავი რწმენისადმი...“.

სწორედ ამიტომ აბრაამ მამისთვალთვი მუდმივად ზრუნავდა ქართული ებრაული თემის რელიგიურ ცნობიერების გაფართოებასა და განმტკიცებისთვის,

განსაკუთრებით კი ისრაელში რეპატრაციის შემდეგ. ისტორიულ სამშობლოში ცხოვრების დროს მან რამდენიმე წიგნი მიუძღვნა რელიგიურ საკითხებს, კერძოდ, ებრაულ კანონებს. 1988 წელს აბრაამ მამისთვალთვ აქვეყნებს თავის მორიგ წიგნს „სიდური ქართული ასოებით“ [მამისთვალთვ,1988]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნამდე რაბი მოშე ჰაკატან დავარაშვილს გამოუცია მსგავსი კრებული, თუმცა აბრაამ მამისთვალთვის მიერ შედგენილი „სიდური“ (ლოცვების წიგნი) გაცილებით ვრცელია და ბევრ მასალას შეიცავს. წიგნის დასაწყისშივე ებრაული თემის გამორჩეული წარმომადგენელი რაბი იაკობ დავარაშვილი აზრს გამოთქვამს „სიდურის“ ახალი გამოცემის შესახებ, მაღალ შეფასებას აძლევს მას და „სიდურს“ იწყებს სამადლობელი სიტყვებით: “უპირველესად ვადიდებ უფალ ღმერთს, - იქოს და იდიდოს მისი სახელი, რომ ღირსგვყო და ამოგვიყანა წმინდა მიწაზე - ერეც ისრაელში. საქართველოს ებრაელობისთვის ისრაელში ამოსვლის მთავარი მიზანი იყო „იკადუთი“ - რწმენა, სიყვარული მამა-პაპათა სამშობლოსი“. იგი მიიჩნევს, რომ წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს იმ ებრაელებს, რომლებმაც არ იციან ებრაული ენა, ებრაული წერა-კითხვა, თუმცა დიდი სურვილი აქვთ, რომ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ ლოცვები. მას მიაჩნია, რომ ეს „სიდური“ სასარგებლო იქნება არა მხოლოდ თორისა და წერა-კითხვის უცოდინართათვის, არამედ მათთვისაც, ვინც ყველაფერში გარკვეულია, თუმცა, საქართველოში ცხოვრების თავისებური პირობების გამო თავისდაუნებურად მიეჩვია ზოგიერთი სიტყვის არასწორ გამოთქმას. კრებულის შემდგენელი შეეცადა, რომ წიგნი იმ სახით მოემზადებინა, რომ გამოსადეგი ყოფილიყო მათთვისაც, ვისაც ორიგინალში კითხვაც შეეძლო და ლოცვების ნაწილი ზეპირად იცოდა.

„სიდური“ დიდაქტიკური ხასიათის წიგნია, სადაც ლოცვებთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი ლოცვასთან დაკავშირებული რჩევა-დარიგებები. სანიმუშოდ წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მათგანს:

„ჩვენი ბრძენი რაბები ამბობდნენ, რომ შთაგონების გარეშე ლოცვა იგივეა, რაც სხეული სულის გარეშე. ეს ნიშნავს: როცა ლოცულობ სხვა საგნებზე არ უნდა იფიქრო. აბა, დაუკვირდით: ხელში მოსაპირკეთებელი ბრილიანტი გიჭირავთ და ამ დროს სხვა საგნებს უყურებთ. როგორი გამოვა თქვენი მოპირკეთებული ბრილიანტი? შესაძლოა იმაზე უარესიც კი, რაც ადრე იყო. მაშასადამე, უმჯობესია, სულაც არ ილოცოთ, ვიდრე ილოცოთ აზნეულად, უსისტემოდ და იმ დროს სხვა რამეზე ფიქრობდეთ. ასევე ითქმის სალოცავში სიარულის შესახებ. თუ ყოველდღე არა, შაბათობით ხომ მაინც შეგიძლიათ მიხვიდეთ მცირე დროით...ოღონდ აქაც სიფრთხილეა საჭირო. ვინც სალოცავში იმიტომ მიდის, რომ ნაცნობ-მეგობრებს მთელი კვირის ამბები გამოჰკითხოს ან მომავლის გეგმებზე ელაპარაკოს, ურჩევნია სულაც არ მივიდეს. ასეთ შემთხვევაში იგი თვითონაც სცოდავს და სხვებსაც აცოდებს, ჯამათს ხელს უშლის ლოცვაში...“

წიგნის შემდეგი ნაწილი ეთმობა ებრაული ენის გრამატიკას. ყურადღება გამახვილებულია სასვენ ნიშნებზე, ვინაიდან ლოცვებში ისინი სწორად უნდა იქნეს დაცული. შემდეგ არამეცნიერულ დონეზე, პრაქტიკული მიზნებისთვის დახასიათებულია ბგერები და მათი გამოთქმის თავისებურებანი. აქვე განმარტებულია ის, რომ ვინაიდან „სიდური“ ლოცვების კრებულია, ის მხოლოდ ორიგინალის ენაზე, ებრაულად, უნდა იქნეს შესწავლილი და არა ქართული თარგმანით. თუ ვინმე ტექსტში გარკვევის მიზნით მოიკითხავს ლოცვას, ქართულ ენაზე უნდა იხილოს ამონარიდები ფსალმუნიდან, რომელიც თითქმის ყველა ლოცვას ახლავს და თარგმნილია ქართულადაც. მცირე გრამატიკული მიმოხილვის

ბოლოს წარმოდგენილია ებრაული ანბანი - თანხმოვნები სახელწოდებებით.

სანიშნოდ წარმოვადგენ ერთ-ერთ ლოცვას:

תוּחַח - დილის ლოცვა, რის შემდეგაც დართულია ლოცვის ებრაული ტექსტი ქართული ასოებით, რომელსაც ბოლოს ახლავს შენიშვნა ქართულად: „ნეტილის აღება (ხელის რიტუალური განბანვა) არ არის მხოლოდ ხელის დაბანა. ხელის დაბანისას ადამიანი ფიზიკურად სუფთავდება, ნეტილის აღებისას - სულიერად. ახალგაღვიძებული ადამიანი ხელს არაფერს მოკიდებს მანამ, სანამ ნეტილას არ აიღებს: არც რაიმე ნივთს, არც სხეულის რომელიმე ნაწილს, არც სამოსს...“. შემდეგ კი დეტალურად არის აღწერილი ნეტილას აღების მთელი რიტუალი.

წიგნი აგებულია შემდეგი პრინციპით: ლოცვის სათაური ებრაულად და შემდეგ ქართულად. მთელ წიგნში წარმოდგენილია ლოცვის ტექსტი ებრაულ ენაზე. ლოცვის ებრაული სიტყვები ჩაწერილია ქართული ასოებით. ზოგან ქართულად არის დართული შენიშვნა განმარტებით, თუ ამა თუ იმ ლოცვას რა ქმედება უნდა ახლდეს, ან როდის არის წასაკითხი – დილას თუ საღამოს, მარხულობის დროს(გვ.79), თვის დასაწყისში, უქმე დღეებში თუ შაბათს, ან დღესასწაულებზე სათაურით „ხანუქაზე ან ფურიმზე წასაკითხი“ (გვ. 82). ზოგჯერ მითითებულია წელიწადის დრო - ზაფხულში ან ზამთარში წასაკითხი და ა.შ.(გვ. 77). ზოგიერთ ლოცვას ახლავს მითითება: „ამას კითხულობენ ბეთ ჰა-ქენესეთში (სინაგოგაში) ლოცვისას...“ ან „ამას უმინიანოდ ( 10 კაცისგან შემდგარი ჯამათი) ლოცვისას არ კითხულობენ“ ან „ამას წაიკითხვენ ხუთშაბათობით“, „ზაფხულის შემოლოცვა ფესახის პირველ დღეს“ „მთვარის კურთხევა“ და ა. შ... მაგალითად, ხანუქის დღესასწაულის ლოცვას უძღვის შემდეგი განმარტება:

„ხანუქაზე ლოცულობენ ჩვეულებრივ, ოღონდ უმატებენ შესაბამის ნაწყვეტებს...რვა დღის განმავლობაში შელამებისას ანთებენ სანთელს; პირველ ღამეს ერთს, მეორე ღამეს - ორს და ა.შ. უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ღამე დამატებით ინთება წინასწარ თითო სანთელი, ეგრეთწოდებული „შამში“ (გვ.355).

განმარტება ახლავს ფურიმის დღესასწაულის ლოცვასაც:

„ფურიმის ღამეს ლოცვის დაწყების წინ წაიკითხვენ 22-ე მიზმორს „თეჰილიმიდან“ (22-ე მუხლს ფსალმუნიდან)“(გვ.357), თუმცა, ლოცვების უმეტეს ნაწილს არანაირი განმარტება არ ახლავს, რაც ქართული ასოებით ჩაწერილი ებრაული ტექსტის გაგების სირთულეებს წარმოქმნის.

წიგნში აღწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი რიტუელი: ბერით მილა (ნათლობა, იგულისხმება წინდაცვეთის რიტუალი) (გვ.391), ქორწინების ცერემონიალი - „კიდუშინ“(გვ.394) და ა.შ.

წიგნის ბოლოს მოცემულია ისრაელის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღები და აქა-იქ ჩართულია რეკლამები და განცხადებები, რაც ასეთი ტიპის გამოცემისთვის მოულოდნელ სიახლეს წარმოადგენს.

სიდურის ენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსაკუთრებით თვალშისაცემია ებრაიზმები, რომელიც ყოვლგვარი განმარტებისა და თარგმანის გარეშე მიმობნეული ქართულ ტექსტში: ნეტილა, მიზმორი , შახრითი, ბირქა, ზემიროთი, მუსაფი, კიდუში, ყამიდა, მინხა, კიდუშინი, ბერით მილა და სხვა მრავალი. უთარგმნელი სიტყვების გარდა წიგნში ბევრი ნიუანსი ბუნდოვანია და განმარტებას საჭიროებს.

ლოცვების სრულყოფილი კრებულის შედგენის მიზნით, აბრაამ მამისთვალთვამ დამატებით იმუშავა და 2000 წელს გამოსცა ახალი წიგნი „ლოცვების დანართი ანუ დამატებანი“[მამისთვალთვი, 2000]. ამ წიგნში ძირითადად შეტანილია ის ლოცვები, რომლებიც წინამორბედ „სიდურში“ ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის

შეტანილი. ამ წიგნში ყურადღება გამახვილებულია იმ „მცირე“ ლოცვებზე, რომლებიც ჩვეულებრივ სიდურებში არ გვხვდება და ქართველი ებრაელები ადრითგანვე იცავდნენ მათი წაკითხვის ტრადიციას, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებდნენ მასალის უქონლობისა და ებრაული ენის უცოდინრობის გამო. დანართის შესავალში ვკითხულობთ:

„...არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სიდურში გადმოცემულ ყოველდღიური ლოცვის ტექსტებს, როგორცაა, მაგალითად, სიმხიარულისა და გლოვის ამსახველი მომენტები - ადამიანის დაბადება, სიყმაწვილის ჟამი, ოჯახის შექმნა და გარდაცვალება.“

„დამატებაში“ განხილულია მრავალი ახალი ლოცვა და ზოგიერთი რიტუალური საკითხი. მაგალითად, „იარცაიტის“ (გარდაცვალების წლისთავის) დადგენა; კრებულში შეტანილია „იარცაიტის“ დასადგენი კალენდარი; განხილულია სანთლის ანთების წესები; აბელობის (ჭირისუფლის) წესები; მიცვალებულის გაპატოსნების რიტუალი; კადიშების (მიცვალებულის მოსახსენიებელი ლოცვები) წაკითხვის წესები; ვაჟის დაბადებისა და ბარ მიცვას რიტუალი<sup>12</sup> და ა.შ.

ვლინდება ისეთი შემთხვევებიც, როცა გარკვეული ტრადიციები, რომელიც ქართველი ებრაელების მიერ საქართველოში ცხოვრების დროს დაცული იყო, ისრაელში აღარ სრულდებოდა. მაგალითად, წიგნის მე-17 გვერდზე ვკითხულობთ:

„საქართველოს ებრაელებს ტრადიციად ჰქონდათ: ვაჟი რომ დაიბადებოდა პირველივე შაბათის ყარბითის ლოცვის დროს მღეროდნენ: “იეჰი შალომ ბეხელენუ...“. ეს ტრადიცია აქ, ისრაელში, პირადად ძალიან იშვიათად ან სულაც არ შემინიშნავს, მით უმეტეს ადგილობრივებთან...“ - აღნიშნავს აბრაამ მამისთვალოვი.

დანართის ტექსტიც, ისევე როგორც სიდურის პირველი გამოცემა, უხვად შეიცავს ებრაიზმებს, უთარგმნელ სიტყვებსა და განუმარტებელ ტერმინებს, რის გამოც ტექსტის შინაარსის გაგება ებრაულ რელიგიურ ტერმინოლოგიაში და ადათ-წესებში გაუთვითცნობიერებულ პირს ძალზედ გაუჭირდება.

ამრიგად, აბრაამ მამისთვალოვის მრავალთემიან და მრავალმხრივ შემოქმედებაში განსაკუთრებულად წამყვანი და მნიშვნელოვანია რელიგიური ხაზი, რაც წარმოდგენილია როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ნაწარმოებებით. მწერლის მიზანია, პრაქტიკულად გამოყენებადი წიგნებით დაეხმაროს ისრაელის ქართულენოვან თემის წარმომადგენლებს რელიგიური ცნობიერების შენარჩუნებასა და გამდიდრებაში, გაუადვილოს მათ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ადათ-წესებისა და რიტუალების შესრულება.

#### ლიტერატურა:

**ბუცხრიკიძე, მ.** (2024). „ქებათა-ქების“ იდეურ-სტრუქტურული რემინისცენციები „ვეფხისტყაოსანში“. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VIII კონფერენციის მასალები. თამაზ ჩხენკელი-97. ივანე ჯავახიშვილი სახელობის ჰუმანიტარული ფაკულტეტი...დეკემბერი. თბილისი. 15-18.

**გულედანი ლ.** (2024). ებრაული სამართლის სეფარდული და აშქენაზური კოდექსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“, N18; IV,(171-176).

<sup>12</sup> ტერმინი „ბარ მიცვა“ ნიშნავს მცნების შვილს. ტერმინი „ბათ მიცვა“ ნიშნავს მცნების ასულს. 13 წლის ასაკში ებრაელი ბიჭი ითვლება საკმარისად მომწიფებულად, რათა შეასრულოს მიცვას ვალდებულება (მცნებები), ხოლო ებრაელი გოგონა ითვლება მიცვას ვალდებულებების შემსრულებად. ბარ მიცვას ან ბათ მიცვას ცერემონია ზრდასრულობის აღიარებაა; როგორც ზრდასრული, ის იზიარებს ებრაული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრის პასუხისმგებლობებსა და პრივილეგიებს.

გულედანი ლ. (2025) ებრაული სამართლის კოდექსის ( דברי חיים ) ქართული ვერსია. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXIX. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

მამისტვალოვი, ა. (1988). სიდური ქართული ასოებით. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (1994). ლექსთა ლექსი. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (2000). ლოცვების დანართი ანუ დამატებანი. თელ-ავივი: „შუქურა“.

მამისტვალოვი, ა. (2005): ხსოვნა, საქართველოს რესპუბლიკა. თბილისი, 25 ნოემბერი. N273 (5306). 8გვ.

ნავროზაშვილი, ე. (2021). აბრაამ მამისტვალოვის ერთი თარგმანის შესახებ. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილი სახელობის ჰუმანიტარული ფაკულტეტი... სექტემბერი. თბილისი. 71-78.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1988). წიგნი პირველი. ბერეშით. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1988). წიგნი მეორე. შმით. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მესამე. ვაიკრა. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მეოთხე. ბემიდბარ. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი: „შუქურა“.

ხუმში ქართულ ენაზე (თორის ხუთწიგნეული). (1989). წიგნი მეხუთე. დებარიმ. მთარგმნელები: აბრაამ მამისტვალოვი, გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), თამარ მამისტვალოვი-კეზერაშვილი. თელ-ავივი: „შუქურა“.

#### ინტერნეტ რესურსები:

1. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00022829/>
2. <https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/fsalmunni/fsalmunni-136.htm>

## Georgian-Language Religious Literature Published in Israel - Abraham Mamistvalov

Lali Guledani  
Ilia State University, Tbilisi

### Abstract

Jews have lived in Georgia for many centuries. In the 1970s of the 20th century, they began a mass repatriation (“aliyah”) to their historical homeland—Israel. The initial years of this “aliyah” were characterized by severe economic and social problems for Georgian Jews. To settle in a new country, they had to overcome linguistic and everyday challenges. Despite these difficulties, Georgian Jews successfully engaged in literary activities. Works of various genres and themes were produced in the Georgian language, the acquisition and study of which are necessary for a complete presentation of Georgian-Jewish literary relations. Also interesting is the linguistic and literary study of Georgian-language publications produced in Israel, which can reveal similarities and differences, linguistic features, and innovations in literary expression methods that may be due to changes in residence and social environment.

In Georgian-language literature published in Israel, religious works are of particular importance. Jews, wherever they lived, considered religious faith and the observance of religious obligations to be a sacred duty that saved this nation from destruction. While living in Georgia, they resided in separate neighborhoods, built synagogues, prayed, and strictly observed the rules and traditions of the Torah. In Israel, Georgians continue their traditional

religious life, although they have more opportunities to enhance their religious awareness in the Promised Land alongside fellow Israelis. This was facilitated to some extent by Georgian-language religious works published in Israel, as most Georgian Jews knew only Georgian perfectly.

Various types of religious works were published in Israel, including books of the Bible, elementary issues of the Torah, prophetic passages, basic prayers in Hebrew, information about prominent rabbis and Talmid khakhamim in the Georgian Jewish community, translations of prayers and mitzvot, explanations of the attributes and theology of Judaism, discussions of Judaism in modern conditions, halakhic rules in Georgian (שלחן ערוך), and more.

Several books by the writer Abraham Mamistvalov have a religious nature, which are examined and characterized in this article, along with prayers, explanations, and notes. After analyzing the texts, it is noted that the religious aspect is particularly prominent and significant in the multi-thematic and multi-faceted work of Abraham Mamistvalov, represented by both translated and original works. The writer's goal is to assist representatives of the Georgian-speaking community in Israel in preserving and enriching their religious consciousness with practically applicable books and to facilitate the observance of customs and rituals established over centuries.

***Keywords:*** *religious works, Bible, verse of verses, Siddur, additions to the laws.*

## დოკუმენტური თხრობის ზოგიერთი ასპექტი XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში

კობიაშვილი მაია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.48>

**აბსტრაქტი.** საბჭოთა ლიტერატურული პროცესების მიმართ საზოგადოების ცხოველი ინტერესი დღემდე არ ცხრება, რაც აშკარა გამოწვევაა კრიტიკოსებისთვის ძირეულად გაანალიზონ, თუ როგორ აისახა გასაბჭოების სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებებში.

ეროვნული თვითმყოფადობის საკითხში ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ორჭოფობა. სურვილი და მიზანი ერთი აქვს, მაგრამ მიზნისკენ სწრაფვაში ნაკად-ნაკად მიდის, ჩერდება, მიდის, ჩერდება, ზოგჯერ გადაუხვევს გზიდან. ამ პროცესს განაპირობებს პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული ფაქტორები.

დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოს, სიხარული შეცვალა საბჭოთა წითელმა დროშამ, როგორც ახალმა იდეოლოგიურმა რელიქვიამ.

უმძიმესი იყო 1918 წლის მონაპოვრის განადგურება. 1921 წლის ტრაგიზმმა ლიტერატურაში გააჩინა ორი ძირითადი ნაკადი: გასაბჭოების მეხოტბენი ანუ პროლეტარული მწერლობა და თავზარდაცემული ჭირისუფალნი, რომელთაც რეჟიმმა აღუკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ დოკუმენტური სიზუსტით შექმნილ მწერლობას, რომელსაც უმნიშვნელო ელფერად გასდევს გრძნობები, ემოციები და მხატვრულობა.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ცისფერყანწელ ნიკოლო მიწიშვილის დოკუმენტურ პროზაულ ნაშრომზე - „თებერვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაზე - „დიდი იოსები“, კოლაუ ნადირაძის ლექსზე - „1921 წელი, 25 თებერვალი“.

მიწიშვილის შემოქმედებას ნიშნულად გამოარჩევს დოკუმენტურობა. აქვს კიდევ სტატია „დოკუმენტალური პროზა“, რომელშიც გამოხატავს პოზიციას, რომ თანადროული ვითარება მწერალს აიძულებს წეროს მხოლოდ ნამდვილი, შეულამაზებელი ცხოვრება, რადგან, მისივე სიტყვებით, „გამოგონილ ამბავს სჯობნის ნამდვილი ამბავი“.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალურმა ჟანრმა ფეხი მაინცა და მაინც ვერ მოიკიდა ჩვენში, აღნიშვნის ღირსია, რომ მისი მცდელობა ნიკოლო მიწიშვილის სახელს უკავშირდება.

ისტორიული სინამდვილის შეუნიღბავად გადმოცემა ლიტერატურაში, მწერლობაში დიდი რისკიანაა, გამბედაობაც, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ჩვილისთვის იავნანა, ბავშვისთვის ზღაპარი, რადგან სიტყვა ბანგივით ზემოქმედებს ადამიანებზე და ითრევს თავის წიაღში. წარსულის გაკვეთილებად უნდა აღიქვას ფართო მკითხველმა აქ განხილული ნარატივი და დაუკავშიროს ისტორია თანადროული ცხოვრების გამოწვევებს.

**საკვანძო სიტყვები:** ეპოქალური მოვლენები. ბოლშევიზმი. რევოლუცია. გასაბჭოება. მიგრაცია. დოკუმენტური ლიტერატურა.

XX საუკუნის ლიტერატურული პროცესები, ფაქტობრივად, განაპირობა სოციალისტური რეალიზმის ფონზე განვითარებულმა ეპოქალურმა მოვლენებმა. ბოლშევიზმი, რევოლუცია, გასაბჭოება, ტოტალიტარიზმი, ბელადი, რეპრესიები... ამ

ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე საუკუნეში ლიტერატურა, ცხადია, ვერ აიცილებდა თავიდან სინამდვილის ასახვას.

საბჭოთა ლიტერატურული პროცესების მიმართ საზოგადოების ცხოველი ინტერესი დღემდე არ ცხრება, რაც აშკარა გამოწვევაა კრიტიკოსებისთვის ძირეულად გააანალიზონ, თუ როგორ აისახა გასაბჭოების სინამდვილე მხატვრულ ნაწარმოებებში.

XX საუკუნის მთავარი მონაპოვარი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტია. მას ქართული საზოგადოება დღემდე განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ეს იყო 117-წლიანი მონობიდან გათავისუფლების, საქართველოს ახლიდან დაბადების დღესასწაული. ამ დოკუმენტმა ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა შორეულად ესახებოდა იმჟამინდელ ელიტას, 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ სურათი და განწყობა-დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ლიტერატურა მარად კისრულობდა „ტრიბუნის“ როლს, ხშირად „მესაჭისაც“. ამიტომაც, არავის გაუკვირდება, რომ მოვლენათა კვალდაკვალ მწერლები შემოქმედებით მუხად იხდიდნენ სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებით გაპირობებულ სიხარულსა და სიამაყეს. ამ განწყობათა პარალელურად ქვეყანაში იგრძნობოდა ხალხის ერთგვარი შიში, შემფოთება ანტირუსული პროპაგანდის გამო, „რადგან ფიქრობდა, რომ ამ იდეის განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის საკმაოდ „დიდი ზიანის მოყენებაც შეეძლო“ და საქართველოს „სასაკლაოზე მიყვანაც“(ნიკოლეიშვილი ა. „ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში(1917-1921)“. თბილისი, შპს „გამომცემლობა სამშობლო“ 2023. 139). შფოთვის საფუძველი კი გახლდათ არასაიმედო ეკონომიკური მდგომარეობა. ამ საკითხში საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შეფასება: „ევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს“(ნიკოლაძე, 1962: 265).

აშკარაა, საუკუნის გამორჩეული ფიგურა ნ.ნიკოლაძე „უპერსპექტივო და ნაკლებად სასარგებლო“(ა.ნ. გვ.140) საქმედ თვლიდა საქართველოს ევროპულ ორიენტაციას და ამგვარად უპირისპირდებოდა XIX საუკუნის რეალისტურ ტენდენციებს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს, აკ.წერეთელს და სხვ.

ეროვნული თვითმყოფადობის საკითხში ქართულ საზოგადოებას ახასიათებს ორჭოფობა. სურვილი და მიზანი ერთი აქვს, მაგრამ მიზნისკენ სწრაფვაში ნაკად-ნაკად მიდის, ჩერდება, მიდის, ჩერდება, ზოგჯერ გადაუხვევს გზიდან. ამ პროცესს განაპირობებს პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული ფაქტორები. საქართველო სანამ გაიმართება, მას მუდამ სჭირდება ხელის შემშველბელი ძალა, ამ დასაყრდენს კი მუდამ „სთავაზობდა“ ხან არაბეთი, ხან ბიზანტია, ხან ირანი, ოსმალეთი და უკანასკნელ საუკუნეებში რუსეთი. ევროპას გვიანდელი შუასაუკუნეებიდან დღემდე საქართველოსთვის მყარი დასაყრდენი არ შეუქმნია. მხოლოდ შეთავაზებისა და შორეული პერსპექტივის მკრთალ შუქურად ისახება. (უკანასკნელ პოლიტიკურ ვითარებაში კი სრული ქაოსია ამ მიმართულებით).

1918 წლის მოვლენამ საქართველოს ახალი ყალიბი, მკვეთრი მიზნები გაუჩინა. დამოუკიდებლობის სიხარულმა ქართულ მწერლობაში გააჩინა დითირამები, 26 მაისს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ეროვნულ დროშას უძღვნიდნენ პოეტები ლექსებს.

თუმცა, 1921 წლის უმწვავეს მოვლენასთან ერთად ეს ერთი ფაქტობრივი ნარატივი თვალსა და ხელშეუა განიცდის ცვლილებას ერთი რეალობიდან მეორეში გადასვლით. ბევრი „თანამგზავრი“ შეუერთდა საბჭოთა დაკვეთას - „მწერალთა გაპროლეტარებას!“ როგორც აკაკი ბაქრაძე იტყვის თავის „მწერლობის მოთვინიერებაში“, „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი - მწერალ-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით - აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ (ბაქრაძე 1990: 41)

ამგვარი პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებდა მაგალითად, გიორგი ლეონიძე. თუ ის ლექსში „საქართველო“ „ორი ათასი წლის ნაომარ დროშას“ ეფერება, „მზიან მხარეს“ არ ინდობდა „მეზობელი თუ გათამთიელი“, მაგრამ პოეტი გახარებულია და ამაყად მიმართავს საქართველოს: „შენ ისევ დგახარ“, რადგან „დასაბამიდან ანდერძად გქონდა თავისუფლება გულს დასახული“, ორმაგ სახეს ვაწყდებით სხვა ლექსში. კერძოდ, ერთ ლექსში, რომლის სათაურად რუსთაველისგან დაუსესხია სიტყვები: „ალმითა წითელ-შავითა“. ევროპაში, კერძოდ, პრალაში მყოფი პოეტი „ერთ მეისტორიესთან“ დიალოგს იხსენებს:

„შეკითხვა მომცა ბაასდართული:

- რა ფერის დროშა გქონდათ ქართველებს?...  
თუმც საქართველო ბევრჯერ გათელეს,  
მაინც ხართ ხალხი სახელოვანი!“

.....

ფერი დროშისა ბევრის მთქმელია,  
თანაც სიმაგრე დროშის ტარისა“...

რაზეც ლირიკული გმირი, ანუ თავად პოეტი პასუხობს:

- „ - ჩვენ შინდისფერი დროშა გვქონია,  
შავის არშით შემოვლებული!“

გიორგი ლეონიძე განმარტავს დროშის ფერების სიმბოლურ მნიშვნელობას:

„ჩვენგან დაღვრილ სისხლს  
თურმე ნიშნავდა  
ფერი შინდური,  
სისხლური ფერი...  
მწარე, შავ დღებს ჩვენი წარსულის  
მოასწავებდა შავი არშია;

დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს დროშაზე ხომ აღტაცებულ სტრიქონებს ქმნის, რომ შინდისფერი დროშა შავი არშით ასახავდა ეროვნულ იდენტობას, თუმცა პარადოქსულია ლექსის დასასრული, სადაც პოეტი ბოროტ ძალაზე გამარჯვების სიმბოლოდ ასახელებს „დროშა წითელს“, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია და კომუნისტური ეპოქის სიმბოლო, ლექსში ვხედავთ ლეონიძის უცნაურ გარდასახვას. დამოუკიდებელი საქართველოს დროშის, როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოს, სიხარული შეცვალა საბჭოთა წითელმა დროშამ, როგორც ახალმა იდეოლოგიურმა რელიქვიამ, რომლის მიმართაც იკვეთება პოეტის ერთგულება ლექსის ფინალში:

- „ამაყად იდგა ერი ნაჩეხი,  
და არ დაუთმო შავ ფერს სამშობლო!  
ხალხი როდისმე განა ვალშია?“

ბედს თუ ეძინა,  
ხალხს არ ეძინა,  
დროშის კალთების შავი არშია  
ოქტომბრის ქარცეცხლს დააწეწინა!  
ხელში აიღო დროშა წითელი,  
გახდა ერთგული მისი მტვირთველი...“  
(ლეონიძე, „საქართველო“, 1959)

დიახ, ეს რეალობაა. ქართველი მწერლების საუკეთესო ნაკადი განიცდიდა ამგვარ ტრანსფორმაციას. ეპოქის ტრაგიკული პოლიტიკური ცვლილება - დამოუკიდებლობიდან საბჭოთა ოკუპაციამდე - მეოცე საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო.

ჩვენი ყურადღების ფოკუსი ამჯერად გავასწორეთ სწორედ დოკუმენტურ მხატვრულ ლიტერატურაზე, რომელიც ფაქტებს ემყარება და არა სინამდვილის ალეგორიულ, მეტაფორულ აღქმას.

უძმომესი იყო 1918 წლის მონაპოვრის განადგურება. 1921 წლის ტრაგიზმმა ლიტერატურაში გააჩინა ორი ძირითადი ნაკადი: გასაბჭოების მეხოტბენი ანუ პროლეტარული მწერლობა და თავზარდაცემული ჭირისუფალნი, რომელთაც რეჟიმმა აღუკვეთა შემოქმედებითი თავისუფლება. ლიტერატურასა და, ზოგადად, ისტორიაში ეს იყო ტერორის, განუკითხაობის, ანგარიშსწორებისა და დაუნდობლობის ეპოქა, იდეოლოგიური ზომბირების გზით ხდებოდა მწერალთა ჩაყენება ტოტალიტარული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში.

ამ უძმომესი პოლიტიკური და სოციალური არეულობის ფონზე მივიღეთ პარადოქსული, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიური ნარატივი, ცხადია, თუ საკითხს ასე დავაყენებთ, ვის ან რას ემსუხურებოდა ქართული მწერლობა, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივანიჭოთ დოკუმენტური სიზუსტით შექმნილ მწერლობას, რომელსაც უმნიშვნელო ელფერად გასდევს გრძნობები, ემოციები და მხატვრულობა.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ცისფერყანწელ ნიკოლოზ მიწიშვილის დოკუმენტურ პროზაზე „თებერვალი“, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაზე „დიდი იოსები“, კოლაუ ნადირაძის ლექსზე „1921 წელი, 25 თებერვალი“.

ისტორიული და პოლიტიკური რეალობის ზუსტი ასახვა მწერალთა მხრიდან ერთგვარი თამაშიც იყო, სინამდვილე, როგორც ნილაბი და როგორც პროტესტი. მაინც უნდა ითქვას, რომ გაბედული ნაბიჯი იყო.

ნიკოლოზ იოსების ძე მიწიშვილი (სირბილაძე) 1896 წლის 3 ნოემბერს დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ჯვარისაში, ღარიბი გლეხის (მჭედლის) ოჯახში. მან დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, დაამთავრა ორწლიანი სამასწავლებლო კურსები და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ვანის რაიონის სოფლებში - ტობანიერსა და საჩინოში. მწერლობაში 16 წლისა, 1912 წლიდან გამოჩნდა. ის იყო ცისფერყანწელთა ჯგუფის აქტიური წევრი.

1922-1925 წწ-ში ის იმყოფებოდა საფრანგეთში, სადაც კომუნისტური პროპაგანდის გამო დააპატიმრეს, საფრანგეთიდან სამჯერ გაასახლეს, 1925 წლიდან კი ბრუნდება სამშობლოში და ერთვება საბჭოთა აღმშენებლობაში.

ნ.მიწიშვილი არ გამოირჩეოდა თვალშისაცემი პოლიტიკური ორიენტაციით, არც სოციალისტური და არც დემოკრატიული მკვეთრი არჩევანი არ გამოუხატავს.

იყო ე.წ. „პასიური ოპოზიცია“.

მის შემოქმედებას ნიშნულად გამოარჩევს დოკუმენტურობა. აქვს კიდევ სტატია „დოკუმენტალური პროზა“, რომელშიც გამოხატავს პოზიციას, რომ თანადროული ვითარება მწერალს აიძულებს წეროს მხოლოდ ნამდვილი, შეულამაზებელი ცხოვრება, რადგან, მისივე სიტყვებით, „გამოგონილ ამბავს სჯობნის ნამდვილი ამბავი“ (ქართული მწერლობა; 1928; იანვარი).

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალურმა ჟანრმა ფეხი მაინცა და მაინც ვერ მოიკიდა ჩვენში, აღნიშვნის ღირსია, რომ მისი მცდელობა ნიკოლო მიწიშვილის სახელს უკავშირდება: „რამდენადაც ვიცი, ჩემი ცდა იყო პირველი მაგალითი საქართველოში ყველა თეორიულ დეკლარაციაზე ადრე“(ნ.მ).

მიწიშვილის მთავარ ნაწარმოებად უნდა ჩათვალოს „ეპოპეა“, რომელიც წარმოადგენს ქართულ ქრონიკას რევოლუციის დროიდან, ვითარება გაშლილია საქართველოში და საზღვარგარეთ. (მიწიშვილი ნ. 1958; გვ. III-XII)

ერთი განსაკუთრებული რეალობა ნაწარმოების პირველივე გვერდზე ეცემა თვალში მკითხველს: „ცხოვრება არის კვამლი, ნაცარი და საუბარი“(ავტორი მარკუს ავრელიუსი)... მწერალი საცოდავი კაცია დღეს. ახლა აღარ კმარა იყვე ის, რაც ბუნებით ხარ მოცემული. დღეს საჭიროა მწერალი უნდა იყვეს რევოლუციონერი, მებრძოლი, თანამედროვე. უნდა აღწეროს მან მიმდინარე ცხოვრება, ყოფა; ემსახუროს ხალხს და მიჰყვეს რევოლუციას ფეხდაფეხ. სჭირს...“

მწერალი თავის ერთ-ერთ წიგნს, „გარდაცვალება“ ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით, ევროპავ, და მშვიდობით, ახალგაზრდობავ... შინ! შინ! სახლისაკენ! მიწისაკენ! ჩემო მიწავ და ჩემო თავსაფრიანო დედავ. ზარებმა შესწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში, მაგრამ ხარები ისევ ბღავიან ჩვენსას, კოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს. მეც დავუბრუნდი ჩემს ამწვანებულ მიწას“ (იქვე: 480. ეს აღიარება ერთ ფაქტობრივ ნიმუშად ღირს, მართალია სევდიანი ტონი იგრძნობა, მაგრამ მიბრუნება მიწისაკენ აშკარად იგრძნობა.

ლექსში „ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი“, რომელზეც შესანიშნავი განხილვა აქვს მანანა ჩიტიშვილს(ჩიტიშვილი 2006), როგორც არა მხოლოდ ტრაგიკული სცენის, არამედ როგორც მსოფლმხედველობრივი გაკვეთილისა, ჰაჯის ტრაგედია გენერალური გაფრთხილებაა ძალთა წინააღმდეგ მიმართული არჩევანისა. მიწიშვილი ორჭოფობის, ორმაგობის წინააღმდეგია, როცა დაღესტნელი ჰაჯი მურატის მოკვეთილ თავს შამილი „გამყიდვლისას“, ხოლო ვორონცოვი „მოღალატისას“ უწოდებს:

„მაგრამ, თუ იბრძვი - სამუდამოდ უნდა იცოდე, გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით“. (იქვე: 202)

დოკუმენტურ „წყაროდ“ გამოდგება ნიკოლო მიწიშვილის „თებერვალი“, რომელიც ლაბორატორიული სიზუსტით აღწერს 1921 წლის 17-18 მარტს საქართველოდან მენშევიკური მთავრობის წასვლისა და მთავრობაში ბოლშევიკთა მოსვლის ფაქტებს. ის დაიწერა პარიზში, ისტორიული მოვლენიდან ორი წლის შემდეგ.

მიწიშვილის „თებერვალი“ საქართველოს პროფკავშირის გამომცემლობამ 1927 წელს დაბეჭდა გაზეთ „შრომაში“(გვ.73).

ნაწარმოების ღირებულებას ზრდის ის გარემოება, რომ მიწიშვილი არის მოვლენათა უშუალო თვითმხილველი. მონოტონური, ნერვიული, დაძაბული თხრობაა:

„ბათომს წითლები უახლოვდებიან... მთავრობა დაქსაქსულია.

... იყო სადღაც კრებები. თათბირი და ბჭობა. ვიღაცა ელაპარაკებოდა ვიღაცას. ვიღაცა სწყვეტდა საქმეს მნიშვნელოვანს და ამას აცხადებდა. ვიღაცა არ აცხადებდა არაფერსაც. ვიღაც მოითხოვდა ხელთათმანებს, თივას და აბჯანდებს. ვიღაცა იჯდა ვაგონში და არავის არ ლებულობდა“. აშკარაა, ავტორი იყენებს „დეკემურ სტილს“ (ან), ვითარებას გადმოსცემს ფრაგმენტებად:

„იყო მარტი. 1921 წელი. ქალაქ ბათომში. ამ დღეს ბათომი გასხვანაირდა. ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა (მენშევიკები), ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი), ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა შემდეგი დღე, ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ: ქალაქი დაიკავეს ბოლშევიკებმა... ახლა შეტრიალდა კანონები უკულმა“. მწერალი სტიქიონს ადარებს „წითელ ღვარცოფს“ (მ.კ), რომელიც მოასკდა კავკასიონს და ზღვასთან გაჩერდა. (მიწიშვილი. 2006. (2); 16), სწორედ ამ ღვარში დაინთქა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. თხრობას ერთგვარ ექსპრესიას მატებს მიწიშვილის განმარტება „ორი გზის“ თაობაზე, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ინტელიგენცია: „გზა ზღვისკენ“, ანუ ევროპისკენ და გზა „ზღვის ნაპირამდე“. ავტორი განმარტავს: „ორივე გზა იყო საშიში. ორივე გზა უფსკრულებზე. სიარული დანის პირზე“ (იქვე: 16).

ქვეყნიდან გაქცევის, მასშტაბური მიგრაციის სურათი სწორედ მარტის დღეების ქრონიკაში შემოგვინახა, რასაც თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისთვის სასიგნალო მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რამდენადაც წარსულის გაკვეთილები საზოგადოებას ეხმარება მომავლის განჭვრეტაში.

მარტის იმ მძიმე დღეებში ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი უცხოეთში გასაქცევად ემზადებოდა. „ვაჭრობდნენ სარეკორდოდ და უჩვეულოდ: - ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორნები... იდგა სამფეხიანი აპარატი ყველა მოსახვევში... სურათის გადაღება საჭირო იყო (აუცილებლად) საგარეო პასპორტისთვის... ფასი დაედო ძალზე ჩემოდნებს... სისხლის ფასად, მაგრამ ჩემოდნები სადღებოდა მაინც...

მილოღავდა ქუჩაზე: ეტლები, ფურგონები, საბარგო მანქანები.

მიჰქონდათ: ნოხები. სკამები. კალა. ჟესტის ყუთები, თბილი საბნები ბარდანებად შეკრული“.

ყველაფერს ათოვდა. და სატიროდა გზაზე წვირიანი თოვლი.

...ქუჩაში ყიდდნენ დარცხვნილი ხმით „ერთობას...“ (მიწიშვილი ნ. 2006; 19-21).

მწერლის კომენტარი, „არავინ იცოდა, თუ რა იქნებოდა ხვალ“ - მეტყველებს საზოგადოებაში გაბატონებულ დაბნეულობაზე, ნიჰილიზმზე, პანიკაზე... იცოდნენ, გრძნობდნენ, რომ „დაარბევდნენ“, ჩეკა ყოველდღე უთუოდ თოთო-თითოდ „დახვრეტდა“ კაცებს.

„თებერვალში“ ვკითხულობთ: „იდგა შიში, სვეტივით ჩასობილი გულში (ნიკოლეიშვილი ა., 2023. შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 591)

ნაწარმოებში ასახული მოვლენების ცენტრში არის სიმონ ახალკაცი - ფაქტობრივად, მწერლის პროტოტიპი. ის განზოგადებული სახეა მისივე ბედში მყოფი საზოგადოებისა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდა, როცა თბილისიდან გაქცეული ბათუმს შეეხიზნა, მაგრამ როცა ნახა, რომ ეს „ხავსი“ ანუ მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში გარბოდა, ის მოიცვა სასოწარკვეთამ: „გაიქცა მოქალაქენო და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი და ნამუსი. ზნეობა და პატიოსნება და ასე უსახელოდ მიატოვა სამშობლო კერა (ნიკოლეიშვილი ა. 2023; შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 590).

ისტორიული სინამდვილე დღესაც აქტუალურია. მთავრობები მიდიან, იცვლებიან, მაგრამ ხალხი ის მთავარი ღერძია, რომლის გარშემოც ტრიალებს სამშობლოს ბედის ჩარხი: „აქ დარჩა საქართველო და ქართველი ხალხი“ - იქვე წერს ნიკოლო მიწიშვილი.

მწერალი ბათუმის გარდა „შემწვარი ტარანივით გაფხევილ“ სამტრედიაზეც გვიამბობს, აღწერს თურქულ აგრესიას, რომელიც ჩასაფრებული უცდიდა მომენტს ბათუმის მისასაკუთრებლად, რაც ქართულმა ჯარმა არ აღირსა: „ფორტებში იჯდა თათარი. არ იქნა მისი გამოდენა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდეც ქალაქში - ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილიც. ჩაჯდენ სახლში... გამაგრდნენ. არ გამოდიოდნენ გარეთ. სახლის წინ იდგა ხიშტიანი წითელი რუსი... მაგრამ ფორტებზე მოფშვნეს თათარი ერთ დღეს. ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამორეკა სანგრებიდან მტერი. ამოყარა და გააქცია“ (ნიკოლეიშვილი ა. 2023. შპს „გამომცემლობა სამშობლო“. 592).

მთავარი და თავზარდამცემი ფაქტი, რასაც გვიყვება მწერალი, არის ეროვნულ ფასეულობათა დაცვის, შენარჩუნებისა და გადარჩენის საფრთხე, რუსული მმართველობის ხელში. ამ საფრთხის საილუსტრაციოდ ბოლშევიკ სიმონსა და მის მეგობარს შორის გამართული დიალოგის ერთ ფრაგმენტს მოვიყვან:

- „- სხვანაირდება ქვეყანა. წითელი საქართველო. საბჭოების. როგორ მოგწონთ?
- საქართველო ხომ არის და წითელი იყოს, თუ გინდ ყვეთელი, სულ ერთია.
- აღარაა, ჩემო ძმაო, საქართველო, .... აღარაა, თუ დამიჯერებ“ [იქვე: 593].

მართალია, მხატვრულ-დოკუმენტური ხასიათის ერთადერთ ნაწარმოებად მიიჩნევა ნიკოლო მიწიშვილის თებერვალი, მაგრამ ყურადღებას იმსახურებას კოლაუ ნადირაძის „1921 წლის 25 თებერვალი“. ლექსის ისტორია მრავალგზის დაიწერა, იყო კრიტიკოსთა განხილვის საგანი, ამიტომაც მხოლოდ ყურადღებას გავამახვილებ იმ დოკუმენტურ ჩარჩოზე, რომელზეც გაშალა ავტორმა სათაურში მითითებული თარიღის სიმძაფრე და სისასტიკე:

„თოვდა... თბილისს ებურა თალხი.../ დუმდა სიონი და დუმდა ხალხი./ ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,/ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!/ისევ წამების ჯვარი აგვიდეს,/არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!...თოვლი ცვიოდა ნელა./ეფინებოდა გამირების გვამებს -/ განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,/და უძრავ იყო თებერვლის ღამე...მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,/წითელი დროშით, მოღერილ ყელით,/თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით/შემოდოდა სიკვდილი ცელით!“ - ლექსში წარმოდგენილი ისტორია ფაქტობრივია. საზოგადოების განწყობა, ქვეყნის აგონიური მდგომარეობა, პოლიტიკური ვითარების გამოცვლა, „სიკვდილის გზა“ - სრულად ემთხვევა, და რადგან 1923 წლით თარიღდება მიწიშვილის „თებერვალი“ და კოლაუს ლექსი 1985 წელს იხილავს სამზეოს, თამამად შეგვიძლია ის ერთგვარ პოეტურ რემინისცენციადაც მივიჩნიოთ მიწიშვილის დოკუმენტური პროზაული ნაშრომისა. მით უმეტეს, რომ კოლაუს ლექსში არაფერია შენიღბული, ყველაფერი თავისი სიმწვავეთ არის წარმოდგენილი და ისტორიული ფაქტის ლირიული გამოხატულებაა.

ასევე საყურადღებოა დოკუმენტური აღწერილობის შესანიშნავი მოთხრობა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსები“.

ჩვენი მიზანი არა შინაარსის ან იდეის გარშემო მსჯელობაა, ჩვენ გვსურს იმ დოკუმენტური თხრობის სტილს გავუსვათ ხაზი, რომელიც პედანტური სიზუსტით, დაწვრილებით იძლევა ე.წ. თებერვლის ქრონიკას.

მოქმედება იწყება „თავისუფლების მოედანზე 24 თებერვლის ღამეს“. თვალები ქალაქის საათის ციფერბლატს მისჩერებოდნენ. ელოდნენ ათასების თვალები: როდის დაჰკრავდა თორმეტჯერ“ - ეს არის სწორედ ის ისტორიული წუთები, როცა ქვეყანაში იცვლება დროება, ეპოქა.

„მეკურტნე იოსები... ალიონიდან ეზიდებოდა მაფრაშებს, ხურჯინებს, ჩემოდნებს, ხან სადგურზე, ხანაც ქუჩიდან ქუჩაზე, რადგანაც ქალაქში გაუგონარი ამბავი ხდებოდა. აიყარნენ მცხოვრებნი... აზუზუნდნენ, აბორგდნენ, აზვავდნენ. ერთი ნაწილი ქალაქიდან გაიხიზნა თავისი ბარგით, ნაწილიც მოუსვენრად ქუჩებში დაწრიალებდა. დაბნეულობაა, აღარ იცოდნენ, სად შეენახათ პატიოსანი თვლები, ნოხები, ფაიფურის ჭურჭლები და საგანძური.

ვისაც გული საგულეს ჰქონდა, ვისაც დასაკარგავი არაფერი გააჩნდა, მოედანზე იდგა რაღაც საოცარისა და არნახულის მოლოდინში” - იდენტურ ვითარებას აღწერს ნიკოლო მიწიშვილი და ეს ორი ნაწარმოები იმდენად ეხმიანება მენშევიკების წასვლისა და ბოლშევიკების მოსვლის ქრონიკებს, რომ მხატვრული და კომპოზიციური სხვაობანი მაინც ვერ ამორებს ერთმანეთთან.

თბილისსა და ბათუმში ზუსტად ერეთნაირი ჟამი დგას. სოციალური ფონი, პოლიტიკური ატმოსფერო, ადამიანთა ქცევები, განწყობა - ერთ ყალიბში აქცევს ამ ეპოქალურ ნაშრომებს.

გამსახურდია გვიყვება: „გარბოდნენ ბარგით დატვირთული ჟოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგეობის აივნებს, ყაყანებდა როგორც პილატეს მომლოდინე ებრაელობა დიდ პარასკევს... ავტომობილებში უწესრიგოდ ეყარა საოჯახო კარადები, მაგიდები, საწოლები, ქვაბები, თავმოკრული ტომრები.

...მაგიდებს უსხდნენ პორთფელიანი რუსები, შავბლუზიანი ებრაელები. ერთ ადგილას ფაფუკლიპიანი ტფილისელი მოქალაქეები შეექცეოდნენ მწვადებს. კახა ქალები მხიარულად კისკისებდნენ და წამდაუწუმ საკვიაჟის სარკეში იჭვრიტებოდნენ, პომადით იღებავდნენ ლაშებს.

ბედისწერამ უკულმა შეატრიალა ქართველთა ცხოვრება ამ „ამღვრეულ, დაბურდულ, განადგურებულ, დომხალივით არეულ ტფილისში“.

„მეწყერი და მიწისძვრა, დრო და სიმხურვალე, წვიმა და გრიგალი... დროის ფოლადის კბილებმა დაღეჭა ბოლნისის სიონი, ვარძია, ატენი. თვით სვეტიცხოველიც შეარყია მიწისძვრამ და საუკუნეთა უწყალო გრიგალმა...“, რადგან „ჯერაც არ ამენებულა ამ მიწაზე ისეთი სახლი, ერთხელაც არ დაინგრეს“.

ისტორიული სინამდვილის შეუნიღბავად გადმოცემა ლიტერატურაში, მწერლობაში დიდი რისკიცაა, გამბედაობაც, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ჩვილისთვის იავნანა, ბავშვისთვის ზღაპარი, რადგან სიტყვა ბანგივით ზემოქმედებს ადამიანებზე და ითრევს თავის წიაღში. წარსულის გაკვეთილებად უნდა აღიქვას ფართო მკითხველმა აქ განხილული ნარატივი და დაუკავშიროს ისტორია თანადროული ცხოვრების გამოწვევებს, როგორც ქვეყნიდან მიგრაციის სახიფათო არჩევანს.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. ბერძენიშვილი ლ. 2022; 1921-1990 *(ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი)*; თბ. არტანუჯი
2. ბაქრაძე ა. 1990; მწერლობის მოთვინიერებ; თბ. სარანგი
3. გამსახურდია კ. 1983; თხზულებათა ანტომეული, ტ. V. თბ. საქართველოს მაცნე
4. გურული ვ. 1999; ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953. თბ. ინტელექტი

5. კობიაშვილი მ. 2021; „საბჭოთა რევლუციები 1921-1940 წლების ქართულ მწერლობაში. თბ. საქართველოს მაცნე;
6. მიწიშვილი ნ. 1926; ფიქრები საქართველოზე; „მნათობი“, N2, თბ.
7. მიწიშვილი ნ. 2006; (1), ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ. არტანუჯი
8. მიწიშვილი ნ. 2006; (2), თებერვალი, თბ. არტანუჯი
9. მიწიშვილი ნ. 1958; რჩეული, გამომც. საბჭოთა მწერალი, გვ. III-XII
10. ნადირაძე კ. 1984; რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ. მერანი
11. ნადირაძე კ. 1985; ათასი ლექსი პოეტის. 1921 წლის 25 თებერვალი. თბ. მერანი.
12. ნიკოლაძე ნ. 1962; თხზ. ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
13. ნიკოლეიშვილი ა. ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში (1917-1921 წლები). შპს „გამომცემლობა სამშობლო. თბ. 2023
14. ხერხეულიძე გ. 1959; გიორგი ლეონიძის პოეზია. თბ. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.
15. შრომა. გაზ. 1927. საქართველო. პროფკავში. გამომცემლობა

## Some Aspects of Documentary Narration in 20th Century Fiction

**Kobiashvili Maia**

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

### Abstract

The public's lively interest in Soviet literary processes has not waned to this day, which is a clear challenge for critics to fundamentally analyze how the reality of Sovietization was reflected in works of fiction.

In terms of national identity, Georgian society is characterized by ambiguity. They have the same desire and goal, but in their pursuit of the goal, they move in a stream, stop, move, stop, and sometimes deviate from the path. This process is determined by political, historical, and geographical factors.

The joy of the independent Georgian flag as a symbol of national identity was replaced by the Soviet red flag as a new ideological relic.

The most severe was the destruction of the achievements of 1918. The tragedy of 1921 gave rise to two main currents in literature: the writers who were in favor of Sovietization, or proletarian writing, and the disillusioned writers who were deprived of creative freedom by the regime.

Special importance should be given to writing created with documentary accuracy, with a slight hint of feelings, emotions, and artistry.

In this paper, we will focus on Nikolo Mitsishvili's documentary prose "February", Konstantine Gamsakhurdia's short story "Great Joseph", and Kolau Nadiradze's poem "February 25, 1921".

Mitsishvili's work is significantly distinguished by its documentary nature. He even has an article titled "Documentary Prose," in which he expresses the position that the contemporary situation forces writers to write only about real, unadorned life, because, in his own words, "a true story is better than a fictional story."

Although the documentary genre has still not gained a foothold in our country, it is worth noting that its attempt is associated with the name of Nikolo Mitsishvili.

Undisguisedly conveying historical reality in literature and writing is a great risk and courage, but it is extremely important, like a lullaby for a baby or a fairy tale for a child, because words affect people like a bomb and drag them into their bosom. The general reader should perceive the narrative discussed here as lessons from the past and connect history to the challenges of contemporary life.

**Keywords:** Epochic events. Bolshevism. Revolution. Sovietization. Migration. Documentary literature.

## დავით თურდოსპირელის შემოქმედებითი პორტრეტისათვის

კოჭლოშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.49>

**აბსტრაქტი.** დავით თურდოსპირელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მინიატურული პროზის მეტად საინტერესო ნიმუშებს ვხვდებით. ქართული მცირე პროზის შემოქმედთ შორის ის საკუთარი ხმის მქონე მწერალია.

თურდოსპირელის მცირე პროზაულ ნაწარმოებებში ჟანრული სპეციფიკისათვის დამახასიათებელ არაერთ ნიშან-თვისებასთან ერთად საინტერესოდ იკვეთება მწერლის სტილური მანერა. მისი მინიატურები თხრობის ინდივიდუალურობით გამოირჩევა. პირველ რიგში რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს მინიატურათა მკრთალი ეპიკური ქარგაა, რომელიც მთლიანად განწყობილებაზეა აგებული. მწერლის სულიერი განცდები საოცარი ლირიზმითა და მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი თვითმყოფადი ტროპული მეტყველების ნაირსახეობითაა გადმოცემული.

დავით თურდოსპირელის მინიატურათა პოეტურობის მასაზრდოებელი, ხშირ შემთხვევაში, მწერლის დაუამებელი სულიერი ტკივილია, რაც უმძიმესმა ცხოვრებამ მუდმივ საგზლად დაუტოვა.

მძიმე ცხოვრებით გამოწვეულმა პესიმისტურმა განცდებმა დავით თურდოსპირელის მხოლოდ ავტობიოგრაფიული მოგონებები არ მოიცვა, მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც შეიტანა სევდიანი განწყობილება. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილ მცირე პროზაულ ნაწარმოებებში, რომლებიც საინტერესოდ წარმოაჩენენ მწერლის შემოქმედებით პორტრეტს.

დავით თურდოსპირელი, მიუხედავად მცირე პროზის მკაცრი კანონიკისა, იშვიათი მწერლური ოსტატობით ახერხებს სუბიექტური განცდების მკითხველამდე მიტანას, უშუალო და გულწრფელობაა მისი მხატვრული ნააზრვის მახასიათებელი.

დავით თურდოსპირელის მინიატურათა მხატვრული სივრცე უსაზღვროა. მწერალი თითქმის ერთდროულად გვამოგზაურებს წარსულსა და აწმყოში და რაც არ უნდა გასაოცარი იყოს თითქმის ყოველთვის „მჭკნარ ფოთლებთან“, „ნისლთან“, „ყომრალს დამესთან“, „შემოდგომის მომაკვდავ ყვავილებთან“, „შემოდგომის მწუხრთან“, „კაემნიან გოროზ დამესთან“ პოულობს სულიერ სიახლოვეს.

მწერალი, მიუხედავად ყველაფრისა, პესიმიზმს არ ნებდება, იმედის თვალით შესცქერის ჩვენებას სულის წიაღში ნიავივით რომ შეეპარა სამარადისო გაზაფხულის ზღაპრის საჩურჩულებლად. გრძნეული, საოცნებო სიზმრების ახდენას აიძულებს მთების კონცხებიდან მოხტუნავე ანკარა ნაკადის ნაამბობი ზღაპრები კდემამოსილ ჰაეროვან მიონებზე. უკვე ადამთა მოდგმაც ეიძულება და აფრთხილებს ადამიანს სიცოცხლისა და სიყვარულის სახე-ხატს, გაზაფხულს არ მოეპყროს უდიერად, იქნებ მისი წყალობით როგორმე გადაარჩინოს რწმენა არსებობისა.

**საკვანძო სიტყვები:** დავით თურდოსპირელის მცირე პროზაული ნაწარმოებები.

დავით თურდოსპირელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მინიატურული პროზის მეტად საინტერესო ნიმუშებს ვხვდებით. ქართული მცირე პროზის შემოქმედთ შორის ის საკუთარი ხმის მქონე მწერალია.

დავით თურდოსპირელის მცირე პროზაული ნაწარმოებები მკითხველს თვალწინ უშლის მინიატურათა შექმნის ურთულეს შემოქმედებით პროცესს, რომელსაც, როგორც თავის დროზე სანდრო ცირეკიძე განმარტავდა, წერტილებით წერა ახასიათებს, ზანტი და მოზომილი ხატვა უნდა... „სადაც ცხოვრების ფერადი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან“ (ცირეკიძე, 1919.).

თურდოსპირელის მცირე პროზაულ ნაწარმოებებში ჟანრული სპეციფიკისათვის დამახასიათებელ არაერთ ნიშან-თვისებასთან ერთად საინტერესოდ იკვეთება მწერლის სტილური მანერა. მისი მინიატურები თხრობის ინდივიდუალურობით გამოირჩევა. პირველ რიგში, რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს მინიატურათა მკრთალი ეპიკური ქარგაა, რომელიც მთლიანად განწყობილებაზეა აგებული. მწერლის სულიერი განცდები საოცარი ლირიზმითა და მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი თვითმყოფადი ტროპული მეტყველების ნაირსახეობითაა გადმოცემული.

დავით თურდოსპირელის მინიატურათა პოეტურობის მასაზრდოებელი, ხშირ შემთხვევაში, მწერლის დაუამებელი სულიერი ტკივილია, რაც უმძიმესმა ცხოვრებამ მუდმივ საგზლად დაუტოვა.

დავით ჩხეიძე (თურდოსპირელი) შეჭირვებულ ოჯახში დიბადა. ის 1888 წელს მოევლინა ქვეყანას. მისი მშობლები ანდუყაფარ ჩხეიძე და სალომე ბაქრაძე თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბნის მკვიდრნი იყვნენ. ანდუყაფარი იმერეთიდან გადმოსახლებულა და სოფელ რუისპირში თავად მაყაშვილთან მეწისქვილედ დაუწყია მუშაობა. მან ამავე სოფლის მკვიდრზე სალომე ბაქრაძეზე იქორწინა. ანდუყაფარსა და სალომეს უკიდურეს გაჭირვებაში მოუწიათ ხუთშვილიანი ოჯახის რჩენა. განსაკუთრებით მძიმე იყო სალომეს ხვედრი. მძიმე პირობებში მყოფი ანდუყაფარი ჭლექით დაავადებულა დაათი წლის განმავლობაში ლოგინს იყო მიჯაჭვული. სალომესყოფა ანდუყაფარის გარდაცვალების შემდეგ უფრო სავალალო შეიქმნა.

ძმები დავით თურდოსპირელი და გიორგი ქუჩიშვილი თავიანთ ავტობიოგრაფიულ მოგონებებში ამაგდარ დედას განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებენ, აფასებენ ოჯახისთვის მის თავგანწირვასა და თავდადებას, თუმცა დედის ტრაგიკული აღსასრულის გამო მუდამ მოუშუშებელ იარას ატარებენ, სალომე ბაქრაძემ 1924 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„...მხოლოდ დედის ტრაგედიის მოგონება მაგიჟებს. იქნებ რაღაც მოვაკელით ჩვენი მხრიდან, ყურადღება? სიყვარული?... მან 1924 წელის 9 დეკემბერს დაამთავრა თავისი განაწამები სიცოცხლე - მტკვარში დაიხრჩო თავი. ვერის ხიდის ჩაწყვდიადებულ ლეგენდებს დედამ კვლავ მიუმატა ახალი შემაწუხებელი ლეგენდა“ (თურდოსპირელი, N021148),\_ ვკითხულობთ დავით თურდოსპირელის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

დავით თურდოსპირელი თავისი ოჯახის ტრაგიზმს განსაკუთრებული შთამბეჭდაობით გადმოვცემს დოკუმენტური ტიპის მოთხრობაში „დედიკო“, მასში ვკითხულობთ:

„მოგონებების განწირულ უფსკრულებში ჩასასვლელად ჩავუშვებ ცრემლების კიბეს და ჩავყვები ფიქრს ცრემლიანი.

მოგონებათა ნაღვლიან ყვავილობისას დავწნავ გვირგვინს და მას დავადებ დედის ობოლ საფლავს.

როცა მოვყვები ჩემს ცხოვრებას ყველას ზღაპრად მიაჩნია. მე ყველაფერი მინდა შევიწინახო ჩემი წარსულიდან. არც ერთ სტრიქონს არ ამოვშლი, თუმცა ქარიშხლების

დროსაა შედგენილი ჩემი ცხოვრების მატრიცა.

მხოლოდ, მხოლოდ დედის ტრაგედიის მოგონება მაგიჟებს...

ვატყობდი როგორ სუსტდებოდა დედას კავშირი ცხოვრებასთან. სიცოცხლესა და მის შორის იყო გაბმული ბლანდი, რომელსაც ცხოვრების სისასტიკის ქარის იოლი წამობერვაც კი გასწყვეტდა.

სალომე ღრმად მორწმუნე იყო. სასოებით დაიარებოდა ეკლესიაში უკანასკნელ ღამესაც ილოცა.

მაშ რამ გადაადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი?

შოპენჰაუერს სიცოცხლე ლაჩრობად მიაჩნდა.

მაგრამ სიკვდილის შიში მასში ისე ძლიერი იყო, რომ ცხოვრებას მაინც ფაფარში ეჭიდებოდა.

სალომე გმირი იყო და მასში შიშნეულობა იოტის ოდენაც არ ყოფილა...

გმირულადვე განემორა ცხოვრებას, რომელმაც მას ტანჯვის მეტი არა მოუტანა რა...“(თურდოსპირელი, 24468-5-1).

მძიმე ცხოვრებით გამოწვეულმა პესიმისტურმა განცდებმა დავით თურდოსპირელის მხოლოდ ავტობიოგრაფიული მოგონებები არ მოიცვა, მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობაშიც შეიტანა სევდიანი განწყობილება. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილ მცირე პროზაულ ნაწარმოებებში, რომლებშიც საინტერესოდ წარმოაჩენენ მწერლის შემოქმედებით პორტრეტს.

დავით თურდოსპირელი, მიუხედავად მცირე პროზის მკაცრი კანონიკისა, იშვიათი მწერლური ოსტატობით ახერხებს სუბიექტური განცდების მკითხველამდე მიტანას, უშუალობა და გულწრფელობაა მისი მხატვრული ნააზრების მახასიათებელი.

„მისაყვედურებენ: რა სულ კაემნიანად მოსთქვამ. ერთეხლ შვებით აჰგალობდიო.

რა ვკყო, უდარდელად როგორ ვიმღერო, განთიადი არ მიხილავს. მწუხრისას დავიბადე.

ჟინჟლიან ნისლმა დამირწია ჭმუნვის აკვანი.

რა ვკყო, საგაზაფხულო ზღაპრები როგორ მოგიყვით \_შემოდგომისას აღვიზარდე.

მჭკნარი ფოთლები მიავადებდნენ ქვითინით სულსა.

რა ვკქმნა, სიყვარულის შემჭკვრებას რადა მთხოვთ ალერს\_ ტრფიალი არ გამიცდია.

ქარი მხვივანი მეფიცებოდა ერთგულებაში.

ეკ, რადა მთხოვთ ლაჟვარდობან სიმღერას, ფირუზი ცა არ დამინახავს.

შემოდგომის მწუხრს დავიბადე და მისას მოვსთქვამ...“(თურდოსპირელი, 1919, 35).

მწერალს სულის ტკივილის მიზეზად შემოდგომასთან განუყოფელობა მიაჩნია. სიზმარში სიზმარ გებედითებულს ოცნებაც კი დათალხული აქვს და დამნაშავესავით იმართლებს თავს:

„რად გიკვირს მეგობარო, რომ შავი სევდა დაჰკვდომია ჩემს ტუჩებს?...“

მაშ, რა ვუყო, თუ-ჩემი ცხოვრება უფერული იყო და მტირალი, როგორც მწუხრი შემოდგომისა.

რად გიკვირს, ძვირფასო, რომ ჩემი თვალები დახოცილი ყვავილებივით გამოიყურებიან \_ იგინი ელოდნენ, იგინი დიდხანს ელოდნენ შენს მზიანობას და დაჰკვნენ შენით უხილავნი...

რად გივირს, კეთილო, თუ ჩემი ჩათუთქვილი გულის სნეული გულიც-კი, განცვიფრებას გამოხატავს\_ იგი ეძებდა, დიდხანს ეძებდა სიყვარულის გასაღებს და ვერა ჰპოვა... ვერა ჰპოვა მსოფლიოს დასაწყისისას დაკარგული გასაღები...

რად გიკვირს, საესავო, რომ დათალხულია ოცნება ჩემი \_ იგი ასაფლავებს, იგი ასაფლავებს თვისს ყრმობის სიზმრებს... განა არ გესმის გედის ყივილი?..

იგი ასაფლავებს, იგი გედის ქვითინით ასაფლავებს თვისს ყრმობის სიზმრებს...“(თურდოსპირელი, 1919, 17-18).

დავით თურდოსპირელის მინიატურათა მხატვრული სივრცე უსაზღვროა. მწერალი თითქმის ერთდროულად გვამოგზაურებს წარსულსა და აწმყოში და რაც არ უნდა გასაოცარი იყოს თითქმის ყოველთვის „მჭკნარ ფოთლებთან“, „ნისლთან“, „ყომრალო ღამესთან“, „შემოდგომის მომაკვდავ ყვავილებთან“, „შემოდგომის მწუხრთან“, „კაემნიან გოროზ ღამესთან“ პოულობს სულიერ სიახლოვეს.

„ნისლები!...

მჭკნარი ფოთლების ქარავანსავით მისცურავენ ცრიატი ნისლები ცის კაბადონზე... ასე მისცურავენ იგინი შარშან, შარშან-წინ და ასე მისცურავენ დღეს, თითქოს არა ჰქონდეთ განსასვენებელი ადგილი...

\_ სად მიხვალთ ნისლებო, რა დაგიკარგავთ, სადაა თქვენი კერა, სამშობლო?

\_ ჩვენ ვეძებთ მთებს, სიცოცხლის მთებს დავეძებთ დაკარგულს და ვერ მიგვიგნია... ვეძებთ მთებს სიხარულისას \_ ქარი კი მიგვაქანებს გლოვის მინდვრებისკენ... სიკვდილის ორწოხებისკენ...

მიდიან ნისლები...

ჭირისუფლებივით პირ-მტირალნი მიდიან ნისლები და ეძებენ მთებს... ეძებენ... ეძებენ...

ვადევნებ მე მათ თვალებს და ასე მგონია ჩემი ფიქრები იყვნენ და ისინი ქვითინებენ ცრემლ შეუმშრალნი...

უყურბ მათ და ასე მგონია, რომ, აი, მარცხენა მკერდ ქვეშ რომ მიფეთქავდა გული, ის ამომფრენია, აჭრილა ცაში და გაცრეცილ ნისლად გადაქცეული ის მიემართება ასე მჭმუნვარეთ...

და ვინ იცის ესა, ვინ?

ვინ იცის, რომ ის უგზო-უკვლოდ მავალი ნისლი ჩემი გულია და იგი ეძებს სიცოცხლის მთებს... ეძებს იგი განუცხრომელ სურვილით და რაკი ვერ მიუგვნია, სტირის ამოსკვნით... ჰქვითინებს სულთქმით.

ნისლები!..

მჭკნარ ფოთლების ქარავანსავით მისცურავენ ნისლები... მისცურავენ ფერ-გაცრეცილნი და შემოდგომის მომაკვდავ ყვავილთა კვნესასავით სუსტი ხმით მოსთქვამენ;

-ჩვენ ვეძებთ მთებს, სიცოცხლის ზურმუხტ მთებს ვეძებთ დაკარგულს და ვერ მიგვიგნია...ვერ მიგვიგნია ძებნით მოქანცულთ და ლანდებივით უხმოდ ვსტირით... ვსტირით... ვსტირით...“(თურდოსპირელი, 1919, 10-11).

კაემნიანი გოროზი ღამის ფრთებს მინდობილს ხან უიმედო იმედიც ასაზრდოებს:

„ღამევ, კაემნის გოროზო ღამევ, მომხვიე ფრთები.

ერთგულად მექმენ, ვითარც მექმნა მე მარტოობა.

ჩამომსისინე სასოწარკვეთის ცივი სიმღერა. მაუწყე შენი ამოცანა, საიდუმლოება.

გულს განმეწონე საშიშროებით.

ძალას მოვიღებ.. არ დავიკვილო, არ დავარღვიო ზარ-მხდომელი შენი დუმილი. ერთგულად მექმენ ღამევ!..“(თურდოსპირელი, 1913, 27).

ხან კი სუსხიან ცხოვრების გზაზე ბედთან შეგუებასა და ერთგულ

მორჩილებას იჩენს, პოეტურად აღიქვამს ტკივილიან ცხოვრებას, მკითხველსაც საოცარი მწერლური ოსტატობით შეიყოლიებს და ცხოვრების ეკლიან ბილიკებზე ნებაყოფლობით დაიმგზავრებს:

„მწირი, ობოლი, ყარიბი ხმებით მკვნესარე,  
დავდივარ, ვტანტალებ,  
ვითარცა ძეწნა ამომშრალსა ტბის კიდეს მდგარი  
ვთრთი და ვკანკალებ...  
ვერანად მჩინარ სალ-კლდეებსა, ზაღნარ-ჭალაკებს,  
შევეკვნესი ხშირად,  
ეჰ, არსიდგან ხმა... მხოლოდ დუმილი მორაკრაკებს  
გულის გამგმირად.“(თურდოსპირელი, 1913, 22).

ობლად შთენილი, ფარული ნუგეშის ამარა ბუბენასთან სიახლოვესაც ესწრაფვის „ერთხელ, გაზაფხულისას, აღმოუთქმელ სევდით ტყვევნილი სერზე მიმოდოდი, მეგონა სოფელს მოშორებული, სადაც სატანა ვახვახით აწკრიალებს ძველის ქნარს, ბუნების წიაღში მაინც მოვისმენდი სფეროთა მარადიულ ჰარმონიას.

მეგონა, წუთით მაინც ციური მუსიკა დამავიწყებდა, რომ ობოლი ვარ, ობლად შთენილი, რომლის მსგავსი ქვეყანაზე არ დაბადებულა.

ვტანტალებდი დიდხანს და თან უაზროდ თვალს ვავლებდი იალბუზს, რომელიც ზვიადად აყუდებულიყო ცის გუმბათამდის.

გარს შემოხვეული სპეტაკ ნისლთა ქარავანნი ღაღადითა და ვედრებით რაღაცას მიუთხრობდნენ. ეს ფიქრი იყო ზღვისა... სთხოვდა მოელბო გოროზი გული... ერთხელ მაინც მოესმინა მისი ლოცვა... ყურად ელო მისი ხვაშიადი.

იალბუზი, როგორც წინეთ, სდუმდა... ცრემლად დამდნარ ღრუბელს სუსხით ჰყინავდა...

უსულ-გულო! ნება მაინც მიეცა შეერთებულიყვნენ, დაქანებულიყვნენ ძირს - ბარისაკენ, რომ მდელოსთვის ესხურებინათ ზღვის სევდა.“(თურდოსპირელი, 1913,31).

უმწეო, მიუხედავად ყველაფრისა, პესიმიზმს არ ნებდება, იმედის თვალით შესცქერის ჩვენებას სულის წიაღში ნიავევით რომ შეეპარა სამარადისო გაზაფხულის ზღაპრის საჩურჩულებლად. გრძნეული, საოცნებო სიზმრების ახდენას აიმედებს მთების კონცხებიდან მოხტუნავე ანკარა ნაკადის ნაამბობი ზღაპრები კდემამოსილ ჰაეროვან მიონებზე. უკვე ადამთა მოდგმაც ეიმედება და აფრთხილებს ადამიანს სიცოცხლისა და სიყვარულის სახე-ხატს, გაზაფხულს არ მოეპყროს უდიერად, იქნებ მისი წყალობით როგორმე გადაარჩინოს რწმენა არსებობისა:

„ნელა, ნელა, ადამიანო, რატომ აგრე დაუნდობლად მოაბოტებ ე ტყეში...

ვერა ჰხედავ ორმოებში გაყვითლებულ ფოთლებს?...

ეს გაზაფხულია... ეს გაზაფხულის გვამი ასვენია შიგა...

ქუდი მოიხადე... მოიხადე ქუდი, ადამიანო... აქ გაზაფხული ასვენია კუდრაჭა ნიავის ფსალმუნთა კრიმანჭულითა და ნაკადთა ჩხრიალ რაკ-რაკით...

ნელა... ნელა, მეგობარო, არ შეახო ხელი ჩემს ბეჩავს გულსა... ნელა შენ მზესა... იგი სამარეა... ის სამარეა ახლად გათხრილი... მასში ასვენია ჩემი პირველი სიყვარული და პირველი ჰიმნი საგარიჟრაჟო... მუნ ასვენია ლალით მოსილი ოცნება ჩემი და ნეტარების ცრემლით მოოჭვილი სულის სიცილი...

ნელა, ნელა, მეგობარო... ნუ შეახებ მას ხელს...

ნუ გამიარჯლებ მტანჯავ იარებს...”(თურდოსპირელი, 1919, 10-11).

### ლიტერატურა:

1. თურდოსპირელი დ. საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი N021148;
2. თურდოსპირელი დ. „დედიკო“, საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი N24468-5-1;
3. თურდოსპირელი, დ. (1919). გაწყვეტილი ზღაპარი. თბილისი: სტამბა ვ.ა. რუხაძის;
4. თურდოსპირელი, დ. (1913). სიმთა ქვითინი. თბილისი: გამოცემა მ. გორდელაძის;
5. ცირეკიძე, ს. (1919). მინიატურა. „მეოცნებე ნიამორები“, 1: 14.

## For the creative portrait of David Turdospireli

Kochloshvili Nino

Telavi Iakob Gogebashvili State University, Tbilisi

### Abstract

In the literary heritage of Davit Turdospireli, we find very interesting examples of miniature prose. Among the creators of Georgian short prose, he is a writer with his own voice.

In Turdospireli's short prose works, along with a number of features characteristic of the genre specificity, the stylistic manner of the writer is interestingly revealed. His miniatures are distinguished by the individuality of the narrative. First of all, what attracts the reader's attention is the pale epic embroidery of the miniatures, which is entirely built on mood. The writer's spiritual feelings are conveyed with amazing lyricism and high artistic skill in a variety of original tropical speech.

The poetics of Davit Turdospireli's miniatures are often fueled by the writer's insatiable spiritual pain, which his difficult life left him with as a constant companion.

The pessimistic feelings caused by his difficult life did not only permeate Davit Turdospireli's autobiographical memories, but also infused a sad mood into the writer's literary heritage. Especially in the short prose works created in the first half of the twentieth century, which interestingly present the writer's literary portrait.

Despite the strict canons of short prose, Davit Turdospireli manages to convey subjective feelings to the reader with rare writing skill; directness and sincerity are the characteristics of his artistic thinking.

The artistic space of Davit Turdospireli's miniatures is boundless. The writer takes us on a journey through the past and the present almost simultaneously, and no matter how surprising it may be, he almost always finds spiritual closeness with the "withered leaves", "fog", "abundant night", "dying autumn flowers", "autumn twilight", "sad night".

The writer, despite everything, does not give in to pessimism, looking with the eyes of hope at the sight that has crept into the bosom of the soul like a breeze to whisper the tale of eternal spring. The fairy tales of the Ankara stream flowing from the mountain peaks on the airy mists of the sky hope for the fulfillment of magical, dreamy dreams. Already the human race also hopes and warns man, the face of life and love, not to treat spring with disdain, perhaps thanks to it he can somehow save his faith in existence.

**Key words:** *Short prose works by David Turdospireli.*

## ეროვნული თავისუფლების იდეა და ეროვნული ცნობიერების კრიზისი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში

მამარდაშვილი ნინო

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.50>

**აბსტრაქტი.** XIX საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში სრულიად ახალი პოლიტიკურ-სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტებით გამოირჩევა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება განსაზღვრა 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა „თერგდალეულთა“ გუნდმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მათი უმთავრესი მიზანი იყო ქართველი ერის ერთ ორგანიზმად გადაქცევა, ეროვნული სულის აღორძინება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობების ჩამოყალიბება.

მათი დამსახურებით ახალმა ქართულმა მწერლობამ შეძლო ეროვნული და სოციალური იდეალები ჩამოყალიბებული კონცეფციის სახით წარმოეჩინათ და გამოეყენებინათ ქართველი ხალხის ბრძოლის გააზრებულ პროგრამად. ეროვნული თავისუფლების იდეა და ეთიკური იდეალი იყო მთავარი ღერძი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ეროვნული ისტორიის აქტუალიზაცია და მისი როლის გავრცობა, ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი მახასიათებელია „თერგდალეულთა“ კონცეფციის მიხედვით. ეროვნული ენერჯის რწმენას უნერგავდნენ ერს „თერგდალეულები“, მაგრამ მიუხედავად მათი ძალისხმევისა, მაინც მძლავრი იყო ნიჰილიზმი ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში. ეს კი იწვევდა ეროვნული ცნობიერების რღვევას. ეროვნულ ცნობიერებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ისტორიული სინამდვილე, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან განვითარებული პროცესები, როდესაც საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად. თუმცა ეროვნული ცნობიერების საყრდენები: ენობრივი ერთობა, სარწმუნოებრივი მთლიანობა და კულტურა შენარჩუნებული იყო.

აკაკი ბაქრაძე XIX საუკუნის ქართულ აზროვნებაში მიუთითებს ორი ნაკადის - იმედისა და ნიჰილიზმის ბრძოლას. ნიჰილისტებში აშკარაა ეროვნული ცნობიერების კრიზისი. გიორგი მუხრანბატონისა და ივანე ჯაბაძარის მოსაზრებების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ამ მოვლენას. მათ ნაშრომებში ფალსიფიცირებულია საქართველოს ისტორია და კულტურა.

ეროვნული თავისუფლების იდეა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, რომ დაძლია ნიჰილიზმი, გადალახა ეროვნული ცნობიერების კრიზისი. „თერგდასლეულებმა“, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, შეძლეს ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების აღდგენა, ეროვნული სულის აღორძინება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება. მთავარი ღერძი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა არის ეროვნული თავისუფლების იდეა და ეთიკური იდეალი.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული, თავისუფლება, ცნობიერების კრიზისი, ფენომენი, XIX საუკუნე

XIX საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში სრულიად ახალი პოლიტიკურ-სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტებით გამოირჩევა.

1801 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლამ, ახალი ფსიქო-კულტურული რეალობა წარმოშვა.

სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილით საქართველოში არაერთი შეიარაღებული აჯანყება მოხდა. ყოველი მცდელობა მარცხისთვის განწირული აღმოჩნდა. ყველაზე დრამატული კი 1832 წლის შეთქმულება იყო, რომლის შემდეგაც ქვეყანაში ნიჰილიზმმა დაისადგურა, დაიწყო ეროვნული ცნობიერების რღვევა. ქართველი თანდათან ეჩვეოდა არსებულ რეალობას, ქრებოდა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება და ქართველი ერი ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. სწორედ ამ დროიდან იწყება ნაციონალური საკითხის ახლებური გააზრება. პოლიტიკურმა და სოციო-კულტურულმა ცვლილებებმა განსაზღვრეს „თერგდალეულების“ „ეროვნული პროგრამის“ არსი და მიზანდასახულობა. ალექსანდრე მეორის ლიბერალური რეფორმები და „თერგდალეულთა“ თანაზიარობა ამ პროცესებთან, ერთ-ერთი საფუძველია ამ მოძრაობისა. სწორედ დამოუკიდებელი სახელმწიფოს უქონლობა გახდა საფუძველი ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისა. ილიასა და „თერგდალეულების“ მეთაურობით მიმდინარეობდა ნაციის ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესი. მათ ჰქონდათ იდეა და კონცეფცია, სადაც ქართული კულტურა მოიაზრება, როგორც ერის იდენტობის საფუძველი და მორალური იდეა - ერის უფლებებისა და ფასეულობების დაცვა. „მე-19 საუკუნეში ქართული ნაციონალიზმი არა მხოლოდ ობიექტური მოცემულობა, არამედ გააზრებული ქმედების, ნაციონალური პროექტის რეალიზების შედეგია. „თერგდალეულთა“ პრაქტიულმა მუშაობამ, უშუალო მონაწილეობამ განათლების, კულტურისა და ეკონომიის განვითარების საქმეში, საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას“. (ჯონსი: 2007) XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება განსაზღვრა 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა „თერგდალეულთა“ გუნდმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. მათ ნათლად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი მისია - ეროვნული თვითშეგნების აღდგენა ექციათ ქართველი კაცის უპირველეს საზრუნავად. მათი უმთავრესი მიზნები ნათლად გამოიკვეთა. ეს იყო ქართველი ერის ერთ ორგანიზმად გადაქცევა, ეროვნული სულის აღორძინება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობების ჩამოყალიბება.

მათი დამსახურებით ახალმა ქართულმა მწერლობამ შეძლო ეროვნული და სოციალური იდეალები ჩამოყალიბებული კონცეფციის სახით წარმოეჩინათ და გამოეყენებინათ ქართველი ხალხის ბრძოლის გააზრებულ პროგრამად. ეროვნული თავისუფლების იდეა და ეთიკური იდეალი იყო მთავარი ღერძი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ილიასათვის ამ იდეის განხორციელების გზაზე მნიშვნეოვანი მაგალითის მიმცემი იყო სხვა ქვეყნების გამოცდილება. მის აღფრთოვანებას იწვევდნენ სლავიანები თავიანთი თავდაუზოგავი ბრძოლით: „სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა... ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოთ გადადებული ერი“ - წერდა ილია „ივერიაში“ ( 1881წ., N5) თავის შინაურ მიმოხილვაში.

ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ ნაციონალური პროგრამა მძლავრ ნაბიჯებს დგამდა. საქართველოში მოქმედებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები თბილისსა და ქუთაისში და მრავალ ეროვნულ საქმეს აფინანსებდა. ვითარდება

ქართული თეატრი, ქართული ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა, იქმნება ქართული მწერლობის შედეგები.

ეროვნული ისტორიის აქტუალიზაცია და მისი როლის გავრცობა, ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი მახასიათებელია „თერგდალეულთა“ კონცეფციის მიხედვით. ეროვნული ენერჯის რწმენას უნერგავდნენ ერს „თერგდალეულები“, მაგრამ მიუხედავად მათი ძალისხმევისა, მაინც მძლავრი იყო ნიჰილიზმი ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში. ეს კი იწვევდა ეროვნული ცნობიერების რღვევას. ეროვნულ ცნობიერებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა ისტორიული სინამდვილე, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან განვითარებული პროცესები, როდესაც საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად. თუმცა ეროვნული ცნობიერების საყრდენები: ენობრივი ერთობა, სარწმუნოებრივი მთლიანობა და კულტურა შენარჩუნებული იყო.

აკაკი ბაქრაძე XIX საუკუნის ქართულ აზროვნებაში მიუთითებს ორი ნაკადის - იმედისა და ნიჰილიზმის ბრძოლას. მართლაც, ერთი მხრივ, „თერგდალეულები“ ქართულ საზოგადოებაში აღვივებენ ეროვნული თავისუფების იდეას, მეორე მხრივ კი, ნიჰილისტებს არ სწამთ ქართველი ხალხის ეროვნული ენერჯისა. ნიჰილისტებში აშკარაა ეროვნული ცნობიერების კრიზისი. გიორგი მუხრანბატონისა და ივანე ჯაბადარის მოსაზრებების ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ამ მოვლენას.

კოლონიური მმართველობის პირობებში ენის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მწვავე წერილები იბეჭდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პეტერბურგსა და მოსკოვშიც. არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ენის საკითხებზე. 1867 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილები სრულიად უსარგებლოდ მიიჩნევდნენ ქართულ ენაზე სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის გამოცემას, ამით გამოთქვამდნენ თვალსაზრისს ეროვნული მწერლობისა და ბეჭდვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

ამ პუბლიაციებს მაშინ დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია მოსკოვსა და პეტერბურგში, მაგრამ 70-იანი წლებიდან ვითარება უფრო გამწვავდა. დაიწყო დევნა ყოველივე ქართულისა. ამგვარი უმძიმესი რეალობის ფონზე, 1872 წელს, თბილისში, გაზეთ „კავკაზის“ დამატებად გამოიცა გიორგი მუხრანბატონის წიგნაკი „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“. 1873 წელს ეს თხზულება გამოქვეყნდა პეტერბურგში, 1877 წელს კი პარიზში. ამ ბროშურასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ვრცელი გამოკვლევა, რომელსაც ამ ნაშრომში მოკლედ წარმოგიდგენთ.

თხზულება ავტორს ორ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული. გიორგი მუხრანბატონი მიიჩნევს, რომ მცირერიცხოვანი ერების შერწყმა-ასიმილაცია დიდ ერებთან არის კანონზომიერი და პროგრესული მოვლენა. ავტორი მიიჩნევს, რომ ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი მდგომარეობაა ლტოლვა სულიერი და მატერიალური სრულყოფისაკენ. ამის იარაღი კი ცოდნა და განათლებაა. ცოდნის მიღების საშუალება კი ენაა. თანამედროვე ცოდნას სრული სახით და მთლიანად ფლობს მხოლოდ მრავალრიცხოვანი ხალხების ენები. ასეთ ენებად მიაჩნია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული, გერმანული. აქედან გამომდინარე, მცირერიცხოვანი ხალხების ენები უნდა შეერწყას მრავალრიცხოვანი ხალხების ენებს. გიორგი მუხრანბატონის აზრით, მართალია ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ თუ არ დათმობენ და ჩაებლაუჭებიან თავიანთ მშობლიურ ენებს, მაშინ მათ გარდაუვალი ჩამორჩენა ელით, რადგან ვერ გაუთანაბრდებიან მრავალრიცხოვან ხალხებს. მარადიული ჩამორჩენილობა, სულიერი და მატერიალური სიდუხჭირე უფრო დიდი

და ხანგრძლივი ტანჯვაა, ვიდრე იმ ენის დაკარგვა, რომელიც არაფერში გარგიათ (ბაქრაძე : 1989).

ორიოდე სიტყვით შევაჩეროთ ყურადღება გიორგი მუხრანბატონის პიროვნებაზე. იგი დაიბადა 1821 წელს. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წარმომადგენელია, არის ერეკლე მეორის შვილთაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული დიდმოხელე ( სენატორი და საიდუმლო მრჩეველი), მეფისნაცვლის საბჭოს წევრი , ამიერკავკასიის ბატონყმობის გასაუქმებლად პირობების შემმუშავებელი ცენტრალური კომიტეტის წევრი, თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის შესამუშავებლად არჩეული სარედაქციო კომიტეტის საპატიო წევრი. გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

ბუნებრივია, ქართველი მოღვაწეები ამ საკითხს გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ და მალევე მოჰყვა მწვავე რეაქცია. პოლემიკაში ჩაერთნენ: ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა მოღვაწეები.

უმწვავესი რეაქცია მოჰყვა ივანე ჯაბადარის ნაშრომს „წერილები საქართველოზე“, რომელიც 1889 წლის „სევერნი ვესტნიკის ( N 2-3 ) თებერვალ-მარტის ნომერებში ნ. დ.-ს ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ნაშრომის დასაწყისშივე ავტორი აცხადებს, რომ განზრახული აქვს მკითხველს გააცნოს ქართველთა სულიერი და ნივთიერი ცხოვრება იმგვარად, როგორც ასახულია იგი ქართველთა ისტორიაში, ლიტერატურასა და თანამედროვე ყოფაში. აქვე გვაცნობს თავის მიზანს - სურს გაუღვიძოს რუსეთის ინტელიგენციას სურვილი, რომ უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლონ მრავალმხრივ საინტერესო ქართველი ერი, რომელიც გამოირჩევა ამიერკავკასიის ერებისაგან თავისი მოქალაქეობრივი განვითარებით, რომლის წარმოშობა და ენა ინტერესის საგანია მსოფლიოში გამოჩენილი ანტროპოლოგებისა და ლინგვისტებისთვის. ჟურნალის მომდევნო, მარტის თვის ნომერში ისევ ეხება თავის განზრახვას, რომ სურს გამოარკვიოს, ქართველი ერი მართლა დაბერდა, ამოწურა თავისი ენერგია, თუ ჯერაც არ დაუწყია ინტენსიური ცხოვრება და მთელი თავისი ენერგია მომავლისათვის შემოუნახავს. და თუ ამ კითხვებზე პასუხს მოძებნის, თავის მიზანს შესრულებულად ჩათვლის.

მოკლედ შევეხოთ ივანე ჯაბადარის პიროვნებასა და მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი დაიბადა 1852 წელს. მისი მამა, სპირიდონ ჯაბადარი ხელმოკლე აზნაური იყო. ივანემ თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გააგრძელა. 1874 წელს გაემგზავრა ევროპაში, ცხოვრობდა ჟენევისა და პარიზში. იყო ორგანიზაცია „უღელის“ წევრი. 1874 წელს მონაწილეობდა ჟენევის კონგრესში. მონაწილეებმა დააყენეს საკითხი ამიერკავკასიის რუსეთიდან გამოყოფის შესახებ. ივანე ჯაბადარი და ჩიკოძე, რომლებიც კავკასიელთა რევოლუციურ-ხალხოსნური წრის წევრები იყვნენ, წინააღმდეგი წავიდნენ. ივანე ჯაბადარი მალევე დაბრუნდა რუსეთში და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ერთ-ერთი ავტორი იყო „სრულიად რუსეთის სოციალ- რევოლუციონერთა ორგანიზაციის“ წესდებისა. იზიარებდა „ხალხოსანთა“ იდეოლოგიას და მიეკუთვნებოდა ბაკუნინის ფრთას. 1875 წელს დააპატიმრეს და „ორმოცდაათიანის პროცესის“ მონაწილეებთან ერთად გაასამართლეს. ხუთი წლით კატორღა მიესაჯა. სასჯელის მოხდის შემდეგ ციმბირის ერთ-ერთ გუბერნიაში გადაასახლეს. 1888 წელს მას აღუდგინეს აზნაურის წოდება და მისცეს უფლება, მეუღლესთან, ოღლა ლუბატოვიჩთან ერთად ეცხოვრა იმპერიის სხვა გუბერნიებშიც, გარდა სატახტო და საგუბერნიო ქალაქებისა. ივანე ჯაბადარი დაბრუნდა თბილისში

და საადვოკატო საქმიანობა დაიწყო. ხშირად დადიოდა „ივერიის რედაქციაში, მაგრამ იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო ვეღარ გააგრძელა თანამშრომლობა. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა თბილისის საბჭოს ხმოსნად. 1905 წლის მარტში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე მხარი არ დაუჭირა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. 1913 წელს იგი ტრაგიკულად დაიღუპა თბილისი-საგარეჯოს გზაზე.

ივანე ჯაბადარის ნაშრომში საქართველოს ისტორია, ქართული სულიერება, მწერლობა დაკნინებულია, რაც მთავარია, მისი ნააზრევი ყოველგვარ მეცნიერულ ანალიზს მოკლებულია, თუმცა, ჯაბადარი წუხს, რომ საქართველოში ვერ იპოვა ვერანაირი წყარო, რომელშიც კრიტიკულად იქნებოდა გარჩეული საქართველოს ისტორია და ლიტერატურა. იქვე აღნიშნავს, რომ ხანდახან პატარა წერილები იბეჭდებოდა, მაგრამ ისეთი მიდგომით, სადაც შედარებითი მეთოდის სრული უვიცობა ჩანს და გამოსადეგი არ არისო. იგი უდიერად მოიხსენიებს „ ქართლის ცხოვრებას“. ამბობს, რომ სახე არ შერჩენია, რადგანაც XVIII საუკუნეში ვახტანგ VI -მ გადააკეთებინა რაღაც კომისიას, რომლის ღირსება და ჯეროვნება ამ საქმისთვის ისე არავინ იცის, როგორც არავინ იცის სად გაქრნენ ის სიგელები და მატიაწეები, რომელნიც ამ კომისიას უნდა გადაემოწმებინა. მეტისმეტად დაეყრდნო სომხურ და სპარსულ წყაროებს, რითაც თანამედროვეთა გადმოცემები გააფერმკრთალაო. ამით დაიკარგა ქართველთა ინდივიდუალური ნიშნები, საქართველოს განვლილი გზა. დაბრკოლებად მიიჩნევს საქართველოს გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობას, რომელიც მისი აზრით გარკვეული იზოლაციის საფუძველი გახდა. თვით ქართველებისთვისაც კი უცხოა ერთმანეთისთვის სხვადასხვა კუთხეები, ზნე და ჩვეულებები.

ნაშრომში ფალსიფიცირებულია საქართველოს ისტორია და კულტურა. ავტორის აზრით ქართული კულტურა სპარსული კულტურით იყო ნასაზრდოები. თვით ფარნავაზს სპარსელად მიიჩნევს და ამბობს, რომ ფარნავაზი საქართველოსთვის ისეთი ცენტრალური ფიგურაა, რომელზეც ხალხი თქმულებებს ქმნის. ფარნავაზიდან მეშვიდე საუკუნემდე საქართველო დაკნინებულია. უდიერად იხსენიებს ვახტანგ გორგასალს. აკნინებს მის როლს და ამბობს, რომ ვერაფერი შექმნა ფასეული, მხოლოდ კარგი მეზრძოლი იყო. მართალია დავით აღმაშენებლის ნიჭს აღიარებს, მაგრამ იქვე ამბობს, რომ მან წერა-კითხვა სიბერეში ისწავლა.

აკნინებს თამარ მეფის ღვაწლს. გარეგნული სიდიადის მიუხედავად მის ეპოქას უწოდებს იმედგაცრუების და დაცემის ხანას. საყვედურობს აგებული მონასტრებისა და სასახლის მორთულობის გამო.

ივანე ჯაბადარმა წერილების გამოქვეყნება გააგრძელა „ნოვოე ობოზრენიეში“. იკვლევს საქართველოს ძველისძველ კულტურას, პირველყოფილ ვინაობას, ქართულ ენას. თანამედროვე ქართული ენა ისე მცირედ განსხვავდება ძველი ქართული ენისაგან, რომ თანამედროვე ქართველი თავისუფლად კითხულობს შუა საუკუნეების ნაწარმოებებს. ეს კი ენის ნაკლად მიაჩნია და ასკვნის - ქართული ენა მცირედ განვითარდაო. ასევე არ სჯერა ქართული ანბანის ფარნავაზის დროს არ არსებობდა ხმოვნებიანი ანბანი. („სევერნი ვესტნიკი“ N. 3 გვ.49) იგი უპირისპირდება უსლარს, რომელიც იწონებს ქართულ ანბანს, ქართულ ზმნას.

ჯაბადარი აკრიტიკებს ქართულ მწერლობას და ამტკიცებს, რომ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვა მწერლები მართალია ქართველები არიან, მაგრამ ქართველ მწერლებად ვერ ჩაითვლებიან, რადგან იმ პერიოდში მოღვაწეობენ, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდაო.

განსაკუთრებით მწვავე იყო მისი შეფასება „ვეხისტყაოსანთან“ დაკავშირებით. სიუჟეტს ნასესხებად მიიჩნევდა, ნაწარმოების გმირებს კი დამამცირებელ შეფასებას აძლევდა. ეს წერილი „სევერნი ვესტნიკში“ დაიბეჭდა.

ივანე ჯაბადარის ნაშრომი „წერილები საქართველოზე“ უაღრესად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ავტორმა იგი ფსევდონიმით გამოაქვეყნა. თითქოს ცდილობს გაარკვიოს, ამოწურა თუ არა ქართველმა ერმა თავისი შესაძლებლობები, შეუძლია თუ არა ერს დამოუკიდებლად არსებობა თანამედროვე მსოფლიოში. საკითხის ასე დაყენება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს იმ პერიოდის საქართველოს კულტურული მდგომარეობის გათვალისწინებით. ნაშრომის გაცნობის შემდეგ, შევეცადეთ მოგვეძიებინა მისი იდეური წყაროები, გამოგვერკვია, ჭეშმარიტი საფუძველი და მიზანდასახულობა.

ივანე ჯაბადარმა საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ისტორია წარმოაჩინა, როგორც ბუნებრივი კანონზომიერების ქვემდებარე - გადიან დაბადების, ზრდის, განვითარებისა და კვდომის პროცესს. ის თავის ნაშრომში იმოწმებს კიდევ ჯონ უილიამ დრეიპერს (ამერიკელი ფილოსოფოსი, ექიმი, ქიმიკოსი, ფოტოგრაფი. დაიბადა ინგლისში. იქ მიიღო განათლება, შემდეგ დასახლდა ამერიკაში. იყო პროფესორი ჯერ ვირჯინიაში, შემდეგ ნიუ-იორკში. მისი უმთავრესი ნაშრომია „ევროპის გონებრივი განვითარების ისტორია“ (1862 წ.) დრეიპერი თავის კვლევებში უარყოფდა ღვთიურ საწყისს და ევოლუციურ განვითარებას მიიჩნევდა მთავარ იდეად. ამით ის იზიარებდა დარვინისა და სპენსერის საზოგადოების განვითარების ევოლუციურ თეორიას. დრეიპერი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ისტორიული განვითარება და ინდივიდის ცხოვრება იმართება იგივე ბუნებრივი კანონებით. ამგვარი შეხედულებებით დრეიპერი ხალხების ისტორიას ყოფდა განსაკუთრებულ საუკუნეებად ( გამოკვლევის საუკუნე, რწმენის საუკუნე, გონებრივი საუკუნე და ა.შ.), რომელიც ყველა ერის ცხოვრებაში მეორდება).

ივანე ჯაბადარის ნაშრომმა „წერილები საქართველოზე“, მძაფრი რეაქცია გამოიწვია ქართული საზოგადოების უმეტეს ნაწილში. მას გამოეხმაურნენ: ვაჟა-ფშაველა, სტეფანე ჭრელაშვილი, იოსებ იმედაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ილიამ კი წერილების მთელი სერია მიუძღვნა, საერთო სათაურით „აი ისტორია“ და საფუძვლიანად დაასაბუთა ივანე ჯაბადარის ნაშრომის არაკომპეტენტურობა და ამხილა ისტორიისა და ქართული კულტურის დამახინჯებაში: „ამისთა შენიშვნას ცულ-უბრალოდ გამოკიდებაში, ცულ-უბრალოდ ახირებაში ნურავინ ჩამოგვართმევს, ჩვენ ბევრგან სხვაგანაც, რომ ამისთანა თვალ-ხუჭუნა ნახტომები უცაბედად კი არ მოსდის ავტორს, არამედ მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათია, მისი ზნე წერისა, კრემჩინსკისებური „სორვალოს“. ერთხელ ეპატიება კაცს, ორჯერ და ყოველ ნაბიჯზედ რომ საამსიტყვოდ გაუხდეს საქმე, ხელ-ჩასაჭიდებელი საბუთი ავტორის ღირსების ასაწონად და იმის გამოსაცნობად თუ რას უნდა მოველოდეთ ამ ზმნის პატრონისაგან“. (აი ისტორია, „ივერია“ N78 გვ.2) ბუნებრივია, ილია ვერ შეეგუებოდა ამგვარ დამოკიდებულებას საქართველოს ისტორიის მიმართ: „ასე სასაცილოდ აგდება ყველაფრისა, ასეთი შელახვა და შებღალვა ლოდიკისა, ცოდმისა, მეცნიერებისა, ლიტერატურტურისა, ნამყოსი, მერმისისა, ასეთი „იყო და არა-იყო-რა“ მარტო იმისთვის, რომ კაცმა ბოლოს და ბოლოს გვითხრას სრული ინტენსიური ცხოვრება ღონისაგან სცლის ერსა და ატა ინტენსიური-კი ძალ-ღონეს უნახავს მერმისისათვისო, - რაც გინდათ სთქვათ, ზრდღვნადაცა ღირს და დევნადაც“. (აი ისტორია N 78 გვ. 2)

ივანე ჯაბადარმა უპასუხა ილია ჭავჭავაძეს, მას შემდეგ, რაც გაეცნო „ივერიის“ ფელეტონებს (N 71, 77, 78, 83) და „ ნოვოე ობოზრენიეში“ (1847, 2 მაისი 1889 )

გამოაქვეყნა საპასუხო წერილი, სადც საყვედურობს ილიას, რომ ის ვერ სარგებლობს თანამედროვე სამეცნიერო კვლევებით. ასე ჯანსაღად დიდი ხანია არ გამცინებიაო. ბუნებრივია, მან ვერ მიიღო ჯანსაღი კრიტიკა. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიანი ამ ანტიეროვნულ წერილებს მომხრეები და მომწონებლებიც გამოუჩნდნენ.

ამ მოვლენამ ნათლად გამოავლინა ივანე ჯავახიანის და მისი თანამოაზრეების ეროვნული ცნობიერების ღრმა კრიზისი. ეროვნული ცნობიერების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელიც გამოხატულია ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი.

მართალია, ჩვენთვის დიდად პატივცემული მეცნიერი, აკაკი ბაქრაძე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ აზროვნებაში მიუთითებს ორი ნაკადის - იმედისა და ნიჰილიზმის ბრძოლას. ნიჰილისტებს იგი არ მიიჩნევს ქართველი ხალხის მტრად - „მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერჯია“, მაგრამ რთულია, ივანე ჯავახიანის შემთხვევაში გავიზიაროთ ეს მოსაზრება. იმდენად მძლავრია და აშკარაა ეროვნული ცნობიერების კრიზისი, იმდენად ნეგატიური და დაუნდობელია მისი აღქმა ქართველი ერის ისტორიისა და მომავლისა, რომ რთულია, აქ სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა დავინახოთ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული თავისუფლების იდეა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, რომ დაძლია ნიჰილიზმი, გადალახა ეროვნული ცნობიერების კრიზისი. „თერგდასლეულებმა“, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, შეძლეს ქართველი კაცის ეროვნული თვითშეგნების აღდგენა, ეროვნული სულის აღორძინება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება. მთავარი ღერძი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნებისა არის ეროვნული თავისუფლების იდეა და ეთიკური იდეალი.

#### ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკ. (1992) „მეცხრამეტე საუკუნე“ ჭიგნში: „ქართული მწერლობა“, თბილისი, „ნაკადული“
2. ბაქრაძე აკ. (2005) ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, „ნეკერი“
3. ჩხაიძე ი. (2009) ნაციონალური მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდასლეულები“) თბილისი, „ახალი ზარი“
4. ჯოლოგუა თ. (2013) ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, „არტანუჯი“
5. „ივერია“, (1889) N 7771, 77, 78, 83, 89, 90, 116, 117, 118 – 130
6. „სევერნი ვესტნიკი“ 1889 N 2-3
7. „ნოვოე ობოზრენიე“ 1889 N 1857, 1848,, 1850\

### **The Idea of National Freedom and the Crisis of National Consciousness in Georgia in the Second Half of the 19th Century**

**Mamardashvili Nino**  
Georgien Technical University, Tbilisi

#### **Abstract**

The 19<sup>th</sup> century in the Georgian nation's history stands out with entirely new political, social, and psychological aspects.

The literary and social-political thought of the second half of the 19<sup>th</sup> century was shaped by the group of “Tergdaleulebi,” who entered the public arena in the 1860s under the leadership of Ilia Chavchavadze. Their main goal was to unite the Georgian nation into a single organism, to revive the national spirit and to form national and state consciousness.

Thanks to their efforts, the new Georgian literature was able to present national and social ideals in the form of a well-defined concept and to use them as a conscious program for the fight of the Georgian people. The idea of national freedom and the ethical ideal became the central axis of literary and social-political thought in Georgia in the second half of the 19<sup>th</sup> century.

The actualization of national history and the expansion of its role was one of the most important features of the “Tergdaleulebi” concept. The “Tergdaleulebi” sought to instill faith in national energy within the people. However, despite their efforts, nihilism remained strong within a segment of Georgian society, which led to the erosion of national consciousness. National consciousness was negatively affected by historical realities — particularly the developments beginning in the 16<sup>th</sup> century, when Georgia fragmented into separate kingdoms and principalities. Nevertheless, the very foundations of national consciousness — linguistic unity, religious integrity and culture — were preserved.

In 19<sup>th</sup> century Georgian thought, Akaki Bakradze points to the struggle between two currents — hope and nihilism. Among the nihilists, a crisis of national consciousness is clearly evident. The analysis of the views of Giorgi Mukhranbatoni and Ivane Jabadari clearly illustrates this phenomenon. In their works, the history and culture of Georgia are falsified.

The idea of national freedom proved so powerful in Georgia during the second half of the 19<sup>th</sup> century that it overcame nihilism and transcended the crisis of national consciousness. Under the leadership of Ilia Chavchavadze, the “Tergdaleulebi” succeeded in restoring the Georgian people's sense of national identity, reviving the national spirit and forming national and state consciousness. The central axis of Georgia's literary and social-political thought in the second half of the 19<sup>th</sup> century was the idea of national freedom and the ethical ideal.

***Keywords:*** *National, Freedom, Crisis of Consciousness, Phenomena, 19th Century*

## ვაშლი ქართველთა და სხვა ხალხთა წარმართულ კულტურაში

### მაყაშვილი მალხაზ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.51>

**აბსტრაქტი.** ამ სტატიაში წარმოდგენილია ვაშლის სიმბოლოე სხვადასხვა ხალხის, მათ შორის ქართველთა ფოლკლორში და განხილულია მისი კავშირი ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებთან და წეს-ჩვეულებებთან. განხილულია ვაშლთან და ვაშლის ხესთან დაკავშირებული ქართველთა, იეზიდების, ბრიტანელების, რომაელების, ფრიგიელების, ინდოელების, ანტიკური ხანის ბერძნების, ყირგიზების, სპარსელების, რუსების და სხვა ხალხთა წეს-ჩვეულებები, მითები, თქმულებები, აგრეთვე, წერილობითი სახით შემორჩენილი, ძველ აღთქმაში დაცული ცნობები, შუამდინარული, ანტიკური ბერძნული და იუდეველთა პოეზიის ნიმუშები, ძველებრალ ჰაგადაში დაცული ცნობები. განხილულია ედემის ვაშლის შესახებ არსებული წარმოდგენის წარმომავლობა. სტატიაში განხილულია ორი მოსაზრება. ერთის თანახმად, ხალხურ წარმოდგენებში და წესჩვეულებებში ვაშლი ფიგურირებს არა როგორც, მაინც და მაინც ეს კონკრეტული მცენარე, არამედ ზოგადად, როგორც ნაყოფი (ვაშლის, ბროქეულის, ბადრანგის, სხვ.) რომელიც თავისთავად ნაყოფიერებას და სიმრავლეს განასახიერებს. სტატიაში განხილული მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია სხვა მოსაზრება, რომ სხვადასხვა ხალხთა, მათ შორის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებებში, მითებში სწორედ ვაშლი უკავშირდება ტრფობას, ნაყოფიერებას და სიმრავლეს და ის შემთხვევით არ მოიხსენიება/გამოიყენება სხვადასხვა მითში, რიტუალში თუ წერილობით წყაროში.

**საკვანძო სიტყვები:** ვაშლი, წეს-ჩვეულება, წერილობითი წყარო, ტრფობა, ნაყოფიერება, სიმრავლე

მცენარეულობას ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანის წარმართულ, [ტრადიციულ](#) შეხედულებებში, რწმენა-წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებებში, თქმულებებში. მცენარის ადგილს ფოლკლორში განაპირობებდა მისი კვებითი ღირებულება, მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების მთელი რიგი. მაგალითად, ადამიანის უმთავრესი მცენარეული საკვები — მარცვლეული კულტურები, ადამიანის წარმოსახვაში დაკავშირდა აგრარულ ღვთაებებთან, მცენარის ყოველწლიურ აღმოცენებასთან მათი სხეულიდან, წარმოდგენასთან სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის შესახებ; ბალახოვანმა მცენარეებმა, ერთი მხრივ, შეიძინეს წარმავლობის სიმბოლური დატვირთვა, მეორე მხრივ კი, ზოგიერთი მათგანის ადრე გაზაფხულზე ყვავილობა დაკავშირდა სიკვდილის და სიცოცხლის მარადიული განახლების იდეასთან; ზოგიერთი მცენარის ყვავილის წითელი ფერი კი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ღვთაებების და მითოლოგიური გმირების მიერ დაღვრილ სისხლთან; მაღალტანიანი მარადმწვანე მცენარეები დაკავშირდნენ სიცოცხლის მარადიულობის იდეასთან, ქვესკნელისა და ზესკნელის დამაკავშირებელ სიცოცხლის ღერძთან; ხეები აღიქმებოდნენ როგორც ზოგიერთი ღვთაების საცხოვრებელი, რომელიც ტყის მცველადაც წარმოესახებოდა ადამიანს; მცენარის ეკლიანობამ განაპირობა მისი რიტუალური გამოყენება კუდიანებისგან და ავი თვალისგან დასაცავად. საკითხის გარშემო დიდძალი

ლიტერატურაა დაგროვილი (Бардавелидзе, 1968; Zohari, 1983; მაკალათია, 1941, 1983; კიკნაძე, 1987; Frazer, 1993; გიორგაძე, 1993; აბაკელია, 1996; ანთელავა, 2017; სურგულაძე, 1977, 2023). გამორჩეულია ქრისტიანულ ტრადიციასთან დაკავშირებული მცენარეთა სახელწოდებები, მათ შორის ქართული კუთხური სახელწოდებები (მაყაშვილი, 1961), რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში რელიგიურ სიუჟეტებთან არის კავშირში, მაგ: ხეთუფალა (პირამიდული კვიპაროზი), ქრისტეგვირგვინა (გლედია), სხვა შემთხვევებში კი უფრო ხალხის ფანტაზიის ნიმუშია, მაგ. ქრისტეს ნეკი, ქრისტეს ცერის დანაბიჯი (ბოსტნის წალიკა), ქრისტებეჭედა (ქათმისკუჭა).

ვაშლის ხე ვერ დაიკვეხნის მაღალტანიანობას, ის არც მარადმწვანეა და არც ეკლები, ან რაიმე სხვა გამორჩეული მორფოლოგიური ნიშანი აქვს, ადრე გაზაფხულზეც არ ყვავილობს და არც ადამიანის ცენტრალური საკვები პროდუქტია. ამიტომ ერთი შეხედვით, ის არ უნდა ყოფილიყო ფოლკლორის ყურადღების საგანი. მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, ვაშლის ხე და მისი ნაყოფი ფოლკლორში ხშირად გვხვდება. სავარაუდოდ, ვაშლის პოპულარობა ფოლკლორში, ერთი მხრივ, განაპირობა მისმა გავრცელებამ წარმოშობის ადგილიდან (ცენტრალური აზია), აბრეშუმის გზით, ევროპასა და ჩინეთში, შემდეგ კი, მთელს მსოფლიოში. მეორე მხრივ სავარაუდოა, ნაყოფის ფორმა, მრავალთესლიანობა, რაც, წარმართულ აზროვნებაში ასოცირდა მდედრის გამრავლების ორგანოსთან, გამრავლებასთან და სასიცვარულო ურთიერთობებთან. როგორც კვერცხია სიცოცხლის და ნაყოფიერების სიმბოლო, ისევე მცენარის ნაყოფი — თესლის კონტეინერი, წარმოადგენდა ნაყოფიერების სიმბოლოს. ამ თვალსაზრისით წრე შუაში წერტილით, საშვილოსნო ჩანასახით, მცენარის ნაყოფი თესლით (მრავალი თესლით), განეკუთვნებიან ნაყოფიერების სიმბოლოთა რიგს.

ვაშლის შესახებ ფოლკლორული სიუჟეტები გვხვდება ძველ აღთქმაში. სანამ ამ საკითხს შევხებით, დასაწყისისთვის გავარკვიოთ, თუ როგორ აღმოჩნდა ვაშლი ადამის და ევას სამოთხიდან განდევნის ფოლკლორულ ინტერპრეტაციაში. წარმოდგენა, რომ ევამ ადამს აკრძალული ხიდან მოწყვეტილი ვაშლი აჭამა, იმდენად პოპულარულია, რომ ჩვენს ანატომიაშიც კი შეაღწია ტერმინის — „ადამის ვაშლი“ სახით (ადამის ვაშლი — *კისრის წინა ნაწილზე გამობურცულობა, წარმოქმნილი ხორხის ფარისებრი ხრტილით, აქვს ორივე სქესს, მაგრამ უფრო გამოხატულია მამაკაცებში*). *ებრაულ ენაზე დაწერილ ბიბლიურ ტექსტში* ვაშლის შესახებ არაფერი წერია. „ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ (დაბადება, 2, 17), რომლის ნაყოფის ჭამა ადამს და ევას აკრძალა, არ სახელდება კონკრეტულ მცენარედ, ხოლო მისი ნაყოფის აღმნიშვნელი სიტყვა ვაშლს კი არა, ზოგადად ნაყოფს ნიშნავს. [ფიქრობენ \(Martyris, 2022\), რომ ვაშლთან აღნიშნული ნაყოფის გაიგივება დაიწყო მას მერე, რაც](#) მეოთხე საუკუნეში, ბიბლიის ლათინურ ენაზე თარგმანში, გაჩნდა *არსებითი სახელი malum. ის ნიშნავს ვაშლს, ზოგადად ხილსაც და აგრეთვე, ბოროტებას. სავარაუდოდ თარგმანის ავტორმა (იერონიმემ, წმ. ჟერომმა), სამოთხის ხის ნაყოფი მოიხსენია ზოგადად ხილად, მაგრამ ადამიანების წარმოდგენაში ვაშლად დამკვიდრდა. ამ წარმოდგენას ხელი შეუწყო ალბრეხტ დიურერის 1504 წლის ცნობილმა გრაფიურამაც, სადაც ადამი და ევა ვაშლის ხესთან არიან გამოხატული. ვაშლის თემა, შემდგომში ლუკას კრანახ უფროსის ტილოშიც არის გამეორებული. ვაშლის ხედ არის წარმოდგენილი სამოთხის ხე რუბენსის ერთერთ ტილოზე. მართალია ყველა ხელოვანი არ იმეორებს კრანახისეულ იდეას. მაგალითად, სიქსტეს კაპელაში მიქელანჯელომ სამოთხის ხე, ფოთლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლეღვად გამოსახა. ბიბლიის რაბინი კომენტატორებიც სამოთხის ხეს ხან ლეღვად, ხან კიდევ სხვა რომელიმე ხედ მოიხსენიებენ. ჯონ მილტონი, თავის პოემაში „დაკარგული სამოთხე“, დასაწყისში, სამოთხის ხის ნაყოფს სიტყვით — Fruit (ნაყოფი) აღნიშნავს, მაგრამ პოემის მომდევნო ტექსტში, რამდენიმე ადგილას, ასახელებს ვაშლს. მილტონის დროსაც სიტყვა ვაშლი (Apple) აღნიშნავდა როგორც თავად ვაშლს, ასევე ზოგადად კენკროვან (მრავალთესლიან) ხილსაც, და ვარაუდობენ, რომ მილტონმა ეს სიტყვა სწორედ ხილის მნიშვნელობით გამოიყენა. ინგლისურ ენაში, კიდევ კარგა ხანი მილტონის შემდეგაც, სიტყვა „Apple“*

ხილის კრებითი სახელიც იყო. მაგრამ, რ. აპელბაუმი (Martyris, 2024) ფიქრობს, რომ მილტონის პოემაში სიტყვა — ვაშლი, აღიქმებოდა როგორც ვაშლი და ასოცირდებოდა ვაშლის კონკრეტულ ჯიშთან, რომელსაც სამოთხის ვაშლი ეწოდა. სამოთხის ვაშლი მე-11 საუკუნის იუდეველ პოეტებთან (იუდა ჰალევეთან) მოიხსენიება ვნების, ხორციელი სიყვარულის სიმბოლოდ (აჯიაშვილი, 1994). ვაშლი ძველებრულ ჰაგადაშიც გვხვდება (Агада, 1993). მაგალითად, თარხუმ შენის მიხედვით, როდესაც ამანს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს (იხ. ძველი აღქმის ესთერის წიგნი), ხეები ბჭობდნენ, თუ რომელი მათგანი უნდა გამოყენებულიყო სახრჩობელად. ყველა ხე ცდილობდა საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. მუხამ, მაგალითად, თქვა, რომ მის ჩრდილშია დაკრძალული დებორა, ხოლო ტერებინთო ამბობდა: აბესალომი დავითის შვილი, თმებით ჩემს ტოტებში გაიხლართაო (ბიბლიის ქართულ თარგმანში, მეფეთა 2, 18:9, მუხაა ნახსენები. მ.მ.). სამოთხის ვაშლმა თქვა: უფალო, ყველა ხალხი იყენებს ჩემს ნაყოფს შენს წინაშე სიხარულის გამოსახატავად“. მირტმა თქვა: სამოთხის ვაშლის მსგავსად, სიხარულის ჰიმნს აღავლენენ ჩემთან ერთად“. ვაშლის სხვა ჯიშმა კი გამოაცხადა: წმინდანებს მე მადარებენო“.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აფხაზურ ფოლკლორში არსებული თქმულება (ანთელავა, 2017). ადამი და ანამი დედამიწაზე გაჩენილი პირველი ადამიანები (ცოლ-ქმარი) არიან. მათ გაუჩნდათ სამი ვაჟი და, რადგან იმ უხსოვარ დროს საჭმელი ჯერ კიდევ არ იყო, შვილებს ჰაერით კვებავდნენ. ერთხელაც ეშმაკმა ადამს წითელი ვაშლი მისცა. ვაშლნაჭამმა ადამმა ჩაისვარა. უფროსმა შვილებმა ასეთ მდგომარეობაში მყოფი მამა რომ იხილეს, იზიზღეს და გარეთ გავარდნენ; მხოლოდ უმცროსმა დაბანა იგი. ადამმა უფროსი ვაჟები დაწყევლა, შრომა არ მოგაკლოთ ღმერთმაო, ხოლო უმცროსი დალოცა, ჯაფა ნუმც გენახოს, თავი ისე გერჩინოსო. ასე რომ, მშრომელი ადამიანები ადამის უფროსი ვაჟების შთამომავლები არიან, უჯაფოდ თავის მარჩენელნი — უმცროსისა. ამგვარად წითელი ვაშლი ადამის საკვებად ჩანს აფხაზურ „ბიბლიურ“ ფოლკლორში, მაცდუნებელი კი ეშმაკია. ამავდროულად, შინაარსი აშკარა კავშირშია ნოეს ისტორიასთანაც (დაბადება, 9), რომელზედაც აქ არ შეეხერხებოდა.

*ძველ აღთქმაში მოიპოვება ვაშლის შესახებ ცნობები. „ქებათა ქება სოლომონისა“ -ში (2:3) ვაშლი შედარებულია მამაკაც სატრფოსთან: როგორც ხე ვაშლისა ტყიურ ხეთა შორის, ასეა საყვარელი ჩემი ჰაბუკთა შორის! მის ჩრდილში მსურს და ვზივარ კიდევ, ნაყოფი მისი ეტკბო ჩემს სასას. და კიდევ, 8:5 — ვინ არის იგი, უდაბნოდან ამომავალი, თავისი მეტრფის მხარს დაყრდნობილი? ვაშლის ხის ქვეშ გაგაღვიძე შენ. იქ გშვა დედამ შენმა, იქ გშვა მშობელმა შენმა. რას უკავშირდება ეს სტროფები? ქებათა ქებაში (8:5-14) წიგნის თემაა სოფელ შუნემში (შულამში) მცხოვრები ქალიშვილისა და მწყემსი ბიჭის სიყვარული. მეფე სოლომონს უნდა გოგონას სასახლეში დატოვება, მაგრამ ის მტკიცე უარს ეუბნება, რადგან ყავს სატრფო — მწყემსი ბიჭი. ბევრი უშედეგო მცდელობის შემდეგ სოლომონი სახლში უშვებს შულამელ გოგონას. მწყემსი ბიჭის ძმებმა დაინახეს, რომ სახლში მიმავალი შულამელი მარტო არ იყო. ის „თავის სატრფოზე დაყრდნობილი“ მიდიოდა. მან გაიხსენა, რომ „ვაშლის ხის ქვეშ“ შეხვდა თავის შეყვარებულს და ირწმუნებოდა, რომ მისი სიყვარული ძლიერი იყო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტროფი სოლომონის ქებათა ქებადან (2:5): ნუგბართ გამამაგრეთ და ვაშლებით განმიახლეთ ძალა, რადგან სიყვარულით ვარ სნეული. არსებობს კრიტიკული მოსაზრება, რომ, რამდენადაც პალესტინაში, ვაშლის ადგილობრივი ჯიშები საკმაოდ უგემურია, ზემოთ განხილულ მაგალითებში ვაშლში უფრო კომში უნდა იგულისხმებოდეს (კვლავ მივიდივართ საკითხთან, რომ ვაშლი ზოგადად ხილს აღნიშნავს). შესაძლებელია ამ მოსაზრებას ისიც ადასურებდეს, რომ პომპეიში შემორჩენილ ხელოვნების ნიმუშებში, სასიყვარულო სცენებში კომშის ფოთლები უხვად ფიგურირებს. სხვები ამბობენ, რომ იგულისხმება ბადრანგი, რომელიც ფორმის გამო მამრობითი სათესლეების სიმბოლოც არის, თუმცა მკვლევარები აღიარებენ, რომ ყველგან, სადაც ძველ ტექსტებში ვაშლი მოიხსენიება, ის უკავშირდება ვნებას და ხორციელ სიყვარულს (Inman, 1875).*

ამგვარად, ბიბლიაში ვაშლი სიყვარულთან, ვნებასთან, სატრფოსთან არის დაკავშირებული. ეს თემა ორიგინალური ბიბლიური არ არის. ძველ შუამდინარული

პოეზიაში (კიკნაძე, 1987) ინანა (შუმერების სიყვარულის, მგრძნობიარობის, ნაყოფიერების ქალღმერთი) ამბობს: ჩემმა ძმამ ბაღში შემეყვანა, ვაშლის ხესთან ვიჩოქებდი, როგორც წესია, ვიჩოქებდი“. იგულისხმება დუმუზი, შუმერების მოკვდავი და აღდგენადი ღვთაება. დუმუზი ინანას საქმროა, ძველ აღმოსავლურ ლიტერატურაში შეყვარებულები ხშირად და-ძმად მოიხსენიებიან). სხვა ტექსტში (Иванов, 1977) ვკითხულობთ, რომ მთა დაწვა ღამით მძინარე იშთართან (ინანას მოგვიანო, აქადურ-ბაბილონური ვერსია). როდესაც იშთარმა გაიღვიძა, დაიწყო წყევლა იმის მისამართით, ვინც შეურაცხყო. მთას შეეშინდა და „იშთარის წინაშე დაიხოქა, როგორც ვაშლის ხემ“.

ამგვარად, ბიბლიის შექმნამდე გაცილებით ადრე, შუამდინარულ, უძველეს ცივილიზაციაში ვაშლი უკვე საქმროს, სიყვარულის სიმბოლოა. ძველი ბერძნული პანთეონის ღვთაებას — აფროდიტეს და მის რომაულ ვერსიას — ვენერას, სიყვარულის ქალღმერთებს, ხშირად აქანდაკებდნენ ხელში ვაშლით.

ქრისტიანულ ტრადიციაში ვაშლი უკვე ცოდვათა გამოსყიდვის სიმბოლოა. ფრანსისკო დე სურბარანის ტილოზე, მაგალითად, ღვთიშობელი და ყრმა გამოსახულია ვაშლებთან ერთად.

ამ ფონზე, ერთი შეხედვით, უცნაურად მოჩანს ზოგიერთ ფოლკლორულ ნიმუშში ვაშლის უარყოფით კონტექსტში ხსენება. ზემოთ აღნიშნულ *აფხაზურ ფოლკლორულ გადმოცემაში ყურადსაღებია, რომ ვაშლი წითელი იყო, ღამაში და მადის აღმძვრელი. მსგავსი სიუჟეტი მეორდება ზღაპრებში, სადაც ბოროტი ჯადოქარი მოწამლულ წითელ ვაშლს აჭმევს მზეთუნახავს (მაგ. ძმები გრიმების ზღაპარში, ვიფქია და შვიდი ჯუჯა, რუსულ მითოლოგიაში, სადაც გმირის მიერ დამარცხებული გველის დედა გადაიქცევა ვაშლის ხედ შხამიანი ნაყოფებით). ბერძნულ მითში ვაშლი, უსიამოვნების და ომის პროვოკატორის როლს თამაშობს. საუბარია „განხეთქილების ვაშლზე“, რომელიც ქალღმერთმა ერისმა, ტიტან ატლანტის ბალიდან წამოიღო და ქორწილში მიიტანა, სადაც ბერძნული პანთეონის ქალღმერთები შეკრებილიყვნენ. ვაშლს ეწერა „უმშვენიერეს“ და ცხადია, ყველა ქალღმერთმა ჩათვალა, რომ ვაშლი მას ეკუთვნოდა. შულღმაც არ დააყოვნა. პარისს ერგო არჩევანის უფლება. მას უნდა გადაეწყვიტა, რომელ ქალღმერთს ეკუთვნოდა ვაშლი და შესაბამისად, უმშვენიერესად დასახელება. თითოეული ქალღმერთი მისი არჩევის შემთხვევაში საჩუქარს პირდებოდა პარისს და საყურადღებოა, რომ მან აფროდიტე შეარჩია, რადგან აფროდიტე, სიყვარულის ქალღმერთი, პარისს შეპირდა მოკვდავ ქალთაგან უმშვენიერესის (მშვენიერი ელენეს) ქმრობას. შემდგომ მოვლენები ასეც განვითარდა, პარისმა დაიპყრო ელენეს გული, მაგრამ ამას ტროას ომი მოჰყვა. აქ ამ ამბის დაწვრილებით აღწერისგან თავს ვიკავებთ, რადგან ჩვენი მიზანი ვაშლის „უდანაშაულობის დამტკიცებაა“. უსიამოვნებები, რომლებიც ვაშლის ქორწილში მიტანას მოჰყვა, ღმერთების და პარისის ნამოქმედარის შედეგია, ხოლო ვაშლი, აქაც სასიყვარულო ურთიერთობებთან არის კავშირში. თავად ვაშლის ხე, საიდანაც ნაყოფი ქორწილში მოხვდა, იდგა ტიტან ატლანტოსის ბაღში, რომელსაც ჰესპერიდები და დრაკონი იცავდნენ. ხე ოქროს ვაშლს ისხამდა. ეს იყო ცოლ-ქმრული წმინდა ურთიერთობის, შვილიერების ხე, რომელიც ჰვამ ამოზარდა ზევსის და ჰერას ქორწილში (კუნი, 1983). ამიტომაც აღმოჩნდა ვაშლი ქორწილში, თუმცა ის ცუდი გაზრახვით იქნა გამოყენებული. ბერძნულ მითოლოგიაში ეშმაკობით რაღაცის მისაღწევად ვაშლის გამოყენების კიდევ რამდენიმე მაგალითი მოიპოვება. მშვენიერი, კიდიპეს ცოლად შესართავად კიოსელმა ჭაბუკმა, აკონთიოსმა, არტემიდეს ტაძარში დააგდო ოქროს ვაშლი, რომელსაც ეწერა: ვფიცავ, ცოლად გაყვავ აკონთიოსს. კიდიპემ თვალი მოჰკრა ვაშლს, აიღო, ხმამაღლა წაიკითხა წარწერა და ვეღარ გატეხა ხმამაღლა ნათქვამი სიტყვა. ვაშლის უწესოდ გამოყენება, როგორც ჩანს, პოპულარული იყო. ატლანტემ, სახელგანთქმულმა სწრაფმორბენალმა მონადირე ქალმა, განაცხადა, რომ ცოლად გაყვებოდა მას, ვინც სირბილში აჯობებდა. ატლანტეს ეს გადაწყვეტილება წინასწარმეტყველებამ გამოიწვია, რომ თუ ის გათხოვდებოდა, მოკვდებოდა, ან, სხვა ვერსიით, ცხოველად გადაიქცეოდა (Inman, 1875). მელანიონს (ჰიპომენესს) აფროდიტემ (ისევ აფროდიტე, სიყვარულის ქალღმერთი) მისცა სამი ოქროს ვაშლი, ოღონდ ეს არ იყო ვაშლი ჰესპერიდების ბალიდან. აფროდიტეს რჩევით, შეჯიბრის*

დროს, მელანიონი თანმიმდევრობით ყრიდა ვაშლებს სირბილის დროს, ატალანტე დაიხრებოდა ვაშლის ასაღებად, ამაში დროს კარგავდა და ჩამორჩა მეტოქეს. ისინი შეუღლდნენ (გაფრინდაშვილი, 1972). აღწერილ მაგალითებში ვაშლს უწესოდ იყენებენ, მაგრამ აშკარაა ვაშლის კავშირი სიყვარულთან და დაქორწინებასთან. ამ მხრივ, ატალანტეს ისტორიისათვის საინტერესო ფაქტია, რომ ჩ.წ. მეხუთეს საუკუნის ბერძნულ კრატერზე (ორყურიან ვაზაზე) აფროდიტე გამოსახულია ვაშლით ხელში, მაგრამ ამავედროულად, იქვე დგას ეროსი, რომელსაც ასევე ვაშლი უჭირავს (Foster, 1899). ეროსი, კი, როგორც ცნობილია, სიყვარულის, ვნებისაღმძვრელი ღვთაებაა.

ვაშლის სიმბოლიკით მდიდარია სლავური ფოლკლორი (Ипполитова, 2024). რუსების წარმოდგენით, ვაშლი აღვიძებს ქალურ საწყისს, თუ ახალგაზრდა ქალი ვაშლის ხის ძირში დაიძინებს, სიზმარში მომავალ საქმროს ნახავს. საინტერესოა, რომ უფრო ასაკიან ქალებს, სასიყვარულო საქმეებში ეხმარება არა ვაშლი, არამედ ცირცელი. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს, რომ მთხრობელს ვაშლი არ აქვს ზოგადად ხილის აღსანიშნავად მოხსენიებული, არამედ კონკრეტულ მცენარის შესახებ გადმოგვცემს. შოტლანდიაში, გასათხოვარი გოგონა, ჰელოუინის ღამეს, სარკის წინ ვაშლს მიირთმევდა, რის წყალობითაც სარკეში მომავალ საქმროს დაინახავდა. მონტენეგროში, პატარძალი ისროდა ვაშლს საქმროს სახლის სახურავზე, რათა შვილიერება დაბედობოდათ (Foster, 1899). საყურადღებოა ჯეიმს ჯორჯ ფრეიზერის, მსოფლიოს უდიდესი ანთროპოლოგის, მიერ მოწოდებული ცნობა (Frazer, 1993), რომ ყირგიზეთში, უშვილო ქალები დაგორდებოდნენ ხოლმე ვაშლის ხის ძირში, რაც ხალხის წარმოდგენით, შვილიერებას უზრუნველყოფდა. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვაშლის კავშირი სიყვარულთან, შვილიერებასთან, ჩანს არა ერთი რომელიმე ქვეყნის ფოლკლორში, არამედ საერთო საკაცობრიო წარმოდგენებშია დაფიქსირებული, რაც ახასიათებს უმეტეს ფოლკლორულ ტრადიციას (Frazer, 1993). ამის კიდევ ერთი მაგალითია იეზიდების საქორწილო რიტუალში ვაშლის როლი. სასიძო უნდა ავიდეს სახლის მეორე სართულზე და იქიდან ესროლოს პატარძალს სამი ვაშლი, როგორც უბიწობის, ბედნიერების, და გამრავლების სიმბოლო (ერი და ბერი, 2021). მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ახალგაზრდა ქალისათვის ვაშლის სროლის ტრადიცია. ხალხის წარმოდგენით, ეს ნიშნავდა სიყვარულის გამოხატვას ან ხელის თხოვნას (Frazer, 1993). გარკვეულწილად გამონაკლისია ჩინური ტრადიცია, აღიქვან ვაშლი, როგორც ჰარმონიის, მშვიდობის სიმბოლო, თუმცა უკავშირდება აგრეთვე ქალურ მშვენიერებას და ქალურ ენერჯიას. სიზმარში ვაშლის ნახვა ოჯახის ბარაქას ნიშნავს, და ეს წარმოდგენა მონღოლეთშიც ტრადიციულია (3 <https://www.fengshuied.com/apple-fruit>).

რუსულ ზღაპრებში ხშირად ერთად გვხვდება ვაშლის ხე და ცოცხალი წყალი და ვინც ვაშლს მიირთმევს, გაახალგაზრდავდება. გერმანულ-სკანდინავიური მითშიც, ქალღმერთ იდუნს, ოდინის რძალს, აქვს მარადიული სიჭაბუკის ვაშლები, რომლებსაც მიირთმევენ ღმერთები, რათა ახალგაზრდები დარჩნენ მარად. თავად იდუნი უკვდავების და მარადიული სიჭაბუკის ქალღმერთია (გელოვანი, 1986). ჰესპერიდების ოქროს ვაშლების არ იყოს, იდუნის ვაშლებიც ხელიდან ხელში გადადის, მაგრამ საბოლოოდ მას უბრუნდება. მეორე სკანდინავიური ქალღმერთი, ფრეია — ნაყოფიერების, მშვენიერების, სიცოცხლის და სიკვდილის გამგე, ასევე ვაშლთან არის სიმბოლურ კავშირში. შვედეთში, შობის დღეებში, ფრეია არხევს ვაშლის ხეს, ვაშლები ცვივა და ეს უზრუნველყოფს უხვ მოსავალს მომავალ წელს.

რუსულ ზღაპარში მეფე ვისლავს აქვს ბაღი, სადაც დგას მეფის საყვარელი ვაშლის ხე, რომელიც ოქროს ვაშლებს ისხამს. რა თქმა უნდა, აქაც მეორდება ვაშლების მოპარვის იდეა, ოღონდ ქურდი ზღაპრული ფრინველია (ზოგიერთი მოსაზრებით, ფენიქსის სლავური ვერსია).

ზოგ შემთხვევაში ოქროს ვაშლის ნაცვლად ვერცხლის ვაშლია ნახსენები. მაგალითად უილიამ იეიტსის პოემაში ვერცხლის ვაშლი ასოცირებულია მთვარესთან, ოქროსი კი მზესთან. მოგვიანებით ოქროს ვაშლს ემახდნენ ფორთოხლის და პომიდვრის ნაყოფსაც.

მარადიული სიჭაბუკისთვის, და აგრეთვე, უშვილობის სამკურნალოდ ვაშლის

გამოყენების თემა ქართულ ფოლკლორშიც გვხვდება (მაგ. მითი მესებების შესახებ, ზღაპრები ასფურცელა და ივანე ცისკრისა). ვაშლის სიმბოლიკა სასიყვარულო თემებში, ასევე გვხვდება ქართულ ხალხურ პოეზიაში: „სურვილისა ვაშლი მედგა, ფეხი შავდგი, შავხარეო, შენ მაშინვე შემიყვარდი, რაწამს თვალი შავყარეო“ (ჭინჭარაული, 1985). ქართულ საქორწილო რიტუალში გვხვდება „სადედისძმო ჯვარი“, რომელსაც ბიძა, დედის ძმა, მიართმევდა პატარძალს, ქადაში იყო ჩარჭობილი. ზედ ეკიდა წინდები, ხოლო წვერებზე ვაშლები (მაკალათია, 1983). გ. ცოცანიძე აზუსტებს ამ ჯვრის მორთულობას: სადედისძმო ჯვარს განივ ტოტებზე სანთლები ენთო და ბოლოებზე ვაშლები ქონდა ჩამოცმული (ცოცანიძე, 1990).

ვაშლი საახალწლო რიტუალშიც გვხვდება. საახალწლო ჩიჩილაკი მიჩნეულია ცხოვრების ხის ერთერთ ინსპირაციად. ნ. აბაკელიას (აბაკელია, 1996) მიხედვით ჩიჩილაკი მზადდებოდა ახალი წლის წინა დღეს, ტყეში საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის მოძებნილი თხილის ხის ტოტისაგან (თხილს, ქართულ კულტურაში, საგანგებო სიმბოლური დატვირთვა აქვს (კიკნაძე, 2022). სახლში მოტანილი თხილის ტოტს თლიდნენ და აძლევდნენ ჩიჩილაკის ფორმას. თავზე გადაჯვარედინებული ჯოხები უკეთდებოდა პორიზონტალურად; ამ ჯოხებიდან ორის ბოლოებში ჩამოაცმევდნენ ბროწეულსა და ვაშლს. ავტორი არ აძლევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელი ხილი იქნებოდა ჩიჩილაკზე ჩამოცმული. თუმცა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მნიშვნელობა ეძლეოდა ვაშლის და ბროწეულის ფორმას — ჩიჩილაკზე, ცხოვრების ხეზე, ჩამოცმული ვაშლები და ბროწეული, ი. სურგულაძის მიერ (სურგულაძე, 2015) სოლარულ სიმბოლოებად არის მიჩნეული. სოლარულ სიმბოლოდ, ი. სურგულაძეს, მიაჩნია, აგრეთვე ვაშლი ლეჩხუმურ საახალწლო გვერგვში. ეს არის ვაზის ლერწისგან დაწნული წრე, ცენტრში ჯვრის ფორმად თხილის ტოტებია მოთავსებული. ამ ტოტების გარეთ გამავალ ბოლოებზე კი ვაშლებია ჩამოცმული. აღნიშნული ინტერპრეტაცია მიესადაგება, ალბათ, ბონსაც. ბონი („სწორი“) — მეგრული საწესო ხე — სიცოცხლის ხის ერთ-ერთი სახეობაა; მას ამზადებდნენ იფნის, ცაცხვის ან ფიჭვის ღეროსგან, წაწვეტებული ძირით. ბონის ტანსა და ტოტებს ფერადი რთავდნენ ზონარებით და საღებავით აჭრელებდნენ, მის ტოტებზე ხილსა (ვაშლი, მსხალი, კომში, ბროწეული და სხვ.) და ტკბილეულს ჰკიდებდნენ და საწირ-სანთლებს აკრავდნენ. ვფიქრობთ, დასაშვებია, რომ ვაშლი და ბროწეული ორმაგ დატვირთვას ატარებდნენ საახალწლო რიტუალში და სიცოცხლის ხის მოდელში. ბროწეული, ძველ საბერძნეთში უკვადავების, იმედის, ქორწინების სიმბოლოა, ფერიას ბროწეულის ნაყოფისგან ჩაესახა ფრიგიელთა ბუნების ღვთაება, ატისი (გაფრინდაშვილი, 1972), იუდაიზმში ღვთისგან დალოცვილობის სიმბოლოა და, ამიტომაც სოლომონ მეფის სასახლე უხვად მორთული იყო ბროწეულების გამოსახულებებით (მესამე მეფეთა), ნოვრუზის დღესასწაულზე სასანიანი მეფეების სასახლეში 7 ხის ტოტი დაიდებოდა, მათ შორის ბროწეულისა, ზედ წარწერით „გამრავლდა, გამრავლება, სიმდიდრე, სიუხვე, ბედნიერება (Басилов, 1986). ამგვარად ბროწეული პირდაპირ კავშირშია ადამიანის ცხოვრებაში დადებით მოვლენებთან და მისი „ტანდემი“ ვაშლთან ჩიჩილაკზე, შესაძლებელია უკავშირდება ორივე ნაყოფის (ბროწეულის და ვაშლის) სიმბოლურ დატვირთვას ნაყოფიერების, სიუხვის თვალსაზრისით. კიდევ ერთი მაგალითი ნოვრუზთან დაკავშირებით: ნოვრუზის დროს ოჯახებში იშლებოდა სადღესასწაულო სუფრა — სოფრე ჰაფტსინი, რომელზედაც დადებდნენ ყურანს და სუფრის შვიდ აუცილებელ შემადგენელს: ჯეჯილს, ტკბილ კვერს, ზეთისხილს, კოწახურს, ნიორს, ძმარს და ვაშლს. ყოველი მათგანი რაღაცის სიმბოლოს წარმოადგენდა, მათ შორის ვაშლი განასახიერებდა ნაყოფიერების ანგელოზს. ირანელები დებდნენ ვაშლს წყლიან ჯამში, მადლობას უხდიდნენ ღმერთს ვაშლის დალოცვისთვის და სთხოვდნენ მას სიყვარულს და შვილიერებას. ვაშლი წითელი უნდა ყოფილიყო (Sofreh Haftsin, 2025). სუფრაზე შესაძლებელია დაედოთ ყვავილები, ბროწეული, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ აუცილებელ შემადგენელს. ბროწეული განასახიერებდა სიწმინდეს. ამგვარად, ბროწეულს ვაშლისგან განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა და რაც მთავარია, ვაშლი სუფრის აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენდა, ბროწეული კი არა. ისიც საინტერესოა, რომ ვაშლის სპარსული სახელი „სიბ“ არაბულად დაქორწინებულ ბიჭს ნიშნავს. აღწერილი ტრადიციის შემთხვევაში თითქოს ექვგარეშეა, რომ ჰაფტსინზე მაინც და მაინც ვაშლს

დებდნენ სიყვარულის და შვილიერების სიმბოლოს სახით და არა ნებისმიერ ხილს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ ცნობებს ვაშლის სიმბოლიკის შესახებ წითელ ხაზად გასდევს კითხვა „ვაშლი თუ ზოგადად ხილი“. საქმე არ ეხება მხოლოდ დასავლურ და შუამდინარულ ცივილიზაციებს. ინდოელი ავტორიც (Atre, 1987) მიუთითებს, რომ მცენარის ნაყოფი, (განსაკუთრებით მრავალთესლიანი ნაყოფი), ნაყოფიერების, გამრავლების, სიყვარულის სიმბოლოა ინდურ ტრადიციაში, ზოგ შემთხვევაში ეს ვაშლია, სხვა შემთხვევაში ბროწეული, ან ბადრანგი და ავტორის აზრით, აქ ზოგადად ნაყოფი ატარებს სიმბოლურ დატვირთვას და არა მაინც და მაინც ერთი კონკრეტული მცენარის ნაყოფი. თუმცა ვფიქრობთ, რომ ზემოთ მრავლად მოყვანილი მაგალითები (მაგ. ჰაფტსინის ვაშლი, ვაშლი იეზიდების ქორწილში, ვაშლი ბრიტანულ ტრადიციაში, ძვლებერძულ პოეზიაში და სხვ.) იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ეს ხილი სწორედ ვაშლად იგულისხმება სხვადასხვა შემოქმედებაში. ალბათ ხსენებულ კითხვაზე დაზუსტებულ პასუხს შემდგომი კვლევა გასცემს.

#### ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ. (1996). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინ-ტი.
2. ანთელავა ნ. (2017). კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი. უნივერსალი
3. აჯიშვილი ჯ. (1994). შრომანი რელიგია, შუა საკუნეების ებრაელი პოეტები. თბილისი. კავკასიის უნივერსიტეტი.
4. გაფრინდაშვილი ნ. (1972). მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. თსუ.
5. გელოვანი ა. (1986). გერმანული მითები, თქმულებები და ბალადები. თბილისი. ილიას სახ. უნივერსიტეტი.
6. გიორგაძე მ. 1993. ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია. თბილისი. თბილისი. მეცნიერება.
7. ერი და ბერი. (2021). <https://www.facebook.com/eridaberi/photos/a.4442271862466004/4490318480994675/?type=3>
8. კიკნაძე ზ. (2022). ქართული მითოლოგია, ენციკლოპედია. თბილისი. ზაკმი.
9. კიკნაძე ზ. (1987). ძველი შუამდინარული პოეზია. თბილისი. მემკვიდრეობა.
10. კუნი ნ. ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები. (1983). თბილისი. განათლება.
11. მაკალათია ს. (1883). თუშეთი. თბილისი. ნაკადული.
12. მაკალათია ს. (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი. ვიკიწყარო.
13. მაყაშვილი ა. (1961). ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
14. სურგულაძე ი. (1977). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. თბილისი. Icoz.Ru.
15. სურგულაძე ი. (2003). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი. iverieli.
16. ცოცანიძე გ. (1990). გიორგობიდან გიორგობამდე. თბილისი. მეცნიერება.
17. **ჭინჭარაული ა. (1985). ლექსო არ დაიკარგები : ქართული ხალხური პოეზია. თბილისი. მერანი.**
18. Atre S. (1987). Meny seed apple: The fruit of fertility. Bulletin of the Deccan College Research Institute. 46. 1–7.
19. Foster BO. (1899). Notes on the Symbolism of the Apple in Classical Antiquity. Harvard Studies in Classical Philology. 10. 39-55.
20. Frazer, Sir James (1993). The Golden Bough. UK. Wordsworth
21. Inman Th. (1875). Ancient pagan and modern christian symbolism. <https://www.gutenberg.org/files/38485/38485-h/38485-h.htm>
22. Martyris N. (2022). How The Apple Became The Forbidden Fruit <https://www.npr.org/sections/thesalt/2017/04/30/526069512/>
23. Sofreh Haftsin. (2025). <https://www.tappersia.com/blog/haft-sin/>
24. Zohari M. 1983. Plants of the Bible. UK. Cambridge University Press.
25. Бялик ХН. Агада. Сказания, притчи и изречения талмуда и мидашей. (1993). Москва. Паритет.
26. Бардавелидзе И. (1968). Древо жизни и обилия в религиозных верованиях Грузии. Тбилиси. Кавказский дом.
27. Басилов НВ. (1986). Древние обряды, верования и культы народов Средней Азии. Москва. Наука.
28. Иванов В. (1977). Луна упавшая с неба. Москваю Художественная литература.
29. Ипполитова А. (2024). Летняя школа по формальным методам в фольклористике [ruthenia.ru/folklore/ls04\\_ippolitova1.htm](http://ruthenia.ru/folklore/ls04_ippolitova1.htm)

## Apple in the Pagan Culture of Georgians and Other Peoples

**Makashvili Malkhaz**

Ilia State University

I. Beritashvili Centre of Experimental Biomedicine, Tbilisi

### Abstract

*This article presents the symbolism of the apple in the folklore of various nations, including Georgians, and discusses its connection with people's beliefs, ideas, and customs. The customs, myths, and legends of Georgians, Yezidis, Britons, Romans, Phrygians, Indians, ancient Greeks, Kyrgyz, Persians, Russians et cetera, information preserved in the Old Testament, ancient Hebrew Haggadah and medieval, ancient Greek and Jewish poetry is analyzed. The article discusses two opinions. According to one suggestion, an apple appears in folk beliefs and customs by chance, not as an apple as particular plant species, but as an abstract fruit, symbolizing fertility and abundance. Based on a comparative analysis of the data, presented in the current article, we advocate opposite suggestion, that apple does not appear by chance, but rather plays its specific symbolic role in the beliefs, customs, and myths of various nations, including Georgians.*

**Keywords:** *apple, custom, written source, love, fertility, abundance.*

## Circe's Song: Path to Self-Awareness and Self-Empowerment in Madeline Miller's "Circe"

Merkviladze Mariam

International Black Sea University, Tbilisi

<https://doi.org/10.52340/idw.2025.52>

**Abstract.** *Madeline Miller's Circe is a captivating reimagining of the ancient mythological figure who is best known from Homer's Odyssey. Unlike the traditional depictions of Circe as an enchantress who tempts and manipulates men, Miller's novel converts her from a minor sorceress to a powerful symbol of self-awareness and empowerment. In the novel, Circe is illustrated as a multifaceted protagonist on her transforming path of self-awareness and empowerment. The present study looks at how Miller depicts Circe's journey to self-discovery, emphasizing the internal and external struggles that define her character. Miller's use of Circe as a symbol of metamorphosis provides a captivating narrative, making the novel an essential contribution to modern readings of classic heroines. The current paper dives into Circe's journey of self-awareness and discovery, investigating how she goes through a transformation from a marginalized nymph to an autonomous and self-possessed sorceress representing female empowerment and resilience. It contributes to current concerns about feminist mythmaking and the changing role of female characters in literature.*

**Keywords:** *Circe; Mythological reimagining; Female agency; Self-awareness; Self-empowerment;*

### Literature Review

Literature has long explored the nature and complexities of womanhood, and this discussion is getting deeper in post-modern literature as well (Hartman & Zimberoff, 2009). Literature scholars argue that nearly all civilizations share narratives of individuals who overcome destiny, divine forces, or catastrophic events, not necessarily through sheer power, but frequently through unique inner qualities such as bravery and intelligence (Gabriel, 2020). In the contemporary research in the literature, one of the most prevailing topics is self-awareness and self-empowerment, especially of the female characters. Madeline Miller's *Circe* is fundamentally a coming-of-age story that follows the protagonist's path from rejection and isolation to self-actualization.

Miller (2018) presents *Circe* as a modern reinterpretation of the enchantress from Homer's *Odyssey*, transforming her from minor mythological figures into a well-developed and autonomous character. Rather than depicting *Circe* as a seductive and menacing sorceress who detains *Odysseus*, Miller reimagines her as a character with agency and a narrative voice, enabling her to recount her own journey of transformation, self-discovery and self-empowerment (Sarwar & Fatima, 2022). Miller's novel reinterprets conventional depictions of women Greek mythology in order to participate in the current feminist conversation (Qasim & Rahayu, 2021). In the novel power is reinterpreted as self-mastery and the courage to follow one's own path, rather than as dominion over others.

Through a feminist perspective, it can be noted that the novel examines themes of female autonomy, identity, and resilience, establishing *Circe* as an invaluable contribution to contemporary mythological fiction.

### Circe's Classical and Mythological Background

*Circe* is one of the most mysterious and enigmatic characters in Greek mythology, featured largely in Homer's *Odyssey* but also in other classical literature (e.g. Ovid's *Metamorphosis*; Apollonius of

Rhodes *Argonautica*; Hesiod's *Theogony*). She has been viewed and reimagined differently over time, from a frightening enchantress to a symbol of female empowerment (Yarnall, 1989). Circe's character has been analyzed through various perspectives throughout history. Since her initial appearance in Homer's *Odyssey* later literary traditions and philosophical discussions have expanded on her significance. Scholars have interpreted Circe as a representation of transformation, temptation, divine authority, female autonomy, self-awareness, and empowerment (Yarnall, 1989; Rivers, 2022; Franklin, 2023; Sunny & Narayana, 2024). Her ability to transform humans into animals, within a broader mythological framework, highlights the distinction between humanity and animality, civilization and savagery, as well as nature and culture.

Circe is only mentioned briefly in Hesiod's *Theogony*, but she remains an essential figure in the story. She is introduced as the offspring of Helios, the sun god, and Perse, the sea nymph. She also becomes Telegonus' mother, and Odysseus is his father. While the poem does not explain her magical abilities, her past reveals that she hails from both heavenly and oceanic roots, implying that she has powerful supernatural ties. Rather than focusing on her acts, the poem situates her inside a prominent family, emphasizing how gods and mortals are frequently linked in Greek myths.

As claimed in Zalewska-Jura (2018), Apollonius of Rhodes' *Argonautica* shows Circe in a calmer, more religious light than in earlier stories. As Medea's relative, she gets involved when Jason and Medea arrive looking for forgiveness for their murderous crimes. Without fully comprehending their actions, she performs the cleansing process, remaining emotionally detached and focused on spiritual commitment. As posited in the article by Blum-Sorensen (2023), rather than a vengeful enchantress, in *Argonautica*, Circe is portrayed as a defender of holy traditions, emphasizing themes of sin, redemption, and divine limitations. This picture is consistent with the poem's larger consideration of moral struggle and the conflict between feeling and responsibility.

3. Celan P. (1992): Der Meridian. In: Gesammelte Werke in fünf Bänden. Hrsg. von B. Allemann und St. Reichert. Band 3. Frankfurt a. M.: Suhrkamp. იხ. აგრეთვე: ცელანი, პ. (2013): "პოეზიის მერიდიანები." ჩვენი მწერლობა №19 (201), გვ. 66.
4. Fassbind B. (1995): Poetik des Dialogs. Voraussetzungen dialogischer Poesie bei Paul Celan und Konzepte der Intersubjektivität bei Martin Buber, Martin Heidegger und Emmanuel Levinas. München: Fink.
5. Gehle H. (1997): Poetologien nach Auschwitz. Bachmanns und Celans sprechen über Dichtung zwischen 1958 und 1961. In: Ingeborg Bachmann und Paul Celan. Poetische Korrespondenzen. Vierzehn Beiträge. Hrsg. von B. Böschstein und S. Weigel. 2. Aufl. Frankfurt a. M.: Suhrkamp-Verlag.
6. Heidegger M. (1970). *Gesamtausgabe. Freiburger Vorlesungen*. Band 39. Frankfurt a. M.: Vittorio Klostermann.
7. Kaiser V. (1993): Das Echo jeder Verschattung. Figur und Reflexion bei Rilke, Benn und Celan. Wien: Passagen Verlag.
8. Strässle Th. (2007): Poetiken der Zäsur. Zu Anja Lemkes Studie über Heidegger und Celan. In: Celan Jahrbuch 9. Hrsg. von H.-M. Speier. Heidelberg: Winter.
9. Strelka J. P. (1994): Zwischen Wirklichkeit und Traum. Das Wesen des Österreichischen in der Literatur. Tübingen und Basel: A. Francke.
10. Wittgenstein L.: „Die Arbeit an der Philosophie“ als „Arbeit an Einem selbst“ (von Ilse Somavilla) S. 1-22. [https://www.uibk.ac.at/brennerarchiv/literatur/tirol/lilit\\_6\\_2015/zeitblende/links/vortrag-lw\\_teil-2.pdf](https://www.uibk.ac.at/brennerarchiv/literatur/tirol/lilit_6_2015/zeitblende/links/vortrag-lw_teil-2.pdf)

### **The Purpose of the “New Language” of Poetry in the Theoretical-Aesthetic Concepts of P. Celan and I. Bachmann**

**Mujiri Sophie**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

#### **Abstract**

The paper outlines the distinctive features of post-war German lyrical poetry and the poets’ union “Group 47,” which laid the foundation for a new theoretical perspective and literary style. The paper analyzes the significant theoretical works of Ingeborg Bachmann and Paul Celan. Special attention is focused on Celan’s theoretical-aesthetic concept as articulated in “*The Meridian*” (“Der Meridian”), a vision wholly shared by Ingeborg Bachmann. The research

explores the central issues of the theoretical-aesthetic concepts of Celan and Bachmann, such as the function and purpose of lyrical poetry, the specificity of poetic language, the poet's relationship with reality, and the philosophical influences on the poet's creative work etc.

The study determines that the rejection of old literary traditions by these poets stemmed from their desire to create a "new language" with a new mode of expression. In their lyrical poetry, this goal is realized through the use of cryptic expression, laconicism, the rejection of punctuation, the breaking of rhyme and violation of syntactic rules. The "new" lyrical poetry is also characterized by the abundance of metaphors, allegories and symbols; a verse line structure; free rhythm; weakening of the function of the lyrical "I" and a direct "dialogue" with the reader.

Typical features of Celan's "hermetic" lyrical poetry include: "mysterious codes" and allusions to specific Biblical narratives and figures, a pessimistic thematic approach, and the frequent use of adjectives denoting dark colors. The opposing motifs embodied in the poetry of Celan and Bachmann—protest and silence, good and evil, death and life—are in direct correlation with the issues of post-war philosophy, which also heavily emphasizes melancholy, alienation, fear, spiritual crisis and emptiness.

The existential philosophies of Ludwig Wittgenstein and Martin Heidegger have had a particularly strong influence on the poems and theoretical writings of Paul Celan and Ingeborg Bachmann.

**Key words:** *Ingeborg Bachmann, Paul Celan, theoretical-aesthetic concept, The Meridian, "new language"*

**პერსონაჟის თვითმკვლევლობა - მორალური თუ სოციალური ფიასკო  
(ლევო ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“)**

**პაიჭაძე თამარ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.54>

**აბსტრაქტი.** თვითმკვლევლობის სოციალური ეფექტის პარადოქსალური ბუნების შესახებ არაერთგზის არის მითითებული არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ ლიტერატურულ ტექსტებშიც. ე. წ. საღი აზრი თვითმკვლევლობას ყოვლად უსაზრისო აქტად მიიჩნევს, თუმცა ის შესაძლოა მრავალმა მიზეზმა გამოიწვიოს და ამ მრავალფეროვნების ერთი ფენომენის ქვეშ გაერთიანება შეუძლებელია.

თვითმკვლევლობა. როგორც აქტი, ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარკვეული პროტესტი, რომლის გარესამყაროსთან კონფლიქტის შეუთავსებლობის შედეგია ან ფაქტია-რეაქცია კონკრეტული (ზოგჯერ პირადი) ცხოვრებისეული რეალობისა, თუმცა ისიც, გარკვეულწილად ზოგადი გარემოებებითაა გამაფრებელი ან განპირობებული. ამდენად, თვითმკვლევლობის სიუჟეტური დეფინიცია არ არის ჩამოყალიბებული, იმდენად, რამდენადაც ის მრავალმიზეზობრივია. თუმცა თვითგანადგურების ყველა აქტს, მიუხედავად მისი ინდივიდუალური (ზოგჯერ ეგოისტური) ბუნებისა, აქვს ერთი შემეცნებითი საფუძველი - ეს არის უიმედობა, ამასთან ის უპირატესად კავშირშია რელიგიასთან და პატრიოტიზმთან და ძირითადად განიხილება, როგორც ანტირელიგიური და ანტისოციალური მოვლენა. მას თან ახლავს აქტორის/თვითმკვლელის ტანჯვა და მის მიერ დროის პარადოქსალური აღქმა.

მსოფლიო ლიტერატურული ქრონოლოგიას თვითმკვლევლობის ფაქტები თავიდან ბოლომდე გასდევს, თუმცა ისიც აღიარებულია რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული, ტექნოკრატიული და მოდერნისტული ეპოქის კვალობაზე, ომების, ღირებულებათა რღვევის და გადაფასების რეჟიმში პიროვნების გაუცხოების პირობებში ადამიანის სურვილი - ნებით გაეცალოს სამყაროს, გახშირდა და შესაბამისად ლიტერატურაშიც აისახა. ეს ტენდენცია მთელი სიცხადით გამოიკვეთა ~ ქართულ ლიტერატურაშიც და ეგნატე ნინოშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლევო ქიაჩელის და სხვა მწერალთა მხატვრულ ტექსტებში აისახა.

ამჯერად ამ ფაქტს ლევო ქიაჩელის მოთხრობის „თავადის ქალი მაია“ მაგალითზე განვიხილავთ, ანუ როგორ იკითხება ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ყოფა, შინასამყარო და ფსიქოლოგიური პორტრეტი მის მიერვე განხორციელებული სუიციდის ფონზე.

**საკვანძო სიტყვები:** თვითმკვლევლობა, ლიტერატურული ტექსტი, მორალური ფიასკო, სოციალური ფიასკო, პროტესტი

თვითმკვლევლობის სოციალური ეფექტის პარადოქსალური ბუნების შესახებ არაერთგზის არის მითითებული არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ ლიტერატურულ ტექსტებშიც. ე. წ. საღი აზრი თვითმკვლევლობას ყოვლად უსაზრისო აქტად მიიჩნევს, თუმცა ის შესაძლოა მრავალმა მიზეზმა გამოიწვიოს და ამ მრავალფეროვნების ერთი ფენომენის ქვეშ გაერთიანება შეუძლებელია.

თვითმკვლევლობა, როგორც აქტი, ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება

განვიხილოთ, როგორც გარკვეული პროტესტი, რომლის გარესამყაროსთან კონფლიქტის შეუთავსებლობის შედეგია ან ფაქტია-რეაქცია კონკრეტული (ზოგჯერ პირადი) ცხოვრებისეული რეალობისა, თუმცა ისიც, გარკვეულწილად ზოგადი გარემოებებითაა გამძაფრებული ან განპირობებული. ამდენად, თვითმკვლევლობის სიუჟეტური დეფინიცია არ არის ჩამოყალიბებული, იმდენად, რამდენადაც ის მრავალმიზნობრივია. თუმცა თვითგანადგურების ყველა აქტს, მიუხედავად მისი ინდივიდუალური (ზოგჯერ ეგოისტური) ბუნებისა, აქვს ერთი შემეცნებითი საფძველი - ეს არის უიმედობა, ამასთან ის უპირატესად კავშირშია რელიგიასთან და პატრიოტიზმთან და ძირითადად განიხილება, როგორც ანტირელიგიური და ანტისოციალური მოვლენა. მას თან ახლავს აქტორის/თვითმკვლელის ტანჯვა და მის მიერ დროის პარადოქსალური აღქმა.

თვითმკვლევლობა სამი ძირითადი ქრისტიანული სათნოების უარყოფაა, რომელთა შორისაც იმედს უპირველესი ადგილი უკავია. იმედი ქრისტიანობის მინიმუმია, თვითმკვლევლობა - იმედის არქონის საზღვრითი გამოხატულებაა. ჯოჯოხეთი უიმედობის ონტოლოგიზაციაა. დანტე ალიგიერის სიტყვები: „აქ შემსვლელებმა იმედები დატოვეთ გარეთ“, გულისხმობს სიკვდილის იმედს. უიმედობა მარადიულობაში ჯოჯოხეთის ცოდვილთა ტანჯვის ძირითადი მიზეზია. ალბერ კამიუს აზრით, თვითმკვლევლობა ძირითადი ფილოსოფიური პრობლემაა.. ჰამლეტი მსოფლიო ლიტერატურის პირველი პერსონაჟია, რომელიც სვამს თვითმკვლევლობის პრობლემას. თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედებითი ძიებებში თვითმკვლევლობის იდეალიზაციის მცდელობა იკვეთება.

მსოფლიო ლიტერატურული ქრონოლოგიას თვითმკვლევლობის ფაქტები თავიდან ბოლომდე გასდევს, თუმცა ისიც აღიარებულია რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული, ტექნოკრატიული და მოდერნისტული ეპოქის კვალობაზე, ომების, ღირებულებათა რღვევის და გადაფასების რეჟიმში პიროვნების გაუცხოების პირობებში ადამიანის სურვილი - ნებით გაეცალოს სამყაროს, გახშირდა და შესაბამისად ლიტერატურაშიც აისახა. ეს ტენდენცია მთელი სიცხადით გამოიკვეთა ~ ქართულ ლიტერატურაშიც და ეგნატე ნინოშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის და სხვა მწერალთა მხატვრულ ტექსტებში აისახა.

ამჯერად ამ ფაქტს ლეო ქიაჩელის მოთხრობის „თავადის ქალი მათა“ მაგალითზე განვიხილავთ, ანუ როგორ იკითხება ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის ყოფა, შინასამყარო და ფსიქოლოგიური პორტრეტი მის მიერვე განხორციელებული სუიციდის ფონზე.

ზოგადად, ლეო ქიაჩელის ნოველები შეიძლება რამდენიმე რკალად დაიყოს, რომლებიც ერთმანეთისაგან მხატვრული აღქმის სპეციფიკურობით გამოირჩევა: პერსონაჟთა ხატვის ნაირსახეობით, მოტივთა სხვადასხვაგორობით თუ მხატვრულ - მსოფლმხედველობრივი პოზიციით.

შესაბამისად ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის, რაც ამთლიანებს მწერლის ნოველათა თემატურ რკალებს - ის, რაც ფაქტობრივად განმაპირობებელია მათი თვისებებისა თუ ესთეტიკური ღირებულებებისა ასეთად უნდა მივიჩნიოთ მწერლის ხაზგასმული ინტერესი ადამიანის შინასამყაროში მიმდინარე სულიერი მეტამორფოზებისა და გარესამყაროსთან მისი ცალსახა გაუცხოების პრობლემებზე.

მწერლის ყურადღებას უპირველესად პერსონაჟის ფსიქოლოგიური განცდები იწვევენ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლეო ქიაჩელი მოდერნისტული/იმპრესიონისტული მსოფლალქმის შემოქმედია და ამ აზრით

სინამდვილის ემპირიულ მოცემულობას ნაკლებად ენდობა, ის „რიგითა ცა და უბრალოს“ „იდუმალსა და იშვიათს“ ამჯობინებს. ამგვარ მხატვრულ მიდრეკილებათა წარმოსაჩენად კი ა ნოველის ფორმა ზედმიწევნით ხელსაყრელი და ნაყოფიერია.

ნოველაში „მიუწვდომელი სიმები“, რომლებიც თავისთავად ხაზს უსვამს მწერლის განსხვავებულ დამოკიდებულებას „იდუმალის და მიუწვდომელის“ მიმართ, ავტორი წერს: „ არის რაღაცა იდუმალი ხმა, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, გაუგებარი, მაგრამ რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ მთელი არსებით. საიდუმლო და მიუწვდომელი სიმები გაბმულია მთელ სამყაროში და მათი მომაჯადოებელი ხმები ისმის ბუნებაში, ადამიანის სულსა და გულში . ჩვენ ყოველთვის გრძნობთ მათ არსებობას, მაგრამ არ ვიცით, საიდან არიან ისინი, მრავალი საიდუმლოებაა დაფარული ადამიანის იდუმალებაში და იბადება სურვილი ახადოს ფარდა ამ საიდუმლოებას“. (ქიაჩელი, 1964, 78)

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ოციანი წლების ქართული მწერლობა იმ დროის იდეოლოგიურ დღის წესრიგს მძაფრად აირეკლავდა და იმ თემებს შორის, რომელთა ხაზგასმაც სოცრეალისტური ნარატივის „პროფილად“ იქცა, „წარმავალი“, „დრომოჭმული“ „ისტორიულად განწირული“ საზოგადოებრივი ფენების ჩვენება იყო, ამ „მტრული კლასის“ უფუნქციობა და პიროვნული თუ სულიერი გადაგვარება ქართველი კლასიკოსების შემოქმედებითი დისკურსების ერთ-ერთ მთავარ პრობლემატიკად ჩამოყალიბდა. დემნა შენგელაიას „სანავარდო“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ამ შეხედულებათა პირდაპირი დადასტურებაა. მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური კოლიზიების წარმოჩენას თავის ნაწარმოებებში (ამის უპირველესი დასტურია რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც 1915 წლით თარიღდება) შემოქმედებითი ცხოვრების ადრეული ეტაპიდანვე არც ლეო ქიაჩელი ერიდებოდა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი წარმატების განსაკუთრებული ეტაპი „თავადის ქალი მაია“ შექმნის შემდეგ იწყება.ეს მოთხრობა ფსიქოლოგიური დრამაა პიროვნების, ქალის ცხოვრებაზე, ემოციასა და სიკვდილზე. საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკამ ეს მოთხრობა პროპაგანდისტულ-ინფორმაციული მოტივით წლების მანძილზე ახმიანა; ის მიზანმიმართულად ასაბუთებდა, რომ თავადის ქალი დრომოჭმული, ჩამყვებული, და თანამედროვეობისათვის ზედმეტი ადამიანის ტიპიური მაგალითი იყო. თავისი ხასიათით, ზნეობრივი და შეხედულებრივი პოზიციით ის იყო სახე ბერჟუაზიული კლასისა, გაქსუებული მებატონისა, რომელსაც ჰგონია, რომ მას შეუძლია ადამიანებით მანიპულირება და გვიან ხვდება რომ ის მკვდარი სოციუმი და სოციალისტურ სინამდვილეში მისი ადგილი არ არის. - ამგვარი ახსნა ბოლო ხანებამდე სტერეოტიპად იქცა ამ მოთხრობის გაანალიზებისას.

„თავადის ქალი მაია“ 1927 წლით თარიღდება ეს განსაკუთრებული ეტაპია ლეო ქიაჩელის შრომებში, როცა რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ მოდერნისტული პოსტპერიოდის ხანაში მწერალმა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ანება თავი და თხემით ტერფამდე ლიტერატურულ ცხოვრებას მიეცა. ამ პერიოდს უნდა მივაკუთნოთ კლასიკური მოთხრობის ჟანრში შექმნილი რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ეპოქის ასახვასთან ერთად პიროვნების -პერსონაჟის შინაგანსამყაროს წარმოჩენის და მის მორალურ ღირებულებათა გაანალიზების საეტაპო და მაღალმხატვრულ ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ალმასგირ კიბულან“, „ჰაკი ამბა“ და „თავადის ქალი მაია“.

„თავადის ქალი მაია“ გამოკვეთილი მხატვრულ-პრობლემატური ღირებულების ნოველაა, რომელიც ამავე დროს სოციალურ მნიშვნელობას ინარჩუნებს. მაია

არატიპიური, სოციალურ განსაზღვრულობაზე ამდლებული პერსონაჟია, თითქოს ერთგვარი განვითარება იმისა, რაც ჩანასახობრივად იყო მოცემული მწერლისავე სხვა ნოველათა პერსონაჟ ქალთა სახეებში. მაია დაუფარავად ატარებს გულში ბოზოქარ ვნებებს, ის „ერთგულია თავისი გულის თქმის, ხასიათისა და ბედისწერის და ერთხელაც არ გახსნის იგი განგების ხელით ნაჭედ რკალს“, ამიტომ არა მარტო ტრაგიკულია არამედ მშვენიერი“ - აღნიშნავს კრიტიკოსი წერს თამაზ ვასაძე. (ვასაძე, 2016, 46)

მწერალი მაიას სახით გვიხატავს ოდესაც ფუფუნებასა და განცხრომაში მყოფი ქალის ცხოვრებას, რომელსაც ახალმა დროებამ ყველაფერი წაართვა. პრივილეგირებული, განებივრებული ყოფის ნაცვლად მას საკმაოდ მომჭკნარი სახე და თითებზე ასხმული სამკაულებიდა შერჩა, წარსული აქ მხოლოდ ამბაფრებს რეალობის განცდას და ნაწარმოებში მწერალი ერთმანეთს ორ რეალობას უპირისპირებს ძველსა და ახალს. ძველი წარმოჩენილია მაიასა და ბონდოს სახით, ხოლო ახლის მხარეს კი დაფინო და ამ ამბაკო დგანან.

ლეო ქიაჩელი მაიას პერსონაჟის ჩვენებით იმ სოციალურ ფენას წაროსახავს, რომელმაც ის წარმოშვა, ანუ ის სოციალური ერთეული, რომელიც ერთდროულად მაიას დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა უკვე თავადაა დასაღუპად განწირული. ნაწარმოებში ჩანს ტრაგიზმი იმ ადამიანისა რომელიც ფაქტიურად თვითონ კისრულობს პასუხისმგებლობას მთელი სოციალური წრის მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის და ეს ცოდვები მან სიკვდილით გამოისყიდა.

რამ მიიყვანა მაია თვითმკვლელობამდე? მოთხრობის დასაწყისშივე იგრძნობა ერთგვარი მზადება ისეთი ფინალისათვის თითქოს იგრძნობა დასასრულის მოახლოება, თუმცა თავად ქალს ეს მომენტი ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რადგან მასში მომავლის არსებობის შესაძლებლობის იმედი ბოლომდე არ არის გადაწურული. ეს შესაძლებლობა კი ბონდოს სიყვარულს უკავშირდება „განთქმული არშიყი ბონდო -თავადი უკანასკნელი სიყვარული და მიზანია მაიას ცხოვრების“. არადა საქმე უფრო რთულ და ღრმა პრობლემასთან გვაქვს, ვიდრე საკითხის აღქმის სოციალური და იდეოლოგიური ფსევდოპარამეტრია. მაიას ცხოვრება და სიკვდილი ურთულესი ფსიქოლოგიური დრამაა, რომელიც თავადთა ფენის კვდომაზე კი არაა დაფუძნებული, არამედ ქალური თავმოყვარეობის ფიასკოზე, მარტოსულობის ტრაგედიაზე, გაუცხოვებული ადამიანის ბედისწერაზე, რაც ხდება კიდევ მიზეზი დემონსტრაციული და თავისებურად რიტუალური და აღსარებითი სუიციდისა.

სიმბოლურია ისიც, რომ თუკი თავიდან თავადის ქალი ზღვის გამოჩენას მძიმე ფიქრისა თუ ტკივილებისაგან მხსნელივით ელის, ბოლოს სწორედ ზღვას უკავშირებს თავის ბედისწერას და მიაბარებს მას საკუთარ სულსა და სხეულს. ზღვაზე ადამიანის მზერა სიღრმისკენაა მიმართული და სრულიად მშვიდია. გამომდინარე აქედან, თითქოს ბუნებრივიცაა მაიას მიერ მშვიდად წარმოთქმული სიტყვები „მე სიღრმეს ვეძებ დაფინო, ზღვის სიღრმეს, რომელსაც შეუძლია ისე დამძალოს, ისე დამფაროს, რომ ეს ჩემი ტანი აღარსად ჩანდეს...“ (ქიაჩელი, 1964, 86)

ჭვრეტს რა ადამიანის შინაგანი ცხოვრების პარადოქსებს, ავტორი გვთავაზობს მოთხრობის საინტერესო ფილოსოფიურ გააზრებას. სიუჟეტში მოაქცევს და განასახოვნებს განმაზოგადებელ იდეას; მაია მართალია ბედისწერისადმი მორჩილია, მაგრამ ამავე დროს დაუნდობელია მოღალატის, ამ შემთხვევაში ბონდოს მიმართ. მას შემდეგ, რაც ბონდოსგან შეურაცხყოფილი მაია საკუთარი ქალური ღირსების დამცირებას გააცნობიერებს, თითქოს იმედთან და სიცოცხლესთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფიც წყდება. თითქოსდა პერსონიფიცირებული შინაგანი ხმები გარე

პოლიმიკას მიმართავენ და ერთ-ერთი მათგანი - აგრესიულ ინსტიქტითა განმსახიერებელი დანარჩენს ანადგურებს კიდევ და ამის შემდგომ წარმოიშობა უსაზღვრო შურისძიების გრძნობა: „შენ კი შეურაცხყავ თავადის ქალი მაია, რომელმაც პატიება არ იცის შენს შეურაცხყავ სიყვარული“ - ამბობს მაია. (ქიაჩელი, 1964, 85)

ნოველაში სიმძაფრეს ქმნის არა იმდენად გარეგანი ამბები, არამედ საყვარელი ადამიანის ღალატით წარმოშობილი სულიერი კოლიზია, მაიას არ არ ძალუძს პატიება. ამასთან ერთად, იმისათვის, რომ მისი სიამაყე ფეხქვეშ არავინ გათელოს, მაია თავად ხდება ინიციატორი და თავად სთავაზობს ერთგვარ „თავისუფალ სასიყვარულო არჩევანს“ ბონდოს, რაც თავისთავად მაიასაგან დიდ მსხვერპლის ტოლფასია. იწყება შინაგანი ბრძოლა ქალსა და კაცს შორის „დედოფალივით მშვიდი იყო მაია, თავაზიანობის თავადური ღიმილი ფარულად აჯდა ტუჩებზე“ (ქიაჩელი, 1964, 88) და თითქოს ბედისწერამ გამოუგზავნა შურისძიების იარაღი; მის გონებაში უცებ გამოიკვეთა შურისძიების გეგმა.

ერთი შეხედვით შეიძლება ბანალურადაც მივიჩნიოთ შეყვარებულის ღალატით შეურაცხყოფილი ქალის განცდები მაგრამ გონების თვალთ თუ დავაკვირდებით, ჩვენ ვიხილავთ ღრმა სოციალურ შინაარსს და საკუთარ დიდებასთან ერთად და დამსხვრეულ ადამიანურ ვნებებს. მაიას ბედნიერება საყვარელი მამაკაცს, ბონდოს უკავშირდება და მის სიკვდილს თავადის ქალის ბედნიერებაც თან მიაქვს; თუ თავდაპირველად ღალატის გამო ბონდო სიკვდილის ჯერ კიდევ გაუაზრებელი და გაუცნობიერებელი სურვილი მძაფრად იგრძნობა; ანუ ბონდო სიკვდილით მაია დამშვიდებას ვფიქრობდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო: მან „საკუთარი თავის არარაობა იგრძნო, ვნებანი მარწუხებივით შემოეჭდო ყელზე“.

წარსული დასაფლავებულია აწყო დანგრეული, მომავალი კი ბნელით მოცული. თავადის ქალის უნიადაგო ოცნებათა მსხვრევა, გარდაულობის უკაცრესი განაჩენის აღსრულება თავადის ქალის უმძიმეს განცდათა ფონზე ვითარდება. შური და ვერაგობა უკანასკნელი თავშესაფარია, რათა მაიამ ისე ადვილად არ დათმოს საკუთარი არსებობა. აქ ჩანს მისი შინააშლილობის, უმძაფრეს ფსიქოლოგიურ განწყობათა ანარეკლი, რითაც ზოგადად ავტორისეული დამოკიდებულებაც ცხადდება: ადამიანი მრავალი სხვადასხვაგვარი ინსტიქტის, ემოციის, სულიერი ძალის მომცველ მიკროსამყაროს წარმოადგენს, მასში ბევრი რამ არის გონებისათვის მიუწვდომელი, სული კარგავს მთლიანობას და ნაწევრდება.

ნოველის კონცეფციას საბოლოოდ აყალიბებს ის რომ ნაწარმოების გმირი საკუთარ თავში პოულობს ასეთ ძალებს რის შესახებ მან არც კი იცოდა მკვლევლობა, რომელიც ფაქტიურად თავად მაია სჩადის, თავისი ხელით, თითქოს მასთან არანაირ კავშირშია.

ამდენად, სუბიექტური წარმოდგენებისა და ობიექტური რეალობის შეუთავსებლობა და კონფლიქტი ტექსტის ძირითადი პრობლემატიკაა. აქ საინტერესოა კიდევ ერთი რამ: ეპოქალურ მოვლენებს ლეო ქიაჩელი ხსნის ერთი ადამიანის ბედის, მის სულში გათამაშებული დრამის ჩვენების ფონზე - მაიას ცხოვრების აღწერით, რითაც ფაქტობრივად წარმოაჩენს დასაღუპად განწირულ კლასს, რაზეც მოთხრობის დასაწყისშივეა მინიშნებული, თუმცა, როგორც ავლნიშნეთ, ქალური ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვის მძაფრი განცდა ხდება ცალსახა მიზეზი მაიას შურისძიებისა და სუიციდიისა, ამ ყოველივეს კი სოციალურ გარდატეხათა ისტორიული გარემო უწყობს ხელს.

ბედისწერის ძალა და გარდაუვალობა მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება ნაწარმოების დასასრულს, სადაც თავადის ქალი ცხოვრების მიერ გამოტანილი

განაჩენის აღმსრულებლად თავადვე გვევლინება. სავარაუდოა, რომ ბედისწერის მოტივი სიუჟეტური სიმძაფრისათვის ხაზგასმისათვის აქვს მწერალს მოხმობილი.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტსაც, რომ ბედისწერის ძალა და ადამიანის წინაგრძობა ერთ-ერთი ის სტილური ნიშანია, რითაც ხასიათდება ლეო ქიაჩელის არაერთი ნაწარმოები. ხოლო ვნება კი ამ მოვლენათა ერთგვარი სიმბოლური წარმოჩენაა.

მაია მშვიდად ეგუება აღსასრულს, სინანული და სევდა გარკვეულ რომანტიკულ-პოეტურ ელფერს სძენს პერსონაჟის მოქმედებას. ნაწარმოების ბოლოს ავტორისეულ ნარატივს რეფრენად გასდევს ზღვის ლურჯი ტალღებიდან ამოხეთქილი ფრაზა: “ ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს?” ... და თავადის ქალმა პასუხიც იცის: „უბედური თავადის ქალი მაია“.

სახეზეა წინასასიკვდილო მისტერია: აღსარებასავით ჟღერს მაიას მონათხრობი საკუთარი ცხოვრების შესახებ, ამ აღსარებას მოგონება უდევს საფუძვლად. მოგონება განცდის ობიექტივიზაციას გულისხმობს, წარსულში მომხდარი ობიექტური მოვლენა არსებობას განაგრძობს და ის არ არის ოდენ მომხდარი აქტი.

ამდენად, წარსული აწმყოშიც მოქმედებს და ასე ჩნდება წასულის გაცდა და საკუთარი მე ეს განცდაც, რომელიც თავის შინაარს წარსულში პოულობს.

უიმედო, უსიხარულო მომავალი, მარტოობის შიში განაპირობებს მაიას დამოკიდებულებას როგორც წარსულის ასე მე მომავლისადმი და როდესაც სამყაროსთან შემაერთებელი უკანასკნელი ხიდი ღალატით ინგრევა, მაიასთავის აშკარა ხდება გარემოს სრული შეუცნობადობის, სამყაროსთან გაუცხოების მომენტის დადგომა. მისი თითოეული ნივთი ძვირფასი სამკაული თითქოს გასულიერებულია, იმდენად არის ასოცირებული კონკრეტულ პიროვნებასთან. ეს ნივთები მაიასთვის თავგანწირული ვაჟაკების სასაფლაოს გვაგონებენ, რომლებიც მის სხეულზე სახლობენ და ყოველი თავყანისმცემლის გახსენებაზე მაიას ზღვას წირავს მისგან ნაჩუქარ სამკაულს. ზღვა ნელ-ნელა წყნარდება, თბება, ეს ყოველივე მსხვერპლშეწირვის რიტუალს ჰგავს. ზღვასთან ერთად მშვიდდება ბედისწერის დამორჩილებული თავადის ქალი, ოდესღაც სიცოცხლის მოტრფიალე, გრძნობების ამყოლი, ახლა კი თვითონ გრძნობებს დამორჩილებელი და ცხოვრებისაგან მსხვერპლად განწირული. სულიერი ტანჯვა და ტრაგიკული სიკვდილი, თავადის ქალს წართმეულ ღირსებას უბრუნებს, თითქოს მისი ნაკლოვანებების მიტევებაც ხდება, ქალი მთლიანად გათავისუფლებულია რეალური სივრცის, დროებისა და სხეულებრივი საზღვრებისგან:

„აღარსად იყო თავადის ქალი მაია“..

ის ზღვის ძლიერებას და უსასრულობას შეერია, თვითმკვლელობის ეს აქტი ფრიად რომანტიკულია, თუმცა მაინც შედეგი და ერთი გამოვლინება ურთულესი ფსიქოლოგიური და ემოციური მეტამორფოზისა, იმ მრავალი შემთხვევათა შორის, რომელიც ლიტერატურულ ტექსტებშია წარმოჩენილი.

აქედან გამომდინარე, კი ნებისმიერი თვითმკვლელობა, შესაძლებელია მივიღოთ როგორც მეტაფიზიკური აქტი, ბოლომდე მიყვანილი ნიჰილიზმი. ხოლო ადამიანისათვის, რომლისთვისაც მეტაფიზიკური გამოწვევები არსებობს, არსებობს გარემოსთან შერწყმისა და ჰარმონიულობის გამოწვევა თუ მოთხოვნილება. ამ ჰარმონიულობის რღვევა კი ფატალურ შედეგით არცთუ იშვიათად სრულდება და პიროვნებისათვის ერთგვარ ბედისწერად იქცევა თვითმკვლელობა. როგორც ამ ერთობის მიუღწეველი და შეუძღვარი მცდელობა.

ლიტერატურა:

1. გოეთე, „იოჰან ვოლფგანგ (1885) ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი, მერანი, თბილისი 1985.
2. ვასაძე თამაზ (2016) 20 ქართული მოთხრობა, ინტელექტი. თბილისი
3. ნიცშე ფრიდრიხ, (2003) „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი, თსუ, თბილისი,
4. ქიაჩელი ლეო, (1964) თხზულებანი 5 ტომად, ტომი III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
5. შექსპირი უილიამ (1986) ჰამლეტი, მერანი, თბილისი,
6. Камю Альбер, (1990). Миф о Сизифе, Москва,
7. Бердяев Николаи (1992) О Самоубийстве, Москва,.
8. Западная Теоретическая Социология, (1996) Москва,.
9. Девид Юм, (1965) Сочинения, Т-II, Москва,.
10. Щопенгауер, Артур (2000) Новые Паралипомены, Минск

## **The Protagonist’s Suicide: Moral or Social Collapse? (Leo Kiacheli’s “Princess Maia”)**

**Paichadze Tamar**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### **Abstract**

The paradoxical nature of suicide's social impact has been repeatedly noted not only in scientific discourse but also within literary texts. So-called common sense considers suicide an utterly irrational act; however, it may be driven by a multitude of causes, making it impossible to unite under a single explanatory phenomenon.

In literature, suicide can be interpreted as a form of protest, often resulting from an individual's incompatibility with the external world — a reaction to a specific (sometimes personal) life circumstance, although one that is frequently intensified or conditioned by broader social factors. As such, suicide lacks a clear narrative definition due to its multifactorial origins.

Nonetheless, every act of self-destruction — despite its individualistic (sometimes selfish) nature — shares a common cognitive foundation: hopelessness. This is often linked to religion and patriotism and is predominantly viewed as both anti-religious and antisocial. It is typically accompanied by the subject’s suffering and a paradoxical perception of time.

Suicidal motifs trace a persistent thread through world literature. However, beginning in the last century — in the context of the technocratic and modernist era, alongside war, the disintegration and reevaluation of values — the desire to voluntarily withdraw from the world has intensified under the condition of existential alienation, and this, too, is reflected in literature.

This tendency has become increasingly visible in Georgian literature as well, particularly in the works of Egnate Ninoshvili, Shio Aragvispireli, Chola Lomtadze, Grigol Robakidze, Konstantine Gamsakhurdia, Niko Lortkipanidze, Leo Kiacheli, and others.

In this paper, we will analyze this phenomenon through the lens of Leo Kiacheli’s short story “Princess Maia,” focusing on how the protagonist’s existential condition, inner world, and psychological portrait are framed within the context of her suicide.

***Key words:*** *suicide, literary text, moral fiasco, social fiasco, protest*

## კავკასიელთა სარიტუალო პრაქტიკის ისტორიისთვის

## სიხარულიძე ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.55>

**აბსტრაქტი.** სტატიაში განხილულია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ზოგიერთი კალენდარულ წეს-ჩვეულები, რომლებსაც ახლდა კარდაკარ მსვლელობა. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში კარდაკარ სიარულის ჩვეულებას მსგავსი სტრუქტურა და შინაარსი ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ მსვლელობის მონაწილეები საკვებ პროდუქტს ითხოვდნენ და არა სხვა რაიმე საჩუქარს, რაც ამ რიტუალების ნაყოფიერებასთან კავშირზე უნდა მეტყველებდეს. ამავე რიგისაა გაზაფხულზე პირველი ხნულის გატანა, რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობდა. ამ პროცესში ჩართული იყო შელოცვის მსგავსი ტექსტები, რომლებიც სასურველი შედეგის მისაღებად იყო წარმოთქმული.

ყველაზე უფრო მასშტაბური საგაზაფხულო დღესასწაულებს შორის იყო ბერიკაობა, ბუნების აღორძინებისა და აგრარული კულტურის განვითარებისთვის განკუთვნილი მრავალდღიანი სხვადასხვა ეპიზოდისაგან შემდგარი დღესასწაული. დრამატული ეპიზოდებით გამდიდრებული ბერიკაობაც ნაყოფიერების კულტურას დაკავშირებული.

დროთა განმავლობაში კარდაკარ ჩამოვლის რიტუალში შევიდა იმპროვიზირებული სანახაობები, ნიღბები და სხვა თეატრალური ელემენტები. მონაწილეთა ტანსაცმელში დომინირებდა თხის ან ცხვრის ტყავი, რომელიც რიტუალური შემოსვის რუდიმენტს უნდა წარმოადგენდეს. კავკასიის ხალხებში დასტურდება რწმენათა ერთი ფენა, რომელიც დაკავშირებულია ტყავთან, როგორც ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოურ ხატთან. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაპოვარი, კედლის მხატვრობა და ცხვრის ან თხის გამოსახულებანი მატერიალური კულტურის ძეგლებზე.

როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში კარდაკარ ჩამოვლის ჩვეულებები დაფიქსირდა და მეცნიერული ინტერესების სფეროში მოექცა XIX-XX საუკუნეებში, როცა მათ უკვე გასართობი და კომიკური ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ სწორედ გროტესკმა შემოინახა მათში ნაყოფიერების უძველესი კულტის ნიშნები.

კარდაკარ სიარულის ძირითადი ელემენტებისა და თანმხლები სიმბოლოების მსგავსება კიდევ ერთი დასტურია კავკასიელთა მსოფლმხედველობისა და კულტურის ერთგვაროვნებისა.

**საკვანძო სიტყვები:** წეს-ჩვეულებები, კარდაკარ ჩამოვლა, ტყავის სიმბოლო, ნაყოფიერების კულტი

ბევრი ხალხის რიტუალურ პრაქტიკაში გვხვდება კარდაკარ სიარულის ტრადიცია. იგი შორეულ წარსულში იღებს სათავეს, როცა ადამიანებს უშუალოდ ბუნების წიაღში ეგულებოდათ ღვთაებრივი ძალები და აქვე ამყარებდნენ მათთან ურთიერთობას. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ღვთაებათა ფუნქციები და მათთვის სალოცავებიც ააგეს, თუმცა ამას კარდაკარ ჩამოვლა არ გაუუქმებია. ამგვარი მსვლელობა ჩართულია რომელიმე რელიგიურ დღესასწაულში და მას არ აქვს დამოუკიდებელი სახე. მისი სიცოცხლისუნარიანობა, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, რომ ის კოლექტიური ხასიათისაა და თავისი ღრმა შინაარსით გულისხმობდა ადამიანების არა მხოლოდ ღვთაებასთან, არამედ

ერთმანეთთან თანაზიარებასაც.

კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ზოგიერთ კალენდარულ წეს-ჩვეულებასაც ახლდა რიტუალური მსვლელობა. შემსრულებლები სათითაოდ ჩამოუვლიდნენ მოსახლეებს და სიმღერით ასრულებდნენ სპეციალურ ტექსტებს, რომელთა ძირითადი მოტივები იყო დღესასწაულის მილოცვა, დალოცვა, სანოვაგის მოთხოვნა:

„ქრისტე აღსდგა, გვიხაროდეს!  
მადლი მახარობელსაო.  
რომელსა და რომელსაო?  
ჩვენსა მახარობელსაო...

ალათასა, მალათასა,  
ხელი ჩაჰკარ კალათასა,  
ამოიღე ორი კვერცხი,  
ღმერთი მოგცემს ბარაქასა“...

„ჩიტი ღობეზე შემოჯდა  
იძახის ქიშმაშობასა,  
ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროს  
ახალ წელს, ქრისტეს შობასა...

ტყიდან მგელი გამოვარდა,  
თხა შეგვიჭამა ნისლაო;  
მასპინძლო, გაგვისტუმრე,  
სხვაგანაც გვინდა მისვლაო!“ [ქართული ხალხური...1970: 42]

მასპინძლები ცდილობდნენ, უხვად დაესაჩუქრებინათ მომღერლები, რადგან საჯეროდათ, რომ ეს მათ ოჯახებს მოუტანდა სიკეთესა და ბარაქას. მონაწილეები კი შეგროვებული სანოვაგით საერთო სუფრას შლიდნენ და ნადიმობდნენ.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებში კარდაკარ სიარულის ჩვეულებას მსგავსი სტრუქტურა და შინაარსი ჰქონდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რიტუალის შემსრულებლები საკვებ პროდუქტს ითხოვდნენ და არა სხვა რაიმე საჩუქარს, რაც სწორედ ამ რიტუალების ნაყოფიერებასთან კავშირზე უნდა მეტყველებდეს. ამავე რიგისაა გაზაფხულზე პირველი ხნულის გატანა, რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობდა. ამ პროცესში ჩართული იყო შელოცვის მსგავსი ტექსტები, რომლებიც სასურველი შედეგის მისაღებად იყო წარმოთქმული: „ღმერთმა ქნას, თითო მხვნელმა ასი კაცი დააპუროს, მზე და წვიმა თანაბრად იყოს!“ „საკმარისი ნალექი მოვიდეს, მიწა ჯეჯილით დაიფაროს, თავთავი მარცვლებით დამძიმდეს!“ პირველი ხნულის გატანის დღე სადამომდე საზეიმოდ ითვლებოდა. ხალხი ერთად ბრუნდებოდა მინდვრიდან, ერთად ნადიმობდნენ და გართობა-შეჯიბრებებს აწყობდნენ. ყოველი თამაში და შეჯიბრი სიმბოლური დატვირთვისა იყო და საბოლოო ჯამში მიწის ნაყოფიერების გაძლიერებას უწყობდა ხელს [Булатова, 1984:87].

ყველაზე უფრო მასშტაბური საგაზაფხულო დღესასწაულებს შორის იყო ბერიკაობა, ბუნების აღორძინებისა და აგრარული კულტმსახურებისთვის განკუთვნილი მრავალდღიანი სხვადასხვა ეპიზოდისაგან შემდგარი დღესასწაული.

როგორც ზემოთ ნახსენები წეს-ჩვეულებები, დრამატული ეპიზოდებით გამდიდრებული ბერიკაობაც ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული. მასში ჩანს განაყოფიერების, მოსავლისა და საქონლის გამრავლებისკენ მიმართული ხერხები, მდიდარი სამიწათმოქმედო ტრადიციები, საწესჩვეულებო ქმედებები (ცეკვები, ეროტიკული სცენები, ქორწინება) და აღდგენად ღვთაებათა ძირითადი ნიშნები (რუხაძე, 1999: 79-87).

დროთა განმავლობაში კარდაკარ ჩამოვლის რიტუალში შევიდა იმპროვიზირებული სანახაობები, ნიღბები და სხვა თეატრალური ელემენტები. მონაწილეთა ტანსაცმელში დომინირებდა თხის ან ცხვრის ტყავი, რომელიც რიტუალური შემოსვის რუდიმენტს უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი დღეობები ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხსაც ჰქონდა. დაღესტანში ლაკები სასოფლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გვიანი შემოდგომით მართავდნენ მსვლელობას, რომელსაც „თხის სახით სიარული“ ერქვა, რადგან მთავარი პერსონაჟი იყო თხის ნიღბოსანი ახალგაზრდა. იგი ტანზე იცვამდა თხის ან ცხვრის ტყავს გარედან ბეწვით, ღმუოდა და კიკინებდა. „თხის“ წინამძღოლობით პროცესია მიემართებოდა ეზოდან ეზოში. ამ დროს ბავშვები მღეროდნენ და მასპინძელს ბარაქიანობას უსურვებდნენ:

„ სახლი აივსოს მარცვლეულითა და ბრინჯით, ეზო-კარი - საქონლით!

ვინც გაგვიმასპინძლდება, ვაჟი შეეძინოს! არ გაგვიშვავთ ხელცარიელი!“

[Халилов, 1984:65].

ყაზარდოელებსაც ჰქონდათ ანალოგიური საგაზაფხულო დღესასწაული სახელწოდებით „მეაკაიხაჟ“, რაც ნიშნავს „ხვნიდან დაბრუნებას“. მთავარი პერსონაჟი იყო აჟი-ხაფა - „მოცეკვავე თხა“. დღესასწაული იწყებოდა მინდორში, სადაც დასრულდა ბოლო ნაკვეთის ხვნა, აქედან პროცესია მიდიოდა აულში, რომელსაც მიუძღოდა თხის ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანი.

პირველი ხნულის გამტან მეკვლეს ცხვრის ტყაპუჭი ეცვა გარედან თმით დაფარული. სიმბოლოურად ბეწვი მიწის მცენარეულ ზედაპირსაც განასახიერებდა და მეკვლეს სამოსი იმ აზრის მატარებელი იყო, რომ მიწისთვის მატყლის მსგავსი ხშირბალახიანობა ანუ მცენარეთა სიუხვე დაეხმებინა. ბერიკას ტანსაცმელიც აუცილებლად თხის ან ცხვრისთმიანი ტყავი იყო, რომელსაც ნიღაბი ემატებოდა და მისი ბეწვი სიუხვის მომტანი იყო. ამიტომ მასპინძელი ცდილობდა, ბერიკასთვის ბეწვი გამოეცალა, ხან თვითონ ბერიკა აძლევდა:

„ ცოტა წვერ თვითონ მოგლიჯა, მასპინძელს მისცა მალია,

დალოცა მათი ოჯახი: „გემატოთ ღონე-ძალია“ [რუხაძე, 1999: 120].

ასევე ბარაქიანობასთან იყო დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში თხის ნიღბით კარდაკარ სიარული.

კარდაკარ სიარულის ჩვეულებებში აშკარად იკვეთება ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალის ნიშნები, ამიტომ მათში ამ ცხოველების ჩართვა არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ისინი ნაყოფიერების სიმბოლოებს წარმოადგენენ.

კავკასიის ხალხებში დასტურდება რწმენათა ერთი ფენა, რომელიც დაკავშირებულია ტყავთან, როგორც ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოურ ხატთან. მასვე უკავშირდება იმ ცხოველის სარწმუნოებრივ-მითოსური მნიშვნელობა და საკულტო ღირებულება, რომელსაც ეს ტყავი განეკუთვნება. კავკასიელთა რელიგიურ წარმოდგენებში ასეთ ცხოველად ჩანს ცხვარი / თხა, რომლის ტყავის ჩაცმა რიტუალური შემოსვაა. ის, ვინც ტყავით იმოსებოდა, ფაქტობრივად განასახიერებდა ნაყოფიერების ღვთაებას, რომლის ატრიბუტიც იყო ცხვარი. ხანდახან კი თვითონ ქალღმერთი იღებდა ცხვრის სახეს. ამგვარი კულტისა და ცხვრის ტყავის რიტუალური ფუნქციის არსებობაზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაპოვარი, კედლის მხატვრობა და ცხვრის ან თხის გამოსახულებანი მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ეს კარგად ჩანს ასევე ზღაპრებში, სადაც ცხვარი და სიღარიბე უპირისპირდებიან ერთმანეთს. საქართველოში აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებული ქალის თხის ფიგურა, რომელსაც ცხვრის თავი აქვს. კერებში ნაპოვნია თხის ცხვრები, ასევე აღმოჩნდა სამლოცველო, რომლის იატაკი მოხატულია ვერძის თავებით და სხვ. [კიკვიძე, 1976: 199].

როგორც აღვნიშნეთ, კარდაკარ ჩამოვლა არ იყო დამოუკიდებელი რიტუალი, არამედ რომელიმე დღესასწაულის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამ წეს-ჩვეულების ძირითადი ელემენტები - ყოველ მოსახლესთან მისვლა, რიტუალური დალოცვა (რომლის წარმმართველი შინაარსი იყო ბარაქიანობის სურვილი) და რიტუალური საკვებით დასაჩუქრება - ნათლად მეტყველებს, რომ იგი ნაყოფიერების ღვთაების სახელს უკავშირდებოდა, როგორცაა პირველი ხნულის გატანა, წვიმის გამოწვევა, ახალი წლის დადგომა. აქ აუცილებლად უნდა

შევნიშნოთ, რომ ძველად ახალი წელი გაზაფხულზე აღინიშნებოდა, როცა ბუნება იღვიძებს და სიცოცხლის ახალი წლიური ციკლი იწყება.

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი ძალიან ძველია, იმ დროინდელი, როდესაც ღვთაებებს ჯერ არ ჰქონდათ განსაზღვრული ადგილი სამლოცველოს სახით, არც საკულტო საგნები და კუთვნილი მამულები. ისინი მათ მიერ არჩეულ პიროვნებებს დაჰყვებოდნენ და მათი მეშვეობით ამცნობდნენ ხალხს თავიანთ ნებას [ოჩიაური, 1954: 113]. ეს ადამიანები ქურუმთა წინარესახედ შეიძლება მივიჩნიოთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად კარდაკარ სიარულისას მონაწილეებს დაჰქონდათ იმ ღვთაების გამოსახულება, რომელსაც ეძღვნებოდა რიტუალი. ამის მაგალითია კავკასიაში ბევრგან დაფიქსირებული წვიმის გამოწვევის რიტუალი, რომელშიც მონაწილეებს თოჯინა დაჰქონდათ. იგი იმ ქალღმერთის განსახიერება იყო, რომელიც ამინდს მართავდა. მით უმეტეს ეს ითქმის ნაყოფიერების ღვთაებაზე, რომელიც მთელ ბუნებას განასახიერებდა. ამავე დროს ეს უნდა ყოფილიყო გარდამავალი საფეხური რელიგიური წარმოდგენებიდან რელიგიური სისტემის გაფორმების გზაზე, რადგან უკვე იკვეთება ღვთაებათა იერარქია მათი უფროს-უმცროსობისა და გამგებლობის არის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ კარდაკარ ჩამომვლელები არასდროს შედიოდნენ სახლში. ღვთაება, რომლის წარმომადგენლებიც ისინი იყვნენ, სათემო (ან უფრო მაღალი რანგის) სალოცავს წარმოადგენდა, რომელიც მთელ კოლექტივს აერთიანებდა თავისი მფარველობის ქვეშ. ამასთან, სახლებში უკვე ბინადრობდნენ ოჯახის მფარველი სულები - ფუძის ანგელოზები (მოარულ ღვთაებებთან შედარებით უფრო დაბალი რანგის ღვთაებები) [სიხარულიძე, 2006:75]. სახლის შიდა სივრცე მას ეკუთვნოდა და უფროსი ღვთაება მის სამყოფში არ იჭრებოდა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მონაწილეები ეზოს კართან ჩერდებოდნენ და იქ ელოდნენ მასპინძლებს. ამგვარი ჩამოვლით ღვთაება ყოველ ოჯახს ხდიდა დღესასწაულის მონაწილედ. შეიძლება ამოწმებდა კიდევ მათ მზადყოფნასა და გულუხვობას, რომ მერე დამსახურებისამებრ მიეზღო მათთვის.

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში უძველესი მითო-რელიგიური სისტემების ღვთაებები მიწასა და ბუნებას განასახიერებდნენ. იმ დროს შეიძლება ჯერ არც იყო საკულტო ნაგებობანი და შიდა სივრცეში საკულტო ობიექტს მხოლოდ კერა წამოადგენდა. ამიტომ კულტმსახურება ღია ცის ქვეშ სრულდებოდა რომელიმე წმინდა ადგილას ჭალაში, მთასთან ან მთის ფერდობზე, მწვერვალზე, ასევე კარდაკარ ჩამოვლით, რაც თვითონ ღვთაების ჩამოვლა-სტუმრობას ნიშნავდა. ეთაყვანებოდნენ ქვის გამოსახულებებს, რომლებიც ღია ცის ქვეშ იდგნენ, სადაც არც კი იყო შემოსაზღვრული სივრცე. საფიქრებელია, რომ ნებისმიერი ადგილი ითვლებოდა საკრალურად, რადგან ღვთაების კუთვნილება იყო მთელი მიწა. საგულისხმოა, რომ ეს უძველესი რიტუალური პრაქტიკა ისე შეისისხლხორცეს კავკასიელებმა, რომ უფრო განვითარებული რელიგიების პირობებში, როცა ღვთაებებს სამლოცველოებიც ჰქონდათ და კულტმსახურებიც ჰყავდათ, რიტუალების უმრავლესობა მაინც ბუნებაში, ღია ცის ქვეშ სრულდებოდა.

საქართველოში კარდაკარ ჩამოვლის რიტუალი დაუკავშირდა ქრისტიანულ დღესასწაულებს - შობას (ალილო), აღდგომას (ჭონა) - მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჩანს მისი აგრარულ-მაგიური წარმომავლობა.

როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში კარდაკარ ჩამოვლის ჩვეულებები დაფიქსირდა და მეცნიერული ინტერესების სფეროში მოექცა XIX-XX საუკუნეებში, როცა მათ უკვე გასართობი და კომიკური ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ სწორედ გროტესკმა შემოინახა მათში ნაყოფიერების უძველესი კულტის ნიშნები.

კარდაკარ სიარულის ძირითადი ელემენტებისა და თანმხლები სიმბოლოების მსგავსება კიდევ ერთი დასტურია ძველად, იბერიულ-კავკასიური ერთობის პერიოდში კავკასიელთა მსოფლმხედველობისა და კულტურის ერთგვაროვნებისა.

#### ლიტერატურა:

1. Булатова А. (1984). Булатова А.Г., Идеологические представления аварцев, нашедшее отражение в празднике первой борозды – в кн. «Мифология народов Дагестана», Махачкала: изд-во института истории Дагестанского филиала АН СССР.

2. კიკვიძე ი. (1976). კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტები ძველ საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
3. ოჩიაური თ. (1954). ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
4. რუხაძე ჯ. (1999). ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დრესასწაული საქართველოში, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
5. სიხარულიძე ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია, თბილისი: კავკასიური სახლის გამომცემლობა.
6. ქართული ხალხური... (1970) ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. Халилов М. (1984). Халилов Х.М., Отражение языческих представлений в обрядах и фольклоре лакцев – в кн. «Мифология народов Дагестана», Махачкала: изд-во института истории Дагестанского филиала АН СССР.

## **For the History of Ritualistic Practices in the Caucasus**

**Sikharulidze Ketevan**

Ivane Javakhishvili State University, Tbilisi

### **Abstract**

This article examines several calendar customs practiced by the peoples of the Caucasus, particularly those involving door-to-door processions. Folkloric and ethnographic observations reveal that such customs across the region share similar structures and content. Notably, the participants in these processions consistently requested food rather than other gifts — a detail that points to the rituals' connection with fertility cults.

One of the earliest and most prominent of these rituals is *khnuli*, typically held in spring and involving the entire village. The process featured spell-like chants intended to bring about desired outcomes. Among the most elaborate spring festivals was *Berikaoba*, a multi-day celebration with numerous episodes designed to invoke the rebirth of nature and promote agrarian prosperity. Characterized by its dramatic elements, *Berikaoba* is closely associated with the fertility cult.

Over time, the door-to-door rituals incorporated improvisational performances, masks, and other theatrical devices. Participants often wore goat or sheepskin garments, likely remnants of older ritualistic symbolism tied to invasion motifs. Across the Caucasus, leather garments were symbolically linked to fertility deities — a connection supported by archaeological discoveries, wall paintings, and depictions of sheep and goats in material culture.

Both in Georgia and the North Caucasus, these door-to-door customs were documented and studied during the 19th and 20th centuries, at which point they had acquired an entertaining and often comic character. Yet, even in their grotesque forms, they retained traces of ancient fertility rites. The shared structure and symbolic elements of these rituals underscore the common worldview and cultural unity of the Caucasian people

**Key words:** *Customs, door-to-door walking, leather symbol, fertility cult*

## ევროპული ხელნაწერების მხატვრული გაფორმების ნიმუშები

სურმავა მარინე

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.56>

**აბსტრაქტი.** ალპების ჩრდილოეთში პაპირუსი საბოლოოდ გაქრა VIII საუკუნეში, როდესაც იგი პერგამენტმა შეცვალა. სამხრეთ ევროპაში მას ძირითადად ცხვრისა და თხის დარბილებული და გამომწვარი ტყავებისაგან ამზადებდნენ და, ამდენად, უფრო ადვილი მოსაპოვებელი იყო. ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში კი პერგამენტი ძირითადად ხბოს ტყავისაგან მზადდებოდა.

რაც შეეხება ქალაქს, იგი VIII საუკუნიდან გავრცელდა არაბეთში, საიდანაც ბიზანტიაში მოხვდა. აქ მისი დამზადება დაიწყო სელისაგან და XI-XIII საუკუნეებში გამოიყენებოდა საიმპერიო დოკუმენტებისათვის. ამ დროიდან მოყოლებული ბიზანტიის იმპერიაში ხმარებაში შემოვიდა ჩვეულებრივი ქალაქი.

ევროპაში ქალაქის გამოყენება პირველად სამხრეთ იტალიასა და ესპანეთში დაიწყო, ხოლო XII საუკუნიდან იგი ფართოდ გავრცელდა. გერმანიაში და სამხრეთ საფრანგეთში ქალაქის იმპორტი XIII საუკუნეში ესპანეთიდან და იტალიიდან დაიწყო და მალე ბორდოს გავლით მან ინგლისშიც შეაღწია. აღსანიშნავია, რომ ქალაქმა მთლიანად ვერ შეცვალა პერგამენტი, რომელიც დიდხანს დარჩა ხმარებაში, განსაკუთრებით საზეიმო დოკუმენტების შედგენისას.

წერის საშუალებად გამოიყენებოდა მელანი, რაც ძირითადად წარმოადგენდა ხარის ნაღვლისა და შაბიამნის ნაერთს. ძირითადად მელანი შავი ფერის იყო. ალპების ჩრდილოეთით დამზადებულ მელანს მოწითალო-მოყავისფრო ელფერი დაჰკრავდა, იტალიაში დამზადებულს კი - მოყავისფრო-მოყვითალო ფერი. საუკუნეთა განმავლობაში ატმოსფერულ მოვლენებთან დაკავშირებით ამ ფერების უმეტესობა გაფერმკრთალდა. ბიზანტიის იმპერატორები ხელმოწერის დროს იყენებდნენ ბორდოსფერ (მეწამულ) მელანს. ეს ჩვეულება შემდგომში გადმოიღეს ლომბარდიის მმართველებმა, ხოლო მოგვიანებით - ნორმანმა მეფეებმა, რომლებიც სიცილიას მართავდნენ. ბიზანტიური წარმოშობის სხვა ჩვეულებას განეკუთვნება ოქროს ასოებით წერა.

**საკვანძო სიტყვები:** გრაგნილი, სიგელი, დოკუმენტი, ტრაქტატი, ნოტარიუსი, კანცელარია, პაპირუსი.

რომის იმპერიაში თავდაპირველად დოკუმენტებში ლათინურთან ერთად ბერძნულიც გამოიყენებოდა. ჩვ. წ. აღრიცხვით VI საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთში ბერძნულმა ენამ თანდათან შეცვალა ლათინური. აქედან მოყოლებული ბერძნული ენა გამოიყენებოდა ბიზანტიურ დოკუმენტებში კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453). ევროპაში რომის იმპერიის დაცემამ და ბარბაროსული სახელმწიფოების წარმოქმნამ (Vს.) ლათინურის ვულგარიზაცია მოახდინა როგორც წერილობით, ისე სალაპარაკო ენაში.

პაპების დოკუმენტებში ყოველთვის იხმარებოდა ლათინური. იგი გამოიყენებოდა როგორც კერძო და სახელმწიფო დოკუმენტებში, ისე საერთაშორისო დოკუმენტებში გვიან რენესანსის ხანაშიც, სანამ იგი ფრანგულმა, როგორც დიპლომატიის ენამ არ შეცვალა.

საერთო და კერძო დოკუმენტებში ლათინურის გვერდით თანდათან განვითარდა ხალხურიც (volgare). ანგლოსაქსურ დოკუმენტებში, მისი ადრეული გამოჩენის გარდა, XII

საუკუნემდე არც ერთ ქარტიაში (სიგელში) ბარბარიზმის ნიშნები არ გვხვდება.

ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ (1066) ინგლისურ დოკუმენტებში ანგლოსაქსურის გამოყენება მთლიანად შეწყდა. XIII საუკუნეში ინგლისში ნორმანდიული ფრანგული გამოიყენებოდა, ხოლო XV საუკუნეში – ე.წ. middle english (საშუალო ინგლისური).

ვულგარული იტალიურისა და ფრანგულის ხმარება დოკუმენტებში XII საუკუნიდან გახშირდა, გერმანიაში კი - XIII საუკუნიდან. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში ვულგარულ (ხალხურ) ენას არასოდეს განუდევნია ლათინური.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის წარმოშობისა და მისი ნამდვილობის დასასაბუთებლად აუცილებლობას წარმოადგენს ხელნაწერის სტილისა და მანერის ცოდნა ამა თუ იმ პერიოდში. ამიტომაც პალეოგრაფიის ცოდნა მთავარი განმსაზღვრელია დოკუმენტების შესწავლისას.

წერის საერთო სტილი იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ სად და როდის კალამი როგორ ეჭირათ. დიდი განსხვავება იყო წიგნის გადაწერისა და საქმიან ანუ სასამართლო წერას შორის. ეს ძირითადად კალიგრაფიას ეხებოდა. იტალიაში გავრცელებულმა რომაულმა დიდმა ასოებმა გავლენა მოახდინეს დასავლეთში გავრცელებულ ყველა დამწერლობაზე. რომაული კურიალური სტილი (Curia-დან ნაწარმოები, ანუ პაპის კარი) ინახებოდა პაპების კანცელარიაში XII საუკუნემდე. XI-XII საუკუნეებში საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისსა და ესპანეთში გავრცელდა ე.წ. „გოთური“ წამახვილებული დამწერლობა, ნაცვლად მანამდე არსებული პატარა, მომრგვალებული ასოებით წერისა და მალე მთელ ევროპას მოედო.

XIV საუკუნეში გაჩნდა წიგნის სახის წერილები, ძირითადად საერო შინაარსის და მას ბასტარდა ეწოდებოდა (ფრანგ. Bastarda). რენესანსის ადრეულ ეპოქაში იტალიელმა ჰუმანისტებმა – პოჯო ბრაჩოლინიმ, კალუჩო სალუტატიმ, ნიკოლო ნიკოლიმ განავითარეს თანაბარი, მრგვალი, ლამაზი ასოებით წერის სტილი, რომელიც კაროლინგების ეპოქაში გავრცელებული დამწერლობის მიხედვით შეიქმნა. ამ სტილის ვარიანტებს იყენებდნენ წიგნის ბეჭდვის იტალიელი პოინერები და მათ შორის - ვენეციელი ალდუს მანუციუსი. იტალიელმა ჰუმანისტებმა დააარსეს სკოლები და სკრიპტორიუმები, სადაც წიგნების გადაწერასთან ერთად წერილის შედგენის ხელოვნებას ასწავლიდნენ. ars dictandi - წერილის წერის ხელოვნება თავიდან ჩაისახა ბენედიქტიანურ მონასტერში, რომელიც VI საუკუნეში მონტეასინოში ბენედიქტე ნურსიელმა დააარსა. აქ, პირველად ბერების უპირველეს მოვალეობას სხვა საქმიანობასთან ერთად, წიგნების კითხვა და გადაწერა შეადგენდა, რის შედეგადაც მონასტერში შეიქმნა ევროპაში უმდიდრესი ბიბლიოთეკა.

ლოთარინგიაში საქმიანი დოკუმენტები პირველად 1212 წელს ჩნდება, პირინეის ნახევარკუნძულზე კი XII საუკუნემდე არ არის ცნობილი მსგავსი დოკუმენტების არსებობა. ესპანეთში ხალხურ ენაზე დაწერილ ყველაზე ადრეულ დოკუმენტს, ე.წ. fueros-ი, ეკუთვნის XII საუკუნის შუა ხანებს. XIII საუკუნიდან ხალხურ ენაზე შედგენილი სიგელები უკვე სისტემატურ ხასიათსღებულობენ.

ანტიკური დროიდან ხმარებაში იყო საბუთების დამოწმების ორი მნიშვნელოვანი მეთოდი. ერთი იყო ხელისმოწერა ან გამგზავნის ბეჭედი. ამ მიზნით ბეჭდის გამოყენების პრაქტიკა (და არა უბრალოდ დოკუმენტის დახურვა) მათ გადმოიღეს რომის იმპერიიდან და VIII საუკუნისთვის გავრცელებული იყო ლანგობარდებსა და სხვა გერმანელ ტომებს შორის. დაახლოებით VIII საუკუნემდე მეროვინგი მეფეების ან მათი წარგზავნილების ხელმოწერა საჭირო იყო დოკუმენტის დასამტკიცებლად. შემდგომში მხოლოდ ბეჭედი იყო საკმარისი კანცელარიის მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკის დამოწმებასთან ერთად. მოგვიანებით კეთდებოდა მეფის ხელმოწერის მონოგრამა ან უბრალოდ მინაწერი. ამ ცვლილებების შემოდება, როგორც ჩანს, განაპირობა იმან, რომ შუა საუკუნეების მეფეთა უმეტესობამ წერა არ იცოდა. ამის მაგალითია კარლოს დიდი, ინგლისში კი ჯონ უმიწაწყლო, რომელსაც თავისუფლების დიდ ქარტიაზე ხელი არ მოუწერია, მხოლოდ ბეჭედი დასვა. ბეჭდები დამზადებული იყო ცვილისაგან ან ლითონისაგან. ბიზანტიის იმპერატორები თავიანთი დოკუმენტებისთვის იყენებდნენ ოქროს ბეჭდებს, ხოლო ბიზანტიელი მოხელეები და ეკლესიასტები კი ტყვიის ან ვერცხლის ბეჭდებს. პაპების მიერ გამოცემული დოკუმენტების

გარკვეულ ჯგუფს ბულა ეწოდებოდა სწორედ იმის გამო, რომ მათ ოქროს ან ტყვიის ბეჭედი ჰქონდა. ცვილის ბეჭედებს დაახლოებით XI–XII საუკუნეებში კიდევ უფრო ხშირად ხმარობდნენ. ცვილი კი პრაქტიკაში გვიანდელ პერიოდშიც გამოიყენებოდა ნაკლებად ოფიციალური დოკუმენტებისათვის. დამოწმებისათვის საჭირო იყო ფაქსიმილე ანუ პირადი ბეჭედი; ბეჭედი შეიძლება ორმხრივი ყოფილიყო – დოკუმენტზე ჩამოკიდებული ან მასზე ამოტვიფრული. კაროლინგების კანცელარია ზედმიწევნით ორგანიზებული იყო და ჩინოვნიკების დიდი შტატი ჰყავდა. კანცელარიის უფროსს კანცლერი ერქვა. ტიტული, რომელმაც მოგვიანებით ესეოდენ დიდი მნიშვნელობა მიიღო გერმანიასა და ავსტრიაში, წარმოდგება სიტყვიდან Cancellarius (რომში ასე ეძახდნენ სასამართლოს მკარეს). კაროლინგების ეპოქაში არც ერთი სამეფო ედიქტი კანონიერად არ ითვლებოდა, თუ ის კანცლერის ხელმოწერით ან სამეფო არქივის მცველის მიერ არ იქნებოდა დამტკიცებული.

#### ლიტერატურა:

1. Мокрецова И. П. Материалы и техника западноевропейской средневековой книжной живописи. - М., 1968.
2. Киселёва Л. И. О чём рассказывают средневековые рукописи. – Л., 1978.
3. Малов В. Н. Происхождение современного письма. - М., 1995.
4. Добиаш-Рождественская О. А. История письма в средние века. - М.-Л., 1986.
5. Valentine L. N. Ornament in medieval manuscripts. - London, 1995.
6. Thompson J. W. The medieval library. - Chicago, 1989.
7. Bland D. A. History of book illustration. - London, 1999.
8. Романова В. Л. Рукописная книга и готическое письмо во Франции в XIII-XIV вв. Средние века: вып. 19. - М., 1961.
9. Thompson D.V. The materials and techniques of medieval painting. - New York, 1996.
10. Чернова Г.А. Миниатюры Больших французских хроник. - М., 1960.
11. Киселёва Л.И. Готический курсив XIII-XV вв. - Л., 1984.
12. Романова В.Л. Рукописная книга - ценный памятник средневековой городской культуры (об особенностях книжного оформления во Франции в XIII-XV вв.)// Европа в средние века.- М., 1972.
13. Wardrop J. The script of humanism. Some aspects of humanistic script 1460-1560 -Oxford, 1993.

### Examples of artistic decoration of European manuscripts

Surmava Marine

Georgien Technical University, Tbilisi

#### Abstract

*Medieval Europe inherited from antiquity the external form of the manuscript - the form of a book interwoven with scrolls and notebooks, which were widely used for compiling deeds and business documents. The development of cities in the life of Europe and, first of all, Italy in the 11th-15th centuries introduced a wide variety of documents. Originals of deeds signed and certified by a seal have come down to us. A greater number of copies are found in special capitulars, clerical registers and notarial minutes. A large number of scientific treatises tell about the intellectual life of medieval society. Humanists founded the most famous schools in Europe in Italy, where in the 13th-15th centuries they established courses for master calligraphers to copy books. One of the most famous calligraphers among the humanists was Petrarch. In addition to copyists, there were numerous groups of writers in the cities who drafted and formalized documents. They were called clerks, or notaries. The notary first drafted a working version, then copied it onto a piece of parchment, put his signature and a special mark called a paragraph. If the document concerned a business transaction, then witnesses were present at its drafting and confirmed it with their own signatures, and then they would certify it with a seal. As cities and administrative institutions grew, the number of notaries also increased. Every chancellery had its own notary. One of the oldest chancelleries was the papal chancellery. The numerous documents drawn up here were examples of symbols of both ecclesiastical and secular nature. In the 11th and 12th centuries, documents were written mainly on papyrus and parchment (wax was rarely used), and in some cases on paper. Papyrus, which was made from the pulp of the papyrus plant, was produced mainly in Egypt; after the Arabs conquered Egypt in the 7th century, it became difficult to import papyrus to Europe. The Merovingian kings wrote documents on papyrus until the second half of the 7th century, and the popes until the end of the 11th century.*

**Keywords:** Scroll, Deed, Document, Tract, Notary, Chancellery, Papyrus

**მხატვრული ლიტერატურა კულტურის კონტექსტში სიკეთის  
მატარებელი და თავისუფალი საქართველოს წინასწარმეტყველი**

**ქაჯაია მანანა**

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.57>

**აბსტრაქტი.** ნაშრომში საუბარია ერთ-ერთ ურთულეს პერიოდზე, რომელმაც ევროპელი ხალხი ახალი დემოკრატიული აზროვნებისაკენ შემოაბრუნა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მიმავალ გზაზე დააყენა. სამწუხაროდ, ეს პერიოდი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აბსოლუტური მოსპობის ხანად იქცა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობას უკვე სულ სხვანაირად ესახებოდა არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ, ზოგადად, კაცობრიობის მომავალიც. ისინი სამომავლო ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ. მართალია, ამის მისაღწევად სხვადასხვა გზას სახავდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა XIX საუკუნის 60-იან წლებში თავის მომავალ მოღვაწეობას ხალხის მსახურებაში ხედავდა და ეს მსახურება საზოგადოების დემოკრატიზაციაში ესახებოდა.

ახალი თაობის უპირველესი მიზანი გახლდათ საზოგადოების ახალი აზროვნების, დემოკრატიული აზროვნების მისაღებად მზადება.

ნაშრომში საუბარია „თერგდალეულების“ დამსახურებაზე, რომელთა დეაწლიც შესაძლებელია გახდეს საქართველოსა და საზოგადოდ, კავკასიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ სიმაღლეზე აყვანისა და მისი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირების.

ნაშრომში გამოკვეთილია გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების ახლებურად წარმოჩენა და გააზრება.

გიორგი წერეთელი სადღეისო გადასახედიდან, შეიძლება, როგორც ახალი დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე ისე დავინახოთ, რადგან იგი აქტიურად ეროვდა სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. იგი სიჭაბუკიდანვე ეცნობოდა ეროვნულ აზროვნებას. ექვთიმე წერეთელი წერდა: „გიორგის იდეალი დასავლეთ ევროპა იყო, ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპული გზით მიდიოდა და ძალ-ღონესა და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებინა და მიდრეკილება დაენახებინა“.

გიორგი წერეთელს ხომლედი დასავლეთევროპული ლიტერატურული ტენდენციების განმავითარებლად სახავდა საქართველოში, მისი სიტყვებით: „გიორგი წერეთელი, განსხვავებით ილია ჭავჭავაძისა და სხვა აღმოსავლეთ საქართველოს მწერლებისაგან, აღზრდილი იყო ევროპული ლიტერატურის ტრადიციებზე“. იგი გაიზარდა ფლობერისა და ბალზაკის რომანებზე, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა ევროპაში ზიარებოდა ევროპულ ლიტერატურასა და კულტურას.

გიორგი წერეთლის მოღვაწეობა სწორედ მომავალი თაობის დემოკრატიული ცვლილებების მისაღებად მომზადების კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან მათში, უპირველეს ყოვლისა, პირველი ღირსების ჩამოყალიბება და მათი სხვა პიროვნებისადმი, როგორც მოქალაქეებისადმი პატივისცემით გამსჭვალვა გიორგი წერეთლის, როგორც პედაგოგის, უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. გიორგი წერეთელს „ძველი მიმართულებიდან“, მარტო თავისუფლების მისწრაფება უნდა დაეტოვებინა. აქ ნათლად გამოიკვეთა გიორგი წერეთლის უმთავრესი ღირებულება „ნაციონალური თავისუფლება“;

ღირებულება, რომელიც დროში არ იცვლება.

ნაშრომში დასკვნის სახითაა წარმოდგენილი, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამოციანელთა ძალისხმევით ჩაეყარა საფუძველი კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას, რომელთა მოღვაწეობამ განსაზღვრა არა მარტო XIX საუკუნის, არამედ გავლენა იქონია XX საუკუნის ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზეც. მათი შეხედულებები, სწრაფვა ევროპისაკენ დღევანდელის გამოძახილია და აქტუალურია XIX საუკუნეში.

სიკეთის მატარებელმა მწერალმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოებრივ საქმიანობას. მწერალი ფასდებოდა თანადროულობის უჩვეულო გრძნობით, რაც საერთოდ ღირებულს ხდის მწერლის ნაღვაწს.

**საკვანძო სიტყვები:** გუბერნია, არისტოკრატია, აბსოლუტური, დემოკრატიული, შეთქმულება.

## შესავალი

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნე შეიძლება ერთ-ერთ ურთულეს პერიოდად მივიჩნიოთ. XIX საუკუნე, რომელმაც ევროპელი ხალხი ახალი დემოკრატიული აზროვნებისაკენ შემოაბრუნა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მიმავალ გზაზე დააყენა, სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების აბსოლუტური მოსპობის ხანად იქცა ეს პერიოდი.

მართალია, სამეფოებად და სამთავროებად დაშლილი საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი XIX საუკუნის დამდეგისათვის ერთობ დაკნინებული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ სპარსეთი და ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენლები ქართულ მიწაზე გარკვეულ ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი ფაქტობრივად 1801 წლიდან გუბერნიად გამოაცხადა. მოგვიანებით კი, საქართველოს სხვა ნაწილებიც და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაც დაიპყრო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სხვადასხვა დროს, კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი აჯანყებები ეწყობოდა. მაგალითად, 1804 წელს აჯანყდა მთიულეთი, 1812 წელს - კახეთი და სხვა. რაც მთავარია, 1832 წელს საზოგადოების მოწინავე ნაწილმა - არისტოკრატამ მოამზადა დიდი შეთქმულება, რომლის საბოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. საყურადღებოა, რომ, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა ნაწილს გამარჯვების შემთხვევაში სურდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია პარლამენტური ყოფილიყო (ქსე, 1986).

სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, შეთქმულება გაიცა და მისი მონაწილენი სათანადოდ დაისაჯნენ, რუსეთის იმპერიამ კავკასიის მეურნეობა და ეკონომიკა, თანდათან თავის ინტერესებს დაუმორჩილა, ბუნებრივია, იცვლებოდა ხალხის განსაკუთრებით კი, არისტოკრატის აზროვნების სტერეოტიპიც. ქართული არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისდაუნებრივად, რუსეთის იმპერიის ერთგულ ქვეშევრდომად იქცა. წოდებებიცა და ორდენებით წახალისებული ქართული არისტოკრატია კავკასიაში რუსული ინტერესების დამცველ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა.

1853-1856 წლებში მიმდინარე ყირიმის ომის დროს არა მარტო ქართველი თავადაზნაურობა, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის ძირითადი ნაწილი აქტიურად იყო ჩაბმული საომარ მოქმედებაში.

„გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს

მიმდინარე ყირიმის ომმა ძალიან ღრმა შტაბეჭდილება დატოვა, ორივე მათგანზე, ნიკოლაძე, 1931). მოგვიანებით, 1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როგორც ცნობილია, გიორგი წერეთელი პეტერბურგში გამომავალი გაზეთის „Горю“ - ის სამხედრო კორესპონდენტი იყო. ჩვენი აზრით ეს არჩევანი - სამხედრო კორესპონდენტობა, სწორედ გიმნაზიაში სწავლის დროს მიღებული ღრმა შტაბეჭდილებების შედეგი იყო. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ, როდესაც „ყირიმის ომის დროს თურქები უშუალოდ ქუთაისს დაემუქრნენ, ქუთაისის საქალაქო ლაშქრის მეთაურობა 80 წლის სიმონ წერეთელმა იკისრა“ (კავკასი, 1900)

გიორგი წერეთელმა, როგორც ცნობილია, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე განაგრძო. ჩვენი აზრით, თვით ფაკულტეტის შერჩევამაც უდიდესი როლი ითამაშა გიორგი წერეთლის აზროვნებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნის - დროის შესაბამისი მეცნიერული მიღწევების პროცესების განხილვის პრინციპის ჩამოყალიბებაში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი ქართველი სტუდენტების უმრავლესობას უკვე სულ სხვანაირად ესახებოდა არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ, ზოგადად, კაცობრიობის მომავალიც. ისინი სამომავლო ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ოცნებობდნენ. მართალია, ამის მისაღწევად სხვადასხვა გზას სახავენდნენ, მაგრამ ფაქტი, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა XIX საუკუნის 60-იან წლებში თავის მომავალ მოღვაწეობას ხალხის მსახურებაში ხედავდა და ეს მსახურება საზოგადოების დემოკრატიზაციაში ესახებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია ყირიმის ომის შემდეგ (1853-1856 წ.წ.) 60-იანი წლების დასაწყისისათვის შედარებით მოძლიერდა და ომის შემდგომ თითქოს დაძლია, მაინც აშკარა იყო, რომ სერიოზული საზოგადოებრივი რეფორმების გარეშე ქვეყანას ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა არ ექნებოდა სწორედ ამიტომ, 1861 წელს რუსეთის იმპერიაში - მის ცენტრალურ ნაწილში გაუქმდა ბატონყმობა. (საქ. ენციკლოპედია, 1997). ამ ურთულესი პროცესის დაწყებისთვის მზადებასა და თავად მის მიმდინარეობის თან ახლდა რუსეთის იმპერიაში სტუდენტური მოძრაობის გააქტიურება და ბუნებრივია, რომ ქართველი სტუდენტებიც ამ დიდი, ახალი ცვლილებების მომსწრენი და მონაწილენი გახდნენ.

### **ძირითადი ნაწილი**

ახალი თაობის უპირველესი მიზანი გახლდათ საზოგადოების ახალი აზროვნების, დემოკრატიული აზროვნების მისაღებად მომზადება. ამ მიზნის განსახორციელებლად კი აუცილებელი იყო „თერგდალეულთა“ თაობის ყოფილი წარმომადგენლის მოღვაწეობა სხვადასხვა ასპექტით გაშლილიყო.

„თერგდალეულები“ - დიდი პატრიოტები, რომელთა ღვაწლიც შესაძლებელი გახდა საქართველოსა და საზოგადოდ, კავკასიაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ სიმაღლეზე აყვანა და მისი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირება, რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ახალი ეტაპის მესვეურთა უშუალო გავლენას განიცდიდნენ. „გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი - მართლაც, გამორჩეული პიროვნებანი, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სხვათათვის კონკრეტული ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც მათ ნაცნობობა და ახლობლობაც კი აკავშირებდათ“ (ნიკოლაძე, 1984).

სადღეისოდ, ჩვენი აზრით, აუცილებელია გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების ახლებურად წარმოჩენა და გააზრება. მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი ობიექტური მიზეზების გამო, გიორგი წერეთლის, როგორც მწერლისა და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეობის მნიშვნელობა, სათანადოდ არ არის გამოკვლეული.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ გიორგი წერეთლისადმი სათანადო ყურადღება არ იგრძნობოდა და ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჩვენი აზრით, გიორგი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებისადმი ერთგვარად არაობიექტური დამოკიდებულების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, გიორგი წერეთლის მიერ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის დაკავებული პოზიცია გახლდათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XIX საუკუნის მიწურულისათვის გიორგი წერეთელი მჭიდროდ დაუკავშირდა ე.წ. „მესამე დასს“. საერთოდ, სიტყვა „დასი“ ქართულში, როგორც ეტყობა, სიტყვა პარტიის შესატყვისად დამკვიდრდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან თვით სიტყვა „პარტიის გამოყენება, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ სივრცეში, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტამდე, ნამდვილად წარმოუდგენელი გახლდათ.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან ირკვევა, გიორგი წერეთლის „მესამე დასის“ წარმომადგენლები - მარქსიზმის მიმდევრები, ახალი დროის შესაფერისი აზროვნების მქონე არსებად მიაჩნდა. ამ საკითხს ჩვენ შემდეგში კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი გვინდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება დავიმოწმოთ. მისი თქმით, გიორგი წერეთლის „კვალზე“ საუბრისას უთქვამს: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ, იქედან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხებსა და სოციოლოგიაში ისეთივე ავტორიტეტია, როგორც დარვინი ბიოლოგიაში.“ (თაყაიშვილი, წერეთელი, 1991).

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადმოცემულ გიორგი წერეთლის ნათქვამში ჩვენ ორ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. უპირველეს ყოვლისა ჩვენ მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით გიორგი წერეთლის აზროვნებისა და მოღვაწეობის სწორად აღქმისათვის იმ გარემოებას, რომ მას ახალი დრო, ანუ XIX საუკუნის 90-იანი წლები, ისეთ პერიოდად ესახება, როდესაც „ძველი მიმართულება“ უკუგდებული უნდა იქნეს.

აქვე გვინდა გიორგი წერეთლის მიერ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის „ძველ მიმართულებად“ გააზრებული მიმართულების ჩვენეული გაგება შემოგთავაზოთ. ჩვენი აზრით XIX საუკუნის მიწურულისათვის გიორგი წერეთელი, რომელმაც ფაქტობრივად თავად ჩამოაყალიბა ე.წ. „დასების თეორია“, I და II დასის მოღვაწეობას საბოლოოდ ერთი სახის უკვე „ძველ მიმართულებად“ განიხილავდა.

გიორგი წერეთლის მიერ 60-70 ანი წლების მოღვაწეთა საქმიანობის მთლიანობაში ერთ მიმართულებად აღქმა, რომელსაც იგი „ძველ მიმართულებას“ უწოდებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს გიორგი წერეთლის აზროვნების საოცარ პირუთვნელობასა და დროის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სრულიად ახალგაზრდა გიორგი წერეთელი „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ თავის ცნობილ წერილში „ცისკარს რა აკაკანებდა?“ წერდა: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომელთა კრებაც შეადგენს საზოგადოებას, ის არის საზოგადოების ტანჯვასა და შვების

თანამგრძობელი რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ? - აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით, საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანების მოსაპოვებლად“ (წერეთელი, 1863).

ჩვენი აზრით, გიორგი წერეთლის მიერ განვლილი გზის „ძველ მიმართულებად“ შეფასება მწერლის უმთავრესი მოვალეობის, საზოგადოებისათვის ნაკლოვანებათა დასაძლევად გზის ჩვენების მაგალითად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დროების შეუსაბამო მიმართულების არჩევა საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია.

რაც მთავარია, „ძველ მიმართულებას“ გიორგი წერეთელი მთლიანად როდი უარყოფს. მას მიაჩნია, „იქიდან (ძველი მიმართულებიდან, - მ.ქ.) მარტო თავისუფლების მისწრაფება უნდა დავტოვოთ“, - უთქვამს მას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სიტყვებში ნათლად გამოიკვეთა გიორგი წერეთლისათვის უმთავრესი და მარადიული ღირებულება „ნაციონალური თავისუფლება“, ღირებულება, რომელიც დროში არ იცვლება.

ჩვენი აზრით, მარქსიზმის გიორგი წერეთლისეული შეფასება - როგორც ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ანალიზისას გამოსაყენებელი თეორიისა, მარქსიზმის ყველაზე უფრო პრაქტიკული შეფასებაა, როგორც სამწუხარი გამოცდილებამ აჩვენა, მარქსიზმის დაბრკოლების შემქმნელი გარემოებაა.

შემდეგში განვითარებული ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, გიორგი წერეთელი არ მიემხრობოდა ბოლშევიკებს, რადგან „ნაციონალური თავისუფლების მისწრაფებას“ გიორგი წერეთლისათვის უცვლელ ღირებულებას, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ბოლშევიკები ნამდვილად არ იზიარებდნენ.

გიორგი წერეთლის მოღვაწეობის უმთავრეს ასპექტად, რა თქმა უნდა მწერლობა უნდა მივიჩნიოთ და რაც მთავარია, ჩვენი აზრით, აუცილებელია ყოველთვის გავითვალისწინოთ ის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარი ილია ჭავჭავაძესთან ერთად გიორგი წერეთელი პრაქტიკულად ქართული პროზის განვითარების ახალი ეტაპის დამწყებია.

ყველაზე უკეთ გიორგი წერეთლის პროზის მნიშვნელობას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებისათვის ნიკო ნიკოლაძე აფასებდა, მართალია, ნიკო ნიკოლაძის პიროვნებას არ სჭირდება ჩვენ მიერ განსაკუთრებული შემოკება, მაგრამ, მართებული იქნება, თ გავიხსენებთ გერონტი ქიქოძის მოსწრებულ და ლაკონურ შეფასებას. „ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე 60-იანი წლების ქართველო მოღვაწეთა შორის“ (ქიქოძე, 1963).

ნიკო ნიკოლაძე წერს: „როდესაც დროებამ“ პირველ ხანებში ბეჭდვა დაიწყო წერეთლის „მგზავრის წერილებისა“ („მგზავრის წერილები“ - მ. ქ.) მკითხველში თითქმის ამგვარივე მოძრაობა შეიქმნა, როგორც ცოტათი უწინ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანმა?!“ მოახდინა“ (ნიკოლაძე, 1894).

„მგზავრის წიგნები“ („კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“) აკაკი წერეთლის აზრითაც, ქართულ ენაზე არსებული ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა, რომ შიგადაშიგ დაღავდა არ ეტყობოდეს, ერთი უკეთეს თხზულებათაგანია ქართულ ენაზე“, - წერდა აკაკი ამ ნაწარმოების თაობაზე და ასკვნიდა „ის (გიორგი წერეთელი - მ.ქ.) პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეობაში!“ (წერეთელი, წერეთელი, 1968).

აკაკი, გიორგი წერეთლის შემოქმედებას, შეიძლება ასე ითქვას, დროის გადასახედიდან განიხილავდა, იგი წერდა: „იმის (გ. წერეთლისა - მ. ქ.) ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ მერე გამოაჩინო, რამდენიმე

ოქროს მარცვალი. გიორგის თხზულებებიც, როცა გაიმტკიცება, ბევრი ხელ-ხელ საგოგმანებელი საგანი გამოჩნდება, რომელიც საბოლოოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკება იყო... სხვები რომ არ ვახსენოთ, ამის დასამტკიცებლად, მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელი“ კმარა“. (წერეთელი, წერეთელი, 1968,)

ბუნებრივია, ჩვენ უდიდეს პატივს მივაგებთ იმ კრიტიკოსებსაც, რომლებიც ძალიან მკაცრად აფასებენ გიორგი წერეთლის შემოქმედებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იმ დროს რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გიორგი წერეთელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზის განვითარებაში. ამასთან, ვთვლით, რომ სადღეისოდ უკვე საკმაოდ მიღებული და გავრცელებული მხატვრული ნაწარმოებების შემოკლების წესს თუ გავითვალისწინებთ, გიორგი წერეთლის მხატვრული პროზის გადმოცემისას, ალბათ, საკმაოდ საინტერესო შედეგს მივიღებთ (ჩვენ მიგვაჩნია, რომ ექსპერიმენტის სახით, სასურველია, „კიკოლიკის, ჩიკოლიკის და კუდაბზიკას“ შემოკლებული ვარიანტის დაბეჭდვა. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველი საზოგადოება თავიდან აღმოაჩენს ამ ნაწარმოებს.

გიორგი წერეთელი სადღეისო გადასახედიდან, როგორც ახალი დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, ჩვენი აზრით, შეიძლება ფაქტობრივად როგორც პოლიტიკური მოღვაწე ისე დავინახოთ, რადგან იგი აქტიურად ერეოდა, მართალია, იმ დროს რუსეთის იმპერიის გუბერნიებად დანაწევრებული, მაგრამ ხალხის გააზრებაში კულტურულ ერთიანობაშენარჩუნებულ სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, უფრო ზუსტად, კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

გიორგი წერეთლის მოღვაწეობის პოლიტიკური აქტივობის უმთავრეს ასპექტად ჩვენ მისი, როგორც გაზეთ „დროების“ რედაქტორის მოღვაწეობა მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია 1866 წლის 4 მარტს გამოვიდა გაზეთ „დროების“ პირველი ნომერი. ახალი გაზეთი თვით თავისი სათაურითაც კი უკვე თავისებურ განაცხადს აკეთებდა. სულხან-საბას განმარტებით, „დრო ესე არს ჟამთა კეთილავობისა სახელი... ჟამი ნაწილი არს დღისანი, ხოლო დროთ უხნიერესნი ჟამნი, რამეთუ ერთსა დროსა შინა მრავალნი ჟამნი წარხდებიან“... (ორბელიანი, 1966).

მეტად საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები გიორგი წერეთელზე. ექვთიმე თაყაიშვილმა გიორგი წერეთელი, როგორც თავად აღნიშნავს მწერლის რკინიგზაზე მუშაობის პერიოდში გაიცნო, გიორგი წერეთელი კი 1883 წელს დაინიშნა რკინიგზის აგენტად. ეს მოგონებები მოთავსებულია 30-იანი წლების მასალებში. ვფიქრობთ, მასში კარგად არის ასახული გ. წერეთლის ხასიათი და იმ პერიოდში არსებული განწყობილება.

როგორც მოგონებებიდან ირკვევა, ექ. თაყაიშვილის მიერ საქართველოს თავისუფლებასთან დაკავშირებით გამოთქმული პესიმისტური მოსაზრების პასუხად გიორგი წერეთელს გულმხურვალედ უთქვამს: - „ყმაწვილი!, ეგ რა თქვი, ყველა მოსწავლე უნდა განდიდებას მოელოდეს და თავს ამზადებდეს მომავალი საქართველოს თავისუფლებისათვის! - მერე ხმამაღლა თქვა „მე მოვესწრები საქართველოს თავისუფლებას და შენ ახალგაზრდა მითუმეტეს“ (თაყაიშვილი, 1991).

ჩვენი აზრით, საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილისეული გიორგი წერეთლის ზოგადი შეფასებაც: „გიორგი წერეთელი სხვა ჩვენი მოღვაწეებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ ჩვენი ძველი მწერლობა იცოდა, ხუცურ ხელნაწერებს კარგად კითხულობდა, ახალი ქართულიც ჩინებურად იცოდა“ (თაყაიშვილი, 1991).

ხალხის მასის დემოკრატიული ცვლილებების მისაღებად მომზადება, ახალი

აზროვნების დამკვიდრება XIX საუკუნეში, უპირველეს ყოვლისა, გაზეთს შეეძლო. სწორედ გაზეთს უნდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის მიმდინარე დროება, რათა საზოგადოების სწორი არჩევანი გაეკეთებინა.

„დროების“ პირველივე ნომერი ყურადღებას იპყრობს ორმაგი თარიღის აღნიშვნით. მეორე გვერდზე მოთავსებულ შენიშვნაში განმარტებულია, რომ „10 (22) (იგულისხმება საფრანგეთის მეფის ნაპოლეონ III -ის მიერ 1866 წლის იანვარში წარმოთქმული სიტყვის თარიღი). აქ პირველი რიცხვი (10) ჩვენგან ხმარებულის იულიანუსის კალენდრის რიცხვია და მეორე (22) გრიგორიანული კალენდრის, რომელსაც დასავლეთის ევროპისა და ამერიკის ხალხები ხმარობენ. გრიგორიანული კალენდარი (ანუ ახალი სტილი) 12 დღით წინ არის ჩვენს იულიანურის კალენდარზედ (ანუ ძველს სტილზედ). ასე მაგალითად, დღევანდელ დღეს ჩვენ 4 მარტად 3-ს ვთვლით და დასავლეთის ევროპა და ამერიკა - 16 მარტად ამის გამო, ამ გაზეთის თავში რომ 4 მარტია მოხსენიებული, იქვე ფრჩხილებში დგას 16, ე.ი. გრიგორიანული კალენდრის რიცხვი“ (დროება, 1866).

როგორც ვხედავთ, გაზეთი „დროება“, რომლის რედაქტორიც მაშინ გიორგი წერეთელი გახლდათ, პირველივე ნომერში მკითხველი საზოგადოებას ახალი და ძველი სტილის რაობას განუმარტავს, ორივე თარიღის აღნიშვნას სთავაზობს და, ამდენად, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების რიტმს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის ცხოვრების რიტმს, დროის აღქმას უკავშირებს. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი, ჩვენი აზრით, გიორგი წერეთლის, როგორც რედაქტორის მიერ რუსეთის იმპერიისათვის გამოთქმული პროტესტია და, ამასთან საზოგადოების ცნობიერების ევროპულ სივრცეში დაბრუნების ერთ-ერთი პირველი კონკრეტული ცდა არის.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი წერეთელი ქართველ მარქსისტებთან, ანუ მესამე დასთან ძალიან დაახლოებული პირი იყო, მისი ობიექტურად შეფასების ტენდენცია არც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი არსებობის დროს გამოიკვეთა.

ჩვენი აზრით, ტენდენციურობის მიზეზი ის გახლდათ, რომ კომუნისტური, საბჭოთა იდეოლოგიისათვის გიორგი წერეთელი გაცილებით უფრო მიუღებელი იყო, ვიდრე სავა ნებისმიერი „თერგდალეული“, რადგან იგი აშკარად ევროპული ორიენტაციის პიროვნება გახლდათ.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოადგენდა. გიორგი წერეთლის, როგორც პედაგოგის, მომხიბლაობა ცოდნასთან ერთად მასალის მოხდენილად გადმოცემის თანდაყოლილ უნარში მდგომარეობდა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილის, რუსუდან ნიკოლაძის მოგონებები. დიდი ადგილი ეთმობა გიორგი წერეთელს, ქალბატონი რუსუდანი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „გიორგი წერეთელი ბუნებით, მოწოდებით პედაგოგი იყო.“<sup>15</sup> (რ. ნიკოლაძე „ცხოვრების დიდ გზაზე“, თბ. 1975. გვ. 106-114, 116.)

ჩვენი აზრით, გიორგი წერეთლის მოღვაწეობა სწორედ მომავალი თაობის დემოკრატიული ცვლილებების მისაღებად მომზადების კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან მოსწავლეებში, უპირველეს ყოვლისა, პირველი ღირსების ჩამოყალიბება და მათი სხვა პიროვნებებისადმი, როგორც მოქალაქეებისადმი პატივისცემით გამსჭვალვა გიორგი წერეთლის, როგორც პედაგოგის, უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ექვთიმე თაყაიშვილს თამადის მიერ თქმულს პასუხად თავმდაბლად უთქვამს: „კარგად ვიცი საქართველო ასე ადვილად ვერ განთავისუფლდება და მისი

პრეზიდენტის ვერასოდეს ვერ გავხდები“. ეს სუფრა თურმე გიორგი წერეთელის საპატივცემულოდ ყოფილა გაშლილი. გიორგის განუცხადებია: „ყმაწვილო, ეგ რა სთქვი, ყველა მოსწავლე განდიდებას უნდა მოელოდეს და თავს ამზადებდეს საქართველოს მომავალი თავისუფლებისათვის!“ და მერე ხმამაღლა დაუმატებია: „მე მოვესწრები საქართველოს თავისუფლებას და შენ, ახალგაზრდა მით უმეტეს.“

როგორც ვხედავთ გიორგი წერეთელს ღრმად სწამდა, რომ საქართველოს გათავისუფლებას შეესწრებოდა და, ამასთან, მიაჩნდა, რომ ყველა მოსწავლეს თავი უნდა მოემზადებია საქართველოს თავისუფლებისათვის.

ვფიქრობთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლება გვაქვს მწერლის შემოქმედების განხილვისას, მისი მხატვრული მემკვიდრეობა ახალგაზრდა თაობის, თავისუფალი საქართველოს მომავალი მოქალაქეთა მომზადებისათვის გამიზნულ მასალადაც აღვიქვად.

### **დასკვნა:**

სიკეთის მატარებელმა მწერალმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოებრივ საქმიანობას. მწერალი ფასდებოდა თანადროულობის უჩვეულო გრძნობით. რაც საერთოდ, ღირებულს ხდის მწერლის ნაღვაწს.

ჩვენი აზრით ეს ფრაზა: „მე მოვესწრები თავისუფლებას“. გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების სწორი გააზრებისათვის მთავარი გეზის მიმცემად უნდა გვესახებოდეს.

### **ლიტერატურა:**

1. თაყაიშვილი ე. (1991). ემიგრანტული ნაშრომები. თბილისი: მეცნიერება.
2. თაყაიშვილი ე. (1991). წერეთელი გ. - დაბრუნება. თბილისი: მეცნიერება.
3. მამაცაშვილი ვ. (1900). ვ. მამაცაშვილის მოგონება. „კავკასი“, 252: 5-6.
4. ნიკოლაძე ნ. (1894). გ. წერეთლის პირველი შრომა. „მოამბე“, 3:139-159.
5. ნიკოლაძე ნ. (1931). მოგონებები. თბილისი: ქართული წიგნი.
6. ნიკოლაძე ნ. (1931). რჩეული ნაწერები. ტომი I. თბილისი: ქართული წიგნი.
7. ნიკოლაძე რ. (1975). ცხოვრების დიდ გზაზე. თბილისი: განათლება.
8. ორბელიანი ს. (1966). ლექსიკონი ქართული. ტ. 1. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
9. საქართველოს ენციკლოპედია, 1. (1997). თბილისი: ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 10. (1986). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
11. ქიქოძე გ. (1963). რჩეული თხზულებანი, ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
12. წერეთელი ა. (1968). თხზულებანი, სრული კრებული 15 ტომად. ტ. 7. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
13. წერეთელი გ. (1863). ცისკარს რა აკაკანებდა? „საქართველოს მოამბე“, 5:39-61.

## **Bearer of Goodness and Prophet of Free Georgia**

**Kajaia Manana**

Georgien Technical University, Tbilisi

### **Abstract**

The paper discusses one of the most difficult periods, which turned the European people towards a new democratic way of thinking and set them on the path to forming a democratic society. Unfortunately, this period became a time of absolute destruction of Georgia's political

independence.

In the 1860s, the majority of Georgian students studying at Russian universities already saw the future of not only their own country but also humanity in general in a completely different way. They dreamed of the formation of a future European-type democratic society. Although they took different paths to achieve this, the fact is that in the 1860s, student youth saw their future work in serving the people, and this service was reflected in the democratization of society.

The primary goal of the new generation was to prepare society for the adoption of new thinking, democratic thinking.

The paper discusses the merits of the “Tergdaleulis”, whose contribution can be attributed to raising the national liberation movement in Georgia and the Caucasus in general to new heights and closely linking it with the processes of democratization of society.

The paper highlights a new presentation and understanding of the main aspects of Giorgi Tsereteli’s work.

From a modern perspective, Giorgi Tsereteli can be seen as one of the founders of new democratic thinking, as a political figure, because he actively intervened in the political life of his homeland and the processes taking place in the Caucasus region. He was exposed to national thought from an early age. Ekvtime Tsereteli wrote: “Giorgi’s ideal was Western Europe; he was convinced that our life was going in a European way and spared no effort and talent to awaken people and show them their inclinations.”

Khomleli credited Giorgi Tsereteli with developing Western European literary tendencies in Georgia. In his words, “Giorgi Tsereteli, unlike Ilia Chavchavadze and other writers of Eastern Georgia, was brought up on the traditions of European literature.” He grew up on the novels of Flaubert and Balzac and then traveled to Europe to immerse himself in European literature and culture.

We should consider the work of Giorgi Tsereteli precisely in terms of preparing the next generation for democratic changes, because, first of all, the formation of the first dignity in them and imbuing them with respect for other individuals, as citizens, was the main goal of Giorgi Tsereteli as a teacher. Giorgi Tsereteli had to leave only the aspiration for freedom from the “old directions”. Here, Giorgi Tsereteli’s main value, “national freedom”, a value that does not change over time, was clearly outlined.

The paper concludes by presenting that in the second half of the 19<sup>th</sup> century, the foundation for a cultural and educational movement was laid through the efforts of the “Tergdaleulis”, whose work determined not only the development of the 19<sup>th</sup>-century literature and public opinion, but also influenced the development of the 20<sup>th</sup>-century literature and public opinion. Their views and aspirations towards Europe echo today and are relevant in the 19<sup>th</sup> century.

The writer, a bearer of goodness, devoted his entire life to public activity. The writer was valued for his unusual sense of contemporaneity, which makes the writer's work valuable in general.

**Keywords:** *province, aristocracy, absolute, democratic, conspiracy.*

## XIX საუკუნის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების ასპექტები

## შარაბიძე თამარ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.58>

**აბსტრაქტი.** XIX საუკუნის საქართველო ისეთი მოვლენებით გამოირჩევა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ბედის განსაზღვრისათვის. ამ მოვლენებს კი განსხვავებულად აღიქვამენ ქართველი მწერლები და, მიუხედავად აზრთასხვადასხვაობისა, მათი ღვაწლი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია. თითოეული მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვიდანაც შეგვიძლია გამოვიტანოთ ის აზრი, რომ აზროვნების განსხვავებულობას მრავლობითი ფაქტორი განაპირობებს: უპირველესად, ეპოქა, XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდი, რომელშიც მათ უხდებათ ცხოვრება და რომელსაც ქმნის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, აგრეთვე – მათი სოციალური წარმოშობა, რომელიც ასევე განმსაზღვრელი ხდება თითოეული ქართველი საზოგადო მოღვაწის აზროვნების.

XIX საუკუნის I ნახევარში ერთი უმთავრესი პრობლემა არსებობს – საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ – რომელიც ადარდებს და აერთიანებს ყველა მოღვაწეს. ბრძოლის გზა საუკუნის პირველ ნახევარში აჯანყებებითა და 1832 წლის შეთქმულებით გამოიხატება, ანუ შეიარაღებული ბრძოლით საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ სიტუაცია იცვლება. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა – ისევ პრობლემად რჩება, თუმცა გვერდზე ინაცვლებს, რასაც ხელს უწყობს რუსეთის იმპერიის ყოველმხრივი მომძლავრება საქართველოში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა მოღვაწე ერთნაირად არ აღიქვამს არსებულ ვითარებას; საზოგადოებრივი აზროვნების წარმოსაჩენად კი უაღრესად მნიშვნელოვანია მათი შეფასებები ისეთი მოვლენებისა, როგორებიცაა: ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლა“ – კამათი ლიტერატურული მიმართულებებისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე, კავკასიის ომი, ბატონყმობის პრობლემა, სოციალური რევოლუციები და ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია. სოციალურ და ეკონომიკურ ნიადაგზე ხდება 60-იანელებისა და ხალხოსნების, შემდეგ კი პირველ, მეორე და მესამედასეულთა დაპირისპირება (განსხვავებულია ამ უკანასკნელთა პოლიტიკური შეხედულებანიც).

ამრიგად, XIX საუკუნის II ნახევრის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის უმნიშვნელოვანესია ეროვნული და სოციალური საკითხი, რომლებთანაც პირდაპირკავშირშია ენისა და ლიტერატურის საკითხები. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – სამოციანელთა ლოზუნგი – მთელი საქართველოს საიდენტიფიკაციო ფორმულად იქცევა, ლიტერატურა კი რეალობის ამსახველ, ეროვნული გრძნობის გამღვივებელ, სოციალურ პრობლემათა გამჟღერებელ და საზოგადოების აზროვნების წარმმართველ ძალად.

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნე, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნება, ანექსია, შეთქმულება, ბატონყმობა, მხატვრული ტექსტი, პუბლიცისტიკა.

XIX საუკუნის საქართველო ისეთი მოვლენებით გამოირჩევა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ბედის განსაზღვრისათვის. ამ მოვლენებს კი განსხვავებულად აღიქვამენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი და, მიუხედავად აზრთასხვადასხვაობისა, მათი

ღვაწლი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია. თითოეული მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვიდანაც შეგვიძლია გამოვიტანოთ ის აზრი, რომ აზროვნების განსხვავებულობას მრავლობითი ფაქტორი განაპირობებს: უპირველესად, ეპოქა, XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდი, რომელშიც მათ უხდებოდათ ცხოვრება და რომელსაც ქმნის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, აგრეთვე – მათი სოციალური წარმოშობა, რომელიც ასევე განმსაზღვრელი ხდება თითოეული ქართველი მწერლის აზროვნებისა; თუმცა ერთი ეპოქისა და ერთი სოციალური წარმოშობის მოღვაწეთა ნააზრევიც არ არის ერთნაირი. უმცირესობა ახერხებს ტრადიციული სააზროვნო სივრცისგან განზე დგომას, მიუხედავად დიდი ზეწოლისა. აქ მიზეზი ვიწრო გარემოში – ოჯახურ წრესა – და უპირველესად თვითონ მათ ინდივიდუალიზმში უნდა ვეძიოთ.

XIX საუკუნის I ნახევარში ერთი უმთავრესი პრობლემა არსებობს. ეს არის საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ, რომელიც ადარდებს და აერთიანებს ყველა მოღვაწეს. ყველა აღშფოთებულია დამოუკიდებლობის დაკარგვით და ეძიებს გზას ქვეყნის გათავისუფლებისათვის. ეს გზა საუკუნის პირველ ნახევარში აჯანყებებითა და 1832 წლის შეთქმულებით გამოიხატება, ანუ შეიარაღებული ბრძოლით საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. იმდროინდელ მწერალ-მოღვაწეთაგან 1832 წლის შეთქმულებაში თითქმის ყველა მონაწილეობს: ალექსანდრე ორბელიანი (შეთქმულების ოთხი ორგანიზატორიდან ერთ-ერთი), მისი ძმა – ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი (შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი), ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე, გიორგი ერისთავი... ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ დროს გიმნაზიის მოსწავლეა, თუმცა უკვე გამჟღავნებული შეთქმულების თანამგრძობი. აღსანიშნავია ისიც, რომ მამამისმა – მელიტონ ბარათაშვილმა – „ფარული საზოგადოების“ შესახებ არაფერი იცის. ე.ი. ის არ მოიაზრება იმ „განდობილთა“ რიცხვში, რომელთა დაუქვევებელი იმედიც ჰქონდათ შეთქმულებს.

აჯანყების დამარცხების შემდეგ სიტუაცია იცვლება. უმთავრესი პრობლემად ისევ რჩება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, თუმცა ამ ბრძოლის ქმედებით დადასტურება გვერდზე ინაცვლებს, რასაც ხელს უწყობს რუსეთის იმპერიის ყოველმხრივი მომძლავრება საქართველოში. იმპერია „იპყრობს“ საქართველოს ეკონომიკასაც და კულტურასაც. ახალი მმართველობის სისტემაში (ყოფითსა თუ კულტურულ ცხოვრებაში) ძალაუნებურად ერთვება მთელი საზოგადოება და მათი ჩართულობის სიღრმე და მიმართულება განაპირობებს კიდევ ეროვნულ მოღვაწეთაგან ერთმანეთისაგან განსხვავებული გზების ძიებას.

გადასახლებიდან დაბრუნებულთა ერთი ნაწილისათვის (ალექსანდრე ორბელიანი) კვლავ მიუღებელი რჩება იმპერიის სამსახურში ყოფნა, მეორე (უმრავლეს) ნაწილს კარიერა უშლის ხელს ძველი პრინციპების შენარჩუნებაში. ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი შეთქმულებაში მონაწილეობას ცოდვად უთვლიან თავს და ქვეყნის გათავისუფლების გზას რწმენით თვითშემეცნებაში ხედავენ; ვახტანგ ორბელიანი კარიერაზე უარს არ ამბობს, თუმცა ძმის თანამოაზრედ რჩება; გიორგი ერისთავს ქართველებისათვის საოცნებო საქმეს სთავაზობენ (პირველი ქართული ჟურნალის რედაქტორობასა და თეტრის დაარსებას), ამიტომ სიხარულით თანხმდება ასეთ, ნამდვილად დიდ, ღვაწლზე; დიმიტრი ყიფიანი, მონარქისტული მორალის კაცი, იმპერატორს მიიჩნევს საქართველოს მონარქად და სახელმწიფო სამსახურში კარიერული ზრდითა და ქართული საქმის ერთგულებით აგრძელებს ღვაწლს, თუმცა მონარქმა არც მას დაუფასა ერთგულება და, ბუნებით თავდადებული, სწორედ თავის ეროვნულ პრინციპებს ემსხვერპლა. ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაუვალობად (ბედისწერად) მიიჩნევს საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ერთგვარად ამართლებს კიდევ ერეკლეს პოზიციას (ვახტანგ ორბელიანიც ამ აზრისაა), თუმცა თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველისათვის მუდმივ პრიორიტეტად სახავს. საუკუნეთა გადასახედიდან, რა თქმა უნდა, სწორი (თუმცა რადიკალური) პოზიცია ალექსანდრე ორბელიანს აქვს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“

წარმოდგენილი სოლომონ ლიონიძისა და მისი მეუღლის სახეები სულისჩამდგმელი გახდა 60-იანელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა, ხოლო სოლომონ დოდაშვილის ეროვნული იდეოლოგიის მონახაზი (განათლების საშუალებით ყველა ფენის გაერთიანება საერთო მიზნისათვის) განვითარებული სახით ილიას პროგრამაში აისახა.

ცნობილია, რომ აჯანყებები მეფის რუსეთმა ქართველების ხელითვე ჩაახშო. კახეთის აჯანყების ჩახშობაში გამოუვალი მდგომარეობის გამო ალექსანდრე ჭავჭავაძემაც მიიღო მონაწილეობა, თუმცა ამ ფაქტს ძლიერ განიცდიდა და ომში მიღებულ ჭრილობას თავისი ცოდვის – ქართველზე ხელის აღმართვის – საფასურად აღიქვამდა. გრიგოლ ორბელიანმა გურიისა და თბილისის ამქართა აჯანყებები ჩაახშო, რაც მას თანამდებობრივად ევალებოდა, თუმცა მის სინანულს ამ შემთხვევებში ვერ ვხედავთ. მართალია, მისი პოზიციის ახსნა გამოუვალი მდგომარეობით შეგვიძლია, მაგრამ გვაბრკოლებს ის შეხედულება, რომელიც მის წრეშია (კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილისგან) გაჟღერებულია – „ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა“ (ბარათაშვილი, 1968 : 178). ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი თავადაზნაურობა შეეჩვია რუსულ მმართველობას; ირწმუნა იმპერიისგანვე ჩანერგილი აზრი, რომ რუსეთი ჩვენი დამცველია არა მარტო გარეშე მტრებისგან, არამედ ჩვენივე თავისგანაც, შიდა სახელმწიფოებრივი, ფეოდალურის შუღლის მომწესრიგებელიცაა, ამიტომ მის გარეშე არსებობა რაღაც პერიოდში (იგულისხმება ხანგრძლივი დრო) მაინც გაგვიჭირდება. ამ აზრმა, რომელიც, რა თქმა უნდა, ეპოქამ მოიტანა, ხელი შეუშალა სწორ ეროვნულ ხედვას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა მოღვაწე ერთნაირად არ აღიქვამდა ზემოთ ნახსენებ მოვლენებს; მიუხედავად რუსული მმართველობის მხარეზე ყოფნისა, ოზურგეთში მყოფმა დიმიტრი ყიფიანმა გაამართლა გურულები, რომელთაც აკლდათ მთავრობის მხარდაჭერა და განიცდიდნენ უსამართლო ჩაგვრას მებატონეების მხრიდან. აქ შეიძლება მხედველობაში მივიღოთ დიმიტრი ყიფიანის წარმოშობაც. ის არ იყო მაღალი სოციალური (თავადთა) წრიდან და ბუნებით პრინციპულად სამართლიან პიროვნებას გული შესტკიოდა უსამართლობაზე. სოციალური ფაქტორი ნაწილობრივ იკვეთება სოლომონ დოდაშვილის დამოკიდებულებაშიც ეროვნული საქმისადმი. 1832 წლის შეთქმულების დროს, უმრავლესობისაგან განსხვავებით, იგი არა აბსოლუტური მონარქიის, არამედ კონსტიტუციური ანუ პარლამენტური მონარქიის მომხრეა (აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტორს შეთქმულების მონაწილეებში განხეთქილება არ შეუტანია).

უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველ მოღვაწეთა მხრიდან კავკასიის ომის შეფასებაც. ალექსანდრე ჭავჭავაძე შამილის ქვეშევრდომი ტომების წინააღმდეგ ექსპედიციას აწყობს. გრიგოლ ორბელიანი ამ ომში, რომელმაც მთელი ნახევარი საუკუნე მოიცვა (1817-1864), განსაკუთრებული შემართებით იბრძვის; საზოგადოების უმრავლესი ნაწილის, ანუ ეპოქის, თვალთახედვა გამოიხატება ბარათაშვილის სიტყვებით:

*„ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!  
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,  
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,  
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!“* (ბარათაშვილი, 1968 : 131).

ქართველ მწერალთა მეორე ნაწილის თვალთახედვას კი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანიდან იღებს სათავეს, ყველაზე შთამბეჭდავად 60-იან წლებში ილია გამოიტყვის:

*„როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?  
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?“* (ჭავჭავაძე ი. 1987 : 196).

კავკასის ომში დამარცხების გამო დიდ სინანულს გამოხატავს აკაკიცი ლექსში „შამილის სიზმარი“; 80-იან წლებში კი ალექსანდრე ყაზბეგი ხუნძ შამილს კავკასიის ხალხთა ერთობის სახედ მიიჩნევს.

საუკუნის გადასახედიდან, 60-იანელთა და ყაზბეგის თვალთახედვა – კავკასიის ხალხთა გაერთიანება იმპერიის წინააღმდეგ – დამოუკიდებლობის იდეის გაღვივებას

ემსახურება და ქვეყნის ბრძოლის ეროვნულ გზას წარმოაჩენს. ამ გზას ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ილიას გზა ეწოდება.

XIX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებრივ აზრში აქტუალური ხდება სოციალური საკითხი. თერგდალეულთა უმრავლესობა ბატონყმობის ეკონომიკურ ფორმაციას მოძველებულად მიიჩნევს და იღვწის მის მოსასპობად; თუმცა ამ დროშიც საზოგადო მოღვაწეთა შორის გვევლინებიან მისი ერთგვარი დამცველები, უპირველესად – ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები. მათი აზრით, ძველ საქართველოში ბატონისა და ყმის ურთიერთობას პატრონყმობა უფრო ეთქმოდა, ვიდრე ბატონყმობა, რადგან მათ შორის მეტწილად მამაშვილური დამოკიდებულება არსებობდა. მოგვიანებით ამ აზრს აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილიც იზიარებენ. „გამდებლობის“ ინსტიტუტის აღწერით აკაკი ფაქტიურად ეთანხმება ალ. ორბელიანს ძველ დროში პატრონყმობის რეალური არსებობის შესახებ; ხოლო იაკობ გოგებაშვილის შეხედულებით, ქართველ გლეხსა და ბატონს შორის ურთიერთობა მაშინ დაიძაბა, როდესაც მათ შორის ჩადგა მესამე ძალა რუსეთის იმპერიის სახით. დროის გადასახედიდან, თერგდალეულების ბრძოლა ბატონყმობის გადასავარდნად აუცილებელი მოვლენა იყო, თუმცა მათი პოზიცია არ ითვალისწინებდა თავადაზნაურთა კლასის (ფენის) მოსპობას, სურდათ მხოლოდ გლეხის თავისუფლება და ფენათა შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობა („ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა) იმ დიდი საქმის ერთად საკეთებლად, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ერქვა.

XIX საუკუნის II ნახევრის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლა“, რომელიც 60-იან წლებში ლიტერატურისა და ენის საკითხების წამოჭრით დაიწყო, ხოლო 70-იან წლებში უფრო პოლიტიკური ხასიათი მიიღო, რადგან იმპერატორისათვის უნივერსიტეტის გახსნის თხოვნას პატრიოტული მოტივი ედო საფუძვლად. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ილიამ 80-იან წლებში არასწორად მიიჩნია ამ მოვლენის ბრძოლად შეფასება და შერქმეულ სახელწოდებას („მამათა და შვილთა ბრძოლა“) რუსეთში მიმდინარე პროცესების ტიპიზაციის ხელოვნური გადმოღება უწოდა. საქართველოში „მამებად“ და „შვილებად“ დაყოფის საფუძველი ძალზე პირობითია და არსებითად წარმოადგენს განსხვავებულ ხედვას როგორც ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, ასევე ზოგადად ცხოვრებისეულ მოვლენებზე. 60-იან წლებში ე.წ. „შვილები“ მოითხოვენ სალიტერატურო ენის გამარტივებას, სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებას, ხმარებიდან გამოსული ასოების ანბანიდან ამოღებას, ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებას; ე.წ. „მამები“ კი ამის წინააღმდეგნი არიან; ასოების ამოღებას ანბანიდან ენის დამახინჯებად მიიჩნევენ, „ანბანთეორეტიკის“ დარღვევად, რადგან თვლიან, რომ ეს ასოები, მართალია, მკვეთრად არ გამოითქმება, მაგრამ მაინც ისმის და სხვანაირ სილბოსა და გამოთქმას ანიჭებს მეტყველებას; რეალისტური პრინციპებიც ერთგვარად მხატვრულობას აკარგვენებს ნაწარმოებს.

ენის საკითხებზე კამათი „შვილების“ დაწყებული არ არის. მათ „მოსვლამდე“ მამათა თაობა მომხრეა და ზრუნავს ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, მაგრამ სხვადასხვაა მათი აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სალიტერატურო ენა. ალ. ორბელიანს არ მოსწონს გიორგი ერისთავის პერსონაჟთა „დაკუწვილი ლაპარაკი“; თვლის, რომ „გლეხკაცების ენა“ სალიტერატუროდ არ გამოდგება, „სადმრთო წერილის ენა“ კი გაუგებარია თანამედროვეთათვის, ამიტომ „სამწერლობო ენის“ ფუნქციას ის „საშუალო ენას“ აკისრებს, რომელიც რუსთაველისა და სულხან-საბას ენაა და უფრო გასაგებია. თუმცა თანახმაა ამ ენაშიც შევიდეს შესწორებები. დიმიტრი ყიფიანისთვისაც მიუღებელია ასოების ამოღება ანბანიდან, რადგან, მისი აზრით, ეს ასოები ენის მუსიკალურობასა და მოქნილობის გამოხატულებაა. ალექსანდრე ორბელიანისაგან განსხვავებით, მას შავთელ-რუსთაველის ენა თანამედროვეთათვის გამოუყენებლად მიაჩნია და ისეთი საშუალოს ძიებაშია, რომელიც შეაერთებს კლასიკურ ქართულსა და სახალხო მეტყველებას, თუმცა შიშობს ზედმეტად გახალხურებამ ენას არ ავნოს. გიორგი ერისთავი, მართალია, ქალაქურ კილოზე ამეტყველებს თავის პერსონაჟებს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ამას დრამატურგიის ჟანრი მოითხოვს; პროზასა და პოეზიაში ის ინარჩუნებს რომანტიკულ სტილს.

საუკუნეთა გადასახედიდან, მამათა თაობა ვერ ხვდებოდა, რომ „სალიტერატურო ენა“

უნდა დაყრდნობოდა „ცოცხალ მეტყველებას“, ყოველთვის ერთადერთ მოქმედ „ენას“, რომლის გარეშეც ვერ განვითარდება „სალიტერატურო ენა“; თუმცა ამავე მამებმა თავისდაუნებურად შეუწყვეს ხელი სალიტერატურო ენაში ცოცხალი მეტყველების დამკვიდრებას – გრ. ორბელიანმა „მუხამბაზებით“, რომლებშიც პოეტი თბილისის დაბალი ფენის მოსახლეობის ერთ მეტყველებს (ვახტანგ ორბელიანი ამ ლექსებს „შუა ბაზრის კილოზე“ დაწერილს უწოდებს) და ასევე „მგზავრობის“ მეორე ნაწილით, რომელიც ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებითაა დაწერილი, რადგან პოეტმა მისი გადამუშავება ვერ მოასწორო; ვახტანგ ორბელიანმა ლექსით – „პოეტს“, რომელშიც ის სპეციალურად „მდაბიური კილოთი“ გადმოსცემს სათქმელს; გიორგი ერისთავმა – თავისი დრამატურგიით; რაფიელ ერისთავმა კი იგავ-არაკების თარგმნითა და შექმნით, პოეზიაში მთის კილოს შემოტანით (თუ არა გლეხთა გულშემატკივარს რაფიელ ერისთავს, სხვას ვის უნდა სცოდნოდა სახალხო ენის შემოტანის აუცილებლობის მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში?!)

მამათა თაობა უპირატესობას ანიჭებს სამხედრო საქმის შესწავლას, „შვილებისათვის“ უფრო მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო განათლებაა. ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი სამხედრო მოღვაწეები არიან, გიორგი ერისთავმა შეთქმულების ჩაშლის შემდგომ სამხედრო სამსახური საზოგადოებრივით შეანაცვლა. სოლომონ დოდაშვილს, დიმიტრი ყიფიანს და გაბრიელ ქიქოძეს (შესაძლოა სოციალური წარმომავლობის გამოც) ცხოვრების ამგვარ გზაზე არც უოცნებიათ. აქ უნდა გავითვალისწინოთ მათი განსაკუთრებული მიდრეკილება და ნიჭი სწავლისადმი, რომელიც მათ გამოარჩევდათ. მაგრამ ეპოქის სულისკვეთებას მაინც ბარათაშვილის ოცნება გამოხატავს, რომელიც უპირატესობას სამხედრო საქმეს ანიჭებს.

60-იანი წლებიდან იცვლება თავადაზნაურობის ცხოვრების გზის არჩევანი, მათთვის უპირველესი განათლების მიღება ხდება, რადგან განათლება სხვაგვარად უხსნის კაცს გონებას, დურბინდით აჩვენებს იმას, რაც უსწავლელთათვის დაფარულია (ილია). სწორედ განათლებამიღებული თაობა, ე.წ. „თერგდალეულები“ გახდნენ ახალი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წამომწყებნი, ოცდათორმეტიანელთა გზის გამგრძელებლები. მათ „მამათა“ არჩევანი შეაფასეს „ჩინებისათვის“ და არა ქვეყნისათვის ბრძოლად, რაც იყო უმთავრესი მიზეზი „მამათა“ და „შვილთა“ დაპირისპირების მეორე ეტაპისა. ნასწავლი თაობისათვის უნივერსიტეტის გახსნა იყო პრიორიტეტული, სამხედრო საქმეში წარმატებული „მამებისათვის“ კი – კადეტთა კორპუსის. თუმცა სამოციანელმა გოგებაშვილმაც უფრო მოგვიანებით თბილისში უნივერსიტეტის გახსნა არადროულად მიიჩნია, რადგან უმაღლესი სასწავლებლის შესანახად ფული ქართულ საზოგადოებას უნდა გადაეხადა, უნივერსიტეტში კი ქართველები ვერ მოხვდებოდნენ, რადგან მათ უმრავლესობას არ ჰქონდა საშუალო განათლება რუსულ ენაში ბარიერის გამო. საშუალო განათლების მიღება მხოლოდ რუსულ ენაზე შეიძლებოდა, რაც უჭირდათ ქართველებს და უადვილდებოდათ საქართველოში მცხოვრებ რუსებსა და სომხებს. დიდმა მასწავლებელმა სტატისტიკური მონაცემებით დაასაბუთა, რომ ეს უნივერსიტეტი ქართველებისთვის არ იქნებოდა. მისი სამართლიანი დასკვნის მიუხედავად, საუკუნეთა გადასახედიდან, უნივერსიტეტისათვის ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, რადგან ეს არც ისე ადვილი საქმე გახლდათ, სხვადასხვა სახის ბარიერის გადალახვა (შენობა, ნებართვა და ა.შ.) დიდ დროს მოითხოვდა და ამასთანავე სწავლების სისტემაშიც რაღაც შეიცვლებოდა და შეიცვალა კიდევ ილია ჭავჭავაძის გუნდის აქტიური მონაწილეობით – „სათავადაზნაურო“ ბანკისა და „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებით, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში გაიხსნა პირველდაწყებითი სკოლები (დაწყებითმა სწავლებამ ქართულ ენაზე ქართველებს რუსული ენის ათვისებაც გაუადვილათ).

60-იანმა წლებმა ქართული სააზროვნო სივრცის არსებითი გარდატეხა მოახდინა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა სწორედ საზოგადოების გონებასა და აზროვნებაში გაჩაღდა, ლიტერატურაში დამკვიდრდა სასაუბრო მეტყველება და რეალისტური პრინციპები, თერგდალეულთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები (თუმცა დამოუკიდებლად არსებობას განაგრძობდა რომანტიზმიც). თერგდალეულებმა

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს პოეტს, როგორც ხალხის წინამძღოლს, როგორც „გარემოების საყვირსა“ და ღმერთსა და ხალხს შორის შუამავალს, უარყვეს მხოლოდ ტკბილხმოვანებაზე აგებული პოეზია, პოეზიაში პირადი განცდების გადმოცემა და რეალისტური ლიტერატურის უპირველეს მიზნად საზოგადოებრივი სატკივარის ჩვენება მიიჩნიეს (მანამდე მწერალსა და ლიტერატურას ხალხის ცხოვრების გარდამქმნელის ფუნქცია არ ჰქონია). თერგდალეულებმა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც შეუწყვეს ხელი საზოგადოების განვითარებას, რაზედაც მეტყველებს მათი საქმიანობა კულტურის, განათლებისა და პოლიტიკის სფეროშიც (მათი მოღვაწეობის ყველა ასპექტი იყო წმინდა ეროვნული).

60-იანელენი თავიანთი სამოქმედო პროგრამით იყვნენ ლიბერალები და პატრიოტები, კოლონიურ პირობებში რევოლუციური გზა მათთვის მიუღებელი იყო. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მათ მიზნად იქცა ფენებს შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანება; ზრუნავდნენ საზოგადოების ყველა ფენაზე, როგორც თავადაზნაურობის, ასევე გლეხთა ინტერესებისათვის.

სწორედ თავადაზნაურობის ინტერესების დაცვის გამო 60-იანელები ნაწილობრივ დაუპირისპირდნენ ხალხოსნებს, რადგან ეს უკანასკნელნი გლეხობასა და არისტოკრატის შორის შუღლს აღვივებდნენ და ხალხში წოდებრივი განხეთქილება შეჰქონდათ, რაც, თერგდალეულთა აზრით, არაეროვნული საქციელი იყო. სწორედ ამით აიხსნება აკაკის გაღიზიანება მათ მიმართ. წერეთელმა ხალხოსნებს „ახალი პატრიოტები“ და „დიაკვნის შვილები“ უწოდა, მათი ჟურნალი „იმედი“ კი სასტიკად გააკრიტიკა, რითაც თავადაზნაურთა ინტერესები დაიცვა.

თემატური თავისებურებით ქართული ხალხოსნობის ლიტერატურულ მიმართულებაში ექცევა ეკატერინე გაბაშვილიც იმის გამო, რომ მის ნაწარმოებებში 70-80-იან წლებში განვითარებული საზოგადოებრივი აზრია ასახული, ახალი სოციო-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ახალი დაპირისპირება ძველსა და ახალ თაობას შორის, გენდერული თემატიკა და ქალთა ემანსიპაციის საკითხი; მიუხედავად ამისა, აზროვნებითა და სტილური თავისებურებით მწერალი უფრო ახლოს დგას 60-იანელებთან, ვიდრე ხალხოსნებთან. 80-იანი წლების დამდეგს გორში გამართულ ხალხოსანთა ღონისძიებებში, რომლებიც ძირითადად სოციალურ საკითხს ეხებოდა, ვაჟასაც მიუღია მონაწილეობა და გორის საიდუმლო კომიტეტის საქმიანობაშიც ყოფილა ჩართული, მაგრამ მალევე დაკარგვია ხალისი. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში რუსეთის გავლენით იყო გაჩაღებული და, თუმცა მიმდევრები ჰყავდა, თერგდალეულთა საქმიანობას ის მეტოქეობას ვერ უწევდა.

უფრო მწვავე დაპირისპირება სოციალურ და ეკონომიკურ ნიადაგზე პირველ და მეორე დასელთა შორის გამოიკვეთა. მეორე დასელთა აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში ბურჟუაზია უნდა მოქცეულიყო და არა განათლებული თავადაზნაურობა, რადგან მხოლოდ ბურჟუაზიას შეეძლო ეკონომიკის განვითარება, რაც განსაზღვრავდა ქვეყნის სიძლიერეს. საქართველოს ეკონომიკური წინსვლა თავისთავად მოსპობდა თავადთა და გლეხთა ფენას შორის დაპირისპირებას, რადგან უპირატესობას მოიპოვებდა ის, ვინც მატერიალურად გაძლიერდებოდა. თავადთა ფენა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულს ებღაუჭებოდა, თავის სიმდიდრეს ქვეყნის სასარგებლოდ ვერ ავითარებდა, პირიქით, კარგავდა, ამიტომაც საზოგადოებრივი ასპარეზისთვის განწირული იყო; გლეხობის ფენიდან გამოსული ბურჟუაზია კი ვითარდებოდა.

ეს შეხედულება თითქოს უფრო პროგრესულია, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოში ბურჟუაზია ხალხის მოტყუებითა და ჩარჩობით იყო გამდიდრებული, აქედან გამომდინარე, ხალხის ნდობას არ იმსახურებდა, თანაც მის უმეტეს ნაწილს არაქართველები წარმოადგენდნენ, რაც გამოიწვევდა ქვეყნის სიმდიდრის (მათ შორის – მიწების) სხვა ეროვნებათა ხელში გადასვლას, ეს კი ეროვნულ მეობას საფრთხეს შეუქმნიდა; ამიტომ დროის გადასახედიდან, საქართველოსთვის, რომელიც მუდამ იბრძოდა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის და სწორედ ამან გადაარჩინა, უფრო მისაღები იყო ჯერ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამის შემდგომ თავისუფალ ქვეყანაში სოციალური

საკითხის მოგვარება (გლეხი ვერ იქნებოდა თავისუფალი დაპყრობილ ქვეყანაში). თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სამოციანელები სოციალურ პრობლემებზე არ ზრუნავდნენ. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში ისევე ეძიებს გზას სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, როგორც ნიკო ნიკოლაძე თუ გიორგი წერეთელი. იგი აყენებს შემდეგ საკითხებს – გლეხის მიწის მესაკუთრედ ქცევის, „შრომის განთავისუფლების“, სათემო და კერძო საკუთრების, რომელთაგან ეკონომიკის წარმართველად საზოგადოებრივი მფლობელობა („სათემო მიწათმფლობელობა“) მიაჩნია, ხიზანთა უფლებების (რომ მისცემოდათ მიწით ხანგრძლივი სარგებლობის უფლება) და ა. შ. ილიასა და ნიკო ნიკოლაძის აგრარული პროგრამები ძირითად საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა; ილიაც მომხრეა სათემო საკუთრების, მასზე გლეხების კოლექტიური მუშაობის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ერთობლივად დაგროვილი ფულით გლეხებმა ნელ-ნელა უნდა გამოისყიდონ მიწა. ის თავადს არ უნდა წაერთვას, რადგან კერძო საკუთრებაა. თავადს, როგორც მიწის მესაკუთრეს, თვითონაც შეუძლია იქცეს ფერმერად, ამუშაოს გლეხები მიწაზე და მოსავალიც გაუყოს. ნიკო ნიკოლაძე წინააღმდეგია როგორც მიწის ნელ-ნელა გამოსყიდვის, ასევე – თავადის ფერმერობის. ის მოითხოვს გლეხობისათვის მიწის გადაცემას და არ ითვალისწინებს თავადაზნაურობის ინტერესს. ილიასა და ნიკო ნიკოლაძის საწინააღმდეგო შეხედულებანი ნათლად ჩანს ხიზანთა საკითხშიც. ილია ხიზანთა უმიწოდ, ხოლო ნიკოლაძე – მიწიანად გათავისუფლების მომხრეა.

ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, მეორე დასს პირველისაგან განსხვავებული შეხედულებები აქვს საბანკო საკითხებშიც. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ბურჟუაზიული და თავადაზნაურული ინტერესები მიწის შეძენისა და წვრილი წარმოების საკითხთან დაკავშირებით. გიორგი წერეთელს არ სურდა ერთი წოდების ინტერესების დამცველი ბანკი, მხარს უჭერდა სასოფლო-სამეურნეო და „მოკლევადიანი სამრეწველო“ ბანკების განვითარებას. ნიკო ნიკოლაძე ცდილობდა ბანკში სოციალისტური პრინციპების გატარებას – ბანკს არა თავად-აზნაურებისათვის, არამედ მხოლოდ გაჭირვებული ხალხისთვის უნდა მოემართა ხელი და დაეხსნა ისინი მძარცველი კაპიტალისტებისაგან – რაც ეწინააღმდეგებოდა მისივე ბურჟუაზიულ საბანკო პოლიტიკას. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომელშიაც თავადაზნაურობამ თავისი ფული ჩადო, ვერანაირად ვერ გახდებოდა სოციალური ცხოვრების რეგულატორი. ამით ის შეზღუდავდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის თავისუფლების პრინციპს, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისათვის.

ილიას პროგრამა პროგრესული თავადაზნაურობის თვალსაზრისზე იდგა და მიზნად ისახავდა არა თავადაზნაურობის მოსპობას, არამედ მის გადარჩენას განადგურებისაგან, მის შეგუებას ახალ ცხოვრებასთან, წოდებათა შორის დამყარებულ მშვიდობიან ურთიერთობას თავადაზნაურობის (როგორც მიწის მესაკუთრეთა) უფლებების დაცვით. გიორგი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის ჯგუფი კი იყო რადიკალური ბურჟუაზიის მსოფლმხედველობის გამომხატველი; ცდილობდა გლეხი (მისთვის მიწის გადაცემით) სრულად გაეთავისუფლებინა მემამულის ბატონობისგან და ამით ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის შეეწყო ხელი.

ილია მეორედასელებზე არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ვაჭრობის, მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებას, მაგრამ იცავდა კერძო საკუთრების უფლებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ილია სათავეში ედგა სათავადაზნაურო ბანკს, რომელსაც უპირველესად მესაკუთრის ინტერესები უნდა გაეთვალისწინებინა; ამასთანავე ჭავჭავაძე მომხრე იყო სხვა ტიპის ბანკების დაარსებისაც, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებზე იზრუნებდნენ. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის მიზანს კი მოგებული თანხით საზოგადოების კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნვა წარმოადგენდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისათვის.

ისე რომ, მეორედასელთა ბრალდება პირველდასელთა მიმართ, რომ ისინი მხოლოდ თავად-აზნაურთა უფლებებს იცავენ, უსაფუძვლოა და ემყარება იმ ფაქტს, რომ ისინი თავადაზნაურობასაც იცავდნენ გაკოტრებისგან და ქვეყნის საზოგადოებრივი აზროვნების

წარმმართველად მაინც ეს ფენა მიაჩნიათ მისი განათლებულობის გამო. განათლებისათვის უპირატესობის მინიჭებაც ეროვნული თვალსაზრისით უფრო მართებული გადაწყვეტილება იყო, ვიდრე ვაჭრებისათვის ქვეყნის მმართველობაში ფართო გზის გახსნა, როგორც ამას მოითხოვდა ნიკო ნიკოლაძე (იგი თავად იყო ამ ფენის წარმომადგენელი).

მეორედასელთათვის და ასევე ხალხოსნებისთვის პრიორიტეტ საკითხებში შედიოდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა, თუმცა ამ ნიშნით ისინი არ განსხვავდებიან პირველდასელთაგან, რადგან „დედათა საქმისათვის“ ბრძოლა 60-იანელებმა დაიწყეს და დროთა განმავლობაში ეს პროცესი ქართველ მოღვაწეთა მხრიდან კიდევ უფრო გაღრმავდა და გააქტიურდა.

განსხვავებული იყო პირველდასელთა და მეორედასელთა შეხედულებანი პოლიტიკურ საკითხშიც. მართალია, ორივე დასი პატრიოტობას ერთმნიშვნელოვნად ქადაგებდა, მაგრამ პირველი დასისთვის პრიორიტეტი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო, შემდეგ კი დამოუკიდებელ ქვეყანაში სოციალური საკითხის მოგვარება; მეორედასელებისთვის მიუღებელი იყო იმპერიული მმართველობა, თუმცა ისინი არ უარყოფდნენ სოციალურად თავისუფალ ხალხთა ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას.

გიორგი წერეთელს სურდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და მასში შემავალი ხალხების ძმური და სოლიდარული თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოდ. ამ მხრივ მისი ეროვნული პოლიტიკა რადიკალურად განსხვავდებოდა ილია ჭავჭავაძის პოლიტიკისგან, რომლის მიზანი იყო კავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და არა – ერთიანი სახელმწიფოს შექმნა.

ნიკო ნიკოლაძე ქვეყნის თავისუფლებას ეკონომიკურ აღორძინებაში ხედავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უნდა პოლიტიკურად თავისუფალი ყოფილიყო საქართველო, მაინც სხვა ქვეყნის მონა იქნებოდა. ეს აზრიც რადიკალურად ეწინააღმდეგება 60-იანელთა თვალთახედვასა და პროგრამას, რომლის მიხედვითაც, ქვეყანა ვერ აღორძინდება ეკონომიკურად სხვა ქვეყნის მონობაში. 80-90-იან წლებში ნიკოლაძე სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგიი შეიქმნა. მისი პროგრამიდან გამოიცხრილა როგორც დაბალი კლასის ინტერესები, ასევე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილი. იდეალად კი იქცა რუსეთის თვითმპყრობელობის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ერთა საერთო პოლიტიკური თავისუფლება, საერთო ქვეყანა, რომელშიც ყველასთვის შესაძლებელი იქნებოდა წესიერი და სამართლიანი შრომა. მისი აზრით, მხოლოდ ასეთი იდეალისთვის ბრძოლა დაუმკვიდრებდა ჩვენს ქვეყანას და მასში შემავალ ერებს თავისუფლებას და თანასწორობას.

80-იანი წლების მოღვაწე, მაგრამ აზროვნებით 60-იანელი, ვაჟასთვის მიუღებელია პატრიოტული გრძნობის „ჭკუა-გონებით“ აწონ-დაწონვა, ამას უფრო კოსმოპოლიტიზმის საქმედ მიიჩნევს, რომელიც „*მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს.*“ და, მიუხედავად ამისა, მისი აზრით, კოსმოპოლიტიზმიც ასე უნდა გვესმოდეს: „*გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს*“ (ვაჟა-ფშაველა 1964 : 254). ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ცნებაში ვაჟამ გააერთიანა ჯერ საკუთარი სამშობლოსა და, აქედან გამომდინარე, კაცობრიობის სიყვარული. მან დაანახვა გლობალიზაციის სახელით მქადაგებლებს, რომ თავისი ეროვნების უარყოფელი საშიშია კაცობრიობისათვის. ის ვერასდროს გახდება მსოფლიო მოქალაქე. კაცობრიობის წინსვლისათვის ცალკეულ ეროვნებათა განვითარებაა საჭირო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი განსხვავებული აზროვნების მიმართულება – „მესამე დასი“, რომელიც საზოგადოების სათავეში მუშათა კლასს მოიაზრებდა. მწერლობაში მისი წარმომადგენელი ეგნატე ნინოშვილია. სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორად მიაკუთვნებენ ამ დასს აკაკი წერეთელსა და გიორგი წერეთელს. მართალია, XX საუკუნის დასაწყისში „რევოლუციურმა მოძრაობებმა“ (რომელთაც სოციალ-

დემოკრატიული პარტია ედგა სათავეში) აკაკისაგ გაუღვივა იმედი, რასაც ადასტურებს 1912 წელს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში კენჭისყრა, მაგრამ ეს იყო გარკვეულწილად ხარკის გადახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის, რომელმაც აკაკისადმი ნდობა გამოიჩინა და დეპუტატად დაასახელა. პოეტი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ამ ძალის წინააღმდეგი იყო, რადგან მესამე დასი თავის მხრივ უგულვებელყოფდა ნაციონალურ საკითხს.

მართალია, 90-იან წლებში გიორგი წერეთელი „მესამე დასს“ დაუახლოვდა და თავისი დაარსებული ჟურნალი „კვალიც“ მის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა მარქსისტებს დაუთმო სამოღვაწეოდ, მაგრამ თავისი შემოქმედებით, როგორც პუბლიცისტურით, ისე მხატვრულით, იგი ყოველთვის ბურჟუაზიის იდეოლოგი გახლდათ, რადგან მარქსიზმში ქვეყნის განვითარების ეროვნულ ნიადაგს ვერ ხედავდა. ევროპის მაგალითის ზეგავლენით, მან კაპიტალიზმი მიიჩნია ქვეყნის განვითარებისათვის საუკეთესო ფორმაციად, რადგან სოციალიზმი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფენის, პროლეტარიატის, ზეგავლენის ქვეშ მოქცევას ნიშნავდა. საქართველოს კაპიტალიზმისაკენ სწრაფვის შემაფერხებელ ფაქტორად გ. წერეთელს ეროვნული ბურჟუაზიის არარსებობა მიაჩნია, ქვეყნის უმთავრესი კაპიტალის თავმოყრა სომეხ ვაჭართა ხელში, რაც ეროვნული გადაგვარების ტოლფასია. ამიტომაც გიორგი წერეთლის უმთავრესი თემა ეროვნული ბურჟუაზიისათვის ხელის შეწყობა ხდება. სიმპათია მარქსისტული იდეოლოგიისადმი გამოწვეულია მხოლოდ სიმართლისათვის მებრძოლი და დაჩაგრული ადამიანებისადმი თანაგრძნობით.

ეკატერინე გაბაშვილის მიკუთვნებაც მესამე დასისადმი არამართებული და ხელოვნურია. მართალია, გაბაშვილი რევოლუციის თემასაც შეეხო მოთხრობაში „ბაირახტარი“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ქალი აღფრთოვანებული ნამდვილად არ არის იმ სიტუაციით, რომელიც რევოლუციას მოაქვს, არც თავის მომხრეობას წარმოაჩენს რომელიმე მხარის მიმართ, უბრალოდ წუხს, რომ საყოველთაო ქაოსს მსხვერპლად ეწირება ბავშვი, რომელსაც გაცნობიერებულიც კი არა აქვს, რა უნდა მოუტანოს წითელმა დროშებმა, და მხოლოდ საყოველთაო აღტკინებასაა აყოლილი.

60-იან წლებში სალიტერატურო ენის საკითხი მეტ-ნაკლებად გადაიჭრა, თუმცა მისი სიწმინდისათვის ბრძოლა მაინც მიმდინარეობს, რასაც უაღრესად დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი მწერლისთვის. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მაღალ საზოგადოებაში ქართულად ლაპარაკის დამკვიდრებაზე, ქართულ ენაზე განათლების მიღებასა და ქართულის ენობრივი ნორმების დაცვაზე, რასაც ემსახურება აკაკისა და ილიას სატირული ლირიკა. გოგებაშვილის სტატიებში ქართული ენის სისრულე და უნიკალურობა წარმოჩნდება და იმ აუცილობლობის მტკიცება, რომ ბავშვმა მშობლიურ ენაზე უნდა მიიღოს პირველდაწყებითი განათლება; სვანური და მეგრული ენების არსებობა ქართულთან ერთად არ ნიშნავს იმას, რომ სვანები და მეგრელები სხვა ეროვნებისანი არიან; მათი სწავლება ამ ენებზე სეპარატისტული მოძრაობის გამღვივებელია, ამიტომაც ქართველი მოღვაწეები, განსაკუთრებით – გოგებაშვილი, იბრძვიან იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომლითაც იმპერია აქეზებს მეგრელებსა და სვანებს. 80-იან წლებში ენის საკითხში მოიაზრება სალიტერატურო ენის დაცვაც დიალექტური ფორმებისაგან. სწორედ ეს პრობლემაა ასახული აკაკისა და ვაჟას პოლემიკაში (1892-1899 წლებში). საქმე ისაა, რომ აკაკიმ დაადანაშაულა ვაჟა სალიტერატურო ენის დამახინჯებაში მასში დიალექტური ფორმების შეტანის გამო. მიუხედავად ამისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას ძალიან კარგად ესმოდა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა. იგი ილია ჭავჭავაძის – ენის მთავარი რეფორმატორის – იდეოლოგიას მისდევდა და არც შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონოდა საზოგადოდ ენისა და მხატვრული მეტყველების საკითხებზე, არ შეიძლებოდა სალიტერატურო ენის წინააღმდეგ წასულიყო და რომელიმე ერთი დიალექტის თვალსაზრისზე მდგარიყო. ვაჟას ეს პოზიცია არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ აურჩევია.

თერგდალეულებმა სალიტერატურო სივრცეში დაამკვიდრეს პრინციპი „ხელოვნება ხალხისათვის“, რომელსაც მეორედასელმა გიორგი წერეთელმა სულ სხვა სახე მიაჩნა –

ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ იდეას ან პროგრამას, ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთზე უნდა იყოს გადაჯაჭვული. ამ პრინციპის წინ წამოწევის გამო გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედება პუბლიცისტურისკენ იხრება და გარკვეულწილად მაღალმხატვრობას კარგავს.

ილიას დასელმა, 80-იანელმა ვაჟამ ხელოვნების მიზანი დაცემული სულის ამღვლელებაში, კათარზისში, დაინახა და 60-იანელებისგან განსხვავებით, განაცხადა, რომ „სულის ამღვლელებამ სხეულსაც თავისი პირვანდელი სილამაზე და მშვენიერება უნდა დაუბრუნოს“ (იმედაშვილი, 1986 : 124). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ რეალისტი ვაჟას მიერ გამოთქმული თვალსაზრისი იდეალისტური მსოფლმხედველობისაკენ იხრება. ვაჟას შემოქმედებაში რეალისტური პრინციპების გვერდით ქართული მოდერნიზმის სათავეებსაც აღმოვაჩინო.

ამრიგად, XIX საუკუნის II ნახევრის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის უმნიშვნელოვანესია ეროვნული და სოციალური საკითხი, რომლებთანაც პირდაპირ კავშირშია ენისა და ლიტერატურის საკითხები. სამოციანელთა ლოზუნგი – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – მთელი საქართველოს საიდენტიფიკაციო ფორმულად იქცა, ლიტერატურა კი რეალობის ამსახველ, ეროვნული გრძნობის გამღვივებელ, სოციალურ პრობლემათა გამჟღერებელ და საზოგადოების აზროვნების წარმმართველ ძალად. ზოგიერთმა მოღვაწემ თავისი ნააზრევი პუბლიცისტიკაში წარმოაჩინა, რაც პირდაპირ გვაძლევს საშუალებას მათი აზროვნების მიმართულების შეფასებისა, ზოგიერთმა კი – მხატვრულ ლიტერატურაში, რომელიც სახეებით აზროვნებაა, და ამიტომ ტექსტს მიღმა უნდა ვეძიოთ სათქმელი, საზოგადოებისადმი გაგზავნილი გამოწვევა, რაც უფრო რთულია და საინტერესოც. ამიტომაც საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი, სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრში ასახული, ფორმით განსხვავდება ერთმანეთისგან – პუბლიცისტიკაში სათქმელი ფართოდ და დაწვრილებითაა გაშლილი, მხატვრული ლიტერატურისათვის კი ახსნა-განმარტება მიუღებელია, რადგან მხატვრული სიტყვა „ადამიანის გულის საქმეა“, როგორც პატრიოტიზმი. მასში „დაწურული“ სათქმელი გრძნობით უნდა აღიქვას მკითხველმა და შემდეგ „ჭკუა-გონებით“ აქციოს „ასაწონ-დასაწონად.“

#### ლიტერატურა:

ბარათაშვილი, ნ. (1968). ნიკოლოზ ბარათაშვილი 150, თხზულებანი. თბილისი : „საბჭოთა საქართველო“.

ვაჟა-ფშაველა, (1964). ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომას, ტ. IX, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი : „საბჭოთა საქართველო“.

იმედაშვილი ი. (1986). კრებული „კაი-ყმა“, მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე, შეადგინეს: მ. ბეჟიტაძემ, ს. ცაიშვილმა; თბილისი : თსუ გამომცემლობა.

ჭავჭავაძე ი. (1987), ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი I, პოეზია. თბილისი : „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“.

## Aspects of 19th-Century Literary and Societal Thought

Sharabidze Tamar

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi

### Abstract

19th-century Georgia stands out for events of profound significance in determining the fate of the country. These events are perceived in different ways by Georgian writers, and despite differences of opinion, their contributions to the development of Georgian literary and societal thought are considerable and important. Analyzing the lives and works of each figure reveals the notion that the diversity of thought is influenced by multiple factors: primarily, the era itself – the various periods of the 19th century in which they lived, shaped by the prevailing socio-political context – as well as their social origins, which also

become a defining factor in the mindset of each Georgian public figure.

In the first half of the 19th century, one central issue dominated: the annexation of Georgia by Russia—a concern that troubled and united all public figures of the time. The path of resistance during this period manifested through uprisings and the conspiracy of 1832, representing an armed struggle aimed at restoring Georgia's independence.

After the failure of the 1832 conspiracy, the situation began to change. Although the struggle for Georgian independence remained an issue, it gradually moved to the background. This shift was largely influenced by the growing dominance of the Russian Empire in all spheres of Georgian life.

It is also noteworthy that not all public figures perceived the existing situation in the same way. To understand the nature of societal thought, their evaluations of key events are especially important – such as the so-called "struggle between fathers and sons," which involved debates over literary movements and the literary language, the Caucasian War, the issue of serfdom, social revolutions, and the political orientation of the country.

On the social and economic front, we see conflicts emerge between the Sixtiers (the 1860s generation) and the Populists, and later among the representatives of the first, second, and third groups of the Tergdaleulebi (Russian-educated Georgians), each holding differing political views.

Thus, for the writers and public figures of the second half of the 19th century, national and social issues were of paramount importance – closely tied to questions of language and literature. The slogan of the Sixtiers, "*Homeland, Language, Faith,*" became a unifying formula for the identity of all of Georgia. Literature emerged as a powerful force that reflected reality, awakened national sentiment, voiced social problems, and shaped public consciousness.

**Keywords:** *19th century, literary and social thought, annexation, conspiracy, serfdom, fictional text, publicism.*

ქართული სპორტი ქართულ მწერლობაში

შარაბიძე ქეთევან

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქართული სპორტის მუზეუმი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.59>

**აბსტრაქტი.** ისტორიული, არქეოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, ლიტერატურული წყაროები თუ ქართველ და უცხოელ მემატრიანეთა ცნობები ადასტურებს, რომ ქართველები საუკეთესო მოასპარეზენი ყოფილან უძველესი დროიდან. ქართული სპორტის ისტორია ანტიკური ხანიდან იწყება, სწორედ იმ დროიდან, რომელსაც მიეკუთვნება პირველი არტეფაქტები, გარკვეული სახეობის სპორტის ამსახველი მასალა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოგვეპოვება სხვადასხვა დროის ისეთი იარაღები, რომელთა გამოყენება ადამიანის ფიზიკურ ძალასა და წვრთნას მოითხოვდა. ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ნებისმიერი ვარჯიში უკავშირდებოდა საბრძოლო საქმესა და შრომას.

ბერძნულ-რომაული და უფრო მოგვიანებით ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ქართველი ტომები საოცარი მეომრები ყოფილან, გაწვრთნილნი ცხენოსნობაში, ნადირობის დროს მშვილდოსნობასა და ისრის ტყორცნაში.

ქართული მწერლობის განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ქართული საბრძოლო და სამონადირეო ხელოვნების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები ლიტერატურულ წყაროებშიც აისახა. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული ტექსტი უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ვიდრე ისტორიკოსის მხრიდან მშრალად მოწოდებული ცნობები. მართალია, მწერალი ყოველთვის სწავლობს იმ გარემოსა და ეპოქას, რომელზედაც წერს, მაგრამ ხშირად აღამაზებს სიტუაციას, იყენებს ფანტაზიას, ლეგენდას, რაც მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს და მწერლის მიერ აღწერილს ის უტყუარ სიმართლედ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ტექსტს აქვს ის ფუნქცია, რომ მხოლოდ კი არ ასახავს არსებულ სინამდვილეს, არამედ ასახულით ზემოქმედებს კიდევ მასზე. აზრის ნათლად წარმოჩენის მიზნით შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ძველი საბრძოლო ხელოვნების წესების აღდგენა-რესტავრაცია მოხდა როგორც ისტორიულ, ასევე ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობითაც. ისტორიკოსები, მათ შორის – სპორტის ისტორიკოსებიც – ხშირად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას, როგორც წყაროს.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებით რუსთაველის, ალ. ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას შემქმედებიდან ვრწმუნდებით, რომ მწერლის მიზანი, ისტორიკოსისაგან განსხვავებით, სპორტის ამა თუ იმ სახეობის ზუსტი ილეთებისა და დანიშნულების გადმოცემა არ არის, სპორტული შეჯიბრის აღწერა ძირითადად სიუჟეტის განვითარებას ეხმარება და ხშირად სიმბოლური დატვირთვის მატარებელია.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული სპორტი, ქართული ლიტერატურა, საბრძოლო ხელოვნება, ლეგენდა, ისტორიკოსი, ლიტერატორი.

ისტორიული, არქეოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, ლიტერატურული წყაროები თუ ქართველ და უცხოელ მემატრიანეთა ცნობები ადასტურებს, რომ ქართველები საუკეთესო მოასპარეზენი ყოფილან უძველესი დროიდან. ქართული სპორტის ისტორია ანტიკური ხანიდან იწყება,

სწორედ იმ დროიდან, რომელსაც მიეკუთვნება პირველი არტეფაქტები, გარკვეული ფორმის (სახეობის) სპორტის ამსახველი მასალა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოგვეპოვება გვიანი ბრინჯაოს ხანის იარაღები – საბრძოლო სატევარი, მახვილი, ცული, ნახევარწრიული ცული, ისრის პირები, ლახტის თავი, შუბი, რომელთა ხმარება და გამოყენება ადამიანის ფიზიკურ ძალასა და წვრთნას მოითხოვდა. ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ნებისმიერი ვარჯიში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) უკავშირდებოდა საბრძოლო საქმესა და შრომას.

ბერძნული და რომაული ისტორიული წყაროების მიხედვით (პროკოფი კესარიელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი), ქართველი ტომები საოცარი მეომრები ყოფილან. უფრო გვიანდელი ქართველი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, რომ სამხედრო ხელოვნება საქართველოში განსაკუთრებულად მაღალ დონეზე იდგა. ქართველები გაწვრთნილნი ყოფილან ცხენოსნობაში, ნადირობის დროს მშვილდოსნობასა და ისრის ტყორცნაში.

ქართული მწერლობის განვითარებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ქართული საბრძოლო და სამონადირეო ხელოვნების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები ლიტერატურულ წყაროებშიც აისახა. აღსანიშნავია ისიც, რომ მხატვრული ტექსტი უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ვიდრე ისტორიკოსის მხრიდან მშრალად მოწოდებული ცნობები. მართალია, მწერალი ყოველთვის სწავლობს იმ გარემოსა და ეპოქას, რომელზედაც წერს, მაგრამ ხშირად ალამაზებს სიტუაციას, იყენებს ფანტაზიას, ლეგენდას, რაც მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს და მწერლის მიერ აღწერილს ის უტყუარ სიმართლედ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ტექსტს აქვს ის ფუნქცია, რომ მხოლოდ კი არ ასახავს არსებულ სინამდვილეს, არამედ ასახულით ზემოქმედებს კიდევ მასზე. აზრის ნათლად წარმოჩენის მიზნით შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ძველი საბრძოლო ხელოვნების წესების აღდგენა-რესტავრაცია მოხდა როგორც ისტორიულ, ასევე ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით. ისტორიკოსები, მათ შორის – სპორტის ისტორიკოსებიც – ხშირად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურას, როგორც წყაროს; ხოლო, თავის მხრივ მხატვრული ლიტერატურა იყენებს ისტორიასაც და ლეგენდასაც.

„არგონავტიკაში“ გმირთა მოსაგონებლად გამართულ კოლხურ ასპარეზობებზე ნათქვამია, რომ „არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენასადა მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“ (როდოსელი, 1948 : 148). ეს ცნობა მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ადასტურებს ძველი წ. აღრიცხვით მე-8 საუკუნეში საქართველოში ასპარეზობების ტრადიციას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საასპარეზო მოედნის არსებობას. ე.ი. საქართველოში უძველესი დროიდან წვრთნა სპეციალურ ნაგებობებში ხდებოდა, რაც ასპარეზობის ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს. ზემოთ აღნიშნულ ფაქტს ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიც ვხვდებით, რომლებშიც სავარჯიშო ნაგებობებს სხვადასხვა სახელწოდება აქვს: „იპოდრომი“, „ცხენსარბიელი“, „ასპარეზი“, „მოედანი“, „მერე“, „ფორი“, „მინდორი“, „სამღერალი“, „სათამაშო“, „სამორინე სახლი“ და ა. შ. (ვ. აფრიდონიძე, ქუთაისი, 1986 წ.). იოანე შავთელი არაერთხელ ახსენებს იპოდრომსა და ასპარეზს თავის თხზულებაში, დიდი რუსთველი კი – მოედანს: „*მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდეს ქებასა!*“ („ვეფხისტყაოსანი“, 70). შოთა რუსთაველი საუკეთესოდ აღწერს როსტევიანისა და ავთანდილის ასპარეზობას მშვილდოსნობაში. მათალია, ისინი ნადირობენ, მაგრამ

ამავე დროს მშვილდოსნობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. მანამდე კიდევ ეუბნება ავთანდილი მეფეს: „*ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა... მოასპარეზედ ვინ მგავსო? \_ ცუდნიღა უკუთქმანია. / გარდამწყვეტელი მისიგა ბურთი და მოედანია!*“ („ვეფხისტყაოსანი“, 67-68). ჩანს, ბურთაობაც, როგორც საასპარეზო თამაში მე-12 საუკუნეში უკვე ტრადიციულია. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურა წყაროა, რომელსაც ეყრდნობა სპორტის ისტორიკოსი.

თანამედროვე სპორტში აღდგენილია ხელჩართული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობა \_ ხრიდოლი, რომელშიაც გაერთიანებულია საბრძოლო ხელოვნების ხუთი უძველესი სახეობა: ჭიდაობა, რკენა, კრივი, ფარიკაობა და მშვილდოსნობა. საბრძოლო ხელოვნების ერთობას ვხვდებით „ვეფხისტყაოსანშიც“:

„მიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;  
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,  
ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი“ („ვეფხ.“, 453).

ტარიელის საბრძოლო ხელოვნება მოიცავს ცხენოსნობას, შუბის ტყორცნას, კაცის ტყორცნას, ჩეხვასაც, მკერდაობასაც და ფარიკაობასაც. ისე რომ, თანამედროვე ხრიდოლის ყურებისას თვალნათლივ წარმოგვიდგება „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოყვანილი სტროფი.

საქართველოში ძველთაგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა **მოშიათობა**. ის იყო ფიზიკური აღზრდისა და მომზადების ერთ-ერთი საშუალება, ფართოდ გამოყენებული გართობა-სანახაობებსა და ნადიმებში. ნადიმის დროს მოშიათთა მონაწილეობის შესახებ ცნობას ვხვდებით „ვეფხისტყაოსანშიც“. როსტევეან მეფის გამართულ ნადიმობაზე „მგოსანი და მოშიათი უხმეს, პოვეს რაცა სადა“ („ვეფხ.“, 123); „ამირანდარეჯანიანში“ მოშიათობა ნადიმობის განუყოფელი ნაწილია \_ „მოშიათნი აჯაფთა იქმოდეს, რომელ ეგეთნი არავინ უნახავენ“. სულხან-საბას განმარტებით, „აჯაბი საკვირველს ჰქვიან“. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ მუშაითობაში შედიოდა ხტომები, საგდებლის შეტყორცნა, თოკზე საჭურველითა და უსაჭურველოდ გავლა-გარბენები. დროთა განმავლობაში მუშაითური ვარჯიშები უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა. ამაზე მიუთითებს მე-15 საუკუნის ქართული კარაბადინი: „*ზოგნი, რომე მოშიათობენ და საბელსა ზედა გავლენ და ქვე დაწვებიან და იმღერიან და სხუანი, რომე ოცდაათსა წყრტასა საბელზედან გავლენ და ერთსა წყრტასა ფიცარსა ზედა ჩაიცმენ და შუმპრობენ და ცეცხლსა გაიტანენ და კვერცხსა შესწუნენ და ამათი მსგავსი ყულესა ჩვეულებით იქნების, მთუარესა ზედა თავითა ამერთა და ფეხი აღქმა ქნა და ფეხითა შუმპარსა იქმოდა*“ (ზაზა ფანასკერტელი ციციშვილი. კარაბადინი, 1959 წ. გვ 95). მუშაითური ვარჯიშები შეიცავდა ვარჯიშებს არა მარტო თოკზე, არამედ მიწაზეც, რომელიც არანაკლები სირთულის იყო. მე-17 საუკუნის პოემა „სიბილიანში“ აღწერილია მუშაითური ვარჯიშობანი მიწაზე შესრულებით. პოემაში მოვარჯიშეები ქუსლთან იღებენ ბეჭედს, უკან იდრიკებიან და წამწამით იღებენ მას, ჭიმავენ ყირას, „ხელით დარბიან, ფეხით ქმენ თამაშობასა...“ მუშაითური რთულ ვარჯიშთა აღწერა გადმოცემული აქვს მეფე პოეტს არჩილს თავის ცნობილ თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“.

მუშაითობას, როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ სპეციალური მწვრთნელ-მასწავლებლები. პოემაში სამთა თათბირზე ფრიდონი მოუთხრობს მეგობრებს, რომ პატარაობიდან ასწავლიდნენ თოკზე სიარულს: „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, / მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან, / ასრე გავედი საბელსა, რომ თვალნი ვერ

მომკიდინ, / ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან“ („ვეფხ“, 1402). მუშაითური ვარჯიშობების შესწავლა რთულ საქმეს წარმოადგენდა, ბევრი ახალგაზრდა ნატრობდა ამ რთული ხელოვნების სწავლასა და დაუფლებას. „ინატრის ბევრმან ვაჟებმა ნეტავი ეს მასწავლაო, მისი სიფიცხე, სიმაღლე, ესე თამამად წავლაო“, – აღნიშნავს მეფე არჩილი.

მუშაითობის სწავლა ბევრ თავისუფალ დროსა და მასწავლებლის დაქირავებას მოითხოვდა. ამიტომ ასეთი წვრთნა მხოლოდ მაღალი კლასისთვის იყო ხელმისაწვდომი. მუშაითობა არა მარტო გართობა-სანახაობას წარმოადგენდა, არამედ გარკვეული სამხედრო ხასიათიც ჰქონდა და მტრებთან ბრძოლაშიც გამოიყენებოდა. დროთა განმავლობაში მუშაითობა გაქრა ქართველი ხალხის ფიზიკური აღზრდის სისტემიდან. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით მისი აღდგენა დღესაც შესაძლებელია.

ისტორიული წყაროებისა და გადმოცემების მიხედვით, ქალებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო ფიზიკურ ვარჯიშებში და ომებშიც მონაწილეობდნენ. ცნობილია თქმულება ამორძალების შესახებ. მდინარე თერმოდონტის მიდამოებში, სადაც ძველთაგანვე ქართველი ტომები სახლობდნენ, ქალებს ბავშვობიდან ავარჯიშებდნენ ცხენოსნობაში, მშვილდისრის სროლასა და შუბის ტყორცნაში. ამორძალების შესახებ პირველ ცნობას ჰეროდოტე გვაწვდის, რომელსაც შემდეგ იმეორებენ უფრო გვიანდელი დროის ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ისტორიკოსები. მათი ცნობების უტყუარობაზე მეტყველებს საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში, არაგვისა და ალგეთის ხეობებში ქალთა სამაროვნებში (სამარხებში) ნაპოვნი რკინის ისრის წვერები, სპილენძის ჯაჭვის პერანგი და ცხენოსნის აღკაზმულობა, რაც ქალთა საბრძოლო მომზადებას ადასტურებს. ისტორიულ-არქეოლოგიურ ცნობებს ემატება ზეპირგადმოცემები ლეგენდების სახით, რომლებიც ასახვას ლიტერატურულ ტექსტშიც ჰპოვებს.

ზეპირგადმოცემებით გამდიდრებული ისტორიული ცნობები ქალთა პაექრობის შესახებ აისახა მე-19 საუკუნის ქართველი მწერლის ალექსანდრე ორბელიანის დრამაში – „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“ (1846 წ.). პიესაში აღწერილია დავითის მიერ არაბების საბოლოო დამარცხება და თბილისის განთავისუფლება მათი ბატონობისაგან. დიდგორის ბრძოლაში მამაკაცებთან ერთად ქალები, მოხუცები და ბერებიც იბრძვიან. ბრძოლის ველზე ქალთა რამდენიმე ასეული მოჩანს. პიესაში დაწვრილებითაა გადმოცემული როგორც ქალთა მასობრივი ბრძოლების, ასევე ფალავანთა ორთაბრძოლების ეპიზოდები. პიესაში ხაზგასმულია დედოფალ გურანდუხტის საგმირო საქმეები, მისი შებრძოლება არაბთა სარდლის ცოლთან. ქალი ფალავნების ბრძოლა საქართველოს ისტორიაში არსად დასტურდება და მწერლის ფანტაზიად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ალ. ორბელიანი იმოწმებს პაპამისის, დიმიტრი დემურაშვილის, მონათხრობს: „როდესაც დავით აღმაშენებელს მოუწოდებია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვნიათ ერთმანეთი საომრათ: ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქიო. რომელსაც აღმაშენებლის ცოლსა უმჯობნიაო“ (ორბელიანი ალ., 2022 : 96). ალ. ორბელიანმა საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყენა ეს ლამაზი ლეგენდა დრამაში.

დავით მეფე ჭოგრიტიდან უყურებს, თუ როგორ აჩერებს დურბუხის ცოლი ბრძოლას და დავითის მეუღლეს – გურანდუხტს – იწვევს საასპარეზოდ. მათი ბრძოლა იმართება ორ გაჩერებულ ჯარს შორის. ქალები ქვეითად შეეხებებიან ერთმანეთს:

*„იმ მშვენიერის ორის ქალისაებრ შავი თვალები ასე ანათებენ ერთმანეთზე, რომ*

უნდათ ერთმანეთი ჩაყლაპონ, ის იმათი გასაშტერებელი თეთრი სახე, ასე შეცვლილი აქვთ ერთმანეთზე, რომ ცეცხლი უელვარებთ. დურბეზის ცოლმა რომ ველარა გააწყობა, თავის მორთულობა მოუშალა დედოფალსა და თავშიშველი დააგდო. ისე ეტყობა, რომ დედოფალი გაწყრა ამისათვის, რომ ამანაც მოუშალა თავი სრულიად და ისე ეწევიან ერთმანეთსა წასაქცევად, მხარი მხარზე გადაბმულნი. ჯერ კი არა ჩანს რა, ვნახოთ ბოლო როგორი იქნება? ამათი მომზინვარე გიშრისფერი თმები, მუხლებამდის დამშვებული, უელვარებსთ საამოთა აქეთ-იქით და ნეტარებათ ეჩვენებათ მაყურებლებს. ის იმათი მიმოწევა-ჭიდილი რა გითხრა? მეტის სიანჩხლით ორთავ გონება დაკარგეს, რომა აღარ გაეგებათ რა. სწორეთ ვიტყვი: ამ სახეს თუ გამოხატავს ვინმე, გამოჩენილი მხატვარი; ამ ორთ შეჭიდებულს მშვენიერებისას, საქება!... ჰაი, ჰაი, ვინძლოთ, დედოფალთ-დედოფალო, ხედავთ, ხელი დარია დედოფალმა, ღონივრად მოიქნია, დედამიწაზე დასცა გულაღმა და ზედ დააჯდა, სატევარამოღებული. გონება დაკარგულს უნდოდა გულში დაეცა შიშველი სატევარი, მაგრამ სრულს გონებაზედ ჩქარა მოვიდა, სატევარი ქარქაშს მიაქცია; დურბეზის ცოლი წამოაყენა ზეზე, შავი თმები ერთმანეთს გადაუხვიეს დობის ნიშნად, თვითონაც ერთმანეთს გადაეხვივნენ სიამოვნებით. მას უკან დაკოცნეს და ბევრის თავდაკვრით გაეყარა დურბეზის ცოლი“ (ორბელიანი).

ამორძალების შესახებ ლეგენდებიდან უნდა მოდიოდეს ეს მშვენიერი ტექსტიც, რომელიც ორი ფალავანი ქალის ორთაბრძოლას ასახავს. ლეგენდა, პაპის ნაამბობი და მწერლის ფანტაზია ერთმანეთს შეერწყა. ამ სურათის აღწერით მწერლის მიზანი იყო თანამედროვე ქალების გამოფხიზლება, რომლებმაც დაივიწყეს საკუთარი და განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს რუსული ცხოვრების წესისადმი. ალ. ორბელიანი კომენტატორის რეპლიკებსაც კი ურთავს ბრძოლის პროცესის დასაძაბავად – „ჯერ კი არა ჩანს რა, ვნახოთ ბოლო როგორი იქნება?“ გამოჩენილ მხატვარს მოუხმობს ქალთა ჭიდილის სრულყოფილად გადმოსაცემად და ბოლოს ასპარეზობისათვის აუცილებელ შერიგების სურათსაც გვიხატავს.

საქართველოს მთიანეთის მკაცრი ბუნებრივი პირობები და ცხოვრების წესი (მუდმივი ბრძოლის რეჟიმი კავკასიის მთის ტომებთან) მათ განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა. ამიტომ საქართველოს მთაში იარაღსა და ცხენს საკულტო დანიშნულება ჰქონდა, ვაჟკაცობის ნიშნად ითვლებოდა. ფშავ-ხევსურეთში მუდმივად იმართებოდა ყრმათა გასაწვრთნელი და გამოსაცდელი შეჯიბრებები: „ხევსურთა ფიზიკური მომზადების საშუალებანი მრავალფეროვანი იყო და შეიცავდა: მთაში სრიალს, რბენას, ხტომას სიგრძეზე, ქვის ტყორცნას მანძილზე და მიზანში (ხელით, შურდულით), მოძრავ თამაშობებს და ცეკვას მუსიკის თანხლებით, თხილამურებზე სრიალს, ფარიკაობას, მშვილდოსნობას, ცხენოსნობას, ჭიდაობას, ნადირობას“ (გორგაძე, 1959:14). ზოგიერთი ზემოთჩამოთვლილი ტრადიცია მთის მწერლების – ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაშიც აისახა. ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ ნარკვევში – „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ – ფშაველთა რწმენა-წარმოდგენებთან ერთად განხილულია „ღაბახის“ დადგმის (თოფის სასროლად დადგმული ნიშანი, რომლისთვისაც 400-500 ნაბიჯის სიშორიდან უნდა ესროლათ) ჩვეულებაც, რომელიც იმართებოდა მამაკაცის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე მისი იარაღის ახალი პატრონისათვის გადასაცემად. აღსანიშნავია, რომ ღაბახი იყო ერთგვარი სპორტული პაექრობა; გარდაცვლილის თოფ-იარაღი გადაეცემოდა არა შვილს ან ნათესავს მემკვიდრეობით, არამედ პაექრობაში გამარჯვებულს, ე.ი. საუკეთესო ვაჟკაცს, რომელიც ღირსი იყო იარაღის ტარებისა (ვაჟა-ფშაველა, 1964 : 128).

აღ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში კარგად ჩანს, რომ მთის ხალხთა ცხოვრების წესში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მათ ფიზიკურ მომზადებას, რომელიც ჯერ დღეობებზე წარმოჩნდება, შემდეგ კი – ბრძოლის ველზე. მოთხრობაში „მამის მკვლელობა“ აღწერილია, თუ როგორ ემზადებიან ჯარიახის ხეობაში მაჰმადიანები წმინდა გიორგის დღესასწაულისათვის. „...ყმაწვილი ბიჭები გამოსულიყვნენ და საწყაოს ზომავდნენ თოფზედ, რადგან იცოდნენ, რომ იქ უეჭველად ნიშანში სროლა, – აყცილებელი დროს გატარება ამ შემთხვევაში, – გაიმართება, და არწიელები კი შინ შერცხვენილნი არას დროს არ დაბრუნებულან. მთიელ ქართველებსაც გაეყარათ თავიანთი თოფები და ისე გაეწმინდათ, რომ მზეზედ სარკესავით ლაპლაპებდნენ და ადამიანის სახეს აჩენდნენ. იმათთვის რომ შეგეხედნათ, უფრო სალაშქრო სამზადისში იყვნენ, სანამ ხატობაზედ მიმავალნი. მაგრამ ხატობა და დროს გატარება მთაში არის საომარი ვარჯიშობა და მომზადება ბრძოლისთვის. აქ ეჩვევიან სროლას, სირბილს, ცხენით და იარაღით აქა სცდიან ერთმანეთის ვაჟკაცობას და ხმარებას, ამის შემდეგ გადიან მტერზედ. სწორედ ეს მიზეზია, რომ ისინი გამოდიან საომრად მოწყობილნი, გამართულნი და მომზადებულნი, შეჩვეულნი იარაღის ხმარებას და მომზადებულნი ამ შემთხვევისთვის საჭირო მომზადებისთვის“ (ყაზბეგი, 1924 : 284). აღ. ყაზბეგი იმდენად ზუსტად ხსნის დროის ტარების მნიშვნელობას მთის კაცისათვის, რომ მას ზედმეტი კომენტარი აღარ სჭირდება – დღეობა მთიელისათვის გამოცდაა, მზადება მომავალი ბრძოლისათვის.

ჩვენამდე მოღწეულ ცნობებში ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქართველთა მონაწილეობა არ დასტურდება, თუმცა მსგავს შეჯიბრებებს ქართველებიც მართავდნენ. ამგვარი ტურნირების კვალი ნაწილობრივ შემორჩენილია დღესასწაულებზე „ყენობის“ გამართვის ტრადიციაში. ყენობაზე იმართებოდა მასობრივი ხასიათის ჭიდაობა. ხალხი ორ ნაწილად იყოფოდა; თითოეულს ჰყავდა თავისი მეთაური, საგანგებოდ შერჩეული მოკრივეები და მოჭიდავეები. ჭიდაობისა თუ ხელჩართული ბრძოლის ფალავანი ხშირად ყენი იყო, ზოგჯერ – ყენი და მეფე. ჭიდაობაში ყველა იღებდა მონაწილეობას. ორთაბრძოლა საჭიდაოს, დაფა-ზურნის, ხმაზე იწყებოდა. მოჭიდავეები წელს ზემოთ ტიტვლდებოდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ, კოცნიდნენ, ცეკვავდნენ და ამის შემდეგ იბრძოდნენ. წინასწარი შეთანხმებით ყენი ყოველთვის მარცხდებოდა. გამარჯვებულ მოჭიდავეს ხშირად ასაჩუქრებდნენ, დამარცხებულს კი სიცილით უმასპინძლდებოდნენ. ხშირად ჭიდაობა ხის ხმლებით, შურდულებითა და კეტებით ხელჩართულ ბრძოლაშიც გადადიოდა, ლითონის იარაღის ხმარება სამარცხვინოდ ითვლებოდა. რუსეთის მმართველობამ მე-19 საუკუნეში ასეთი დღესასწაულების გამართვა საქართველოში აკრძალა, თუმცა ქართველებს მეფის ნაცვალის ვორონცოვი გამოექომაგა და მსგავსი შეჯიბრებები ქართველთა ტრადიციათ, მათი მეზობელი სულის გამოხატულებით ახსნა. მან აღადგინა ყენობა, ჭიდაობის გამართვის ტრადიციაც და თავადაც ხშირად ესწრებოდა ამ სანახაობებს. ყენობის სახეცვლილ ფორმაში – „ისპანახობაში“ – 1894 წელს ილია ჭავჭავაძესაც მიუღია მონაწილეობა. საბჭოთა პერიოდში ეს თამაშობა აუკრძალავთ, რადგან აქ შეჯიბრი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ხდებოდა.

ტრადიციულ ეროვნულ ასპარეზობათა შორის უპირველესად გამოირჩევა **ცხენოსნობა**. მას საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ, რასაც მოწმობს ანტიკური თუ შუა საუკუნეების უცხოური და ქართული წყაროები. ცხენის კულტის არსებობაზე მიუთითებს არქეოლოგიური გათხრებით ბრინჯაოს ბალთების გამოსახულებები, ხის ურიკები და ცხენის რიტუალური სამარხები.

ქართულ ცხენოსნურ ასპარეზობებზე მოგვითხრობენ მე-17 საუკუნის მისიონერები – არქანჯელო ლამბერტი, დიონიჯო კარლი და დონ კრისტოფორო და კასტელი. მეგრული და თუშური ჯიშის ცხენები საუკეთესოდ ითვლებოდნენ შეჯიბრის დროს. თუშეთში ყველაზე გავრცელებული ყოფილა ცხენების ჭენება, სამეგრელოში დოლი, ყაბახი, თარჩია, ისინდი. ცხენოსნურ შეჯიბრებებში მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ. კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილია დოლი, ცხენოსნობის ერთ-ერთი სახე, ჯიშიანი ცხენების გამოცდა მათი უნარების (სისწრაფის, გამძლეობის) გამოვლენის მიზნით. რომანში ჩანს არა მარტო ამ შეჯიბრების პროცესი, არამედ აფხაზი კაცის სიყვარული ცხენის მიმართ. კაც ზვამზაია ასე ტუქსავს და თან არიგებს თავის შვილს: *„კარგი მხედარი მათრახს უნდა ზოგავდესო, რადგან კარგი ცხენი უმათრახოდაც იცნობსო მხედარს.. და არავინ ისე საცოდავი არ არისო, როგორც მეგრელისეული ცხენი. მეგრელს ცხენი ცოლ-შვილს ურჩევნიაო, თავის ცხენოსნობის გამოსარჩენად თუ დასჭირდა, ცხენსაც არ დაზოგავსო“* ( გამსახურდია 1958 : 9)

ხეთესაში გათხრების დროს აღმოჩენილ იყო მრავალსტრიქონიანი ტექსტი მეცხენეობის საკითხებზე, საიდანაც ჩანს, რომ ხეთები, ხურიტები, კასიტები თუ ბარბაროსი ჰიგსოსები სრულყოფდნენ ცხენის გაწვრთნის მეთოდებს, იგონებდნენ საომარი ტიპის ორთვლიან ეტლებს. ტექსტი შედგენილია 3400 წლის წინ ხეთურად. მისი ავტორია ხურიტი „კიკული მითანიოს ქვეყნიდან“; ეტყობა ამ დროს მითანაში ცხენების საუკეთესო მწვრთნელები ყოფილან.

XIX საუკუნეში საქართველოში ცხენოსნობის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოწვეაწეს – სოლომონ დოდაშვილს – მთავრობის დაკვეთით უთარგმნია წიგნი ცხენის სრბოლის შესახებ და დაუწერია „ცხენის პატარა კარაბადინი“ (სამკურნალო წიგნი). ამ ფაქტის შესახებ სოლომონი წერილით ატყობინებს თავის მასწავლებელს იონა ხელაშვილს: *„გჰსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა, ცხენის სრბოლისათვის წიგნი“*. თავის ნაშრომთა ჩამონათვალში დოდაშვილს შეაქვს „ცხენის პატარა კარაბადინიც“.

ცხენოსნობის ნაირსახეობებია: ცხენბურთი, ჯირითი, ისინდი, მარულა, ყაბახი, დოლი, თარჩია, მკერდაობა და სხვა. ცხენბურთი (იგივე ჩოგანბურთი) უძველესი ქართული თამაშია. ძველად მას ბურთაობა ერქვა. სათამაშოდ იყენებდნენ სპეციალურად გაწრთვნილ საბრძოლო ცხენებს. თითოეულ გუნდს 12-12 მოთამაშე ჰყავდა ან ზოგჯერ მეტიც. ეს თამაში არაჩვეულებრივი სისხარტით, სიცხოველით აღწერილი აქვს აკაკი წერეთელს თავის პიესაში „თამარ ცბიერი“, რომელიც სწორედ ბურთაობის აღწერით იწყება. ხალხი მოთამაშეთა შორის ნიკო გურულს გამოარჩევს თავისი სისხარტით. მოთამაშეთა დიალოგიდან ნათელი ხდება, რომ მეფესა და დედოფალს სანამლეო აქვთ დადებული და ერთმანეთს აჯიბრებენ გურულებსა და იმერლებს. ბურთაობის სცენის აღწერა აკაკისათვის თვითმიზანი არ არის. პიესის ამ სცენით დაწყებას მასხარას სიტყვები ხსნის. თამაში მას სამეფო კარს მოაგონებს, სადაც დედოფალი ბურთია, რომელიც *„ყველას ხელში უვარდება; /ხან გააქვსთ და ხან გამოაქვსთ, /მაგრამ არვის უჩერდება“* (წერეთელი, 2014 : 41). დედოფალს მობეზრებული ჰყავს მეფე-მთავრები და მისი „ლელო“ – მიზანი – ამჯერად მგოსანი გოჩა გამხდარა; ის არის მისთვის ძნელადმოსაპოვებელი, რადგან მგოსანთა ბუნება არაამქვეყნიურია, პატივისა და დიდების უარმყოფი. როგორც ვხედავთ, სპორტის ამ სახეობის აღწერას აკაკის მიერ სატირული დანიშნულება აქვს. სატირა კი თამარ იმერეთის დედოფლისადმია მიმართული, რომელიც მრუშობით იკმაყოფილებს თავის ავხორცულ მიზნებს და ქვეყნის კეთილდღეობა არ ადარდებს.

კიდევ მრავალი მხატვრული ტექსტის მოყვანა შეგვიძლია მაგალითად, რომლებშიც ქართული სპორტის სახეობებია აღწერილი. მწერლის მიზანი, ისტორიკოსისაგან განსხვავებით, სპორტის ამა თუ იმ სახეობის ზუსტი ილეთებისა და დანიშნულების გადმოცემა არ არის, სპორტული შეჯიბრის აღწერა ძირითადად სიუჟეტის განვითარებას ეხმარება და ხშირად სიმბოლური დატვირთვის მატარებელია

**ლიტერატურა:**

- გამსახურდია, კ. (1958). რჩეული თხზულებანი. რვატომეული, ტომი I, თბილისი : „საბჭოთა საქართველო“.
- გორგაძე, მ. (1959). ნარკვევები საქართველოს ფიზ. კულტურისა და სპორტის ისტორიიდან. თბილისი : გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ვაჟა-ფშაველა (1964). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VII, მოთხრობები, დრამატული ნაწარმოებები. თბილისი : „საბჭოთა საქართველო“.
- ორბელიანი, ალ. (2022). კრებულიდან „ქართული დრამატურგია. ქრესტომათია. ნაცნობი და უცნობი ტექსტები“, ნაწილი პირველი, ავტორები: თამარ შარაბიძე, თამარ ციციშვილი. თბილისი : თსუ გამომცემლობა.
- როდოსელი, ა. (1948). „არგონავტიკა“, თბილისი : სახელგამი.
- ყაზბეგი, ა. (1924). რჩეული მოთხრობები, ტომი II, ტფილისი : ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობა.
- წერეთელი, აკ. (2014). თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი V, დრამატული პოემები, თბილისი : გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

## Georgian Sports in Georgian Literature

**Sharabidze Ketevan**

Georgian National Museum, Museum of Georgian Sports, Tbilisi

Historical, archaeological, folkloric, and ethnographic materials, literary sources, and accounts by both Georgian and foreign chroniclers confirm that Georgians have been outstanding competitors since ancient times. The history of Georgian sports begins in Classical Antiquity — a period to which belong the earliest artifacts and materials depicting specific types of sport. Archaeological excavations across Georgia have unearthed weapons from different eras, the use of which required physical strength and training. In historical reality, physical exercise was tied to warfare and labor.

According to Greco-Roman and later Georgian sources, Georgian tribes were remarkable warriors, trained in horsemanship, archery, and the casting of arrows during hunts.

With the development of Georgian literature, it is only natural that significant information about martial and hunting traditions has been reflected in literary texts. Notably, literary texts often influence readers more than the dry facts presented by historians. While writers study the environment and era they depict, they frequently embellish situations with fantasy and legend, leaving lasting impressions that lead readers to accept the portrayal as unquestionable truth.

Thus, a literary text not only reflects reality; it influences it. The revival and restoration of ancient martial traditions have been based on both historical and literary sources. Historians — including sports historians — often rely on fiction as a valuable resource.

Examples from Rustaveli, Alexander Orbeliani, Vazha-Pshavela, Alexander Kazbegi, Akaki Tsereteli, and Konstantine Gamsakhurdia confirm that, unlike historians, writers aim not for technical detail, but for symbolic meaning — with the depiction of sports competitions typically serving to advance the plot.

**Keywords:** *Georgian sports, Georgian literature, martial arts, legend, historian, writer.*

**მხატვრული ტექსტი და აფხაზ მუჰაჯირთა ცხოვრების ქრონიკები**  
**ბათუმიდან ადაფაზარამდე**  
(ანზორ კუდბას მოთხრობა „გზა“)

**ჩოხარაძე მალხაზ**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.60>

**აბსტრაქტი.** ანზორ კუდბა მე-19 საუკუნის შუა ხანებში აჭარაში დასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. მწერლის რომანებსა და მოთხრობებში ასახულია წინარე ეპოქების თუ თანამედროვე საქართველოს პრობლემები, ასევე ამ პრობლემათა წინაშე მდგარი ადამიანის ურთულესი სულიერი სამყარო.

მოთხრობა „გზა“ დაბეჭდილია 2015 წელს გამოცემულ კრებულში „დიდი წვიმის სიმფონია“. ეს მოთხრობა აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის, ბათუმელი აფხაზების ცხოვრებას ეხება. მოთხრობის ნარატივი ზეპირი ისტორიების ფრაგმენტებს ემყარება. რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია წარმოდგენილია მსუბუქი ემოციით, ზედმეტი დეტალიზების გარეშე. თითქოს ავტორი ცდილობს, მკითხველს წარსულის სურათები დაუხატოს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში შემორჩა თაობათა მეხსიერებას. შესაბამისად, მხატვრული გამონაგონის მოცულობა და ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი.

„გზა“-ში ბათუმელი აფხაზების და კონკრეტულად კუდბების ამბავს თავად ავტორი მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში რეალურია გარემოც, დროც და, ძირითადად, ამბავიც. მთხრობელი წინაპრებისა და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. უფრო ზუსტად, ამ ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს გვაცნობს. ფრაგმენტების დრო და სივრცე ერთგვაროვანი არაა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვისაუბროთ მწყობრ კომპოზიციასა და სათქმელის გამონატვის ლოგიკურ თანმიმდევრობაზე.

კუდბათა მუჰაჯირობის ისტორიას, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, სამი ძმა იწყებს. ორი მათგანი აჭარაში, სოფელ ფერიაში დასახლებულა, ერთი კი თურქეთისკენ წასულა და ადაფაზარის პროვინციაში, სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულა. ბათუმში დარჩენილი და ოსმალეთს გადახვეწილი ძმების შთამომავლობამ მე-20 საუკუნის მიწურულსლა მოძებნა ერთმანეთი, მოიკითხა ამბავი და აღადგინა ურთიერთობა.

მოთხრობის ემოციურ ფონს ქმნის აგრეთვე ქართველთა და აფხაზთა თანამედროვე ურთიერთობის ქრონიკები. მწერალი ცდილობს, ობიექტურად აწონოს ტრაგედიის მონაწილეთა სულის მოძრაობა, მხატვრულ სახეებში ჩამოასხას სიმართლე. ცხადია, ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი ტკივილი უცხო არ არის თურქეთელ აფხაზთათვისაც.

**საკვანძო სიტყვები:** მუჰაჯირობა, აფხაზი მუჰაჯირები, ანზორ კუდბა, მუჰაჯირთა შთამომავლები.

ანზორ კუდბა მე-19 საუკუნის შუა ხანებში აჭარაში დასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავალია. იგი ბათუმში მოღვაწეობს და მკითხველი კარგად იცნობს ორიგინალური ხელწერით გამორჩეული ავტორის შემოქმედებას. ფართოა მწერლის თხზულებებში ასახულ ეპოქათა ქრონოლოგიური ჩარჩო, აქ შეხვდებით თემატურ რკალებს უძველესი დროიდან დღემდე. შესაბამისად, მის რომანებსა და მოთხრობებში ასახულია წინარე ეპოქების თუ თანამედროვე საქართველოს პრობლემებიც, ასევე ამ პრობლემათა წინაშე მდგარი ადამიანის ურთულესი სულიერი სამყარო.

ანზორ კუდბას მოთხრობების პირველი კრებული 1986 წელს დაიბეჭდა. დღეს იგი მრავალი წიგნის ავტორია. კერძოდ, „სიცოცხლის დედა“, „ზენაქარი“, „აპოკალიფსი“, „უჟამო ჟამი“, „დროის წიგნი“, „ფიქრის სავარძელი“, „მარიამ მაგდალინელი“, „ჩრდილს ნუ მომიკლავთ“... მოთხრობა „გზა“ დაბეჭდილია 2015 წელს გამოცემულ კრებულში „დიდი წვიმის სიმფონია“; ეს მოთხრობა რეალობიდან ფაქიზად ამოკრეფილი მარცვლებისგან შედგება და აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების, მათ შორის აფხაზთა მუჰაჯირობას და ბათუმელი აფხაზების სულის მოძრაობის არაერთ შთამბეჭდავ დეტალს ეხება.

კავკასიელი მუსლიმების მასობრივ გადასახლებათა ტალღები ოსმალეთის და რუსეთის კავკასიური ომების ერთ-ერთი ტრაგიკული შედეგია. მიგრაციათა ამ ტალღებს მუჰაჯირობას უწოდებენ. საქართველოს, კერძოდ, ქვეყნის სამხრეთის და დასავლეთის რეგიონებს - სამცხე-ჯავახეთს, აფხაზეთს, შავიზღვისპირეთს ქობულეთიდან ლაზეთის ჩათვლით - მუჰაჯირობა მწვავედ შეეხო. ეს ურთულესი პროცესი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, გრძელდებოდა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისში (ჩოხარაძე, 2016: 7).

კავკასიელ მუჰაჯირთა მიგრაციის მარშრუტის ერთი შტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზეც გადიოდა. ბუნებრივია, ეს მეტ-ნაკლებად ეხება მუჰაჯირობის ყველა ტალღას და როგორც საზღვაო, ასე სახმელეთო გზას.

იმხანად ბათუმი, როგორც სანავსადგურო ქალაქი ერთგვარ გამანაწილებელ პუნქტსაც წარმოადგენდა. შესაბამისად, ჟამიდანჟამ აქ შედარებით ახლო რეგიონებიდან თუ შორიდან მოსული უამრავი კავკასიელი მიგრანტი იყრიდა თავს. მათ შორის იყვნენ აფხაზებიც.

აფხაზთა მუჰაჯირობის მასშტაბური ტალღები თვალსაჩინოა 19 საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამავე პერიოდიდან იწყება აფხაზთა დამკვიდრება აჭარაში. უკვე სამოციან წლებში ბათუმის ახლო-მახლო მათი არაერთი დასახლება გაჩნდა. სურათი რამდენადმე შეიცვალა რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდგომ, როცა ბათუმი და სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. ბათუმში მცხოვრები აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი მუჰაჯირობის ახალ ტალღებს გაჰყვა ოსმალეთის სიღრმეში, ნაწილიც წინა თაობის მუჰაჯირთაგან, რომლებიც გაემგზავრენ თურქეთში და გარკვეული პერიოდი დაჰყვეს იქ, უკან დაბრუნდნენ აფხაზეთში გადასვლის იმედით. მათგან ზოგიერთი ბათუმის ახლო-მახლო დასახლდა (აფხაზები... 2018: 206).

ამდენად, აჭარაში მცხოვრები აფხაზები არიან შთამომავლები იმ მუჰაჯირებისა, რომლებიც 60-იან წლებში დასახლდნენ ამ რეგიონში, ან მათი, რომელთაც თურქეთში იცხოვრეს მუჰაჯირობის რომელიღაც ტალღას გაყოლილებმა, მაგრამ შემდეგ დაბრუნდნენ და აქ დაფუძნდნენ.

ანზორ კუდბას მოთხრობის ის ეპიზოდები, რომლებიც კუდბათა გვარის მუჰაჯირობას შეეხება სწორედ ზემოთ წარმოდგენილი რეალობის ანარეკლია. მოთხრობის ნარატივი ზეპირი ისტორიების ფრაგმენტებს ემყარება. რეალობის მხატვრული ინტერპრეტაცია წარმოდგენილია მსუბუქი ემოციით, ზედმეტი დეტალიზების გარეშე. თითქოს ავტორი ცდილობს, მკითხველს წარსულის სურათები დაუხატოს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში შემორჩა თაობათა მეხსიერებას. შესაბამისად, მხატვრული გამონაგონის მოცულობა და ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი.

„გზა“-ში ბათუმელი აფხაზების და კონკრეტულად კუდბების ამბავს თავად ავტორი მოგვითხრობს. ამ შემთხვევაში რეალურია გარემოც, დროც და, ძირითადად,

ამბავიც. მთხრობელი წინაპრებისა და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს. უფრო ზუსტად, ამ ცხოვრების ცალკეულ ფრაგმენტებს გვაცნობს. ფრაგმენტების დრო და სივრცე ერთგვაროვანი არაა, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვისაუბროთ მწყობრ კომპოზიციასა და სათქმელის გამოხატვის ლოგიკურ თანმიმდევრობაზე.

მთხრობელი მამით აფხაზია, დედით - ქართველი. ბათუმში დაიბადა და იქვე ცხოვრობს. იგი ბავშვობაშივე - თანდათან, გზადაგზა აცნობიერებს თავის ვინაობას და მისთვის ძვირფასია როგორც ქართული, ასევე აფხაზური ფესვები. ბავშვობაშივე შემოდის მის ცნობიერებაში მუჰაჯირობის ისტორია და წინაპართა მძიმე გზა - ვისთვის აფხაზეთიდან ბათუმამდე და ვისთვის - ბათუმს იქითაც - იზმითამდე თუ ადაფაზარამდე.

კუდბათა მუჰაჯირობის ისტორიას კი სამი ძმა იწყებს, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. მთხრობელის ბიძა, ხუმუტ კუდბა, ძველების ნაამბობს იხსენებს: „გეჩებთან და აცანბებთან ერთად ჩვენც გადმოვიხვეწეთ ჩვენ-ჩვენი მამულებიდან, დავტოვეთ ასე აფხაზეთი, ბედმა სად არ გვატარა და რის ვაივავლახით სამმა ძმამ ბათუმამდე ჩამოაღწია. ორი მათგანი სოფელ ფერიაში დასახლებულა, ერთს კი, ქერიმს, თურქეთისკენ უქნია პირი. ...ასე დავეკარგეთ ერთმანეთს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქერიმ კუდბა ასკერში გაუმწესებიათ, ბოლოს თავი დაუღწევია სამხედრო სამსახურისთვის და სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულა. მოუძებნია თავისი ცოლ-შვილი და კერა გაუჩაღებია“... (კუდბა, 2015: 14).

ბათუმში დარჩენილი და ოსმალეთს გადახვეწილი ძმების შთამომავლობამ მე-20 საუკუნის მიწურულსლა მოძებნა ერთმანეთი, მოიკითხა ამბავი და აღადგინა ურთიერთობა. პირველად თურქეთელი კუდბები - იბრაიმი და მუსა - ჩამოვიდნენ ბათუმში. შემდეგ ბათუმელი კუდბები ჩავიდნენ თურქეთში საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში, სოფელ ქარადერეში (ყარადერეში) სტუმრობდნენ ნათესავებს. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში კუდბები მუჰაჯირობის შემდეგ აღარ სახლობენ.

ოსმალეთს გადახვეწილი ძმის შთამომავალთა თქმით, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავს, თორემ სხვა არაფერი დაკლებია. როგორღაც დასახლებულა ახალ ადგილას, მაგრამ მალევე, როგორც ითქვა, ასკერში (ოსმალეთის ჯარში) გაუწვევიათ. ბევრჯერ ჩაუხედავს თვალებში სიკვდილისთვის. ბოლოს დაბრუნებულა ცოლ-შვილთან და იმდენად შეცვლილი ყოფილა, ერთი შეხედვით ოჯახის წევრებსაც ვერ უცვნიათ.

ანზორ კუდბამ მოთხრობაში „გზა“ სწორედ ამ რეალური პირის, თავისი შორეული ნათესავის, ასკერიდან დაბრუნებული ქერიმის განცდები გააცოცხლა:

„მგონი მოვედი, მახსოვს, აქ დავტოვე ცოლ-შვილი, მაგრამ რაღას მიცნობენ თითქმის ხეიბარს...“

მერე ცხენიც ეცნო ქერიმ კუდბას, ღელის პირას რომ მოვდა და ორი ბავშვიც, - ნუთუ ჩემი შვილები არიან? - შეეშინდა, ვაითუ ვერ მიცნონო.

ცხენთან მივიდა გულისფანცქალით და იცნო ცხენმა, თავი მხარზე ჩამოადო და აჭიხვინდა.

ბავშვები სოფელში გაიქცნენ და დედას ამცნეს ყველაფერი.

ისიც გამოჩნდა და შედგა გაოგნებული: „ნუთუ ქერიმია?! მაგრამ ასე რამ შეცვალა? თითქოს ქერიმია და არცაა ქერიმი...“ - ჭოჭმანობდა ქალი და შვილებს გულში იკრავდა გამეტებით.

ამასობაში ქერიმიც მიუახლოვდა შეცბუნებულ ქალსა და ბავშვებს. ცხენს მიეფერა და ენის ბორძიკით თქვა ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგონად:

- აფერ... ჩვენი ცხენი...

და ქალმა ხმაზე იცნო ქერიმი, თავისი ქმარი და შვილების მამა...“ (კუდბა, 2015: 16).

რეალურ ცხოვრებაში ასკერიდან დაბრუნებული ქერიმი მალე კიდევ ერთხელ გადასახლებულა და ზემოხსენებულ ქარადერეში დაფუძნებულია: მოუძებნია საცხოვრებლად ისეთი ადგილი, სადაც ბუნება და გარემო ფუძესოფელს ჰგავდა... აჭარაში დარჩენილ ძმებსაც ამ განწყობით უძებნიათ საცხოვრებელი. პატარა ხეობაში, ფერიაში, დასახლებულან, მდინარის პირას, ისევე, როგორც აფხაზეთში...

კუდბათა 21-ე საუკუნის თაობის ურთიერთობის ეპიზოდები მოიცავს როგორც სოფელ ყარადერეს, ასევე - ბათუმს და, შესაბამისად, ფერიას.

ყარადერე (Karadere) თურქეთის რესპუბლიკაში, მარმარილოს ზღვის რეგიონში, საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში მდებარეობს. კერძოდ, ჰენდექის რაიონში. რეგიონის საკმაოდ ჭრელი ეთნიკური მოზაიკის ნაწილია საქართველოდან მიგრირებულ მუჰაჯირთა შთამომავლები. მათ შორის აფხაზები. სულ ჰენდექის რაიონში 70-მდე სოფელია. ამათგან აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები ორ ათეულს აღწევს. კიდევ უფრო მეტია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები. ცხადია, ამავე რაიონში ცხოვრობენ სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც. ამ თვალსაზრისით სოფლების უმრავლესობა შერეულია (ჩოხარაძე, 2016: 98).

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთსა და საქართველოში (აჭარაში) მცხოვრებმა კუდბებმა, ასე თუ ისე, იცოდნენ სამი ძმის ამბავი, ისინი მაინც დაკარგულები იყვნენ ერთმანეთისთვის. მეოცე საუკუნეში, ხრუმჭოვის ე.წ. დათბობის პერიოდში, ძმათა შთამომავლებს ჰქონდათ კომუნიკაციის მცდელობაც, თუმცა ურთიერთობათა სტაბილიზაციის შესაძლებლობა მაშინ არ იყო... რაც შეეხება 21-ე საუკუნის რეალობას, მოთხრობაში შთამბეჭდავი ემოციის თანხლებით არის გადმოცემული შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში: კუდბებმა ელექტრონულ სივრცეში მოძებნეს ერთმანეთი. მალე, როგორც აღვნიშნეთ, იბრაიმ და მუსა თავანები (ამ გვარს ატარებენ ისინი თურქეთში) ბათუმში ჩამოვიდნენ. სიმბოლურია თითქოს: მათთან ერთად იყო ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალიც, ნური ალმასი, წინაპართა გვარით აბაშიძე. ამაღელვებელ შეხვედრათა თანმხლებ ემოციებზე, ცრემლიან მოგონებებზე... აღარაფერს ვიტყვი. სწორედ ამის შემდეგ ეწვია პირველად მწერალი თავის ნათესავებს თურქეთში, საქარიას პროვინციაში.

ბათუმში ყოფნისას სტუმრები ესწრებოდნენ კონფერენციას, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხებოდა. კონფერენციის ერთგვარი გაგრძელება იყო მუჰაჯირობის დღის აღნიშვნა.

მაისის მიწურულს კავკასიელ მუჰაჯირთა შთამომავლები მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ ხოლმე მუჰაჯირობის დღეს. ისინი იხსენებენ მიგრაციათა ეპოქას - იმპერიათა პოლიტიკის ტრაგიკულ შედეგებს. მაშინ უამრავი ადამიანი დაიღუპა - მგზავრობის თუ ახალ მიწაზე დამკვიდრების პროცესში. განსაკუთრებული ტკივილი ახლავს გემით მგზავრობის ნარატივებს. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში გაზნეული კავკასიელები თავს იყრიან ზღვებთან, მდინარეებთან, ტბებთან და წინაპართა ხსოვნისთვის წყალში ყვავილებს ყრიან. ბათუმში ყოფნისას მოთხრობელი და მისი სტუმრები კატარლით გავიდნენ ზღვაში და დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ყვავილების თაიგული ჩაუშვეს ზღვაში. „ასე მოვიხადეთ ჩვენ ჩვენი ვალი სვებედგამწარებული წინაპრების წინაშე“, -დასძენს ავტორი (კუდბა, 2015: 19).

კუდბათა ურთიერთობის ახალი ფურცელი იყო თურქეთში შეხვედრები, მათ შორის ყარადერეში - ქერიმის შთამომავალთა ფუძესოფელში. იქ, 2011 წლის 3

ივლისს, მთხრობელი დაესწრო გვარის დღესასწაულს. მთავარი მასპინძელი მაინც გვარის უზუცესი ოთხმოცდარვა წლის იაჰიაჰ კუდბა იყო. სწორედ მან გადაწყვიტა, რომ სანამ მრავალრიცხოვანი სტუმრები და მასპინძლები ვახშმად დასხდებოდნენ, საგვარეულო სასაფლაოზე გასულიყვნენ.

მთხრობელი აღნიშნავს, რომ თურქეთში მცხოვრები კუდბები სხვადასხვა გვარს ატარებენ. ესენია: თავანი, საჰკოლი, შენონი და აქურტი. ეს არის შედეგი რესპუბლიკური თურქეთის ნაციონალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ობიექტური რეალობისა. გვართან დაკავშირებული რეფორმების პერიოდში (იგულისხმება ოცინი წლები მეოცე საუკუნისა) დაუშვებელი იყო ტრადიციული, ნაციონალური გვარის გაფორმება. შესაბამისად, იქმნებოდა ახალი გვარები, რომელთა ფორმულირება ეფუძნებოდა თურქულ ენას.

ამ განმარტებას კავშირი აქვს საგვარეულო სასაფლაოზე გასვლის ეპიზოდთან (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ეპიზოდი მთხრობელთან, ანუ მოთხრობის ავტორთან განსჯის საგნადაც იქცა. შესაბამისად, მხატვრულ ინტერპრეტაციასთან ერთად მსჯელობისას ობიექტური რეალობის გათვალისწინების შესაძლებლობაც გვაქვს). საქმე ისაა, რომ საფლავის ქვაზე თანამედროვე გვართან ერთად ეწერა ძველი გვარიც - კუდბა. შესაბამისად, გასაგებია შინაარსი იაჰიაჰის ტკივილიანი სიტყვებისა, მიცვალბულთა გასაგონადაც რომ ითქვა: „აქ ყველა კუდბა ხართ, ვკვდებით და ჩვენეულ ჭეშმარიტ გვარს ვიბრუნებთ“.

„გვარდაბრუნებულეს ეძინათ მშვიდად“, - სევდიანად დასძენს მთხრობელი...

თურქეთის რომელიღაც შორეულ სოფელში ამგვარი წარწერები საქართველოდან ჩასულისთვის დიახაც შთამბეჭდავია და უკიდევანო სევდის წყარო. ძნელი სათქმელია, პირველად როდის, ვინ და სად გადაწყვიტა, საფლავის ქვაზე წინაპართა გვარიც რომ მიეწერა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ტენდენცია დამახასიათებელია კავკასიელი (და, იქნებ, არა მხოლოდ კავკასიელი) მუჰაჯირების შთამომავალთათვის... ჩვენ, სხვადასხვა წლებში გვქონდა შესაძლებლობა, გვენახა სიკვდილის შემდეგ „დაბრუნებული“ გვარები. პირველად - თოქათის პროვინციის ნიქსარის რაიონის ქართულ სოფელ ოლუქლუში. შემდეგ - სხვაგანაც. მათ შორის, აფხაზების სოფელ აქბალიქში (საქარის პროვინცია, აქიაზის რაიონი). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გასაგებია და ნაცნობია ბათუმელი მწერლის ნამბობში ესოდენი ტკივილით ჩაწული ემოციაც...

მოთხრობის ემოციურ ფონს მხოლოდ აფხაზთა მუჰაჯირობის ქრონიკები როდი ქმნის. რაკიდა ანზორ კუდბას შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაა, მის არაერთ რომანში ჩანს დაპირისპირებათა სისხლიანი სურათებიც. მწერალი ცდილობს, ობიექტურად აწონოს ტრაგედიის მონაწილეთა სულის მოძრაობა, მხატვრულ სახეებში ჩამოასხას სიმართლე. „აფხაზეთი ჩემი ოცნება - ჩემი მშობლიური მხარე; საქართველო - ჩემი სიცოცხლე და მარადი ფიქრი, აფხაზეთი - ტკივილი ჩემი და საქართველო - დიდი სატკივარი“ - აცხადებს ანზორ კუდბა და ეს სიტყვები მთელი მისი შემოქმედების განწყობას იტევს... (აფხაზები... 2018: 225).

გამომახილი აღნიშნული თემატური რკალებისა „გზაშიც“ თვალსაჩინოა. ცხადია ჩვენი ეპოქის ეს უდიდესი ტკივილი უცხო არ არის თურქეთელ აფხაზთათვისაც. საზოგადოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ მათი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა, ბევრისთვის იაჰიაჰის პოზიციაც მისაღებია. მოთხრობის მიხედვით იგი ამბობს: „ჩემი უსპეტაკესი სურვილია, რომ შერიგდნენ აფხაზები და ქართველები, ასე უბრად ყოფნა ავინებს ქართველსაც, ავინებს აფხაზსაც“.

ბუნებრივია, უფრო მკაფიოდ ჩანს ბათუმელ აფხაზთა დამოკიდებულება: აჭარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წერტილია, „აჭარაში ქართველთა და აფხაზთა ერთად ყოფნა უმშვენიერესი მაგალითი და ნიმუშია ორი ხალხის კი არა, ერთი ძმური ხალხის ჭირ-ლხინის განუყოფლობისა“... წერდა ფრიდონ ხალვაში (ხალვაში, 2010: 236). ბათუმში მცხოვრებ აფხაზებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აჭარამ აფხაზები მიიღო როგორც საკუთარი შვილები და ამგვარი დამოკიდებულება გაგრძელდა უხინჯოდ. ეს განწყობა თვალსაჩინოა ანზორ კუდბას მთელ შემოქმედებაშიც და, კონკრეტულად საანალიზო მოთხრობაშიც. შესაბამისად, იმედით სავსე მომავალზე საუბარიც მოტივირებულია.

მოთხრობაში ავტორი რამდენიმე მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ქრონიკის სახით წარმოგვიდგენს თანამედროვე რეალობის ფრაგმენტებს. ეს ქრონიკები ჩანს საქართველოშიც და თურქეთშიც, სოფელ ყარადრეში, კუდბათა სამყოფელში...

ემოციურ ჩანაწერთა შორის უპირველესად უნდა მივუთითოთ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებზე და იმაზე, რომ მოთხრობელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერთა შორისაა:

„ღმერთმაც მოწყალე თვალთ გადმოგვხედა და ასე ჩამოდგა 1990 წლის 28 ოქტომბერი - აღსრულდა ქართველი ერის ნება: არჩევნებში ქართულმა ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს და მე - ანზორ კუდბა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვარ, 1991 წლის 9 აპრილს კი ხელს ვაწერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს:

ეს მე ვარ ტატიანა მასწავლებლო, ანზორ კუდბა - აფხაზი ბიჭი, რომელსაც ამიხილეთ ერთხელ თვალები და სინამდვილეს მაზიარეთ, რომ ჩემში ორი ერის, აფხაზისა და ქართველის სისხლი ჩქეფდა და მე ვიყავი სრულიად საქართველო, ერთიანი, მთლიანი, რომელიც უნდა გაბრწყინებულიყო“ (კუდბა, 2015: 13).

ამის შემდეგ ავტორი ეხება ძმობისკვლეულ ომს. აქ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ანზორ კუდბას ბელეტრისტიკა, თვალნათლივ წარმოაჩენს მწერლის არსებაში ჩაკირულ ტკივილსაც. ტკივილი კი, როგორც შემოქმედის სულის ნაწილი, პირველივე თხზულებებიდან მოდის და შემდეგ დაუსრულებლად გრძელდება სხვა ნაწარმოებებშიც, როგორც ერთი მთელის, ერთი ფიქრის სხვადასხვა ფრაგმენტი, რომელთაც ცალკეული თხზულებების წიგნებად გამოცემის თარიღთა შესაბამისად აჩნია დროის ნაჭდევეები...

„...და როცა აფხაზის ხელით კვდებოდა ქართველი, კვდებოდა ჩემში ქართველი.

კლავდა ქართველი აფხაზს და აფხაზი კვდებოდა ჩემში...“

ჰოდა ვკვდებოდი და აღარც ვკვდებოდი მე - სრულიად საქართველო“ ... ასე გამოხატავს სულის ტკივილს მწერალი „გზაში“.

მწერალი დარწმუნებულია, რომ გადარჩენის, ერთობის გზა არსებობს და ადამიანურ ვალდებულებებზე მიუთითებს, როცა, ერთ-ერთ ინტერვიუში გადაბრუნებული ურმის მეტაფორას იხსენებს:

„ურემი გადაბრუნებულია და მოჩანს გზა. რა ქნას მეურმემ?

პასუხი: შეეხება უღელში“.

მაშასადამე, თუ გზა მოსჩანს - უღელში შევბა ერთადერთი საშველია! ცხადია, მწერლის პასუხიც მეტაფორაა და რეალურ ცხოვრებაში სხვადასხვანაირი კონკრეტული მოქმედებით შეიძლება გამოიხატოს, მითუმეტეს, რომ ადამიანები ძალიან ხშირად წინააღმდეგობათა გადალახვის რადიკალურ ფორმას ირჩევენ და თვალს არიდებენ ქრისტესმიერ გზას, მაგრამ მწერალმა ასეთი გზა დაინახა და აირჩია, რადგან ასე სწამს და მისი იმედიც ქართველთა და აფხაზთა მომავალი ურთიერთობის

შესახებ, ამ რწმენას ემყარება...

მწერალი იხსენებს, როგორ მიიწვიეს აფხაზები საპატრიარქოში, იხსენებს უდიდეს სულიერ სითბოს და სიყვარულს, იხსენებს პატრიარქთან შეხვედრას ბათუმშიც და საყოველთაო ნათლობას ქართველებისა და აფხაზებისას... იხსენებს ამ ყველაფერს და წერს:

„და თუ ღმერთმა ინება, აფხაზეთსაც ეწვევა ჩვენი პატრიარქი, დაამწყალობებს იქაურობას, დაამოშმინებს და სიყვარულის თესლსაც მიმოაბნევს დღეს ასე გაუცხოებულ მიწაზე. გაღვივდება ის თესლიც ღვთის წყალობით, იხარებს და ნაყოფსაც გამოიღებს სიკეთითა და სიყვარულით შეზავებულს.

...ყოველივე ამის თქმა მომინდა დღეს და მჯერა, რომ გაღვებება ჩვენს შორის ჩამოწოლილი ყინული, გადნება და ცხოველი მდინარეც ყველა თავისი შენაკადითურთ გააგრძელებს თავის ჩვეულ გზას.

უფაღს ასე სურს და წინ რა დაუდგება მის ნება-სურვილს“ (კუდბა, 2015: 24).

#### ლიტერატურა:

**აფხაზები... (2018).** აფხაზები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა. მონოგრაფია. ავტორები: ჯემალ კარალიძე, მალხაზ ჩოხარაძე, რევაზ დიასამიძე, ნატალია ლაზბა, მარინე შალიკავა, რამაზ სურმანიძე, ქეთევან შოთაძე, მანანა თავდგირიძე, მარიამ ჩოხარაძე, თენგიზ თავდგირიძე. ბათუმი. გამომცემლობა „სამშობლო“.

**კუდბა, ა. (2015).** დიდი წვიმის სიმფონია. ბათუმი. გამომცემლობა „გამომცემლობა აჭარა“.

**ჩოხარაძე, მ. (2016).** ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში. მონოგრაფია. ბათუმი: გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

**ხალვაში, ფ. (2010).** ომრი. ბათუმი. გამომცემლობა „გამომცემლობა აჭარა“.

### **Fictional text and chronicles of the life of Abkhazian Muhajirs from Batumi to Adapazari**

(Anzor Kudba's story “The Road”)

**Chokharadze Malkhaz**

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi

**Abstract.** Anzor Kudba is a descendant of the Abkhazian emigrants who settled in Adjara in the mid-19th century. The writer’s novels and stories reflect the problems of previous eras and modern Georgia, as well as the difficult spiritual world of a person faced with these problems.

The story “The Road” was published in the collection “The Symphony of the Great Rain” published in 2015; this story concerns the lives of the descendants of the Abkhazian emigrants, including the Abkhazians of Batumi. The narrative of the story is based on fragments of oral histories. The artistic interpretation of reality is presented with light emotion, without excessive detailing. It is as if the author is trying to portray to the reader images of the past as they have survived in real life in the memory of generations. Accordingly, the volume and function of artistic fiction are minimized.

In “The Road”, the author himself tells the story of the Abkhazians of Batumi, and specifically the Kudbas. In this case, the setting, time, and, mainly, the story itself are real. The narrator tells us about his ancestors and his life. More precisely, he introduces us to individual fragments of this life. The time and space of the fragments are not uniform, but nevertheless, we can talk about an orderly composition and a logical sequence of expression of what is said.

The story of the Kudba’s emigration begins in the 1960s with three brothers. Two of them settled in the village of Peria in Adjara, and one turned his head towards Turkey and settled in the village of Karadere in the Adapazari province. The descendants of the brothers who remained in

Batumi and fled to the Ottoman Empire found each other only at the end of the 20th century, retold their story, and restored their relationship.

The emotional background of the story is also created by chronicles of contemporary relations between Georgians and Abkhazians. The writer tries to objectively weigh the movement of the souls of the participants in the tragedy, to pour the truth into artistic faces. The echo of the mentioned thematic arcs is also visible in „The Road”. Obviously, this greatest pain of our era is not alien to the Abkhazians in Turkey.

**Key words:** Muhajirism, Abkhazian Muhajirs, Anzor Kudba, descendants of the Muhajirs.

**ტრანსნაციონალური და ინტერდისციპლინარული ასპექტები ანტიკური  
და თანამედროვე მედეას ფენომენში**

**წერეთელი ვერა  
ბუაძე ნინო**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.61>

**აბსტრაქტი.** ძველბერძნული მითოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა კოლხმა მედეამ იმთავითვე დაარღვია ლოკაციისა და მკვეთრად გამოხატული ნაციოცენტრიზმის საზღვრები და იგი მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ არქეტიპად ჩამოყალიბდა.

აიეტის ასული, რომელმაც დაუსრულებელი პლურალიზმით სივრცული ზღუდეებიც მოშალა, ინტერდისციპლინარულ ფენომენად მოგველინა. მედეა ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, სკულპტურის, კინემატოგრაფიის, ქორეოგრაფიის, თეატრის, ისტორიის, არქეოლოგიის, ასტრონომიის, ფსიქოლოგიის, გეოგრაფიისა და მედიცინის ინტერესის საგნად იქცა.

მედეას სახე, რომელიც რთული და წინააღმდეგობრივია, საშუალებას იძლევა ანტიკურობიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე ტრანსნაციონალურ ჭრილში განვიხილოთ. მითოსის მიხედვით მედეა მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილი, კოლხთა მეფის აიეტისა და ოკეანიდა იდას (ჰეს. თეოგ. 958), ან ქალღმერთ ჰეკატეს (დიოდ. 4,45) ასული, ჯერ იასონისა და მერე ათენის მეფე ეგეოსის მეუღლეა. საბერძნეთში მას თავყვანს სცემდნენ, ტაძრებს უგებდნენ და უმღეროდნენ. ევრიპიდემ იგი შვილების მკვლელ დედად აქცია („მედეა“ ძვ. წ.ად.431 წ.) და, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, საუკუნებს გაუძლო და კიდევ უფრო ახლობელი, მიმზიდველი და შთაგონების წყარო გახდა მრავალ ქვეყანაში. შედარებითი ლიტერატურის მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს მედეა განვიხილოთ მრავალ ასპექტში, სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურის, ენისა და ეროვნულ დონეებზე, სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის გადმოსახედიდან.

**საკვანძო სიტყვები:** მედეა, ტრანსნაციონალური, ინტერდისციპლინარული, არქეტიპი, პლურალიზმი

მედეა-კოლხი ქალი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ დრამატულ გმირს წარმოადგენს. საკმარისია დღეს ვინმემ ჩაატაროს ელემენტარული სოციოლოგიური გამოკვლევა ევროპულ მწერლობასთან ნაზიარებ ნებისმიერ ქვეყანაში იმის გასარკვევად, თუ ვის თვლის ფართო მკითხველი მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მეტად ცნობილ სახეებად, რომ მედეა უთუოდ პირველ რიგში იქნება დასახელებული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთან დაკავშირებული ვერც ერთი ლიტერატურული თუ მითიური პერსონაჟი ვერ გაუტოლდება ამ მხრივ მედეას. მედეა ქართველებისათვის კიდევ უფრო განსხვავებულ და გამორჩეულ გმირს წარმოადგენს, ვიდრე მსოფლიოს ხალხებისათვის, მედეას პერსონაჟმა საზოგადოების აზრი რამდენიმე ნაწილად გაყო, მედეა გააზრებულია ხშირ შემთხვევაში როგორც გმირი, ან ანტიგმირი და გარემოების მსხვერპლი ქალი, მაგრამ რომელი მათგანი შეგვიძლია ვუწოდოთ ქალს რომელმაც მთელი ეპოქის ლიტერატურული დრამა თავდაყირა დააყენა. ალბათ,

სწორედ მედეას მისტიურობა და იდუმალეობა აღძრავს საუკუნუნების განმავლობაში ინტერესს, ის იზიდავს კაცობრიობას და მასთან ყოველი შეხვედრა ახალი შთაბეჭდილებებით გვაკვებს.

აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში" მედეა უმშვენიერესი მეფის ასული არის ღმერთების მსხვერპლი: "მედეას არსება დაბნეულობამ შეიპყრო, ეროსმა კი მაღალჭერიან სასახლის კარს კისკისით გადაუფრინა" მას თავდავიწყებით უყვარდება კოლხთა ძლიერების სიმბოლოს „ოქროს საწმისის“ მოსატაცებლად ჩამოსული ყმა, იასონი. იგი სიყვარულით დაბრმავებული ეხმარება იასონს, დალატობს მამას, აკვლევინებს ძმას და სამშობლოს მტრებთან ერთად ტოვებს. მედეასა და იასონის სიყვარულის ამბავი ერთგვარი ჰარმონიული მოვლენაა, რომელიც თითქოს აბათილებს მედეას დანაშაულს, თუმცა მეორე მხრივ, მედეას სადად აზროვნების უნარი არ დაუკარგავა და კარგად ანალიზებს ამ ქმედების მოსალოდნელ შედეგებს. აპოლონიონ როდოსელთან მედეას სახეში გამოვლინდა ის უარყოფითი თვისებები, რომლებმაც შემდგომ ევრიპიდესთან ჰპოვეს გაგრძელება.

აკაკი ურუშაძის ცნობით, როდესაც ათენის თეატრში ეს სპექტაკლი დაიდგა, ევრიპიდე გამოვიდა ტრილოგიით და მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა, ამის გამო ევრიპიდე იძულებული გახდა „მედეა“ გადაეკეთებინა, ჩვენამდე მოღწეულია სწორედ ეს გადამუშავებული ვარიანტი, ევრიპიდემ მოახდინა ქმარ-შვილის მოღალატე ელენეს რეაბილიტაცია, ქმრის ერთგულ ქალად აქცია, პენელოპეს გაუტოლა პატიოსნებით, ცხადია ასეთივე წარმატებით შეეძლო გაეტეხა მას სახელი კოლხი მედეასათვისაც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მედეა სხვა არც ერთ ვერსიაში არ ხოცავს შვილებს და ამგვარი პასაჟი ევრიპიდეს გამონაგონია დრამატული წარმატებისათვის.

მედეა ინტერდისციპლინარული სახე გახდა, თავისივე ხასიათიდან გამომდინარე. იგი მრავალვარ ნიჭს ავლენს, შეგვიძლია ვისაუბროთ მედეას განსწავლულობაზე მრავალ სფეროში. უპირველეს ყოვლისა, მედეა ასოცირდება მედიცინასა და ფარმაცოლოგიასთან.

ყველაზე ცნობილი მკურნალი ანტიკურ ტრაგედიაში არის ევრიპიდეს მედეა, რომელიც ტრაგედიაში „მედეა“ უფრო მეტად ზიანის მომტანად წარმოგვიდგება, ვიდრე ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარ მკურნალად. მედეა კვალიფიციური მკურნალია, დახელოვნებული ფარმაცოლოგიაში, ჭკვიანი და თავდაჯერებული. „ვინ მოსთვლის რამდენჯერ ჭირად მიქცევია ჩემი სახელი. კაცს თუ ჭკუა აქვს, დიდ ცოდნას არ მისცემს შვილებს, რათა ხალხის შურს განარიდოს, სხვებისაგან გამორჩეულნი. აბა, გაბედე და რაიმე ასწავლე უვიცს: უქნარად ჩაგთვლის, განა მცოდნედ, ანდა სწავლულად. ხოლო თუ ცოდნით დაჩრდილე ჭკუა-გონებით განთქმულნი და სახელმორჭმულნი, იცოდე მავნედ და ხორცმეტად მიგიჩნევს ხალხი. ასეთია ჩემი ხვედრიც: ცოტა რამ მესმის, მიტომაც ერთნი ზიზღით მიცქერენ, მეორენი კი შენსავით მავნედ და საშიშად მთვლიან“ (ევრ. მედ. 135-146). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედეას ნამდვილად აქვს მიღებული განათლება, თუმცა ის სწორედ ამას მიიჩნევს იმის მიზეზად, რომ შურითა და ზიზღით უყურებს საზოგადოება.

მედეას გააჩნია კომპეტენენტური მკურნალის ყველა საჭირო თვისება. თუმცა, ტრაგედიაში მედეა ძალიან იშვიათად იყენებს მის ცოდნას ჰიპოკრატეს პრინციპების დაცვით, ის სამედიცინო განათლებასა და გამოცდილებას სრულიად სხვა გზით მიმართავს - ადამიანთა საზიანოდ, მათ დასამახინჯებლად და გასანადგურებლად. უფრო მეტიც, ის თავის თავს ავნებს თავისივე ხელოვნებით.

ტრაგედია „მედეა“ იწყება იმით, რომ ძიძა და აღმზრდელი საუბრობენ მედეას

შესახებ და აღნიშნავენ, რომ მედეა არის ავად. პიესის დასაწყისში მედეას მკურნალად გვევლინება მისი ძიძა. ის აღწერს მედეას მდგომარეობას და დიაგნოზს უსვამს მას-მედეა არის ავად, რაც გამოწვეულია იასონის ღალატით. მედეას ავადმყოფობა მოგვაგონებს სხვა ტრაგიკულ გმირთა ავადმყოფობის მდგომარეობას: აიასის სოფოკლეს „აიასში“ (323-325), ფედრას ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსში“ (275-277), ორესტესის ესქილეს „ორესტეაში“ (41). თუმცა მედეას მდგომარეობა ყველა ამ პერსონაჟთა მდგომარეობიდან იმით განსხვავდება, რომ ის უჩვეულოდ გაააქტიურა მისმა ავადმყოფობამ. მედეა არ მიირთმევს საჭმელს და წევს, თუმცა სხეულის პასიურობის პარალელურად ხდება მისი გონების გააქტიურება (ბარლოუ 1995: 132). ძიძა მიიჩნევს, რომ იასონის ღალატმა გამოიწვია მედეასა და მისი შვილების ავადმყოფობა (ევრ. მედ. 16-17).

აღსანიშნავია, რომ „იასონი“ ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მკურნალს“. სპენსი აღნიშნავს, რომ იასონი ადრეულ მითებში მკურნალი ფიგურა იყო. ევრიპიდე არანაირ მინიშნებას არ აკეთებს იასონის მკურნალობის უნარზე (გორდეზიანი 2009: 57-60). პირიქით, მან არაჯანსაღი სიტუაცია შეუქმნა მის ოჯახს (ევრ. მედ. 16-17).

ძიძასაც აქვს გარკვეული სამედიცინო განათლება. მას შეუძლია დიაგნოზი დაუსვას მედეას, თუმცა მას არ ჰყოფნის კომპეტენტურობა, რომ სათანადოდ დაეხმაროს მას: ძიძას არ აქვს წამალი, რომ შესთავაზოს მედეას, არც სიმღერის განმკურნავი ძალა (ევრ. მედ. 190-204), მას მხოლოდ ისლა დარჩენია დედის გაშმაგებულ მზერას მოარიდოს მედეას შვილები (ევრ. მედ. 92). მედეა თვითონ ცდილობს უწამლოს თავს.

მედეა დახელოვნებულია ფარმაკოლოგიაში (pharmaka) (ევრ. მედ. 384-385) და მას ბადალი არა ჰყავს ამ საქმეში, თუმცა ტრაგედიაში ხაზგასმულია, ასევე, მისი ორატორული უნარ-ჩვევები. შურისძიებით ანთებული მედეა „რბილი“ სიტყვით ახერხებს კრეონის დაყოლიებას, რათა დართოს მას ნება, კიდეც ერთი დღე დაჰყოს კორინთოში. აქ კარგად ჩანს მედეას განსწავლულობა ორატორულ ხელოვნებაში, უნარი იმისა, რომ აწარმოოს მოლაპარაკება, დაითანხმოს მოწინააღმდეგე (ბრემერი 1997: 95-112).

ტრაგედიის დასაწყისში მედეასა და ძიძის საუბარში შეინიშნება სამედიცინო ტერმინების სიმრავლე, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი კარგად არიან გათავისცნობიერებული მედიცინაში.

აგონი მედეასა და იასონს შორის სამედიცინო იდეებზეა დაყრდნობილი (ბრემერი 1997: 84). მედეა იასონის ღალატს სამარცხვინო საქციელად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ სირცხვილი კაცობრიობის ყველაზე დიდი დაავადებაა (ევრ. მედ. 471). ის აგრძელებს იასონის მისამართით შეურაცხყოფელ საუბარს, რათა „შვება“ მისცეს სულს და „ტკივილი“ მიაყენოს იასონს (ევრ. მედ. 473-474). მედეა ჩამოთვლის იმ სიკეთეებს, რაც იასონისათვის გაუკეთებია და ბოლოს, აგვირგვინებს ფრაზით: „მე შენ გიხსენი, გადაგარჩინე“ (ევრ. მედ. 476, 515)<sup>17</sup>. ამით მედეა ხაზს უსვამს მის კომპეტენტურობას მედიცინის სფეროში (ბარლოუ 1995: 132).

იასონის საუბრიდან ვგებულობთ, რომ მედეას ავმა საუბარმა მას ნამდვილად მოჰგვარა ტკივილი (ევრ. მედ. 524- 525). იასონი ცდილობს სოფისტური დებატების ცოდნა გამოავლინოს, თუმცა არცთუ წარმატებით ახერხებს ამას (ბარლოუ 1995: 30-35). ის მედეასგან მიღებულ დახმარებას აფროდიტეს უმადლოს, რომელმაც გავლენა მოახდინა მედეაზე (ევრ. მედ. 548- 553).

<sup>17</sup> ციტატები ევრიპიდეს „მედეადან“ მოგვყავს ბ.ბრეგვადის თარგმანის მიხედვით (1980).

ახლა უკვე იასონი გვევლინება ავადმყოფის როლში, მისი ხატება ცვლის მედეას ავადმყოფ სახეს ტრაგედიის დასაწყისში. თუკი მედეა თავს გრძნობდა „დამძიმებულად“ (ევრ. მედ. 809), ახლა უკვე შემსუბუქებულია როგორც მისი სხეული, ისე სული.

მედეა თავს გადაირჩენს სხვების განადგურებით, ის არაა დაინტერესებული „პაციენტთა“ განკურნებით.

მედეა თავს გამარჯვებულად ჩათვლის მაშინ, როცა მიუზღო იასონს თავის საქციელის გამო (ევრ. მედ. 1362) და აღნიშნავს, რომ ეს უმსუბუქებს მას ტკივილს (ევრ. მედ. 1362). მედიცინის ენის გამოყენებით ტრაგედიაში გადმოცემულია ტკივილის გადატანა ერთი ადამიანიდან მეორეზე (ევრ. მედ. 1364).

მედეა ტრანსნაციონალური გმირია. მან მოახერხა, რომ თავისი განსწავლულობა კოლხეთის საზღვრებს გარეთ გაეტანა. ანტიკურობაში დამკვიდრებული იყო ოპოზიცია-ელინები და ბარბაროსები. მედეამ მოახერხა დაემტკიცებინა, რომ უცხო ტომელსაც შეეძლო გატოლებოდა ბერძნებს გონებრივი შესაძლებლობით. თავის უცხოელობას მედეა საპროგრამო სიტყვაში ახსენებს, როდესაც კორინთელ ქალებს ქალთა სავალალო მდგომარეობის შესახებ ელაპარაკება. ქალის ხვედრზე საუბრის დროს მედეა მრავლობით რიცხვს იყენებს და საკუთარ თავსაც, ბუნებრივია, ამ ქალთა შორის მოიაზრებს. იგულისხმება, რომ, ისიც ისე იტანჯება, როგორც სხვა ბერძენი ქალები. მოლოდ მას შემდეგ, რაც ქალის ყველა პრობლემას ჩამოგვითვლის, იგი ქალთა მდგომარეობის საერთო მძიმე სურათს თავის კერძო შემთხვევას უმატებს. ეს მისი უცხოელობა გახლავთ. „ მაგრამ არ შეიძლება ერთი და იგივე თქვენზე და ჩემზე ითქვას. თქვენ გაქვთ სამშობლო და მამისეული სახლი. თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ სიციცხლის სიხარულით და მეგობრებთან ერთად ყოფნით. მე კი მარტოდმარტო ვარ, არ მაქვს სამშობლო და შეურაცხყოფილი ვარ ქმრის მიერ, უცხო ქვეყნიდან ძალით წამოყვანილი. არც დედა მყავს, არც ძმა, არც მეგობარი, რომლებიც გაჭირვების ჟამს ნავსაყუდელად მეყოლებოდნენ“ (ევრიპიდე „მედეა“, 252-258).

ამ პასაჟიდან ცხადია, რომ მედეა მშვენივრად აღიქვამს თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას. მაგრამ ეს არის ის სიმძიმე, რასაც უცხოობაში ცხოვრება ჰქვია-სამშობლოს, მშობლების, და-ძმის, მეგობრების გარეშე ყოფნა, მარტოობა, როდესაც არავინ გყავს გასაჭირის გასაზიარებლად. ბუნებრივია, ქალის მძიმე ხვედრს მედეას შემთხვევაში, მისი მარტოობა ემატება. ამ სიტყვაში არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც საფუძველს მოგვეცემდა კოლხი ქალის საზოგადოებიდან გარიყვაზე გველაპარაკა. ჯერ ერთი, თავის უცხოელობაზე მედეა ამ ვრცელ სიტყვაში მოკლედ ჩერდება. მეორეც, მედეას მიერ დახატული, მისი, როგორც უცხოელის, მდგომარეობა ძალზე წააგავს უცხო ქვეყანაში მყოფი როგოთი ადამიანის მდგომარეობას. ბუნებრივია, მისი განსაკუთრებული აქცენტი მარტოსულობაზეც. ეს ფაქტობრივი მდგომარეობით არის გამოწვეული. ანუ, იმ უკანასკნელი ახლობლის ღალატით, ვისი გულისთვისაც მან ყველაფერი დატოვა.

ამის შემდეგ მედეას უცხოელობას ხაზი იასონისა და მედეას I შეხვედრაში ესმევა. როდესაც აიეტის ასული კიდე ერთხელ შეახსენებს ქმარს, რაც მისი გულისთვის გააკეთა, იასონი პასუხობს, რომ ამ საქციელისთვის მან შესაფერისი ჯილდოც დაიმსახურა, უფრო მეტი მიიღო, ვიდრე გასცა:

„ ჯერ ერთი, ელადაში ცხოვრობ ბარბაროსთა ქვეყნის მაგივრად, სამართალი შეიცანი, ისწავლე კანონებით ცხოვრება ძალისადმი პატივისცემის სანაცვლოდ, მეორეც, მრავალმა ელინმა გაიგოშენი სიბრძნის შესახებ და მოიპოვე

სახელი. ქვეყნის დასალიერს რომ დარჩენილიყავი, ვნ შეიტყობდა შენს სიბრძნეს?”( ევრიპიდე, მედეა, 536-340).

აქ კარგად სჩანს, რომ ელადაში ცხოვრება ჯილდოა, პატივია ბარბაროსთათვის . ბარბაროსებთან ბრძენად ყოფნას ფასი არ აქვს, დასაფასებელი ის არს, როცა საბერძნეთში გაღიარებენ ბრძენად. თუ ბარბაროსობას მედეას დავუკავშირებთ, შესაძლოა ვისაუბროთ ბინალური ოპოზიციის ამგვარ ინვარიანტზე: მედეა-ველური (ბარბაროსი) - იასონი-კულტურა (ბერძენი).

ტრაგედიაში დროდადრო მედეას უცხოელობას გვახსენებენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მას არავინ ექცევა როგორც ბარბაროსს. მედეას უცხოელობა მუშაობდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ამ პერსონაჟის გამორჩეული, სხვებისაგან განსხვავებული ხატის შესაქმნელად.

ანტიკურობის შემდეგაც არ წყდება ინტერესი მედეას ირგვლივ. მედეას თემატიკას მრავალმა ავტორმა მიუძღვნა ნაწარმოებები. ესენია: ფრანგი დრამატურგი ჯინ ანუილი (1910-1987), ამერიკელი ნოველისტი ჯონ გარდნერი (1933-1982). ამერიკელი პოეტი რობინსონ ჯეფერსი(1887-1962), ინგლისური ლიტერატურის უბადლო წარმომადგენელი ჯეფრი ჩოსერი (1343-1400), მე-20 საუკუნის ისტორიკოსი მაიკლ ვუდი (1948-), განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფრანგი დრამატურგი პიერ კორნელი (1606-1684), ასევე, ფრანგი დრამატურგი ერნესტ ლეგუვი(1807-1903), ბრიტანელი პოეტი და ნოველისტი უილიამ მორი(1834-1896), ავტრიელი მწერალი ფრანც გრილპარცერი(1791-1872), ამერიკელი მწერალი დოროთი ჯონსონი (1905-1984), ამერიკელი საბავშვო მწერალი ჰელენ ჰუვერი(1935-2018), გერმანელი ესეისტი და ნოველისტი კრისტა ვულფი (1929-2011), მექსიკელი მწერალი ჩერი მორაგა (1952-), ამერიკელი ნოველისტი რიკ რიორდანი (1964), კერი გრინგუდი(1954-), ავსტრიელი მწერალი და სხვანი.

მედეა წარმოადგენდა და წარმოადგენს მრავალი კომპოზიტორის ინსპირაციის წყაროს. მრავალი ოპერა, მუსიკალური კომპოზიცია თუ მელოდრამა შეიქმნა მედეას თემატიკაზე. ამ კომპოზიციების ავტორები არიან იტალიელი, ფრანგი, ჩეხი, არგენტინელი, რუსი, ბერძენი კომპოზიტორები: ფრანჩესკო კავალი, ჯინ ბაპტისტა ლული, ჯორჯ ანტონ ბენდა, ოსკარ სრტასნოი, ალინა ნუვიკოვა, ელენა რაკაინდუ და სხვანი.

მედეასა და , ზოგადად, არგოვანტების თემაზე შეიქმნა არაერთი ფილმი, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, 1969 წელს პაზოლინის რეჟისორობით გადაღებული ფილმი „მედეას მოტაცება“. ასევე, ჰოლანდიელი რეჟისორის მიერ 2005 წელს გადაღებული ექვს სერიანი მინისერიალი; 2007 წელს ტონინო დე ბერნანდმა გადაიღო „ მედეა-სასწაული“, აქ მოქმედება ხდება პარიზში, სადაც იასონი მიატოვებს მედეას..

როგორც დავრწმუნდით, მედეას თემა უნივერსალურია. ის მრავალმა ეპოქამ შეისისხლხორცა, მრავალმა მსოფლმხედველობამ თავის წიაღში მოიაზრა და ამიტომაც მოაღწია მან დღემდე.

#### ლიტერატურა

1. გორდეზიანი რ. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“, ტ. I, 2009წ. გვ. 419-446
2. გორდეზიანი რ. „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“, ტ. II, 2009წ, გვ. 164-173
3. ნადარეიშვილი ქ. „ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში“ 2008წ.
4. Bremmer J. (1997). *Interpretationes of Greek Mythology*. London- Sydney.
5. Barlow (1995). *Euripide's Medea: a Subversive Play?*. University of classical studies. University of London

## **Transnational and Interdisciplinary Aspects in the Phenomenon of Ancient and Modern Medea**

**Tsereteli Vera  
Buadze Nino**

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

### **Abstract**

Medea, an outstanding character of the ancient Greek mythology, destroyed the boundaries of location and highly expressed nationalism, and was formed as an archetype of the world culture.

Continuous pluralism of Aiet's daughter cut the edges completely and became an interdisciplinary phenomenon. Medea became a subject of interest for literature, music, art, sculpture, cinematography, theatre, history, archaeology, astronomy, psychology, geography and medicine. The character of Medea, that is contradictory enables us to do a research with the aspects of trans-nationalism since antiquity up to the contemporary era.

According to the myth, Medea is a granddaughter of the God of Sun, Helios, a daughter of the king of Kolchi - Aiet and Ida ( Hesiod. Theog. 958) or the goddess Hekate (Diod, 4. 45), first a wife of Jason and later of the King of Athens- Aegeos. She was adored in Greece. They built temples and sang songs for her.

Euripides made Medea's character as a killer of her own children ( Euripides "Medea" 431 B.C.). Paradoxically, she became more and more popular, closer and inspirational across ages in many countries.

Comparative literature methodology enables us discuss Medea with many aspects, how it was shown in many genres, languages and nations, in different countries and epochs.

***KeyWords:*** *Medea, Transnational, Interdisciplinary, archetype, pluralism*

**„გილგამეშიანის“ ტრანსცენდენტური კონცეპტები**

ეპლენება ზურაბ კიკნაძის ნათელ ხსოვნას

**წურწუმია კობა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.62>

**აბსტრაქტი.** „გილგამეშიანი“ უნივერსალური ტექსტია. შუმერული-ბაბილონური ეპოსის სწორუპოვარი გმირი მთლიან და ჰარმონიულ სამყაროში შეღწევას ცდილობს. რამდენადაა ის ამისთვის მზად? ეს მხატვრულ-ფილოსოფიური პარადიგმა უდევს საფუძვლად ტექსტს. აქედან გამომდინარე, „გილგამეშიანი“ ეპისტემოლოგიური ტექსტია, ლოგოსისა და მითოსური კულტურის ნაწილია. ტექსტში სამყაროს შეცნობის მისტერია პარადიგმულია. საერთოდ, პარადიგმულია მთელი ტექსტი. გილგამეშის მიზანია „განღმრთობა“, სულიერ კიბეზე ზე-აღსვლა, ზე-ადამიანად გარდასახვა. „შეცნობით“ იწყება ადამიანის დაცემა, ედემის ბაღისა და მარადიული სიცოცხლის დაკარგვა. ტექსტში უმთავრესი ენიგმა გმირის სულიერი ზრდაა. სიკვდილ-სიცოცხლის შეცნობა. ამავე დროს, გილგამეში მარადიული მგზავრია, რომელიც უძრავი დროის გარღვევას ცდილობს, „უჟამო დროს“ უპირისპირდება. ეს არის საკრალური დრო, ზღვარი, მიჯნა, ჩაკეტილი სივრცე, რომელსაც არც წარსული და არც აწმყო გააჩნია. მან არ იცის როდის დასრულდება მისი მოგზაურობა. ან კი დასრულდება? მისი პარადიგმული ნიღაბი ბოლომდე ამოუხსნელი და ტრანსცენდენტურია.

**საკვანძო სიტყვები:** „გილგამეშიანი“, უნივერსალიზმი, ტრანსცენდენტალიზმი, წარმართული რიტუალები, არქაული საზოგადოება, კომპარატივისტიკა, საკაცობრიო სევდა.

„რომელმან სიღრმე იხილა“, - წერს „გილგამეშიანის“ უცნობი ავტორი ნაწარმოების მთავარ გმირზე – გილგამეშზე (თარგმანი ზ. კიკნაძის, 1984). მსოფლიო ლიტერატურასა და მითოლო-გიაში მრავლად მოიძებნებიან მითოსური და ლიტერატურული პერსონაჟები, რომლებმაც „სიღრმე“ იხილეს: ჰომეროსისა და რუსთაველის პერსონაჟები; ბეოვულფი – ანგლო-საქსური ეპოსის სახელოვანი გმირი, ზეადამიანური ძალის მქონე, გითების მეფე და წინამძღოლი; უწყველად ზიგფრიდი – გერმანული ეპოსის მითიური რაინდი; ენეასი – ღვთაებრივი ჩამო-მავლობის, ანქიზესა და აფროდიტეს ვაჟი (ვერგილიუსის „ენეადას“ პერსონაჟი) და სხვა მრავალი. ალბათ, ყველაზე დიდი „სიღრმე“ იხილა დანტე ალიგიერმა, როდესაც „ღვთაებრივი-ვიკომედიის“ კომპოზიციურ მონახაზს ქმნიდა.

შუმერულ-ბაბილონური ეპოსის სწორუპოვარმა გმირმა „საუნჯეს მიაგნო, გახსნა დაფარული“. სწორედ ამ „სიღრმეზე“ გვესაუბრება ავტორი.

ვაჟა-ფშაველას „ტყვედ ქმნილმა“ მინდია „სიღრმე“ იხილა, როდესაც ქაჯების ქვაბიდან გველის ხორცი იგემა. „განღმრთობით“ მინდია მარადიული სამყაროს ნაწილი ხდება. გველის ხორცის ჭამა არის საკრალური აქტი და მეტაფიზიკური სამყაროს შეცნობა:

„ახლად სული ჩაედგა,

ახალი ხორცი აისხა;

გულის ხედვა და თვალების,

როგორც ბრმას და ყრუს, გაეხსნა...

შეიგნო სიბრძნე ქაჯების

ამიერიდან ტყვემაო“ („გველის მჭამელი“).

იერუსალიმის მეფემ – ეკლესიასტემ „სიღრმე“ იხილა, მაგრამ ცხოვრებით გულგატეხილი ბრძენი მეფე სინანულით დასძენს: „ყოველივე ამაოება და ქარის დევნა. სარგებელი ვერაფერი ვპოვე მზის ქვეშ“ (ეკლ. 2.11). ბიბლიურმა ადამმა „სიღრმე“ იხილა. ის

ყველა სიკეთით იქნა დაჯილდოებული. ედემის ბაღში ცხოვრების პატივი ხვდა წილად, მაგრამ ყველაფერს კარგავს მაცდუნებელი გველის მეშვეობით.

გილგამეშმაც მიაღწია დასახულ მიზანს. გახსნა „სარქველი სიბრძნისა“, მიუახლოვდება თავის სანუკვარ ოცნებას, მოიპოვა უკვდავების ბალახი, მაგრამ მრავალტანჯულ გმირს კაცობრიობის მტერი – გველი გასწირავს. ტექსტის ეპილოგში „გილგამეშის“ უცნობი ავტორი უკვდავების მაძიებელ მითოლოგიურ გმირზე სინანულით დასძენს: „შორი გზით იარა, დაშვრა და დაბრუნდა“.

თუმცა, ქართული ზღაპრის „მეჩონგურეს“ პერსონაჟი, ახალგაზრდა ჭაბუკი თავისი ღვთაებრივი ჰანგებით აღწევს მიზანს. ამარცხებს ბოროტებას, მონუსხავს მითიურ გველშაპს და უკვდავების ვაშლს მოიპოვებს. გველშაპი ჰპირდება მეჩონგურეს, რომ ამიერიდან კაცთა მოდგმას არაფერს დაუშავებს. მაგრამ ეს მეჩონგურეა – ზღაპრის პერსონაჟი. ზღაპარში ხომ ყველაფერი კეთილად უნდა დასრულდეს?! თუმცაღა, ზღვარი მითოსსა და ფოლკლორს შორის ძალზე მცირეა. შეიძლება ითქვას, მეჩონგურე გილგამეშის ორეულია. ასეთი ორეულები მრავლად არიან ქართულ და სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერებაში.

ჩვენი კვლევის არეალში მოექცა ლეო ქიაჩელის ადრეული პერიოდის პატარა ნოველა „ზღაპარი ბედნიერებაზე“. რაღაც კრავს და აერთიანებს ქიაჩელის ნოველას შუმერულ-ბაბილონურ ტექსტსთან. ქიაჩელის ჭაბუკი უფლისწული, ჯერ კიდევ უწვევრული, მაგრამ ფრიად განსწავლული, დაინტერესდებოდა ბედნიერების არსით: „შემჩნეული ჰქონდა ჭაბუკს, რომ ქვეყანაზე უბედურება სჭარბობდა ბედნიერებას. კარგად იცოდა, რომ ბედნიერებას ყველა ნატრობდა, მაგრამ ბედნიერება არსად არ იყო. უბედურებას კი ყველა გაურბოდა, მაგრამ თავიდან ვერავის იცილებდა“ (ქიაჩელი, 2019:94). ბევრი ფიქრის შემდეგ ჭაბუკი ასკვნის, რომ უბედურების სათავე სიკვდილია. ჭაბუკი დაადგება ბედნიერებისაკენ სავალ გზას, მაგრამ გზა მეტისმეტად უსასრულო და დამქანცველი აღმოჩნდება. მის მოგზაურობას არ უჩანდა ბოლო. დღე დღეს მისდევდა, ტალღიდან ტალღაზე გადადიოდა ჭაბუკის ნავი (გილგამეშის მსგავსად მასაც უწევს სიკვდილის წყლების გადალახვა). უცებ ცამდის ასული ზღვის ტალღები შუაზე გაიპო, ქვესკნელის ჯურღმულებმა ხახა დააღეს და ბედნიერების მაძიებელი ჭაბუკი ძირს ჩაითრის: „მეფის სასახლეში დღე-დღეზე მოელოდნენ უფლისწულის დაბრუნებას, თუმცა არავის იცოდა, თუ სად იმყოფებოდა იგი“,- გვეუბნება დასკვნით ნაწილში მწერალი. ასეთია ქიაჩელის ბედნიერების მაძიებელი ჭაბუკის ხვედრი! იქნებ, ზღვის სიღრმეში ჭაბუკმა ბედნიერება ჰპოვა, ვინ იცის... ფაქტია, ქიაჩელის ნოველა საუცარ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს შუმერულ ეპოსთან.

ასეთია ქართული ზღაპრისა და ქიაჩელის ადრეული ნოველის რეცეფცია „გილგამეშის-თან“ მიმართებაში. ეს კომპარატივისტული ძიებანი უთუოდ დააფიქრებს მკითხველს. ამ მხრივ კიდევ უფრო ყურადსაღებია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ტიპოლოგიური ძიებანი.

შალვა ნუცუბიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში (ფილოსოფიის ისტორია.ტ.1,1956), სიღრმისეულად განიხილავს შუმერულ-ბაბილონურ ტექსტს „ამირანის“ მითთან მიმართებაში. შ.ნუცუბიძე თვლიდა, რომ „ამირანის“ მითი ძველთაძველია და მას ფესვები წარმართულ ხანაში აქვს გადგმული. დიდმა მეცნიერმა ამ ორ უძველეს არქაულ ტექსტს შორის დაინახა ღრმა ტიპოლოგიური მსგავსება, რემინისცენციები, შინაგანი კავშირი, შორეული კულტურული ფესვები: „ადრეული ქართული ფილოსოფიამდელი ძველის „ამირანის“ ანალიზი გვარწმუნებს, რომ მასსა და ბრინჯაოს ხანის ამსახველ „გილგამეშის“ შორის შინაგანი კავშირია“ (ნუცუბიძე, 1956:56-37). შალვა ნუცუბიძემ ეროვნული სიღრმე შესძინა და ასე დააკავშირა შუმერულ-ბაბილონური ტექსტი „ამირანის“ მითთან – როგორც რკინის იარაღის ამსახველი ნაწარმოები.

არამარტო ამ თვალსაზრისით დაიძებნება პარალელები ამ ორ უძველეს ტექსტს შორის. არსებობს კიდევ ბევრი ტიპოლოგიური მსგავსება მათ შორის. ორივე პერსონაჟი ღვთაებრივი წარმოშობისაა. ახალგაზრდობაში ორივე გმირი თავაშვებულ ცხოვრებას მისდევს; უყვართ ლახტის თამაში, ქალები. ამირანი წყაროზე დედაკაცებს კოკებს უმტვრევდა. ყამარის მოტაცება, შერკინება დევებთან და გველშაპებთან და სხვა. ცხადია, „ამირანის“ მითს ბევრი საერთო

აქვს შუმერულ-ბაბილონურ ძეგლთან.

შალვა ნუცუბიძის ღრმაზროვან და დამაფიქრებელ პარალელებს მწერალი როსტომ ჩხეიძე მიუბრუნდება მიხაკო წერეთლისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში „მგზავრი თიბათვის მზეში“, სადაც ვკითხულობთ:

„შალვა ნუცუბიძეს შუმერებთან ჩვენი ნათესაობის იდეაც ძალიან მოხიბლავდა, ოღონდ თუ „გილგამეშის“ მთარგმნელი ამ ეპოსსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის გასდებდა ხიდს, ეს რუსთაველის ეპოსს „ამირანთან“ შეანაცვლებდა. თანაც ნათესაობაზე მაინცდამაინც არ გაამახვილებდა ყურადღებას, ისე გამოძებნიდა მათ შორის საერთოს – ერთი კულტურული წრის გავლენით“ (ჩხეიძე, 2009:247).

„გილგამეშის“ რუსთველური მოტივები გამოკვეთილია. ტარიელი რაღაცით ჰგავს ლომებთან მებრძოლ გილგამეშს. ორივე გმირი ინიციაციურ გამოცდას გადის. ამის შემდეგ იწყება მათი სულიერი გარდასახვა. ამ პარალელებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია „გილგამეშის“ ეპოსის პირველმა მთარგმნელმა მიხაკო წერეთელმა (აქვე იმასაც დავძენთ, რომ მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშის“ 1924 წელს კონსტანტინეპოლში ქართულ ენაზე ზედიზედ გამოდის): „ბაბილონური ელემენტები და კერძოდ გილგამეშური მოტივი „ვეფხისტყაოსანში“ არის... დახასიათება მნათობ–ღვთაებათა რუსთაველს წმინდა ბაბილონური აქვს...“ იქვე, მიხაკო წერეთელი დასძენს: „რასაკვირველია, რუსთაველმა გილგამეშისა არა იცოდა რა, როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ –ს სწერდა“ (მ.წერეთელი, „გილგამეშის“ შენიშვნები (გილგამეშისანი, 1924: 107–111).

პროფესორი გ.შარაძე მიხაკო წერეთელს საგანგებოდ ვრცელ პუპლიკაციას მიუძღვნიდა, სადაც ვკითხულობთ: „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მიხაკო წერეთელს ვიქტორ ნოზაძი–სათვის უთქვამს: „მოვხუცდი და მივდივარ, მაგრამ ამ ცხოვრებაში ჩვენ არ ვყოფილვართ მცონარე, უქნარი; რაღაც მაინც გავაკეთეთ!“ რაღაც მაინცო, მოკრძალებით გვეუბნება ღვაწლმოსილი მეცნიერი და მთარგმნელი. ამავე წერილში პროფესორი გურამ შარაძე წერდა: „მიხაკო წერეთელი ასირიოლოგიის აღიარებული ავტორიტეტია, ხოლო საქართველოში იგი ამ საქმის პიონერად ითვლება“ (შარაძე, 1987:6-7).

დაუბრუნდეთ „გილგამეშის“ და მივყვეთ ტექსტის მდინარებას.

„გილგამეშისანი“ მეტაფორული ტექსტია. ეს მაღალი პოეზიაა! ადამიანური ყოფიერებით სავსე, სამზეოზე და საწუთროზე, სიკვდილ–სიცოცხლეზე. ამავე დროს, „გილგამეშისანი“ „პირველი ფაუსტური ყაიდის ნაწარმოებია“ (ზ.კიკნაძე). მასში ონტოლოგიური და გნოსეო–ლოგიური საკითხებია თავმოყრილი. ტექსტი წარმართული კაცობრიობის მთელ წარსულს ინახავს. მასში ავტორის ღრმა კონდენსირებული აზრი დევს. მას მრავალი ენიგმა და დატვირთვა მოეპოვება. გმირის „მოგზაურობა“ ღრმა კონოტაციების შემცველია.

გილგამეშის ცნობიერება თვითმზარდია. ის თავისი შემეცნებით ლოგოსისა და მეტაფი–ზიკური სამყაროსაკენ მიილტვის. მან სამყაროს კანონზომიერებაში, სიკვდილ–სიცოცხლის გააზრებაში ცდომილება აღმოაჩინა. მეგობრის სიკვდილის შემდეგ ღმერთების სამართლია– ნობაში ეჭვი შეაქვს: „ნუთუ მეც მოვკვდები ენჭიდუს დარად?“ ირკვევა, რომ ღმერთების სიტყვა გარდაუვალია! „ნაყარი წილი არ შებრუნდება!“

სამყაროს ცვალებადობა – სიკვდილ–სიცოცხლე „უწესრიგობა“ კი არა, ლოგიკური კანონზომიერება ყოფილა ადამიანური არსებობისა. ეს კი გილგამეშისათვის მიუღებელია. ყოველი ადამიანი შემეცნების, ცოდნის (ლოგოსის) მატარებელია. ეს ლოგოსური ნიჭი გილგამეშს სხვებზე მეტად მომადლებული აქვს. ის სამყაროს „საიდუმლო ნიშნების“ ამოხსნას ცდილობს.

გილგამეში უმაღლეს ჭეშმარიტებას – სულის მარადიულობისა და უკვდავების საკითხებს უღრმავდება. ის ცდილობს სამყარო შეიმეცნოს მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მისი აზროვნება ჰერმეტიკული მდგომარეობიდან შემეცნებისაკენ მიილტვის. ის დაბალი, ადამიანური მოთხოვნილებიდან მაღალი, ღვთაებრივი მოთხოვნილებისაკენ ისწრაფვის; მატერიალური საწყისებიდან – სულიერი განზომილებისაკენ. მან განჭვრიტა, შეიმეცნა სულის მარადიულობა, სულის უკვდავება.

გილგამეში არც აგნოსტიკოსია და არც სკეპტიკოსი. მას არასოდეს დაუკარგავს რწმენა. მაშინ არც შორეულ გზას გაუდგებოდა. ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ ისიც უთანაფიშითის მსგავსია. ამიტომაც ამბობს: „უთანაფიშითისაკენ გამიწევია, ჩემი წინაპრისაკენ“, რომელსაც მოუპოვებია „მარადიული სუნთქვა“. მეტიც, გილგამეში წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ კაცს ასე მიმართავს: „არ მეუცხოება აღნაგი შენი, მსგავსი ხარ ჩემი!.. ვით წარუდექ ღმერთების კრებულს, მარადი სიცოცხლე ვით მოიპოვე?“ (გილგამეშიანი,1984:93).

დიახ, მარადი სიცოცხლე ვით მოიპოვეო!

ტექსტში „შემეცნების“ მისტერია პარადიგმატულია. ადამიანი შემეცნებისათვის იბადება. გილგამეში შემეცნებით თანდათან აღწევს შინაგან მთლიანობასა და ჰარმონიას. ის იძენს იმას, რაც მანამდე არ გააჩნდა – ცოდნას. ზნეობრივად ამაღლებული და შინაგანად თავისუფალი გმირი სამშობლოში ბრუნდება.

გილგამეშის არსებაში ხორციელი და ღვთაებრივი საწყისები უპირისპირდებიან ერთმანეთს. ის იმარჯვებს საკუთარ სხეულზე, ინსტინქტებზე, ვნებებზე. მისმა სხეულმა ტრანსფორმაცია განიცადა. მისი გონება იწმინდება, იფილტრება და სამყაროს შეცნობის წყურვილითაა შეპყრობილი. მისი ტელეოლოგიური ბუნება აქითკენაა მიდრეკილი.

ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება. სულის „ბინა“ სხეულია, მაგრამ სული სხეულის მსგავსად შლადი და წარმავალი არაა. სული უკვდავია. და ამ „აღმოჩენით“ მონუსხლი გილგამეში უკვდავების საძებნელად შორეულ გზას გაუდგება.

მითოსურ წიაღში შობილი გილგამეშის ცნობიერება სავსეა მითოსური კულტურით, მზით, სიზმრებით, წარმართული რიტუალებით. მისი მითოსური ენერჯია მის ხასიათშია გამოკვეთილი. მან ინტუიტურად შეიგრძნო ის საკრალური უფსკრული, რომელიც მასა და დანარჩენ სამყაროს შორის არსებობს. ამავე დროს, ტექსტში ღმერთი და ადამიანი – ეს ორი იპოსტასი „ფარულად“ უპირისპირდება ერთმანეთს. ცხადია, გილგამეშის მთელი სასიცოცხლო უჯრედი ძიების დაუცხრომელი წყურვილითაა შეპყრობილი. მისი სურვილია დახურულ კარს მიღმა შეღწევა, გასაიდუმლოებული სამყაროს შეცნობა, მაგრამ როგორც წმინდა წერილები გვამცნობს, ყოველი დახურული კარის მიღმა შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი საიდუმლოება ინახება. თითქოს ცხოველმყოფელი წყრო დაიშრიტა! მაგრამ სწორედ ესაა ადამიანური გამარჯვება! მაძიებელი ბუნების თავჩენა. შეუპოვრობა, მოთმენა, ბრძოლისუნარიანობა და იქნებ, როგორმე ადამიანისათვის დახურული კარიც გაიხსნას. ამდენად, გილგამეში შემეცნების ძლიერი იმპულსითაა შთაგონებული. მას გახსნილი აქვს ჭვრეტითი უნარი. მან განჭვრიტა მომავალი, ადამიანის ხვედრი სამყაროში. მას სურს გასაიდუმლოებულ სამყაროს გასაღები მოარგოს, საიდუმლო ნიშნები ამოხსნას.

გილგამეში მარადიული მგზავრია, რომელიც „აღთქმულ ქვეყნას“ დაეძებს! ის დროისა და სივრცის გასაყარზე საკუთარი ნებით მიდის; განუჭვრეტელის განჭვრეტის სურვილით ატაცებული უახლოვდება დასახულ მიზანს. ყოფიერების საიდუმლოების ამოცნობით შეპყრობილი ზღვის სიღრმეში შთაინთქმება და იქიდან ამოაქვს სიცოცხლის განმაახლებელი ბალახი, მაგრამ უკვდავების მიჯნასთან მიახლოებული გმირი შეცდომას უშვებს!

ტექსტში მთავარი ოდეა – უკვდავების მოპოვება, მითოლოგიზირებულია. ტრანსცენდენტურია გილგამეშის სურვილი, მაგრამ ამ სურვილში კონდენსირებულია მისი ღვთაებრივი დაუმორჩილებლობის იდეა. ის ბოლომდე გაენდო თავის ბედისწერას, ძნელად სავალ გზას ირჩევს, ოღონდაც... ოღონდაც გამოჩნდეს გზა, რომელიც მიიყვანს დასახულ მიზანამდე – სამყაროს კიდემდე.

ტექსტში საუბარია წარღვნაზე, კაცობრიობის წინარეცივილიზაციის დასასრულზე. წარღვნის ეპიზოდი ტექსტში მაქსიმალურ დატვირთვას იძენს.

პლატონი „ტიმოესში“ წერდა: „ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დაღუპულა კაცთა მოდგმა და კიდევ რამდენჯერ და რამდენწაირად დაიღუპება იგი“. და იქვე: „თქვენ შემოგრჩათ მხოლოდ ერთი წარღვნის ხსოვნა, მაგრამ წარღვნა მანამდეც მრავალი იყო“ (პლატონი,1994:282–283). ეკლესიასტესთან ვკითხულობთ: „ნათესავი წარვალს, ნათესავი მოვალს, ქვეყანა ჰკიეს უკუნისამდე“ (1,4). იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: „დადგა მკის ჟამი დედამიწაზე“ (გამოცხ.12,9). და კიდევ ვინ იცის მერამდენედ დაუდგება „მკის ჟამი“

ცოდვილ კაცობრიობას.

ასეთია წინარეცივილიზაციის ხვედრი.

ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე....

მირჩა ელიადე (**Mircea Eliade, 1907-1986**) წერდა: „შეიძლება ითქვას, რომ პირველყოფილი ხალხებისათვის სამყარო უკვე აღესრულა, თუმცა აღსასრული კიდეც უნდა განმეორდეს ცოტად თუ ბევრად შორეულ მომავალში“. იქვე ელიადე დასძენს: „მითების დიდ ნაწილში წარღვნა უკავშირდება რიტუალურ შეცდომებს, რამაც უზენაესი არსების რისხვა გამოიწვია... წარღვნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ადამიანების ცოდვები და აგრეთვე სამყაროს დამაბუნებაა“ (**ელიადე, 2009:50**).

კაცის ბუნება დაცემულია და ცოდვისკენაა მიდრეკილი. ადამიანს მართებს ტანჯვით გამოისყიდოს უკუღმართობა, სულიერი დაცემა, ზნეობრივი გახრწნილობა. ედემის ბაღიდან იწყება კაცობრიობის სულიერი დაცემა! ურჩობის შედეგად ადამიანმა სიცოცხლის ფლობის მარადიული იდეა დაკარგა. დასაბამიერი ცოდვა ადამიანში დევს. გავიხსენოთ მეფსალმუნე დავითის სიტყვები: „რამეთუ უსჯულოება ჩემი მე უწყი. და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის (ფს.50). გილგამეშის იმპლიციტური მეხსიერება აქტიურია. მისი იმპლიციტური მეხსიერება ინახავს წარღვნის შესახებ იმფორმაციას, ამიტომაც გილგამეში გადაწყვეტს ეახლოს წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ ადამიანს.

ედემის ბაღში დატრიალებულმა ცოდვამ განსაზღვრა ადამიანის მომავალი. „დაცემის“ შედეგად სიკვდილი შემოვიდა წუთისოფელში. „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი“, - გვეუბნება ერთი ქართული ხალხური სიბრძნე („წუთისოფელი რა არის?). დანტე „სამოთხეში“ იმოწმებს, რომ „წარმავალობა თან დაჰყვება ბუნებას კაცობრიულს“, „ერთი წავლენ და სხვანი მოვლენ ისევ მიწაზე“. ამასვე გვეუბნება ქართული ხალხური სიბრძნე: „წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“. „ქვეყნად არცერთი კაცთაგანი სიკვდილს ჯერ არ გადარჩენია“, - ამბობს ანგლო-საქსური ეპოსის სახელოვანი გმირი ბეოვულფი (თარგმანი პ.და რ. ჩხეიძეების). შოთა რუსთაველიც ამავე აზრისაა: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“. ასეთია სიკვდილ-სიცოცხლის ენიგმა! ასეთია ადამიანის ხვედრი! ჩვენ, ყველანი, ბიბლიური ადამის მონათესავე და სისხლი სისხლთაგანი ვართ, ამიტომაც:

„ადამის მონათესავე

ჩვენ ვართ სიკვდილის შვილია,

ყველანი დავიხოცებით,

ვინც ადამისა შვილია“ (**ალიბეგაშვილი, 1992:150**).

„გილგამეშიანის“ წარღვნის ეპიზოდი (XI კარი), ბიბლიური „ნოეს ისტორიის“ იდენტურია. უნდა ითქვას, რომ შუმერული და ბიბლიური პარალელები ერთ-ერთი საყურადღებო რემინისცენციებია ტექსტში. ამდენად, ბიბლიური კონცეპტი \_ ნოეს ეპიზოდი, ერთ-ერთი უმთავრესი ადგილია ტექსტში.

და მაინც, ძველი შუამდინარული ეპოსის გმირი უჩინარი კედლის გარღვევას ცდილობს, იქითა ნაპირზე გაღწევას ცდილობს, მაგრამ ნაპირი კვლავაც შორსაა, უსასრულოდ შორს! თუმცა წარღვნას გადარჩენილი უთანაფიშთის ხომალდმა ნაპირს გააღწია... ბიბლიური ნოეს კიდობანმაც. ღვთის რჩეული უნდა იყო, რომ ამ სასწაულის ღირსი გახდეს. მითოლოგიაში ბევრი მოკვდავი გამხდარა ღირსი ღმერთებმა რომ შეიყვარეს და ღვთაების რანგში აღაზევეს. ბიბლიაში და საღვთო წერილებში, ამის უამრავი მაგალითი მოგვეპოვება. ამ სიკეთეს ხომ თავისი წინაპირობა სდევს თან! გილგამეშმა საამისოდ რა გააკეთა?! მისი ახალგაზრდობის თავაშვებული პერიოდი ტექსტიდან კარგადაა ცნობილი.

გილგამეშმა სამზეოზე ამოზიდა არა მარადიული სიცოცხლის ბალახის ნაგლეჯები, არამედ იდეები, მარადიულობაზე ფიქრი, სამშობლოს სიყვარული (ტექსტის ბოლოს გილგამეში სამშობლო \_ ურუქში ბრუნდება). ეს დაბრუნება „უძლები შვილის“ კონოტაციური მეტაფორაა. უძლები შვილის მსგავსად გილგამეში დაღლილ-დაქანცული უბრუნდება მიტოვებულ სამ-შობლოს, ფესვებს, მამის წიაღს, სამემკვიდროს (სამშობლოს თემა გამოკვეთილია ტექსტში).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ტექსტის ავტორი სიყვარულზე არაფერს გვესაუბრება. თუ არ ჩავთვლით გილგამეშის „ორგებს“ (იქნებ ამით ავტორს სურს „ფალოსის კულტის“ ძველთა-ძველ ტრადიციებზე გაამახვილოს ყურადღება, მამაკაცური საწყისების მნიშვნელობაზე. გილგამეშის ორგები ამაზე მეტყველებს). გილგამეში შემეცნების გზით თავს აღწევს ცხოველურ ინსტინქტებს და ლოგოსური განვითარების საფეხურზე ადის. მისი ლოგოსური რეპროდუქცია სამყაროს შემეცნებისაკენ მიილტვის.

დიახ, ტექსტის ავტორი არაფერს გვეუბნება მარადიულ გრძნობაზე. მხოლოდ იშთარის კადნიერ და ავხორც სურვილებს გვამცნობს(იშთარი განასახიერებს ქალურ ვნებას), რომელიც გილგამეშს უმხელს:

„მომი გილგამეშ, მეუღლედ მეყავ!  
შენ ქმარი იყავ, მე ცოლი ვიქნები“.

ცხადია, ეს არაა ღრმა და მარადიული გრძნობა, წრფელი, რომელიც ქალსა და მამაკაცს სამუდამოდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გილგამეში სასტიკ უარზეა. უხსენებს ყმაწვილქალობის ცოდვებს, ყველა ავ საქმეს, რაც თავის სატრფოებს დამართა. მათ შორისაა თამუზი, მისი სიყრმის საყვარელი. გილგამეში იშთარს მტკიცედ ეუბნება:

„ღრიჭე კარი ხარ, ქარის ვერ დამჭერი,  
სასახლე – მამრთა დამღუპველი...“

ხარო ხარ, მზაკვრულად გათხრილი... (გილგამეშიანი,1984:66).

ამ გაუზიარებელ გრძნობას რაც მოსდევს მკითხველისათვის ცნობილია. შეილახა იშთარის პატივმოყვარეობა! ის მამას – ანუს, უზენასე ღვთაებას სთხოვს სამაგალითოდ დაისაჯოს გილგამეში. ზეციური ხარი მოუვლინოს ურუქს, რათა „გილგამეში მოაკვდინოს“ (ზეციური ხარი ძალიან ჰგავს მინოტავრს, ხარისთავა ურჩხულს. მინოსის ხარს, დედალოსის მიერ ლაბირინთში გამომწყვდეულს).

ტექსტში წარმართულ ღვთაებებს და რელიგიურ რიტუალებს, დიდი ადგილი ეთმობა. ღმერთები წყვეტენ გმირების ბედ-იღბალს. გავიხსენოთ ენქიდუს სასჯელი. გილგამეში მზის თაყვანისმცემელია. მას მუდამ კოსმიური კავშირი აქვს მზის ღვთაებასთან. ის შამაშს ხშირად ევედრება და შეწოებას შესთხოვს. შამაში გამოკვეთილი ღვთაებაა ტექსტში. და არა მარტო შამაში. ისინი ეხმარებიან ადამიანებს სიძნელების დამღევაში. ამდენად, მზე-შამაშის კოსმიური მთლიანობა კრავს ტექსტს. შამაში გმირების მხარეზე იბრძვის. ეხმარება მათ ყველაზე მძიმე და კრიტიკულ სიტუაციაში (გავიხსენოთ ტექსტიდან ის ეპიზოდები, როდესაც მეგობრები ზეციური ხარისა და ხუმბაბათან საბრძოლველად მიდიან). მზე-შამაშის კოსმიური ენერგია მართავს გმირების ღვთაებრივ-ადამიანურ საწყისებს. ისინი მზის მარადიულ ველში ტრიალებენ.

ტექსტის ავტორი გილგამეშზე დასძენს: „ზეციურ შამაშს უყვარს გილგამეში“, და არა მარტო შამაშს: „ანუმ, ენლილმა და ეამ განაბრძნეს“ (გვ.44). ვინ არიან ეს ღვთაებები? რა ფუნქცია ეკისრებათ მათ ბაბილონურ ეპოსში? ეს ოთხი კოსმიური ენერგია (შამაში, ანუ, ენლილი, ეა) იცავენ გილგამეშის ადამიანურ საწყისებს. მაგრამ გილგამეშმა არაერთხელ განარისხა ისინი. განა ისინი არ იყვნენ მისი უზნეო ცხოვრების წესით შეწუხებული? „მოზვერივით დადის ქედმაღალი“, „ტოლი არ ჰყავს ლახტის მოქნევაში“, „დღედაღამ ლაღობს მისი სხეული“ :

„არ უშვებს გილგამეშ ქალწულს დედასთან,  
ასულს გმირისას, სასძლოს მოყმისას...“ (გილგამეშიანი,1984:39).

ურუქელების გასაჭირი ღმერთებმა ისმინეს. „შეესმათ ღმერთებს მათი ჩივილი“ და ღმერთების ნებით შეიქმნა მისი „ორეული“, რათა შვება მიეცეს ურუქს. ასე რომ, ურუქს „ღვთისდარი მეტოქე ევლინება“ ენქიდუს სახით.

მართალია, გილგამეში არის „ხარი ველური“, მაგრამ ამავე დროს, იგი მწყემსი და მცველია თავისი ქვეყნისა. მას „ტანში ჩადგომია ღმერთების ხორცი“, „ორი მესამედი წილი ღვთიური აქვს, ერთი მესამედი – კაცური“ (გილგამეშიანი, 1984:38). ის ნახევრად ღმერთ-კაცია. მასში არის სინერგია – ადამიანური და ღვთაებრივი. მასში ხორციელი და ღვთაებრივი საწყისები უპირისპირდებიან ერთმანეთს. შამაში და სხვა ღვთაებები ჭაბუკი გილგამეშის

უწვრთნელ სულს შემეცნებისაკენ უბიძგებენ. მან უნდა შეიმეცნოს ადამიანის მომავალი და სიცოცხლის ფილოსოფია. ის მითოსური აზროვნებიდან თანდათან გამოღვიძებას იწყებს და შემეცნების გზით უკვდავებისაკენ მიმავალ გზას დაადგება.

ტექსტში „გზის“ სემანტიკას ფართო დატვირთვა მოეპოვება. გილგამეშის გზას ქრონოტოპო-ლი საზღვრები არ აქვს. მისი სავალი გზა წილნაყარია სიკვდილ-სიცოცხლესთან. დაბდები-დან გარდაცვალებამდე ადამიანი გადის თავის გზას, ვინ როგორ. ამ საკრალურ გზაზე გმირის სულიერი გამოცდა ხდება. ეს „გზა“ მისი სულიერი ოდისეა. იქნებ ეს გზა, რომელსაც გილგამეში დაადგება, წყვდიადიდან, ნათელი აზროვნებისაკენ ლტოლვასაც გულისხმობს.

ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების პერსონაჟები უსარულოდ მოგზაურობენ შორეულ გზაზე. ისინი „გზაზე შემდგარი“ თავგადასავლებისა და ფათერაკების მაძიებელი პერსონა-ჟები არიან. მათ უწევთ სიძნელების გადალახვა და დიდი დაბრკოლების შემდეგ ბრუნდე-ბიან შინ („ილიადა“, „არგონავტიკა“, „ენეადა“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ბეოვულფი“). ამ და სხვა ტექსტებში გამოკვეთილია გზის კონცეპტი. მათ რიცხვს მიეკუთვნება ნოვალისის პერსონაჟი და ბარათაშვილის „ველად გაჭრილი“ ლირიკული გმირი.

წმინდა გრაალის მცველი რაინდებიც უსარულოდ მოგზაურობენ, რათა სანუკვარი განძი ხელში ჩაიგდონ. მოგვიანებით „მოგზაურობის“ მთელი ჟანრი შეიქმნა: დეფო, სვიფტი, სტერნი, ს.ს. ორბელიანი, ჯ.კერუაკი და სხვა მრავალი. ყველაზე დიდი მოგზაური მწუხარე სულის რაინდი – დონ კიხოტია. აქვე უნდა დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილის ცნობილი პერსონაჟი დომენიკო, რომანიდან „სამოსელი პირველი“. დომენიკო მარადიული მგზავრია. მან მოგზაურობით შეიცნო სამყარო, და ბოლოს შინ, მამის წიაღში ბრუნდება.

გზას შუმერულ ეპოსში საკრალური დატვირთვა ენიჭება. ის „იწრო“ გზაა. ამ გზაზე ადამიანს მართებს დათმენა და გამძლეობა. მერე კი უსათუოდ გამოჩნდება გზა მარადიული სიცოცხლისაკენ სავალი (ლუკა, 7,13-14).

ურუქიდან შორს გადატყორცილმა გილგამეშმა მთავარ კითხვას უნდა მიაგნოს: რატომ წაერთვა ადამიანს მარადიული სიცოცხლე? გილგამეშმა განსაცდელის გზით (მეგობრის სიკვდილის შემდეგ) არნახულ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. მისი გზა ფათერაკებისა და განსაცდელების გარეშე წარმოუდგენელია (გავიხსენოთ ტექსტიდან „ლომთა ხოცვის“ და სხვა ეპიზოდები). მან მეტად მძიმე და რთული გზა განვლო, გადალახა მთები და ზღვები, „სიკვდილის წყლები“.

მანაც ხომ მოიპოვა უკვდავების ბალახი?!

მწერალი ოთარ ჩხეიძე „ბორიაციის“ ექსპოზიცივაში წერდა:

„ძველი ნათქვამია, მოგზაურობა ფათერაკიაო, არც არად ივარგებს მოგზაურობა უფათერა-კოდო; მოგზაურობა შთაბეჭდილებააო, ძველივე ნათქვამია... ფიქრთ გასართველია მოგზაუ-რობაო, ძველია ესეცა, მოგზაურობა მიზანიაო...“ (ჩხეიძე, 1984:5).

დიახ, მოგზაურობა მიზანიაო! გილგამეშისათვის მოგზაურობა მიზანია, რათა მიუახლოვ-დეს თავის სანუკვარ მიზანს.

რა არის მოგზაურობის დაწყების მიზეზი? რას დაემებს სწორუპოვარი გმირი? რისთვის გაუდგება მძიმე და სახიფათო გზას?

ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დასრულდეს ეს მღელვარე და საკრალური მოგზაურობა?

აღსანიშნავია ისიც, რომ „გილგამეშისანი“ დროის ნაკადიდან ამოვარდნილი ტექსტია. გმირის მოგზაურობა გაწელილია მარადიულ დროში. ამიტომაც ვამბობთ, რომ გილგამეში მარადიული მგზავრია. ის ეჯიბრება დროს, დროის წრებრუნვას. დროის პრობლემით დაინტერესებული იყვნენ ძველი დროის ფილოსოფოსები - პლატონი და არისტოტელე. „რა არის დრო? ვინ განმარტოს ეს მარტივად და სხარტად? ვინ ჩაწვდება ამას გონებით“, - წერდა „აღსარების“ ავტორი ნეტარი ავგუსტინე ავრელიუსი (თ.11.გვ.232).

გილგამეში უძრავი დროის გარღვევას ცდილობს. ეს არის საკრალური დრო, „უჟამო დრო“. ტექსტში დრო უკიდურესად შეკუმშულია, დარღვეულია დროის თანაზომიერება.

მკითხველს უდროობის შეგრძნება უჩნდება. მეტიც, ტექსტში დროის გამოთვლა, დროითი მონაკვეთის დადგენა-დაზუსტება შეუძლებელია. ამდენად, ტექსტში წარმოდგენილია უკიდუგანო დრო. აქ არ არსებობს „ახალი დღე“. სტილიზებული ზღაპრების მსგავსად აქ ერთი დღე - ერთ საუკუნეს უდრის.

გილგამეში კოსმიური სამყაროს იდუმალი ნიშნების ამოცნობას ცდილობს. უკვდავების მაძიებელი გმირი ერთგან მეღვინე სიდურთან დაიჩივლებს: „ნიშნები როგორია, ნიშნები მაუწყე“ (გილგამეშიანი, 1984:87). გილგამეში იდუმალი ნიშნების ამოცნობის წყურვილითაა შეპყრობილი. აქედან იწყება მისი ეგზისტენციალური კრიზისი.

რაზეა აქ მინიშნება? რომელ ნიშნებზე საუბარი?

გილგამეში თავისი შემეცნებით სამყაროს საიდუმლო ნიშნებისაკენ მიილტვის. მან შემეცნების გზა ამჯობინა, თვითგანვითარება და ცდილობს უზენაესის განზრახვა შეიტყოს. იდუმალი „ნიშნების“ ამოხსნას ცდილობს გილგამეში მეგობრის \_ ენქიდუს გარდაცვალების შემდეგ. მეგობრის სიკვდილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ამიერიდან მას უჩნდება ძლიერი სურვილი ღმერთების ნება შეიტყოს. „ნიშნები“ გამოიცნოს, ღმერთების გადაწყვეტილებაში ღრმად გაერკვეს. ამისთვის აუცილებელი აღმოჩნდა „ველად გაჭრა“. ამიერიდან ის პილიგრიმი, ასკეტი, მეუღაბნოე, რაინდი, მოგზაური, ღრმად მოაზროვნე და „ძე შეცდომილია“, რომელსაც სურს იდუმალეზა განსჭვრიტოს.

მეღვინე სიდური გილგამეშს უხსნის, რომ ადამიანი უკვდავებისათვის ღმერთს არ გაუჩენია. ფიზიკური სიკვდილი კაცთა მოდგმის განაჩენია, რადგან ღმერთებმა ასე გადაწყვიტეს, ამიტომაც:

„აწ, სავსე გქონდეს სტომაქი, გილგამეშ,  
მოილხინე დღითა და ღამით,  
დღენიადაგ ნადიმს მართავდე,  
დღეთა და ღამით როკვიდე, მღერდე,  
სამოსელი სპეტაკი გემოსოს,  
თავს განიბანდე, ტანს განიბანდე,  
ზრუნავდე ჩვილზე, ხელთ რომ გეჭირება,  
შენს მკერდზე ხარობდეს მეუღლე შენი, –  
რამეთუ ესაა ხვედრი მოკვდავისა“ (გილგამეშიანი, 1984:85).

აი, თურმე რა ყოფილა ადამიანის ხვედრი! გილგამეშისათვის ეს მიუღებელია! აკი ადრე ასე არ ცხოვრობდა? როგორმე უნდა გადალახოს „სიკვდილის წყლები“ და წარღვნას გადარჩენილი ერთადერთი კაცის წინაშე უნდა წარსდგეს. სიდური ისევ მტკიცედ აფრთხილებს:

„შამაშის გარდა ზღვა ვის გადაულახავს?  
ძნელია სავალი, გზა ძალზე ძნელია,  
წყალნი სიკვდილისა წინ დაგხვედებიან...“ (გილგამეშიანი, 1984:87).

ეს კარგად უწყის გილგამეშმა! იცის, რომ წინ მძიმე და რთული გზა ელოდება, მაგრამ სანუკვარ მიზანს როგორმე უნდა მიუახლოვდეს!

მეღვინე სიდური გილგამეშს მისაწავლის მენავე ურ-შანაბის ადგილსამყოფელს, რომელიც ძლიერ ჰგავს დანტე ალიგიერის მენავე ქარონს, რომელსაც მკვდარი სულები გადაჰყავს მდინარე აქერონის მეორე მხარეს (მდინარე აქერონიც ძალიან ჰგავს „სიკვდილის წყლებს“). ტექსტში მდინარე „წყალნი სიკვდილის“ (რომელსაც გილგამეში გადალახავს), არის ტექსტის უმთავრესი შიფრი, მეტაფორა, რომელიც ღრმა არქეტიპული ძირების შემცველია. მენავე ურ-შანაბი გაოცებულია გილგამეშის ხილვით. სწორედ მისი დახმარებით გილგამეში წარსდგება წარღვნას გადარჩენილ უთანაფიშთის წინაშე. ის როგორც კი შეიტყობს გილგამეშის საბედისწერო ხეტიალის ამბავს, დაუფარავად ეტყვის: კაცთათვის „აუცდენელია სიკვდილი“.

მაშ, თვითონ როგორ გახდა მარადიული სიცოცხლის თანაზიარი? რა სულიერ სიმაღლეებს მიაღწია?

უთანაფიშთი გილგამეშს უყვება „ნაცნობ“ ისტორიას. როგორც უკვე ავღნიშნეთ,

უთანაფიშთის ეპიზოდი (ტექსტის XIკარი), „ნოეს ეპიზოდის“ იდენტურია.

ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ მხოლოდ ნოეს ეპოვია მადლი უფლის თვალში. ის „დაბადებაში“ მოხსენიებულია ეპითეტებით: „მართალი“, „სრული“. მეტიც, ის „ღმერთებთან დადიოდა“ (დაბ.6,8-9). აი, თურმე როგორ გახდა ნოე და მისი ოჯახი ღვთის რჩეული!

გილგამეშიც ღმერთებთან „დადიოდა“, მაგრამ ეს საკმარისი არაა! მას აკლია სრულყოფა. მას ჯერ არ მოუპოვებია ნოეს მსგავსად ეპითეტი „სრული“.

წარმართი ღმერთები წყვეტენ ადამიანის ბედ-იღბალს. აკი გმირსაც უთხრეს: „სიკვდილი კაცთა მოდგმას დაუდგინესო“. ტექსტში თითქოს სიკვდილი დაძლეულია... ასე ჩანს, მაგრამ... „გილგამეშიანი“ მაინც ადამიანური უძლეველობის, თავგანწირვის, ბედთან შეუპოვარი ბრძოლის მაგალითია, რაც კი დღემდე შეუქმნია ლიტერატურას.

გილგამეშის „მხატვრული ხატი“ უფრო მეტ დატვირთვას იძენს, როდესაც ის ეახლება უთანაფიშთს – წარღვნას გადარჩენილ ერთადერთ კაცს (უთანაფიშთი ქალდეურად „სიცოცხლის მპოვნელის“ ნიშნავს). მრავალტანჯულ გმირს უთანაფიშთი საიდუმლოს უმხელს:

„გეტყვი, გილგამეშ იდუმალ სიტყვას,  
ბალახს საიდუმლოს გაგიმხელ:  
ზღვის ფსკერზე ხარობს ეკლიანი ბალახი,  
ვარდის ეკალივით ხელს გაგიკაწრავს.  
უკეთუ ხელთ იგდე ბალახი იგი,  
სიჭაბუკის დღეებს დაიბრუნებ“ (გილგამეშიანი, 1984:103).

დიახ, სიჭაბუკის დღეებს დაიბრუნებო... გილგამეშს თითქოს არიადნეს ძაფი ხელზე დახვეული აქვს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება სანუკვარ მიზანს, მაგრამ ბანაობისას: „გველმა იყნოსა ბალახის სურნელი, წყლიდან ამოცურდა, ბალახი წაიღო“. „გველმა მას სიცოცხლის ყვაილი დააკარგინა“ (ჩიქოვანი, 1971: 247).

გილგამეში ბაბილონის გოდოლის მშენებლებივით ესწრაფვის ზეცამდე აღწევას, მაგრამ ვის მიუღწევია ზეცამდე? მისი აუზბენელი სურვილები სულს დაგვიკაწრავს, საწუთროს ბედზე, ადამიანის უღონობაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს.

სად არის გამოსავალი?

გილგამეში ერთბაშად სამყაროს შუაგულში ამოყოფს თავს. მან მრავალი ხიფათისა და დაბრკოლებების გზით „დამარხული იხილა“, მაგრამ მცირედი შეცდომის გამო კარგავს სიმწრით მოპოვებულს. განა მცირედი შეცდომის გამო!? მან დაარღვია ფიცი, რომელიც დადო მეგობრის ცხედართან:

„თავად შენს შემდგომად ტანს აღარ განვიბან,  
ლომის ტყავს ჩავიცვამ, ველად გავიჭრები“ (გილგამეშიანი, 1984:79).

დიახ, თავად შენს შემდგომად ტანს აღარ განვიბანო... მაშ, რამ აიძულა მდინარეში ბანაობა, მეგობრისადმი მიცემული პირობის დარღვევა?

ლომის ტყავიც ჩაიცვა, ველადაც გაიჭრება, მაგრამ...

ტექსტში გველის მიერ პერანგის გახდა – უმთავრესი ენიგმაა. გველმა, რომელმაც გილგამეშს მოსტაცა სიჭაბუკის ბალახი, განახლება განიცადა. ადამიანსაც მართებს მუდმივი განახლება, ტრანსფორმაცია. გველს სძვრება ძველი პერანგი და განახლებას განიცდის. ადამიანმაც ამგვარი მეტამორფოზა უნდა განიცადოს.

დანტე ალიგიერი „სალხინებელში“ გულისტკივილით წერდა:

„წყეულიმც იყავ, ძველო გველო, უკუნისამდე,  
ტყიურთა შორის სხვაზე მეტად წარმტაცებელო,  
სიხარბეს შენსას აღარ უდევს რაიმე ზღვარი“ (ქება20,10).

„წუთისოფლის მაცდუნებელმა“ შეიწირა გილგამეშის სანუკვარი მიზნები! და კიდევ, მეხსიერების სკივრიდან ჩაგვესმის ეგზიუპერის პატარა უფლისწულის წკრიალა ხმა. ყვითელი გველი პატარა უფლისწულს ეუბნება: „ვისაც მე შევეხები, მიწას ვუბრუნებ, მიწადვე ვაქცევ მიწიერს“.

დიახ, ვისაც მე შევეხები, მიწას ვუბრუნებო...

გილგამეში „მიწას“ უბრუნდა ძველი გველის ჩარევით...მაგრამ ეს „ძველი გველი“ უეჭველად დამარცხებული იქნება: „გადმოგდებული იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ემშაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი“ (გამოცხ.12,9).

ტექსტიდან ჩანს, რომ გილგამეშის არსებაში მიძინებული დოქსა (უმაღლესი ნიჭი), თანდათან გააქტიურებას იწყებს. მისი ღვთაებრივი ნიჭი შემეცნებისაკენ მიილტვის. მანამდე ის მასში ჰერმეტიულ მდგომარეობაში იყო. ის სამყაროს სიღრმეში იხედება, ჰვრეტს, შეიმეცნებს, მაგრამ არა ბოლომდე, მხოლოდ ნაწილობრივ. მისი დოქსა ბოლომდე გააქტიურებული არაა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ გმირმა, რომელმაც უკვდავების ბალახი სიმწრით მოიპოვა, შორი გზა განვლო, თავის სანუკვარ ნადავლს მდინარის პირას უყურადღებოდ ტოვებს და ბანაობას იწყებს. მისი ჰვრეტი თი აქტივობა დუნდება და იმარჯვებს „ძველი გველი“.

იქნებ უმჯობესია რელევანტური კითხვა დავსვათ:

რამდენად იმსახურებს ადამიანი მარდიულ სიცოცხლეს!?

გილგამეში, შუამდინარული ეპოსის სწორუპოვარი გმირი ადამიანის სიცოცხლიდან - სიკვდილისაკენ გადასვლას ეწინააღმდეგება. მისი პროტესტი საკაცობრიოა. მან სიცოცხლის გადარჩენა დაისახა მიზნად! ასეთია მისი სიცოცხლის ფილოსოფია! თუმცა, ეს უფრო „უტოპიური“ იდეაა, მაგრამ ამავე დროს, სუბიექტურ-სუბსტანციური!

პლატონი „ტიმეოსში“ წერდა: „რაც იბადება, შეუძლებელია მთლიანად მიენიჭოს მარადიუ-ლობა“ (პლატონი,1994:296). ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ ფუკო (Michel Foucault,1926-1984), ამავე აზრისა იყო: „ადამიანი ისევე გაუჩინარდება, როგორც ზღვის სანაპიროზე ქვიშაზე მოხაზული ფიგურა“ (ფუკო,2004:460). მიუხედავად ამ ინტერპრეტაციებისა, „გარდაცვალება არ ნიშნავს არსებობის შეწყვეტას, რადგან ადამიანის სული უკვდავია“ (ილია II).

გილგამეში გამძაფრებულია ტეოლოგიური ბუნება. ის თანდაყოლილი უფლებებისათვის გააფთრებით იბრძვის, რომელიც თითქოს უმნიშვნელო რამ, დაკარგა კაცთა მოდგამ. მართალია, მისი „მოგზაურობა“ მძაფრად აღიბეჭდა მკითხველთა სულში, მაგრამ ის მაინც „გამარჯვებული“ ბრუნდება მშობლიურ ურუქში, რადგან სწორუპოვარმა გმირმა სიღრმე იხილა, დამარხულს მიაგნო, სარქველი გახსნა...

ეს ხომ გამარჯვებაა!

და მაინც, გილგამეშის ხეტიალი კაცობრიობის სულის ღია ჭრილობაა...

ასეთია გილგამეშის ღრმა რეფლექსების საფუძველზე მიღებული პროტესტი.

ტექსტის დასასრულს გილგამეში „ფრთამოტეხილი ანგელოზივით“ ბრუნდება მშობლიურ ურუქს, მაგრამ მას სამშობლოში თან მოაქვს ის დიდი გამოცდილება, სიბრძნე, რომელიც მოგზაურობის შედეგად მიიღო. მისთვის ცის კარი ლამის გაიღო, მაგრამ მარადისობის კარედი მისთვის სამუდამოდ დახურული აღმოჩნდება.

ამდენად, „გილგამეშიანი“ უნივერსალური ტექსტია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ყოფიერებისა და ონტოლოგიური საკითხების შეცნობას. გილგამეში იწყებს კოსმიურ სვლას სიმარტივიდან უმაღლეს მწვერვალამდე; აბსოლუტური სულის ძიებას, მარადისობასთან მიახლოებას. მოგზაურობის გზით ის შემეცნების ახალ ეტაპზე გადადის. გილგამეშს, რომელსაც „ტანში ჩადგომია ღმერთების ხორცი“, „ორი მესამედი წილი ღვთიური აქვს“ შესწევს ძალა შეიგნოს, ინტუიტიურად განსჭვრიტოს, შეიმეცნოს აბსოლუტური იდეა, უნივერსალური ღირებულებები. ამაშია მისი ძალა. ის ღმერთ-კაცია! ამიტომაც მას მფარველობენ ღმერთები შამაშის ჩათვლით. თავისთავად, ტექსტი მდიდარია იდეებით, რომელიც მკითხველისაგან ჩაღრმავებასა და „ჩაყვინთვას“ მოითხოვს. შემადრწუნებელია გილგამეშის მარცხი! ეს ადამიანური მარცხია! ადამიანური უმწეობის დამადასტურებელი, მაგრამ ამ „უმწეობაში“ ვლინდება გილგამეშის, როგორც პიროვნებისა და ადამიანის მებრძოლი სული. იქნებ, „გილგამეშიანი“ ადამიანური სატირაა აუხდენელი სურვილებით! იქნებ ეს ყველაფერი ეფემერული სიზმარია. იქნებ, გილგამეშის უკვდავებისაკენ ლტოლვა მხოლოდ ტრანსცენდენტური ილუზიაა და სხვა არაფერი. ასეთია გილგამეშის კომპოზიციური სახე და ტრანსცენდენტური ფრაგმენტები, საკაცობრიო სევდა და კონოტაციური ძიებანი.

რაც მთავარია, გზა გათელილი და მოსინჯულია მარადისობისაკენ სავალი. და მაინც, კანდელად იკიაფებს კაცობრიობის ხსოვნაში გილგამეშის „განწირულის სულისკვეთება“.

**ლიტერატურა:**

არისტოტელე, (1964). მეტაფიზიკა. თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები თ.კუკავასი. თბილისი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბიბლია, (1991). ორ ნაწილად. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.

გილგამეშისანი, (1924). ბაბილონური ეპოსი მესამე ათასწლეულისა, თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ. გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ-კ. სავანისა.

გილგამეშისანი, (1984) გილგამეშისანი. ძველი შუამდინარული ეპოსი. თარგმანი ზ. კიკნაძის. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

გელოვანი,ა.(1983) მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კიკნაძე,ზ. (2006) შუამდინარული მითოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

კიკნაძე,ზ. (1984). შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „საარი“.

კიკნაძე, ზ. (1989). საუბრები ბიბლიაზე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

პლატონი, (1994). ტიმეოსი. თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები ბ.ბრეგვაძის, თბილისი: გამომცემლობა „ირმისი“.

რუსთაველი შოთა (1991). ვეფხისტყაოსანი. თბილისი: გამომცემლობა „ლაშარი“.

ფუკო, მ. (2004). სიტყვები და საგნები. თარგმანი დოდო ლაბუჩიძე ხოფერია. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.

ალიბეგაშვილი, დ. (1992) ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ელიადე, მ.(2009). მითის ასპექტები. ფრანგულიდან თარგმნეს მ.ბაქრაძემ და ბ.წვერაძემ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, (2012). რჩეული ქართული ზღაპრები 20 წიგნად. წიგნი II. თბილისი.

ნუცუბიძე,შ. (1956). ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩხეიძე, ო. (1984). ბორიაცი, ცხრაწყარო. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

ჩხეიძე, რ. (2009) მგზავრი თიბათვის მზეში. მიხაკო წერეთლის ცხოვრების ქრონიკა. თბილისი: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. სტ. „ომეგა თეგი“.

ჩიქოვანი, მ. (1971). შუმერული პარალელები. წიგნში: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ქიაჩელი, ლ. (2019). ზღაპარი ბედნიერებაზე. წიგნში: მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა ლ“.

შარაძე, გ. (1987). მიხაკო წერეთელი. თბილისი: გაზ., „ლიტერატურული საქართველო. 1987 წელი, 25 სექტემბერი, N39.

London, Joan. (2001). Gilgamesh; a novel. N.Y. Grove press.

George, Andrew. (2023). The Babylonian Gilgamesh Epic-Introduction, Critical Edition and Guneiform Texts. Oxford. Oxford University Press.

**Transcendental Concepts of “Gilgamesh”**

**Tsurtsunia Koba**  
Sokhumi State University,  
Tbilisi

**Abstract**

“The Epic of Gilgamesh” is a universal text. The incorrigible hero of the Sumerian epic tries to penetrate the entire and harmonious world. To what extent is he ready for this? This artistic-philosophical paradigm underlies the text. Therefore, “The Epic of Gilgamesh” is an epistemological text, a part of the logos and mythic culture. The mystery of getting to know the world in the text is paradigmatic. In general, the entire text of the Epic of Gilgamesh is paradigmatic. Gilgamesh’s goal is “deification”, ascending the spiritual ladder, transforming into

a superhuman. With “getting to know” begins the fall of man, the loss of the Garden of Eden and eternal life. Thus, the main enigma in the text is the spiritual growth of the hero, getting to know life and death. Gilgamesh is an eternal traveler who walks in infinity! He wants to become a part of an impenetrable world. He has to struggle with time. He does not know when his journey will end. Or if it will end? His paradigmatic mask is completely unsolvable and transcendental. Thus, Gilgamesh, having escaped the carnival of life, begins to strive for high spirituality.

**Key Words:** *“Gilgamesh”, universalism, pagan rituals, archaic society, comparative studies, human sadness, transcendentalism.*

## რაფიელ ერისთავის 200 წლისთავი

### ჯაგოდნიშვილი თემურ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.63>

**აბსტრაქტი:** 2024 წლის ნოემბერში აღინიშნა სახელოვანი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 200 წლისთავი. ეს საიუბილეო თარიღი აღინიშნა სამეცნიერო კონფერენციის ერთ-ერთი სექციის სხდომების ფორმატში. ამას გარდა, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში 2025 წლის 11 თებერვალს გაიმართა ფოტოგამოფენა და წიგნის „რაფიელ ერისთავი 200“ პრეზენტაცია. ეს წიგნი, მართალია, პოეტის ცხოვრების ფოტომატიანესა და შემოქმედების მიმოხილვა-შეფასების ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს შეიცავს, მაგრამ ვერ გამოიჩვენა ავტორების სიმრავლით, სახელოვანი მოღვაწის შემოქმედებითი, საზოგადოებრივი, მეცნიერული ნაღვლის წარმოჩენის სიღრმეებითა და ყოვლისმომცველობით.

ამასთან, ჯერჯერობით არც ჩატარებული კონფერენციის მოხსენებების დაგეგმილი კრებული გამოცემულა.

ასე მოკრძალებულად აღინიშნა სასიქადულო მოღვაწის -- რაფიელ ერისთავის 200 წლისთავი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მეცხრამეტე საუკუნის შექმნაში. XXI საუკუნისაგან განსხვავებით XIX საუკუნემ უფრო ზუსტად ამოიკითხა მისი მოღვაწეობის დიდი შინაარსი და შესაბამისი პატივი მიაგო მას. არადა რაფ. ერისთავი ნამდვილად იმსახურებს დიდ დაფასებასაც, სიყვარულსაც, აღიარებასაც, უკვდავებასაც არა მარტო გასაოცრად უხვი და მრავალმხრივი ნაღვლით, არმედ სამშობლოს სიყვარულის, მასთან სისხლხორცეული განუყოფლობის ხილული ხატის შექმნითა და პოეტური პასუხის მოძებნით კითხვაზე: რა არის სამშობლო და სამშობლოს სიყვარული.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართულ სინამდვილეში არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადო, საეროვნო წამოწყება და პროექტი არ განხორციელებულა მისი თავკაცობის თუ აქტიური მონაწილეობის გარეშე; იქნებოდა ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ქართული თეატრალური საზოგადოების დაფუძნება, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნა და პოემის უნიკალური გამოცემა, ქართული მუზეუმის დაარსება და სხვა.

რაფ. ერისთავი იყო დიდი სახელმწიფო მოხელე – თუმ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოს საგანგებო საქმეთა ჩინოვნიკი და თარჯიმანი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე, გუბერნიის პროკურორი, სამეგრელოს საქმეთა მმართველი და ზუგდიდის მაზრის უფროსი. თუმცა ყველგან და ყოველთვის უპირველესად იყო დიდი პატრიოტი. სახელმწიფო სამსახურის პარალელურად იგი ნაყოფიერად იღვწოდა მწერლობაში, – აქვეყნებდა ლექსებს, წერდა მოთხრობებს, დრამატულ თხზულებებს; თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში, აქვეყნებდა მძაფრ პუბლიცისტურ წერილებსა და სტატიებს, ფხიზლად იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე;

იწეოდა გასაოცრად მრავალმხრივ მუშაობას მეცნიერების სფეროში. იგი იყო ევროპული ორიენტალისტიკის მეცნიერულ ინტერესთა მიმდევარი – ლექსიკოლოგი და ლექსიკოგრაფი, გამოსცა უმნიშვნელოვანესი ორ და სამეცნიერო ლექსიკონები, სათავე დაუდო ჩვენში დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების, ასევე დიალექტოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონების შედგენის ტრადიციას.

რაფ. ერისთავი ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული ეთნოგრაფიისა და

ფოლკლორისტიკის სფეროებში. უშუალო დაკვირვებისა და აღწერის მეთოდებით მან შეისწავლა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, იმერეთის, სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის ტრადიციული ყოფა, ჩაიწერა, შეკრიბა ზეპირსიტყვიერი ტექსტები და წერილების, სამეცნიერო გამოკვლევების ფორმატში გამოაქვეყნა პრესაში, სამეცნიერო საზოგადოებების კრებულებში და ცალკე წიგნებად. მის მიერ მოძიებულ და გამოვლენილ მასალას დღემდე არ დაუკარგავს არც ისტორიული და არც მეცნიერული ღირებულება, როგორც ეჭვმიუტანელ ფაქტებს და წყაროებს თანამედროვე მეცნიერული კვლევებისათვის.

აღნიშნულ გასაოცრად მრავალმხრივ მუშაობასთან ერთად, იგი იყო ქართველი საზოგადოების სასურველი და თავმოსაწონი ადამიანი, თავყრილობების თავკაცი და დამამშვენებელი.

ქართველი საზოგადოება რაფიელ ერისთავის დაუღალავ მოღვაწეობას შესაბამისად აფასებდა, რაც უპირველესად მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მუდმივი საჯარო ყურადღების და სიყვარულის გამოხატვაში ვლინდებოდა.

XIX საუკუნის არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ რგებია ისეთი საყოველთაო სიყვარული და დაფასება, როგორც რაფ. ერისთავს. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა 1895 წლის 22 ოქტომბერს, როდესაც მას დაბადების 70, საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავი გადაუხადეს, რაშიც მთელმა ქართველმა ერმა მიიღო მონაწილეობა და იუბილეს საერო დღესასწაული უწოდეს. ეს იუბილე ქართველი ერის კულტურის და ეროვნული ცნობიერების გამოვლიძების ფაქტად იქცა და ჩვენში იუბილეების ჩატარების ტრადიციას დაუდო სათავე.

ნაშრომში გაანალიზებულია რაფ. ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობის ფაქტები და წარმოჩენილია მათი საეროვანო მნიშვნელობა.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; საზოგადო მოღვაწეობა; მეცნიერება; მრავალმხრივი; იუბილე; ფოლკლორული.

2024 წელს შესრულდა 200 წელი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, მეცნიერისა და დიდი საზოგადო მოღვაწის რაფ. ერისთავის დაბადებიდან.

თანამედროვე ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში შეუმჩნეველი დარჩა ეს მართლაც მნიშვნელოვანი თარიღი მაშინ, როდესაც XIX საუკუნის მიწურულს რაფიელ ერისთავის იუბილე - დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა და საერო დღესასწაულს გაუტოლდა.

რაფ. ერისთავი მისი თანამედროვეებისათვის იყო უაღრესად პოპულარული პოეტი – პატრიოტიზმის ხელშესახები ხატის მიმგნები სამშობლოს თოვლიან-ყინულებიანი მთების სახით, იყო მრავალმხრივი მოღვაწე, ხალხის მოსარჩლე და გულისდამწველი, 70-80-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის დასაყრდენი და „თერგდალეულთა“ დიდი ავტორიტეტი, ყველა საეროვანო საქმის წამომწყები და უღლის გამწვევი. დაუჯერებლად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი მოღვაწეობა. მან ნათელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ქართულ მწერლობაში – პოეზიასა თუ დრამატურგიაში, არამედ პუბლიცისტიკაში, ქართული თეატრის ცხოვრებაში (როგორც რეჟისორმა, მსახიობმა, დრამატურგმა), მეცნიერებაში – ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში, საჯარო სამსახურში (როგორც სამეგრელოს საქმეების მმართველმა და ზუგდიდის მაზრის უფროსმა).

ძნელი წარმოსადგენია, რომ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა და რაფ. ერისთავის სახელი მხოლოდ ქართული კულტურის ანალებს შემორჩა.

რაფიელ ერისთავი, მოქალაქეობრივი ცნობიერებითა და მოღვაწეობის

შინაარსით, ერთგვარი წინამორბედია XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნული მოღვაწეების იმ დიდი გუნდისა, რომლებიც ქართულ ისტორიაში „თერგდალეულთა“ სახელით არიან შესულნი. რაფიელ ერისთავი იყო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უპირველესი და ავტორიტეტული მოღვაწე. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დუშეთიდან დაბრუნებულ ილიას გვერდში ამოუდგა, მასთან ერთად გამოსცა ქართული ზეპირსიტყვიერების კრებულები და მხურვალე მონაწილეობა მიიღო მის ყველა წამოწყებაში.

ამიტომაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ 1895 წლის ოქტომბერში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი, რეზონანსული მოვლენა გახდა რაფ. ერისთავის იუბილე.

ქართული პრესა მთელი წლის მანძილზე აქვეყნებდა მასალებს (წერილებს, ცნობებს...) იუბილეს მზადების შესახებ. გამორჩეულად აქტიურობდა აკაკი.

1895 წელს გაზეთ „კვალში“ მან გამოაქვეყნა წერილი (წერეთელი, 1895:3), სადაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველად შეიტანა ცნება „იუბილე“ და ქართველობას განუმარტა მისი შინაარსი, იუბილეს ჩატარების მოვლენა ერის სულიერ-ინტელექტუალური სიმწიფისა და კულტუროსნობის გამოვლენად გამოაცხადა, იუბილეს ჩატარების ღირსად კი „საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე“ რაფიელ ერისთავი დაასახელა. ეს პირველი ასეთი მოვლენა იყო ქართულ ისტორიაში.

ქართველობამ გასაოცარი გულისხმიერება გამოიჩინა და უჩვეულო მასშტაბები შესძინა რაფ. ერისთავის დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეს:

**22 ოქტომბერი მთელს საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდა.** იუბილეს ამბები ვრცლად გააშუქეს ჟურნალ-გაზეთებმა. ოთხი წლის შემდეგ – 1899 წელს, თავი მოუყარეს საიუბილეო მასალებს, წიგნად შეკრეს და ექვთიმე ხელაძემ გამოსცა სახელწოდებით – „საერო დღესასწაული თ. რაფ. დავითის ძე ერისთავის იუბილეს გამო“. ასე აღინიშნა ჩვენში საზოგადო მოღვაწისათვის გადახდილი პირველი იუბილე და ასე დაედო სათავე ჩვენში იუბილეების ისტორიას.

მსგავსი პატივი XIX ს. არცერთ მოღვაწეს არ ღირსებია.

რატომ მიაგო ქართველმა ხალხმა ამგვარი პატივი რაფიელ ერისთავს? რით დაიმსახურა საერო სიყვარული?

რაფ. ერისთავი ჭეშმარიტად სახალხო მგოსანი და მოღვაწე იყო, თანაც დიდი იმედი ქართველი ინტელიგენციისა და ჭირისუფალი თავისი მშობელი ხალხისა. მან, შთამომავლობით დიდი ფეოდალების მემკვიდრემ, ერთ-ერთმა პირველმა დაარღვია ქართული არისტოკრატის საუკუნოვანი გვარტომობრივი ჯებირები – დავიდა ქართული ხალხური ყოფის ყოველდღიურობამდე, წვდა ქართველი კაცის სულს, მის ჭირ-ვარამს და ვითარცა ნამდვილმა არისტოკრატმა, სამშობლოს და ხალხს მიუძღვნა საკუთრი სიცოცხლე. მან შეგნებულად უკუაგდო სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის სენტიმენტალური სალონური მოთქმა და ცრემლის ღვრა და რომანტიკული სევდა, მზერა თავისი თანადროული ქართული ყოფის რეალიებს და ქართველი ხალხის ლტოლვა-მისწრაფებებს მიაპყრო და მათი ჭირისუფლობის გზას დაადგა.

რაფ. ერისთავის მოღვაწეობის დიდი შინაარსი განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახდა XIX ს. 70-იანი წლებიდან. ამ დროიდან მოყოლებული რაფ. ერისთავის ბადალი ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებას არ ჰყოლია. მან მთლიანად გაიზიარა ქართველი საზოგადო მოღვაწის ხვედრი – სახელისა და დიდების პირდაპირპროპორ-

ციულად მატერიალური, ეკონომიკური სიდუხჭირე და გაწბილება.

რაფ. ერისთავის ცხოვრების გზა და დიდი მოღვაწეობის შინაარსი დიდწილად განსაზღვრა ცნობილ ფრანგ ორიენტალისტ მარი ფელისიტე ბროსესთან შეხვედრამ, მასთან საქმიანმა ურთიერთობამ და მისი მეცნიერული ინტერესების, მიზნებისა და კონცეფციის გაცნობიერებამ.

რაფ. ერისთავმა მ. ბროსე 1847 წელს სოფელ მატანში გაიცნო და ოჯახში – სოფელ ქისტაურში მიიწვია. მოგვიანებით მ. ბროსემ ასე დააფიქსირა თავისი შთაბეჭდილება წიგნში – „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848 წლებში“ (1850). აქ მ. ბროსე წერდა: „რაფიელ ერისთავმა, თავად დავითის შვილმა, საფუძვლიანად განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიაში და თავი გამოიჩინა გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული თავისი კარგი სტატიებით“. რაფ. ერისთავი მარი ბროსეს კორესპონდენტი იყო. 1848წ. თავი მიანება სახელმწიფო სამსახურს, რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად ემზადებოდა, უსახსრობამ ააღებინა ხელი. თიანეთს დაბრუნდა (1849 წ. 29 ივნისს).

აქ 1855 წლამდე დაჰყო. აქვეყნებდა წერილებს „კავკაზში“. გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი „**თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ**“.

მან დიდი წვლილი შეიტანა იმ დროის საეროვნო პროექტში – **ქართული მუზეუმის დაფუძნებაში**. ის 1852 წელს დაარსდა. რაფიელმა 1855 წელს მუზეუმს შესწირა საკუთარი საგვარეულო ნივთები – ექსპონატები, შეადგინა კატალოგი და მუზეუმი 1855 წლის გამოფენისათვის მოამზადა. 1855 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით იყო მუზეუმის მდივანი.

რაფიელი მუზეუმის დირექტორადაც კი წარადგინეს. მასთან ერთად წამოაყენეს ცნობილი ნუმიზმატი ი. ბარტოლომეი. კენჭისყრაში ორივე კანდიდატმა თანაბარი ხმები მიიღო. არჩევანი ი. ბარტოლომეის ერგო. იმ მოტივით, რომ ამ დროს (1855) რაფიელი უკვე ქუთაისში იყო გუბერნატორ კოლუბიაკინის კანცელარიაში თარჯიმნად და საგანგებო საქმეთა მოხელედ. ამ თანამდებობაზე იგი ივანე მუხრან-ბატონმა წარადგინა.

1856წ. ზემო იმერეთში იმოგზაურა. საჩხერეში, ალექსანდრე წერეთლის სახლში, მიაკვლია ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ დედანს.

შეისწავლიდა ქართულ ყოფით კულტურას, კრებდა მასალებს, აქვეყნებდა პრესაში.

1857წ. 17 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა ზუგდიდს მიავლინა უტუ მიქავას და მართალი თოდუას აჯანყების საქმის გამოსამიებლად. ზეპირგადმოცემით რაფიელმა უტუ მიქავას დაუწერა სიტყვა, რომელიც კოლუბიაკინს წარუდგინეს.

1857წ. 9 სექტემბერიდან დაინიშნა სამეგრელოს სამთავროს დროებითი მმართველობის თავკაცად. 1857 წლის 14 სექტემბრიდან იყო ზუგდიდის მაზრის უფროსი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქ. ზუგდიდს: შეაკეთა დადიანების სასახლე, გააშენა წყალსადენი, ჭადრების საუცხოო ხეივანი...

1861 წელს დაინიშნა სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველად – დააწინაურეს ჩინით – „კოლეჟსკი ასესორობა“ უბოძეს. ამავე წლებში იგი დანიშნეს სამეგრელოს ყმა-გლეხთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად, სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს მაღალი წოდების პირთა უფლებების განმსაზღვრელი კომისიის წევრად, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად, მიანდეს სამეგრელოს საქმეების წარმოება. სამეგრელოში სახელმწიფო რეფორმების წარმატებით გატარებისათვის 1867წ. დააჯილდოვეს წმინდა ანას ორდენით.

ზუგდიდში 10 წელი იმსახურა. 1866წ. დაწერა გამოკვლევა „ბატონყმობა სამეგრელოში“;

დიდი მუშაობა ჩაატარა მეგრულ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შესაქმნელად. მის არქივში ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მასალაა დაცული.

აგრძელებდა ლიტერატურულ საქმიანობას. გამოაქვეყნა მოთხრობები: „ნინო“, „ლიტერატურული სადამო“, ლექსები.

1867 წ. ზაფხულში რაფიელი უკან – ქუთაისში გაიწვიეს. ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 1861წ. „ცისკარში“, ივანე მიქაბერიძის ფსევდონიმით, გამოაქვეყნა ლექსი „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ – ბატონყმობის მკაცრი კრიტიკა (მიქაბერიძე, 1861). აკაკიმ ამ ფაქტს საჯაროდ გაუსვა ხაზი გაზეთ „ივერიაში“ (წერეთელი, 1901).

რაფიელი პარალელურად აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო საზოგადოებების კრებულებსა და აღმანახებში ბეჭდავდა წერილებს, სტატიებს, ნაშრომებს.

მაგალითად, აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“, „საქართველოს მოამბესთან“, „კავკაზთან“ და ა. შ.

ზუგდიდში მოღვაწეობის პერიოდში დაინტერესდა ქართული თეატრის პრობლემებით. სწორედ 70-იან წლებში შექმნა პიესები: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „მბრუნავი სტოლები“, „იჭვიანი“, „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“. ეს პიესები ხსნად მოევიწყა ქართულ თეატრს.

1867 წ. ქუთაისში ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა დასი – ხელმძღვანელიც იყო, მსახიობიც. 1867 წ. 12 დეკემბერს დადგა ბარბარე ჯორჯაძის „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ (ითამაშა სირაჯ ავეტიკას როლი). მოამზადა მოლიერის „ძალად ექიმი“. აკაკი იყო ამ დასის აქტიური მონაწილე. 1912 წ. იგი იხსენებდა: დასის მუდმივი წევრები იყვნენ ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, აკაკი, ჭეიშვილი. რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში იმართებოდა, ხან ეფროსინე კლდიაშვილისას. რაფიელი სცენაზედაც თამაშობდა და სუფლიორობდა კიდევაც.

დაქორწინდა გურულ ქალზე – ფეოდოსია ერისთავზე (მიხაი ზიჩმა ულამაზეს ქართველ ქალებს შორის აარჩია – „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისას - ნესტანის და მ. ლერმონტოვის „დემონის“ **თამარის** პორტრეტად).

ქუთაისში დაბრუნებულ რაფიელს სამეგრელოს დაუმთავრებელი საქმეების მოგვარება დაევალა, 1868 წ. ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს. ეს დაქვეითება იყო, რადგან ნამუშევარი იყო ქუთაისის გუბერნიის პროკურორად და ზუგდიდის მაზრის უფროსად.

1870 წელს რაჭაში გადაიყვანეს მომრიგებელ მოსამართლედ, მაგრამ უარი თქვა, 1870 წლის 28 ივნისს გადადგა, ადვოკატობა სცადა, „დროებაში“ განცხადებებიც გამოაქვეყნა ამის თაობაზე, არაფერი გამოუვიდა და 1872 წ. თბილისში დაბრუნდა. თანამშრომლობდა „დროებაში“, ჟურნალ „კრებულში“.

როგორც ითქვა, 70-იანი წლები ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ახალი ეტაპის დასაწყისად იქცა. ამ დროს დაბრუნდა თბილისში დუშეთიდან ილია ჭავჭავაძე. მის ირგვლივ შემოიკრიბა ახალი თაობა. რაფიელი მის გვერდით დადგა. **1873 წ. ილიასთან ერთად გამოსცა კრებული – „გლეხური სიმღერები და ანდაზები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან“.**

ამ დროს ფართოდ გაიშალა მოძრაობა ქართული ფოლკლორული ტექსტების გამოსავლენად, ქართული ეთნოკულტურის ძირძველობა-თავისთავადობის დასაბუთების მიზნით. მეთაურებად რაფიელი და ილია მოევიწყნენ საზოგადოებას. რაფიელს ფოლკლორული ტექსტების შეკრება 1852 წლიდან ჰქონდა დაწყებული.

1973წ. ჟურნალ „კრებულში“ რამდენჯერმე გამოაქვეყნა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, 1897წ. გამოსცა „ქართული გამოცანების“ კრებული. უამრავი ფოლკლორული მასალაა დაცული მის არქივში.

ამ პერიოდში გაშალა აქტიური ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური მუშაობა.

1873წ. გამოსცა სამეცნიერო „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (1000-ზე მეტი ლექსიკური ერთეული). პირველად გამოსცა ს. ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ (1884, ვრცელი წინასიტყვაობით და საბას ცხოვრების ნარკვევით).

1884 წ. გამოსცა „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა და ლითონთა სამეფოდან“. პრესა დიდი მოწონებით შეხვდა (ა ფ., 1873).

ქუთაისსა და ზუგდიდში რაფიელმა დიდძალი მასალა დააგროვა დიალექტოლოგიური ლექსიკონებისათვის, ასევე დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის; ქართულ-რუსული ანტონიმების ლექსიკონების, საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონის და სხვა.

ამავე პერიოდში გამოაქვეყნა ეთნოლოგიური ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ. გალექსა „სიბრძნე-სიცრუისას“ იგავები და გამოსცა 1878წ. თარგმნა კრილოვის იგავები და გამოსცა 1881 წელს საბას „სიბრძნე სიცრუისას“ იგავებთან ერთად – „იგავ-არაკნი“ კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან“.

აქტიური მონაწილეობა მიიღო 1878 წ. შემოერთებული აჭარის დეპუტაციასთან თბილისში გამართულ შეხვედრაში.

ქართველ საზოგადოებას დიდ მოვლენად ექცა ი. მეუნარგიას მიერ ეკატერინე ჭავჭავაძის არქივში ნ. ბარათაშვილის უცნობი ნაწარმოებების აღმოჩენა. რაფიელმა 1880 წლის „ობზორში“ (N393) გამოაქვეყნა წერილი და პოეტის ნაწერების ერთ კრებულად გამოცემის საკითხი დააყენა.

დაბეჭდა სახელმძღვანელო „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“, კითხულობს საჯარო ლექციებს ქართული ენის წარმომავლობასა და ბუნებაზე, ქართული მწერლობის ისტორიაზე.

გაილაშქრა იანოვსკის მიერ ქართული ენის სკოლიდან განდევნის წინააღმდეგ 1881-1885 წწ. დაბეჭდა წერილი „დროებაში“ – „რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს“ (1880).

დასტამბა ვრცელი „ნარკვევი სვანეთის ეთნოგრაფიის შესახებ“.

XIX ს. 70-იანი წლებიდან რაფიელ ერისთავი დიდი ეროვნული წამოწყების სათავეებთანაც იდგა. მაგალითად,

1. ამ დროს დაიწყო მოძრაობა ქ.შ. წ.-კ. გ. საზოგადოების დასაარსებლად. რაფიელი მის დამფუძნებელთა შორის მოექცა. კარგა ხანს ამ საზოგადოების საფინანსო საქმიანობას უძღვებოდა.

2. 1879წ. აღადგინეს ქართული პროფესიონალური თეატრი. შეიქმნა თეატრალური საზოგადოება, 1884 წ. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ რაფიელ ერისთავი აირჩიეს.

3. 1885 წ. დაიწყო მოძრაობა საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. რაფიელ ერისთავმა პირველმა მიმართა საჯაროდ ქართულ საზოგადოებას. თავად წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკას მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა შესწირა.

4. 1881 წ. შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია. იმავე წლის 6 თებერვალს ჩატარდა პირველი სხდომა. კომისიის წევრებს 22 ხელნაწერი ჩამოუ-

რიგეს.

ტექსტის კითხვა რაფიელს მიენდო. მეორე სხდომას ის თავმჯდომარეობდა. იგი იყო პოემის ქართველიშვილისეული გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

1889 წ. რაფ. ერისთავი დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ცენზორად.

1896 წ. საბოლოოდ გადადგა. ამის შემდეგ იშვიათად თუ გაიელვებდა ხოლმე მისი სახელი ქართულ პრესაში.

1

901წ. 12 მარტს გაიმართა რაფიელ ერისთავის ხსოვნის საღამო.

აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც 1901 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა (N57). რაფიელის აღიარებას და პოპულარობას იგი მის პოეზიას მიაწერდა. საზოგადო მოღვაწე რომ ყოფილიყო, უყურადღებოდ დარჩებოდაო. ამ სიტყვებში გამოჩნდა ქართველი საზოგადოების რაფიელისადმი დამოკიდებულების შინაარსი. არადა მისი ცხოვრება არანაკლებ შთამბეჭდავი იყო.

რაფ. ერისთავი საზოგადოების სული და გული, საქმიანი თავყრილობებისა და ნადიმების თავკაცი იყო. არც ერთი მნიშვნელოვანი ამბავი არ მომხდარა მისი მონაწილეობის გარეშე. დასტურად ასეთი ერთი ფაქტიც იკმარებს. ი. მანსვეტაშვილის მოგონებით, ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ პირველი წაკითხვა დიდი მეცენატის – დავით სარაჯიშვილის სახლში შედგა. ესწრებოდნენ: რაფიელი, ნ. ნიკოლაძე, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი და სხვები.

წაკითხვის შემდეგ გაიმართა ვახშამი. თამაშობდა რაფიელი, რომელსაც ქართული მწერლობის პატრიარქს და გლეხთა მგოსანს უწოდებდნენ (მანსვეტაშვილი, 1936).

• რაფიელ ერისთავი, ჩვეულებრივ, არ იმჩნევდა, რომ დიდმოხელე და ცნობილი პოეტი იყო. თავმდაბლობა, სისადავე, უპრეტენზიოება მისი არსებობის ბუნებრივ ფორმას წარმოადგენდა. სრულიად შეუფერებელი საქმეების კეთებაც არ ეთაკილებოდა. თითქოს სულ არ ფიქრობდა პიროვნულ ღირსებაზე. ერთხანს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, პოეტმა ღვინის სარდაფი გახსნა და დახლიდარობაც იკისრა.

ცხადია, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული და მაინც, გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც რაფიელს სხვა სამოციანელებივით განცხრომით ცხოვრებას ამაღლიდა.

ასეთებს საკადრისი პასუხი დიდმა აკაკიმ „ივერიის“ ფურცლებიდან გასცა. აკაკი წერდა: როდის და სად ცხოვრობდა განცხრომაში? „...იქ, იმერეთში რაც გადახედია, ის ხომ არ გინდათ გაიგოთ? აბა ახლა ერთი აქაც მოიკითხეთო?.. ჰაერ-დახშულ სარდაფში გამომწყვდევა, ღვინის ყიდვა და მწვადების მომზადება სხვებისათვის, ვგონებ, რომ დიდი არაფერი ბედნიერება იყოს?... და თუ თავ. ლევან მელიქოვს მისთვის ცენზორობის ადგილი არ ეშოვნა, თქვენი ტაში და ბარაქალას ძახილი დიდხანს ვერ გააძლებინებდა“ (წერეთელი, 1901).

რაფიელი თავის მატერიალურ სივიწროვეს არავისთან ჩიოდა. მან ადვოკატობაც კი სცადა. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა პრესაში („დროება“, 1870-1872, N45, 46, 49).

ქართულ საზოგადოებას ისიც შეუმჩნეველი დარჩა, რომ ვალების გადაუხდელობის გამო საჯარო ვაჭრობით გაიყიდა რაფიელ ერისთავის საგვარეულო მამულის დიდი ნაწილი – 900 დესეტინა სახნავ-სათიბი მიწები სოფელ ბოჭორმაში.

პოეტი დაბეჯითებით ეძებდა საარსებო წყაროს: მოხსენებით მიმართავდა ხელისუფლებას პენსიის დანიშვნის თხოვნით.

1898 წ. ნავთობის საქმეშიც სცადა ბედი: გარკვეული თანხა დააბანდა და საქმის წარმოება თავის სიძეს ნიკო ხიმშიაშვილს მიანდო.

თანამედროვეთა უმრავლესობისათვის რაფიელ ერისთავი ეკუთვნოდა ადამიანებს, რომლებიც „ჩუმად, უყვირლათ, უანგაროთ, თავისი ქვეყნის გულისტკივილით შესდგომიან საქმეს და შეძლებისდაგვარად, ცდილობენ მოუტანონ ჩვენს დავიწყებულს და დაჩაგრულს ქვეყანას სარგებლობა“ (ა. ფ., 1873).

საეროვნო საქმით გულშემძრული ყველა მოღვაწე რაფიელს სთხოვდა შემწეობას, მხარში ამოდგომას. თვითონაც ჩქარობდა სახელმწიფო სამსახურის ქართველი საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენებას. მაგალითად, ქართული ენის ცენზორის თანამდებობაზე მყოფი ალ. ჯაბადარს სთხოვდა: „მე არ ვიცი ცენზორი როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზორის მხრივ, საჩქაროდ წარმომიდგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო“ (ჯაბადარი, 1934).

1862 წელს 13 აპრილს ივანე კერესელიძე აცნობებდა რაფიელს, რომ მისი იმედი ჰქონდა ლიტერატურულ პაექრობაში: „თუ შენ კარგა მყევხარ, მე არავისი არ მეშინიან“ (კერესელიძე, 1935).

1895წ. 9 ივნისს დიდ ზეიმში გადაიზარდა მისი სტუმრობა თიანეთში (ხ-შვილი, 1885).

იუბილეს შემდეგ გაერიდა აქტიურ ცხოვრებას, თბილისს, განმარტოვდა.

1897 წ. აკაკი თელავში ესტუმრა რაფიელს.

პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა ცნობები რაფიელის შესახებ, მაგ. ასეთიც დაიბეჭდა: „ბევრი შრომისა და მეცადინეობის გამო, ცოტა არ იყოს მოღალულ-მოქანცულია, მაგრამ გული ჭაბუკური აქვს და აღსავსე იმედებით“.

დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ თერგდალეულები, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძე. მაგ. მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა რაფიელის იგავ-არაკების გამოსაცემად, მას წერილით შეატყობინა, რომ ქართველთა წიგნთა მბეჭდავის საზოგადოების ფულით გამოსცემდა მის კრებულს ზ. ჭიჭინაძის სტამბაში.

ქართველი მწერლები ხშირად იხსენებდნენ და პატივს მიაგებდნენ რაფიელ ერისთავს.

ვაჟას მიერ მიძღვნილ ლექსში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ქართული საზოგადოების დამოკიდებულება:

„სამშობლო ხევსურისამა  
ყველასაც გული დაღარა,  
გრძნობა შესწირე ზვარაკად  
შენსა სამშობლო მხარესა.  
ბარს ვინღა ასწევს მთამდინა  
ან მთას ვინ გააბარებსა“? (ფშაველა, 1901)

რაფიელ ერისთავი 1901 წ. 19 თებერვალს ნაშუადღევს აღესრულა, 77 წლის ასაკში.

შავ ცხენებზე მსხდომ ცხრა ხევსურს მიჰქონდა წარწერა: „**მოდით და იხილეთ სიკვდილი პოეტისა როგორ გადაიქცევის სიცოცხლედ**“ (ჯაგოდნიშვილი, 1986).

დაკრძალეს ქისტაურში, 1938 წ. გადაასვენეს თელავში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1951წ. ქისტაურში გაიხსნა სახლ-მუზეუმი, 1974 წ. აღინიშნა მისი დაბადების 150 წლისთავი, თბილისის სკვერში დაიდგა ე. ამამუკელის მიერ გამოძერწილი მისი ძეგლი. ქუჩას რაფიელის სახელი დაერქვა.

ასე დამთავრდა XIX საუკუნის დიდი ეროვნული მოღვაწის ამქვეყნიური სიცოცხლე და გადავიდა იმიერ საქართველოში.

რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის მეორე ნახევრის უთვალსაჩინოესი საზოგადო მოღვაწეა – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ქართული კულტურის მკვლევარი – ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, დიალექტოლოგი, ლექსიკოგრაფი, ლექსიკოლოგი, ამასთან მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე, ქართული თეატრის უანგარო მსახური – რეჟისორი და მსახიობი იყო. მან ბევრწილად განსაზღვრა XIX ს. 70-80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის შინაარსი, ილია ჭავჭავაძესთან გვერდში დგომით, შეძლო ქართველი კაცის სამშობლოსთან სულითხორცეული განუყოფლობის ხელშესახები ხატის თანამედროვეებისათვის გამოვლენა, დედა ენისა და თოვლიან-ყინულებიანი მთების სახით და ეროვნული მისწრაფებების გეზის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

რაფიელ ერისთავმა თავისი პიროვნულობით და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით სამშობლოს მსახურების ბრწყინვალე მაგალითი მისცა თავის თანამედროვეებს და შეძლო წარსულიდან ჩვენი დროის ქართველებისათვის ხმის მოწვედენა.

XIX საუკუნემ იგი ღირსეულად დააფასა, რადგან სამშობლოს მსახურების ბრწყინვალე მაგალითი დაგვიტოვა.

#### ლიტერატურა:

- არჯევანიძე, ე. (1965). ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა. თბილისი: „მეცნიერება“.
- ა. ფ. (1873). სასოფლო.წერილები. „გუთნის-დედა“, 17:1-4.
- ბროსე, მ. (1850). არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847- 1848.
- ვაშაყმაძე, შ. (1962). რაფიელ ერისთავი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ვაშაყმაძე, შ. (1955). რაფიელ ერისთავის წერილები აკადემიკოს მარო ბროსესადმი. „ლიტერატურული ძიებანი“, IX: 409-424.
- „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. (1935). ივანე კერესელიძის წერილები. წიგნი 1. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მანსვეტაშვილი, ი. (1936). მოგონებანი. ტფილისი: ფედერაცია.
- მიქაბერიძე, ი. (1861). მთხოვნელი მსაჯულისადმი. „ცისკარი“, 1:137.
- „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“. (1899). თბილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.
- ფშაველა, ვ. (1901). თ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ. „ივერია“, 45:1.
- წერეთელი, ა. (1895). საყურადღებოთ. გაზეთი „კვალი“, 22:3.
- წერეთელი, ა. (1901). მცირე შენიშვნა. „ივერია“, 168:1-2.
- წერეთელი, ს. (1901). პატარა ვანიჩკა. „ივერია“, 70:1.
- ჯაბადარი, ა. (1934). მოგონებანი. „მნათობი“, 1-2:259-279.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). რაფიელ ერისთავი. თბილისი: „ნაკადული“.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (1979). რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება. თბილისი: „მეცნიერება“.
- ხ – შვილი, ნ. (1885). მივარდნილ მხარეში (წერილი თიანეთიდან). „დროება“, 131:1.

## 200th Anniversary of Rafiel Eristavi

Jagodnishvili Temur

Georgien Technical University, Tbilisi

### Abstract

November 2024 marked the 200th anniversary of the birth of the famous Georgian poet and public figure – Rafiel Eristavi. This anniversary was celebrated in the format of sessions of one of the sections of the scientific conference. In addition, at the G. Leonidze Museum of Literature on February 11, 2025 were held a photo exhibition and presentation of the book „Raphiel Eristavi 200“.

This book, although contains a photographic chronicle of the poet's life, literary-critical writings reviewing and evaluating his work, but it cannot be distinguished by the abundance of authors, the depth and comprehensiveness of the presentation of the creative, social, and scientific work of the famous figure. In addition, the planned collection of conference proceedings has not yet been published.

This is how they modestly celebrated the 200th anniversary of the birth of an outstanding figure, Rafiel Eristavi, who made a significant contribution to the creation of Georgian culture in the 19th century.

Unlike the 21st century, the 19th century more accurately read the great content of his work and paid him due respect. But Raf. Eristavi truly deserves great gratitude, love, recognition and immortality not only for his amazingly rich and multifaceted heritage, but also for creating a visible image of love for the homeland, inseparability from it, finding a poetic answer to the question: what is the homeland and love for the homeland?

In the 1970s-1980s not a single significant public, national initiative or project was implemented in Georgian reality without his leadership or active participation; This would include the creation of a society for the dissemination of literacy among Georgians, the creation of a Georgian theatre society, the creation of a public library, the creation of a commission to determine the text of „The Knight in the Panther's Skin“ and the unique publication of the poem, the creation of a Georgian museum and much more.

Raf. Eristavi was a great statesman – an official and translator for special affairs of the Tush-Pshav-Khevsureti Regional Administration, an special Affairs Officer of the Governor-General of Kutaisi, a provincial prosecutor, a manager of Samegrelo affairs, and the head of the Zugdidi district. However, everywhere and always, he was first and foremost a great patriot. In parallel with his civil service, he was prolific in writing – publishing poems, writing short stories, and dramatic works; He collaborated in the Georgian and Russian press, published sharp journalistic pieces and articles, and stood vigilantly guarding national interests;

He was engaged in a surprisingly diverse activity in the field of science. He was a continuer of the scientific interests of European orientalism – a lexicologist and lexicographer, published the most important bilingual and trilingual dictionaries, laid the foundation for the tradition of compiling industry terminological dictionaries in our country, as well as dialectological and explanatory dictionaries.

Raf. Eristavi also worked fruitfully in the fields of Georgian ethnography and folklore. Using direct observation and descriptive methods, he studied the traditional life of Tush-Pshav-Khevsureti, Tusheti, Imereti, Samegrelo, Samurzakano and Svaneti. He recorded and collected oral texts and published them in the form of letters and scientific studies in print, in collections of scientific societies and in separate books. The materials he found and discovered have not lost their historical and scientific value to this day, being indisputable facts and sources for modern scientific research.

Along with this amazingly versatile work, he was a desirable and respected person in Georgian society, a leader of gatherings that he adorned with his personality.

Georgian society appreciated Raf. Eristavi tireless work accordingly, which was primarily reflected in the constant public attention and love shown for his life and work.

No other Georgian figure of the 19th century enjoyed such universal love and recognition as Raf. Eristavi. This was especially evident on October 22, 1895, when was celebrated on his 70th birthday and 50th anniversary of his public activity, in which the entire Georgian nation participated and the anniversary was called a public holiday. This anniversary became a fact of awakening of culture and national consciousness of the Georgian people and laid the foundation for the tradition of celebrating anniversaries among us.

The work analyzes the facts of Raf. Eristavi's multifaceted activities and presents their national significance.

**Keywords:** *Rafiel Eristavi; Public activity; Science; Multifaceted; Anniversary; Folklore.*

ოსიპ მანდელშტამი. განუხორციელებელი მეტამორფოზა  
„კავკასიელი მთიელიდან“ - ჯულაშვილამდე

ჯოხაძე გრიგოლ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.64>

**აბსტრაქტი.** 1937 წელს „ანტისტალინური ეპიგრამისთვის“ ვორონეჟში „გამოკეტილი“ ოსიპ მანდელშტამის გადასახლების ვადა ამოიწურა. ბუნებრივია, პოეტი დაინტერესდა, რა ელოდა შემდეგ და შეძლებდა თუ არა ბელადის იმპლიციტური ხოტბით თავისუფლების „ყიდვას“. ტექსტს შინაურულად „ოდა“ უწოდეს. როგორც კვლევამ აჩვენა, „ოდა“ კრებს და მოიხმარს ყველა იმ კლიშეს, რომლებსაც ძლევამოსილი და საყვარელი ბელადის პორტრეტის დასახატად იყენებდნენ. შესაძლებლად მიგვაჩნია გარკვეული მოდელის რეკონსტრუირებაც, რომელსაც ექვემდებარებოდა სტალინის განდიდების სტრატეგია: საბჭოელები ყურადღებას ამახვილებდნენ პირველყოფილ ტომობრივ კავშირებზე და მათ აქცევდნენ სოციალური ლოიალობის მთავარ სიმბოლოდ. საბჭოთა საზოგადოების ლიდერები იქცნენ „მამებად“ (სტალინის მოთავეობით), ეროვნული გმირები - „ძეებად“, სახელმწიფო - „ოჯახად“ ან „ტომად“. სტალინი ასრულებდა რიტუალური „მამისა“ და „მასწავლებლის“ როლს. „მამობრივი“ ურთიერთობა არა მხოლოდ ზრუნვის ვალდებულებას შობდა, არამედ - ძალაუფლებასაც ანიჭებდა „მამას“. შესაბამისად იქცეოდნენ „ძეებიც“. ეს ნამდვილი რიტუალური ურთიერთქმედება იყო. ამას და რამდენიმე სხვა არქეტიპული მოდელის იმპლიკაციებს ვაწყდებით მანდელშტამის ტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** მანდელშტამის სტალინური ოდა, არქეტიპული მოდელები, საბჭოთა პოლიტტექნოლოგია

1933 წლის ნოემბერში ოსიპ მანდელშტამი წერს ანტისტალინურ ეპიგრამას (Мы живем, под собою не чуя страны...), რომელსაც ათობით ადამიანს აკითხებს. ერთ-ერთმა ალბათ დაასმინა და პოეტი 1934 წლის მაისში დააპატიმრეს, სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე სტატიის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული „ანტისაბჭოთა აგიტაცია“ დასდეს ბრალად და ცოლთან, ნადეჟდა მანდელშტამთან ერთად, ჯერ ურალში, პერმის მხარეში, ჩერდინში, გაასახლეს, შემდეგ კი ვორონეჟში „გამოკეტვა“ აკმარეს - მეტწილად, უსამსახუროს და უსახსროს. მალე „ტროცკისტობაც“ დასწამეს. 1937 წლის მაისში გადასახლების ვადა ამოიწურა.<sup>1</sup>

1937 წლის 17 აპრილს მანდელშტამი კორნეი ჩუკოვსკის სწერდა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემთვის ამ უბედურების აცილება ძალუმს, სტალინია, მისწერეთ მას და ჩემი გათავისუფლება სთხოვეთო (სიტყვა და ბედი 1991: 47).

რა გასაკვირია, ჩუკოვსკის ეს ანტისტალინელის რეპუტაციამოხვეჭილი და შერისხული მანდელშტამის აგონიურ (თანაც - ნაგვიანევ!) ამოძახილად აღექვა! ან: რატომ უნდა გამოჰქომდაგებოდა ყველასათვის განწირულ თანამოკალმეს და საკუთარი თავი ჩაეგდო საფრთხეში?

მოკლედ, ამ წერილს არც პასუხი მოჰყოლია, არც - შედეგი.

ამერიკელ მწერალსა და ჟურნალისტთან, რობერტ ლიტელთან (დ. 1935) შეხვედრისას (1979 წ.) პოეტის ქვრივს უთქვამს: მანდელშტამი ერთადერთი რუსი

ინტელექტუალი როდი იყო, რომელიც სტალინს მოეჯადოებინა. მას აინტერესებდა, რა ენიგმა იმალებოდა მის თვალში... რამ გარდაქმნა კავკასიელი გლეხი ჯუღაშვილი კრემლის ბინადარ გლეხთამყლელ სტალინად – ნამდვილ პარანოიკად? (ლიტელი).

\*

ამ პასაჟების შემდეგ კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი შესაძლოა ეს წინადადება აღმოჩნდეს:

1937 წლის 12 იანვარს (ანუ ჩუკოვსკისთვის წერილის გაგზავნამდე სამი თვით ადრე მაინც) მანდელშტამმა თვითონ „მისწერა“ სტალინს.

ის ალბათ (პირველად სიცოცხლეში!) ლექსის საწერად მაგიდას მიუჯდა და წინ ფურცლები და წათლილი ფანქრები დაიწყო (მანდელშტამი, ძირითადად, ზეპირად თხზავდა და შემდეგ გადაჰქონდა ქალაღდზე)!

არც თუ უსაფუძვლო მოტივაცია: გადასახლების ვადის ამოწურვისას, ბუნებრივია, პოეტს მონდომებოდა იმის გარკვევა, რა ბედი ელოდა შემდეგ. ეგებ შესაძლებელი გამხდარიყო ამ ლექსით თავისუფლების „ყიდვა“?!

\*

ცოლ-ქმარმა ლექსს, რომელიც პოეტმა 1937 წლის მარტში დაასრულა, შინაურულად „ოდა“ უწოდა და მოსკოვის რამდენიმე რედაქციას გაუგზავნა. მოგვიანებით მანდელშტამი ლექსის განადგურებას მოინდომებს, მაგრამ ვორონეჟელი მეგობარი, ნატაშა შტემპელი, ხელნაწერს მაინც შეინახავს: „ბევრი მირჩევდა, ლექსი გადამემალა, თითქოს მსგავსი არც არაფერი ყოფილიყო. ამას არ ჩავდივარ, უამისოდ სიმართლე უსრული იქნებოდა: ორგემაგე ყოფა ჩვენი ეპოქის აბსოლუტური ფაქტია, და ამას ვერავინ დაუსხლტა. ოღონდ სხვები ასეთ ოდებს თავიანთ ბინებში და აგარაკებზე თხზავდნენ და, სანაცვლოდ, ჯილდოებს იღებდნენ. ოსიპ მანდელშტამმა ეს ყელზე თოკმოხვეულმა ჩაიდინა... ახმატოვამ - მაშინ, როცა ყულფს მის ვაჟს სდებდნენ... ვინ დაძრახავს მათ ამ ლექსებისთვის?!... - წერდა ნადეჟდა მანდელშტამი (ნადეჟდა მანდელშტამი 1989:197).

1975 წელს „ოდა“ უცხოეთში დაიბეჭდა, საბჭოთა კავშირში კი, რა თქმა უნდა - მოგვიანებით: ჯერ, ნაწილობრივ (1981 წ.), შემდეგ კი - სრულად (1989 წ.) (მანდელშტამი).

\*

ეს ლექსი, თუ რამეს ადასტურებს, იმასლა, რომ მანდელშტამი არასოდესაა ცალსახა. არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივია მისი როგორც პიროვნულ-ეთიკური, ისე - შემოქმედებით-ესთეტიკური არჩევანი და „პოზიცია“. ოღონდ, არავინ უნდა იფიქროს, რომ სიტყვები „არჩევანი“ და „პოზიცია“ რაიმე ისეთს გამოხატავს, რაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და ურყევია. თავისუფლების აღქმა, შეგრძნება, ბიოგრაფია და რომელიღაც აბეზარი ფსიქოლოგიური მექანიზმი (ან ტრავმა თუ კომპლექსი...) პოეტს *იმდენჯერ და ისე* აარჩევინებს რასმე, *რამდენჯერაც, რამდენადაც და როგორაც* კონკრეტულ ვითარებაში სწორად მოეჩვენება. მისი პიროვნებისა და შემოქმედების უტყუარად მწვდომისა და შემცნობის ამბიციამ ლამის ერთმანეთს გადაჰკიდა სახელმოხვეჭილი მკვლევრები და კომენტატორები. მეტიც: მისი ესა თუ ის სავსებით პროზაული საქციელიცა და პოეტური ამოძახილიც ყოველთვის სათუოდ, ორგემაგედ, ამბივალენტურად ესახებათ – მაშინაც, როცა საბჭოურ ტირანასა და სტალინს ეწინააღმდეგება, და მაშინაც, როცა ორსავეს

ერთგულებას ეფიცება და ელაციცება. ეს ბედი ხვდა წილად ამ ლექსსაც. პოეტი აქაც ენიგმატურ ფიგურად მიიჩნევა: სასტიკი და მონური ოიკუმენსაგან გაუცხოება და განაპირება ერწყმოდა საზოგადოების წევრად ყოფნისა და პოეტად ცნობისაკენ მიაბიტურ სწრაფვას.

მკვლევრები ახლაც მხრებს იჩეჩენ. ჰგონიათ, რომ:

ამ ლექსით პოეტი ცხოვრების მდინარებას დაჰყვა და შექმნილი მოცემულობა სოციალურ ფაქტად აღიარა (გასპაროვი 2000:41).

მიზანმიმართულად და გულწრფელად ილტვოდა ხალხისაკენ, სამყაროსაკენ (გიდოვი 1991:284).

ლექსი განმსჭვალულია ირონიით, თვითირონიითა და გაჯერებულია ეზოპეს ენის ელემენტებით (მეს-ბეიერი 1991:243-393); ფროლოვი 2008; ჩერნოვი 2003).

ავტორი სულიერად იტანჯება და ვერ უსხლტება კონფორმიზმის საცდურს მოსალოდნელი სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში (ივასკი 1971:109-123).

პოეტმა გადასინჯა თავისი დამოკიდებულება სტალინისადმი და დააფასა ის, რომ „მსუბუქი“ გადასახლება აკმარეს (გერშტეინი 1986).

პოეტმა ეს ლექსი თავის ეპოქასთან გარკვეული რეზონანსის მისაღწევად შექმნა (ნერლერი 2004).

ეს ლექსი ადასტურებს პოეტის მიერ გამოვლენილ სისუსტეს ჯოჯოხეთური რეჟიმის დამწიხვლებელი მანიპულაციის წინაშე, და დრეკს პიროვნებას (სარნოვი 1990).

ჩვენ წინაშე მეცნიერთა ნააზრევია, და, შეიძლება ითქვას, მანდელშტამის პიროვნულ-შემოქმედებითი ვექტორივით, ზიგზაგებით აღსავსე.

პოეტი ანატოლი ნაიმანი ფიქრობს, რომ შესავალ სტროფებში მანდელშტამმა ის წარმოისახა, თუ როგორ ცდილობენ ბავშვები პორტრეტის გადმოხატვას, და მეტი მსგავსებისათვის უჯრიან ფურცლებს იყენებენ<sup>2</sup>:

ნაიმანს „ოდა“ ქებად არ მიაჩნია. საქმე ის არის, რომ მანდელშტამის ცენტრალური გაგება, რომლითაც ის კაცობრიობას აღნიშნავდა, სიტყვა იყო. მისი „ძრავა“ ახლაც სიტყვაა – ადამიანის სახელი (ჩვენს შემთხვევაში – სტალინისა. მნიშვნელოვანია, რომ სტალინი და მანდელშტამი სეხნიები იყვნენ!). ამ ნაწარმოებში პოეტი სტალინს სათანადო ადგილს „უჩენს“ – მთელი ინტერნაციონალური კაცობრიობის მმართველად სახავს, მაგრამ ბელადის „პირმტკიცობა“ (крепкий пот) ნაიმანს აფიქრებინებს, რომ მანდელშტამი ლაპარაკის პრივილეგიას სტალინსაც კი ვერ დაუთმობდა: ამგვარად, ერთი იოსები მმართველია, მეორე კი – ქადაგი – ამ „კლასიფიკაციას“ ჰვრეტს „ოდაში“ რუსი პოეტი. მანდელშტამმა იცოდა თავისი ფასი. ის კი არ შესჩენია ან აჰკიდებია სტალინს, არამედ თითქოს უთხრა: შეხედე, რა ლექსი გიძღვენიო! ანატოლი ნაიმანი იხსენებს 1990-იან წლებში 16 წლის უნახავ იოსიფ ბროდსკისთან შეხვედრას: ორი პოეტი ერთმანეთს ასწრებდა „ოდაზე“ საქებარი სიტყვების თქმას!

ოღონდ ნაიმანს არ გაუზიარებია ბროდსკის მოსაზრება, რომ მანდელშტამი შეცდა, როცა ამ დონის ლექსი მიუძღვნა სტალინს: ტირანებს არ უყვართ, ისტორიაში მათი დარჩენის შესაძლებლობას ვიღაცის ლექსი განაპირობებდეს. პირიქით, პოეტი იმით უნდა გახდეს ცნობილი, რომ ლექსი მიუძღვნა დიდებულ ადამიანს! (ნაიმანი მანდელშტამზე).

ჩემი მხრივ კი, დავამატებდი: ტირანებს არ უყვართ, როცა რამე მათზე უკეთესია, მათ შორის – ვერც დიდებულ ლექსებს იტანენ!

2 „ხელით ნახშირს რომ დავწვდომოდი ქება-დიდებად, მხიარულ ფერებს მომფრქვევდა უთუოდ დილა, ჰაერის ყდაზე გამოსახვა არ მომწყინდება როთულ და ემზაკურ კუთხეების – მფრთხალად და ფრთხილად...“ (Когда б я уголь взял для высшей похвалы — Для радости рисунка непреложной, — Я б воздух расчертил на хитрые углы И осторожно и тревожно).

\*

მანდელშტამი „ოდისთვის“ ლამის ყველა იმ კლიშეს კრებს და მოიხმარს, რომლებიც კი სტალინის განსაზღვრულად იმხანად გამოეყენებინათ:

ის „სამყაროს ღერძს“ აბრუნებს; საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ას ორმოცი ხალხის წეს-ჩვეულებებს პატივს სცემს; მის პორტრეტებს ხატავენ (თვითონ პოეტიც ამ საქმეს შესწიდებია!); შექებულია მისი ღიმილი; მისი ბრძნულად გამომზიარალი თვალეები; მისი სმენამახვილობა; მისი სამშობლო - კავკასიის მთები, მისი თავდადება, და ა.შ. (მანდელშტამი).

\*

ამ კლიშეთაგან ერთ-ერთია სტალინის „მამად“ დასახვა. ლექსში „მამა“ სამჯერ იხსენიება<sup>1</sup>:

„შევუფარდებდი ტყუპისცალის ბრძნულ თვალთა თამაშს  
მე იმ გამოთქმას, არ გავუმხელ რასაც დროებას,  
უახლოვდები და შეუმცდარ გეშით ცნობ მამას,  
სუნთქვა გეკვრის და გრძნობ სამყაროს მოახლოებას“.

1 И в дружбе мудрых глаз найду для близнеца,

Какого, не скажу, то выражение, близясь

К которому, к нему, — вдруг узнаешь отца

И задыхаешься, почуяв мира близость.

ამ პოეტურ ხილვაში სტალინი ჯერ „ტყუპისცალია“, შემდეგ კი - „მამა“, რომლის სიდიდე/სიდიადეც სამყაროსას ედრება და მასთან მოახლოების სიზმარეული პრეცედენტიც კი მთქმელს სუნთქვას უკრავს; „ასეთი მამიკოს შემხედვარეს შეიძლება სულიც ამოგხდეს!“ - შენიშნავდა ნადეჟდა მანდელშტამი.

\*

„შენც, ხელოვანო, გაუფრთხილდი მეომრის ამაგს,  
ტყედ შემოერთყი, მცველ ფიჭვნარის ჰქმენი ფიჭვობა,  
დაუდარაჯდი, რომ ვერავინ შეჰკადროს მამას  
ნადრახი ზრახვა, უჭკუობა და უნიჭობა“.<sup>1</sup>

ეს ლამის ლოზუნგია, რომლის პროზაულ ვერსიასაც პარტიულ დოკუმენტებშიც ამოიკითხავდი და საჯაროდ გამომსვლელთაგანაც მოისმენდი. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ოდის“ ობიექტი კვლავაც ყოველმხრივ საზრუნავ და მოსაფრთხილებელ „მამად“ სახელიდება.

\*

„მენიშნებინა, მოვინდომე, წამახულ ისრით  
პირმტკიცობაზე მამის, ჯიუტ სიტყვებს რომ კვერავს,  
ქუთუთოებო, მკვეთრად ნამერწ სიღრმიდან ისვრით  
მილიონობით ჩარჩოთაგან გამოჩრილ მზერას“<sup>2</sup>.

1 Художник, береги и охраняй бойца:

В рост окружи его сырм и синим бором

Вниманья влажного. Не огорчить отца

Недобрым образом иль мыслей недобором

2 И я хотел бы стрелкой указать

На твердость рта — отца речей упрямых,

ეს ფანტაზმა „ორი კურდღლის მოკვლას“ ცდილობს: ერთი მხრივ, ყურადღება მიგვაპყრობინოს „ოდის“ ობიექტის „ბაგეგაუხსნელობაზე“ (твердость рта), რაც ეგებ სპარტანულ სიმკაცრესა და, შესაბამისად, ლაკონიურობაზე მიგვითითებს, მეორე მხრივ კი, იმაზე, რაც ამ ბაგეებს ამოსცდება - ე.წ. ჯიუტმეტყველებასა თუ „გაჯიუტებულ“ სიტყვებზე. მანდელშტამი აქ, ერთი მხრივ, სტალინისათვის ნიშანდობლივ სიტყვაძვირობაზე მიგვითითებს, მეორე მხრივ კი, ცდილობს, ის, რომ სტალინი დიდი ენაშქვერობით ვერ დაიკვებინდა, ღირსებად „გარდასახოს“.

ჩვენ ყოველივე ეს „პირმტკიცობად“ გადმოვიტანეთ, რაც ქართულში სათანადო ასოციაციებს აღძრავს, მისი კონოტაცია კი საქებრად ზედგამოჭრილია!

\*

სტალინი „მამად“ მანდელშტამამდეც არაერთხელ მოუხსენიებიათ, მის დროსაც და მას შემდეგაც.

არსებობდა თუ არა რაღაც მოდელი, რომლის რეკონსტრუირებაც შეგვაძლებინებს მე-20 ს. 20-30-იანი წწ. სოციალურ-პოლიტიკური თუ მხატვრული რეალობის უკეთ წვდომას და ინტერპრეტირებას?

\*

ამერიკელი მკვლევრის, კატერინა კლარკის აზრით, გერმანიისა და ზოგი სხვა ქვეყნის მსგავსად, საბჭოელები ყურადღებას ამახვილებდნენ პირველყოფილ ტომობრივ კავშირებზე და მათ აქცევდნენ სოციალური ლოიალობის მთავარ სიმბოლოდ. საბჭოთა საზოგადოების ლიდერები იქცნენ „მამებად“ (სტალინის მოთავეობით), ეროვნული გმირები - „ძეებად“, სახელმწიფო - „ოჯახად“ ან „ტომად“. სტალინი ასრულებდა რიტუალური „მამისა“ და „მასწავლებლის“ როლს. „მამობრივი“ ურთიერთობა არა მხოლოდ ზრუნვის ვალდებულებას შობდა, არამედ - ძალაუფლებასაც ანიჭებდა „მამას“. შესაბამისად იქცეოდნენ „ძეებიც“. ეს ნამდვილი რიტუალური ურთიერთქმედება იყო (კლარკი 1981:114;124-127).

\*

რუსი მკვლევრის, დიმიტრი ბიკოვის აზრით, სტალინური ეპოქის პოლიტექნოლოგია მითს ეფუძნებოდა. აქ მამა ღმერთი ლენინია, სტალინი კი - დაცემული ანგელოზი ან სულაც - ქრისტე. ის ამ ორივე ჰიპოსტასს ძალზე საინტერესოდ იყენებდა. სტალინი, სავსებით უცნაურად, ერთდროულად განასახიერებდა, პირველ ყოვლისა, უნივერსალურ მამას, საყოველთაო მამა-ჰუმანისტს, მეორე მხრივ - საყოველთაო დამსჯელ რევიზორს: ადამიანს, რომელსაც ყველა ელოდა, და რომელიც მოვიდა, როგორც ზეციურ, ჯოჯოხეთურ ძალთა გენერალური ინსპექტორი. ამას გარდა, ეს ვოლანდის სახეცაა, ირაციონალურ-ინფერნალურ ძალთა განსახიერება, რომელსაც ბოროტების ჩადენა სწადია, მაგრამ სიკეთეს სჩადის. მისი ამოცანა ხომ ძალიან მარტივია: მამა ღმერთისაგან განდგომილმა, სცადოს სამყაროს განადგურება, როგორც სატანის წესია, მაგრამ ამას თანამედროვენი სიკეთედ აღიქვამენ, რადგან, მის გარდა, არავინ ებრძვის რუსეთის ჩამორჩენილობას, რუსულ ბიუროკრატიზმს ... მისი ქმედება სამართლიან შურისგებად მიიჩნევა... ეს არის პილატეს, ვოლანდისა და სტალინის ნაზავი... ის უსასტიკესია, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია! ეს შერწყმა რევიზორისა, გულმოწყალე მამისა და ეშმაკისა უაღრესად საინტერესო კონოტაციებს შობს... (ბიკოვი).

\*

გერმანელი მკვლევრის, იან პლამპერის აზრით, სტალინის „მამად“ დამკვიდრება ეთნიკურობის სტიგმის გადალახვასაც ისახავდა მიზნად. საამისოდ პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო წოდება, რომელიც მას „შეეზარდა“ - „ხალხთა მამა“. ამ სახის ფარგლებში სტალინს წარმოსახავდნენ იმ პატრიარქად, რომელიც მოთავეობს საბჭოთა ხალხების ჰარმონიულ ოჯახს. ამ მხატვრული სახის გასავრცელებლად გამოიყენებოდა პოეზია, კერძოდ კი - ფოლკლორი. გორკიმ მოუწოდა მწერლებს, წარსულის წარმომჩენი ჟანრიდან ფოლკლორი თანამედროვე ჟანრად გადაექციათ. ტრადიციულ რუსულ თქმულებათა ჟანრი „ბილინა“ გარდაიქმნა „ნოვინად“. ეს ნეოლოგიზმი საბჭოთა თანამედროვე ანუ ახალი თემატიკის ათვისებაზე მიუთითებდა.

„მამის“ სახის გასაცოცხლებლად ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური და დემოკრატიული ფიგურა შვილია. ამ არქექტიპულ „მამაშვილობასაც“ დიდი ენთუზიაზმით იყენებდნენ. 1935 წელს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფოტო, რომელზეც ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარი ბელადი 11 წლის პიონერ ნინა ზდროგოვასთან ერთად ესალმება ფიზკულტურელთა ადლუმს. იმ მომენტიდან - ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე - გავრცელდა ფოტოები, რომლებზეც სტალინი არარუსი პატარა გოგონების გვერდით აღებეჭდათ. „მამის“ სახის გასამართლებლად ბელადი კოცნიდა ბავშვებს, ხელს ართმევდა მამებს და სტუმრობდა მოსკოვის ბავშვთა სახლებს (პლამპერი).

ამერიკელი მკვლევრის, სტივენ კოტკინის თანახმად, 1935 წელს სტალინს ნება დაურთავს „პიონერსკაია პრავდასთვის“, მისი ფოტო ქალ-ვაჟთან, სვეტლანასა და ვასილისთან ერთად, გამოექვეყნებინა. მალე ეს ბავშვები გაქრებიან მხედველობის არიდან, მაგრამ შვილებზე მზრუნველი ლიდერი მამის ხატ-სახე, დარჩება (კოტკინი 2017:171).

კოტკინი მიიჩნევს, რომ სტალინს მოიხსენიებდნენ ფორმით - Отец და არა - Батюшка, როგორც რუს მეფეებს (კოტკინი, 2017:700), თუმცა ეს მთლად ასე არ არის. ჩვენ წავაწყდით გეოგრაფ ივან პაპანინის 1938 წლის არქტიკული ექპედიციისადმი მიძღვნილ ერთ ფსევდოფოლკლორულ ტექტს, რომელშიც სტალინი სწორედ „ბატიუშკად“ მოიხსენიება. თანაც, ეს „ბატიუშკა“ „იოსებ სინათლე ბესარიონის ძეა“ (პლამპერი).

\*

როგორც უნდა იყოს ეს წარმოსახვითი მოდელები, ისინი მაინც იმ ისტორიული რეალობის შემდეგ და გათვალისწინებით შეიქმნა, რომლის შესახებაც ლამის ყველამ ყველაფერი იცის. ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ მიკერძოებას, ვოლუნტარიზმსა და წინასწარ შექმნილ უარყოფით დამოკიდებულებას.

თუმცა ამ რეალობის თითქმის ყოველი ფურცელი დოკუმენტირებულია და საარქივო მასალებიც, რომელთა მიკვლევა და გამოყენებაც რუსმა და უცხოელმა მეცნიერებმა მოასწრეს, ამ მოდელების შესაძლო ცხოველმყოფლობას მაინც ადასტურებს.

საბჭოთა პოლიტიკური ტექნოლოგია ზუსტად ისეთი იყო, როგორც - ნებისმიერი ტოტალიტარული ქვეყნისა, მაგრამ ის პიონერული გახლდათ, და ეს უადრესად გასათვალისწინებელი ფაქტორია. სამწუხაროდ, არ ვიცით, კერძოდ, ვინ ასახლებდა საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში ზემოთ განხილულ არქექტიპებს, ვინ ამკვიდრებდა ზემოთ განხილულ სააზროვნო სტანდარტებს, მაგრამ ვიცით, რომ ისინი იმდენხანს ინარჩუნებდნენ არსებობის უფლებას, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდა სტალინი. საბჭოთა ადამიანი, ისე ჩანს, დიდ გონებრივ სისხარტესა და

ფსიქიკურ დინამიკას ამჟღავნებდა: ის იმ შუასაუკუნეობრივი ადამიანით იქცეოდა, რომელიც გარკვეული ასაკის მიღწევამდე, სტიქიებისა და ავადმყოფობების გადალახვამდე და ცოცხლად დარჩენამდე, უარს ამბობდა შვილის თავდავიწყებით შეყვარებაზე. საბჭოთა ადამიანიც იოლად და უტკივილოდ განემორბოდა იმას, რასაც გუშინ საფიცრად მიიჩნევდა! თუმცა ეს მყისიერი ოსტრაკიზმი მეტწილად „ძეებს“ ეხებოდა. „მამის“ არქექტიპი უფრო ძლიერამოსილი იყო, და ამას სტალინიც უწყობდა ხელს: ლენინი მის შეუვალ „მამად“ რჩებოდა, ისევე, როგორც თვითონ - დანარჩენი კაცობრიობისა. და ესეც ტოტალიტარული ცნობიერების მარკერია.

ვორონეჟში „გამოკეტილ“ სულიერად და ფიზიკურად შევიწროებულ მანდელშტამს გაზეთების კითხვას არ უშლიდნენ. მან ზუსტად იცოდა, რას და როგორ წერდნენ ბელადზე და, სანაცვლოდ, როგორ იღებდნენ პრემიებსა და კეთილგანწყობას. ამიტომაც თავის „ოდაში“ ამ კლიშეების მხატვრული ტრანსმუტაცია სცადა. როგორც პოეტმა, ეს შეძლო, როგორც მოქალაქეს - არ დაუჯერეს.

#### მითითებანი:

**სიტყვა და ბედი 1991.** Слово и судьба. Осип Мандельштам: исследования и материалы. Москва, Наука, 1991, с. 47

**ლიტელი.** Robert Littell: Nadezhda Mandelstam, <https://www.pwf.cz/en/culture/2832.html>

**ნადეჟდა მანდელშტამი 1989.** Н. Я. Мандельштам, Воспоминания, Москва, Книга, 1989 გვ. 197

**მანდელშტამი.** Мандельштам Осип Эмильевич, Ода, <http://mandelshtam.lit-info.ru/mandelshtam/stihi/stih-389.htm>

**გასპაროვი 2000.** Гаспаров М., Поэт и общество: Две готики и два Египта в поэзии О. Мандельштама//Сохрани мою речь...3/1. РГГУ. Мандельштамовское общество, Москва, 2000, с. 41

**გიდოვი 1991.** Гыдов В.Н., Дышать не для себя..., Воронежский период Осипа Мандельштама, Москва, 1991, с. 284

**მეს-ბეიერი 1991.** Месс-Бейер И., Эзопов язык в поэзии Мандельштама 30-х годов// Russian Literature, 29, с. 243-393

**ფროლოვი 2008.** Фролов И., Откровение Мандельштама (Эзотерика Сталинской Оды), <http://lib-geminus.narod.ru/Science/Mandel.htm>

**ჩერნოვი 2003.** Чернов А.Ю., Поединок с рябым чертом//Закон и проаво, Terra Incognita.spb.ru. Правозащитный альманах. Право и милосердие. Август 7/17

**ივასკი 1971.** Иваск Ю., Вступительная статья, Дитя Европы//О. Мандельштам, Собрание сочинений в трех томах. Под редакцией проф. Г.П. Струве и Б.А. Филиппова. Изд. 2-ое. Международное литературное содружество, Вашингтон, Нью-Йорк, т. 3, 1971, с. 109-123

**გერშტეინი 1986.** Герштейн Э.Г., Новое о Мандельштаме, Главы из воспоминаний. О.Э. Мандельштам в воронежской ссылке (по письмам С. Рудакова), Atheneum. Paris, 1986

**ნერლერი 2004.** Нерлер П., Биографическое исследование Пусты меня, отдай меня, Воронеж//Русский Глобус., Июль, №7

**სარნოვი 1990.** Сарнов Б., Заложник вечности. Случай Мандельштама. Издательство Книжная палата, Москва, 1990

**ნაიმანი მანდელშტამზე.** Анатолий Найман об Осипе Мандельштаме. Часть 1., [https://www.youtube.com/watch?v=bQZ38miQK7Y&fbclid=IwAR2xch\\_nZDNEaENPqPgJupq5u-50NuBe-8L\\_QZH9YOkSwEfqcb3nA4epYRA](https://www.youtube.com/watch?v=bQZ38miQK7Y&fbclid=IwAR2xch_nZDNEaENPqPgJupq5u-50NuBe-8L_QZH9YOkSwEfqcb3nA4epYRA); Анатолий Найман об Осипе Мандельштаме. Часть 2., <https://www.youtube.com/watch?v=8shU3en7Tm4>

**კლარკი 1981.** The Soviet Novel: History as Ritual, by KATERINA CLARK, The University of Chicago Press • Chicago and London, 1981, გვ. 126-127

**ბიკოვი.** Дмитрий Быков об образе Сталина в литературе, [https://www.youtube.com/watch?v=jupnGXFMsBA&ab\\_channel=%D0%A1%D0%B2%D0%BE%D0%B1%D0%BE%D0%B4%D0%BD%D1%8B%D0%B9%D0%BC%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%B0%D1%86%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%80](https://www.youtube.com/watch?v=jupnGXFMsBA&ab_channel=%D0%A1%D0%B2%D0%BE%D0%B1%D0%BE%D0%B4%D0%BD%D1%8B%D0%B9%D0%BC%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%B0%D1%86%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%80)

**პლამპერი.** Ян Плампер, Грузин Коба или «отец народов»? Культ Сталина сквозь призму этничности, [https://www.nlobooks.ru/magazines/neprikosnovennyu\\_zapas/78\\_nz\\_4\\_2011/article/18416/](https://www.nlobooks.ru/magazines/neprikosnovennyu_zapas/78_nz_4_2011/article/18416/)

**კოტკინი 2017.** Stalin: Paradoxes of Power, 1878–1928, BY STEPHEN KOTKIN, PENGUIN PRESS, An imprint of Penguin Random House LLC, 375 Hudson Street, New York, New York 10014, 2017, pg. 171

**Osip Mandelstam. Failed Metamorphosis**  
Kremlin mountaineer to Jugashvili

**Jokhadze Grigol**  
Ilia State University, Tbilisi

**Abstract**

In the winter of 1937, during his exile in Voronezh, as a last desperate measure, Mandelstam tries to write an adulatory “ode” to Stalin. It seemed natural that the poet became interested in what would follow and whether he could “buy” freedom by the instrumentality of this implicit eulogy. As the research has shown, “Ode” collects and utilizes all the clichés that were used to portray Stalin as almighty and beloved leader. It is also possible to reconstruct some model by which the strategy of Stalin laudation planned. Soviets focused on primordial attachments of kinship and projected them as the dominant symbol for social allegiance. Soviet society’s leaders became “fathers” (with Stalin as the patriarch), the national heroes, model “sons”, the state, a “family” or “tribe”. It was Stalin who most often performed the ritual role of “father” or “teacher”. Together with the father’s care came his authority. They were ritual exchanges between “father” and “son”. The presence of such implications is highlighted in Mandelstam’s “Ode”.

***Key words:** Mandelstam’s Stalin Ode, archetypical models, soviet political technology*

## ხელოვნური ინტელექტი წარმოებაში

### ჯიმშიტაშვილი ია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.65>

**აბსტრაქტი:** გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის (ასევე ცნობილი როგორც ინდუსტრია 4.0) ეპოქაში, რომელიც სწრაფად გარდაქმნის წარმოების ყველა პროცესს. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვამ გარდაუვლად შეცვალა საქონლისა და მომსახურების დაგეგმვისა და წარმოების წესი.

შესაძლოა, ინდუსტრია 4.0-ის აღსაწერად საუკეთესო სიტყვა იყოს დიჯიტალიზაცია, რადგან ის თანამედროვე ციფრული სისტემების გამოყენებით აერთიანებს რესურსებს, ინფორმაციას და ადამიანებს. როგორც ვიცით, ისტორიულად, წარმოება იყო სფერო, სადაც ადამიანებს ასწავლიდნენ ეაზროვნათ მანქანებივით. თუმცა, დიჯიტალიზაციის მოსვლასთან ერთად, ეს მიდგომა შეიცვალა და ახლა მანქანები საკმაოდ წარმატებით სწავლობენ ადამიანების მსგავსად აზროვნებას.

აღნიშნულ სტატიაში მოყვანილის ის მიმართულებები (რესურსების შექმნა, თავად წარმოება, ლოჯისტიკა, გაყიდვები, მარკეტინგი, ხარისხის მართვა, დაგეგმარება და დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის პროცესების პროგნოზირება და ა.შ.) სადაც მსოფლიოს წამყვანი კომპანიები გამოიყენებენ ხელოვნური ინტელექტის მიღწევებს ამა თუ იმ ფორმით, მოყვანილია მისი გამოყენების დადებითი მხარეები (ა) პროდუქციის ხარისხი, ბ) საწარმოო პროცესების ხარისხის; გ) საწარმოო უსაფრთხოების ხარისხი; დ) საწარმოო სისტემის მართვის ხარისხი და საფრთხეები (ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მაღალი ღირებულება; გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობა; მონაცემთა ხარისხი) რასაც აუცილებლად უნდა მიაქციონ ბიზნესოპერატორებმა ყურადღება, ასევე განხილულია რამოდენიმე უცხოური კომპანიის მაგალითი.

**საკვანძო სიტყვა:** ხელოვნური ინტელექტი, ბიზნეს კომპანია, წარმოება, ბიზნეს ოპერაციები

დღეს ხელოვნურმა ინტელექტმა გაარღვია ყველანაირი არსებული საზღვარი და ადამიანის არსებობის თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა. რა თქმა უნდა გამოწვევის არც ბიზნესის სფეროა და წარმოების თითქმის ყველა მიმართულებაში შესაძლებელი მისი გამოყენება.

მთავარი დადებითი მახასიათებელი წარმოებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების არის რუტინული ოპერაციების ავტომატიზირება, რაც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს წარმოების ტემპები და შემცირდეს ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომების რაოდენობა.

გარდა ამისა ისიც აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს მისაღები გადაწყვეტილებების სიზუსტეს,

უზრუნველყოფს ცვალებად გარემოში ბიზნეს-პროცესების მოქნილობას, საწარმოო ხარჯების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

რალა თქმა უნდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი მაჩვენებლებს ასევე შესაძლოა მივაკუთვნოთ [Использование ИИ на производстве]:

- ა) პროდუქციის ხარისხის ამაღლება
- ბ) საწარმოო პროცესების ხარისხის ამაღლება
- გ) საწარმოო უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება
- დ) საწარმოო სისტემის მართვის ხარისხის ამაღლება.

ორიოდე სიტყვით უფრო კონკრეტულად, თუ წარმოების რა მიმართულებებშია შესაძლებელი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება: რესურსების შეძენა, თავად წარმოება, ლოჯისტიკა, გაყიდვები, მარკეტინგი, ხარისხის მართვა, დაგეგმარებან დანადგარების მწყობრიდან გამოსვლის პროცესების პროგნოზირება და ა.შ. [Как искусственный интеллект используется на производстве? (2024)].

ხარისხის მართვის კონტროლი წარმოებაში - ეს არის პროცესები, რომლებიც გამოიყენება ხარისხის მუდმივი დონის უზრუნველსაყოფად. წარმოებაში ხარისხის უზრუნველყოფა დება ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული „კომპიუტერული ხედვის“ სისტემების გამოყენებით, რისი მეშვეობითაც შემოწმება ხდება წარმოების ავტომატიზირებული პროცესის განმავლობაში. ამ პროცესს ადრე მუშაკები ახორციელებდნენ და აშკარა მას ნაკლოვანებები ჰქონდა: დაღლილობა, მიკერძობა და ა.შ., ამიტომ „კომპიუტერული ხედვით“ შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფას უფრო საიმედოს და ზუსტს ხდის.

კომპანია Foxconn-მა, რომელიც ელექტრონულ პროდუქტებს აწარმოებს ისეთი გიგანტებისთვის, როგორცაა Apple, Nintendo, Nokia, Sony და სხვები, ხარისხის კონტროლისთვის წარმატებით დანერგა Google Cloud Visual Inspection AI. ეს არის მანქანური სწავლების პროგრამა, რომელიც Google-მა 2021 წელს დაიწყო, იგი ეხმარება მწარმოებლებს პროდუქტის დეფექტების იდენტიფიცირებაში და, შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის ხარჯების შემცირებაში.

სმარტფონის წარმოების მაგალითით, მოწყობილობის ხარისხზე პირდაპირ გავლენას ახდენს მიკროსქემის დაფის დეფექტების აღმოჩენა წარმოების პროცესის საწყის მომზადების ეტაპზე. მიკროსქემებს შეიძლება ჰქონდეთ აწყობის მრავალი დეფექტი, დაკარგული ხრახნებიდან დაწყებული შედუღების დროს მხტუნავების წარმოქმნით დამთავრებული. Google Cloud Visual Inspection AI-მ გამოტოვებული დეფექტების რაოდენობა 10%-მდე შეამცირა. გარდა ამისა, მან თითოეული კომპონენტის შემოწმების დრო 0.3 წამამდე შეამცირა.

ასევე, ბელგიური მინაბოჭკოვანი მასალების მწარმოებელი და თერმოპლასტიკებისა და თერმოპლასტიკების პოლიმერული გამაგრების ტექნოლოგიების შემქმნელი 3B-Fiberglass, რომელიც წარმოების ერთ-ერთ ეტაპზე მინაბოჭკოვანი მასალის გატეხვის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, გადაწყვიტა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვიდეომონიტორინგი გამოეყენებინა. სისტემა წინასწარ აცნობებს ოპერატორს შესაძლო გატეხვის შესახებ, რათა პრობლემა სწრაფად გამოსწორდეს, სანამ ის წარმოების შემდგომ ეტაპზე გადავა.

ასევე, მისი საშუალებით შესაძლოა მანქანა დანადგარების ფუნქციონირების მონიტორინგი, (Predictive Maintenance) სტანდარტული ექსპლუატაციის პირობებში შესაბამისი სისტემა აწარმოებს რეგულარულ მონიტორინგს, სისტემებს შეუძლიათ მონაცემთა გაანალიზება რეალური დროის რეჟიმში, შეუძლია მომავალი შეფერხებების პროგნოზირება [AI in manufacturing: A comprehensive guide, 2023; 6 ways

to unleash the power of AI in manufacturing, (2024)]. გარდა ამის არსებობს კომპიუტერული ხედვის ტექნოლოგიები, რომლებსაც შეუძლიათ წუნისა და დეფექტის ამოცნობა. აანალიზებენ რა პროდუქტის სხვადასხვა ნაწილების გამოსახულებას, ამოწმებენ გეომეტრიას, შეწებების ხარისხს, აწყობას და სხვა მონაცემებს, საკმაოდ მაღალი სიზუსტით არკვევენ დაწესებული სტანდარტებიდან გადახრას, აღსანიშნავია რომ შემოწმების ტრადიციული მეთოდით ამ ყველაფრის სწრაფად და ხარისხიანად გაკეთება საკმაოდ რთული ამოცანა იყო.

მაგალითიად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნიდერლანდების სარკინიგზო კომპანია Strukton Rail [Пять примеров успешного использования ИИ на производстве, 2023], აღნიშნული კომპანია ემსახურებანიდერლანდების სარკინიგზო სისტემის 40%. მათ მიზნად დაისახეს პროგრნოზირების ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემდა გადაზიდვების შეფერხების გარეშე გაუმართაობის პროგნოზირების გაკეთების. კონკრეტულად კი რკინიგზაზე ისრების მუშაობის ნაწილში, რადგანაც გადამყვანი ისრები იყო ყველაზე სუსტი რგოლი და ხშირი იყო სხვადასხვა ტიპის გაუმართაობები. კომპანიის განცხადების პრედიქტიული მომსახურება შესამჩნევად გაუმჯობესდა და იკლო პრობლემებმა და დანახარჯებმა.

როგორ მუშაობს აღნიშნული სისტემა: პრედიქტიული მომსახურება მოიცავს ისეთ მოწყობილობებს რომლებიც შედგება მონაცემთა ლოგერებისაგან და უკონტაქტო სენსორებისაგან. ნიდერლანდებში Strukton Rail-ის მიერ ოპერირებული 3000 ისრული გადასასვლელიდან დაახლოებით ნახევარი აღჭურვილია სენსორებით, რომლებიც იწერენ მონაცემებს წერტილების გადართვისას ძრავების ენერჯის მოხმარების შესახებ. ეს მონაცემები სხვადასხვა წყაროდან გროვდება (მაგ. გადასასვლელის გათბობის სისტემა, ლიანდაგის ტემპერატურის სენსორი, გადასასვლელი და ა.შ.) და შემდეგ ინტერნეტით გადაეცემა კომპანიის POSS მონიტორინგის სისტემას (ჰოლანდიური აბრევიატურა „პროფილაქტიკური ტექნიკური მომსახურებისა და სტრუქტურის გაუმართაობის დიაგნოსტიკური სისტემა“). მას ემატება GPS მონაცემები და შეუსაბამობის შესახებ შეტყობინებები შემდგომი ანალიზისთვის. ეს კი თავის მხრივ საშუალებას აძლევს ლიანდაგის ოპერატორებს, საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერიონ.

Strukton Rail-ის განცხადებით, პროგნოზირებადმა ტექნიკურმა მომსახურებამ ტექნიკური ავარიების რაოდენობა გაანახევრა. კომპანია გეგმავს POSS-ის გაფართოებას პროგნოზირების ინსტრუმენტით, რათა იწინასწარმეტყველოს მომავალი ავარიები; კომპანია აცხადებს, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგნოზირებადი ტექნიკური მომსახურების ეს აპლიკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ნიდერლანდებში, არამედ მთელი მსოფლიოს რკინიგზის სისტემებშიც.

იგივე კომპიუტერული ხედვის ტექნოლოგიები შესაძლოა გამოყენებული იქნეს წარმოებაში უსაფრთხოების სისტემის შექმნისათვის, მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ მომუშავე პერსონალის სათანადოდ აღჭურვას, პირადი თავდაცვის ნივთების გამოყენებას, უფრო მეტიც, შეუძლიათ განსაზღვრონ თუ მუშაკები რამდენად კარგად ან ცუდად გრძნობენ თავს, ამოიცნობს დადლილობის დონეს, ავადობის სიმპტომებს, ასევე შეუძლია დაკვამლიანების დონის კონტროლი და წყაროს გამოვლენა.

ლოჯისტიკის მიმართულებით არსებობს მონიტორინგის და მართვის სისტემები, რისი მეშვეობითაც ხდება პროცესების კოორდინირება, მარაგების შენახვის ოპტიმიზაცია.

მწარმოებლებისთვის საწყობის ავტომატიზაცია ფიზიკური შრომის

მინიმიზაციისა და საოპერაციო ხარჯების შემცირების რეალურ გადაწყვეტად იქცევა. მონაცემთა ავტომატიზირებული შენახვა კომპანიებს საშუალებას აძლევს, შეკვეთები უფრო სწრაფად დაამუშაონ და გრაფიკი უფრო ზუსტად დაგეგმონ.

2018 წელს, ავტომობილების მწარმოებელმა Toyota-მ CeMAT-ის გამოფენაზე წარმოადგინა ხელოვნური ინტელექტის გუნდის ლოჯისტიკური კონცეფცია [Пять примеров успешного использования ИИ на производстве, 2023]. კონცეფცია გვთავაზობს ჰორიზონტალური გადამზიდავების რეალურ დროში ხელოვნური ინტელექტით კონტროლირებად მაღალი დონის მანქანებთან ურთიერთქმედების მოდერნიზაციას. მთავარი იდეაა საწყობში ყველა სატვირთო მანქანის გადაადგილების ოპტიმიზაცია და მათი ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა.

ყოველ წამს, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამული სისტემა ითვლის გადამზიდავებისთვის რესურსებისა და მარშრუტების ოპტიმალურ გამოყენებას. მანქანებს შორის ეს პირდაპირი ურთიერთქმედება ტრადიციულ ცენტრალიზებული საწყობის კონცეფციას მანქანების გუნდურ მუშაობასთან ცვლის. სრულად ავტომატიზირებული, უწყვეტი ნაკადის შენარჩუნებით, კომპანია მიზნად ისახავს საწყობის პროცესების ოპტიმიზაციას.

პროექტირებაში შესაძლოა წინასწარ მიცემული კრიტერიუმების და პარამეტრების საფუძველზე შეიქმნას სხვადასხვა ტიპის პროექტები, განისაზღვროს მათი ღირებულება, წარმოების მეთოდები.

საკვანძო მიმართულებაა წარმოების დაგეგმარება, რაც, განვმეორდებით, ამაღლებს წარმოების მართვის ხარისხს, ამცირებს დანახარჯებს. სისტემას შეუძლია საწარმოო სიმძლავრეების მონაცემების საფუძველზე რეალური საწარმოო გეგმების შექმნა. უფრო მეტიც გათვლებში იგი ითვალისწინებს შეკვეთების პირიორიტეტულობას, მუშაკთა უნარ-ჩვევებს, მასალების ხელმისაწვდომობას და სხვა მრავალ კრიტერიუმსა თუ შეზღუდვებს. ამგვარი პროგრამა საშუალებას იძლევა საწარმოო სიტუაციების მოდელირების და სხვადასხვა სცენარების განხილვის, საიდანაც შემდგომ ამოარჩევს საუკეთესოს, გეგმებს გაუკეთებს კორექტირებას რათა სამუშაო პროცესი დაუქვემდებაროს არსებულ თუ მოსალოდნელ ცვლილებებს.

განსაკუთრებული წარმატებებით ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებენ ისეთ დარგებში, როგორცაა მანქანათმშენებლობა, მისი მეშვეობით ხდება სამღებრო სამუშაოების, შედუღების, აწყობის პროცესები, ხარისხის კონტროლი. მაგ. კომპანია ტესლა იყენებს რობოტებს წარმოების უმეტესი ნაწილის წარმართვისათვის, რაც არა მხოლოდ დროის ფაქტორის უკეთ გამოყენების არამედ პროცესების მეტისიზუსტით წარმართვის და ხარისხის ამაღლების საშუალებას იძლევა.

ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები და სირთულეები:

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დანერგვისას, მწარმოებელს შეიძლება შეექმნას შემდეგი გამოწვევები:

1) ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მაღალი ღირებულება. ხელოვნური ინტელექტის საწყისი დანერგვა შეიძლება ძვირი იყოს, განსაკუთრებით მცირე კომპანიებისა და სტარტაპებისთვის, თუ ასევე გავითვალისწინებთ ხარჯებს მონაცემთა შეგროვებისა და განვითარებისათვის. თუმცა, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმ პრობლემაზე, რომლის გადაჭრასაც მწარმოებელი ცდილობს. თუ შიდა განვითარების გუნდს ხელოვნური ინტელექტის ნულიდან შექმნა სჭირდება, ღირებულება უფრო მაღალი იქნება, ვიდრე უკვე შექმნილის განვითარება.

2) გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს რობოტული ავტომატიზაციის სისტემების

განვითარების ზრდას, მანქანური სწავლების ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება. თუ თქვენს გუნდში საკმარისი გამოცდილი მეცნიერ-პრაქტიკოსები გყავთ, გაგიმართლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგჭირდებათ ხელოვნური ინტელექტის სფეროში შესაბამისი გამოცდილების მქონე პროფესიონალების ძებნა.

3) მონაცემთა ხარისხი. წარმოებაში მონაცემები ხშირად მოძველებულია, დამახინჯებული ან არასანდოა, მაგრამ ხელოვნური ინტელექტის დანერგვის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია მონაცემების ხარისხზე. მაგალითად, როდესაც საქმე ქარხნებს ეხება, მონაცემები ხშირად იქმნება სხვადასხვა განყოფილებების ანგარიშების საფუძველზე, მათ კი ერთმანეთთან ხშირად არ აქვთ სწორი კომუნიკაცია. ამიტომ ამგვარი მონაცემები არარელევანტური და გამოუყენებადი იქნება ეს ხელოვნური ინტელექტისათვის.

ჩვენ ვცხოვრობთ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის (ასევე ცნობილი როგორც ინდუსტრია 4.0) [How is AI being used in manufacturing? (n.d.); From Production To Precision: How AI Is Reshaping Manufacturing, (2024)] ეპოქაში, რომელიც სწრაფად გარდაქმნის წარმოების ყველა პროცესს. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვამ გარდაუვლად შეცვალა საქონლისა და მომსახურების დაგეგმვისა და წარმოების წესი.

შესაძლოა, ინდუსტრია 4.0-ის აღსაწერად საუკეთესო სიტყვა იყოს დიჯიტალიზაცია, რადგან ის თანამედროვე ციფრული სისტემების გამოყენებით აერთიანებს რესურსებს, ინფორმაციას და ადამიანებს. როგორც ვიცით, ისტორიულად, წარმოება იყო სფერო, სადაც ადამიანებს ასწავლიდნენ ეაზროვნათ მანქანებივით. თუმცა, დიჯიტალიზაციის მოსვლასთან ერთად, ეს მიდგომა შეიცვალა და ახლა მანქანები საკმაოდ წარმატებით სწავლობენ ადამიანების მსგავსად აზროვნებას.

ინდუსტრია 4.0-თან ასოცირებული ტექნოლოგიები მოიცავს ჭკვიან (smart) ქარხნებს, ჭკვიან (smart) პროდუქტებს, ჭკვიან (smart) რობოტებს, ჭკვიან (smart) სიმულაციას და ა.შ. რა თქმა უნდა, საუკეთესო მაგალითები და გამოყენება ჯერ კიდევ წინ არის და მალე ვიხილავთ პროგრესულ ცვლილებებს წარმოების ინდუსტრიაში.

#### წყაროები:

1. AI in manufacturing: A comprehensive guide, (2024), URL: <https://www.sap.com/resources/ai-in-manufacturing>
2. Пять примеров успешного использования ИИ на производстве, (2023) URL: <https://www.habr.com/ru/articles/727358/>
3. How is AI being used in manufacturing? (n.d.) URL: <https://www.ibm.com/think/topics/ai-in-manufacturing>
4. Использование ИИ на производстве URL: <https://www.adeptik.com/blog/ispolzovanie-ii-na-proizvodstve/>
5. Как искусственный интеллект используется на производстве? (2024), <https://www.mosregco.ru/publication/kak-iskusstvennyy-intellekt-ispolzuetysya-na-proizvodstve>
6. ways to unleash the power of AI in manufacturing, (2024), URL: <https://www.weforum.org/stories/2024/01/how-we-can-unleash-the-power-of-ai-in-manufacturing/>
7. From Production To Precision: How AI Is Reshaping Manufacturing, (2024), URL: <https://www.forbes.com/sites/ronschmelzer/2024/11/14/from-production-to-precision-how-ai-is-reshaping-manufacturing/>

### Abstract

As we live in the era of the Fourth Industrial Revolution (also known as Industry 4.0), which is rapidly transforming all production processes. The introduction of artificial intelligence technologies has inevitably changed the way goods and services are planned and produced.

Perhaps the best word to describe Industry 4.0 is Digitalization, as it combines resources, information, and people using modern digital systems. As we know, historically, manufacturing was a field where people were taught to think like machines. However, with the advent of Digitalization, this approach has changed and now machines are quite successfully learning to think like humans.

The article presents those areas (resource procurement, production itself, logistics, sales, marketing, quality management, planning, predicting equipment failure processes, etc.) where the world's leading companies use the achievements of artificial intelligence in one form or another, presents the positive aspects of its use (a) product quality, b) production process quality; c) production safety quality; d) production system management quality) and threats (high cost of implementing artificial intelligence; lack of experienced specialists; data quality) that business operators must definitely pay attention to, and also, we discuss the examples of several foreign companies.

**Key Words:** *Artificial Intelligence, Business Company, Manufacturing, Business Operations*

## Tinkercad.com პლატფორმა STEM განათლებაში შესაძლებლობები და გამოწვევები

**ზაქარიაშვილი მარიამ**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
N5 საჯარო სკოლა, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.66>

**აბსტრაქტი.** ნაშრომი ეძღვნება STEM განათლებაში <https://www.tinkercad.com/> ონლაინ სიმულატორის, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესწავლას, რაც დაფუძნებულია სასწავლო პროექტის ფარგლებში „Tinkercad.com-ის სენსორების გამოყენება ჭკვიანი სახლის მოდელში“ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში ჩატარებულ კვლევებზე. პროექტი განხორციელდა 2025 წლის გაზაფხულზე თელავის N5 საჯარო სკოლაში, სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილებზე, სამიზნე ჯგუფთან (VI კლასი, 15 მოსწავლე).

ნაშრომი მიმოიხილავს Tinkercad.com პლატფორმის შესაძლებლობებს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს/მასწავლებლებს ელექტრონიკის, პროგრამირებისა და 3D მოდელირების ინტუიციური გზით შესწავლას. განხილულია Tinkercad-ის როლი ინტერაქტიული და პრაქტიკაზე ორიენტირებული STEM განათლების ხელშეწყობაში, სახელდობრ, Tinkercad პლატფორმის ფუნქციური მხარე STEM საგნებისთვის (Science-მეცნიერება; Technology-ტექნოლოგია; Engineering-ინჟინერია; Arts-ხელოვნება; Mathematics-მათემატიკა), რაც დაკავშირებულია კონკრეტულად ნაშრომში წარმოდგენილ „ჭკვიანი სახლის“ სასწავლო პროექტთან.

ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი პროექტის დაგეგმვის ეტაპები, პროექტის განხორციელების სტრუქტურული მოდულები: ღრუბლოვანი სივრცეში სამუშაო გარემოს მომზადება; თეორიული ნაწილი: ჭკვიანი სახლის ძირითადი სენსორები (LDR- სინათლის, TMP36-ტემპერატურის, PIR-მოძრაობის სენსორები) და Tinkercad-ის ინტერფეისი; პროექტის პრაქტიკული ნაწილი - ჭკვიანი სახლის ვირტუალური მოდელის შექმნა Tinkercad-ში, სადაც განხილულია ა) ტექნიკური (ვიტუალური სქემის აგება Arduino UNO მიკროკონტროლერისა და სენსორების გამოყენებით) და ბ) პროგრამული ნაწილი (ვიზუალური ბლოკური პროგრამირება); „ჭკვიანი სახლის“ მოდელის ვირტუალური სიმულაციის პროცესი; ნაშრომს ახლავს შესრულებული პროექტების ინსტრუქციების URL ბმულები.

ნაშრომში გამოკვლეულია და ნაჩვენებია tinkercad პლატფორმის გამოყენების ეფექტურობა STEM განათლების მიღების პროცესში, რაც დადასტურებულია პროექტის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე. კვლევა ჩატარებულია Google Forms ონლაინ გამოკითხვის ფორმატით ანონიმური სახით (ახლავს კითხვარისა და გამოკითხვის შედეგების URL ბმულები)

ნაშრომში პროექტის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დასკვნის სახით წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები STEM განათლებაში Tinkercad პლატფორმასთან მოსწავლეთა დამოკიდებულების შესახებ, როგორც პროგრამული, ასევე სასწავლო-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რაც აფასებს პლატფორმასთან დამოკიდებულებას, შესაძლებლობებს და არსებულ გამოწვევებს.

**საკვანძო სიტყვები:** Tinkercad.com; STEM (Science; Technology; Engineering; Arts; Mathematics); ჭკვიანი სახლი; LDR - სინათლის სენსორი; PIR მოძრაობის სენსორი; TMP36 ტემპერატურის სენსორი.

## შესავალი

STEM განათლება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და 21-ე საუკუნის განათლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევა. ეფუძნება ოთხი ძირითადი კომპონენტის — მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა — ინტეგრაციას, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. მისი დანერგვა სკოლებში მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინოვაციური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოსწავლეების მომზადებას ტექნოლოგიურად განვითარებულ სამყაროში, რაც ხელს უწყობს კარიერული შესაძლებლობების გაზრდას. კვლევების მიხედვით, STEM სკოლის მოსწავლეები უფრო მეტად მზად არიან ტექნოლოგიურ და ინჟინრულ გამოწვევებთან გასამკლავებლად (Smith, 2023).

დღეისათვის მსოფლიო საგანმანათლებლო ინტერნეტ სივრცეში იმდენად მრავლადაა წარმოდგენილი STEM განათლებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური რესურსები, შეუძლებელია მათი სრულად ჩამოთვლა. ბიბლიოგრაფიაში, მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილია წარმოდგენილი.

წარმატებული სასწავლო დაწესებულებები აქტიურად იყენებენ STEM სწავლების მეთოდოლოგიას. მაგ., Massachusetts Institute of Technology (MIT), აშშ (mit.edu); Stanford University, აშშ (stanford.edu); University of Cambridge, დიდი ბრიტანეთი (cam.ac.uk); California Institute of Technology (Caltech), აშშ (caltech.edu); ETH Zurich, შვეიცარია(ethz.ch); Tsinghua University, ჩინეთი (tsinghua.edu.cn); National University of Singapore (NUS), სინგაპური (nus.edu.sg); Technion - Israel Institute of Technology, ისრაელი (technion.ac.il).

STEM განათლებასთან დაკავშირებით ხორციელდება პროექტები, ტარდება უამრავი კონფერენცია, ვებინარი, STEM მოდელების გამოფენები/ოლიმპიადები; განათლების სამინისტროს ხელშეწყობით მასწავლებელთათვის ტარდება ტრენინგები; ინტერნეტ სივრცეში საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (<https://educationhouse.ge/page/313> განათლების E-სახლი, „ჩხირკედელა“) წარმოდგენილია სასწავლო რესურსები STEM მიმართულებით, ჟურნალი „STEM განათლება“ (რედაქტორი კახა ჟღენტი); ცნობილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვირტუალური მოდელირების ცენტრი და ლაბორატორია, (ხელმძღვანელი პროფ. დავით სონღულაშვილი), რომელიც აქტიურად მუშაობს STEM განათლების დანერგვის საკითხებზე.

ასეთი პრაქტიკა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეშიც თანდათანობით ჩვეულ პრაქტიკად შემოვიდა. მასწავლებელთა ასოციაციის საიტი <https://math.ge/tele-skolis-gakvetelebi/>, სადაც წარმოდგენილია STEAM დავალებების ბანკი, ინსტრუქციებით, დამხმარე რესურსებითა და სიმულაციებით; საქართველოს STEM მასწავლებელთა ასოციაცია; ქართულ-ამერიკული სკოლა; STEM სკოლა – საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის ერთობლივი პროექტი; სასკოლო სივრცეში უკვე შექმნილია STEM კლუბები. მეცნიერ/პედაგოგების მიერ ტარდება კვლევები, ხდება კვლევის შედეგების ანალიზი STEM სწავლების მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

რაც შეეხება ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკას, რამდენიმე წლით ადრე კონკურსის საფუძველზე, პროექტის ფარგლებში გავიარე „STEM მენტორების“ ხანგრძლივი ტრენინგ კურსი (ხელმძღვანელი პროფ. დავით სონღულაშვილი), რომელმაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ გავიარე მასწავლებელთათვის ოფიციალურად შემოთავაზებული STEM ტრენინგები. მიღებული გამოცდილების

გათვალისწინებით სკოლაში დავაფუძნე „STEAM კლუბი“.

წინამდებარე ნაშრომში STEM სწავლების გარემოდ შევარჩიე ინტერაქტიური ტექნოლოგია - Tinkercad პლატფორმა, რომელიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ინტეგრაციას.

ნაშრომის მიზანია <https://www.tinkercad.com> ბრაუზერზე დაფუძნებული სიმულატორის გარემოში STEM ინოვაციური განათლების შესაძლებლობებისა და გამოწვევების გამოკვლევა, რაც დაეფუძნა სასწავლო პროცესში tinkercad.com პლატფორმის პრაქტიკულად დანერგვას პროექტის ფარგლებში „Tinkercad.com-ის სენსორების გამოყენება ჭკვიანი სახლის მოდელში“; მოსწავლის პოზიციიდან პლატფორმის გამოყენებადობის, STEM პრობლემების გადაჭრისას მისი სარგებლიანობის შეფასებას და ანალიზს.

## **მეთოდი**

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევა ჩავატარე მცირე სასწავლო პროექტის ფარგლებში „Tinkercad.com-ის სენსორების გამოყენება ჭკვიანი სახლის მოდელში“; სამიზნე ჯგუფად ავირჩიე სკოლის დაწყებით საფეხურის ბაზაზე (თელავის N5 საჯარო სკოლა), მეექვსე კლასის მოსწავლეები (15 მოსწავლე - სამი ჯგუფი). კვლევა ჩატარდა სამი კვირის განმავლობაში - სულ 6 აკადემიური საათი (6 გაკვეთილი).

კვლევის მეთოდად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი - არჩევით პასუხებიანი კითხვარი, ლიკერტის სკალა; თვისებრივი - ღია კითხვები. გამოყენებულ იქნა Google Forms ონლაინ კითხვარი.

## **შინაარსი**

### **1. Tinkercad-ის ფუნქციური მხარე STEM საგნებისთვის**

#### **1.1. მეცნიერება (Science)**

Tinkercad-ის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ფიზიკური ფენომენის მოდელირება, მაგალითად: სითბოს გატარება (მოდელირება TMP36 სენსორით); მოძრაობის აღმოჩენა (PIR სენსორით); სინათლის ინტენსივობის გაზომვა (LDR).

- მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაატარონ ვირტუალური ექსპერიმენტი, როგორც რეაგირებენ სენსორები ანალოგიური სიგნალების ცვლილებაზე.

#### **1.2. ტექნოლოგიები (Technology)**

Tinkercad ინარჩუნებს რეალური ტექნოლოგიური კომპონენტების სიმულაციას, როგორცაა: სენსორები (LDR, TMP36, PIR); Actuators (LED); Arduino UNO.

- მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ კომპონენტების გამოყენებას, არამედ რეალური ტექნოლოგიების მუშაობის ლოგიკას.

#### **1.3. ინჟინერია (Engineering)**

პლატფორმა ასწავლის: ელექტრონული სქემის აგებას (Breadboard) ; წრედების დიზაინს; პრობლემის იდენტიფიცირებას და გამოსწორებას (debugging).

- შესაძლებელია ჭკვიანი სახლის მოდელის აგება, სადაც თითოეული სენსორი ასრულებს კონკრეტულ დავალებას – მოძრაობაზე რეაგირება, ტემპერატურის კონტროლი და სინათლის რეგულაცია.

#### **1.4. მათემატიკა (Mathematics)**

მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი (`analogRead()` → 0–1023) ; ლოგიკური ოპერაციები; დროის მართვა `delay()` ფუნქციით; პირობითი მათემატიკური

დისტანციები (if-else).

➤ **სწავლება ხდება მონაცემების აღქმით, რაც ამაღლებს მათემატიკური აზროვნების დონეს.**

## **2. პროექტის დაგეგმვა**

### **1. თემის განსაზღვრა და მიზნის ჩამოყალიბება**

- **თემა:** Tinkercad.com პლატფორმის საშუალებით ჭკვიანი სახლის მოდელის აგება სენსორების გამოყენებით.
- **მიზანი:** მოსწავლეებმა ისწავლონ სენსორების დანიშნულება, გამოყენება და ინტეგრირება ჭკვიანი სახლის სისტემაში ვირტუალურ მოდელზე მუშაობით.

### **2. ჰიპოთეზის ფორმულირება**

თუ ჭკვიანი სახლის მოდელში დავნერგავთ მოძრაობის, ტემპერატურის და განათების სენსორებს, სახლის ავტომატიზაცია გახდება უფრო ეფექტური და ენერგოეფექტური.

### **3. კვლევითი შეკითხვები**

როგორ მუშაობს Tinkercad-ზე ვირტუალური ელექტრონული მოდელირება? რომელი სენსორები გამოიყენება ჭკვიან სახლებში და როგორ ვამუშავებთ მათ მონაცემებს? როგორ იქმნება ავტომატიზირებული რეაქცია სენსორის მიერ დაფიქსირებულ მოვლენაზე?

### **4. პლატფორმის შერჩევა**

**Tinkercad.com** – გამოიყენება როგორც ვირტუალური ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია ელექტრონული სქემების შექმნა და კოდის სიმულაცია.

### **5. მოწყობილობებისა და სენსორების შერჩევა**

მოძრაობის სენსორი Motion sensor (PIR- Passive Infrared ); სინათლის სენსორი Light sensor (LDR - Light Dependent Resistor ); ტემპერატურის სენსორი Temperature sensor (TMP36); LED – გამოხმაურების სისტემისთვის.

### **6. პროექტის ეტაპები**

- 1) სენსორების ფუნქციების შესწავლა (თეორიულად); 2) სქემის აგება Tinkercad-ზე;
- 3) ბლოკ-კოდის შედგენა (Tinkercad Codeblocks); 4) ტესტირება და შეცდომების ანალიზი (Debugging); 5) საბოლოო მოდელის პრეზენტაცია.

### **7. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი**

ა) როგორი რეაქცია აქვს სისტემას სხვადასხვა პირობებში (მაგ. სიბნელე, მოძრაობა, ტემპერატურა); ბ) ავტომატიზაციის სიზუსტე და სენსორების რეაგირების დრო.

### **8. დასკვნა**



- ფუნქციონირებს თუ არა ჭკვიანი სახლის სისტემის მოდელი ეფექტურად.
- შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება რეალურ ცხოვრებაში.

### **3. პროექტის განხორციელების სტრუქტურული მოდულები**

#### **I მოდული - ღრუბლოვანი სივრცეში სამუშაო გარემოს მომზადება**

<https://www.tinkercad.com> საიტზე შევქმენი მოსწავლეთათვის კლასი, რომელშიც გავერთიანე პროექტში ჩართული მოსწავლეები. წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე მასწავლებელი პლატფორმაზე შევდივარ, როგორც Educators/Teacher ხოლო მოსწავლეები პლატფორმაზე შემოდიან მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ანგარიშებით (Join Class): კლასის კოდით და მოსწავლის მომხმარებლის სახელით.

ასეთი სახით მასწავლებელს, წვდომა აქვს მოსწავლეთა ნამუშევრებზე, შეუძლია დაათვალიეროს მოსწავლეთა ნამუშევრები, დაეხმაროს მოსწავლეს, შეიტანოს ცვლილებები ნამუშევარში საჭიროების შემთხვევაში. *იხ. სურ. N1; N2; N3.*



სურ. 1. Educators/Teacher

სურ. 2. Join Class

სურ. 3. Class

## II მოდული - თეორიული ნაწილი: ჭკვიანი სახლის სენსორები და Tinkercad

### 1. ჭკვიანი სახლი და მისი კომპონენტები

- ჭკვიანი სახლი იყენებს ინტერნეტით ან ARDUINO UNO მიკროკონტროლერებით დაკავშირებულ მოწყობილობებს, რათა ავტომატიზირდეს ყოველდღიური პროცესი - განათება, გათბობა, უსაფრთხოება და სხვა. ამ პროექტში გადამწყვეტ როლს ასრულებენ სენსორები, როგორცაა: მოძრაობის სენსორი (PIR); ტემპერატურის სენსორი (TMP36); სინათლის სენსორი (LDR).

(Autodesk Tinkercad); (Arduino Tutorials) (Arduino Projects Book); (არდუინოს შემსწავლელი სახელმძღვანელო, 2024) ; (ტაბატაძე ზ., და სხვ. არდუინო, 2019)


### 2. ფუნქციური სქემა

- **მოძრაობის აღმოჩენა:** PIR სენსორი აცნობებს სისტემას ადამიანის ყოფნაზე და რთავს განათებას ან განგაშს.
- **ტემპერატურის კონტროლი:** TMP36 იძლევა ტემპერატურის მონაცემებს; ამ მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია გამათბობლის ან ვენტილატორის მართვა.
- **შუქზე რეაგირება:** LDR აკონტროლებს გარე სინათლეს და საჭიროების შემთხვევაში რთავს განათებას.

### 3. Tinkercad.com და მისი დანიშნულება

Tinkercad არის ონლაინ სიმულატორი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შექმნას და შეამოწმოს ელექტრონული წრედები, გამოიყენოს სენსორული კომპონენტები, Arduino-ს კოდი ვირტუალურად.

Tinkercad.com-ს გარემოში პროექტის განხორციელების შესაძლებლობებისა და საჭირო კომპონენტების გაცნობა; *იხ. სურ. N4;*



სურ. 4. Tinkercad Interface

**III მოდული - პროექტის პრაქტიკული ნაწილი - ჭკვიანი სახლის ვირტუალური მოდელის შექმნა Tinkercad-ში**

მოსწავლეების მუშაობა ჯგუფებში მასწავლებლის ინსტრუქციების დახმარებით.

- ა) ტექნიკური ნაწილი - სქემის მოდელის აგება სენსორების გამოყენებით
  - პირველი ჯგუფი - LDR სინათლის სენსორის გამოყენება; *იხ. სურ. N5*
  - მეორე ჯგუფი - TMP36 ტემპერატურის სენსორის გამოყენება; *იხ. სურ. N6*
  - მესამე ჯგუფი - PIR მოძრაობის სენსორის გამოყენება; *იხ. სურ. N7*
- ბ) პროგრამული ნაწილი - ვიზუალური ბლოკური პროგრამის აგება.

**მასწავლებლის ინსტრუქციები პროექტების ბმულებზე:**

ინსტრუქცია პროექტის ბმულზე LDR  
სინათლის სენსორი


<https://www.tinkercad.com/things/hB1RPJeYCm0->

ინსტრუქცია პროექტის ბმულზე TMP36 ტემპერატურის სენსორი


<https://www.tinkercad.com/things/4U641koLZuz->

ინსტრუქცია პროექტის ბმულზე PIR მოძრაობის სენსორი


<https://www.tinkercad.com/things/0oF29uCM4LS->



სურ. 5. LDR-სენსორი



სურ. 6. TMP36-სენსორი



სურ. 7. PIR-სენსორი

**IV მოდული - ჭკვიანი სახლის მოდელის ვირტუალური სიმულაციის პრეზენტაცია**

- Martinez, S., Hand, M., Da Pra, M., Pollack, S., Ralston, K., Smith, T., Vogel, S., Clark, S., Lohr, L., Low, S., and Newman, C. (2010), "Local Food Systems: Concepts, Impacts, and Issues", ERR. 97. Waonfer-emshington: U.S. Department of Agriculture, Economic Research Service.
- Mitzner, T.L., Savla, J., Boot, W.R., Sharit, J., Charness, N., Czaja, S. J. and Rogers, W.A. (2019), "Technology Adoption by Older Adults: Findings From the PRISM Trial", *The Gerontologist*, Vol. 59, Vol. 1, pp. 34–44
- Miškolci, S. (2017), "Consumer Preferences Expressed via Shopping in Alternative Food Chains", *Acta Univ. Agric. Silvic. Mendelianae Brun*, Vol 65, No 1, pp. 311-318. DOI: <https://doi.org/10.11118/actaun201765010311>
- Möllers, J., Buchenrieder, Gertrud and Csáki, Csaba (ed.), 2011. "Structural change in agriculture and rural livelihoods: Policy implications for the New Member States of the European Union", *Studies on the Agricultural and*

Food Sector in Transition Economies, Leibniz Institute of Agricultural Development in Transition Economies (IAMO), volume 61, number 61. <https://ideas.repec.org/b/zbw/iamost/61.html>

Mundler, P. and Laughrea, S. (2016), "The contributions of short food supply chains to territorial development: A study of three Quebec territories", *Journal of Rural Studies*, Vol. 45, pp. 218–229. <https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2016.04.001>

Mundler, P. and Jean-Gagnon, J. (2020), "Short food supply chains, labor productivity and fair earnings: An impossible equation?", *Renewable Agriculture and Food Systems*, Vol 35, No 6, pp. 697–709. <https://doi.org/10.1017/S1742170519000358>

Renting, H., Marsden, T.K. and Banks, J. (2003), "Understanding alternative food networks: Exploring the role of short food supply chains in rural development", *Environment and Planning A: Economy and Space*, Vol. 35, No. 3, pp. 393-411. DOI: <https://doi.org/10.1068/a351>

Rocchi, B., Randelli, F., Corsini, L. and Giampaolo, S. (2019), "Farmer direct selling: The role of regional factors", *Regional Studies*, 54, 1–11. <https://doi.org/10.1080/00343404.2019.1676887>

Silva, E., Dong, F., Mitchell, P. and Hendrickson, J. (2015), "Impact of marketing channels on perceptions of quality of life and profitability for Wisconsin's organic vegetable farmers", *Renewable Agriculture and Food Systems*, Vol. 30, No. 5, pp. 428–438. <https://doi.org/10.1017/S1742170514000155>

Smeđzik-Ambroży, K., Sapa, A., Borychowski M. and Stepien S. (2024), "Identification of differences in the socio-demographic characteristics of farms participating and not participating in short food supply chains. Empirical study in Poland", *Annals PAAAE*, Vol. 26, No. 2, pp. 151-164. <https://doi.org/10.5604/01.3001.0054.5218>.

Spilkova, J. and Perlin, R. (2013), "Farmers' markets in Czechia: Risks and possibilities", *Journal of Rural Studies*, Vol. 32, pp. 220-229. <https://doi.org/10.1016/j.jrurstud.2013.07.001>

Spilkova, J., and Hochel, M. (2009), "Toward the economy of pedestrian movement in Czech and Slovak shopping malls", *Environment and Behavior*, Vol. 41, No. 3, pp. 443–455. <https://doi.org/10.1177/0013916508325003>

Syrovatkova, M. (2016), "The adoption of a local food concept in post-communist context: Farm shops in Czechia", *Norsk Geografisk Tidsskrift - Norwegian Journal of Geography*, Vol. 70, pp. 24-40. <https://doi.org/10.1080/00291951.2015.1125942>

SZIF (2022), "Krátké dodavatelské řetězce (short supply chains)", Available: <https://1url.cz/Xu5AN> [Accessed: Jan 06, 2024]

Vankudre, M., and Morris, B.A. (2022), "The Factors Influencing Older Adults' Decisions Surrounding Adoption of Technology: Quantitative Experimental Study", *Journal of Medical Internet Research*, Vol. 24, No. 1, e32918

Venkatesh, V., Morris, M.G., Davis, G.B., and Davis, F.D. (2003), "User acceptance of information technology: Toward a unified view", *MIS Quarterly*, Vol. 27, No. 3, pp. 425-478.

Veraart Research Group (2019), "Retail-Index: Rankings and Profiles of Food Retailers in Europe, America, Asia and Africa". <https://www.retail-index.com/sectors/foodretailersineuropeandworldwide.aspx>

Zagata, L. (2012), "Consumers' Beliefs and Behavioural Intentions towards Organic Food. Evidence from the Czech Republic", *Appetite*, Vol. 59, No. 1, pp. 81-89. DOI: <https://doi.org/10.1016/j.appet.2012.03.023>

Zagata, L., Lostak, M. and Swan, N. (2019), "Family Farm Succession of the First Post-Socialist Generation in the Czech Republic", *Eastern European Countryside*, Vol. 25, No. 1, pp. 9-35. <https://doi.org/10.12775/eec.2019.001>

Zdrahal, I., Stepien, S., Lategan, F.S., Svobodova, E., Borychowski, M., Sapa, A., Smeđzik, A.K. and Grega, L. (2024), "Barriers to participate in short food supply chains: preliminary results from the survey among farmers in Poland and the Czech Republic". In: XIII International Symposium on Agricultural Sciences AgroRes 2024: Book of Proceedings, Banja Luka: University of Banja Luka, 230-237. ISBN 978-99938-93-99-8. <https://agrores.agro.unibl.org/wp-content/uploads/2024/05/Book-of-Proceedings-AgroReS-2024.pdf>

## ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტის ძირითადი ასპექტები კახეთის რეგიონში

იოსებაშვილი გურამი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.69>

**აბსტრაქტი.** მოგეხსენებათ, კახეთის რეგიონი საქართველოს მევენახეობისა და ღვინის წარმოების ძირითადი ადგილია, მეღვინეობა კი წარმოადგენს საქართველოს კულტურულ-ისტორიულ სიმბოლოს. ყურძნის წარმოება და მისი გადამამუშავება ღვინოდ კახეთში მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ატარებს. მევენახეობის სფეროში დასაქმებულია ათასობით ადამიანი და ამ დარგზეა დამოკიდებული მრავალი ოჯახისა და მცირე მეურნეობის შემოსავალი. ასეთ პირობებში, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სუბსიდირების პოლიტიკა იქცევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად სოფლის მეურნეობის სტაბილიზაციისთვის.

სტატიაში განხილულია საქართველოში ყურძნის სუბსიდირების მიზნები, კვლევის შედეგები, პრობლემები და გამოწვევები. გაანალიზებულია სუბსიდირების როლი სოფლის მოსახლეობის დასაქმებაში, შემოსავლების სტაბილიზაციასა და ქართული ღვინის ექსპორტის სტიმულირებაში. მიმოხილულია როგორც ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტების დადებითი მხარეები (ფერმერთა ფინანსური მხარდაჭერა, რეგიონული განვითარება, სტაბილურობის შეგრძნება), ისე მისი უარყოფითი შედეგები (ბიუჯეტზე ზეწოლა, ბაზრის ბუნებრივი მექანიზმების დარღვევა, დამოკიდებულების გაღრმავება). სტატიაში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ფერმერების გამოკითხვისა და მათი მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად დადგინდა.

ამ საკითხებზე კვლევა მომავალშიც გაგრძელდება, რათა შესაძლებელი იყოს შედეგების განზოგადების და რეპრეზენტაბელურობის. რაც, ერთის მხრივ დაფუძნებული იქნება ემპირიულ მეთოდებზე და იმ პრაქტიკაზე, რომელიც წლების განმავლობაში ფერმერებს დაგვიგროვდა, ხოლო მეორეს მხრივ, იმედი მაქვს აღნიშნული კვლევის შედეგები დაეხმარება თითოეულ მევენახე ფერმერს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში და ნაბიჯების გადადგმაში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის კუთხით.

**საკვანძო სიტყვები:** სტიმულირება, ექსპორტი, სუბსიდირება, ემპირიული, სტაბილიზაცია.

წლების უკან კახეთის მევენახეობის დარგი მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა — მათ შორის რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება, ბაზრის შეზღუდული დივერსიფიკაცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენა, მიწის მცირე სეგმენტაცია და სარწყავი ინფრასტრუქტურის არარსებობა. 2006 წლის რუსეთის ემბარგოს შემდეგ მევენახეობის სექტორი სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია მევენახეობის შემოსავლების მკვეთრი ვარდნა და ყურძნის წარმოების შემცირება. სახელმწიფოს მხრიდან ამ გამოწვევებზე რეაგირებას მოჰყვა სუბსიდირების პოლიტიკის დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავდა ფერმერების შემოსავლების სტაბილიზაციას, პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობას და ღვინის ინდუსტრიის ხელახალ გაძლიერებას.

სუბსიდირების პირდაპირი ეფექტი მევენახეობისთვის მოიცავდა ყურძნის მინიმალური შესყიდვის ფასის განსაზღვრას, სუბსიდიის გაწევას სახელმწიფოს მხრიდან და ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან გარანტირებული თანამშრომლობის შექმნას. ამან საშუალება მისცა ფერმერებს, თუნდაც დაბალ ფასად, გაესაღებინათ თავიანთი პროდუქცია და თავიდან აეცილებინათ მოსავლის ფუჭად დაკარგვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული

პოლიტიკა თან ახლდა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ეფექტები.

კვლევის მიზანია დავადგინოთ კახეთში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები როგორც მიკრო, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ სისტემურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც პირდაპირ კავშირშია ეფექტიანი სუბსიდირების პოლიტიკის არსებობასთან.

ჰიპოთეზა: კახეთში ყურძნის სუბსიდირებას 2008-2023 წლებში ჰქონდა როგორც დადებითი ეფექტი (შემოსავლის მატების, ფინანსური სტაბილურობის, სხვადასხვა აგროკრედიტების ხელმისაწვდომობის და სხვა კუთხით) ასევე უარყოფითი ეფექტი (სახელმწიფოზე დამოკიდებულება, კონკურენციის არქონა ბაზარზე, პროდუქტზე ხარისხის კლება, ბაზრის დივერსიფიკაციის არქონა და სხვა).

კვლევა ემყარება კახეთის რეგიონში მევენახეობის დარგით დაკავებულ ფერმერების გამოკითხვას და ემპირიულ მეთოდის გამოყენებას, რომელიც გულისხმობს პრაქტიკიდან მიღებულ გამოცდილებას. აღნიშნული კვლევები დაგეხმარება მივიღოთ და გავაანალიზოთ თუ რა ეკონომიკური ეფექტები გამოიღო ყურძნის სუბსიდირებამ კახეთის რეგიონში.

აღნიშნულ კვლევაში გამოიკითხა კახეთის რეგიონში მაცხოვრებელი და ყურძნის მეურნეობით დაკავებული ფერმერები, რომლებმაც პასუხები დააფიქსირეს docs.google.com.forms-ში. კითხვარის შინაარსი მოიცავდა ინფორმაციას ფერმერის გამოცდილების, ვენახის ფართობის, სუბსიდირების პროგრამაში მონაწილეობის, მეურნეობაზე გაწეული ხარჯების, ასევე სუბსიდირების შესახებ სხვადასხვა კითხვა-პასუხს.

ჩვენ მიერ შემუშავდა კითხვრი და კვლევაში მონაწილეობა ძირითადად მიიღო მცირე და საშუალო ზომის მეურნეობის მქონე ფერმერებმა კახეთში, რომლებსაც 3 ჰექტრამდე ვენახები აქვთ გაშენებული (გამოკითხულთა 91.6%). აქვე ვიტყვი, რომ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობის მქონე ფერმერები ქმნიან ქვეყანაში წარმოებული ყურძნის უმეტეს მოცულობას (დაახლოებით 80%), აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ფერმერების გამოკითხვა და მათი ცოდნის გაზიარება. ამ საკითხებზე კვლევა მომავალშიც გაგრძელდება, რათა შესაძლებელი იყოს შედეგების განზოგადების და რეპრეზენტაბელურობის.

კითხვაზე თუ რა უჯდებათ 1 კგ ყურძნის მოყვანა ფერმერთა უმეტესმა ნაწილმა 60-80 თეთრი დააფიქსირა (გამოკითხულთა 83.4 %), აღსანიშნავია ის ფაქტი რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ისეთმა ფერმერებმა რომელთა გამოცდილება მეურნეობაში 6 და მეტი წელია აქვთ (გამოკითხულთა 77.8%), ხოლო გამოკითხულთა 72.2 პროცენტს ბოლო წლებში სუბსიდია მიღებული აქვთ. აქედან გამომდინარე გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს, ფერმერების ის კატეგორია, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ფინანსური თუ სხვა სახის დახმარება და ვისაც დიდი გამოცდილება აქვთ როგორც მევენახეობის კუთხით, ასევე სუბსიდირების კუთხით.

შეკითხვაზე თუ რაში გამოიყენეს სუბსიდიიდან მიღებული თანხა 52,8 % უპასუხა, რომ მიღებული თანხები მხოლოდ ხარჯებს ეყო, 25 %-მა თანხები სხვა მიმართულებით დახარჯა, ხოლო 19,4 % -მა განავითარა მეურნეობა, ხოლო 2.8 % არ მიუღია სუბსიდია.

შეკითხვაზე აპირებენ თუ არა ფერმერები მეურნეობის გაზრდას: 52.8 % უპასუხა რომ არა, ხოლო 47,2 % კი.

შეკითხვაზე თუ რამდენად უწყობს ხელს სუბსიდია ყურძნის ხარისხს: 5-დან საშუალო შედეგი 3.03-ია.


შეკითხვაზე თუ რამდენად უწყობს სუბსიდია ინოვაციების დანერგვას: 5-დან საშუალო შედეგი 3.14-ია.

შეკითხვაზე თუ რამდენად უწყობს ხელს სუბსიდია ყურძნის წარმოების ზრდას: 5-დან საშუალო შედეგი 4.03-ია.


შეკითხვაზე თუ რამდენად უწყობს ხელს სუბსიდია ფერმერთა დამოუკიდებლობას: 5-დან საშუალო შედეგი 2.94-ია.

რესპოდენტთა უმეტესი 69.4 პროცენტი ფიქრობს რომ სუბსიდია საჭირო დახმარებაა, ხოლო 30,6 პირიქით.

რესპოდენტთა უმეტეს ნაწილს 77,8 % სურს რომ სუბსიდიის რაოდენობა დამოუკიდებელი გახდეს ყურძნის ხარისხზე, ხოლო 22.2 პირიქით.



რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი 69.4 პროცენტი ფიქრობს, რომ სუბსიდიის გარეშე ნაწილობრივ შეძლებს ფუნქციონირებას, 16,7 % მიიჩნევს რომ ვერ შეძლებს, ხოლო 13,9 % შეუძლია.




ფერმერების უმეტეს ნაწილს(63,9%) არ სურს სუბსიდირება ისე გაგრძელდეს, როგორც წინა წლებში იყო.

შეკითხვაზე ზღუდავს თუარა სუბსიდია ბაზრის თავისუფალ განვითარებას 50% ამბობს რომ რთულია თქმა, 25 - არა, ხოლო 25 % - კი .

ყურადღება მისაქცევია იმ ფაქტზე, რომ ფერმერების 50% იძახის რომ სუბსიდიამ არ შეცვალა მოტივაცია მევენახეობის გაფართოებაზე.

შეკითხვაზე შეუწყო თუარა სუბსიდიამ ბაზრის დივერსიფიკაციას ხმები თითქმის თანაბრად 3 ნაწილად გაიყო: დიახ, არა, არ ვიცი.

შემდეგი შეკითხვა სუბსიდიის არსებობაზე ასე განაწილდა:



გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შეკითხვებისა, ფერმერებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ სუბსიდირების 1 დადებითი და 1 უარყოფითი მხარე, ასევე უნდა დაეფიქსირებინათ პასუხი როგორ გააუმჯობესებდნენ სუბსიდირების პროგრამას და რა ღონისძიებებს გაატარებდნენ მევენახეობა მეღვინეობის ხელშესაწყობად. აღნიშნული გამოკითხვიდან გამოვყავი ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც უმრავლესობა აფიქსირებს:

შეკითხვაზე დაასახელეთ სუბსიდირების პროგრამის მინიმუმ 1 დადებითი მხარე:

- ✓ ფინანსური დახმარება, სტაბილურობის შეგრძნება, განცდა რომ სახელმწიფო პრიორიტეტულ ადგილას აყენებს მევენახეობას.

შეკითხვაზე დაასახელეთ სუბსიდიის პროგრამის მინიმუმ 1 უარყოფითი მხარე:

- ✓ ხდები სახელმწიფოზე დამოკიდებული, ზღუდავს ბაზარზე ყურძნის ფასის თავისუფალ რეგულირებას, ყურძნის ხარისხი უარესდება, არ ხდება ინოვაციებზე ორიენტირება, ქარხნები აღარ შედიან ერთმანეთთან კონკურენციაში და იქმნება მონოპოლისტური ფასები, დარგი ვერ ვითარდება.

შეკითხვაზე როგორ გააუმჯობესებდით სუბსიდირების პროგრამას:

- ✓ ბაზრის დივერსიფიკაციიდან და მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებიდან გამომდინარე სუბსიდირების თანხების ნაწილს გამოვყოფდი ხარისხიანი ყურძნის სუბსიდირებაზე (ე.წ ბიო ყურძნის საწარმოებლად), რაც ევროპულ ბაზარზე მაღალი ფასით და დიდი მოთხოვნით გამოირჩევა.
- ✓ მეტ თანხებს გამოვყოფდი სუბსიდირებაზე

შეკითხვაზე დაასახელეთ 1 გასატარებელი ღონისძიება მევენახეობის, მეღვინეობის ხელშესაწყობად:

- ✓ თანხების ნაწილი დაიხარჯებოდა ქვეყანაში ქარხნის ასაშენებლად, სადაც მოხდებოდა შესაწამლი და სხვადასხვა სასუქეული პროდუქტის წარმოება, რაც მოგვეცემდა საშუალებას გვექონოდა ქართული წარმოების პროდუქტი და დაგვესაქმებინა ხალხი.
- ✓ ბაზარზე შესაწამლ და სხვა პროდუქტებზე გაძლიერებული მონიტორინგი.
- ✓ შიდა ბაზარზე არსებულ ღვინოებზე გაძლიერებული მონიტორინგი, ბაზარზე ჭარბადაა გაურკვეველი და ფალსიფიცირებული ღვინოები, რაც ყურძენზე და ღვინოზე ფასის კლებას იწვევს.
- ✓ საერთაშორისო მარკეტინგული ნაბიჯების გადადგმა, რეკლამირება.
- ✓ სადაზღვევო პაკეტის დახვეწა, გაუმჯობესება.
- ✓ იაფ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- ✓ ქარხნებზე გაზრდილი მონიტორინგი ანტიმონოპოლირი სამსახურის მიერ.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოკითხვის პასუხების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფერმერების უმეტესობა არ არიან დაინტერესებული წარმოების მოცულობის გაზრდით და მეურნეობის განვითარებით, ხოლო დაინტერესებული ფერმერების ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს სუბსიდირებით მიღებული თანხების დახარჯვას მეურნეობის განვითარებაზე. ამის მიზეზია ყურძნის ფასები, რომელიც იმდენად დაბალია, რომ რიგ შემთხვევაში მათი შემოსავალი ხარჯებს ძლივს ფარავს.

მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, სუბსიდირებამ გამოიწვია ფერმერთა ფინანსური სტაბილურობის ზრდა, რაც რიგ შემთხვევაში დადებითად აისახა მათ მიერ აგროტექნიკური სამუშაოების დროულ და ხარისხიან განხორციელებაზე, რამაც გამოიწვია უკვე არსებულ მეურნეობებში პროდუქტის მოცულობის ზრდა. მაკროეკონომიკურ დონეზე ყურძნის მოცულობის ზრდამ ხელი შეუწყო ექსპორტის ზრდას. მაგალითისთვის, 2020-2023 წლებში ექსპორტი გაიზარდა დაახლოებით 20%-ით, ხოლო კახეთიდან გასული პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში 65%-ს გადააჭარბა. მიკროეკონომიკური კუთხით სუბსიდიის დადებითი შედეგია ასევე ის, რომ იგი დამატებითი შემოსავალია ფერმერებისთვის და აძლევს მათ სტაბილურობის განცდას, ისინი გრძნობენ, რომ სახელმწიფოსთვის დარგი მნიშვნელოვანია.

შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ამ პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფერმერთა დამოკიდებულებას სახელმწიფოზე და ხელი შეუშალა მათი ინდივიდუალური განვითარების გზების ძიებას. ხშირ შემთხვევაში სუბსიდია გაიცემოდა არა პროდუქციის ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმებით, არამედ რაოდენობრივი ნიშნით, რაც განაპირობებდა დაბალი ხარისხის პროდუქციის მოხვედრას ბაზარზე. კრიტიკულად რჩება ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხი: ქართული ღვინის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა კვლავ რუსეთია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ რისკებს.

2024 წლის მონაცემებით ტოპ 5 ღვინის საექსპორტო ბაზარია:

- 1) რუსეთი - \$176,26 მლნ;
- 2) პოლონეთი - \$15,17 მლნ;
- 3) ყაზახეთი - \$9,76 მლნ;
- 4) ჩინეთი - \$8,2 მლნ;
- 5) გერმანია - \$5,57 მლნ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კახეთში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები მრავალმხრივია. ერთის მხრივ, ამ მექანიზმმა მნიშვნელოვნად შეამცირა სოციალური შოკები და წახალისა ფერმერების აქტიურობა, თუმცა მეორეს მხრივ, ხელი შეუწყო სახელმწიფოზე დამოკიდებულების გაღრმავებას და ხარისხის კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას. უხარისხო ღვინის წარმოება და გასაღება ასევე შეინიშნება ადგილობრივ ბაზარზეც, ამიტომ აუცილებელია ღვინის ხარისხის უფრო მეტად კონტროლი. ამასთან, სუბსიდირების პოლიტიკა ნაკლებად არის ორიენტირებული გრძელვადიან განვითარებაზე და ინოვაციებზე.

შედეგად, კახეთში სუბსიდიების სისტემის გადახედვა აუცილებელია როგორც დარგის მდგრადობისთვის, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის საერთო განვითარების თვალსაზრისით.

რეკომენდაციებად განიხილება შემდეგი ნაბიჯები:

ბაზრის დივერსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერება, აგროტექნოლოგიური ცოდნის გავრცელება, ინფრასტრუქტურული განახლება (მაგ. საწყობების მშენებლობა), დაზღვევის სისტემების გაუმჯობესება და განათლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება, ასევე ადგილობრივი შესაწამლი და სხვა პროდუქტების წამოებისთვის ხელშეწყობა, ანტიმონოპოლიური სამსახურების გაძლიერებული მონიტორინგი, საერთაშორისო მარკეტინგული ნაბიჯების გადადგმა, ადგილობრივ ბაზარზე ფალსიფიცირებულ ღვინოებზე გაძლიერებული შემოწმება, სადაზღვევო სისტემის გაუმჯობესება, იაფ კრედიტებზე უფრო მეტი ხელმისაწვდომობა და სხვა.

ლიტერატურა:

1. <https://www.gbc.ge/news/economics/ghvini-eqsporti-umnishvnelod-gaizarda>-ვებგვერდი;
2. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი;
3. <https://wine.gov.ge/-/News/37074> - სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი.

## **Economic Effects of Grape Subsidies in the Kakheti Region**

**Iosebashvili Gurami**

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

### **Abstract**

As you know, the Kakheti region is the main place for viticulture and wine production in Georgia, and winemaking is a cultural and historical symbol of Georgia. Grape production and its processing into wine are of significant social and economic importance in Kakheti. Thousands of people are employed in the field of viticulture, and the income of many families and small farms depends on this sector. In such conditions, the subsidy policy implemented by the state becomes one of the important levers for stabilizing agriculture.

The article discusses the goals, research results, problems and challenges of grape subsidies in Georgia. The role of subsidies in employment of the rural population, stabilization of incomes and stimulation of Georgian wine exports is analyzed. Both the positive aspects of the economic effects of grape subsidies (financial support for farmers, regional development, a sense of stability) and its negative consequences (pressure on the budget, disruption of natural market mechanisms, deepening dependence) are reviewed. The article also provides recommendations that were determined as a result of a survey of farmers and their many years of experience.

As a resident of the Kakheti region and a farmer in the field of viticulture, I set myself the goal of conducting research and publishing a work that, on the one hand, will be based on empirical methods and the practice that we farmers have accumulated over the years, and on the other hand, I hope that the results of this research will help each grape farmer take the right steps and contribute to strengthening the country's economy, especially in terms of agriculture.

**Keywords:** *stimulation, export, subsidy, empirical, stabilization*

## საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები

**რინკიაშვილი ნანა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**ალადაშვილი მაია**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.70>

**აბსტრაქტი.** ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გლობალური საზოგადოება სულ უფრო მეტად აღიარებს მდგრადი განვითარების აუცილებლობას, როგორც ეკონომიკური პროგრესის მნიშვნელოვან პრინციპს. მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია მოიცავს ეკონომიკური ზრდისკენ სწრაფვას და ამავდროულად გარემოს დაცვისა და სოციალური თანასწორობის საკითხების მოგვარებას, რითაც უზრუნველყოფს აწმყო და მომავალი თაობების კეთილდღეობას.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჩვენ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მოითხოვს, რომ ვიპოვოთ ეკონომიკური ცხოვრების ახალი მიდგომები, როგორც წარმოების ისე მოხმარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ვეძებოთ ეკონომიკური ეფექტურობის ახალი გზები, რათა უფრო მეტი ვაწარმოვოთ ნაკლები რესურსებით და ნაკლები ნარჩენებით. გარემოს დაცვა მოითხოვს ახალ წარმოების პროცესებს, გადამუშავებადი მასალის მეტ გამოყენებას. ნაშრომში გაანალიზებულია, რომ ეკონომიკური სისტემები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიან მიღწევებს გრძელვადიან სტაბილურობასთან შედარებით, რაც იწვევს არამდგრად განვითარებას, რომლებიც ამცირებენ ბუნებრივ რესურსებს, ამწვავებენ უთანასწორობას და აზიანებენ ეკოსისტემებს. მდგრადი განვითარების ბუნება, რომელიც შედგება მრავალი ფაქტორისაგან, მოითხოვს ერთობლივ მოქმედებას და საერთაშორისო თანამშრომლობას, თუმცა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ხშირად ხელს უშლის საერთო მიზნების მიღწევას. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, ინოვაციური გადაწყვეტილებების საჭიროება უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე.

**საკვანძო სიტყვები-** მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური ზრდა, სოციალური თანასწორობა, ცირკულარული ეკონომიკა

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავება. მდგრადი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს, ეკონომიკური ზრდის სინქრონიზაციას გარემოს დაცვასთან, ამჟამინდელი და მომავალი კეთილდღეობისთვის. ტრადიციული ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ხშირად მოქმედებენ აილე-აწარმოე-გაანადგურე ფორმულით, გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადია. მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკა არის სტრატეგიები და რეგულაციების ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებს მთავრობა და ორგანიზაციები ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, გარემოს დაცვის, სოციალური თანასწორობისა და გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის

## პარალელურად (What Are Sustainable Economic Policies)

რადგან საზოგადოებები მდგრადი პროგრესისკენ ისწრაფვიან, მდგრადი განვითარების ეკონომიკამ სულ უფრო მეტი ყურადღება მიიპყრო, რომელიც გამოწვევებს განიხილავს და პოტენციურ გადაწყვეტილებებს იკვლევს გრძელვადიანი კეთილდღეობის მისაღწევად, ბუნებრივი რესურსებისა და სოციალური კეთილდღეობის დაცვით. ამ სფეროში ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის (WCED) მნიშვნელოვანი ანგარიში, რომელიც ფართოდ არის ცნობილი, როგორც ბრუნტლანდის ანგარიში. ანგარიშში მდგრადი განვითარება განსაზღვრულია, როგორც „განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს საჭიროებებს მომავალი თაობების საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის კომპრომისის გარეშე“ (1987: Brundtland Report). ეს კონცეპტუალიზაცია ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების თანდაყოლილ თაობათაშორის თანასწორობას, ხაზს უსვამს რესურსების პასუხისმგებლიანი მართვისა და სარგებლის სამართლიანი განაწილების მნიშვნელობას.

მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მრავალ განზომილებიან ჩარჩოს, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს. ტრადიციული ეკონომიკური მიდგომები ხშირად მოკლევადიან მიღწევებს გრძელვადიან მდგრადობაზე მაღლა აყენებენ, რაც გარემოს დეგრადაციას და სოციალურ უთანასწორობას იწვევს. ამ გამოწვევების ფონზე, მეტად აქტუალურია ინტეგრირებულ მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს გარე ეფექტებს, ასევე ითვალისწინებს ეკოლოგიურ შეზღუდვებს და ხელს უწყობს ინკლუზიურ განვითარებას. მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ეკონომიკური ზრდის გარემოს დაცვასთან შეთავსებაა. ეკონომიკური ზრდის რესურსების მოხმარებისა და გარემოს დეგრადაციისგან „განცალკევების“ კონცეფციამ ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. განცალკევების მომხრეები ემხრობიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეფექტურობას, ინოვაციას და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს კეთილდღეობის მისაღწევად ბუნებრივი კაპიტალის შემცირების გარეშე. მდგრადი ეკონომიკური განვითარება აქცენტს აკეთებს ცირკულარული ეკონომიკაზე, სადაც ხდება რესურსების ეფექტურად გამოყენება, ნარჩენების გადამუშავება-გამოყენება. ყოველივე ეს კი იწვევს გარემოსდაცვითი პრაქტიკისათვის ეკონომიკური სტიმულების შექმნას.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოში სწრაფი ეკონომიკური ზრდა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლები შეიმჩნევა, ამავდროულად ინდუსტრიულ ქვეყნებში რესურსების დეფიციტის და განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა მსოფლიოს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. მდგრადი მომავალი ეკონომიკური განვითარების დომინანტი ურთიერთ დაკავშირებული ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებია. მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ასევე ცნობილი როგორც გლობალური მიზნები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2015 წელს მიიღო, როგორც უნივერსალური მოწოდება სიღარიბის დასასრულებლად, პლანეტის დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ 2030 წლისთვის ყველა ადამიანი ტკბებოდეს მშვიდობითა და კეთილდღეობით. მდგრადი განვითარება 17 მიზანშია ინტეგრირებულია (THE 17 GOALS).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გლობალური საზოგადოება სულ უფრო მეტად აღიარებს მდგრადი განვითარების აუცილებლობას, როგორც ეკონომიკური პროგრესის სახელმძღვანელო პრინციპს. მდგრადი განვითარების კონცეფცია მოიცავს ეკონომიკური ზრდისკენ სწრაფვას და ამავდროულად გარემოს დაცვისა და

სოციალური თანასწორობის საკითხების მოგვარებას, რითაც უზრუნველყოფს აწმყო და მომავალი თაობების კეთილდღეობას. რადგან საზოგადოებები ებრძვიან კლიმატის ცვლილების, რესურსების შემცირებისა და სოციალური უთანასწორობის შედეგებს, მდგრადი განვითარების ეკონომიკის გაგება უმნიშვნელოვანესი გახდა.

მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნები შექმნილია სიღარიბის, შიმშილის, სხვადასხვა დავადების და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად (THE 17 GOALS).. მდგრადი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს, რომ ერთ სფეროში მოქმედება გავლენას მოახდენს სხვა სფეროებში შედეგებზე და რომ განვითარებამ უნდა დააბალანსოს სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგრადობა

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ყველა კონტექსტში აუცილებელია მთელი საზოგადოების კრეატიულობა, ცოდნა, ტექნოლოგია და ფინანსური რესურსები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მდგრადი ეკონომიკური განვითარება ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია, ინვესტიციების განხორციელების მიმართულება, ტექნოლოგიური განვითარების ორიენტაცია და ინსტიტუციური ცვლილებები ან რეფორმები აძლიერებს როგორც ამჟამინდელ, ასევე მომავალ პოტენციალს ადამიანის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ეკონომიკური განვითარება მდგრადობის გარეშე არ არის ეფექტური/ეფექტიანი გრძელვადიან პერსპექტივაში.

მოსახლეობის ზრდის ზეწოლის გამო, განვითარებად ქვეყნებს მოუწიათ ეკონომიკური პროგრესის გაგრძელება განვითარების პროცესში წარმოშობილი გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემის მიუხედავად. ისინი მდგრადობის პრობლემას ნაკლებად აცნობიერებენ. მდგრადი განვითარება მარტივი არ არის, რადგან ქვეყნები განსხვავდებიან დროით, სივრცით და ეკონომიკური განვითარების დონით, შესაბამისად ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებიც განსხვავებულია.

მდგრადი ეკონომიკური განვითარებას მრავალი დამაბრკოლებელი ფაქტორები ახლავს, რომელთა შორის აღსანიშნავია: სოციალური ფონი; ბაზრის მექანიზმები, გარემო, რესურსები, მოსახლეობა, სამრეწველო სტრუქტურა, ურბანული და სოფლის განვითარება, ინფრასტრუქტურა და გეოგრაფიული პირობები.

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისკენ სწრაფვა, არ გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებამ უარი თქვას იმ სიკეთეზე/ სარგებელზე, რომლებიც მას მოუტანა ტექნოლოგიურმა/ ინდუსტრიულმა პროგრესმა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მდგრადი ეკონომიკური განვითარება მჭიდრო კავშირშია როგორც სიღარიბესთან ისე ეკოლოგიასთან და გარემოს დაცვასთან. აქ საუბარია საზოგადოების კეთილდღეობის ისე გაზრდა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანოს გარემო და მეტი სარგებელი მიიღოს საზოგადოების სოციალური კეთილდღეობით. მცირე ინოვაციური საწარმოების მნიშვნელოვანი ხელშეწყობა რომლებიც აქცენტს აკეთებენ გარემოს დაცვაზე, გადამუშავებული მასალის (მინა, ქარაღდი..) ხელმეორედ გამოყენება წარმოებაში ეს ის მცირე ჩამონათვალია, რითაც ეკონომიკური განვითარება არ შეჩერდება და არც მომავალი თაობის ინტერესები იქნება უგულებელყოფილი.

მდგრადი განვითარების საკითხების მოგვარების აუცილებლობა არ შეიძლება გადაჭარბებულად შეფასდეს, რასაც ადასტურებს გარემოსდაცვითი კატასტროფების მზარდი სიხშირე, შემოსავლების უთანასწორობის გაფართოება და ეკოსისტემის დეგრადაცია. ამ ფონზე, პოლიტიკის შემქმნელებს, ბიზნესებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სულ უფრო მეტად მოუწოდებენ მიიღონ

ჰოლისტური მიდგომები, რომლებიც აერთიანებს ეკონომიკურ ზრდას გარემოსდაცვით მართვასთან და სოციალურ ინკლუზიურობასთან.

ჩვენ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მოითხოვს, რომ ვიპოვოთ ეკონომიკური ცხოვრების ახალი მიდგომები, როგორც წარმოების ისე მოხმარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ვეძებოთ ეკონომიკური ეფექტურობის ახალი გზები, რათა უფრო მეტი ვაწარმოვოთ ნაკლები რესურსებით და ნაკლები ნარჩენებით. გარემოს დაცვა მოითხოვს ახალ წარმოების პროცესებს, გადამუშავებადი მასალის მეტ გამოყენებას. ყურადღებით უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ იწარმოება, იყიდება, მიეწოდება და იყრება საქონელი და განვიხილოთ ეკონომიკური განვითარების გავლენა ბუნებრივ და ბიოლოგიურ პროცესებზე, რათა დავინახოთ თუ როგორ შეიძლება წარმოების პროცესის გაუმჯობესება. ეკონომიკური ზრდა შესაძლებელი გახდეს ტექნოლოგიური ინოვაციების, საბაზრო ეკონომიკური სისტემის ურთიერთქმედების მეშვეობით. უნდა მოხდეს იმ ფაქტის გაანილზება თუ როგორ ანაწილებს ეკონომიკური სისტემა მწირ რესურსებს სხვადასხვა და კონკურენტულ მიზნებზე, უნდა მოიცავდეს როგორც ბუნებრივი და გარემოსდაცვითი რესურსების ნაკადს წარმოების პროცესში, ასევე ნარჩენების ნაკადს წარმოების და მოხმარების პროცესებიდან ბუნებრივ გარემოში.

საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია განახლებადი ენერჯო რესურსების არსებობისა და გამოყენების მხრივ. ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები მზის და ქარის ენერჯის გამოსაყენებლად. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოში ბიომასის გამოყენება არასასურველი მიმართულებით მიმდინარეობს და ძირითადად შემის მოხმარების სახით გვხვდება, რამაც შეიძლება მომავალში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს.

თანამედროვე სამყაროში ბუნებრივი გარემოს ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონეზე. მდგრადობის აუცილებლობის მზარდი აღიარების მიუხედავად, მნიშვნელოვანი დაბრკოლებები კვლავ რჩება. ეკონომიკური სისტემები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიან მიღწევებს გრძელვადიან სტაბილურობასთან შედარებით, რაც იწვევს არამდგრად პრაქტიკებს, რომლებიც ამცირებენ ბუნებრივ რესურსებს, ამწვავებენ უთანასწორობას და აზიანებენ ეკოსისტემებს. გარდა ამისა, მდგრადი განვითარების მრავალი გამოწვევის გლობალური ბუნება მოითხოვს ერთობლივ მოქმედებას და საერთაშორისო თანამშრომლობას, თუმცა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ხშირად ხელს უშლის საერთო მიზნების მიღწევას. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, ინოვაციური გადაწყვეტილებების საჭიროება უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე.

მდგრადი განვითარების ეკონომიკის შესწავლამ გამოავლინა გარემოს დაცვას, სოციალურ თანასწორობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის რთული ურთიერთქმედება. გამოავლინა ის მრავალრიცხოვან გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლის მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზებას, რესურსების ამოწურვიდან და გარემოს დეგრადაციიდან დაწყებული, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობითა და ინსტიტუციური ბარიერებით დამთავრებული. თუმცა, ამ გამოწვევების ფონზე, ჩვენ ასევე გავაანალიზეთ ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და პერსპექტიული სტრატეგიების სპექტრი. განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების მიღებიდან დაწყებული, ინკლუზიური პოლიტიკისა და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვით დამთავრებული, არსებობს უამრავი შესაძლებლობა მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ მასშტაბებზე. უფრო მეტიც, ახალი ეკონომიკური

პარადიგმების გაჩენა, როგორცაა გაზიარების ეკონომიკა და გავლენის ინვესტირება, ხაზს უსვამს ტრანსფორმაციული ცვლილებების პოტენციალს არსებულ ეკონომიკურ სისტემებში. მიუხედავად ამისა, მდგრადი განვითარების მიღწევა კვლავ რთულ ამოცანად რჩება, რომელიც მოითხოვს მთავრობების, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ცალკეული პირების კოორდინირებულ ძალისხმევას. თანამშრომლობა, ინოვაცია და ერთობლივი მოქმედება აუცილებელი იქნება ფესვგადგმული ინტერესების დასაძლევად და სწრაფად ცვალებადი სამყაროს სირთულეების გადალახვაში. უფრო მეტიც, არამდგრადი პრაქტიკის ძირეული მიზეზების მოგვარება მოითხოვს ჰოლისტიურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ მოსაზრებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ეკონომიკური ზრდისა და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის დაბალანსება მოითხოვს კომპრომისების დადებას მოკლევადიან მოგებასა და გრძელვადიან მდგრადობას შორის. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გლობალური ბუნება მოითხოვს ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას და მრავალმხრივი მმართველობის მექანიზმებს. მდგრადი განვითარების ეკონომიკა წარმოადგენს როგორც გამოწვევებს, ასევე შესაძლებლობებს აყვავებული და სამართლიანი მომავლის მისაღწევად.

#### ლიტერატურა:

1. What Are Sustainable Economic Policies? მოძიებულია 18.05.2025 <https://www.linkedin.com/pulse/what-sustainable-economic-policies-ed%C3%BA-salda%C3%B1a-pvcse>.
2. THE 17 GOALS მოძიებულია 12. 05.2025. <https://sdgs.un.org/goals>
3. 1987: Brundtland Report მოძიებულია 20.05.2025 <https://www.are.admin.ch/are/en/home/media/publications/sustainable-development/brundtland-report.html>
4. საქართველო ცირკულარული ეკონომიკის განვითარების გზაზე – მიღწევები და გამოწვევები . მოძიებულია 20.05.2025 <https://iset-pi.ge/ka/blog/3169-saqartvelo-cirkularuli-ekonomikis-ganvitarebis-gzaze-mightsevebi-da-gamotsvevebi>

### Prospects for Sustainable Development of the Georgian Economy

**Rinkiazhvili Nana**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

**Aladashvili Maya**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

#### Abstract

In recent decades, the global community has increasingly recognized the need for sustainable development as an important principle of economic progress. The concept of sustainable development includes the pursuit of economic growth while addressing environmental protection and social equity issues, thereby ensuring the well-being of present and future generations.

The paper notes that the sustainable economic development of our country requires us to find new approaches to economic life, both in terms of production and consumption. It is important to look for new ways of economic efficiency in order to produce more with fewer

resources and with less waste. Environmental protection requires new production processes, greater use of recyclable materials. In the article we analyze, that economic systems often prioritize short-term gains over long-term stability, which leads to unsustainable development that depletes natural resources, exacerbates inequality, and damages ecosystems.

The many global challenges of sustainable development require collective action and international cooperation, yet political and economic interests often hinder the achievement of common goals. Given these challenges, the need for innovative solutions is more urgent than ever.

The multifaceted nature of sustainable development requires concerted action and international cooperation, but political and economic interests often hinder the achievement of common goals. According these challenges, the need for innovative solutions is more urgent than ever.

***Keywords*** - *sustainable development, environmental protection, economic growth, social equality, circular economy.*

საქართველოში ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების რეგულირება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში

**ჭიოტაშვილი დავით**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი  
ORCID-0000-0002-2500-6252

**ჩიტაძე ხალიანა**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი  
ORCID-0000-0001-6795-9484

<https://doi.org/10.52340/idw.2025.71>

**აბსტრაქტი:** ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ბიზნეს ურთიერთობების გამარტივების შესაძლებლობაა, რაც გვამძლევს საშუალებას ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ანგარიშგება გახდეს ადვილად აღსაქმელი, გასაგები და შესადარისი საერთაშორისო მასშტაბით. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და მორგება საქართველოში წარმატებით ხორციელდება, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სხვადასხვა მრავალმხრივი და მოცულობითი სამუშაოებისა, აღნიშნული საკითხები დღემდე მსჯელობის, განსახილველ და საკამათო საკითხს წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების სანდოობის გაზრდისა და გამჭვირვალობის ძირითადი საკითხები საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სრულყოფილად არ გვამძლევს საბოლოო შედეგს.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, შესწავლა და გაანალიზება იმ ძირეული საკითხების, რომლებიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირებას საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ნაშრომში გაანალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მოქმედების სფერო, სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასება და გამოწვევები.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური ანგარიშგება; მცირე და საშუალო საწარმო; ფინანსური ანგარიშგების რეგულირება; ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი.

**შესავალი:**

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში, ხელშეწყობა და შემდგომი ზრდა დღეისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სწორედ სახელმწიფოსა და ბიზნეს სუბიექტების ხასიათის ერთერთი დამაკავშირებელი რგოლი მცირე და საშუალო საწარმოებია, რომელთაც მიმართულებას ასრულებენ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ საქართველოში საჯარო სექტორი კერძო სექტორისაგან გაიმიჯნა და აღნიშნულმა ცვლილებამ ფინანსური აღრიცხვის მეტად სრულყოფა გამოიწვია. საქართველოში დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რომელიც დაეფუძნა ევროპის და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებულ და გამოცდილ საერთაშორისო სტანდარტებს.

პირველ ეტაპზე დღის წესრიგში დადგა ბიზნეს სუბიექტებისთვის შედარებით

სრულყოფილი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სამეწარმეო სფეროს აღრიცხვის ზოგადი პრინციპები და გადაიდგა ნაბიჯები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასასვლელად. შემდგომ ეტაპზე მიღებული კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ თანახმად, სავალდებულო გახდა კერძო სამართლის სუბიექტებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება.

2009 წელს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებულმა ასოცირების შეთანხმებამ საბოლოოდ განსაზღვრა ბიზნეს სუბიექტების ზომითი კატეგორიები და შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან და რეგულირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის ეროვნული სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს და რა პრობლემების და გამომწვევების წინაშე დგას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა საქართველოში და რა შედეგები დაიღო დღემდე? შესაძლებელია თუ არა ისეთი უნივერსალური ფინანსური ანგარიშგების მოდელის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის თუ რა შესაძლებლობები არსებობს ფინანსური საქმიანობის შეფასების სრულყოფის მიმართულებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შემდგომ ეტაპებზე?

### **მეთოდოლოგია**

ნაშრომში განხილულია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირების ეტაპები, მისი შესაბამისობა სახელმწიფოს სამართლებრივ მოთხოვნებთან და ევროკავშირის დირექტივებთან.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა საინფარმაციო რესურსებით მოპოვებული ინფორმაცია, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ გვერდიდან მიღებული ინფორმაცია. ნაშრომი ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს და კვლევებიდან მიღებულ შედეგებს, დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება მიღებული მონაცემების ანალიზს არსებული მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

### **განხილვა და დისკუსია:**

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საქართველოში დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის წარმატებით მიმდინარეობს. მისი საკანონმდებლო რეგულაცია პრინციპულად განსხვავებულია და მისი დამკვიდრება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს უკავშირდება. ახალი კანონის მიღებიდან მცირე დროის გასვლის მიუხედავად, პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარკვეული მიდგომები სრულ შესაბამისობაში მოვიდა და ნაწილი კვლავ საჭიროებს დახვეწას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ისტორია და გამოცდილება გვამღევეს სათქმელს,

იმის შესახებ რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში აღნიშნული სფერო ვერ განვითარდება და ვერ გახდება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფერო თუ მას სახელმწიფოს მხრიდან არ ექნებათ აქტიური რეგულირება და მხარდაჭერა. სწორედ საბაზრო მექანიზმებით რეგულირება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება არის მნიშვნელოვანი აღნიშნული სფეროს განვითარებისათვის.

კვლევების საფუძველზე ნაწილი მეცნიერების და ექსპერტების თვლიან, რომ აქტიური საფინანსო პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური წონასწორობა, დაძლიოს მასობრივი უმუშევრობა. სხვა მეცნიერები და ექსპერტები კი თვლიან, რომ ბიზნესში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მრავალი მიზეზითაა რაც გულისხმობს ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, ერთობლივი ძალისხმევით და შეუძლებელია მათი რეალიზება მხოლოდ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით. სრულყოფილი ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელი ფაქტორი არის ის რომ სახელმწიფომ დაარეგულიროს ბიზნესიც და საერთოდ ეკონომიკა. სახელმწიფო აყალიბებს ბიზნეს გარემოს და ხელს უწყობს მის ფორმირებას.

საქართველოში, უკანასკნელი წლების ეკონომიკური კვლევების საფუძველზე მაჩვენებლები იძლევა გარკვეულ ანალიზს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ფინანსური აღრიცხვის სისტემის არაეფექტურობა წარმოადგენდა. ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული მდგომარეობა ქმნიდა მნიშვნელოვან ბარიერებს, რაც სიტუაციის გართულებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად დროულად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხშირად აღნიშნული ცვლილებები უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, როგორც უკვე მომქმედი ბიზნესის მართვისას, ასევე ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად ცვლიდა საინვესტიციო გარემოს, რაც საშუალებას არ აძლევდა ინვესტორებს დაეხმარებინათ საკუთარი ფულადი სახსრები ხანგრძლივად.

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სწრაფი განვითარება, ჩამოყალიბება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობასთან ნებისმიერი ქვეყანისათვის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე თანმიმდევრულად მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფა, ასევე ხორციელდება იმ მიმართულებების მიება, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ საკანონმდებლო ბაზის შექმნას. მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები რომელიც ამოქმედდა 2006 წლიდან, წარმოადგენდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამარტივებულ ვერსიას. 2009 წელს კი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საფუძველი გახდა 2016 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებების კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ, რომელიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებით განხორციელდა და რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა აღრიცხვის რეგულირების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის სპეციფიური თავისებურებების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ევროპული კანონმდებლობის მოთხოვნებს უკავშირდება.

მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება სამართლიან ინფორმაციას და ისეთ ძირითად დაშვებებს და პრინციპებს, როგორებიცაა: ფუნქციონირებადობის პრინციპით აღრიცხვა, დარიცხვის მეთოდი, წინდახედულობა და არსებითობა.

მცირე და საშუალო საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი, რაც თავის მხრივ მოიცავს: საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით შედგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას და სამ განმარტებით შენიშვნას.

საქართველოში ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო გამოქვეყნება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ფინანსური გამჭვირვალობის თვალსაზრისით ამტკიცებს, რომ საქართველოში განხორციელებული ცვლილებები ამ კუთხით თანდათან ჰარმონიზდება ევროკავშირის აღიარებულ სტანდარტებთან. აღიშნულ პროცესში ჩაერთვნენ საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებიც, რომლებიც ერთი მხრივ უზრუნველყოფენ ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის პროფესიულ მხარდაჭერას და მეორე მხრივ თავად ახორციელებენ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა და საჭიროა გამოვეყნოთ ის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რომლებსაც ადგილი აქვს და რომელთა წინაშეც დადგა მეწარმე სუბიექტები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მომხმარებელთა არასათანადოდ ინფორმირება; მოქმედი სპეციალისტების ცოდნის და გაცნობიერების ხარისხი; ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების ზოგიერთი ნაწილის ძნელად აღქმადობა და გარკვეული უზუსტობები; პრაქტიკული რეკომენდაციების ნაკლებობა; დასაქმებული სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია და მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების და კომპეტენციის დაბალი დონე.

### **სტატისტიკური მონაცემები და შედეგები:**


სტატისტიკურ მონაცემები და შედეგები ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების შესახებ გვადლევს ინფორმაციას, რომლებიც უკანასკნელი პერიოდის დინამიკას ეფუძნება. მონაცემებზე დაყრდნობით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის საქართველოში სხვადასხვა წლებში განსხვავებულად მიმდინარეობდა. არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე ვალდებულების პირობის არარსებობით 2016-2017 წლებში, შეინიშნებოდა შედარებით გულგრილი მიდგომები და სტატისტიკურმა მონაცემებმა ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროების დაბალ მაჩვენებლები გამოაქვეყნა. საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2018 წლიდან სავალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც საზოგადოებრივად დაინტერესებული პირების და პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებისთვის. სტატისტიკურმა მონაცემებმა მაჩვენებლების ზრდა დააფიქსირა. კოვიდ პანდემიის პერიოდში 2019 წლის შედეგები კლებისგან წავიდა. 2020-2021 წლებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საგრძნობ მტებასთან გვექონდა საქმე, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება სავალდებულო გახდა უკვე ყველა კატეგორიის

საწარმოებისათვისაც.

სქემა N1-ზე მოცემულია 2023 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სქემა N1




2022 წელთან შედარებით, 2023 წელს, საერთო შედეგების შედარებით, გარკვეულ შემცირებასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეულად მცირე და საშუალო საწარმოების ხარჯზე მოდის.

სქემა N2-ზე დეტალურად მოცემულია 2024 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

სქემა N2



2024 წელს კი, შედარებით მცირე ზრდასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეულად მცირე და საშუალო საწარმოების და ხარჯზე მოდის.

**დასკვნა:**

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ეტაპობრივად მიმდინარეობს. საქართველოში, უკანასკნელი წლების ეკონომიკური კვლევების საფუძველზე მაჩვენებლები იძლევა გარკვეულ ანალიზს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ფინანსური აღრიცხვის სისტემის არაეფექტურობა წარმოადგენდა. ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული მდგომარეობა ქმნიდა მნიშვნელოვან ბარიერებს, რაც სიტუაციის გაართულებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად დროულად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ხშირად აღნიშნული ცვლილებები უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, როგორც უკვე მომქმედი ბიზნესის მართვისას, ასევე ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად ცვლიდა საინვესტიციო გარემოს, რაც საშუალებას არ აძლევდა

ინვესტორებს დაეხმადებინათ საკუთარი ფულადი სახსრები ხანგრძლივად.

მსოფლიო გამოცდილებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და განვითარება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში უმეტესად რეგულირების გამართული სისტემით არის შესაძლებელი. თანამედროვე სტანდარტების სისტემის ჩამოყალიბება ნებისმიერი ქვეყანაში რთული და ხანგრძლივი პროცესია და საქართველოშიც კვლავაც მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის მიმართულების ძიება და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა. საკანონმდებლო რეგულაციები პრინციპულად განსხვავებულია და მისი დამკვიდრება ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროპული დირექტივების მოთხოვნებს უკავშირდება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი დახვეწა, განვითარება და სრულყოფა შესაძლებელს გახდის:

- ბიზნესში საფინანსო შეუსაბამობების მყისიერად გამოვლენას და ეფექტურად გადაწყვეტას;
- არსებული და მოსალოდნელი რისკების ეფექტურ მართვას;
- ანგარიშგების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
- ბიზნესის სტაბილურობის და უსაფრთხოების დაცვას;
- მომსახურე პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას და შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ადგილების ზრდას.

პრაქტიკამ და ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული და გამართული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მოთხოვნები და მიდგომები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის წარმოადგენს სამეურნეო სფეროს აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიდგომები სრულ შესაბამისობაში მოვიდა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს შემდგომი მოთხოვნების და მიდგომების დახვეწას და სრულყოფას.

მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურება სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ხასიათის ერთერთი განმსაზღვრელია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ბიზნეს ურთიერთობების გამარტივების შესაძლებლობაა, რაც გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ანგარიშგება გახდეს ადვილად აღსაქმელი, გასაგები და შესადარისი საერთაშორისო მასშტაბით.

## **Regulation of Financial Reporting Standards in Georgia for Small and Medium Enterprises in Relation to International Standards**

**Tchiotashvili David**

Gori State University, Gori, Georgia  
ORCID-0000-0002-2500-6252

**Chitadze Khaliana**

Gori State University, Gori,  
ORCID-0000-0001-6795-9484

### **Abstract**

International Financial Reporting Standards are the international global language of business relations, which allows any business entity to make its reporting easily understandable, understandable and comparable on an international scale. The transition and implementation of

international financial reporting standards for small and medium-sized enterprises in Georgia is successfully underway, but the problem is that despite various multifaceted and extensive works, these issues are still a matter of discussion, debate and controversy. The main issues and approaches to increasing the reliability and transparency of financial reporting for small and medium-sized enterprises in Georgia have not yet been formulated as a final result.

The main goal of the paper is to study and analyze the regulation of international financial reporting standards for small and medium-sized enterprises in Georgia. The scope of the Financial Reporting Standard for Small and Medium-sized Enterprises, the assessment of accounting policies and the challenges through which financial statements demonstrate the accountability of top management for the management of small and medium-sized enterprises are analyzed.

**Keywords:** financial reporting; small and medium-sized enterprises; financial reporting regulation; international accounting standards.

## დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირება და საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვა საქართველოში

**ჭიოტაშვილი დავით**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი  
ORCID-0000-0002-2500-6252

**ჩიტაძე ხალიანა**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი  
ORCID-0000-0001-6795-9484

<https://doi.org/10.52340/idw.2025.72>

**აბსტრაქტი:** დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დინამიური, სტაბილური და ეფექტური მექანიზმია. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა და სრულყოფა დაკავშირებული იყო სახელმწიფოს და კერძო სექტორის ფინანსური უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებასთან, დეპოზიტორების დაცვასა და საბანკო სექტორში სისტემური კრიზისების პრევენციასთან.

დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტების და შესაბამისად დეპოზიტორების დაცვას დეპოზიტების დაკარგვისგან და მისი მთავარი მიზანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ბანკებზე არსებული რისკების განეიტრალება და შერბილება. გამომდინარე აქედან ნაშრომის ძირითადი მიზანია, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ, საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირება და საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვა, რეფორმის მართვის მექანიზმები და მისი ეკონომიკური და ფინანსური ეფექტი.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა საქართველოში 2018 წლიდან დაიწყო საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილებით და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა, სისტემის წარმატების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. თუმცა, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად საერთაშორისო მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა, აღნიშნული რეფორმა კვლავ განვითარების პროცესშია და მოითხოვს საბოლოო შედეგის სახით ჩამოყალიბებას.

დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა იძლევა მისი ეფექტური მართვის საშუალებას და შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს დეპოზიტების დაცვას სხვადასხვა ფინანსური რისკებისაგან რომლებიც გამოწვეულია სადაზღვევო შემთხვევებისაგან.

**საკვანძო სიტყვები:** დეპოზიტების დაზღვევა; საინვესტიციო პოლიტიკა; რისკების საინვესტიციო პორტფელი; საბანკო სისტემა; რისკების მართვა; დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო.

### შესავალი

თანამედროვე დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო მეოცე საუკუნის დასასრულიდან და ზოგადად

დაკავშირებულიყო მძიმე საბანკო კრიზისებთან. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრმა უამრავმა ქვეყანამ დაიწყო. აღნიშნული სისტემა, მისი საინვესტიციო პოლიტიკა და მართვა, მოიცავს დეპოზიტებს და დეპოზიტორებს, რომელთაც თავის მხრივ შესაბამისი დაცვა და ფინანსური უსაფრთხოება ესაჭიროება, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის თანმიმდევრული და სისტემური სტრატეგიის შემუშავებით. საბანკო სისტემა ითვლება ყველაზე ძლიერ და განვითარებულ საფინანსო-საკრედიტო სფეროდ, რომელსაც ესაჭიროებათ ფინანსური უსაფრთხოების დაცვა და კატასტროფული ფინანსური რისკებისგან მიყენებული ზარალის შემცირება, ან თავიდან აცილება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის უმთავრესი ამოცანაა დეპოზიტორების და შესაბამისად საბანკო სექტორის დაცულობა და ქვეყნის ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა 2017 წელს მიღებული კანონმდებლობით, 2018 წლიდან დაინერგა საერთაშორისო პრინციპების, საერთაშორისო პრაქტიკის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებამ. ამავე დროს საქართველოში შეიქმნა თანამედროვე საზედამხედველო და მარეგულირებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა, მისი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება, დეპოზიტების დაზღვევის სისტემების უსაფრთხოება, საინვესტიციო პოლიტიკის მართვა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა დღეისათვის მსოფლიოს 146 ქვეყანაში ფუნქციონირებს, მათ შორის ევროკავშირში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

### **მეთოდოლოგია**

ნაშრომი მოიცავს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეგულირებას, საინვესტიციო პორტფელის რისკების მართვას, საინვესტიციო პოლიტიკას, მის შესაბამისობას საფინანსო ბაზრის და მომხმარებლების მოთხოვნილებებთან და განვითარების და რეგულირების ეტაპებს საქართველოში.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი მიდგომები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებს, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ადმინისტრაციის ინფორმაციას და სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებს. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება მიღებული მონაცემების ანალიზს არსებულ მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

### **განხილვა და დისკუსია**

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა 2018 წლიდან დაინერგა და დღემდე განაგრძობს განვითარებას. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის რეფორმა გათვალისწინებული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკა რეგულირდება საქართველოს კანონებით: „დეპოზიტების დაზღვევის

სისტემის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რაც ეფუძნება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის სახსრების ინვესტირების მთავარ პრინციპებს: უსაფრთხოება, ლიკვიდურობა და დივერსიფიცირება. უსაფრთხოება გულისხმობს ინვესტიციებს, რომლის გაუფასურების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი და რომელთა საბაზრო ღირებულება უმნიშვნელოდ ცვალებადია. უსაფრთხო აქტივები მოიცავს სამთავრობო და ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდებს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სავალო ინსტრუმენტებს, გამომდინარე მათი, როგორც უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორის საინვესტიციო რეიტინგიდან. ლიკვიდურობა გულისხმობს ინვესტიციების კონვერტაციას ფულად ფორმაში მაქსიმალურად მოკლე ვადაში და მინიმალური დანაკარგებით. რაც შეეხება დივერსიფიცირება გულისხმობს საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას განსხვავებული ემიტენტებით და სხვადასხვა ვადიანობის ინსტრუმენტებით, რომელთა ფასის ცვლილება შედარებით მდგრადია.

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩამოყალიბებულიყო სწორად გათვლილი საზედამხედველო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყანაში სტაბილური ფინანსური გარემოს შექმნას. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია სტრატეგიული ფუნქციონირება, სისტემის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა, მიზნების განხორციელება, ფუნქციათა შესრულების უწყვეტობა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტო დაფუძნების დღიდან იზიარებს დეპოზიტების დაზღვევის უახლოეს საერთაშორისო ევროპულ ტენდენციებს და აყალიბებდა საშუალოვადიანი პერიოდის სტრატეგიულ გეგმებს. პრაქტიკიდან გამომდინარე სააგენტომ დასახა გარკვეული მიზნები და აქტივობები თავისი მიზნის მისაღწევად. ძირითადი სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ხელს შეუწყობს დეპოზიტების დაზღვევის განვითარებას არის შემდეგი:

- სააგენტოს არსებული ფუნქციების გაძლიერება;
- ევროდირექტივებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირება;
- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება;
- სააგენტოს საერთაშორისო წარმომადგენლობის გაძლიერება.

დეპოზიტების დაზღვევის რისკების პორტფელის საინვესტიციო პოლიტიკის ინვესტირებისას, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ ხუთ ძირითად რისკს: საკრედიტო რისკები, ლიკვიდურობის რისკები, საბაზრო რისკები, სავალუტო რისკები და საოპერაციო რისკები.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უნდა გახდეს თანამედროვე და ეფექტური სახელმწიფო ორგანო, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მსგავსი ტიპის უწყებებისთვის ერთგვარი წარმატებული მოდელი იქნება. სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) მიერ დადგენილი დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო სტანდარტებით და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითადი პრინციპებით (IADI, “Core Principles for Effective DIS”). 2022 წლიდან საქართველო დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (LADI) წევრია.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მიერ ძირითადი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისათვის, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი

ცნობადობის ამაღლება, ნდობის მოპოვება და შენარჩუნება.

### **სტატისტიკური მონაცემები და შედეგები**

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საფინანსო სისტემა საკმაოდ მდგრადი და სტაბილურია. თავის მხრივ, საბანკო სისტემა მაღალკაპიტალიზებული, ლიკვიდური და მომგებიანია. დღეის მდგომარეობით საქართველოში 19 კომერციული ბანკია. მათგან ყველაზე მსხვილი ორი ბანკი, რომელთა მთლიანი აქტივები საბანკო სისტემის 74,4%-ს შეადგენს და ლონდონის საფონდო ბირჟაზეა წარმოდგენილი. საბანკო სისტემა ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, რაც ხელს უწყობს სექტორის სტაბილურობას და არსებული მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 19.2%-ს შეადგენს. პოზიტიურად არის შეფასებული კაპიტალის ზრდის რესურსი როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით. საბანკო სექტორის სტაბილურობაზე მიუთითებს სასესხო პორტფელიც, რომელიც დაახლოებით 30.75 მილიარდ ლარს შეადგენს, საიდანაც უმოქმედო სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციით 5,2%, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით - 2,69%-ია. საბანკო სისტემის ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 22.32%-ს შეადგენს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 39.37%-ის დასაფარად. რაც შეეხება არასაბანკო დეპოზიტებს, 26.3 მილიარდ ლარს აღწევს, საიდანაც ფიზიკური და იურიდიული პირების წილი შესაბამისად 56% და 44%-ია. სისტემის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 39%-ს შეადგენს და ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულებების სტრუქტურის შესაბამის ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ დონეს. რაც შეეხება დეპოზიტების დაზღვევას, საქართველოში საწყის ეტაპზე, ფიზიკური პირებისთვის, სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრა 5000 ლარის ოდენობით. 2020 წლის 1 ივლისიდან აღნიშნული ლიმიტი გაიზარდა 15 000 ლარამდე. 2022 წლის 1 იანვრიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემას დაემატა იურიდიული პირების დაზღვევა. 2024 წლის 1 იანვრიდან კი დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი 30 000 ლარამდე გაიზარდა.

2018-2024 წლების მონაცემებიდან გამომდინარე, დაზღვეული დეპოზიტების ყველაზე მკვეთრი ზრდა 2020 წლის ბოლოს 100.36% დაფიქსირდა, რაც დაკავშირებული იყო 2020 წელს სადაზღვევო ლიმიტის 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაზრდასთან. ხოლო 2022 წლის 29.88%-იანი ზრდა გამოწვეული იყო იურიდიული პირების დამატებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 15.75%-ით გაიზარდა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტებმა 16.52%-ით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტებმა 14.91%-ით მოიმატა. ამავე პერიოდისათვის სულ დაზღვეული დეპოზიტების ზრდის წლიურმა ნიშნულმა 55.50% შეადგინა, რაც მეტწილად 2024 წლის იანვრის თვიდან სადაზღვევო ზღვრის 15 000 ლარიდან 30 000 ლარამდე გაზრდასთან არის დაკავშირებული.

2018-2024 წლების მიხედვით, სულ ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ცვლილება ასე გამოიყურება: ცხრილი N1

ფიზიკური და იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობა წლების მიხედვით, (მილიარდი ლარი) და ცვლილება(%) 2018-2024 წწ.

ცხრილიN1

წელი	2018	12 2019	12 2020	12 2021	12 2022	12 2023	2024
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23.90	27.24	35.42	38.03	46.03	52.09	60,29
ცვლილება%		13.97	30.01	7.38	21.04	13.15	15.75
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12.50	15.07	18.49	20.29	24.00	27.33	31.85
ცვლილება%		20.53	22.70	9.74	18.27	13.90	16.52
იურიდიული პირების დეპოზიტები	11.40	12.17	16.93	17.74	22.03	24.75	28.44
ცვლილება%		6.75	39.11	4.78	24.20	12.33	14.91
სულ დაზღვეული დეპოზიტები	1.75	2.02	4.04	4.56	5.92	6.86	10.67
ცვლილება%		15.25	100.36	12.72	29.88	15.99	55.50

2024 წელს დეპოზიტების დაზღვევის ფონდში კომერციული ბანკების მიერ რეგულარული სადაზღვევო შენატანის სახით 64 264 041 ლარი აკუმულირდა. კუპონის სახით და საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან მიღებულმა შემოსავალმა შესაბამისად 19 651 700 ლარი და 713 936 ლარი შეადგინა. პირველადი სახის შენატანით მიღებულმა შემოსავლებმა 100 000 ლარი შეადგინა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 26 317 ლარი. დაბრუნებულმა ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 42 664 000 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის ფონდიდან იფარება სააგენტოს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯები. დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები 2017-2024 წლებში ასე გამოიყურება: ცხრილიN2

დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შემოსავლები და ხარჯები 2017-2024 წწ.

ცხრილიN2

წელი	პირველადი შენატანი	რეგულარული სადაზღვევო შენატანი	სადღეღამისო სარგებელი	კუპონი	სხვა შემოსავალი	სულ შემოსავალი
2017	1,600,000	0	0	0	0	1,600,000
2018	0	13,843,674	0	349,391	0	14,193,065
2019	0	16,787,385	0	1,541,832	0	18,329,218
2020	0	22,687,212	0	3,436,201	0	26,123,412
2021	0	30,674,444	0	5,229,436	0	35,903,880
2022	100,000	37,678,392	561,955	8,477,992	0	46,818,339
2023	100,000	42,393,708	1,543,994	13,101,77	0	57,139,479

				7		
2024	100,000	64,264,041	713,936	19,651,700	26.317	84,755,955
სულ	1,900,000	228,328,855	2,819,885	51,788,329	26.317	284,863,387

2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ 19 ბანკში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 60,400,730,209 ლარს შეადგენს. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 32,455,699,987 ლარია (ეროვნულ ვალუტაში - 11,319,812,382 ლარი, უცხოურ ვალუტაში 21,135,887,604 ლარის ეკვივალენტი), ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტები 27,945,030,222 ლარი (ეროვნულ ვალუტაში - 18,175,176,915 ლარი, უცხოურ ვალუტაში 9,769,853,308 ლარის ეკვივალენტი). დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების საერთო მოცულობა კი 10,802,368,327 ლარს შეადგენს.

### დასკვნა

სახელმწიფოს სტაბილურობა და მდგრადობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საბანკო სექტორის სტაბილურობაზე, ეროვნული ბანკის საფინანსო პოლიტიკის მოქნილობასა და სხვა ფინანსური ინსტიტუციების ეფექტიან ფუნქციონირებაზე, რომელიც უწყვეტად განვითარებადი სტრატეგიული პროცესია და რომლის ერთერთი შემადგენელი კომპონენტია დეპოზიტების და დეპოზიტორების დაზღვევა, რაც შეიძლება მიღწეული იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის თანმიმდევრული და სისტემური სტრატეგიის შემუშავებით და მისი შემდგომი განვითარებით, ამასთანავე დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის ძირითადი პრინციპებისა და ევროდირექტივებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საქართველოში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, პროდენციულ რეგულირებასთან, ლიკვიდურობის მხარდაჭერასთან და ეფექტიან ზედამხედველობასთან ერთად, ფინანსური უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან მისი რეგულირება, საინვესტიციო პოლიტიკა და მართვა უმნიშვნელოვანესი სისტემური ქმედებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური უსაფრთხოების დაცვას, არამედ საზოგადოების, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაცვას და კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან.

როგორც ნებისმიერი სფეროს, ასევე დეპოზიტების დაზღვევის სფეროს გამართული ფუნქციონირების წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანური კაპიტალი, რადგან საზოგადოებისთვის კრიტიკული და კატასტროფული ფინანსური რისკებისგან დაცვა, შემცირება, ან თავიდან აცილება, სხვა არაფერია თუ არა ქვეყნის და საზოგადოების ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯი. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამალღებს საზოგადოების ნდობას ქვეყნის საბანკო სექტორის მიმართ და შესაბამისად, სტიმულს აძლევს ეკონომიკის მდგრად განვითარებას ქვეყანაში. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, როდესაც ადგილი აქვს სისტემის მიერ გატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლების, ნდობის მოპოვების და შენარჩუნების მიმართულებით.

## **Regulation of the Deposit Insurance System and Investment Portfolio Risk Management in Georgia**

**Tchiotashvili David**

Gori State University, Gori, Georgia  
ORCID-0000-0002-2500-6252

**Chitadze Khaliana**

Gori State University, Gori,  
ORCID-0000-0001-6795-9484

### **Abstract**

The deposit insurance system, both in different countries of the world and in Georgia, is a dynamic, stable and effective mechanism for socio-economic development. The introduction and improvement of the deposit insurance system was related to the strengthening of the financial security system of the state and the private sector, the protection of depositors and the prevention of systemic crises in the banking sector.

Deposit insurance is a globally proven mechanism for depositor protection, which ensures the protection of deposits and, accordingly, depositors from the loss of deposits, and its main goal is to neutralize and mitigate the risks to banks in the event of an insured event. Accordingly, the main goal of the paper is to study and analyze the regulation of the deposit insurance system in Georgia and the management of investment portfolio risks, the mechanisms for reform management and its economic and financial effect.

The deposit insurance system reform in Georgia has been implemented since 2018, taking into account the experience of international practice and the recommendations of the World Bank. The basic principles on which the investment policy of the deposit insurance risk portfolio is based are the most important factors determining the success of the system. However, the problem is that despite the sharing of international multilateral, theoretical and practical experience, this reform is still in the process of development and requires the formation of a final result.

The investment policy of the deposit insurance risk portfolio provides the means and opportunities for its effective management and ensures the protection of deposits from various financial risks arising from insured events.

**Keywords:** *deposit insurance; investment policy; risk investment portfolio; banking system; risk management; Deposit Insurance Agency.*

**რაჟდენ ხუნდაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მისია სულიერი  
საგანმშობის სადარაჯოზე**

**აბდალაძე ლალი**

შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდი

**ლატარია ქეთევან**

შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.73>

**აბსტრაქტი.** რაჟდენ ხუნდაძე, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ქართული საქმის ჭირისუფალი იყო. მას განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. იგი იყო გამორჩეული მგალობელი და აქტიური მებრძოლი ქართული ხალხური საერო და საეკლესიო სიმღერების შეურყვნელად შემონახვის, აღორძინებისა და გავრცელებისთვის. ამასთანავე, ის ყურადღებას იქცევდა როგორც მასწავლებელი, ლოტბარი, პოეტი-ჟურნალისტი, ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოებებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.

გარდა ძველი ქართული მუსიკალური შემოქმედების სწავლებისა და სანოტო სისტემაზე დაფიქსირებისა, დეკანოზი რაჟდენი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ პრესასთან. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „კოლხიდა“, „მწყემსი“, „ფარი“, „შინაური საქმეები“, „ჩვენი ქვეყანა“, „განათლება“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ესარჩლებოდა ცარიზმის მიერ დევნილ ქართულ ენას. მოძღვარი თავისი პატრიოტული ლექსებითა და პუბლიკაციებით, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩვენთვის ცნობილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა.

ღვთის შეწევნით ქართული საქმის ჭირისუფლმა - დეკანოზმა რაჟდენ ხუნდაძემ მომავალ თაობებს გადაურჩინა ძირძველი ქართული, სამხმიანი საგალობლები.

**საკვანძო სიტყვები:** ჭირისუფალი; საგალობელი; მასწავლებელი; შემოქმედი; ლოტბარი; სულიერი საგანმშობი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საეკლესიო ქართული გალობა ვითარდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ სასულიერო კერებში: საბაწმინდის მონასტერში, სინას მთაზე, ტაო-კლარჯეთში, ათონის მთაზე და ა.შ.

ქართული ეკლესიის მამებმა და მორწმუნე მრევლმა გარკვეული ბრძოლა გასწიეს, რათა ჩვენამდე მოეღწია ქართულ გალობას, რომელიც უნიკალურია მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული მრავალხმოვანებით.

XIX-XX საუკუნეების არაერთმა მოღვაწემ ქართული გალობის გადასარჩენად უდიდესი შრომა გასწია. მათ შორის „განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ილუმენი ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე, მღვდელ-მონაზონი ნესტორ კონტრიძე... და სხვ. მათ მომავალ თაობებს ღვთისა და ერისადმი უანგარო, თავგანწირული მსახურების მაგალითი დაუტოვეს“ (ქართული საეკლესიო გალობა. 2002:3).

რაჟდენ ხუნდაძე სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ქართული საქმის ჭირისუფალი იყო. მას ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის. ის იყო შესანიშნავი მგალობელი, აქტიური მებრძოლი ქართული ხალხური საერო და საეკლესიო სიმღერების შეურყვნელად შემონახვისა, აღორძინებისა და გავრცელებისათვის. ამასთან იგი ყურადღებას იქცევდა, როგორც მასწავლებელი, ლოტბარი, პოეტი-ჟურნალისტი, როგორც ორიგინალურ მუსიკალურ ნაწარმოებების და სახელმძღვანელოების ავტორი.

თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში, რაჟდენ ხუნდაძე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა სიმღერას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სასულიერო, ეპარქიალურ სასწავლებლებში. მან მრავალი თაობა აღზარდა.

რაჟდენ ხუნდაძეს ეკუთვნოდა ქართული გალობის ოქროს ხანაში წარმოშობილ სკოლას. იგი იყო მოწაფე მომღერალთა იმ უკანასკნელი თაობისა, რომელსაც ეკუთვნოდნენ ანტონი და დავით დუმბაძეები. რაჟდენ ხუნდაძე მოესწრო იმ დროსაც, როდესაც ქართული სიმღერა-გალობა განვითარების მაღალ დონეზე იდგა და იმ ხანასაც, როდესაც ის გადაგვარების გზას დაადგა.

XIX საუკუნეში, საეკლესიო ღვთისმსახურებას ქართული ენის უარყოფის გამო სრული გადაშენება დაემუქრა ძველ ქართულ საეკლესიო გალობას. დაიშალა მგალობელთა გუნდები, აქა-იქ იყვნენ შემორჩენილი გალობის მცოდნე პირები. ეკლესიაში რუსული გალობა იძულებით ინერგებოდა.

ქართველი ერი თანდათანობით კარგავდა საეკლესიო მუსიკის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. მიუხედავად ამისა, ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და აღდგენისათვის ზრუნავდნენ: ეპისკოპოსები გაბრიელი (ქიქოძე) და ალექსანდრე (ოქროპირიძე), მღვდლები: ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, მღვდელ-მონაზონი ექვთიმე კერესელიძე.

დიდ განძს წარმოადგენს უანგარო პატრიოტის ესტატე კერესელიძის დახმარებით, 1912 წელს რაჟდენ ხუნდაძის მიერ გამოცემული საეკლესიო და საერო სიმღერების კრებული წინასიტყვაობით, ის ასახავს ქართულ-გურულ-იმერული სიმღერა-გალობის შეურყვნელად შემონახვის, აღდგენისა და გავრცელების გზებს. რაჟდენ ხუნდაძე გამოთქვამს თავის გულისტკივილს იმის გამო, რომ იმ ხანებში ქართული, კერძოდ, გურულ-იმერული სიმღერა-გალობა გადაგვარების გზაზეა. ეს კრებული წარმოადგენს გურულ-იმერულ სიმღერა-გალობათა სადა კილოების პარტიტურას, რომელიც რაჟდენ ხუნდაძეს გადაუღია სამ ხმაზე, მეტად მძიმე პირობებში. საგალობელთა ჩაწერის დროს მას არ ჰქონია არც ფისგარმონია და არც სხვა რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტი. ამ პარტიტურის სამ ხმაზე გადაღებაში რაჟდენს ეხმარებოდნენ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შვილები ბაბო და ელიზბარ ხუნდაძეები. პირველ ხმას მღეროდა ბაბო, მეორეს – ელიზბარი, მესამეს კი – თვითონ რაჟდენი. ასე იწერდა იგი ნოტებზე სიმღერა-გალობას და ამოწმებდა ჩანაწერის სისწორეს. “ეს ხმები ჩვენი ერის ჰარმონიული შემოქმედებაა. ბევრს შეუგნებელს კი მიუღებელი და გადასაყრელი ჰგონია, რაკი ეკლესიური სიტყვებით არის დაწერილიო”. წერდა რაჟდენ ხუნდაძე. (ნანეიშვილი ნ. 2007)

რაჟდენ თომას ძე ხუნდაძე დაიბადა 1845 წელს სოფ. კალაგონში (ჩოხატაურის რაიონი). ბავშვობიდანვე რაჟდენ ხუნდაძე ძლიერ ცოცხალი და ხალისიანი ახალგაზრდა ყოფილა. ამასთან იმდენად დახელოვნებული მხედარი, რომ ხშირად გაქცეულ ცხენს მოახტებოდა ხოლმე. შემთხვევით ერთხელ ცხენს გადმოუგდია, მძიმედ დაუშავებია და ამის გამო 1883 წელს მისთვის მარცხენა ფეხი მოუკვეთიათ. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი რაჟდენისათვის მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ხალხური სიმღერების კარგ მცოდნეს და მგალობელს თეიმურაზ გეგეჭკორს. რაჟდენი მასთან ერთად მუშაობდა მარტვილში, ავრცელებდა ქართულ ხალხურ საეკლესიო და საერო სიმღერა-გალობას.

ხუნდაძეთა გვარს იმთავითვე მოდგამდა მუსიკალობა. რაჟდენის უფროსი ძმა ერმალო ქართული საეკლესიო და საერო სიმღერების სახელგანთქმული შემსრულებელი იყო. ფრიად მუსიკალურნი იყვნენ რაჟდენის ოჯახის წევრებიც, განსაკუთრებით, რაჟდენის უმცროსი ვაჟი ელიზბარი (ჭულა) და ქალიშვილი ბაბო, რომლებიც, როგორც ავღნიშნეთ, მამას დახმარებას

უწევდნენ ქართული მუსიკალური ხელოვნების საკეთილდღეოდ მიმართულ მძიმე შრომაში.

XX საუკუნის 60-იან წლებში რაჟდენი სამეგრელოს ოთხწლიან სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მხოლოდ ერთი კლასი ისწავლა. 1871 წლის 21 იანვარს სამეგრელოს ეპარქიის დროებითმა მმართველმა, ხობის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა (დადიანი) იგი მარტვილის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დანიშნა. ხოლო 1873 წლის 8 აგვისტოს ამავე ტაძრის იპოდიაკუნად დაადგინეს.

რაჟდენ ხუნდაძე წლების განმავლობაში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა მარტვილის საკათედრო ტაძარში. აქ იგი თანამშრომლობდა ცნობილ ლოტბართან, დიმიტრი (დიტო) ჭალაგანიძესთან, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა როგორც შემოქმედის, ასევე გელათის სკოლის საგალობელთა ნიმუშები. მარტვილის სამღვდელმთავრო გუნდში დიაკონი რაჟდენი 1883 წლის ზაფხულის ჩათვლით მსახურობდა დიმიტრი ჭალაგანიძესა და თეიმურაზ გეგეჭკორთან ერთად.

1883 წლის 15 სექტემბერს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მამა რაჟდენი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებლად გადაიყვანა და ამავე სასწავლებელში კარის ეკლესიის ღვთისმსახურად დაადგინა. ამავე დროს იგი გალობდა ქუთაისის საკათედრო ტაძრის გუნდში ნიკო მემძარიაშვილთან, ხინო კანდელაკთან და სხვა ცნობილ მგალობლებთან, რომელთაც ივლიანე წერეთელი (შემდეგში ასევე სასულიერო პირი) ხელმძღვანელობდა.

1893 წლის 15 სექტემბერს რაჟდენ ხუნდაძე იმერეთის ეპარქიის ღარიბ სამღვდელოების სამზრუნველოს წევრად დაინიშნა.

1894 წელს გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია და მამა რაჟდენი აქაც პედაგოგად გაამწესეს. იგი ასევე დაინიშნა სამღვდელო კანდიდატების საგამოცდო კომისიის წევრად.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რაჟდენი დაოჯახდა. ცოლად მოიყვანა ოლღა გიორგის ასული ასათიანი, რომელთანაც 7 შვილი შეეძინა: ბარბარე (პედაგოგი), თამარი, შალვა (დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი), ნინო, ელისაბედი და ქეთევანი.

1884 წელს გაბრიელ ეპისკოპოსისა და გალობის აღმდგენელი კომიტეტის მიერ ქ. ქუთაისში მივიღებულ ფილიმონ ქორიძეს კომისიის წევრებმა გამოურჩიეს მცოდნე მგალობლები: რაჟდენ ხუნდაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რომელთაც ანტონ დუმბაძე უწევდა მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას. ფილიმონის მიერ მათგან 1885-1886 წლებში ჩაწერილი საგალობლები მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1895 წელს გამოიცა კრებულად. ეს კრებული საგალობელთა პირველი ისტორიულ გამოცემას წარმოადგენს.

დეკანოზი რაჟდენი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. დიდია მისი დამსახურება საეკლესიო ლიტერატურის სფეროში, მან ზედმიწევნით იცოდა საეკლესიო ტიპიკონი, სახარებისა და სამოციქულოს კილოში კითხვა.

1890 წელს მან შეკრიბა და პირველად ქართულ ენაზე გამოსცა ტიპიკონის სახელმძღვანელო, რომელიც 1911 წელს ხელახლა გამოიცა. წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერს: ვისაც უნდა კარგი მწიროველი და მლოცველი იყოს, მან უეჭველად ტიპიკონიც კარგად უნდა იცოდეს. ეკლესიის მსახურმა რაც არ უნდა ზედმიწევნით იცოდეს საღვთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, მისთვის უქმი და გამოუდევარია იგი, თუ მან ტიპიკონიც კარგად არ იცისო.

რაჟდენ ხუნდაძეს ასევე შეუდგენია ძველი ქართული სიტყვების ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მისმა ქალიშვილმა ქეთევანმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადასცა.

1901 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკონ რაჟდენს მღვდლად ხელი დაასხა და ქუთაისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კრებულში განამწესა.

1907 წელს რაჟდენ ხუნდაძე ხელმეორედ დაინიშნა სამღვდელო კანდიდატების საგამოცდო კომისიის წევრად. ეკლესიაში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის მას სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა ჯილდოები: ოქროს მედალი, წმ. ვლადიმერის ლენტით, ადამიანების სიკვდილისგან გადარჩენისათვის. ასევე ვერცხლის სამახსოვრო

მედალი 1859-1864 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის ომის დასრულებასთან დაკავშირებით. ღარიბი სამღვდელოების სამზრუნველო 12- წლიანი თავდადებული სამსახურისთვის იგი წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1911 წელს სკუფია უბოძეს, ხოლო XX საუკუნის 10-იან წლების ბოლოს კამილაჟკა და სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეკანოზ რაჟდენის დამსახურება ქართული გალობის გადარჩენის საქმეში, რასაც იგი დიდი სიყვარულითა და მონდომებით უძღვებოდა. მას გურულ-იმერული გალობის პირვანდელი სახით აღდგენის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა სადა კილოს ჩაწერა, რაც მან განახორციელა 1911 წელს, როდესაც გამოსცა სამ ხმაზე ჩაწერილი საგალობელთა კრებული. რაჟდენ ხუნდაძის მიერ ჩაწერილი ეს საგალობლების კრებული გამოცემამდე შეუმოწმებია დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს. აი, რას წერს იგი ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში: „ცდამ გვიჩვენა, რომ ფილიმონ ქორიძის გამოცემა თავისი სირთულით საკმაოდ ძნელი შესათვისებელია, რადგან იქ გადაღებული არ არის სადა კილო, არამედ ეგრედ წოდებული განვითარებული, გრძელი და გადაკრიმანჭულეული გალობა. მაგრამ საქმე ისაა, როდესაც გურულ-იმერულ გალობას შეურყენელად დაცვის საკითხზეა ლაპარაკი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სადა კილო, რაც არა მარტო ნაციონალური ხასიათის მასალაა, არამედ პირვანდელ მარტივ კილოსაც წარმოადგენს, რომელზედაც შენდება ყოველი შემდეგი ნაწარმოები. და თუ პირველი დაიკარგა - მეორე ვერაფერს გვეტყვის პირველზე. ამ გარემოებათა გამო აუცილებელი შეიქმნა ამ სადა კილოს ნოტებზე გადაღება და გამოცემა. ამ ნაშრომის მიზანი ისიც არის, რომ შემონახული იქნას ქართული გალობა, როგორც უშრეტი წყარო მომავალი ნიჭიერი მუსიკოსების შემოქმედებისათვის“ (გაზ. საპატრიარქოს უწყებანი, 2012).

წმინდა ფილიმონ ქორიძის გარდაცვალების შემდეგ, წმ. ექვთიმე კერესელიძემ ამ საქმის დამთავრება (დანარჩენი ორი ხმის შეწყობა) გურულ-იმერული საგალობლების შესანიშნავ მცოდნეს - რაჟდენ ხუნდაძეს მიანდო: „ამ დროიდან დავიწყე ნოტის საგალობლებზე ზრუნვა, დავიწყე წეს-რიგზე და გადავაქციე ცალ ხმიანი საგალობლები, რომ სამ ხმიანი საგალობლები, რომ სამ ხმაზე დავაწერინო ვისმეს. 1912 წელს ქორიძე უკვე ცოცხალი არ იყო, აღარ იყვნენ არც დუმბაძეები. ამისთვის გელათიდან ქუთაისს, მღვდელ რაჟდენ ხუნდაძესთან მივედი და შევეკითხე: მე მაქვს ცალ ხმაზე ქორიძისგან დაწერილი ათასამდე საგალობელი და ვეძებ იმისთანა მცოდნე მგალობლებს, რომ ის ცალფა ხმაზე დაწერილი საგალობლები სამ ხმაზე გაიწყოს და ნოტებზე გადაღებულ იქმნას მეთქი. მან მითხრა: რაღა შორს ეძებ მგალობლებს და გადამღებს, ესენი მე თვითონ კარგად შემიძლია ვიგალობო, სამ ხმაზე გავაწყო, დავსწერო და გამზადებული გადმოგცე და გადმოცემის დროს ორივემ ვიგალობოთ, რომ კარგად მოწონებულად იყოს ნოტებზე დაწერილი და გადაღებული“...- გადმოგვცემს წმ. ექვთიმე კერესელიძე თავის ნაშრომში - „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“ (ქართული საეკლესიო გალობა. 2002 ).

დეკანოზმა რაჟდენმა რამდენიმე წლის განმავლობაში სამ ხმიანი გუნდისთვის გააწყო 3100 სიმღერა-გალობა. მუსიკალური მემკვიდრეობის სახით შემორჩენილია მისი სანოტო რვეულები, რომელშიც მრავალი სიმღერა-გალობაა თავმოყრილი. ამ რვეულებს თან ახლავს მოძღვრისავე წარწერა: „დიდი ხანია მცოდნე მგალობლები მიიცვალნენ და დღეს აღარავის არის! საუკუნოდ იყოს მათი ხსენება! ეს ხმები ჩვენი ერის ჰარმონიული შემოქმედებაა. ბევრს შეუგნებელს კი მიუღებელი და გადასაყრელი ჰგონია, რაკი ეკლესიური სიტყვებით არის დაწერილი“. სწორედ ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას ებრძოდა მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობით იგი.

დეკანოზი რაჟდენი მწვავედ განიცდიდა ქართული საეკლესიო გალობის სავალალო მდგომარეობას. და ბევრი იღონა კიდეც, როგორც პედაგოგმა და მოღვაწემ: ასწავლიდა ქართულ გალობას, სკოლებში აყალიბებდა მომღერალთა გუნდებს, მართავდა საჯარო კონცერტებს. ამის მაგალითია 1916 წელს ქუთაისში გამართული კონცერტი, რომელიც მისი ლობტარობით ჩატარდა. ამ კონცერტზე შესრულდა ის საგალობლები, რომლებიც ბოლო 70 წლის განმავლობაში არ აჟღერებულა. ყველა ეს საგალობელი რაჟდენმა ნოტებზე ჩაიწერა. აი, რას წერდა იგი ქართული გალობის შესახებ: „გალობა და სიმღერა

ორივე ეროვნული საქმეა, მაგრამ რადგან გალობა, უფრო ეკლესიის კუთვნილებას შეადგენს, ამის ყოფნა-არყოფნის შესახებ, სამღვდელოება უფრო უნდა ზრუნავდეს. ის უფრო ახლოს სდგას ამ საქმესთან, ვიდრე ერისკაცები. ერისკაცები კი საერო სიმღერებზე უფრო უნდა ზრუნავდნენ და ორივე კი, ორივეზე. გალობა-სიმღერის დიდი მნიშვნელობა ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა იცის. მოკლედ რომ ვსთქვათ: გალობის გარეშე საღვთო მსახურება მკვდარია და ერიც უსიმღერო და უკულტუროა“. (ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. 2002).

რაჟდენ ხუნდაძის მოწაფეები იყვნენ: ანგია ბოჭორიშვილი – სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკაკი შანიძე – აკადემიკოსი, ღრმა მცოდნე ქართული ენისა და მეზრძოლი მისი სიწმინდის დაცვისა, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი და სხვ.

რაჟდენი სასულიერო საგალობლების გარდა, ჩვენი ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნეც იყო. ძვირფასი ხალხური სიმღერები აქვს შეკრებილი და ჩაწერილი. 40 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, როგორც ძველი ქართული საერო და საეკლესიო სიმღერების შემკრები და ჩამწერი. ის ითვლებოდა ერთ-ერთ ღრმა მცოდნეთ დასავლეთ საქართველოში ძველი სიმღერებისა”.

დიდი სიხარულით შეხვდა 1917 წელს მამა რაჟდენი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში.

1923 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) რაჟდენ ხუნდაძეს ეკლესიაში 50-წლიანი ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა. 80 წელს გადაცილებული მოძღვარი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხშირად ავადმყოფობდა. კომუნისტების მიერ შევიწროვებული სამღვდელოებისა და ეკლესიის დევნამ ძლიერ იმოქმედა მის შინაგან სამყაროზე.

1929 წლის 30 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დეკანოზი რაჟდენი დილით, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა და ნათესაობამ მისი ცხედარი 3 ნოემბერს ქუთაისის საერო გოჭოურის სასაფლაოზე დაკრძალეს.

გარდა ძველი ქართული მუსიკალური შემოქმედების სწავლებისა და სანოტო სისტემაზე დაფიქსირებისა, დეკანოზი რაჟდენი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ პრესასთან. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „კოლხიდა“, „მწყემსი“, „ფარი“, „შინაური საქმეები“, „ჩვენი ქვეყანა“, „განათლება“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. იგი რაჟდენ საჯავახოელის და ზეკო ქართველიშვილის ფსევდონიმით წერდა. აქვეყნებდა სტატიებს ქართული სიმღერა-გალობის დაცვისა და გავრცელების შესახებ. ესარჩლებოდა ცარიზმის მიერ დევნილ ქართულ ენას. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მეფის მთავრობამ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალა და ქართულ ეკლესიაში სლავური საეკლესიო ენა შემოიღო. იგი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების საპროტესტო გამოსვლებში, რომელიც უკავშირდებოდა 1893 წელს მეფის მთავრობის განზრახვით ბაგრატის ტაძრის ნანგრევების აღებასა და მის ადგილას სემინარიის შენობის აგებას. მოძღვარი თავისი პატრიოტული ლექსებითა და პუბლიკაციებით, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

დღეს ჩვენთვის ცნობილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა. ეს უნიკალური მასალა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ოკუპაციის შემდეგ დეკანოზმა რაჟდენმა ზედაზნის მონასტრის ბერებს გადასცა შესანახად, რომელსაც 1937 წელს მამა რაჟდენის უფროსმა ვაჟმა - შალვა ხუნდაძემ შემთხვევით მიაკვლია და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და ხალხური შემოქმედების სახლს გადასცა.

ნათელმა კვალმა, აღდგენილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ, ღვთის შეწევნით რაჟდენ ხუნდაძის ღვაწლით, მომავალ თაობებს გადაურჩინა ძირძველი ქართული, მრავალხმიანი საგალობლები.

**ლიტერატურა:**

1. დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე. ფოტომატთანე. „საპატრიარქოს უწყებანი“ #31, 20-24 სექტემბერი, 2012 წ.
2. ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი. 2015 წ. – გვ. 588;
3. ნანეიშვილი ნინო., გაზეთი “ქართული გალობა”, №9, 2007 წ.
4. ქართული საეკლესიო გალობა. საქართველოს საპატრიარქო. საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი. 2002 წ.
5. ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი. 2002 წ.

**Cultural-educational aim of Razhden Khundadze for Defending the Holly Treasure**

**Abdaladze Lali**

Sh.Meskhia Zugdidi State University, Zugdidi

**Lataria Ketevan**

Sh.Meskhia Zugdidi State University, Zugdidi

**Abstract**

Razhden Khundadze, alongside other prominent Georgian intellectuals, was a devoted guardian of the Georgian national cause. He made a particularly significant contribution to the development and preservation of Georgian musical culture. A distinguished chanter, he actively championed the authentic preservation, revitalization, and dissemination of Georgian traditional secular and sacred music. His role extended beyond performance: he was also a respected educator, choir leader (*lotbari*), poet-journalist, and author of original musical compositions and pedagogical manuals.

In addition to studying and notating ancient Georgian musical works, Archpriest Razhden was an active contributor to the press of his time. He regularly published articles in periodicals such as *Droeba*, *Iveria*, *Kvali*, *Kolkhida*, *Mtsqemsi*, *Pari*, *Shinauri Sakmeebi* (“Domestic Affairs”), *Chveni Kvekana* (“Our Country”), *Ganatleba* (“Education”), and others. He passionately defended the Georgian language, which was under threat during the era of Tsarist repression. Through his patriotic poetry and public writings, he participated fervently in the national-liberation movement alongside fellow Georgian activists.

To date, we know that Archpriest Razhden Khundadze transcribed 1,641 ecclesiastical hymns and 277 folk songs into musical notation. Through his tireless efforts and with divine assistance, he preserved for future generations the ancient tradition of Georgian three-part ecclesiastical chanting, safeguarding a cornerstone of Georgia’s cultural and spiritual heritage

**Keywords:** *singer; hymnist; teacher; creator; lotbar; Holly treasure.*

## ლეო შენგელაია - ეროვნული იდეის პუბლიცისტი

ბრეგაძე მაია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.74>

**აბსტრაქტი.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული სამეცნიერო სივრცე დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის კვლევების ნაკლებობას განიცდის. ბევრი დოკუმენტი განადგურდა, დაიკარგა ან საგულდაგულოდ მიიჩქმალა საბჭოთა ცენზურის მიერ. შესაბამისად, არ გვაქვს მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მოღვაწეობის ამსახველი მასალა. პოლიტიკოსთა პორტრეტების შესწავლა, არამარტო წარსულის პატივგებას, არამედ თანამედროვე მკვლევართა მსოფლმხედველობისა და ცოდნის გამდიდრებასაც მოიაზრებს.

სტატიაში, 1918-21 წლების პარტიული კოლაბორაციის ფონზე, წარმოჩენილია ქართველი ესერების ეროვნული იდეა და ამ იდეის ფორმირების, პარტიის ლიდერის ლეო შენგელიას პოლიტიკური პორტრეტი. წინამდებარე ნაშრომი ინტერდისციპლინური კვლევაა, რომელიც განხორციელდა წყაროებზე დაყრდნობით, და აღნიშნული წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოსა და სახელმწიფოებრივი დემოკრატიზაციის პროცესების ფონზე, ესერების ლიდერის მოღვაწეობას ასახავს.

კვლევა განხორციელდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბეჭდური ორგანოს, გაზეთ „შრომის“ პუბლიკაციებზე დაყრდნობით. პარტიული პრესის კონტენტის ფუნდამენტურმა შესწავლამ მოგვცა არამარტო კონკრეტული პიროვნების საქმიანობის ასპექტების, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი პოლიტიკის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების საშუალება.

1918-21 წლების პერიოდი და ისტორიული პორტრეტები უნდა დარჩეს ქართული ისტორიის, პოლიტოლოგიისა და ჟურნალისტიკის მკვლევართა მეცნიერული შესწავლა-შეფასების სტრატეგიულ მიმართულებად, როგორც ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილი, ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანი იდეურ-მსოფლმხედველობრივი და პრობლემატური თვალსაზრისითაც.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს პირველი რესპუბლიკა, ქართველი ესერები, პუბლიცისტიკა, ეროვნული იდეა, ლეო შენგელაია

### შესავალი

მას შემდეგ, რაც საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, პირველი რესპუბლიკის სამწლიანი პერიოდის შესწავლამ სხვა ინტერესი შეიძინა. მკვლევრებს მიეცათ მოვლენების ერთმანეთთან შედარების, მათი ავთენტურად გადააზრებისა და ახლებურად შეფასების საშუალება.

1918-21 წლები თანამედროვე ისტორიკოსების მიერ ახალი ეპოქის დასაწყისადაა მიჩნეული და იმ სამწლიან პერიოდში მოღვაწე ყველა პოლიტიკურმა ფიგურამ საკუთარი წვლილი შეიტანა მის ფორმირებასა და შემდგომ არსებობაში.

საკვლევემა პრობლემატულად, 21-ე საუკუნეში, არათუ დაკარგა, არამედ ახალი აქტუალობა შეიძინა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. საკვლევი თემატიკის მრავალი ასპექტიდან გამომდინარე იკვეთება **პრობლემა**,

რომელიც 1918-21 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზაციის პროცესის პრესაში ასახვის დინამიკაზე დაკვირვებას გულისხმობს.

იმ პერიოდში გამოცემული ასობით ჟურნალ-გაზეთი ეხმაურებოდა ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენას, ამიტომ ბუნებრივია, რომ თითოეულ მათგანში დომინირებს პარტიული ხედვა და ინტერესები. ჩვენი ყურადღების ფოკუსში სოციალ-დემოკრატების პარტიული ორგანო, გაზეთი „შრომა“. საკვლევი საკითხის მიზანი პარტიის ლიდერისა და მთავარი რედაქტორის ლეო შენგელაიას პუბლიკაციების თავმოყრა და მათი შესწავლის საფუძველზე ესერების მთავარი იდეოლოგიის პოლიტიკური კონტურების შექმნაა. მასალის კლასიფიცირებისა და ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აქვს ვრცელი სტატიები, რომლებიც ხშირად რამდენიმე ნომერში იბეჭდება გაგრძელებებით, რაც მნიშვნელოვნად ასახავს ლეო შენგელაიას იდეებსა და მრწამსს და ქმნის მის პოლიტიკურ პორტრეტს.

მოცემული ნაშრომი მიესადაგა **ჯოზეფ ჰილის, ავგუსტ კერბერის, ვალტერ ბორგის** პრინციპებს, რომელთა მიხედვით ისტორიული კონტენტის შემცველი კვლევები იძლევა თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის წარსულში მოძიების შესაძლებლობას. როდესაც ლეო შენგელაიას პოლიტიკურ მჭევრმეტყველებას განვიხილავდით, ჩვენთვის დასაყრდენი აღმოჩნდა **არისტოტელეს** რიტორიკა, ხოლო პუბლიკაციათა ჟურნალისტური ანალიზისას **ჰაროლდ ლასუელისა** და **ჯონ დიუის** თეორიებით ვიხელმძღვანელებთ.

კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა **თვისებრივი მეთოდები**, რომელიც **მეორადი მონაცემების** შეგროვებით განხორციელდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირების პერიოდში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერები, იგივე ქართველი ესერები მყარი პოლიტიკური პოზიციებით იმკვიდრებენ ადგილს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პოლიტიკური ძალის მოღვაწეობის შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რადგან ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა სოციალისტ-რევოლუციონერებს მაინც რუსული ზეგავლენის ქვეშ მყოფ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევდა. ისინი ესერებს ინტერნაციონალიზმსა და ეროვნული ნიჰილიზმის განწყობაში ადანაშაულებდნენ, რამაც დაღი დაასვა ესერული ოპოზიციის საქმიანობას.

საარქივო მასალებსა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ქართველმა ესერებმა შეძლეს და ჩამოიცილეს რუსული გავლენა, საბოლოოდ გამოეყვნენ მას და 1918 წელს დამოუკიდებელი ქართული პარტია შექმნეს. მათ საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებაზეც ადრიდანვე დაიწყეს ზრუნვა. დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, რომ მათ ოფიციალური განცხადება გააკეთეს საქართველოს რუსეთისაგან ავტონომიად გამოყოფის თაობაზე (სრულ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე ფიქრი იმ პერიოდში წარმოუდგენელი იყო).

ასეთი განსხვავებული შეხედულებების შეჯერებისას უფრო საინტერესოა ახლებური ინტერპრეტაცია, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მიმართ ესერების დამოუკიდებულებას ლეო შენგელაიას პუბლიკაციებზე დაყრდნობით, რასაც ესერთა პარტიული ორგანო, გაზეთი „შრომა“ ასახავს.

### **ქართველ ესერთა ლიდერის პოლიტიკური იმპულსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში**

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონური პარტიის ერთ-ერთ

დამფუძნებელ, პუბლიცისტ ლეო შენგელაიას შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. მკვლევარი დიმიტრი შველიძე, რომელმაც ცოტა ხნის წინ შექმნა ლეო შენგელაიას ისტორიული პორტრეტი, აღნიშნავს, რომ მისი მეტ-ნაკლებად ზოგადი სურათის აღსადგენად აქა-იქ გაბნეული ფრაგმენტული მასალის მოძიებამ და შეკოწიწებამ მოუწია. ჩვენს სტატიაში ესერთა ლიდერის პორტრეტს, ძირითადად, მისი პუბლიცისტური ნამუშევრების ანალიზით შევექმნით.

ლეო შენგელაია 1908 წლიდან რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი იყო. იგი თავიდანვე აქტიურ რევოლუციონერად გვევლინება. რევოლუციური საქმიანობისათვის ლეო შენგელაია დაპატიმრებულიც კი იყო და სასჯელს რუსეთის ციხეში იხდიდა. საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი დამოუკიდებელ ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. „ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან იგი თავის თანაპარტიელებში ეროვნული პოზიციით გამოირჩეოდა“ - წერს დიმიტრი შველიძე (შველიძე, 2022, გვ. 2).

ლეო შენგელაია ისტორიულ წყაროებში და საარქივო დოკუმენტებში როგორც დიდი თეორეტიკოსი, ისე იხსენიება. ის 1919 წლის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და პარლამენტში ესერთა ფრაქციის თავმჯდომარეა. არის პარტიის პროგრამის, სამოქმედო გეგმის და საყოველთაოდ ცნობილი აგრარული რეფორმის ავტორი. 1918 წლიდან (გაზეთის დაარსების თარიღი) ის სოციალ-რევოლუციონერთა პარტიული ორგანოს, გაზეთ „შრომის“ ერთ-ერთი რედაქტორია ილია ნუცუბიძესა და ივანე გობეჩიასთან ერთად. გაზეთის პუბლიცისტურ სპექტრსაც სარედაქციო კოლეგია ქმნის.

ესერთა ლიდერის სტატიები, მისი ყოველი სიტყვა და ფრაზა, ანალიტიკური ხასიათისაა. პუბლიკაციების სათაურები თვალსაჩინოა და საკითხის ძირითად აქცენტს მოიცავს. საკმარისია ტექსტის პირველი აზრები ჩავიკითხოთ, რომ ის უფრო და უფრო გვიპყრობს აქტუალობითა და საკითხისადმი სიღრმისეული მიდგომით.

ლეო შენგელაია საინტერესო მთხრობელია. პუბლიკაციებში იკვეთება მისი განათლება, ნიჭიერება, პრაგმატული აზროვნება. იგი შთამბეჭდავად ესაუბრება მკითხველს ნებისმიერი საკითხის შესახებ, მსჯელობს პრობლემის გარშემო, ეყრდნობა ფაქტებს. სტატიებში საკმაოდ გვხვდება მაგალითები წარსულიდან, ცნობილი პიროვნებების გამონათქვამები, ციტატები, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად განაწყოებს მკითხველს.

გვერდს ვერანაირად ავუვლით ლეო შენგელაიას პუბლიკაციათა სერიებს გახმაურებული სიკვდილით დასჯის შესახებ.

როგორც ვიცით, საქართველოში სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ფორმა, ისტორიული წარსულიდან მოქმედებდა. საარქივო დოკუმენტაცია გვამცნობს, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც განაჩენი უმძიმესი ბოროტმოქმედებისათვის, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 5 ივლისს დააკანონა. ამ საკითხზე ოთხივე წამყვანი პარტია პოზიციონირებდა.

ლეო შენგელაიას სტატიები აღნიშნულთან დაკავშირებით ბევრ ნომერში იბეჭდება გაგრძელებებით. პუბლიკაციებიდან ჩანს ავტორის ღრმა ცოდნა. სტატიები გვაოცებს ანალიზის, დასაბუთებისა და არგუმენტაციის ხარისხით.

ავტორი სიკვდილით დასჯას წარსულის გადმონაშთად, ბოროტ ტრადიციად მიიჩნევდა. დემოკრატიული წყობა ხომ სხვა არაფერია, თუ არ ჰუმანურობა, შემწყნარებლობა და ცივილური ურთიერთობები. მაშ, რატომ უნდა ყოფილიყო საქართველოში ჯალათის ინსტიტუტი? სოციალ-დემოკრატებს ლეო შენგელაია ამ

შეკითხვით მიმართავდა და ბრალს სდებდა ანტიდემოკრატიული კანონის მიღებაში. „ჩვენ არ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი სამშობლო მარტო დახვედრით ან ჩამოხრჩობით. ის არგუმენტი, რომ უნდა დავხვედრით იმის გამო, რომ სატუსაღოები არ გვაქვს, ცინიზმის უმაღლესი გამოხატულებაა (შენგელაია, 1918, გვ. 2). ლეო შენგელაიას სიტყვა სიკვდილით დასჯის შესახებ პოლიტიკური მჭევრმეტყველების ხორცშესხმულ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ის სრულად ფლობს არგუმენტაციის სტრატეგიებსა და რიტორიკულ ტექნიკას. „რამდენად გაამართლა ამ ინსტიტუციამ? ქვეყნის მმართველმა სოციალ-დემოკრატებმა დაკარგა თავისი არამარტო სოციალური და დემოკრატიული, არამედ კულტურული სახე. სოციალური თვალსაზრისით სიკვდილით დასჯის გამართლება და დასაბუთება შეუძლებელია“ (შენგელაია, 1919, გვ. 3).

შენგელაიას სიტყვა ყოველთვის დაფუძნებულია მყარ მასალაზე. ის არ საუბრობს, როგორც სიბრაღულითა და რელიგიური მიმტევებლობის პათოსით განმსჭვალული ჰუმანისტი. მოჰყავს ევროპული ქვეყნების მაგალითები, სტატისტიკური მონაცემები. იხსენებს ისტორიას, ადარებს, აჯამებს და იძლევა რეკომენდაციებს.

ქართველი ესერები რევოლუციის დიდი გულშემატკივარი და ქომაგები იყვნენ. რევოლუცია მათთვის არ ასოცირდებოდა ნგრევის საპირწონედ, არამედ ის ყოველგვარი დრომოჭმულის, გადაგვარებულის და გამოუსადეგარის ახლით, საზოგადოებაზე მორგებული ყოფით შეცვლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ლეო შენგელაიას სტატიებიც ამგვარი პათოსითაა გაჟღენთილი. ის რევოლუციისა და გლეხობისადმი დიდ სოლიდარობას გამოხატავდა და მისთვის მიუღებელი იყო მთავრობის პოზიცია პროლეტარიზაციის მიმართ. გლეხობის გაპროლეტარება მისთვის სილატაკეს ნიშნავდა. სოციალ-დემოკრატებს ის კარლ მარქსის არგუმენტებით უპირისპირდებოდა.

ლეო შენგელაია საქართველოში მაცხოვრებელი ეროვნული უმცირესობის საკითხებსაც ყურადღებით ეპყრობოდა. მაგალითად, ავტორი საფუძვლიანად ეცნობა ოსეთის საკითხს, სხვადასხვა საგაზეთო სტატიისა თუ მთავრობის წევრთა გამოსვლებზე დაყრდნობით, და მხოლოდ ამის შემდეგ აქვეყნებს ვრცელ სტატიას 1918 წლის მე-14 ნომერში. ლეო შენგელაია ფაქტებზე დაყრდნობით ცდილობს აჩვენოს ქართველ საზოგადოებას, რომ ოსთა აჯანყებები ქართველთა წინააღმდეგ ბოლშევიკების დემაგოგიის შედეგად მოხდა და რომ თავად ოსებს ქართველების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ქართველთა ეროვნული მტრების მიზანმიმართულ ქმედებად მიაჩნია შენგელაიას ოსთა გამოსვლები და ბოლშევიკების ბრძოლის მთავარ იარაღად პროვოკაციას ასახელებს. ლეო შენგელაია ამ წერილით ეროვნულ-დემოკრატებს, კერძოდ გრიგოლ ვეშაპელს დაუპირისპირდა და ხმამაღლა განაცხადა, რომ საჭიროა მეტი სიფრთხილე და ზომიერება და არა ცხელი ემოციებით ლაპარაკი: „ჩვენი დემოკრატია და მისი მთავრობა ვალდებულია ძმური ხელი გაუწოდოს ოსებს. არა რეპრესიებითა და ცილისწამებით, არამედ უაღრესი ყურადღებით, თანაგრძნობითა და ყველა დემოკრატიულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებით განმტკიცდება ძმობა ჩვენსა და ოსებს შორის“ (შენგელაია, 1918, გვ. 3).

ლეო შენგელაია საქართველოში მაცხოვრებელ სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებთანაც ანალოგიურ განწყობას ამჟღავნებს. სწორედ აქ ჩანს მისი დემოკრატიული მსოფლმხედველობა, რომელიც არანაირად არ სცილდება ეროვნულ და ქართულ კალაპოტს. „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ასეთივე იქნება ჩვენი პოლიტიკა

აგრეთვე სხვა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ“ (შენგელაია, 1918, გვ. 3).

ლეო შენგელაია თანამედროვე მკვლევრებისათვის ერთ-ერთი პიროვნებაა, რომელიც არ მოიაზრება მხოლოდ ვიწროპარტიული აზროვნებითა და მიკერძოებული მიდგომებით. ის ობიექტური და სამართლიანი შემფასებელია. ჩვენ გავეცანით სოციალისტ-რევოლუციონერთა ყრილობების ჩანაწერებს, რომლებიც გაზეთ „შრომაში“ ქვეყნდებოდა და უნდა აღვნიშნოთ, რომ შენგელაია არ ერიდება საკუთარი თანაპარტიელების შენიშვნებსა და კრიტიკას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პარტიის მეორე ყრილობაზე წარმოთქმული მისი სიტყვა, სადაც მან ესერთა ფრაქციის მუშაობა მთავრობაში კრიტიკულად შეაფასა და ივანე ლორთქიფანიძის გამოსვლებს მკრთალი და უღიმღამო უწოდა.

ლეო შენგელაიას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საუბრისას მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ. ეს აგრარულ რეფორმას, იგივე მიწის სოციალიზაციას უკავშირდება.

აგრარული რეფორმის გარშემო დიდი დავა ატყდა მთავრობაში. თითოეული პარტია საკუთარ პოზიციებს მყარად იცავდა. ესერთა პარტიის ძირითად მოთხოვნად მათი პროექტის მიხედვით (ავტორი ლეო შენგელაია გახლდათ), მიწის სოციალიზაცია რჩებოდა, რის მიხედვითაც უნდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი გლეხობის ინტერესები და ეს პოზიცია საკმაოდ საღი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ შენგელაია და მისი თანაპარტიელები მემარცხენე ოპოზიციური ფლანგიდან ხშირად უტევდნენ ხელისუფლებას და სხვა პარტიებს, ისინი ერთ მუშტად ერთიანდებოდნენ, როდესაც საქმე ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

ძალიან მრავლისმთქმელია ლეო შენგელაიას გამოსვლა 1920 წლის სექტემბერში, საქართველოში ინტერნაციონალი დელეგაციის სტუმრობისას: „ორი წლის წინ ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთს, რომ უფრო ახლოს ვყოფილიყავით დიდ ევროპასთან“ (შველიძე, 2022, გვ. 5). მან აქვე ხმამაღლა აღნიშნა, რომ ევროპამ საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო მხოლოდ ფაქტობრივად და არა იურიდიულად, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს. ლეო შენგელაიამ ევროპელ დელეგატებს პოლიტიკურ მეგობრებთან შემდეგი სიტყვა გაატანა: „გადავით მთელ ევროპას, რომ საქართველოს სოციალისტებს ბევრი რამ აქვთ სადაო, ბევრი რამ იწვევს მათში შეხლა-შემოხლას და უთანხმოებას, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც დავას არ იწვევს - ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი დაცვა! ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვიბრძვით ამ დამოუკიდებლობისთვის და გვწამს, რომ ამ ბრძოლაში ჩვენს გვერდით იქნება მთელი ევროპა“ (შველიძე, 2022, გვ. 5).

მნიშვნელოვანი სტატიები აქვს გამოქვეყნებული ლეო შენგელაიას სოციალიზმის დიფერენციაციისა და რელიგიური გენეზისის თაობაზე, ნათლად მსჯელობს სახელმწიფოებრივი ანარქიის გამომწვევ ფაქტორებსა და აჯანყებათა მიმდინარეობის გარშემო. პუბლიცისტი ერთნაირად კომპეტენტურია პოლიტიკურ სფეროში, აგრარულ საკითხსა და ეკონომიკურ სივრცეში, დიდი განცდით წერს მუშათა კლასის პრობლემებზე, უგულისყუროდ არ ტოვებს თავდაცვის თემას, საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა და მუდამ ყურადსაღებ რჩევებს აძლევს ხელისუფლებას.

მიუხედავად ამისა, ლეო შენგელაიას ბოლო გამოსვლები და ესერთა პოზიციები დღევანდელ ისტორიკოსთა ნაწილის მიერ ანტისახელმწიფოებრივ ჭრილშია განხილული. დიმიტრი შველიძე თვლის, რომ დამფუძნებელ კრებაზე ესერთა

ლიდერის ზოგიერთმა პოზიციამ მიიღო ანტისახელმწიფოებრივი სახე და მაგალითად მოჰყავს ერთა ლიგის საკითხი. სხდომაზე შენგელაია ულტრამემარცხენე თეზისებით გამოვიდა, დაგმო ერთა ლიგის იმპერიალიზმი და წინააღმდეგი წავიდა საქართველოს ამ კავშირში გაერთიანებისა. „ერთა ლიგა არის კაპიტალისტურ ქვეყანათა გაერთიანება, იქ ითრევენ პატარა ქვეყნებს, რათა დიდმა სახელმწიფოებმა მარცვონ სხვადასხვა ქვეყნები“ (შველიძე, 2022, გვ. 8).

გვესმის, რომ ამგვარი განცხადება პოლიტიკურ ელიტის უარყოფით განწყობას გამოიწვევდა, მითუმეტეს, რომ იმ პერიოდში საქართველოს მართლა არ შეეძლო ძლიერი სახელმწიფოების პროტექტორატის გარეშე თავი გადაერჩინა. მაგრამ არაფრით შეიძლება სოციალისტ-რევოლუციონერი ლიდერის აღნიშნული პოზიციის გამო მას ანტიეროვნულობა დავწამოთ. ლეო შენგელაია არ ენდობოდა ევროპულ კონსტიტუციებს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მას ჰქონდა მიღებული უნივერსალური განათლება, საფუძვლიანად იცნობდა ყველა ქვეყნის ისტორიას და მათ ზრახვებს მათი წარსულის მიხედვით განსჭვრეტდა. ამიტომ უსამართლობა იქნება მას დავაბრალოთ, თითქოს საქართველოს მომავალს ისევ რუსეთთან ურთიერთობაში ხედავდა. მითუმეტეს, რომ ჩვენ შეგვხვდა რამდენიმე სტატია, სადაც ის გადაჭრით უარყოფს საბჭოთა მთავრობას და ასაბუთებს მის მანკიერებებს, ხსნის მის შეუთავსებლობას დემოკრატიულ ფორმებთან. როგორც ჩანს შენგელაია ეხმიანება მისი თანამედროვის, ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის აზრსა და ოცნებას, რომელიც თითოეული ქართველი პატრიოტის დევიზი უნდა იყოს: „ჩემი სურვილი არის, საქართველო ისეთივე ძლიერი იყოს, როგორც წინად იყო: რომ არავითარი დახმარება უცხოელთა არ სჭირდებოდეს მშვიდობიანობისა და ომის დროს“ (ავალიშვილი, 1929, გვ. 1).

დასასრულ, ლეო შენგელაიას პოლიტიკური პორტრეტის შექმნის გარდა, კვლევამ საშუალება მოგვცა ერთმნიშვნელოვნად განგვესაზღვრა ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა პოზიცია. მათი მიზანი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება გახლდათ, მაგრამ ამ დამოუკიდებლობას ისინი სოციალური საკითხების პრიზმაში განიხილავდნენ.

რაც შეეხება სტატიის მთავარ პერსონაჟს, ლეო შენგელაია საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდგომ, ყველაზე საშიშ პერიოდშიც აგრძელებდა პუბლიცისტურ საქმიანობას და უშიშრად აკრიტიკებდა საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ კურსს. მისი პატრიოტიზმი, რასაკვირველია, ვერაფრით დარჩებოდა უპატიებელი. 1937 წლის 22 ივლისს იგი დააპატიმრეს, როგორც ანტისაბჭოური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ამავე წლის 2 ოქტომბერს სამხედრო სასამართლომ მას დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

განაჩენი სისრულეში 3 ოქტომბერს, ღამით მოიყვანეს. ლეო შენგელაია დახვრიტეს, როგორც ეროვნული იდეოლოგიის დამცველი და საბჭოთა წყობილების მტერი, კანონით, რომლის წინააღმდეგაც იგი მთელი თავისი ძალისხმევით იბრძოდა.

#### **ბიბლიოგრაფია:**

არისტოტელე. (1981). *რიტორიკა*. (თ. კუკავა, თარჯ.) თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ავალიშვილი, ზ. (1929). *საქართველოს დამოუკიდებლობა*. თბილისი: მთარგმნელის გამოცემა.

ბრეგაძე, მ. (2024). *საქართველოს პირველი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რეპრეზენტაცია 1918-1921 წლების პრესაში*. დისერტაცია. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

მაცაბერიძე, მ. (2019). *საქართველოს პოლიტიკური სისტემა*. თბილისი: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- სართანია, მ. (2019). სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- შენგელაია, ლ. (1918, აგვისტო 25). ისინი ჩვენთან არიან. *შრომა*, p. 3.
- შენგელაია, ლ. (1918, ნოემბერი 3). სიკვდილით დასჯის შესახებ. *შრომა*, p. 2.
- შენგელაია, ლ. (1919, ნოემბერი 3). *შრომა*, p. 3.
- შველიძე, დ. (2022, ნოემბერი 2). *Rondeli foundation*. Retrieved from <https://gfsis.org>
- შველიძე, დ. (2012). *გზა დასავლეთისაკენ*. თბილისი: უნივერსალი.
- ჯანელიძე, ო. (2018). საქართველოს რევოლუციის მთავრობის დეკლარაციები და ქართული პოლიტიკური სპექტრი. კრებული-ში, *ახალი ეპოქის დასაწყისი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა* (გვ. 28). თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტი.
- Borg, W. (1963). *Educational Research: An Introduction*. Michigan: D. Mckay Company.
- Dewey, J. (1927). *The Public and Its Problems*. New York: Holt Publishers.
- Hill, J., & Kerber, A. (1967). *Models, Methods, and Analytical Procedures in Education Research*. Detroit, Michigan: Wayne State University Press.
- Hockett, H. (1955). *The Critical Method in Historical Research and Writing*. New York: The Macmillan Company.
- Lasswel, H. (1979). *Propaganda and Communication in World History*. Honolulu: The University of Hawaii Press.

## Leo Shengelaia – A Voice for the National Idea

**Bregadze Maia**

Caucasus International University, Tbilisi

### Abstract

It is widely acknowledged that the Georgian academic space suffers from a lack of research concerning the period of the Democratic Republic. A significant number of documents were either destroyed, lost, or deliberately suppressed by Soviet censorship. As a result, there is a dearth of material reflecting the activities of the political elite of the early 20<sup>th</sup> century. The study of political figures not only honors the past but also contributes to the enrichment of the worldview and knowledge base of contemporary scholars.

This article, against the backdrop of party collaboration during the years 1918-1921, explores the national idea promoted by the Georgian Socialist-Revolutionaries (Essers) and presents a political portrait of Leo Shengelaia, the party's leader and a prominent advocate of this idea. The present work is an interdisciplinary study based on primary sources and examines the activities of the Essers' leader within the socio-political context of Georgia during these years, as well as the processes of state democratization.

The research is based on publications from „Labour”, the official press organ of the Georgian Socialist-Revolutionary Party. A comprehensive analysis of party press content has enabled not only an in-depth understanding of the specific individual's activities but also an evaluation of state and public policy, leading to informed conclusions.

The period of 1918-1921 and the associated historical portraits should remain a strategic focus for scholarly analysis and evaluation in the fields of Georgian history, political science, and journalism. This era constitutes an integral component of the Georgian cultural sphere and holds significant ideological, worldview-related, and thematic relevance.

**Keywords:** *First Republic of Georgia, Georgian Socialist-Revolutionaries, political journalism, national idea, Leo Shengelaia*

ეთნიკური კონფლიქტების და ინტეგრაციული პროცესების  
გაშუქების თავისებურებები რეგიონულ მედიაში-საქართველოს  
გამოცდილება 1990-იან წლებში

გაბინაშვილი ირმა

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.75>

**აბსტრაქტი:** მასმედია დღეს სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებს შორის უმნიშვნელოვანესი მედიატორია და მისი ცვალებადი ბუნება, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, ქმნის ახლებურ ხედვებს და გამოწვევებს. ახალი მედიაფორმები კი უკვე დიდი ხანია, რაც ახალ რეალობას ქმნიან და აერთიანებენ იმ სხვადასხვა მიდგომებსა თუ სტრატეგიებს, რომლებიც მედიის განვითარების და კულტურული კონტექსტის გაზიარების მთავარ ინსტრუმენტად გვევლინებიან. თანამედროვე საზოგადოების არქიტექტურა ისტორიული კონტექსტებისა და თანამდევით გამოწვევების ურთიერთქმედების შესწავლის პროცესია და გავლენას ახდენს ისეთ უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე, როგორებიცაა: კულტურული პრაქტიკა, სოციალური ნორმები, პოლიტიკური წყობა და ეკონომიკური უთანასწორობა. იდენტობა ხშირად ინდივიდუალური და ჯგუფური კუთვნილების ძირითადი მახასიათებელია, რაც უზუსტესად ასახავს სოციალურ ურთიერთქმედებებზე და კოლექტიურ იდენტობებზე გავლენებს. წარმოდგენილი მიმოხილვა მიზნად ისახავს ხაზი გაუსვას მედიაეთიკის მნიშვნელობას გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს რეგიონულ მედიაში და განსაკუთრებული აქცენტი გააკეთოს მასზე სოციალური პასუხისმგებლობის, ეთნიკური და ინტეგრაციული საკითხების განხილვის თვალსაზრისით. ზემოთაღნიშნული პერიოდის რეგიონულ მედიაში ეთიკური დილემები აქტიურად იყო წარმოჩენილი - როდესაც ახალი პოლიტიკური და სოციალური რეალობა ქვეყანას ტრანსფორმაციის გზას უკვალავდა. 1990-იანი წლების საქართველოს რეგიონულმა მედიამ უმნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების, არამედ ეთნიკური ჯგუფების მიმართ სტერეოტიპების ცირკულირების მართისა და საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის პროცესში. მედიაში ეთიკის საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ეთნიკური დაპირისპირებებისა და კონფლიქტების გაშუქება მედიის პასუხისმგებლობის საგნად იქცა. კვლევაში განხილულია, როგორ მოქმედებდა რეგიონული მედია ეთიკის პრინციპებით, როგორც სოციალური კავშირის შემქმნელი და რა გავლენა ჰქონდა მას ეთნიკური, კონფლიქტური და ინტეგრაციული პროცესების გაშუქების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაეთიკა, რეგიონული მედია, კონფლიქტები, ეთნიკური საკითხები, ინტეგრაცია, სოციალური პასუხისმგებლობა

შესავალი

მედიამ ყველა დროში გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოებების და ქვეყნების ბედ-იღბლის ფორმირების პროცესში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ტექნოლოგიური, დიგიტალური და შინაარსობრივი ცვლილებები, ახალი მედიის ინსტრუმენტებთან ერთად განსაზღვრავდნენ ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური,

ეკონომიკური და კულტურული არქიტექტურის განვითარების გზებს. 1990-იანი წლები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და ტრანსფორმაციული პერიოდი იყო, რომლის დროსაც ქვეყნის მედია, სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის თანახმად, ასახავდა როგორც ახალ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობას, ისე ეთნიკური და კულტურული თემების თავისებურებებს (Citron, 2009). მაშინ, როდესაც ქვეყანამ დემოკრატიული ცვლილებების რთული გზა განვლო, რეგიონული მედია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის, არამედ ეთნიკური და კულტურული სტერეოტიპების ფორმირების, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივ ინტეგრაციაზე პასუხისმგებლობის პროცესში ჩართვას იწყებდა და ცდილობდა საზოგადოებისთვის აეხსნა ისეთი მგრძნობიარე საკითხები, როგორებიცაა-კონფლიქტები, ეთნიკური დაპირისპირებები, მეზობელი ქვეყნების გავლენები და სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლა. ახალი სახელმწიფოს მშენებლობას მრავალეთნიკურ გარემოში თან ახლდა ხოლმე ეთნიკური უმცირესობების გამოწვევები — ენის ბარიერები, მარგინალიზაციის შიშები, რაც, მედიაგარემოს ფრაგმენტაციასთან ერთად, ადგილობრივი პროპაგანდის შესაძლებლობებს ზრდიდა.

1990-იანი წლების საქართველოში, მედია ხშირად აძლიერებდა ეთნიკური ჯგუფების მიმართ ერთგვაროვან დამოკიდებულებებს. სტერეოტიპების თეორია ზუსტად ხსნის, თუ როგორ ახდენდა მედია სტერეოტიპების კონსტრუირებას, რითაც ზემოქმედებდა საზოგადოების აღქმებზე (Lippmann, 1922). მედია ხშირად არ ასახავდა ეთნიკურ ჯგუფებს კომპლექსურად და მრავალმხრივად, არამედ წარმოაჩენდა მათ მხოლოდ გარკვეული ნეგატიური თვისებებით. ეს თეორია შეიძლება განვიხილოთ 1990-იანებში გაჩენილი ეთნიკური დაპირისპირებების გაშუქების თვალსაზრისითაც, როდესაც მედია ერთგვარი "შაბლონური" ფორმებით წარადგენდა ეთნიკურ ჯგუფებს, რითაც ხშირად იქმნებოდა სიღრმისეული პრობლემები. მაგალითად, აფხაზეთის კონფლიქტის დროს მედია ხშირ შემთხვევაში იყენებდა განზოგადებულ და სტერეოტიპულ სიტყვებს, რაც საბოლოოდ ამწვავებდა სიტუაციას და ხელს არ უწყობდა შერიგებას. რეგიონული მედიის სტრუქტურა და მდგომარეობა 90-იან წლებში ხასიათდებოდა: სახელმწიფოსა და პოლიტიკურ ჯგუფებზე დამოკიდებულებით, ინფორმაციის ნაკლებობით და სუბიექტურობით; ეთნიკური სტერეოტიპების გაძლიერებით და მტრულად განწყობილი რიტორიკით; „ჩვენი“ და „მათი“ დაპირისპირების ენით გაშუქებით; ეროვნული ნარატივის დომინანტურობით; ემოციურ, არაკრიტიკულ ფორმატში ომის პროცესების გაშუქებით, რამაც გააძლიერა ეთნიკური შიშები (მაგ: ასიმილაციის შიში) და რუსულენოვანი საინფორმაციო არხების გავლენა მოსახლეობაზე. და რა იყო ამ დროს მასმედიის მიერ ინტეგრაციული პროცესების გაშუქება – გამაერთიანებელი თუ გამყოფი მექანიზმი? ცხადია, მედიის უნარი გაემყარებინა ერთიანი ეროვნული იდენტობა – მკვეთრად იყო შეზღუდული და ინტეგრაციის ნაცვლად – ხშირად მუსირებდა დაყოფის და სეგრეგაციის ნარატივები. მცირე დოზით, მაგრამ მაინც გხვდებოდა პოზიტიური მაგალითები: საზოგადოებრივი რადიოს რეგიონული გადაცემები და დამოუკიდებელი ჟურნალისტური ინიციატივები, თუმცა, რეგიონულ მედიას შეეძლო უკეთ ეწარმოებინა ლოკალური მრავალენოვანი კონტენტის განვითარება, მოეხდინა ეთნიკური თემების სენსიტიური გაშუქება ადამიანური ისტორიების ფორმატში და ე.წ. სამშვიდობო ჟურნალისტიკის ელემენტების დანერგვა ან ეთნიკური ჯგუფების სამოქალაქო აქტივიზმის გაშუქება.

1990-იანი წლების გამოცდილება მკაფიოდ გვაჩვენებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პროფესიული ჟურნალისტიკა, ეთიკა და ეთნიკური სენსიტიურობა

მრავალფეროვან სახელმწიფოში. კოგნიტური დისონანსის თეორიის თანახმად (Festinger,1957), მაშინ, როდესაც ერთი ჯგუფის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის სხვა ჯგუფის მიერ გამოთქმულ აზრებთან, აუცილებელია სწორხაზოვანი პოზიციის დაფიქსირება არა მხოლოდ სამიზნე აუდიტორიების ინტერესებზე ფოკუსირებით. 90-იანი წლების საქართველო "კოგნიტიურ დისონანსში" მყოფი რეალობის წინაშე იდგა და როდესაც საქართველოს მოსახლეობას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ სხვადასხვანაირი წარმოდგენები ჰქონდა, მასმედია ვერ გაუმკლავდა მედიაციური პროცესების სათანადოდ წარმართვას. მასობრივი კომუნიკაციების თეორიების თანახმად, ინტეგრაციის თეორია ფოკუსირდება სოციალური ჯგუფების ერთობაში გაერთიანების პროცესზე (Berry,1997), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 90-იანი წლების საქართველოსთვის, სადაც მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა. ამ თეორიის მიხედვით (Castles & Miller,2009), მედია უნდა იყოს ერთგვარი გადაწყვეტი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ცნობიერების განვითარებას. ამჟამად, რა თქმა უნდა, ინტეგრაციის თეორია უფრო პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროცესი უკვე დაიწყო. მულტიკულტურულობის თეორია ემყარება მრავალეთნიკურ გარემოში საზოგადოების გააზრებას, სადაც სხვადასხვა კულტურები და ეთნიკური ჯგუფები თანაცხოვრობენ და ერთმანეთთან ურთიერთობენ. ამ თეორიას შეუძლია კარგი დასაბუთება იმისა, თუ როგორ შეეძლო საქართველოს რეგიონულ მედიას დაეწყო ეთნიკური ჯგუფების დემოკრატიული ინტეგრაციისა და მათ შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების ქმედებები; სწორედ ამიტომ, 90-იანი წლების საქართველოსთვის, მულტიკულტურული მოდელის განვითარების იდეა რეალურ გამოწვევად იქცა.

კვლევის მიზანია: დადგინდეს, თუ რა გავლენა ჰქონდა მედიაეთიკის პრინციპებს საქართველოს რეგიონულ მედიაში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით ეთნიკური საკითხების გამუქებისას; ყურადღება დაეთმოს არა მხოლოდ მედიას, როგორც ინფორმაციის წყაროს, არამედ მედიას, როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ასპექტს, რომელიც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიასა და ინტეგრაციას უწყობს ხელს და გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების წარმოჩენაში, როგორცაა მულტიკულტურული თეორიის შესაბამისად განხილული ეთნიკური ტოლერანტობა (Modood, 2007), კონფლიქტების მართვა და ეროვნული ერთიანობის შექმნა.

1990-იანი წლების ქართული მედია მკაფიოდ ასახავდა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკური და სოციალური გამოწვევების რეალობას, არამედ, კულტურულ და ეთნიკურ კონტექსტებში არსებულ გლობალურ გამოწვევებს, რადგანაც ეთნიკური წარმომავლობა ხშირად იწვევს იდენტობაზე დაფუძნებულ მობილიზაციას, რამაც, შესაძლოა, საზოგადოებების პოლარიზაცია ან უთანასწორობა გააძლიეროს. სწორედ ამიტომ, სეგრეგაციის ნაცვლად ინტეგრაციის წინ წამოწევა ეთნიკური მრავალფეროვნების მხარდაჭერასა და სოციალური თანასწორობის ხელშეწყობას შორის არსებულ ბალანსს ეფუძნება და მრავალეთნიკურ საზოგადოებებში ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევად განიხილება. ეთნო-საზოგადოების გაგება ინლკუზიურ მიდგომას მოითხოვს, რომელიც აღიარებს ეთნიკური წარმომავლობის, საზოგადოების, ისტორიის სირთულეებს და იმ თანამედროვე გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას სხვადასხვა თემი მთელ მსოფლიოში. ამ გამოწვევების გადასაჭრელად ძალისხმევა ხშირად მოიცავს კულტურათაშორის დიალოგის, ინკლუზიური

პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარებისა და შერიგების მექანიზმების ხელშეწყობას.

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო დისციპლინა “კულტუროლოგია” ყველაზე ფართოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოიყენებოდა და ტერმინის “კულტურის მეცნიერებები/კვლევები” შემოტანა რიჩარდ ჰოგარტის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1964 წელს დააარსა თანამედროვე კულტურის კვლევათა ცენტრი. კულტურის მეცნიერებების/კვლევების (Cultural Studies) არსი საუკეთესოდ ეხმიანება თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგის, სამუელ ჰანთინგტონის ვარაუდს იმის შესახებ, რომ „თანამედროვე მსოფლიოში კულტურული განსხვავებები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე პოლიტიკური ან ეკონომიკური და, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ ინტერესთა საერთაშორისო კონფლიქტების კი არა, “ცივილიზაციათა შეჯახების” პერსპექტივა გველის” (ჰანთინგტონი, 1996). კულტურის კვლევები, განსაკუთრებით კი, ეთნიკური შესწავლისა და სწავლების დამოუკიდებელი მიმართულება, ასევე უზრუნველყოფს „კულტურული შემობრუნების“ განმარტებას, რაც კარგად აისახა ფართოდ გამოყენებულ ცნებებში - „მულტიკულტურალიზმი“, „კულტურული ომები“ და ზოგიერთი სხვა. აკადემიურ წრეებს გარეთაც, დღეს “საზოგადოების” ნაცვლად ხშირად “კულტურის” ცნებას იყენებენ, რაც კომუნიკაციურ თეორიებში დღითიდღე უფრო მყარდება. სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ფენომენის შესასწავლად, „იგი ცდილობს, გაარკვიოს კულტურის ფენომენის კავშირი იდეოლოგიის, ეთნიკურობის, ნაციონალიზმის, სოციალური კლასის, გენდერის და სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებთან“ (ბურკე, 2006:2). კულტურის მეცნიერებათა ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თეოდორ ადორნოს, კარლ მარქსის, მაქს ჰორკჰაიმერის, პიერ ბურდიეს, იუდიტ ბატლერის, ჟაკ დერიდას, მიშელ ფუკოს, ზიგმუნდ ფროიდის, ანტონიო გრამშის, იურგენ ჰაბერმასის, სტიუარტ ჰოლის, ჟაკ ლაკანის, რაიმონდ უილიამსის და სხვათა თეორიებმა. კულტურის, როგორც ერის განვითარების პროცესის ნაწილად განხილვის მცდელობები გვხვდება აგრეთვე, ქართულ პატრიოტულ თემებზე შექმნილ პუბლიკაციებში: „კულტურა იმ მხრით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ფორმად ქმნის, განსაზღვრულ კალაპოტში აყენებს იმ კოლექტიურ პიროვნებას, რომელსაც ერი ეწოდება. ეს ეთნიური მასალა მიატოვებს ეთნიურ მასალობას, როგორც კი იგი თავის ეროვნულ ცივილიზაციას და კულტურას შექმნის“ (გამსახურდია, 1921).

თუკი ქართული პერიოდული ბეჭდური გამოცემების მნიშვნელობას 1980-1990-იან წლების მაგალითზე განვიხილავთ, ახალი ქართული იდენტობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენიმე სტრუქტურირებული მიდგომა:

1. ისტორიული კონტექსტი - როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, ტრაგედიები და ბრძოლები, სწრაფვა დამოუკიდებლობისთვის და კრიზისებთან გამკლავება - ეს პერიოდი უკავშირდებოდა ახალი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას, რომელიც აისახა სხვადასხვა კულტურული ნორმის ფიქსირებაში, მათ შორის რეგიონულ მედიაში;
2. რეგიონული მედიის როლი- რეგიონულმა გამოცემებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ნარატივების შემუშავებასა და გავრცელებაში, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ქართულ კულტურას, ენასა და იდენტობას, უზრუნველყოფდნენ ეროვნული ღირსების, ისტორიის, მიღწევებისა და გამარჯვების განცდის

დისკურსის წარმოებას სხვადასხვა პლატფორმაზე, რაც დაეხმარა კიდევ მოსახლეობას სიამაყისა და ერთიანობის განცდის გაზიარებაში;

3. ოპტიმისტური პერსპექტივების გავრცელება - რეგიონულმა მედიამ წარმოაჩინა მრავალფეროვანი პერსპექტივები, რითაც ხაზს უსვამდა საქართველოს სხვადასხვა თემის გამოცდილებას და ხმას. ეს ინკლუზიურობა არსებითი იყო უფრო ყოვლისმომცველი გაგებისთვის, თუ რას ნიშნავდა ქართველად ყოფნა პოსტსაბჭოთა კონტექსტში;
4. გამოწვევები და დამაბულობა- ნარატივები, რომლებიც გამოწვევების წინაშე დგებოდა, ეხმარებოდა რეგიონულ მედიას ეთნიკური იდენტობის საკითხების გადააზრებაში. განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ. ეს ხანდახან იწვევდა არჩევანის აქცენტირებას ინტეგრაციასა და სეგრეგაციას შორის, რადგან მედია საშუალებები უფრო ხშირად ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში სხვადასხვა იდენტობის წარმოჩენის ხაზგაზმას.

აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1980-იან და 1990-იან წლებში საქართველოს პერიოდულმა ბეჭდურმა გამოცემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში, - ისინი არა მხოლოდ ასახავდნენ ცვალებად პოლიტიკურ რეალობას, არამედ ხელს უწყობდნენ დიალოგს კულტურული იდენტობისა და მიკუთვნებულობის შესახებ. კონკრეტული ჟურნალისტური ტექსტების გაანალიზებით ჩვენ მივიღებთ მნიშვნელოვან შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყო ხელი რეგიონულმა მედიამ ეროვნული იდენტობის საკითხის მოგვარებას დიდი გეოპოლიტიკური ტრანსფორმირებების დროს; კვლევა გამოკვეთს მედიის მნიშვნელობას სოციალურ ნარატივებზე გავლენის მოხდენის პროცესში და ხაზს უსვამს ამ დისკუსიების აქტუალობას დღევანდელ კონტექსტში.

მეცნიერებების და ეთნიკური საკითხების შესწავლა-განვითარება ინტერდისციპლინურ ჭრილში, ბუნების, დროისა და სივრცის აღქმის, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის, სოციალური იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის გაგებასთან ერთად განიხილება: „კულტურული შეგნების ინტენსიურობაზე ჰკიდია მუდამ ეროვნული კოლექტივის ბედი და უბედობა. კულტურა სხვა რაღაა თუ არ ორგანო გამოთქმისა და განპიროვნებისა“ (გამსახურდია, 1921). XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემატიკის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება. ასევე, აქტიურად ფიქსირდება პოლიტიკური პრეტენზიების კულტურულ განსხვავებულობაზე დაყრდნობით კულტურის ფენომენზე ლეგიტიმაცია და შესაბამისად, ეთნიკური განსხვავებულობის ფენომენი ხდება პოლიტიკური ინტერესის საგანი. საბჭოთა კავშირის დაშლის, ცივი ომის დამთავრების და ორპოლუსიანი მსოფლიოს გაქრობის შემდეგ გამოიკვეთა მომავალი მსოფლიოს სხვადასხვა ვერსია, რომლებშიც ცალსახად დომინირებდა ინტერესი კულტურულ-ცივილიზაციური პრობლემატიკისადმი. საქართველოსთვის, სადაც აქტუალური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესები და ახალი იდენტობის ძიება, ცივი ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება, როგორც კრიზისების და კონფლიქტების კერების გაჩაღების ეტაპი. მრავალეთნიკურ, მრავალკულტურულ და მრავალკონფესიურ საზოგადოებათა ისტორიული ხვედრი კარგად აქვს განმარტებული კ.გამსახურდიას: „განუსაზღვრელი ტრაგიზმითაა ქართველი ერის ისტორია აღსავსე. ტიხემ - ბედმა გვარგუნა აღმოსავლეთის კარებთან დარაჯად დგომა

დასავლეთის ცივილიზაციის სახელით. ქართველმა რასსამ თავისი საუკეთესო სისხლი შესწირა ამ ცივილიზაციის დიდი ანდერძის, ქრისტიანული სარწმუნოების და კულტურის დაცვის საქმეს. რადგანაც თუ ჩვენ კულტურა მოგვეძვეება, ეს არის უადრესად რელიგიოზური კულტურა“ (გამსახურდია, 1921). საყურადღებოა ამ კონფლიქტების თანამედროვე შედეგები, ვინაიდან ყველა კონფლიქტი, უწინარესად, პოლიტიკური ინტერესის საგანია და XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, კულტურის პრობლემატიკა, მეცნიერებთან ერთად, სულ უფრო მეტად ხდებოდა პოლიტიკოსთა ყურადღების საგანი, რადგან პოლიტიკური რეჟიმები სწორედ კულტურის ფენომენის გამოყენებით ცდილობდნენ იდენტობის, ავტონომიისა და სხვა მათთვის ხელსაყრელი მიზნების ლეგიტიმაციას(ასსმანი, 1991).

1990-იანი წლების დასაწყისის მედიაში გაჟღერებულმა ეთნიკურმა რეფლექსიებმა გზა მისცეს ერთგვარ ეგზისტენციალურ შიშს. ზ. კიკვიძე ქართულ მედიაში პოსტმოდერნიზმის ნიშნების გამოვლენის „დაწყების“ თარიღად XX საუკუნის 90-იან წლებს მიიჩნევს, „როცა ადამიანთა შემეცნებაში ჩამოყალიბდა პოსტმოდერნისტული დისკურსი“ (კიკვიძე: 2011, 30). 1990- იანი წლებსვე უკავშირდება ქართულ ბეჭდურ მედიაში პოსტმოდერნიზმის ნიშნებით იდენტიფიცირებული ტენდენციები, რომელთა ცენტრალური თემა გახლდათ ეროვნულ-იდენტობითი დისკურსი, გამყარებული სოციალურ-კულტურული წახნაგებით და იდენტობის მასშტაბური დისკურსით: „არც ენა, არც ტერიტორია, არც ნაციონალური სახელმწიფო ცალ-ცალკე არ არის უცილო ატრიბუტები ეროვნებისა, ჩვენ ვიცით, არსებობენ როგორც უენო, ისე უტერიტორიო, ისე უსახელმწიფო ეროვნებანი. მაშ, რა აკავშირებს ერს, რა ჰქმნის მის ბედს. ეს გახლავთ ის სალტე თავისთავის ერთად წარმოდგენისა, რომელიც ერს აკავშირებს. მაშასადამე კოლექტივი ადამიანებისა, იმ დღიდან იწყებს ერთად ყოფნას, როგორც კი იგი შედის მაღალი რანგის წარმოდგენის და დაფიქრების ზონაში, ხოლო ერთად ფიქრი, შეუძლია ისეთ ერს, რომელსაც რაიმე საშუალება აქვს ამ ფიქრის ერთი მეორის გადაცემისა, ორგანო გამოთქმისა და გადაცემისა“

1980-1990-იანი წლების მასმედიის, კერძოდ კი - ბეჭდური გამოცემების ნარატივები და მათი მიმართება ახალ ქართულ იდენტობასთან კარგად ჩანს იმ პერიოდის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ტექსტებში, რომლებიც ქართულ პრესაში პოსტმოდერნიზმის ნიშნებით იდენტიფიცირებულ იმ ტენდენციებს ასახავს, რომელთა ცენტრალური თემა ეროვნულ-იდენტობითი დისკურსის წარმოება და გავრცელება გახლდათ. ეს – კულტურაა ერისა. ე.ი. რაც ერის ერთად ქმნას შველის“ (გამსახურდია, 1921).

XX-XXI სს. მიჯნაზე, გლობალიზაციის გამოწვევაზე პასუხის ძიებამ და იდენტობითი სახის დაკარგვის საფრთხემ, ეთნიკური საკითხების კვლევა\_ძიების აქტუალურობა უფრო მეტად გაზარდა. საქართველოსთვის, სადაც აქტუალური იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესები და ახალი იდენტობის ძიება, ცივი ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება, როგორც კრიზისების და კონფლიქტების კერების გაჩაღების ეტაპი. გარდამავალი პერიოდის ქართული ნაციონალიზმი დაეფუძნა სიღარიბესა და უთანასწორობას, რომელიც საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამკვიდრდა და მისი რადიკალიზაცია გარკვეულწილად სწორედ პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისზე მძაფრი რეაქცია იყო. მნიშვნელოვანი იყო ასევე, რუსეთის

ჩარევა საქართველოში მიმდინარე პროცესებში, განსაკუთრებით კი აფხაზეთში. რუსეთის კავშირი აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არა ეთნიკურ, არამედ იდეოლოგიურ საფუძვლებზე იდგა და პროდასავლური ქართული სახელმწიფოს მშენებლობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ კოლოსალური გამოწვევების ფონზე, ეროვნული მთავრობის ძალიან თამამ, იმპულსურ, ხშირად სპონტანურ გადაწყვეტილებებს საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალს და მზად იყო მოესმინა, მიეღო, გულის ფიცარზე დაეწერა ამ უცნაური მდგომარეობის ამხსნელი ნებისმიერი შეფასებითი ტექსტი, ფორმულა, გზავნილი, რომელსაც გაიგებდა ხელისუფლებისგან, საინფორმაციო საშუალებებისგან, ცნობილი სახეებისგან და ავტორიტეტებისგან. ერთ-ერთ მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ მერაბ მამარდაშვილისგან გაჟღერებული მოსაზრება / მოწოდება საზოგადოების მიერ საკუთარ თავში ნაციონალური ნაკლოვანებების ძიებასთან დაკავშირებით. ეს ნააზრევი 1980-1990-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში არც თუ მისაღებ და ნაკლებ პოპულარულ გზავნილად შეფასდა: „მთავარი მტერი ქართველი ნაციისა არა რომელიმე მტრული ეთნოსია, ვინც არ უნდა იყოს იგი, არამედ, ტოტალიტარიზმი, როგორც ასეთი - იდეოლოგია, რომლის „სულიც შემოვიდა რუსეთიდან“, მაგრამ ჩვენს გონებაში, ჩვენს თავში „ჩაიბუდა“ (მამარდაშვილი: 1989: 6). რატომღაც, მოცემულ ეტაპზე, მერაბ მამარდაშვილს ახალი ტიპის ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოების შექმნა წარმოუდგენლად ეჩვენებოდა იმ ხალხის მასისგან, რომელიც „კოლექტიური თვითმკვლელობის“ (ბაქრაძე, 1989: 11) შემდეგ ქვეყანას შერჩა. ცხადია, კოლექტიური ტრავმის ფენომენი კიდევ მეტი ინტერესის საგანი ხდება, რადგან საზოგადოების მტკივნეული გამოცდილება იწვევს იდენტობის გადახედვის აუცილებლობას, უმრავლეს შემთხვევაში კი - იდენტობის კრიზისს, რადგან კოლექტიური მეხსიერება არ არის რომელიმე ერთობის წევრთა პირადი მოგონებების უბრალო ერთობლიობა. ის მოიცავს იმ მოგონებებს, რომლებიც საერთოა ერთობის, როგორც ჯგუფის, ყველა წევრისათვის და ეს ხერხები ხშირად გამოიყენება ხოლმე პოლიტიკურ რიტორიკაში (ზერუბაველი, 2004). სწორედ ამ პათოსით იყო გაჯერებული 1989-1991 წლების არა მხოლოდ პოლიტიკური სივრცე და ველი, არამედ შემოქმედებითი არეალიც: მხატვრული ტექსტები, ლიტერატურული ნაწარმოებები, პუბლიცისტური მასალები და პერიოდული პრესა. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც აჭარაში გამომავალი გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ იყო, სადაც კონკრეტული ავტორების მიერ ობიექტური სინამდვილის ასახვა და რეალური ამბების თხრობის პროცესი საინტერესო ტრანსფორმირებას განიცდის და არტეფაქტების, მითოლოგიზირების ელემენტებით გაჯერებულ ჟურნალისტურ პროდუქტებს წარმოგვიდგენს.

განსხვავებით ცენტრალური პრესაში ფიქსირებული მკაფიო გზავნილებისა, რეგიონული მედია სულ სხვაგვარი ხელწერით ცდილობს არ ჩამორჩეს საერთო-სახალხო განწყობების ტენდენციას, თუმცა, ასევე ცდილობს შეინარჩუნოს შედარებით რბილი და ფორმატირებული რიტორიკა, რაც, როგორც უკვე ვნახეთ, ძირითადად, ლიტერატურული შინაარსის მასალებით და ტექსტებითაა წარმოდგენილი. საკვლევი პერიოდის მანძილზე, რეგიონული პრესის ფურცლებზე ლიტერატურული ტექსტებით და ნარატიული მეთოდებით ვეცნობით ეთნოკონფლიქტების თემასაც.

საბჭოთა რეჟიმიდან გამოსვლის ურთულეს პროცესში, ქართულმა მედიამ თითქმის მოუძნადებლად გადაწყვიტა ჩვეული საბჭოთა ცენზურიდან სიტყვის თავისუფლების სივრცეში გადანაცვლება. ეს კი უამრავ მოსალოდნელ რისკთან,

ხიფათთან იყო დაკავშირებული და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ეთნიკური საკითხი გახლდათ. საქართველოს იმ დროისთვის სხვადასხვა ეთნოსის თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი პოზიტიური გამოცდილება ჰქონდა, გეოპოლიტიკური, კულტურული და სხვა ასპექტების გათვალისწინებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე, ეს გამოცდილება შეიცავდა საყურადღებო გამოწვევებსაც, რადგან საქართველოში ეტაპობრივად გაღვივებული ეთნოკონფლიქტები სერიოზულ მიზეზებს ემყარებოდა. ასეთი პრობლემების განხილვის და საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასების მიღებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იყო კომპეტენტური პირების, ისტორიკოსების, ანალიტიკოსების დასკვნებზე ჟურნალისტების ორიენტირება. მით უფრო, როდესაც არსებობდა „ლიხნის“ წერილისა და გაზეთ „ბზიფში“ ჩოჩიევის სტატიის რეზონანსულობის პრეცედენტი („აფხაზთა სამეფო“, <http://www.-abkhazia.gov.ge>), რაც, განსაკუთრებით ცხადად, 1980-1990 წლების ერთ-ერთ ყველაზე მეტად კითხვად გამოცემაში „ლიტერატურული საქართველო“ გადმობეჭდვის შემდეგ გაჟღერდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული პრესა, ნებისთი თუ უნებლიედ, დაემსგავსა წესების გარეშე ბრძოლის ველს, სადაც, ყოფილ ჰეგემონ, მეზობელ და მეგობარ ხალხებთან დამოკიდებულებას საზოგადოება დილექტანტი ავტორ-ჟურნალისტების მიერ ტირაჟირებული ურა-პატრიოტული განწყობის და ტექსტების საფუძველზე ქმნიდა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ უპასუხისმგებლო და ცხელ გულზე დაწერილი პუბლიკაციების საშუალებით შეიქმნა მკითხველმა საერთო და სტერეოტიპული წარმოდგენა, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პრობლემის მიმართ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ იმ ეტაპზე მედიას არ მოედუნებინა ყურადღება ამ მტკივნეული და სახიფათო საკითხის მიმართ. აღნიშნული მოსაზრებების გასამყარებლად განვიხილავ ჯემალ ჯაყელის ძალიან საინტერესო ესეს „სირჩა“, რომელიც რუბრიკაში „სამაჩაბლო ჩვენი ტკივილი და მწუხარება“ დაიბეჭდა (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). „მშვენიერი ოსური ლეგენდა „სირჩა“ -საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ორი გულითადი მეგობრის, ქართველისა და ოსის ამბავს გვიამბობს: ბრძოლისას ორივე მძიმედ დაჭრილა, არავინ ჩანდა მშველელი და არც არაფერს შეეძლო მათი გადარჩენა. როცა სასმელი წყალიც შემოელიათ და საერთო მათარაში მხოლოდ ერთი წვეთიღა დარჩა, ამ წვეთს უნდა გადაეწყვიტა ორი მომაკვდავი მეომრისგან რომელი გადარჩებოდა: „რომელმა დაისველოს პირი? მეგობრები ერთმანეთს სთავაზობენ წვეთს“ ( გაზ. „აჭარა“, №18, 1991). საგულისხმოა ავტორის (ჯ.ჯაყელი) აქცენტები ტექსტიდან: „მოდით აქ დავუსვათ ამ ლამაზ ლეგენდას მრავალწერტილი და გავიხსენოთ რა ხდება სამაჩაბლოში დღეს...“; „რა ვუყოთ იმ უჯიუტეს ფაქტებს, როდესაც „სირჩის“ ტრადიციებზე გაზრდილი ოსები, „ნართების“ ტრადიციებზე გაზრდილი ხალხი „მარცხენა ფეხზე“ ადგა. უკუღმა შემოტრიალდა და სული ეშმაკს მიჰყიდა“; „ქვეყანა იქცევა მაშინ, როდესაც მირონის ჯამში სისხლი დგება“... და აქვე იგრძნობა, თუ რამდენად სახიფათოა ფრაზა - „ჩრდილო ოსეთიდან ჩამოცოცებული და ბოლოს ჩამომძველებული ოსები“ და რამდენად საგულისხმოა მტკიცება - „ვის შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი ნორმალური კაცი, რომელიც იტყვის რომ ქართლის შუაგული, ცნობილი სამაჩაბლო საქართველოს არ ეკუთვნის და იგი ალანების მიწაა“ (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). ზემოთაღნიშნულ ტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე გამოთქმა “უმელურებს“ (თავს იკატუნებს), რომელიც ოსი ხალხის პოლიტიკური მანერის გამოსახატად გამოუყენებია ავტორს (ჯ.ჯაყელი) და რითაც ცდილობს დაახასიათოს ამ ეთნოსის ისტორიული პოზა. ეს ის მდგომარეობაა,

რომლითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაწყვიტა კონფრონტაციაში მყოფი ორივე მხარის (საქართველო- რუსეთი) საამებლად თავი მოეკატუნებინა. ფაქტია, რომ მოცემულ ეტაპზე ჰეგემონი „პატრონის“ მრუდე მითითებებმა ეს ხალხი საბოლოოდ დაუპირისპირა და კარგა ხნით ჩამოაშორა თავის ისტორიულ ნაწილს. „ჩვენ-ისტორიულ მასპინძლებს არასოდეს ჩამოგვიყვანია სტუმრის სტატუსის დევალვაცია (‘დილით ოქრო ხარ სტუმარო, თუ ცოტა დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“) ამბობს ავტორი და ნააზრევს ასრულებს სტრიქონებით: „სირჩა შენკენ გადმოვედი, /როცა წვეთი გარჩენდა,/უწვეთობა როცა მახრჩობს/ სირჩა სადღა ვეძებო,/ ეს ხიდები და ტაძრები/ ჩემი ხელით აშენდა, /ტაძრის ეზოს თხები ძოვენ/ სად ხართ ოქროს ვერძებო“ (გაზ. „აჭარა“, №18, 1991). ვფიქრობთ, ამ მასალაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ ანალიზთან და გარდაუვალი კონფრონტაციისადმი საზოგადოების შემზადებასთან. უფრო მეტიც, ის შეგვიძლია ერთგვარ ტრანსს მივაკუთვნოთ, რადგან მედიაში ფსიქოლოგიური ტრანსის ალგორითმები მოქმედებს იგივე პრინციპით, როგორც ფსიქო-თერაპევტის კაბინეტში. განსხვავება ისაა, რომ მედიით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრანსი არის ყოველდღიური მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სულიერ კომფორტთან ასოცირდება (გერსამია, 2021). ზემოთაღნიშნულ მასალაზე პოსტკრიპტიკულად გამოტანილ მინაწერში კი ავტორი (ჯ.ჯაყელი) დასძენს: „ამ წერილში არაფერი ახალი არ არის, ყველაფერი ეს თავის დროზე ითქვა და კვლავაც ითქმება“ და მართლაც, XX საუკუნიდან დღემდე ეთნოკონფლიქტების შედეგები ქართული რეალობის ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხია. ეთნოკონფლიქტების პრობლემატიკას ეხმაურება ასევე, ჯემალ ქათამაძის ლექსი „ახლა“: „ახლა ისეთი დრო და ჟამია,/ამღვრეულია ისე თვალები,/ დადის ვეშაპი კაციჭამია/ისე რომ ვერსად დაემალები,/ცეცხლით გარუჯა ყველა კუნჭული, /შეეცოდები მუხლუხა ლომებს?/ახლა კაცის და მოკვლა ჭუჭულის,/ გართობა არის თუ მოინდომებ“(გაზ. „აჭარა“, № 44, 1991) პოეტი (ჯ.ქათამაძე) „კაციჭამია ვეშაპში“ ალგორითმულად მოიაზრებს ამ პერიოდისთვის უკვე საკმაოდ გამწვავებულ ეთნოკონფლიქტებს, რომლის ინსპირატორებსაც „ამღვრეული აქვთ თვალები“, ანუ გონება და გადაფარულია ყველა ის ურთიერთობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად განსხვავებული ერების თანაცხოვრების მანძილზე იყო ჩამოყალიბებული. და ყველაფერს, თითქოს საკრალურად, მაინც აერთიანებს 9 აპრილი, რადგან ის არის მოვლენა, რომელიც უამრავ ფაქტორს აკავშირებს ერთმანეთთან, მათ შორის- მჭიდრო ბმა აქვს ეთნიკური პრობლემების გაძლიერებასთან, რადგან იმ ისტორიულ კონტექსტში, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ერქვა, არსად ჩანდა, რომ საერთო ეროვნულ იდეებს უნდა გაჰყოლოდნენ ის მოქალაქეებიც, რომლებსაც ქართველებთან ერთად ცხოვრება უნდოდათ, თუმცა, თავისი განსხვავებული ხედვები ჰქონდათ როგორც ენის, ასევე, რელიგიის და კულტურის მიმართ. აღნიშნული მოცემულობის აღქმასა და გადააზრებას ისტორიკოსებთან ერთად, 1990\_იანების დასაწყისის ქართული მედიაც უნდა შესდგომოდა, თუმცა, მას არ ჰქონდა ის გამოცდილება, რითაც თავისუფალ სივრცეში უნდა დამკვიდრებულიყო, არც პოლიტიკურ ველზე მოქმედების სტრატეგიის ინსტრუმენტების შესახებ სმენოდა რაიმე და შესაბამისად, ვერც ინფორმაციული ოპერაციების წარმართვის ხერხებს ფლობდა. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, რომ მედია ვერ მოახერხებდა სათანადო ნარატივების შექმნას და მათით საზოგადოების ფსიქოლოგიურ გაძლიერებას. მაშინ, როდესაც მედიას შეუძლია მალევე დაგვავიწყოს ინფორმაცია, მას ასევე შეუძლია ძალიან დიდხანს

დაგვამახსოვროს მოვლენა და ამისთვის იგი “ძველ ამბავს“ მუდმივად ახალი ამბების კონტექსტში ფუთავს, მას შეუძლია თავისი არქივიდან ამოიღოს კონკრეტული მონაკვეთი და ახალ ამბებთან სინთეზირებით, მეხსიერების გადატვირთვა მოახდინოს“ (გერსამია, 2021), რაც ასე სჭირდებოდა XX საუკუნის 90-იანების დასაწყისში, თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარებული მოვლენებით დაბნეულ და გაუგებრობაში აღმოჩენილ საზოგადოებას. თუმცა, იმხანად მედიის ცნობილი სპეციალისტები, თავიანთი საბჭოური კარიერის მანძილზე პარტიული ინერციით მოქმედებდნენ და მათთვის იმდენად უცხო და დამაბნეველი აღმოჩნდა კომუნისტური „დღის წესრიგის“ შეცვლა, რომ პასიური პოზიციები აქტიური დუმილით ჩაანაცვლეს. მედიაპოლიტიკის სტანდარტებზე მაშინ არც არავინ ფიქრობდა, რადგან ემოციური პულსაციით ხდებოდა ინტონაციების, რიტორიკის ფორმირება და ამ პროცესში, ბუნებრივია, ფიქსირდებოდა უამრავი ლაფსუსი, ხარვეზი და ხშირად, გამოუსწორებელი შეცდომებიც კი.

დასკვნა: გასული საუკუნის 1990-იანი წლების რეგიონულ მედიას უდიდეს გამოწვევად ესახებოდა ეთიკური სტანდარტების დაცვა და პროფესიული პასუხისმგებლობა ეთნიკური თემების გაშუქებისას – ხშირად არ იყო დაცული ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები (ბალანსი, ფაქტობრივი სიზუსტე), აქტიურად გამოიყენებოდა სიძულვილის ენა, რეგიონის ჟურნალისტებს არ ჰქონდათ წვდომა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან პირდაპირი დიალოგისთვის და შერიგებაზე ორიენტირებული კონტენტიც ძალიან იშვიათი იყო. იდენტობის პოლიტიკის ურთიერთქმედება რეგიონულ მედიაში წარმოადგენს კრიტიკულ ხაზს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ინტეგრაციისა და სეგრეგაციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებების დინამიკა; აგრეთვე ის, თუ როგორ ახერხებდა რეგიონული მედია ამ მოცემულობების არა მხოლოდ ასახვას, არამედ იმასაც, თუ როგორ აყალიბებდა ნარატივებს სხვადასხვა იდენტობის გარშემო; როგორ უწყობდა ხელს ინკლუზიურობას ან კიდევ – აძლიერებდა განხეთქილებას. ასეთი დელეგირების შედეგები საკმაოდ ღრმაა, რადგან როდესაც მედია პრიორიტეტს ანიჭებს წარმომადგენლობას და მრავალფეროვნებას, მას შეუძლია გააძლიეროს საზოგადოებასთან კავშირები და ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას. ხოლო როდესაც ის იხრება სეგრეგაციისკენ, რისკავს არსებული განხეთქილების გაძლიერებას და გამოუსწორებელ შეცდომებამდე მიყავს პროცესი. 1990-იანი წლების რეგიონული მედია საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც სოციალური, ასევე ეთნიკური ინტეგრაციის საკითხებში, იგი ხშირად რეგიონის პოლიტიკურ ინტერესებს ემორჩილებოდა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა სოციალურ დაძაბულობას. თუმცა, ზრუნვა და პასუხისმგებლობა ეთნიკური მრავალფეროვნების და საზოგადოებრივი სოლიდარობის პროცესებზე, 90-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოს მედიის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად რჩება. ეს გამოცდილება ყოველთვის შეგვახსენებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პროფესიული ჟურნალისტიკა, ეთიკა და ეთნიკური სენსიტიურობა მრავალფეროვან სახელმწიფოში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის, რადგან ტექსტში შემოთავაზებული თეორიები და პარალელები ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ უნდა იქნეს შერჩეული ჟურნალისტური ხერხები, მეთოდები და ჟანრები, რათა მასმედიამ უზრუნველყოს ეთნიკური თემების გულწრფელად და რაც ყველაზე მთავარია, ობიექტურად გაშუქება.

#### ლიტერატურა:

- 1) ასმანი, 1991: Aleida Assmann / Dietrich Hart (eds.) Mnemosyne. Forms and Functions of cultural memories, p. 289., Frankfurt a / M, 1991;
- 2) ბაქრაძე, 1995: ბაქრაძე ა., „დაწუნებული გზა“, გამომცემლობა „სარანგი“, თბილისი, 1995;
- 3) ბერი, 1997: Berry, J.W. (1997) Immigration, Acculturation, and Adaptation. Applied Psychology: An International Review, 46, 5-34. <https://doi.org/10.1111/j.1464-0597.1997.tb01087.x>
- 4) ბურკე, 2006: Burke P., „What is Cultural History?“ Polity Press Ltd., 2006;
- 4) გამსახურდია, 1921: გამსახურდია კ., „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“, WordPress.com <https://iberiana2.wordpress.com/2016/01/>;
- 6) ზერუბაველი, 2004: Zerubavel E., „Time Maps, Collective Memory and the Societal Shape of the Past.“ Chicago and London, 2004;
- 7) კასტელსი & მილერი, 2009: Castles S. and Miller, M.J. (2009). The Age of Migration: International Population Movements in the Modern World. (4th edition);
- 8) მამარდაშვილი, 1989: მამარდაშვილი მ., „ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს“. „თბილისი“. 139 1989;
- 9) ფესტინგერი, 1957: Festinger, L. (1957). A theory of cognitive dissonance. Stanford University Press.
- 10) ჰანტინგტონი 1996: ჰანტინგტონი ს., „ცივილიზაციების შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, 1996;
- 11) ჯანელიძე, აბაშიძე 1993: ჯანელიძე ო. ანაშიძე ზ., „საქართველო და ქართველები“, თბილისი, 1993;

### **The Role of Covering Ethnic, Conflict and Integration Processes in Regional Media – Georgia’s Experience in the 1990-s**

**Gabinashvili Irma**

Shota Rustaveli State University, Batumi

#### **Abstract**

Today, Mass Media are the most important mediators between social, cultural and political spheres, and their changing nature as a result of technological development creates new perspectives and challenges. New forms of Media have long been creating a new reality and combining various approaches and strategies that serve as the main tools for media development and exchange of cultural context. The architecture of modern society is a process of studying the interaction of historical contexts and contemporary challenges and affects such important aspects as: cultural practices, social norms, political order and economic inequality. Identity is often a key characteristic of individual and group belonging, which does not accurately reflect the impact on social interactions and collective identities. The presented review aims to highlight the importance of media ethics in the regional media of Georgia in the 1990s and to place special emphasis on it in terms of discussing social responsibility, ethnic and integration issues. Ethical dilemmas were actively covered in the regional media during this period, when the new political and social reality directed the country towards transformation. In the 1990s, regional media in Georgia played an important role not only in disseminating information but also in correcting stereotypes about ethnic groups and achieving public consensus. Issues of Media Ethics became especially relevant at the time when the coverage of ethnic confrontations and conflicts became a matter of media responsibility. An Article discusses how regional media acted ethically as builders of social connections and what impact they had in terms of coverage of ethnic, conflict and integration processes.

**Keywords:** *Media Ethics, Regional Media, Conflicts, Ethnic Issues, Integration, Social Responsibility*

## ტრანსმედია ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები

### საბაშვილი გვანცა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.76>

**აბსტრაქტი.** ბოლო ათწლეულში მედია გარემოს ტრანსფორმაციამ გამოიწვია ინფორმაციის წარმოების, გავრცელებისა და აღქმის პროცესების ფუნდამენტური ცვლილება. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ჟურნალისტიკა გადააბიჯა ტრადიციული ერთარხიანი თხრობის ჩარჩოებს და გადავიდა მრავალარხიან კომუნიკაციაზე, სადაც ტრანსმედია ითამაშებს გადამწყვეტ როლს. ტრანსმედიური თხრობა გულისხმობს ერთი სიუჟეტის განვითარებას სხვადასხვა პლატფორმაზე ისე, რომ თითოეული არხი ავითარებს მის განსხვავებულ ასპექტს და ხელს უწყობს აუდიტორიის ჩართულობის გაღრმავებას.

ნაშრომში განხილულია ტრანსმედიის ძირითადი მახასიათებლები, მისი მნიშვნელობა თანამედროვე ჟურნალისტიკაში და ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ეთიკას, პროფესიონალიზმს, სიზუსტეს და აუდიტორიასთან ურთიერთობის ახალ მოდელებს. განხილულია როგორც საერთაშორისო, ისე ქართული პრაქტიკული მაგალითები, გაანალიზებულია ტრანსმედიის გავლენა ჟურნალისტური სტანდარტების ევოლუციაზე, მულტიპლატფორმულ სტრატეგიებზე და ინფორმაციის გავრცელების ახალ ფორმატებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრანსმედიის შესაძლებლობებს დემოკრატიული კომუნიკაციის ხელშეწყობისა და მედიისადმი ნდობის გაძლიერების კუთხით.

ნაშრომის მიზანია ტრანსმედიის თეორიული და პრაქტიკული ანალიზი თანამედროვე მედია-რეალობაში, რათა დადგინდეს მისი პოტენციალი და როლი ჟურნალისტიკის მომავლის ფორმირებაში.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ტრანსმედია პროექტების ანალიზს თანამედროვე მასმედიაში. ტრანსმედია ჟურნალისტიკა წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების მულტიპლატფორმულ სტრატეგიას, რომელიც ქმნის თხრობითად ერთიან, მაგრამ ტექნიკურად დივერსიფიცირებულ სიუჟეტს. კვლევა აჩვენებს, რომ ტრანსმედია მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტორიის ჩართულობას, აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმის ხარისხს და ქმნის ინტერაქტიული კომუნიკაციის შესაძლებლობას. სტატიაში განხილულია ტრანსმედია ჟურნალისტიკის მახასიათებლები, მათი უპირატესობები და სირთულეები, აგრეთვე საერთაშორისო და ქართული ქეისების მაგალითები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული მედიის პრაქტიკას, სადაც ტრანსმედია ელემენტები უკვე ინტეგრირებულია. ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები ტრანსმედია სტრატეგიის გაუმჯობესების მიმართულებით.

ტრანსმედია კომუნიკაცია წარმოადგენს თანამედროვე მასმედიის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და მრავალმხრივ მოვლენას. ის გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა პლატფორმაზე, რაც ქმნის ერთიან, მაგრამ მრავალმხრივ ნარატივს. სტატია იკვლევს ტრანსმედიის არსს, განვითარებასა და მის გავლენას აუდიტორიასთან ურთიერთობაზე. გამოყენებულია საკვანძო თეორიული მოდელები, ანალიზი და მაგალითები თანამედროვე პრაქტიკიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსმედია, ჟურნალისტიკა, მულტიპლატფორმულობა, ეთიკა, მედია ინოვაცია

## შესავალი

თანამედროვე მედია გარემო მუდმივად იცვლება და ამ ცვლილებების ტემპი უპრეცედენტოა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა არა მხოლოდ შეცვალა ინფორმაციის გავრცელების ფორმა, არამედ საფუძვლიანად გარდაქმნა მასმედიის სტრუქტურა, შინაარსი და აუდიტორიასთან ურთიერთობის მოდელი. ამ კონტექსტში ტრანსმედია თხრობა იქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ მიმართულებად, რომელიც მოითხოვს ჟურნალისტური საქმიანობის ახალ სტრატეგიებს, მიდგომებს და სქემებს.

ტრანსმედიის კონცეფცია უახლესი მედია თეორიების ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე ნარატივი (ან ამბავი) თანმიმდევრულად და შინაარსობრივად შევსებულად ვითარდება მრავალ პლატფორმაზე: ბეჭდურ მედიაში, ვებსაიტებზე, მობილურ აპლიკაციებში, ტელევიზიაში, სოციალური ქსელებში და სხვა. განსხვავებით მულტიმედიური პრეზენტაციისგან, რომელიც მხოლოდ ტექნიკურ მრავალფეროვნებას გულისხმობს, ტრანსმედია ქმნის სიუჟეტს, რომელიც მხოლოდ ყველა პლატფორმის გაერთიანებით ხდება სრულფასოვანი (Jenkins, 2006).

ტრანსმედიური თხრობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჟურნალისტიკისთვის, რადგან ის სთავაზობს აუდიტორიას არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების მრავალმხრივ საშუალებას, არამედ ჩართულობის, ემოციური კავშირის და აქტიური მონაწილეობისთვის საჭირო ჩარჩოსაც. თანამედროვე აუდიტორია არ კმაყოფილდება ერთჯერადი საინფორმაციო კონტენტით — ის ელის გამოცდილებას, რომელიც შვევს მის ყოველდღიურობაში. ტრანსმედია ამის საშუალებას აძლევს მედიასაშუალებებს და ჟურნალისტებს.

გარდა შესაძლებლობებისა, ტრანსმედიის გამოყენებას ახლავს მთელი რიგი გამოწვევები — ტექნოლოგიური, შინაარსობრივი, ეთიკური და მეთოდოლოგიური. საჭიროა კითხვები: რა გზით უნდა მოხდეს ტრანსმედიური ნარატივის კონსტრუქცია ისე, რომ არ დაიკარგოს ფაქტობრივი სიზუსტე? როგორ შეიძლება ერთი ამბავი გავრცელდეს სხვადასხვა მედიაში ისე, რომ არ მოხდეს მისი კონტექსტუალური დაზიანება ან ინტერპრეტაციის შეცვლა? როგორ უნდა მოხდეს პლატფორმებს შორის კოორდინაცია?

საქართველოში ტრანსმედია ჯერ კიდევ განვითარებადია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება იყენებს ტრანსმედიის ელემენტებს, სრულფასოვანი ტრანსმედიური პროექტები მაინც იშვიათია. შესაბამისად, ამ სტატიაში განხილული იქნება როგორც თეორიული ასპექტები, ისე პრაქტიკული ქეისები, მათ შორის ქართულ კონტექსტში.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ტრანსმედიური თხრობის არსი, მისი გამოყენების პრაქტიკა ჟურნალისტიკაში და ის გამოწვევები, რომლებიც თან სდევს ამ პროცესს თანამედროვე მედიაგარემოში. კვლევა ეყრდნობა თანამედროვე ლიტერატურას, საერთაშორისო და ადგილობრივ მაგალითებს და მიზნად ისახავს ტრანსმედიის სტრატეგიების, შესაძლებლობებისა და რისკების სინთეზს ჟურნალისტიკის განვითარებისთვის.

თანამედროვე მედია სამყაროში ტრანსმედია პროექტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როგორც ახალი მეთოდი ინფორმაციის გავრცელებისა და აუდიტორიის ჩართულობის გაძლიერებისათვის. ტრანსმედია, როგორც ტერმინი, პირველად ჰენრი ჯენკინსმა შემოიღო და მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს მრავალარხიან კომუნიკაციაში, სადაც ერთი თემა ან სიუჟეტი სხვადასხვა მედია პლატფორმაზე გადადის და გაფართოვდება. ჟურნალისტიკაში ეს მიდგომა არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს ქმნის ინფორმაციის მრავალმხრივ და ინტერაქტიულ წარმოჩენაში, რაც მკითხველს აძლევს ღრმა, მრავალსაფეხურიან და ინოვაციურ გამოცდილებას. ტრანსმედია პროექტების განვითარება ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტსა და სოციალური მედიის სწრაფ ზრდას, რაც ქმნის სივრცეს ახალი ფორმატებისა და კომუნიკაციური სტრატეგიებისთვის. სამეცნიერო სტატიაში მოხდება აღნიშნული პროცესის დეტალური ანალიზი ჟურნალისტიკის ჭრილში, ყურადღება გამახვილდება ტრანსმედიის პროექტების მახასიათებლებზე, გამოწვევებზე და ქართული მედიის გამოცდილებაზე.

## ტრანსმედიის გავლენა ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკაზე

ტრანსმედიური პროექტების ფართო გამოყენებამ არსებითად შეცვალა ჟურნალისტიკის პროფესიული სტანდარტები და ექვევქემ დააყენა მრავალი ტრადიციული მიდგომა. მულტიპლატფორმული თხრობა, ერთი მხრივ, აძლიერებს ინფორმაციის მრავალფეროვნებასა და სიღრმეს, მაგრამ მეორე მხრივ, წარმოშობს ეთიკურ დილემებსა და გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია კონტენტის შინაარსობრივ და ფორმალურ სიზუსტესთან.

### 1. ფაქტების სიზუსტე მრავალ არხზე

ჟურნალისტიკის უმთავრესი პრინციპი — ფაქტობრივი სიზუსტე, ტრანსმედიურ პროექტებში შესაძლოა დაირღვეს, თუ არხებს შორის შინაარსობრივი სინქრონიზაცია არ არის დაცული. მაგალითად, თუ ტექსტური ვერსია ერთგვარ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს, ხოლო ვიდეო-მასალა მას ცვლის ან ამახინჯებს, თავს იჩენს დეზინფორმაციის რისკი. ამგვარი კონტრასტები ეწინააღმდეგება პროფესიული ჟურნალისტიკის საწყისებს.

### 2. ინტერპრეტაციის პრობლემები და სუბიექტურობა

ტრანსმედიური თხრობა ხშირად გულისხმობს აუდიტორიის ჩართულობასა და ინტერპრეტაციას. რაც მეტად აქტიურია აუდიტორია, მით უფრო ინტენსიურად „წერს“ ისტორიას თავად — ეს კი რთულად გაკონტროლებადია. ჟურნალისტიკისთვის რთულდება მკაფიო ზღვრის გავლება ობიექტურობისა და მყურებლის მიერ ინტერპრეტირებული ვერსიის შორის.

### 3. მიზანშეწონილობა და შინაარსის ესთეტიზაცია

ტრანსმედიური ჟურნალისტიკა ხშირად მიმართავს ვიზუალურ, ხმოვან და ემოციურ საშუალებებს, რაც ზრდის ინფორმაციის მიმზიდველობას, მაგრამ ასევე შეიძლება შინაარსის ზედმეტ ესთეტიზაციასა და „დრამატიზებას“ გამოიწვიოს. ეს კი საზღვრავს სამეცნიერო ობიექტურობას და შესაძლოა დაამახინჯოს სიუჟეტის რეალური კონტექსტი.

### 4. მავნე ნარატივების გავრცელების რისკი

პლატფორმათა მრავალფეროვნება ზრდის სარედაქციო კონტროლის გართულების ალბათობას. ტრანსმედიური სივრცე შეიძლება გახდეს გარემო, სადაც გავრცელდება ნარატივები, რომლებიც ხელს უწყობს შუღლს, დეზინფორმაციას ან დისკრიმინაციას. ასეთ შემთხვევაში მედია ორგანიზაციებს განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ — მათი როლი გადამწყვეტია, როგორც სარედაქციო პოლიტიკაში, ასევე ციფრული ეთიკის კუთხით.

ტრანსმედია მიმართულების წარმოქმნამ ტრადიციული ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია გაამრავალფეროვნა. დღევანდელ ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტიკის ბუნებრივი განვითარების მიმართულებაა ინფორმაციის მრავალარხიანი და მულტიმედიური გავრცელება.

ინტერნეტის, სმარტფონებისა და სოციალური მედიის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა აუდიტორიის ფორმა და ინფორმაციის მიღების სახე. სწორედ ამ ვითარებაში წარმოიშვა ტრანსმედია ჟურნალისტიკა, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ჟურნალისტიკისგან იმით, რომ თხრობის პროცესი გადანაწილებულია სხვადასხვა პლატფორმაზე და მიზნად ისახავს ინტეგრირებულ, მრავალმხრივ ნარატივს. ტრანსმედია ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპია მრავალფეროვანი მედია საშუალებების თანხმობა და კოორდინირებული გამოყენება, რაც აუდიტორიას სთავაზობს ინფორმაციის ღრმა, მრავალმხრივ და ინტერაქტიულ აღქმას. მაგალითად, ერთი და იგივე ამბავი შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც წერილობითი სტატია, ვიდეო მასალა, პოდკასტი, სოც-მედია პოსტი ან სპეციალური ვებგვერდი, სადაც მომხმარებელი თავად იკვლევს თემას და შედის კომუნიკაციაში მასალასთან. ამასთან, ტრანსმედია ჟურნალისტიკა მნიშვნელოვნად ზრდის აუდიტორიის ჩართულობას და მას შემდეგ აძლევს არა მხოლოდ მიღებული ინფორმაციის განვრცობის, არამედ აზრთა გამოთქმის და კომუნიკაციის საშუალებას. ასეთი მიდგომა ახდენს მედია პროდუქციის დივერსიფიკაციას და ხელს უწყობს ჟურნალისტიკის მდგრად განვითარებას თანამედროვე მოთხოვნებთან გათვალისწინებით. ტრანსმედია ჟურნალისტიკა

გამოირჩევა რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით, რომლებიც მას ტრადიციულ ჟურნალისტიკასთან აშკარად განასხვავებს და აძლევს უნიკალურ შესაძლებლობებს: 1. მულტიმედიურობა - ტრანსმედია პროექტები იყენებენ მრავალრიცხოვან მედია ფორმატებს, ტექსტს, ფოტოგრაფიას, ვიდეოს, აუდიოს, გრაფიკას და ციფრულ ინტერაქციებს. ყოველი ფორმატი იწვევს განსხვავებულ აღქმას და ამდიდრებს ამბის თხრობას. 2. ფრაგმენტული ნარატივი - ამბავი გადანაწილებულია სხვადასხვა პლატფორმაზე ისე, რომ აუდიტორიას უწევს ინფორმაციის შეგროვება და აკომპლექტება სხვადასხვა არხიდან. ეს ზრდის ინფორმაციის ორმაგ შეფასებას და აუმჯობესებს ჩართულობას. 3. ინტერაქტიულობა აუდიტორია არა მხოლოდ ქვეითი შემნახველი, არამედ აქტიური მონაწილეა. ინტერნეტისა და სოციალური მედიის საშუალებით, მომხმარებელი შეუძლია აზრის გამოხატვა, შინაარსის შექმნა და სხვა მონაწილეობთან ურთიერთობა. 4. თხრობითი სტილი - ტრანსმედია მასალა ხშირად მოთხრობილია თხრობითად, რაც აძლევს სიუჟეტს დინამიკას და ფერხდება აუდიტორიის ინტერესი. 5. პლატფორმათშორისი სტრატეგია - აღნიშნული სტრატეგია მოიცავს წინასწარ დაგეგმილ შინაარსის განაწილებას სხვადასხვა მედია არხებზე, სადაც თითოეული პლატფორმა თამაშობს სპეციალურ, დამატებით როლს ამბის გახსნაში.

ტრანსმედია პროექტების საუკეთესო მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ: - „*The New York Times*“ — „*Snow Fall*“ — ეს ტრანსმედია პროექტი შეიქმნა ტექსტური მასალების, ვიდეოებისა და ინტერაქტიული გრაფიკების კომბინაციით და სძლია მაღალი აუდიტორიული ინტერესი. „*BBC Panorama*“ — „*BBC*“-მ გამოიყენა ტრანსმედია კამპანიები, სადაც გადაცემები დაკავშირებული იყო ვებგვერდზე არსებულ მასალებთან და სოციალურ ქსელებთან. „*AI+*“ — ციფრული პლატფორმა, რომელიც აგროვებს მოკლე ვიდეოებს, სტატისტიკას და აუდიტორიის ჩართულობის ინსტრუმენტებს. ქართული გამოცდილება: „ნეტგაზეთი“ — აქტიურად იყენებს ტრანსმედია მიდგომას, ვებ-სტატია, ინფოგრაფიკა და ვიდეო გადმოცემებით. „ინდი გეო“ — თხრობს დოკუმენტურ ისტორიებს სხვადასხვა პლატფორმაზე, ასევე ახდენს აუდიტორიის ჩართვას.

ტრანსმედია ჟურნალისტიკაში უპირატესობები რამდენიმე მიმართულებით გამოიყოფა: 1. აუდიტორიის ჩართულობის ზრდა - ტრანსმედია მიდგომა ავითარებს ინტერაქტივობას, რაც აუდიტორიას აქცევს ინფორმაციის აქტიურ მონაწილედ. ეს ზრდის მომხმარებლის ლოიალობას და ცნობადობას. 2. ინფორმაციის ღრმა და მრავალმხრივი წარმოჩენა - მულტიმედიური ფორმატები და მრავალპლატფორმიანობა საშუალებას აძლევს ამბავი უფრო დეტალურად და მრავალსაფეხურიანად წარმოაჩინოს. 3. მარკეტინგული და კომუნიკაციური ეფექტიანობა - ტრანსმედია პროექტები ქმნიან სხვადასხვა ტიპის შინაარსს, რაც ზრდის რეკლამისა და სოციალურ ქსელებში გავრცელების შესაძლებლობას. 4. ახალგაზრდული თაობის მოთხოვნების გათვალისწინება - ტრანსმედია მიდგომა პასუხობს ახალგაზრდა აუდიტორიის მოთხოვნებს ახალი ფორმატებისა და ინტერაქტივობის მიმართულებით.

ტრანსმედიის ჩამოყალიბებამ თანამედროვე ჟურნალისტიკა სხვადასხვა გამოწვევის წინაშეა დააყენა. ფინანსური და ტექნიკური რესურსების სიმწირე- ტრანსმედია პროექტები საჭიროებენ მრავალფეროვან ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებს, რაც განსაკუთრებით რთულია მცირე მედია ორგანიზაციებისთვის. რედაქციული კონსისტენტურობის დაცვა - მასალის სხვადასხვა არხებზე გადანაწილებისას რთულია ერთიანი სიუჟეტის შენარჩუნება. ეთიკური და სარედაქციო გამოწვევები - ინტერაქტიული და მომხმარებლის ჩართულობა ხელს უწყობს მრავალი ხედვის არსებობას, რაც შეიძლება არყვედეს ჟურნალისტიკის ობიექტურობას. საკომუნიკაციო ფრაგმენტაციის პრობლემა - ტრანსმედია პროექტებმა შესაძლოა გამოიწვიოს აუდიტორიის დაყოფა და სიუჟეტის ნაწილის ნაწილობრივ გაგება.

ტრანსმედია ჟურნალისტიკის პერსპექტივები საქართველოში.

საქართველოში ტრანსმედია პროექტების განხორციელება და მეთოდოლოგიური მიდგომა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, თუმცა უკვე გამოჩნდნენ მნიშვნელოვანი წარმატებული პროექტები და ინიციატივები. ციფრული მედიის სწრაფმა განვითარებამ, ახალგაზრდული აუდიტორიის მზარდი ინტერესი გამოიწვია. სოციალური ქსელების

ეფექტური გამოყენება ქმნის ბაზას ტრანსმედია ჟურნალისტიკის გაფართოებისთვის. ასევე აუცილებელია ინსტიტუციური მხარდაჭერა, ფინანსური ინვესტიციები და პროფესიული უნარების განვითარება, რათა ქართული მედია შეძლოს და სრულად გამოიყენოს თანამედროვე ჟურნალისტიკის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები.

### დასკვნა

ტრანსმედია პროექტები თანამედროვე ჟურნალისტიკაში წარმოადგენს ინოვაციურ და ეფექტურ გზას ინფორმაციის გავრცელებისა და აუდიტორიის ჩართულობის გაზრდისთვის. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა შექმნას მრავალპლატფორმიანი, ინტერაქტიული და მრავალმხრივი თხრობა, რაც ამაღლებს მედია პროდუქციის ხარისხს და აუმჯობესებს კომუნიკაციას. საქართველოს პირობებში ტრანსმედია ჟურნალისტიკა ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მისი პოტენციალი დიდია. მედია ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ ამ მიდგომას როგორც კომპლექსურ სტრატეგიას, რაც მოიცავს, როგორც ტექნოლოგიურ, ისე რედაქციულ და სტრატეგიულ ასპექტებს.

ტრანსმედიური თხრობა დღეს უკვე, არა მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეა, არამედ გარდაუვალი მომავლის ნაწილი ჟურნალისტიკაში. მისი სრული დანერგვა და წარმატებული გამოყენება მოითხოვს მედიაორგანიზაციების პროფესიულ განვითარებას, ინოვაციურ განათლებას და ეთიკური სტანდარტების მკაცრ დაცვას. ქართულ რეალობაში ტრანსმედია ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუმცა ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა და ახალგაზრდა აუდიტორიის მოლოდინები ცხადყოფს, რომ მომავალი სწორედ ამ მიმართულებას ეკუთვნის.

ტრანსმედიის გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ინფორმაციის ჩართულობას, აუდიტორიის მრავალფეროვნებასა და ჟურნალისტიკის როლს საზოგადოებრივი ცვლილებების პროცესში. მაგრამ იგი ასევე მოითხოვს სიფრთხილეს — რაც უფრო რთული ხდება თხრობა, მით უფრო აუცილებელია მტკიცებულებების, ობიექტურობისა და პროფესიული ეთიკის დაცვა.

### ლიტერატურა:

1. ზოცვაძე, ნ. (2020). ტრანსმედია თხრობა: ციფრული ეპოქის ახალი კომუნიკაციური მოდელი. თბილისი: განათლება XXI.
2. გიორგაძე, ლ. (2022). ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია ციფრულ გარემოში. „მედიატექნოლოგიები და კომუნიკაცია“, 3: 45-59.
3. ჯიქია, დ. (2021). ინტეგრირებული ჟურნალისტიკა და პლატფორმების სტრატეგია. „კომუნიკაცია და საზოგადოება“, 1: 12-30.
4. Jenkins, H. (2006). *Convergence Culture: Where Old and New Media Collide*. New York: NYU Press.
5. Phillips, A., & Milioni, D. (2021). Transmedia Journalism: Storytelling and Professional Practices. *Journalism Studies*, 22(5): 603–619.
6. Scolari, C. A. (2009). Transmedia Storytelling: Implicit Consumers, Narrative Worlds, and Branding in Contemporary Media Production. *International Journal of Communication*, 3: 586–606.
7. Shirky, C. (2008). *Here Comes Everybody: The Power of Organizing Without Organizations*. New York: Penguin Press.

## Stages of Development of Transmedia Journalism

Sabashvili Gvantsa

Shota Rustaveli State University, Batumi

### Abstract

The transformation of the media environment in the last decade has led to a fundamental change in the processes of information production, dissemination and perception. Along with the development of digital technologies, journalism has moved beyond the framework of traditional

single-channel storytelling and moved to multi-channel communication, where transmedia will play a crucial role. Transmedia storytelling involves the development of a single story on different platforms so that each channel develops a different aspect of it and contributes to deepening audience engagement.

The paper discusses the main characteristics of transmedia, its importance in modern journalism and the challenges related to ethics, professionalism, accuracy and new models of audience engagement. Both international and Georgian practical examples are discussed, and the impact of transmedia on the evolution of journalistic standards, multi-platform strategies and new formats of information dissemination is analyzed. Special attention is paid to the possibilities of transmedia in terms of promoting democratic communication and strengthening trust in the media.

The aim of the paper is a theoretical and practical analysis of transmedia in the modern media reality in order to determine its potential and role in shaping the future of journalism.

This paper aims to analyze transmedia projects in modern mass media. Transmedia journalism is a multiplatform strategy for disseminating information, which creates a narratively unified, but technically diversified story. The study shows that the transmedia approach significantly increases audience engagement, improves the quality of information perception and creates the possibility of interactive communication. The article discusses the characteristics of transmedia journalism, their advantages and difficulties, as well as examples of international and Georgian cases. Special attention is paid to the practice of Georgian media, where transmedia elements are already integrated. The final part of the paper presents recommendations for improving transmedia strategy.

Transmedia communication is one of the most dynamic and multifaceted phenomena in modern mass media. It involves the dissemination of information on various platforms, which creates a unified but multi-layered narrative. The article explores the essence, development and impact of transmedia on the relationship with the audience. Key theoretical models, analysis and examples from modern practice are used.

***Keywords:*** *transmedia, journalism, multiplatformity, ethics, media innovation*

უცხოური და ქართული მულტიმედია პლატფორმები –  
კონვერგენტულობა და ეთიკურობა

შამილიშვილი ინგა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

ზარგინავა ლაშა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.77>

**აბსტრაქტი:** ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად თანამედროვე მედია გარემო მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. მულტიმედიური პლატფორმები, რომლებიც აერთიანებს ტექსტურ, ვიზუალურ და ხმოვან ფორმატებს, ხდება მთავარი საინფორმაციო არხი აუდიტორიისთვის. კვლევაში წარმოვადგენთ მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტულობა ინფორმაციის გავრცელების სისწრაფესა და ხარისხზე, რა ეთიკური გამოწვევები არსებობს კონვერგენტული ჟურნალისტიკის წარმოებისას, როგორია განსხვავებები საერთაშორისო და ქართულ მედიის სტანდარტებს შორის და რა არის საჭირო საქართველოში მულტიმედიური ეთიკური სტანდარტების გასაუმჯობესებლად. კონვერგენტული ჟურნალისტიკა წარმოადგენს მედიაგარემოს ტრანსფორმაციის პასუხს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაზე.

თანამედროვე ციფრული ეკოსისტემა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მულტიმედიურ პლატფორმებს. ეს პლატფორმები — ონლაინ გაზეთები, სოციალური ქსელები, პოდეკასტები და ლაივტრანსლაციები — წარმოადგენენ მედიასაშუალებების ახალ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს როგორც ტექსტურ, ისე აუდიო-ვიზუალურ მასალას. ასეთი ინტეგრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო აუდიტორიამდე სწრაფ და ეფექტურ მიწოდებას.

BBC და The New York Times აქტიურად იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას ერთიანი საინფორმაციო ნაკადის შესაქმნელად, რაც აუდიტორიას აძლევს მრავალმხრივ ხედვას (BBC Editorial Guidelines, n.d.). საქართველოში, "ნეტგაზეთი" და "ფორმულა ნიუსი" წარმატებით იყენებენ კონვერგენტულ მოდელს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთდროულად წარმართონ ტექსტური, ვიდეო და აუდიო გამოქვეყნება.

როგორც უცხოურ, ასევე ქართულ მედია გარემოში მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტული მოდელის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კონვერგენტული ჟურნალისტიკა აუდიტორიას სთავაზობს არა მხოლოდ მრავალფეროვან კონტენტს, არამედ სიღრმისეულ ანალიზს და ინტერაქტიულ შესაძლებლობებს. საქართველოში ამ მიმართულებით არსებულმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მედია საშუალებების შესაძლებლობები, თუმცა კვლავ შესამჩნევია ტექნოლოგიური და ეთიკური გამოწვევები.

**საკვანძო სიტყვები:** მულტიმედია, კონვერგენტულობა, ციფრული პლატფორმები, ტექნოლოგიები, ეთიკური ნორმები.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად თანამედროვე მედია გარემო მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. მულტიმედიური პლატფორმები, რომლებიც აერთიანებს ტექსტურ, ვიზუალურ და ხმოვან ფორმატებს, ხდება მთავარი საინფორმაციო არხი აუდიტორიისთვის. ინფორმაციის ერთდროული გავრცელება რამდენიმე პლატფორმაზე, როგორცაა ვებსაიტები, სოციალური მედია და ლაივტრანსლაციები, ცვლის ტრადიციულ ჟურნალისტურ მოდელებს და ახალ ეთიკურ გამოწვევებს აჩენს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონვერგენტული ჟურნალისტიკის განვითარებას, რომელიც გულისხმობს ერთიანი ამბის მრავალმხრივ გაშუქებას სხვადასხვა ფორმატით. ეს პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ და კონტენტურ სინქრონიზაციას, არამედ მაღალი ხარისხის ეთიკურ სტანდარტებს, რათა ინფორმაციის სიზუსტე, მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა არ დაირღვეს.

**კვლევის მიზანია** უცხოურ და ქართულ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილოს მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტულობა და მათთან დაკავშირებული ეთიკური სტანდარტები. კვლევის ამოცანები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა

1. კონვერგენტული ჟურნალისტიკის თეორიული საფუძვლების ანალიზი;
2. საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა, სადაც მულტიმედიური პლატფორმები წარმატებით იყენებენ კონვერგენტული გაშუქების მოდელს;
3. ქართული მედიის მაგალითების შესწავლა ეთიკური სტანდარტების დაცვის კუთხით;
4. საერთაშორისო და ქართული პრაქტიკების შედარებითი ანალიზსა და გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევა დაფუძნებულია როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ანალიზზე. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხილულია მედიის პლატფორმებზე გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც აერთიანებს ტექსტს, ვიდეოს, ფოტოს და ხმოვან მასალას. თვისობრივი ანალიზი მოიცავს საერთაშორისო და ქართული მედიაექსპერტების ინტერვიუებს, ასევე აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას მულტიმედიური ჟურნალისტიკის შესახებ.

**კვლევის ჰიპოთეზა** მდგომარეობს შემდეგში: მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტული მოდელი საქართველოში ნაკლებად სტრუქტურირებულია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია ტექნიკური რესურსების, პროფესიული განათლებისა და რეგულაციების არასაკმარისი დონით.

კვლევის ძირითად საკითხებად მოვიაზრებთ იმაზე მსჯელობას, თუ როგორ მოქმედებს მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტულობა ინფორმაციის გავრცელების სისწრაფესა და ხარისხზე, რა ეთიკური გამოწვევები არსებობს კონვერგენტული ჟურნალისტიკის წარმოებისას, როგორია განსხვავებები საერთაშორისო და ქართულ მედიის სტანდარტებს შორის და რა არის საქართველოში მულტიმედიური ეთიკური სტანდარტების გასაუმჯობესებლად.

კონვერგენტული ჟურნალისტიკა წარმოადგენს მედიაგარემოს ტრანსფორმაციის პასუხს ციფრული ტექნოლოგიების განვითარებაზე. მისი არსი მდგომარეობს სხვადასხვა მედია ფორმატის — ტექსტური, აუდიო, ვიდეო და ინტერნეტ

პლატფორმების — შერწყმაში, რათა ინფორმაციის გავრცელება მოხდეს უფრო ფართო და ეფექტური გზით (ფილაკი:2020). ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, კონვერგენტული ჟურნალისტიკა აუდიტორიას სთავაზობს ინფორმაციის მრავალგანზომილებიან გადმოცემას, რაც ზრდის მასალის მიღების ხარისხს და ჩართულობას. ჰაიდერი კონვერგენტულ ჟურნალისტიკას განიხილავს, როგორც „ინფორმაციის მოდერნიზებული გადმოცემის ფორმას, სადაც სხვადასხვა მედია პლატფორმის სინთეზი აძლიერებს შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და აუდიტორიის ჩართულობას" (Heider:2012;გვ. 17).

თანამედროვე ციფრული ეკოსისტემა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მულტიმედიურ პლატფორმებს. ეს პლატფორმები — ონლაინ გაზეთები, სოციალური ქსელები, პოდკასტები და ლაივტრანსლაციები — წარმოადგენენ მედიასაშუალებების ახალ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს როგორც ტექსტურ, ისე აუდიო-ვიზუალურ მასალას. ასეთი ინტეგრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო აუდიტორიამდე სწრაფ და ეფექტურ მიწოდებას.

მაგალითად, BBC და The New York Times აქტიურად იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას ერთიანი საინფორმაციო ნაკადის შესაქმნელად, რაც აუდიტორიას აძლევს მრავალმხრივ ხედვას (BBC Editorial Guidelines, n.d.). საქართველოში, "ნეტგაზეთი" და "ფორმულა ნიუსი" წარმატებით იყენებენ კონვერგენტულ მოდელს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთდროულად წარმართონ ტექსტური, ვიდეო და აუდიო გაშუქება.

კონვერგენტული ჟურნალისტიკა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ სინქრონიზაციას, არამედ ეთიკური სტანდარტების მკაცრ დაცვას. SPJ (Society of Professional Journalists) ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ოთხ ძირითად პრინციპს:

1. **სიმართლე და სიზუსტე** – ჟურნალისტი ვალდებულია გადასცეს მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია;
2. **დამოუკიდებლობა** – ჟურნალისტი უნდა იყოს თავისუფალი გარე ზეგავლენისგან და იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების მიხედვით;
3. **გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა** – ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის ინტერესი და თავიდან აიცილოს კონფლიქტები;
4. **ჰუმანურობა და დაცულობა** – ჟურნალისტიკა არ უნდა იყოს ზიანის მომტანი პიროვნებისთვის ან ჯგუფისთვის; (SPJ: 2014).

საქართველოში მედიაეთიკის სტანდარტების დაცვის მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ "საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია" ცდილობს უზრუნველყოს მედიის გამჭვირვალობა და პასუხისმგებლიანობა.

მულტიმედიური პლატფორმების განვითარების პროცესში ისეთი მედიები, როგორებიცაა *BBC*, *The New York Times* და *Reuters*, ინოვაციური მიდგომებით გამოირჩევიან. მათი კონვერგენტული სტრატეგიები ეფუძნება ერთი ამბის მრავალფეროვან ფორმატში გაშუქებას — ტექსტური, ვიდეო, აუდიო და ინტერაქტიული კომპონენტების გამოყენებით. მაგალითად, *BBC* აქტიურად იყენებს ლაივტრანსლაციების ტექნოლოგიას მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებისას, რაც აუდიტორიას რეალურ დროში საშუალებას აძლევს მიიღოს სანდო ინფორმაცია.

*The New York Times* გამოირჩევა ინტერაქტიული სტატიების შექმნით, რომლებიც აუდიტორიას სთავაზობს უფრო ღრმა ანალიზს ვიზუალური გრაფიკებისა და ვიდეოჩანაწერების მეშვეობით. მათი პლატფორმა წარმატებით აერთიანებს მულტიმედიურ ელემენტებს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უფრო ფართო კონტექსტში გაანალიზოს მოცემული ინფორმაცია.

*Reuters* ავითარებს მულტიმედიურ სტრატეგიას, განსაკუთრებით კრიზისებისა და საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქებისას. მათი მულტიპლატფორმული მიდგომა აერთიანებს ტექსტურ ანგარიშებს, ფოტოებს, ვიდეოებსა და ინფოგრაფიკას, რაც საშუალებას აძლევს აუდიტორიას მიიღოს კომპლექსური ინფორმაცია უფრო ფართო და გასაგები ფორმატით.

საერთაშორისო მედიასაშუალებები კონვერგენტული ჟურნალისტიკის წარმოებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეთიკურ სტანდარტებს. *Society of Professional Journalists (SPJ)* ეთიკის კოდექსი და *BBC Editorial Guidelines* წარმოადგენენ მაღალი დონის პროფესიულ სტანდარტებს, რომლებიც ითვალისწინებს სიზუსტეს, მიუკერძოებლობას და ადამიანის უფლებების დაცვას.

ციფრული კონტენტისთვის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს მულტიმედიური მასალის სპეციფიკას, მაშინ როდესაც ქართულ რეალობაში ეთიკური ნორმები უფო მეტად ტექსტურ კონტენტზე ვრცელდება. შევადაროთ ეთიკური ჩარჩოები და რეგულაციები:

ასპექტი	საერთაშორისო მედია	ქართული მედია
ეთიკური კოდექსები	SPJ, BBC, Reuters-ის რეგულაციები მკაფიო და დეტალურია	საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (რეკომენდაციული ხასიათი)
პლატფორმების რეგულაცია	ყველა არხზე (ტექსტი, ვიდეო, სოციალური მედია) ერთნაირი სტანდარტი მოქმედებს	ხშირად განსხვავდება ონლაინ და სატელევიზიო კონტენტის ფორმა

*SPJ* ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპების, რომლებიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, პარალელურად *BBC Editorial Guidelines* მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონფლიქტების გაშუქებისას ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას. მათი ეთიკური პრინციპები მოიცავს კონფიდენციალურობის დაცვას, ინფორმაციის გადამოწმებასა და აუდიტორიის სანდოობის შენარჩუნებას. ეს საერთაშორისო სტანდარტები აძლიერებს ჟურნალისტიკის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ინფორმაცია არ უნდა იყოს მხოლოდ სწრაფი და მრავალფეროვანი, ამასთანავე იგი უნდა იყოს ობიექტური და ეთიკური.

მულტიმედიური კონტენტის ეთიკურ პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში ეთიკური დარღვევები ხშირად დაკავშირებულია დროზე ორიენტირებულ შინაარსსა და სენსაციების მიმართ გადამეტებულ ინტერესთან. წარმოგიდგინოთ ორი ასპექტის მიმართ დამოკიდებულებას უცხოურ და ქართულ მედიებში:

ასპექტი	საერთაშორისო მედია	ქართული მედია
ვიზუალური მასალით მანიპულაცია	აკრძალულია (მაგ. ფოტოს ან ვიდეოს კონტექსტის შეცვლა)	ხშირია გადამონტაჟება სენსაციურობის გასაზრდელად
წყაროს დაცვა	დაცულია ყველა პლატფორმაზე	ნაკლებად დაცულია (განსაკუთრებით სოციალურ მედიაში)

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ბოლო პერიოდში

საქართველოშიც სწრაფად ვითარდება მულტიმედიური პლატფორმები. ისეთი მედია პლატფორმები, როგორიცაა „ნეტგაზეთი“, „ფორმულა ნიუსი“ და „On.ge“, წარმატებით იყენებენ კონვერგენტული ჟურნალისტიკის პრინციპებს, რაც საშუალებას აძლევს აუდიტორიას მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ფორმატში, იქნება ეს ტექსტური სტატიები, ვიდეორეპორტაჟები თუ ლაივტრანსლაციები.

„ნეტგაზეთი“, განსაკუთრებით სოციალური და პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას გამოირჩევა დეტალური ტექსტური ანალიზით და მულტიმედიური ფორმატით. მათი პლატფორმა ერთიან საინფორმაციო ნაკადად აერთიანებს ვიდეო მასალას, ფოტო გალერეებს და სტატიებს.

„ფორმულა ნიუსი“ ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისთვის ძირითადად იყენებს სოციალურ მედიას<sup>1</sup>. მათი პირდაპირი ეთერები (*live streaming*) საშუალებას აძლევს მაყურებელს რეალურ დროში მიიღოს სიახლეები და კომენტარები ჟურნალისტებისგან.

„On.ge“ ფოკუსირებულია თანამედროვე ციფრულ ჟურნალისტიკაზე, რომელიც მოიცავს ინტერაქტიულ ფორმატებს, ინფოგრაფიკას და ვიდეო მასალას. მათი კონტენტ სტრატეგია ემყარება ამბის მრავალმხრივ გაშუქებას სოციალური მედიის აქტიური გამოყენებით.

მიუხედავად მულტიმედიური პლატფორმების ზრდისა, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ეთიკური სტანდარტების დაცვის პრობლემა. კონვერგენტული ჟურნალისტიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად, დეზინფორმაციის გავრცელების რისკიც იზრდება. განსაკუთრებით აქტუალურია გადამოწმების მექანიზმების სუსტი განვითარება, რაც ხშირ შემთხვევაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებას იწვევს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აღნიშნავს, რომ ბევრ მედიასაშუალებას აკლია რესურსები ინფორმაციის სიზუსტის სრულად გადამოწმებისთვის. ამასთანავე, სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია ხშირად გადაუმოწმებელია, რაც საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენების ჩამოყალიბებას იწვევს. მულტიმედიური ჟურნალისტიკის განვითარებისთვის საქართველოში მნიშვნელოვანია პროფესიული მომზადება და განათლება.

ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტები, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), აქტიურად ავითარებენ მულტიმედიური ჟურნალისტიკის პროგრამებს.

გარდა ამისა, არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ატარებს ტრენინგებს ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის, რათა გააუმჯობესონ მათი ციფრული უნარ-ჩვევები და მულტიმედიური გაშუქების შესაძლებლობები. ეს ინიციატივები ხელს უწყობს პროფესიული სტანდარტების ამალლებას და ეთიკური ჟურნალისტიკის პრაქტიკის გაუმჯობესებას.

წარმოგიდგინთ პროფესიული უნარების განვითარების მიდგომებს, რაც ნათლად აჩვენებს, რომ მედია განათლების მიმართ ინტერესი იზრდება, თუმცა ეს მიდგომა არ არის საკმარისი.

ასპექტი	საერთაშორისო მიდგომა	ქართული მიდგომა
პროფესიული მომზადება	მუდმივი ტრენინგები ჟურნალისტებისთვის (BBC, NYT და NGO-ებისა და სხვ.)	ძირითადი ტრენინგები მეშვეობით

ასპექტი	საერთაშორისო მიდგომა	ქართული მიდგომა
აკადემიური სახელმძღვანელოები	უნივერსალური სახელმძღვანელოები, მორგებული მულტიმედიაზე	ახლად თარგმნილი რესურსები (მაგ. ფილაკი, BSU 2023)

საერთაშორისო მედიაგარემო, განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა *BBC*, *The New York Times* და *Reuters*, კონვერგენტულ ჟურნალისტიკას იყენებენ ტექნოლოგიური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით. ამ პლატფორმებზე ყურადღება გამახვილებულია ინტერაქტიულ სტატიებზე, ვიზუალურ ანალიტიკაზე და ლაივტრანსლაციებზე. კონტენტის ხარისხი მაღალ დონეზეა განვითარებული და მკაცრად დაცულია ეთიკური სტანდარტები (*BBC Editorial Guidelines*, n.d.).

საქართველოში, მიუხედავად მულტიმედიური პლატფორმების ზრდისა, როგორცაა „*ნეტგაზეთი*“, „*ფორმულა ნიუსი*“ და „*On.ge*“, ტექნოლოგიური რესურსების და გადამოწმების მექანიზმების სიმწირე ხშირად ქმნის გამოწვევებს. ეთიკური სტანდარტების დაცვა კვლავ პრობლემად რჩება, რაც დეზინფორმაციის გავრცელების რისკს ზრდის. თუმცა, ამ პლატფორმების განვითარება მნიშვნელოვანი წინსვლაა ქართული მედიაგარემოსთვის.

საერთაშორისო პლატფორმები იყენებენ მონაცემთა ჟურნალისტიკას და ინტერაქტიულ გაშუქებას, რაც აუდიტორიას სიღრმისეულ ანალიზს სთავაზობს. მაგალითად, *The New York Times* ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენების უკეთ გასაშუქებლად ინტეგრირებულად იყენებს ვიზუალურ ანალიტიკას. ამის საპირისპიროდ, ქართული მედია ძირითადად ტექსტურ ფორმატზეა ორიენტირებული, რაც ვიზუალური და ინტერაქტიული ელემენტების ნაკლებობას იწვევს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა გადამოწმების მექანიზმების არასაკმარისი განვითარება, რაც დეზინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს. ამის გაუმჯობესება შესაძლებელია პროფესიული მომზადებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

### დასკვნა

როგორც უცხოურ, ასევე ქართულ მედია გარემოში მულტიმედიური პლატფორმების კონვერგენტული მოდელის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ კონვერგენტული ჟურნალისტიკა აუდიტორიას სთავაზობს არა მხოლოდ მრავალფეროვან კონტენტს, არამედ სიღრმისეულ ანალიზს და ინტერაქტიულ შესაძლებლობებს. საქართველოში ამ მიმართულებით არსებულმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მედია საშუალებების შესაძლებლობები, თუმცა კვლავ შესამჩნევია ტექნოლოგიური და ეთიკური გამოწვევები.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მულტიმედიური პლატფორმების ეთიკური სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოში მოითხოვს პროფესიული მომზადების ამაღლებას, ტექნოლოგიური რესურსების გაძლიერებას და რეგულაციების გამკაცრებას. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების უფრო აქტიური დანერგვა, რათა საქართველოს მედიასექტორი გახდეს უფრო სანდო, გამჭვირვალე და ინოვაციური.

### ბიბლიოგრაფია:

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. (n.d.). *ეთიკის პრინციპები*. Retrieved from

<https://www.qartia.ge>

ფილაკი ვინსენტ ფ. კონვერგენტული ჟურნალისტიკა; შესავალი; წერა და პროდუქსირება მედიაში; ბათუმი 2023

BBC Editorial Guidelines. (n.d.). Retrieved from <https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/>

Heider, D. (Ed.). (2012). *Digital ethics: Research and practice*. Peter Lang.

Society of Professional Journalists. (2014). *SPJ code of ethics*. Retrieved from <https://www.spj.org/ethicscode.asp>

Reuters. (n.d.). *Multimedia storytelling*. Retrieved from <https://www.reuters.com/multimedia>

The New York Times. (n.d.). *Interactive stories*. Retrieved from <https://www.nytimes.com/interactive>

## Foreign and Georgian Multimedia Platforms – Convergence and Ethics

**Shamilishvili Inga**

Shota Rustaveli State University, Batumi

**Zarginava Lasha**

Shota Rustaveli State University, Batumi

### Abstract

With the advancement of digital technologies, the modern media landscape is undergoing significant transformation. Multimedia platforms—combining textual, visual, and audio formats—have become the primary source of information for audiences. This study explores how the convergence of multimedia platforms influences the speed and quality of information dissemination, examines the ethical challenges associated with convergent journalism, compares international and Georgian media standards, and outlines the necessary steps to improve multimedia ethical standards in Georgia. Convergent journalism represents the media sector's response to the evolution of digital technologies.

The contemporary digital ecosystem assigns a pivotal role to multimedia platforms. These platforms—including online newspapers, social networks, podcasts, and live broadcasts—form a new media structure that integrates both textual and audiovisual content. This integration ensures rapid and effective communication of information to a broad audience.

Organizations such as the BBC and *The New York Times* actively utilize multiple platforms to create unified information flows, offering audiences multidimensional perspectives (BBC Editorial Guidelines, n.d.). In Georgia, media outlets such as *Netgazeti* and *Formula News* have successfully adopted the convergent model, enabling them to deliver text, video, and audio content simultaneously.

The development of convergent models in both international and Georgian media environments plays a crucial role in modern journalism. International practices demonstrate that convergent journalism offers not only diverse content but also in-depth analysis and interactive opportunities. In Georgia, such developments have significantly expanded the capabilities of media organizations; however, technological and ethical challenges remain evident.

**Keywords:** *multimedia, convergence, digital platforms, technologies, ethical standards.*

## Integrating Artificial Intelligence into Academic Writing and Research Methods Courses: A Teaching Model

Dgebuadze Marine<sup>1\*</sup>

Ilia State University, Tbilisi

Kenkebashvili Ketevan<sup>2</sup>

Alte University, Tbilisi

<https://doi.org/10.52340/idw.2025.78>

**Abstract.** *The rise of artificial intelligence (AI) technologies, including tools like ChatGPT, has transformed higher education by offering new forms of support for academic work. These tools assist graduate students in generating ideas, improving their writing, and conducting research more efficiently. However, such benefits come with concerns regarding academic honesty, particularly when students present AI-generated work as their own.*

*This paper outlines a structured teaching model that incorporates AI into graduate-level Academic Writing and Research Methods courses while encouraging ethical and responsible use. Rather than replacing student effort, the model treats AI as a companion tool that enhances learning. Students are guided to use AI in the initial stages of their work—for brainstorming, outlining, and exploring ideas—while retaining ownership of the final content. Reflective assignments are used to help students examine their process and document their interactions with AI.*

*A central feature of the model is AI literacy, which equips students with skills to critically evaluate the content generated by AI and validate it using academic sources. The integration of university library resources is essential to maintaining the credibility and depth of student research. By cross-referencing AI outputs with peer-reviewed materials, students strengthen their understanding of the subject and develop research competence. This pedagogical approach aims to promote thoughtful engagement with technology, preserve academic standards, and enhance key academic skills. The model supports instructors in designing learning activities that integrate AI meaningfully while fostering students' intellectual development.*

### Introduction

In recent years, artificial intelligence has gained a central role in reshaping academic practices. With advancements in machine learning and language generation technologies, AI tools are now capable of assisting students in tasks that range from drafting texts to synthesizing complex information (Huang, 2021; Luckin et al., 2018). This evolution brings forward both opportunities and challenges for educators and learners alike.

AI-powered platforms can streamline academic work, offering instant feedback, helping clarify arguments, and supporting organization of ideas (Mollick, 2023; Holmes, 2020). Yet, concerns arise when students depend excessively on these tools, potentially undermining the development of their own analytical and creative abilities (Bender et al., 2021). The aim of this study is to introduce a pedagogical framework that leverages AI to enhance learning without compromising academic integrity. It focuses on fostering students' reflective thinking, ethical awareness, and independent research skills.

The academic community has increasingly explored the implications of AI in education. Researchers acknowledge the potential of AI to personalize learning experiences, improve writing, and facilitate research (Luckin et al., 2018; Holmes, 2020). Platforms like ChatGPT have proven particularly helpful in idea development and writing support, especially for students

navigating language barriers or writing anxieties (Mollick, 2023; McKnight et al., 2022).

However, this assistance raises concerns. Over-dependence on AI might reduce student engagement with content and weaken their ability to produce original work (Bender et al., 2021). Ethical risks include improper attribution or the submission of entirely AI-generated texts, which compromises academic integrity (Huang, 2021).

To mitigate such risks, scholars advocate for embedding AI literacy into curricula. This includes teaching students how to assess, verify, and use AI-generated content critically (Luckin et al., 2018). Encouraging reflective practices—such as process logs or commentary on AI use—can also reinforce ethical habits.

### **Methodology**

The research employed a mixed-methods design. A total of 100 graduate students were divided into two cohorts: an experimental group that used AI in coursework and a control group relying on standard methods. Pre- and post-course assessments were conducted to evaluate writing skills, research competency, and critical engagement.

Quantitative results were complemented by qualitative data from reflective journals, focus groups, and instructor observations. Students in the AI group engaged with tools like ChatGPT to outline papers, brainstorm, and revise drafts, while also completing reflection tasks that documented their decision-making and learning outcomes.

### **Results and discussion**

#### ***Quantitative Insights***

To assess the impact of AI use on student performance, we analyzed data from pre- and post-course evaluations focusing on academic writing quality, research capabilities, and argument development. The findings reveal distinct differences between the AI-supported group and their peers in the control group.

Students who had access to AI tools exhibited an average increase of 22% in writing performance. The evaluation criteria included grammar accuracy, sentence construction, logical coherence, and clarity of arguments. AI applications were especially helpful in improving the structural flow of ideas, correcting grammatical issues, and refining awkward phrasing. Students noted that AI offered instant feedback, enabling them to create more polished drafts efficiently.

On measures of research competence, the AI group outperformed the non-AI group by 18%. Their tasks were assessed based on formulating relevant research questions, evaluating sources for academic rigor, and synthesizing multiple texts. AI tools accelerated the literature review process by suggesting relevant sources, summarizing core arguments, and generating draft outlines. This automation allowed students to dedicate more time to deeper analysis and interpretation.

AI's influence was also notable in helping students develop logical and well-organized arguments. By leveraging tools like ChatGPT, students brainstormed ideas, explored multiple perspectives, and incorporated counterarguments. These functions enriched their analytical depth. Moreover, students reported increased confidence in revising and defending their positions, as AI allowed them to efficiently test and refine their ideas.

#### ***Qualitative Insights***

In addition to numerical outcomes, qualitative feedback collected via focus groups, student journals, and teacher observations provided richer context to how AI was used—and sometimes misused—throughout the course.

A significant early challenge involved students' excessive reliance on AI-generated drafts. Around 10% admitted to submitting these outputs with minimal editing, assuming that the AI's version was sufficient. This behavior was most common during the initial course phase. To correct this, students were required to compare their own versions with AI-generated suggestions and reflect on the modifications they made. This assignment increased awareness of the need for personal input and critical thinking, as students recognized areas where AI could be improved or adapted to better fit their research goals.

Although students valued the convenience of AI tools, many initially struggled to

balance external assistance with their own intellectual work. Some became overly dependent on AI, sidelining their original ideas. To mitigate this, the course incorporated reflective exercises that encouraged students to evaluate how AI influenced their thinking. These activities helped clarify AI's role as a supportive assistant, not a substitute for independent reasoning. By the course's conclusion, most participants expressed greater confidence in managing tasks autonomously.

As students developed a more mature approach to using AI, they began using it selectively—for idea generation or overcoming writing blocks—while ensuring that the final product reflected their own reasoning. This transition led to higher levels of satisfaction with their academic progress and greater appreciation for AI as a learning aid, rather than a content generator.

### **Key Findings**

A substantial 85% of students in the AI-supported cohort reported notable improvements in the clarity and organization of their writing. They emphasized that AI-assisted feedback helped them strengthen their arguments, resulting in more coherent and logically structured academic texts.

In contrast, 60% of students who completed the course without AI tools showed only moderate progress in their writing. These students required more frequent input from instructors to achieve improvements in structure and clarity. Furthermore, their advancement in research competencies was slower, due in part to the absence of AI's real-time feedback and content generation capabilities.

### **Ethical Awareness:**

Around 10% of students in the AI group initially admitted to excessive reliance on AI-generated drafts. However, through reflective assignments requiring them to analyze and revise AI-assisted content, these students developed a deeper understanding of academic integrity. Many noted that the reflection process underscored the importance of personal input and critical revision, reinforcing the ethical boundaries of using AI in academic work.

While AI technologies offer meaningful benefits, their effective implementation depends on well-defined guidance and deliberate reflective practice. Students demonstrated increased productivity and improved academic output when AI tools were used with intention and oversight. However, early signs of overdependence highlighted the necessity for dedicated AI literacy instruction.

To safeguard academic rigor, it is important that AI be positioned as a supplementary tool rather than a primary source. The course achieved this through structured assignments, including:

- **AI-assisted brainstorming:** Students used AI to generate preliminary ideas, which were then critically assessed, expanded, or restructured through their own reasoning.
- **Draft development using AI:** While initial drafts could be partially generated by AI, students were expected to review, analyze, and reconstruct the content in alignment with their own research findings.

This model ensured that AI served to support the intellectual process—enhancing, but never replacing, the student's original academic contribution.

### **Visual Analysis**

This section includes graphical comparisons (see Appendix A) that illustrate the academic performance of students who utilized AI tools versus those who relied solely on traditional approaches. These visuals provide a clear overview of the progress made in various academic competencies and support the quantitative findings discussed earlier.

### **Academic Writing Performance**

Academic writing performance was evaluated using three key metrics: writing quality, critical thinking, and organizational structure. Across all criteria, the AI-assisted group


demonstrated superior results compared to their non-AI counterparts.

The AI group showed a 22% increase in writing quality, reflecting stronger articulation of ideas and improved text clarity. This progress highlights AI's role in helping students refine their language, correct stylistic issues, and enhance overall coherence. In contrast, the non-AI group achieved a maximum performance level of 62% in this area.

Students using AI also exhibited a 12% gain in critical thinking, suggesting that AI helped them delve deeper into content, formulate more nuanced arguments, and organize ideas with greater precision. The control group demonstrated only a 6% improvement—rising from 66% to 72%—indicating a slower development pace in higher-order thinking skills.

In terms of structural organization, the AI group improved by 12%, successfully producing more cohesive and logically structured texts. Meanwhile, the non-AI group reached an average of 70%, showing less advancement in organizing their written work.

Overall, the results clearly indicate that AI tools contributed to measurable improvements in students' writing performance, not only in linguistic refinement but also in cognitive engagement and logical composition. The AI-supported group consistently outperformed the traditional group across all dimensions.



**Fig.1: Academic Writing Performance**

Comparison of academic writing performance between AI-supported and non-AI student groups.

### Research Methods Performance


Student performance in research methodology was evaluated using three core indicators: research ability, analytical thinking, and verification accuracy. The results underscore the substantial advantages of integrating AI tools into the research process.

Students in the AI-assisted group showed a 22% improvement in their research competencies. This progress is largely attributed to the use of AI for rapid data retrieval and effective navigation through large volumes of information. In contrast, the control group—working without AI—achieved a more modest 12% gain, indicating slower progress and greater reliance on manual research methods.

The AI-supported group improved their analytical abilities by 16%, benefiting from AI-generated frameworks for organizing and interpreting data. Meanwhile, the non-AI group demonstrated a 10% improvement, suggesting that while traditional methods foster analytical growth, AI significantly enhances the speed and depth of analysis.

Fact-checking and source validation improved by 10% among students using AI, who leveraged these tools to cross-reference data efficiently. Students in the control group, however, improved by only 6%, revealing a continued challenge in independently verifying information without technological assistance.

In sum, these findings indicate that AI significantly strengthens key research capacities—including sourcing, analysis, and verification—ultimately leading to more efficient and effective academic research practices.



**Fig.2: Research Methods Performance**

Comparative analysis of research methods performance in AI-supported and non-AI student groups.

### Conclusion

The integration of artificial intelligence into Academic Writing and Research Methods courses presents valuable opportunities for enhancing student learning. However, its effective implementation depends on a thoughtful and ethically grounded approach. The teaching model outlined in this study encourages the responsible use of AI, with a strong focus on developing students' AI literacy, fostering critical thinking, and upholding academic integrity.

By positioning AI as a supportive resource rather than a substitute for student effort, the model enables learners to strengthen their academic capabilities while remaining intellectually engaged. For educators, the approach provides a practical framework that combines AI-driven support with reflective assignments. This balance ensures that students are not only benefiting from technological assistance but are also learning to apply it with discernment and responsibility.

### References List:

- Bender, E. M., & Gebru, T. (2021). On the dangers of stochastic parrots: Can language models be too big? *Proceedings of the 2021 ACM Conference on Fairness, Accountability, and Transparency*, 610–623. <https://doi.org/10.1145/3442188.3445922>
- Holmes, W. (2020). *Artificial intelligence in education*. Oxford: Oxford University Press.
- Holmes, W., & Porayska-Pomsta, K. (2020). *Artificial intelligence in education: Promises and implications for teaching and learning*. London: Routledge.
- Huang, C. (2021). AI and education: Possibilities and challenges. *Journal of Educational Technology*, 28(4): 12–25. <https://doi.org/10.1080/10494820.2021.1941268>
- Huang, W. (2021). Ethical considerations in AI-assisted research and writing. *Ethics and Education*, 16(3): 305–321. <https://doi.org/10.1080/17449642.2021.1914761>
- Luckin, R. (2018). *Machine learning and human intelligence: The future of education for the 21st century*. London: Routledge.
- Luckin, R., Holmes, W., Griffiths, M., & Forcier, L. B. (2018). *Intelligence unleashed: An argument for AI in education*. London: Pearson.
- McKnight, P., & Allen, T. (2022). AI applications in academic writing and communication. *Journal of Educational Technology*, 19(2): 112–130. <https://doi.org/10.1080/21532974.2022.2030221>
- McKnight, P., Hobson, S., & Freeman, R. (2022). Writing with AI: Enhancing academic success through AI tools. *Educational Review*, 74(3): 1–15. <https://doi.org/10.1080/00131911.2021.1902069>
- Mollick, E. (2023). *The AI classroom: Transforming learning through artificial intelligence*. Berlin: Springer.

Mollick, E. (2023). Using AI tools to improve writing and research skills. *Educational Review*, 75(4): 541–556. <https://doi.org/10.1080/00131911.2023.1895785>  
Selwyn, N. (2019). *Should robots replace teachers? AI and the future of education*. Cambridge: MIT Press.

## ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსებში: სწავლების მოდელი

დგებუაძე მარინე<sup>1\*</sup>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

კენკეზაშვილი ქეთევან<sup>2</sup>

ალტე უნივერსიტეტი, თბილისი

### აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინსტრუმენტების, როგორცაა ChatGPT, სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მაგისტრატურის საფეხურზე არსებული სალექციო კურსების მიმდინარეობაზე. ეს ინსტრუმენტები ეხმარება სტუდენტებს იდეების გენერირებაში, წერის გაუმჯობესებასა და კვლევის ჩატარებაში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შესაძლოა კითხვის ქვეშ დააყენოს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი, რადგან სტუდენტები არ არიან შეზღუდულები ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული კონტენტის გამოყენებაში.

ნაშრომი წარმოგვიდგენს სწავლების მოდელს, რომელიც მოიცავს ხელოვნური ინტელექტს ინტეგრირების გზებს აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსებში და ფოკუსირებულია აკადემიური პასუხისმგებლობის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე.

მოდელი ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას წერის ადრეულ ეტაპებზე - როგორცაა იდეების გენერირება ან მონახაზების შექმნა - და ამავდროულად ხაზს უსვამს კრიტიკული აზროვნებისა და ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობას. დავალებები მოიცავს რეფლექსიურ კომპონენტებს, რომლებშიც სტუდენტები ადასტურებენ, თუ როგორ გამოიყენებოდა ხელოვნური ინტელექტი, რაც ხელს უწყობს ეთიკური პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

მოდელის ძირითადი ელემენტია ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების განვითარება. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოდგენილი შედეგების კრიტიკულად შეფასება, მათი შეზღუდვების ამოცნობა და მათი სანდო აკადემიურ წყაროებთან გადამოწმება - რაც აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ინტეგრაციის მნიშვნელოვნებაზე მიგვითითებს. სტუდენტებს მოეთხოვებათ გამოიყენონ რეცენზირებული რესურსები თავიანთი არგუმენტების გასაძლიერებლად და კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებისა და ტრადიციული აკადემიური პრაქტიკის შერწყმით, მოდელი ხელს უწყობს დაბალანსებულ, ეთიკურ სწავლებას. ის ხელს უწყობს კვლევის, წერისა და ანალიტიკური უნარების განვითარებას, ამავდროულად ინარჩუნებს აკადემიურ სტანდარტებს. საბოლოო ჯამში, ეს მოდელი აძლევს სტუდენტებს საშუალებას, ეფექტურად და პასუხისმგებლობით გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი, რაც გააძლიერებს და არ ჩაანაცვლებს მათ სასწავლო კომპეტენციას.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, სამაგისტრო ნაშრომი, კვლევა, აკადემიური წერა, ბიბლიოთეკა.

## სწავლების ინტერაქტიული მეთოდები

ვაყელიშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი  
სსიპ N5 საჯარო სკოლა, თელავი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.79>

**აბსტრაქტი.** განათლების სისტემა უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში, ცივილიზებული საზოგადოების ფორმირებასა და განვითარების პროცესში. თანამედროვე განათლება, მაღალხარისხიანი სწავლა და სათანადო ცოდნის შეძენა სოციალური მოთხოვნაა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყოველ საფეხურზე სხვადასხვა სახის პროგრესული მეთოდების გამოყენებით ხდება. თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პროგრესული, აქტუალური მეთოდია ინტერაქტიული სწავლება. სტატიაში აღწერილია რა არის ინტერაქტიული სწავლება? სწავლების ინტერაქტიული მეთოდები გულისხმობს საქმიანობის ისეთ სახეობებს, რომლებიც მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს და ქმნის პირობებს თითოეული მოსწავლის გასახსნელად. ინტერაქტიული სწავლება არის ჰოლისტური მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ კომპონენტებს, რომლებიც ერთად ქმნიან სრულყოფილ საგანმანათლებლო გამოცდილებას. სტატიაში აგრეთვე აღწერილია ინტერაქტიული სწავლების მიზნები, ამოცანები, მეთოდები და ტექნიკა, საშუალებები. სტატიაში მოყვანილია მინი კვლევის მაგალითები. სტატიაში ჩანს, რომ თანამედროვე განათლება სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოსწავლეებთან და სტუდენტებთან კონსტრუქციულ ურთიერთქმედებების, სტიმულირების, მათი ჩართულობის და ხელს უწყობს ცოდნის უფრო ეფექტურ შეძენას.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერაქტიული მეთოდები, სწავლების მიზნები, კვლევის მაგალითები, ჩართულობა.

სკოლაში კლასიკური სწავლების ერთ-ერთ მთავარ ფორმად ლექცია ითვლება, სადაც მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, ხოლო მოსწავლე იღებს მას. დამოუკიდებელი სასკოლო დაწესებულებები და პროგრესული მასწავლებლები იყენებენ ინტერაქტიულ სწავლების მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეებში კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს. სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების გამოყენება საკლასო ოთახში, მათ შორის ვირტუალური საკლასო ოთახის, ზრდის მოსწავლეთა ინტერესს. ისინი უფრო აქტიურად მონაწილეობენ გაკვეთილის დროს და უკეთ ითვისებენ ინფორმაციას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ასევე გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად დაიმახსოვრებს მოსწავლე და შეძლებს მის პრაქტიკაში გამოყენებას.


ყველა სკოლა არ აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, გაკვეთილის დროს ლეპტოპებზე ან პლანშეტებზე იმუშაონ. თუ ეს მოწყობილობები ხელმისაწვდომია, ისინი ძირითადად გამოიყენება როგორც ელექტრონული სახელმძღვანელოები ან დამოუკიდებელი კვლევის ინსტრუმენტები. შესასწავლი მასალის ტიპის მიხედვით, კომპიუტერები ან ლეპტოპები გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის გადასაცემად, გაკვეთილების „გეიმფიკაციისთვის“ ან თანაკლასელებთან ინტერაქტიული

კომუნიკაციისთვის. თუმცა, უფრო ხშირად, საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და ინტერაქტიული თეთრი დაფები. როგორც წესი, პროექტორი დისპლეის ფუნქციას ასრულებს. ისინი ფართოდ არის გავრცელებული სკოლებში მათი შედარებითი სიმარტივისა და დიდ ფართობზე გამოსახულების პროექტირების უნარის გამო.

დღესდღეობით, საკლასო ოთახებში უფრო გავრცელებულია თეთრი დაფები, რომელთა ზედაპირზე ვწერთ მარკერით და არა ცარცით. თუმცა, ინტერაქტიული ვარიანტები არანაკლებ გავრცელებულია. ასეთი მოწყობილობა აერთიანებს მულტიმედიურ და სენსორულ ტექნოლოგიებს ჩვეულებრივი დაფის ჩვეულ ფუნქციებთან. მასწავლებელს შეუძლია რეალურ დროში აჩვენოს ვიდეო ან მოძებნოს ინფორმაცია ონლაინ, გადმოსცეს, აჩვენოს შინაარსი და შემდეგ გაუზიაროს ის მოსწავლეებს თავისი მოწყობილობების საშუალებით.

განმავითარებელი სწავლების პირობებში აუცილებელი ხდება თავად მოსწავლის მაქსიმალური აქტივობის უზრუნველყოფა საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ეს კომპეტენციები მხოლოდ პირადი გამოცდილების შედეგად ყალიბდება. მრავალი მკვლევარი საგანმანათლებლო ინოვაციებს უკავშირებს სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს, რაც გულისხმობს საქმიანობის ისეთ სახეობებს, რომლებიც მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს და ქმნის პირობებს თითოეული მოსწავლის გასახსნელად.

ცნება ინტერაქტიული (Inter - ორმხრივი, აქტი - მოქმედება) გულისხმობს ურთიერთქმედებას, ვინმესთან საუბრის, დიალოგის რეჟიმში ყოფნას. აქტიური მეთოდებისგან განსხვავებით, ინტერაქტიული მეთოდები ორიენტირებულია მოსწავლეების უფრო ფართო ურთიერთობაზე არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთანაც. ამასთან, სწავლების პროცესში მოსწავლეთა აქტივობა დომინირებს.



აქტიური (ა) და ინტერაქტიული (ბ) სწავლების მეთოდები

ინტერაქტიული სწავლების მეთოდების მიზნები

- თითოეული მოსწავლის ჩართულობა ცოდნის შექმნის აქტიურ პროცესში.
- სტუდენტების მიმართ დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა.
- წარმატებული კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბება, როგორცაა მოსმენის, დიალოგის აგების, კითხვების დასმის, გუნდში მუშაობის უნარი.
- ცოდნის დამოუკიდებლად მიღების, დავალებების უფრო მცირე ნაწილებად დაყოფის, საკუთარი არჩევანის შედეგების განსაზღვრის და შედეგზე პასუხისმგებლობის აღების უნარის განვითარება. შედეგად, ცოდნა გაცილებით

სწრაფად და უკეთესად მოიპოვება.

ინტერაქტიული სწავლება მოიცავს:

- აქტივობებსა და ურთიერთქმედებას, რომლებიც მასწავლებლისა და მოსწავლეების ჩართულობას პროცესში და გადაწყვეტილებების პიებში შენარჩუნებას უზრუნველყოფს;

- კომუნიკაციის თანასწორობას, რაც შესაძლო შედეგების ღიად განხილვას უწყობს ხელს;

- ექსპერიმენტებს, კრეატიულობას.

ინტერაქტიული სწავლების საფუძველი ვიზუალიზაციაა, რადგან ბავშვი ინფორმაციის 80%-ს მხედველობის საშუალებით აღიქვამს.

მათ შორის ხშირად გამოიყოფა შემდეგი:

- ინტერაქტიული თეთრი დაფები;
- ინტერაქტიული კონსოლები, პროექტორები, დისკლები;
- რობოტიკა და LEGO კონსტრუქტორები;
- ინტერაქტიული მაგიდა;
- უკაბელო პლანშეტი;

- დოკუმენტის კამერა - მოწყობილობა, რომლის ქვეშაც მოთავსებულია სახელმძღვანელო და მისი გამოსახულება პროეცირდება კომპიუტერსა და ინტერაქტიულ თეთრ დაფაზე;

- ინტერაქტიული ქვიშის ყუთი, რომელსაც, ქვიშის გარდა, აქვს პროექტორი და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ქმნის დამატებით რეალობას;

- მობილური პლანეტარიუმი - გუმბათი პროექტორით;
- კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა.

ცალკე აღსანიშნავია ელექტრონული სწავლება, სადაც ტარდება ინტერაქტიული ვებინარები და ონლაინ კონფერენციები.

ინტერაქტიული მეთოდების პრინციპები:

- ყველა მონაწილის თანასწორობა.
- ინდივიდის კრიტიკის არარსებობა.
- ნებისმიერი პასუხი არ არის სიმართლე, არამედ ინფორმაცია რეფლექსიისთვის.

ინტერაქტიული მეთოდები ფართოდ იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიებს: აუდიო და ვიდეო გამოიყენება პრობლემის გადასაჭრელად, კომპიუტერები გამოიყენება შედეგების მოსაძებნად და ფორმატირებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლას უფრო ეფექტურს ხდის.

კონკრეტული მაგალითების გამოყენებით განვიხილავთ სწავლების რამდენიმე ინტერაქტიულ ფორმას და მათში გამოყენებულ ტექნიკას.

მარტივი მინი-კვლევები მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეიძლება ჩატარდეს დაწყებით კლასებში; რთული, რომელიც განკუთვნილია დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი სამუშაოსთვის - საბაზო და საშუალო საეხურებზე, სტუდენტებში.

ბავშვები სწავლობენ მონაცემების შეგროვებას და ანალიზს და მათზე დაყრდნობით ვერსიის ჩამოყალიბებას, ფაქტების შერჩევას მათი გასამართლებლად ან უარყოფისთვის, საკუთარი თვალსაზრისის დაცვას; ვითარდება აზროვნება, თვითკონტროლი და ურთიერთკონტროლი. შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ გაკვეთილზე.

მინი-კვლევების სახეები: მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით (ინდივიდუალური, ჯგუფური და კოლექტიური); ადგილის მიხედვით (საკლასო და

კლასგარეშე), დროის მიხედვით (მოკლე და ხანგრძლივი), თემის მიხედვით (საგნობრივი და ინტერდისციპლინური). როგორ ჩავატაროთ

1. განვსაზღვროთ კვლევის საგანი - მას გვთავაზობს მასწავლებელი ან თავად მოსწავლეები.

2. ჩამოვაცალიბოთ პრობლემის არსი.

3. შევადგინოთ კვლევის გეგმა და პრობლემის გადაჭრის გზები. ეს ეტაპი ყველაზე რთულია მოსწავლეებისთვის, მათ უნდა ვუთხრათ, რა კითხვებზე უნდა უპასუხონ და სად იპოვონ საჭირო ინფორმაცია.

4. კვლევის ჩატარება. წყაროების შესწავლის გარდა, ეს ეტაპი შეიძლება მოიცავდეს ექსპერიმენტის ჩატარებას, ტესტებს, გამოკითხვებს და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს.

5. შედეგების წარდგენა და შეჯამება.

სკოლაში ჩვენ მიერ ჩატარდა ინტერვენციული კვლევა. ჩატარდა გამოკითხვა.

დამუშავდა შედეგები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გაკეთდა დასკვნა: ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით მასალის შესწავლა ბევრად უფრო მოსწონთ ბავშვებს. უფრო საინტერესო და ნაყოფიერია.

დაიგეგმა ინტერვენციული ღონისძიებები. ერთდროულად რამდენიმე კლასში გამოყენებული იქნა ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდი.

• პროექტის აქტივობები.

მოსწავლეები ქმნიან მცირე ჯგუფებს და იწყებენ აქტუალური პრობლემების გადაჭრას ან კონკრეტული პრობლემების შექმნას პროექტის აქტივობების ფარგლებში. ამ მიდგომის წყალობით, მოსწავლეები არა მხოლოდ პრაქტიკაში ამყარებენ თავიანთ ცოდნას, არამედ უვითარდებათ ლიდერობის უნარები, შემოქმედებითი აზროვნება და ერთად მუშაობის უნარი. მათ ეძლევათ შესაძლებლობა ერთობლივად შეისწავლონ, დაგეგმონ, შექმნან და წარმოადგინონ თავიანთი პროექტები, რაც ხელს უწყობს მასალის უფრო ღრმა ათვისებას და სასარგებლო უნარების ჩამოყალიბებას.

• თამაშები და სიმულაციები.

თამაშებსა და სიმულაციებში მოსწავლეები აღმოჩნდებიან ინტერაქტიულ სამყაროში, რომელიც ხელს უწყობს ექსპერიმენტებს, გადაწყვეტილების მიღებას და ახალი კონცეფციების შექმნას. თამაშებსა და სიმულაციებში ვირტუალურ სივრცეს შეუძლია რეალური სიტუაციების იმიტაცია ან პრაქტიკული უნარების პრაქტიკაში გამოყენება და ცოდნაში ჩაძირვა.

თანამედროვე განათლება სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას, რომლებიც საშუალებას იძლევა მოსწავლეებთან კონსტრუქციული ურთიერთქმედებისა, სტიმულირების მათ ჩართულობას და ხელს უწყობს ცოდნის უფრო ეფექტურ შექმნას. ინტერაქტიული სწავლების შედეგია მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში, კრიტიკული აზროვნების განვითარება, კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება და სასწავლო მასალის ღრმა გააზრება.

#### ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა shesavali.doc (live.com)
2. <https://mastsavlebeli.ge/?p=1521>
3. <https://www.saskoer.ca/teachingtech/chapter/interactive-teaching-methods-and-strategies/>
4. <https://atl.web.baylor.edu/teaching-guides/teaching-techniques/interactive-methods>

## **Interactive Teaching Methods**

**Vakelishvili Nino**

Telavi State University named after Iakob Gogebashvili, Telavi  
Public School No. 5 of Telavi (LEPL)

### **Abstract**

The education system plays a major role in the era of modern globalization, in the formation and development of a civilized society. Modern education, high-quality learning and the acquisition of relevant knowledge are social demands. This demand is met at each level by using various progressive methods. One of the important, progressive, and relevant methods of modern education is interactive learning. The article describes what is interactive learning? Interactive learning methods refer to types of activities that require a creative approach to the material and create conditions for the discovery of each student. Interactive learning is a holistic methodology that includes both online and offline components, which together create a complete educational experience. The article also describes the goals, objectives, methods and techniques, and means of interactive learning. The article provides examples of mini-research. The article shows that modern education increasingly emphasizes the importance of using interactive teaching methods, which allow for constructive interactions with pupils and students, stimulate their engagement, and promote more effective acquisition of knowledge.

***Keywords:*** *interactive methods, learning objectives, examples, engagement.*

## ლექსიკოგრაფია ციფრულ ეპოქაში („ქართული ლექსიკონი“)

ლოლაძე ნანა

დათუკიშვილი ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი  
ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.80>

**აბსტრაქტი.** „ქართული ლექსიკონი“ არის ქართული ენის პირველი ილუსტრირებული სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი. იგი 2014 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. ლექსიკონის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია, ერთი მხრივ, ადეკვატურად გაიგოს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მართებულად გამოიყენოს ის შესაბამის კონტექსტში.

„ქართული ლექსიკონი“ მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვიერ მარაგს, ითვალისწინებს აგრეთვე სასაუბრო ლექსიკას. მასში ასახულია ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა ენაში უკანასკნელ ათწლეულებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოვლენების შედეგად.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ნათელი, მარტივი ენით. არ გამოიყენება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაკლებ აქტიურია, ვიდრე განსამარტავი სიტყვა. მოცემულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმები. ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულთან ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული მოსალოდნელი ორთოგრაფიული შეცდომები და პარონიმები.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმების, რიცხვითი სახელებისა და გეოგრაფიული სახელების საძიებლები. „ქართულ ლექსიკონში“ 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეულია წარმოდგენილი, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა თუ სიტყვაფორმის შესახებ.

ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია ლექსიკოგრაფიის თანამედროვე ტენდენციები. ტრადიციულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონული ტექსტური რესურსები. სალექსიკონო მასალა მომზადდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის – „ლექსიკოგრაფის“ – საშუალებით, რომელიც შეიქმნა ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში. პროგრამა უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა.

ბეჭდური გამოცემის გარდა, „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით შეიქმნა და 2019 წელს გამოქვეყნდა ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ (<https://www.ganmarteba.ge>).

**საკვანძო სიტყვები:** სასწავლო ლექსიკონი, ელექტრონული ლექსიკონი, პროგრამა „ლექსიკოგრაფი“, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის დამსახურებაა ლექსიკონების დიდი სოციალური მნიშვნელობის აღიარება. გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან მოყოლებული, მკვიდრდება ახლებური ხედვა, რომელიც ლექსიკოგრაფიას წარმოგვიდგენს, როგორც სოციალური საქმიანობის სფეროსა და დამოუკიდებელ მეცნიერებას. ეს უპირველესად უკავშირდება ბერგენჰოლციასა [Bergenholtz, Bothma, 2012] და ტარპის [Tarp, 2012] შრომებს. ლექსიკოგრაფიის ობიექტს წარმოადგენს ლექსიკონთა კვლევა და იმგვარი ლექსიკონების შექმნა, რომლებიც დააკმაყოფილებს კონკრეტული ტიპის მომხმარებლის მოთხოვნებს.

ლექსიკოგრაფიაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უკანასკნელ ათწლეულებში მომდინარე პროცესებმა – ტექნოლოგიურმა ნახტომმა, ახალმა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პარადიგმამ. ამ ვითარებაში ლექსიკოგრაფია აღმოჩნდა სრულიად ახალი შესაძლებლობების, განსხვავებული „ციფრული გარემოსა“ და ახალი ამოცანების წინაშე. თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ყურადღების ცენტრშია სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ინფორმაცია, მასზე წვდომა და მომხმარებელი. ამდენად, ლექსიკოგრაფია ყალიბდება როგორც მულტიდისციპლინური დარგი, კერძოდ, ინფორმაციას უზრუნველყოფს ლინგვისტიკა, მომხმარებლის პროფილს შეისწავლის და განსაზღვრავს სოციოლოგია, ხოლო ინფორმაციაზე წვდომის გზებსა და ხერხებს – ინფორმატიკა (ინფორმაციული მეცნიერებები).

ციფრულმა ეპოქამ ლექსიკონების შემდგენლებისაგან მოითხოვა სტრატეგიების გადახედვა ლექსიკოგრაფიული წყაროების დამუშავების, ინფორმაციის შინაარსის განსაზღვრისა და ახალი ტიპის მომხმარებელთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ტრადიციული ლექსიკოგრაფიის წიაღში გაჩნდა ახალი მიმართულება – კომპიუტერული ლექსიკოგრაფია. იგი მიზნად ისახავს შექმნას როგორც ელექტრონული ლექსიკონები, ისე პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს ბეჭდური თუ ციფრული ლექსიკონების შედგენაში.

დროის მოთხოვნამ განსაზღვრა ახალი ტიპის ლექსიკონების შექმნის აუცილებლობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონცეპტუალურად განსხვავებული ტიპის სასწავლო ლექსიკონების გაჩენა. ისინი წარმოადგენს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსს. ასეთია, მაგ.: ინგლისური ენის შემსწავლელთათვის კემბრიჯის, ოქსფორდის, ლონგმანისა და მისთ. სასწავლო ლექსიკონები.

ყოველივე ეს მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ლექსიკოგრაფიისაგან მოითხოვს უახლესი ტენდენციების შესაბამისი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნასა და ციფრული ტექნოლოგიების სრულფასოვან გამოყენებას [ლოლაძე, 2004].

ერთ-ერთ ამგვარ მცდელობას წარმოადგენს „ქართული ლექსიკონი“, რომელიც 2014 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. ლექსიკონის კონცეფციის ავტორები და შემდგენლები არიან: გიორგი ცოცანიძე, ნანა ლოლაძე, ქეთევან დათუკიშვილი.

„ქართული ლექსიკონი“ არის ქართული ენისათვის შექმნილი პირველი ილუსტრირებული სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი. მისი დახმარებით მომხმარებელს შეუძლია, ერთი მხრივ, ადეკვატურად გაიგოს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მართებულად გამოიყენოს ის შესაბამის კონტექსტში.

ლექსიკონი მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვიერ მარაგს, ითვალისწინებს აგრეთვე სასაუბრო ლექსიკას. მასში ასახულია ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა ენაში უკანასკნელ ათწლეულებში ქვეყანაში

მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოვლენების შედეგად.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ნათელი, მარტივი ენით. არ გამოიყენება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაკლებ აქტიურია, ვიდრე განსამარტავი სიტყვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექსიკონში წარმოდგენილი გრაფიკული ილუსტრაციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვთ და გარკვეულწილად ავსებენ სიტყვათა განმარტებებს.



ლექსიკონში მოცემულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმები. ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულთან ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული, და ამდენად, მოსალოდნელი ორთოგრაფიული შეცდომები და პარონიმები.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმების, რიცხვით სახელთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

„ქართულ ლექსიკონში“ 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეულია, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა თუ სიტყვაფორმის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ლექსიკონში ზმნა. ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, ზმნის პირიანი ფორმა უნდა იყოს სალექსიკონო ერთეული თუ საწყისი. „ქართული ლექსიკონის“ დანიშნულების გათვალისწინებით, ოპტიმალურად მივიჩნით შემდეგი მოდელი: სალექსიკონო ერთეულად ზმნა წარმოდგენილია საწყისის სახით, რომელსაც ფრჩხილებში მითითებული აქვს ძირითადი ზმნური ფორმები (ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ერთად). სალექსიკონო სტატიას ამგვარი სახე აქვს:

**დახატვა** დახატვის (დახატავს, დაახატავს, დაიხატავს, დაუხატავს, დაიხატება, დაეხატება, დაახატვინებს) 1. ხაზებისა და ფერების საშუალებით რაიმეს გამოსახვა. *პეი ზაჟი დახატა.* 2. გადატ. წარმოჩენა, ნათლად აღწერა. *ავტორმა შესანიშნავად დახატა პერსონაჟი.*

ლექსიკონს ერთვის პირიან ფორმათა საძიებელი, სადაც ანბანურ რიგზეა მოცემული ზმნური ფორმები და თითოეულ მათგანთან მითითებულია საწყისი. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ საძიებლის მცირე ფრაგმენტს:

დახარისხდება  
     დახარისხება  
 დახარჯავს დახარჯვა  
 დახასიათდება  
     დახასიათება 1  
 დახატავს დახატვა  
 დახედავს დახედვა  
 დახევს დახევა<sup>1</sup>  
 დახევს დახევა<sup>2</sup>  
 დახელოვნდება  
     დახელოვნება  
 დახერხავს დახერხვა

საძიებელში ზმნის პირიან ფორმასთან მითითებული საწყისის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ლექსიკონში ნახოს ამ ზმნის შესაბამისი განმარტება და სხვა ინფორმაცია.

ლექსიკონის შედგენისას, ტრადიციულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონული ტექსტური რესურსები. ლექსიკოგრაფიული სამუშაოები განხორციელდა პროგრამა „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით. ეს პროგრამა შეიქმნა „ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში“, მისი ავტორია მერაბ ზაკალაშვილი (დათუკიშვილი, ლოლაძე, ზაკალაშვილი, 2022). პროგრამა უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა.

ბეჭდური გამოცემის გარდა, „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით შეიქმნა და 2019 წელს გამოქვეყნდა ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ (<https://www.ganmarteba.ge>). ლექსიკონის კონცეფციის ავტორები და შემდგენლები არიან: მერაბ ზაკალაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, ნანა ლოლაძე.

ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. იგი მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ ლექსიკას. ამჟამად ლექსიკონში 41462 სიტყვა-სტატიაა. მას აქვს მოქნილი საძიებო სისტემა, სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნების ძიება კი შესაძლებელია როგორც საწყისის, ისე პირიანი ფორმის მიხედვით. განმარტებები მოცემულია საწყისებთან. პირიანი ფორმიდან ბმულის საშუალებით შესაძლებელია საწყისზე გადასვლა და შესაბამისი განმარტების მოძიება.

სალექსიკონო სიტყვა-სტატია შემდეგი სტრუქტურისაა:

- სალექსიკონო ერთეული
- გრამატიკული ინფორმაცია
- განმარტება
- იდიომები და მყარი შესიტყვებები
- ბმულები

ბმულებში იმ სიტყვათა ჩამონათვალია მოცემული, რომლებიც ნაწარმოებია სალექსიკონო ერთეულის ფუძისაგან და რომლებზეც შესაძლებელია ავტომატურად გადასვლა, მაგალითად, სტატიაში „**ბავშვი**“ ბმულებში მითითებულია: **ბავშვიანი**, **ბავშვობა**, **ბავშვური**. ავტომატურად ხორციელდება აგრეთვე გადასვლა სიტყვა-სტატიაში მითითებულ სინონიმებსა და ანტონიმებზე [დათუკიშვილი, ლოლაძე, ზაკალაშვილი, 2019].

ელექტრონული ლექსიკონის დიზაინი მინიმალისტურია. ინფორმაცია ისეა

სტრუქტურირებული, რომ მარტივად აღსაქმელი იყოს. მოქნილი საძიებო სისტემა და სტატიიდან სტატიაზე ავტომატურად გადასვლის შესაძლებლობა ლექსიკონს მომხმარებლისათვის უფრო კომფორტულსა და მიმზიდველს ხდის.

წარმოვადგენთ სალექსიკონო სტატიას „გზა“ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის მოცემული ერთი და იგივე ინფორმაცია ბეჭდურ და ელექტრონულ ლექსიკონებში.

### ბეჭდური ლექსიკონი

### ელექტრონული ლექსიკონი

<p><b>გზა</b> გზის 1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი ან ჰაერსა და წყალში მონიშნული ზოლი, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისთვის. <i>საავტომობილო გზა. საცალფეხო გზა. საზღვაო გზა.</i> 2. გადატ. გამოსავალი, საშუალება, შესაძლებლობა. <i>მეტი გზა არ იყო. სხვა რა გზაა.</i> 3. გადატ. რაიმეს გაკეთების ხერხი, მეთოდი. <i>ამოცანის ამოხსნის გზა. პრობლემის გადაჭრის გზა.</i> ▲ <b>გზად</b> ზმნზ. გავლით, მგზავრობისას. <i>გზად შემოივლის. გზად ამასაც გაიყოლებს.</i> ▲ <b>გზაში</b>, <b>გზაზე</b> ზმნზ. სიარულისას, მგზავრობისას. <i>გზაში შეხვდა. გზაზე წააწყდა.</i> ⊙ <b>გზა მშვიდობისა!</b> მგზავრის დალოცვა ნასვლის წინ. ⊙ <b>გზას ასცდება</b> (ააცდენს) შეცდება, რაიმე ცუდს ჩაიდენს (ჩაადენინებს). ⊙ <b>გზას გადაუღობავს</b> წინ გადაუდგება, ხელს შეუშლის, წინსვლის საშუალებას არ მისცემს. ⊙ <b>გზას გაუკაფავს</b> თავისი საქმიანობით სხვას მომავალში შრომას გაუადვილებს. ⊙ <b>გზიდან გადააცდენს</b> შეაცდენს, რაიმე ცუდს ჩაადენინებს. ⊙ <b>გზის მიცემა</b> ვინმესთვის სწორი რჩევის მიცემა, სწორად მითითება. ⊙ <b>შენ იქით გზა არა მაქვს</b> შენი დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებ.</p>	<p><b>გზა</b>  <b>არსებითი სახელი</b>          ნათესაობითი ბრუნვა: გზის</p> <p>1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი ან ჰაერსა და წყალში მონიშნული ზოლი რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისთვის.  <i>საავტომობილო გზა. საცალფეხო გზა. საზღვაო გზა.</i></p> <p>2. გადატანითი გამოსავალი, საშუალება, შესაძლებლობა.  <i>მეტი გზა არ იყო. სხვა რა გზაა.</i></p> <p>3. გადატანითი რაიმეს გაკეთების ხერხი, მეთოდი.  <i>ამოცანის ამოხსნის გზა. პრობლემის გადაჭრის გზა.</i></p> <p><b>იდიომები და მყარი შსითყვიები</b></p> <p><b>გზიდან გადააცდენს</b>          შეაცდენს, რაიმე ცუდს ჩაადენინებს.</p> <p><b>გზას გაუკაფავს</b>          თავისი საქმიანობით სხვას მომავალში შრომას გაუადვილებს.</p> <p><b>გზის მიცემა</b>          ვინმესთვის სწორი რჩევის მიცემა, სწორად მითითება.</p> <p><b>შენ იქით გზა არა მაქვს</b>          შენი დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებ.</p> <p><b>გზა მშვიდობისა!</b>          მგზავრის დალოცვა წასვლის წინ.</p> <p><b>გზას ასცდება</b> (ააცდენს)          შეცდება, რაიმე ცუდს ჩაიდენს (ჩაადენინებს).</p> <p><b>გზას გადაუღობავს</b>          წინ გადაუდგება, ხელს შეუშლის, წინსვლის საშუალებას არ მისცემს.</p> <p><b>ბმულები</b>          გზად გზაზე გზაში საგზაო</p>
---	--

ამ ბოლო წლებში სულ უფრო ფართოვდება ელექტრონული „ქართული ლექსიკონის“ მომხმარებელთა წრე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ციფრულ ეპოქაში ამ ტიპის ლექსიკონებზე მოთხოვნა დიდია და ლექსიკოგრაფია სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს.

**ლიტერატურა:**

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ. (2022), პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ – ლექსიკოგრაფიული სამუშაოების მართვის ინსტრუმენტი. დიგიტალური ქართველოლოგია, 1, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიისა და და ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის მიმართულების ერთობლივი სამეცნიერო გამოცემა, ტ., I, 2022, ISSN 2720-8427, გვ. 111-119.

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ. (2019) ქართული ენის ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი. ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V – ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 15-17 დეკემბერი, 2019

ლოლაძე ნ. (2004), მნიშვნელობის ანალიზი და კომპიუტერული ლექსიკოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია ბუნებრივ ენათა დამუშავება, თბილისი, 2004.

Bergenholtz H. Theo J. D Bothma (2012), Needs-adapted Data Presentation in e-Information Tools, <https://www.researchgate.net/publication/269868931>, pp. 53-77

Tarp, S. (2012), Do We Need a (New) Theory of Lexicography, <https://www.researchgate.net/publication>

ლექსიკონები

<https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/>

<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

<https://www.ldoceonline.com/>

## Lexicography in the Digital Age

("The Georgian Dictionary")

**Loladze Nana**

**Datukishvili Ketevan**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics, Linguistics Technology Group, Tbilisi

### Abstract

"The Georgian Dictionary" is the first Learner's dictionary of the Georgian language. It was published in 2014 by Bakur Sulakauri Publishing House. The dictionary is intended for everyone interested in learning the Georgian language or deepening and refining their knowledge. With its help, users can both adequately understand the meaning of a given word and use it appropriately in the correct context.

The dictionary covers the active vocabulary of modern standard Georgian, while also taking into account colloquial language. It includes neologisms that have emerged in the language over recent decades as a result of the country's social, political, economic and cultural changes.

Definitions in the dictionary are presented in a clear and simple language. Lexical items that are less common or less active than the defined word are intentionally avoided in the definitions.

The compilation of the dictionary is based on modern trends in lexicography. In addition to traditional sources, electronic text resources have also been utilized. A special computer program called "**Lexicographer**" was developed to support the lexicographic work using digital technologies. This software enables the preparation and publication of both printed and electronic dictionaries. Using the **Lexicographer** software was created the Electronic "Georgian Dictionary" – <https://www.ganmarteba.ge> (2019).

**Keywords:** *Educational Dictionary, Electronic Dictionary, Program "Lexicographer", Computational Lexicography.*

## ქართული ენა და რეფორმა

## მაღლაკელიძე ნათელა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.81>

**აბსტრაქტი.** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების (ზ გ ე მ -2024) განახლებული რედაქცია აქცენტს აკეთებს მშობლიური/ქართული ენის როლზე მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის პროცესში. სტატიაში განხილულია თანამედროვე ეტაპზე ქართული ენის სწავლების საკითხები სკოლებში. გამოკვეთილია გრამატიკის როლი მოსწავლეებში სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებისას, რაც აუცილებლად გულისხმობს კურიკულუმში ენისათვის ცალკე კვირეული საათების გამოყოფას. ფაქტიურად ეს იქნება არა გრამატიკის, არამედ მეტყველების კულტურის გაკვეთილები. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შევიტანოთ მასალა სახელმძღვანელოებში, გადავტვირთოთ ისინი რთული გრამატიკული კატეგორიებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად ენათმეცნიერებს შორის არის სადავო; უსასრულოდ ვაზეპირებინოთ წესები... რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ – ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხი დღეს ქართული ენის გრამატიკის სწავლებაში.

**საკვანძო სიტყვები:** გრამატიკა, მართლწერა, პუნქტუაცია, ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო განათლების რეფორმა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

2006 წლიდან იწყება ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში იმ სიახლეების დანერგვა, რომელსაც განათლების რეფორმა უწოდეს და რომელმაც მართლაც ძირფესვიანად შეცვალა ქართულ სკოლაში სწავლა/სწავლების მთელი სისტემა. რა იყო მთავარი სიახლე ამ რეფორმისა? რით განსხვავდებოდა იგი იმ “რეფორმებისაგან”, რომლებიც არაერთხელ „დაინერგა“ საბჭოთა სკოლაში 70-იან\_80-იან წლებში და რომლებიც ხან „უნიშნო სწავლებით“ ინათლებოდა, ხან „პრობლემური“ და ხანაც „განმავითარებელი“ სწავლებით? საერთოდ, გვჭირდებოდა თუ არა რეფორმა?

რეფორმა და ცვლილებები რომ აუცილებელი იყო, ამაზე დღეს უკვე აღარავინ დავობს. სკოლას ახალი სისხლის გადასხმა სჭირდებოდა, უფრო მეტიც – ქართული სკოლა თავიდან უნდა შექმნილიყო. ძველი საბჭოური სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები მოძველდა, კრიტიკას ვერ უძლებდა შეფასების სისტემა, სასწავლო დისციპლინა მოიკოჭლებდა, უფროს კლასებში გაკვეთილები ფაქტიურად აღარ ტარდებოდა, გადახედვას მოითხოვდა პედაგოგის მომზადებისა და გადამზადების საკითხებიც.... მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ დაწყებითი კლასების პროგრამა ქართულ ენაში 1987 წლის შემდეგ არ შეცვლილა და ბავშვებს კვლავაც საბჭოური პროგრამის მიხედვით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოებით ვასწავლიდით. რაც შეეხება მშობლიური ენის კურსის სწავლებას, სასკოლო განათლების სამივე საფეხურზე იგი ფაქტიურად დაყვანილი იყო წესების, ტერმინების დაზეპირებამდე. უკეთეს შემთხვევაში მოსწავლემ თეორიულად იცოდა ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის დეფინიცია,

მაგალითებსაც სწორად ასახელებდა, მაგრამ ვერ იყენებდა ამ ცოდნას პრაქტიკულად ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში. იყო შემთხვევები, როცა ენის გაკვეთილი საერთოდ აღარ ტარდებოდა და მასწავლებელი ამ საათებს საკუთარი შეხედულებისამებრ იყენებდა. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რეფორმირებული სკოლა რეფორმის დასაწყისშივე ადვილად შეელია ქართული ენის კურსის ცალკე დასციპლინად სწავლებას.

ქართული ენის (გრამატიკის) სწავლების მიმართ სარეფორმო ჯგუფმა რეფორმის დასაწყისშივე ჩამოაყალიბა ორგვარი დამოკიდებულება:

**1. არაქართულ სკოლებში ქართული ენის გრამატიკა აუცილებლად უნდა ვასწავლოთ. გრამატიკა აქ მოსწავლეთათვის ერთგვარი გზამკვლევა სახელმწიფო ენის შესასწავლად.**

**2. ქართულენოვან სკოლებში კი ქართული ენის გრამატიკის სწავლება საერთოდ არ არის საჭირო, ქართველმა ბავშვმა ქართული ენა ისედაც იცის.**

პირველ მოსაზრებას ძალიან მარტივად შეიძლება გაეცეს პასუხი: არაქართულ სკოლებში გრამატიკის როლი **გრამატიკულ-თარგმნითი მეთოდით** მეორე/უცხო ენის სწავლებისას მართლაც დიდია, მაგრამ დღეს ეს მეთოდი ფაქტიურად აღარ გამოიყენება, იგი ჩაანაცვლა ე.წ. **პირდაპირმა/შერეულმა მეთოდმა**, რომელიც ცოცხალ მეტყველებაზე აკვირვებს ბავშვს და წინა პლანზე გადმოდის არა გრამატიკის ცოდნა და ტექსტების თარგმნა (როგორც ეს ადრე იყო მეორე/უცხო ენის სწავლებისას), არამედ ისეთი სამეტყველო კომპეტენციები, როგორებიცაა: **მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა**. სწორედ ამიტომ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სახელმძღვანელოები გრამატიკული მასალით ზედმეტად გადაიტვირთა. რამდენად დაეხმარა გრამატიკული მასალა არაქართველ მოსწავლეს სახელმწიფო ენის დაუფლებისას, ეს ცალკე კვლევის თემაა და ამჯერად მას არ შევხებით.

რაც შეეხება ქართულ სკოლას, აქ რეფორმის დასაწყისშივე ითქვა უარი ქართული ენის კურსის (ლექსიკოლოგიის, გრამატიკის, სტილისტიკის...) სწავლებაზე. კარგად მახსოვს განათლების რეფორმატორებთან ჩემი პირველი შეხვედრა. ეს იყო რეფორმის დაწყებამდე, 2004 წელს. პირველი, რამაც მაშინ ჩემში პროტესტის გრძნობა გამოიწვია, გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების მნიშვნელოვანი შემცირება – 5 კვირეული საათი (ნაცვლად რეფორმამდელი 7-8 აკადემიური საათისა) და ენის სახელმძღვანელოზე უარის თქმა. ჩემს კითხვაზე, როგორ შეიძლება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება 5 კვირეულ საათში ჩატეულიყო, ან ენა როგორ უნდა გვესწავლებინა სახელმძღვანელოს გარეშე, პასუხი გახლდათ – **ქართული ენა ისედაც ყველამ იცის**, იგი საკითხავ ტექსტებთან ინტეგრირებით უნდა ვასწავლოთ; რაც შეეხება საათების შემცირებას, აქ მთავარია სასწავლო საათების არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. ამ დამოკიდებულებამ თავისი ასახვა პოვა ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. პირველი და მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმებში (2006 წ, 2012 წ) და „საგნობრივ სტანდარტში“ არსად არ იყო მითითებული კონკრეტულად ენის რომელ საკითხებს უნდა დაუფლებოდა მოსწავლე სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე. აქ მოცემული გახლდათ მხოლოდ „შედეგები“ სათანადო „ინდიკატორებით“. როდის რა მასალა უნდა ეწავლებინა მასწავლებელს (ან საერთოდ ესწავლებინა თუ არა), ეს თავად პედაგოგისა და სახელმძღვანელოს ავტორთა გადასაწყვეტი გახლდათ.

ამ მხრივ კარდინალურად განსხვავებული ვითარება გვაქვს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სადაც მთელი გრამატიკული მასალის სწავლება **ცნებებსა და ქვეცნებებზეა** დაფუძნებული. წარმოდგენილი მასალა საკამოდ რთულია

და მრავლის მომცველი. ასე მაგალითად, უკვე დაწყებითი კლასების მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი საკითხების ცოდნა, როგორებიცაა:

- სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება და ფორმაცვალება (ბრუნება, უღლება, რიცხვის წარმოება, ფუძე);
- სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერის წესები;
- ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები;
- სიტყვაწარმოება;
- ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები;
- სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის წინადადებები (თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი, კითხვა-ძახილის) და მათი შესაბამისი სასვენი ნიშნები;
- სასვენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, ბრჭყალები, დეფისი, ტირე, ფრჩხილები;
- სიტყვამონაცვლე კონტექსტებში ამოსავალი სიტყვის ჩანაცვლება ნაცვალსახელით, სინონიმური ლექსიკით;
- ზმნისწინები და მათი მეშვეობით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები...

რაც შეეხება სწავლების საბაზო საფეხურს, ენის საკითხები, მათ შორის გრამატიკის, კიდევ უფრო გართულებულია და უფრო ვრცლად გახლავთ წარმოდგენილი:

### **მორფოლოგია**

#### **ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:**

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

#### **ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:**

- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

### **სინტაქსი**

- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები - შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები;
- წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

- აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია (ე ს გ, 2023).

ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ მესამე თაობის ე ს გ-ის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტში ენის/გრამატიკის საკითხები იმაზე ვრცლად გახლავთ წარმოდგენილი, ვიდრე ეს რეფორმამდე იყო. მოგვიანებით ავტორებს დაევაღათ ცალ-ცალკე წარმოდგინათ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზმაც არაერთგვაროვანი სურათი გვიჩვენა: ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან არა მხოლოდ გრამატიკული მასალის მოცულობისა და დალაგების, არამედ სწავლების მეთოდის თვალსაზრისითაც. არცთუ იშვიათად აქ შეხვედებით მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისათვის შეუსაბამო რთულ გრამატიკულ ინტერპრეტაციებს. მასწავლებელს მიეცა უფლება, სურვილის შემთხვევაში ცალკე კვირეული საათი დაეთმო ენისათვის. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ **მასწავლებელი ან საერთოდ ვერ ასწრებს ენის საკითხებზე მუშაობას** (ლიტერატურული მასალის კითხვა-დამუშავება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, განსაკუთრებით კი დღეს, როცა ე.წ. „კომპლექსურმა“ დავალებებმა მასწავლებელი კიდევ უფრო შეზღუდა დროში), **ან ენის სწავლება შემოიფარგლა ისევ წესების გაცნობითა და დაზეპირებით**. საკითხების ის ჩამონათვალი, რომელიც ე ს გ-შია, დარჩა ქალაქზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული ენის სწავლება დღევანდელ სკოლაში არასახარბიელო მდგომარეობაშია, რაც ასახვას პოულობს მოსწავლეთა (და არა მხოლოდ მოსწავლეთა) ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, რომელიც ყოველდღიურად „მდიდრდება“ ახალ-ახალი ბარბარიზმებით, ჟარგონებით, კალკირებული ფორმებით, ხშირ შემთხვევაში ღარიბი აქვთ ლექსიკური მარაგი, რომ არაფერი ვთქვათ წერით მეტყველებაზე, პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის ნორმების დარღვევაზე, სტილისტურ ხარვეზებზე...

უნდა ვასწავლოთ თუ არა ქართული ენა ქართველ ბავშვებს? სჭირდებათ თუ არა მათ გრამატიკის ცოდნა სწორმეტყველებისათვის? მათთვის ხომ ქართული მშობლიური ენაა, რა დანიშნულება აქვს მათთვის ამ საგნის სწავლებას?

მოგუსმინოთ სპეციალისტებს:

„სკოლაში მოსვლამდე ქართულენოვანი მოსწავლე ძირითადად უკვე დაუფლებულია სამეტყველო კომპეტენციებს. სკოლაში ახლად შემოსულმა ბავშვმა პრაქტიკულად უკვე იცის:

- \_ მეტყველების ყველა ნაწილი;
- \_ იყენებს ენის ფორმათსისტემას;
- \_ ესმის და თვითონაც ხმარობს სიტყვათწარმოების მთავარ შესაძლებლობებს;
- \_ შეთვისებული აქვს სინტაქსის ძირითადი სტრუქტურები, თანწყობისა და რამდენადმე ქვეწყობის სახეები“; \_ წერდა გურამ რამიშვილი (გ. რამიშვილი: გვ. 28).

ამ აზრს უფრო ადრე ავითარებდა დიმიტრი უზნაძეც, რომელიც მიიჩნევდა, რომ „სკოლის წინარე ასაკში ბავშვს პრინციპულად დამლეული აქვს თავისი სამშობლო ენა“ (დ. უზნაძე: ბავშვის ფსიქოლოგია, გვ. 593).

თუ მართლაც ბავშვი უკვე დაუფლებულია მშობლიურ (ჩვენს შემთხვევაში ქართულ) ენას, სკოლაში რატომღა უნდა ვასწავლოთ იგი და რატომ უნდა მოვაცდინოთ ამაზე მოსწავლევ და მასწავლებელიც? ამ კითხვაზე პასუხი ისევ დიმიტრი უზნაძესთან უნდა ვეძებოთ: „ბავშვი მეტყველებისას კი იცავს ენის ძირითად წესებს, მაგრამ ეს წესები მას თავად გაცნობიერებული არა აქვს... აი, აქ

უწევს მას სკოლა დახმარებას\_ იგი გრამატიკას ასწავლის ბავშვს და ამით იგი ენობრივი განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს... ახლა მას არამარტო ლაპარაკი შეუძლია ამ წესების მიხედვით, არამედ იმის ცოდნაც, თუ რატომ ლაპარაკობს ასე“. (იქვე).

**ზ გ ე მ**-ის ახალ, 2024 წლის განახლებულ რედაქციაში ხაზგასმით წერია, რომ დღევანდელი სასკოლო განათლების უპირველესი მიზანი **„ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე, ოჯახის, ქართული ტრადიციის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების, სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის მცოდნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პატრიოტი მოქალაქის აღზრდაა“**. ამდენად, სასკოლო განათლების ეროვნულ მიზნებზე საუბარი ძნელია დღევანდელ სკოლაში ქართული ენის სწავლების გარეშე.

ენის კურსის სწავლებისას მთავარი ამ ენის კანონზომიერებების შეცნობა, მათი გააზრება და მეტყველებისას მართებული ფორმების გამოყენება გახლავთ. პირველ რიგში მას პრაქტიკული დანიშნულება აქვს – ემსახურება სათანადო ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ჩვევების ფორმირებას, რაც საბოლოო ჯამში მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების დახვეწისაკენ არის მიმართული. გრამატიკული წესის ცოდნისა და მისი გააზრების გარეშე მოსწავლეს ხშირად უჭირს სიტყვის მართლწერა (გარკვეულ შემთხვევებში სიტყვის მართლწერას სწორედ მორფოლოგია უდევს საფუძვლად), ფრაზისა და წინადადების სწორად აგება... განსაკუთრებით სავალალო დღეშია პუნქტუაცია, რომლის საფუძველსაც სინტაქსი წარმოადგენს. ქართული პუნქტუაცია კი მოგეხსენებათ, საკმაოდ რთულია.

„ღრამატიკა არს შემძლებლობა მართლ-უზნობად და წესიერ წერადო“, წერდა ანტონ კათალიკოსი, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორი მე-18 საუკუნეში. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ გრამატიკის სწავლების პირველ დანიშნულებად ჩვენი წინაპრებიც მართლმეტყველებისა და მართლწერის ძირითად საკითხების დაუფლებას თვლიდნენ. ასეა დღესაც.

მაგრამ ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შევიტანოთ მასალა სახელმძღვანელოებში, გადავტვირთოთ ისინი რთული გრამატიკული კატეგორიებით (რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად ენათმეცნიერებს შორის არის სადავო), უსასრულოდ ვაზეპირებინოთ წესები... **რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ** – დღეს ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხი ქართული ენის სწავლებისას.

კიდევ ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: არის თუ არა დღეს პედაგოგი მზად იმისათვის, რომ დაუბრუნდეს სკოლაში ენის სწავლებას? 2006 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, პირველ რიგში კი შეიცვალა მასწავლებლის მომზადების სისტემა. პედაგოგი საბაზო და სამუშაო საფეხურისთვის ფაქტიურად არ მზადდება. ნუ მოვიტყუებთ თავს, ის 60-კრედიტიანი (1-წლიანი) პროგრამა, რომელსაც დღეს ეყრდნობა საგნის მასწავლებლის მომზადება, არ არის საკმარისი. ბაკალავრიატის/მაგისტრატურის დონეზე საგნის მასწავლებელი აღარ მზადდება. საგნობრივი კომპეტენციების გამომუშავება 60 კრედიტის ფარგლებში არ ხდება, ხოლო ის მინიმალური ბარიერი, რომლებიც მასწავლებლობის მსურველებმა გადალახეს საგნის გამოცდაზე, ნამდვილად არ არის საკმარისი პედაგოგობისთვის. პირველ რიგში პედაგოგი უნდა მოვამზადოთ.

**ლიტერატურა:**

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2024, <https://edu.aris.ge/news/gamoqveynda-zogadiganatlebis-axali-erovnuli-miznebis-proeqti-dokumenti.html>
2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, 2023, <https://mes.gov.ge/content.php?id=13272>
3. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ.2000
4. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 2003 წ

**Native Language Teaching Problems and School Educational Reform**

**Maglakelidze Natela**

Iliia State University, Tbilisi

**Abstract**

AI-ით შექმნილი ტექსტი შეიძლება არ წარმოადგენდეს პირდაპირ ციტირებულ წყაროს, თუმცა შესაძლებელია ჩაითვალოს ფარულ პლაგიატად, როდესაც სტუდენტი წარმოადგენს გენერირებულ შინაარსს, როგორც საკუთარ ნაშრომს. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტების იმ პოლიტიკასთან, რომელიც სტუდენტისგან მოითხოვს დამოუკიდებელ მუშაობასა და ორიგინალურობას.

გარდა ამისა, პროგრამების მიერ შემოთავაზებული ტექსტები ხშირად სტანდარტიზებულია, რაც ზრდის ერთნაირი კონტენტით სავსე ნაშრომების რისკს. ამით კი ირღვევა აკადემიური დისკურსი და კნინდება ინდივიდუალური წვლილი.

მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ AI-ის ჭარბმა გამოყენებამ, შესაძლოა, შეასუსტოს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარები, რადგან ტექნოლოგია გთავაზობს მზა ტექსტებსა და სტრუქტურებს. ეს კი მომხმარებელს უქვეითებს დამოუკიდებელი ანალიზისა და არგუმენტაციის უნარს (Kasneci et al., 2023). შედეგად, სტუდენტები ხშირად ეყრდნობიან მხოლოდ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს და არა საკუთარ ანალიზს.

მიუხედავად იმისა, რომ AI-ის გამოყენება დიდი სიხშირით ხდება, სამართლებრივი

ჩარჩო ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. მაგალითად, არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება იმაზე, წარმოადგენს თუ არა მოდელის მიერ შექმნილი ტექსტი ავტორობით დაცულ შინაარსს. ამის გამო, გაურკვეველია, რამდენად აქვს უფლება სტუდენტს გამოიყენოს ასეთი მასალა აკადემიური მიზნებისთვის.

AI-ის ინტეგრაცია აკადემიურ წერაში არ არის მხოლოდ ტექნიკური ან პედაგოგიური საკითხი. იგი ეფუძნება ღრმა ეთიკურ და სამართლებრივ დილემებს, რაც მოითხოვს ეთიკური ჩარჩოს შექმნას ტექნოლოგიის პასუხისმგებლიან გამოყენების მიზნით.

როდესაც სტუდენტი იყენებს AI სისტემებს მხოლოდ ტექსტის სტრუქტურირებისთვის, გრამატიკული, სტილისტური შემოწმებისთვის ან იდეების გენერირებისთვის, იგი სინამდვილეში აფართოებს საკუთარ კოგნიტიურ რესურსს ტექნოლოგიის მეშვეობით. კვლევების მიხედვით, ასეთი მხარდაჭერა შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტრუქციული (Kasneci et al., 2023). ამგვარი გამოყენება არ ანაცვლებს ინტელექტუალურ შრომას, არამედ ეხმარება სტუდენტს აკადემიური წერის სირთულეების დაძლევაში.

ეთიკური პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როდესაც გენერაციული მოდელები პირდაპირ გამოიყენება აკადემიური ნაშრომის შინაარსის შესაქმნელად, ხოლო სტუდენტი არ უთითებს მოდელის მონაწილეობას. ასეთ შემთხვევებში ის არღვევს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ აკადემიურ პოლიტიკას.

AI-ის ინტეგრაცია აკადემიური ნაშრომების წერის პრაქტიკაში შეიძლება იყოს ეფექტური და ლეგიტიმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება სტუდენტის მხარდაჭერას და პასუხისმგებლიანად არის გამოყენებული.

შედეგად, AI-ის გამოყენება არ არის საფრთხის მომცველი აკადემიური კეთილსინდისიერების კუთხით, არამედ ხელს შეუწყობს განათლების პროცესის განვითარებას ადამიანის ინტელექტისა და ტექნოლოგიური რესურსის თანამშრომლობით.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია უმადლეს განათლებაში თანდათანობით ცვლის ტრადიციულ მიდგომებს კვლევაში, აკადემიური ნაშრომების მომზადებაში, ანალიზის პროცესთან მიმართებაში. ეს ცვლილება გულისხმობს როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს.

სტუდენტებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხშირად დაკავშირებულია დროის დაზოგვასთან, ინფორმაციის სწრაფ მოძიებასთან, ტექსტის ფორმატის გამარტივებასთან. ChatGPT-ს მსგავსი მოდელები მათ სთავაზობენ სტრუქტურირებულ და ლოგიკურად გამართულ ტექსტებს, რაც ზოგჯერ ქმნის ილუზიას, რომ კვლევა შესრულებულია ზედაპირული ან მინიმალური ინტელექტუალური ჩართულობით. თუმცა, ამავე დროს, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გახდეს ძლიერი საშუალება კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, თუკი იგი სწორად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. სტუდენტები, რომლებიც იყენებენ AI-ს როგორც დამხმარე ინსტრუმენტს (მაგ. იდეების გენერაციისთვის, ტექსტის სტრუქტურირებისთვის ან სხვადასხვა ხედვების შესადარებლად), უფრო ადვილად უძკლავდებიან რთულ ინტელექტუალურ ამოცანებს.

AI-ს საშუალებით ტექსტის ანალიზის პროცესი უფრო ინტერაქციული და მრავალმხრივი ხდება. სტუდენტებს შეუძლიათ ერთდროულად მიიღონ რამდენიმე ინტერპრეტაცია ტექსტზე, შეადარონ სხვადასხვა ხედვები და იმსჯელონ მათ შინაარსობრივ სიზუსტეზე.

მაგრამ ამავე დროს, არსებობს საფრთხე, რომ ტექსტის „მექანიკური“ გაშლა და გენერირებული ანალიზის მიღება ჩაანაცვლებს სტუდენტის დამოუკიდებელ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტში იმ უნარების გაძლიერება, რომლებიც უკავშირდება შეფასებას, დასკვნის გამოტანას და საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ცვლის მიდგომას აკადემიური მუშაობისადმი. სწავლების და სწავლების პროცესი უნდა გადაეწყოს ისე, რომ AI იქცეს არა აკადემიური დაკნინების, არამედ განვითარების გზად. მნიშვნელოვანია AI-ის ეთიკური და კრეატიული ინტეგრაცია საგანმანათლებლო პრაქტიკაში, როგორც კრიტიკული აზროვნების,

დამოუკიდებელი კვლევისა და ცოდნის ხელშეწყობის ინსტრუმენტი.

ლიტერატურა:

Brown, J. S., & Adler, R. P. (2008). Minds on fire: Open education, the long tail, and Learning 2.0. *EDUCAUSE Review*, 43(1), 16–32.

Cotton, D. R. E., Cotton, P. A., & Shipway, J. R. (2023). Chatting and cheating: Ensuring academic integrity in the era of ChatGPT. *Innovations in Education and Teaching International*, 60(2), 162–172.

<https://doi.org/10.1080/14703297.2023.2190148>

Floridi, L., & Cowls, J. (2021). A unified framework of five principles for AI in education. *AI & Society*, 36(1), 1–10. <https://doi.org/10.1007/s00146-020-00992-5>

Foltynek, T., Meuschke, N., & Gipp, B. (2023). Academic plagiarism detection and the challenge of AI-generated texts. *International Journal for Educational Integrity*, 19(1), 1–16. <https://doi.org/10.1007/s40979-023-00140-5>

Gilson, A., Safranek, C. W., Huang, T., Socrates, V., Chi, L., Taylor, R. A., & Chartash, D. (2023). How well does ChatGPT perform on the United States Medical Licensing Examination? *PLOS Digital Health*, 2(2), e0000198.

<https://doi.org/10.1371/journal.pdig.0000198>

Ji, Z., Lee, N., Frieske, R., Yu, T., Su, D., Xu, Y., ... & Ren, X. (2023). Survey of hallucination in natural language generation. *ACM Computing Surveys*, 55(12), 1–38. <https://doi.org/10.1145/3571730>

Kasneji, E., Sessler, K., Küchemann, S., Bannert, M., Dementieva, D., Fischer, F., & Winkler, J. (2023). ChatGPT for good? On opportunities and challenges of large language models for education. *Learning and Individual Differences*, 103, 102274. <https://doi.org/10.1016/j.lindif.2023.102274>

Zhai, X. (2022). ChatGPT: A new buddy in academic writing? *International Journal of Educational Technology in Higher Education*, 19(1), 1–3. <https://doi.org/10.1186/s41239-022-00352-w>

## Digital Transformation of Education: The Role of Artificial Intelligence in the Creation of Academic Papers

Dzamukashvili Lali

Iakob Gogebashvili State University, Telavi

### Abstract

In recent years, the integration of Artificial Intelligence (AI) into education particularly within the domain of academic writing has become a central topic of scholarly and pedagogical debate. The emergence of generative AI tools such as ChatGPT has profoundly transformed students' approaches to writing, influencing both the processes and outcomes of academic work. AI technologies can simultaneously support and hinder the development of writing competencies. On the one hand, they assist with idea generation, text structuring, language refinement, and access to relevant literature. On the other hand, they pose serious ethical and academic challenges, such as hidden plagiarism, ambiguous authorship, and the potential decline in students' critical and creative thinking skills.

This article critically examines both the advantages and risks associated with AI-assisted writing. It analyzes how students use AI to enhance grammar, style, argumentation, and interpretation of scholarly sources, while also discussing the implications of AI use on academic honesty, originality, and intellectual effort. The study reviews current practices, highlights the attitudes of academic institutions, and presents key viewpoints within the scholarly community regarding AI's evolving role in higher education. Ultimately, the article emphasizes that AI can serve as a powerful tool for transformation only when it is used responsibly and reflectively by students who see it as a supplement to, not a substitute for, critical thinking, independent research, and knowledge construction.

**Keywords:** Artificial Intelligence; Academic Writing; Ethics; Plagiarism; Critical Thinking

## საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციები თავდაცვისა და უშიშროების სფეროში, პრობლემები და სამომავლო პერსპექტივები

ფაჩოშვილი კობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი  
<https://doi.org/10.52340/idw.2025.88>

**აბსტრაქტი:** ნაშრომში განხილულია ქვეყნის ძირითად კანონში 2017 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებები, პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის შეკვეცილი უფლებამოსილებები, წარმოქმნილი პრობლემები, მათი მოგვარების გზები და მოსალოდნელი შედეგები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ისეთ კომპეტენციებზე როგორებიცაა საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება და თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება. ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილები მიღება საერთოდ გამოირიცხა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ჩარჩოებიდან რაც შეეხება კომპეტენციებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების მიმართულებით რეალიზება მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმების შემდეგადაა შესაძლებელი.

პრობლემური საკითხების შესწავლა, ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნები იძლევა პასუხს კითხვაზე შესაძლებელია თუ არა საპარლამენტო მმართველობის პირობებში პრეზიდენტის მწირი კომპეტენციების გათვალისწინებით სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საჭიროების შემთხვევაში იღებდეს გადაწყვეტილებას თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე, ამასთან ერთად მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად აცხადებდეს საგანგებო და საომარი მდგომარეობას.

**საკვანძო სიტყვები:** თავდაცვა, უშიშროება, თავდაცვითი ძალები, საგანგებო მდგომარეობა, საომარი მდგომარეობა

### 1. საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციები კონსტიტუციური რეფორმის კვალდაკვალ

საქართველოს ძირითად კანონში 2017 წლის 13 ოქტომბერის განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის, როგორც სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებები სახელმწიფო უშიშროებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. თუ რეფორმამდე არსებული ძირითადი კანონის 73-ე მუხლში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით ხსენებულ საკითხებზე პრეზიდენტი გამოსცემდა სამართლებრივ აქტებს და 48 საათის განმავლობაში პარლამენტში შეჭჳონდა დასამტკიცებლად. საკანონმდებლო ცვლილებათა ახალი რედაქციით პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით იღებს.

საკონსტიტუციო ცვლილებათა 71-ე მუხლის პირველი პუნქტით, „საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან მისი უშუალო

საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტით, „ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხის, ეკოლოგიური კატასტროფების, და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად.“

საინტერესო და მნიშვნელოვანია ასევე, რომ საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვითი ძალების გამოყენების უფლებამოსილება უზენაესი კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის ახალი რედაქციით პრემიერ-მინისტრის საშინაო კომპეტენციებში გადავიდა. „გადაწყვეტილებას, საომარი მდგომარეობის დროს, თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს პარლამენტის დამტკიცებას.“

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა ავტორები უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილებათა შეზღუდვის საფუძველად იშველიებდნენ სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებას, საპარლამენტო მმართველობის შემოღებას მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო უფლებების მქონე პრეზიდენტს, მთავარსარდალს გაუჩნდებოდა მეტი პრეტენზია და სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში უპირატესობის მოპოვების სურვილი, რაც გარკვეულ საფრთხეს შექმნიდა ავტორიტარიზმის და ხელისუფლების მიტაცების მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია სამეცნიერო სტასტიის ამ ნაწილში, გავეცნოთ სახელმწიფო მმართველობის ფორმით საქართველოსთან მაქსიმალურად ახლოს მდგომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორი ხარისხის კომპეტენციები გააჩნიათ პრეზიდენტებს, უმაღლეს მთავარსარდლებს საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების ან თავდაცვითი ძალების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

განვიხილავ რამოდენიმე მათგანს როგორც საპარლამენტო, აგრეთვე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის, უცხოეთის ქვეყნებიდან.

## **2. შედარებით-სამართლებრივი ანალიზი უცხოეთის ქვეყნებთან**

საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების და თავდაცვითი ძალების გამოყენების კომპეტენციებს განვიხილავ იტალიის, უნგრეთისა და უკრაინის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა მაგალითებზე.

2.1. იტალიის საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიულ რესპუბლიკა სამხრეთ-დასავლეთი ევროპის ნაწილში მდებარეობს. რესპუბლიკის პრეზიდენტს სამთავრობო ძალაუფლება არ გააჩნია, სახელმწიფო საქმეთა მართვაში არ აქტიურობს და საპარლამენტო მოდელისათვის დამახასიათებელი მწირი უფლებამოსილებებით სარგებლობს, როგორც საშინაო ასევე საგარეო მიმართულებით. მისი ძალაუფლება მეტ-ნაკლებად ვლინდება ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, როდესაც კონსტიტუციური ხელისუფლება და

პოლიტიკური ძალები შეუთანხმებლობის გამო ვერ მართავენ ქვეყანას. ასეთ შემთხვევაში „პრეზიდენტი მოწოდებულია თავის თავზე აიღოს არბიტრის როლი და არ დაუშვას პოლიტიკური კრიზისის გამძაფრება. (მელქაძე ო, 2008, გვ.215) მიუხედავად ზემოაღნიშნულისა პრეზიდენტის როგორც სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების მეთაურის კომპეტენციებშია საომარი მდგომარეობის გამოცხადება მთავრობისგან წინასწარი ნებართვის მიღების გარეშე. ქვეყნის ძირითადი კანონით უმაღლესი მთავარსარდალი ამ უფლებამოსილებას საკანონმდებლო ორგანოს თანხმობით ახორციელებს.

იტალიის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მას, როგორც შეიარაღებული ძალების მეთაურს, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით შეუძლია ომის გამოცხადება. პრეზიდენტი არის „შეიარაღებული ძალების მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობს კანონით დადგენილ თავდაცვის ძალების უმაღლეს საბჭოს და პარლამენტის გადაწყვეტილებით აცხადებს ომს.“

2.2. უნგრეთის - საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკა, ცენტრალურ ევროპაში მდებარეობს. აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და უფლებამოსილებათა ძირითადი ნაწილიც მის ხელშია თავმოყრილი თუმცა პრეზიდენტი, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

უნგრეთის კონსტიტუციის 30.1 პირველი პუნქტის თანახმად, „თუ სახელმწიფო კრებას არ აქვს მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.“ როგორც ჩანს იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო ორგანოს მოკლებულია შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე უნგრეთის პრეზიდენტი და არა აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულ საკითხზე.

2.3. უკრაინის შერეული მმართველობის დემორატიულ სახელმწიფოში, პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალის მაღალი სტატუსის მატარებელი ინსტიტუტი გადაწყვეტილებას იღებს ქვეყანაში ომის გამოცხადების ან შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ, მთავრობასთან შეთანხმების, თანახელმოწერის გარეშე და შეაქვს ეს გადაწყვეტილება უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში დასამტკიცებლად.

უკრაინის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, უკრაინის პრეზიდენტს „უკრაინის უმაღლეს რადაში შეაქვს წინადადება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და უკრაინის მიმართ შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.“

ამდენად, როგორც განხილული მაგალითები ცხადყოფს მიუხედავად შეკვეცილი კომპეტენციებისა როგორც საპარლამენტო ასევე შერეული მოდელის უცხოეთის ქვეყნებში პრეზიდენტები, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალის მაღალი კონსტიტუციური სტატუსის მატარებელი პირები მთავრობის ნებართვის ან წინასწარი შეთანხმების გარეშე იღებენ გადაწყვეტილებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და თავდაცვითი ძალების გამოყენების თაობაზე.

### **3. საკონსტიტუციო რეფორმა და არსებული პრობლემური საკითხები.**

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

„საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის, ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობებისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.“

ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი „მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხის, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის, ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან რომელიმე ნაწილში.“

იმის გარდა, რომ პრეზიდენტი ზემოაღნიშნულ საკითხზე სამართლებრივ აქტს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე გამოსცემს, თანახელმოწერის ზოგადი წესიდან გამომდინარე კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიხედვით „საომარი ან საგანგებო“ მდგომარეობის გამოცხადების ან გაუქმების ასევე „ზავის“ დადების შესახებ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერას საჭიროებენ.

მართალია აღნიშნული საკითხები სახელმწიფოს უპირველესი ინტერესის საგანია და ბუნებრივია ის მხარდაჭერილი უნდა იყოს მთავრობისგან, რაც ვფიქრობ იმაშიც გამოიხატება, რომ პრეზიდენტი სამართლებრივ აქტს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის „წარდგინების“ შემდეგ გამოსცემს, მაგრამ მისი თანახელმოწერის რანგში აყვანა და პრემიერ-მინისტრის „წარდგინების“ საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტზე პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა, ვფიქრობ, ხარვეზების შემცველია, რადგან „საგანგებო და საომარი“ მდგომარეობის გამოცხადება და „ზავის“ დადება ისეთი განსაკუთრებული და გადამწყვეტი მომენტებია სახელმწიფოში, რომელიც საჭიროებს წინამძღოლის, ლიდერის გაძღოლას. ლიდერის სტატუსი კი კონსტიტუციის 49-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებიდან გამომდინარე, უფრო სახელმწიფოს მეთაურს და თავდაცვითი ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, პრეზიდენტს ეკუთვნის, ვიდრე ქვეყანაში ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, პრეზიდენტს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. „სპორტული ტერმინოლოგია, რომ ვიხმაროთ, ამ დროს პრეზიდენტი უფრო სახელმწიფოს „კაპიტანია,“ ვიდრე „არბიტრი“ ასეთი სახის საკანონმდებლო რეგულაციებთ კი გაურკვეველი ხდება და კითხვებს ბადებს ლოგიკური, სისტემური კავშირი პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის სტატუსსა და ამ სფეროში მის კონკრეტულ უფლებამოსილებებს შორის. აშკარაა, რომ პრეზიდენტი არ ფლობს ამ სტატუსის ჯეროვანად განხორციელების საჭირო და საკმარის უფლებამოსილებებს.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.34)

ამასთან ერთად, ლოგიკურია, რომ პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებზე პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერის წინსწრება ურთიერთშეთანხმებაა, ანუ ჯერ უნდა მოხდეს კონკრეტულ საკითხზე შეთანხმება, შემდეგ უნდა გამოსცეს პრეზიდენტმა სამართლებრივი აქტი და პრემიერ-მინისტრმა მოახდინოს მისი თანახელმოწერა, რაც ამ აქტის ძალაში შესვლის წინაპირობაცაა მიმაჩნია, რომ საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში, საკანონმდებლო სიახლე უნდა იძლეოდეს იმის ახსნას თუ რა შეიძლება მოჰყვეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების

ან ზავის დადების თაობაზე პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის შეთანხმების მიუღწევლობას. ასეთი შინაარსის კონსტიტუციური ნორმები შესაძლებელია გახდეს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის მწვავე დაპირისპირების საგანი და უარყოფითი შედეგები მოუტანოს ქვეყანას.

ამავე თემას მიიხედვით დაუკავშირო აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ მინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.“ როგორც ჩანს, ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით თავდაცვის ძალების გამოყენების თაობაზე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ მოითხოვს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის მიერ დამტკიცებას. არადა სახელმწიფოსთვის თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უფრო მეტად სერიოზულია, ვიდრე საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მისი დამტკიცება აბსოლიტურად აუცილებელია.

ამასთან ერთად, მიუღებელია ის ფაქტი, რომ საომარი მდგომარეობის დროს, თავდაცვითი ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას, დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად იღებდეს არა ამავე თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, სახელმწიფოს მეთაური, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი რომლის დარღვევაც შესაძლოა საფრთხის ქვეს იყოს არამედ სახელისუფლების ერთ-ერთი შტოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური პრემიერ-მინისტრი, როგორც ქვეყნის თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალის, პრეზიდენტის აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოს როლის სრული იგნორირების ფონზე. შესაბამისად, „საგანგებო მდგომარეობის დროს სამხედრო ძალის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული თავდაცვის საბჭოს თანხმობის საფუძველზე ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.“ (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ.58).

### დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილი საკვლევი საკითხის შესწავლის და საერთო ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია დავადგინოთ შემდეგი:

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე მიზანშეწონილი და აუცილებელიცაა პრეზიდენტი როგორც თავდაცვითი ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ფლობდეს საომარი მდგომარეობისას თავდაცვითი ძალების გამოყენების უფლებამოსილებას, ხოლო საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და ზავის დადების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილების შეთანხმება ხდებოდეს არა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან არამედ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსთან, საქართველოს პარლამენტთან.

სამეცნიერო სტატიაში დასმული პრობლემური საკითხების გადაჭრისა და სრულყოფილი მოწესრიგების მიზნით კანონმდებლებს რეკომენდაციების სახით ვთავაზობ ქვეყნის ძირითად კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში გატარდეს შემდეგი სახის ცვლილებები :

კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ ეროვნული თავდაცვის საბჭოს თანხმობის საფუძველზე იღებს

საქართველოს პრეზიდენტი. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება მისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობა“ (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ.50 )

აღნიშნული ცვლილებების შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება გამოიწვევს პრეზიდენტის ინსტიტუტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებას მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსისა და უცხოეთის სახელმწიფოთა გამოცდილების შესაბამისად, დაცული იქნება, როგორც საპარლამენტო მმართველობის პრინციპები, ასევე ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა.

#### **ბიბლიოგრაფია**

1. დემეტრაშვილი ა, მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში სუპერ-საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, სტატიების კრებული, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
2. მელქაძე ო, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, გამომცემლობა „ინოვაცია“ თბილისი, 2008
3. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, თბილისი, 2010. [http://iccn.ge/index.php?article\\_id=463&clang=0](http://iccn.ge/index.php?article_id=463&clang=0)

#### **ნორმატიული მასალა**

1. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია ს.ს.ი.პ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
2. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 13.10.2017 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“

#### **ინტერნეტ რესურსები**

1. Копституция Итальянской Республики <http://lawerssu.narod.ru/subjects/constzs/Italy.htm>
2. Основпой Закон Венгрии <https://legalns.com/download/booKs/cons/greece.pdf>
3. Конституция Украипи <http://gbc.ge/index.phpmhome&newsidlangeo>

## **Competences of the President of Georgia in the Field of Defense and Security: Problems and Future Perspectives**

**Pachoshvili Koba**

Caucasus International University, Tbilisi

### **Abstract**

This paper examines the amendments made to the country's main law on October 13, 2017, the limited powers of the President as the Commander-in-Chief, the problems that have arisen, ways to address them, and the expected outcomes. Particular attention is paid to the competences of the Commander-in-Chief of the Armed Forces, such as declaring a state of emergency or martial law and making decisions on the use of defense forces. As a result of the aforementioned constitutional amendments, the authority to make decisions on the use of

defense forces has been entirely removed from the President's powers, while the exercise of competences related to declaring a state of emergency or martial law is only possible in coordination with the executive branch.

The study, analysis, and reasoned conclusions of the problematic issues provide an answer to the question of whether, under a parliamentary system and given the President's limited powers, the Head of State and Commander-in-Chief of the Armed Forces can, if necessary, make decisions regarding the use of defense forces and independently declare a state of emergency or martial law without coordination with the government.

***Keywords:*** *defense, security, defense forces, state of emergency, martial law*

**ნიკეიდან ვესტფალიამდე: ინსტიტუციონალური უწყვეტობა და პოლიტიკური ავტორიტეტის ტრანსფორმაცია**

**ფარეშიშვილი გიორგი**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.89>

**აბსტრაქტი.** სტატია განიხილავს 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებიდან 1648 წლის ვესტფალიის ზავამდე მიმავალ 1300-წლიან ისტორიულ პროცესს, როგორც ფუნდამენტური ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის მაგალითს ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში. განვლილი გზა ცხადყოფს, რომ ნიკეის კრებამ ჩამოაყალიბა პირველი სისტემური მოდელი, რომელიც აერთიანებდა ცენტრალიზებულ ავტორიტეტს, კოლექტიური გადაწყვეტილების მექანიზმებს და უნივერსალური ნორმების აღსრულების პროცედურებს. ეს ისტორიული ტრანსფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებულ მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკურ ფენომენს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპული ცივილიზაციის მომავალ ინსტიტუციონალურ განვითარებას და ფუნდამენტურად შეცვალა მმართველობის სისტემების თეორიული და პრაქტიკული პარადიგმები.

სტატიაში იკვეთება უშუალო ინსტიტუციონალური უწყვეტობა ნიკეასა და ვესტფალიას შორის, რომელიც გამოიხატება სამ ძირითად ასპექტში: კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებში, ლეგიტიმური ავტორიტეტის კონცეპტუალურ ჩარჩოებში და მრავალმხრივი ურთიერთობების პროცედურულ სტანდარტებში. კვლევა ადასტურებს, რომ შუა საუკუნეების დაპირისპირებული ძალები, პროტესტანტული რეფორმაცია და რელიგიური ომები მიმდინარეობდა გარდამავალი ეტაპების სახით, რომლებიც თანდათანობით ახდენდა რელიგიური ჩარჩოების ცვლილებას თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართულებით. ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს პროცესი წარმოადგენდა არა სტრუქტურულ რღვევას, არამედ ევოლუციურ ტრანსფორმაციას, რომელშიც თითოეული ისტორიული ეტაპი გადასცემდა შემდეგს თავის მიღწევებს და ქმნიდა ახალ ინსტიტუციონალურ რეალობას.

ვესტფალიის ზავმა დაასრულა ინსტიტუციონალური რელიგიური გავლენის შესუსტების პროცესი და სისტემატიზირება გაუკეთა პრინციპებს, რომლებიც დღემდე განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ძირითად ნორმებს. ნიკეის მექვიდრეობა, რომელიც ვესტფალიურმა სისტემამ სეკულარიზებული სახით გადმოგვცა, აგრძელებს თანამედროვე გლობალური მმართველობის სტრუქტურების ფორმირებას და განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკური წარმომადგენლობითი ინსტიტუტების თანამედროვე ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს, მათ შორის მულტილატერალური დიპლომატიის, კონსენსუსზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისა და სუვერენული თანასწორობის კონცეფციების განხორციელების მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკეა; ვესტფალია; სუვერენიტეტი; ლეგიტიმურობა; ინსტიტუციონალური უწყვეტობა; საეკლესიო მმართველობა;

**შესავალი**

325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებიდან 1648 წლის ვესტფალიის ზავამდე მიმავალი ისტორიული გზა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და რთულ

ინსტიტუციონალურ ტრანსფორმაციას ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში (Barnes, 1981). ეს 1300-წლიანი პერიოდი ცხადყოფს, თუ როგორ განიცადა ფუნდამენტური ცვლილება რელიგიური გავლენების სტრუქტურებმა და ტრანსფორმირდა თანამედროვე სახელმწიფო სისტემისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლებად (Philpott, 2001).

იმპერატორ კონსტანტინე I-ის მიერ მოწვეული ნიკეის კრება არ წარმოადგენდა მხოლოდ თეოლოგიური დავების მოსაგვარებელ შეკრებას; მან შექმნა ისტორიაში პირველი სისტემური მოდელი, რომელიც აერთიანებდა ცენტრალიზებულ ავტორიტეტს, კოლექტიური გადაწყვეტილების მექანიზმებს და უნივერსალური ნორმების აღსრულების პროცედურებს (Drake, 2000). ამ სიახლეებმა ჩამოაყალიბა ისეთი ინსტიტუციონალური "გენეტიკური კოდი", რომელიც საუკუნეების განმავლობაში ევოლუციის, ადაპტაციისა და სეკულარიზაციის პროცესებით ტრანსფორმირდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ვესტფალიური სახელმწიფო სისტემის სახით (Krasner, 1999).

ნიკეასა და ვესტფალიას შორის არსებობს უშუალო ინსტიტუციონალური უწყვეტობა, რომელიც გამოიხატება სამ ძირითად ასპექტში: კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებში, ლეგიტიმური ავტორიტეტის კონცეპტუალურ ჩარჩოებში და მრავალმხრივი ურთიერთობების პროცედურულ სტანდარტებში (Ullmann, 1975). ამ კავშირის გაგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული პერსპექტივით, არამედ თანამედროვე გლობალური მმართველობის გამოწვევების ანალიზისთვისაც.

შუასაუკუნეების საკრებო მოძრაობა, პროტესტანტული რეფორმაცია და ადრეული თანამედროვე პერიოდის რელიგიური ომები ფუნქციონირებდა გარდამავალი ეტაპების სახით, რომლებიც თანდათანობით ახდენდა ნიკეის თავისებური რელიგიური ჩარჩოების შეცვლას სეკულარული პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართულებით (Nexon, 2009). ვესტფალიის ზავი წარმოადგენდა ამ პროცესის ლოგიკურ კულმინაციას, რომელმაც დაასრულა ინსტიტუციონალური სეკულარიზაციის პროცესი და ჩამოაყალიბა პრინციპები, რომლებიც დღემდე განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ძირითად ნორმებს.

### **ნიკეიდან ვესტფალიამდე**

ნიკეის საეკლესიო კრებამ (325 წ.) ჩამოაყალიბა კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებისა და უნივერსალური სტანდარტების აღსრულების ინსტიტუციონალური ჩარჩოები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა მომავალი ევროპული პოლიტიკური ტრადიციების სისტემას (Drake, 2000). იმპერატორ კონსტანტინე I-ის მიერ მოწვეული კრება წარმოადგენდა გარდამტეხ ნაბიჯს მმართველობის სფეროში, რამდენადაც პირველად მოხდა იმპერიული ძალაუფლებისა და რელიგიური ავტორიტეტის გაერთიანება სისტემურ ინსტიტუციონალურ ჩარჩოში (Williams, 2001).

კრებამ დააწესა ორმაგი ლეგიტიმურობის მოდელი, რომელიც აერთიანებდა სახელმწიფო ძალაუფლებას რელიგიურ ძალაუფლებასთან და შეიქმნა თანამედროვე სუვერენიტეტის კონცეფციის წინამორბედი (Lenski, 2016). ეს სინთეზი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რამდენადაც ადგენდა პრინციპს, რომ ლეგიტიმური ავტორიტეტი მოითხოვდა როგორც ეფექტურ ძალაუფლებას, ასევე გარდამავალ ნორმებთან შესაბამისობას. ნიკეის კრებამ ასევე შექმნა ფორმალური პროცედურები სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმომადგენლების ჩართულობისა კონსენსუსის მისაღწევად, რაც წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს საერთაშორისო დიპლომატიური მექანიზმების ჩამოყალიბებისკენ.

ნიკეის ისტორიული მნიშვნელობა ვრცელდება თეოლოგიურ მნიშვნელობის გარეთაც. კრებამ დაამკვიდრა პრეცედენტი, რომ უმაღლესმა იერარქებმა შეიძლება ითანამშრომლონ რიგითებთანაც ერთობლივი გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ მოდელმა შემდგომში გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების კრებით ინსტიტუტებზე და საბოლოოდ ადრეული თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ განვითარებაზე.

ნიკეის კრების საპროცედურო სიახლეებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა შუასაუკუნეების დიპლომატიურ პრაქტიკაზე (Ullmann, 1975). კონსტანტინე I-ის კრება (1414-1418) და ბაზელის საეკლესიო კრება (1431-1449) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

აღმოჩნდა ნიკეის ინსტიტუციონალური ჩარჩოების სეკულარიზაციის პროცესში (Oakley, 1969). ამ კრებებმა შეცვალეს ტრადიციული რელიგიური ავტორიტეტის საკითხები წარმომადგენლობითი მმართველობისა და კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების სეკულარულ პრინციპებად.

XIV-XV საუკუნეები ორგანიზებულმა მოძრაობებმა გამოავლინეს, თუ როგორ შეიძლებოდა ნიკეის კრების სიახლეების დანერგვა პოლიტიკური კრიზისების მოსაგვარებლად (Nexon, 2009). ეს პერიოდი იყო გადაწყვეტი ეტაპი ისტორიაში, როდესაც რელიგიური ინსტიტუციონალური ჩარჩოები იწყებდა შეცვლას სეკულარული პოლიტიკური სისტემების მიმართულებით. ამ განვითარებამ აჩვენა, რომ ნიკეის კოლექტიური გადაწყვეტილების მოდელს შეეძლო ფუნქციონირება როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკურ კონტექსტებში.

პროტესტანტულმა რეფორმაციამ დააჩქარა ეს პროცესი „*cuius regio, eius religio*“ პრინციპის შემოღებით, რომელიც ინარჩუნებდა კავშირს პოლიტიკურ და რელიგიურ ავტორიტეტს შორის, თუმცა ამ კავშირს შეზღუდავდა ტერიტორიული საზღვრებით. ეს პრინციპი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს საყოველთაო ხედვიდან ნიკეის ტერიტორიული სუვერენიტეტისკენ.

ვესტფალიის ზავმა (1648 წ.) დაასრულა ნიკეის რელიგიური პრეცედენტების სეკულარიზაცია და ჩამოაყალიბა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საფუძვლები სუვერენული თანასწორობისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაწესებით (Oslander, 2001). ამ ხელშეკრულებაში ეფექტურად აისახა ნიკეის ძირითადი პრინციპების ტრანსფორმაცია და მთარგო ისინი სეკულარული სახელმწიფო სისტემის საჭიროებებს.

ზავმა ინსტიტუციონალიზება გაუკეთა მრავალმხრივ ხელშეკრულებათა მოლაპარაკებების სისტემას, რომელიც პირდაპირ მომდინარეობდა საკრებო პრაქტიკიდან (Croxtton, 1999). ეს მოიცავდა ფორმალურ წარმომადგენლობას, კოლექტიურ განხილვებს და სავალდებულო შეთანხმებებს თანასწორ მონაწილეებს შორის - ყველა ეს მექანიზმი პირდაპირ იძებნება ნიკეის კრების პროცედურებში. ვესტფალიურმა წესრიგმა ჩაანაცვლა უნივერსალური რელიგიური ერთიანობა ტერიტორიული სუვერენიტეტით, რაც დღემდე განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურას (Philpott, 2001).

ვესტფალიის ზავის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან ოფიციალურად კოდიფიცირება გაუკეთა პრინციპებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ნიკეის პრეცედენტების საფუძველზე. სუვერენული თანასწორობის პრინციპი, შიდა საქმეებში ჩაურევლობის ნორმა და მრავალმხრივი ხელშეკრულებათა სისტემა - ყველა ეს ელემენტი წარმოადგენს ნიკეის სიახლეების წარმოჩენის სეკულარიზებულ ვერსიებს.

ნიკეიდან ვესტფალიამდე მიმავალი ინსტიტუციონალური ევოლუცია დღემდე ჩანს თანამედროვე საერთაშორისო ინსტიტუტებში (Krasner, 1999). გაეროს სისტემა, საერთაშორისო სასამართლოები და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, ყველა იყენებს პროცედურულ მექანიზმებს, რომლებიც ისტორიულად უკავშირდება ნიკეის პრეცედენტებს. სუვერენული თანასწორობის პრინციპი, რომელიც დღეს წარმოადგენს ფუნდამენტურ ნორმას საერთაშორისო სამართალში, პირდაპირ მომდინარეობს ნიკეის კრების მონაწილე ეპისკოპოსების თანასწორი სტატუსის კონცეფციისგან.

უნივერსალურ ნორმებსა და ტერიტორიულ სუვერენიტეტს შორის დამაბულობა, რომელიც პირველად გამოიკვეთა ნიკეის კრებაზე, აგრძელებს გავლენას თანამედროვე გლობალური მმართველობის გამოწვევებზე. ადამიანის უფლებების მდგომარეობის მიხედვით ქვეყნები, კლიმატის ცვლილების საერთაშორისო შეთანხმებები და საერთაშორისო სისხლის სამართალი - ყველა მიმართულება მუშაობს იმავე ძირითადი დილემით, რომელსაც პირველად შეეხო XVII საუკუნის წინ.

თანამედროვე საერთაშორისო დიპლომატია ასევე ინარჩუნებს ბევრ ელემენტს, რომელიც პირდაპირ ეხება ნიკეის პროცედურულ სიახლეებს. მრავალმხრივი მოლაპარაკებები, კონსენსუსზე მიმართული გადაწყვეტილების მიღება და ფორმალური წარმომადგენლობითი სისტემები-ყველა ასახავს ნიკეის კრების თავისებურ მახასიათებლებს,

თუმცა სეკულარიზებულ კონტექსტში.

### დასკვნა

ნიკეის საეკლესიო კრებიდან ვესტფალიის ზავამდე 1300-წლიანი ისტორია ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება რელიგიური ინსტიტუციონალური სიახლეების ცვლილება და მორგება სეკულარული პოლიტიკური სისტემების საჭიროებებზე. ეს ისტორიული უწყვეტობა წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური ინტერესის საგანს, არამედ გასაღებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების გასაგებად.

ისტორიული ინსტიტუციონალური ქმედებები წარმოადგენს დინამიურ პროცესს, სადაც რელიგიური ორგანიზაციების მიერ შექმნილი მართვის მექანიზმები გარდაიქმნება სეკულარული პოლიტიკური წყობის სტრუქტურულ ელემენტებად. ნიკეის კრების გამოცდილებამ განაპირობა არა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესიის შიდა ორგანიზაციული მოწყობა, არამედ ჩაუყარა საფუძვლები ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება, კონსენსუსზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა და პროცედურული სტანდარტების დამკვიდრება.

ნიკეის მემკვიდრეობა, რომელიც ვესტფალიურმა სისტემამ სეკულარიზებული სახით გადმოგვცა, აგრძელებს ჩვენი გლობალიზებული სამყაროს მმართველობის სტრუქტურების ფორმირებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი ძირითადი ელემენტი - კოლექტიური გადაწყვეტილების მექანიზმები, ორმაგი ლეგიტიმურობის მოდელი და მრავალმხრივი პროცედურული სტანდარტები - წარმოადგენს უწყვეტ ხაზს, რომელიც აკავშირებს ადრეული ქრისტიანული ეკლესიის ინსტიტუციონალურ სიახლეებს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ვესტფალიური სისტემის წარმატება მდგომარეობს არა ნიკეური მოდელის მთლიან უარყოფაში, არამედ მისი შინაარსობრივი ადაპტაციისა და სეკულარიზაციის უნარში. ეს პროცესი ცხადყოფს ინსტიტუციონალური სიახლეების მედეგობას და მათ შესაძლებლობას, გადალახონ კონფესიური საზღვრები და ჩამოყალიბდნენ უნივერსალური მართვის პრინციპებად.

ამ ყველაფრის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო მმართველობის მიმდინარე გამოწვევების კონტექსტში, სადაც XVII საუკუნეში გადაწყვეტილი საკითხები კვლავ საჭიროებენ პასუხს ახალ, გლობალურ რეალობაში. თანამედროვე მრავალმხრივი კრიზისი, დიდი საერთაშორისო ორგანიზაციების ლეგიტიმურობის შემცირება და გლობალური გამოწვევების კოლექტიური მოგვარების სირთულეები, ხაზს უსვამს იმ ისტორიული გაკვეთილების აქტუალობას, რომლებიც ნიკეიდან - ვესტფალიამდე მიმავალი ისტორიული გზის გაანალიზებით შეიძლება მივიღოთ.

### ლიტერატურა:

1. Barnes, T. D. (1981). *Constantine and Eusebius*. Harvard University Press.
2. Croxton, D. (1999). The peace of Westphalia of 1648 and the origins of sovereignty. *The International History Review*, 21(3).
3. Drake, H. A. (2000). *Constantine and the bishops: The politics of intolerance*. Johns Hopkins University Press.
4. Krasner, S. D. (1999). *Sovereignty: Organized hypocrisy*. Princeton University Press.
5. Lenski, N. (2016). *Constantine and the cities: Imperial authority and civic politics*. University of Pennsylvania Press.
6. Nexon, D. H. (2009). *The struggle for power in early modern Europe: Religious conflict, dynastic empires, and international change*. Princeton University Press.
7. Oakley, F. (1969). *The political thought of Pierre d'Ailly: The voluntarist tradition*. Yale University Press.
8. Oslander, A. (2001). Sovereignty, international relations, and the Westphalian myth. *International Organization*, 55(2), 251-287.
9. Philpott, D. (2001). *Revolutions in sovereignty: How ideas shaped modern international relations*. Princeton University Press.
10. Ullmann, W. (1975). *Law and politics in the Middle Ages: An introduction to the sources of medieval political ideas*. Cornell University Press.
11. Williams, R. (2001). *Arius: Heresy and tradition*. Eerdmans.

## **From Nicaea to Westphalia: Institutional Continuity and the Transformation of Political Authority**

**Pareshishvili Giorgi**  
Caucasus International University, Tbilisi

### **Abstract**

This article examines the 1,300-year historical process from the Council of Nicaea in 325 CE to the Peace of Westphalia in 1648 as a paradigmatic example of fundamental institutional transformation in European civilization. The analysis demonstrates that the Council of Nicaea established the first systematic model that integrated centralized authority, collective decision-making mechanisms, and procedures for enforcing universal norms. This historical transformation represents a socio-political phenomenon of exceptional significance that laid the foundation for the future institutional development of European civilization and fundamentally altered the theoretical and practical paradigms of governance systems.

The study reveals direct institutional continuity between Nicaea and Westphalia, manifested in three fundamental aspects: mechanisms of collective decision-making, conceptual frameworks of legitimate authority, and procedural standards of multilateral relations. The research confirms that medieval oppositional forces, the Protestant Reformation, and religious wars functioned as transitional phases that gradually transformed religious frameworks toward modern political institutions. The analysis demonstrates that this process represented not a structural rupture, but rather an evolutionary transformation in which each historical stage transmitted its achievements to the next and created new institutional realities.

The Peace of Westphalia completed the process of weakening institutional religious influence and systematized principles that continue to define the fundamental norms of international law and diplomacy today. The Nicæan legacy, transmitted through the Westphalian system in secularized form, continues to shape the structures of contemporary global governance and determines the fundamental principles of modern functioning of international political representative institutions, including the methodological frameworks for implementing multilateral diplomacy, consensus-oriented decision-making, and concepts of sovereign equality.

**Keywords:** *Nicaea; Westphalia; sovereignty; legitimacy; institutional continuity; ecclesiastical governance;*

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამარ სტიჟნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ვახუშტი ბაგრატიონის №84  
E – mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)  
<https://www.meridiani-books.ge>



VIII

კულტურათაშორისი დიალოგები